ალ. ნერეთელი

ძველი საბერძნეთი

ტომი 1

მესამე შევსებული და შესწორებული
გამოცემა

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური
განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია
სახელმძღვანელოდ

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი — 1966

1-6-2
222.66

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ეგეოსის ანუ კრეტა-მიკენის კულტურა

I. საბერძნეთის ბუნებრივი პირობები და ბერძენ ტომთა პირვანდელი განსახლება

ცნობილია, რომ ძველმა ბერძნებმა შექმნეს ისეთი მრავალმეტყველი კულტურა, რომელიც საფუძვლად დაედო ახალი დროის კულტურას. პირველ რიგში უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი დროის მეცნიერება ძველბერძნულ სწავლულთა და მოაზროვნეთა მიღწევების ბაზაზე განვითარდა. მრავალი მეცნიერების სახელწოდება და სამეცნიერო ტერმინოლოგიის მნიშვნელოვანი ნაწილი ძველბერძნული ენიდანაა წარმომდგარი. ავიღოთ, თუნდაც, ტერმინი „ისტორია", რომელიც თავისი წარმოშობით მთლიანად მასთანაა დაკავშირებული. უდიდესი გავლენა ჰქონდა ჩვენი დროის ხელოვნებასა და ლიტერატურაზე ძველბერძნულ ხელოვნებას, ეპოსსა და ლიტერატურას, რომელთა წარმტაცი ნიმუშები დღემდე საერთო მოწონებასა და აღტაცებას იწვევს. „ანტიკურობა მთელი თავისი მრავალსახეობით ყოველ ნაბიჯზე ვლინდება როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე თანამედროვე ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში. ბერძნული და რომაული კულტურა მსოფლიო ისტორიის ერთი ბრწყინვალე ფურცელთაგანია. მათი სიმდიდრე და მომხიბვლელობა უდავოა. უშუალობა, გრძნობათა სიღრმე, სისადავე, ფორმისა და შინაარსის ადეკვატურობა, რაც დამახასიათებელია ბერძნული კულტურის ძეგლებისა, დღემდე გვხიბლავს ჩვენ. ბერძენმა მოაზროვნეებმა, მხატვრებმა და სწავლულებმა თავიანთ ნაწარმოებებში განასახიერეს თავისი ეპოქის ბრძოლა და იდეალები, აზრები და ვნებანი"[1].

კარგად თქვა თავის დროზე ფრ. ე ნ გ ე ლ ს მ ა: „ჩვენ იძულებული ვიქნებით კვლავ და კვლავ ვუბრუნდებოდეთ იმ პატარა ხალხის ფილოსოფიას, აგრეთვე სხვა მრავალ დარგშიც მიღწევებს, რომლის უნივერსალურმა ნიჭიერებამ და მოღვაწეობამ კაცობრიობის

განვითარების ისტორიაში უზრუნველუყო მას ადგილი, რომელზეც პრეტენზია არც ერთ სხვა ხალხს არ შეუძლია ჰქონდეს"[2].

საბერძნეთის ძველი ისტორიის შესწავლისას პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის ბუნებრივი პირობები, რომლებშიც ის მიმდინარეობდა. რაიონი, რომლის ფარგლებში ძირითადად გაიშალა ეს ისტორია, შეიცავდა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილს, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ მიდამოებს, ეგეოსის ზღვის კუნძულებს, მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს და ნაწილობრივ სამხრეთ იტალიასა და სიცილიას.

ეგეოსის ზღვა მდიდარია ისტორიულად ცნობილი კუნძულებით. კუნძულთა ჩრდილოეთის ჯგუფს მიეკუთვნებიან თასოსი, იმბროსი, ლემნოსი, ლესბოსი, რომლებიც შედარებით ახლოს მდებარეობენ მცირე აზიის ნაპირებთან. სამხრეთ ჯგუფს წარმოადგენენ ეგრეთ წოდებული კიკლადები — ანდროსი, ტენედოსი, კეოსი, პაროსი, სერიფოსი, სიფნოსი, მელოსი, ნაქსოსი და სხვ. აღსანიშნავია, რომ III ათასწლეულში ეს კუნძულები კუნძულ კ რ ე ტ ი ს დიდ კულტურულ ზეგავლენას განიცდიდნენ. ეგეოსის სამყაროში სახელგანთქმული კუნძული კრეტა თავისებურ ხიდს წარმოადგენდა ძველ კულტურულ ქვეყნებთან ურთიერთობაში. ძველი საბერძნეთის ისტორიაში შესამჩნევი როლი ითამაშეს ისეთმა კუნძულებმაც, როგორებიც არიან: ევბეა, ეგინა, ქიოსი, სამოსი, დელოსი (რომელიც აპოლონის დაბადების ადგილად ითვლებოდა) და როდოსი.

კუნძულების სიმრავლე ხელს უწყობდა ნაოსნობის განვითარებას. ისინი ბერძენ მეზღვაურთ უადვილებდნენ ერთი კუნძულიდან მეორეზე გადასვლას და ზღვის სტიქიის დამორჩილებას. კერძოდ, დასავლეთით მდებარე კუნძულები ლევკადა, ოდისევსის „სამშობლო" ითაკა, კეფალენია, კერკირა იმდროინდელი ზღვაოსნობის პირობებში აადვილებდნენ მოგზაურობას აპენინის ნახევარკუნძულისაკენ.

ეგეოსის ზღვას პროპონტიდასთან (მარმარილოს ზღვასთან) ჩრდილო-აღმოსავლეთით ჰელესპონტის (ახლ. დარდანელის) სრუტე აერთებს. ამ სრუტეს მითოლოგიური ტრადიციის თანახმად ჰელესპონტი ეწოდა, მის ტალღებში დაღუპული, ბოროტი დედინაცვლის მიერ დევნილი, ვერძიდან გადმოვარდნილი ორქომენის მეფის ათამანტეს ასულის ჰელეს სახელი. პროპონდიტა თავის მხრივ ბოსფორის სრუტით დაკავშირებულია ე ვ ქ ს ი ნ ი ს პ ო ნ ტ ო ს თ ა ნ (შავ ზღვასთან).

ძველი ბერძნების ძირითად მიწა-წყალს ბ ა ლ კ ა ნ ე თ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ კ უ ნ ძ უ ლ ი წარმოადგენდა. ბალკანეთის მთაგრეხილი სა-

ბერძნეთს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად ჰყოფს. უმთავრესი განსხვავება მათ შორის იმაში მდგომარეობს, რომ აღმოსავლეთი ნაწილი მდიდარია ბუნებრივი უბეებითა და ნავსადგურებით, ზღვაც აქ შედარებით წყნარია და ამიტომ ძველთაგანვე აქ უფრო მეტი ხელსაყრელი პირობები არსებობდა ზღვაოსნობის განვითარებისათვის. დასავლეთი ნაწილის ნაპირები კი პირიქით ნაკლებ დასერილია, კლდოვანი და უდაბურია და ბუნებრივი უბეებითა და ნავსაყუდლებით შესამჩნევად ღარიბია, ამიტომაც აქ ზღვაოსნობის ხელშემწყობი ბუნებრივი პირობები არ არსებობდა. ტრადიციულად მიღებულია ხმელეთის საბერძნეთის სამ ძირითად ნაწილად — ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი, შ უ ა და ს ა მ ხ რ ე თ ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ა დ დაყოფა.

ჩრდილოეთ საბერძნეთი ორი მთავარი მხარისაგან შედგება: დასავლეთით ე პ ი რ ი ს ა და აღმოსავლეთით — თ ე ს ა ლ ი ი ს ა გ ა ნ. ისინი ერთიმეორისაგან პინდოსის მთის ქედით იყოფიან. ეპირი მთიანი და ტყიანი მხარეა, ამიტომ ძნელად მისაწვდომი იყო. თესალია კი, რომელსაც მაკედონიისაგან ოლიმპოს მთის ქედი განაცალკევებს, მოიცავს საბერძნეთის ყველაზე დიდ დაბლობს, რომელიც ყოველი მხრივ ბორცვებით და მთის ქედებით არის გარემოცული. ამ დაბლობს რწყავს საბერძნეთის ყველაზე დიდი მდინარე პენეიონი. იგი ფრიად ნაყოფიერია ხვნა-თესვისათვის და გამოსადეგია მესაქონლეობისათვის, განსაკუთრებით კი მეცხენეობისათვის.

მთაგორიანი ჩრდილოეთ საბერძნეთისა და შუა საბერძნეთის ერთადერთ დამაკავშირებელ გზას წარმოადგენდა თერმოპოლის კლდეკარი, რომელიც ვიწრო ბილიკად მიემართება მთებსა და ზღვის ციცაბო ნაპირს შორის.

შუა საბერძნეთიც მთებით დაყოფილია რამდენიმე პატარა მხარედ. მათ შორის უძველესი დროიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კლდოვან, ხვნა-თესვისათვის ნაკლებად გამოსადეგ ატიკას, მისი საქვეყნოდ ცნობილი ქალაქი ათენით. ატიკის მეზობელი მხარეა ბეოტია, რომელსაც მისგან კითერონის მთის ქედი განაცალკევებს. ბეოტიის მთავარ ქალაქს საბერძნეთის ისტორიაში ცნობილი თებე წარმოადგენდა. ბეოტია მდიდარია ნაყოფიერი დაბლობებით. თებეს გარდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორქომენს, სადაც გადმოცემის მიხედვით ბინადრობდა მინიების (Μινύαι) უძველესი ტომი. ჰომეროსის ეპოსი თებეს მნიშვნელოვან ცენტრად წარმოგვიდგენს.

ბეოტიის დასავლეთით მდებარეობს შედარებით ღარიბი მხარე

ფ ო კ ი დ ა, რომელიც განთქმული იყო იმით, რომ იქ ბერძნულ მითოლოგიაში განდიდებული მთიანი პარნასის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე მდებარეობდა ძველი საბერძნეთის ისტორიაში განსაკუთრებულად პატივდებული ქალაქი დელფო, აპოლონის ცნობილი სამისნოთი. შუა საბერძნეთის დანარჩენ მხარეებს დორიდას, ლოკრიდას, ეტოლიასა და აკარნანიას შედარებით მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ და მათზე აღარ შევჩერდებით.



სურ. 1. ოლიმპოს (ულუმბოს) მწვერვალი.

შუა საბერძნეთს ეკვრის მისგან ევრიპოსის სრუტით განცალკევებული დიდი კუნძული ევბეა; სამხრეთ საბერძნეთთან, ანუ პელოპონესთან კი მას ისთმოსის, ანუ კორინთოს ყელი აერთებს, რომელზეც მდებარეობდნენ ძველად ვაჭრობითა და ხელოსნობით განთქმული ქალაქები მეგარა და კორინთო.

სამხრეთ საბერძნეთი, ანუ პელოპონესი ნახევარკუნძულს წარმოადგენს, მის ჩრდილოეთ ნაწილში ვიწრო ზოლადაა გადაჭიმული ა ქ ე ა. მისგან მაღალი მთებით გამოყოფილი, მეზობლად მდებარე ა რ კ ა დ ი ა ძველადვე ითვლებოდა კულტურულად ჩამორჩენილ და მწყემსური ყოფა-ცხოვრების მხარედ. პელოპონესის აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილში მდებარეობდნენ მ ე ს ე ნ ი ა, ლ ა კ ო ნ ი კ ა,

ა რ გ ო ლ ი დ ა დ ა კ ი ნ უ რ ი ა. ლაკონიკის ცენტრში, მდებარე ევროტასის ველზე, იდგა ქალაქი ლ ა კ ე დ ე მ ო ნ ი — ს პ ა რ ტ ა. მესენიასა და ლაკონიკას შუა აღმართულია მთის ქედი. არგოლიდაში მდებარეობდნენ უძველესი ქალაქები— მ ი კ ე ნ ი, ტ ი რ ი ნ თ ი და ა რ გ ო ს ი, მესენიაში კი — პ ი ლ ო ს ი, ხოლო არკადიის მეზობლად მდებარე ე ლ ი დ ა შ ი იყო ცნობილი ქალაქი ო ლ ი მ პ ი ა, რომელსაც თავისი დღესასწაულებით ზოგადბერძნული მნიშვნელობა და სახელი ჰქონდა მოხვეჭილი.

სურ. 2. პარნასის მთები.

საბერძნეთის ჰავა ყველა მის მხარეში ერთნაირი არ არის. სანაპირო მხარეებში იგი ზომიერია, თბილია და სუბტროპიკულს უახლოვდება: ბუნება იქ ლამაზი და მრავალფეროვანია. ცენტრალურსა და მთიან მხარეებში კი ის შედარებით უფრო მკაცრია და ზამთრობით ქარბუქი და ყინვებიც იცის. გარდა ამისა, აღმოსავლეთი ნაწილი ნალექების სიმცირეს განიცდის და ხშირია გვალვა; ზაფხულობით მდინარეთა და რუების უმეტესი ნაწილი შრება და-ეს გარემოება აუცილებელს ხდის ხელოვნურ მორწყვას. ხმელეთის საბერძნეთში, და არა მარტო იქ, არამედ კუნძულებზეც მიწის მე-

ურნეობა მორწყვის სისტემის გარეშე შეუძლებელია, საბერძნეთი კი საერთოდ ღარიბია წყლით. საბერძნეთში წყლის საკითხი ძველთაგანვე მოწესრიგებას მოითხოვდა. ბერძენი ბერძენს გამოთხოვებისას მშვიდობით მგზავრობასა და სუფთა წყალს უსურვებდა, ხოლო მიცვალებულს — იმ ქვეყნად წყალი არ შემოკლებოდა.

საბერძნეთის ნიადაგი უმეტესწილად მოუსავლიანობით განირჩეოდა. ზოგიერთ ადგილას მიწის ფენა იმდენად მწირი, ზოგან კლდოვანი და თხელი იყო, რომ დიდი შრომით ხელოვნური ნიადაგის შექმნას მოითხოვდა. ამის გამო მიწა ზოგჯერ ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდათ, რაც ხშირად დიდ შეხლა-შემოხლასა და კანონმდებლობით მოწესრიგებას იწვევდა. მაგრამ ისეთი ადგილები, როგორიცაა პენეიონის ველი თესალიაში, კუნძულ ევბეას ნაწილი. ბეოტიის დაბლობები, ევროტასის ველი ლაკონიაში და მესენია ძველადვე განთქმული იყვნენ თავიანთი მოსავლიანობით. მათზე უმეტესად პურსა და ქერს თესავდნენ, მთების ნაყოფიერ ფერდობებზე კი აშენებდნენ ვენახებს და ზეთის ხილის ჭალებს. ზეთის ხილი მოსახლეობის კვების ერთ-ერთ ძირითად პროდუქტს წარმოადგენდა და მის ზეთს წამლისა და განათებისთვისაც იყენებდნენ.

საბერძნეთის ნიადაგის თავისებურებით აიხსნება ის გარემოება, რომ ძველ ბერძნებს საკუთარი პური არ ყოფნიდათ და მათ უმთავრეს საზრუნავს სხვა ქვეყნებიდან ხორბლეულის შემოტანა შეადგენდა, რაც პურის ყიდვა-გაყიდვის რეგლამენტაციას იწვევდა. მეორე მხრივ, ასეთი მდგომარეობა აიძულებდა მათ, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება-გაფართოებისათვის.

ძველად საბერძნეთის მთიანი ადგილები დაფარული ყოფილა მუხის, ფიჭვის, წიფლისა და წაბლის ტყეებით, ხოლო ბარში იზრდებოდა მარადმწვანე კვიპაროსი, დაფნა და ოლეანდრი. მთების დასაკლეთ კალთებზე კი, შესაძლებელი იყო მესაქონლეობის განვითარება, მაგრამ შეზღუდული სახით: თესალიასა და არგოლიდაში გავრცელებული ყოფილა მეცხენეობა, არკადიაში კი ცხვრის, თხისა და ღორების მოშენება.

საბერძნეთი ძველთაგანვე საკმაოდ მდიდარი იყო მთამადნეულით: ლაკონიკა—რკინით, ატიკა — ვერცხლით (ლავრეიონის ვერცხლის მაღაროები), ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთი სანაპირო, თრაკია და კუნძულები სიფნოსი და თასოსი—ოქროთი, ატიკა და პაროსი—საუკეთესო მარმარილოთი, ევბეა და კვიპროსი—სპილენძის მაღაროებით. ამას გარდა, საბერძნეთს ჰქონდა საუკეთესო სამეთუნეო თიხის ბუდობები და სამშენებლო ქვა. პურეულის ნაკლებობის პი-

რობებში ასეთი ტექნიკური ნედლეულის სიმდიდრე ხელს უწყობდ: საბერძნეთში ხელოსნური წარმოების ადრინდელ განვითარებას.

საბერძნეთის მთაგორიანმა ბუნებამ ძველ ბერძენთა ცხოვრებაში, იმდროინდელი სამეურნეო განვითარების დონის მიხედვით, ერთგვარად ხელი შეუწყო პარტიკულარიზმს. მისი შემადგენელი მხარეების ერთიმეორისაგან თითქმის დამოუკიდებელ არსებობას. საკუთარი კანონებით (αὐτονομία) და სამეურნეო თვითდაკმაყოფილებით (αὐτάρκεια), მაგრამ თუ მთები ერთიმეორისაგან განაცალკევებდნენ ეგეოსის აუზის ტომებს, სამაგიეროდ კუნძულები მათ აერთიანებდნენ. ეს გარემოება ხელს უწყობს ზღვაოსნობისა და მასთან დაკავშირებულ სარეწების განვითარებას.

ეგეოსის სამყაროს მდებარეობასა და იმ დროის კულტურულ ქვეყნებთან მეზობლობას არ შეეძლო არ გამოეწვია მათი ზეგავლენა ბერძენთა შორეულ წინაპრებზე. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ძველი ეგვიპტე და ბაბილონია, ამიტომ ხმელთაშუა ზღვის სამყაროს უძველესი ისტორიის განხილვა ასეთი დაკავშირების გარეშე სწორი არ იქნებოდა. ბერძენმა მწერლებმა დაგვიტოვეს ელადის ტერიტორიაზე ბერძენთა მოსვლამდე მცხოვრები ტომების სახელწოდებანი. ესენი იყვნენ ლელეგები, დრიოპები, პელასგები, კარიელები.

ბერძნული მითის მიხედვით ბერძენ ტომთა წინაპარს სამი ვაჟი ჰყავდა: დორი, ეოლი და ქსუთოსი. უკანასკნელის ვაჟი იყო იონი. მათგან წარმოიქმნა სამი ძირითადი ტომი: იონელები, ეოლიელები და დორიელები (Ἴωνες, Αἰολεῖς, Δωριεῖς). ამასთანავე ჰომეროსის ეპოსში ბერძნების საერთო სახელი არ გვხვდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას რომ „ილიადაში“ ერთ ადგილას ხმარებულია ტერმინი „ჰელენეს“ (Ἕλληνες), მაგრამ ის გამოხატავდა არა საერთოდ ბერძნულ ტომებს, არამედ მათი ერთი ნაწილის მცხოვრებთ. ჰომეროსის ორსავე პოემაში გვხვდება ბერძენ ტომთა ასეთი საერთო ტერმინები: აქეელები (Ἀχαιοί), არგეველები და დანაელები. ტროას კედლებთან მდგომ ბერძენთა ლაშქარს ეპოსი უმეტესად აქეელების სახელით იხსენიებს. მხოლოდ უფრო გვიან წარმოიქმნა ბერძნებისა და საბერძნეთის საერთო სახელები — „ჰელენები“ და „ჰელადა“. მართალია, ჰომეროსს რამდენიმე ადგილას აქვს მოხსენებული ტერმინი „ჰელასი“ (Ἑλλάς), მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ნაგულისხმევი აქვს არა მთელი საბერძნეთი, არამედ მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც აქილევსის მამას პელევსს ეკუთვნოდა.

ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში სახელწოდება „ელადა“ გავრცელდა ყველა იმ მხარეზე, რომლებიც ბერძნებით იყო დასახლებული. რომაელებმა კი ძალიან ადრე იწყეს სიტყვის graikoi-ს გამოყენება ელინების მიმართ.

ძველი საბერძნეთის ისტორიოგრაფიაში დიდხანს იყო გაბატონებული ისეთი მოსაზრება, თითქოს ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ბერძენი ტომები მხოლოდ ძვ. წ. XII საუკუნის მიგრაციათა შედეგად გაჩნდნენ. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც კი ამტკიცებდა, თითქოს აქეელები ბერძნები არ იყვნენ. მაგრამ, უკვე ბერძნული დიალექტების შედარებითმა ანალიზმა დაადასტურა ანტიკური ტრადიცია ბერძენ ტომთა ხმელეთის საბერძნეთში, ჯერ კიდევ დორიელთა გადმოსახლებამდე, მეორე ათასწლეულში პირვანდელი განსახლების შესახებ[3].

ბერძენი ტომების ელადაში განსახლების სურათი დორიელთა მოძრაობის შემდეგ ზოგადად ასე უნდა წარმოვიდგინოთ: დორიელებისაგან შევიწროვებული აქეელების მხოლოდ ნაწილი შემორჩენილა პელოპონესის ჩრდილოეთ ნაწილში — აქეაში; ეოლიელები დამკვიდრებულან თესალიაში, ბეოტიაში, ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთი ნაწილის კუნძულებზე და მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე (მხარე ეოლიდა); იონელები მოსახლეობდნენ ატიკაში, ევბეაზე, ლემნოსზე, ქიოსზე, სამოსზე და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე (მხარე იონია); დორიელებმა დაიკავეს პელოპონესის დიდი ნაწილი (არგოლიდა, მესენია, ლაკონია), ეგეოსის ზღვის სამხრეთი კუნძულები და კრეტა. გამოირკვა ისიც, რომ პელოპონესელი ბერძენი ტომები მერმინდელი კვიპროსულ-არკადიულის მახლობელ კილოზე ლაპარაკობდნენ. მათი ნაწილი კვიპროსში გადასულა, ხოლო მეორე ნაწილი, რომელიც არკადიის ზეგანზე ბინადრობდა, დორიელთა გადმოსახლების შემდეგაც თავის ადგილას დარჩენილა.

ბერძენ ტომთა განსახლებას შეესაბამებოდა ბერძნული ენის ძირითადი დიალექტების — ეოლიურის, იონურისა და დორიულის გავრცელება. შემონახულია ყველა ამ დიალექტზე დაწერილი მნიშვნელოვანი ლიტერატურა და რამდენიმე ეპიგრაფიკული ძეგლი. საერთო ბერძნული ენა (კოინე) კი მხოლოდ ელინიზმის ეპოქაში წარმოიქმნა, როცა გაფართოვდა და განმტკიცდა ბერძენ ტომთა შორის სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური კავშირი და ერთიანობის გრძნობა.

ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქეელები, რომლებიც ძველ კულტურულ ცენტ-

რებთან შედარებით ახლოს ცხოვრობდნენ, უფრო სწრაფი ტემპით განიცდიდნენ საზოგადოებრივ განვითარებას, ვიდრე სხვა ბერძენი ტომები. აქეელებს შეუქმნიათ ცნობილი მიკენის სამეფო, რომელმაც შესამჩნევი როლი შეასრულა საბერძნეთის უძველეს ისტორიაში. თავის დროზე ედ. მაჲერმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ დორიელთა გადმოსახლებამდე პელოპონესში დიდი სამეფო არსებობდა, რომელიც მთელ ამ ნახევარკუნძულსა და რამდენიმე კუნძულს მოიცავდა[1].

2. ძველი საბერძნეთის ისტორიის საწყისის საკითხი

წარსულ საუკუნეში საბერძნეთის ისტორიას ჩვეულებრივად ეგრეთ წოდებული ჰომეროსის პერიოდიდან და მასთან დაკავშირებული ამბებიდან იწყებდნენ. ხოლო თუ ამ ეპოქას წინ რაიმე უსწრებდა ამის შესახებ გარკვეული წარმოდგენა არავის ჰქონდა. თუმცა საბერძნეთის უცნობ შორეულ წარსულზე მოგვითხრობდნენ ბერძენთა პოეტური თქმულებები, ლეგენდები, მითები და საგები, ე. ი. ისეთი მოთხრობითი ფორმები, რომლებშიც ხალხი თავის დაუწერელ ისტორიას გადმოგვცემს. მათგან ერთგვარი გადამუშავების შემდგომ, თანდათან შეიქმნა გმირული სიმღერა, სიმღერა ბუმბერაზთა შესახებ, რომელიც საგმირო ეპოსის ჩანასახად უნდა ჩაითვალოს. ჰომეროსის პოემების ანალიზმა ცხადყო, რომ მათ წინ უსწრებდა პატარა ცალკეული სიმღერები, რომლებშიც თავისებურად გამოკრთოდა უცნობი შორეული სამყარო. ლიტერატურამდელ ბერძნულ ფოლკლორს ახასიათებდა, სხვათა შორის, ეპიკური სიმღერა, სიმღერა ღმერთებსა და გმირებზე, რომლის გამოძახილი ნათლად ჩანს ჰომეროსის პოემებში „ილიადასა“ და „ოდისეაში“. „ოდისეაში“ გვარების წარჩინებულთა ნადიმებს აუცილებლად ესწრებოდა მომღერალ-პროფესიონალი აედი, რომელიც სიმღერით მოუთხრობდა მსმენელთ სხვადასხვა საგმირო საქმეებს. მაგალითად, „ილიადას“ გმირი აქილევსი უმოქმედობის დროს ქნარზე უკრავდა და „ვაჟკაცთა დიდებას“ დამღეროდა. ყოველი აედი უმთავრესად ისეთ ეპიკურ სიმღერებს მღეროდა, რომელთა განვითარებამ ნიადაგი შეუმზადა დიდი პოემების შექმნას.

ორივე პოემის შინაარსი დაკავშირებულია ტროას ომის შესახებ გმირულ თქმულებათა ციკლთან, რომელიც ბერძენ (აქეელთა) ტომთა ტროას წინააღმდეგ ლაშქრობაზე მოუთხრობდა. ტროას ილიონიც ეწოდებოდა და აქედან მომდინარეობს პირველი პოემის „ილიადას“ სახელი. თქმულების მიხედვით ტროელმა ბატონიშვილმა პა-

რისმა (ალექსანდრემ) სპარტის მეფე მენელაოსთან სტუმრად ყოფნის დროს ვერაგულად გაიტაცა მისი მშვენიერი მეუღლე ელენე და მრავალი განძი. შეურაცხყოფილმა მენელაოსმა და მისმა ძმამ, მიკენის მეფემ აგამემნონმა, საბერძნეთის ყოველი კუთხიდან მოუწოდეს მეომრებს ტროას წინააღმდეგ გასალაშქრებლად და შურის საძიებლად. დღეს ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ დარდანელიდან სამხრეთით, მცირე აზიის სანაპიროზე, ზღვიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ გორაკზე მდებარეობდა ტროა-ილიონი, რომელიც დარდანელის შესავალთან გამავალ სავაჭრო გზებზე ბატონობდა. საფიქრებელია, რომ იგი ნამდვილად მდიდარი ქალაქი იყო და ამ მხრივ დამპყრობელთათვის სასურველ საშოვარს წარმოადგენდა და ალბათ სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი ომის გამოწვევისა და არა, ქალის თუნდაც დედოფლის, გატაცება. ეპოსის აღწერილობითაც ტროა მდიდარი და ძლიერი ქალაქია. მას განაგებდა წლებითა და ბედკრულობით დატვირთული კეთილი მეფე—პრიამოსი. საუცხოო და დიდებული იყო სასახლე, რომელშიც ცხოვრობდა მისი ოჯახი, დიდი სიძნელეების გადალახვა დასჭირდა აქეელთა ლაშქარს მამაც ტროელებთან ბრძოლაში, მაგრამ ყველას იზიდავდა გამარჯვების სახელი და მოსალოდნელი მდიდარი ნადავლი. ბევრი ჭირი და მწუხარება განიცადეს ტროელებმა და ბევრი სახელოვანი შვილი დაკარგეს ბრძოლის ველზე. ნაკლები მწუხარება და ზარალი არც ბერძნებს გადაუტანიათ. ომის მეათე წელი ტროელებისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. რაკი აქეელებმა ტროას აღება პირდაპირი შეტევით ვერ შეძლეს, მათ ოდისევსის ცბიერ რჩევას მიმართეს. გააკეთეს ხის ვეებერთელა ცხენი, რომელშიც დამალეს საუკეთესო გმირები, დაწვეს თავისი კარვები და გავიდნენ ზღვაში. ტროელებს ეგონათ, რომ მტერი მართლაც გაიქცა და სიხარულს მიეცნენ, მათ დაუჯერეს ვითომდა თავისიანების მიერ მიტოვებული სინონის ტირილით მოთქმას და იგი ხის ცხენთან ერთად ქალაქში შეიყვანეს. ღამით სინონმა ცხენში დამალული გმირები გამოუშვა, რომელთაც ჭიშკარი გაუღეს მოულოდნელად დაბრუნებულ ბერძნებს და ტროა განაგდურებულ იქნა. უდიდესი ნადავლით, ოქროთი, ვერცხლით და ძვირფასი ჭურჭლეულობით დატვირთულნი გამობრუნდნენ ბერძნები და თან წამოიყვანეს მრავალი მშვენიერი ტყვე ქალი. მაგრამ უკან დაბრუნებისას აქეელთა გმირებმა ბევრი მწუხარება განიცადეს: ვინ გზაში დაიღუპა, ვინ ხანგრძლივად უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდა და მხოლოდ მრავალი გასაჭირის გადატანის შემდეგ დაბრუნდა შინ, ვინ კიდევ ვერაგობის მსხვერპლი გახდა საკუთარ ოჯახში.

„ილიადაში“ თქმულებები და მთავარი მოქმედი პირები ისე არიან წარმოდგენილნი თითქოს ავტორი გულისხმობს, რომ მსმენელი თუ მკითხველი მათ უკვე იცნობს. მისი შინაარსი არსებითად ერთი მთავარი ეპიზოდია, რომლის გარშემო თქმულებათა დიდი მასალაა დაჯგუფებული და გამოყვანილია მრავალი ბერძენი და ტროელი გმირი. ეს ეპიზოდია ტროას ომის ერთ-ერთი მთავარი გმირის აქილევსის რისხვა აქეველთა ლაშქრის წინამძღოლ აგამემნონის მიმართ, რომელმაც მას ტყვე ქალი — ბრისეიდა წაართვა.

თუ „ილიადას“ შინაარსის მასალა გმირებსა და გმირულ საქმეებს შეიცავს, „ოდისეას“ უფრო ყოფაცხოვრებითი შინაარსი უდევს საფუძვლად. „ოდისეა“ ეწოდება მას იმიტომ, რომ მისი ძირითადი თემაა კუნძულ ითაკის მეფის ოდისევსის, ტროას წინააღმდეგ ლაშქრობიდან მრავალი განსაცდელის გადალახვით, ოჯახში დაბრუნება. „ოდისეა“ ერთგვარად „ილიადას“ გაგრძელებაა; მართალია, ის მოგვითხრობს ტროას დაცემის შემდგომ მეათე წლის ამბებს, მაგრამ მასში გადმოცემულია მოქმედ პირთა ისეთი მოთხრობები, რომლებიც განცდილი ომის ეპიზოდებსა და მთავარი გმირების მოგონებებს შეიცავენ.

როცა პოემის შინაარსს ვეცნობოდით, ბუნებრივად გვებადებოდა კითხვა, ეს ომი, მასში მონაწილე ლაშქართა ზნე-ჩვეულების, იარაღისა და საცხოვრისების აღწერილობა პოეტურ ფანტაზიას, თუ რომელიღაც უცნობი სამყაროს შორეულ გამოძახილს, მის რემინისცენციას წარმოადგენდა? ასეთ კითხვას კიდევ უფრო ამახვილებდა ისეთი ელემენტები, რომლებიც პოემებში გვხვდებიან, მაგრამ პოეტის დროს უკვე აღარ შეესაბამებიან[5].

თავიდანვე საფიქრებელი იყო, რომ ზეპირმა მყარმა ტრადიციამ შემოინახა ისეთი ელემენტები, რომლებიც პოემებში არის გამოყენებული.

არ შეიძლება დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ, მართალია, რკინა მიკენურ სამარხებში დორიელთა დაპყრობამდეც იქნა აღმოჩენილი და არა მარტო რგოლების, არამედ იარაღის სახითაც[6] და „ილიადაში“ ის ფართოდაა გამოყენებული, მაგრამ ეპოსში ძირითადად მოცემულია ბრინჯაოს საუკუნის კულტურა და, მაშასადამე, მიკენის ეპოქა.

მოკლედ, თავიდანვე ცხადი იყო, რომ ჰომეროსის პოემები არა მარტო მისი თანამედროვე ეპოქის და არა ერთი თაობის ყოფაცხოვრებისა და მსოფლმხედველობის პოეტურ აღწერილობას შეიცავს, არამედ მათში შემონახულია შორეული სამყაროს რემინისცენციები.

მაგრამ XIX საუკუნის პირველი ნახევრის მკვლევარები ჩვეულებრივად საბერძნეთის ისტორიის მიმოხილვას ძვ. წ. VIII საუკუნიდან იწყებდნენ. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. ანტიკური ეპოქის ცნობილი მკვლევარი მ. ნიბური (1776—1831) საბერძნეთის ისტორიას ძვ. წ. 776 წლიდან იწყებდა, როცა ბერძნებმა ზევს ოლიმპოელის ელიდას ტაძარში იწყეს ოლიმპიადების დღესასწაულების გამართვა.

თავისებური პოზიცია ეკავა ამ საკითხში ინგლისელ ისტორიკოსს ჯორჯ გროტს (1794 — 1871). ბერძნების შორეულ წარსულს იგი სკეპტიკურად უცქეროდა და მართალია, გადმოცემდა მითებს, მაგრამ მათში ისტორიული სინამდვილის მარცვალსაც კი არ ხედავდა. მისთვის ბერძნების უტყუარი ისტორია მხოლოდ პირველი ოლიმპიადიდან, ძვ. წ. 776 წლიდან იწყებოდა. მაგრამ შეგნებულად უარს ამბობდა რა თქმულებათა ყოველგვარ განმარტებაზე, მკითხველების წინაშე თითქოს ბოდიშს იხდიდა: უძველეს ხანას აღვწერო ისე, როგორც ის ბერძნებს ჰქონდათ წარმოდგენილი, და არ ვცდილობ, გავზომო, რამდენია მასში ისტორიული ელემენტი; „თუ მკითხველი ამისათვის მე გამკიცხავს,—ამბობს იგი,—თუ ის მე შემეკითხება, რატომ არ გადავწევ ფარდას და სურათს არ ვუჩვენებ, მას მე მხატვარ ზევსისის სიტყვებით ვუპასუხებ, როდესაც მას ასეთივე კითხვით მიმართეს... სწორედ ფარდაა სურათი!.. ის, რაც ჩვენ ახლა მოგონილ ამბად და ლეგენდად გვეჩვენება, ოდესღაც საერთოდ აღიარებული ისტორია იყო, წარსულის ერთადერთი ნამდვილი ისტორია, რომლის გაგება და სიამოვნებით მოსმენა შეეძლო თვითონ ბერძნებს: ფარდა არაფერს ფარავს და ვერავითარ გონებამახვილობას ვერ ძალუძს მისი გადაწევაო“.

მაგრამ დროთა მსვლელობაში თქმულებებში შემონახულ ცნობებს დაემატა არქეოლოგიურ მონაცემთა მთელი საუნჯე. არქეოლოგიის ნიჩაბი შეიქმნა „ჰერმესის გრძნეული კვერთხი“, რომლის წყალობით „მზის სინათლე“ იხილა მრავალი საუკუნის განმავლობაში მიწაწაყრილმა და „ღრმა ძილში მყოფმა“ უძველესმა ქალაქებმა მათი კულტურის ღირსშესანიშნავი ძეგლებით. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილმა ნივთიერმა ძეგლებმა ერთგვარი შუქი მოჰფინეს ბერძენთა ტომების შორეულ წარსულს. ეს დიდი არქეოლოგიური აღმოჩენანი ჰენრიხ შლიმანის, არტურ ევანსის და მათი უახლოესი თანამშრომლების სახელთანაა დაკავშირებული.

XIX საუკუნის დასასრულს და XX-ის დასაწყისში არქეოლოგიამ უდიდეს განვითარებას მიაღწია. მისი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი იყო იშვიათი მეცნიერ-დილეტანტი და ენთუზიაზ-

ასტი ჰენრიხ შ ლ ი მ ა ნ ი (1822—1890)[7]. ახალგაზრდობიდან მას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, რაც არ უნდა ყოფილიყო, აღმოეჩინა ძველი ტროა, ვინაიდან თავიდანვე ღრმად ირწმუნა, რომ ტროა არსებობდა ნამდვილად და არა პოეტის ფანტაზიაში და ამიტომ უეჭველად არ დაიკარგებოდა. მან რამდენიმე ევროპული ენა შეისწავლა და იმდენად დაეუფლა ლათინურსა და ბერძნულ ენებს, რომ თავისუფლად შეეძლო ჰომეროსის პოემების წაკითხვა და გაგება. ბევრი ტაეპი ზეპირადაც იცოდა. მას შემდეგ, რაც სავაჭრო ოპერაციებით საკმაოდ დიდი ქონება შეიძინა, ყველაფერს თავი დაანება და ტროას ძებნას შეუდგა. მან ოსმალეთის მთავრობისაგან ნებართვა მიიღო და 1871 წელს დაიწყო გათხრები ჰისარლიკზე („ნანგრევთა ადგილას") მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთში, რადგან სწამდა, რომ სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ძველი ტროას ნაშთები და რომ ეს ადგილი უფრო შეესაბამებოდა ჰომეროსის აღწერილობას: მის სამხრეთ-აღმოსავლეთით აზიდულია თოვლით დაფარული მთა იდა, გადმოცემის თანახმად მის მწვერვალზე იჯდა ზევსი და თვალყურს ადევნებდა ტროელთა და აქეელთა ხომალდებს; აქედან უგზავნიდა ... ელვა-ქუხილს აქეელთა ლაშქარს. დასავლეთით გადაშლილია ... ინარე სკამანდროსის ველი და სიმოენტის ჭალები. მოშორებით მოჩანს ჰელესპონტი და ზღვა, კუნძულები: ტენედოსი, იმბროსი და სამოთრაკიის მწვერვალი, საიდანაც თითქოს დასცქეროდა ბერძენ-ტროელთა სისხლისმღვრელ ბრძოლებს „დედამიწის შემძვრელი" პოსეიდონი; აქედანვე კარგად მოჩანდა მაღალი იდა, პრიამოსის ტროა და აქეელთა გემების სადგომი.

შლიმანის გათხრებს ბრწყინვალე შედეგები მოჰყვა: გათხრილ იქნა ცხრამდე კულტურული ფენა, ხოლო ზოგიერთი მკვლევარის სიტყვით—თორმეტი ფენა. განათხარი საგნებისა და ნაშთების ხილვით შლიმანი იმდენად აღფრთოვანდა, რომ აჩქარებულმა ქვემოდან მეორე შრე ტროად მიიჩნია და, ალბათ, მზად იყო თავის თანამშრომლებისთვის შილერის „ყარიბის" ერთგვარად გადასხვაფერებული სიტყვებით მიემართა: „შეხედეთ, ჰომეროსის მზე ჩვენც გვიღიმისო". უფრო სერიოზულად მიუდგა ამ საკითხს მისი უახლოესი თანამშრომელი დ ო ე რ პ ფ ე ლ დ ი. მისი აზრით, ტროა VI იყო პრიამოსის ქალაქი, მაგრამ უკანასკნელი წლების არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ჰომეროსის ტროას უფრო მეტად მეშვიდე ქალაქი — ტროა VII შეესაბამება.

როგორადაც არ უნდა იყოს, შლიმანმა მაინც აღმოაჩინა საერთოდ ის ადგილი, სადაც ოდესღაც ჰომეროსის მიერ აღწერილი ტროა უნდა ყოფილიყო. შლიმანის მუშაობის ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ იგი

არ იყო სწავლული არქეოლოგი, ჯეროვნად ვერ იცავდა არქეოლოგიის წესებს და ჩქარობდა ტროას აღმოჩენას. ამიტომ გათხრების დროს შეცდომებს უშვებდა. ასე. მაგ., მან დაარღვია მეექვსე შრის ვნიშვნელოვანი ნაწილი.

შლიმანმა ტროას შემდგომი გათხრები „ოქროთი აღვსილ“ მიკენში განაგრძო, სადაც ჰომეროსის გადმოცემით მბრძანებლობდა ატრიდების გვარი, რომელსაც ეკუთვნოდა „ხალხთა მეფე“ აგამემნონი.

თქმულების მიხედვით ომში გამგზავრებისას აქეელთა ლაშქრის წინამძღოლმა აგამემნონმა თავის ცოლს კლიტემნესტრას აღუთქვა, რომ დაუყოვნებლივ აცნობებს მას ტროას დამხობას. წარგზავნილ მსახურთ მთის მწვერვალებზე კოცონის დანთებით უნდა ეცნობებინათ მისთვის ეს ამბავი. მაგრამ კლიტემნესტრამ ქმრის ომში ყოფნის დროს შეიყვარა ეგისთე და აგამემნონის დაღუპვა განიზრახა. მონამ. რომელიც კოცონებს თვალყურს ადევნებდა, აცნობა კლიტემნესტრას, რომ ომი დამთავრდა და აგამემნონი უკვე ბრუნდებოდა. ცბიერმა კლიტემნესტრამ გადაწყვიტა ქმარს ზეიმითა და ალ[illegible]სით შეხვედროდა, რათა მას ეჭვი არ აეღო. როცა აგამემნონი დ[illegible]რუნდა, ცოლმა იგი დიდი სიხარულით მიიღო. ხალხი ხმამაღალ[illegible] შეძახილებით შეხვდა თავის მეფეს და სასახლესთან იყრიდა თავ[illegible] როცა აგამემნონი აბაზანას იღებდა, კლიტემნესტრამ იგი ვერაგულად მოკლა და გასისხლიანებული ცულით გამოვიდა ხალხთან, რომელიც საშინელმა მღელვარებამ მოიცვა, ხოლო როცა სასახლიდან გამოვიდა სამეფო ტანსაცმლით შემოსილი ეგისთე, რომელსაც კვერთხი ეპყრა, ხალხი იმდენად აღშფოთდა, რომ მისი მოკვლა განიზრახა. მაგრამ იგი კლიტემნესტრამ დაიცვა. ხალხი დაიშალა. მამის დაღუპვას მწარედ განიცდიდა აგამემნონის ასული ელექტრა, ხოლო მისი ვაჟიშვილი ორესტე აგამემნონის მოკვლის დროს ძიძამ გადაარჩინა, და იგი უცხოეთში იზრდებოდა. დავაჟკაცებული ორესტე დაბრუნდა სახლში, მოკლა ეგისთე და თავისი ბოროტი დედა.

შლიმანის აღმოჩენებმა ერთგვარად გაამართლეს გადმოცემაში შემონახული ცნობები. ძველთაგანვე გაოცებას იწვევდა მიკენის უზარმაზარი ნანგრევები, ვეებერთელა ქვებისაგან აგებული კედლების ნაშთები ლომების ჭიშკრით და გუმბათოვანი საფლავი, რომელიც შეცდომით „ატრევსის საგანძურის“ სახელითაა ცნობილი.

შლიმანმა მთავარი ყურადღება მიკენის აკროპოლისს (ციხეს) მიაპყრო. მას სურდა აღმოეჩინა აგამემნონის სამაროვანი. მართლაც, მიკენის აკროპოლში აღმოაჩინეს ბორცვში გამოკვეთილი ექვსი მაღაროვანი საფლავი, რომლებშიც გვამები მთლად დაფარული

·იყო ძვირფასი სამკაულებით. შლიმანს ეჭვი არ შეპარვია, რომ მან ნამდვილად აღმოაჩინა მიკენის მბრძანებელთა — ატრიდების სამარხები და ამით აამეტყველა უძველესი თქმულებები.



სურ. 3. ლომებიანი ალაყაფის კარი მიკენში.

1884 წელს შლიმანმა თავისი თანაშემწის, სწავლული ხუროთ-მოძღვრის, დ ო ე რ პ ფ ე ლ დ ი ს მონაწილეობით არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ტ ი რ ი ნ თ შ ი, რომელიც მდებარეობდა მიკენის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრიალო კლდეზე. გადმოცემის მიხედვით ტირინთი უფრო ადრე იყო დაარსებული, ვიდრე მიკენი. ისიც აგებული იყო ციკლოპების მიერ და უკვე ძველადვე გაოცებას იწვევდა თავისი სქელი და მაგარი კედლებით. ტირინთში, აღმოჩნდა დი-

დი სასახლის ნაშთებიც, რომელიც ჰომეროსის მიერ აღწერილ სასახლეებს მოგვაგონებს. ამ სასახლის აგებულებამ ახალი შუქი მოჰფინა ტირინთის ციხეთა სისტემის შესწავლას.

შლიმანი გათხრებს აწარმოებდა აგრეთვე ო რ ქ ო მ ე ნ შ ი (ბეოტია) და შემდეგ ისევ ტროაში. მისი საქმე განაგრძო უკვე ხსენებულმა მისმა თანაშემწემ ვილჰელმ დოერპფელდმა.

შლიმანისა და დოერპფელდის მიერ აღმოჩენილი ძეგლების დახასიათებასა და ისტორიულ მნიშვნელობაზე საუბარი თავის ადგილას გვექნება, აქ კი უნდა გვახსოვდეს, რომ შლიმანმა აღმოჩენილ კულტურას, რომელიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული, არგოლიდის ქალაქ მიკენის სახელის მიხედვით, მ ი კ ე ნ ი ს კ უ ლ ტ უ რ ა უ წ ო დ ა. შემდგომმა გამოკვლევებმა კი ცხადყო, რომ მას წინ უსწრებდა დიდი კულტურა, რომელიც გავრცელებული ყოფილა ეგეოსის სამყაროში და რომლის მთავარი ცენტრი კუნძული კრეტა იყო.

ბერძნულ ტრადიციაში კრეტას დიდი ადგილი მიეკუთვნება. „ოდისეაში" (XIX, 172—179) ეს კუნძული ასეა აღწერილი: „კუნძული არის კრეტა ღვინისფერ ზღვის შუაგულში, მშვენიერი, პოხიერი, ყოველი მხრივ წყლით მოცული, ადამიანებით უხვიო; ცხოვრობენ ისინი ოთხმოცდაათ დიდ ქალაქში. იქ სხვადასხვა ენა ისმის: ნახავ იქ აქეელებს, პირველტომური მოდგმის მეომარ კრეტელებს; იქ ბინადრობენ კიდონიელები, თმახუჭუჭა დორიელები, პელასგების ტომი, რომელიც ქალაქ კნოსში ცხოვრობსო". არისტოტელე ხაზგასმით აღნიშნავს კრეტის განსაკუთრებულ გეოგრაფიულ მდებარეობას, რომლის მიხედვით მას ბუნებისაგან აქვს განკუთვნილი საბერძნეთზე ბატონობაო. კრეტა სამხრეთით კრავს არქიპელაგს, მდებარეობს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნახევრის შუაგულში, პელოპონესის, ეგვიპტისა და მცირე აზიის მახლობლად და ძველად ერთ-ერთი უმთავრესი შემაერთებელი ხიდი იყო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის. კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში—მდებარეობდა მთავარი ქალაქი კ ნ ო ს ი, რომლის შესახებ „ოდისეა" გადმოგვცემს (XIX, 175 შმდ): „არის იქ კნოსი, დიდი ქალაქი, მეფობს იქ მინოსი დიდი ზეევსის შვილი".

კნოსის განთქმულ მბრძანებელ მ ი ნ ო ს თ ა ნ არის დაკავშირებული დიდად საყურადღებო ლეგენდა უძველესი დროის გამოჩენილი ლეგენდარული მხატვრის, მოქანდაკისა და ხუროთმოძღვრის დ ე დ ა ლ ო ს ი ს შესახებ. გადმოცემის თანახმად ის თოვლთეთრი მარმარილოსაგან აქანდაკებდა ისეთ საუცხოო ქმნილებებს, რომლებიც ცოცხლების შთაბეჭდილებას ახდენდნენ, თითქოს იყურებიან და მოძრაობენო. მასვე მიაწერენ თავისი სამუშაოსათვის მრავა-

ლი ხელსაწყოს გამოგონებას, მათ შორის ცულისა და ბურღის. მინოსის სამსახურში დედალოსს აუგია ცნობილი ლ ა ბ ი რ ი ნ თ ი, ისეთი დახლართული შენობა, რომელშიც შესვლის შემდეგ უკან გამოსვლა შეუძლებელი იყო. ამ შენობაში მოუთავსებია მინოსს თავისი ცოლის ვაჟი, საშინელი მინოტავრი, — ურჩხული ადამიანის სხეულით და ხარის თავით. დედალოსს განუზრახავს მოშორებოდა მინოსის სასახლეს. მაგრამ გასაქცევი გზა დახშული ჰქონდა. მაშინ მან შეაგროვა ფრთები, შეკრა სელის ძაფითა და ცვილით, და ასე დაამზადა გასაფრენი ფრთები თავისთვის და თავისი ვაჟის იკაროსისათვის: გზაში მზის მწველმა სხივებმა იკაროსის ფრთების ცვილი გაადნო, ფრთები დაიშალა. იკაროსი ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა.

სურ. 4. კრეტის ლანდშაფტი.

ამ დღიდან ზღვას იკარიონი დაერქვა. ეს სახელი ეწოდება ეგეოსის ზღვის ნაწილს — სამოსსა და პაროსის კუნძულებსა და მცირე აზიის ნაპირს შორის. თვით დედალოსი სიცილიაში მისულა. მას დიდი ლაშქრით უკან დადევნებია მინოსი და სიცილიის მეფისათვის მოუთხოვია დედალოსის გაცემა, მაგრამ თვითონ მინოსი ტრაგიკულად დაღუპულა, ხოლო დედალოსი გახდა დედალიდების — საუკეთესო მხატვრების მამამთავარი. ამ ლეგენდაში სხვათა შორის საგულისხმოა ის, რომ უძველეს დროში ადამიანებმა იწყეს ფიქრ-

იმაზე, თუ როგორ მიეღწიათ მოძრაობისათვის არა მარტო ხმელეთსა და წყალზე, არამედ ჰაერშიც.

მინოსის სახელთან იყო, აგრეთვე, დაკავშირებული თქმულება ათენის მეფის ეგეოსის ვაჟ თ ე ზ ე ვ ს ზ ე. მის დროს ათენი ღრმა მწუხარებას განიცდიდა. უკვე მესამედ იყვნენ ათენში კრეტიდან ჩასული მეფე მინოსის მოციქულები, რომლებიც ხარკის გადახდას მოითხოვდნენ. მძიმე და სამარცხვინო იყო ხარკი, რომელიც მინოსმა ათენს მისი ვაჟის, ანდროგეოსის მოკვლისათვის დააკისრა. ყოველ ცხრა წელიწადში ათენს კრეტაში უნდა გაეგზავნა შვიდი ჭაბუკი და შვიდი ქალიშვილი, რომელთაც ლაბირინთში ამწყვდევდნენ, სადაც მინოტავრი სანსლავდა. თეზევსმა გადაწყვიტა ჭაბუკებსა და ქალიშვილებთან ერთად თვითონაც გამგზავრებულიყო კრეტაზე და ათენი ერთხელ და სამუდამოდ გაენთავისუფლებინა ასეთი სამარცხვინო ხარკისაგან. ღრმად მოხუცი ეგეოსი დიდი მწუხარებით დათანხმდა გაეშვა შვილი კრეტაზე. კრეტაზე მინოსმა ერთბაშად მიაქცია ყურადღება მშვენიერ ჭაბუკ გმირს, ხოლო მისმა ქალიშვილმა არიადნემ იგი შეიბრალა, შეიყვარა და მისი გადარჩენა განიზრახა. მან ფარულად გადასცა თეზევსს მახვილი და ძაფის გორგალი. გმირმა ლაბირინთის შესასვლელში დაამაგრა ძაფის ერთი თავი. როდესაც თეზევსი ლაბირინთის უსაზღვრო სივრცეში წინ მიიწევდა, გორგალი თანდათან იხსნებოდა. გმირმა მოკლა მინოტავრი და ლაბირინთიდან უვნებლად გამოიყვანა მასთან მყოფი ჭაბუკები და ქალიშვილები. მინოსის რისხვისათვის თავი რომ დაეღწიათ, ისინი საჩქაროდ ჩასხდნენ ხომალდებში გასაქცევად და თან წაიყვანეს მინოსის ასული არიადნეც, მაგრამ თეზევსი ღმერთების ნებით იძულებული გახდა იგი გზაზე, კუნძულ ნაქსოსზე დაეტოვებინა, დამწუხრებულ თეზევსს დაავიწყდა მამისადმი მიცემული პირობა, რომ, თუ მშვიდობით დაბრუნდება, ხომალდის შავ აფრებს თეთრით შეცვლის. ეგეოსი ზღვის ნაპირას იდგა და მოუთმენლად ელოდა შვილს. როცა მან ნაპირს მიახლოვებულ ხომალდზე ისევ შავი აფრა შენიშნა, იფიქრა, რომ შვილი დამეღუპაო, და მწუხარებით გულმოკლული ზღვაში გადავარდა და ამ დღიდან ეწოდა ზღვას ეგეოსის სახელი, — მოგვითხრობს ლეგენდა.

საერთოდ კუნძული კრეტა თავიდანვე მკვლევართა დიდ ყურადღებას იპყრობდა. ოქსფორდის მუზეუმის მცველმა, შემდგომში ამ უნივერსიტეტის პროფესორმა არტურ ე ვ ა ნ ს მ ა (1851—1941) თავისი ღირსშესანიშნავი არქეოლოგიური გათხრებით, რომელთაც 1893—1931 წლებში აწარმოებდა, უდიდესი სამსახური გაუწია მეცნიერებას კრეტის უძველესი პერიოდის გარკვევაში.

მოპოვებული ძეგლების საფუძველზე და კრეტის მბრძანებლის მინოსის სახელის მიხედვით ევანსმა აღმოჩენილ კულტურას მ ი ნ ო ს ი ს კულტურა, ხოლო მის დამწერლობას — მ ი ნ ო ს უ რ ი დამწერლობა უწოდა[8].

კრეტისა და მიკენის კულტურათა დამახასიათებელი ძეგლები მრავლად აღმოაჩინეს ეგეოსის სამყაროს სხვა ადგილებშიც. ამიტომ წარმოიქმნა საერთო ტერმინი — ეგეოსის ანუ კრეტა-მიკენის კულტურა. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ პელოპონესელი აქეველების კულტურულ ძეგლთა უფრო ღრმა შესწავლამ ცხადყო რომ მართალია მიკენური კულტურა კრეტის კულტურის გავლენას განიცდიდა, მაგრამ ის, სესხებისა და ზეგავლენის ცალკეული მომენტების მიუხედავად, უდავოდ განსხვავდებოდა კრეტის კულტურისაგან და ერთგვარად თავისთავადი იყო.

ამრიგად, ბერძენ ტომთა შორეული წარსულის მკვლევართა განკარგულებაში იყო ორი სახის წყარო: ჰომეროსის ეპოსი და არქეოლოგიური მონაცემები. მაგრამ ჰომეროსის პოემებში ნათლად მოჩანს ანაქრონიზმები, ხოლო მიკენის ეპოქის საზოგადოებრივი წყობილება და ბერძენ ტომთა ძვ. წ. XI—VIII საუკუნეების ყოფა-ცხოვრება ისეა შერეული ერთიმეორეში, რომ ფრიად ძნელი იყო მათი განცალკევებულად წარმოდგენა. მეორე მხრივ, მართალია, ეგეოსის სამყაროში მოპოვებულია ისეთი არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც დიდად საყურადღებო მასალას გვაწვდიან, მაგრამ მარტო არქეოლოგიურ მონაცემებზე დამყარებით ადამიანთა საზოგადოებრივი წყობილების სრული ისტორიული სინამდვილის გარკვევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა მათი განმარტება მათ თანამედროვე წერილობით ძეგლებს ემყარება. ამიტომაც ბერძენ ტომთა შორეული თავგადასავლის შედარებით სრული გარკვევა დღემდე ვერ ხერხდებოდა. მაგრამ რამოდენიმე წლის წინათ ასეთი მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა სამხრეთ საბერძნეთში მიკენის დროის წერილობითი ძეგლების აღმოჩენასთან დაკავშირებით.

ეგრეთ წოდებული მინოსური კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს მიღწევას წარმოადგენდა დამწერლობის შემოღება. თავდაპირველად ის ხატოვანი ყოფილა, მისგან განვითარებულა A ხაზოვანი დამწერლობა და ბოლოს კნოსსა და მიკენის საბერძნეთში მას B ხაზოვანი დამწერლობის სახე მიუღია.

მართალია, 1909 და 1935 წლებში არტურ ევანსმა მიკენური ეპოქის რამდენიმე წარწერა (B დამწერლობა) გამოაქვეყნა, მაგრამ მაშინ თითქმის არავის სწამდა, რომ ეს წარწერები შეიძლებოდა

ბერძნულ ენაზე ყოფილიყო დაწერილი. სხვაგვარი ვითარება შეიქმნა, როცა 1939 წელს არქეოლოგებმა ბ ლ ე ჯ ე ნ მ ა (G. W. Blegen) და კ უ რ ო ნ ი ო ტ ი ს მ ა სოფ. ანო ენგლიანოსის მახლობლად, ანტიკური პილოსის ადგილას მესენიაში მთელი სამეფო არქივი გათხარეს. აღმოჩენილ იქნა თიხის 600 ფიქალი B დამწერლობის ნიშნებით. გამოირკვა, რომ საწერ მასალად ოდესღაც ბერძნები მზეზე გამომხმარ თიხას იყენებდნენ. თავისთავად ცხადია, რომ



სურ. 5. ხატოვანი და ხაზოვანი დამწერლობის შედარებითი ცხრილი: 1. ხატოვანი, 2. A ხაზოვანი და 3. B ხაზოვანი.

ასეთი თიხის ფიქალები მალე დაიშლებოდა და მკვლევართათვის სამუდამოდ დაიკარგებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, პილოსის სასახლე ცეცხლის მსხვერპლი გამხდარა და ეს ფიქალები გამომწვარ მაგარ აგურებად გარდაქმნილან და ჩვენ დრომდე შემონახულან. 1952 წელს იქვე დამატებით აღმოაჩინეს ასეთივე 300 ფიქალი, ხოლო 1953—1954 წლებში მიკენში ეგრეთ წოდებულ „ზეთის მოვაჭრის სადგომსა“ და „ღვინის მოვაჭრის სახლში“— კიდევ რამდენიმე ათეული ფიქალი.

ასეთი ფიქალების აღმოჩენასთან დაკავშირებით ცნობილმა გერმანელმა ფილოლოგმა კ რ ე ჩ მ ე რ მ ა და საბჭოთა კავშირში პროფ. ს. ლ ურ ი ე მ წინასწარი მოსაზრება გამოთქვეს, რომ მათი წარწერები ბერძნული უნდა იყოსო. მაგრამ ასეთი მოსაზრება მაშინ მკვლევართა დიდმა უმრავლესობამ არ გაიზიარა.

მინოსური დამწერლობის ამოშიფვრის მრავალნაირი ცდა ორმოცდაათი წელი გრძელდებოდა, მაგრამ სასურველი შედეგები ვერ იქნა მიღწეული. ჯერ კიდევ კნოსის გათხრების ინიციატორმა არტურ ევანსმა დიდი შრომა გასწია ამ დამწერლობის ნიშნების გარკვევაზე, მაგრამ უშედეგოდ. ის დარწმუნებული იყო, რომ დამწერლობის სამივე სახე კრეტელი მოსახლეობის მიერ იყო შექმნილი და ფიქრობდა, წარწერების ენა არც ინდოევროპული და მით უმეტეს არც ბერძნულიაო.

პილოსის წარწერების აღმოჩენის შემდეგ 1943 წელს გამოცემულ შრომაში ცნობილმა ჩეხმა მკვლევარმა ბ. ჰ რ ო ზ ნ ი მ გამოაცხადა, რომ მიკენური დამწერლობის პრობლემა მან ძირითადად უკვე გადაჭრა, ხოლო შემდგომ შრომებში წარწერების თავისი ამოშიფვრაც გამოაქვეყნა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სახელგანთქმული მკვლევარის ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა. ამ მხრივ საყურადღებო მუშაობა ჩაატარა, აგრეთვე, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, პროფ. ვ ლ. გ ე ო რ გ ი ე ვ მ ა[10]. მაგრამ, როგორც სხვა ადგილას გვაქვს აღნიშნული, მის მუშაობას საფუძვლად ედო მცდარი ჰიპოთეზი, თითქოს ფინიკიური დამწერლობა მიკენურისაგან განვითარდა და, მაშასადამე, თანამედროვე ალფაბეტების პირვანდელი საფუძველი მიკენური და არა ფინიკიური დამწერლობა იყო. მეორე მხრივ, მისი მსჯელობიდან თავისთავად იგულისხმებოდა, რომ მიკენური დამწერლობის ნიშნებს ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორიც შესატყვის ფინიკიურს. ასეთი გზით, რა თქმა უნდა, მიზანი მიღწეული ვერ იქნებოდა.

ხაზოვანი დამწერლობის საიდუმლოების გახსნა და წარწერების სწორი ამოშიფვრა შეძლო 1956 წლის 6 სექტემბერს ავტომობილის კატასტროფის დროს ტრაგიკულად დაღუპულმა ახალგაზრდა ინგლისელმა მკვლევარმა მ ი ხ ე ი ლ ვ ე ნ ტ რ ი ს მ ა (12/VII 1922 — 6/IX, 1956). ის არ იყო განათლებით ლინგვისტი ან ისტორიკოსი, მით უმეტეს ანტიკური ისტორიისა და ფილოლოგიის სპეციალისტი. ის იყო ხუროთმოძღვარი. მაგრამ ჯერ კიდევ სკოლაში მისი ყურადღება მიიპყრო ჩვენი საუკუნის დასაწყისში ევანსის მიერ კნოსში აღმოჩენილმა რამდენიმე ათასმა ფიქალმა. ამ საკითხზე მან, 18 წლის ახალგაზრდამ, პირველი წერილი 1940 წელს გამოაქვეყნა. მაშინ ის შეცდომით ფიქრობდა, რომ B ხაზოვანი დამწერლობის ენა ეტრუსკულის ახლობელიაო. მეორე მსოფლიო ომის დროს ის სამხედრო ავიაციაში მსახურობდა, ხოლო 1948 წელს დაამთავრა ხუროთმოძღვრების ინსტიტუტი. კემბრიჯის უნივერსიტეტში მომუშავე ენათმეცნიერის ჩ ა დ ვ ი კ ი ს თანამშრომლობით ის დაბეჯითებით განაგრძობდა კნოსისა და პილოსის ფიქალების წარწერათა შესწავლას. მოკლე დროის განმავლობაში მან ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული ენა, განსაკუთრებით ჰომეროსის პოემები და, სპეციალისტების სიტყვით, გამოჩენილი მკვლევარი გახდა ინდოევროპულ ენათა შედარებითი შესწავლის დარგში.

1950 წლიდან დაწყებული ვენტრისი სისტემატურად აწვდიდა წერილობით ცნობებს ზოგიერთი ქვეყნის მკვლევართ თავისი მუშაობის წინასწარი შედეგების შესახებ. 1953 წელს კი მან ჩადვიკთან

ერთად გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც მოკლედ იყო აღნიშნული მისი გასაოცარი მიღწევები[11].

მიკენის წარწერების ამოშიფვრას მან საფუძვლად დაუდო V—IV საუკუნეების კვიპროსული სილაბარიუმი, რომელიც სპეციალისტების დასკვნით არსებითად მიკენური სილაბარიუმის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს. დღეს, მიუხედავად ზოგიერთი საკამათო და საეჭვო დებულებისა, ცნობილ მკვლევართა უმრავლესობამ ვენტრისის მიერ მიკენური წარწერების ამოკითხვა ძირითადად სწორად და უაღრესად საგულისხმიერო აღმოჩენად ჩათვალა.

ვენტრისის მიღწევები მით უფრო გასაოცარია, რომ მან ისეთი დამწერლობა აამეტყველა, რომლის ენა უცნობი იყო და რომელშიც არც ერთი ბილინგვა არ მოიპოვებოდა; ამ მხრივ მისი აღმოჩენა დაუფასებელ განძს წარმოადგენს ანტიკური სამყაროს შესწავლის საქმეში. გამოირკვა, რომ პილოსის წარწერები ბერძნული ენის კვიპროს-არკადიული ფორმითაა დაწერილი და თვით მიკენური B დამწერლობა ბერძნული ენის თავისებურებებთან შეფარდებას წარმოადგენს.

1956 წელს ჩადვიკთან ერთად ვენტრისმა გამოაქვეყნა საერთო ხასიათის შრომა (Documents in Mycenaean Greek), რომელშიც ძვირფასი მასალაა მოცემული. უდავოდ დადგენილია, რომ ბერძენთა ტომების დასაბამითი ისტორია შედარებით უფრო შორეული საუკუნეებიდან უნდა იწყებოდეს და რომ მიკენური ეპოქის ბერძნული საზოგადოება წარმოადგენდა არა პრიმიტიულ გვაროვნულ თემებს, ან სამხედრო დემოკრატიას, არამედ თავისებურ ცენტრალიზებულ სახელმწიფოს[12].

დღეს უკვე დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი ზეპირ ლიტერატურულ ტრადიციებზე, მოგონებებსა და გადანაშთებზე დაყრდნობით მიზნად ისახავდა იმ ეპოქის დასურათებას, როცა წარმოიქმნა კრეტულ-მიკენური კულტურა და ეს მან ასე თუ ისე შეასრულა. ამიტომ ბუნებრივია, რომ ვენტრისი და ჩადვიკი პილოსის ტექსტების განსამარტავად ხშირად ჰომეროსის პოემებს მიმართავდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, თვით პოემებში მოხსენებული ცნობებისა და ამბების გასარკვევად ამ ტექსტებით სარგებლობდნენ. როგორც ჩანს, ასეთი ცდების შედეგადაც უკვე რამდენიმე საგულისხმო პარალელი იქნა გატარებული. მაგრამ ამ მიმართულებით მომუშავე ზოგი სპეციალისტი ზოგჯერ ცხადად გადაჭარბებულ მოსაზრებებს გამოთქვამს, ასე, მაგ., მკვლევარი ვებსტერი გვარწმუნებს, თითქოს მიკენის ეპოქის ბერძნები ისე

იყვნენ ეპიკური პოეზიის სულით გაჟღენთილნი, რომ თავის კომერციულ ანგარიშებსაც კი ლექსად წერდნენ. ვენტრისისა და ჩადვიკის მიერ B ხაზოვანი დამწერლობის ამოშიფვრას დიდი ყურადღება მიაქცია ცნობილმა საბჭოთა მკვლევარმა ს. ი. ლ ურ ი ე მ, რომელმაც მას ცალკე ნარკვევი მიუძღვნა (Язык и культура микенской Греции, М., — Л., 1957) ს. ლურიე საფუძვლიანად უარყოფს მსგავს მოსაზრებას, თუმცა თავის მხრივ საეჭვოდ არ მიაჩნია, რომ „მკვლევარი, რომელიც სპეციალურ მიზნად მიკენის ეპოქის წარწერებსა და ჰომეროსის პოემებს შორის პარალელების უფრო ღრმა შესწავლას დაისახავს, უთუოდ აღმოაჩენს მათ შორის მეტ დამთხვევასა და მსგავსების ხაზებს" (Критско-микенские надписи и Гомер. ВДИ, 4, 1956).

3. კრეტის ეპოქა

უკვე ნათქვამი იყო, რომ ეგეოსის კულტურის ძირითად კერას კრეტა წარმოადგენდა. ამიტომაც მის განხილვას კრეტიდან დავიწყებთ.

რას ემყარება ჩვენი წარმოდგენა კრეტის კულტურაზე?

ძველი ბერძნული თქმულებები კრეტას ისეთ კულტურულ ცენტრად გვიხასიათებენ, საიდანაც ბერძნებმა, თითქოს, ბევრი რამ გადმოიღეს. კერძოდ ისტორიკოსების ჰეროდოტესა და თუკიდიდეს შრომებში გარკვეულადაა დაცული თქმულებები კრეტის მეფის მინოსის შესახებ. საყურადღებო მოკლე ცნობებია შემონახული კრეტელებზე აგრეთვე ეგვიპტურ წყაროებში. ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ა რ ტ უ რ ე ვ ა ნ ს ი ს გათხრებს კრეტაზე, მაგრამ მხოლოდ ასეთ მასალაზე დაყრდნობით ძნელია კრეტის შორეული საზოგადოებრივი წყობის სწორი გარკვევა. მაგრამ რაკი B ხაზოვანი დამწერლობა დღეს ძირითადად სწორად არის ამოკითხული და ერთგვარი ნიშნები ჩანს, რომ A ხაზოვანი დამწერლობაც ახლო მომავალში ამოშიფრული იქნება, მაშინ, ცხადია, ჩვენთვის უფრო გარკვეული გახდება ეგეოსის სამყაროს შორეული წარსული და კრეტის კულტურის შემქმნელი ტომების საკითხი. კრეტაზე აღმოჩენილი შუამდინარეთისა და ეგვიპტის იმ ძეგლების მიხედვით, რომელთა დათარიღება შედარებით ზუსტად შეიძლებოდა, არტურ ევანსმა დაადგინა კრეტის უძველესი ისტორიის ქრონოლოგიური საზღვრები[19]. როგორც ნათქვამი იყო, კრეტის კულტურას მან ნახევ-

რადლეგენდარული მეფე მინოსის სახელის მიხედვით მინოსური კულტურა უწოდა და დაყო სამ ძირითად პერიოდად:

1. ადრე მინოსური პერიოდი (3000—2200). აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით ადრე მინოსურ პერიოდს მიეკუთვნებიან კრეტაზე უძველესი დასახლებანი. რომელთა რაიონში არქეოლოგებმა გათხარეს დიდი კოლექტიური სამარხები—თოლოსები, მრგვალი ფორმის საფლავები, რომელთაგან ზოგიერთში 700-მდე ჩონჩხი აღმოჩნდა. მათში, ალბათ, თაობიდან თაობამდე ერთი გვარის წევრებს მარხავდნენ. ამასთან ერთად, უძველესი საცხოვრისები თავისი მოცულობით და მოწყობილობით გვაფიქრებინებენ, რომ გაცილებით მეტი ადამიანებისათვის იყვნენ განკუთვნილი, ვიდრე მერმინდელები. საფიქრებელია, რომ ასეთი დიდი სახლები ერთი გვარის წევრების საცხოვრებლებს წარმოადგენდა. აღნიშნულის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კრეტის კულტურის განვითარების ადრინდელ საფეხურზე გაბატონებული იყო გვაროვნული წყობილება. მაგრამ თანდათან კრეტის საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებას თან მოჰყოლია არსებითი ცვლილებები მის სოციალურ სტრუქტურაშიც. განსაკუთრებულ განვითარებას აღწევს კრეტის საზოგადოება შუა მინოსურ პერიოდში, როცა ფართო გავრცელებას პოულობს ბრინჯაო.

2. შუა მინოსური პერიოდი (2200—1600). ამ პერიოდში იწყება კრეტაზე პირველი გრანდიოზული სასახლეების აგება. რომელთა შორის გამოირჩეოდა კნოსის სასახლე—კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი რთულ ნაგებობას წარმოადგენდა და დიდი ოთახების, სახელოსნოების, საწყობებისა და სალოცავთა მთელ სისტემას შეიცავდა. კნოსის სასახლის მსგავსი, მაგრამ უფრო მცირე სასახლეები იყო აგებული ფესტში, აგია-ტრიადაში და სხვ. ამავე პერიოდს მიეკუთვნება კნოსის ფესტთან და მესარის ბარის კრეტის ჩრდილოეთ სანაპიროსთან დამაკავშირებელი გზების გაყვანაც.

კნოსის სასახლის სადგომებში აღმოაჩინეს მზეზე გამომხმარი თიხის ფიქალები A ხაზოვანი დამწერლობით, რაც კულტურული წინსვლის უდავო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს. კრეტის ეს დამწერლობა თარიღდება მიახლ. ძვ. წ. XVII საუკუნის დასაწყისით.

იმ დროის კრეტული კულტურის დამახასიათებელია პოლიქრომული ბრწყინვალე ვაზები, რომლებიც კამარესის სტილით არიან ცნობილი. რადგან მათი საუკეთესო ნიმუშები სოფ. კამარესის მახლობლად აღმოაჩინეს. ამ ვაზებს ახასიათებს არაჩვეულებ-

რივი სინაზე და სიმშვენიერე. ამ სტილის ვაზებზე შავი ფონი მოხატული იყო თეთრი, წითელი და ნარინჯისფერი საღებავით. მათში სჭარბობდა სტილიზებული მცენარეული ორნამენტი. ისინი დღესაც გაოცებასა და აღფრთოვანებას იწვევენ.

შუა მინოსურ პერიოდში კრეტას უდიდესი კატასტროფა განუცდია, რომლის შედეგად განადგურებულან ძველი სასახლეები და



სურ. 6.

1. კამარესის ვაზა. 2. ვაზა მთის შროშანით.

განსახლებათა მთელი რიგი. რამ გამოიწვია კატასტროფა? ამ კითხვაზე სხვადასხვაგვარი პასუხი მოგვეპოვება. ზოგი ფიქრობს, რომ ეს კატასტროფა დიდი მიწისძვრის შედეგი იყო და ამ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო პირველი სასახლეების ნგრევა (დ. პენდლბერი და ა. ევანსი). არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომლის მიხედვით კრეტას პელოპონესიდან შემოესივნენ აქეელები, დაიპყრეს იგი და მისი სასახლეები გაანადგურეს[14]. სხვები კრეტის კატასტროფას იმ დიდ ამბებს უკავშირებენ, რომლებიც იმ დროს აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მიმდინარეობდა. ძვ. წ. 1750 წელს კასიტების ლაშქარი შეიჭრა შუამდინარეთში და შექმნა აქ თავისი საკუთარი სახელმწიფო. კასიტები, რომლებიც ტიგროსის აღმოსავლეთით მთებში ბინადრობდნენ, წინათაც

ახერხებდნენ შუამდინარეთში გადასვლას და ბოლოს მათ შეძლეს მესოპოტამიაში საკუთარი დინასტიის ხანგრძლივად გაბატონება (1741—1165). მათ შეითვისეს ბაბილონური კულტურა და ცდილობდნენ ბაბილონის მეფეების დაპყრობითი პოლიტიკის გაგრძელებას. ძნელია იმის თქმა, ჰქონდა თუ არა ამ ამბებს რაიმე კავშირი კრეტის კატასტროფასთან.

ამ კატასტროფას ზოგიერთი მკვლევარი უკავშირებს ეგვიპტეს, რომელმაც ძვ. წ. XVIII საუკუნის დასასრულს ჰიქსოსების შემოსევა და მათი ხანგრძლივი ბატონობა განიცადა (1700—1570). ჰიქსოსების მეფეებს შორის განსაკუთრებით ძლიერი ყოფილა ხიანი, რომლის სახელით ცნობილი საგნები აღმოჩნდა ნილოსის ველიდან დაშორებულ ადგილებში: სირიასა და კრეტაზეც. კნოსის სასახლის ძველ ნანგრევებში აღმოაჩინეს ალებასტრის სარქველი ხიანის სახელით. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ კრეტის კატასტროფა ჰიქსოსების ეგვიპტეზე თავდასხმას უნდა დავუკავშიროთო. ამ მხრივ საგულისხმოა ის ეგვიპტური ცნობები, რომელთა მიხედვით კრეტელები (ხანებუ) ჰიქსოსების წინააღმდეგ ბრძოლაში თებეს მეფეებთან კავშირში უნდა ყოფილიყვნენ. ეგვიპტის XVIII დინასტიის ფუძემდებლის იახმოსის (1584—1559) ერთ ჰიმნში ნათქვამია: „ჩვენი ბატონია ის, ხანებუ: „ჩვენ მის მხლებლებში ვართ", ქვეყნები: „ჩვენ მას ვეკუთვნითო". მაშასადამე, აქ სამ განსხვავებულ ჯგუფზეა ლაპარაკი: ძირითად ქვეშევრდომებზე, მოკავშირე კრეტელებზე და დანარჩენ ქვეყნებზე[15]. იმ დროს კრეტელების ამა თუ იმ სახით ეგვიპტის ამბებში მონაწილეობა შემდგომ დაზუსტებასა და გარკვევას მოითხოვს, და ეს მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მკვლევარი ხანებუში არა კრეტელებს, არამედ მიკენელებს გულისხმობს და შესაძლებლად მიაჩნია იახმოსის დამხმარეებად მიკენელი მბრძანებლები მიიჩნიოს.

გაცილებით საეგებოა ის მოსაზრება, თითქოს კრეტის იმდროინდელი კატასტროფა შინაური მღელვარებისა და ამბოხების შედეგი იყოს. ამიტომ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ეს საკითხი დღემდე გადაუჭრელი რჩება.

3. გვიან მინოსური პერიოდი (1600—1200). ყოველ შემთხვევაში კრეტის მიერ განცდილმა კატასტროფამ ვერ მოსპო და ბოლო ვერ მოუღო მის სამეურნეო და საზოგადოებრივ განვითარებას. კრეტამ შეძლო ამ კატასტროფის შედეგების დაძლევა და ახალი აღორძინების მიღწევა. განადგურებული სასახლეების ადგილას ააგეს ახალი ბრწყინვალე სასახლეები. კრეტის მთავარი ქალაქი კნოსი გახდა ძლიერი, მდიდარი და კულტურული ცენტ-

რი არა მარტო კრეტის, არამედ ეგეოსის მთელი სამყაროსი. უნდა ვივარაუდოთ, რომ მას ემორჩილებოდა კრეტის ყველა ქალაქი. კნოსის სასახლის ცენტრში მდებარეობდა დიდი ეზო, სიგრძით 60 და სიგანით 29 მეტრი. ეს ცენტრალური ეზო ერთიმეორესთან აერთებდა სასახლის დიდსა და პატარა სათავსოებს და მათთვის სინათლის მიმწოდებელ ადგილს წარმოადგენდა.



სურ. 7. კნოსის სასახლის ნაწილი.

კნოსის სასახლე 3—4 სართულისაგან შედგებოდა. ცენტრალური ეზო მას ორ გარკვეულ ნაწილად ყოფდა. დასავლეთი ნაწილის გასწვრივ გრძელი ტალანი მიემართებოდა. მისგან დასავლეთით მოთავსებული ყოფილა საწყობების მთელი წყება, ხოლო აღმოსავლეთით—მრავალრიცხოვანი ოთახები, რომელთაგან გამოირჩეოდა ეგრეთ წოდებული „ტახტის დარბაზი“, „განწმენდათა დარბაზი“ და სვეტებიანი დარბაზი.

ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს ეკავროდა სანახაობათა მოედანი ორი წყება საფეხურებით, რომლებიც მაყურებელთა ადგილები უნდა ყოფილიყო, ხოლო ქვევით ეზო—სადღესასწაულო წარმოდგენების ადგილი.

ჩრდილოეთის მხარეზე, ზღვის მიმართულებით, სასახლეს მაგარი გალავანი იცავდა. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა ცენტრალურზე უფრო მცირე ოდენობის ეზო.

სასახლის აღმოსავლეთ ნაწილს ტალანი ორად ჰყოფდა. აქ მოწყობილი ყოფილა სამეფო სახელოსნოები — ქაშანურის, ოქრომჭედლობის, იარაღის და სხვ. ამავე ნაწილში იყო მრავალრიცხოვანი ოთახი და რამდენიმე დარბაზი: „დედოფლის დარბაზი", დიდი დარ-

სურ. 8. „ტახტის დარბაზი".

ბაზი, „ორმაგი ცულის დარბაზი", რომლის დანიშნულება, ალბათ, სახელმწიფოებრივი და საკულტო ცერემონიების შესრულებასთან იყო დაკავშირებული და სხვ. კნოსის სასახლის კედლები ძვირფასი ფრესკებით შემკული და იშვიათი სიმდიდრით მოცული ყოფილა. როგორც ჩანს, სასახლის აუცილებელ კუთვნილებას წარმოადგენდა აბაზანა და საბანაო ოთახი, სადაც წყალი სასახლის გარეთ მდებარე წყაროდან კერამიკული მილებით შეჰყავდათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ კნოსის სასახლესთან არსებულ საწყობებში ინახებოდა იარაღი, საომარი ეტლები და თიხის დიდ ჭურჭლებში—პითოსებში სასურსათო მარაგი: ღვინო, ზეთი და სხვ. ეს პითოსები დღესაც კი თავის ადგილას დგას.

კრეტაზე აღმოჩენილი სხვა სასახლეები — ფესტის, მალიასი და აგია-ტრიადასი ზოგადად მსგავსი გეგმისა ყოფილან. ხოლო კნოსიდან 15 კილომეტრით დაშორებულ ვატიპეტროში 1949 წელს დაწყებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა სასახლის საყურადღებო ნაშთები აღმოაჩინეს, რომელთა შესწავლა და გარკვევა დღემდე გრძელდება.



სურ. 9. კნოსის თეატრი.

კრეტის კულტურის აყვავების ეპოქა ბერძნულ ტრადიციაში ნახევრადლეგენდარულ მეფე მინოსთანაა დაკავშირებული. ჰომეროსი მას და მის ძმას რადამანთეს ისეთ სამართლიან მსაჯულად გვიხასიათებს, რომლებმაც სამოსამართლო ფუნქციები იმქვეყნადაც კი შეინარჩუნეს[16]. მინოსს ძველი ბერძენი ისტორიკოსებიც იხსენებენ, მაგ. ჰეროდოტე მინოსს კნოსელს უწოდებს და იმ ზღვის მეუფეთ მიაკუთვნებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ სამოსის ტირანს პოლიკრატეს (III, 122). ამას გარდა, ჰეროდოტე კარიელების შესახებ მსჯელობისას ამბობს (I, 171): კარიელები ხმელეთზე კუნძულებიდან გადავიდნენ. თავდაპირველად ისინი მინოსის ქვეშევრდომები იყვნენ, ეწოდებოდათ მათ ლელეგები და ეკავათ კუნძულები; რამდენადაც მე შემიძლია ჩავწვდე ძველ დროს, ისინი არასოდეს ხარკს არ იხდიდნენ, თუმცა გამოჰყავდათ ყოველთვის, როცა მინოსი მოითხოვდა, გემების შედგენილობაო. ამას გარდა, იგი აღნიშნავს, რომ მინოსმა მრავალი მხარე დაიპყრო და სახელი გაითქვა თავისი

საომარი მოქმედებით, ხოლო კარიელებიც ხალხთა შორის ფრიად ცნობილი იყვნენო.

უკვე ძვ. წ. მეორე ათასწლეულის პირველ ნახევარში კრეტაზე მდიდარი მატერიალური კულტურა, მაღალგანვითარებული ხელოვნება და დამწერლობა იყო. კრეტაზე მრავლად აღმოჩენილი ძეგლები გვარწმუნებდნენ, რომ ძველად იქ რთული მეურნეობა არსებობდა და რომ დაქვემდებარებული ტომები თავის დროზე აწვდიდნენ ცენტრს ხარკს ნატურით, ლითონის ყურსებით და ზოგჯერ ადამიანებითაც.

სურ. 10. კნოსის სასახლის პითოსები (ქვევრები).

ჩვენ ხელთ არსებული მასალები საშუალებას გვაძლევენ ზოგადად მაინც გავითვალისწინოთ ძველი კრეტის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური წყობილება.

დავიწყოთ მეურნეობიდან. კრეტის ძირითადი მოსახლეობის მ ე უ რ ნ ე ო ბ ა, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, მესაქონლეობასა და მიწის დამუშავებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. უკვე იყო ნათქვამი, რომ კრეტის ველები და ღარტაფები ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებს წარმოადგენენ მიწის მეურნეობისა და მესაქონლეობისათვის. მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონია როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა პირუტყვისა და ფრინველების მოშენებას. როგორც ჩანს, ფართოდ მისდევდნენ აგრეთვე მიწის და-

მუშაობას, ხვნა-თესვას, მებაღეობა-მებოსტნეობას: თესდნენ პურს, ქერს, ბოსტნეულს — ცერცვს, მუხუდოს და ოსპს. როგორც ხელოვნების ძეგლები გვიჩვენებენ, ძველი კრეტელების ბაღები მდიდარი ყოფილა ნატიფი ვარდყვავილებით და ტექნიკური მცენარეულობით. ბორცვებზე აშენებდნენ ვენახებს და ზეთის ხილის ბაღებს. აგია-ტრიადაში განათხარი ვაზის სურათი მიწის მეურნეობასთან უნდა იყოს დაკავშირებული, უფრო გარკვეულად რომ ვთქვათ, ის მომკელთა პროცესიას უნდა განასახიერებდეს. პროცესიას წინ უძღვის გრძელთმიანი დედაკაცი, შეიძლება ქურუმი ქალი. მხარზე მას გადებული აქვს წინამძღოლის ღირსების ნიშანი — მწყემსის ჯოხი, თავისებური კვერთხი. მის უკან წყვილ-წყვილად მიდიან პროცესიაში მონაწილე თავმოპარსული მამაკაცები წინსაფრებით და ფალოსის პარკებით; მათ ქუდები ხურავთ და მარცხენა ხელში ნამგლის სახის მახვილი უჭირავთ: პროცესიის შუაგულში მოდის სამი მგალობელი, რომელთაც თმა მოკლედ აქვთ შეჭრილი და უქუდონი არიან; მათ წინ მოემართება სიმღერის დამწყები მამაკაცი მუსიკალური ინსტრუმენტით — სისტრუმით. ზოგიერთ მკვლევარს ეს გამოხატულება სამხედრო პროცესიად მიაჩნია, მაგრამ უფრო სარწმუნოდ ის უნდა ჩავთვალოთ, რომ სურათი მომკელთა პროცესიას გადმოგვცემს.

სურ. 11. აგია-ტრიადის ვაზა: მომკელთა პროცესია.

სრულიად ბუნებრივად უნდა მივიჩნიოთ, რომ კრეტაზე საერთოდ და უმთავრესად მის ზღვისპირა მოსახლეობის ცხოვრებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მეთევზეობას. რის დადასტურებასაც წარმოადგენს კრეტულ ხელოვნებაში მოცემული თევზებისა და ზღვის ცხოველების მრავალი გამოსახულება.

კრეტაზე აღმოჩენილი იმ დროის ძეგლები სრულ უფლებას გვაძლევს ვიგულისხმოთ, რომ კრეტელებს განუვითარებიათ საკუთარი მრავალფეროვანი ხელოსნობა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კნოსის სასახლეში გათხრილი ქაშანურის, ოქრომჭედლობის, იარა-

ღის დამამზადებელი და სხვა სახის სახელოსნოები. გათხრებმა გურნიაში არქეოლოგები დაარწმუნა, რომ იქ ხელოსნების განსაკუთრებული უბანიც კი არსებობდა. არქეოლოგიური მასალის მიხედვით დადგენილია, რომ იმ დროის კრეტაზე იყვნენ შემდეგი სახის ხელოსნები: მჭედლები, დურგლები, მეჯურჯლეები, დაბაღები, მეჩუქურთმეები, მესაჭურვლეები, მხატვრები, მოქანდაკენი და სხვ.

განსაკუთრებული გულმოდგინებით და მიმზიდველობით შეუსრულებიათ კრეტელ ხელოსნებს თავიანთი ნაკეთობანი ქვის, თიხის, ბრინჯაოს, სპილოს ძვლის, ხისა და ქაშანურისაგან. ისინი დღესაც ჩვენს გაოცებას იწვევენ.

კრეტაზე განვითარებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე მეტალურგიული ხელოსნობაც, რასაც გვიდასტურებს მეფეებისა და დიდკაცობისათვის განკუთვნილი ფუფუნების საგნები, ბრინჯაოს საჭურველი, საკულტო საგნები და სხვ.

კრეტის სასახლეთა ფრესკები გვარწმუნებენ, რომ კრეტის საზოგადოებას კარგად სცოდნია ფეიქრობაც. როგორც ჩანს, კრეტელები თავიანთ ქსოვილებს ნაირფერად ღებავდნენ, ისინი საღებავებს ზღვის ნიჟარებისაგან ამზადებდნენ.

იშვიათი ხელოვნებით შეუსრულებიათ კრეტელებს ქანდაკებები სპილოს ძვლისა და ოქროსაგან (ქრისოელეფანტური), ან მარტო სპილოს ძვლისაგან (ელეფანტური).

უნდა ვივარაუდოთ, რომ კრეტელი ხელოსნების მიერ დამზადებული საგნების ნაწილი ხმარდებოდა ადგილობრივ სასახლეებსა და მოსახლეობას, ნაწილი კი საექსპორტოდ იყო განკუთვნილი. ასეთი პროდუქციის გასაღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ტრანსპორტს. და მართლაც, საგულისხმებელია, რომ უკვე II ათასწლეულში კრეტელებს მრავალი ისეთი გზა გაუყვანიათ, რომელთაც ურთიერთთან დაუკავშირებიათ კნოსი და ფესტი, ჩრდილოეთი და სამხრეთი სანაპიროები და კუნძულის სხვა ნაწილები. როგორც ჩანს, ხმელეთით საქონლის გადაზიდვა სახედრებით, ცხენებით და ხარებშებმული ურმებით წარმოებდა.

მაგრამ მთავარი როლი, ალბათ მაინც საზღვაო ტრანსპორტს მიეკუთვნებოდა. ამ მხრივ კრეტელებს დიდი წარმატებისათვის მიუღწევიათ. შეუქმნიათ საზღვაო ხომალდები და საზღვაო ფლოტი. მართალია კრეტიდან ჩვენამდე არ მოუღწევია საზღვაო საქმის შემცველ წარწერებს, მაგრამ გამოსახულებანი ძეგლებზე კნოსის სახელმწიფოში საზღვაო ტექნიკის მაღალ დონეს გვიდასტურებენ. მათზე გამოსახულ ხომალდებს აქვს მაღალი ფერადი ლითონის

მკვეთრი ქიმი და ქანდარა აფრების გასამაგრებლად. საყურადღებოა, რომ საზღვაო ბრძოლის დროს ასეთ ხომალდებს მოძრაობა შეეძლოთ როგორც აფრებით, ისე ხოფებით; კომერციულ სატვირთო ხომალდებს ახასიათებს დიდი ტევადობის ტრიუმი და მაღალი ანძა და ზოგჯერ აქვს გადახურული კაიუტებიც კი მგზავრთათვის (С. Лурье, Язык и культура микенской Греции, გვ. 338).

როცა ვეცნობით კრეტელების გემთმშენებლობას შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის საფუძვლად დაედო ფინიკიელებისა და ბერძნების გემთმშენებლობის საქმესაც. შორს ყოფილა ცნობილი კრეტელების ხომალდები, ასე, მაგ., არსებობს გარკვეული ცნობა, რომ ეგვიპტის ფარაონს თუთმოს III (1503—1491) კრეტელებს (კეფტიუს) ხომალდებით გადაჰქონდა ლიბანის სამშენებლო ხეტყე. საერთოდ უნდა ვივარაუდოთ, რომ ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველა ხალხს შორის კრეტელებმა პირველებმა შექმნეს ძლიერი ფლოტი და, ალბათ, უსაფუძვლო როდია ბერძნული ტრადიცია, რომლის მიხედვით მეფე მინოსი „ზღვის მეუფედაა“ (θαλαττοκράτορ) ცნობილი. როგორც ვთქვით, ისტორიკოსი თუკიდიდე გვარწმუნებს, რომ მინოსის მიერ ფლოტის შექმნასთან დაკავშირებით ზღვაზე ურთიერთკავშირი დიდად გაფართოვდა. შესაძლოა, ამ საზღვაო ძლიერების გამოძახილი იყოს აგრეთვე „ოდისეაში“ აღწერილი მეზღვაური ხალხი — ფეაკიელები.

გემთმშენებლობისა და ზღვაოსნობის განვითარებასთან ერთად კრეტელებს ფართო ურთიერთობა დაუმყარებიათ როგორც მახლობელ, ისე შორეულ მხარეებთან, პირველ რიგში — ეგეოსის ზღვის კუნძულებთან და ხმელეთის საბერძნეთთან.

კრეტელების ფართოდ განვითარებული საზღვაო ურთიერთობა, როგორც თუკიდიდეს სიტყვებიდან ჩანს, პირველ რიგში ზღვისპირელი მოსახლეობისათვის იყო ხელსაყრელი: „ზღვისპირელი მოსახლეობა დიდ სახსრებს ფლობდა და ამიტომაც უფრო მტკიცედ იჯდა თავის ადგილებზე, ხოლო ზოგმა, გამდიდრდა რა, თავი კედლებით შემოიზღუდა“ (I, 8,3—4). კრეტელი ვაჭრები არა მარტო თავისი საქონლით ვაჭრობდნენ, არამედ საშუამავლო ვაჭრობასაც მისდევდნენ და ზოგჯერ მეკობრეობასაც არ ერიდებოდნენ.

მცირე აზიასა და სირიაში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ ამ მხარეებს ძველადვე განსაკუთრებით ინტენსიური კავშირი ჰქონია კრეტასა და პელოპონესთან, კრეტელებს სავაჭრო ურთიერთობა დაუმყარებიათ ტროასთან, ხეთის სამეფოსთან და მცირე აზიის სხვა მხარეებთან. კუნძულ კვიპროსზე მრავლად აღმოჩნდა კრეტული ნაწარმი. მაგრამ განსაკუთრე-

ბით საყურადღებოა კრეტის ურთიერთობა უგარიტის სამეფოსთან, რომელიც III ათასწლეულის მიწურულიდან მეორე ათასწლეულის ნახევრამდე არსებობდა ჩრდილოეთ სირიის სანაპიროზე. ღირსშესანიშნავია ის, რომ, ერთი მხრივ, უგარიტში მრავლად იქნა აღმოჩენილი კრეტელი ხელოსნების ნახელავი, ხოლო, მეორე მხრივ, თვით უგარიტელი ხელოსნების ნაწარმოებთა ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ კრეტული კულტურის ძლიერი გავლენის კვალი, რომელიც მათ აშკარად ემჩნევათ, შედეგია არა მარტო სავაჭრო კავშირისა, არამედ შესაძლოა, უგარიტში კრეტელი ხელოსნებისა და ოსტატების განსაკუთრებული უბნის არსებობისა.

ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონია კრეტას წინა აზიის მხარეებთან. კრეტაზე აღმოაჩინეს ბაბილონიის მეფის ჰამურაპის (1792—1750) ეპოქის ბაბილონური ცილინდრები.

შედარებით უფრო ფართო ყოფილა კრეტის ურთიერთობა ძველ ეგვიპტესთან, განსაკუთრებით XII დინასტიის ეპოქიდან (2000—1740). სხვათა შორის ფაიუმის ოაზისის იმ დროის ფენაში აღმოაჩინეს კამარესის სტილის ჭურჭელი, ხოლო იმავე დინასტიის ფარაონ ამენემხეტ III დროს (1849—1801) ლუქსორის მახლობლად (ზემო ეგვიპტეში) მიწაში ჩაუფლავთ ძვირფასი კრეტული ნივთების მთელი განძი. უფრო ინტენსიური ყოფილა კრეტის სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა ეგვიპტესთან—თებეს XVIII დინასტიის ხანაში (1584—1388). ეს ის ხანაა ეგვიპტის ისტორიაში, როცა ჰიქსოსები განიდევნენ და XVIII დინასტიის ფარაონებმა ახალ პირობებში სახელმწიფოს კვლავ გაძლიერებასთან ერთად განაახლეს დაპყრობითი და სავაჭრო ექსპანსია. მაგრამ უკვე ამენხოტეპ III დროს (1455—1424) ეგვიპტის სამხედრო ძლიერება ცხადად შეირყა; ხოლო მისი მოადგილის ამენხოტეპ IV (1424 — 1388) მეფობაში ეგვიპტე დიდმა შინაურმა მღელვარებამ მოიცვა იმ სარწმუნოებრივი რეფორმის გამო, რომელიც ფარაონმა გაატარა: მან სავალდებულოდ აღიარა თებეს მდიდარი და გავლენიანი ქურუმების საწინააღმდეგოდ მზის ერთი ღმერთის ატონის კულტი და თავის თავს ეხნატონი („ატონის ბრწყინვა") უწოდა. მის მიერ შექმნილი კულტი თავისი უბრალოებითა და მისაწვდომობით უფრო ადვილი გასაგები იყო ეგვიპტის მეზობელი ხალხებისათვის, მით უმეტეს რომ რეფორმატორმა ატონი არა მარტო ეგვიპტის, არამედ მეზობელი მხარეების ღვთაებად აღიარა, რათა ამით მათ შორის ურთიერთობა გაეადვილებინა. მაგრამ, მიუხედავად ეგვიპტის სამხედრო ძლიერების შერყევისა, საერთოდ, XVIII დინასტიის ხანაში ეგვიპტის სავაჭრო და კულტურული კავშირი ეგეოსის კუნძუ-

ლებთან და ხმელეთის საბერძნეთთან არამცთუ შეწყვეტილა, არამედ გაფართოებულა. ამაზე მიგვითითებს, სხვათა შორის, კნოსის სასახლეში, როდოსსა და კვიპროსში მრავლად აღმოჩენილი ეგვიპტური ხელოსნობის ნაწარმები. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ეგვიპტიდან ეგეოსის ზღვის რაიონში შემოჰქონდათ ოქრო, სპილოს ძვალი, ქვის ჭურჭელი, ქაშანურისა და საერთოდ მხატვრული ხელოსნობის ნაწარმები. თვითონ ეგვიპტეში ნუბიამდე აღმოჩენილ იქნა ეგეოსური საგნები. ამ ხანის ეგვიპტურ სამარხებზე ხშირად აღბეჭდილია ეგეოსელი ვაჭრები და მოხარკეები, რომლებიც მხარ-ზურგით მიეზიდებიან სხვადასხვა სახის ეგეოსურ საქონელს. ამ სამარხების სურათებში ვამჩნევთ აგრეთვე „კაფტისა და დიდი ზღვის კუნძულთა მაგნატებს". კ ე ფ ტ ი უ — კ ა ფ ტ ი კრეტელების აღმნიშვნელ სახელად არის მიღებული. XVIII დინასტიის ზოგიერთი ფარაონი იქადის, რომ ჩემი ბატონობა დიდი ზღვის კუნძულებზე ვრცელდებოდაო. ხოლო თუთმოს III ერთ ჰიმნში ამბობს: „კეფტი და კვიპროსი შიშითაა მოცულიო". მისი დიდი მოხელის რეჰმირას აკლდამის ფრესკებში კი გამოსახულია კრეტის მოციქულების მისვლა ეგვიპტეში.

უკანასკნელ დროს კნოსის რაიონში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მაღაროვან სამარხში ორი მოკლეფეხებიანი ხის სარკოფაგი. ხოლო კნოსის ჩრდილოეთით, ჰერაკლეიონის აღმოსავლეთ გარეუბანში გათხარეს ორი სამარხი დრომოსებით. ერთ მათგანში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ხის უნიკალურმა სარკოფაგმა (ლარნაკმა), რომელიც ლეგაცისფრად ყოფილა შეღებილი. თავის დროზე არ. ევანსმა ეგრეთ წოდებული ტაძრის სამაროვანის ჰერის მტრედისფრად შეღებილობის გამო მოსაზრება გამოთქვა, რომ ასეთი შეღებილობა ცისფერს უნდა განასახიერებდესო. ამ სამარხის დასავლეთ კედელთან მდგარა ორი ეგვიპტური ქვის ჭურჭელი. იქვე ერთ ამფორაზე მოთავსებული ყოფილა ზედწერა: „კეთილი მენხეპერა, რას შვილი, თუთმოსი (III) განსხეულებაში მშვენიერი, რომელსაც სამარადისო სიცოცხლე მიენიჭა". მსგავსი ტექსტი ცნობილია მიკენის ძეგლებზეც[17]. ამ სამარხში განათხარი საგნები ძვ. წ. XV საუკუნით უნდა დათარიღდეს. მოკლედ, უკანასკნელი დროის არქეოლოგიური აღმოჩენები გვარწმუნებს, რომ იმ დროს კრეტას გაცხოველებული ურთიერთობა ჰქონია ეგვიპტესთან.

კრეტის ასეთი ფართო კავშირი მეზობელ და შორეულ ქვეყნებთან გულისხმობს იმას, რომ ადგილი ჰქონდა ურთიერთზე კულტურულ ზეგავლენას და ერთიმეორისაგან განსაზღვრული მიღწევების გადმოღებას. მაგრამ ყოველგვარი კულტურული პროგრესის

მხოლოდ გარეგანი გავლენით ახსნა, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს, სრულებით მიუღებელია. ყოველი ხალხი საკუთარი საზოგადოებრივი სტრუქტურის შესაბამისად თვითონ არის თავისი ძირითადი კულტურის შემოქმედი და, რასაკვირველია, ამასთან ერთად სრულებითაც არ არის გამორიცხული სხვების კულტურული გავლენაც. ეს უნდა ითქვას კედძოდ ეგვიპტისა და კრეტის ურთიერთობის შესახებ.

ვაჭრობასა და ფართო ურთიერთობასთან დაკავშირებით კრეტელებს შეუქმნიათ წონის, ზომისა და უფრო გვიან ფულადი ერთეულების საკუთარი სისტემა. აღსანიშნავია, რომ მათ სისტემაზე გავლენა მოუხდენია ეგვიპტურსა და ბაბილონურ სისტემებს, რაც სავსებით ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს კრეტას, ეგვიპტესა და ბაბილონიას შორის ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობის მიხედვით („Др. Греция". გვ. 24).

კრეტის ძეგლების განხილვა გვარწმუნებს, რომ კრეტაზე მიმდინარეობდა დიდი მშენებლობა, განვითარებას და გაფართოებას განიცდიდა ზღვაოსნობა, ხელოსნობა და ვაჭრობა, დიდ სიმაღლეს აღწევდა ხელოვნება და გაბატონებული წრეების იშვიათი სიმდიდრე და ფუფუნება. ბუნებრივად იბადება კითხვა, თუ როგორი იყო კრეტის იმდროინდელი ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ი ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა.

ამ საკითხის გარკვევის დროს ზოგიერთი მკვლევარი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ ძეგლების მიხედვით იმდროინდელ კრეტაზე ქალებს განსაკუთრებული როლი ჰქონიათ მიკუთვნებული, რომ მათ მამაკაცთა წრეში თავი თამამად ეჭირათ, მათთან სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ, დროს ატარებდნენ და სანაბაობებს ეს წრეებოდნენ; რომ კრეტის ღმერთებს შორის ქალური ღვთაებები სჭარბობდნენ. აქედან ზოგიერთ მკვლევარს ის დასკვნა გამოაქვს, თითქოს მაშინდელი კრეტის სოციალური წყობილება წინაკლასობრივ საზოგადოებას წარმოადგენდა და მატრიარქატის საუკუნეს განიცდიდა; ყოველ შემთხვევაში მასში ნათლად ჩანს მატრიარქატის ძლიერი გადანაშთებიო[18]. ასეთი შეხედულება მოკლებულია საფუძველს და მას შემთხვევითი და ზერელე ანალოგიების გარდა სხვა დამარწმუნებელი საბუთი არ მოეპოვება. უფრო დამაჯერებელია და დასაბუთებული ის მოსაზრება, რომელიც გვარწმუნებს, რომ იმდროინდელი კრეტის საზოგადოება უკვე ჩამოყალიბებულ კლასობრივ საზოგადოებას წარმოადგენდა[19]. „კრეტის ფართო სავაჭრო და კულტურული კავშირი ხმელთაშუა ზღვისპირეთის სხვა ნაწილებთან, დამწერლობა, სასახლეებისა და დასახლებათა გარშემო თავდაცვითი ნაგებობის უქონლობა, შესანიშნავად მოკირწყლული გზები და, ბო-

ლოს, ანტიკურ ტრადიციაში აღბეჭდილი წარმოდგენა მეფე მინოსის სახელმწიფოს ძლიერების შესახებ საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ კრეტაზე არსებობდა პრიმიტიულ-მონათმფლობელური სახელმწიფო, რომლის ხელისუფლება კუნძულის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა"[20]. შესაძლებელია კრეტის მეფის განსახიერებას წარმოადგენდეს კნოსის ერთი მოხატული რელიეფი გვიან მინოსური პერიოდისა. გამოსახულია მაღალი ტანის მამაკაცი თავზე გვირგვინით, რომელზეც მიმაგრებულია გრძელი, ჭრელად შეღებილი ფრთების კონა; გვირგვინის ქვემოდან მოჩანს მხრებზე დაშვებული გრძელი კულულები. ფიგურა შემკობილია ოქროს გულსაკიდებით და სამაჯურებით. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კნოსის A და B ხაზოვანი დამწერლობის ტექსტები შემდგომი სრული გარკვევის საფუძველზე უფრო ნათლად გაგვიშუქებენ კნოსის სახელმწიფოს ხასიათს. ამიტომ, როცა კრეტელ მბრძანებელთ ძველ აღმოსავლურ დესპოტებს ვადარებთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ კრეტაზე არა ჩანს კვალი იმ აპოთეოზისა, რომელსაც მიაკუთვნებდნენ ვთქვათ, ეგვიპტის ფარაონებს და ასირია-ბაბილონის დესპოტებს. მაგრამ სავარაუდოა, რომ კრეტელი მბრძანებლების ხელისუფლებაც დესპოტური ხასიათისა იყო, ყოველ შემთხვევაში კნოსის სათავეში ძლიერი მბრძანებელი უნდა მდგარიყო თავისი მახლობელი კარისკაცებით და მოხელეებით. ამ უმაღლესი მმართველის ადგილსამყოფელს და სახელმწიფოს ცენტრს მისი სასახლე წარმოადგენდა, ხოლო მთავარ დასაყრდენ ძალას — მისი ლაშქარი. კრეტის სხვადასხვა ადგილას, მაგ., გურნიაში, პალეკასტროში და თვით კნოსშიც აღმოაჩინეს სამეფო სასახლის მსგავსი დიდი სადგომები, რომლებიც, ალბათ, მბრძანებლის მახლობელ პირებს ეკუთვნოდათ.

სურ. 12. კაფტის წარმომადგენელი.

თუ რამდენად განვითარებული ყოფილა იმ დროს კრეტაზე საზო-

გადოებრივი ურთიერთობა, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ, როგორც წინა აზიის მხარეებში და ეგვიპტეში, ისე აქაც გავრცელებული ყოფილა სპილოს ძვლის, ქვის ან თიხის საბეჭდავები, ამ საბეჭდავებით კრეტელები თავიანთ საკუთრებას ნიშანს უსვამდნენ და სხვადასხვა საბუთს ამოწმებდნენ. თავდაპირველად ეს საბეჭდავები ცილინდრებისა და პრიზმების ფორმისა ყოფილა, მერე კი მათ სათითე

სურ. 13. მეფე ქურუმი (კნოსის მხატვრული რელიეფი).

ბეჭდის სათვალბუდეში ათავსებდნენ. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ ბეჭდებს ოქროსაგან აკეთებდნენ და სამკაულის სახით ატარებდნენ.

უკვე აღნიშნული იყო, რომ კრეტის დიდ კულტურულ მიღწევას წარმოადგენდა საკუთარი დამწერლობის შექმნა, ეს დამწერლობა, როგორც ვთქვით, თავდაპირველად ხატოვანი (პიქტოგრაფიული) იყო და ცალკეულ სიტყვებს კრეტელები ისე, როგორც ძველი ეგვიპტელები, ნახატების საშუალებით გამოსახავდნენ. ბეჭდებზე ამოკვეთილი თუ ჭურჭელზე ამოკაწრული ეს პიქტოგრაფები წარმოადგენენ

ხეს, შრომის იარაღს, ორმაგ ცულს, ისარს, ადამიანის ფიგურებს და ა. შ. იკითხებოდნენ ისინი მარცხნიდან მარჯვნივ. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ კრეტის იეროგლიფური დამწერლობა ნამდვილად მარცვლოვანი იყო, მაგრამ თავისთავად გასაგებია, რომ ეს საკითხი დღემდე საკამათოა. XVIII საუკუნისათვის კრეტელებს ახალი დამწერლობა, ეგრეთ წოდებული A ხაზოვანი დამწერლობა შემოუღიათ. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ამ დამწერლობის ნიშნები სიტყვის მარცვლებს გამოსახავენ; ზოგი კი გვარწმუნებს, რომ A ხაზოვანი დამწერლობა პიქტოგრაფიულის კურსივული ფორმაა. რა თქმა უნდა, როგორც ეს საკითხი, ისე იმ ენის დადგენის პრობლემა, თუ რომელი ენაა ამ დამწერლობაში მოცემული, გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება, ვიდრე მისი ამოკითხვა არ მოხდება. სამაგიეროდ, როგორც ჩვენ უკვე ვიცით. კნოსისა და პილოსის მიკენური წერილობითი ძეგლების B დამწერლობა ძირითადად უკვე ამოშიფრულია.



სურ. 14. ხაზოვანი დამწერლობა. თიხის ფირფიტა,

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ კრეტელებს დამწერლობასთან ერთად აღრიცხვის ზუსტად დამუშავებული სისტემა შეუქმნიათ. ირკვევა, რომ კრეტაზე ათწილადი სისტემა ყოფილა გაბატონებული. ციფრებს კრეტელები ასეთი ნიშნებით გამოხატავდნენ: ერთეულებს — 1, ათეულებს — —, ასეულებს O და ათასეულებს ×. კრეტელებს სცოდნიათ წილადებიც, რომელთაც განსაზღვრული ნიშნით — L გამოხატავდნენ. როგორც სპეციალისტებმა გაარკვიეს, კრეტელები ციფრების ნიშნების აღნიშვნაში ზუსტ წესს იცავდნენ, მაგ., ციფრებს 5 და 7 მხოლოდ ასე გამოხატავდნენ

40-ს , 70-ს და ა. შ. დადგენილია აგრეთვე, რომ ძველ კრეტელებს კარგად სცოდნიათ არითმეტიკის ოთხი მოქმედება: შეკრება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა. ყოველივე

ეს გვარწმუნებს, რომ ძველი კრეტელების მეურნეობა მნიშვნელოვნად ყოფილა განვითარებული.

საერთოდ ცხადია, რომ საკუთარი დამწერლობისა და აღრიცხვის სისტემის შემოღებას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ძველი კრეტელების როგორც შინაგანი; ისე საგარეო, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობის განვითარებაში.

აქვე უნდა შევეხოთ ეგრეთ წოდებულ ფესტის დისკოს. ფესტის სასახლეში აღმოაჩინეს გამომწვარი თიხისაგან გაკეთებული

სურ. 14 ა. ფესტის დისკო (1750—1600 წწ.).

დისკო, რომელსაც ორივე მხარეს წარწერები აქვს. დამწერლობა სპირალის ფორმით მარჯვნიდან მარცხნისაკენ და კიდურებიდან ცენტრისაკენ მიემართება: სიტყვები ერთიმეორისაგან ვერტიკალური ხაზებითაა გაყოფილი და ორივე გვერდზე მოთავსებულია ხატოვანი დამწერლობა, რომელიც დღემდე ამოკითხული არ არის და მისი სადაურობის შესახებაც მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა[21].

კრეტა დიდადაა განთქმული თავისი იშვიათი ხელოვნებით. კრეტული ხელოვნება უდავოდ თავისებური იყო და საგრძნობლად განსხვავდებოდა ძველი სამყაროს სხვა ხალხთა იმ დროის ხელოვნებისაგან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ხელოვნების ძეგლები — ფრესკები, ქანდაკებები და მრავალფეროვანი კერამიკა. წინა პერიოდის კამარესის სტილის კერამიკაზე უკვე გვქონდა საუბარი და მისი დამახასიათებელი ძირითადი ხაზები მოკლედ უკვე გავითვალისწინეთ. გვიანმინოსურ პერიოდში კამარესის სტილის კერამიკას ცვლის სხვა სახის ვაზები. ეს ვაზები უკვე ნათელ ფონზეა მოხატული მიხაკისფერი საღებავით. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ასეთ ვაზებზე ვხედავთ უმთავრესად ზღვის ფლორის და ფაუნის იშვიათი რეალიზმით გადმოცემულ გამოსახულებებს: რვაფეხას, სიპინს, ზღვის ბალახს და სხვ. საერთოდ ნაცვლად კამარესის სტილის დეკორაციული ორნამენტიკისა, რომელიც ბუნების ნიმუშებში ეძიებდა მასალას და მისი ასახვის სიმშვენიერეს ფერების ჰარ-

მონიულ შეზავებაზე ამყარებდა, იწყება ახალი მიმართულება. მის მთავარ ამოცანად უნდა მივიჩნიოთ ბუნების სიცოცხლის დაუშრეტელი სიმდიდრისა და მის მოვლენათა დაუსრულებელი ცვალებადობის გადმოცემა არა სტატისტიკაში, არამედ დინამიკაში, ცოცხალ მოძრაობაში, ცხადია, ასეთი ცვლილება ხელოვნებაში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო კრეტის მოსახლეობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან.

სურ. 15. ვაზა რვაფეხათი გურნიიდან (დაახლ. ძვ. წ. 1400 წ.).

ახალი მიმართულების მხატვარი სინამდვილის წუთიერი ასახვით არ კმაყოფილდება და მთავარ გულისყურს მიაპყრობს საგნებისა და მოვლენებისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას. ამ მხრივ კრეტის წარმტაცი გაზაფხულის ყვავილები და ზღვის მცენარეები და ცხოველები შემოქმედისათვის ძვირფას მასალას იძლეოდა. დიდი ოსტატობით იწყეს ამ ცხოვრების ასახვა მოძრაობის მომენტში; მომხიბვლელ ფერადებში გადაშალეს ველი და ბაღი მისი დამატყვევებელი ყვავილებით, ზღვა და მის მცენარეთა შორის მცურავი თევზები და სიპინები, ნელი ქარისაგან შერხეული ფოთლები და ბუჩქები, ზეთის ხილის ხე და სხვ.

იმ დროის კრეტულ რელიეფებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთები, რომლებზეც ცხოველებია გამოსახული სხვადასხვა მდგომარეობაში. შემონახულია მოხატული რელიეფი გააფთრებული ხარისა, რომელიც იშვიათი სინამდვილით და ხელოვნებით არის შესრულებული.

კრეტის სახვითი ხელოვნების ერთ-ერთ დამახასიათებელ მომენტად ითვლება ფერწერისა და არქიტექტურის შეხამება. ამ მხრივ

კრეტამ ფრესკული ფერწერის მრავალი ძეგლი დაგვიტოვა. კნოსის სასახლეში დაცულია ერთი მშვენიერი სურათი: მუქლურჯ საღებავით გამოსახული ყმაწვილი კრეფს ბაღის კლდოვან ნიადაგზე გაფურჩქნულ ყვავილებს და ყალათაში აგროვებს. აგია-ტრიადის სასახლის ერთი სურათი ცოცხლად გვისურათებს კატას, რომელიც ნაირფეროვან ყვავილთა შორის მიმალულ ხოხობს ეპარება; მეორე სურათი ბაღში მოსეირნე ჭრელკაბიან მანდილოსანს განასახეირებს. კრეტის სურათებში უცხო და ფანტასტიკური ცხოველებიც გვხვდება. მაგ., კნოსის სასახლის სატახტო დარბაზის კედლის მხატვრობაში



სურ. 16. გააფთრებული ხარი. რესტავრაცია.

ბუჩქებს შორის ვხედავთ საოცარ ცხოველს, მეორე ადგილას ბუჩქნარში განაბულა პავიანი და სხვ.

ყურადღების ღირსია ის ფრესკები, რომლებშიც გაბატონებული საზოგადოების მდიდრული ცხოვრებაა გადმოცემული: მამაკაცებს ხარკის სახით ძვირფასი ჭურჭლეულობა მიაქვთ, სრულდება საკულტო სცენები, წარმოებს ხარების ბრძოლა, რომელიც კრეტაზე ძველი დროიდან უნდა ყოფილიყო შემოღებული. ბრძოლას აივნიდან თვალყურს ადევნებს მრავალი ქალი და კაცი და ა. შ.

უკვე ნათქვამი იყო, რომ კრეტაზე ქალს განსაკუთრებული როლი

ჰქონია მიკუთვნებული. ამას, სხვათა შორის, მრავალი ფრესკა გვიდასტურებს. ძვირფასია, მაგ., კნოსის ფრესკა, რომელიც სამეფო კარის ცისფერ ტანსაცმელში მოკაზმულ მანდილოსნებს გვისურათებს. გვაოცებს მათი თმის ვარცხნილობა, ღრმად ამოჭრილგულიანი, ვიწრო, წელზე შემოჭიმული კაბები, მიმზიდველი სახეები. კნოსის კედლების მეორე ფრესკაზე გამოსახულია ხარი, რომელსაც წინ და უკან უდგას ორი ქალი განსაკუთრებულ პოზაში. ალბათ, საქმე გვაქვს აკრობატ ქალებთან. არანაკლებ საყურადღებოა კნოსის მესამე ფრეს-

სურ. 17. სამეფო კარის მანდილოსნები ცისფერ ტანსაცმელში. კნოსის ფრესკა. რესტავრაცია.

კა, რომელზედაც წარმოდგენილია ქალიშვილის პორტრეტი: იგი გამოსახულია პროფილით მკერდამდე, ცხვირაწეული, ალისფერი ტუჩებით, ტალღისებრი თმით, ზურგზე დიდი ბაფთით. ჩანს ეს სურათი ნაჩქარევად არის შესრულებული, მაგრამ თამამად და მკაფიოდ. ამ სურათს მკვლევარებმა „პარიზელი ქალი" უწოდეს (სურ. 19). ეს სურათი იმ კომპოზიციის ნაწილია, რომელიც „დაწყობილი სკამების ფრესკების" სახელითაა ცნობილი: ვაჟები და ქალები წყვილ-წყვილად სხედან და ერთი მეორეს ჭურჭლებს აწვდიან.

ზოგიერთი მკვლევარი კრეტის ხელოვნების ძეგლების განხილვი-

სას ხაზს უსვამს ეგვიპტის ძლიერ ზეგავლენას. რა თქმა უნდა, იმ მჭიდრო ურთიერთობაში, რომელიც ეგვიპტესა და კრეტას შორის არსებობდა ადგილი ექნებოდა მათ ერთიმეორეზე კულტურულ ზეგავლენას. მაგრამ არ შეგვიძლია დავივიწყოთ მათ შორის აშკარა განსხვავებაც. ორსავე ხელოვნებაში სტილი სხვადასხვაგვარია და იმას, რასაც ერთი მეორისაგან სესხულობს თავის სტილს უფარდებს და თავისებურად გარდაქმნის. თუ ეგვიპტის ხელოვნება თითქოს შებოჭილი იყო და ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული ათასწლოვან ტრადიციასა და ტექნიკაში, რომელთა წესები და ფორმები ერთგვა-



სურ. 18. აკრობატული ვარჯიშობანი. კედლის ფრესკა კნოსიდან. რესტავრაცია.

რად მაინც უნდა დაეცვა, კრეტის ხელოვნება, პირიქით, ახალგაზრდულად გატაცებული და გამბედავი მოჩანს. იგი თამამ ამოცანებს ისახავდა, ცდილობდა შეუძლებელი შესაძლებლად გაეხადა. ძლიერად შეიგრძნობდა სტილს, მაგრამ ვერ ეგუებოდა შემოქმედებისათვის ძველი არტახებისა და საზღვრების დადებას. ამიტომ მას ზოგიერთ შემთხვევაში, თითქოს, დისციპლინა და თავშეკავება აკლდა, მაგრამ სამაგიეროდ იყო ლაღი, ნათელი და მხიარული[22].

კრეტაზე აღმოჩენილი ძეგლები საშუალებას გვაძლევენ ზოგადად მაინც წარმოვიდგინოთ ძველი კრეტელების სარწმუნოება, ამ მხრივ დიდად დაგვეხმარება კნოსის სასახლის ფრესკები. აგია-ტრიადის სარკოფაგის მხატვრობა, სხვადასხვა ფიგურა, ქანდაკება და ა. შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სანამ წერილობითი დოკუმენტები ხელთ არ გვექნება, კრეტის მითოლოგიისა და კულტურის მრავალი ბუნდოვანი საკითხის გარკვევა ძნელი იქნება.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კრეტაზე ეგვიპტისაგან განსხვავებით მონუმენტური სატაძრო შენობები და ქურუმთა ძლიერი წრე თითქოს არ არსებობდა. საყურადღებოა, რომ საკულტო წესებს აქ უმთავრესად ქალები ასრულებდნენ. ალბათ, კულტისათვის განკუთვნილი იყო კნოსის, აგია-ტრიადის და ფესტის სასახლეებში პატარა, ვიწრო და დაბალი ოთახები. ეს ოთახები ავსებული ყოფილა ყოველგვარი სახის საკრალური ნივთებით და შესაწირავით. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ოჯახის მამასახლისები, რომელნიც ქურუმის მოვალეობასაც ასრულებდნენ, ასეთ ნივთებს მორწმუნეთა წრეში აგროვებდნენ. თუ სპეციალური ტაძრები კრეტელებს, თითქოს, არ გააჩნდათ, სად ასრულებდნენ ისინი ღვთისმსახურებას? ალბათ, მთის მწვერვალებზე და გამოქვაბულებში, რომელთაგან ცნობილია პეტსოფის მწვერვალი, იუქტა, ლაზითის მთები, კამარისისა და არკალოხორის გამოქვაბულები. მათ გარდა ბევრ ადგილას არსებობდა ეგრეთ წოდებული „საღვთო უბნები", რომელთაც ჩვეულებრივად გარს რიყის ქვის გალავანი ერტყა.

კნოსის სასახლეში ორპირიან ცულს, რომელიც კრეტის კულტის ერთ-ერთ სიმბოლოდ ითვლებოდა, განსაკუთრებული დარბაზი ჰქონდა გამოყოფილი („ორპირიანი ცულის დარბაზი"). აგია-ტრიადის სარკოფაგის გამოხატულებაშიც მას შესამჩნევი ადგილი უკავია. ხშირად ორპირიანი ცული ხარის თავთან გვხვდება. ხარს კი კრეტელების სარწმუნოებაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნოდა. ორპირიანი ცულის მნიშვნელობის შესახებ ერთი შეთანხმებული შეხედულება არ არსებობს. მისი კავშირი ხარის თავთან, თითქოს, იმაზე მიგვითითებს, რომ ის იყო იარაღი, რომლითაც სამსხვერპლო ცხოველებს კლავდნენ და ამიტომ ის იმ ღვთაების სიმბოლო გახდა, რომლის კულტში მსხვერპლის შეწირვისას მას ხმარობდნენ. მეორე მხრივ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ორპირიანი ცული „ლაბრისი" სამეფო

ხელისუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა. ბერძნული ტერმინი — Λάβρυς თავისთავად უკავშირდება სიტყვა ლაბირინთს (λαβύρινθος)

სურ. 19. „პარიზელი ქალი“, ფრესკა კნოსიდან.

და ეს ტერმინი ისე უნდა გავიგოთ, რომ თავდაპირველად ის „ორპირიანი ცულის სამყოფელს“, ხოლო მეორე დახლართულ დიდ შენობას გამოხატავდა. ღმერთების ხატება დიდი კერპების სახით კრეტაზე, თითქოს, არ მოიპოვებოდა. სამაგიეროდ გვხვდება მრავალი პატარა ქანდაკი ქალღმერთისა. ასეთი კერპების უმრავლესობას ხელები ან გულზე აქვთ დაკრეფილი, ან მაღლა აწეული და ჩვეულებრივ გველები უჭირავთ.

ასეთი კერპების სიმრავლე და მათზე უმთავრესად ქალთა გამოსახულება გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს მდედრობით ღვთაებასთან, რომელთა მიმართ ხაზგასმითაა აღნიშნული დედობის იდეა. იმ დროის ადამიანი ბუნების მოვლენათა შეუჩერებელ ცვალებადობას, ცხოველთა და მცენარეთა სიცოცხლის წარმოშობასა და მოსპობას იმით ხსნიდა, რომ ყოველივე ამის მიზეზად უხილავ ზებუნებრივ ძალას აღიარებდა და მას უმთავრესად ქალღმერთის სახით წარმოიდგენდა. კნოსის ერთი პატარა ქანდაკი, რომელსაც არც თავი აქვს და არც ხელები, გვისახიერებს არა თვით ქალღმერთს, არამედ მისდამი შეწირულ ტანსაცმელს, რომელზეც აღნიშნულია სიცოცხლის მიმნიჭებელი თვისება: ის შედგება მოკლე სახელოებიანი კოფთისაგან, რომლის ქვემოთ ორ გრეხილადაა შემოვლებული ქამარი, ქვედატანს კი გავლებული აქვს მარაოს მსგავსი ჰორიზონტალური ზოლები; მისი წინაპირის თავისუფალ ნაწილში გამოსახულია ვაზა, რომლიდანაც მაღალღეროიანი ყვავილები ამოდის. ეს სურათი ქალღმერთის ნაყოფიერებისა და წარმოშობის თვისებას გვისახიერებს და „ილიადაში“ დასახელებულ peplos-ს მოგვაგონებს.

იმ მკვლევართ, რომლებიც მზად არიან ქალური ღმერთების კერპთა სიმრავლის გამო იმ დროის კრეტაზე მატრიარქატის არსებობაც

კი აღიარონ, უნდა მოვაგონოთ, რომ ანტიკურ სამყაროში ნაყოფიერებისა და ფორტუნა ქალღმერთის გამოსახულებანი ფრიად ხშირად გვხვდება. ახ. წ. II—III საუკუნის მონათმფლობელურ საქართველოშიც კი აღმოჩნდა არმაზისხევის არქეოლოგიური გათხრების დროს იშვიათი გამოსახულება ყანწიანი ქალისა, რომელსაც ყანწი სრულიად ძალდაუტანებლივ უჭირავს ხელში[23].

სურ. 20. ქალღმერთი ხელში გველებით.

კრეტის სარწმუნოებას ემჩნევა ხის კულტიც — დ ე ნ დ რ ო ლ ა ტ რ ი ა, მაგრამ კრეტელების სარწმუნოებაში უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაგიურ ცეკვას. მისი დანიშნულება ღმერთის გამოცხადების, მისი ეპიფანიის გამოწვევა უნდა ყოფილიყო. ამ სახის ძეგლებზე ვხედავთ ქალს, რომელსაც მარჯვენა ხელი მაღლა აქვს აწეული და ბუჩქებით გარშემორტყმული „საღვთო უბნის“ შუაგულში, კულტის ნაშენის წინ დგას და თვალმოუშორებლივ უმზერს მის თავზე ჰაერში მონავარდე ღვთაებას. მეორე ადგილას იგი საკურთხევლის წინაა და მას ევლინება ქალღმერთი, რომელსაც გვერდით ლომები უდგანან. მაგიური ცეკვის გათვალისწინების მხრივ ფრიად საყურადღებოა ისოპატის ბეჭდის სურათი. ცეკვას ასრულებს ოთხი ქალი, რომლებიც თავდავიწყებით იწვევენ ღვთაებას; სხეულის ზედა ნაწილი მათ შიშველი აქვთ, ხოლო გულ-მკერდი განსაკუთრებული სიცხადით გადმოცემული. ერთი მათგანი იწყებს ცეკვას, დანარჩენები მას მისდევენ. მათი გულ-მკერდი თითქოს ისევე ივსება გარემოცელ მცენარეთა ნაყოფიერი ძალით, როგორც ჯეჯილი მიწის მაცოცხლებელი წვენით.

მრავალ შემთხვევაში კრეტის ღმერთები ცხოველებთან არიან დაკავშირებული. უკანასკნელთ ისინი იმსახურებენ და მათში ააშკა-

რავებენ თავის მრავალსახეობას. კრეტის სარწმუნოებაში მსხვერპლის შეწირვას უდავოდ უნდა ჰქონდეს ადგილი, მაგრამ, ალბათ, მიცვალებულთა კულტში.

ის მედიდურობა, რომელიც კნოსის ახალი სასახლის პერიოდის ძეგლებზე გამოსახულ კრეტელებს ემჩნევათ თითქოს მათ დაცული აქვთ თავიანთი ღმერთების წინაშეც. ჩვეულებრივად კრეტელი ღვთაებას ან მაღლა აწეული მარჯვენა ხელით ესალმება, ან, როგორც მსახურს შეშვენის, ხელები გულზე აქვს დაკრეფილი; ძლიერ იშვიათად გვხვდება იგი მის წინ მუხლმოყრილი. სავარაუდოა, რომ



სურ. 21. კნოსის ფიგურა.

სურ. 22. ისოპატის ბეჭდის სურათი.

ღმერთების საპატივცემოდ, იმართებოდა საჯარო ცერემონიები და ასპარეზობანი, რომელთა დროს აწყობდნენ ტანვარჯიშში შეჯიბრებებს, მუშტიკრივებს, სამხედრო ტყვეთა და მონების ბრძოლას, ხარების ბრძოლას და სხვადასხვა წარმოდგენებს.

დასასრულ, შევჩერდეთ კრეტელების მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ თ ა კ უ ლ ტ ზ ე. როგორც ჩანს, მიცვალებულებს განხილულ დროს მოხრილ მდგომარეობაში მარხავდნენ და ზოგჯერ თიხის თაღოვან სახურავს აფარებდნენ. წარჩინებულ პირთათვის კი კლდის გამოჭრილ კამერებში ამზადებდნენ სამარხებს. მაგრამ შედარებით მდიდარი საფლავები თითქმის არ აღმოჩენილა. ყველაზე უფრო საყურადღებოა კნოსის ჩრდილოეთით ისოპატის გორაკზე აღმოჩენილი საფლავი, რომელიც მბრძანებელს უნდა ეკუთვნოდეს, იგი წარმოადგენს დიდ სწორკუთხოვან კამერას, რომელშიც გრძელ შესასვლელს შევყავართ.

აგია-ტრიადის თიხის სარკოფაგზე გადმოცემულია მიცვალებულის დამარხვის სცენები. მარჯვნივ ვხედავთ საფლავთან დაყენებულ მიცვალებულს, რომლის წინ ხე და სამსხვერპლო დგას და რომელთანაც სამ ადამიანს მიაქვს ნავი და მიყავს ორი ხბო. მარცხნით კი ქურუმი ქალი ჭურჭლიდან კასრში ასხამს მსხვერპლის სისხლს; კასრი მოთავსებულია ქვის სვეტებზე დამაგრებულ ორ საღვთო ორმაგ ცულს შორის. ცულებზე სხედან გუგულები. ქურუმი ქალის უკან მისი თანაშემწე ქალი მარცხენა მხარით მიეზიდება ორ კასრს; მას უკან მოსდევს ქალის ტანსაცმელში, გამოწყობილი ქნარზე დამკვრელი.

სარკოფაგის მეორე გვერდის მხატვრობაში შემდეგ სცენებს ვხედავთ: სამსხვერპლო მაგიდაზე დევს ფეხებშეკრული და ყელგამოჭრილი ხარი. რომლის სისხლი კასრში ჩაედინება; მაგიდის ქვეშ მოთავსებულია ორი ფეხებშეკრული თხა, რომლებიც სამსხვერპლოდ უნდა იყვნენ გამზადებული.

კრეტის კულტმა, რიტუალმა და სარწმუნოებრივმა გადმოცემებმა გავლენა მოახდინა მცირე აზიის ხალხების სარწმუნოებაზე და კერძოდ ბერძნების სარწმუნოებრივ სისტემაზე და მითოლოგიაზე. კრეტაზე აღმოჩენილ იქნა ისეთი გემები, რომლებზეც ვხედავთ ქალღმერთს, რომელსაც ხელი წაუვლია ვერძისთვის, ან კიდევ ზღვის ტალღებზე მდგომ ქალღმერთს ორივე ხელით დაუჭერია გედი. ქალღმერთის ასეთ განსახიერებაში უნდა შეეიცნოთ ნადირობის ღვთაება არტემიდა, რომელსაც ბერძნული კულტი და მითი ენერგიულ და უძლიერეს ქალღმერთად წარმოგვიდგენს. ფრიად საყურადღებოა, რომ მის გვერდით ვამჩნევთ ღმერთკაცს, რომელსაც ხელი ორი ლომისათვის ჩაუვლია. კნოსის ერთ ბეჭედზე იგი წარმოდგენილია მოსიარულად ცილინდრული ფარით, შუბითა და საომარი ქუდით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ომის ღმერთის გამოსახულებაა. აღმოჩენილი ქალღმერთის ფარის მსგავსი კერპები ბერძნულ ათენას წინამორბედ სახედ არის მიჩნეული[24]. გამოითქვა ისეთი მოსაზრებაც, რომ თვეების გამოანგარიშების სისტემის საერთო წყაროდ ყველა ბერძნულ პოლისში მინოსის ეპოქის კალენდარი უნდა მივიჩნიოთ.

კრეტის კულტურის გავლენას განიცდიდა როგორც ხმელეთის საბერძნეთი, ისე კუნძულები. მაგრამ ძვ. წ. XV საუკუნის დასასრულს თვით კრეტაზე თავი იჩინა მისი კულტურის განსაკუთრებულმა პერიოდმა. გარეგნულად, თითქოს, ყველაფერი უცვლელად ჩანდა, ცხოვრების ფორმები იგივე დარჩა, კნოსის სასახლე მრავალჯერ იქნა ნაწილობრივ გადაკეთებული, მაგრამ ამ პროცესმა, უწინარეს ყოვლი-

სა, თავი ხელოვნებაში იჩინა: მისი საღი და ცოცხალი განვითარება შეფერხდა, თამამი ძიება და შემოქმედება სტილიზაციითა და სქემატიზმით შეიცვალა, სინამდვილის შეგრძნობა და რეალისტური სტილი ფორმალურმა სტილმა შეცვალა. ცოცხლად გადმოცემული სურათების ადგილას ისეთი უგულო და მკვდარი მხატვრობა ჩნდება, რომელიც რამდენიმე უფერული ხაზით განისაზღვრება. ასეთ დაქვეითებას ააშკარავებს, მაგ., ჩვენს მიერ უკვე ხსენებული აგია-ტრიადის სარკოფაგის მხატვრობა და სურათი — ძროხა ხბოთი.

სურ. 23. აგია-ტრიადის თიხის სარკოფაგი.

ეგრეთ წოდებული „სასახლის სტილის" ამფორების მოხატულობაში უკვე უარყოფილია ბუნების მოვლენათა რეალისტური გადმოცემა და მცენარეები, ყვავილები, კლდეები, მარჯნები სქემატურად სტილიზებულია. ჩნდება ახალი დეკორაციული ელემენტები — ხუროთმოძღვრული მოტივები. საღებავთა წარმტაცი მრავალფეროვნება ქრება, ჩნდება ახალი ფორმის ჭურჭლეულობა. მართალია, სასახლეები ამ ხანაშიც ბრწყინვალებითა და მედიდურობით გამოიყურება და საერთოდ იმ დროს გაბატონებული წრეების ცხოვრებაც თვალსა გვჭრის თითქოს თავისი გარეგნული ეფექტიანობით და ბზინვარებით, მაგრამ დაკვირვება გვარწმუნებს ასეთი მოვლენის ერთგვარ გადაგვარებაში (კრეტულ და მიკენურ ხელოვნებაზე — Richard Hamann, Geschichte der Kunst, B. 1, Berlin, 1957, S. 429 ff).

4. კრეტის ძლიერების დაცემა; კრეტული კულტურის შემქმნელი ტომების საკითხი; ვინ იყო მინოსი?

დღეს ისტორიოგრაფიაში განმტკიცებულია ის შეხედულება, რომლის თანახმად კრეტის ძლიერებას ძვ. წ. XV საუკუნის მეორე ნახევარში ბოლო მოუღო პელოპონესიდან გადმოსახლებულმა ბერძნულმა ტომმა — აქეელებმა. ზოგიერთი მკვლევარი იმაშიც კი გვარწმუნებს, თითქოს აქეელების შესევა კრეტაზე მოგვაგონებს არგონავტების თქმულების იმ ნაწილს, რომელშიც გადმოცემულია კრე-



სურ. 24. ძროხა ხბოთი.

ტაზე არგონავტების ყოფნა და მედეას თილისმით კუნძულის სპილენძის გოლიათის მოსპობა. მაგრამ ასეთ უსაფუძვლო ვარაუდს რომ გვერდი ავუხვიოთ, მაინც თავისთავად იბადება კითხვა, ვინ შექმნა და განავითარა კრეტის მაღალი კულტურა? ამ საკითხის გარშემო დღემდე ძირითადად ორი თეორიაა წამოყენებული: ერთი გვიმტკიცებს, რომ ოდინდელი კრეტის და საერთოდ საბერძნეთის მოსახლეობას არ წარმოადგენდნენ ბერძნები და არც ბერძნების მონათესავე ტომები, რომ ეგეოსის რაიონის ონომასტიკონისა და ტოპონიმიკის

დიდი ნაწილი ბერძნული ენის საფუძველზე ვერ პოულობენ ახსნა-განმარტებას, რომ ბერძნულ ენაში რელიქტების სახით შემონახულია არაინდოევროპული წარმომავლობის ისეთი სიტყვები და ძირები, რომლებიც წინაბერძნული (პელასგური) მოსახლეობიდან უნდა მომდინარეობდნენ. მოკლედ, კრეტის კულტურის შემქმნელად ბერძნულ მოსახლეობას ვერ ჩავთვლით*. ამის საწინააღმდეგოდ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოითქვა ასეთი მოსაზრება: „უფრო სარწმუნოა, რომ კრეტელები ერთ-ერთი ელინური ტომთაგანია. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის, რომ „ოდისეაში" კრეტელები ჩვეულებრივად ბერძენთა შორის იხსენიებიან. განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი XIX სიმღერის 175—177 ტაეპები. სადაც „ეტეოკრეტელები", ნამდვილი კრეტელები, სხვა ბერძნულ ტომებთან ერთად არიან ჩამოთვლილი — დორიელებთან და აქეველებთან. ბერძენი ისტორიკოსები თუკიდიდე და დიოდორე კრეტელებს აგრეთვე ელინებად თვლიდნენ. ანტიკური ტრადიციის ეს მოწმობა მტკიცდება რიგ სწავლულ-ფილოლოგთა უახლესი ნაშრომებით. რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ეგრეთ წოდებული „A" ხაზოვანი დამწერლობის საშუალებით შედგენილი კრეტის უძველესი წარწერები დაწერილი იყო ბერძნული ენის ერთ ადრინდელ დიალექტზე. კრეტელების განცალკევებულობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ კრეტაზე მცხოვრები ტომები ფრიად ადრე გამოეყვნენ სხვა ბერძნებს და, ახლო ურთიერთობა ჰქონდათ რა ეგვიპტისა და წინა აზიის სხვა ხალხებთან, ერთგვარად მათ ზეგავლენას განიცდიდნენ".

რაც შეეხება წინაბერძნულ-პელასგურ მოსახლეობას, იქვე ნათქვამია: „თვითონ ბერძნებს ახსოვდათ ის, რომ მათი ქვეყნის უძველესი მოსახლეობა — პელასგები, როგორც მათ ბერძნული წყაროები უწოდებენ, მათი ახლო მონათესავე ტომთაგანნი იყვნენ" (**История древней Греции, 1962, გვ. 88, 100**).

სამწუხაროდ, დღემდე ეს საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. თუ B ხაზოვანი დამწერლობის ამოშიფვრამ დაამტკიცა, რომ ის ბერძნული ენის კვიპროსულ-არკადიული დიალექტის უძველეს ფორმას წარმოადგენს და ამით მიკენის კულტურის მატარებლების აქეველების ელინობა ეჭვს გარეშე წარმოგვიდგინა, სულ სხვა მდგომარეობაა წინა ბერძნული მოსახლეობის დადგენის დარგში, ვიდრე არ იქნება ამოკითხული ხატოვანი და A ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშები.

---

* უკანასკნელ დროს ამ საკითხზე ჩვენში ყურადღება გაამახვილა ა კ. ურუშაძემ თავის სადოქტორო დისერტაციაში „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში", თბ., 1964.

ხშირად პელასგებს ეტრუსკებთან აიგივებენ, ხოლო ცნობილია, რომ ეტრუსკული მრავალრიცხოვანი წარწერები ფონეტიკურად თავისუფლად იკითხება, მაგრამ გაგებისათვის შედარებით მცირე ნაწილია მისაწვდომი და დღემდე ეტრუსკული ენის წარმომაელობა კვლავ ამოცანას წარმოადგენს. მართალია, ეტრუსკოლოგიის ინსტიტუტის ცნობილმა ხელმძღვანელმა პროფ. პალტინომ ამას წინათ აღმოაჩინა ორენიანი წარწერა ეტრუსკულ და პუნიურ ენებზე და განაცხადა. რომ მოიპოვა ეტრუსკული პრობლემის გასაღები, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ მოლოდინში ვიმყოფებით[21].

ისტორიოგრაფიაში ცალკე დაისვა, აგრეთვე, მინოსის ვინაობის საკითხი: ვინ იყო იგი, ადგილობრივი კრეტული დინასტიის წარმომადგენელი, თუ ელინი? ზოგიერთმა მკვლევარმა, განსაკუთრებით აკად. ვ. ს ტ რ უ ვ ე მ ყურადღება მიაქცია ძველი ბერძენი ისტორიკოსების ნათქვამებს მინოსის შესახებ, უმეტესად დიოდორე სიცილიელის ცნობილ სიტყვებს: „მინოსი იყო პირველი ელინთაგანი, რომელიც ზღვაზე ბატონობდა“ (IV, 60) და „მაშინ, როცა მინოსი, ელინთაგან პირველი ზღვაზე ბატონობდა“ (V, 54, 4) და ასეთი საერთო დებულება წამოაყენა: „იმას რომ მინოსი დაკავშირებული იყო კრეტის ისტორიის ბერძნულ ეპოქასთან, გვიმოწმებს ის ფაქტიც, რომ ის მთლიანად შევიდა ბერძნულ ეპოსში...“ (პენდლბერის ნაშრომის— **Археология Крита** — რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში, გვ. 17).

ეგეოსის კულტურის შემდგომ გაგრძელებას წარმოადგენს ეგრეთ წოდებული მიკენის კულტურა, რომლის მატარებლებად, როგორც ნათქვამი იყო, აქეელებია მიჩნეული და ამ პერიოდს სამართლიანად ეწოდება ძველი საბერძნეთის ისტორიაში აქეელთა პერიოდი. კრეტის კულტურის ევანსისებური ქრონოლოგიური პერიოდიზაციის ანალოგიით შემოღებულ იქნა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და ეგეოსის კუნძულებზე აღმოჩენილი ძეგლების პერიოდიზაციაც:

1. ა დ რ ე ე ლ ა დ უ რ ი პ ე რ ი ო დ ი (3000—2000), რომელიც ნივთიერი კულტურის დაბალი დონით ხასიათდება და პირველყოფილ თემურ წყობილებას შეესაბამება. მხოლოდ ამ პერიოდის დასასრულს ჩნდება ბრინჯაოს და ვერცხლის ნახელავები.

2. შ უ ა ე ლ ა დ უ რ ი პ ე რ ი ო დ ი (2000—1700), როცა საბერძნეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ჩრდილოეთელი ტომების შემოჭრა და ხდება ადრე ელადურ დასახლებათა განადგურება და ახლების წარმოქმნა. შემოჭრილი ტომები უკვე იცნობდნენ ლითონის დამუშავებასა და კერამიკაში სამეთუნეო წრის გამოყენებას. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

3. გვიან ელადური პერიოდი (1700—1200), რომელიც ხმელეთის საბერძნეთში აღმოჩენილი შესანიშნავი მიკენური ძეგლებით ხასიათდება. ამ ძეგლებს შორის უძველესია მაღაროვანი სამარხები მათში ჩატანებული მდიდარი ინვენტარით. ძვ. წ. XV საუკუნეს კი მიეკუთვნებიან სამარხი კამერები დრომოსებით და გუმბათოვანი აკლდამები. ძვ. წ. XIV საუკუნეში წარმოიქმნებიან ციხე-სიმაგრეები და სასახლეები, რომლებიც არსებობენ XIII საუკუნის ბოლომდე, ვიდრე ჩრდილოეთიდან გადმოსული ბერძენი ტომი — დორიელები არ შეესიენ შუა საბერძნეთსა და პელოპონესს და არ გაანადგურეს მიკენის კულტურის ძირითადი ცენტრები (მოცემულია სერგეევით): არგოსი, მიკენი, ტირინთი, პილოსი და სხვ.

5. არგოლიდა და მიკენი

როგორც უკვე აღვნიშნეთ ბერძნული ეპოსის „ოქროთი სავსე" მიკენი მდებარეობდა პელოპონესის მხარე არგოლიდაში. ეს მხარე დღესაც განსაკუთრებულად მშრალია და უნაყოფო. მიწათმოქმედებისათვის გამოსადეგი იყო მხოლოდ ბარი მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აქ მდებარეობდნენ ცნობილი ქალაქები — არგოსი, ტირინთი და მიკენი. თავისი მდებარეობით მიკენი ფრიად ხელსაყრელი პირობებით განირჩეოდა. ბერძნული ტრადიცია მიკენს მდიდარ და ძლიერ ქალაქად გვიხასიათებს. იგი გვევლინება ხმელეთის საბერძნეთში წარმოქმნილი მაღალი კულტურის ერთ-ერთ განთქმულ ცენტრად, და ეს კულტურა სწორედ მისი სახელით გახდა ცნობილი.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, არტურ ევანსმა კრეტაზე თავისი დიდი არქეოლოგიური აღმოჩენების ზეგავლენით მიკენის კულტურა მინოსის კულტურის მხოლოდ განშტოებად აღიარა. ეს შეხედულება გაბატონებული იყო მკვლევართა წრეში და უკანასკნელ დრომდე მიკენის ეპოქა კრეტის კულტურის უშუალო გაგრძელებად ითვლებოდა. მაგრამ უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა მონაცემებმა ცხადყო, რომ მიკენის კულტურა საკმაოდ თავისთავადი იყო, რომ მან განვლო დამოუკიდებელი განვითარების გრძელი გზა და მხოლოდ განსაზღვრულ პერიოდში განიცადა კრეტის კულტურის ზეგავლენაც და ისიც უმთავრესად ხელოვნების დარგში. ამ საკითხზე დამარწმუნებელი მოსაზრებები გამოთქვა რიხარდ ჰამანმა 1957 წელს გამოცემულ ნაშრომში (Richard Hamann, Geschicte der Kunst, B. 1). მისი სიტყვით, მიკენის კულტურამ აყვავება მაშინ

დაიწყო, როცა კრეტაზე მინოსის კულტურამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. თავისი ხელოვნება მიკენმაც იმავე საფუძველზე ააგო, რომლებიც აგრეთვე მინოსის ხელოვნების წანამძღვრები იყვნენ. მაგრამ მისი ორნამენტიკის გეომეტრიული ხასიათი მაინც თვალში გვხვდება. ხოლო შემდგომ, როცა აქეელები პოლიტიკურად გაბატონდნენ, სხვა სახისა და გაქანების მინოსური ხელოვნება მზარდ მოწონებას პოულობს გაბატონებულ ხალხში — აქეელებში. ასე მიიღო გვიან მინოსურმა ხელოვნებამ თავის სასახლის სტილთან ერთად ფორმა, რომელშიც აქეელთა მატერიკი მინოსის კულტურაში მონაწილეობას იწყებს. მაგრამ ვინაიდან წინა მიკენური ხელოვნება, ერთი მხრივ, მრავალად ფლობს მათემატიკურ აბსტრაქციებს, რაც სასახლის სტილის გათიშვას უწყობს ხელს; მეორე მხრივ კი, მიკენური ხელოვნება ხაზებით გარკვეულ ხელმძღვანელობასა და მტკიცე ჩამოყალიბებისადმი სვლას ამჟღავნებს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ფორმის განმტკიცებაში მამაცი, მეომარი დამპყრობელი ხალხის ქმედითი სულისკვეთება ჩანს და, ამრიგად, მინოსური ხელოვნების გაფართოება და განვითარება კრეტის ბრწყინვალე კულტურისა და აქეელთა სულისკვეთების ურთიერთმოქმედებას ემყარება (გვ. 439).

ახალმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა გააფართოეს წინანდელი წარმოდგენა მიკენის სამყაროს საზღვრების შესახებ და მეტი სინათლე შეიტანეს მისი კულტურის ცენტრების შორეული წარსულის შეცნობის საქმეში.

მიკენის ეპოქის შესწავლის ერთ-ერთ წყაროს არქეოლოგიურ ძეგლებთან ერთად წარმოადგენს ჰომეროსის პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“[24ბ]. ღრმა ხალხურ სათავეებზე დამყარებული ეს პოემები საყურადღებო მოგონებებს შეიცავენ საბერძნეთის არა მარტო XI—VIII საუკუნეთა ეპოქისას, არამედ ნაწილობრივ მიკენის პერიოდისასაც. მიუხედავად იმისა, რომ ჰომეროსის საკითხს ფრიად ხანგრძლივად არკვევდნენ და დღესაც იკვლევენ გამოჩენილი მკვლევარები, დღემდე ეპოსში დამაკმაყოფილებლად არ არის დადგენილი და გამოყოფილი ადრინდელი და გვიანდელი დანაშრევი. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მკვლევარმა, რომელიც საბერძნეთის ისტორიის უძველეს პერიოდს იკვლევს. უდავოა, რომ მნიშვნელოვანი ბერძნული მითები, რომლებიც პოეტმა ეპოსში შეიტანა, დაკავშირებულია იმ ადგილებთან და მოსახლეობასთან, რომლებიც მიკენის ეპოქის ცენტრებად ითვლებოდნენ. მართალია, მერმინდელ ხანაში ზოგიერთმა ასეთმა ადგილმა (მაგ.: მიკენმა, ტირინთმა, პილოსმა) დაკარგა თითქმის ყოველგვარი მნიშვნელობა, მაგრამ თქმულებებში დიდხანს ცოცხლობდა. რაც

უფრო მნიშვნელოვანი იყო ესა თუ ის ცენტრი, მით უფრო მეტი მითი იქმნებოდა მის გარშემო. ამიტომაც შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ ბერძნულ გმირულ თქმულებათა ძირითადი ბირთვის ისტორიულ ფუძეს მიკენური ეპოქა წარმოადგენს და ეს თქმულებები მითოლოგიზებული ისტორიის ბევრ ელემენტს შეიცავს[25]. ისტორიკოსის მოვალეობაც სწორედ ის არის, რომ ეს ელემენტები საფუძვლიანად გამოყოს და გამოიყენოს ამ ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ისტორიის გასაშუქებლად. ეს კი ჰომეროსის პოემების ყოველმხრივი გამოკვლევის მიუხედავად, არსებულ მდგომარეობაში ადვილი საქმე არ არის.

სურ. 25. მიკენის ოქროს ნიღაბი.

ამ პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხმელეთის საბერძნეთის შესამჩნევ ადგილს პელოპონესის მხარე, არგოლიდა, წარმოადგენდა.

აქ, მიკენში, ეპოსის მიხედვით, მბრძანებლობდა ატრიდების გვარი, რომელსაც ეკუთვნოდა აგამემნონი. მიკენის აკროპოლისი მაღალ კლდეზე ყოფილა გაშენებული, ხოლო მის ძირში, ალბათ, ბინადრობდა დაქვემდებარებული მოსახლეობა. „ოქროთი მდიდარ“ მიკენს ჰომეროსი „განიერ ქუჩებიანს“ უწოდებს. ის წარმოდგენილია ძლიერი და მდიდარი სამეფოს ბრწყინვალე ქალაქად. ნათქვამი იყო, რომ ბერძნულ თქმულებებში მიკენი დიდი ტრაგედიის ადგილად ითვლებოდა. მისი ადგილ-მდებარეობისა და ნანგრევების შესახებ საყურადღებო ცნობები შემოგვინახა II საუკუნის მწერალმა და მოგზაურმა პავსანიასმა შრომაში — „ელადის აღწერილობა“ (Περιήγεσις τῆς Ἑλλάδος): არგოსის მცხოვრებლებმა მიკენი შურით დაანგრიეს... მაგრამ ქალაქის კედლის ნაწილი დღემდე არსებობს. დაცულია ლომებით შემკული ჭიშკარიც; გადმოცემის თანახმად ის ციკლოპების ნამუშევარიაო... მიკენის ნანგრევთა შორის მდებარეობს ატრევსისა და მისი შვილების მიწისქვეშა ნაგებობანი; იქ მოთავსებულია მათი განძები; არის ატრევსის სამარხიც და ყველა მათი სამაროვანი, ვინც აგამემნონთან ერთად იქნა მოკლული ეგისთეს მიერ მათი ილიონიდან დაბრუნების შემდეგო. ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ

პავსანიასის დროს მიკენის ზოგიერთი ძეგლი ჯერ კიდევ ცნობილი ყოფილა.

მიკენში განათხარ ძეგლთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მაღაროვანი და გუმბათოვანი სამარხები. მაღაროვანი სამარხები უფრო ადრინდელია, ვიდრე გუმბათოვანი. მაღაროვან სამარხებს სწორკუთხოვანი ჭების ფორმა ჰქონიათ. მათში აღმოჩნდა ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის უამრავი ნივთი; დიადემები, თასები. მახვილები, სატევრები, ალებასტრის ჭურჭლეული და სხვ. ამ დროიდან შემონახულია აგრეთვე ოქროს ნიღბები, რომლებზედაც ცხადად არის აღბეჭდილი მიცვალებულთა სახის ნაკვთები.

1952 წელს მიკენის ეგრეთ წოდებულ „გ" მაღაროვან სამარხში კვლავ აღმოაჩინეს ნიღაბი. საყურადღებოა, რომ სხვაგან ეგეოსის სამყაროში მსგავსი რამ არ აღმოჩენილა.

სამარხების მიწაყრილში აღმოჩნდა მსხვერპლად შეწირულ ცხოველთა ძვლები და ჭურჭლის მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები. საფლავის ქვების რელიეფები თავდაპირველად პრიმიტიული შესრულების ხასიათს ატარებდნენ. ადგილობრივი ხელოსნების ნამუშევარს უნდა წარმოადგენდეს საომარი ეტლი გაჭენებული ცხენით მასზე მდგომი მეომარი და მსახური მახვილით ხელში. ყოველივე ეს სრული უბადრუკობითაა შესრულებული. მათ შორის გამოირჩევა ერთი რელიეფი, რომელიც, ალბათ, კრეტული გავლენის შედეგია; მასზე მეომარი უფრო კარგადაა აღბეჭდილი; ცხენს, რომელიც ფარზე გამოსახულ კაცს თავზე ახტება, ოთხი ფეხი აქვს და არა ორი, როგორც სხვებზე. მის ქვემოთ გამოხატულია ლომი, რომელიც გამალებით მისდევს გარეულ მხეცს. სატევრის ორსავე გვერდზე გამოსახულია ნილოსის მცენარეები და ცხოველები: წყალში ცურავენ თევზები, ნაპირზე კი დგას პაპირუსის ბუჩქები, რომლებშიც გარეული კატები იხვებს დასდევნებიან. სპეციალისტების დასკვნით, ეს სატევარი მიკენში გარედან კი არ არის შემოტანილი, არამედ ადგილობრივი ოსტატის მიერ უნდა იყოს დამზადებული.

ამავე ხანებში კრეტულ ჭურჭლეულთან ერთად ვითარდება საკუთარი მიკენური მოხატული კერამიკა.

საერთოდ, ამ ხანაში მიკენის ხელოვნება კრეტის უდავო გავლენას განიცდიდა. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს მიკენში აღმოჩენილი საუცხოოდ შესრულებული სასმელი ჭურჭელი (რიტონი), რომელსაც ოქროსრქებიანი ხარის თავის ფორმა აქვს. მაღაროვან სამარხებში აღმოჩენილი ნივთების ნაწილი, ალბათ, გარედანაა შემოტანილი. ასეთებად უნდა ჩავთვალოთ სპილოს ძვლის ნაკეთობანი, ქვები პატიოსანნი, სირაქლემას კვერცხი და ა. შ. მათვე უნდა მივა-

კუთვნოთ ის საგნები, რომლებზეც ამოჭრილია ახალი სამეფოს ეგვიპტელი ფარაონების სახელები.

მიკენის ხელოვნების თავისთავადობა ცხადად გუმბათოვანი სამარხების აღნაგობასა და მოკაზმულობაში გვევლინება. ნათქვამი იყო, რომ გუმბათოვანი სამარხები უფრო მერმინდელ დროს ეკუთვნიან, ვიდრე მაღაროვანნი. მათი დრო მიკენის კულტურის აყვავების



სურ. 26. „ატრევსის საგანძური".

ხანას გულისხმობს. ამ ხანაში, როგორც ჩანს, მიკენის არისტოკრატია კლდის ფოსოებში აწყობდა საგვარეულო აკლდამებს. ისინი წარმოადგენდნენ სწორკუთხედად აგებულ სენაკებს. თითოეულ მათგანს ცალკეული შესასვლელი ჰქონდა, რომელსაც, როცა სამარხი უკვე საჭირო აღარ იყო, მიწით ავსებდნენ და ქვის ლოდით ხურავდნენ. მიცვალებულ მბრძანებელთათვის კლდეში ჯერ დიდ ხელოვნურ გამოქვაბულს გამოკვეთავდნენ ხოლმე და შერე მაგარ მრგვალ სადგომს ამზადებდნენ, რომელიც თავში სკის მსგავსი თაღით მთავრდებოდა, ისე რომ მისი დახურვა ერთი ქვით შეიძლებოდა; შემდგომ ამისა, ზემოდან მიწას აყრიდნენ და ტოვებდნენ კლდეში გამოჭრილ შესასვლელს (დრომოსს). ამ აკლდამების აღნაგობის ტექნიკა და მხატვრობა ფრიად გაუმჯობესებულია მაღაროვან სამარხებთან შედარებით.

განსაკუთრებით საყურადღებოა შეცდომით „ატრევსის საგანძურად" წოდებული აკლდამა, ვინაიდან ის აგებულ იქნა ატრევსის ცხოვრებამდე 90 წლით ადრე.

ამ გუმბათოვანი აკლდამის კედლები შემკულია ბრიჯაოს ვარდულებით: გვამებისათვის მიშენებულია მრავალკუთხოვანი კამერა და

მისი მთავარი ნაწილი, ვფიქრობთ, ღვთისმსახურებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. შესასვლელი კარები დეკორაციითაა შემკული. უფრო მერმინდელი დროის უნდა იყოს „ლომებიანი ჭიშკარის“ მახლობლად აღმოჩენილი სამარხი, რომელსაც „კლიტემნესტრას საფლავს“ უწოდებენ. 1939 წელს მიკენში წარმოებული გათხრები „ატრევსის საგანძურსაც“ შეეხო და მისი აგების თარიღად მიაჩნ. ძვ. წ. 1350 წელი მიიჩნიეს. გუმბათოვანი სამარხები, როგორც იყო ნათქვამი, თავისებურ საგვარეულო სამაროვანს წარმოადგენდნენ. მიკენის მახლობლად ბერბატში, რომელიც ძველ პროსიმნასთან უნდა იქნეს გაიგივებული, 1935 წელს შვეციის არქეოლოგების მიერ გათხრილ იქნა გუმბათოვანი დასაკრძალავი კამერა, რომელშიც აღმოჩნდა დიდი ლამაზი ჭურჭლების — პითოსების მთელი კოლექცია. ხოლო მის მახლობლად — კიდევ რამდენიმე ასეთი კამერა, რომელშიც დაცული იყო მიკენის ეპოქის ჭურჭლების მთელი სერია.

ასეთი აკლდამები ხმელეთის საბერძნეთის სხვა ადგილებშიც აღმოჩნდა. დავასახელებთ ორიოდე მაგალითს. ორქომენში (ბეოტიაში) გათხრილ იქნა დიდი გუმბათოვანი აკლდამა, რომელიც ნაგებობით და სიდიდით „ატრევსის საგანძურის“ მსგავსია, მაგრამ სჯობნის მას. დასაკრძალავი კამერის ჭერი უფრო ძვირფასადაა შემკული. ორქომენის ეს აკლდამა „მინიასის საგანძურის“ სახელწოდებითაა ცნობილი. უფრო გარკვეულად ჩანს საგვარეულო სამაროვანის კვალი 1951 წელს ათენში არესის ტაძრის მახლობლად აღმოჩენილ საფლავში: მასში გაარჩიეს ცამეტი გვამის ნეშტი, ალბათ, ისეთი ადამიანებისა, რომლებიც ერთ გვარს ეკუთვნოდნენ და სამი საუკუნის განმავლობაში სარგებლობდნენ ამ განსასვენებლით.

უკანასკნელ მახლობელ წლებში განათხარი მაღაროვანი სამარხები, როგორც აღვნიშნეთ, მდიდარი ყოფილა ხელოვნების საუკეთესო ძეგლებით, მათ ათარიღებენ 1650—1500 წლებით.

გრანდიოზული იყო მიკენის სასახლეც, რომელიც თავისებურად განსხვავდება კრეტულ სასახლეებისაგან. მიკენის აკროპოლისის კედლები ისეთი უზარმაზარი ქვებისაგან ყოფილა აშენებული, რომ ძველადვე გაოცებას იწვევდა და ციკლოპების მიერ აგებულად ითვლებოდა. ტერმინი „ციკლოპური ნაგებობანი“ თავდაპირველად უკვე ხსენებულ პავსანიასს შემოუღია. მისი წარმოდგენით, ისეთი დიდი ლოდების მოგროვება და მშენებლობისათვის გამოყენება შეეძლოთ არა ადამიანებს, არამედ ცალთვალა დევებს — ციკლოპებს. მიკენის სასახლის მთავარი ჭიშკრის ნალზე დებულა ვეებერთელა ძელი, რომლის ზემოთ, სიმძიმის შესამსუბუქებლად, დაუტოვებიათ სამკუთხოვანი ადგილი; მასში ჩაუტანებიათ თხელი ფილაქვა რელი-

ეფით. რელიეფი გამოსახავდა ორ ლომს, რომელთაც აწეული წინა თათები დასაყრდენზე აქვს დადებული. შესაძლებელია, ეს რელიეფი მიკენის მბრძანებლის სიმბოლოს წარმოადგენდა. მიკენის სასახლისაგან დაცულია მხოლოდ მთავარი ნაწილი. მაგრამ შესაძლებელია მის ნანგრევთა შორის გადარჩენილი ფრესკების აღდგენა. ამ ფრესკებით შემკობილი უნდა ყოფილიყო სასახლის კედლები. მათში უმეტეს ნაწილად გადმოცემულია ომისა და ნადირობის სცენები, სამხედრო ბანაკი და ა. შ.

სურ. 27. ქალი ძვლის კოლოფით. ტირინთის ფრესკა.

მიკენის სამხრეთ-აღმოსავლეთით ციცაბო კლდეზე დგას ნანგრევები, რომლებიც ტირინთის ნაშთებს წარმოადგენს. პავსანიასის დროს მისგან აღარაფერი ყოფილა დარჩენილი, გარდა კედლებისა, რომლებიც გადმოცემის თანახმად, აგრეთვე ციკლოპების მიერ ისეთი დიდი ქვებისაგან ყოფილა აგებული, რომ მათგან უმცირესსაც კი ორი ჯორიც ვერ დაძრავდაო ადგილიდან. პავსანიასი გვარწმუნებს, რომ ტირინთის კედლები არა ნაკლები გაკვირვების ღირსია, ვიდრე ეგვიპტის პირამიდები.

ტირინთის მთელი გორაკი, ქვედა სიმაგრის ჩათვლით, გარემოცული ყოფილა დიდი გალავნით, რომლის კაზემატები მიკენურ ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად ითვლება. რამდენადაც არსებული მასალა ნებას გვაძლევს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ტირინთის სასახლე კრეტის შენობებისაგან განსხვავებული ტიპისა უნდა ყოფილიყო. სასახლის მთავარ ნაწილში მდებარეობდა ოთხი სვეტით მოცული კერა. მეგარონის კედლის მხატვრობა ქალთა პროცესიებსა და ნადირობას გამოხატავდა.

მეგარონის გარშემო მოთავსებული ყოფილა სხვადასხვა სადგომი, ალბათ, მბრძანებლის ნათესავებისა და მოლაშქრეთა ბინები და მარაგის შესანახავი პუნქტები. ტირინთის ქვედა სიმაგრე შეიძლება ომიანობის დროს ადამიანთა და ცხოველთა თავშესაფარს წარმოადგენდა. სასახლის ფარგლებში იყო საგვარეულო აკლდამაც.

მიკენისა და ტირინთის სასახლეთა სიდიდე, სიმდიდრე და მოკაზმულობა თავიდანვე გვაიძულებდა გვეფიქრა, რომ მათ აგებას დიდი დრო და შრომა დასჭირდებოდა; რომ მათ აშენებაზე ფართოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული დამოკიდებული მოსახლეობის შრომა. ასეთი ვარაუდი გაამართლა პილოსის წერილობითმა ძეგლებმა.

სურ. 28. მიკენის ვაზები.

მიკენურ სასახლეთა კედლების მოხატულობა, ვაზების, თასების, ხანჯლების სურათები კარგ მასალას გვაწვდიან მიკენის ეპოქის საზოგადოების შეცნობისათვის. მათ მიხედვით, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ მიკენის მბრძანებლებისა და მათი ლაშქრის ცხოვრებაში დიდი ადგილი ომს ეკუთვნოდა. ზოგჯერ ისინი აწყობდნენ ყაჩაღურ თავდასხმებს სხვადასხვა მხარეზე, ლითონების, ადამიანების საქონლისა და მიწების მიტაცების მიზნით. ამის საილუსტრაციო მასალა ბლომად მოიპოვება ეპოსშიც. ამ ძეგლების თანახმად მიკენელ ბერძ-

ნებს ჰქონიათ როგორც თავდაცვითი, ისე შეტევითი იარაღი. პირველთ მიეკუთვნება ვეებერთელა ფარი. როგორც ჩანს, მას აკეთებდნენ ერთიმეორეზე დამაგრებული სქელი ტყავისაგან. იგი მეომარს ფეხებამდე ფარავდა. ფარს მიბმული ჰქონია თასმა, რომლის მეოხებითაც მეომარი მას კისერზე და მხრებზე იმაგრებდა. ფარს მერე ლითონებისაგანაც ამზადებდნენ და მის ზედაპირს სხვადასხვა სახეებით ამკობდნენ. აქ თავისთავად გვაგონდება ჰომეროსის მიერ აქილევსის ფარის აღწერილობა „ილიადას" მეთვრამეტე სიმღერაში, თუმცა ეს ფარი მის დროს უკვე აღარ შეესაბამებოდა. ფარი თითქოს დაუმზადებია მჭედლების ღმერთს ჰეფესტოს. აქილევსის დედის თხოვნით. ის ყოფილა „ფეხებამდე დაშვებული" (ποδηνεκής), „კაცის გარემომცველი" (ἀμφίβροτος), „ხარის შვიდი ტყავისაგან შეკრული" (ἑπταβόειος). მიკენელი მეომარი თავს მუზარადით იფარავდა, რომელსაც წინ ორი რქა ჰქონდა გაკეთებული. შესაძლებელია, მათ მტრისა და ავი სულების საწინააღმდეგო მაგიურ თვისებებსაც მიაწერდნენ. ამ შემთხვევაშიც გვაგონდება ის მუზარადი, რომელიც დაწვრილებით აგვიწერა ჰომეროსმა (Od., X, 261—265). ეს მიკენური მუზარადი, როგორც ვიცით, გარეული ღორის ეშვებისაგან იყო გაკეთებული და ჰომეროსის დროს სრულებით არ შეესაბამებოდა. ჰომეროსის აღწერილობაზე დამყარებით ერთმა მკვლევარმა მთლიანად აღადგინა ასეთი მუზარადი მიკენურ სამარხებში აღმოჩენილ ღორის ეშვებისაგან[29].

მიკენელების შეტევით იარაღებს უნდა მივაკუთვნოთ გრძელი შუბები, ბრინჯაოს მახვილები და სატევრები, რომლებიც საერთოდ მრავლად იქნენ აღმოჩენილი მთელ ხმელთაშუა ზღვის სამარხებში. შუბი წარმოადგენდა კეტზე წამოცმულ ბრინჯაოს გალესილ პირს. სხვათა შორის ასეთი შუბი ნაპულ იქნა მიკენის მეორე მაღაროვან სამარხში. მიკენელი მეომრის სასროლ იარაღს მიეკუთვნება აგრეთვე ხისაგან ან ძვლისაგან გამოჭრილი მშვილდი და შურდული. ისრის პირს თავდაპირველად კაჟისაგან, ხოლო მოგვიანებით ლითონისაგან ამზადებდნენ.

მიკენურ ძეგლებზე მრავლადაა გამოხატული ბრძოლის პროცესები. მაგ., ერთ-ერთი ვერცხლის ვაზის მოხატულობა ასეთია: მტერი მოულოდნელად თავს ესხმის გორაკზე მდებარე სიმაგრეს. მის დასაცავად გორაკის ფერდობზე თავი მოუყრიათ მეშურდიელებსა და მეომრებს. ყველა ისინი შიშველნი არიან. ციხის გალავანთან შეგროვილან ქალები, რომლებიც შეშინებული თვალებით უცქერიან ბრძოლას. ქვემოთ მოჩანს მამაკაცის სხეულის ზედა ნაწილი. მას დიდი ჯოხი უკავია და თითქოს ნავს უშვებს გასაქცევად. ყოველ შემთხვევა-

ში, ის თავდამსხმელთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მოხატულობა მცირე აზიის რომელიღაც სიმაგრეზე მიკენელების თავდასხმას გვისურათებს.

აქილევსის ფარზე გამოხატულია ორი ქალაქი: ერთი მშვიდობიან მდგომარეობაში, იქ ქორწილს იხდიან, ქუჩებში საქორწილო პროცესია მიემართება. ხოლო მეორე, ქალაქისათვის მტერს ალყა შემოურტყამს. მამაკაცებს ქალაქის დასაცავად თავიანთი ცოლები, ჰაბუკები და მოხუცები დაუტოვებიათ, თვითონ კი მტერს ჩასაფრებიან და ორი მზვერავი თავდამსხმელთა მეთვალყურედ დაუყენებიათ.



სურ. 29. მიკენური სატევრები.

მტერს გაუტაცნია საქონლის ჯოგები. ჩასაფრებულნი ცდილობენ გატაცებული ძროხებისა და ცხვრების დაბრუნებას. იწყება ხისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელშიც მეომრებს შორის დაძრწიან ავგულობის და შფოთის ღმერთები და სიკვდილის მრისხანე ღმერთი.

წინამძღოლები, როგორც ჩანს, პირველ რიგებში იბრძოდნენ და განსაზღვრულ წესებს ემორჩილებოდნენ. მიკენის სამყაროს წარჩინებულთა წრე დროის უმეტეს ნაწილს ომებსა და ნადირობაში ატარებდა. ძეგლებზე საამისო გამოხატულებასაც ხშირად აქვს ადგილი. მაგალითად, ტირინთის სასახლის ერთი კედლის მოხატულობაში გადმოცემულია გარეულ ღორზე ნადირობა: ღორს რამდენიმე ისარი მოხვედრია და ყოველმხრივ მწევრები შემოსევიან.

არისტოკრატიის წევრები (როგორც მამაკაცები, ისე ქალები) უხვად იმკობდნენ თავს სხვადასხვა ძვირფასი ნივთებით. ქალები თავზე სპირალური სახეებით და ვარდულებით შემკულ ოქროს ჯიღებს ატარებდნენ. პირდაპირ გასაოცარია ამ საზოგადოებაში ოქროსა და ვერცხლის სიუხვე. ვერცხლითა და ოქროთია მოჭედილი მიკენური იარაღები, ოქროსა და ვერცხლისაგანაა გაკეთებული ჯიღები, ქინ-

ძისთავები, ბეჭდები, საყურეები, თასები. მიკენურ თასებს შორის გამოირჩევა „მტრედებიანი თასი“, რომელიც იშვიათი ხელოვნებით არის შესრულებული და რომელიც ნათლად მოგვაგონებს „ილიადა-ში“ აღწერილ პილოსის მეფის ნესტორის თასს. ევროტასის ბარში სოფელ ვაფიოს მახლობლად მდებარე გორაკზე გათხარეს გუმბათო-ვანი სამარხი, რომელშიც აღმოაჩინეს კრეტული სტილის ოქროს ორი ძვირფასი თასი. ისინი ოქროზე მუ-შაობის იშვიათ ნიმუშს წარმოად-გენენ. ერთ მათგანზე გადმოცე-მულია მოთვინიერებული ხარები საბალახოზე, ერთი ხარი მორჩი-ლებით მისდევს სამუშაოზე თავის პატრონს; მეორეზე კი წარმოდგე-ნილია გარეული ხარებზე ნადი-რობა.



სურ. 30. ბრძოლა ქალაქთან.

ბრწყინვალედ სრულდება მიკე-ნის არისტოკრატიის წრეში მიცვა-ლებულთა კულტიც. მიცვალე-ბულს თან ატანდნენ, როგორც ეგ-ვიპტეში და აღმოსავლეთის ძველ სახელმწიფოებში, ძვირფას საგ-ნებსა და სამკაულებს. მიკენის სამარხების მდიდარი ინვენტარი, ოქროსა და სპილოს ძვლის სიუხვე შეძლებული არისტოკრატიული გვარების არსებობას გულისხმობს.

მაგრამ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამარხებში ნაპოვნი საგნე-ბი მხოლოდ სამხედრო ნადავლის სახით გაჩნდა მიკენში. იქ აღმო-ჩენილია საგნები, რომლებზეც ეგვიპტელი ფარაონების სახელებია აღნიშნული, მაგ., სკარაბეები და თიხის მოჭიქული ჭურჭლების ნატე-ხები ამენხოტეპ III-ის (1455—1424) სახელის წარწერით. როგორც ისინი, ისე ძვირფასი ქვები, სპილოს ძვლის საგნები ეგვიპტიდან და სირიიდან უნდა ყოფილიყო შემოტანილი მშვიდობიან ურთიერთობა-თა შედეგად.

აღსანიშნავია აგრეთვე 1950—1952 წწ. მიკენის გალავანს გარეთ გათხრილი ორი კერძო მდიდარი საცხოვრებელი — ეგრეთ წოდებუ-ლი „ზეთის ვაჭრის სახლი“ და „ღვინის ვაჭრის სახლი“.

პირველი სახლის ქვედა სართულში გათხრების დროს გაწმენ-დილ იქნა საწყობი ვეებერთელა პითოსებით, რომლებიც ისე იყო გამ-წკრივებული კედლების გასწვრივ, როგორც ჰომეროსის მიერ აღწე-რილ ოდისევსის სახლში; აქვე აღმოაჩინეს აგრეთვე 30 დიდი

ჭურჭელი თიხის საცობით და, რაც უფრო ღირსშესანიშნავია, 39 ფიქალი B ხაზოვანი დამწერლობის ნიშნებით. მეორე სახლშიც აღმოაჩინეს ადამიანის სიმაღლის ოდენა პითოსი და ორმოცდაათამდე



სურ. 31. ნადირობა გარეულ ღორზე.

მთელი და გატეხილი დიდი ჭურჭელი, რომლებშიც, ალბათ, ღვინო ინახებოდა.

საგულისხმებელია, რომ ამდენი ზეთი და ღვინო არა მარტო მათში მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო მომარაგებული, არამედ გასასყიდადაც.

როდესაც მიკენის კულტურის ძეგლებზე ვლაპარაკობთ. უნდა გვახსოვდეს, რომ მისი მსგავსი კულტურის გავრცელების ადგილი, რასაკვირველია, არა მარტო არგოლიდა იყო, არამედ მთელი საბერძნეთი. უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა გააფართოვა წინანდელი წარმოდგენა მიკენის კულტურის საზღვრებზე და უფრო ღრმად გაგვირკვია მიკენური კულტურის ისეთი ცენტრები, როგორიც ყოფილან: ათენი, კორინთო, პილოსი და არგოსი.

ოლიმპიის ცნობილ რაიონში მიკენის ეპოქის ძეგლები თითქმის არ ყოფილა აღმოჩენილი. უკანასკნელ წლებში მის მახლობლად ალ-

ფეიონის მარცხენა ნაპირას გათხარეს ორი მიკენური სამარხი და შეამჩნიეს მიკენური მოსახლეობის კვალი.

არგოსში მიმდინარეობდა ჰერას ტაძრის გამოკვლევა 1949 წ. გათხრილ იქნა მიკენის ეპოქის სახლთა კედლები და აღმოაჩინეს ძვ. წ. XV, XIV და XIII საუკუნეთა ძეგლები. განათხარი ძეგლების მიხედ-

სურ. 32 ა. მიკენის თასი მტრედებით;

ვით მტკიცდება, რომ არგოსი მიკენის პერიოდში დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. მიკენური მოსახლეობის ნაშთები გამოააშკარავა 1952—1955 წლების გათხრებმა აგრეთვე არგოსის უბის მახლობლად მდებარე სოფელ ლერნასში.



სურ. 32 ბ. ეაფიოს ოქროს თასი.

საბერძნეთის ცნობილ ქალაქ კორინთოში უკანასკნელ დრომდე არ ჩანდა მიკენური კულტურის კვალი, მაგრამ 1948 წელს აქაც აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით საოჯახო ჭურჭლეულობა, რო-

მელსაც ძვ. წ. XIII საუკუნით ათარიღებენ. ასეთმა აღმოჩენამ კლასიკური კორინთოს ადგილას მიკენური მოსახლეობის არსებობის საკითხი წამოაყენა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს საკითხი დადასტურებას უახლოეს დროში ჰპოვებს.

საბერძნეთის სახელგანთქმული ქალაქის ათენის აკროპოლისის ძველ სიმაგრეთა სისტემა მშენებლობით იმ ტიპის მსგავსია, რომელიც მიკენის მთავარ ჭიშკარს მოგვაგონებს. ამ აკროპოლისის გარშემო გავლებული პელაზგური თუ ციკლოპური კედელი დათარიღებულია ძვ. წ. XIII საუკუნით. ათენში მრავლად აღმოჩნდა აგრეთვე მიკენური სამარხები. 1951 წელს აქ გათხარეს ახალგაზრდა ქალის მიკენის დროის სამარხი, რომელშიც ნახეს ვაზები, რომლებიც მოგვაგონებენ მიკენის ლომებიანი ჭიშკრის ქვეშ გათხრილ საფლავის ვაზებს. საერთოდ, ათენში გათხრილი მიკენის ეპოქის ძეგლები გვიჩვენებს იმას, რომ ათენი იმ დროის ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო ცენტრი ყოფილა.

ატიკის ტერიტორიაზე გარდა ათენისა გათხრები წარმოებდა ელევსინში და გამოირკვა, რომ მის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე აკროპოლისი უკვე მიკენის ეპოქაში იყო გამაგრებული.

მიკენის კულტურის დიდი კვალი ჩანს ბეოტიაში. აქ მდებარე მთას—მუზების ადგილსამყოფელს—ჰელიკონს ეგოდენ დიდი ადგილი უკავია ზოგადბერძნულ მითოლოგიასა და პოეზიაში. მისი ციკლოპური შენობები წინათაც დიდ ყურადღებას იპყრობდა. ბეოტიის ქალაქ ორქომენში გათხრილი გუმბათოვანი აკლდამის შესახებ უკვე იყო საუბარი. აქ აღმოჩენილი სასახლის კედლის მოხატულობა ტირინთის სასახლის ფრესკების ანალოგიურია.

ზოგადბერძნულ საღვთო ადგილად მიჩნეულ დელფოში (ფოკიდაში) ჯერ კიდევ ადრე შემჩნეული იყო მიკენური კულტურის კვალი და გამოითქვა აზრი, რომ უსაფუძვლოდ როდია ლეგენდებში კრეტა და დელფო ერთმანეთთან დაკავშირებული. აქ წარმოებულმა გათხრებმა მიკენური კერამიკის მრავალი ფრაგმენტი გამოავლინა. ხოლო 1949 წელს იპოვეს საუცხოოდ მოხატული ვაზის ნატეხები და ტერაკოტული ნაკეთობანი. არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ მიკენის პერიოდში აპოლონის ტაძრის ადგილას უკვე რომელიღაც საკურთხეველი არსებობდა, ვინ იცის, ეგებ, დამწერლობის ამოკითხვას თან მოჰყვეს ამ უძველესი მიკენური საკურთხევლის აპოლონის ტაძართან დაკავშირების გარკვევა.

დიდხანს ბატონობდა ისეთი აზრი, რომლის მიხედვით თესალიაში მიკენის კულტურის გავლენა გვიან გავრცელდა და აქ მას თვალსაჩინო კვალი არ დაუტოვებია. მაგრამ 1953 წელს ფარსალოსში

აღმოაჩინეს მიკენის ეპოქის ნეკროპოლისი. ამგვარად, მოპოვებულ იქნა პირველი მოწმობა იმისა, რომ ფარსალოსში უკვე იმ დროს მოსახლეობა არსებობდა[27].

მაგრამ მიკენის კულტურის ძეგლების კვალი ჩანს არა მარტო ხმელეთის საბერძნეთში, არამედ ეგეოსის ზღვის კუნძულებზე და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე.

ასეთი დიდი მოცულობის ყოფილა მიკენის კულტურის გავლენის ასპარეზი.

კერძოდ, მიკენის ეპოქის კერამიკის შესწავლამ გამოავლინა, რომ ეგრეთ წოდებული „მიკენური ვაზები" მზადდებოდა მიკენის სამყაროს სხვადასხვა ცენტრში: ათენში, თებეში, კორინთოში, პილოსში და საბერძნეთის ზოგიერთ სხვა ადგილებში.

მიკენის სამყაროს სხვადასხვა ცენტრს შორის მჭიდრო კავშირი და მიმოსვლა არსებულა. საერთოდ, მიკენი ზღვასთან კავშირის გარეშე წარმოუდგენელია. ამას გვიმოწმებს ფართო ქსელი გზებისა, რომლებიც ლომებიანი ჭიშკრიდან იწყებოდა. ეს გზებიც „ციკლოპური" სტილითაა გაყვანილი. ყველა ნაკადზე და წყლის გადასასკელზე მაგარი ხიდები ყოფილა გადებული.

6. პ ი ლ ო ს ი

დღეს უკვე გამორკვეულია, რომ სამხრეთ პელოპონესში მიკენთან ერთად მნიშვნელოვან კულტურულ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა მესენიის პილოსი. ეპიგრაფიკული ძეგლების აღმოჩენამდე მასზე ძირითადად ბერძნული მითები და ჰომეროსის ეპოსი მოგვითხრობდა. ბერძნული მითების გადმოცემით, თესალიის ძველ ქალაქ იოლკოსიდან გაძევებული ნელევსი, ღმერთ პოსეიდონის ძე, პელოპონესში მისულა და მის დასავლეთ სანაპიროზე დაუარსებია ქალაქი პილოსი. ნელევსის სამეფოს აღმოსავლეთით მას მიკენის ატრიდების სამეფო ესაზღვრებოდა.

„ილიადას" II წიგნში მოცემულ „გემთა კატალოგში" (Κατάλογος τῶν νεῶν) მოხსენებული არიან პილოსის მეომრებიც, რომელთაც მათი მბრძანებელი, საომრად გამოლაშქრებულთა შორის უხუცესი და ყველაზე გამოცდილი მხედარი, „ქვიშოვანი" პილოსის მეფე ნესტორი წინამძღოლობდა; მასთან ერთად ტროასთან 90 ხომალდი მისულა. აღსანიშნავია, რომ ჰომეროსის აპოლონ პითიელისადმი მიძღვნილ ჰიმნში სხვათა შორის აღნიშნულია პილოსის სავაჭრო ურთიერთობა კრეტასთან: მინოსის ქალაქ კნოსიდან

კრეტელები სიმდიდრისა და საქონლისათვის თავის შავ გემზე მიცურავდნენ ქვიშოვან პილოსშიო.

მაგრამ უკვე ძველად „ქვიშოვანი“ პილოსის ადგილმდებარეობის გარკვევის საკითხში ორი საწინააღმდეგო შეხედულება ბატონობდა. ზოგი მას ტრიფილიის პილოსთან აიგივებდა, ზოგიც მესენიის პილოსთან.

ისეთი მკვლევარი, როგორიც იყო სტრაბონი, თავისი „გეოგრაფიის“ VII თავში დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ ჰომეროსის პოემებში ნელევსისა და შემდეგ მისი ძის ნესტორის რეზიდენციად ტრიფილიის პილოსია ნაგულისხმევიო. საწინააღმდეგო აზრი აქვს გამოთქმული ცნობილ მოგზაურს პავსანიას. იგი ნესტორის სამშობლოდ მესენიის პილოსს იხსენიებს. მესენიის პილოსის აღწერისას ის სხვათა შორის ამბობს: „აქვე ქალაქის შიგნითაა ის გამოქვაბულიც, რომელშიც იდგნენ ნესტორის ხარები და უფრო ადრე ნელევსის ხარები“ (Paus. — IV 36,3). მაგრამ მკვლევართა უმრავლესობას ეს ტრადიცია სინამდვილესთან დაშორებულად წარმოედგინათ და უფრო მისაღებად მიაჩნდათ, რომ ჰომეროსის „ქვიშოვანი“ პილოსი ტრიფილიაში მდებარეობდა.

ამიტომ გასაგებია, რომ როცა დოერპფელდმა 1907 წელს ანტიკურ ტრიფილიაში კაკოვატოსის მახლობლად მიკენური სასახლე და სამი ფრიად დაზიანებული ტოლოსი აღმოაჩინა, ისინი უყოყმანოდ ნესტორის პილოსს დაუკავშირა.

ამ მხრივ ერთგვარი დაეჭვება წარმოიქმნა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ 1919 და 1925 წწ. სწორედ მესენიაში იქნა აღმოჩენილი ორი ტოლოსი მიკენური კერამიკით და კიდევ ორი ტოლოსის კვალი, მაგრამ საკითხის სრული სინამდვილით გადაჭრა არქეოლოგების ბლეჯენისა და კურუნიოტისის აღმოჩენებთანაა დაკავშირებული.

1938 წელს მათ მესენიაში სოფელ ანო ენგლიანოსის მახლობლად აღმოაჩინეს სკის მსგავსი სამეფო სამარეები. ხოლო 1939 წელს მათ ნავარინის ყურის რაიონში ეპანო ენგლიანოსის ბორცვზე გათხარეს გრანდიოზული სასახლე ფრესკული მხატვრობით, სწორედ ისეთივე სიდიდისა და მოწყობილობისა, როგორიც მიკენისა და ტირინთის სასახლეებია. ეს პუნქტი მათ საფუძვლიანად ჩათვალეს პილოსის სახელმწიფოს სატახტო ქალაქად, ხოლო აღმოჩენილი სასახლე ეგრეთ წოდებულ „ნესტორის სასახლედ“. ამ ადგილას ყველგან ჩანდა ცეცხლის კვალი და ადვილი მისახვედრი იყო, რომ ხანძარმა მოსპო ეს სასახლე. ირკვევა, რომ მობინადრეებმა სასწრა-

ფოდ დატოვეს სასახლე და ეს ადგილი გაუკაცრიელდა. სასახლის ნაშთები კი ხელუხლებელი დარჩა.

არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სასახლე შედგებოდა ორი ხუროთმოძღვრული — სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ერთეულისაგან. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილის ერთ პატარა ოთახში ნახულ იქნა 618 თიხის ფიქალი, უმეტეს ნაწილად ფრაგმენტირებული და B ხაზოვანი დამწერლობის შემცველი. როგორც ჩანს, ისინი ხის ყუთებში ელაგა და პილოსის სასახლის არქივის ნაწილს წარმოადგენდა.

1952—1953 წლებში სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში გათხრილ იქნა მეგარონი, რომელიც დიდ დარბაზს, ვესტიბიულსა და ორბორბლიან პორტიკს შეიცავდა. მეგარონიც და ვესტიბიულიც ფრესკებით ყოფილა მოხატული. ზოგიერთ ფრესკაში დაცულია სცენები ადამიანთა ცხოვრებიდან. ფერწერის გამოსახულებებზე სარესტავრაციო მუშაობამ მცენარეთა და მხეცთა ორნამენტალური კომპოზიციების და აგრეთვე მითოლოგიური სცენების ზოგიერთი დეტალი გამოავლინა. მეგარონსა და სხვა სადგომებში გაბნეული ოქროსა და ვერცხლის ნატეხები სასახლის ბინადართა სიმდიდრეს მოწმობს. არქივის შორიახლოს ერთი ოთახის იატაკზე ელაგა B ხაზოვანი დამწერლობის სამასამდე ფიქალი. მათ უნდა დავუმატოთ აგრეთვე 1954 წელს აღმოჩენილი ფიქალებიც.

სასახლეში გამოვლინებულ საგანთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თორმეტი ცალი ოქროს აპლიკაცია ადამიანთა თავების სახით (პროფილში). ეს აპლიკაციები მიკენის მსგავსი ოქროს თასის სამკაულს წარმოადგენდა. დარბაზის ერთ მომიჯნავე სადგომში ნახეს მრავალი სამაგიდო კერამიკა, რომელიც, სპეციალისტების აზრით, სასახლეში მომსვლელთა მასპინძლობისათვის იყო განკუთვნილი. მეორე სადგომში იპოვეს კვარცხლბეკზე მდგარი ქვის სანათური, ნიუარის სადარი სამკაულით ზედა კიდურზე. 1955 წელს გამოკვლეულ ერთ სადგომში დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს სამფეხიანი ჭურჭელი, რომელსაც საქმლის ხარშვის კვალი ემჩნეოდა. ნაწილობრივ ეს საოჯახო ჭურჭელი გამწკრივებული ყოფილა კედლების გასწვრივ. ეს სადგომი სამზარეულოდ იქნა მიჩნეული.

„სატახტო დარბაზის“ მომიჯნავე მეორე სადგომში ნახეს თიხის დახლებში ჩაგლესილი მრავალი პითოსი.

ყურადღების ღირსია აგრეთვე ის, რომ აღმოჩენილ იქნა სადგომი აბაზანის მსგავსი ტერაკოტული ნაგებობით, შემკობილი დეკორაციული მცენარეულ-გეომეტრიული ხასიათის მხატვრობით.

არქეოლოგები ფიქრობენ, რომ მეფე ნესტორს სასახლეში საკუთარი აბაზანა ჰქონდა.

სასახლის რაიონში არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა მისი დროის რამდენიმე დასახლება და რიგი თაღოვანი სამარე — ტოლოსი გაარკვია. როგორც სასახლე, ისე ეს ძეგლები მიკენურს არ ჩამოუვარდებიან. სამარეებში აღმოჩნდა ოქროს სამკაულთა ფრაგმენტები, ბეჭდები და მრავალი ძვირფასი ნივთი. ყოველივე ზემონათქვამი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პილოსი და მისი მბრძანებლები სიმდიდრითა და ძლიერებით მიკენსა და მის მეუფეთ მოგვაგონებენ. აღსანიშნავია, რომ შიდა მესენიაში, ახლანდელი დაბის ვასილისკოს მახლობლად, მაღალსა და ხრამიან ბორცვებზე მიკენის ეპოქაში მდებარეობდა სასახლე, რომელსაც გარს ერტყა ხელოსნებისა და მიწათმოქმედთა კარ-მიდამოები.

ამრიგად, არქეოლოგიურმა გათხრებმა საბოლოოდ დაადასტურა, რომ ნესტორის რეზიდენცია პილოსი ნამდვილად მესენიაში მდებარეობდა და პილოსის სახელმწიფოს მესვეურები ერთ დროს მდიდარსა და ძლიერ მბრძანებლებს წარმოადგენდნენ. მაგრამ ანტიკური ისტორიის მკვლევართათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წერილობითი ძეგლების გამოვლინება.

ცნობილია, რომ 1939 და 1952 წლებში პილოსში აღმოჩენილ იქნა 900 თიხის ფიქალი და მიკენში — 39, რომლებიც B ხაზოვანი დამწერლობით იყო დაფარული. ჩვენ უკვე ვიცით, რომ B ხაზოვანი დამწერლობა A ხაზოვანი დამწერლობის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს და უდავოდ მისგან არის წარმომდგარი. ის ფაქტი, რომ მიკენში კერძო სახლშიც აღმოჩნდა ამ დამწერლობის ძეგლები, თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ იქ წერა-კითხვა საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ნათქვამი იყო, რომ B ხაზოვანი დამწერლობის უძველესი ნიმუშები კრეტაზე კნოსში იქნა აღმოჩენილი.

დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს ის, რომ ვენტრისის მიერ მიკენური წარწერები ძირითადად სწორად არის ამოკითხული და საბერძნეთის უძველესი ისტორიის ღირსშესანიშნავ მასალას წარმოადგენს.

ყოველივე ამასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთი მესამედი კნოსის ფიქალებისა, რომელთაც ძვ. წ. XV საუკუნეს მიაკუთვნებენ, თითქმის არც ერთ ბერძნულ სიტყვას არ შეიცავს. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სპეციალისტების დასკვნით, მიკენური ძეგლების ენას მთელი რიგი თავისებურება ახასიათებს, რის გარკვევასაც დღეს ფართო მეცნიერული ლიტერატურა აქვს მიძღვნილი. მაგრამ ყოველივე ეს ვენტრისის დიდ აღმოჩენას მაინც თავის ის-

ტორიულ მნიშვნელობასა და ფასს როდი უკარგავს. ამიტომ, მართალია, ს. ლურიე, როცა ამბობს: „როგორც ენის დარგში, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა დარგებში კულტურის განვლილ აყვავებას უკვალოდ არ ჩაუვლია,—მიკენის საზოგადოების ენის მთელი რიგი თავისებურებები გადანაშთებისა და რუდიმენტების სახით შემოინახა როგორც გვიანდელი დროის აქეელთა დიალექტში, ისე იმ ადგილების დიალექტებში, სადაც იყო ამ კულტურების ცენტრები—კრეტაზე, არგოლიდაში, ლაკონიკაში და ტრიფილიაში".

მიკენურ წარწერებზე დამყარებით დღეს წარმოებს მესენიის პილოსის დასახლებათა და საზღვრების ზუსტი გამორკვევის ცდები. ს. ლურიე გვარწმუნებს, რომ პილოსის სახელმწიფო, გარდა მესენიისა შეიცავდა გვიანდელ ტრიფილიისა და არკადიის ნაწილს. რაც შეეხება კნოსს, მის წარწერებში მოხსენებული ქალაქები მთელს კრეტაზეა გაფანტული და ეს გარემოება თითქოს, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კრეტაზე იმ დროს კნოსის გარდა, სხვა სახელმწიფო არ არსებობდა.

აქვე პილოსთან დაკავშირებით მოკლედ უნდა შევეხოთ მცირე აზიაში ბერძნული ქალაქების დაარსების საკითხს: ათენიდან თუ პილოსიდან იყო გადასული მათი მოსახლეობა? ამ საკითხის გარშემო ძირითადად ორგვარი ტრადიცია არსებობს. ერთი გვარწმუნებს, რომ ათენელი მეფეები პილოსის მბრძანებელთა ჩამომავალნი იყვნენ და მცირე აზიის ქალაქთა დამაარსებელი ნელევსი პილოსიდან გადმოსახლებული ათენელი მეფის კოდროსის ძე იყო. ასეთ ტრადიციაში ათენის მეფეების პილოსიდან გამოყვანა ათენიდან იონელების მცირე აზიაში გადასვლის ვერსიასთანაა შეთანხმებული. მეორე ტრადიციაში კი მცირეაზიური ბერძნული ქალაქების მცხოვრებლები უშუალოდ პილოსიდან და მისი მხრიდან გადმოსახლებულად არიან წარმოდგენილი. ლურიეს აღნიშნული აქვს ე დ. მ ა ა ე რ ი ს ამ საკითხის გამო თავის დროზე გამოთქმული მოსაზრება[28], რომ მცირე აზიაში, უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ყველა სამეფო გვარი თავის წინაპრად პილოსის მეფეს ნელევსს თვლიდა. უძველესი თქმულების თანახმად ნელევსის ჩამომავალნი გაემგზავრნენ პილოსიდან იონიაში. ასე, მაგ., მცირე აზიის კოლოფონის მცხოვრები, ძვ. წ. VII საუკუნის პოეტი ელეგიკოსი მიმნერმოსი მისი ქალაქის დამაარსებლად ასახელებს ანდრემონს პილოსიდან. ცნობილ გეოგრაფოსს სტრაბონს (დაახლ. ძვ. წ. 63—ახ. წ. 17 წ.) მოტანილი აქვს ასეთი ციტატა მიმნერმოსიდან (X IV, 1,4): „დავტოვეთ რამაღალი პილოსი, ნელევსის ქალაქი, ჩვენ მოვედით ხომალდებით. სასურველ აზიაში. ძალთა აღმატებულების მეოხებით ჩვენ სასტიკად გავუს-

წორდით ადგილობრივ მცხოვრებლებს და დავმკვიდრდით კოლოფონში. გავემართეთ რა აქედან, მდინარე ელენტიდან, ჩვენ ღმერთების ნებით დავიკავეთ ეოლიური სმირნა" (ს. ლურიეს თარგმანით)[29]. მაშასადამე უნდა ვიგულისხმოთ, რომ პილოსელების მცირე აზიაში მისვლის დროს, მცირე აზიის სანაპიროს ჩრდილოეთი ნაწილი უკვე დაკავებული ჰქონდათ ეოლიელ ახალშენებს თესალიიდან და ბეოტიიდან.

ასეთს და სხვა მსგავს ცნობებზე დამყარებით ს. ლურიე ფიქრობს, რომ არა მარტო მცირე აზიის სანაპირო, არამედ კუნძული კვიპროსიც სამხრეთ პელოპონესიდან იყო კოლონიზებული. მისი სიტყვით, ამ მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობს არა მარტო მსგავსება კვიპროსის დიალექტისა, მიკენური წარწერებისა და გვიანდელი არკადიის წარწერების დიალექტთან, აგრეთვე, ცხადი ნასესხობა კვიპროსის სილაბარიუმისა მიკენურიდან, არამედ ისეთი ფაქტიც, რომ კვიპროსის მცხოვრებლები ისე, როგორც მიკენური პელოპონესის მცხოვრებლები ჯერ კიდევ VI საუკუნეში თავს აქეელებს (Ἀχαοί) უწოდებდნენ.

7. ძველი ტროა

ტროას წარმოშობის შესახებ ძველ ბერძნებს ასეთი თქმულება ჰქონდათ შემონახული: უხსოვარ დროს სამოთრაკიის კუნძულზე ცხოვრობდა ორი ძმა, უმაღლესი ღმერთის ზევსის ვაჟები. ერთი მათგანი საკუთარმა მამამ მეხით მოკლა სითამამისათვის. მეორე ვაჟი, დარდანოსი დიდად დაამწუხრა ძმის სიკვდილმა, მან მიატოვა სამშობლო და გადავიდა მცირე აზიაში, იქ, სადაც მდინარეები სკამანდროსი და სიმოეისი ზღვას ერთვიან და სადაც იდას მაღალი მთები ზღვისაკენ დახრით ბარში იკარგება. აქ მბრძანებლობდა მეფე ტევკროსი; მან სტუმართმოყვარულად მიიღო დარდანოსი. მისცა ᲗᲐᲕᲘᲡ საკუთრებად მხარის ერთი ზოლი და ქალიშვილი მიათხოვა. ასე დამკვიდრდა დარდანოსი მთებში. მისი შვილიშვილი იყო ტროსი, რომლის სახელწოდების მიხედვით მხარის მთავარ ადგილს ტროა და ხალხს ტროელები ეწოდათ.

ტროსის მოადგილე იყო მისი უფროსი ძე ილოსი. როცა ის ერთხელ ფრიგიელების მეზობელ მხარეს ეწვია, ფრიგიის მეფემ შეჯიბრში გამოიწვია. ბრძოლაში ილოსმა გაიმარჯვა. ჯილდოდ მას მისცეს 50 ვაჟი და 50 ქალწული და დამატებით ჭრელწინწკლებიანი ძროხა. ყოველივე ეს მეფემ გადასცა მისნის ძველი წარმონათქვამის

შესასრულებლად: სადაც ძროხა დაწვებოდა იქ უნდა აეგო ციხე-დარბაზი. ილოსი გაჰყვა ძროხას და, როცა ის ღია ქალაქ ტროასთან დაწვა, აქ ერთ ბორცვზე ააგო ილოსად ანუ ილიონად წოდებული მაგარი ციხე-დარბაზი. ვიდრე მშენებლობას შეუდგებოდა წინასწარ გამოსთხოვა თავის წინაპარს ზევსს ნიშანი, სასურველი იქნებოდა თუ არა მისთვის ასეთი ციხე-დარბაზის აგება. რამდენიმე დღის შემდეგ ილოსმა თავის კარვის წინ ნახა ციდან ჩამოვარდნილი ქალღმერთ ათენას სურათი, ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ ციხე-დარბაზის და ქალაქის მფარველი ზევსის ასული ათენა იქნებოდა.

მეფე ილოსის მოადგილე იყო მისი ძე ლაომედონი, თვითნება და მოძალადე ადამიანი, რომელიც ღმერთებსაც და ადამიანებსაც ატყუებდა. მან ტროას ღია ადგილის გალავნით გარემოცვა და ნამდვილ ქალაქად გადაქცევა განიზრახა. იმ დროს მიუსაფარი ღმერთები, აპოლონი და პოსეიდონი, ქვეყნად უგზო-უკვლოდ დაეხეტებოდნენ იმის გამო, რომ განარისხეს თავიანთი მბრძანებელი ზევსი და ციდან გაძევებულ იქნენ. ზევსის ნება-სურვილის თანახმად ისინი ლაომედონს ტროას გალავნის აგებაში უნდა დახმარებოდნენ. ლაომედონმა მათ დახმარებისათვის გასამრჯელო აღუთქვა და ისინიც მუშაობას შეუდგნენ. პოსეიდონი უშუალოდ მშენებლობაში მონაწილეობდა. მისი ხელმძღვანელობით მაღლობზე აღიმართა ფართო და მშვენიერი გალავანი, ქალაქის შეუვალი ზღუდე. აპოლონი ამასობაში მეფის ჯოგებს აძოვებდა ტყით მდიდარი იდას მთების ხეობებსა და ბარში. ორივე ღმერთმა მეფეს აღუთქვა, რომ ასე ემსახურებიან მას ერთი წლის განმავლობაში. მაგრამ როცა ეს ვადა გავიდა და გალავნის აშენებაც დამთავრდა, ცრუპენტელა ლაომედონმა შეპირებული გასამრჯელო მათ არ მისცა და მუქარით გააგდო კიდეც. აპოლონი ამით დიდად როდი შეწუხებულა, ვინაიდან მსუბუქსა და ხელსაყრელ სამუშაოს ასრულებდა. პოსეიდონი კი ძალიან განრისხებული წავიდა და მეფისა და ტროელი ხალხის დაუძინებელი მტერი გახდა, ხოლო როცა ლაომედონმა ცნობილი გმირის ჰერაკლეს მოტყუება მოახერხა, უკანასკნელმა სხვა გმირებთან ერთად დაიპყრო ქალაქი ტროა, მეფის ქალიშვილი თავის მეგობარ ტელამონს მისცა და ტროაში პრიამოსი გაამეფა, რომლის ძე პარისთანაა დაკავშირებული, ეგრეთ წოდებული ტროას ომი (იხ. Gustaw Schwab, Kampf um Troja).

ბერძნული ტრადიცია ტროას დაღუპვას ძვ. წ. დაახლ. XIII საუკუნის მეორე ნახევარში მასზე აქეველების თავდასხმას მიაწერს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველი ტროა (ილიონი) მართლაც

იქნა აღმოჩენილი. ის მდებარეობდა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე, ახლანდელ ბორცვ ჰისარლიკზე, თითქმის დარდანელის სრუტის შესავალთან.

ჰისარლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთით აზიდულია თოვლით დაფარული მთა იდა, რომლის მწვერვალზე თქმულების თანახმად, იჯდა ზევსი და თვალყურს ადევნებდა ტროელთა და აქეელთა ხომალდებს; აქედან იგი უგზავნიდა ჰერა-ქუხილს აქეელთა ლაშქარს. როგორც არქეოლოგიური მონაცემები გვარწმუნებს, მისი ადგილი (ახლ. ჰისარლიკი) დასახლებული ყოფილა უკვე III ათასწლეულის დასაწყისიდან და მასზე ბინადარი პირვანდელი მოსახლეობა გვაროვნული წყობილების სტადიაში იმყოფებოდა. ჰისარლიკის ბორცვზე აღმოჩენილ იქნა რამდენიმე (ცხრამდე) ერთიმეორის შემცვლელი დასახლების კვალი. განსაკუთრებით საყურადღებოა მეორე დასახლება—ტროა II, რომლის მცხოვრებლები, როგორც ჩანს, პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის პერიოდს განიცდიდნენ. წარჩინებულთა სიმდიდრის მნიშვნელოვანი ოდენობის დამადასტურებელი „დიდი განძი", რომელიც აქ შლიმანმა აღმოაჩინა და შეცდომით პრიამოსის განძად მიიჩნია, შედგებოდა ვერცხლის ზოდებისაგან; სპილენძის, ვერცხლისა და ოქროს ჭურჭლისაგან, ქვისა და ბრინჯაოს იარაღებისაგან; ოქროს ძვირფასი სამკაულებისაგან; ოქროს წვრილი ნივთების რიცხვი 8700-ს აღწევდა. ტროა II-ის მცხოვრებლებს, როგორც ჩანს, სავაჭრო ურთიერთობა ჰქონიათ არა მარტო მახლობელ მეზობლებთან, არამედ ეგეოსის აუზის აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობასთანაც. თავდაცვის მიზნით ტროას ხელმძღვანელებს ტროასათვის მაღალი, სქელი კედლები შემოურტყამთ და განძეულობის შესანახად გამაგრებული პუნქტი აურჩევიათ.

დაახლოებით ძვ. წ. XXI საუკუნეში ტროას სამეფოს თავს დასხმიან მტრები, რომელთაც გადაუწვავთ მისი სატახტო ქალაქი. მაგრამ ძვ. წ. XVIII საუკუნიდან ტროაში კვლავ დაწყებულა აღმავლობა, ხოლო XIII საუკუნისათვის ტროას სამეფოს განსაკუთრებული აყვავებისათვის მიუღწევია. ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვაში მიმავალი მნიშვნელოვანი საზღვაო გზის მახლობლად მდებარე ტროა ფართო აღებ-მიცემობას აწარმოებდა მახლობელ და შორეულ მეზობლებთან. ეს მეზობლები იყვნენ ხეთელები, აქეელები. კვიპროსისა და ეგეოსის სხვა კუნძულების ხალხები. ტროაში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი აქეური საგნები გვიმოწმებენ, რომ ტროელები და აქეელები ხანგრძლივი დროის განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ.

ერთგვარი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ხეთელების ეგვიპტესთან ბრძოლაში ქადეშთან სირიაში ტროელებიც იღებდნენ მონაწილეობას[30].

ჩვენთვის უცნობი პირობების გამო დაახლ. ძვ. წ. 1240 წელს დაწყებულა ტროას წინააღმდეგ აქეველების დიდი ლაშქრობა, რომელიც სიუჟეტი გახდა ჰომეროსის ცნობილი პოემის „ილიადასი". შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ლაშქრობის მიზანი იყო არა მხოლოდ დიდი ნადავლის ხელში ჩაგდება, არამედ საერთოდ მდიდარი სამეფოს დაპყრობა. როგორც ჩანს, აქეველების მძლავრ კოალიციას განზრახული ჰქონდა ამ სამეფოს სასწრაფო დაპყრობა, მაგრამ, როგორც ტრადიცია გადმოგვცემს, ლაშქრობას ხანგრძლივი და მძიმე ხასიათი მიუღია, ხოლო ტროადან აქეველთა გმირების დაბრუნება მრავალი განსაცდელის გადატანით მეორე პოემამ — „ოდისეამ" შემოგვინახა. საყურადღებოა, რომ ტროას მეფე პრიამოსსაც დიდი დახმარება მიუღია მეზობლებისაგან. თუ ჰომეროსს დავუჯერებთ, მის ჯარში ყოფილან ფრიგიელები, ლიბიელები და თრაკიელები.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ ლაშქრობას აქეველთა ცხოვრებაში, ამის შესახებ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ასეთი მოსაზრება: „ტროაზე დაშქრობას მძიმე შედეგები ჰქონდა აქეველთა საბერძნეთისათვის, მას თან მოჰყვა არა მარტო ძალთა გამოლევა, არამედ თვით აქეველთა სამეფოებში შინაგანი ბრძოლების აგზნებაც: ტრადიცია მოგვითხრობს, რომ თვითონ აგამემნონი მიკენში დაბრუნებისას მოკლულ იქნა ბიძაშვილის ეგისთესა და თავისი ცოლის კლიტემნესტრას მიერ. აქეველთა სამეფოების დასუსტება დაემთხვა ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთით ტომთა ახალ გადაადგილებას — დორიელთა გადმოსახლებას" (История древней Греции, 1962, გვ. 107).

8. მიკენის ეპოქის ბერძენთა სოციალ-პოლიტიკური წყობილება: დორიელთა გადმოსახლება და მიკენის ეპოქის დასასრული

ძველ ბერძნებს მაღალი წარმოდგენა ჰქონიათ აქეველთა პერიოდისა და მიკენის კულტურაზე მრავალ საუკუნეთა გავლის შემდეგაც, ასე, მაგ., ისტორიკოსი ჰეროდოტე გადმოგვცემს ცნობას (V, 72) იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა ათენის აკროპოლზე მდებარე ქალღმერთ ათენას ტაძარში მისთვის თაყვანის საცემად სპარტის მეფე კლეომენე. იგი ტაძრის ზღურბლთან შეუჩერებია ქურუმ—ქალს და უთქვამს: „ოი, ლაკონელო, დაბრუნდი უკან და ნუ შეხვალ

ტაძარში, აქ შემოსვლა დორიელებს ეკრძალებათო". მაგრამ მას უპასუხია: „ოი, დედაკაცო, მე ხომ არა დორიელი ვარ, არამედ აქეელიო".

მას შემდეგ, რაც გავეცანით მიკენის კულტურის ძირითად ცენტრებს, საჭიროა გავითვალისწინოთ მიკენის დროის ბერძენთა საზოგადოებრივი სტრუქტურა, რომლის შედარებით სწორი გარკვევა ხაზოვანი დამწერლობის ამოკითხვის შემდეგ გახდა შესაძლებელი. უკანასკნელ დროს ჩვენს მეცნიერებაში დადგენილია, რომ კნოსის და პილოსის დოკუმენტები ერთსა და იმავე საუკუნეს ძვ. წ. XIII საუკუნეს მიეკუთვნებიან. ამას გარდა, თუ წინათ ევანსის მიერ ვამოთქმული მცდარი აზრის მიხედვით ფიქრობდნენ, რომ ძვ. წ. XIV—XII საუკუნეებში კრეტაზე სუფევდა ჩამორჩენილობისა და გატიალების ეპოქა, როცა სასახლეების მხოლოდ ცალკეული ნაწილები იქნა ნაუცბადევად რესტავრირებული უმეცარი ხელოსნების მიერ, დღეს პირიქით განმტკიცებულია შეხედულება, რომ ეს საუკუნეები წარმოადგენდნენ კრეტაზე ბერძნული კულტურის უმაღლესი განვითარების დროს, რომელსაც მხოლოდ დორიელთა შემოსევამ მოუღო ბოლო. ამ მხრივ, სხვათა შორის აღსანიშნავია სრული დამთხვევა ენისა, ტერმინოლოგიისა და სახელმწიფო წყობილების დეტალებისა კნოსისა და პილოსის წარწერებში.

კნოსისა და პილოსის ამოკითხული წარწერები ძირითადად ფინანსიურ-ადმინისტრაციული ხასიათის დოკუმენტებს წარმოადგენენ. მათში სპეციალისტებმა ამოიკითხეს მრავალი გეოგრაფიული სახელწოდება, რომლებიც ჰომეროსის ტოპონიმიკას ემთხვევა (მავ. პილოსი, კიპარისია, მილეტი, კნოსი, ტილისი და სხვ.). ნათქვამი იყო, რომ დიდი შრომა გასწია B ხაზოვანი დამწერლობის ამოშიფვრასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევაზე ცნობილმა საბჭოთა მკვლევარმა, ლვოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ს. ლურიემ. აღიარა რა ვენტრისის მიერ წამოყენებული ძირითადი დებულებები სწორად, პროფ. ლურიემ მრავალი დამატება და დაზუსტება შეიტანა და თავისებურად ამოიკითხა და განმარტა წარწერებში მოცემული ტერმინები და ცნობები.

ხაზოვანი დამწერლობის წარწერები უდავოდ გვარწმუნებენ იმაში, რომ მიკენის ეპოქაში არსებობდა მსხვილი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ცენტრით პილოსში. მას განაგებდა მეფე, რომელსაც წარწერებში ვ ა ნ ა კ ა ეწოდებოდა. მის უშუალო თანაშემწეს — მხედართმთავარი ლ ა ვ ა გ ე ტ ი წარმოადგენდა. როგორც ვანაკას, ისე ლავაგეტს „ხალხისაგან" ეძლეოდა მიწის საუკეთესო ნაკვეთები — ტემენოსები. პილოსის სამეფოში

მიწის ნაკვეთების საზომად მარცვლეულის საწყავი ყოფილა მიღებული, რომლის სიდიდე დღემდე ზუსტად არ არის დადგენილი. როგორც ჩანს, მეფის ტემენოსი მარცვლეულის 1800 საწყაოს ეკვივალენტი ყოფილა, ხოლო ლავაგეტისა—600-ისა. ტემენოსის გარდა ვანაკას სასარგებლოდ მიდიოდა პროდუქტების განსაზღვრული პროცენტი. ასეთ ანარიცხთა სიაში ჩამოთვლილია: ქერი, ზეთისხილი, ფქვილი, ყურძენი, თაფლი, ლეღვი, ძროხები, ღორები და ტანსაცმელი. წარწერებში ტერმინი ვანაკა ფრიად მცირედ არის მოხსენებული. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, თუ რა ურთიერთობაში იყო პილოსის მეფე მიკენის მეფესთან. ატრევსის შვილის აგამემნონის დროს, ჰომეროსის ეპოსის მიხედვით, მიკენის სამეფომ უდიდეს ძლიერებას მიაღწია. ჩვენ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებით აღინიშნება ის დიპლომატიური წარმატება, რომელსაც მიაღწია აგამემნონმა იმით, რომ თავისი ძმა მენელაოსი სპარტის მეფის ასულ ელენეზე დააქორწინა და სპარტა ერთგულ მოკავშირედ გაიხადა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აგამემნონის ძლიერება ზღვაზე. ძლიერი ფლოტის გამოყენებით აგამემნონმა შეძლო შეენარჩუნებია მბრძანებლობა ეგეოსის ზღვის ბევრ კუნძულზე და კრეტაზეც. უკვე იყო ნათქვამი, რომ ერთი ცნობილი მკვლევარის აზრით ჯერ კიდევ დორიელთა გადმოსახლებამდე პელოპონესში დიდი სამეფო არსებობდა. ჰომეროსის ეპოსში მიკენის მეფე ყოველთვის „აქეველების მბრძანებლად" არის მოხსენებული. „ილიადაში" (II, 101) ნათქვამია, რომ ზევსის სკიპტრა, რომელიც მემკვიდრეობით ერთი მეფიდან მეორეზე გადადიოდა, ბოლოს აგამემონს გადაეცა, „რათა იგი უამრავ კუნძულებსა და მთელ არგოსზე გამეფებულიყო". ვინაიდან ჰომეროსი „არგოსში" ყველგან მთელ პელოპონესს გულისხმობდაო, ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს*, რომ ვანაკში არა პილოსის მეფე, არაშედ მიკენის მეფე იგულისხმება. მაგრამ უფრო სწორად უნდა მივიჩნიოთ ის შეხედულება, რომლის თანახმად პილოსის ღრმად მოხუცებული მეფე ნესტორი, რომელიც მბრძანებლობს ცხრა მდიდარ ქალაქზე, თუმცა აღიარებდა მიკენის მეფის მეთაურობას, მაგრამ თავისი სიბრძნით, გონებამახვილობით გარკვეულად გამოირჩეოდა აქეველთა მეფეების თათბირებზე და მისი სამეფო ძვ. წ. XIII საუკუნეში ისეთ ძალას წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ დონემდე სცნობდა მიკენის წინამძღოლობას[31].

---

* დამატებით კიდევ სხვა მოსაზრებების გამოყენებით, ლ ო ბ ი ე, 33 215—217

ლავაგეტის ადმინისტრაციული ფუნქციები ჩამოთვლილია რიგ წარწერებში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას საერთო სამხედრო ხელმძღვანელობა ეკისრებოდა, ხოლო მშვიდობიანობის დროს—სახელმწიფოს შინაგანი, პოლიტიკური დაცვა. ლავაგეტს შეეძლო გაენთავისუფლებინა ბეგარისაგან ცალკეული პირები, მოსახლეობისაგან გადასახადები აეკრიფა და ა. შ.

ვანაკასა და ლავაგეტს ექვემდებარებოდნენ სხვა ადმინისტრაციული თანამდებობის პირები—ბასილევსები, ტელესტები (τελεστα(—(ereta) და სხვ. მათი ფუნქციები ჯერჯერობით არასაკმარისად არის გარკვეული.

შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ხელისუფლების ადგილობრივი მაღალი წარმომადგენლები ბასილევსებად იწოდებოდნენ და რომ სახელმწიფო ვრცელ რაიონებად იყო დანაწილებული და მათ სათავეში ბასილევსები იდგნენ. ზოგიერთი მკვლევარი მათ საფუძვლიანად უკავშირებს ჰომეროსის ითაკის ბასილევსებს (βασιλῆες) და გერონტებს. სხვათა შორის ბასილევსებს ერთი განსაკუთრებული მოვალეობა ჰქონიათ დაკისრებული: მჭედლებს გადასცემდნენ დასამუშავებლად სპილენძის განსაზღვრულ რაოდენობას.

როგორც ჩანს, მაღალი თანამდებობის პირებთან ერთად სახელმწიფოს მმართველობაში განსაზღვრულ როლს თამაშობდა სახალხო კრებაც. ერთი ინგლისელი მკვლევარის სიტყვით „დემოსი იყო ორგანო. რომელსაც მინდობილი ჰქონდა მოესაზრებინა საკითხები და მათ შესახებ თავისი აზრი გამოეთქვა". „ხალხის" სახელითვე ხდებოდა მიწის ნაკვეთის გამოყოფა: კნოსის წარწერებში ჩამოთვლილია აგრეთვე სხვადასხვა ქალაქის კუთვნილი რქოსანი საქონელი და შესაძლოა, ლაპარაკია ხარების ძოვებაზე საზოგადოებრივ მთის საბალახოებზე[32].

თითოეულ ტელესტს ეძლეოდა საშუალოდ მარცვლეულის 600 საწყავის ეკვივალენტური ნაკვეთი, ე. ი. ისეთივე ნაკვეთი, როგორიც ლავაგეტს. მაშასადამე, ტელესტი წარჩინებული პირი ყოფილა.

ზოგიერთ წარწერაში ტელესტების კატეგორიას უპირისპირდება კატეგორია კ ა მ ა ე ვ ე (kamaeve), რომელიც მთელ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა ს უნდა გულისხმობდეს.

სხვა თანამდებობის პირებთან ერთად მიკენის დოკუმენტებში ხშირად არიან მოხსენებული პრივილეგიური კატეგორიის წარმომადგენლები ე ქ ე ტ ა (eqeta), ხოლო ცალკეულ სოფელთა ხელმძღვანელები სხვადასხვა სახელს ატარებდნენ. ზოგიერთ დოკუმენტში მოხსენებულია თანამდებობის პირი დ ა მ ა ტ ი, რომელიც სხვადასხვა სოფელში ხელისუფლების მაღალ წარმომადგენლად გვევლინება.

ყველა ადგილობრივი მმართველის ძირითად მოვალეობას მეფისა თუ მხედართმთავრის სასარგებლოდ სხვადასხვა ბეგარის შეგროვება წარმოადგენდა, ისინი აგროვებდნენ პროდუქტებს, სპილენძს, ოქროს და სამუშაოდ იწვევდნენ ადამიანებს ოსტატებად თუ სასახლის მსახურებად. ამიტომ დოკუმენტებში უფრო ხშირად იმ თანამდებობის პირებია მოხსენებული, რომლებიც ხაზინაში გადასახადების შემოსვლასა და ხაზინიდან გაცემას განაგებდნენ, პირველ რიგში „მიმღებნი".

რაკი პილოსის სახელმწიფოში მკაცრად გატარებული ცენტრალიზებული მმართველობა სუფევდა და როგორც ცენტრში, ისე ცალკეულ რაიონებში მრავალი თანამდებობის პირი არსებობდა, საჭირო იყო ცენტრიდან ბრძანებათა და განკარგულებათა სწრაფი გადაცემა პერიფერიებში და ადგილობრივი მმართველობისაგან მოხსენებების დროულად მიღება. ამ ფუნქციას ასრულებდნენ კარუკე (karuke — κήρυκες), ე. ი. მაცნეები, მაუწყებლები („სიტყვის გადამცემები"), ზეპირ განკარგულებათა მთხრობელნი და წერილობითი ბრძანებების დამტარებლები, რომელთაც პილოსის ორ დოკუმენტში დიფთერაფორები ეწოდებათ[33]. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მიკენის სამყაროში დამწერლობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

პილოსის დოკუმენტების თანახმად კერძო მიწათმფლობელნი ჩვეულებრივად მსხვილი მესაკუთრენი იყვნენ. თითოეული მათგანის მიწის რაოდენობა განსაზღვრულია მარცვლეულის საწყავით, რომელიც ყოველი ნაკვეთის მიმართაა გათვალისწინებული.

კერძო მესაკუთრეთა შორის მიწის უდიდესი ნაკვეთი ჰქონია „მწყემსს"; მისი ნაკვეთი მარცვლეულის 498 საწყავის ეკვივალენტურია. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს „მწყემსი" დიდი ჯოგის პატრონიც იყო.

არსებულა მიწის საკუთრების ორგვარი სახე: **kotona kitimena**, რომელიც მესაკუთრეების პირად განკარგულებაში იყო, და **kotona kekemena**, რომელიც „ხალხისაგან", ალბათ, სამუდამოდ მიღებული მიწა იყო, რომლის მფლობელს გარკვეული მოვალეობა ეკისრებოდა.

რა უნდა ყოფილიყო ეს ვალდებულება? ასეთი მიწის მფლობელნი ვალდებულნი იყვნენ იგი დასამუშავებელ ნაკვეთებად დაენაწილებინათ და იჯარით გაეცათ. ალბათ, ამის გამო ეწოდებოდა მას **kekemena** — „დაკვეთილი".

გარკვეული ადგილი ჰქონდა მიკუთვნილი მოიჯარეებს. ზოგჯერ „ხალხი" განსაკუთრებული დამსახურებისათვის ამა თუ იმ პირს

იჯარით აძლევდა მიწის ნაკვეთებს. მოიჯარეები შეგვიძლია ორ ერთიმეორისაგან მკაცრად განსხვავებულ ჯგუფად წარმოვიდგინოთ. პირველს ეკუთვნოდნენ პრივილეგიური ადამიანები: ქურუმები, გამოჩენილი თანამდებობის პირები, მეომრები, რომლებიც „ხალხისაგან“ იჯარით ნაკვეთებს იღებდნენ და ამავე დროს კერძო საკუთრების უფლების ასეთსავე დიდ ნაკვეთებს ფლობდნენ.

მოიჯარეების დიდ ნაწილს უმეტესად ეგრეთ წოდებული „ღვთის მონები“ და „ღვთის მხევლები“ შეადგენდნენ.

„ღვთის მონები“ უმთავრესად წვრილ მოიჯარეებს წარმოადგენდნენ. ვინ იყვნენ ამ კატეგორიის ადამიანები? თავისუფალი ადამიანები, ტაძრების მსახურნი, თუ ტაძრებისადმი შეწირული მონები?

საფიქრებელია, რომ ისინი ცალკეულ ტაძრებზე მიწერილ თავისუფალ ადამიანებს წარმოადგენდნენ და უმთავრესად როგორც კერძო საკუთრების, ისე სახელმწიფო მიწის ნაკვეთების მოიჯარეებად გვევლინებიან. ალბათ, მათ არ შეეძლოთ მიწა კერძო საკუთრებად ჰქონოდათ, თუმცა მათ წრეში ყოფილან შედარებით შეძლებული ადამიანებიც[34].

აღსანიშნავია, რომ ამ მოიჯარეებსა და კერძო მიწათმფლობელებს შორის ქალებს საპატიო მდგომარეობა ეკავათ. მათ „ხალხისაგან“ სარგებლობისათვის ეძლეოდათ მიწის ნაკვეთები, იყვნენ უფლებაუნარიანები და თავიანთ მოქმედებაში არ საჭიროებდნენ, როგორც მერმინდელ დროში, მეურვეებს (κύριος); ქალებსვე ეკავათ უმაღლესი სატაძრო თანამდებობანი.

როცა მიწათმფლობელობასა და საიჯარო ურთიერთობას ვეხებით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ფორმულა, რომლის მიხედვით, კერძო საკუთრების გამოკლებით, მთელი მიწის დანაწილებასა და იჯარით გაცემას „ხალხი“ განაგებს. როგორც ვთქვით, ვანაკტს, ლავაგეტს და აგრეთვე ზოგიერთ სხვას გამოეყოფოდა სახელმწიფო მიწიდან ტემენოსები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში ყოველთვის აღინიშნებოდა, რომ ნაკვეთი მიღებულია „ხალხისაგან“, ტაძრის მიწასაც კი, რომელიც თითქოს ღმერთების საკუთრებას წარმოადგენდა, იჯარით გასცემდა არა უმაღლესი ქურუმ-ქალი, არამედ „ხალხი“. ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმ დროის პილოსში ხალხის უფლებამოსილებას, იმისდამიუხედავად მიწის დანაწილება საერთოდ ტარდებოდა სახალხო კრებაზე, თუ ცალ-ცალკე იმ ცხრა ნაწილში, რომლებადაც ჰომეროსის სიტყვით პილოსის ხალხი იყოფოდა? სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი მოვლენა იმ დროის სინამდვილეში არსებითად ფორმალობა იყო და „სამხედრო დემოკრატიის“ მბოლოდ გადმონაშთს წარმოადგენდა. ფაქტიურად კი უმაღლესი ხელი-

სუფლება ეკუთვნოდა ვანაკს და მის მახლობელ პირებს. სხვა საკითხია. ემსგავსებოდა თუ არა მიკენის ეპოქის მეფე ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოთა მბრძანებლებს. ცნობილია, რომ ხელოვნების ძეგლებზე ძველი აღმოსავლეთის მეფეები ყოველთვის კომპოზიციის ცენტრს განასახიერებენ და ხშირად როგორც სურათებზე, ისე წარწერებში განსაკუთრებით აღნიშნულია მათი ღვთაებრივი წარმოშობა. მართალია, კნოსისა და მიკენის ძეგლებზე მბრძანებლები, პირიქით. ჩვეულებრივ ადამიანებად არიან წარმოდგენილი, რამდენადაც ეს დღემდია შემჩნეული, მაგრამ უდავოდ მიგვაჩნია ისიც, რომ კნოსის, მიკენის, ტირინთისა და პილოსის უზარმაზარი ბრწყინვალე სასახლეების აღმშენებელი მეფეები უმაღლესი ხელისუფლების მატარებლები უნდა ყოფილიყვნენ. ძნელია იმ აზრის გაზიარება თითქოს პილოსის სახელმწიფოში უმაღლესი ხელმძღვანელი არა ერთი, არამედ ორი პირი იყო, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ სპარტაში. მიკენის სამყაროს მეფეთა განკარგულებაში როგორც მთელი მოსახლეობის ისე მონების შრომა უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვიცით, რომ როგორც მბრძანებლების, ისე მაღალი თანამდებობის პირთა ყველა მოთხოვნილებას ხალხი ნატურალური სახით ასრულებდა: განსაზღვრული განრიგების მიხედვით მიჰქონდათ მათი გამოსაკვები მარაგი, გარკვეული განაწილების თანახმად ცალკეულ რაიონებს გამოჰყავდათ მუშები, ოსტატები და სახელმწიფო მოსამსახურეები. ხელოსნებიც კი მასალას წონითა და აღრიცხვით შინ იღებდნენ დასამუშავებლად და გაცემული მიწისა და პროდუქტების სანაცვლოდ სახელმწიფოს აბარებდნენ თავიანთ ნაკეთობათ, ანდა დადგენილ დროს ცხადდებოდნენ სამუშაოზე. „გამოცხადებულთა“ და „არაგამოცხადებულთა“ ზუსტი რეგისტრაცია წარმოებდა ადგილისა და პროფესიის მიხედვით. მხოლოდ დიდი თანამდებობის პირებს შეეძლოთ გამოცხადებისაგან გაენთავისუფლებინათ რომელიმე მათგანი; ბასილევსები თვალყურს ადევნებდნენ ჩასაბარებლად განკუთვნილ ბრინჯაოს ნაკეთობათა წონის სიზუსტეს. ნატურალურ ბეგარას წარმოადგენდა აგრეთვე ტაძრების მომარაგება პროდუქტებით, ტანსაცმლით, ლითონის ნაკეთობით და ჭურჭლით, ზოგიერთ შემთხვევაში კი მხევლებითაც.

ყოველივე ზემონათქვამი გულისხმობს ისეთი თავისებური ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობას, რომელსაც ერთი უფლებამოსილი მბრძანებელი და მასთან დაახლოებული პრივილეგიური პირები განაგებენ.

მიწის მეურნეობასთან ერთად მიკენელი ბერძნების ცხოვრებაში დიდი ადგილი ეკუთვნოდა მესაქონლეობას, რაც გარკვეულად მოჩანს

პილოსის დოკუმენტებში. მათ მიხედვით შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ მთავარ შინაურ ცხოველს ცხვარი წარმოადგენდა: ყოველ სოფელს ჰყავდა ცხვრის მნიშვნელოვანი ფარები. შედარებით უფრო ნაკლებად მისდევდნენ თხების მოშენებას.

საზაფხულო საძოვრებზე ცხვრებსა და თხებს განსაკუთრებულ ბაკებში შერეკავდნენ ხოლმე. წარწერებში სხვადასხვა სახის მწყემსებია მოხსენებული. ერთ წარწერაში ჩამოთვლილია სამუშაოზე გამოცხადებული მუშები და მათ შორის ცხვრის ბაკების რამდენიმე დარაჯი და 90 კაცი, რომლებიც ძროხებს მწყემსავდნენ ზღვის ქვიშოვან სანაპიროზე.

საკმაოდ მრავლად ყოფილან მოშენებული ღორები. ერთ წარწერაში ისიც კია გათვალისწინებული, თუ რამდენი ღორი უნდა გაესუქებინათ მოსახლეობის ცალკე პუნქტებს სახალხო ტრაპეზისათვის. სამაგიეროდ პილოსის წარწერებში ფრიად იშვიათად იხსენება ცხენი.

გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილა საქონლის ჯოგები კნოსის სახელმწიფოში. მარტო სხვადასხვა ტაძარს შესაწირავის სახით ხშირად ორასამდე ცხვარი ეგზავნებოდა ერთ თვეში. კნოსის წარწერებში ხშირად იხსენებიან ცხენები და კვიცები, აგრეთვე სამხედრო ეტლები და ერთხელ ვირიცაა მოხსენებული. ფრიად საყურადღებოა, რომ ზოგიერთ წარწერაში ნახსენებია ირმების ბაკები, სადაც იდეოგრამის სახით ირმის გამოსახულებაა მოთავსებული. არსებობს ჰიპოთეზი, რომ ამ შემთხვევაში არტემიდას ტაძრის ირმების საღვთო ჯოგებზეა ლაპარაკი, რომლებიც კლასიკურ ეპოქაშიც იხსენებიან.

შესამჩნევად განვითარებული მოჩანს მიკენის ეპოქის სახელმწიფოებში ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა და ხელოსნების განსაკუთრებული მდგომარეობა.

ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პილოსის წარწერებში ხელოსნები მეტწილად თავისუფალ ადამიანთა ჯგუფს და ხშირად შეძლებულ პირებს ეკუთვნოდნენ.

პილოსში სამუშაო მასალას ხელოსნები უმეტეს ნაწილად მმართველობისაგან იღებდნენ და მათვე აბარებდნენ დამზადებულ საგნებს. ამდენად თითქოს ხელოსნები არსებითად სახელმწიფოს მოსამსახურეებს წარმოადგენდნენ.

როგორც ირკვევა, პილოსის დოკუმენტებში მოხსენებულია შემდეგი დარგის ხელოსნები: მჭედელი, ქალატოზი. ტყის მჩეხავი, ხურო, დურგალი, გამკრიალებელი, მშვილდის ოსტატი, ეტლის ოსტატი, ხომალდის ოსტატი, მესაჭურვლე, ოქრომჭედელი, სპილოს

ძვლის დამარბილებელი ამომჭრელი, მექოთნე, დაბაღი, პურის მცხობელი, მზარეული, მრთველი ქალი, ფეიქარი ქალი, მკერავი ქალი, თერძი, ექიმი, მენიჩბე და სხვ. მარტო სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნების დასახელება გვარწმუნებს, თუ რა დიდი განვითარებისათვის მიუღწევია მიკენურ სამყაროში ხელოსნობას. როგორც ჩანს, პილოსში მჭედლები განსაკუთრებულ კორპორაციას შეადგენდნენ და სხვებთან შედარებით პრივილეგიებით სარგებლობდნენ. ასე, მაგ.. მაშინ როდესაც პილოსის სახელმწიფოს ყოველი პუნქტის მოსახლეობა ვალდებული იყო ყოველწლიურად ხაზინაში შეეტანა სელის 30 საზომი, მჭედლები ასეთი გამოსაღებისაგან თავისუფლდებოდნენ.

ოსტატები სამუშაოზე, როგორც ვთქვით, რეგულარულად უნდა გამოცხადებულიყვნენ და ამ მხრივ სასტიკი აღრიცხვა წარმოებდა; რეგისტრაცია არ შეეხებოდა მხოლოდ იმათ, ვისაც სახლში ეძლეოდა „გაკვეთილი“ (τελασία). პილოსის სამეურნეო-საზოგადოებრივი ცხოვრების განხილვასთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ მიკენის ეპოქაში მონობის არსებობის ხასიათს[35]. ჯერ კიდევ თითქოს არქეოლოგიური ძეგლების კომპლექსურმა შესწავლამ გამოავლინა, რომ მიკენის სამყაროში მონური შრომა გამოყენებული ჩანს, მაგრამ მარტო არქეოლოგიურ ძეგლებზე დამყარებით ამ საკითხის გარკვევა სრული და დამარწმუნებელი ვერ იქნებოდა. B ხაზოვან დამწერლობაში ამოკითხულია მთელი რიგი ტერმინებისა, რომლებიც მომუშავეთა პროფესიას განსაზღვრავენ; განსაკუთრებით საყურადღებოა კნოსისა და პილოსის ტექსტებში მოცემული ტერმინები — doero და doera. ამ ტერმინების გარკვევამ დიდი დისკუსია გამოიწვია: ვინ იყო ეს „დოერო“ თავისუფალი მომუშავე თუ მომუშავე მონა? ზოგიერთი მკვლევარი ამ ტერმინში მონებს გულისხმობს. სხვები — გლეხებს, ამასთან საკმაოდ შეძლებულ პირებს, ამიტომ ეს საკითხი უფრო ზედმიწევნით შესწავლასა და დაზუსტებას მოითხოვს.

ამასთან ერთად ძნელი გასარკვევია ის, თუ რამდენად ფართოდ იყო გამოყენებული მონური შრომა ოჯახის გარეშე. როგორც ეპოსი, ისე კნოსის რამდენიმე დოკუმენტი გვარწმუნებს, რომ მწყემსებად ჩვეულებრივად მონები იყვნენ. მაგრამ რთულ სამიწათმოქმედო სამუშაოებს მათ არ ანდობდნენ. არ ჩანს აგრეთვე კვალი ხელოსნობაში მონური შრომის ფართო გამოყენებისა.

შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ აქეველების საწარმოო ცხოვრებაში მონურ შრომას ჯერ კიდევ შედარებით უმნიშვნელო ადგილი ეკავა. თავისუფალი გლეხები და ხელოსნები წარმოადგენდნენ ძირი-

თად მწარმოებლებს. მონები, უპირატესად მხეცლები, უმთავრესად იმ წარჩინებულთა წრეებს ეკუთვნოდნენ, რომლებსაც სამხედრო ნადავლის განაწილებისას ტყვეების, ქონებისა და საქონლის სახით უდიდესი ნაწილი ხვდებოდათ. ასეთი სახის მონები ძირითადად საოჯახო სამუშაოებს ასრულებდნენ: ართავდნენ, ქსოვდნენ, წნავდნენ კალათებს და ა. შ.

ფრიად საყურადღებოა პილოსის ის დოკუმენტები, რომლებშიც მომუშავე ქალებზეა ლაპარაკი. თითოეულ ასეთ ჯგუფში ერთი და იმავე პროფესიის 6-დან 100-მდე ქალი შედიოდა. როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, გოგონები და ბიჭუნები, რომლებიც იმდენად მცირეწლოვანნი იყვნენ, რომ მათი შინ დატოვება არ შეიძლებოდა, დედებთან იმყოფებოდნენ და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ დედებს. როცა ისინი წამოიზრდებოდნენ, მათ უკვე დამოუკიდებელ სამუშაოებზე აგზავნიდნენ. ამ მომუშავე ქალებს — დედებს ეძლეოდათ პურის პროდუქტების განსაზღვრული რაოდენობა. ასეთ მომუშავე ქალებს აღნიშნავდნენ მხოლოდ რიცხვით და ზოგჯერ მათი პატრონის ვინაობითაც. აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც წესი, ისინი კერძო პირებს ეკუთვნოდნენ. დოკუმენტებში მათი მდგომარეობა ერთნაირი არ არის და აღნიშნულია მთელი რიგი შუალა საფეხურები. მონების შეუღლება თავისუფალ ადამიანებთან იშვიათი არ ყოფილა. კერძოდ, ასეთი შერეული დაქორწინების შედეგად დაბადებულ ქალებს „ზოქეია“ (Zoqeja) ეწოდებოდათ და მათ მოვალეობას მაღალი თანამდებობის პირების — ექეტებისა და ტელესტების მომსახურეობა შეადგენდა. ასეთი ქალები „ნახევარსისხლად“ ითვლებოდნენ, ვინაიდან მათ მიმართ აღნიშნავდნენ ხოლმე, რომ თუ ერთი მშობელთაგანი მონაა, სამაგიეროდ მეორე თავისუფალია.

ამ საკითხის სრული გათვალისწინებისათვის უდავო მნიშვნელობა აქვს იმის გამორკვევას, არსებობდა თუ არა „სასახლის მეურნეობა“, რომელიც ერთსა და იმავე დროს სახელმწიფო მეურნეობაც იყო და მეფის კერძო მეურნეობაც. მკვლევარ ი. ლ ე ნ ც მ ა ნ ს სარწმუნოდ მიაჩნდა პილოსის სასახლის მეურნეობის არსებობა და მასში მონების შრომის ფართოდ გამოყენება. პროფ. ს. ლურიე, პირიქით, უარყოფს „სასახლის მეურნეობას“ და სახელმწიფო მოთხოვნილებათა შესრულებაში მონების მონაწილეობას მოქალაქეთა შორის იძულებითი სამუშაოების განაწილების სისტემას უკავშირებს. მისი ვარაუდით, ამ სისტემის მიხედვით მონათმფლობელნი ვალდებულნი იყვნენ სახელმწიფო სამუშაოთა შესრულებისა და მაღალი თანამდებობის პირთა მომსახურეობისათვის მონების განსაზღვრული რიცხვი გამოეყოთ. მას შესაძლებლად მიაჩნია ივარაუდოს, რომ მო-

ნათმფლობელები ვალდებულნი იყვნენ განსაკუთრებული განრიგების თანახმად გაეგზავნათ მხევლების განსაზღვრული რიცხვი უმაღლესი თანამდებობის პირთა მომსახურეობისათვის. მისი სიტყვით, თითქმის მომუშავე ქალთა ჯგუფების დამახასიათებელ წარწერებშიც ერთხელაც არ იხსენება არც მეფე და არც სასახლე: რაც შეეხება მეორე სახის (c) წარწერებს, მათში ხშირად არიან მოხსენებული მონების მფლობელები, ერთხელ მხოლოდ ნახსენებია სათემო მონა. ხოლო მეფის მონები სრულებით არსად არ აღინიშნებიან.

უკანასკნელი დროის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მიკენური სახელმწიფოების თავისებურებაზე ასეთი აზრი გამოითქვა: „მიკენური სახელმწიფოები წარმოადგენდნენ ადრემონათმფლობელურ სახელმწიფოთა სპეციფიკურ სახეს, რომლებშიც გვაროვნული წყობილება კლასობრივთანაა შეხამებული. ამ სახელმწიფოთა ფორმირება უნდა მომხდარიყო გადატანილი კრეტის კულტურის ძლიერი გავლენის ქვეშ. უფრო ადრე, ვიდრე ეკონომიურ ძალთა შინაგან აღმავლობას თან მოჰყვებოდა გვაროვნული წყობილების განშრევება. ასეთ პირობებში კლასების წარმოქმნის პროცესმა მოიცვა მხოლოდ ზოგიერთები მრავალრიცხოვანი გვარებიდან... მაგრამ მოსახლეობის მასა ამ სახელმწიფოებში განაგრძობდა არსებობას პირველყოფილთემურ წყობილების პირობებში“ (Фануле Папазоглу, Микенская и гомеровская Греция, ВДИ, 1961, № 1).

მიკენის იმ დროის ნაოსნობის და ვაჭრობის განვითარებაზე მიგვითითებს პილოსის ზედწერების ცნობა, რომ მოსახლეობის განსაზღვრული ჯგუფებისაგან აგროვებდნენ მენიჩბეებსა და მეზღვაურებს. იყვნენ ისეთი გამბედავი პირებიც, რომლებიც შორეულ მგზავრობას არ ერიდებოდნენ. ასეთი იყო სპარტის „მაღალგონიერი“ მეფე მენელაოსი. მას მრავალ ქვეყანაში უმოგზაურია და ოქროთი მდიდარ ეგვიპტეშიც ყოფილა. მაგრამ ბევრს უფრო მომგებიანი ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული მეკობრეობა იზიდავდა. მიკენში „ზეთით მოვაჭრის სახლის“ ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე შენობებში გათხრილ იქნა სპილოს ძვლის საკმაოდ მრავალი ჭრილი ფირფიტები, რომლებიც, ალბათ, ავეჯის ხის ყუთისა და ზარდახშების ინკრუსტაციისათვის იყვნენ განკუთვნილი, სპილოს ძვლის ნაწარმთა სიუხვე, ერთი მხრივ, მიკენის სირიასთან მჭიდრო ურთიერთობაზე მიგვითითებს. სირიიდან, როგორც ჩანს, უგარიტით, კვიპროსით, მცირე აზიით, როდოსით და მელოსით მიკენში მიდიოდა ნედლეული, რომელსაც აქ გადაამუშავებდნენ. სპილოები იმ დროს სირიაში ჯერ კიდევ მოიპოვებოდნენ. იმ ხანად მიკენის სამყაროს კავშირი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან შედარე-

ბით უფრო მჭიდრო იყო, ვიდრე ეგვიპტესთან. მეორეს მხრივ, ეს გვიდასტურებს მიკენში ადამიანთა საკმაოდ მდიდარი ფენის არსებობას, რომელსაც საშუალება ჰქონდა შეეძინა ფუფუნების საგნები.

ის ფეაკიელები, რომლებსაც ოდისევსი ეწვია, განთქმული მეზღვაურები ყოფილან. ოდისევსმა მათ ნავსადგურში მრავალი ხომალდი იხილა. ალკინოოსი კი მას არწმუნებს, რომ ფეაკიელებს ზღვაზე არავითარი გზის, როგორი შორეულიც არ უნდა იყოს ის, არ ეშინიათო. მისი ბრძანებით ორმოცდაათი მენიჩბე საჩქაროდ შეუდგა ხომალდის გამართვას ოდისევსის გასამგზავრებლად. მეორე დღეს კი ფეაკიელები უკვე მზად იყვნენ: გადატვირთეს ხომალდზე ოდისევსის მიერ მიღებული მდიდარი საჩუქრები და, როცა ოდისევსი გამოსათხოვარი ნადიმის შემდგომ გემში ჩაჯდა. ზღვაში გავიდნენ.

სავაჭრო და საზღვაო ურთიერთობა, როგორც ჩანს, სუფევდა არა მარტო მიკენის კულტურის ცნობილ ცენტრებთან და კუნძულებთან, არამედ უფრო შორეულ ქვეყნებთანაც.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ ის ფაქტიც, რომ პილოსის სახელმწიფოში იმდენად განვითარებულა საზოგადოებრივი ცხოვრება, რომ პილოსელებს, როგორც დავინახეთ, თავიანთი ახალშენები ადრევე დაუმკვიდრებიათ მცირე აზიაში. ასეთ ახალშენებს მიეკუთვნებიან: ეფესო, მილეტი და მცირე აზიის იონიის ზოგიერთი სხვა ქალაქი; საერთოდ კი კუნძულები მელოსი და თერა, აღმოსავლეთით კუნძულები კრეტა, კვიპროსი. კოსი, როდოსი და პამფილიის ნაპირები ჯერ კიდევ მიკენის პერიოდში კოლონიზებული ყოფილან აქეელების მიერ.

რამდენიმე ხნის წინათ გამოთქმული იყო ჰიპოთეზი, რომელიც უმთავრესად ბოღაზეკოის ტექსტებს ემყარებოდა და ძვ. წ. XIV საუკუნეში აქეელთა ისეთი დიდი სამეფო Achijave—Achaia-ს არსებობას აღიარებდა[36], რომელიც თითქოს, მთელ საბერძნეთს, პამფილიასა და მახლობლად მდებარე კუნძულებს მოიცავდა და რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ხეთების სამყაროსთან. ზოგიერთი მკვლევარი, მაგ., ფ ო რ ე რ ი[37], ისე შორს მიდიოდა, რომ ხეთურ დოკუმენტებში ატრევსის სახელსაც კი კითხულობდა. უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა ასეთ ჰიპოთეზს საფუძველი შეურყია[38].

მიკენის ეპოქის ბერძნული დოკუმენტების განხილვა საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ იმ დროის ბერძნების ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა ს ა და კ ა ლ ტ ზ ე. უდავოა, რომ იმ დროს ბერძნები თაყვანსა სცემდნენ ოლიმპოს მთავარ ღვთაებებს, თუმცა მათ გვერდით ზოგჯერ წინაბერძნული მოსახლეობის ღმერთებიც იხსენებიან. როგორც პილოსში, ისე კნოსში დადასტურებულია ზევსის კულტი.

ზევსთან ერთად მოხსენებულია ჰერაც, მაგ., კნოსის დოკუმენტებში, რომლებშიც სხვადასხვა ღმერთის ტაძრებში მიტანილი შესაწირავია ჩამოთვლილი, ხშირად ჰერაც იხსენება. გვხვდება აგრეთვე ზევსისა და ჰერას ძის ჰეფესტოს სახელიც, მაგრამ უფრო ხშირია პოსეიდონისა და მისი საკურთხევლის დასახელება. შესაძლოა, ეს ის საკურთხეველია, რომელიც „ოდისეაშია" (III,I შმდ.) მოხსენებული: როცა ტელემაქოსი საუცხოოდ გაშენებულ პილოსში მიდის, აქ მას ხვდებიან ზღვის ღმერთის პოსეიდონის საპატივცემო სამსხვერპლო ტრაპეზში მონაწილე მოქალაქეები. როგორც ერთი წარწერიდან ჩანს, პოსეიდონს სწირავდნენ ოქროს ფიალას და ორ ქალს სატაძრო მხევლობის სახით. წარწერებში მოხსენებულია აგრეთვე ლეტო, მისი ასული არტემიდა, პეანი, ჰერმესი, არესი, დიონისე და სხვ. ღმერთები. ამიტომ არსებობს საფუძველი ვიგულისხმოთ, რომ ოლიმპოს ღმერთების პანთეონის ჩანასახი აქეველთა წრეში ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში წარმოიქმნა, გადაურჩა დორიელთა შემოსევას და გადავიდა ჰომეროსის საზოგადოებაში.

ქურუმებს პილოსის სახელმწიფოში შესამჩნევი მდგომარეობა და ადგილი ეკუთვნოდათ. კულტის უმაღლეს მსახურთა შორის განსაკუთრებით მოხსენებულია ქურუმ-ქალი სფაგიაში (=სფაქტერიაში): მას ხაზინიდან იჯარით ეძლეოდა დიდი ნაკვეთი და ამასთან ერთად თავის ღმერთისაგანაც იჯარით დიდ ნაკვეთს იღებდა.

ქალაქ პილოსის ერთ-ერთი ტაძრის ქურუმ-ქალს „კანდელაკი" ეწოდებოდა. სფაგიის ქურუმ-ქალს და მას იჯარით ეძლეოდა თითოეულს მარცვლის 300-მდე საწყავის ეკვივალენტური მიწა. იგი სხვა თანამდებობის პირებთან თანაბარ საფუძველზე ვალდებული იყო ხაზინაში შეეტანა გარკვეული რაოდენობა სახომალდე და სამახვილე სპილენძისა.

აქვე უნდა შევეხოთ სახელმწიფო კერის განწმენდის წესს. არსებობს საყურადღებო დოკუმენტი — თიხის ფიქალი, რომლის ორსავე გვერდზე ამოკვეთილია წარწერა.

წარწერის დასაწყისში აღნიშნულია: ვიღაც „პოლოსში... არ მოსულა და განწმენდა არ შეუსრულებია". უკანა გვერდზე კი მიწერილია: „პერეკუვანაკამ („ცულის მეფემ") შეასრულა განწმენდა კერის ცეცხლით და სისხლის დაღვრით". მაშასადამე, პერეკუვანაკას განწმენდის წესის შესასრულებლად ელოდნენ, ის მოსულა და შეუსრულებია კიდეც ეს წესი. თუ საიდან მოიტანა მან „სუფთა ცეცხლი" არა ჩანს, მაგრამ შესაძლოა ვიგულისხმოთ, რომ ის მოტანილ იქნა მიკენის სახელმწიფოს „საერთო კერიდან". არც ისაა გარკვეული, თუ ვისი სისხლი იქნა დაღვრილი ამ წესის შესრულების დროს.

უფრო საგულისხმოა, რომ ამ დროს კლავდნენ ადამიანს და მისი სისხლით ასრულებდნენ განწმენდას.

რა მიზანი ჰქონდა ასეთ განწმენდას?

უნდა ვიფიქროთ, რომ რამდენადაც ღმერთები სახელმწიფოს მფარველებად ითვლებოდნენ, შემოსეული მტრების მიერ მფარველი ღვთაების ტაძრის დაკავების თუ მისი კერპის გატაცების შემთხვევაში მტრების ბატონობის მავნე გავლენის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო განწმენდა: მტრების ბატონობით სახელმწიფო კერაზე შებილწული ცეცხლის ჩაქრობა და ახალი სუფთა ცეცხლის დანთება. მაგრამ ვინაიდან ღმერთები მთლიანად არა მარტო სახელმწიფოს, არამედ მასში გაბატონებულ წყობილების მფარველებადაც ითვლებოდნენ, ამიტომ განწმენდა საჭიროდ ითვლებოდა აჯანყებათა და გადატრიალებათა ჩახშობის შემდეგაც, რისი მაგალითებიც საბერძნეთის ისტორიიდანაა ცნობილი.

ძველი აღმოსავლური დოკუმენტებისა და ბერძნული ტრადიციის ძირითადად შეთანხმებული დამოწმების თანახმად XIII—XII საუკუნეებში ბალკანეთის ნახევარკუნძული და მცირე აზია მოცული იყო ტომთა მასობრივი მიგრაციებით. ამ მიგრაციათა ცალკეულ მომენტებს წარმოადგენს ტროას ომი, დორიელთა გადმოსახლება და მიკენისა და კრეტის სამეფოების დამხობა. დორიელები თავდაპირველად ეგეოსის სამყაროს ჩრდილოეთ პერიფერიაზე ბინადრობდნენ და აქედან დაიძრნენ სამხრეთით და გზადაგზა ავიწროებდნენ კრეტელებსა და აქეელებს. დორიელი ტომების მასობრივი ადგილგადანაცვლება დაკავშირებული იყო მათ წრეში პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლის პროცესსა და ახალ საზოგადოებრივ მოვლენებთან. ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ უძველესი დასახლება დორიელებისა კუნძულ კრეტასთანაა დაკავშირებული („ოდისეა", XIX, 172).

როგორც ჩანს, XIII საუკუნის მეორე ნახევარში მიკენი ჯერ კიდევ მშვიდობიან მდგომარეობას განიცდიდა, თორემ ჩვენთვის გაუგებარი იქნებოდა იმ დროს გალავნის გარეთ ისეთი ვრცელი და მდიდარი შენობების აგება, როგორიცაა ზეთითა და ღვინით მოვაჭრეთა სახლები[39]. ნათქვამი იყო, რომ მიკენის შესამჩნევი დაუძლურება ტროას ომის შემდგომ დაიწყო. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისელებმა 1950 წლიდან განაახლეს გათხრები მიკენის ადგილას და, როგორც ამ გათხრების შედეგების ანალიზიდან ირკვევა, ძვ. წ. 1240 წლის შემდეგ მიკენი უკვე მოწყვეტილი ჩანს კუნძულებისა და მცირე აზიის სანაპიროსაგან; მისი სავაჭრო ურთიერთობა დიდად შემცირებულა, მაგრამ მიკენი მაინც ინარჩუნებს პელოპონესში მეთაუ-

რი ქალაქის მნიშვნელობას. საფიქრებელია, რომ დორიელების თავდასხმას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ ძვ. წ. XIII საუკუნის ბოლოს, მაგრამ მაშინ აქეელებმა ადვილად შეძლეს გამკლავება. უფრო გვიან ძვ. წ. XII საუკუნეში დორიელები სხვა ბერძნულ ტომებთან ერთად დაიძრნენ შუა და სამხრეთ საბერძნეთისაკენ. შემოსეულებთან ბრძოლაში განსაკუთრებით დაზარალდნენ არგოლიდის ქალაქები მათ შორის მიკენი. დორიელები სხვა ბერძენ ტომთაგან ხანგრძლივად იყვნენ იზოლირებული ჩრდილოეთში და ეს, გარდა საზოგადოებრივ წყობილებაში განსხვავებისა, იმაშიც ჩანს, რომ მათი დიალექტი შესამჩნევად განსხვავდებოდა სხვა დიალექტებისაგან. უნდა ვივარაუდოთ, რომ დორიელების დაძვრა ჩრდილოეთიდან დაიწყო ძვ. წ. XII საუკუნის დასასრულიდან. ახალი მიწების. პირუტყვისა და საბალახოების მიტაცების მიზნით მათ იწყეს ბალკანეთის ნახევარკუნძულის სიღრმეში შეჭრა. თუ როგორ მიმდინარეობდა დორიელთა გადასახლება, დაწვრილებით არ ვიცით. ხოლო რა ცვლილებები მოჰყვა ბერძენ ტომთა გადასახლებაში დორიელთა მოძრაობას და მასთან დაკავშირებულ ადგილ-გადანაცვლებებს, ამის ზოგადი სურათის წარმოდგენა კი შესაძლებელია. პირველ რიგში განვიხილოთ თქმულება დორიელთა გადმოსახლებაზე.

ამ თქმულების ძირითადი შინაარსი შემდეგია: მრავალი საგმირო საქმის ჩამდენი განთქმული არგოსელი გმირის, ნახევარღმერთის ჰერაკლეს შვილები მისი სიკვდილის შემდგომ პელოპონესიდან გაძევა მისმა ახლობელმა ნათესავმა და მოსისხლე მტერმა ევრისთემ. დიდი მოგზაურობის შემდეგ ჰერაკლეს მემკვიდრეები, რომელიც იმ დროს ჩრდილოეთ საბერძნეთში (დორიდაში) მობინადრე დორიელთა ტომს მეთაურობდნენ, გადავიდნენ კორინთოს ყურეზე და დაიპყრეს პელოპონესი. ამგვარად, მათ თითქოს უკან დაიბრუნეს მამაპაპეული სამკვიდრებელი. რა თქმა უნდა, ამ თქმულებაში სინამდვილეს მხოლოდ ის შეესაბამება, რომ დორიელების ტომი ჩრდილოეთიდან თანდათანობით გადმოდიოდა საბერძნეთის სამხრეთ ნაწილში. დორიელთა ლაშქრობის დათარიღება განსხვავებულია როგორც ანტიკურ ლიტერატურულ ტრადიციაში, ისე ძველი ქრონოგრაფოსების გადმოცემაში. მაგრამ, მათი მოწმობის თანახმად, დორიელთა ლაშქრობა ძვ. წ. XII—XI საუკუნეებს უნდა მივაკუთვნოთ. დორიელთა ლაშქრობას ცხადია, უნდა გამოეწვია სხვა ტომთა საერთო მოძრაობაც. ამის დადასტურებას ვხედავთ ცნობილი ისტორიკოსის თუკიდიდეს ცნობაში (I. 2, 1; I, 8, 3; I. 2, 4): უძველეს პერიოდში მხარე, რომელსაც ჰელადა ეწოდება ტროას ომამდე და შემდეგაც დიდხანს არ იყო მყარად დასახლებული. მასში მიმდინა-

რეობდა გადასახლებანი და ყველა, როცა მათ ყოველთვის უფრო მრავალრიცხოვანი რომელიმე სხვა ხალხი ავიწროებდა, ადვილად ტოვებდა თავის მიწასო. მერე რა იყო მიზეზი ასეთი მოძრაობის სიადვილისა? თუკიდიდე გვეუბნება: მოსახლეობის შეცვლას მუდამ განიცდიდა ჰელადის უპირატესად საუკეთესო მიწები, სახელდობრ, მხარეები, რომელთაც ახლა თესალია და ბეოტია ეწოდება. აგრეთვე პელოპონესის უმეტესი ნაწილი. არკადიის გამოკლებით, და ბოლოს, დანარჩენი ჰელადის მთელი უნაყოფიერესი მხარეო. საგულისხმოა, რომ თუკიდიდე არც შინაგან სოციალურ მომენტებს ივიწყებს: მაგრამ თუ, ნიადაგის ნაყოფიერების წყალობით, ზოგიერთი ტომის ძლი-



სურ. 33. დიპილონის ვაზა გეომეტრიული ორნამენტით.

ერება კიდეც იზრდებოდა, რაც წარმოშობდა შინაგან უთანხმოებას, რომელსაც ისინი დაღუპვისაკენ მიჰყავდა, ამასთან ერთად კიდევ უფრო აჩქარებდა უცხო ტომთა შემოსევებსო მათზე. ვფიქრობთ, ძველი ისტორიკოსის საღ და ღრმად მოსაზრებულ მსჯელობასთან გვაქვს საქმე. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი სავსებით უარყოფს დორიელთა გადასახლებას

და მათ მიერ პელოპონესის დაპყრობას[40], ჩვენ მაინც უნდა ვიფიქროთ, რომ თქმულებებში დაცულია სინამდვილის მარცვალი, რომლის უკუგდება სამართლიანი არ იქნებოდა. საფიქრებელია, რომ დორიელთა გადმოსახლება ერთბაშად არ მომხდარა და პირიქით. ნაწილ-ნაწილად მიმდინარეობდა. მათი ნაწილი გზაზე მკვიდრდებოდა, ხოლო მეორე ნაწილმა პელოპონესს მიაღწია, დაეუფლა ლაკონიკის ბარს, გადავიდა კრეტაზე და საერთოდ განლაგდა ეგეოსის ზღვის კუნძულებზე.

არკადიის მთიან მხარეში დარჩა აქეელთა ძველი მოსახლეობა, რომელმაც ასეთი იზოლირების წყალობით შეინარჩუნა თავისი ძველი დიალექტი, ხოლო თუ არკადიაში ერთგვარი სიწმინდით იქნა დაცული წინადორიული დიალექტი, სამაგიეროდ პელოპონესის დანარჩენი მხარეები დორიზირებული შეიქნენ. მაგრამ ეს პროცესი ცალმხრივი არ ყოფილა, რადგან გვიანდელ დორიულ დიალექტებში შემონახულია წინადორიული ეოლიურ-აქეური დიალექტების კვალი. იქ, სადაც დამპყრობელ ტომთა ბატონობას ისეთი პოლიტიკური ფორმები არ მიუღია, როგორიც სპარტასა და მესენიაში, ადგილი ჰქონდა მოსახლეობის მიერ არა იმდენად დამპყრობელთა დიალექტის შეთვისებას, რამდენად ურთიერთობის ნიადაგზე შერეული დიალექტის წარმოქმნას. მაგალითად, გარკვეულად შერეული დიალექტი გვხვდება ბეოტიასა და თესალიაში, სადაც ძირითადმა ეოლიურმა დიალექტმა დამპყრობელი ტომების — ბეოტიელებისა და თესალიელების დიალექტის შედარებით მნიშვნელოვანი ელემენტები შეირწყა[41].

დორიელები კულტურის შედარებით დაბალ საფეხურზე მდგომი მეომარი ტომები იყვნენ, მაგრამ მათ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ იცნობდნენ რკინის დამუშავებას და გამოყენებას, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ შემოსევას აქეელთა ქვეყანაში მიკენის კულტურაზე საბედისწერო გავლენა მოუხდენია. მაგრამ კრეტა-მიკენის კულტურის ტრადიციები უკვალოდ არ გამქრალა და შედარებით შემონახულა ბერძენთა სამყაროს ზოგიერთ ნაწილში, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც დორიელთა მიერ განდევნილი აქეელები დამკვიდრებულან. წინანდელი კულტურის დაქვეითება უფრო ფართოდ საერთოდ მიკენური ხელოსნური ოსტატობისა და მხატვრული გემოვნების დაქვეითებაში ვლინდება. ჯერ კიდევ მიკენის პერიოდში ვითარდება მიკენის კერამიკის გეომეტრიზაცია, მაგრამ ეს მოვლენა უფრო ხელშესახებია ეგრეთ წოდებული დიპილონის სტილის ვაზებში. ეს სტილი მას ასე იმიტომ ეწოდება,

რომ მისი მთავარი ძეგლები აღმოჩენილ იქნა ათენის ორმაგ ჭიშ-კართან (დიპილონთან).

დორიელთა გადასახლებამ და მასთან დაკავშირებით ბერძენ ტომ-თა მოძრაობამ მიკენის კულტურა შეარყია და ბოლო მოუღო მიკე-ნის პერიოდს. მიკენის ეპოქის სასახლეების განადგურების შემდგომ გამქრალა მათი მომსახურე დამწერლობაც. ამით დამთავრდა მიკენის სამყაროს უძველესი ეპოქა და დასაბამი მიეცა ძველი საბერძნეთის ახალ პერიოდს ახალი სოციალური და კულტურული ურთიერთო-ბით. ამ უძველესი ეპოქის გამოძახილი შემოგვინახა ჰომეროსის პოე-მებმა, ხოლო დიდმა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა ზოგადად გა-ამართლა ძველი ბერძნული თქმულებები და ნივთიერი კულტურის ძეგლების საფუძველზე გააცოცხლა და აამეტყველა ეს შორეული წარსული. ყოველივე ამას კი დაერთო B ხაზოვანი დამწერლობის ამოკითხვა, რამაც ახალი წერილობითი მასალა შესძინა ამ უძველესი ეპოქის სოციალური წყობისა და კულტურის ისტორიის გაშუქებას.

თავი მეორე

ჰომეროსის დროის საბერძნეთი

1. ჰომეროსის საკითხი[1]

მიკენის დამხობის შემდგომი 400 წლის პერიოდის (XI—VIII სს.) შესახებ ჩვენ არცთუ მცირე ცნობები მოგვეპოვება, თუმცა ამ პერიოდის ძირითადი წყარო მხოლოდ ჰომეროსის პოემებია.



სურ. 34. ჰომეროსი. მარმარილოს ბიუსტი.

დღეს, ალბათ, იშვიათად მოიპოვება ისეთი წერა-კითხვის მცოდნე ადამიანი, რომელსაც ჰომეროსის სახელი არ სმენოდეს, მაგრამ ის კი შესაძლოა ყველამ არ იცოდეს, რომ ამ სახელთან დაკავშირებულია მწერლობის ისტორიაში ურთულესი პრობლემა, რომელმაც განვითარების გრძელი გზა განვლო. თვითონ ბერძნებს ძვ. წ. V საუკუნემდე ეჭვი არ ეპარებოდათ ჰომეროსის არსებობაში და მას მიაკუთვნებდნენ არა მარტო „ილიადასა" და „ოდისეას", არამედ ღმერთების საპატივცემო ჰიმნებსაც. ხოლო მას შემდეგ, რაც მათ თითქოს, მოიმარჯვეს მეცნიერული კრიტიკა, ჰომეროსის სახელს ჩამოაშორეს ზოგიერთი ნაწარმოები. თავდაპირველად პოემებისადმი ერთგვარი კრიტიკული მიდგომა ისტორიის მამამთავრად მიჩნეულმა ჰეროდოტემ გამოიჩინა. მაგრამ განსაკუთრებული კრიტიკით განიხილა ჰომეროსი ძვ. წ. IV საუკუნის სოფისტმა. ზოილმა, რომელსაც ძველად „ჰომერომასტიკოსს" („ჰომეროსის შოლტს") უწოდებდ-

ნენ. მისი სახელის მიხედვით ჩვენს დროშიც უსამართლო ან ცალმხრივ კრიტიკას ზ ო ი ლ ი ზ მ ი ეწოდება. განსაკუთრებით განვითარდა ჰომეროსის საკითხის განხილვა ალექსანდრიის ეპოქაში და ამ ნიადაგზე მთელი სკოლები წარმოიქმნა. მაგრამ ის კი ღრმად სწამდათ ბერძნებს. რომ მოხუცი მგოსანი ისტორიული პიროვნება იყო და შვიდი ქალაქი ერთიმეორეს ეცილებოდა. თუ რომელს ხვდებოდა წილად დიდი მგოსნის სამშობლოდ აღიარების პატივი.

XVIII საუკუნეში. რომელიც განათლების, რაციონალიზმისა და კრიტიციზმის ხანად ითვლება, ჰომეროსის საკითხისადმი ინტერესი კვლავ გაძლიერდა. ამ საკითხის აღორძინებას დასაბამი მისცეს ფრანგმა აბატმა დ ო ბ ი ნ ი ა კ მ ა და იტალიელმა ისტორიკოსმა და სოციოლოგმა ვ ი კ ო ვ ი. მათი მოსაზრების განვითარებას წარმოადგენს 1795 წელს გამოსული ფ რ ი დ რ ი ხ ა ვ გ უ ს ტ ვ ო ლ ფ ი ს ნაშრომი—„შესავალი ჰომეროსისადმი“ (Prolegomena ad Homerum), ვოლფი აღნიშნავდა, რომ ჰომეროსის პოემებში მრავალი შინაგანი წინააღმდეგობაა, რომ ჰომეროსის დროს ბერძნებს დამწერლობა არ ჰქონიათო და დაასკვნის: ძველი სიმღერები ტროას ომის შესახებ ერთი თაობიდან მეორეს სიტყვიერად გადაეცემოდა, ინახებოდა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მომღერლების მეხსიერებაში და პირველად ჩაწერილ, შეკრებილ და წესრიგში მოყვანილ იქნა ათენის ტირანის პისისტრატეს დროს (ძვ. წ. VI საუკუნე).

ვოლფის თეორიის ერთ-ერთ ძთავარ არგუმენტს ის წარმოადგენდა, რომ ბერძნების დამწერლობა ჰომეროსზე გაცილებით უფრო გვიან წარმოიშვა. მაგრამ დღეს ცნობილია, რომ აქეელებს უკვე ძვ. წ. მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში შეუთვისებიათ და თავისი ენისათვის შეუფარდებიათ მინოსური A ხაზოვანი დამწერლობა; ამას გარდა, ათენის უძველესი ანბანური წარწერა მერვე საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდებოდა და. მაშასადამე. თვით ანბანური დამწერლობა გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო შემოღებული. ამას ისიც უნდა მივუმატოთ, როგორც საფუძვლიანად არის შენიშნული. რომ ეგვიპტური გრაგნილის ბერძნული სიტყვა βυβλίον. (პაპირუსისაგან გაკეთებული) იმას მოწმობს, რომ საბერძნეთში უკვე VIII საუკუნეში შემოჰქონდათ პაპირუსი ფინიკიიდან.

იმის მტკიცებაც არაა საფუძვლიანი თითქოს პოემების ჩაწერა მხოლოდ პისისტრატეს დროს მოხდა. უფრო სერიოზული იყო ვოლფის მოსაზრება, რომ არც „ილიადა“ და არც „ოდისეა“ ერთი პოეტის ქმნილებას არ წარმოადგენს, რომ მათს შედგენაში მონაწილეობას იღებდა მრავალი მგოსანი და რომ ცალკეული სიმღერები მთლიანობაში შეაკავშირეს მხოლოდ მრავალი საუკუნის შემდეგო.

ვოლფის მოსაზრებებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ განათლებულ საზოგადოებაზე. დაიწყო ცხარე ლიტერატურული კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა შ ი ლ ე რ მ ა და გ ო ე თ ე მ. პოეტები ვოფლის საწინააღმდეგოდ ჰომეროსის რეალობასა და ავტორობას იცავდნენ.

ვოლფის მოსაზრებათა საფუძველზე კ ა რ ლ ო ლ ა ხ მ ა ნ მ ა (Lachmann) შექმნა „სიმღერათა თეორია" (Liedertheorie), რომლის თანახმად, „ილიადა" და „ოდისეა" ხალხური ზეპირი შემოქმედების ცალკეულ ქმნილებათაგან წარმოიქმნა და ამიტომაც ისინი დამოუკიდებელ სიმღერათა კონგლომერატს წარმოადგენენ. ის ამით ხსნის პოემებში არსებულ წინააღმდეგობებს. ამ თეორიის მეორე სახეს წარმოადგენს ეგრეთ წოდებული „კ ო მ პ ი ლ ა ც ი ი ს თ ე ო რ ი ა", რომლის მიხედვით ჰომეროსის პოემებში გაერთიანებულია არა ცალკეული სიმღერები, არამედ „მცირე ეპოსები". ასე, მაგ., კირჰოფი „ოდისეაში" ხედავდა ოთხი დამოუკიდებელი პოემის: ტელემაქოსის მოგზაურობის პოემის, ოდისევსის მოგზაურობის ორი პოემის და ოდისევსის დაბრუნების ერთი პოემის „გადამუშავებას".

ლახმანის თეორიის გამგრძელებელთაგანია აგრეთვე გ ო ტ ფ რ ი დ ჰ ე რ მ ა ნ ი, რომელიც ჰომეროსის საკითხში ეგრეთ წოდებული „თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ი ბ ი რ თ ვ ი ს თ ე ო რ ი ი ს" ავტორია. მისი შეხედულებით პირველმა დიდმა პოეტმა ისარგებლა უკვე არსებული „ბირთვით", რომელიც უკვე შეიცავდა პოემების შინაარსის ყველა ძირითად მომენტს. შემდგომში მათ სხვა პოეტების მიერ თანდათანობით სრული გადაკეთება განიცადეს და ამ ნიადაგზე მთავარი ნასკვის გარშემო წარმოიშვა ახალი ფენების მთელი რიგი. „ილიადას" საფუძვლად უდევს „პრე-ილიადა", „ოდისეას" — „პრეოდისეა". თანმიმდევრობით „გაფართოვებათა" შედეგად „ილიადა" და „ოდისეა" იმ ოდენობამდე გაიზარდა ძვ. წ. VI საუკუნისათვის, რომლითაც ისინი დღესაც არიან ცნობილი.

„ბირთვის თეორიის" ორიგინალური ვარიანტი შექმნა რუსმა მკვლევარმა ს. შ ე ს ტ ა კ ო ვ მ ა. ასეთმა თეორიებმა მკვლევართა შორის რეაქცია გამოიწვია და მათ საწინააღმდეგოდ წარმოიქმნა „უ ნ ი ტ ა რ უ ლ ი თ ე ო რ ი ა", რომლის თანახმად ჰომეროსი იყო უდიდესი ხელოვანი, რომელმაც ისარგებლა მის დროს შემონახული სიმღერებით და მათზე დამყარებით შექმნა დიდი მხატვრული ეპოსი. ეს თეორია აღიარებს ეპოსის ერთიან მხატვრულ კომპოზიციას და ჰომეროსის პიროვნების რეალობას. ამ თეორიის ერთი პირველი წარმომადგენელი იყო ვ ი ლ ჰ ე ლ მ ნ ი ჩ ი (Nizsch). მისი აზრით. ჰომეროსამდე მხოლოდ ცალკეული სიმღერები არსე-

ბობდა, რომელთაგან შექმნა ჰომეროსმა თავისი შესანიშნავი პოემები. უნიტარიების რიცხვს ეკუთვნოდა ცნობილი ფილოსოფოსი ჰ ე გ ე ლ ი (1770—1831), რომელიც მთლიანად იცავდა როგორც პოემების შინაგან ერთიანობას, ისე ჰომეროსის პიროვნების რეალობას.

რუსი მკვლევარი თ. ს ო კ ო ლ ო ვ ი თავგამოდებით იცავდა უნიტარულ თეორიას. ხოლო „ილიადას" მთარგმნელი ნ. გ ნ ე დ ი ჩ ი დიდი მოწინააღმდეგე იყო ვოლფის თეორიისა.

ჰომეროსის პიროვნების რეალობას აღიარებს გეორგ ფ ი ნ ს ლ ე რ ი ც. მაგრამ იგი ფიქრობს, რომ ჰომეროსს მხოლოდ „ილიადა" უნდა მიეკუთვნოს. გენიოსმა პოეტმა, მისი სიტყვით, რომელსაც ჰომეროსის სახელით ვიცნობთ, გამოიყენა მასზე ადრე შედგენილი რამდენიმე ეპოპეა, რომელთა შინაარსი ტროას შეეხებოდა, მისცა მათ მთავარი იდეა — აქილევსის განრისხება და შექმნა ის „ილიადა", რომელიც დღეს ხელთა გვაქვს. მას შესაძლებლად მიაჩნია, რომ მერმინდელ დროში ამ პოემას ზოგიერთი დამატება და ინტერპოლაცია ჩაურთეს, მაგრამ ამით მისი პირვანდელი სახე ვერ შეცვალესო. რაც შეეხება „ოდისეას". იგი მას უცნობი რედაქტორის შრომად სცნობს, რომელმაც ერთ მოთხრობად შეაერთა რამდენიმე პოეტური ნაწარმოები.

ჰომეროსის საკითხზე საფუძვლიანი და დამაჯერებელი მოსაზრება აქვს გამოთქმული განსვენებულ აკად. ვლადისლავ ბ უ ზ ე ს კ უ ლ ს: თანამედროვე თეორიის თვალსაზრისით, ამბობს იგი, ეპოსში რომ კიდევაც ვიცნოთ პოეტის ინდივიდუალური შემოქმედების მთელი მნიშვნელობა, მაინც ყოველ ეპვს გარეშე იქნება ის, რომ ჰომეროსის ეპოსს საფუძვლად ხალხური თქმულებები და ლექსები უდევს და ის შედეგია ხანგრძლივი თანდათანობითი განვითარებისაო. ამიტომაც მასში გამოკრთის არა რომელიმე, ვიწროდ შემოფარგლული ეპოქის ხაზები, ჩვენს თვალწინაა არა ერთი თაობის მსოფლმხედველობაო.

მართლაც უდავოა, რომ „ილიადასა" და „ოდისეაში", შორეული კრეტა-მიკენის ეპოქიდან დაწყებული VIII საუკუნემდე, სხვადასხვა დროის დამახასიათებელი ელემენტები და მათი გამოძახილია დაცული. სიმღერები „წარსულ დროთა" შესახებ თაობიდან თაობას გადაეცემოდა, ჯერ ზეპირსიტყვაობაში ინახებოდა და შემდეგ საფუძვლად დაედო ეპოსს. ამიტომ ეპოსის იმ სახით, რომლითაც მან ჩვენ დრომდე მოაღწია, ხანგრძლივი განვითარების შედეგია. ეპოსის მხატვრულ გაფორმებამდე მოგზაური მომღერლები. ცალკეული სიმღერების ხანაში გვართა წინამძღოლების კარზე ქნარზე სიმღერით მოუ-

ოხრობდნენ სხვადასხვა საგმირო თქმულებებს. შემდგომში მათს ადგილს აედები (ἀοιδοί) და რაფსოდები (ῥαψῳδοί) იკავებენ, რომლებიც უკვე დეკლამაციით განაგრძობდნენ საგმირო საქმეთა თხრობას. მათ მუსიკალური ინსტრუმენტის ნაცვლად ხელში კვერთხი ეჭირათ. ასეთ მასალაზე დაყრდნობით წარმოიქმნენ ჰომეროსის პოემები, რომლებიც თავისი აგებულების მთლიანობით და მხატვრული ღირსებით მსოფლიო ლიტერატურის შედევრს წარმოადგენენ.

უდავოა პოემების მხატვრული მთლიანობის ერთიანობა, რაც ნათლად აშკარავდება როგორც სიუჟეტის წყობაში. ისე მოქმედ პირთა დასურათებაში.

„ილიადას" შემქმნელი პოეტის უდიდესი დამსახურებაა, რომ მან პოემის ცენტრში მოათავსა თქმულება, აქილევსის განრისხების შესახებ, და სხვა ამბები მის გარშემო ისე დააჯგუფა, რომ შექმნა გეგმაშეწონილი კომპოზიცია. ამიტომ საფუძველი გვაქვს, პოეტის ისტორიულ არსებობაზე ვილაპარაკოთ და იგი „ილიადას", როგორც მთლიანი პოემის, გენიალურ შემოქმედებად ჩავთვალოთ.

პოეტს „ოდისეაში" დიდი ოსტატობით შეუერთებია ორი მოტივი—ოდისევსის შვილის ტელემაქოსის მოგზაურობისა და პენელოპეს უტიფარ საქმროებზე ოდისევსის სასტიკი შურისძიების მოტივი და პოემის მოქმედების ადგილად მისთვის კარგად ცნობილი ითაკა აურჩევია. საერთოდ კი ჰომეროსის პოემები ნიმუშია ეპოპეის, დიდი ეპიკური პოემისა, რომელიც ფოლკლორულ სასიმღერო შემოქმედების საფუძველზე წარმოიქმნება. მაგრამ მაშინ, როდესაც ფოლკლორული სიმღერა ჩვეულებრივად მოქმედ პირთა მხოლოდ მცირე რიცხვს აქცევს მკრთალ ყურადღებას, ჰომეროსის პოემები ინდივიდუალური ხასიათების ფართო კრებულს შეიცავს, პოემებს ახასიათებს სიცოცხლის ხალისი და ჰუმანური მსოფლმხედველობა. „ილიადაში" ერთნაირი სიყვარულითა და პატივისცემითაა დასურათებული ორივე მებრძოლი მხარე როგორც აქეელები, ისე ტროელები და ერთი და იგივე თანაგრძნობითაა გადმოცემული ორივე ბანაკის გულისმომწყვლელი შემთხვევები. „ილიადა" და „ოდისეა" ხალხური პოემებია არა მარტო იმ აზრით, რომ მათი ძირი ბერძნულ ფოლკლორში მარხია, არამედ იმიტომაც, რომ მათში ხორცშესხმულია ძველი ბერძენი ხალხის ის თვისებები, რომელთა წყალობით მას კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება.

როდის დასად მოხდა ჰომეროსის პოემების მხატვრული გაფორმება? არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს მოხდა მცირე აზიაში აქეელთა მდიდარი და კულტურული

არისტოკრატიის ბატონობის ხანაში. ხოლო რაც შეეხება იმას, თუ როდის მოხდა მათი მხატვრული გაფორმება, ჰომეროლოგთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა: ზოგი ფიქრობს, რომ ასეთ თარიღად ძვ. წ. X საუკუნე უნდა მივიჩნიოთ, სხვებს კი ეს თარიღი VIII საუკუნეში გადააქვთ, ზოგი კიდევ მას პისისტრატეს დროს უკავშირებს. მაგრამ უფრო საფუძვლიანია ტრადიციული შეხედულება, რომ „ილიადა“ წარმოიქმნა ძვ. წ. მეცხრე და მერვე საუკუნეთა მიჯნაზე. ცნობილია რომ უძველეს ბერძნულ ეპიგრაფიკულ ძეგლს წარმოადგენს ათენის თიხის დოქის ერთპწკარიანი ზედწერა, რომელიც ძვ. წ. VIII საუკუნის შუახანებით თარიღდება[3]. ამიტომ „ილიადა“, ალბათ ამ თარიღზე ადრე უნდა ყოფილიყო გაფორმებული. ხოლო „ოდისეა“ — მასზე უფრო გვიან.

ჰომეროსის პოემებს დიდი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდათ ბერძნების კულტურაზე. ისინი ბერძნების თავისებურ ბიბლიად გადაიქცნენ და ახალგაზრდობის აღზრდის საფუძველი გახდნენ, განსაკუთრებით ძვ. წ. V საუკუნიდან. ჰომეროსის არცოდნა დიდ სირცხვილად ითვლებოდა, ისე როგორც თავის დროზე საქართველოში შოთა რუსთაველის არცოდნა. ჰომეროსის პოემების გრაგნილებს მიცვალებულთ სამარეში ატანდნენ და, შესაძლებელია, მზითვადაც. ისე როგორც „ვეფხისტყაოსანს“, ფილოსოფოს პლატონის სიტყვით. ჰომეროსმა „აღზარდა ჰელადა“.

ძვ. წ. VI საუკუნეში ტირანმა პისისტრატემ დააწესა „პანათენურ“ („სრულიად ათენურ“) დღესასწაულზე რაფსოდების შეჯიბრი „ილიადას“ და „ოდისეას“ ცალკეულ ნაწილთა დეკლამაციაში. დღესასწაულზე ეპოსი ზეიმით სრულდებოდა. ძვირფასად მორთულ რაფსოდს თავზე ოქროს თუ დაფნის გვირგვინით ხელში ეჭირა კვერთხი. მაგიური ხელისუფლებისა და კრებაზე სიტყვის უფლების სიმბოლო, და ლექსს დეკლამაციით წარმოთქვამდა. გარდა იშვიათი მხატვრული ღირსებისა ჰომეროსის პოემები ძვირფას ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ როგორც მასალის სიმდიდრით, ისე მრავალსახეობით. მათში საკმაოდ ვიპოვით, როგორც მიკენის ეპოქის, ისე ბერძენ ტომთა ძვ. წ. XI—VIII საუკუნეებში ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ მასალას.

მაგრამ ამ საკითხის გარკვევისას უნდა კარგად გვახსოვდეს ის შეხედულება ჰომეროსის პოემებზე, რომელიც სულ უფრო ხშირად მეორდება ჩვენ ისტორიოგრაფიაში. ასე, მაგ., 1964 წელს მკვლევარმა ა ნ დ რ ე ე ვ მ ა გამოაქვეყნა სტატია შემდეგი სათაურით: **Мужские союзы в поэмах Гомера** (ВДИ, 1964, № 4, გვ. 37—47), რომელშიც წამოაყენა ასეთი დებულება: „ჰომეროსი-

სადმი მიძღვნილ საბჭოთა ლიტერატურაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული მისი პოემების სირთულე, რომელიც კანონზომიერად დამახასიათებელია გვაროვნული წყობილების ძირითადი ნორმებისა და ჩვეულებების დაცემისა და მათი კლასობრივი საზოგადოების ნორმებითა და ჩვეულებით უკან დახევინების ეპოქისათვის. ჰომეროსთან ერთიც და მეორეც ხშირად თავისებური ჰიბრიდების სახით ელინდება. გვაროვნული ეპოქის ინსტიტუტები შენიღბავენ კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის ნორჩ ყლორტებს...“

ჰომეროსის პოემების, როგორც წყაროების, ამ რთული პროფილების გაშუქებაში, ჩემის აზრით, უპირატესობა უნდა მივაკუთვნოთ პროფ. ს ე რ გ ე ე ვ ი ს მიერ გამოთქმულ აზრს. მისი სიტყვით, ჯერ კიდევ მიკენის დამწერლობის ამოშიფვრამდე ზოგიერთმა მეცნიერმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მიკენის ეპოქის ძეგლები, როგორც წესი, გვხვდება ჰომეროსის მიერ მოხსენებულ ადგილებში. მრავალი წლის გათხრების მსვლელობაში აღმოჩენილ იქნა არამცირე საგნები, რომლებიც ფრიად წააგვანან იმათ, ჰომეროსთან რომ არიან აღწერილი. ამგვარად, კავშირი მიკენის ეპოქასა და ჰომეროსის ეპოსს შორის უეჭველად წარმოგვიდგება. მაგრამ საჭიროა ამის დაზუსტება 1950 წელს ინგლისში გამოვიდა ე. ლ ო რ ი მ ე რ ი ს წიგნი, „ჰომეროსი და ძეგლები“. რომელიც სპეციალურად მიძღვნილია ჰომეროსის ეპოქის არქეოლოგიურ მასალასთან შეპირისპირებისადმი. არქეოლოგიის მონაცემებისა და წინანდელი მასალის გამოყენებით ავტორი ამტკიცებს, რომ ბრინჯაოს ეპოქა ჰომეროსის ეპოქაში ასახულია საგრძნობლად უფრო სუსტად, ვიდრე წინათ ვარაუდობდნენ. ეპოსში მოხსნებული ნივთიერი კულტურის ძეგლები უფრო ხშირად ემთხვევიან არქეოლოგიურ მასალას ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და I-ის დასაწყისისას. მაშასადამე, თუმცა პოემებში ცოცხალი მოგონებებია აღბეჭდილი მიკენის ეპოქაზე, ისინი პირველ რიგში არა მიკენურს, არამედ ძვ. წ. XI—IX საუკუნის უფრო გვიანდელ პერიოდს ასახავენ (გვ. 103—104).

ვიდრე დავამთავრებდეთ ჰომეროსზე საუბარს, საჭიროდ მიმაჩნია ვიკითხოთ, იცნობდა თუ არა ძველი ქართული მწერლობა ჰომეროსის პოემებს? როგორც ჩანს, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში შედგენილ „სასწავლო წიგნში“ მოხსენებულია „ილიადა“ და „ოდისეა“. ხოლო XI—XII საუკუნეებში ქართველი მწერლები იმდენად კარგად იცნობდნენ ჰომეროსს, რომ მასალას შედარებისათვის ხშირად მისი პოემებიდან იღებდნენ და თავისუფლად იყენებდნენ. ქართულად ჰომეროსის პოემების გადმოკეთებული ვერსიაც კი არსებულა. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში აღმოჩნდა აგრეთვე

„ილიადიდან“ ნათარგმნი სამი ტაეპი. XIX საუკუნეში მამია გურიელმა (მ. ფაზელმა) სცადა ჰომეროსის თარგმნა და 1890 წელს დაბეჭდა „ილიადას“ პირველი სიმღერა, ხოლო 1901 წელს პ. მირიანაშვილმა (კლდიამ) დაბეჭდა პირველივე სიმღერა ასეთი სათაურით „ჰომიროს თქმული აქელიანი“[4].

2. ბერძენ ტომთა საზოგადოებრივი სტრუქტურა ჰომეროსის ეპოქაში

ჩვენ უკვე გავეცანით მიკენელი ბერძნების საზოგადოებრივსა და კულტურულ ვითარებას და, როცა ჰომეროსის დროის საბერძნეთის მდგომარეობის განხილვაზე გადავდივართ. უნდა გვახსოვდეს, რომ ის ახალი სოციალური და კულტურული ურთიერთობა, რომელიც ძვ. წ. XI—VIII საუკუნეში დამყარდა. დორიელთა და მათთან დაკავშირებული ტომების თავისებური ყოფა-ცხოვრების შედეგი იყო. მიკენის ეპოქის შედარებით მაღალი დონის სოციალური და კულტურული მდგომარეობა საზოგადოებრივი და კულტურული დაქვეითებით შეიცვალა.

ჰომეროსის პოემების შესწავლა გვარწმუნებს, რომ ბერძენ ტომთა საზოგადოებრივი განვითარების დასაბამითი მომენტი გვაროვნული წყობილება იყო.

სხვა საბუთებს თავი რომ დავანებოთ, საკმარისია მოვიგონოთ რჩევა, რომელსაც ბრძენი ნესტორი აძლევს აქეელთა მეთაურს აგამემნონს, ლაშქარი დააწყოს ფრატრიებად და ფილეებად, რომ ამით უფრო გამოავლინოს მეომართა სიმამაცე (II., II, 381 შმდ.)*. ამ ფაქტს მხოლოდ მაშინ ექნებოდა აზრი, თუ ფრატრიებსა და ფილეებში სისხლით ნათესაურ ურთიერთობაზე დამყარებულ ძველისძველ ინსტიტუტებს ვიგულისხმებთ[5].

ჰომეროსის საზოგადოება გვარების, ფრატრიებისა და ფილეებისაგან შედგებოდა. ჰომეროსის გვარი უკვე პატრიარქალურია. მასში გაბატონებულია პატრიარქალური ურთიერთობა მამაკაცთა მემკვიდრეობით. თუ შევაჯამებთ ყოველივე იმას, რაც ჩვენ ბერძნული გვარის შესახებ ვიცით, შეგვიძლია ასეთი საერთო სურათი წარმოვიდგინოთ: გვარი გვევლინება მჭიდროდ შეკავშირებულ კორპორაციად. თითოეული გვარი თავს ლეგენდარული წინაპრიდან წარმოშობილად თვლიდა, აღიარებდა თავის წევრთა ურთიერთშორის ნათესაობას და

---

* მთელ ტექსტში ჰომეროსის პოემები აღნიშნულია ვერესაევისა და მინსკის თარგმანის მიხედვით.

ირჩევდა მამასახლისს — გვარის არქონტს. ვვარის წევრის მოკვლის შემთხვევაში მისი თანამოგვარენი ვალდებულნი იყვნენ სამაგიერო მიეზღოთ მკვლელისათვის და სისხლი აეღოთ. ეს ადათი, რომელიც დიდხანს იყო შენარჩუნებული ზოგიერთი ხალხის ცხოვრებაში, ძირითადად იმ რწმენას ემყარებოდა, რომ მოკლული თანამეგვარის სულს მოსვენება არ ეღირსება, თუ მკვლელიც არ იქნა მოკლული. ხოლო ვინაიდან უკანასკნელის მოკვლაც სისხლის აღებას მოითხოვდა, ამიტომ მკვლელობათა მთელი ჯაჭვი იქმნებოდა და გარკვეულ გვარებს შორის დაუსრულებელი მტრობა და შუღლი მყარდებოდა. ასეთი სასტიკი მოვლენა თანდათანობით სისხლის აღების ნაცვლად სისხლის საურავით შეცვლილა. გვარი ფლობდა საერთო უძრავ ქონებას, რომელსაც ანაწილებდა თავის წევრთა შორის. გვარს ჰქონდა საერთო კულტი, საკურთხეველები და სამაროვანი. ახალდაბადებულთ, მოწიფულ ასაკს მიღწეულთ და ცოლებად თუ ნაშვილებად მიჩნეულ პირთ გვარის საერთო კრებას უდგენდნენ შესამოწმებლად; გვარში მემკვიდრეობის უფლება მხოლოდ თანამეგვარეებს ეკუთვნოდათ.

შეუღლება გვარის შიგნით ჩვეულებრივად აკრძალული იყო. წარმოშობა მამის მიხედვით განისაზღვრებოდა. გვარები უფრო ვრცელ კავშირში — ფ რ ა ტ რ ი ა შ ი (ძმობაში) ერთიანდებოდნენ. თითოეული ფრატრია ირჩევდა ფრატრიარქს, იცავდა და მფარველობდა მასში შემავალ წევრებს, აწარმოებდა ახალი წევრების დოკიმასიას (შემოწმებას), ხელმძღვანელობდა საერთო კულტს და ზნე-ჩვეულებას. შემდგომ უფრო მსხვილ გაერთიანებას ფ ი ლ ე ე ბ ი წარმოადგენდნენ. თითოეულ ფილეს განსაზღვრული ტერიტორია ეკავა, სადაც მოთავსებული იყო საკურთხეველი და მისი წევრების საერთო კრება მიმდინარეობდა. ყოველი ფილე მტკიცესა და დახშულ სოციალურ ორგანიზაციას განასახიერებდა; მასში შემავალ წევრებს ხანგრძლივი ტრადიცია და საერთო კულტი აკავშირებდა. როგორც ჩანს, წარმოშობილან ისეთი ადამიანებიც, რომელთაც კავშირი დაუკარგავთ გვაროვნულ ორგანიზაციასთან. მათ მეტანასტები (Μεταναστης)—უთვისტომო მოხეტიალეები ეწოდებოდათ. ისინი მოკლებული იყვნენ საზოგადოებრივ დაცვას და ყველას შეეძლო მათი შეურაცხყოფა და მოკვლაც კი.

არსებობდა თუ არა ჰომეროსის საზოგადოების დროს კოლექტიური ს ა თ ე მ ო მ ი წ ა თ მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა? ეპოსში მოიპოვება ისეთი მომენტები, რომლებიც, თითქოს, მიწის საზოგადოებრივი საკუთრების არსებობაზე მიგვითითებენ, ასე, მაგ., პოეტი აქეელების და ტროელების ბრძოლას იმ ორ კაცს შორის მიჯნაზე დავას ადარებს, რომლებიც საზომით ხელში ხმამაღლა დაობენ მცირე ადგილზე,

რომ ორივე მიწის თანასწორ ნაკვეთს ფლობდეს (II., XII, 421—422). შესაძლოა. რომ ამ შემთხვევაში საქმე შეეხება თემის წევრთა საერთო სახნავ მიწების ურთიერთშორის განაწილებას. ორსავე პოემაში მიწის განსაზღვრული ნაკვეთი, რომელიც თითოეული ოჯახის განკარგულებაში იყო, კლეროსად (κλῆρος) არის წოდებული, ეს ტერმინი კი „წილის ყრას“ ნიშნავდა. ამას გარდა, სამხედრო წინამძღოლებს ხალხი აძლევდა განსაზღვრულ ნაკვეთებს — ტემენოსებს სათემო მიწებიდან. მაშასადამე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინათ არსებობდა სასოფლო თემი და ხდებოდა სახნავი მიწების თემის წევრთა შორის წილისყრით დანაწილება და გადანაწილება. მაგრამ ვინაიდან ეპოსის ის ადგილები. რომლებშიც ასეთ მომენტებზეა ლაპარაკი, ზოგჯერ ბუნდოვან და ორმაგ ხასიათს ატარებენ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მიწების დანაწილებისა და გადანაწილების ჩვეულება წინ უსწრებდა პოემების საბოლოო გაფორმებას და იმ დროს, როცა „ოდისეამ“ და „ილიადამ“ მიიღეს თავისი დამთავრებული სახე, ის უკვე დავიწყებას მიეცა".

გვაროვნულ წყობილებაში მისი წევრების ნება-სურვილის გამომხატველი იყო საერთო კრება — ა გ ო რ ა. ყოველი დავაჟკაცებული მამაკაცი სხვებთან უფლებრივად თანასწორი იყო და მონაწილეობდა საერთო საქმეების გადაწყვეტაში.

გვაროვნულ საზოგადოებაში პატივისცემით და გავლენით სარგებლობდნენ წლოვანებითა და გამოცდილებით უხუცესნი (გერონტები). მათ საბჭოს ეწოდებოდა „ბულე“, რომელიც ისევე ძველი დაწესებულება იყო, როგორიც აგორა. ეს „დიდად გამოცდილი მოხუცნი“ საერთო კრებაზე პირველნი გამოთქვამდნენ ხოლმე თავიანთ აზრს. ხოლო უხუცესს, რომელსაც სურდა კრებაზე გამოსულიყო, ევალებოდა ლაპარაკი ამდგარს დაეწყო და ხელში კვერთხი დაეკავებინა, რომელსაც მას გზირი გადასცემდა, ალბათ, იმის ნიშნად, რომ კრებაზე მოლაპარაკე საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებდა. კენჭისყრა არ ხდებოდა და საკითხი მიღებულად თუ უარყოფილად იმისდა მიხედვით ითვლებოდა, თუ ხალხი თავის ხმამაღალი წამოძახილით თანხმობას თუ უარყოფას გამოხატავდა.

ფილეს სათავეში ედგა არჩეული წინამძღოლი — ფ ი ლ ო ბ ა ს ი ლ ე ვ ს ი. მის ძირითად ფუნქციას სამხედრო წინამძღოლობა და ქურუმის მოვალეობის შესრულება შეადგენდა. ყოველი მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისას ის ვალდებული იყო ეთათბირნა ხალხთან და გვარების უხუცესების (გერონტების) აზრი მოესმინა. ზოგიერთ შემთხვევაში ის, როგორც შუამავალი, აწესრიგებდა გვარის წევრთა შორის წამოჭრილ უთანხმოებას, თუ მას ამის შესახებ მიმართავდ-

ნენ. მნიშვნელოვან შემთხვევაში ის იწვევდა ჩვეულებრივად აგორას და გამოდიოდა სიტყვით. ლაშქრობის პირობებში ფილეები ერთიანდებოდნენ და ირჩევდნენ მთავარ ბასილევსს (βασιλεύς ἀρχαγέτας). ეპოსში ბასილევსებს ერთგვარად სარწმუნოებრივი ღირსება აქვთ მინიჭებული, მათი ჩვეულებრივი ეპითეტია ტერმინები: „ზევსის გაზრდილები“ (διοτρεφεῖς) და „ზევსის შობილნი“ (διογενεῖς). ყოველივე ეს უკვე დაწყებულ სოციალურ განშრევებასა და გვაროვნული არისტოკრატიის წარმოშობას გულისხმობს, რომელსაც საპატიო ადგილი და საქმლისა და ღვინის საუკეთესო ულუფა ეძლეოდათ (II., XII, 311). ამას გარდა, როგორც აღვნიშნეთ, ჰომეროსის პოემებში ბასილევსების ხელისუფლება ერთნაირად არ არის დახასიათებული.

ბასილევსებს სათემო მიწებიდან ეძლეოდათ სახნავი და სავენახე მიწის საუკეთესო ნაკვეთი — ტემენოსი. აგრეთვე ძღვენი, პატივი და საერთო ტრაპეზის დროს საუკეთესო ულუფა, ხოლო ომში ნადავლის განსაკუთრებული ნაწილი. ეტოლიელები გმირ მელეაგრეს ეშუდარებიან, დაიხსნას მათი ქალაქი კალიდონი მტრებისაგან, სამაგიეროდ მიწის საუკეთესო ნაკვეთი აირჩიოს და მისი ერთი ნახევარი სავენახოდ. ხოლო მეორე სახნავად გამოიყენოს (II., IX. 575—580). ლიკიის „მეფე“ სარპედონი გლავკოსს ეუბნება: ლიკიაში ყველაზე მეტად რატომ გვცემენ ჩვენ პატივს: წინა ადგილით, რჩეული ხორცით, სავსე სასმისით და ისე მოგვაპყრობენ თვალებს, როგორც მარადიულ ღმერთებს? რატომ ვფლობთ ჩვენ ქსანთოსთან მდიდარ მამულს. ძვირფას ვენახს და სახნავ-სათეს მიწასო? აი, რატომ გვმართებს ჩვენ ეხლა ლიკიის ლაშქრის წინაშე პირველ რიგებში დგომაო და სხვა (II., XII, 310—321).

რა თქმა უნდა, ჰომეროსის ასეთ ბასილევსებს არ შეიძლება ისეთი ხელისუფლება მივაკუთვნოთ, როგორიც მიკენის მეფეებს ეკუთვნოდათ. მათგან განსხვავებით ჰომეროსის დროის „ბასილევსი მხედართმთავარი, მსაჯული და უზენაესი ქურუმი იყო; მაშასადამე, მთავრის ხელისუფლება, ამ სიტყვის მერმინდელი გაგებით, მას არ ჰქონია“[7].

როგორც ვხედავთ, ჰომეროსის საბერძნეთის საზოგადოებრივი მმართველობის ორგანიზაციაში, პირველ ხანებში მაინც, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა უხუცესთა საბჭოს — ბულეს და ტომის ყველა მოზრდილი მამაკაცის საერთო კრებას — აგორას, რომელსაც საბოლოო ინსტანციაში უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნოდა. „პირველყოფილი დემოკრატია ჯერ კიდევ სრულ აყვავებას განიც-

დიდა და აქედან უნდა გამოვდიოდეთ, როცა მსჯელობა გვაქვს როგორც საბჭოს, ისე ბასილევსის ხელისუფლებასა და მდგომარეობაზე"[8].

ეპოსში შემონახულია ერთგვარად უკვე გადაგვარებული სახალხო კრების სურათები; აქეელთა ლაშქრის მეთაური იწვევს მეომართა საერთო კრებას. ჯერ წინასწარ სხვა წინამძღოლებთან თათბირობს და შემდეგ მაცდურად ურჩევს ლაშქარს, შეწყვიტონ ომი და თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ. მეომრები მსწრაფლ გაეშურნენ გემებისაკენ და მხოლოდ ოდისევსის და სხვების დახმარებით იქნენ მობრუნებული. კრებაზე მამხილებელი სიტყვით გამოდის „მეფეთა შეურაცხმყოფელი" თერსიტე, რომელზეც საუბარი სხვა ადგილას გვექნება.

ოდისევსის დაგვიანებით გათამამებული მისი ცოლის, პენელოპას, საქმროები იმდენად გათავხედდნენ, რომ მის შვილს ტელემაქეს უაღრესად ავიწროებენ. ტელემაქემ მოიწვია ითაკელების საერთო კრება. „როცა ყველა შეიკრიბა და კრება სრული შეიქნა, ხელში სპილენძის შუბით ხალხის კრების წინ გამოცხადდა. ივი მარტო არ იყო. მის უკან მოირბინა ორმა მარდმა ძაღლმა... მოხუცთ მის წინ გაიწგამოიწიეს და ის მამის ადგილას დაჯდა. პირველი სიტყვა მაშინ კეთილშობილმა ეგიპტიოსმა წარმოთქვა, მოხუცმა წლებით წელში მოხრილმა და სიცოცხლეში ბევრის გამცდელმა" (Od., II, 8—11, 14—16). ეს სურათი უფრო მიკენის ეპოქას მოგვაგონებს, როგორც ამაზე საუბარი უკვე გვქონდა.

სამართლის წარმოებაც თვითონ საზოგადოების ფუნქციას წარმოადგენდა. ამ მხრივ კარგ მასალას გვაწვდის აქილევსის ფარზე აღწერილი სახალხო სასამართლო (Il., XVIII, 497—508), რომელსაც არა ერთხელ შეხებიან მკვლევარები, მრავალი კაცი ირევა სახალხო კრების ადგილას; დავაა გადასაწყვეტი: ორი ადამიანი კამათობს მოკლული კაცის საურავზე; ერთი ფიცულობს, რომ საურავი გადაიხადა, მეორე კი ამას უარყოფს. უხუცესნი რიგ-რიგობით ზეზე დგებიან. იღებენ კვერთხს. ეყრდნობიან მასზე და გამოთქვამენ თავიანთ აზრს; დამსწრენი კი ცხად მონაწილეობას იღებენ საქმის გარჩევაში. ნაწილი ერთ მოკამათეს იცავს, ნაწილი — მეორეს. ეს სურათი გვარწმუნებს, რომ ჰომეროსის დროს სამართალი ხალხისაგან განცალკევებული არ ყოფილა. თვით მმართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მართლმსაჯულებას. მოხეტიალის სახით მოვლენილი ოდისევსი პენელოპას ეუბნება: სადაც პატიოსანი, ღვთისმოშიში მეფე მართალ სამართალს ქმნის, იქ შავი მიწა უხვად იძლევა პურს და ქერს, ხეები იხრება ნაყოფის სიმძიმის ქვეშ, წვრილი საქონელი მრავლდება,

ზღვა მდიდარია თევზით და ხალხი ბედნიერად ცხოვრობსო (Od., XIX შმდ.).

ჰომეროსის დროისათვის უკვე ცნობილია შედარებით განვითარებული მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

ამ ეპოქის სოფლის ცხოვრების სცენები აღბეჭდილია აქილევსის ფარზე, რომელიც თითქოს ღმერთ ჰეფესტოს გაუკეთებია. მასზე ხვნა-თესვა მიმდინარეობს ვრცელ ხოდაბუნზე, რომლის ნიადაგს პოხიერი, გაფხვიერებული. სამჯერ გადახნული მიწა წარმოადგენს. მხვნელები გუთანში შებმულ ხარებს მიერეკებიან, ყოველი კვალის გატანის შემდეგ მათ „გულის გამამხიარულებელი ღვინით სავსე" თასებს აწოდებენ. შემდეგ მკაა წარმოდგენილი. ზოგი ალესილი ნამგლით პურსა მკის, სხვები მომკილს ძნებად კრავენ. ბავშვები კი თავთავებს აგროვებენ. გულით გახარებული მეფე კვერთხით ხელში ჩუმად შესცქერის ამ სურათს; იქვე მოშორებით მუხის ძირას ქალები სადილს უმზადებენ ყანის მუშაკთ.

აქვე გამოსახულია აგრეთვე ყურძნის კრეფა „საუცხოო, დიდ, ტკბილი ნაყოფით დამძიმებულ" ვენახებში. საყურადღებოა, რომ გარდა კულტურული ვენახებისა, ჰომეროსის სიტყვით, არსებობდა ისეთი კრიკინები (ἄσπαρτα), რომლებიც შეუწყვეტლივ აწვდიდნენ ციკლოპებს ღვინოს (Od., IX, 110, 113, 358). ჭაბუკები და ქალიშვილები კალათებით ეზიდებიან ყურძენს. მშვენიერი ჭაბუკი ქნარზე უკრავს, ხოლო გარშემო ფერხული ტრიალებს. გამოსახულია აგრეთვე ხარების ჯოგი, რომელსაც თავს ორი ლომი დასხმია. მწყემსები ცდილობენ მათ განდევნას. მაგრამ შეშინებული ძაღლები მხოლოდ ყეფენ. იქვე გვერდზე მოჩანან საძოვრად გაშვებული ცხვრები, გომურები და მწყემსის კარვები. ყოველივე ეს მთავრდება ხელჩაკიდებული ახალგაზრდების მხიარული ფერხულით, რომელსაც მაყურებლები სიამოვნებით უცქერიან. ეს სურათი ჰომეროსს გადმოცემული აქვს „ილიადას" XVIII სიმღერაში. როგორც ჩანს, მარცვლოვანი კულტურის გავრცელებასთან ერთად ფართოდ მისდევდნენ მებაღეობასა და მებოსტნეობას.

იმ დროის ბერძნებს კარგად სცოდნიათ მორწყვითი არხების დიდი მნიშვნელობა და მიწის გაპოხიერება სასუქებით. ამ მხრივ საყურადღებოა „ოდისეას" VII სიმღერაში მოცემული ფეაკიელთა მეფის ალკინოეს სასახლის აღწერილობა. ალკინოეს სასახლე და მეურნეობა მდებარეობდა კუნძულ სქერიაზე. ბერძნების წარმოდგენით ეს კუნძული სადღაც ზღვის დასავლეთ კიდურში არსებობდა. მდიდარი და მაღალ კედლებშემოვლებული ყოფილა ალკინოეს ქალაქი ნავსადგურითა და ვრცელი მოედნით. მისი სასახლის გარშემო არსე-

ბული საუცხოოდ გაშენებული ბაღი და ბოსტანი, რომლებშიც ზამთარ-ზაფხულ მწიფდებოდა სხვადასხვა სილი და გემრიელი ბოსტნეული, იქვე ყოფილა ვენახი, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იძლეოდა მწიფე მტევნებს.

საუცხოოდ ყოფილა მოკაზმული სასახლე (Od., VII, 86 შდ.), რომელიც ისეთივე სხივოსანია, როგორიც „ცაში ნათელი მზე და



სურ. 35. ხ ვ ნ ა. მხვნელები ერთიმეორეს მისდევენ: მარჯვენა ხელში მათ სახვნელის სახელური უკავიათ, მარცხენაში კი წკნელი და ხარს მიერეკებიან; ცენტრში მოჩანს თესლის კალათაზე მარცხენახელმოკიდებული მთესველი.

მთვარე". მისი სპილენძის კედლები ზემოთ ლაქვარდოვანი ფოლადის ლავგარდანით ყოფილა მოკაზმული. სასახლის შესასვლელს წარმოადგენდა წმინდა ოქროსაგან ჩამოსხმული კარი. კართან მდგარი ოქროსა და ვერცხლისაგან გამოჭედილი ორი ძაღლი. შიგნით კედლებთან ჩამწკრივებული ყოფილა ძვირფასი გადასაფარებით დაფენილი სკამები. სადგურებზე მოუთავსებიათ ვაჟების ოქროსაგან ჩამოსხმული ქანდაკებები ხელში ჩირაღდნებით. ამ სასახლის აღწერილობაში დაცული უნდა იყოს ცნობები მიკენის ეპოქის სასახლეებზე, რომლებიც ჰომეროსის დროს უკვე ნანგრევებს წარმოადგენდნენ.

ამ ეპოქის მ ე უ რ ნ ე ო ბ ი ს დახასიათებისას მიწათმოქმედე-

ბასთან ერთად უნდა აღინიშნოს მ ე ს ა ქ ო ნ ლ ე ო ბ ა, წვრილი და მსხვილი საქონლის მოშენება, განსაკუთრებით მთაგორიან ადგილებში. პოემებში საკმაოდაა მოცემული იმის სურათები თუ რა სიმდიდრეს წარმოადგენდა პირუტყვი და რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვთქვათ, ხარებს სოფლის მეურნეობაში. ამ საზოგადოებაში გაცვლა-გამოცვლის საზომად საქონელი ყოფილა მიჩნეული. მაგ.. როცა დიომიდე გლავკოსს საჭურველს უცვლის პოეტი გადმოგვცემს: გლავკოსის საჭურველი ოქროსი იყო და ას ხბოდ ფასდებოდა, დიომიდესი კი სპილენძისა და 9 ხბო ღირდაო (II, IV, 235—235); ოდისევსის ოჯახის უერთგულესი მხევალი ევრიკლეა მამამის ლაერტს ოც ხარად უყიდია (Od., I, 426—427); შემდგომში ასეთ საზომად შემოღიათ ბრინჯაოს და რკინის განსაზღვრული წონის ნაჭრები. აქეელები ლხინის დროს ღვინოს ყიდულობენ და აძლევენ მასში ვინ რკინას. ვინ ბრწყინვალე სპილენძს, ვინ ხარის ტყავს, ვინ თვით ხარებს და ვინ ტყვე მონებს (II, VII, 470—475). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ დროს სიგრძის საზომად მიჩნეული ყოფილა წყრთა, ხოლო ტევადობის ხოინიკსი, რომელიც ადამიანისათვის ხორბლის აუცილებელ რაციონს უდრიდა.

როგორც დავინახეთ. ჰომეროსის საზოგადოებაში მესაქონლეობასთან ერთად ძირითადი ადგილი ეკუთვნოდა მაინც ს ა ს ო ფ ლ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ს. რომელიც თანდათან ფართოვდებოდა და უმჯობესდებოდა. პოემებში აქა-იქ ხსენებული არიან თავისუფალი მიწათმოქმედნი, რომელნიც მჭიდროდ ყოფილან დაკავშირებულნი თავიანთ კლეროსებთან და ყოველგვარად ცდილობდნენ მიწის ნიადაგის მორწყვასა და გაპოხიერებას. სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჰომეროსის საბერძნეთის ეკონომიკაში, სხვათა შორის, ისიც მოწმობს, რომ პოემებში მრავლად მოიპოვება ისეთი მეტაფორები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ცხოვრებიდანაა ნასესხები. „ილიადასა“ და „ოდისეაში“ არის მიწის შედარებით განვითარებული დამუშავების, ზეთის ხილის, ვენახის, ბაღების და ბოსტნების გაშენების საკმაოდ მრავალი მაგალითი.

ამას გარდა პოემებში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: „რკინის სული“, „რკინის მოთმინება“, „რკინის ცა“. ამის მიხედვით შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ჰომეროსის საზოგადოება უკვე იცნობდა რკინას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარებისათვის.

ჰომეროსის გმირულ ეპოქაში ხელოსნობის ძირითადი დარგების მიწათმოქმედებისაგან გამოყოფა თითქმის უკვე მომხდარი ფაქტია. ეპოსში მოხსენებული არიან სხვადასხვა დარგის ხელოსნები. ასე,

მაგ.. „ილიადას“ XVIII სიმღერაში აღწერილია. როგორც ვიცით, ჰეფესტოს იარაღის სახელოსნო, სადაც შეუმზადებიათ აქილევსის ცნობილი ფარი. აგიზგიზებული ქურები იბერებიან საბერვლებით, რომლებიც ღვთაებრივ ნალბანდს საშუალებას აძლევენ ხან მცირე, ხან კიდევ დიდი ძალით სჭედოს. გარდა სამჭედლო საბერვლებისა სამუშაოდ ხმარობდნენ მძიმე ურიებსა და გაზებს. სამჭედლოში მზადდებოდა საოჯახო იარაღი და საერთოდ ბერძენი მეომრის მთელი საჭურველი. ჰომეროსი ხელოსნებს (დემიურგებს) შორის მჭედლების გარდა იხსენიებს: მეთუნეებს (κεραμεῖς), რომლებიც თიხის ჭურჭლებს აკეთებდნენ, დაბაღებს, ფეიქრებს, დურგლებს და სხვა, ხელოსნებსვე მიეკუთვნებოდნენ მოცეკვავენი და მომღერალნი, მხმობელნი, მისნები და მკურნალნი. მაგრამ როცა იმ დროის ხელოსნებზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათ შორის სპეციალიზაცია ზუსტად გატარებული არ ყოფილა და ხშირად ერთი სპეციალობის ხელოსანი სხვა სპეციალობის საქმესაც ასრულებდა. ზოგჯერ ხელოსნებს მათი ინსტრუმენტებით სახლში იწვევდნენ, აძლევდნენ საჭირო მასალას, კვებავდნენ და სამუშაოს დამთავრების შემდგომ ნატურით უსწორდებოდნენ. ევმესი პენელოპას ერთ-ერთ ხელისმაძიებელს ეუბნება: ვინ მიიწვევს უცხო კაცს თავის სახლში, თუ ის საქმისათვის საჭირო არ არის. მხოლოდ იმათ იწვევენ, ვინც საქმისათვის არის საჭირო: მისნებს, ექიმებს, გამოცდილ დურგლებსა და მომღერალთ, რომლებიც სულს შვებას ჰგვრიან ღვთაებრივი სიტყვებითო (Od., XVII, 382—385). „ოდისეაში“ (III, 432—435) აღწერილია აგრეთვე ოქრომჭედლის მუშაობა: გამოცხადდა ოქრომჭედელიც, რომელმაც მოიტანა ლითონების გამოსაჭედი ინსტრუმენტები: გრდემლი, ურო, გაზი და ყოველივე, რითაც ის ჩვეულებრივად თავის საქმეს ასრულებსო.

ჰომეროსის ეპოსში მოცემული გვაროვნული ორგანიზაციის პატრიარქალური პერიოდი თანდათანობით უკვე ღრმა ცვლილებებს განიცდის. საზოგადოებაში წარმოქმნილან ინდივიდუალური ოჯახები და მტკიცე საოჯახო თემები, რომლებისაგანაც წარმომდგარან მმართველი გვარები. დაწყებულა მმართველი ორგანოების, რომლებიც თავდაპირველად არჩევით იყვნენ, გამოყოფა-განკერძოება. თემის წარმომადგენლების არჩევა ხდება უკვე გვარის არა ყველა წევრისაგან. არამედ უპირატესად უფრო შეძლებული და გავლენიანი ოჯახებისაგან. ძველი თანასწორობა ირღვევა, იზრდება გერუსიის მნიშვნელობა და ფართოვდება ბასილევსების ხელისუფლება, რო-

მელიც თითქმის მემკვიდრეობით ხასიათს ღებულობს, ვიდრე არისტოკრატიული გვარების მზარდი ზეგავლენა მათს ავტორიტეტს ბოლოს არ მოუღებს. სახალხო კრებას იშვიათად იწვევენ და ბოლოს ის ჰქრება კიდეც.

ტომთა შორის ამტყდარი ომები უწინარეს ყოვლისა ბასილევსების და გვარების მეთაურთა გამდიდრებას იწვევდა. ბასილევსები, რომლებიც თავდაპირველად ტომთა მხოლოდ წინამძღოლები იყვნენ. თანდათან მდიდრდებიან და წარჩინებულ გვართა მეთაურებთან ერთად ფართო მასებისაგან გამოირჩევიან. ამავე დროს რიგითი მეომრები ომებისაგან მძიმე მდგომარეობას განიცდიან. მათს სულისკვეთებას გამოხატავს აგამემნონის მიერ მოწვეულ კრებაზე რიგითი მეომარი თერსიტე (II, II, 225—242). მეათე წელი მიმდინარეობს ომი ტროას კედლებთან და ჯერ კიდევ დასასრული არ უჩანს. ლაშქრობის წინამძღოლები კი მდიდარ ნადავლზე ოცნებობენ და ომის დამთავრებაზე არ ფიქრობენ. თერსიტეს გამოსვლას საფუძვლად უდევს სწორედ ომის ხანგრძლიობით და ნადავლის უსამართლო განაწილებით გამოწვეული უკმაყოფილება. ის არ მოერიდა „ბასილევსთა ბასილევსს“ აგამემნონს და პირში მიახალა „უკადრისი“ სიტყვები, რომ მან ბლომად მიიღო ნადავლი და მსხვლები და საკმარისია მისთვის იმ წარჩინებულ ტროელთა მდიდარი გამოსასყიდი, რომლებიც რიგითმა მეომრებმა დაატყვევეს. თერსიტე მოუწოდებდა ყველას, საჩქაროდ გაემგზავრონ თავიანთ სახლებში და ბრძოლის ველზე კი აგამემნონი და მისი მახლობლები მიატოვონ, პოეტი ასეთი „კადნიერებისათვის“ ყოველგვარად ამცირებს თერსიტეს; იგი გამოყავს მას ელამად, კოჭლად, კუზიანად, თავმოტვლეპილად; ხალხი თურმე მას არ უსმენდა და ოდისევსმაც მაგრად სცემა. რასაკვირველია, შემცდარი ვიქნებოდით გვეფიქრა, რომ თერსიტეს გამოსვლა იმ დროის თავისუფალი გლეხის თავის ხვედრზე გოდებას, წარჩინებულთა მიერ ჩაგვრისა და უსამართლობის საწინააღმდეგო წყრომას გამოხატავდეს. ეს იყო, როგორც ვთქვით, ომის ხანგრძლიობითა და ნადავლის უკეღმართი განაწილებით წარმოქმნილი უკმაყოფილების გამომჟღავნება. საერთოდ კი ჰომეროსის პოემებში თითქმის არა ჩანს თავისუფალი გლეხობის თავის მდგომარეობაზე ჩივილი, რაც შეიძლება, ეპოსის სიუჟეტის ცალმხრივობითაც აიხსნებოდეს. სამაგიეროდ ეპოსში ნათლად ჩანს ის პროცესი, რომელიც უდავოდ გვიმტკიცებს, რომ თანდათან წარმოიქმნა, გაძლიერდა და განცალკევდა წარჩინებულთა წრე, სამხედრო-მიწათმოქმედი არისტოკრატია (ἄριστοι, ἀγαθοί), რომელიც ჩვეულებრივ თავი-

სუფალ მიწათმოქმედთ უპირისპირდებოდა. ეს არისტოკრატია მძიმედ შეიარაღებული იბრძოდა საომარ ეტლებზე, მეომრების ფართო მასა კი — ქვეითად. ეპოსში ერთიმეორეს თავისუფალი მოსახლეობის ორი ძირითადი ჯგუფი უპირისპირდება: წარჩინებულნი და რიგითი თავისუფალნი. არისტოკრატიის ხელში თავს იყრის იმ დროის მიხედვით მნიშვნელოვანი სიმდიდრე და მიწის შედარებით უკეთესი და უფრო ვრცელი ნაკვეთები. მათ შორის ჩნდებიან მრავალკლეროსიანები, რომელთაც პოეტი „მრავალ პურისმოსავლიან ყანათა“ და „მსხმოიარე ბაღების“ მფლობელთ და „მდიდარ მამულთა მეუფეთ“ უწოდებს.

ჰომეროსის საბერძნეთში ძირითადად ნატურალური — ოიკოსური მეურნეობა იყო გაბატონებული და თითოეული ოჯახი ცდილობდა საკუთარი ძალღონით და პროდუქტებით დაეკმაყოფილებინა თავისი მოთხოვნილება. მაგრამ გამდიდრებულ წარჩინებულთ აღარ აკმაყოფილებს ადგილობრივ შემზადებული საგნები და იწყებენ სხვა ქვეყნებიდან უმთავრესად ფუფუნების საგნების შეძენას. მართალია, ვაჭრობა ჯერ კიდევ სუსტად არის განვითარებული. შინაგანი ვაჭრობა თითქმის არ არსებობს, საგარეო კი მეკობრეობისაგან განცალკევებული არ არის და ამიტომაც უწინარეს ყოვლისა მასში წარჩინებული გვარების წევრები მონაწილეობენ. მასში მონაწილეობა კი გამდიდრების თვალსაჩინო წყაროს წარმოადგენს.

ამ მხრივ მნიშვნელობას მოკლებულად ვერ ჩაითვლება ის, რომ თუ „ილიადაში“ პოეტი უმეტესად ცნობილ გმირებსა და მათ იშვიათ საგმირო საქმეებს გვიხასიათებს, „ოდისეაში“, პირიქით, ისეთი ტიპებია მოცემული, როგორიც მისი მთავარი გმირი ოდისევსი. ის ერთნაირად დახელოვნებულია ომში, სოფლის მეურნეობაშიც და ვაჭრობაშიც, როცა საჭიროა, ის გამოწვრთნილი და თამამი მეომარი და წინამძღოლია, მეორე შემთხვევაში იგი გამოცდილ სოფლის მეურნედ გვევლინება და არის ისეთი მომენტები, როცა ის გაქნილი ვაჭრისა და უტიფარი მეკობრის როლსაც არ თაკილობს. რასაკვირველია, ასეთი განსხვავება შემთხვევითი არ უნდა იყოს.

მიკენის ეპოქის დაცემის შემდგომ ხმელთაშუა ზღვაზე მოგზაურობასა და ვაჭრობაში პირველი ადგილი ფინიკიელებმა მოიპოვეს. „ოდისეა“ გადმოგვცემს, რომ საბერძნეთის სანაპიროებს ხშირად მიადგებოდნენ ხოლმე სიდონელების (ფინიკიელების) საქონლით დატვირთული გემები და დიდი მოგებით ასაღებდნენ ძვირფას საგნებსა და უამრავ წვრილმანს (μυρία ἀθύρματα). ფინიკიელებს საბერძნეთში უმთავრესად ისეთი აღმოსავლური ფუფუნების საგნები

შემოჰქონდათ, რომელთა შეძენა წარჩინებულთ შეეძლოთ, ხოლო თავისუფალი ფართო მოსახლეობა თავის მოთხოვნილებას საკუთარი წარმოებით და ჩვეულებრივი გაცვლა-გამოცვლით იკმაყოფილებდა. ტრადიცია გვარწმუნებს, რომ ფინიკიელი ვაჭარი ფლიდობდა, როცა თავს სუსტად თვლიდა, და თავხედობდა, როცა ძალას გრძნობდა. თუ მოსახერხებელ პირობებს შეამჩნევდა, ის, თურმე, საქონლის გასაღებასთან ერთად მოტყუებით იტაცებდა ბავშვებს და სხვა ქვეყნებში მონებად ჰყიდდა. ამის გამო, როგორც ჩანს, ბერძნები მათ უნდობლობით ეპყრობოდნენ.

ეპოსში როგორც ეაჭრობაში, ისე ნადავლის განაწილებისა და მეომრებს შორის გავლენისათვის ბრძოლა შესამჩნევადაა გამოსახული სამხედრო არისტოკრატიის წრეში. აგამემნონსა და აქილევსს შორის ტყვე ქალის ბრისეიდას გარშემო წარმოქმნილ უთანხმოებას რომ თავი დავანებოთ, მაგალითისათვის საკმარისია მოვიგონოთ გმირი პალამედის ამბავი. ეპოსის გადმოცემით, ის მრავალ გონივრულ რჩევას აძლევდა ბერძენ მეომრებს, სამკურნალო ბალახებით ჰკურნავდა ჭრილობებსა და სენს. ამიტომ იგი მეომრებს შორის დიდი პატივითა და გავლენით სარგებლობდა. ამისათვის შეუძულებია იგი ოდისევსს, რადგან მეომრები მასთან შედარებით პალამედის სიტყვას უფრო ერწმუნებოდნენ. ოდისევსს ახსოვს ისიც, რომ პალამედს გამოუაშკარავებია მისი ეშმაკობა, როცა მას ტროას ომში გამგზავრების წინ თავი განზრახ მოუგიჟიანებია. ამიტომ მის დასაღუპავად შემდეგი ხერხისათვის მიუმართავს: ღამით პალამედის კარავში ოქროთი სავსე ტომარა დაუმალავს და ყველას არწმუნებდა, რომ პალამედე პრიამოსის მიერ არის მოსყიდული და ამიტომ გვირჩევს, ტროას ალყა მოვხსნათო. ეს ცილისმწამებლური ჭორი მას აგამემნონისათვისაც უცნობებია. მისი ნებართვით პალამედის კარავი გაუჩხრეკიათ და ოქროთი სავსე ტომარა მართლაც აღმოუჩენიათ. პალამედისათვის ჩაქოლვით სიკვდილი მიუსჯიათ. ხმაამოუღებლივ მომკვდარა პალამედი. აგამემნონს მისი დამარხვის ნებაც კი არ მიუცია, რაც უდიდეს შეურაცხყოფად ითვლებოდა. მისი გვამი ეგდო ზღვის ნაპირას მხეცებისა და მტაცებელი ფრინველების საჯიჯგნად. მხოლოდ აიაკ ტელამონიდს, რომელსაც პალამედის ღალატი არ სწამდა, მიუბარებია მისი გვამი მიწისათვის, თუ რა დიდ უბედურებად იყო მიჩნეული გვამის დაუმარხავად დაგდება, ეს ჩანს აგრეთვე სასიკვდილოდ განგმირული ტროელთა სახელოვანი გმირის ჰექტორის სიტყვებიდან, როცა აქილევსს ემუდარებოდა მისი გვამი არ წაებილწა. ჰექტორი მაინც ვერ ასცდა სიკვდილის შემდგომ შეურაცხყოფას.

აქილევსი ყოველდღიურად აბამდა მის სხეულს საომარ ეტლს და ათრევდა.

სამაგიეროდ დიდი პატივით აბარებდა მიწას სამხედრო არისტოკრატია თავის წევრებს. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს აქეელთა გმირის, აქილევსის მეგობრის, პატროკლეს დაკრძალვა.

უკვე იყო აღნიშნული, რომ ჰომეროსის ეპოსში ერთიმეორისადმი დაპირისპირებულია მოსახლეობის ორი ძირითადი ჯგუფი: წარჩინებულნი და ჩვეულებრივი თავისუფალნი. მაგრამ ოთხასი წლის მანძილზე, რომლის მასალას შეიცავენ ეპოსის ძირითადი ინგრედიენტები, ერთგვარი ცვლილება უნდა განეცადა თავისუფალ გლეხთა წრეში მიწათმფლობელობას. ამ მხრივ არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ის, რომ „ოდისეას“ უფრო გვიანდელ ნაწილში, გვხვდება ტერმინები „უკლეროსი“ (ἄκληρος) და „მრავალკლეროსიანი“ (πολύκληρος). მართალია, ასეთი ტერმინები ერთეულ შემთხვევებშია აღნიშნული, მაგრამ ცხადია, სინამდვილეში რომ ადგილი არ ჰქონოდა ისეთ მოვლენებს, როცა ზოგიერთ თავისუფალ მიწათმოქმედს თავისი კლეროსი დაუკარგავს და, პირიქით, სხვებს რამდენიმე კლეროსი გაჩენიათ, პოეტი ამ ტერმინებს სრულებით არ აღნიშნავდა. უდავოა, რომ ასეთი პირებისაგან უნდა წარმოქმნილიყო თ ე ტ ე ბ ი ს — დღიური მუშების წრე, რომელთა შესახებაც ცნობებს „ოდისეაში“ ვხვდებით. პოემებში ის პირები, რომელთაც მიწის ნაკვეთები დაუკარგავთ შემდეგი ტერმინებით არიან მოხსენებული: „ერითები“ (ἐρίθος) და „თეტები“ (θής). ასე, მაგ., პენელოპას ერთ-ერთი საქმროთაგანი უცნობლად მოსულ ოდისევსს ეუბნება: ყარიბო, შენ, ალბათ, თანახმა იქნები ყოველდღიურ მუშად დადგე ჩემთან, რომ კარგი გასამრჯელოთი იმუშაო ყანაში, მოგლიჯო ღობისათვის ძეძვნარი და დარგო ნორჩი ხეები; მთელი წლის განმავლობაში მიიღებდი ჩემგან უხვ საჭმელს, ყოველგვარ საჭირო ტანსაცმელს და ფეხსაცმელსო (Od., XVIII, 357—361). როგორც ჩანს, დღიური მუშების მდგომარეობა ფრიად მძიმე ყოფილა: აჩრდილთა სამეფოში მყოფი მიცვალებული აქილევსი ოდისევსთან საუბარში აღნიშნავს: უკეთესი იყო მე ცოცხალს ყანაში დღიურ მუშად მემუშავნა და ღარიბი მხვნელის სამსახურში პური არსობისა მომეპოვებინა, ვიდრე აქ მკვდარი უსულო მკვდრებზე ვმეფობდეო (Od., XI, 489—491).

ნათქვამი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ საზოგადოებრივი განვითარების შემდგომ საფეხურზე ჰომეროსის საბერძნეთში უკვე უდავოდ დაწყებულა მიწათმფლობელობასა და თავისუფალ გლე-

ხებს შორის განშრევების პროცესი, მაგრამ ამ პროცესს ჯერ კიდევ ჩანასახის ხასიათი აქვს. ყოველ შემთხვევაში მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები ეპოსში არ აღინიშნება.

ეპოსი ცნობებს გვაწვდის იმ დროის მონების შესახებაც. ჰომეროსის პოემების მიხედვით, მონობა ოჯახური, პატრიარქალური ხასიათისა ყოფილა: მონები „თავისიანებად", ოჯახის წევრებად (οἰκέται) იხსენებიან. მონა მამაკაცები მუშაობდნენ უმთავრესად მეძროხეებად, მეღორეებად და საერთოდ შესაქონლეობასა და მებოსტნეობაში, მიწათმოქმედებასა და ხელოსნობაში კი თავისუფალი შრომა იყო გაბატონებული. მონა ქალები, როგორც წესი, ოჯახებში მსახურობდნენ და საოჯახო ხელოსნობაში მონაწილეობდნენ, ქსოვდნენ და ართავდნენ. ალკინოეს სახლში 50 მხევალი ქერს ფქვავდა, ართავდა და ქსოვდა (Od., VII, 103 შმდ.). მონებს პოემებში ჩვეულებრივად ეწოდებათ δμῶες („მოთვინიერებულნი") და οἰκῆες („შინაურები") და ფრიად იშვიათად δοῦλοι (მონები). აღსანიშნავია რომ ჰომეროსის საბერძნეთში შრომა სირცხვილად არ ითვლებოდა, როგორც უფრო გვიანდელ დროს. თვით ოდისევსიც კი ფეაკიელებს შეჯიბრში იწვევდა ხვნაში, თიბვასა და მკაში, იმდენად დახელოვნებული ყოფილა იგი სოფლის მეურნეობაში. მონასა და ბატონს შორის ჩვეულებრივად მკაცრი ურთიერთობა არ სუფევდა. ღორების მწყემსი ევმესი უახლოეს მონაწილეობას იღებდა თავისი ბატონის, ოდისევსის ოჯახის საქმეებში. ოდისევსიც აფასებდა მის ერთგულებას და თავის მხრივ მასთან მახლობელი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული. ასეთივე იყო ერთგული მხევლის ევრიკლეას მდგომარეობაც. აგამემნონის მოკვლის გამო მისი ასულის ელექტრას ღრმა მწუხარებას იზიარებენ ოჯახის მხევლებიც. აგამემნონის ვაჟს ორესტეს დაღუპვისაგან გადაარჩენს მისი ძიძა — მხევალი. უკან დაბრუნებულ ოდისევსს გახარებული მხევლები გარს შემოერტყნენ და უკოცნიდნენ თავს, ბეჭებს და ხელებს, ოდისევსს კი თავისიანების დანახვაზე ცრემლები სდიოდა (Od., XXII, 493—501). ფეაკიელების მეფის ასული ნავსიკაია თავის მხევლებთან ერთად სეირნობს, ბურთს თამაშობს და რეცხავს. განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ოდისევსის ოჯახთან მონა დოლიოსს. მას საკუთარი ოჯახი ჰყავს; მის ქალიშვილს საკუთარი ასულივით ზრდის პენელოპა. ბატონები უცდიან მის სამუშაოდან დაბრუნებას, რომ ერთად მიუსხდნენ მაგიდას; ის უაღრესი სიხარულით ხვდება ოდისევსს (Od., XXIV, 395 შმდ.). ის მზითვად მოჰყოლია პენელოპას და მერე ლაერტისათვის დაუთმიათ (Od., IV, 736).

ზოგიერთი მკვლევარი იმ დროს მონების მძიმე მდგომარეობის სურათს ოდისევსის მიერ მოღალატე მონების შეუბრალებელ დასჯაში ხედავს. „ოდისეა“ მოგვითხრობს, რომ ოდისევსი სასტიკად გაუსწორდა იმ მონა ქალებს, რომლებიც პენელოპას საქმროების შეთქმულებაში იღებდნენ მონაწილეობას: მისი ბრძანებით ისინი ბაგირზე ჩამოკიდეს, მარყუჟი მოუჭირეს და გაგუდეს, თხების მწყემს მონას მელანტიას კი ნესტოები ამოგლიჯეს, ყურები დააჭრეს, ხელები და ფეხები მოკვეთეს, სხეული დაუქუცმაცეს და შესაჭმელად ძაღლებს გადაუგდეს (Od., XXII, 471—477). ამ შეთქმულებაში ბატონების მიერ შეწყალებული და ერთგული მონის დოლიოსის, ბატონების მიერ აღზრდილ ქალიშვილს მელანტოსაც მიუღია მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ოდისევსი დიდი სისასტიკით მოქცეულა საბრალო მონებს. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ოდისევსი არანაკლები სისასტიკით გაუსწორდა პენელოპას ცოლობის მაძიებელ პირებს, რომელთა წრეგადასულ თავხედობას მის ოჯახში საზღვარი არ ჰქონდა. ამიტომ მონებისადმი მოპყრობის ამ მაგალითზე დამყარება იმ მიზნით, რომ ამ პერიოდში პატრიარქალური მონობის მნიშვნელოვანი შეცვლა დამტკიცდეს, საფუძვლიანი არ იქნება. მაგრამ იმის უარყოფა კი არ შეიძლება, რომ უკვე ჩანდა პროცესი მონის მდგომარეობისა და შრომის პირობების გაუარესებისა. და არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მონობის ეს პატრიარქალური ფორმა უკვე ხელს უწყობდა საზოგადოებრივ განშრევებას და მასთან ერთად გვაროვნული საზოგადოების შიგნით წინააღმდეგობათა გაღრმავებას. ამ პროცესის ერთი მხარეა დახშული გვაროვნული არისტოკრატიის წარმოქმნა, მისი განკერძოება და დაპირისპირება გვარის რიგითი წევრებისადმი.

იმის მიუხედავად, რომ ჰომეროსის საბერძნეთმა სამუშაო იარაღების შემზადებაში ერთგვარ წარმატებას მიაღწია, მიკენის ეპოქასთან შედარებით მისი კულტურა დაქვეითებას განიცდიდა. ეს მოვლენა განსაკუთრებით ნათლად მოჩანს სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების დარგში. თავიანთ ქალაქებს ამ პერიოდში ბერძნები უმთავრესად უბრალო მიწის თხრილებით და არა „ციკლოპური“ კედლებით ამაგრებდნენ. მართალია მათ იწყეს ტაძრების აგება; მაგრამ პირველ ხანებში მათ ხისა და თიხისაგან აშენებდნენ და მხოლოდ ძვ. წ. VII საუკუნეში გადავიდნენ არსებითად ქვაზე. ხისგანვე იყო გამოჭრილი აგრეთვე მათი საკულტო გამოსახულებანი (ξόανα). უკვე იყო ნათქვამი, რომ ჯერ კიდევ გვიანმიკენურ პერიოდში დაიწყო კერამიკის გეომეტრიზაცია. ჰომეროსის დროის ჭურჭლეული კი საერთოდ თავის შესრულებით და გარეგნობით უფრო

პრიმიტიულია. და ზედაპირზედაც მარტივი სახის ორნამენტიკას ატარებს. განსაკუთრებული მდგომარეობა იყო იმ მხარეებში, სადაც დორიელთა გადასახლება და მასთან დაკავშირებული გამანადგურებელი მოძრაობა შედარებით მცირე მოცულობისა იყო; ასე, მაგ., ატიკაში გეომეტრიულმა სტილმა ეგრეთ წოდებულ დიპილონის ვაზებში განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია. ამ ვაზებზე მოცემულია ხაზოვანი სურათები წერტილების, წრეებისა და ჯვრების კომბინაციით. შემდგომ ტექნიკურ განვითარებასთან ერთად თავდაპირველი ხაზოვანი ორნამენტიკის გვერდით ჩნდება სურათები ორგანული სამყაროდანაც და იწყება ადამიანთა ცხოვრებიდან სცენების გადმოცემის მცდელობა.

ჰომეროსის დროის ბერძნების ჩამორჩენილობის მიუხედავად, მათ კულტურულ მიღწევას წარმოადგენს ანბანური დამწერლობის შემოღება. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მიკენის ეპოქაში ბერძნებმა თავისი ენისათვის მოიმარჯვეს B ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც ძირითადად უკვე ამოკითხულია. მაგრამ, შესაძლებელია, მიკენის სამყაროს სასახლეების განადგურებასთან ერთად ეს დამწერლობაც დავიწყებას მიეცა. ხოლო ძვ. წ. IX საუკუნის დასასრულისათვის ბერძნებმა შეითვისეს ანბანური დამწერლობა. ამაში გვარწმუნებს ისიც, რომ უძველესი ეპიგრაფიკული ძეგლი ძვ. წ. VIII საუკუნის შუალედს მიეკუთვნება. რამდენიმე წლის წინათ გამოითქვა მოსაზრება, რომლის მიხედვით ანბანური დამწერლობა ბერძნებმა არა ფინიკიელებისაგან, არამედ მინოსიანელებისაგან შეითვისეს და ფინიკიელების გავლენა გამოიხატა მხოლოდ ძველ ბერძნულ დამწერლობათა სისტემის უნიფიკაციაში[9]. მეორე მკვლევარმა ეს მოსაზრება უფრო გააფართოვა და საჭიროდ ჩათვალა ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ ძველ ბერძნულ ფონეტიკურ ანბანს, რომელიც წარმოიქმნა დამოუკიდებლად მინოსურ საფუძველზე კვიპროსული და კარიული ტიპის მარცვლოვანი ალფაბეტისაგან. ბუნებრივად უნდა განეცადა წარმოშობით ჩონათესავე ფინიკიური დამწერლობის გავლენა იმ პერიოდში, როცა საბერძნეთში ფინიკიელების გავლენა ეკონომიკისა და კულტურის დარგში მნიშვნელოვნად იგრძნობოდა (IX—VIII სს.)[10]. ასეთი მოსაზრება მთლიანად ეწინააღმდეგება ჩვენს ხელთ არსებულ დოკუმენტებსა და ცნობებს[11].

ისტორიკოსი ჰეროდოტე გვარწმუნებს (V, 58), რომ იონელებმა ანბანი ფინიკიელებისაგან შეითვისეს და რომ ბერძნულ ასოებს ფინიკიური ეწოდებოდა. ამას უნდა დავუმატოთ, აგრეთვე, ცნობილი ტეოსის წარწერა, რომელშიც აღნიშნულია ფინიკიური ანბანი (γράμματα Φοινικά). ძველი ავტორების ცნობებს ამ მხრივ ზოგჯერ

უმართებულოდ იყენებენ. მაგ., სრულებით უსაფუძვლოდ იმოწმებენ ძველი ისტორიკოსის დიოდორე სიცილიელის ცნობას (V, 74, 1), რომლის მიხედვით ფინიკიელებს, რომლებისგანაც ბერძნებმა ანბანი ისესხეს, თვითონ არ გამოუგონიათ თავიანთი დამწერლობა, არამედ თავის მხრივ სხვებისაგან გადმოიღეს, შეცვალეს რა ასოების მოხაზულობაო. ჩვენი მიზნისათვის სწორედ ისაა საყურადღებო, რომ დიოდორეც იმას გვიმოწმებს, რომ ბერძნებმა ანბანური დამწერლობა ფინიკიელებისაგან შეითვისეს, ხოლო სულ სხვა საკითხია, თუ თვითონ ფინიკიელებმა ვისგან გადმოიღეს იგი. ასევე არასწორად არის გაგებული დიოდორეს მეორე ცნობაც (III, 67, 1), რომლის მიხედვით გამოდის, რომ ამ ასოებით წინათ ფინიკიელები სარგებლობდნენ, მათგან გადმოიღეს პელასგებმა. ხოლო უკანასკნელთაგან— ბერძნებმაო. ანბანური დამწერლობის წარმოქმნის თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თითქმის ერთსა და იმავე დროს წარმოიშვა ასოებრივ-ბგერითი დამწერლობის გრაფიკულად საესებით განსხვავებული ორი ფორმა: ლურსმის სახის უგარიტის ფორმა და ხაზოვანი ფინიკიური ანბანი. მათი თითქმის ერთდროული შექმნა ხმელთაშუაზღვისპირეთში ცნობილი მოვაჭრე ხალხის მიერ გვაფიქრებინებს, რომ მათი წარმოქმნის ძირითადი მიზეზი განვითარებული ვაჭრობის მოთხოვნილებასთან იყო დაკავშირებული, ვინაიდან მას უმარტივესი და ზოგადად მისაწვდომი დამწერლობა ესაჭიროებოდა. რაკი ორივე ეს ფორმა თითქმის ერთდროულად წარმოიქმნა, უსაფუძვლოდ უნდა ჩავთვალოთ ის ცდები. რომლებიც ფინიკიურ ანბანს ხან უგარიტის ფორმას, ხან კიდევ მიკენოსის დამწერლობას უკავშირებენ.

ბერძნებმა რომ თავისი ანბანური დამწერლობა ფინიკიურისაგან გადმოიღეს, ამას ამტკიცებს ისიც, რომ ბერძნული ანბანური წერილობის უძველეს ძეგლებში ასოები თავისი ფორმით მეტად უახლოვდება ფინიკიურ ნიშნებს და ზოგიერთ შემთხვევაში მათ სავსებით ემსგავსება. ასე, მაგ., უძველეს დროს ბერძნული ა ასოს ისევე აღბეჭდავდნენ, როგორც ფინიკიელები — მდებარე მდგომარეობაში. ბერძნული ასოების სახელები არა ბერძნულია, არამედ ოდნავ გადაკეთებული ფინიკიურ-სემიტური. მაგ., ა—ალეფ. ბერძნულად — ალფა; ბ—ბეტ, ბერძნულად — ბეტა, დ — დალეტ, ბერძნულად — დელტა და ა. შ.[12]

მაგრამ ვაღიარებთ რა ბერძნული ანბანური წერილობის ფინიკიურისაგან წარმოშობას, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადგილი ჰქონდა ამ მხრივ არა უბრალო მექანიკურ გადმოღებას, არამედ მისი ბერძნული ენის თავისებურებასთან შეფარდებას. საერთოდ არა

სხვისი საუნჯის უბრალო გადმომღებლებად გვეელინებიან ძველი ბერძნები, არამედ სხვებისაგან შენაძენსა და ნასესხებში მათ საკუთარი შემოქმედების ელემენტები შეაქვთ და საკუთარი კულტურის იერით მოსავენ. კარგად უთქვამს ერთ ძველ ავტორს, რომ ბერძნები ყოველივეს მუდამ გადაამუშავებდნენ, რაც კი მათ ბარბაროსებისაგან ჰქონდათ გადაღებულიო.

ჰომეროსის დროს ბერძენ ტომთა სარწმუნოების განხილვაზე აქ არ შეეჩერდებით. ისტორიკოს ჰეროდოტეს სიტყვით, ჰომეროსმა და ჰესიოდემ შექმნეს ღმერთების გენეალოგია, მისცეს ღმერთების სახელებს ეპითეტები, გაანაწილეს მათ შორის ღირსება და მოვალეობა და აღბეჭდეს მათი ხატებაო, ეს აზრი ისე უნდა გავიგოთ, რომ ჰომეროსისა და ჰესიოდეს პოემებს დიდი ადგილი მიეკუთვნებოდა ძველი ბერძნების თეოლოგიური სისტემის დადგენაში. ამიტომ ბერძნული სარწმუნოების საწყისებს ჰესიოდეს „თეოგონიასთან" დაკავშირებით განვიხილავთ. ხოლო ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ საბერძნეთში ქურუმებს, დელფოს მისნის მსახურთა გამოკლებით, ისეთი ნივთიერი და იდეოლოგიური ძლიერებისა და ავტორიტეტისათვის არ მიუღწევიათ, როგორიც მოიპოვა, ვთქვათ, ეგვიპტეში ქურუმთა კორპორაციამ, რომელმაც ძვ. წ. XII საუკუნის დასასრულს თებეს ამონის მთავარი ქურუმის ხერიჰორის მეთაურობით ფარაონის ტახტიც კი ჩაიგდო ხელში[13]. ბერძნულ სარწმუნოებრივ აზროვნებას თავის განვითარებაში გაქვავებული თეოლოგიური დოგმები არ გამოუმუშავებია. ამიტომაც ძველი ბერძნები შედარებით ტოლერანტულად ეპყრობოდნენ სხვა ხალხების სარწმუნოებას. ეგებ ეს ისეთი შეხედულების შედეგი იყო, რომლის მიხედვით ღმერთების სახელები და მათი თაყვანისცემის ფორმები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგრამ მორწმუნეთათვის ღვთაება, რა სახითაც მას არ უნდა მოუწოდონ, ერთი და იგივეაო[14].

აქვე უნდა აღვნიშნოთ ბ ე დ ი ს წ ე რ ი ს ღრმა რწმენა, რომელიც ჰომეროსსა და ნაწილობრივ შემდგომი დროის ბერძნებს ახასიათებდა. მართალია, ამ რწმენას აღმოსავლური ფატალიზმის ხასიათი არ მიუღია, მაგრამ ფართოდ კი ყოფილა გავრცელებული. ჰომეროსის ბერძენს თავისი ჩამორჩენილობის გამო სწამდათ, რომ ბ ე დ ი ს წ ე რ ა, მ ო ი რ ა, ა ი ს ა ღმერთებზე მაღლა დგას და მათზე უფრო ძლიერია. ამ რწმენის მიხედვით, ადამიანის მოქმედება შემთხვევათა იმ ჯაჭვის რგოლია, რომელიც მხოლოდ მოირას ნებისყოფით იშლება და იკეცება; ადამიანის სულის ყოველგვარი გადაწყვეტილება, იმანენტური ხასიათისაც კი, ბედისწერას უნდა ემორჩილებოდეს და მის განგებას ეთანხმებოდეს. შეუძლებელია შესრულ-

დეს ის, რაც ამ წესს ეწინააღმდეგება. მოირას განგება ღმერთების მიმართაც გარდუვალია: მისი ნება-სურვილი და განჩინება მათთვისაც სავალდებულოა. მაგრამ ამ მხრივ ერთგვარი კომპრომისია დაშვებული: ღმერთები მოირას განაჩენის ერთგული დამცველი და აღმასრულებელი ხდებიან. თვით ზევსიც იცავს მოირას კანონს, მსოფლიო წესრიგს. იგი ნებას არავის მისცემს, მოირას განაჩენი დაარღვიოს. ხოლო მოირას ნებისყოფის შესრულებაში ღმერთები სავსებით პასიური არ არიან; მათ შეუძლიათ დააჩქარონ თუ დააგვიანონ ბედისწერის განაჩენის შესრულების ტემპი, მაგრამ მისი საბოლოო გაუქმება კი არ ძალუძთ. ტროას ომის პროცესში არის ერთი მომენტი, როცა შესაძლებლად მოჩანს მისი შერიგებით დამთავრება: მენელაოსისა და პარისის ორთა ბრძოლა. თუ იგი ბუნებრივად დამთავრდება, მოკვდება რომელიმე მათგანი, ომი შეწყდება და ტროაც უვნებელი გადარჩება. მაგრამ ეს ეწინააღმდეგება მოირას გადაწყვეტილებას, ამიტომ ზევსი ბრძოლის ველზე გზავნის ქალღმერთ ათენას, რათა მან ტროელები შეაცდინოს, ფიცი დაარღვევინოს და ომის გაგრძელება გამოიწვიოს.

ღრმად ამაღელვებელია ტროას უბადლო გმირის ჰექტორის გამოთხოვება ანდრომაქესთან, რომელიც ღირსეულად ითვლება სამაგალითო ნიმუშად მსოფლიო ლიტერატურაში. ჰექტორს სირცხვილად მიაჩნია, დარჩეს ტროას კედლებში და მონაწილეობა არ მიიღოს მის დაცვაში, თუმცა ღრმად სწამს, რომ დადგება დღე, როცა დაიღუპება ტროა. მას, როგორც ადამიანს, მტკივნეულად აწუხებს იმის ფიქრი, რომ მისი ანდრომაქე დატყვევებული იქნება და მხევლად ქცეული უცხოეთში სხვის კარზე ქსოვასა და წყლის ზიდვას დაიწყებს. მე მირჩევნია მოვკვდე, ამბობს იგი, ოღონდ ამას არ მოვესწროვო. მაშასადამე, ჰექტორს შეურყეველად სწამს, რომ ტროა დაეცემა და მასთან ერთად მისი ოჯახიც დაიღუპება. მაგრამ ანდრომაქეს მაინც ანუგეშებს შემდეგი სიტყვებით: ბნელი აიდის (ქვესკნელის) სამეფოში ბედისწერის ბრძანების გარეშე მე ვერც ერთი გმირი ვერ გამაგზავნისო; ვერავინ გაექცევა თავის ბედს, ვერც მამაცი და ვერც ლაჩარიო. რაკი იმ დროის ადამიანებს ასეთი წარმოდგენა ჰქონდათ ბედისწერის განაჩენის გარდუვალობაზე, ბუნებრივად ებადებოდათ სურვილი, სხვადასხვა მოსწავების ვითომდა განმარტების საფუძველზე წინასწარ შეეცნოთ მოირას მიერ ბედის წიგნში ჩანაწერი. ჰექტორი ამ მოსწავებათა შორის ყველაზე უფრო სასურველად იმ მოსწავებას თვლიდა, რომელიც სამშობლოსათვის საბრძოლველად გვიხმობსო.

ძველ ბერძნებს სწამდათ ზოგიერთი ადგილის განსაკუთრებული

„წინასწარმეტყველური“ მნიშვნელობა. ასე, მაგ., განთქმული იყო ეპირის ქალაქის დ ო დ ო ნ ი ს მ ი ს ა ნ ი, სადაც ზევსი თავის ნებისყოფას თითქოს მუხის ფოთლების შრიალსა და ნაკადულის რაკრაკში გამოავლენდა. აპოლონის მისანი დ ე ლ ფ ო ს ი კი ძვ. წ. VII საუკუნიდან ზოგადბერძნულ მნიშვნელობას აღწევს.

ამ მიმოხილვიდან დავინახეთ, რომ სამხედრო დემოკრატიის დაშლის პროცესში ფრატრიები და ფილეები თანდათან იქცევიან არისტოკრატიულ დაწესებულებებად, რომელთაც მცირერიცხოვანი გავლენიანი გვარების წინამძღოლები მეთაურობდნენ. ამასთან ერთად იმდენად რთულდება და ღრმავდება საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომ აუცილებელი ხდება სახელმწიფოს წარმოქმნა.

თავი მესამე

არქაული საბერძნეთი

1. ბერძენთა კოლონიზაცია VIII—VI საუკუნეებში და მისი საერთო შედეგები

VIII—VI საუკუნეებში საბერძნეთის სამყაროში ფართო და ვრცელი კოლონიზაცია მიმდინარეობდა. ბუნებრივად იბადება კითხვა, რა იყო ასეთი კოლონიზაციის მიზეზი, რა აიძულებდა ბერძნებს მიეტოვებინათ მშობლიური კერა და შორეულ ადგილებში გადასახლებულიყვნენ? VII—VI საუკუნეებში ძველი ბერძნების ისტორიაში ადგილი ჰქონდა მონათმფლობელური სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის ჩამოყალიბების პროცესს. წარმოებდა გაცხარებული საზოგადოებრივი ბრძოლა ძველ გვაროვნულ-ტომობრივ წარჩინებულთა წრესა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. პირველნი ყოველგვარად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ თავისებურად გადაგვარებული გვაროვნული წყობილება და თავის პოზიციებს ადვილად არ თმობდნენ. იმ დროს არსებული ადათის თანახმად ამ ბრძოლაში დამარცხებულნი სხვა მხარეებში უნდა გადასახლებულიყვნენ. ამას გარდა, დროთა მსვლელობაში ჰომეროსის პოემებში ერთეულად მოხსენებული უკლეროსოების რიცხვი თანდათან იზრდებოდა. ეს უკლეროსოები კი ბუნებრივად ახალი მიწებისა და შედარებით უკეთესი საარსებო პირობების მოპოვებას ცდილობდნენ. ამას ემატებოდა მზარდი ვაჭრობისა და ხელოსნობისათვის აუცილებელი სამოქმედო ასპარეზის გაფართოება და ახალ პუნქტებში განსახლება. ერთი სიტყვით, შეცვლილმა საზოგადოებრივმა პირობებმა გვაროვნული არისტოკრატიის ხელში მიწის შედარებით მნიშვნელოვანი კონცენტრაცია და თავისუფალ გლეხთა შორის, პირიქით, უკლეროსების რიცხვის გადიდება გამოიწვია. მეორე მხრივ, ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობის გართულებას თან მოჰყვა ბერძენთა ფართო კოლონიზაცია ახალი მიწების, უკეთესი საარსებო პირობებისა და საავაჭრო ასპარეზის მოსაპოვებლად.

ვიდრე კოლონიზაციაზე საუბარს გავაგრძელებდეთ, საჭიროა მოვიგონოთ ტერმინის—„კოლონიზაცია“ ანტიკური მნიშვნელობა. ის წარმომდგარია სიტყვა — Colonia-საგან, ხოლო Colo „მიწის დამუშავებას“ ნიშნავს, Colonia კი ლათინთა თუ რომაელ მოქალაქეთა დასახლებას აღნიშნავდა. ეს დასახლებანი დიდხანს სამხედრო-მიწათმოქმედ ხასიათს ატარებდნენ და რომის მთავრობა მათ დაპყრობილ და შემოერთებულ მხარეებში აარსებდა. ამ მნიშვნელობით ლათინურ ტერმინს „კოლონიას“ უფრო ბერძნული ცნება „კლერუქია“ (κληρουχία) შეესაბამება. კლერუქიები საბერძნეთში უმთავრესად კლასიკურ პერიოდში წარმოიქმნენ. ადრინდელ დროში კი კოლონიის გამოსათქმელად ბერძნები სიტყვას „აპოიკია“ (ἀποικία) ხმარობდნენ. ბერძნული ზმნა ἀποικεῖν „შორს ცხოვრებას“ ნიშნავს და, მაშასადამე, უცხო მხარეში ბერძნების დასახლებას გულისხმობს («Древняя Греция», გვ. 111). თავდაპირველად კოლონიების გადაყვანა სპორადიულად მიმდინარეობდა და მხოლოდ შემდგომში მიენიჭა მას სისტემატური ხასიათი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბერძნების ზოგიერთი ქალაქი (მაგ.: მილეტი, ევბეას ქალკიდა, კორინთო და სხვ.), რომელთაც მრავალი ახალშენი დაუარსებიათ. თითოეული ასეთი ქალაქი თავის ახალშენის მიმართ მეტროპოლიად, ე. ი. დედაქალაქად რჩებოდა. ჩვეულებრივად ყოველი ახალშენის დაარსების წინ დელფოს ან სხვა მისანს მიმართავდნენ ხოლმე შეკითხვით და დადებითი პასუხის მიღების შემთხვევაში ირჩევდნენ ახალშენის ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს — ოიკისტესს (οἰκιστής).

უფრო სისტემატური და ვრცელი იყო კოლონიზაცია VIII—VI საუკუნეებში. ცხადია, თავდაპირველად მიწათმოქმედი ახალშენები ჭარბობდნენ. ზოგიერთი ბერძნული ქალაქის გვიანდელი სავაჭრო აყვავება საფუძველს არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ამ ქალაქებს თავის წარმოშობიდანვე წმინდა სავაჭრო ხასიათი ჰქონდათ. საფიქრებელია, რომ მცირე აზიაში გადასახლებულ ბერძნებს ადგილობრივი მოსახლეობის ერთგვარი სავაჭრო ტრადიციები დახვდათ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ ქალაქებში თავდაპირველად სოფლის მეურნეობას ძირითადი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს მილეტის მიმართაც უნდა ითქვას, ვინაიდან მაშინაც კი, როცა მას ძველ სამყაროში უკვე მსხვილი სავაჭრო ცენტრის სახელი ჰქონია მოხვეჭილი, მისი მოსახლეობა განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდა სოფლის მეურნეობას. იმდენად მნიშვნელოვანი იყო კოლონიზაციური პრობლემა, რომ ის მმართველი წრეების ცენტრალურ საკითხს წარ-

მოადგენდა. ისეთ ქალაქებში, როგორიც იყო მილეტი, ოიკისტების განსაკუთრებული ინსტიტუტი იქნა დაარსებული; მის პირდაპირ მოვალეობას ახალშენთა დაფუძნება და ორგანიზაცია შეადგენდა. ცხადია, ვიდრე კოლონისტებს ახალ ადგილას გადაიყვანდნენ, საჭირო იქნებოდა ამ ადგილის ბუნებრივი პირობების შესწავლა, რასაც, ალბათ წინასწარ ასრულებდნენ მეზღვაურები [1].

ბუნებრივია, რომ ახალშენების სოციალურ-პოლიტიკური წყობილება პირველ ხანებში მაინც მეტროპოლიის მსგავსად ეწყობოდა. მეტროპოლიასა და ახალშენებს შორის ზოგჯერ ისეთი ურთიერთობა მყარდებოდა, რომლის მიხედვით ორივე მხარე ურთიერთს მოქალაქეობრივ უფლებას ანიჭებდა. ასე, მაგ., თერა და კირენე, მილეტი და ოლბია. მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ ახალ ადგილას ტრადიცია უცვლელი ვერ დარჩებოდა: ახალშენები უფრო ახლოს გაეცნენ აღმოსავლური ფუფუნების საგნებს და უფრო ფართოდ იწყეს მათი შეძენა, უმთავრესად წარჩინებულმა წრეებმა. მეორე მხრივ, ახალშენებისათვის დიდხანს აუცილებელი იყო მეტროპოლიის მიერ დამზადებული ისეთი საგნების მიღება, რომელთა მოხმარებაც მათ, ასე ვთქვათ, შეთვისებული ჰქონდათ პირვანდელ სამშობლოში. ამიტომაც ახალშენები მეტროპოლიების პროდუქტებისა და ნაწარმის მთავარი საექსპერტო პუნქტები გახდნენ. ეს გარემოება კი ხელს უწყობდა მეტროპოლიებში ხელოსნობისა და წარმოების განვითარებას და თავის მხრივ შემდგომი კოლონიზაციის გაფართოების საფუძველს ჰქმნიდა. მიწის მეურნეთა ახალშენები შედარებით უფრო ღრმად იჭრებოდნენ ამა თუ იმ მხარის შუაგულში და უფრო მეტ სივრცეს ეპატრონებოდნენ. სავაჭრო ახალშენები, პირიქით, თავსდებოდნენ სანაპიროებზე, სავაჭრო გზების მახლობლად, რათა ვაჭრობის ძარღვს უფრო მტკიცედ დაპატრონებოდნენ. პირველ რიგში ისინი ემპორიებს (ἐμπόρια)—სავაჭრო და გაცვლა-გამოცვლის პუნქტებს აარსებდნენ, სადაც სავაჭრო ურთიერთობას ამყარებდნენ ადგილობრივ მოსახლეობასთან. თუ ამ მხრივ ხელსაყრელი პირობები აღმოჩნდებოდა, ემპორიების გვერდით ახალშენებს (ἀποικία) დაამკვიდრებდნენ ქალაქების სახით.

კოლონიზაციაში მეტნაკლებობით მთელი საბერძნეთი იღებდა მონაწილეობას, უმთავრესად მცირეაზიელი იონელების ქალაქები, განსაკუთრებით მილეტი და ფოკეა, ევბეას ქალაქები — ქალკიდა და ერეტრია, საბერძნეთის ქალაქები — ათენი, კორინთო, მეგარა და სხვ. დავიწყოთ ბერძენ ახალშენთა დასავლეთით განსახლებიდან. მაგრამ ვიდრე სიცილიასა და იტალიაში დაარსებულ ბერძნულ ახალშენებს შევეხებოდეთ, უნდა გვახსოვდეს, რომ საერთოდ ბერძენთა-

კოლონიზაციას უდიდეს დაბრკოლებას უქმნიდნენ ფინიკიელები, განსაკუთრებით მათი მდიდარი და ძლიერი ახალშენი კართაგო აფრიკაში. ამიტომ, ვიდრე ბერძენთა კოლონიზაციაზე განვაგრძობდეთ საუბარს, საჭიროა ზოგად ხაზებში მოვიგონოთ ფინიკიელთა და ბერძენთა ურთიერთობა ამ პერიოდში.

ზოგიერთი მკვლევარი „ოდისეას" დათარიღების საკითხში, ემყარება რა ამ პოემაში ფინიკიელების როლის ანალიზს და ნაწილობრივ არქეოლოგიურ მონაცემებს, ფიქრობს, რომ ეპოსში ფინიკიელების დასახელება თითქმის მხოლოდ ძვ. წ. VIII საუკუნეს მიეკუთვნებაო. ამავე დროს ასეთი მკვლევარი არ ივიწყებს იმას, რომ ეპოსში ფინიკიელები სიდონიელების სახელით არიან მოხსენებული, რომ ტვიროსი მასში სრულებით არ არის დასახელებული და რომ ოდისევსის ერთგული მონა-მწყემსი ევმესიც კი წარმოშობით სირიის ქალაქ უგარიტიდან იყო. მაგრამ მაინც გვარწმუნებს, რომ ეპოსში ფინიკიელების თითქმის ყველა მოხსენება ადრე რკინის საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ, თუმცა მისი რომელიღაც ნაწილი გვიანბრინჯაოს საუკუნეს გულისხმობს. ნამდვილად კი, როგორც ვიცით, „ოდისეაში" შემონახულია გვიან ბრინჯაოს, საერთოდ მიკენის ეპოქის რემინისცენციები. ბერძენ ტომებს ფინიკიელებთან ურთიერთობა ჯერ კიდევ მიკენის პერიოდში უნდა ჰქონოდათ დამყარებული.

თავისი სამეურნეო-პოლიტიკური განვითარების მიხედვით ფინიკიელებს ადრე დაუწყიათ ხმელთაშუა ზღვის თითქმის მთელ აუზში ახალშენების დაარსება. სავაჭრო ფაქტორიებს ფინიკიელები აარსებდნენ ვაჭრობისათვის ხელსაყრელ მიდამოებში: სანაპიროს მახლობლად განლაგებულ კუნძულებსა და კონცხებზე, სავაჭრო გზაჯვარედინებზე მდებარე ბუნებრივად დაცულ ადგილებზე. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში სიდონელებს ახალშენები შეუქმნიათ ჯერ კუნძულ კ ვ ი პ რ ო ს ზ ე, მაგრამ სხვადასხვა საბუთის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მათ აქ წინ უსწრებდნენ ბერძენთა ახალშენები. ამ მხრივ საყურადღებოა ცნობილი ფრანგი მკვლევარის შ ე ფ ე რ ი ს კვიპროსზე ომამდელი და ომის შემდგომი გათხრები, რომელთა დროს, სხვათა შორის, აღმოჩენილ იქნა გვიანბრინჯაოს საუკუნის მოსახლეობა, რომელიც მიკენის კულტურის ევროპულ ცენტრებსა და უგარიტის შემაერთებელ შესამჩნევ რგოლს წარმოადგენს. კვიპროსის შემდეგ სიდონელები გადასულან კუნძულ რ ო დ ო ს ზ ე, რომლის წინანდელი დასახლება, საფიქრებელია, კრეტიდან უნდა მომხდარიყო. ამაში გვარწმუნებს როდოსზე იალისის დროის მიკენური ნეკროპოლისის გათხრების შედეგები და თვით როდოსის ტოპონიმიკის მონაცემები, აგრეთვე მთელი როდოსის

გვიან კრეტული ცივილიზაციით მოცვის ფაქტი[2]. როდოსის გარდა, სიდონელების ახალშენები გავრცელებული ყოფილან კიკლადებისა და სპორადების ცალკეულ კუნძულებზე და ზოგიერთ სხვაზე. ფინიკიელთა ვაჭრობის შესამჩნევი კვალი ჩანს მცირე აზიისა და ხმელეთის საბერძნეთის მხარეებსა და ქალაქებში, კერძოდ, ტროას, მიკენსა და ტირინთში. უნდა გვახსოვდეს, რომ ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში კოლონიზაცია და საზღვაო ვაჭრობა უმთავრესად ტვიროსელების საქმიანობის შედეგი იყო. ცნობილია, რომ ძვ. წ. X საუკუნიდან ტვიროსი ფინიკიელთა ქალაქებს შორის დიდ ძლიერებასა და მნიშვნელობას აღწევს. მას მრავალი ახალშენი და სავაჭრო ფაქტორია დაუარსებია ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილში. ამ ახალშენთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ უ ტ ი კ ა და კ ა რ თ ა გ ო. უკანასკნელი დიდ მეტოქეობას უწევდა დასავლეთში ბერძნების ვაჭრობასა და კოლონიზაციის გაფართოებას.

ეპვი არ არის ფინიკიელები ძველად ნიჭიერი მეზღვაურები იყვნენ და საუკუნეთა განმავლობაში ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხებს შესამჩნევი სამსახური გაუწიეს. მაგრამ მათი როლი როგორც გემთმშენებლობისა და ზღვაოსნობის, ისე კულტურის დარგში, მიუხედავად მათი ყოფა-ცხოვრების შესაბამისად წარმოქმნილი თავისთავადი სამეურნეო-კულტურული დონისა, შედარებით მაინც უფრო შუამავლობითი ხასიათისა იყო. როგორც ირკვევა ეგეოსის ზ ღ ვ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ ს ა და ს ა ნ ა პ ი რ ო ე ბ ზ ე ფინიკიელთა ახალშენების განსახლება უფრო მცირე ხასიათისა უნდა ყოფილიყო. ამაში მათ, ალბათ, ბერძენთა ახალშენებმა შეუშალეს ხელი. ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ ისინი უფრო ვაჭრების როლში გამოდიოდნენ: ადგილობრივ მოსახლეობაში ასაღებდნენ თავიანთ საქონელს და კვლავ უკან ბრუნდებოდნენ. ჰომეროსის ეპოსში არ მოიპოვება ისეთი დამარწმუნებელი ცნობა, რომ იმ დროს ბერძნების სამყაროში ფინიკიელები ყოფილიყვნენ განსახლებული. მაგრამ მერმინდელი დროის ბერძენი პოეტები და ისტორიკოსები ბევრს მოგვითხრობენ აქ ფინიკიელთა მოსახლეობის სხვადასხვა პუნქტზე. მათი ცნობები კი უმთავრესად ევროპისა და კადმოსის თქმულებას ემყარება. თქმულების თანახმად, კადმოსი ფინიკიელი მეფის შვილი და ტურფა ევროპის ძმა იყო, რომლის სახელი ეწოდა სამყაროს ერთ ცნობილ ნაწილს. თავისი დამატყვევებელი სილამაზით მან მოხიბლა თვით ღმერთების მეფე ზევსი, რომელმაც მშვენიერი ხარის სახე მიიღო და ვარდებით შემკული წარსდგა მის წინაშე, როცა ის ზღვის პირას მინდორზე სეირნობდა. ქალს მეტად მოეწონა ეს ნატიფი ხარი, დაუწყო ალერსი და მალე მის ზურგზე მოექცა. ზევსიც ამას ელოდა:

იგი მსწრაფლ გასწორდა და ევროპა კრეტაზე გაიტაცა, სადაც მას ცნობილი მეფე მინოსი ეყოლა. ევროპას მამა თავის ვაჟებს ავალებს სასწრაფოდ მოძებნონ გატაცებული და, მაგრამ კადმოსი მამის დავალებას ვერ ასრულებს, ამიტომ შინ აღარ ბრუნდება და სახლდება კადმეაში (ბეოტიაში) მის მიერვე აგებულ ციხე-კოშკში. თუ ამ თქმულებას დავუჯერებთ, გამოდის, რომ საბერძნეთში ბეოტიის თებე ფინიკიელთა ახალშენი იყო, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძველი ბერძენი პოეტებისა და ისტორიკოსების თვალში თქმულება ეჰვმიუტანელი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამას გარდა, ბერძნების ზოგიერთი გვარი, განსაკუთრებით იონიაში, თავის წარმოშობას კადმოსსა და მის თანმხლებლებს უკავშირებდა და თავს ფინიკიელთა შთამომავლად თვლიდა. ისტორიკოსი ჰეროდოტეც კი კუნძულებს თასოსს, თერას და ზოგიერთ სხვას იმ ადგილებს მიაკუთვნებს, რომელთა მოსახლეობა აქ, თითქოს, კადმოსის დროიდან დამკვიდრდა და ფინიკიელებისაგან შედგებოდა. ამ საკითხის შესახებ მკვლევართა შორის შეთანხმებული აზრი არ არსებობს. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ სინამდვილეს დაშორებული არ იქნება, თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთი ტრადიცია შეიძლება ფინიკიელ მოვაჭრეთა საბერძნეთში ხშირ ყოფნასთან იყო დაკავშირებული, ანდა იმ ნიადაგზე წარმოიქმნა, რომ სავაჭრო ოპერაციების დროს ფინიკიელები საბერძნეთში აარსებდნენ დროებით მცირე მოსახლეობათ და ფაქტორიებს, რომლებსაც მერე უბრძოლველად ტოვებდნენ.

განსაკუთრებით ძლიერი იყო ბერძნებსა და ფინიკიელებს შორის მეტოქეობა VIII—VI საუკუნის კოლონიზაციის დროს, კერძოდ, სპარსეთის ეპოქაში. მისი მმართველი წრეები ფინიკიელებს განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ. ფინიკიის მდიდარი ქალაქები დიდ ნივთიერ დახმარებას უწევდნენ სპარსეთის სახელმწიფოს, ხოლო მათი ფლოტი ახლო მონაწილეობას იღებდა სპარსელების საზღვაო ომებში. როდესაც სპარსეთის მბრძანებლებმა საბერძნეთის პოლისების დამორჩილება განიზრახეს, მათ ამ საქმეში ეხმარებოდა ფინიკიელთა ფლოტიც. საერთოდ, ბერძენ-სპარსელთა ცნობილი კონფლიქტის დროს სპარსეთის მეფეებს ფინიკიელებზე უფრო ერთგული ქვეშევრდომები არ მოეპოვებოდათ. თავის მხრივ სპარსეთის მბრძანებლებიც მუდმივ მფარველობას უწევდნენ, ბერძნების საწინააღმდეგოდ, ფინიკიელთა ზღვაოსნობა-ვაჭრობის გაფართოებას. ამით მათ სურდათ დაემცირებინათ და დაეზარალებინათ საბერძნეთის ამაყი სავაჭრო ქალაქები და პირველ რიგში სახელგანთქმული ათენი.

მიუხედავად კართაგელების წინააღმდეგობისა, ძვ. წ. VIII საუკუნის ნახევარში ბერძენთა კოლონისტები გადავიდნენ ქვემო იტალიასა და სიცილიაში. მაგრამ ეს არ იყო, ასე ვთქვათ, ამ ადგილების ეგეოსის სამყაროსათვის პირველი აღმოჩენა, როგორც ამას წინათ ფიქრობდნენ. პირიქით, ახალმა გათხრებმა ცხადყო, რომ მას უკვე მეორე ათასწლეულში ჰქონდა დასავლეთის ამ მხარეებთან საზღვაო და სავაჭრო ურთიერთობა.

ჰომეროსის ეპოსი გვიჩვენებს, რომ გმირული ეპოქის ბერძნები იცნობდნენ იტალიისა და სიცილიის ზოგ ადგილებსა და ტომებს. ამას გარდა, იტალიის ცალკეულ რაიონებში აღმოჩნდა მიკენური ეპოქის ნაგებობათა ნაშთები, ხოლო სიცილიასა და კრეტას შორის კავშირს გვიდასტურებს ზოგიერთი ისტორიული ძეგლი.

თუ სიცილიაში ბერძნების ახალშენების გავრცელებას დიდად უშლიდნენ ხელს ფინიკიელები (კართაგელები), იტალიაში მათ მოწინააღმდეგედ გამოდიან ეტრუსკები. ცნობილია, რომ ავგუსტიუსის დროის ისტორიკოსი დ ი ო ნ ი ს ი ო ს ჰ ა ლ ი კ ა რ ნ ა ს ე ლ ი იტალიის აბორიგენად პელასგებს თვლიდა (I, 23). მისი სიტყვით, მათი ნაწილი გრიგალს გაუტაცნია მდინარე პადუსის ერთი შესართავისაკენ, რომელსაც სპინეტი რქმევია. აქ მათ დაუარსებიათ ქალაქი სპინა, დაუფლებიან ზღვას და საზღვაო ვაჭრობის შემოსავლის მეათედს, თითქოს დელფოში გზავნიდნენ. გამორკვეულია, რომ დიონისიოს ჰალიკარნასელის წყარო ამ მხრივ ძვ. წ. V საუკუნის ლოგოგრაფოსი ჰ ე ლ ა ნ ი კ ე ლ ე ს ბ ო ს ე ლ ი ყოფილა. იგი გვარწმუნებს, რომ ტროას ომამდე რვა თაობის წინათ ელინების მიერ გაძევებული პელასგები გადასულან სპინაში, ხოლო შემდეგ დაუარსებიათ ტირენია. ჰელანიკე ლესბოსელი პელაზგებს აიგივებს ტირენელებთან — ეტრუსკებთან, რომელთაც ერთ დროს იტალიაში ძლიერი სახელმწიფო შექმნეს და მათთან შეთახმებით ფინიკიელების ბრძოლა ბერძნების წინააღმდეგ ერთ-ერთ საყურადღებო მომენტს წარმოადგენს [3].

ტრადიცია გვარწმუნებს, რომ უძველესი ბერძნული ახალშენი იტალიაში იყო მის დასავლეთ სანაპიროზე კუნძულ ევბეას ქალაქების — ქალკიდისა და ერეტრიის მონაწილეობით დაარსებული კიმე. ზოგიერთი მონაცემი გვაფიქრებინებს, რომ კიმე იტალიისა და სიცილიის სხვა ბერძნულ ახალშენებთან ერთდროულად იქნა დაარსებული. კიმე თავიდანვე ბერძნული კულტურის გავრცელების მნიშვნელოვანი პუნქტი გამხდარა. თავის მხრივ მას რამდენიმე ახალშენი დაუარსებია, მათ შორის ნეაპოლისი („ახალი ქალაქი“).

სპარტის ახალშენი ტ ა რ ე ნ ტ ი, რომელიც ამავე სახელწოდე-

ბის ყურის ნაპირას მდებარეობდა, გადმოცემით სპარტიდან ლტოლვილ პართენიებს, მოსახლეობის უუფლებო, მიწის ნაკვეთებს მოკლებულსა და „უკანონოდ შობილთა“ * ნაწილს დაუარსებია: გაბატონებული წრეების წინააღმდეგ აჯანყებაში დამარცხებულნი, ისინი იძულებული ყოფილან იტალიაში გადასახლებულიყვნენ. ტარენტს სამხრეთ იტალიაში საუკეთესო ნავსადგური და მის გარშემო მდებარე ნაყოფიერი ტერიტორია ეკუთვნოდა.

აქეელთა უძველეს ახალშენებს სამხრეთ იტალიაში წარმოადგენდნენ სიბარისი და კროტონი, რომლებიც ფრიად მოსავლიან მხარეში მდებარეობდნენ. თავიანთი სამფლობელო დროთა მსვლელობაში მათ ტირენიის ზღვამდე გაუვრცელებიათ. სიბარისის მცხოვრებლებს, ტარენტელების მხრივ შევიწროების თავიდან ასაცილებლად, ახალშენი მეტაპონტიონი დაუარსებიათ, რომლის მოსახლეობა პელოპონესიდან ახლად გადმოსახლებულ აქეელებს შეუვსიათ; ხოლო შემდეგ მის სამხრეთით მდებარე სირისიც თავის გავლენისათვის დაუქვემდებარებიათ და ტარენტის ყურეს მთელ სანაპიროზე თავისი ბატონობა განუმტკიცებიათ. მათვე დაუფუძნებიათ ტირენიის ზღვის სანაპიროზე ახალშენი პოსიდონია (პესტუმი). ყურადღების ღირსია ის, რომ სიბარისსა და კროტონს მათდამი დაქვემდებარებულ აქეელთა ახალშენებთან ერთად თავისებური კონფედერაცია შეუქმნიათ. მას ერთგვარად პოლიტიკური როლი მინიჭებია. მის სარწმუნოებრივ ცენტრს წარმოადგენდა ჰერას საკურთხეველი კროტონის მახლობლად.

გადმოცემის თანახმად, 735 წელს ქალკიდამ და ნაქსოსმა სიცილიაში დააარსეს პირველი ბერძნული ახალშენი ნაქსოსი. თავის მხრივ ნაქსოსს ორი ახალშენი გამოუყვია — კატანა და ლეონტინი. 734 წელს კი კორინთელებს, რომლებიც კუნძულ ორტიგიადან სიცილიაში გადასულან და.დაუარსებიათ სახელგანთქმული ახალშენი სირაკუზი, რომელიც მალე საბერძნეთის დასავლეთით მდებარე ბერძნულ ქალაქთა შორის განსაკუთრებით ცნობილი გახდა.

VII საუკუნის დამდეგს კიმელმა პირატებმა ვიწრო სრუტის ნაპირას, რომელიც სიცილიას იტალიისაგან გამოჰყოფს, დააარსეს ახალშენი ზანკლე (მესენა), რომელმაც თავის მხრივ იტალიის მოპირდაპირე ნაპირას საფუძველი ჩაუყარა ახალშენს რეგიუმს, სადაც მრავლად გადასახლებულან სპარტის მიერ მესენიის დაპყრობის შემდეგ მესენიელები.

---

* პერიეკებთან სპარტიატების „უკანონო“ კავშირის შთამომავლობა.

სიცილიაში დაარსებულ სხვა ბერძნულ ახალშენთა შორის დავასახელებთ კიდევ ზოგიერთს: ჰიმერას, ტავრომენიონს და სელინტუტს, რომელთაც ერთგვარი როლი ითამაშეს იქაური ბერძნების ისტორიაში.

აღსანიშნავია, რომ მცირე აზიის ბერძნული ქალაქებიდან სიცილიის კოლონიზაციაში მონაწილეობა მიუღია მხოლოდ კუნძულ როდოსის ქალაქ ლინდოსს, რომელსაც სიცილიის სამხრეთ ნაპირს VII საუკუნის დამდეგს კრეტელებთან ერთად დაუარსებია ახალშენი გელა. მისგან დასავლეთით უფრო გვიან წარმომდგარა ახალშენი აგრიგენტი (აკრაგანტი).

VII საუკუნის ბოლოს მცირეაზიური ბერძნული ქალაქის ფოკეას კოლონისტები უფრო შორეულ დასავლეთს აღწევენ. ამას წინ უსწრებდა სამოსელი კოლაოსის საყურადღებო მოგზაურობა: პირქარმა იგი ტარტესოსის ანუ ტარშირის მდიდარ მხარეში[1] მიიყვანა, საიდანაც ის სავაჭრო ურთიერთობის შედეგად საზღაპრო მოგებით დაბრუნდა. როცა ეს ამბავი ფოკეელმა მეზღვაურებმა შეიტყვეს, მათაც მოისურვეს ტარტესოსში გამგზავრება. მათი პირველი ექსპედიცია ისეთი წარმატებით დამთავრდა, რომ მათ მეორე უფრო დიდი ექსპედიციის მოწყობა მოინდომეს. ამის შედეგად ფოკეელმა კოლონისტებმა VI საუკუნის პირველ წლებში ლიგურიაში (სამხრეთ საფრანგეთში) მდინარე როდანის (რონის) შესართავის მახლობლად ახალშენი მასალია (ახლ. მარსელი) დააარსეს. ეს ახალშენი რონის ფრიად ნაყოფიერ ბარს ფლობდა: მისი გავლენა იბერიის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროსა და ლიგურიაზე ვრცელდებოდა და საერთოდ ის ხმელთაშუა ზღვის დასავლეთში თავის დროზე ერთ მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრთაგანს წარმოადგენდა. ფოკეელების შემდგომ წინსვლაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა კუნძულებს კორსიკასა და სარდინიას, სადაც იმ დროს ერთიმეორეს ეჯახებოდა სამი ხალხის — ეტრუსკების, კართაგელებისა და ბერძნების ინტერესები. მასალიოტებისათვის მათ სადგურების მნიშვნელობა ჰქონდათ და ამიტომ ისინი აქ თავიანთი ახალშენების დამკვიდრებას ცდილობდნენ. ბოლოს მათ მართლაც მოახერხეს კორსიკაზე ახალშენ ალალიას დაარსება. მაგრამ ამასობაში მდგომარეობა თვით მეტროპოლიაში რადიკალურად შეიცვალა: ფოკეა, სპარსეთის მეფის მეომრების შემოსევის გამო, საშინელ კატასტროფას განიცდის. შეძრწუნებული მოსახლეობის უმრავლესობა მსწრაფლ გადადის ხომალდებზე და თავშესაფარს ნაწილობრივ იტალიაში, ნაწილობრივ კორსიკაზე ეძებს. ლტოლვილი ფოკეელების დიდი ნაწილი ახალშენ ალალიაში იყრის თავს. მათ წინააღმდეგ შეთანხმებულად ილაშქრებენ

ეტრუსკები და კართაგელები და 535 წელს მთლიანად ანადგურებენ ალალიასთან ფოკეელების ფლოტს. ფოკეელები კი იძულებული იყვნენ საბოლოოდ დაეტოვებინათ კორსიკა და იტალიის დასავლეთ ნაპირას ახალშენი ე ლ ე ა დაეარსებინათ. იტალიასა და სიცილიაში დაფუძნებული ბერძნული პოლისები, მათი მნიშვნელობის მიხედვით, „დიდი საბერძნეთის" სახელით გახდნენ ცნობილი.

და, მართლაც, ისინი შედარებით მაღალი კულტურის გავრცელების კერებს წარმოადგენდნენ. ამ პოლისების გარშემო მდებარე სოფლური ტერიტორია მათ ბაღებად გადააქციეს. ისინი ავრცელებდნენ კულტურის ინტენსიურ დარგებს, მისდევდნენ მებოსტნეობას, აშენებდნენ ვენახებსა და ზეთისხილს. იქ, სადაც ბერძნები და მათი მონები მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ, ადგილობრივი მიწათმოქმედნი მათ ძლიერ გავლენას განიცდიდნენ და მიწის დამუშავების ტექნიკას იუმჯობესებდნენ. სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში დაარსებულ მათ ახალშენებში ყურძნის კულტურა განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. მაგრამ ადგილობრივ მიწათმოქმედებას არა მარტო დიდი საბერძნეთის პოლისები უნდა მოემარაგებინა, არამედ საექსპორტო პროდუქტებიც უნდა დაემზადებინა. ბერძენთა ახალშენების ვაჭრობა უშუალოდ სოფლის მეურნეობასთან იყო დაკავშირებული და უმთავრესად მას ემყარებოდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები გაჰქონდათ არა მხოლოდ მეტროპოლიებში, არამედ აღმოსავლეთში, ცენტრალურ იტალიაში, ბერძენთა სხვადასხვა ახალშენში და კართაგოში. მათ ნაცვლად შემოჰქონდათ ხელოსნური ნახელავები, განსაკუთრებით აღმოსავლური და ბერძნული მხატვრული წარმოების საგნები: ვაზები, ბრინჯაოს, ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობანი, ძვირფასეული, ყელსაკიდები და ა. შ.

ბერძენთა ახალშენების მიერ ლითონის დამუშავების მაღალი ტექნიკა, ცხადია, თავის გავლენას მოახდენდა დაქვემდებარებული და მეზობელი ტომების ხელოსნობის შემდგომ განვითარებაზე. მაგრამ იტალია-სიცილიის ტომთა არა მარტო სამეურნეო ცხოვრებაზე იქონიეს ბერძნულმა ახალშენებმა უდავო გავლენა, არამედ მათ სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე, ხუროთმოძღვრებაზე, საერთოდ ხელოვნებაზე, ლიტერატურაზე, სარწმუნოებასა და მითოლოგიაზე. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ თვითონ ბერძნებიც ზოგ რამეს მათგანაც გადმოიღებდნენ.

ხმელთაშუა ზღვის ს ა მ ხ რ ე თ-ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს ა ნ ა პ ი რ ო ზ ე ბერძნული კოლონიზაციის ფართო გაშლისათვის ხელი შეუშლიათ ასურელებს. მართალია, VII საუკუნის დამდეგს ლიკიაში დაარსებულ იქნა ახალშენი ფ ა ს ე ლ ი დ ა, მაგრამ ბერძნების ცდას

კილიკიის ნაპირზე დამკვიდრებისათვის წინააღმდეგობა გაუწევია და ხელი შეუშლია ასურეთის მეფე სინაჰერიბს (705—681). ამასთან აღსანიშნავია, რომ თავის საკოლონიზაციო მოძრაობაში ბერძნებს ასურეთის სახელმწიფოს საზღვრებამდე მიუღწევიათ. ძვ. წ. 709 წელს ასურეთის მეფეს სარგონ II (722—705) კვიპროსის ბერძნული ქალაქებისაგან ბაბილონში ძვირფასი ძღვენი მიუღია. მაშასადამე, სარგონი ძველი აღმოსავლეთის პირველი მეფე იყო, რომელთანაც ურთიერთობა ჰქონიათ ბერძნებს[5]. ამას გარდა, ნათქვამი იყო, რომ მის შვილს სინაჰერიბს იონელები კილიკიის სანაპიროებიდან გაუძევებია, როგორც ამას ბაბილონიის ძველი ისტორიკოსის ბეროსეს მიერ შემონახული ცნობა გვიდასტურებს.

ძვ. წ. VII საუკუნის ნახევრიდან ბერძნები ეგვიპტეშიც გვევლინებიან, თავდაპირველად მოქირავნეთა სახით.

ცნობილია, რომ მცირე აზიაზე შემოსევის დროს კიმერიელებმა წალეკეს და ბოლო მოუღეს ფრიგიის სამეფოს და დიდ განსაცდელში ჩააგდეს ლიდია. ლიდიის მეფე გიგესი შეეცადა ასურელების დახმარებით თავიდან აეცდინა კიმერიელების წამლეკავი ტალღა და, როცა საწადელს მიაღწია, ეგვიპტეს შეუკავშირდა ასურელების ბატონობისაგან თავის გასათავისუფლებლად. ამ ბრძოლის დროს გიგესი ეგვიპტის ფარაონს პსამეტიკ I დასახმარებლად უგზავნიდა იონელ და კარიელ მეომრებს. ეგვიპტე, სარგებლობს რა ხელსაყრელი პირობებით, ითავისუფლებს თავს ასურელებისაგან. ამრიგად, ეგვიპტეში გაბატონდა XXVI საისის დინასტია (686—525), რომლის წარმომადგენლები ჰელინოფილებად ითვლებიან. ამ დინასტიის დროს ეგვიპტესა და ბერძნულ სამყაროს შორის მჭიდრო ურთიერთობა მყარდება. დიდი დახმარებისათვის ბერძენი მეომრები პსამეტიკ I უხვად დაუსაჩუქრებია და დელტაში დაუსახლებია, საიდანაც შემდგომ დროს ისინი მემფისში გადაუყვანიათ (Ἑλληνομεμαῖται). ეგვიპტეში აბუ-სიმბელის მახლობლად აღმოჩენილ ბერძნულ წარწერაში ერთი ექსპედიციის შესახებ ეგვიპტელებთან ერთად ბერძენი მოქირავნეებიც იხსენებიან. პსამეტიკ I უმთავრესად ბერძენ მოქირავნეებსა და ვაჭრებს ემყარებოდა. ბერძნულ სავაჭრო ახალშენისათვის ნავკრატისში მას განსაკუთრებული შეღავათი და პრივილეგიები მიუნიჭებია. ჯერ კიდევ ძვ. წ. VIII საუკუნეში მილეტელ ვაჭრებს დელტის დასავლეთ ნაწილში გამაგრებული სავაჭრო ფაქტორია დაუარსებიათ. ეს იყო ეგრეთ წოდებული „მილეტელების კედელი-სიმაგრე". შემდგომ ამისა ნილოსის კანობის ტოტთან, დღევანდელ ნებირეჰთან, მათ დაუარსებიათ ცნობილი ახალშენი ნავკრატისი[6], რომელიც საუსებით განვითარებული ქალა-

ქი — სახელმწიფო — პოლისი გამხდარა. ის ბერძნები, რომელთაც სურდათ ეგვიპტეში არა მოქალაქის უფლებების მოპოვება, არამედ დროებით დარჩენა სავაჭრო მიზნით, ქალაქის გარეთ აარსებდნენ თავის ემპორიებს. დიდ სავაჭრო ცენტრებს — მილეტს, სამოსს და ეგინას ეგვიპტეში ჰქონდათ საკუთარი ემპორიები შესატყვისი მფარველი საკურთხევლებით (ზევსის, ჰერას, აპოლონის); დანარჩენთ კი, რომელთაც იონური, ეოლიური და დორიული ქალაქების წარმომადგენლები ეკუთვნოდნენ, საერთო ემპორია შეუქმნიათ ზოგადელინური საკურთხევლით „ჰელენიონით“, სადაც „ჰელენთა ღმერთებს“ სცემდნენ თაყვანს. გათხრებმა დელტის აღმოსავლეთ ნაწილში იონელების მსხვილი მოსახლეობის ნაშთები აღმოაჩინეს; გათხრილ იქნა აგრეთვე ნავკრატისის ნაშთები, რომელზეც ჰეროდოტემ საყურადღებო ცნობები შემოგვინახა. ნაშთებს შორის მრავლად იქნა აღმოჩენილი ბერძნული სტილის ხელოვნებისა და საყოფაცხოვრებო საგნები. საგულისხმებელია, რომ ეს საგნები ეგვიპტეში ბერძენმა ვაჭრებმა შემოიტანეს, ხოლო ნაწილობრივად ადგილობრივმა ბერძენმა ხელოსნებმა შეამზადეს. საერთოდ, საისის დინასტიის ფარაონები მდიდარი და გავლენიანი ქურუმების წინააღმდეგ ბრძოლაში და ეგვიპტის საგარეო განსაცდელისაგან დაცვის საქმეში ფართოდ ემყარებოდნენ ბერძენ მოქირავნეებს და ვაჭრებს. მათი ელინოფილური პოლიტიკა ზოგჯერ ისე შორს მიდიოდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებასა და ამბოხებას იწვევდა. ბერძნები ეგვიპტეში აწყობდნენ სამხედრო ბანაკებს. სავაჭრო ფაქტორიებსა და ასალშენებს. ქალაქებსა და ტაძრებს. ასეთ დაახლოებას არ შეეძლო არ გამოეწვია ურთიერთზე კულტურული ზეგავლენის გაძლიერება. ბერძენ ვაჭრებს, კოლონისტებს და მეომრებს, რომლებიც ეგვიპტეში დამკვიდრდნენ, არ შეეძლოთ ეგვიპტელების კულტურის ზეგავლენა არ განეცადათ. რა თქმა უნდა, თავის მხრივ მათაც გავლენა უნდა მოეხდინათ ეგვიპტელებზე. ამ მხრივ ბერძენი კოლონისტები ეგვიპტეში ერთგვარ შემაერთებელ რგოლს ჰქმნიდნენ ძველი ეგვიპტის ცივილიზაციასა და ანტიკური სამყაროს კულტურას შორის. ეგვიპტეს იცნობდა ჯერ კიდევ ჰომეროსის ეპოსი. „ოდისეაში“ გადმოცემულია მოთხრობა ოდისევსისა, რომელიც კრეტელ ვაჭრად აცხადებდა თავს რათა მამაც თანამგზავრებთან ერთად ემოგზაურა მდიდარ ეგვიპტეში ნადავლისა და მონების მოსაპოვებლად. „ილიადაში“ ეგვიპტის თებეს შესახებ ნათქვამია, რომ ამ მდიდარ ქალაქს ასი ჭიშკარი ჰქონდა ისეთი ფართო, რომ ყოველ მათგანში ოც კაცს ცხენებით და საომარი ეტლებით ერთიმეორეს გვერდით შეეძლო შევლაო. საერთოდ ბერძნებს აოცებდათ ძველი ეგვიპტის ქურუმთა

ნიბრძნე და მისი დიდებული ტაძრების სიმდიდრე და საიდუმლოებანი. ბერძენი ფილოსოფოსები და პოლიტიკური მოღვაწენი თალესი, ანაქსიმანდრე, პითაგორე და სოლონი მოგზაურობდნენ ეგვიპტეში, რომ შეეთვისებინათ ეგვიპტელი ხალხის ცოდნა და სიბრძნე. ძველი ბერძნები ეგვიპტელებს ბევრ რამეში თავიანთ მასწავლებლად თვლიდნენ. ბერძენი ისტორიკოსები და უწინარეს ყოვლისა, ჰეროდოტე, რომელმაც თავისი ვრცელი ნაშრომის მეორე წიგნი ძველ ეგვიპტეს მიუძღვნა, დიდ ყურადღებას აქცევდნენ ბერძენი ვაჭრებისა და მეომრების ეგვიპტეში დამკვიდრებას და იმ მჭიდრო კულტურულ კავშირს, რომლებიც იმ დროს ბერძნებსა და ეგვიპტელებს შორის განმტკიცდა. ეჭვი არ არის, ამ ფაქტებს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საერთოდ ბერძნებისათვის და კერძოდ მათი კოლონიზაციისა და ვაჭრობის განვითარებისათვის VII—VI საუკუნეებში.

აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე დორიული თერას მიერ VII საუკუნეში დაარსებულ იქნა ახალშენი — კ ი რ ე ნ ე[7]. გადმოცემის თანახმად, კუნძულ თერაზე სოციალური ბრძოლის გამწვავების დროს კოლონისტებს, რომელთაც ბატოსის სახელით ცნობილი პირი მეთაურობდა, სანაპირო კუნძული პლატეა (Πλάτεα) დაუკავებიათ, შემდეგ ხმელეთზე გადასულან და 631 წელს კირენე დაუარსებიათ. ამ ახალშენის ეკონომიკის საფუძველს მიწის მეურნეობა და მესაქონლეობა შეადგენდა. მის განსაკუთრებულ საექსპორტო საგანს წარმოადგენდა სილფიონი (აფრიკული მცენარე, რომლის წვენს წამლად და საკმაზავად ხმარობდნენ). კირენეს საშუალებით გაცნობიან ბერძნები სივას ოაზისის ამონის მისანს.

ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაწილის კოლონიზაციასთან თითქმის ერთდროულად იწყება ბერძნების დასახლება თ რ ა კ ი ი ს ს ა ნ ა პ ი რ ო ზ ე და ჰ ე ლ ე ს პ ო ნ ტ ი ს (დარდანელის) ნ ა პ ი რ ე ბ ზ ე. კოლონიზაციის მესვეურები ამ მიმართულებითაც ქალკიდელები იყვნენ. მათ ახალშენები გადაიყვანეს ნახევარკუნძულ ქალკიდიკაზე, რომელსაც ასეთი სახელი ევბეას ქალაქ ქალკიდის მიხედვით უწოდეს. გადმოცემის თანახმად, ამ ქალაქმა 32 ახალშენი დააარსა. ევბეის ქალაქებს გარდა კოლონიზაციაში მონაწილეობა მიუღია კორინთოსაც, რომელთა ახალშენს პ ო ტ ი დ ე ა ს შემდგომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებია. ძვ. წ. V საუკუნიდან ქალკიდიკის ქალაქთა შორის მნიშვნელოვანი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი გახდა ო ლ ი ნ თ ი.

VII საუკუნის დამდეგს კუნძულ პაროსის მცხოვრებლები ოქროთი მდიდარ კუნძულ თასოსზე გადასახლებულან. მაგრამ, როგორც ჩანს, თავდაპირველად იქ მიწათმოქმედნი დამკვიდრებულან, რო-

მელთათვისაც მიწის დამუშავება ნიადაგის უნაყოფობის გამო მძიმე გამხდარა. ამიტომ შემდგომში პაროსელები თასოსიდან თრაკიის მახლობელ სანაპიროზე გადასულან და იქ რამდენიმე მცირე დასახლება დაუარსებიათ. თრაკიის სანაპიროზევე, ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ ნაპირზე კლაზომენის მცხოვრებლებს დაუფუძნებიათ ახალშენი ა ბ დ ე რ ი. ეს ახალშენი ერთ დროს თრაკიელებს გაუნადგურებიათ.

ძვ. წ. VII საუკუნეში ბერძნებს დაუარსებიათ პროპონტიდაზე ახალშენი კ ი ზ ი კ ო ს ი, ჰელესპონტის სამხრეთ სანაპიროზე ცნობილი ა ბ ი დ ო ს ი და ამავე საუკუნეში ბოსფორის აზიურ სანაპიროზე—კ ა ლ ქ ე დ ო ნ ი ან ქ ა ლ კ ე დ ო ნ ი. დაახლ. ძვ. წ. 660 წელს იმავე ბოსფორის ევროპულ მხარეზე მდებარე ნახევარკუნძულზე, მეგარიდან გადმოსახლებულთ დაუარსებიათ ბ ი ზ ა ნ ტ ი ო ნ ი.

თრაკიაში მრავლად აღმოჩენილი ბერძნული საგნები გვიმოწმებენ, რომ სანაპიროების ბერძნების კავშირი ადგილობრივ ტომებთან დიდად ინტენსიური იყო. ბერძნებს შეჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის ხელოსნური ცენტრების ნაკეთობანი და გამოჰქონდათ პური, ხე-ტყე, თევზი და ძვირფასი ლითონები, რითაც მდიდარი იყო თრაკია.

შავი ზღვისა და მისი სანაპიროების შესახებ თავისებური ცნობები ჯერ კიდევ ძველმა ბერძნულმა მითებმა შემოგვინახა.

ამ ძველი ბერძნული მითების მიხედვით შავი ზღვის სანაპიროებზე ბინადრობდნენ ფანტასტიკური არსებანი — არიმასპები, ჰიპერბორეები, გრიფონები და მებრძოლი ამორძალები.

ასეთ მითოლოგიურ ცნობებზე დამყარებით, შეგვიძლია გავითვალისწინოთ ის წარმოდგენები, რომლებიც ძველ ბერძნებს შავი ზღვის შესახებ შეუქმნიათ. მაგრამ მათ მიხედვით რისამე გარკვეულად თქმა მისი სანაპიროების მცხოვრებლებზე ფრიად ძნელი საქმეა. ხოლო თუ მითებისა და მათთან დაკავშირებული ძველი ლიტერატურული ტრადიციიდან იმ ანტიკურ მწერლებზე გადავალთ, რომლებიც პონტოს აღწერილობაში პრაქტიკული და ისტორიული ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, ცხადია, სურათიც და შედეგებიც სულ სხვა იქნება, თუმცა მათი ცნობები ძირითადად ისეთ დროს შეეხება, როცა შავი ზღვის სანაპიროზე ბერძენთა ახალშენები უკვე არსებობდნენ. არსებობს გეოგრაფოს სტრაბონის ცნობა (VII, 3, 6), რომლის მიხედვით ბერძნები შავ ზღვას თავდაპირველად „არასტუმართმოყვარეს“ (ἄξεινος) უწოდებდნენ, ხოლო შემდგომ, რაც იონელებმა აქ თავისი მუდმივი ახალშენები დააარსეს მას „სტუმართმოყვარე“ (εὔξεινος) დაარქვესო. ცნობილია, რომ ბერძნები ტერ-

მინით „პონტოს“ (πόντος) შავ ზღვას აღნიშნავდნენ და მხოლოდ შემდგომ დროში მას „თალატას“ (θάλαττα) მონათესავე მნიშვნელობა მიანიჭეს. ბერძნებისათვის პირველ ხანებში შავ ზღვაზე მოგზაურობა, როგორც ჩანს, მრავალ საფრთხესთან ყოფილა დაკავშირებული, ეგეოსის ზღვასთან შედარებით, რომელიც მდიდარი იყო კუნძულებით და კარგი ნავსადგურებით, შავი ზღვა მისი სტიქიით მათ მკაცრად და საშიშრად ეჩვენებოდათ. ამას გარდა გავრცელებული ყოფილა ხმები, რომ შავიზღვისპირეთის ზოგიერთი ტომი ზღვაზე მოტაცებულ უცხოელებს მსხვერპლად სწირავს თავიანთ ღმერთებს და მათ ხორცსაც კი ჭამსო. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ თავდაპირველად ბერძნები ერიდებოდნენ შავ ზღვაზე მოგზაურობას. მაგრამ ცალკეული გაბედული მეზღვაურები ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში ახერხებდნენ ეგეოსის აუზიდან შავ ზღვაში გადასვლას და ზოგჯერ მის სანაპიროებთან სავაჭრო თუ მეკობრულ ურთიერთობას.

პონტოს ზღვის სამხრეთ ნაპირას მილეტელების მიერ დაარსებულ ახალშენთა შორის უძველესი იყო ს ი ნ ო პ ი. ანტიკური ტრადიციის თანახმად ის დაარსებულ იქნა ძვ. წ. VIII საუკუნის ორმოცდაათიან წლებში პაფლაგონიაში. პაფლაგონელებს პირველად იხსენებს ჰომეროსის პოემა „ილიადა“ (II, II — 855). ისინი დასახელებული არიან პრიამოსის მოკავშირეთა შორის და ტროასთან მიდიან თავიანთი წინამძღოლის პილამენოსის მეთაურობით. ისტორიკოს ჰეროდოტეს გადმოცემით (III, 90; VII, 72) პაფლაგონელების მხარე დაუპყრია ლიდიის მეფე კრეზს, ხოლო სპარსეთის ხანაში დარიოსის მიერ გატარებული საბელმწიფოს ადმინისტრაციული დანაწილების შემდეგ ის შეესულა III სატრაპიაში, ხოლო მეფე ქსერქსეს საბერძნეთზე გალაშქრებაში მათ რაზმსაც მიუღია მონაწილეობა.

ძველი სინოპი მდებარეობდა იაზუნ-ბურუნის ანუ იასუნის კონცხის ტაფ-ჭალოვან ყელზე. მისი ადგილმდებარეობა მოსახლეობის განვითარებისათვის ხელისშემწყობ ბუნებრივ პირობებს წარმოადგენდა: სინოპი შავი ზღვის მთელ სამხრეთ სანაპიროზე ერთადერთი კარგი ნავსადგური იყო; მეორე მხრივ, ის ნოყიერი მიწებით იყო გარემოცული და ბუნების მიერ მტრების თავდასხმისაგან საკმაოდ დაცული. აქედანვე მიემართებოდა ძველი გზა მხარის შიგნით და სარდსა და ბაბილონში. სინოპისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მდინარეების ირისისა და თერმოდონტის შესართავთა აღმოსავლეთით მდებარე რაიონს. მთელ ანტიკურ სამყაროში ფართოდ იყო ცნობილი ამ რაიონის წიაღისეული სიმდიდრე. აქ პოულობდნენ

ვერცხლს, სპილენძს, ტყვიას და უმთავრესად რკინას. ამ ლითონების ამოღებასა და დამუშავებას ანტიკური ტრადიცია უმთავრესად ქართველ ტომს — ხალიბებს უკავშირებს და მათ თითქმის „რკინის გამოგონებას“ მიაწერს. ძველი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტი ხალიბებს ორ ნაწილად ყოფს: „მთის ხალიბებად“ და ზღვისპირა ხალიბებად. პირველნი, მისი გადმოცემით, მთის გამაგრებულ ადგილებში ცხოვრობდნენ და მებრძოლ ტომს წარმოადგენდნენ. მეორენი კი უმთავრესად რკინის მადნის ამოღებითა და დამუშავებით ირჩენენ თავსო (Xenoph, Anab XV, 51). ძველადვე ფიქრობდნენ, რომ ხალიბური რკინა იმიტომ გამოირჩეოდა, რომ რკინის დამუშავება მათ როგორღაც სხვანაირად იცოდნენო[8].

ძვ. წ. 757—756 წელს სინოპის პირვანდელ მცხოვრებლებს აღმოსავლეთ განაპირას დაუარსებიათ ახალშენი ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ი, რომელიც იმავე ადგილას მდებარეობდა, სადაც დგას თანამედროვე ტრაპეზუნტი. ყველა ანტიკური ავტორი ერთხმად აღიარებს, რომ ტრაპეზუნტი სინოპის ახალშენი იყო. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ჩვ. წ. II საუკუნის მწერალი-მოგზაური (პერიეგეტი) პავსანიასი (VIII, 27, 4—6), რომლის ცნობები ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება.

ტრაპეზუნტი საკმაოდ მისაწვდომი გზებით იყო დაკავშირებული ამიერკავკასიასა და წინა აზიასთან, ხოლო მისი მისადგომები შედარებით კარგი სადგომი იყო ხომალდებისათვის.

მაგრამ VIII საუკუნის მეორე ნახევარში მცირე და წინა აზიაში ხდება ისეთი მოვლენები, რომელთაც საგრძნობლად შეცვალეს ამ მხარის მდგომარეობა.

როგორც საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ჩრდილოეთიდან შემოიჭრნენ სკვითები და კიმერიელები. უკანასკნელთ VIII საუკუნის დასასრულის ასურული ტექსტები „გიმმირას“ სახელით იხსენიებს. თავისი მოძრაობის გზაზე მათ დიდი განადგურების კვალი გაუვლიათ. შესაძლოა ამ წამლეკავ ტალღასთან იყოს დაკავშირებული ლეგენდები მეომარ ამორძალების შესახებ, რომელთაც, თითქოს, მდინარე თერმოდონტის შესართავის მახლობლად დააარსეს თავიანთი ქალაქი თემისკირა. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, როგორც ეს აღნიშნული აქვს განსვენებულ აკადემიკოსს ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს (ქართველი ერის ისტორია, წ. 1, 1951, გვ. 24, 408), რომ მათმა შემოსევამ ძველ ქართველ ტომებსაც საშინელი ზარალი მიაყენა და შესამჩნევად შეამცირა. ამ ტომების უმეტესი ნაწილი, ალბათ, ან შემოსულებში გაითქვიფა ანდა იძულებით ჩრდილოეთისაკენ გაიწია და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე დასახლდა.

ნ. ლ ო მ ო უ რ ი იმოწმებს გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ გამოთქმულ აზრს, რომ სკვითებისა და კიმერიელების დარტყმები იმ დროს არსებულმა დიდმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ — კულხას (კოლხას) სამეფომაც განიცადა. მისი მოსახლეობის ნაწილი გაწყდა, ნაწილიც გაძევებულ იქნა მეზობელ მხარეებში". იგი თავის მხრივ ამ ამბავს დამარწმუნებლად განგვიმარტავს:

„სკვითებისა და კიმერიელების შემოსევამ, როგორც ჩანს, — წერს იგი, — მართლაც გაანადგურა კულხას გაერთიანების ცენტრალური რაიონები — ჭოროხის აუზის მხარე და გამოიწვია დასავლეთ ქართულ ტომთა პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრების უცხო, ჩრდილოეთით რაიონის აუზში გადანაცვლება. ამის უტყუარი მოწმობაა ის ფაქტი, რომ შემდგომ ხანებში კოლხეთის სამეფოს სახელით ცნობილია სწორედ აწინდელი დასავლეთ საქართველო და ამ სამეფოს ცენტრს რიონის აუზი წარმოადგენს" („კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია", გვ. 33).

საფიქრებელია, რომ მხოლოდ თავდამსხმელთა შემუსვრის შემდეგ შეძლო მილეტმა აქ თავისი ახალშენების აღდგენა. თუ ანტიკურ ტრადიციას დავუჯერებთ, სინოპის აღდგენა VII საუკუნის უკანასკნელ მესამედში უნდა მომხდარიყო. შემდეგ სინოპმა დააარსა კიდევ ქალაქები კ ე რ ა ს უ ნ ტ ი და კ ო ტ ი ო რ ა. არსებობს საფუძველი, ვიფიქროთ, რომ პირველი აწინდელი გირესუნის, ხოლო მეორე ორდუს ადგილას იქნენ დაარსებული. ეს ორივე ქალაქი და ტრაპეზუნტი ქართველი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე მდებარეობდნენ და ძვ. წ. VI საუკუნეში, „როდესაც დასავლეთ საქართველოში ჩამოყალიბდა კოლხეთის (ეგრისის) სახელმწიფო", ეს ქალაქები „კოლხეთის სამეფოს ფარგლებს გარეთ აღმოჩნდნენ" (ნ. ლ ო მ ო უ რ ი, იქვე, გვ. 33—34).

ისტორიკოს ქსენოფონტის აღწერილობით რთული იყო სინოპელების ურთიერთობა ახალშენებთან. სინოპის ყველა ახალშენი მისგან განსაზღვრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა. ხოლო ახალშენი კოტიორა დაარსებულ იქნა რკინის, სპილენძისა და ვერცხლის მადნის ფართოდ დამუშავების მიზნით. ამოღებული ლითონის ნაწილის დამუშავება ადგილობრივად ხდებოდა, უმეტესი ნაწილი კი სინოპის სახელოსნოებში გადაჰქონდათ. სინოპური ფოლადი ძველად დიდად ფასობდა. სინოპს გაჰქონდა სახომალდე ხე-ტყე, თევზი და ზეითუნის ზეთი. ღვინითა და ზეითუნის ზეთით ვაჭრობა კი მოითხოვდა კერამიკული საცავწონის დიდ რაოდენობას და ამასთან დაკავშირებით სინოპში ფართოდ განვითარებულა სამეთუნეო ხელოსნობა. პაფლაგონიიდან სინოპელ ვაჭრებს გაჰყავდათ მონები და

საქონელი. სინოპში ვაჭრობის გაფართოებასთან იყო დაკავშირებული მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო ფლოტის შექმნა.

რთული ყოფილა სინოპის ურთიერთობა ადგილობრივ ქართველ ტომებთანაც. ასე, მაგ., ტიბარენებსა და კოლხების ნაწილს მჭიდრო ურთიერთობა დაუმყარებიათ სანაპიროს ბერძნებთან; მოსინოიკები ცდილან ბერძნების ქალაქებისაგან დამოუკიდებელი ყოფილიყვნენ, ხოლო დრალები მტრულ განწყობილებაში ყოფილან სანაპიროს ბერძნებთან და მუდამ მათ წინააღმდეგ იბრძოდნენ.

სინოპის გვედრით უნდა მოვიხსენიოთ ქალაქი ამისოსი, პონტოს მცირე აზიურ სანაპიროზე, აწინდელ კარა-სამსუნის პლატოზეის მდებარეობდა გზაზე სინოპსა და ტრაპეზუნტს შორის. ამ ადგილას VII საუკუნის დამლევს დამკვიდრებულან ფოკეელები, მაგრამ იქ თანდათანობით ისე მრავლად გადასახლებულან მილეტელები, რომ ზოგიერთი ძველი ისტორიკოსი ამისოს მილეტელების ახალშენად წარმოგვიდგენს.

პონტოს სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე დაარსებული ბერძნული ქალაქები იონურ შტოს მიეკუთვნებოდნენ. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს დორიული ახალშენი ჰერაკლეა წარმოადგენდა. ის დაარსებულ იქნა ნაყოფიერ მხარეში ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში შედარებით კარგი ნავსადგურის ნაპირას და მისი მოსახლეობის ძირითად ბირთვს მეგარიდან გადმოსახლებულები წარმოადგენდნენ. წინათ აქ ბინადრობდა მარიანდინების ტომი, რომელიც ძირითადად მიწის დამუშავებას მისდევდა. მას წინააღმდეგობა გაუწევია ბერძნებისათვის და ამიტომაც იონელებს მათ ტერიტორიაზე ახალშენის დაარსება ვერ მოუხერხებიათ. დორიულ მეგარიდან გადმოსახლებულ ბერძნებს კი იარაღით დაუმორჩილებიათ მარიანდინები, რომელთაც დამოუკიდებლობა დაუკარგავთ და თავიანთ მიწებზე მიმაგრებულნი ხარკს იხდიდნენ.

როგორც დავინახეთ, ბერძენთა ახალშენებს უდავო ურთიერთობა ჰქონიათ შავი ზღვის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებზე ბინადარ ქართველ ტომებთან. კოლხეთი და საერთოდ კავკასია ბერძნებს დიდი ხნიდან აინტერესებდათ და ამიტომ მათ შესახებ მრავალი თქმულებაც შეუქმნიათ.

ბერძენთა VIII—VI საუკუნეებში დიდი საკოლონიზაციო მოძრაობის განხილვისას მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას ბუნებრივად იპყრობს კოლხეთის სანაპიროების ბერძნული კოლონიზაციის რთული პრობლემა. ამ პრობლემის განხილვის გარშემო წარმოიქმნა საკმაოდ ვრცელი სპეციალური ლიტერატურა და ჩატარებულ იქნა მნიშვნელოვანი არქეოლოგიური გამოკვლევები, მაგრამ

დღემდე ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანია და სადავო. და ეს გასაგებია იმდენად, რამდენადაც გარკვევით იგრძნობა ის სირთულე, რომელსაც ჰქმნის არქეოლოგიურ გამოკვლევათა არასაკმარისობა, ეპიგრაფიული ძეგლების თითქმის არარსებობა და წერილობითი წყაროების იშვიათი სიმცირე.

უკანასკნელ დროს ამ პრობლემის გარშემო წარმოქმნილი მასალის გარჩევის მიზნით ნ. ლ ო მ ო უ რ მ ა გამოაქვეყნა საყურადღებო, მეცნიერულად გამართული და შემაჯამებელი ნარკვევი [10], რომელსაც სპეციალური რეცენზია მიუძღვნა ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ [11]. რეცენზენტი მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ლ ო მ ო უ რ ი ს ნარკვევს და თავის მხრივ საგულისხმო შენიშვნებს აყენებს. როგორც ნარკვევში, ისე რეცენზიაში მოცემულ მოსაზრებათა შესახებ საჭიროა ზოგიერთი შენიშვნის გამოთქმა.

1. მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი, თ უ ი ძ უ ლ ებ ი თ ი ხ ა ს ი ა თ ი ს ა ი ყ ო ბ ერ ძ ე ნ თ ა კ ო ლ ო ნ ი ზ ა ც ი ა ს ა ე რ თ ო დ დ ა კ ერ ძ ო დ კ ო ლ ხ ე თ ი ს მ ი მ ა რ თ?

ამ მხრივ ნარკვევის ავტორი მართალია, როცა ჩვენს ისტორიოგრაფიაში უკვე გამოთქმულ მოსაზრებას იზიარებს და აღნიშნავს: „არ იქნებოდა მართებული ბერძნული კოლონიზაციის პროცესი წარმოგვედგინა, როგორც სავსებით მშვიდობიანი ურთიერთობა იმ ტომებთან, რომელთა ტერიტორიაზე ბერძენი კოლონისტები მკვიდრდებოდნენ. უდავოა, რომ მოსულ ბერძნებსა და დამხვდურ ტომებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა“ (გვ. 55). რაც შეეხება კერძოდ დასავლეთ საქართველოს, იგი სრულებითაც არ გულისხმობს ბერძენთა და კოლხურ ტომთა ინტერესების სრულ დამთხვევას. „ამიტომ, — წერს იგი, — სავსებით მართალია შ. მ ე ს ხ ი ა, როდესაც აღნიშნავს, რომ ბერძნული კოლონიზაცია შავი ზღვის სანაპიროებზე სრულიადაც არ მიმდინარეობდა მშვიდობიან ვითარებაში; მას ძალმომრეობის ხასიათი ჰქონდა და ადგილობრივი მცხოვრებლების შევიწროების გზით მიმდინარეობდა, ბერძნები მიზნად ისახავდნენ ტერიტორიის დაპყრობასაც და ადგილობრივი მოსახლეობის დამონებასაც“ (გვ. 56).

ის დებულება, რომ ბერძნულ კოლონიზაციას ჩვეულებრივად ძალმომრეობის ხასიათი ჰქონდა, შეიძლება განვამტკიცოთ ძველი ბერძენი მწერლებისა და ისტორიკოსების ცნობებით. ასე, მაგ. ძვ. წ. VII საუკუნის ნახევრის ბერძენი პოეტი არქილოქე პაროსელი ასეთი სიტყვებით აგვიწერს მამამისის მიერ თასოსზე დაარსებულ კოლონიაში წარმოქმნილ მდგომარეობას: „თითქოს ჩვენს თასოსში მთელი ელადის მწუხარება შეყრილიყოს“ (Irag. 54). შემდეგ, რო-

ცა იგი თრაკიის სანაპიროზე დამკვიდრებულ ბერძნულ კოლონიაში გადასულა, სადაც თითქმის შეუწყვეტელი ომები ჰქონიათ კოლონისტებს ადგილობრივ მცხოვრებლებთან, არქილოქე ამ ომებში მონაწილეობას იღებდა და მის ცხოვრებაში ისეთი მომენტები ყოფილა, როცა მას შეეძლო ეთქვა: „მახვილ შუბთანაა შეზელილი ჩემი პური და შუბითვეა მოპოვებული ღვინო ისმაროსიდან, ვსვამ ღვინოს შუბლზე დაყრდნობით“ (Irag. 2)[12].

ამ მიმართულებით, განსაკუთრებით უნდა მოვიგონოთ ძველი საბერძნეთის სახელოვანი ისტორიკოსი თუკიდიდე, რომელმაც თავის „ისტორიის“ იმ ნაწილში, სადაც ძვ. წ. 415—413 წლებში სიცილიაში ათენელების საბედისწერო ლაშქრობაზეა ლაპარაკი, ძვირფასი გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და ისტორიული ცნობები გვიანდერძა ამ კუნძულის შესახებ. კერძოდ ის მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ და როდის გაჩნდნენ სიცილიის სანაპიროზე ჯერ ფინიკიური და შემდეგ ბერძნული კოლონიები. ამ საყურადღებო გადმოცემაში იგი გვაცნობს აგრეთვე იმ მწვავე ბრძოლას, რომელიც მიმდინარეობდა როგორც ბერძენ კოლონისტებსა და ადგილობრივ ტომებს, ისე თვით მათ შორის. ელინთაგან იგი პირველად ასახელებს ქალკიდელებს ევბეადან, რომელთაც ბრძოლით დააარსეს ნაქსოსი და აპოლონს — წინამძღოლს აუგეს საკურთხეველი (Thac, VI, 2—5).

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კოლონიების დაარსებას ჩვეულებრივად თან სდევდა ბრძოლა ადგილობრივ მოსახლეობასთან, დროთა მსვლელობაში მოსულთა და დამხვდურთა შორის მყარდებოდა განსაზღვრული ურთიერთობა და ურთიერთშერწყმა ბერძნული და ადგილობრივი კულტურებისა. ეს ურთიერთობა სხვადასხვა ადგილას განსხვავებულ კონკრეტულ ფორმას იღებდა[13].

2. ამიტომ პირველ რიგში საჭიროდ ვთვლით, ზოგადად გავარკვიოთ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნულ კოლონიზაციას როგორც საკუთრივ საბერძნეთის, ისე მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში. ბერძენთა ახალშენების ფართო გავრცელებას ხმელთაშუა და შავი ზღვის სანაპიროებზე უდიდესი გავლენა ჰქონდა ძველბერძნული საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. კოლონიზაციის პროცესში განვითარდა ისეთი მოვლენები, რომელთაც დაეჩქარეს საბერძნეთის ძირითად ტერიტორიაზე ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ზრდა და მეტროპოლიებში წინ წამოსწიეს დემოსის იმ ხელოსან-ვაჭართა ფენების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, რომლებიც ძველ გვაროვნულ არისტოკრატიას ებრძოდნენ. ამ ნიადაგზე მოხდა გვაროვნული წყობილების გადანაშთების საბოლოო

ლიკვიდაცია და წარმოების მონათმფლობელური სისტემის განვითარება და განმტკიცება. მეორე მხრივ კოლონიზაციურ მოძრაობას წარმოქმნილ პირობებთან დაკავშირებით არ შეიძლებოდა ზეგავლენა არ მოეხდინა ბერძნული კულტურის განვითარებაზეც. მცირეაზიური ბერძნული ქალაქები, რომელთაც მილეტი მეთაურობდა, უძველესი დროიდან ერთგვარად დაკავშირებული იყვნენ ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ცენტრებთან, რომელთა მიღწევები გამოიყენეს იონელმა მოაზროვნეებმა და იონიამ საგრძნობლად წინ გაუსწრო ხმელეთის საბერძნეთს. ახლაც VIII—VI საუკუნეებში კოლონიზაციის პროცესში, როცა მნიშვნელოვნად განვითარდა მეზღვაურობა, წამყვან როლში კვლავ მცირეაზიური ქალაქები ა�ევილინებიან. მათი ხომალდები ვრცლად სერავდნენ ხმელთაშუა და შავი ზღვის სივრცეებს, მცირეაზიელი ბერძნები თვითონაც მოგზაურობდნენ და ეცხობოდნენ უცნობ ქვეყნებსა და მოსახლეობას, მათ ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესებს, მიწა-წყალსა და ბუნებას და მნიშვნელოვნად აფართოებდნენ თავიანთი გათვითცნობიერების ჰორიზონტს. ასე შემზადდა ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდა იონური ნატურფილოსოფია და მეცნიერების ჩანასახი და თანდათანობით კანონზომიერად მოხდა გადასვლა ეპოსიდან ისტორიულ პროზაზე. სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ სიტყვას ἱστορία — თავდაპირველად განყენებული მნიშვნელობა ჰქონდა და საკუთარი დაკვირვებებისა და ცდების საფუძველზე მიღებულ „გამოკვლევას“ (das „Erkunden“ — ἱστορεῖν) აღნიშნავდა[14]. შემდეგ ამ სიტყვას კონკრეტული მნიშვნელობა მიენიჭა და გამოსახავდა „გამოკვლეულს“, „თხრობას“, „ისტორიას“. ლიტერატურული პროზა ჩაისახა იონიაში და იქვე ძვ. წ. VI საუკუნეში პირველად გაჩნდა პროზად დაწერილი თხზულებები. იმ ისტორიკოსებს, რომლებიც წინ უსწრებდნენ ჰეროდოტეს, ანდა ნაწილობრივ მისი თანამედროვენი იყვნენ, ლოგოგრაფოსებს უწოდებენ[15]. ბერძენი მიმომხილველების ეპოსიდან პროზაზე გადასვლა ძველ კოლხეთსაც შეეხო. მაგრამ, ლოგოგრაფოსთა ნაწერების ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია, ნაწილი კი მხოლოდ მცირე ფრაგმენტებითაა შემონახული.

ლოგოგრაფოსთა შორის გამოირჩეოდა ჰ ე კ ა ტ ე ო ს მ ი ლ ე ტ ე ლ ი (540—479), მხოლოდ ფრაგმენტების სახით შემონახული მისი ნაწერები — „ისტორია“, „გენეოლოგიები“ და „დედამიწის აღწერა“, როგორც მის შესახებ დაცული ცნობებიდან ჩანს, ევროპის, აზიისა და აფრიკის აღწერას წარმოადგენდნენ. და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ბერძნული კულტურისა და ვაჭრობის იმდროინდელ ერთ-ერთ ცენტრში მილეტში მას საშუალება ჰქონდა ერთი მხრივ ვაჭრებისა

და მეზღვაურების გამოკითხვის გზით ფართოდ შეეგროვებინა ცნობები სხვადასხვა უცნობ ქვეყანაზე და მათ შორის კოლხეთზედაც; მეორე მხრივ, თვითონ იგი ბევრს მოგზაურობდა და პირადად ეცნობოდა ზოგიერთ მათგანს: ერთი ძველი გეოგრაფოსი ჰეკატე მილეტელს „მრავალ მოგზაურობათა კაცს“ უწოდებდა.

ბერძნული საისტორიო პროზის განვითარების შემდგომი საფეხურია ისტორიის განთავისუფლება მითოგრაფიისაგან და ამბავთა და შემთხვევათა გადმოცემაში რაციონალისტური გაგების ცდების დამკვიდრება. ეს ახალი ეტაპი საისტორიო მწერლობაში „ისტორიის მამამთავრად“ წოდებულ ჰეროდოტეს სახელთანაა დაკავშირებული. მან მრავალი ძვირფასი ცნობა დაგვიტოვა ქართველი ტომების შესახებ [16]. მას მოჰყვა მთელი რიგი ბერძენი ისტორიკოსებისა, რომელთაც გააღრმავეს ქართველ ტომთა შემდგომი თავგადასავლის გაშუქება. აქვე ზოგადად გავეცნოთ მათ ცნობებს.

ადგილობრივ მოსახლეობას საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია ბერძენთა ახალშენებთან. უდავო ყურადღების ღირსია სტრაბონის ცნობა, რომ მაშინ ხომალდები მდინარე რიონზე შორაპნის ციხემდე დადიოდნენ, ხოლო ამ უკანასკნელიდან მოყოლებული იბერიის საზღვრამდე ოთხი დღის სავალი საურმე გზა მიდიოდა.

იმ დროს საქართველოში მართლაც გზების კარგი ქსელი არსებობდა, ამას გვიდასტურებს თუნდაც იმავე სტრაბონის სიტყვები, როცა ის აღწერს იბერიის გეოგრაფიას, მის საზღვრებს, შემოსასვლელ გზებზე მდებარე ციხე-სიმაგრეებს (XI, 3). დასახელებულია ოთხი შესასვლელი: ერთი კოლხური ციხე-სიმაგრე შორაპანზე და მასთან არსებულ ვიწროებზე, რომლებზეც ფაზისი მიედინება და მიემართება კოლხეთში, მასზე 120 ხიდით გადაისვლება, მისი მიხვეულ-მოხვეულობის გამო (XI, 3, 4). მოკლედ, ბერძენთა ახალშენებს კოლხეთში საზოგადოებრივად და კულტურულად საკმაოდ განვითარებული ქართველი ტომები დახვედრიან და ეჭვი არ არის, როგორც მოსულებმა, ისე დამხდურებმა ურთიერთზე ზეგავლენა იქონიეს.

ცნობები ქართველ ტომთა შესახებ ფრაგმენტების სახით როგორც ვთქვით, აქა-იქ ლოგოგრაფოსთა შრომებშიც მოიპოვება, მაგრამ უფრო დალაგებით და შედარებით ვრცლად ეს ცნობები ბერძენმა ისტორიკოსებმა გვიანდერძეს. ამ მხრივ პირველ რიგში ბერძნული ისტორიოგრაფის მამამთავარი ჰ ე რ ო დ ო ტ ე (484—425) უნდა დავასახელოთ. ჯერ კიდევ მის დროს მაშინდელი კოლხეთი განთქმული ყოფილა სელის ქსოვილებით, რომელსაც ბერძნები სარდონის ტილოებს ეძახდნენ (II, 105). ჰეროდოტე სხვა საყურადღე-

ბო ცნობებსაც გვაწვდის, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გავიზიაროთ მისი აზრი კოლხების ეგვიპტიდან წარმომდინარეობის შესახებ, ვითომც იმ უცილობელი გარემოების გამო, რომ კოლხები, ეთიოპელები და ეგვიპტელები წინადაცვეთას მისდევდნენ.

შედარებით უფრო ვრცელია ისტორიკოს ქსენოფონტეს (დაახლ. 430—355) შრომაში („ანაბაზისი") მოცემული ცნობები. უნდა გვახსოვდეს, რომ უფლისწულის კიროს უმცროსის ექსპედიციაში მისი ძმის, სპარსეთის მეფის არტაქსერქსე II წინააღმდეგ მონაწილეობას იღებდნენ ბერძენი მოქირავნეები და თვითონ ქსენოფონტეც. ძვ. წ. 401 წელს კუნაქსთან (ბაბილონის მახლობლად) ბრძოლისა და სტრატეგოსების დატყვევების შემდეგ მასთან ერთად შუამდინარეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაძრულან 10.000 ბერძენი მოქირავნე მონებისა და აღალის თანხლებით იმ იმედით, რომ ამ გზით თავიანთ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ. ტიგროსის გაყოლებით მოძრაობისას ისინი მიდგომიან კარდუხების მხარეს. ჩვენში ცნობილია, რომ კარდუხი ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური ტომის სახელი იყო, თუმცა უკანასკნელ დროს ზოგიერთი მკვლევარი კარდუხებში ქურთებს გულისხმობს.

ქსენოფონტემ სწორედ იმ ქვეყნებზე გამოიარა, სადაც სხვადასხვა ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. მართალია, მის აღწერილობას გამელელის შთაბეჭდილებათა გადმოცემის ხასიათი აქვს, მაგრამ მისი ცნობები ჩვენთვის მაინც საყურადღებოა. კოლხების მხარეს ბერძენი მოქირავნეები სამხრეთით მიდგომიან (Anab. IV, 8, 8), ბრძოლით გადაულახავთ საზღვარი, დაბანაკებულან სოფლებში და შემდეგ, 400 წლის გაზაფხულზე, „კოლხეთის მხარეში სინოპის ახალშენ" ტრაპეზუნტში მისულან. ქსენოფონტე არ მალავს, რომ სამხრეთპონტელი ბერძნები, ერთი მხრივ, თანაგრძნობით შეხვედრიან თავიანთ თვისტომთ, მაგრამ, მეორე მხრივ, ზომები მიუღიათ მოსულები რაც შეიძლება მალე მოეშორებინათ თავიდან. ერთი მათი რაზმი თავს დასხმია კერასუნტის მცხოვრებლებს, მაგრამ თავდამსხმელები შეტაკებაში დამარცხებულან. ამის გამო ქალაქის უხუცესებს მოქირავნეების ხელმძღვანელობისათვის საჩივრით მიუმართავთ. რის საპასუხოდ მათ მომჩივრები ჩაუქოლიათ. ტრაპეზუნტიდან მოქირავნეები დასავლეთით დაძრულან და დაუკავებიათ ქალაქი კოტიორა. ამ ამბავს სინოპელების მხრივ უფრო ენერგიული მოქმედება გამოუწვევია და მათ მოციქულებს მოქირავნეები დაუთანხმებიათ ხომალდებით ჰერაკლეაში გადასულიყვნენ. ჰერაკლეელებისათვის მოქირავნეებს 10 ათასი ოქროს სტატერი მოუთხოვიათ კონტრიბუციად. მაგრამ ჰერაკლეელებს ქალაქი მსწრაფლ სამხედრო მდგო-

მარეობაზე გადაუყვანიათ და მოქირავნეები იძულებული გამხდარან გზას გასდგომოდნენ.

შავიზღვისპირეთის ქართველი ტომების შესახებ კიდევ უფრო მეტი დაკვირვებანი და აღწერილობანი დაგვიტოვა ისტორიკოსმა და გეოგრაფოსმა სტრაბონმა (ძვ. წ. 63—ახ. წ. 17 წ.) თავის ცნობილ „გეოგრაფიაში". მისი სიტყვით, კოლხეთი მდიდარი იყო ხილეულით, სელით, კანაფით, ცვილით, ფისით. ამავე დროს, როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა თავის სამეურნეო მოქმედებაში მიზნად ისახავდა არა მარტო საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არამედ საექსპორტო საგნების დამზადებასაც. სტრაბონი გვარწმუნებს, „სელის დამუშავება განთქმულიც კი არის: გარეთაც კი გააქვთ" (XI, 2, 17).

3. მაგრამ ძველი საბერძნეთის ისტორიის სპეციალისტები საფუძვლიანად მიგვითითებენ, რომ ბერძნები კოლხეთს გაცილებით უფრო შორეულ წარსულში ეცნობიან და ამ მხრივ უმთავრესად პრომეთესა და არგონავტების შესახებ მითებს გვისახელებენ [17]. რა შეგვიძლია ვთქვათ მათ შესახებ? პრომეთეს მითის პირველ ვერსიას ჯერ კიდევ ჰესიოდეს პოემაში — „სამუშაონი და დღენი" — ვეცნობით. იქ ის ცბიერ ადამიანადაა წარმოდგენილი და მოხერხებულად ატყუებს თვით ზევსს. ფრიად საინტერესოა ჰეფესტოს მიერ წყლისა და მიწისაგან შექმნილი პანდორეს ეპიზოდი.

ქალი პანდორე ზევსის შურისძიების იარაღია ადამიანებისადმი პრომეთეს მიერ ზეციდან ცეცხლის მოტაცების გამო. პრომეთეს წინდაუხედავი ძმა ეპიმეთევსი, მიუხედავად პრომეთეს გაფრთხილებისა, ზევსისაგან იღებს ამ ქალს მზაკვრული საჩუქრის სახით. ცბიერი შემპარავი სიტყვის წარმოთქმის უნარით დაჯილდოებული პანდორე ხსნის სახურავს საბედისწერო ჭურჭელს, სადაც დამალული იყო ყოველგვარი ჭირი და ვნების მომტანი ავადმყოფობა, და თავს დააატეხს მათ ადამიანებს. ჰესიოდესავე „თეოგონიაში" მოცემულია პრომეთეს ისტორია მისი ზევსთან შეტაკების შესახებ. პირველად ამ პოემაში პრომეთე გვევლინება ადამიანების მფარველად და მათთვის წამებულად. ამგვარი სახით პრომეთე შემდგომ გაასახიერა ესქილემ. პრომეთეს მითს ძირითად ხაზებში უდავო მსგავსება ემჩნევა ქართული ამირანის ეპოსთან. ბერძნების პრომეთე ტიტანია, რომელმაც ზევსის ნების წინააღმდეგ ოლიმპოდან ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა ადამიანთა კეთილდღეობისათვის. ამირანი ნახევრად ადამიანია, ნახევრად ღმერთი, ისიც გმირულად ებრძვის ავსულებს — დევებს, — ის მათი დაუძინებელი მტერია, ვინაიდან დევები კაცის მჭამელი და შემავიწროებელნი არიან [18]. ამირანის ეპოსში დიდი ადგი-

ლი უკავია ამირანის მიერ „ღრუბელთ მეუფის“, ალბათ ჰექა-ქუხილის ღვთაების, ასულის მზეთუნახავ ყამარის მოტაცებას [19]. შესაძლებელია, რომ აქაც ცეცხლის მოტაცებაა ნაგულისხმევი. ღმერთებთან ბრძოლაში „თავხედობისათვის“ ორივე გმირი ერთნაირად ისჯება — კლდეზე მიჯაჭვით და ორივე შეუდრეკლად იტანს სასტიკ საჯელს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ ძველ ბერძნებში წარმოქმნილია ტენდენცია პრომეთეს ეპოსის რაციონალისტური გაგებისა, ე. ი. ტიტან პრომეთეს გაადამიანებისა, ასე, მაგ., ძვ. წ. VI—V საუკუნის ლოგოგრაფოს ჰეროდორე ჰერაკლეელს შემონახული აქვს პრომეთეს მითის განსაკუთრებული ვერსია. ამ ვერსიის მიხედვით, პრომეთე სკვითების [20] მეფე ყოფილა, რომელიც ქვეშევრდომებს ბორკილებით დაუსჯიათ იმისათვის, რომ მან ვერ



სურ. 36. მიჯაჭვული პრომეთე და ატლანტი.

შეძლო მდინარე აეგოსის („არწივის“) ალაგმვა და სახნავ-სათესის გადარჩენა. მას დახმარებია გმირი ჰერაკლე, მდინარე კალაპოტში ჩაუგდია, ზღვისკენ მიუბრუნებია და პრომეთე ბორკილებისაგან გაუთავისუფლებია [21].

ჩვენთვის საყურადღებოა ისიც, როგორც თავის დროზე აღნიშნა აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, რომ ბერძენ მწერლებს, უკვე ძვ. წ. V საუკუნიდან მოყოლებული, თქმულება პრომეთეს შესახებ კავკასიურად და მიჯაჭვის ადგილად კავკასიონის ქედი მიიჩნიათ. მართლაც, როგორც ბერძნულს, ისე ქართულ თქმულებებში მიჯაჭვული გმირის დასჯისა და მიჯაჭვულობის ადგილად კავკასიონის მთაა და-

სახელებული და, როგორც ჩანს, ასეთი ვერსია უკვე ძვ. წ. V საუკუნეში არსებობდა, ხოლო II საუკუნეში უკვე ნიშანდობლივ უჩვენებდნენ ამ ადგილს კავკასიონის მთავარ ქედზე, სადაც იყო მიჯაჭვული ეს გმირი [22].

თავის დროზე ამირანის თქმულებას ყურადღება მიაქცია ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა, განსვენებულმა ნიკო მარმა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ამირანის თქმულების სიუჟეტი არის არა ზებუნებრივი წარმოშობისა, არამედ ის ემყარება ადამიანის მიერ შეცნობილ ბუნების კანონებს; ამასთან მან მოხსნა აგრეთვე ამირანის სახელის სპარსული არიმანისაგან წარმოშობის საკითხი, სწორედ მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში ამ აზრს (ამირანის მითის ინდოევროპულ წარმომავლობას) ახალი მიმდევრები (მაგ. კრონი — Krohn და სხვ.) გაუჩნდნენ და ამირანის თქმულება ადგილობრივი შემოქმედების ნაყოფად აღიარა. ამავე დასკვნამდე მივიდა იმავე წლებში (1912—1914) დანიელი ფოლკლორისტი აქსელ ოლრიკი (Aksel Olrik). ოლრიკმა 1912—1914 წლებში დაბეჭდა ორტომიანი მონოგრაფია, რომლის მეორე ტომი თითქმის მთლიანად ამირანის თქმულების განხილვას შეიცავს: ოლრიკის მიხედვით ამირანის თქმულების ლეიტმოტივია გადმოცემა მიჯაჭვული გმირის შესახებ; ამ მოტივის სამშობლოდ მას კავკასია მიაჩნია; კიდევ მეტი, მისი მტკიცების მიხედვით ეს კავკასიური გადმოცემა უდევს საფუძვლად ბერძნების მითს პრომეთეს შესახებ" [23].

ამირან-პრომეთეს ურთიერთობის საკითხს რამოდენიმე საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა ქართული ფოლკლორის მკვლევარმა პროფ. მ ი ხ ე ი ლ ჩ ი ქ ო ვ ა ნ მ ა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1947 წელს გამოქვეყნებული „მიჯაჭვული ამირანი" და 1959 წელს განმეორებით გამოცემული „ქართული ეპოსი, წ. პირველი, მიჯაჭვული ამირანი". თავისი დაკვირვებების შედეგები პროფ. ჩიქოვანმა შეჯამებული სახით მოახსენა 1964 წელს ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა VII საერთაშორისო კონგრესს მოსკოვში. მისი დასკვნით, „ძირითადი მოსაზრება, რასაც ჩვენი ძველი და ახალი თაობის მკვლევარები ავითარებენ ამირანის თქმულების პრომეთეს მითად ქცევის შესახებ კვლავ მიმზიდველ ჰიპოთეზად რჩება. ერთი რამ სწორად არის მიგნებული: არსებობს ანალოგია. მისი სიტყვით, კოლხურ-იბერიულ თქმულებებს ბევრი საერთო ხაზი აქვთ. აქ ღვთის მებრძოლ ამირანს ჰყავს პრომეთეს სახით ორეული. „ყველაზე მეტად ცხადი და საგრძნობი მსგავსება არსებობს სწორედ მათ შორის. ამირანიც და პრომეთეც ღვთის მებრძოლებია; ორივე ისინი მოიპოვებენ ცეცხლს და ადამიანთა მოსარჩლეებად გვევლინებიან, ორივე-

ნი განიცდიან დამარცხებას ზეციურ ძალებთან ბრძოლაში და მისჯილი აქვთ მარადიული წამება. ზევსმა პრომეთე და პირიმზემ ამირანი კავკასიის ქედს მიაჯაჭვეს. ამირანი იტაცებს ზეციურ ტურფა ყამარს, ანალოგიური სამიჯნურო ეპიზოდი გვხვდება მითში პრომეთეზე...“ (Обзор, გვ. 5) მაგრამ პროფ. ჩიქოვანს ყოველივე ეს საკმარისად არ მიაჩნია პრომეთეს მითი ამირანის თქმულების ანარეკლად გამოვაცხადოთ მთლიანად და საჭიროდ თვლის რომ შედარებითი ძიებანი უფრო გაღრმავდეს, ვინაიდან მისი აზრით „ამირანი და პრომეთე მარადიული ორეულებია, რომლებიც წარმოიქნენ ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად საკუთარ ხალხურ ნიადაგზე. მხატვრული სახეების აღიარება ორეულებად სრულებითაც არ გამორიცხავს ურთიერთზეგავლენის შესაძლებლობას“ (იქვე) [24]. ამირანის ირგვლივ, გვარწმუნებს მიხეილ ჩიქოვანი, გაცხოველებული კვლევა-ძიება მიმდინარეობს როგორც ჩვენში, საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთში. ამირანოლოგია საერთაშორისო ფოლკლორისტების ორბიტში მოექცაო [25].

ამ მხრივ ყურადღების ღირსია ი რ ა კ ლ ი შ ე ნ გ ე ლ ი ა ს სტატია, რომელშიც გარჩეულია ერთი ეტრუსკული მითი და მისი მორფოლოგიური პარალელები ქართულ თქმულებაში ამირანზე (თბ., უცხო ენათა პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. 4, 1961 წ.). ყურადსაღებია აგრეთვე მისი მეორე სტატია ღვთაებათა კაბირული წრის სისტემის დადგენის შესახებ („К вопросу о сущности кабиров“, იქვე, ტ. VI, 1963).

რაც შეეხება არგონავტების თქმულებას, დღეს ამ თქმულების მეცნიერულად გამართული ვითლოანი მიმოხილვაა მოცემული აკ. ურ უ შ ა ძ ი ს სადოქტორო ნაშრომში — „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ (თბ., 1964 წ.). ჯერ კიდევ 1948 წელს მან გამოსცა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, ამჟამად კი მან მოგვცა სრული მიმოხილვა ამ თქმულების ცალკეული ვერსიებისა. ავტორი საფუძვლიანად ვარაუდობს, რომ „ჰომეროსის ეპოქაში არგონავტთა თქმულების პირვანდელი ბირთვი უკვე მთლიანად იყო ეპიკურად დამუშავებული“. ამასთან ერთად „ილიადასა“ და „ოდისეას“ შესწავლის პროცესში ავტორს ისეთი ადგილები გამოუვლენია, „რომლებზეც დღემდე ყურადღება არ გამახვილებულა“.

ახლახან კი გამომცემლობა „მეცნიერებამ“ დაბეჭდა განსვენებული ცნობილი მეცნიერის გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის რუსულ ენაზე თარგმნილი აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ შესავალით და შენიშვნებით [26]. შესავალში იგი მოკლედ მიმოიხილავს აპოლონიოს როდოსელის ცხოვრებას და მისი პოემის მხატვრულ

ღირსებას; ტექსტის საუკეთესო თარგმანთან ერთად შენიშვნებში მოცემულია პოემის ოთხივე სიმღერის შინაარსთან დაკავშირებული განმარტებანი, რომელთაც მკვლევარი გვერდს ვერ აუხვევს. გამოცემის ერთი რედაქტორთაგანი პროფ. პ ე ტ რ ო ვ ს კ ი ასე ახასიათებს ამ შესანიშნავი მეცნიერის ღვაწლს: იგი, „იყო არა მარტო პირველხარისხოვანი მეცნიერი, არამედ ფრიად ნიჭიერი მხატვარი: იგი იყო ანტიკური სამყაროს ჰეშმარიტი აღმდგენელი, მისი დიდი პოეტი“.

გრ. წერეთელი ასე ახასიათებს აპოლონიოს როდოსელის ქმნილებას: „მას კითხულობდნენ და სწავლობდნენ საუკუნეებიდან საუკუნეებში ჩვენამდე ნაწყვეტებად მოღწეული მრავალრიცხოვან პაპირუსების მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, რომ ეგვიპტის ბერძნებისათვის ის იყო ახ. წ. VII საუკუნემდე ერთი საყვარელი პოეტთაგანი. მაგრამ იგი არ დაუვიწყებიათ შემდგომ საუკუნეებშიც“ (გვ. 015). ასეთი შეფასება გვავალებს განსაკუთრებული ყურადღებით მოვექცეთ „არგონავტიკას“ და ვფიქრობ, რომ სწორია აკ. ურუშაძის აზრი, რომ „თქმულება არგონავტებზე, როგორც ერთ-ერთი უძველესთაგანი და მიმზიდველი, დაუშრეტელ წყაროდ იქცა და უხვად ასაზრდოებდა ანტიკური ეპოქის სულიერ კულტურას... თქმულება არგონავტებზე ბერძნული მითოლოგიის ოქროს ფონდში შევიდა“ (გვ. 13). მეორე მხრივ იგი აღნიშნავს, რომ ეს თქმულება მრავალი დროის ლეგენდარული ფენებითაა შემოგარსული, მაგრამ ძირითადად ბირთვში ჰეშმარიტების მარცვლები დაიძებნებაო (გვ. 121). და ასეთი მოსაზრების განსამტკიცებლად, სხვათაშორის, მას მოტანილი აქვს „საქართველოს ისტორიის“ დამხმარე სახელმძღვანელოში გამოთქმული საყურადღებო დებულება: „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ზღაპრულ ამბებთან ერთად ამ თქმულებაში ისტორიული სინამდვილეც არის ასახული. კერძოდ, საინტერესოა, რომ თქმულებაში საუბარია კოლხეთში დიდი, ძლიერი სახელმწიფოს, ბრწყინვალე სამეფო კარის, მონებისა და სხვ. არსებობის შესახებ. არგონავტების თქმულებაში კოლხეთის სამეფოს აღწერისას ნაწილობრივ ალბათ აირეკლა რეალურად არსებული დიდი კოლხური გაერთიანების დიდება და ბრწყინვალება“ (გვ. 8). რა თქმა უნდა, თქმულება შეიცავს არგონავტების მიერ კოლხეთის სამეფოში მიღებულ შთაბეჭდილებათა ისეთ აღწერილობას, რომელიც, ალბათ, შესაძლოა ნახულისა და განცდილის თავისებურ ანარეკლს წარმოადგენს. მაგრამ დიდი კვლევითი მუშაობაა ჩასატარებელი იმისათვის, რომ მეცნიერულად იქნას გარკვეული, თუ სად არის ამ თქმულებაში სინამდვილის ანარეკლი და სად არის ძველი ბერძნებისათვის ჩვეული მითურ-ზღაპრული სამოსელი.

უკვე ცნობილია, ისიც თუ რატომ უწოდეს კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად გამგზავრებულ ბერძენთა გმირებს არგონავტები. მათ ასევე იმ ათნიჩბიანი ხომალდის — „არგოს“ მიხედვით დაერქვათ, რომელიც ვითომც. არესტორეს შვილმა არგოსმა თვით ქალღმერთ ათენას დახმარებით ააგო. გემის სახელის თანახმად ამ გმირებს არგონავტები, ე. ი. „არგოსზე მოგზაურები“ ეწოდათ. არსებობს ისეთი ჰიპოთეზიც, რომლის მიხედვით არგოვანტების სახელწოდება არა „არგოზე“ მოგზაურთ, არამედ „არგ“-ის ქვეყანაში მოგზაურთ ნიშნავდა. თავისი უდავო მიმზიდველობის მიუხედავად, ძნელია ეს ჰიპოთეზა გაზიარებულ იქნეს და მის ავტორს მეტი დასაბუთება მოეთხოვება.

საყურადღებოა ისიც, რომ ბერძენთა გმირები, თითქოს, ოქროს საწმისის უკან დასაბრუნებლად გაემგზავრნენ კოლხეთში. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკის“ მიხედვით ბეოტიის ორქომენეს მეფის ათამანტეს ვაჟი ფრიქსე და ასული ჰელე ვერაგი დედინაცვლის ბოროტი განზრახვებისაგან თავდასაცავად ოქროს ვერძის ზურგზე გარბიან შორეულ ჩრდილოეთში. გზაზე, შიშის გამო, ჰელე ვერძზე თავს ვეღარ იმაგრებს და ზღვაში ვარდება. მას აქეთ ზღვას, რომლის წიაღში ის დაიღუპა ჰელესპონტი (ჰელეს ზღვა, აწინდელი დარდანელი) ეწოდა. ფრიქსე კი ბოლოს შორეულ კოლხიდაში ფაზისის ნაპირებს მიაღწევს, სადაც ჰელიოსის (მზის ღმერთის) ვაჟი აიეტი მეფობდა. მან გაზარდა ფრიქსე და როცა ის დავაჟკაცდა, ცოლად თავისი ასული ქალკიოპე შერთო. ოქროს საწმისი კი აიეტმა ომის ღმერთის არესის საღვთო ჭალაში დაკიდა და მცველად მიუჩინა ალის მფრქვეველი დრაკონი, რომელსაც არც დღე და არც ღამე არ ეძინა. ხმები ამ ოქროს საწმისზე მთელ საბერძნეთში გავრცელდა. ფრიქსეს მამის ათამანტეს შთამომავლობამ იცოდა, რომ მათი გვარის ხსნა და კეთილდღეობა ამ საწმისის ფლობაზეა დამოკიდებული და სურდათ, რა საშუალებითაც უნდა ყოფილიყო, მისი გატაცება.

ამრიგად, თუ ამ გადმოცემას დავუჯერებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იასონისა და მისი თანმხლებლების მიერ მედეას დახმარებით კოლხეთიდან ოქროს საწმისის გამოტაცება თითქოს მის უკან დაბრუნებას ნიშნავდა, რაც, რა თქმა უნდა, მოთხრობის მხოლოდ თავისებური ხერხია.

აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ თქმულებათა თავისებურ შერწყმასა და განმარტებას შეიცავს. მისი პოემა წარმოადგენს მთელი თქმულების თანამიმდევრობით გადამუშავებას თესალიის ქალაქ იოლკოსის მეფის პელიასის მიერ იასონისადმი მიცემული დავალებიდან იოლკოსში ხომალდ „არგოს“ დაბრუნებამდე, ცნობილია,

რომ მეფე აიეტის ასულის მედეას დახმარებით იასონმა მოახერხა საწმისის ხელში ჩაგდება, ორივე ჩასხდნენ ხომალდში და გაემგზავრნენ თესალიაში. მრავალი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ მათ საწმისი მშვიდობით ჩაიტანეს თესალიაში[27].

სურ. 37. იასონის მიერ ოქროს საწმისის გატაცება.

გამოსახულია ათენის კრატერზე (ძვ. წ. 470 — 460 წწ.).

არგონავტების თქმულების მიხედვით დადგენილია, რომ კოლხეთს მაშინ განაგებდა მეფე აიეტი, მისი სამეფო კი მდინარე ფასისის (აწინდელი რიონის) აუზში მდებარეობდა და გასაგებია, რომ „იმდროინდელი ბერძნები, როდესაც არგონავტების მითია შეთხზული, დასავლეთ საქართველოს უწოდებენ „აიას“, ხოლო მის მეფეს აიეტს“[28].

თავისთავად მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ ძველი საბერძნეთის რომელ ეპოქაში შეიძლებოდა წარმოქმნილიყო თქმულება არგონავტებზე. ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის მიკენის პერიოდშია წარმოქმნილი. ჩვენს ისტორიოგრაფიაში დღეს მიღებულია, რომ ჰომეროსის პოემები თავისი შინაარსით ისტორიულ სირთულეს წარმოადგენენ. მათში ძირითადად მოცემულია გვაროვნული წყობილების ნორმებისა და წეს-ადათების დაშლის პროცესი და მათი კლასობრივი წყობილების ნორმებით კანონზომიერად შეცვლის ეპოქა[29]. მაგრამ მათში ამასთან ერთად დაცულია კიდევ მიკენის დროის ტრადიციები. ჰომეროსის ყველა უმთავრესი გმირი მიკენის დროიდან წარმომავლობს და თქმულებები გმირებზე, მიკენური წარმოშობისაა. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ჰომეროსის პოემები უკვე იონურ ნიადაგზე აღმოცენდნენ, დორიელთა გადმოსახლებისა და მიკენის კულტურის განადგურების შემდეგ, ე. ი. მიკენის პერიოდის დამხობიდან არაუმცირეს 500 წლისა[30]. „პროზაული რკინის საუკუნე მოვიდა გმირული ეპოქის შემცველი,—ამბობს მკვლევარი ფანულა პაპაზოგლუ[31], — მაგრამ მიკენის მეფეთა კარის ბრწყინვალებამ, ძლევამოსილი ანაქსების (მბრძანებელთა) მამაცობამ და საქმეებმა, დრამატულმა ამბებმა, რომლებიც

უშუალოდ წინ უსწრებდნენ მიკენის სამყაროს დამხობას, აღაგზნეს ხალხური ფანტაზია და სახალხო მომღერლებმა შემოინახეს გმირულ დროთა ცოცხალი გადმოცემა. არ გვმართებს ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ ეპიკური პოეზია წარმოიქმნა არა მიკენის სამეფო კარზე, არამედ ხალხში, რომელიც საუცხოო სასახლეების ჩრდილში ცხოვრობდა“. ამიტომ გასაგებია, რომ „ოდისეაში“ უკვე მოხსენებულია „ზღვის გამკვეთი, ყველასათვის ცნობილი არგო“ (Od, XII, 69). ხოლო ამ მოსაზრების დასადასტურებლად სხვა ცნობაც მოგვეპოვება. ცნობილია, რომ ისტორიული ქრონოლოგიის შედგენის პირველი ცდა აღბეჭდილია ეგრეთ წოდებულ პაროსის მარმარილოზე, რომელზეც აღბეჭდილია გრძელი წარწერა, რომელსაც ძვ. წ. 264—263 წლით ათარიღებენ. რამდენიმე წლის შემდეგ ასეთივე ცდა მოახდინა ე რ ა ტ ო ს თ ე ნ მ ა[32]. ვინ იყო ერატოსთენი? აპოლონ როდოსელის წინამოადგილე ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორის ადგილზე, თავისი დროის ალექსანდრიული განათლების თვალსაჩინო წარმომადგენელი და ისტორიული ქრონოლოგიის როგორც სამეცნიერო დისციპლინის შემოქმედად მიჩნეული (მისი ცხოვრების წლებია დაახლ. 275—195). თავის „ქრონოგრაფიაში“ მან მოგვცა ქრონოლოგიური ტაბულა და ისტორიის ეპოქათა მიმოხილვა. მან დაადგინა ტროას ერა და აქედან დაიწყო თავისი ქრონოლოგია. მან არგონავტთა მოგზაურობა მიაკუთვნა ძვ. წ. 1225 წელს[33], ე. ი. სწორედ იმ დროს, როცა ძველ საბერძნეთში გამეფებული იყო მიკენის პერიოდი.

საყურადღებოა აგრეთვე ისიც, თუ რა ედო საფუძვლად ასეთ შორეულ წარსულში ა რ გ ო ნ ა ვ ტ ე ბ ი ს ლ ა შ ქ რ ო ბ ა ს ძ ვ ე ლ კ ო ლ ხ ე თ შ ი.

ანტიკურმა მწერლებმა ბლომად შემოგვინახეს ცნობები ზღვაზე ყაჩაღობისა და პირატობის შესახებ. პირატების ჯგუფები დაძრწოდნენ ზღვაზე სიმდიდრისა და მონების მოსაპოვებლად. ისინი სძარცვავდნენ არა მარტო შემხვედრ ხომალდებს, არამედ ზღვისპირა ქალაქებსა და სოფლებს[34]. სპარტის მეფე მენელაოსი იკვეხნის, რომ ბევრი განიცადა, ბევრი იხეტიალა, მაგრამ დოვლათიც ბევრი მიიტანა ხომალდებით სამშობლოში მერვე წელს დაბრუნებისას (Od., IV, 81—82). შემთხვევითად არ არის მოხსენებული „ოდისეაში“ „არგო“, როგორც „ზღვის გამკვეთი, ყველასათვის ცნობილი ხომალდი“ (XII, 69).

დიდად არ შევცდებით, თუ ვიგულისხმებთ, რომ დაახლოებით ასეთივე ხასიათის უნდა ყოფილიყო არგონავტების ლაშქრობა კოლ-

ხეთში, რადგან ცნობილია ანტიკური მწერლების ცნობები, რომ კოლხეთი ოქროთი იყო მდიდარი.

ისტორიკოსი და გეოგრაფოსი სტრაბონი სოანების (სვანების) დახასიათებისას აღნიშნავს: ამბობენ, რომ ზამთრის ნიაღვრებს ოქრო ჩამოაქვთ, რომელსაც ბარბაროსები დახვრეტილი ვარცლებითა და ბანჯგვლიანი ტყავებით აგროვებენ, და აქედან წარმოიშვა მითი ოქროს საწმისის შესახებო (XI, 2, 19).

საყურადღებოა აგრეთვე ბერძენი მწერლის ჰარაქს პერგამონელის ერთ ფრაგმენტში დაცული ცნობა, თითქოს ოქროს „საწმისი" ოქროს მოპოვების წესს აღნიშნავდა, რომელიც ტყავებზე იყო დაწერილი, რის გამოც მოხდა მოგზაურობა გემ „არგოსზეო". ცნობილია, რომ ტყავზე ოქროს დამწერლობის ოსტატობას ძველი ბერძნები ქრიზოგრაფიას უწოდებდნენ. ეს ცნობაც ჩვენთვის იმით არის საყურადღებო, რომ გარკვეულად განსაზღვრავს არგონავტების კოლხეთში ლაშქრობის მიზან-დანიშნულებას. მეორე მხრივ კი, ეს თითქოს რაღაც განსაკუთრებულ დამწერლობაზე მიგვითითებს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ძვ. წ. III საუკუნის ბერძენი მწერლების გადმოცემა. თითქოს კოლხებს მათ დროშიც შემონახული ჰქონიათ ფიცრები, რომლებზედაც მათი მამა-პაპის წარწერები, მოგზაურობის ყველა გზა, წყლისა და ხმელეთის საზღვრები ყოფილა აღნიშნული. შესაძლოა ასეთი ფიცრები მართლაც თავისებური გეოგრაფიული რუკები იყო[35].

ეს და ზოგიერთი სხვა მოსაზრება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ არგონავტების თქმულებაში მითურ-ზღაპრულ ფორმით დაცულია რეალური ამბავი მიკენის ეპოქაში ბერძენ მეზღვაურ-მეკობრეთა ლაშქრობისა, ოქროთი მდიდარ კოლხეთში. რა თქმა უნდა, ნახული და განცდილი იმ დროის მიხედვით მათ ფანტაზიით შემკობილ სამოსელში შეეძლოთ შეენახათ და ამას დროთა მსვლელობაში სხვადასხვაგვარი დაშრევებაც დაემატა.

ამ მხრივ ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია ნ. ლ ო მ ო უ რ ი ს მიერ გამოთქმული აზრი, რომ „თავისთავად ცხადია, თავდაპირველად ეს ურთიერთობა არ ატარებდა მუდმივსა და მყარ ხასიათს და ბერძნების შემთხვევითი ექსპედიციების კოლხეთის სანაპიროზე მოსვლაში გამოიხატებოდა" (გვ. 25). ხოლო ნათქვამს დავუმატებდით, რომ ასეთ ექსპედიციებს არა მშვიდობიანი, არამედ თავისებური საომარი ლაშქრობის ხასიათი ჰქონდათ. მეორე ადგილას, როცა ნ. ლ ო მ ო უ რ ი სტრაბონის ცნობას ეხება, ამბობს: „აღნიშნული გარემოება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კოლხეთის ოქროც ბერძნების ინტერესთა სფეროში შედიოდა" (გვ. 29).

4. ნ. ლომოური განიხილავს კოლხეთის ტერიტორიაზე ბერძნულად მიჩნეულ სამ ქალაქს: დიოსკურიას, გიენოსს და ფაზისს. რაც შეეხება პიტიუნტს (აწინდელ ბიჭვინთას), ის მას არ განიხილავს, რადგან, მისი სიტყვით, „არცერთ ანტიკურ მწერალს პიტიუნტი ბერძნულ (ელინურ) ქალაქთა შორის არა აქვს დასახელებული" (გვ. 34), ამ საკითხს, ვფიქრობ, კვლავ დაკვირვება და შესწავლა ესაჭიროება.

ფაზისის შესახებ იგი მთლიანად იზიარებს ჯერ კიდევ ადრე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მისი ადგილმდებარეობა საძიებელია აწინდელი ქ. ფოთის რაიონში და საფიქრებელია, რომ ის ძველად ფოთის აღმოსავლეთით მდებარეობდა[36] (გვ. 41), მაგრამ ანგარიშგასაწევია ოთ. ლორთქიფანიძის მითითება, რომ „ფასისის ადგილმდებარეობა ჯერ კიდევ მაინც ზუსტად არ არის დადგენილი" და „რომ დღეს არსებული გეომორფოლოგიური ვითარება ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოდგება ორიენტირად ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებში დაცული იმ ცნობებისათვის, რომლებიც ქ. ფასისის ადგილმდებარეობას შეეხებიან" (გვ. 186, 187).

მეორე ელინური ქალაქის გიენოსის ლოკალიზაციის საკითხის მიმართ ნ. ლომოური გარკვეულად აღნიშნავს, რომ ქ. გიენოსი მდებარეობდა სწორედ მდ. მოქვის შესართავთან, ოჩემჩირის ნავსადგურის რაიონში. ამ აზრის განსამტკიცებლად მას სხვათაშორის მოტანილი აქვს კლავდიოს პტოლემაისთან შემონახული სახელწოდება მერმინდელი მდ. მოქვისა — კიანეოს. „ეს სახელწოდება, — გვარწმუნებს ავტორი, — თავისი ფორმით საკმაოდ ახლოს არის გიენოსის სახელთან (Γυήνος, Κυανέος)" (გვ. 43). გიენოსის შესახებ შემდგომ მუშაობაში, ვფირობ, ჯეროვნად უნდა იქნეს გათვალისწინებული ოთ. ლორთქიფანიძის საყურადღებო შენიშვნები.

მესამე „ელინური" ქალაქი დიოსკურია — სებასტოპოლისი[37] წყაროების მონაცემების მიხედვით, რომელთაც არქეოლოგიური მასალაც ამაგრებს, მდებარეობდა აწინდელი ქ. სოხუმის (ცხუმის) ადგილას. ძველი ქალაქის ტერიტორია, როგორც ჩანს, ამჟამად ნაწილობრივ ზღვით არის დაფარული[38]. ნ. ლომოური იზიარებს ამ აზრს და დაასკვნის, რომ „ძველი დიოსკურია მდებარეობდა სოხუმის ყურის ნაპირას, დაახლოებით დღევანდელი სოხუმის ადგილზე" (გვ. 46) და ნათქვამს რამდენიმე გვერდის შემდეგ უმატებს: „ძველი დიოსკურიას გარკვეული ნაწილი ამჟამად ზღვის ფსკერზეა ჩაძირულია". აქაც ზედმეტი არ იქნება, ანგარიში გაეწიოს ოთ. ლორთქიფანიძის მითითებას „ქ. სოხუმსა და მის მიდამოებში შემთხვევით თუ გათხრე-

ბის შედეგად აღმოჩენილი ძეგლების მკაცრად დოკუმენტირებული მეცნიერული არქეოლოგიური ტოპოგრაფიის“ შესახებ.

კოლხეთში მოსულ ბერძენ კოლონისტებს აქ კულტურის მხრივ „ცარიელი ადგილი“ რომ არ დახვედრიათ, ეს დღეს საკამათოდ აღარ არის მიჩნეული. კარგა ხანია აღნიშნულ იქნა, რომ ბერძენთა ახალშენების კოლხეთში დამკვიდრებისას დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, თავის საკუთარ, ფრიად მომწიფებულ კულტურას ფლობდა და ამიტომაც ბერძენთა მიერ მის მიწა-წყალზე დაარსებული ქალაქების პასიური გარემოცვა ვერ იქნებოდა [39].

გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ც გარკვეულად აღნიშნავს, რომ კოლხეთის ის ქალაქები, რომლებიც ანტიკური ხანიდანვე ბერძნულ ახალშენებად არიან მიჩნეული, აღმოცენდა არა ცარიელ ადგილას, არამედ აქ ძველი დროიდან არსებული დასახლების ტერიტორიაზე [40]. თუ ძველ ისტორიკოსებს ჰეროდოტეს და ქსენოფონტეს დავუჯერებთ, შეგვიძლია საფუძვლიანად ვიგულისხმოთ, რომ ძველ კოლხეთში უკვე წარმოქმნილი იყო სახელმწიფო აპარატი. ამას გვიდასტურებს ის ფაქტიც, რომ ძვ. წ. VI საუკუნიდან კოლხეთში იჭრებოდა მონეტა, ე. წ. „კოლხური თეთრი“ [41]. სხვადასხვა ასეთი ცნობების საფუძველზე პროფ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი დაასკვნის, რომ ძვ. წ. VI—I საუკუნეებში კოლხეთი წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ გაერთიანებას, წარმოადგენდა კლასობრივ საზოგადოებას თავისი სახელმწიფო აპარატით და საკუთარი მონეტით [42]. მაგრამ თავისთავად გვებადება კითხვა, რა მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნულ კოლონიზაციას კოლხეთის მოსახლეობის ცხოვრებაში? ამაზე სწორ პასუხს გვაძლევს ა. აფაქიძე, რომელიც ეხება კოლხეთის სამეფოს ქალაქებს და გვარწმუნებს, რომ ზოგიერთი მათგანის განვითარებაში უდავოდ ფრიად დიდი როლი ითამაშა ბერძნულმა კოლონიზაციამ... „მაგრამ კოლონიზაციის ამ როლის შეფასებისას გვმართებს მხედველობაში გვქონდეს არქეოლოგიის მონაცემებიც, რომლებიც საკმაოდ ნათლად ამტკიცებენ ამ ქალაქების ადგილას საკმარისად განვითარებულ ძველ მოსახლეობათა არსებობას“ [43]. ამ კითხვაზე დაახლოებით ასეთსავე პასუხს გვაძლევს ნ. ლომოური: 1. „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბერძნულად მიჩნეული ახალშენები თავიდანვე არ წარმოადგენდნენ წმინდა ბერძნულ ქალაქებს და ერთგვარ „შერეულ ხასიათს“ ატარებდნენ: ბერძენ კოლონისტთა გვერდით ამ ქალაქებში, სხვა ბერძნულ კოლონიებთან შედარებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული მოსახლეობა“ (გვ. 57). 2. „კოლხეთის ზღვისპირა ქალაქები, რომელთა წარმოქმნაში ბერძენმა კოლონისტებმა მიიღეს

მონაწილეობა, იმთავითვე მოექცნენ ადგილობრივ ტომთა გაერთიანების გავლენის ქვეშ და შემდეგ კი ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც დაემორჩილნენ კოლხეთის სამეფოს, რის გამოც წარმოადგენდნენ არა ბერძნულ პოლისებს, არამედ კოლხეთის სამეფოს საქალაქო ცენტრებს გარკვეული ბერძნული ელფერით და ასრულებდნენ ბერძნულ სამყაროსთან კოლხეთის დამაკავშირებელი სავაჭრო ქალაქების როლს" (გვ. 61). ოთ. ლორთქიფანიძეს კი ავტორის ასეთი დასკვნები „რამდენადმე კომპრომისულად" მიაჩნია და მისი აზრით „დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული მასალები არ გვაძლევენ უფლებას კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ბერძნული სამოსახლები განვიხილოთ, როგორც კოლონიები და კოლონიზაციის შედეგები" (გვ. 95). სწორედ ის საკითხი, თუ რას წარმოადგენდნენ ბერძნული სამოსახლები კოლხეთში ემპირიონებს, ადგილობრივ საქალაქო ცენტრებთან სხვადასხვა დროს დაარსებულ სავაჭრო ფაქტორიებს თუ თავისებურ ბერძნულ ზღვისპირა ქალაქებს?—სპეციალისტების შემდგომ მუშაობასა და ღრმა შესწავლას მოითხოვს.

ამჟამად კი საჭიროდ მიგვაჩნია მოვიგონოთ თუნდაც დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი ფაქტი: 1. ჩრდილოეთ კავკასიის ტომებს ფასისზე თავდასხმის დროს გაუტაცნიათ ვერცხლის ფიალა ბერძნული წარწერით „მე ვარ აპოლონ წინამძღოლისა, ფაზისელისა", რომელიც 1899 წელს ნაპოვნია ყუბანის ოლქში, ზუბოვის ხუტორის ყორღანში [44]. შ. ამირანაშვილის სიტყვით, წარწერა პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით თარიღდება ძვ. წ. V საუკუნით. მისი სიტყვით „ფიალა ეკუთვნის ახალშენების მფარველი ღვთაების აპოლონ წინამძღოლის ტაძარს ფასისში"[45]. „ამგვარად ჩვენს განკარგულებაშია ბერძნული დოკუმენტი, ძვ. წ. V საუკუნისა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ქალაქ ფოთში არსებობდა აპოლონის ტაძარი" [46]. ამავე დროს ცნობილია, რომ კოლონიებსა და მეტროპოლიებს შორის ჩვეულებრივად მყარდებოდა გაცხოველებული ეკონომიური, პოლიტიკური, კულტურული და სარწმუნოებრივი კავშირი და მეტროპოლების სარწმუნოებრივი კულტების გადატანა კოლონიებში პოლიტიკურად მნიშვნელოვან აქტად ითვლებოდა. ფასისში კი ახალშენთა მფარველი ღვთაების აპოლონის ტაძარი ყოფილა. ამ ფაქტის უგულებელყოფა მეცნიერული თვალსაზრისით დაუშვებელია.

ნ. ლომოური მართებულად გვარწმუნებს, რომ „ბერძნულ კოლონიზაციას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლხეთის სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში. პირველ რიგში მან დიდად შეუწყო ხელი აღებ-მიცემობის განვითარებას ბერძნულ სამყაროსა და საქართველოს შორის. ამ მხრივ იგი განსაკუთრებულ ყუ-

რადღებას აქცევს ქობულეთის ჩრდილოეთ ნაწილში, დღეს ფიქვნარისა და ჩოლოკის სახელით ცნობილ ადგილას 1956 წლიდან დაწყებულ გათხრებს და აქ აღმოჩენილ ფრიად საგულისხმო ძეგლებს და ცდილობს ამ ადგილის გარკვევის ვარაუდი წარმოგვიდგინოს (გვ. 77—83).

მისი სიტყვით „ფიქვნარ-ჩოლოკის რაიონში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა ძიებამ გამოარკვია, რომ ამ ადგილას მოსახლეობა ძვ. წ. III ათასწლეულში გაჩენილა და ამის შემდეგ აქ ანტიკურ პერიოდამდე სიცოცხლე აღარ შეწყვეტილა". ამ ადგილის არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა ჯერ ნაადრევად თვლის, გადაჭრით ილაპარაკოს იმაზე, იხსენება თუ არა ეს ადგილი უცხოურ წყაროებში და აღნიშნავს, რომ ეს ადგილი უნდა იყოს ქალაქური ტიპის დასახლება. უფრო დაბეჯითებით გამოთქვამს თავის აზრს დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, რომ ფიქვნარის მიდამოებში უნდა არსებულიყო ისეთივე ქალაქი, როგორიც იყო დიოსკურია, ფაზისი, პიტიუნტი და ა. შ., ე. ი. ბერძნული ახალშენები.

ნ. ლ ო მ ო უ რ ი კი ვარაუდობს, რომ ფიქვნარის ადგილას ძველად ე. წ. ემპორიონი, ე. ი. სანაპირო ნავსადგური არსებობდა, სადაც სავაჭრო მიზნებით ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი და ბერძნები.

რა თქმა უნდა, ეს საკითხი ჯერ კიდევ ღრმა და ყოველმხრივ შესწავლას მოითხოვს და ეს შესწავლა ფართოდ უნდა იქნას ჩატარებული.

ნ. ლომოური ეხება კოლხურ ხელოსნურ ტრადიციებს და გვარწმუნებს, რომ „კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში ხდებოდა ბერძენ და კოლხ ხელოსანთა საწარმოო თანამშრომლობა, რაც კოლხური ხელოსნობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო" (გვ. 75). ამ მხრივ იგი ასახელებს ბერლინის მუზეუმში დაცულ ჰიდრიას (თასს, ვაზას), რომელიც ნაპოვნია ათენში და სპეციალისტების აზრით დაახლოებით ძვ. წ. 540 წ. თარიღდება. მასზე შერჩენილია ბერძნული წარწერა: „კოლხმა მე გამაკეთა"; შენახულია ის კარგად და მიეკუთვნება შავფიგურიანი ვაზების მოხატულობის ჯგუფს. ბერლინის მუზეუმშივეა დაცული, აგრეთვე ათენში ნაპოვნი ამფორა ბერძნული წარწერით „ევქსითეოსმა გამაკეთა, კოლხმა მომხატა". ამას ნ. ლომოური უმატებს მკვლევარი ე. პფულის ცნობას, რომ კოპენჰაგენის მუზეუმშიც ყოფილა ერთი თასი, რომელიც კოლხის მოხატული უნდა იყოსო (E. Pfuhl, Archäologischer Anzeiger, 1917, № 37). არსებობს მოსაზრება, რომ ბერლინის ვაზის მხატვარი კოლხეთიდან ჩამოსული ოსტატი ყოფი-

ლა. იმ ახალი წესის მიხედვით, რომლის ძალით ძვ. წ. VI საუკუნიდან იწყეს ოსტატების აღნიშვნა და წარწერებში მიუთითებდნენ, თუ ვინ გააკეთა ესა თუ ის ძეგლი, ჩვენს დრომდე შემონახულია კოლხელი ოსტატის ვინაობა. საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ კოლხმა ოსტატმა ანგარიში გაუწია იონურ-აღმოსავლურ სტილს, მაგრამ თავის შემოქმედებაში გამოავლინა სამშობლოში შეთვისებული კოლხური ხელოვნების დამახასიათებელი ელემენტები. კოლხური ოსტატების ნამუშევრების ათენში აღმოჩენა თავისთავად დამაფიქრებელია და განსაკუთრებულ განხილვას მოითხოვს. მსგავსი ძეგლების ანალიზის საფუძველზე შ. ამირანაშვილს გამოაქვს სწორი დასკვნა, რომ „ბერძნული გავლენა კავკასიაში შემოდის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების ახალშენების მეშვეობით"[47].

კოლხეთის ძველი მოსახლეობის სამეურნეო-საზოგადოებრივი მდგომარეობის გასათვალისწინებლად უდავო მნიშვნელობა აქვს მრავლად აღმოჩენილ კოლხიდის სისტემის მონეტებს და განსაკუთრებით იმ ფაქტს, რომ მათი უმრავლესობა აღმოჩენილ იქნა მხარის სიღრმეში, ზღვიდან შორს. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ერთ შორეულ განძეულში აღმოჩენილი სავსებით გლუვი ცალი, თითქოს სამზადი უნდა იყოს. თუ ეს ასეა, ცხადია, ბერძენი კოლონისტები მას მხარის სიღრმეში არ შეიტანდნენ. საერთოდ, ამ სისტემის მონეტების ასე ფართოდ გავრცელება არ შეგვიძლია ბერძნული ახალშენების კოლხეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან ვაჭრობის შედეგად ჩავთვალოთ და თვით კოლხებს შორის შინაგან ფულის ტრიალად არ მივიჩნიოთ. ჩვენი აზრით გასაზიარებელია ის მოსაზრება, რომელიც ამას წინათ იქნა გამოთქმული: „ჩვენს წინაა ძველ კოლხიდაში განვითარებული ადგილობრივი ფულადი მეურნეობის ყველა ნიშანთვისება და ამიტომაც მართალი არიან ის მკვლევარები, რომლებიც სწორედ ამ მონეტების გავრცელების ხარისხის საფუძველზე „კოლხების მეურნეობის განვითარების მაღალ დონეზე ლაპარაკობენ".

ისტორიულ სინამდვილეს არ უნდა იყოს დაშორებული ზოგიერთი მკვლევარის ის აზრიც, რომ კოლხური მონეტების, პირველი ქართული სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ამ უძველესი ძეგლებისა და მოწმეების, ჭრა კოლხებში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე უნდა მიგვითითებდეს[48].

დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია გამომდინარეობდა მცირეაზიური ცენტრებიდან, მაგრამ მთავარი როლი ამ საქმეში ქალაქ მილეტს მიეკუთვნებოდა. როგორც ვიცით, მილეტელების მიერ იყო დაარსებული ახალშენები

კოლხეთშიც. მცირე აზიის კონტინენტზე ლიდიის სამეფოს არსებობამ მილეტს საშუალება არ მისცა გაეფართოებინა თავისი ვაჭრობა ხმელეთის გზებით მცირე აზიის სიღრმეში და ამიტომ ის მოხერხებულად სარგებლობდა თავისი საშუამავლო ვაჭრობით. იგი აერთებდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთს, მათ რიცხვში სავაჭრო ახალშენს ეგვიპტეში ნავკრატისს, შავი ზღვის მიდამოებთან. მილეტის განსაკუთრებულმა გეოგრაფიულმა და სავაჭრო-ეკონომიურმა მდგომარეობამ განსაზღვრა მისი კულტურის ბრწყინვალე განვითარება. მილეტი იყო ის ქალაქი, სადაც ყვაოდა ბერძნული ლიტერატურა და მეცნიერება. მილეტში მოღვაწეობდნენ ფილოსოფოსები თალესი, ანაქსიმენე, ანაქსიმანდრე, რომელმაც ერთმა პირველთაგანმა შექმნა გეოგრაფიული რუკა; აქვე ცხოვრობდნენ ცნობილი ლოგოგრაფოსები — ბერძნული ისტორიკოსების პირველი წარმომადგენლები და ჰეროდოტეს წინამორბედნი. ეჭვს გარეშეა, რომ მილეტელები იმ პირველ იონელ მეზღვაურებს ეკუთვნოდნენ, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობა შავი ზღვის ნაპირებთან იმ დროს დაამყარეს, როცა იქ ბერძენთა ახალშენები ჯერ კიდევ არ არსებობდა. მილეტელები გახდნენ შემდგომში შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი ახალშენების დამაარსებლები.

როგორც სხვა მხარეებში, ისე დასავლეთ და ჩრდილოეთ შავიღვისპირეთშიც ბერძნების კოლონიზაციის მსვლელობა ასეთი სახით უნდა წარმოვიდგინოთ. თავდაპირველად ბერძენთა სავაჭრო ხომალდები, ალბათ, შემთხვევის მიხედვით ესტუმრებოდნენ ამ ნაპირებს და მას შემდეგ, რაც გაასაღებდნენ თავიანთ საქონელს, უკანვე ბრუნდებოდნენ. შემდგომ დროში ასეთი სტუმრობა უფრო ხშირ ხასიათს იღებდა, ამის შემდეგ წარმოიქმნენ ემპირიონები, რომლებსაც განსაზღვრულ დროს მიადგებოდნენ ბერძენთა სავაჭრო ხომალდები და სადაც გროვდებოდა გაცვლა-გამოცვლით დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობა. ასეთ ემპორიონებთან, თუ ის ვაჭრობისათვის ვარგისი აღმოჩნდებოდა, თანდათან აარსებდნენ კოლონისტების მუდმივ მოსახლეობას.

დასავლეთ შავიზღვისპირეთის კოლონიზაცია ბერძნების მიერ მხოლოდ VII საუკუნის ნახევრიდან დაწყებულა. თრაკიის მცხოვრებლებს ბერძნები, როგორც ჩანს, ძველი დროიდანვე იცნობდნენ და მათ შესახებ მითებიც კი შეუქმნიათ, როცა ბერძენთა კოლონისტები თრაკიის სანაპიროს სწვევიან, ადგილობრივი ტომები, რომლებიც ძირითადად მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას მისდევდნენ და ამავე დროს ხელოსნობისა და, კერძოდ, მეტა-

ლურგიის ერთგვარი განვითარებისათვის მიუღწევიათ. გვაროვნული წყობილების დაშლის სტადიას განიცდიდნენ.

საყურადღებოა, რომ შავიზღვისპირეთის კოლონიზაციის მსვლელობაში ბერძენ კოლონისტებს ტროას გმირის აქილევსის კულტი შეუქმნიათ, იგი ზღვის მეუფედ დაუსახავთ და აქილევს-პონტარქოსი უწოდებიათ.

პირველი კოლონისტები დასავლეთ სანაპიროზე აგრეთვე მილეტს დაუსახლებია. ტრადიციის თანახმად, 650 წელს მას დუნაის (ისტროსის) დელტის სამხრეთით დაუარსებია ი ს ტ რ ი ა, რომელიც გამოირჩეოდა კარგი ბუნებრივი ნავსადგურით.

დაახლოებით 609 წელს მილეტელებს ბურგასის ყურეს სამხრეთ ნაწილში მდებარე პატარა კუნძულზე, ფრიად გამოსადეგი ნავსადგურის ნაპირას, დაუფუძნებიათ მეორე ქალაქი ა პ ო ლ ო ნ ი ა.

VI საუკუნის პირველ ნახევარში იმავე მილეტელებს სანაპიროს საუკეთესო ნავსადგურის ნაპირას, დაუარსებიათ ქ. ო დ ე ს ს ე. კიდევ ერთი ქალაქის — ტ ო მ ი ს — დაარსებით ამოიწურა მილეტის საკოლონიზაციო ინიციატივა დასავლეთ შავიზღვისპირეთში.

შედარებით გვიან აქ კოლონიზაციაში მონაწილეობა მიუღიათ დორიელებს. ჰერაკლეადან გადმოსახლებულებს VI საუკუნის ნახევრისათვის დაუარსებიათ ქ. კ ა ლ ლ ა ტ ი ა, რომელსაც გარს ნაყოფიერი ვაკე ეკვროდა და მეზობლად მტკნარი ტბა ედო.

კერძოდ მეგარის დახმარებით მის ახალშენს კალქედონს ნახევარკუნძულზე ბურგასის უბის მარცხენა ნაპირას დაუარსებია ქალაქი მ ე ს ე მ ბ რ ი ა. სამწუხაროდ, ცნობები დასავლეთ შავიზღვისპირეთის ახალშენების შესახებ მცირედ მოგვეპოვება და მხოლოდ ზოგიერთი რამის აღნიშვნით უნდა დავკმაყოფილდეთ. მათ სამეურნეო ცხოვრებაში ძირითადად მიწათმოქმედება იყო გაბატონებული, მაგრამ ისეთ ქალაქებში, როგორიც იყვნენ: ისტრია, აპოლონია, ოდესსე და მესემბრია მნიშვნელოვან განვითარებისათვის მიუღწევია ხელოსნობასა და ვაჭრობას. კერძოდ ისტრია, როგორც არქეოლოგიური მონაცემები გვიმოწმებს, გაცხოველებულ სავაჭრო ურთიერთობაში ყოფილა ორეულ თრაკიელ ტომებთან. პონტოს დასავლეთ სანაპიროს ბერძნულ ქალაქებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია არა მარტო თავის მეტროპოლიებთან, არამედ იმ დროის დიდ სავაჭრო ცენტრებთან.

შავი ზღვის ჩ რ დ ი ლ ო ე თ ს ა ნ ა პ ი რ ო ს კოლონიზაცია ძირითადად მხოლოდ მაშინ დაწყებულა, როცა ბერძენთა კოლონისტები მტკიცედ დამკვიდრებულან მის სამხრეთ და დასავლეთ სანაპიროებზე, სახელდობრ VI საუკუნიდან[49].

ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ძვ. წ. VII საუკუნეში კუნძულ ბერეზანზე დაარსებული ვაჭრობისა და თევზის სარეწაოს უძველესი მოსახლეობა; გარდა მითებისა და თქმულებებისა არქეოლოგიური მონაცემებიც გვიდასტურებს იმას, რომ ამ რაიონს ბერძნები ადრეც იცნობდნენ.

VI საუკუნეში მილეტელებს ბუგ-დნეპრის ლიმანის შესართავთან დაუარსებიათ ახალშენი ო ლ ბ ი ა. ის მალე იქცა უმნიშვნელოვანეს ბერძნულ ქალაქად და შავიზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. ამ ქალაქის სახელწოდება „ოლბია“ — ბედნიერს ნიშნავს. ის ფრიად ხელსაყრელ ადგილას იყო გაშენებული, ორი დიდი სანაოსნო მდინარის ბუგისა და დნეპრის (ბორისთენის) შესართავთან, საიდანაც მას შეეძლო ადვილად დაკავშირებოდა ამ მდინარეთა და მათი შენაკადების აუზის სკვითურ მოსახლეობას. გარდა მიწის მეურნეობისა და ხელოსნობისა მის ეკონომიკაში დიდი ადგილი ეკუთვნოდა ვაჭრობას[50].

ყირიმის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოში ხომალდების გასაჩერებლად ფრიად გამოსადეგ ზღვის უბის ნაპირას (აწინდელი „კარანტინნაიას“ — სევასტოპოლის მახლობლად) იონელებს უნდა დაეარსებინათ საზღვაო სადგური, ხოლო უფრო გვიან, ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარში ამავე ადგილას პონტის ჰერაკლეას მცხოვრებლებს დაუფუძნებიათ ჩრდილო შავიზღვისპირეთში ერთადერთი დორიული ახალშენი — ტ ა ვ რ ი დ ი ს ქ ე რ ს ო ნ ე ს ი. ის ფრიად მალე გადაქცეულა ძლიერ ქალაქ-სახელმწიფოდ, რომლის საშუალებით წარმოებდა ვაჭრობა ყირიმის დასავლეთ ზოლთან. ყირიმის დასავლეთ სანაპიროს ანტიკური ქალაქები კერკინიტიდა (ევპატორია) და კალოს ლიმენი (ჩერნომორსკოე, ყოფ. აკ-მეჩეთი) ქერსონესის სამფლობელოში შედიოდნენ. ახლანდელი ფეოდოსიის ადგილას მილეტელებს ძვ. წ. VI საუკუნეში შეუქმნიათ ყირიმში მეორე მნიშვნელოვანი ბერძნული ახალშენი— თ ე ო დ ო ს ი ა, რომელსაც საკმაოდ მალე დაუკარგავს დამოუკიდებლობა და შესულა ყირიმის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოქმნილი ძლიერი ბოსფორის სახელმწიფოს ფარგლებში.

ქერჩის სრუტის რაიონი, რომელსაც ძველად კიმერიის[51] სრუტეს უწოდებდნენ, ფრიად მიმზიდველი უნდა ყოფილიყო კოლონიზაციისათვის. გარდა იმისა, რომ მას ეკვროდა ყირიმის აღმოსავლეთი ნაწილისა და ტამანის ნახევარკუნძულის ნაყოფიერი ველები, აქედანვე იწყებოდა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის სავაჭრო გზები. ამასთან ერთად ეს სრუტე აზოვის ზღვის (ძველად მეოტიდა) ჭიშკარს წარმოადგენდა, საიდანაც გზა მიდიოდა დონის (ძველი

ტანაისი) შესართავისაკენ, დონისპირეთის პურით მდიდარ რაიონებისაკენ. უკვე ძვ. წ. VII საუკუნის ნახევარში ქერჩის სრუტეს ნაპირებს მიადგებოდა დროდადრო ხომალდები ბერძნული საქონლით. უფრო გვიან, ძვ. წ. VI საუკუნის პირველ ნახევარში კიმერიის ბოსფორის ნაპირებზე ბერძნებმა თავიანთი ახალშენ-ქალაქების დაარსება დაიწყეს. მათ შორის უფრო მნიშვნელოვანი იყო მილეტის ახალშენი პ ა ნ ტ ი კ ა პ ე ო ნ ი (აწინდელი ქერჩი). პანტიკაპეონის სამხრეთით მდებარეობდა ქალაქი ნ ი მ ფ ე ა. მოკლე დროში სრუტეს მთელი დასავლეთი სანაპირო დაფარულ იქნა ქალაქებით.

ყირიმის მხარის კოლონიზაციის ერთდროულად ბერძნებმა ფანაგორიანთი მოსახლეობა „გაავრცელეს აგრეთვე ტამანის ნახევარკუნძულის მოპირდაპირე მხარეზე. უფრო მნიშვნელოვანი იყო იონელთა ქალაქ ტეოსის ახალშენი ფ ა ნ ა გ ო რ ი ა. მას განსაკუთრებული ადგილი ეკავა კიმერიის ბოსფორის აზიურ ნაწილში[52]. აზოვის ზღვის გასასვლელთან არსებობდა ქალაქი კ ი მ ე რ ი კ ო ნ ი ანუ კ ი მ ე რ ი ა. ფანაგორიის შემდეგ თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილას ითვლებოდა მის სამხრეთით მდებარე დიდი ქალაქი ჰ ე რ მ ო ნ ა ს ა. როგორც ჩანს, იმავე დროს უნდა ყოფილიყო დაარსებული აწინდელი ანაპის ადგილას ახალშენი გ ო რ გ ი პ ი ა — სინდების საატახტო ქალაქი. როგორც ირკვევა, კიმერიის ბოსფორის ზოგიერთი ბერძნული ქალაქის, მაგ., ფანაგორიის და ჰერმონასის, სახელწოდება იმ წინამძღოლებისაგან (ოიკისტებისაგან) მიუღიათ, რომლებიც კოლონისტების ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში მათი გადასახლებისას.

ბოსფორის ქალაქთა შორის ცნობილი იყო აგრეთვე თავისი სავაჭრო ურთიერთობით დონის შესართავის მახლობლად მდებარე ქალაქი ტ ა ნ ა ი ს ი[53], რომლის შესახებ შემონახულია ცნობა, რომ ის ისეთი პუნქტი იყო, სადაც მონათა ბაზარი არსებობდა.

რომელ ტომებთან მოუხდათ ბერძენთა ახალშენებს ურთიერთობა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში?

მათ შესახებ ძვირფას ცნობებს გვაწვდის ისტორიკოსი ჰეროდოტე, რომელმაც პირადად ინახულა ეს მხარე. მის დროს კიმერიელებთან დაკავშირებული პერიოდი უკვე შორეულ წარსულს ეკუთვნოდა და მხოლოდ ადგილობრივ ტოპონიმიკაში იყო დაცული.

ჰეროდოტეს გადმოცემით, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ძირითად მოსახლეობას სკვითები წარმოადგენდნენ. პირველ რიგში ის ასახელებს კალიპიდებს (ჰელენო-სკვითებს), რომლებიც ბორისთენის ზემოთ ცხოვრობდნენ და სხვებზე ადრე განიცადეს ბერძნული კულტურის ზეგავლენა. მათ გვერდით ბინადრობდნენ ალაძონები,

რომლებიც ჰეროდოტეს გადმოცემით, თესავდნენ და ჭამდნენ პურს, ხახვს, ნიორს, ფეტვსა და ოსპს (IV, 17). ჰეროდოტე ცალკე ასახელებს სკვითებს, რომლებიც პურს თესავდნენ არა მარტო თავისთვის, არამედ გასასყიდადაც. ისინი უპირისპირდებიან მომთაბარე სკვითებს, რომლებიც „არც თესავენ და არც ხნავენ". ხოლო ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძლიერი ყოფილან „სამეფო სკვითები", რომლებიც სხვა სკვითებს თავის მონებად თვლიდნენო (IV, 20). ჰეროდოტეს ხშირად ჰყავს დასახელებული სკვითების მეფეები მათში უფრო ტომების გავლენიანი და უფლებამოსილი მეთაურები უნდა შეეიცნოთ. სკვითების პირველ სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკი უფრო გარკვეულად შეგვიძლია ძვ. წ. IV საუკუნის მეორე ნახევრისათვის, როცა დასავლეთ შავიზღვისპირეთში სკვითების მეფის ატევსის მეთაურობით წარმოქმნილა დიდი და ძლიერი ხანმოკლე გაერთიანება.

კიმერიის ბოსფორში დამკვიდრებული ბერძენთა ახალშენები ადგილობრივი მოსახლეობის ორი ძირითადი ჯგუფის, ერთი მხრივ, სკვითების, ხოლო მეორე მხრივ, მეოტების, სინდებისა და სარმატების გარემოცვაში აღმოჩნდნენ.

მიუხედავად მათი ეთნობრივი განსხვავებისა, საგულისხმოა, რომ ისინი თავიანთი სოციალური განვითარების დონით ერთმანეთისაგან დიდად განსხვავებული არ იყვნენ.

ყოველ შემთხვევაში, როგორც ჰეროდოტეს და სხვა ანტიკურ ავტორთა ცნობების, ისე არქეოლოგიურ მონაცემთა მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ბინადარ ადგილობრივ ტომთა ცხოვრებაში მეტნაკლებობით მიმდინარეობდა ქონებრივი კლასების წარმოქმნისა და სახელმწიფოს ფორმირების პროცესი.

ბოსფორის ბერძნულ ქალაქთა შორის თანდათან განსაკუთრებული როლი მიეკუთვნა პანტიკაპეონს. ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში მისი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ მას უკვე ამ დროიდან დაუწყია საკუთარი მონეტის ჭრა. მალე იგი ისეთი პოლიტიკური ცენტრი გამხდარა, რომლის გარშემო ქერჩის სრუტეს რაიონის ყველა დანარჩენი ქალაქი გაერთიანებულა. ასეთი გაერთიანების შედეგი კ ი მ ე რ ი ი ს ბ ო ს ფ ო რ ა დ ანუ უბრალოდ ბოსფორად წოდებული სახელმწიფოს წარმოქმნა იყო, რომლის მთავარი ქალაქი პანტიკაპეონი გახდა.

ისტორიკოს დ ი ო დ ო რ ე ს ი ც ი ლ ი ე ლ ი ს, იმავე სირაკუსელის (ძვ. წ. I საუკუნე) ცნობის თანახმად (Diod., XII, 31) ძვ. წ. 480 წლიდან ბოსფორის ბერძნებს უკვე ერთიანი სახელმწიფო შე-

ექმნიათ, რომელშიც თავდაპირველად ხელისუფლება იმ გვარის წევრებს ჰქონიათ მიკუთვნილი, რომელთაც თავი ვინმე არქეანაკტისაგან წარმოშობილად მიაჩნიათ, მაგრამ ძვ. წ. 438—437 წ. არქეანაკტიდების მმართველი დინასტია სპარტაკიდების ახალ დინასტიას შეუცვლია. სპარტაკიდები მემკვიდრეობითი წესით განაგებდნენ ბოსფორის სახელმწიფოს ძვ. წ. II საუკუნის დასასრულამდე.

ბერძნები სკვითების ტომებისაგან ვაჭრობის საშუალებით იძენდნენ ხორბალს, საქონელს, თევზს, ბეწვეულს, ტყავს, მატყლს, თაფლს და ცვილს და აგრეთვე მონებს. თავის მხრივ ადგილობრივ მოსახლეობას აწვდიდნენ ბერძნული ხელოსნობის ნაწარმს, ღვინოს, ზეთს და ფუფუნების საგნებს.

ბერძნული ახალშენები თითქმის ათასი წლის განმავლობაში არსებობდნენ შავი ზღვის ნაპირზე. თითოეული ახალშენი მეტროპოლიიდან გადმოღებულ წყობილებას ადგილობრივ პირობებს უთანხმებდა. ზოგმა მათგანმა, ტირასმა, ოლბიამ, ქერსონესმა მონათმფლობელური პოლისები, ქალაქი-სახელმწიფოები შექმნეს ანტიკური დემოკრატიული წყობილების საფუძველზე. სხვებმა—პანტიკაპერნმა, ფანაგორიამ —მოახერხეს ფართო გაერთიანება და ისეთი სამეფო ტიპის დიდი სახელმწიფოს წარმოქმნა, როგორიც იყო ბოსფორის სამეფო. მაგრამ როგორც საბერძნეთში, ისე აქაც ბერძენთა ახალშენებს სრული შეკავშირებისა და ერთიანი სახელმწიფოს დაარსებისათვის არასოდეს მიუღწევიათ, პირიქით, მათში ხშირი იყო ქიშპობა და ზოგჯერ ბრძოლაც[34].

ამასთან ერთად ბერძენთა კოლონიზაციის გათვალისწინებისას საერთოდ უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი დაწყებისა და განვითარების პერიოდში ის ადგილობრივი ტომები, რომლებთანაც ბერძენ კოლონისტებს ურთიერთობის დამყარება უხდებოდათ, უმთავრეს ნაწილად ისეთ სამეურნეო და სოციალურ ვითარებას განიცდიდნენ, რომელსაც შეეძლო მოსულთა და დამხდურთა სავაჭრო დაკავშირების საურთიერთო მოგების უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით ბერძნული კოლონიზაცია ორმხრივი პროცესია, რომელიც ერთნაირად არის შეპირობებული როგორც საბერძნეთის ისტორიული განვითარების მსვლელობით, ისე ამ ადგილობრივ მოსახლეობათა ისტორიული განვითარებით[35].

თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძენთა კოლონიზაციას ბერძნული მოსახლეობის სამეურნეო და საზოგადოებრივი განვითარების დარგში, ამაზე საუბარი ცალკე გვექნება VII—VI საუკუნეებში საბერძნეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარების განხილვისას. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ პირველად ახალ-

შენებში წარმოიშვა ბერძენი ტომების საერთო სახელწოდება ჰელინები და საბერძნეთისა—ჰელადა და ჩამოყალიბდა სხვა ხალხებისადმი დამოკიდებულება: ყველა ხალხი, რომლებიც არა რომელიმე ბერძნულ დიალექტზე ლაპარაკობდა, მათი წარმოდგენით „გაუგებრად“ ტიტინებდნენ და მათ „ბარბაროსები“ უწოდეს[56].

2. საბერძნეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარება VII—VI საუკუნეებში. მიწათმოქმედთა მძიმე მდგომარეობა და ჰესიოდე. მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი

VII—VI საუკუნეებში საბერძნეთმა წარმოების ყველა დარგში მძაფრი წინსვლა განიცადა. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა რკინის რჩილვისა და ჩამოსხმის ხერხის გამოგონება უნდა აღვნიშნოთ. პირველს ანტიკური ტრადიცია გლავკოს ქიოსელს და მეორეს სამოსელ ოსტატებს რეკოსსა და თეოდორეს მიაწერს.

ძველ პრიმიტიულ ხერხთან შედარებით ამ ახალ გამოგონებათ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მეორე მხრივ, თუ წინათ საბერძნეთში რკინისა და სპილენძის მაღაროების დამუშავება ადგილობრივად არ წარმოებდა და ამ ლითონების საჭირო ნატეხებს ბერძნები უცხოელ ვაჭრებისაგან იძენდნენ, ამიერიდან რკინის მაღაროები საბერძნეთის მრავალ ადგილას გაჩნდა, ხოლო სპილენძის ამოღებას უმთავრესად კვიპროსსა, კუნძულ ევბეასა და არგოლიდაში აწარმოებდნენ. ვერცხლისა და ოქროს ამოღება კი შედარებით ფართოდ წარმოებდა სიფნოსისა და თასოსის კუნძულებზე, ატიკაში (ლავრეიონის მაღაროები), თრაკიაში, მაკედონიაში, ეპირში, ლიდიაში. არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ კალა ბერძნებს არა მარტი ესპანეთიდან და შორეული ჩრდილოეთიდან შემოჰქონდათ, არამედ თვითონაც ადგილობრივად აწარმოებდნენ მის დამუშავებას დელფოს მახლობლად.

ამოღებული მადნის დასამუშავებლად გამოგონებულ იქნა აგრეთვე პატარა ღუმელები. ბერძნული მეტალურგიის მთავარი ცენტრები გახდნენ სამოსი, კნოსი, კორინთო, ქალკიდა, ლაკონიკა, ეგინა, ლესბოსი[57].

შემდგომ განვითარებას განიცდის საფეიქრო და სათელავი ხელოსნობა. ჩნდება ისეთი საფეიქრო სახელოსნოები, რომლებიც გასაყიდად ამზადებდნენ ნაირფერად შეღებილ ქსოვილებს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მილეტი და იგი სამღებრო და საფეიქრო წარმოების ცნობილი ცენტრი გახდა. საფეიქრო წარმო-

ება მეცხვარეობის ფართო განვითარებას მოითხოვდა და მილეტმა მართლაც გაითქვა სახელი თავისი მაღალხარისხოვანი ნაზი მატყლით. დიდად ფასობდნენ მილეტის ცხვრები, რომლებიც ნაზ თხელ მატყლს იძლეოდნენ. ზოგიერთი სხვა ქალაქიც ცდილობდა შეეძინა და გაემრავლებინა მილეტური ცხვრები. სელის ნაზი ქსოვილებით კი განთქმული იყო კუნძული ამორა.

ღვინისა და ზეითუნის ზეთის შესანახ და გადასატან საცავწონის, ვაზებისა და საოჯახო ჭურჭლეულობის დამზადების საჭიროებას კერამიკის განსაკუთრებული განვითარება გამოუწვევია. ამ დარგში შესამჩნევ წარმატებას აღწევენ ათენი და კორინთო. ზოგიერთ მხატვრულად მოხატულ ვაზაზე გადმოცემულია სცენები, რომლებიც კარგად ასახავენ მონების შრომის პირობებს კერამიკულ სახელოსნოში. ასე, მაგ., ერთ შავფიგურიანან თასზე (სკიფოსზე) გამოსახულია სახელოსნოს წინ მჯდომარე პატრონი, რომელსაც ერთ ხელში უჭირავს კილიკოსი (სასმისი), ხოლო მეორე, გაქცეული მონისათვის მოუღერებია. იქვე მეორე მონა ათვალიერებს სკიფოსს; მის მახლობლად ლაქითა და ფუნჯით დგას ქილა. ხელოსნობის სხვა დარგებზე აღარ შევჩერდებით.

მართალია, ამ პერიოდში მიწათმოქმედება კვლავ საპატიო ხელობად ითვლებოდა და მიწასთან დაკავშირებული ადამიანები, განსაკუთრებით მიწის მსხვილი საკუთრების მფლობელები, პოლიტიკურ ცხოვრებაში წამყვან როლს თამაშობდნენ, მაგრამ მიწათმოქმედების ტექნიკა დიდად არ შეცვლილა, თუმცა მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და უფრო სარფიანი გახდა მებაღეობა-მებოსტნეობა, ვენახებისა და ხეხილის გაშენება.

წარმოების ტექნიკის განვითარებასთან ერთად მიმდინარეობს შრომის დიფერენციაციის შემდგომი ზრდა. პირველ რიგში ქალაქის ხელოსანთა შრომისაგან განცალკევდება სასოფლო-სამეურნეო შრომა, ხოლო თვით ხელოსნობის შიგნით ჩნდება ახალი სპეციალობანი; ასე, მაგ., ლითონის დამუშავების დარგში განცალკევებულად გვევლინებიან ნალბანდები და ჩამომსხმელები, კერამიკაში—მექოთნეები და მომხატველები და ა. შ. ამავე დროს იწყება ცალკეულ ქალაქებში სახელოსნო პროდუქციების თავისებური სპეციალიზაცია: კორინთო ცნობილი გახდა კერამიკული წარმოებით და ჯაჭვკურტაკებით, მილეტი — მაღალხარისხოვანი მატყლით, ქსოვილებით და კერამიკით, ლესბოსი — ღვინით და ლითონის ჭურჭლით.

სასაქონლო წარმოების პროდუქციით ვაჭრობა თანდათან ფართოვდებოდა და ნათელი ხდებოდა, რომ საქონელი ღირებულების

საზომად აღარ ვარგოდა. როგორც ვიცით, პირველად ბაბილონიასა და ეგვიპტეში შემოვიდა ხმარებაში კეთილშობილი ლითონები, უმთავრესად ვერცხლი, ხოლო შემდეგ კი ოქრო. ბაბილონური სისტემა, ზოგიერთი ცვლილებებით, გადავიდა წინა აზიაში, ნაწილობრივ ეგვიპტეში, ბოლოს საბერძნეთში. ვერცხლისა და ოქროს ნაჭრები ზოგან ზოდის ფორმისა იყო, ზოგან კი, მაგ., ეგვიპტეში, რგოლების სახის (დებენები). ზოგ მათგანზე განსაკუთრებულ ნიშნებს ათავსებდნენ — ამა თუ იმ ქალაქის ტვიფრს, როგორც გარანტიას, რომ ისინი კეთილშობილი ლითონების განსაზღვრულ ოდენობას შეიცავდნენ. მაგრამ მოხსენებული ქვეყნები ფულის მოჭრის გამოგონებამდე არ მისულან.

ფულის მოჭრა პირველად ლიდიამ შემოიღო ძვ. წ. VII საუკუნის პირველ მეოთხედში. ისტორიკოს ჰეროდოტეს თქმით (I, 94) ლიდიელებმა პირველებმა მოიგონეს ოქროსა და ვერცხლის ფულის ჭრა და ისინივე იყვნენ წვრილი საქონლით პირველი მოვაჭრენი. მართლაც, ლიდია მდიდარი იყო თეთრი ოქროთი და ვაჭრობის მხრივაც ფრიად ხელსაყრელი მდებარეობა ეკავა. სიმპტომატურია, რომ ფულის ჭრა თითქმის ერთსა და იმავე დროს იწყება მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე და კორინთოს ყელზე[38]. როგორც ჩანს, ლიდიის მაგალითს მალე წაბაძეს მცირეაზიურმა ქალაქებმა — მილეტმა, ეფესომ, სამოსმა, ქიოსმა და შემდგომ ისეთმა ადგილებმა, როგორიც იყვნენ კორინთო, ევბეა, ეგინა, ქალკიდა, ერეტრია და ათენი.

ხმელეთის საბერძნეთში შემოღებულ იქნა ზომა-წონისა და მონეტის ორი სისტემა: ევბეისა და ეგინის. ამ სისტემების საფუძველს ტალანტი წარმოადგენდა და ორივეში ტალანტი 60 მინას უდრიდა, მინა — 100 დრახმას ან 50 სტატერს, დრახმა—6 ობოლს. კერძოდ ათენში ჯერ ეგინის სისტემა იყო გავრცელებული, ხოლო სოლონის დროს ის ევბეის სისტემით იქნა შეცვლილი. ეგინის სისტემამ კი ძვ. წ. V საუკუნის ნახევრამდე შეინარჩუნა მნიშვნელობა მრავალ კუნძულზე და პელოპონესში. თავისებური იყო მონეტის კორინთული სისტემა, რომელიც გავრცელებულა იტალიაში, სიცილიაში, ქალკიდიკაზე.

მონეტის შემოღებასა და ფულზე გაცვლა-გამოცვლის განვითარებასთან ერთად ძველი ბერძნების სამეურნეო ცხოვრებაში თანდათან ფართოვდება ფულადი ოპერაციები და მევახშეობა.

VII—VI საუკუნეებში ბერძენთა სამეურნეო ცხოვრებაში წამყვანი როლი ეკუთვნოდა მცირე აზიის სანაპიროს მდიდარ საკაჭრო ქალაქებს.

მათ შორის გამოირჩეოდა უკვე დასახელებული ქალაქი მილეტი. გარდა კუნძულ ეგინასი, თვით საბერძნეთში VII საუკუნის დამდეგისათვის თავისი სავაჭრო ურთიერთობით განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ქალაქმა კორინთომ, რომელიც პელოპონესიდან შუა საბერძნეთში ხმელეთით მიმავალ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმართულ საზღვაო გზაჯვარედინებზე მდებარეობდა. კორინთოს დიდი მეტოქე სავაჭრო ურთიერთობისა და ხელოსნური წარმოების დარგში VI საუკუნის დასასრულიდან გახდა სახელგანთქმული ქალაქი ათენი, რაც შეეხება დასავლეთს, აქ ისეთი თავდაპირველადი მიწათმოქმედებითი ახალშენები, როგორიც იყვნენ სირაკუზი, ტარენტი. სიბარისი, VI საუკუნის დასაწყისიდან ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრები გახდნენ.

ვაჭრობისა და სავაჭრო ურთიერთობის გაფართოებასთან დაკავშირებით შესამჩნევ განვითარებას განიცდის ზღვაოსნობა. უწინარეს ყოვლისა სანავიგაციო პერიოდი 7—8 თვემდე გრძელდება; ნაპირებზე შენდება სპეციალური სანავსადგურო ნაგებობები; ასე, მაგ., სამოსელებს მიეკუთვნება ფრიად მნიშვნელოვანი ყორე-მიწაყრილის აგება; კორინთოელებს კი ჰოროხისაგან გაუწმენდიათ ის სრუტე, რომელიც კუნძულ ლევკალას ხმელეთისაგან ყოფს; კორინთოს ტირან პერიანდრეს მიზნად დაუსახავს სარონისა და კორინთოს სრუტეების შეერთება არხით, მაგრამ მხოლოდ ხენაფენი აუგია ხომალდების გადასათრევად.

ამავე პერიოდში წინანდელი ბრტყელძირა პატარა ხომალდები, რომლებიც არსებითად ნავებს წარმოადგენდნენ, უფრო დიდი მსწრაფლმავალი ხომალდებით იქნა შეცვლილი. მათ განსაკუთრებული ხეტყისაგან აგებდნენ. ისტორიკოს თუკიდიდეს გადმოცემით (I, 13), კორინთოელმა ამინოკლემ სამოსელებს ოთხი ხომალდი აუგო. მყარდება განსხვავება სამხედრო ხომალდებს — „პენტეკონტერებსა" (მენიჩბეთა ხუთი იარუსით) და სატვირთო ხომალდებს შორის. პირველი სახის ხომალდები მოძრაობაში უმეტესად მათზე მყოფ ორმოცდაათ მენიჩბეს მოჰყავდა, სატვირთო ხომალდები კი, რომელნიც უფრო ფართო მოცულობისა იყვნენ, უმთავრესად აფრების დახმარებით მოძრაობდნენ. ამ პერიოდის დასასრულს გამოგონებულ იქნა მსწრაფლმავალი ტრიერები, რომლებსაც უკვე ორასი მენიჩბე ამოძრავებდა.

ახალ სამეურნეო-საზოგადოებრივ პირობებში შეიცვალა ქალაქების არა მარტო გარეგნული სახე, არამედ უმთავრესად მათი მნიშვნელობა ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ძველი „ქალაქი", რომელიც გორაკზე გამართულ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა, სადაც რამდენიმე წარჩინებული გვარი ბინადრობდა, ფართო სავაჭრო და სამრეწველო ცენტრი გახდა და წარჩინებულთა დასაყრდნობიდან ის ისეთ ცენტრად გადაიქცა, რომლის გარშემო ამ გვაროვნული არისტოკრატიის მოწინააღმდეგე ძალებმა მოიყარა თავი. თავდაპირველი მნიშვნელობა ტერმინისა „პოლისი" იყო სწორედ „ციხე". ის მტრის თავდასხმის შემთხვევაში თავშესაფარი უნდა ყოფილიყო. აქვე ცხოვრობდნენ ადგილობრივი არისტოკრატიული გვარების წარმომადგენლები, რომლებიც ბატონობდნენ მიდამოების მოსახლეობაზე. ვაჭრობისა და წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით ციხე-პოლისი და წარჩინებული გვარების მიმდებარე მოსახლეობა მალე გარემოცულ იქნა სახელოსნო და სავაჭრო კვარტალებით და გარეუბნებით. სიტყვა „პოლისს" სხვა-გვარი, უფრო ფართო მნიშვნელობა მიენიჭა.

ამ პერიოდში ძველი გვაროვნული ინსტიტუტები სრულ გადაგვარებას განიცდიან და გვაროვნული დიდკაცობის ბატონობის იარაღად გარდაიქმნებიან. ამასთან დაკავშირებით მკაცრდება გვაროვნული ოლიგარქიის დამოკიდებულება ფართო მასებისადმი. წარჩინებული გვარები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთიმეორეს, რათა მტკიცედ დაეცვათ თავიანთი დასაყრდენი ორგანიზაცია. მაგრამ თვით ამ გვარებს შორის იწყება და ვითარდება ერთგვარი დიფერენციაციაც.

ნაწილი გვაროვნული არისტოკრატიისა, უმთავრესად გაღატაკებული გვარები, მიუხედავად ვაჭრის ხელობისადმი ერთგვარი მედიდური დამოკიდებულებისა, ებმებიან მეტროპოლიასა და ახალშენებს შორის სავაჭრო ურთიერთობაში და სხვებთან შედარებით თავისი ოპოზიციური სულისკვეთებით განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ საზოგადოებაში. ამ ხანში აღმოსავლური ფუფუნების საგნების შეძენა გვაროვნული არისტოკრატიის მიერ ერთგვარი მოდის ხასიათს იღებს. ამიტომ იგი იძულებულია მის მოსაპოვებლად ხელი აიღოს ქონების ნაწილზე და ამით გაბატონებულ მოდას არ ჩამორჩეს. მეორე მხრივ, აღნიშნული არისტოკრატიის ის ნაწილიც, რომელიც ჩაბმული იყო საზღვაო ვაჭრობაში, სავაჭრო ექსპედიციის წარუმატებლობის შემთხვევაში ხშირად დიდ გასაჭირში ვარდებოდა ხოლმე. ამ ნიადაგზე ძველი გვაროვნული არისტოკრატიის წიაღში ბევრი გაღატაკებული გვარი წარმოიშვა. ამ პროცესს ხელს უწყობდა სხვა მიზეზებიც: მიცვალებულთათვის სამარეში ძვირფასი ნივთების ჩატარების ჩვეულება, ბრწყინვალე ამალის შენახვა და შთამომავლობის ბუნებრივი ზრდა. ამ მოვლენას ერთგვარი მნიშვნელობა

ჰქონდა საუკუნეებით განმტკიცებული წყობილების შერყევის საქმეში. ძველად კეთილშობილება, სიმდიდრე, პატივი და გავლენა სინონიმები იყო და ღვთისაგან მონიჭებულ სიკეთედ ითვლებოდა; ახლა კი ზოგიერთი „ზევსის შთამომავალი“ კარგავს თავის ქონებას, ღატაკდება, რასაც იმ დროის მიხედვით შეუძლებელია თან არ მოჰყოლოდა მმართველი არისტოკრატიის წრიდან მისი გარიცხვა და ხელისუფლებაში მონაწილეობის აღკვეთა[69].

ბასილევსის, ტომთა ძველი მეთაურის ხელისუფლება, რომელიც უფრო ტრადიციულ ხასიათს ატარებდა, ამ ბრძოლაში უმთავრესად ოლიგარქიის იმ ნაწილს იცავდა, რომელიც ძველებურად მიწის მეურნეობას ემყარებოდა და ქედს არ იხრიდა ვაჭრობით გამდიდრებული არისტოკრატიის წინაშე. მაგრამ ამ უკანასკნელს ბრძოლის გაცილებით მეტი საშუალება ჰქონდა და მან კიდევაც შეძლო ბასილევსის ისედაც დასუსტებული ხელისუფლების შეკვეცა და ბევრგან სრული გაუქმებაც. არისტოკრატიული გვარების სიძლიერის ზრდამ ბოლო მოუღო ბასილევსის ხელისუფლების ავტორიტეტს და ბოლოს ის სრულებით გააუქმა. მემკვიდრეობით ბასილევსების ადგილს თანდათან იკავებენ ყოველწლიურად არჩეული მეთაურები, მაგ., პრიტანი (πρύτανις) კორინთოში და მცირე აზიის ქალაქებში, არქონტი (ἄρχων)—ათენში, დამიურგოსი (δαμιουργός)—არგოსში, ელიდასა და სხვ. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ადგილას ბასილევსების გვარეულობას დიდხან შერჩა საკმაოდ თვალსაჩინო მნიშვნელობა და ახალი უმაღლესი თანამდებობის დაკავების უფლება, ასეთები იყვნენ: ბაკქიადები კორინთოში, პენთილიდები მიტილენში, ბასილიდები ეფესოში და სხვ.

საერთოდ ამ ეპოქის პირველ პერიოდში მთავრდება გვაროვნული დიდკაცობის განკერძოებისა და ოლიგარქიის წარმოშობის პროცესი. გვაროვნული წყობილება ჯერ კიდევ განაგრძობს არსებობას, მაგრამ ძველი გვაროვნული ინსტიტუტები ახლა დაკავშირებულია მცირერიცხოვან წარჩინებულ გვარებთან, რომლებიც ამ ინსტიტუტის ავტორიტეტს თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობის განსამტკიცებლად იყენებენ.

თუ ვაჭრობაში ჩაბმული ცალკეული, უმეტეს ნაწილად გაღატაკებული გვარები უკვე ოპოზიციურ განწყობილებას ააშკარავებდნენ, მმართველი გვარები, მოსახლეობის ქვედა ფენებში წინანდელი გვაროვნული კავშირის დაშლასთან ერთად, უფრო მეტად განკერძოვდნენ ვიწრო ოლიგარქიაში, რომელსაც გვარების მკვეთრად განსაზღვრული რიცხვი შეადგენდა. გვაროვნული ორგანოები გადაგვარდნენ პირველყოფილი დემოკრატიიდან საზიზღარ ოლიგარ-

ქიად, და ამდენად ხალხის ნებისყოფის იარაღიდან საკუთარი ხალხის საწინააღმდეგო ჩაგვრის ორგანოებად გადაიქცნენ.

პროცესი ბასილევსების უფლების ოლიგარქიული ხელისუფლებით შეცვლისა ყველაზე უფრო ადრე ახალშენებში დაიწყო, და ეს არცაა საკვირველი, რადგან აქ ახალ სამეურნეო და კულტურულ პირობებში უფრო ადვილად უნდა განვითარებულიყო ტრადიციული ყოფა-ცხოვრების დაშლა და ახალი სოციალურ-პოლიტიკური მომენტების წარმოქმნა.

გვაროვნული არისტოკრატიის ბატონობის დამყარებამ მეტად მძიმე მდგომარეობა შეუქმნა ხალხის ფართო მასებს. იგი მძიმე უღლად იქცა განსაკუთრებით გლეხების, დღიური მუშებისა (თეტების) და ხელოსნებისათვის.

იმ დროის სოფლის მცხოვრებლებისა და ხელოსნების ბედშავი მდგომარეობის კარგი სურათი მოგვცა ჰესიოდემ თავის პოემაში — „სამუშაონი და დღეები". მართალია ჰესიოდე პოეტი იყო და არა ისტორიკოსი, მაგრამ მის პოეტურ შემოქმედებაში ნათლად გამოკრთის ნამდვილი ამბების გამოძახილი. მწუხარება პოეტ-ეპიკოსის ჰესიოდესი არის იმავე დროს მისი თანამედროვე ბერძენი გლეხის საერთო ჩივილი და სულისკვეთება. ჰესიოდე წერს იმ თავისუფალი მიწათმოქმედის პოზიციებიდან, რომელიც შეურყეველი შრომით ამუშავებს თავისი მიწის ნაკვეთს და რომელსაც ავიწროებენ „ძღვენთა მყლაპავი" ბასილევსები[60].

ჩვეულებრივად ფიქრობენ, რომ ჰესიოდეს მამა იყო მცირეაზიელი ბერძენი, ეოლიური კვიმის მკვიდრი. ერთ დროს ვაჭრობას მისდევდა, მაგრამ იძულებული იყო ამ საქმიანობისათვის თავი დაენებებინა. „ბედის უკეღმა ტრიალის გამო", იგი შემთხვევით მოხვედრილა ბეოტიაში. აქ მას შეუძენია მიწის პატარა ნაკვეთი „ღარიბ სოფელ ასკრაში"[61]. იმ გარემოებას, რომ საბერძნეთის პოლისებში სხვა მხარის ბერძნებს უფლება არ ჰქონდათ მიწა შეეძინათ, თავის დროზე ყურადღება მიაქცია ისტორიკოსმა ბ ე ლ ო ხ მ ა და გარკვეულად აღნიშნა, რომ ჰესიოდეს მამას ბეოტიაში მიწის შეძენა არ შეეძლო; ამ მხრივ, იგი იქამდე მივიდა, რომ თვითონ ჰესიოდე თითქმის მითურ პიროვნებად მიიჩნია[62]. ჰესიოდე გარკვეულად გამოსახული პირველი პიროვნებაა ბერძნულ ლიტერატურაში. ის თვითონ ახსენებს თავის სახელს და გვაწვდის ბიოგარფიულ ცნობებს[63]. ამიტომ უფრო სწორი იქნება, ჰესიოდეს ბიოგრაფია მოკლედ ასე წარმოვიდგინოთ[64]. VII საუკუნის დასაწყისში ჰესიოდეს მამა იძულებული გამხდარა ამა თუ იმ ფიქტიური ფორმით გაეყიდა თავისი მამული ბეოტიაში და გადასახლებულიყო ეოლიის კვიმეში,

სადაც ვაჭრობისათვის მოუკიდია ხელი. მაგრამ მისი საქმე ძლიერ ცუდად წასულა და კვლავ ბეოტიაში დაბრუნებულა. აქ სოფელ ასკრაში, ჰელიკონის მთის ძირში, შეუძენია მიწის პატარა ნაკვეთი და დაუწყია მისი დამუშავება. აქ ეყოლა ორი ვაჟი — ჰესიოდე და პერსე. მამის გარდაცვალების შემდგომ ძმებს შორის მემკვიდრეობის გარშემო დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა.

პერსე თავისი ნაწილით არ დაკმაყოფილებულა და, პირიქით, ჰესიოდეს ხვედრის მითვისება განუზრახავს; მოუხერხებია კიდეც მსაჯულების მოსყიდვა და საქმე მის სასარგებლოდ გადაწყვეტილა. ამგვარად, ჰესიოდეს მწარედ განუცდია თავისი დროის მმართველი წრის წარმომადგენლების — მექრთამე მსაჯულების „სამართალი". მაგრამ დიდხანს არც პერსეს უგრძვნია თავი ბედნიერად, მალე გაკოტრებულა და დახმარებისათვის ისევ მის მიერ უსამართლოდ დაჩაგრული ძმის ჰესიოდესთვის მიუმართავს. ამ ამბავს ჰესიოდე დაწერილებით გადმოგვცემს უკვე დასახელებულ პოემაში „სამუშაონი და დღეები". ამგვარად, მართალია, ამ პოემას თითქოს საფუძვლად უდევს თვით ჰესიოდეს მიერ განცდილი პირადი მწუხარება და უსამართლობა, მაგრამ არსებითად მასში ნატურალისტური ფერადებითაა განსახიერებული იმ დროის გლეხკაცობის საერთო მდგომარეობა, მისი მსოფლმხედველობა, მწუხარება და იმედი. ამ მხრივ მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამართლიანად აღნიშნავს ბ უ ზ ო ლ ტ ი[63].

ჰესიოდეს პოემა დაწერილია ძმა პერსესადმი მიმართული „დარიგების" ფორმით. იგი არწმუნებს პერსეს, ნუ დაენდობა უსამართლობას და გამდიდრება შრომაში ეძიოს. გამდიდრების უმნიშვნელოვანეს საშუალებად პოეტს მიწათმოქმედის შრომა მიაჩნია. პოემაში იგი ჩამოთვლის მიწათმოქმედებითი წლის ყველა სამუშაოს— შემოდგომის თესვიდან დაწყებული და აღწერს ბუნებას წლის სხვადასხვა დროს. გამდიდრების მეორე წყაროდ მას საზღვაო ვაჭრობა შიაჩნია, მაგრამ ამ საქმეს ბეოტიელი გლეხისათვის ჩვეული უნდობლობით უცქერის. პოემის უკანასკნელ ნაწილში ჩამოთვლილია „სასიკეთო" და „არასასიკეთო" დღეები.

ჰესიოდე ცხოვრობდა ორი სამყაროს მიჯნაზე: ერთი მათგანი იყო ძველი, პატრიარქალური, ხოლო მეორე ახალი, ამომავალი სამყარო მთელი თავისი სამეურნეო ცვლილებებითა და სოციალური გარდაქმნით. მის პოეტურ თვალს არ გამოპარვია ამ ტრანსფორმაციის სიმძიმე და გვიანდერძა მისი წარუშლელი სურათი. მგოსნის მიერ მოსწრებულად ასახულ დასურათებაში თავისუფლად ვკითხულობთ იმ დროის საზოგადოებრივ ურთიერობაში გაბატონებულ სიტლან-

ქეს, უსამართლობას, ერთიმეორის გაუტანლობასა და ხალხის უმრავლესობის უაღრესად მძიმე მდგომარეობას. ჰესიოდეს სიტყვით, კაცობრიობამ განიცადა რამდენიმე ერთიმეორის შემცვლელი ეპოქა: ჯერ იყო ოქროს საუკუნე, მას მოჰყვა ვერცხლის ხანა, შემდეგ სპილენძისა და გმირული. ეს უკანასკნელი ტროას კედლებთან დასრულდა და დაიწყო რკინის საუკუნე (ამ ხანაში უხდებოდა ცხოვრება ჰესიოდეს თაობას). თუ ოქროს საუკუნეში კაცობრიობა ბედნიერ ცხოვრებას ატარებდა და არ იცოდა მწუხარება და გაჭირვება, შემდგომ საუკუნეებში მისი არსებობის პირობები თანდათან გაუარესდა; განსაკუთრებით აუტანელი შეიქნა ეს პირობები „რკინის საუკუნეში".

ბეოტიელი პოეტი ოქროს საუკუნეს ასე ახასიათებს: „უწინარეს ყოვლისა, ოლიმპის სამყოფთა მფლობელმა, მარად მცხოვრებმა ღმერთებმა შექმნეს ადამიანთა ოქროს თაობა. იყო კიდევ იმ დროს კრონოსი მბრძანებელი ზეცის მეუფე. ცხოვრობდნენ ეს ადამიანები ღმერთებივით, მშვიდი და წმინდა სულით და არ იცოდნენ მწუხარება და შრომა, ხოლო მოსაწყენი სიბერე მათთან მიახლოვებას ვერ ბედავდა, მუდამ ერთნაირად ძლიერი იყო მათი ხელ-ფეხი. ნადიმებში ატარებდნენ ისინი სიცოცხლეს და კვდებოდნენ, თითქოს ძილით მოცულნი. ნაკლოვანება არაფერში მათთვის ცნობილი არ იყო. დიდ და უხვ მოსავალს თვითონ იძლეოდნენ პურისმოსავლიანი ყანები. ისინი კი, რამდენიც სურდათ, შრომობდნენ და მშვიდად აგროვებდნენ დოვლათს, — მრავალ ჯოგთა მფლობელნი, უნეტარესთა გულის სანუკვარნი. მას შემდეგ, რაც მიწამ დაფარა ეს თაობა, ყველა ისინი მიწისზედა სახიერ დემონებად იქცნენ, დიდი ზევსის ნებით დედამიწაზე იცავენ ადამიანებს, თვალმახვილად ჩვენს მართალსა და არამართალ საქმეებს უცქერიან, ეხვევიან რა ნისლოვან წყვდიადში, მთელ დედამიწას შემოივლიან და ადამიანებს დოვლათს ანიჭებენ. ასეთი სამეფო პატივი ერგოთ მათ" (ჰესიოდეს „სამუშაონი და დღეები", 109—126, ვ. ვ ე რ ე ს ა ე ვ ი ს თარგმანის მიხედვით).

ოქროს საუკუნეში მეფობდა, ჰესიოდეს სიტყვით, კრონოსი — ღმერთი, რომელიც სამყაროს ზევსამდე განაგებდა. მის დროს სულ სხვა წესრიგი იყო, ვიდრე ზევსის დროს, სულ სხვა ცხოვრება: ადამიანი აბსოლუტურად თავისუფალი იყო და არაფერი აწუხებდა.

საფიქრებელია, რომ ჰესიოდეს „ოქროს საუკუნე" გვაროვნული წყობილების იდეალიზებულ მოგონებას წარმოადგენს.

საერთოდ რწმენა, რომ უხსოვარ დროს კაცობრიობა განიცდიდა ოქროს საუკუნეს, თავისებურ „სამოთხეს", ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ქვეყნებში და განსაკუთრებული სიცხადით გვევლი-

ნება კრონოსატურნის სარწმუნოებაში. ცნობილ ეთნოლოგს ფ რ ე-ზ ე რ ს ეს მომენტი კარგად აქვს დახასიათებული: „მრავალ ხალხს ჰქონდა ჩვეულება, რომელიც აწესებდა სრული და სავსებით შეუკავებელი თავისუფლების ყოველწლიურ პერიოდს; ამ პერიოდის განმავლობაში უკუაგდებდნენ კანონისა და ზნეობის მიერ დამყარებულ ჩვეულებრივ შეზღუდვას; მთელი მოსახლეობა ეძლეოდა უსაზღვრო მხიარულებასა და ლხინს; ყოველგვარ, თითქმის სავსებით თავაშვებულ, სურვილს ენიჭებოდა გასაქანი და ისეთი თავისუფლებით იჩენდა თავს, რომელსაც ჩვეულებრივი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობის დროს არავინ არასოდეს დაუშვებდა. ადამიანის ბუნების ჩვეულებრივად თავდაკავებულ ძალთა ამ ანთებასა და გამოჩენას, რომლებიც ძლიერ ხშირად უფრო ველურის და ხან ვნებიანი, ხან სისხლიანი ორგიებით გამოისახებოდა, ადგილი ჰქონდა უმეტესად წლის ბოლოს და დაკავშირებული იყო მიწის მეურნეობის ამა თუ იმ მთავარ პერიოდთან. საზღვარდაუდებელი თავისუფლების ამ პერიოდთაგან ერთი სხვებზე უკეთესად არის ცნობილი; ეს არის ს ა ტ უ რ ნ ა ლ ი ე ბ ი ს პერიოდი. ხალხი მასში ხედავდა თესვისა და მიწის მეურნეობის ღმერთის სატურნის (რომელიც უხსოვარ დროს ცხოვრობდა დედამიწაზე და იყო იტალიის სამართლიანი და კეთილისმყოფელი მეფე) მხიარული მეფობის შესახებ მოგონებას. მან დაასახლა ერთად პირველყოფილი მთიელები, რომლებიც წინათ გაფანტულად და განცალკევებულად ცხოვრობდნენ, ასწავლა მათ მიწის დამუშავება, მისცა მათ კანონები და მშვიდობიანად განაგებდა მათ. მისი მეფობა იყო სწორედ ზღაპრული ოქროს საუკუნე; დედამიწა უხვად იძლეოდა მოსავალს; ომი და განხეთქილება დისონანსად არ იჭრებოდა ამ ბედნიერ სამყაროში; გამდიდრების დამღუპველ შხამს ჯერ კიდევ არ მოეწამლა შრომისმოყვარე და თავისი ხვედრით კმაყოფილი გლეხობის სული, მონობა მაშინ ისევე უცნობი იყო ადამიანისათვის, როგორც კერძო საკუთრება, — ყველა საგანი საერთო სახალხო საკუთრებას წარმოადგენდა. დღესასწაული, მხიარულება და ყოველგვარი სიამოვნებით უსაზღვრო გატაცება—აი ის თვისებები, რომლებიც, ალბათ, ძველი დროის ამ კარნავალის განმასხვავებელ მომენტებს წარმოადგენდა; იგი სრულდებოდა 7 დღის განმავლობაში, დეკემბრის 17-დან 24-მდე, ძველი რომის ქუჩებში, მოედნებზე და სახლებში. მაგრამ ამ დღესასწაულის არც ერთი თვისება არ არის იმდენად ყურადღების ღირსი და, როგორც ჩანს, არაფერი ისე არ აოცებდა თვითონ ძველ ადამიანებს უფრო მეტად, ვიდრე შეუზღუდავი თავისუფლება, რომელიც ამ დროის განმავლობაში ენიჭებოდა მონებს, განსხვა-

ვება თავისუფალთა კლასსა და მონათა კლასს შორის დროებით ისპობოდა. მონას შეეძლო ბესხარად აეგდო თავისი ბატონი, დამთვრალიყო, როგორც ის, დამჯდარიყო სუფრასთან მასთან ერთად, და არავის შეეძლო ასეთი საქციელისათვის, რომელიც სხვა დროს მას თავზე დაატეხდა ჯოხით დასჯას, ციხეს და თითქმის სიკვდილით დასჯას, რაიმე საყვედური ეთქვა. უფრო მეტიც: ბატონები უცვლიდნენ თავის მონებს როლს და ემსახურებოდნენ მათ სუფრაზე და მანამდე, სანამ მონა არ გაათავებდა სმა-ჭამას, სუფრა არ იყო თავისუფალი და ბატონს სადილს ვერ მიართმევდნენ. როლების ეს შეცვლა იმდენად თანმიმდევრობით იყო გატარებული, რომ თითოეული სახლი ხდებოდა, თითქოს რესპუბლიკის პაროდია, რომელშიც უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი მონებს ეკავათ, რომლებიც განკარგულებას იძელოდნენ და სისრულეში მოჰყავდათ კანონები, ისე თითქოს ისინი მართლაც ყოფილიყვნენ აღჭურვილი კონსულის, პრეტორის, მოსამართლის წოდებით...

როგორც ჩანს, იტალიის გარეშეც, ანტიკური სამყაროს სხვადასხვა ადგილას სრულდებოდა დღესასწაულები, რომლებიც ზოგადად ისეთსავე ხასიათს ატარებდა, როგორსაც სატურნალიები. სატურნალიების დამახასიათებელი თვისება, როგორც ვხედავთ, ის იყო, რომ ამ დღესასწაულის დროს ს ო ც ი ა ლ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი, თ ი თ ქ ო ს ყ ი რ ა მ ა ლ ა დ გ ე ბ ო დ ა; ბატონები მონების ადგილს იკავებდნენ და ემსახურებოდნენ მათ... საბერძნეთის სხვადასხვა ნაწილში ზოგიერთი დღესასწაული მონების ასეთივე თავისუფლების ილუზიით განსხვავდებოდა. ასე, კრეტაზე ჰერმესის დღესასწაულის დროს მონები ქეიფობდნენ, ბატონები კი მათ ემსახურებოდნენ. ტრეზენელები ასრულებდნენ დღესასწაულს, რომელიც მრავალ დღეს გრძელდებოდა; ამ დღესასწაულის ერთი დღე იმით ხასიათდებოდა, რომ მონები თავის ბატონებთან ერთად იქცევდნენ თავს და ბატონები მათ ნადიმზე იპატიჟებდნენ. თესალიელებს ჰქონდათ დიდი დღესასწაული, რომელსაც პელორიებს უწოდებდნენ. ბატონ სინოპელი ამ დღესასწაულს სატურნალებთან აიგივებს; მის სიძველეზე მიუთითებს ის, რომ ტრადიცია მას პელასგებს მიაწერს. ამ დღესასწაულის დროს სრულდებოდა მსხვერპლშეწირვა ზევს პელორიელისადმი; დგამდნენ საუცხოოდ მორთულ მაგიდებს; ნადიმზე იწვევდნენ ყველა უცხოელს; ყველა დაპატიმრებულს ათავისუფლებდნენ საპყრობილედან; დასასრულ, მონები მონაწილეობას იღებდნენ ლხინში, სარგებლობდნენ სიტყვის თავისუფლებით და მათ ემსახურებოდნენ მათი ბატონები. ხოლო ყველა ბერძნული დღესასწაულისაგან იტალიის სატურნალიებს ყველაზე უფრო მეტად

შეესაბამებოდა კრონიები ანუ კრონოსის დღესასწაული. ბარბაროსული მითი ამ ღმერთზე და სასტიკი რიტუალი ცხადად გვიჩვენებს, რომ ეს მითი ბერძნული სარწმუნოების ფრიად ადრინდელ ფენას ეფარდება; ამას ისიც უნდა მივუმატოთ, რომ ძველადვე არსებობდა ერთსულოვანი აზრი კრონოსის და სატურნის იგივეობისა. არსებულ მოწმობათა მიხედვით, ეს დღესასწაული სრულდებოდა საბერძნეთის უმეტეს ნაწილში, მაგრამ განსაკუთრებით პოპულარული იგი ათენში იყო. მის ცენტრალურ მომენტს წარმოადგენდა მხიარული ნადიმი, რომლის დროსაც მონები და ბატონები ერთად ისხდნენ... გადმოცემით, ატიკის პირველმა მეფემ კეკროპსმა ბრძანა, რათა მკის დამთავრების შემდეგ მონებს და ბატონებს ერთად მიეღოთ მონაწილეობა საერთო ლხინში... გარდა ამისა, არის მონებისადმი გარკვეული თავისუფლების მინიჭების კვალი ღვინის ჭურების ახდის დიონისური დღესასწაულის დროს... როგორც სატურნს, ისე კრონოსს, თაყვანს სცემდნენ, როგორც მეფეს, რომელიც განაგებდა ზეცასა და დედამიწას ნეტარ ოქროს საუკუნეში, როდესაც ადამიანები ღმერთების მსგავსად ცხოვრებას ატარებდნენ შრომისა და დარდის გარეშე, როდესაც მათი ცხოვრება მხოლოდ დაუსრულებელი დღესასწაულები იყო, სიკვდილი კი მოდიოდა, როგორც მსუბუქი და მოულოდნელი სიზმარი[66].

როგორც აღვნიშნეთ, ჰესიოდეს სწამდა შორეულ წარსულში ასეთი ოქროს საუკუნის არსებობა და მით უფრო მეტი გულისტკივილით აღნიშნავდა რკინის საუკუნის უკუღმართ პირობებს, მმართველი წრეების ძალმომრეობას, უსამართლობასა და მექრთამეობას; თავისი დროის დასახასიათებლად მას აღნიშნული აქვს საყურადღებო არაკი ქორსა და ბულბულზე: ჭრელფრთებიან ქორს ზეცისაკენ აუტაცნია ბულბული — მგალობელი და მაგრად ჩაუსვამს მის ნაზ სხეულში თავისი გამრუდებული კლანჭები. იგი მედიდურად ეუბნება საცოდავ ბულბულს: ბრიყვო, რა გაყვირებს? შენთვის საჭირო არ არის მაინცდამაინც ბედზე წუხილი, რაკი შენზე გაცილებით უფრო ძლიერ უწარჩინებულეს მბრძანებელის ხელში ხარ; მოვისურვებ — შეგჭამ, არა-და თავისუფლებას დაგიბრუნებო. „ასე ეუბნებოდა მას ქორი ფრთოსანი, მარდი ფრინველი. ის, ვინც მოისურვებს ებრძოლოს უძლიერესს, გიჟია: დაკარგავს იგი სასურველ გამარჯვებასაც და სირცხვილის ტკივილებსაც განიცდის“.

ერთი სიტყვით, პოეტს სურს გვითხრას, რომ მის დროს სიმართლე და პატიოსნება ისევე იტანჯებოდა თავაშვებული ძალმომრეობის კლანჭებში, როგორც ბულბული ქორის ბრჭყალებში; ამაოდ შეებრძოლებოდა სუსტი და ღარიბი წარჩინებულთა უსამართლობა-

სა და ბოროტებას, რადგან უფრო მეტ შევიწროებასა და შეურაცხყოფას მიიღებდა შედეგად. მგოსანი ჰგოდებს, რომ სირცხვილი და ნამუსი დაიკარგა და მათი ადგილი სიცრუემ და სიტლანქემ დაიკავა: „უკეთესი იყო, ასეთ დროს არ მეცხოვრაო“, ამბობს იგი.

ჩვენ უკვე გავეცანით სამართლის წარმოებას ჰომეროსის ეპოქაში. ჰესიოდეს დროს ამ მხრივ მდგომარეობა არსებითად შეცვლილა. ახლა სამართლის წარმოება ძირითადად გვაროვნული არისტოკრატიის წარმომადგენლების — ბასილევსების ხელშია, რომელთაც პოეტი მსუნაგებად და უტიფარ მსაჯულებად ახასიათებს. მართლმსაჯულების საკითხთან დაკავშირებით იგი გვიხატავს იდეალურ პილოსს, სადაც როგორც ადგილობრივთათვის, ისე უცხოელთათვის სამართლიანი სასამართლო ბატონობს და არა „ძღვენთა შემყლაპავი“ მეფეთა სამართალი. ჩანს, სასამართლო საზოგადოებისაგან ჩამოშორებული და საზოგადოებაზე მაღლა მდგომი ორგანო გამხდარა[67].

განსაკუთრებით აფიქრებს პოეტს იმ წვრილი გლეხობის მძიმე ხვედრი, რომელიც დროზე გადაუხდელი ვალების გამო ხშირად ვარდებოდა არისტოკრატიის კაბალაში. ეს უკანასკნელი კი სავსებით გაუტაცნია ყოველგვარი საშუალებით გამდიდრების წყურვილს. სიმდიდრის წყურვილი ადამიანთათვის შიშზე უფრო ძლიერიაო, ამბობს ჰესიოდე. იგი ცდილობს სამართლიანობისაკენ წარმართოს ბოროტებაში ჩაფლული თანამედროვე საზოგადოება და ამისათვის სარწმუნოებრივი ნიადაგი მოუძებნია: სიმართლით ცხოვრება, მისი აზრით, აუცილებელია ადამიანისათვის თუნდაც იმიტომ, რომ მის სიცოცხლეს მარად უყურებს ღვთაების მხილავი თვალი, რომელსაც არაფერი არ დაემალება. მაშასადამე, ჰესიოდე გვაროვნული ოლიგარქიის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაზე არც ფიქრობს. მას სწამს, რომ ზევსი დაუსჯელს არ დატოვებს მოძალადე ბასილევსების ძალმომრეობასა და უსამართლობას. მას სჯერა, რომ 30 ათასი „უკვდავი მცველი“ სიმართლის ქალწულთან ერთად ზევსს მოახსენებენ ადამიანთა ყოველ ბოროტმოქმედებას.

მეორე მხრივ, წაგლეჯისა და მიმტაცებლობის გრძნობით შეპყრობილ მოძალადეებს იგი მიუთითებს შრომის გამასპეტაკებელ გავლენაზე: ადამიანი უნდა ცდილობდეს პატიოსანი შრომით შეიძინოს დოვლათი და სიმდიდრის მოხვეჭას უნდა ფიქრობდეს კეთილშობილი შრომით და არა ძალმომრეობით; არ უნდა წაჰბაძოს მან მამალ ფუტკრებს, რომლებიც ყოველთვის უსაქმური არიან და მუყაითი ფუტკრების მუდმივი შრომით იკვებებიან. „არა შრომაა სირცხვილი, არამედ უსაქმურობა“ („Ἔργον δ' οὐδὲν ὄνειδος, ἀεργίη δέ τ' ὄνειδος — Ἔργα v. 311). თუმცა შრომაშიც ჰესიოდე ადამია-

ნებზე განრიხსებული ზეგავის მიერ მოელენილ მძიმე აუცილებლობას ხედავს. ამავე დროს ჰესიოდე გვისურათებს შრომის-მოყვარე გლეხს და ურჩევს მას ისეთ პატიოსან გზას, რომელიც მას არსებულ პირობებში კეთილდღეობას და პატივს მიანიჭებს და ღმერთების გულსაც მოაგებინებს. ჰესიოდეს მსოფლმხედველობა არა იმდენად ღატაკი გლეხის სულისკვეთების გამომსახველია, რამდენადაც შედარებით შეძლებული გლეხისა.

ამრიგად, მართალია, ჰესიოდე არ იძლევა უსამართლობის საწინააღმდეგო ბრძოლის გეგმას და არც გარკვეულ მოწოდებას, მაგრამ ეს მას არც მოეთხოვება. ჩვენთვის ძვირფასია ის გარემოება, რომ ჰესიოდე წერდა არა წარჩინებულთა წრეებისათვის, არამედ მის მდგომარეობაში მყოფი ხალხისათვის, რომელიც მძიმე ტვირთს ეზიდებოდა „კეთილშობილთა“ ბატონობის უღლის ქვეშ. ამ მხრივ მან საკმაო სიცხადით დაგვისურათა იმ დროის გლეხკაცობის საერთო მწუხარება, საერთო გაჭირვება და სულისკვეთება. საზოგადოდ, მან მოხაზა ის ღრმა საზოგადოებრივი პროცესი, რომელშიც მიმდინარეობდა ეს საყურადღებო გარდამავალი ხანა.

მაგრამ ჰესიოდეს სიცოცხლეშივე საბერძნეთის სამეურნეო ცხოვრებამ დიდი ცვლილებები განიცადა, რაზეც საუბარი ზოგადად ზემოთ გვქონდა.

ვაჭრობისა და ხელოსნური წარმოების ფართო განვითარებამ საჭირო გახადა მონური შრომის უფრო მეტად გამოყენება.

მართალია, ჰესიოდესა და მის თანამედროვეთაგან თითქოს მცირედ შემოინახა მონობის გამომსახველი ტერმინები, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ VII—VI საუკუნეებში მონების რიცხვი გაიზარდა.

ტყვედწამოყვანილ თუ მოტაცებულ მონებსა და მხევლებს, მართალია, ვხვდებით უკვე ჰომეროსის ეპოქაში, მაგრამ იმ დროს მონობა წარმოებაში ჯერ კიდევ არ იყო ფართოდ გამოყენებული და უმეტესად პატრიარქალურ ხასიათს ატარებდა. პირველ ხანებში მონების მდგომარეობა შედარებით აუტანელი არ იყო. ისინი უმთავრესად ოჯახში ემსახურებოდნენ წარჩინებულთ და თითქმის არ წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან კონკურენტებს თავისუფალი უბრალო ხალხისათვის. ახლა მდგომარეობა შეიცვალა: მათ შედარებით მეტი რაოდენობით ყიდულობდნენ მიწათმოქმედებისა და ვაჭრობა-წარმოებისათვის და ამ მხრივ მონობა ახალი განსაკუთრებული მოვლენა გახდა ბერძნული მეურნეობის განვითარებაში. თავისი მრეწველობის აყვავებაში ცნობილი მილეტი დიადად იყო დავალებული მეზობელი ქვეყნებიდან შეძენილი მონებისაგან. ნაყიდი მონების დიდი

რიცხვი პირველად უფრო მცირე აზიის სავაჭრო ქალაქებში იყო, თვით საბერძნეთში კი—ისთმოსის ყელის პოლისებში. მოხობის როლის მნიშვნელობაზე თავის ადგილას გვექნება საუბარი.

სამეურნეო ცხოვრებაში წარმოქმნილმა პირობებმა აამაღლა საზოგადოების იმ ნაწილის მნიშვნელობა, რომელიც ვაჭრობა-წარმოებაში იღებდა მონაწილეობას. ეამოთქმა—„ფული ჰქმნის ადამიანს" (χρήματ ἄνηρ) ამ დროს წარმოიშვა[69]. მაგრამ თუ წინათ მხოლოდ ძველი არისტოკრატიის ნაწილი იყო ჩაბმული სავაჭრო ოპერაციებში, ახლა ხალხის ფართო ფენებიდან გამოსულმა პირებმაც შეძლეს მოეკიდათ ხელი ამ საქმიანობისათვის და ამ გზით სიმდიდრე შეეძინათ. ამ ნიადაგზე თანდათან წარმოიშვა ისეთი წრე, რომელიც თავისი ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით უკვე ვეღარ ურიგდებოდა „კეთილშობილთა" ბატონობას და ბრძოლას იწყებდა მასთან ხელისუფლებისათვის. ვერ ურიგდებოდნენ გვაროვნული ოლიგარქიის ბატონობას ხელოსნები და უკლეროსო პირებიც და მევახშეების მიერ უაღრესად შევიწროებული გლეხობა.

ამავე დროს სწორედ ვაჭრობისა და ფულადი მეურნეობის განვითარება-გაფართოება უაღრესად აჩქარებდა ქონებრივი და საზოგადოებრივი უთანასწორობის ზრდის პროცესს. თუ ვაჭრობა და მასთან დაკავშირებული ფულადი მეურნეობა ზოგიერთებს უხვად ამდიდრებდა, მრავალ სხვას სრულიად აღატაკებდა. იმ დროის ლიტერატურული ძეგლები მოგვითხრობენ საზოგადოების ზედა ფენების გამდიდრებისადმი უსაზღვრო მისწრაფებაზე და ერთდროულად ფართო მასების გაღატაკებასა და მზარდ დავალიანებაზე. მაშასადამე, ახალი სამეურნეო პირობები გადაიქცა ისეთ საფუძვლად, რომელიც გარდუვალს ხდიდა გვაროვნული საზოგადოების დაშლას.

საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობისა და ფულადი მეურნეობის განვითარებას კერძოდ მიწათმოქმედი მოსახლეობისათვის. ფულადი მეურნეობის დამყარებასთან ერთად საბერძნეთის სამეურნეო ცხოვრებაში შეიჭრა სხვათა შორის ერთი ახალი მომენტი — ვახში. სხვა სახით იგი ნატურალური მეურნეობის დროსაც არსებობდა: გლეხი, რომელსაც მოსავალი არ ყოფნიდა, იძულებული იყო შეძლებული მეზობლისათვის მიემართა და სესხად აეღო მისგან ყოველივე ის, რაც აუცილებლად ესაჭიროებოდა, იმ პირობით, რომ წაღებულს ახალ მოსავალზე დაუბრუნებდა. ამავე დროს მადლობის ნიშნად იგი მსესხებელს ნამდვილად ზედმეტს აძლევდა, დარწმუნებული, რომ კიდევ დასჭირდებოდა მისდამი მიმართვა. ხოლო ის, რაც პირველად ნებაყოფლობითი იყო, შემდგომში თანდათან სავალდებულო გახდა, განსაკუთრებით იმ დროიდან, რო-

დესაც ქალაქებში წარმოება გაიზარდა და მიწის მეურნეობის პროდუქტებმაც გასასაღებელი პუნქტები მოიპოვა. ფულის შემოღების შემდეგ კი სესხს ფულით აძლევდნენ და ფულითვე მოითხოვდნენ მის დაბრუნებას და დამატებით გარკვეული სარგებლის გაღებასაც. რადგან იმ დროს ფული ძვირი იყო და საზოგადოდ თავისუფალი თანხა ბევრს არ ჰქონდა, ამიტომ სარგებელიც ძლიერ დიდი იყო. ამას გარდა, სესხის მიღებისათვის საჭირო იყო საწინდარი, ხოლო ვისაც იგი არ გააჩნდა, თავისი საკუთარი და ოჯახის წევრების „სხეულით" აგებდა პასუხს. თუ ასეთი პირი ვალს დროზე ვერ გადაიხდიდა, იგი სესხის გამღების მიმართ „კაბალურ" მდგომარეობაში ვარდებოდა. სავალო უფლება მაშინ მეტად სასტიკი და დაუნდობელი იყო.

ვინაიდან სამართალს გაბატონებული გვაროვნული ოლიგარქია თავის შეხედულებით და ინტერესების მიხედვით აწარმოებდა, ფართო მასების ბრძოლის პირველი მიზანი იყო ადათის ფიქსაცია და ჩაწერილი კანონების გამოქვეყნება. მმართველი არისტოკრატია ამის წინააღმდეგი იყო. მაგრამ ბრძოლის შედეგად ძვ. წ. VII საუკუნეში იგი იძულებული გახდა ჯერ ახალშენებში და მერე მეტროპოლიაშიც ადათის კოდიფიკაცია გაეტარებინა. ეს კოდიფიკაცია ტექნიკური მხრივაც არ იყო წესიერად შესრულებული და ჩაწერილი კანონებიც თავისი შინაარსით ფრიად მკაცრი იყო, მაგრამ თვით ფაქტი ადათის ფიქსაციისა და გამოქვეყნებისა ერთგვარ საზღვარს უქმნიდა ოლიგარქიის თვითნებობას. ჩაწერილი კანონების შემოღება გვაროვნული წყობილების შემდგომ დაშლას წარმოადგენდა და მის ნაცვლად სახელმწიფო პრინციპსა და ქონებრივი ცენზის მნიშვნელობის განმტკიცებას გამოხატავდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო ხარონდას კანონები სიცილიის ქ. კატანში, ზალევკოსის — სამხრეთ იტალიის ლოკრაში, პიტაკოსის — მიტილენში, დრაკონის — ათენში და სხვ. ზალევკს დაუდგენია, რომ თუ ვინმე მოისურვებდა არსებულ მართლწესრიგში რაიმე ცვლილება შეეტანა, კრებაზე ის ყელზე ბაწრით უნდა გამოცხადებულიყო და უკეთუ მის მიერ წარმოდგენილი კანონი არ იქნებოდა მიღებული, მას თავი თვითონ უნდა გაეკვეთა.

კანონების ჩაწერას ჩვეულებრივად ახორციელებდნენ განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი პირები ესიმნეტები (αἰσυμνῆται) რომელთაც, არისტოტელე „არჩეულ ტირანიად" (αἱρετὴ τύραννις) თვლიდა (Pol. III, 9, 5 — 6, 1285 a).

3. ბრძოლა დემოსსა და არისტოკრატიას შორის. არქილოქეს პოლიტიკური არაკი, ადრეული ტირანია

რა თქმა უნდა, ჩაწერილი კანონების გაჩენამ დავალიანებული და გაღატაკების გზაზე დამდგარი გლეხობის მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა. ამავე დროს საზოგადოებრივი წინააღმდეგობა უფრო რთულდება: წინააღმდეგობა გვაროვნულ დიდკაცობასა და ქალაქების მონათმფლობელ ელემენტებს შორის, წინააღმდეგობანი ქალაქსა და სოფელს შორის, ვაჭრობასა და მიწათმფლობელობას შორის, შეძლებულთა და ღატაკთა შორის, კრედიტორებსა და მოვალეთა შორის. ამ ნიადაგზე წარმოქმნილი წინააღმდეგობები ისეთ მკვეთრ ხასიათს ღებულობენ, რომ საზოგადოებრივი გარდაქმნა აუცილებელი ხდება.

ზოგიერთ ადგილას შინაგანი ბრძოლა ფრიად მწვავე ფორმებში მიმდინარეობს. იყო ისეთი ადგილი, სადაც ეს ბრძოლა მეტად ცხარე და სერიოზულ ხასიათს იღებს და მის პროცესში მიწების ახალი დანაწილებისა და ვალების მოსპობის მოთხოვნილებაც კი გაისმის. ერთი მკვლევარის სიტყვით[69]: „კონტრასტი საბერძნეთში არისტოკრატიასა და დემოკრატიას შორის, არანაკლებ, ვიდრე სხვაგან, ეთანაბრებოდა კონტრასტს მდიდარსა და ღარიბს შორის; და იქ, სადაც ხელისუფლებისათვის ბრძოლაში დემოკრატია იმარჯვებდა, ხდებოდა განდევნილი არისტოკრატიის ქონების კონფისკაცია. საქმე უფრო შორსაც მიდიოდა; — გაისმოდა მოთხოვნილება წესწყობილებისა და მესაკუთრეობის ფორმათა შეცვლისა“.

აღსანიშნავია, რომ დაპირისპირება დემოკრატიისა არისტოკრატიისადმი თავიდანვე პოულობს გამოძახილს პოლიტიკურ პოეზიაში. მხედველობაში გვაქვს პოეტ ა რ ქ ი ლ ო ქ ე ს არაკი — „მ ა ი მ უ ნ ი და მ ე ლ ა“, რომლისგანაც რამდენიმე ნაწყვეტი შემოგვრჩა და რომელიც სავსებით აღადგინა პროფ. სოლ. ლურიემ[70].

არქილოქე დაიბადა კუნძულ პაროსზე; მამამისი, გადმოცემის თანახმად, წარჩინებულთა გვარს ეკუთვნოდა, ხოლო დედა, პოეტისავე სიტყვით, მხევალი იყო. ამგვარად იგი უკანონო შვილად ითვლებოდა და, ალბათ, ვერ შეძლებდა მამის ყველა უფლების დამკვიდრებას, მაგრამ თავისი აღზრდით და სიმპათიებით იგი არისტოკრატი იყო და არისტოკრატიის იდეოლოგად გვევლინება.

დასახელებულ არაკში არქილოქე გვიამბობს მხეცების მიერ მეფის არჩევის ამბავს. მათ საერთო კრებაზე წამოყენებულ იქნა ორი კანდიდატი, ძლიერებითა და სიდიდით განთქმული სპილო და აქლემი, ორივეს მაცხრად იგდებს. მაიმუნი და დამსწრეთა ყურად-

ღების მისაპყრობად ცეკვას იწყებს, რითაც მათში აღფრთოვანებას იწვევს. სპილომ თავის შეურაცხყოფად ჩათვალა მაიმუნის მაგალითისათვის მიებაძა. აქლემი კი შეეცადა ამ ასპარეზზედ შეჯიბრებოდა მაიმუნს. მაგრამ მისმა უხეირო ძუნძულმა მხოლოდ აღაშფოთა მხეცები, რომელთაც იგი განდევნეს და მეფედ მაიმუნი აირჩიეს. მას ჩააცვეს ლომის ტყავი, მის ზევით სამეფო მანტია, ხოლო ფეხებზე ოქროს სანდლები. ამგვარად, მაიმუნმა ნამდვილი მეფის სახე მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ მაიმუნს მოსწყინდა სასახლის ეტიკეტი და პატივი და მარტოდმარტო მიდის განცალკევებულ ადგილას. გზაზე მას ხვდება ეშმაკი მელა და დიდი ოსტატობით ახერხებს მის დარწმუნებას თავის გულწრფელსა და ღრმა მეგობრობაში. აქებს-ადიდებს მის „მაღალ“ შთამომავლობას, ძლიერებასა და სათნოებას; ბოლოს კი აცნობებს, რომ ნახა ხორცი, მაგრამ შეუძლებლად ჩათვალა მისი მირთმევა და შეინახა იგი ჩვეულებით დაწესებული სამეფო ძღვენისათვის. მაიმუნი გაჰყვა მელას. გზაზე მათ გაუარეს რამდენიმე საფლავის ქვას და მაიმუნმა მოულოდნელად ამოიკვნესა. „რა დაგემართა?“ ეკითხება მელა. „როგორ არ ამოვიოხრო, როდესაც ამ ხავსმოკიდებულ ქვებს ქვეშ მარხია ნეშტი ჩემი კეთილი მამებისა და პაპებისა!“, უპასუხებს მაიმუნი. „იცრუე რამდენიც გნებავს!—ფიქრობს მელია, — მკვდრები ხომ მაინც ვერ ადგებიან, რომ დარდი შეგიმსუბუქონ“. ამ ლაბირინთში მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც მელას ხაფანგს ქვეშ ხორცი ჰქონდა შემონახული. მაიმუნმა დაივიწყა თავისი სამეფო ღირსება და ოთხივე ფეხით წაფოფხდა ხორცისაკენ, საუცხოო პორფირა ნაგლეჯებად იქცა, ლომის ტყავი გვერდზე ჩამოეკიდა და გამოააშკარავა მაიმუნის სასაცილო სხეული. ხარბად დაეწაფა იგი ხორცს, მაგრამ ხაფანგი დაიხურა, მწარედ დაარტყა უკანალზე კეტი და დატოვა მასზე სამარცხვინო დაღი — გრძელი, სისხლიანი ნაწიბური. მაიმუნი ხმამაღლა ჩიოდა მელიას ვერაგობას. მაგრამ მელია მას დაცინვით უპასუხებს: „ნუთუ შენ, მაიმუნს, ეგეთი უკანალის პატრონს შეგშვენის ჩვენი მბრძანებელი იყო?“.

ეს არაკი ნამდვილი პოლიტიკური სატირაა[7]. მასში გამოყვანილია სამი ჯგუფი: ძველარისტოკრატიული, რომელიც სპილოთია წარმოდგენილი და რომელსაც არ სურს „მაიმუნებს აჰყვეს“, ახალარისტოკრატიული, რომელსაც აქლემის სახით ცდილობს ხალხის გულის მოგებას და არ ერიდება „თავის დამცირებას“, და ახალი „სახალხო“ ჯგუფი, რომელსაც, არისტოკრატ არქილოქეს გადმოცემით, მაიმუნი მეთაურობს. ამ არაკში ნათლად მოჩანს არისტოკრატიის სიძულვილი იმ ახალი მოძრაობისადმი, რომელსაც ამ დროს ადგილი ჰქონდა

საბერძნეთის სხვადასხვა ნაწილში. თუმცა გარკვევით უნდა ითქვას, რომ არქილოქეს დახასიათებაში უეჭველად არის სინამდვილის მარცვალი იმ მხრივ, რომ ამ დროის დემოსის ზოგიერთი მეთაური მართლაც ცდილობდა დანათესავებოდა ძველ არისტოკრატიულ გვარებს, გადმოეღო მათი გარეგანი თვისებები და ეამაყნა თავისი „ბრწყინვალე" წინაპრებითა და ნათესავებით.

დახშული მმართველი დიდკაცობა, რომელიც გადაგვარებული გვაროვნული წყობილების ნარჩენს წარმოადგენდა, საზოგადოებრივი განვითარების ბორკილებად გადაიქცა და ამ ნიადაგზე გაჩაღებული სოციალური ბრძოლის მესვეურად ქალაქის შეძლებული ელემენტები გვევლინებიან; მათ მხარს უჭერენ ხელოსნები და გაღატაკებული და დავალიანებული გლეხკაცობა. ამ ქალაქური წრიდან გამოვიდნენ უმთავრესად ესიმნეტები და ტირანები. მათ შორის ძველადვე მკვეთრ ზღვარს არ ხედავდნენ. თავისი კანონებით და მოქმედებით ესიმნეტები და ტირანები ბერძნული მონათმფლობელური სახელმწიფოს—პოლისის განვითარების პირობებს ქმნიდნენ.

საბერძნეთის მეურნეობისა და კულტურის მხრივ ისეთ განვითარებულ პუნქტებში, როგორიცაა იონია, ლესბოსი, ისთმოსის ქალაქები — კორინთო, მეგარა, სიკიონი, სამოსი, აგრეთვე სიცილია და სხვ. მყარდება, როგორც გარდამავალი საფეხური, ეგრეთ წოდებული ადრეული ტ ი რ ა ნ ი ა.

ამ ხანაში ტირანები ეწოდებოდა ისეთ პირებს, რომლებიც ხალხის დაბალ ფენებს ემყარებოდნენ და არსებული ნორმების გარეშე ითვისებდნენ ხელისუფლებას. ამ მხრივ ტირანები ერთგვარი უზურპატორები იყვნენ, ხოლო ტირანია კი ძველი არისტოკრატიის მოწინააღმდეგე სოციალური ფენების თავისებური შეკავშირება. საქმენი და სახელები იმ ტირანებისა, რომლებიც საბერძნეთის ისტორიის უძველესი პოლიტიკური ფიგურები იყვნენ, უმეტეს ნაწილად დაკარგულია და მათი მოგონება უმთავრესად ანეგდოტებში ცოცხლობდა.

არისტოტელეს სიტყვით, ტირანი უნდა იყოს არა უზურპატორი, არამედ მეურვე. ტირანი თავდაჭერილ ცხოვრებას უნდა ეწეოდეს და ერიდებოდეს გადაჭარბებას, წარჩინებულთ თავისი მოქცევით უნდა იზიდავდეს, ხოლო უმრავლესობას დემაგოგიური ხერხებით ხელმძღვანელობდეს (Pol., 9, 19, ჟებელიოვის თარგმანით).

იონიაში, გარდა შინაგან სოციალურ-პოლიტიკური ნიადაგისა, ტირანიის წარმოშობას ხელს უწყობდა ნაწილობრივ, აგრეთვე, საგარეო მდგომარეობაც. სახელდობრ, ბრძოლა ლიდიის ბატონობის წინააღმდეგ. ასე, VII საუკუნის დასასრულს თ რ ა ს ი ბ უ ლ ი, რო-

მელიც შემდგომი თაობის თვალში ტირანების საუკეთესო წარმომადგენლად ითვლებოდა, წარმატებით იცავდა მილეტს ლიდიელებისაგან. საერთოდ მ ი ლ ე ტ ი, როგორც ვიცით, მცირე აზიის ბერძნების სახელგანთქმული ქალაქი იყო, რომელსაც ფართო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა მხარესთან, ხოლო მისი წარმოება სხვებთან შედარებით თვალსაჩინოდ იყო განვითარებული ჯერ კიდევ VII საუკუნის პირველ ნახევარში; ის სხვებზე ადრე და სხვებზე მეტად გახდა უმდიდრესი ქალაქი და მის კედლებს შუა მალე გაჩაღდა შინაური ცხარე სოციალური ბრძოლა, რომლის პროცესში ტირანიის დაწესება მოხდა. ძვ. წ. VI საუკუნის დასაწყისში მილეტში დიდი შინაგანი სოციალური ბრძოლა ორი თაობის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კუნძულ ლესბოსზე, რომელიც დასერილია მთებით, შემკულია რბილი და ჯანსაღი ჰაერით, მდიდარია პურით, ღვინით, ზეთის ხილითა და ლეღვით, მდებარეობდა მისი მთავარი ქალაქი, მდიდარი და მშვენიერი მიტილენი, რომელიც VII საუკუნის მეორე ნახევრიდან ხშირად იყო ასპარეზი ძლიერი სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლისა. პენფილიდების დაცემის შემდეგ მიტილენშიც მყარდება ერთი პირის — პიტაკოსის ბატონობა. იგი უბრალო ხალხიდან იყო გამოსული და ქალაქის სავაჭრო წრის მეთაურად ითვლებოდა. მიტილენში დამხობილ იქნა პენფილიდების გვარის ბატონობა.

პიტაკოსი ათი წლით აირჩიეს ესიმენტად შეუზღუდავი უფლებით. ამ შემთხვევით აღშფოთებული იმ დროის პოეტი-არისტოკრატი ა ლ კ ე ო ს ი ასეთი სიტყვებით მიმართავს მიტილენელებს: „საერთო სახალხო მსჯავრით ვის ხელში გადაეცით თქვენ საცოდავი სამშობლო, ბედკრული ჩვენი ქალაქი? სამშობლოს გერს! ტირანი გახდა პიტაკოსი, ქალაქის მტერი, სამშობლოს გადაგვარებული“ (ვ. ივანოვის თარგმანით). იგი მწარედ დასცინოდა პიტაკოსს და, მიუხედავად იმისა, რომ მან ბოლოს ნება დართო მას და გაძევებულ არისტოკრატებს სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, პირაკოს მაინც „სქელღიპიანს“ და მკვეხარას უწოდებს.

მაგრამ პიტაკოსის არჩევით არ დამთავრებულა მიტილენში რევოლუციური ეპოქა. როგორც ალკეოსის ლექსებიდან ჩანს, მოსახლეობაში ვრცელდებოდა განსაკუთრებული პროკლამაციები, რომლებშიც ძველი არისტოკრატიის შეურიგებელი ნაწილი მოსახლეობას გადატრიალების მოხდენისაკენ მოუწოდებდა. ერთი მათგანი ალკეოსის ლექსის[72] მიხედვით ასე თავდებოდა: „მეგობრებო! საქმეს მოვკიდოთ ხელი! ხანძარი უნდა ჩავაქროთ, ვიდრე მორებისაგან ოდნავ მოჩანს კვამლი: როდესაც ცისფრად იქცევა ალი, უკვე გვიან

იქნება დასახმარებლად მოსვლა!“ ამასთან ერთად წარმოებს ჩუმი მუშაობა საიდუმლო შეიარაღებული აჯანყებისათვის[73]. საერთოდ ალკეოსის ლექსები გვარწმუნებს, რომ მიტილენის ძველი არისტოკრატია ვერ ურიგდება ქალაქის წრეების ამაღლებას, მათ მიერ პოლიტიკური პოზიციების დაპყრობას და გამწარებული და სასოწარკვეთილი ყოველგვარად ცდილობს შეაჩეროს ეს ახალი მოვლენა, მაგრამ ამაოდ...

ამ მხრივ ალკეოსი სახელმწიფოს გემს ადარებს, რომელსაც აქაფებულ ტალღებს შორის მიაქანებს ქარი და რომლის მიმართ უკვე შეუძლებელია შემაჩერებელი გონიერი ზომების მიღება. იგი მწარედ წარმოთქვამს: „რა გავუგო ამ ქარების სიცოფეს? ისევ მოდუღს, მოქანაობს ზღვის ტალღა, და ვტრიალებთ ტლუ ხომალდით ზღვაზე, დავცურავთ ზვირთებში უგზო-უკვლოდ. ქარიშხალი გამძაფრებით გვაწამებს; დიდი ანძა ძირით წყალში ჩასულა; აფრას გასდის; დაიფხრიწა სრულიად და იქცა საცოდავ ნაფლეთებად“[74]. მიტილენის არისტოკრატიას, რომლის სულისკვეთების გამომხატველია ალკეოსი, უკვე აღარ სწამს თავისი გამარჯვება და ღრმა პესიმიზმით შესცქერის ახალი სოციალური წრის გაბატონებას:

„ახსოვთ სპარტაში არისტოდემის მოსწრებული სიტყვა, ძალაშია იგი სიტყვა. მეფემ თქვა: „ადამიანი — სიმდიდრეა“, ღარიბს არ მოეპოვება დიდება, ღატაკს — პატივი“ (ვ. ივანოვის თარგმანით). ალკეოსის ძმა კი მოქირავნედ მსახურობდა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორთან, როცა იგი იუდეას ეომებოდა[75]. რაკი იმედი აღარ არსებობს ძველი პოზიციების დაბრუნებისა, სხვა რაღა დარჩენილა, თუ არა ისევ ცდა ომის სტიქიაში, ან ღვინოში თავდავიწყებისა:

> რა საჭიროა, მეგობრებო, ფიქრებით გულის გაწამება?
> ფიქრით ხომ არ შეიძლება მომავლის აცილება?
> ყველა წამლისაგან ღვინო სასოწარკვეთილების
> ნამდვილი წამალია. დავლიოთ მაშ და დავითვრეთ!
>
> (ვ. ივანოვის თარგმანით)[76]

ამგვარად, ბრძოლის განწყობილება თანდათან ადგილს უთმობს აუცილებელი მოვლენის წინაშე იძულებითი დამორჩილების გრძნობას.

იონიის ტირანიამ თავისი ბრწყინვალე დასასრული ჰპოვა პ ო ლ ი კ რ ა ტ ე ს ა მ ო ს ე ლ შ ი, რომელიც უაღრესად ძლიერი და იმავე დროს მრისხანე მბრძანებელი იყო VI საუკუნის მეორე ნახევარში; მისი დიდი ფლოტი მთელს ეგეოსის ზღვაზე ბატონობდა და თავზარს სცემდა ყველას[77].

პოლიკრატე ჩამომავლობით არისტოკრატიას არ ეკუთვნოდა, მას ჰქონდა ბრინჯაოს ნაწარმთა სახელოსნო, ხოლო სიმდიდრე დარჩა მამისაგან, რომელიც საზღვაო ვაჭრობაში იყო ჩაბმული. მან შეაგროვა ორმოცდაათი კაცისაგან შემდგარი ლაშქარი და ხელისუფლება ჩაიგდო სამოსზე, რომელიც მკვეთრ შინაგან ბრძოლას განიცდიდა. პოლიკრატე მფარველობდა ვაჭრობასა და ხელოსნობას და დიდად ავიწროებდა ძველ გვაროვნულ არისტოკრატიას. პოლიკრატეს მიუწვევია მილეტელი და ატიკელი ფეიქარი-ოსტატები და კუნძულზე გადაუყვანია მატყლით განთქმული ცხვრები. ამავე დროს იგი ზრუნავდა სამოსის საუცხოო შენობებით შემკობაზე. მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო ჰ ე რ ა ს ტ ა ძ ა რ ი და წ ყ ა ლ ს ა დ ე ნ ი, რომელიც ქალაქს დიდი მანძილიდან აწვდიდა წყალს. ამასთან ერთად პოლიკრატე განთქმული იყო მხატვრების, პოეტებისა და მწერლების მფარველობით. ასე, მაგ., ის მზრუნველობას იჩენდა ისეთი პოეტების მიმართ, როგორიც იყვნენ ანაკრეონტე და იბიკოსი.

პოლიკრატეს სახელთან დაკავშირებულია ლეგენდა „პოლიკრატეს ბეჭედზე"; პოლიკრატეს ზღვაში გადაუსროლია ბედნიერებისა და წარმატების სიმბოლო, ოქროს ბეჭედი. გავიდა ცოტა დრო და ერთმა მეთევზემ პოლიკრატეს მიართვა დიდი თევზი. როცა მზარეულმა გაფატრა თევზი, მასში აღმოაჩინა გადაგდებული ბეჭედი.

პოლიკრატეს მზარდი ძლიერება უკვე აშინებდა მის წინანდელ მეგობრებს — სპარსელებს. სპარსეთის მეფის ნაცვალმა ოროიტმა გაიტყუა იგი აზიაში, სიკვდილით დასაჯა (ძვ. წ. 522 წ.) და ბრძანა მისი გვამის ჯვარზე გაკვრა. პოლიკრატეს სამფლობელო მისი დაღუპვის შემდგომ დაუძლურდა და მალე სპარსელებისაგან დამოკიდებული შეიქნა.

საკუთრივ საბერძნეთში ტირანიის მიმოხილვის დროს, უწინარეს ყოვლისა, კ ო რ ი ნ თ ო ზ ე უნდა შევჩერდეთ. აქ 657 წელს კ ი პ ს ე ლ ო ს მ ა ბოლო მოუღო ბ ა კ ქ ი ა დ ე ბ ი ს ოლიგარქიას, რომლებთანაც იგი დამოყვრებული იყო, და როგორც დემოსის მეთაურმა, „ბასილევსის" წოდებით დააარსა ტირანია, რომელიც ბრწყინვალედ განავითარეს მან და მისმა შვილმა პ ე რ ი ა ნ დ ო ს მ ა (625—585). გონივრული საახალშენო პოლიტიკით და შინაური რეფორმებით მათ კორინთო ძლიერების მწვერვალზე აიყვანეს. პერიანდროსი უმთავრესად წვრილ გლეხობაზე ზრუნავდა და მათთვის მიწების დარიგების მიზნით იგი ართმევდა არისტოკრატიას მამულებს[78] და გლეხებს ათავისუფლებდა სავალო კაბალისაგან.

ძველი გვაროვნული ფილეები, რომლებშიაც არისტოკრატები ბატონობდნენ, პერიანდროსმა ახალი ტერიტორიული ფილეებით შე-

ცვალა, სადაც არისტოკრატიას უპირატესობა უკვე აღარ ეკუთვნოდა. თავისუფალი შრომის ინტერესების მიხედვით მონების რიცხვი მან შეზღუდა, დააარსა ახალი კოლონიები, ხოლო ძველ ახალშენებში კვლავ განამტკიცა კორინთოს ავტორიტეტი. ვაჭრობის განვითარების თვალსაზრისით პერიანდროსმა ფულის წინანდელი სისტემა ახლით შეცვალა, გააძლიერა სავაჭრო და სამხედრო ფლოტი, გააუმჯობესა მიმოსვლის გზები და საერთოდ ვაჭრობა და მრეწველობა შედარე-

სურ. 38. ძვ. წ. VIII—VII საუკუნეთა კორინთული ვაზები.

ბით მაღალ დონეზე აიყვანა და კორინთო ელინურ სამყაროში ერთ პირველ სახელმწიფოდ გახადა. მის დროს კორინთომ დიდ ეკონომიურ და კულტურულ ბრწყინვალებას მიაღწია; შესამჩნევად გაიზარდა მისი, იმ დროის მიხედვით, ვრცელი ურთიერთობა სხვა მხარეებთან, კერძოდ, მილეტს ტირან თრასიბულესთან და ეგვიპტის საისის დინასტიის ფარაონებთან. პერიანდროსი დიდ მფარველობას უწევდა ხელოვნებისა და მწერლობის წარმომადგენელთ და ყოველგვარად ხელს უწყობდა კორინთოს გამშვენიერებას. განთქმული იყო საბერძნეთის სამყაროში კ ო რ ი ნ თ უ ლ ი ვაზები, რომელთა ნიმუშები დღემდე დაცულია მსოფლიოს მრავალ მუზეუმში.

ამავე ხანაში მ ე გ ა რ ა ც დიდი შინაური სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზი იყო და მემამულეების წინააღმდეგ გლეხობის ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად წარმოიშვა თ ე ა გ ე ნ ე ს ტირანია (დაახლ. 650 წ.). მაგრამ ტირანიამ დიდხანს ვერ იარსება და

ძალაუფლება კვლავ არისტოკრატიის ხელში გადავიდა. მალე არისტოკრატია კვლავ დაამარცხა დემოკრატიამ, რომელმაც სასტიკი ზომები მიიღო პირველის წინააღმდეგ: ქონების კონფისკაცია, სამშობლოდან გაძევება და სხვ. სამშობლოდან გადახვეწილი არისტოკრატიის ნაწილი იმედს არ კარგავდა უკან დაბრუნებისას და, როგორც ჩანს, მოახერხა კიდეც დაბრუნება VI საუკუნის დასასრულს, დაამარცხა დემოკრატია და აღადგინა ოლიგარქიული წყობილება.

ამ ცხარე ბრძოლის თავისებურ გამოძახილს ეპოულობთ მეგარის VI საუკუნის მეორე ნახევრის მგოსნის თეოგნიდეს შემოქმედებაში. თ ე ო გ ნ ი დ ე ჩამომავლობით და მსოფლმხედველობით არისტოკრატი იყო; მან არისტოკრატიის სხვა წევრებთან ერთად განიცადა „ბედის უკუღმა ტრიალი". მისი შემოქმედება ერთიანად მოწამლულია უბრალო ხალხისადმი უსაზღვრო სიძულვილით. ის ხედავდა რომ იგი თანდათან აძევებდა ცხოვრების ასპარეზიდან ძველ კეთილშობილთა წოდებას და homo novus ეპატრონებოდა ეკონომიურსა და პოლიტიკურ პოზიციებს. „ფული ურევს ერთიმეორეში წოდებათ", ჰგოდებს მგოსანი. იგი იძულებულია აღიაროს, რომ „ძალა სიმდიდრეშია" და ძველი ამაყი არისტოკრატია სიამოვნებით უმოყვრდება დაბალი წარმოშობის ხალხს, რომელსაც სამაგიეროდ ფული და სიმდიდრე მოეპოვება.

არისტოკრატიული იდეალების ნგრევის ეპოქაში მცხოვრები თეოგნიდე სასოწარკვეთილი გვიზიარებს თავის პესიმისტურ გულისნადებს: „ადამიანისათვის უმჯობესია სრულებით არ დაიბადოს და არასოდეს არ იხილოს მზის სხივები... რადგან, მართალია, ქალაქი იგივეა, მაგრამ ხალხი შეიცვალა".

ამგვარად, თეოგნიდეს ლირიკა საუცხოოდ გვაცნობს ამ ეპოქის ბერძენი არისტოკრატების მწუხარე სულისკვეთებას ახალი სოციალური ფენების ამაღლების გამო.

შედარებით მყარი და ორგანიზებული იყო ტირანია სიკიონში.

სიკიონში ძვ. წ. VII საუკუნის პირველ ნახევარში გვაროვნული არისტოკრატიის ბატონობას ბოლო მოუღო ო რ თ ა გ ო რ ე მ, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ყოფილი მზარეული იყო. ორთაგორიდები ას წელზე მეტს მმართველობდნენ სიკიონში. მათს შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო კლისთენე, რომელმაც უაღრესად დაამცირა გვაროვნული არისტოკრატია. მან დორიელ დამპყრობელთა წინათ გაბატონებულ არისტოკრატიულ ფილეებს უწოდა: ჰიატები, ონეატები და ხოირეატები, ე. ი. საღორეები, სავირეები და საგოჰეები. მართალია, ისტორიკოსი ჰეროდოტე გვარწმუნებს, რომ კლისთენეს პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ აქეელთა მოსახლეო-

ბაზე დორიელების ბატონობა მოესპოო, მაგრამ, ცხადია, მისი მოღვაწეობა საერთოდ გვაროვნული არისტოკრატიის ბატონობის წინააღმდეგ იყო მიმართული და ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწია.

სიცილიაში ტირანია ცოტა უფრო გვიან დამყარდა — VII საუკუნის ბოლოს. აქ თავისი ძლიერებით უფრო განთქმული იყო აგრიგენტის ტირანი ფალარისი (VI საუკუნის დასაწყისი). უფრო ფართო ხასიათი მიიღო ტირანიამ სიცილიაში VI საუკუნის დასასრულიდან. როგორც იონიაში, აქაც ადგილობრივ სოციალურ-პოლიტიკური პირობების გარდა, ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა საგარეო საფრთხეს კართაგელებისა და ეტრუსკების მხრივ, რის გამოც ტირანების გარდამავალ საფეხურს წარმოადგენენ სტრატეგოსები შეუზღუდავი უფლებებით (στρατηγός αὐτοκράτωρ).

ათენში ერთ დროს გაბატონებულ ტირანიაზე საუბარი თავის ადგილას გვექნება. აქ კი საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ადრინდელი ტირანიის ისტორიული მნიშვნელობა ძირითადად იმაში გამოიხატებოდა, რომ მან საფუძვლიანად შეარყია გვაროვნული ინსტიტუტები, ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას და გზა გაუკაფა ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა, ეს პროცესი საბერძნეთის სხვადასხვა მხარეში თანაბარი ტემპით და ერთნაირად არ მიმდინარეობდა, რაც მათი სამეურნეო-საზოგადოებრივი განვითარების დონით იყო განპირობებული.

4. ზოგადბერძნულ დაწესებულებათა წარმოქმნა

როგორც დავინახეთ, კოლონიზაციამ დიდად შეუწყო ხელი ბერძენი ტომების ვაჭრობის განვითარება-გაფართოებას. მაგრამ მის წესიერ მიმდინარეობას ძლიერ აფერხებდა იმ დროს ფრიად გავრცელებული ყაჩაღობა როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე. ჯერ, თითქმის, მუდმივი ომიანობის გამო ყველაზე მეტად ზარალდებოდნენ ვაჭრები, რომელთაც ერთი ქვეყნიდან მეორეში გადაჰქონდათ თავისი საქონელი. მაგრამ ამ მხრივ საქმეს განსაკუთრებით აფერხებდა ყაჩაღობა და ვაჭრებზე თავდასხმა. თუკიდიდეს სიტყვით, მცხოვრებლები სძარცვავდნენ ერთიმეორეს ხმელეთზედაც და იარაღის ტარების ჩვეულებაც ხმელეთის ხალხს ამ ხელობისაგან აქვს შეთვისებულიო (Thuc. 1, 5). სხვა მხარის მოგზაურებზე თავდასხმის ორგანიზაცია ერთგვარ საპატიო ხელობად ითვლებოდა. მხოლოდ სტუმართმოყვარეობის კავშირსა და საერთო სარწმუნოებრივი ცერემო-

ნიების შესრულებას თუ შეეძლო, ზოგჯერ მაინც, გადაერჩინა სიკვდილისაგან ასეთი მოგზაური.

საბერძნეთის ზღვების მრავალი მოფარებული ყურე და პატარა კუნძული მშვენიერი თავშესაფარი იყო სხვადასხვა ჯურის ყაჩაღისათვის. მეკობრეები თავს ესხმოდნენ არა მარტო ხომალდებს, არამედ გაუმაგრებელ ქალაქებსაც. ასეთი მეკობრეობა მაშინ არამცთუ სამარცხვინოდ, არამედ საპატიო ხელობად ითვლებოდა და მას არ ერიდებოდა მრავალი წარჩინებული პირიც. მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში სამოსის ტირანის პოლიკრატეს, რომელსაც პირატების მთელი ფლოტი ჰყავდა (Herod., III, 39), მამა ეაკე ჩვენ დრომდე დაცულ წარწერაში სიამაყით სწერავს ჰერას მეკობრეობით მოპოვებული ნადავლის მეათედს. საერთოდ, სამართლიანად აღნიშნავს ბელოხი[79], „საშოვრის ყველაზე უფრო კეთილშობილ სახედ ითვლებოდა მეზობელი ტომის საქონლის გატაცება, ან ზღვაზე ამოცურება ჩქარი ხომალდებით, რომ მოულოდნელად მიდგომოდნენ უცხო ნაპირებს და მოეხდინათ მათი გაძარცვა. მოპირდაპირე მხარეც, რასაკვირველია, არ დაიყოვნებდა, ასეთივე პასუხი გაეცა მათთვის. ამიტომ მთელი ეს ეპოქა სავსეა მუდმივი მტრობით. თითოეული ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყო იარაღით დაეცვა თავისი სიცოცხლე და ქონება: ხმალი განუყრელი თანამგზავრი იყო მამაკაცისა; სახლიდან გარეთ უიარაღოდ არავინ არ გამოდიოდა“. მეკობრეობა განსაკუთრებით ძლიერი იყო ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ ნაპირის კუნძულებზე, სადაც ერთიმეორეს ხვდებოდნენ ბერძნები, კართაგელები, ფინიკიელები და ეტრუსკები. ერთ დროს სიცილიაში ყაჩაღების შიშით უცხო ვაჭრები საქონლით მოსვლას ვერ ბედავდნენ (Strabo, IV, 22).

გარდა მეკობრეებისა ბერძენთა ქალაქებს შორის ხშირი იყო გარკვეული პუნქტების გარშემო ხანგრძლივი დავა; მან VII საუკუნეში საერთო ბერძნული ხასიათი მიიღო. ეს ომი ცნობილია ლელანტის სახელწოდებით, რადგან მისი გამომწვევი საბაბი იყო ქალკიდასა და ერეტრიას შორის ბრძოლა ლელანტის ველის გარშემო.

ცხადია, ზემოთ დახასიათებული მოვლენა უეჭველად დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ვაჭრობის წესიერი სახით და საჭირო მოცულობით განვითარებისათვის. ბერძნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი სამწუხარო მოვლენების წინააღმდეგ ისინი თავიდანვე იღებდნენ სათანადო ზომებს. თანდათან ვრცელდება ქალაქთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულებათა (σύμβολα) დადება ურთიერთის დახმარების, ცალკეულ მოქალაქეთა დაცვისა და სადავო საკითხების სამე-

დიატორო სასამართლოს საშუალებით გადაწყვეტის შესახებ. საზოგადოდ, არბიტრაჟის იდეა საბერძნეთში ძველადვე განვითარდა; აქ ძველი დროიდან დაწყებული სახალხთაშორისო სამედიატორო სასამართლო თვალსაჩინო როლს თამაშობდა და დროთა მსვლელობაში გარკვეული გამოხატულება მიიღო. თვით ბერძნები თავისი არბიტრაჟის დასაწყისს მითურ დროს მიაწერდნენ. მაგრამ უფრო სამართლიანი იქნება იგი ძვ. წ. VII საუკუნის დასასრულს მივაკუთვნოთ [20].

ყველაზე უფრო ძვირფასი უპირატესობა, რომელსაც პირველ ხანებში ერთიმეორეს ანიჭებდა საბერძნეთის ორი ქალაქი, იყო უარის თქმა კერძო მისაგებელზე და აქედან გამომდინარე პიროვნებისა და მისი ქონების დარბევისაგან უზრუნველყოფა (ἀσυλία და ἀσφάλεια). ხელშეუხებლობა ჩვეულებრივად ვრცელდებოდა, როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. მისი ყოველი დარღვევა ისჯებოდა გარკვეული ჯარიმით და, რასაკვირველია, პირველ რიგში განთავისუფლებული უნდა ყოფილიყვნენ გატაცებული პირები მათი ქონებით. ამას გარდა, ქალაქები უფრო ხშირად სდებენ ურთიერთშორის სავაჭრო და საკავშირო ხელშეკრულებას. მეორე მხრივ, ვგონებ, VII საუკუნის დასასრულს საბერძნეთში დამყარდა ჩვეულება, რომლის მიხედვით თითოეული სახელმწიფო მეორე სახელმწიფოში ადგილობრივ გავლენიან მცხოვრებთაგან ირჩევდა განსაკუთრებულ პირებს — პ რ ო ქ ს ე ნ ე ბ ს, რომელთა მოვალეობას შეადგენდა მათ ქალაქში ამ სახელმწიფოდან მისული მოქალაქეების პიროვნებისა და ქონების დაცვა და მფარველობა. პროქსენი მარწმუნებელი სახელმწიფოს მოქალაქე კი არ იყო, არამედ სხვა ქალაქის წევრი. ამის მიხედვით, მაგ., ათენის ინტერესებს კორინთოში არა ათენიდან წარგზავნილი მოქალაქე იცავდა, არამედ კორინთელი, რომელსაც ათენისაგან რაიმე დამსახურების გამო პროქსენის ღირსება ჰქონდა მინიჭებული. პროქსენს მისი მოღვაწეობისათვის მისი მრწმუნებელი ქალაქი — სახელმწიფო თავის ფარგლებში განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა [21]. თუ, ამგვარად, ბერძნულმა პოლისებმა ერთიმეორისადმი ურთიერთობაში ერთგვარ გარკვეულ შედეგს მიაღწიეს, უფრო ძნელი გახდა მეკობრეობის მოსპობა. ზოგიერთი ქალაქი, განსაკუთრებით კორინთო, დიდ და გადამჭრელ ზომებს იღებდა მის წინააღმდეგ, მაგრამ ბერძნული ვაჭრობის ამ ღრმა იარის საბოლოოდ თავიდან აცილება, თითქმის, შეუძლებელი გახდა.

5. ძველი სპარტა, მისი სოციალური წყობილება და ყოფა-ცხოვრება (VIII—V საუკუნეები)

იმ დორიელთა შორის, რომლებიც მეორე ათასწლეულის დასასრულში ჩრდილოეთიდან სამხრეთით გადმოვიდნენ, ყველაზე სახელგანთქმული გახდა ის ნაწილი, რომელმაც პელოპონესის ერთ-ერთ მხარეში — ლაკონიკაში დააარსა სპარტის ძლიერი სახელმწიფო*. პელოპონესი ისთმოსის (ანუ კორინთოს) მეტად წვრილი ყელით არის შეერთებული შუა საბერძნეთთან, და ამიტომაც ბერძნებს უფლება ჰქონდათ მისთვის კუნძული ეწოდებინათ*.

საჭიროა მოვიგონოთ პელოპონესის მთავარი მხარეები. მისი შუა ადგილი ეკავა მთიან არკადიას, რომლის მცხოვრებლები მისდევდნენ უმეტესად მიწის დამუშავებასა და მესაქონლეობას. არკადია დანაწილებული იყო ერთიმეორისაგან თითქმის დამოუკიდებელ ერთეულებად. ვაჭრობა-წარმოებისა და კულტურის მხრივ იგი დიდად ჩამორჩენილი მხარე იყო, თუმცა სხვა ბერძენ ტომებს არკადიელი მწყემსები და მიწის მუშები ბედნიერ ადამიანებად მიაჩნდათ და ამ ნიადაგზე ხშირად ამბობდნენ: „ბედნიერი არკადია". არკადიის მთაგრეხილის აღმოსავლეთით მდებარეობდა არგოლიდა, რომელსაც მშვენიერი ნავთსადგურები მოეპოვებოდა და მათი მეოხებით საშუალება ჰქონდა მუდმივი სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა კუნძულებთან და აგრეთვე მცირე აზიასთან. მართალია, არგოლიდა მთაგორიანი და მშრალია, ამასთან მისი ზღვის ნაპირები ჭაობიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელია, მაგრამ საერთოდ იგი მოსავლიან მხარედ ითვლება.

არკადიის ჩრდილოეთით მდებარეობდა აქეა, რომელიც დაფარული იყო მთებით. მთის ფერდობებიდან წვიმის დროს მოვარდნილი ნაკადულები დიდად აზიანებდა დაბლობებს. დასავლეთით იყო ტყეებით მდიდარი ელიდა თავისი განთქმული ოლიმპიით, სადაც ყოველ ოთხ წელში ეწყობოდა ყველა ბერძენი ტომისათვის უაღრესად საყურადღებო დღეობები.

დასასრულ, არკადიის სამხრეთით მდებარეობდა მესენია და ლაკონიკა. მესენია ფრიად მოსავლიანი ქვეყანა იყო და მეტად მიმზიდველ მხარეს წარმოადგენდა. მასზე ეჭირა თვალი სპარტის სახელმწიფოს თავიდანვე და ძველადვე შეძლო მისი დაპყრობა და შემოერთება.

---

* Peloponessos, ე. ი. პელოპიდების ლეგენდარული მამამთავრის პელოპსის კუნძული.

ლაკონიკის[83] ტერიტორიის დიდი ნაწილი მთებს უკავია, ხოლო ევროტასის ნაყოფიერ ველს კი დაახლ. მხოლოდ ერთი მეოთხედი. მას დასავლეთით აკრავს მთა ტაიგეტი, აღმოსავლეთით კი — პარნონი. ტაიგეტის ქედი, თითქმის, მუდმივ თოვლით არის დაფარული; მძაფრი ჩანჩქერები ქაფით ავსებს ნაძვის სქელი ტყეებით დაბურულ ბნელ ნაპრალებს, მის ფერდობებზე ბიბინებს მშვენიერი ბალახი, რომელიც ძვირფას საკვებს წარმოადგენდა საქონლისათვის. განსაკუთრებით თხებისათვის; აქვე ბუდობდა მრავალი გარეული მხეცი და ფრინველი, რაც ხელსაყრელი პირობა იყო მონადირეობის განვითარებისათვის. ლაკონიკაში არსებობდა აგრეთვე რკინის ძვირფასი ბუდობები.

სწორედ ლაკონიკაში (ლაკედემონში) წარმოიშვა სპარტის ცნობილი სახელმწიფო, რომელსაც თავისებური ბუნებრივი საფარი ჰქონ-

სურ. 39. ევროტასის ველი.

და შემოვლებული მთების მიერ და რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ძველი საბერძნეთის ისტორიაში.

სპარტის სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები არსებითად განსხვავდებოდა იონურ-ატიკური დაწესებულებებისაგან და ძველადვე იწვევდა დიდ ინტერესს მათი წარმოშობის გათვალისწინების მხრივ.

ძველი სპარტის ადგილას ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გა-

თხრებმა ცხადყო, რომ მისი მოსახლეობა მიკენთან მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა. ტრადიციაში სპარტასთან არის დაკავშირებული მისი მეფე მენელაოსი, რომლის ცოლის, მშვენიერი ელენეს გატაცების გამო ატყდა თითქოს ტროას ომი. მეორე მხრივ, როგორც ვიცით, ლაკედემონის წყობილებას ფილოსოფოსები პლატონი და არისტოტელე კრეტას უკავშირებდნენ.

ამრიგად, წინადორიული სპარტა მიკენის ეპოქის ქალაქი იყო. მისი შემდგომი ძველი ისტორია საკმაო ბურუსითაა მოცული. თქმულება დორიელთა გადასახლების შესახებ კი ისეთ სურათს წარმოგვიდგენს თითქოს გმირის ჰერაკლეს შთამომავლობა — ჰერაკლიდები (დორიელები) კვლავ დაუბრუნდნენ მათი დიდი წინაპრის ადგილსამყოფელს პელოპონესში.

ისტორიკოსი თუკიდიდე (1, 10) გადმოგვცემს, თითქოს სპარტა წარმოიქმნა რამდენიმე სოფლის შეერთებისაგან (სინოიკისმისაგან). ამას გარდა ზოგიერთი ანტიკური ავტორი გვარწმუნებს, რომ პელოპონესში ქალაქები კი არ არსებობდნენ. არამედ სოფლების გაერთიანებაო. თუ ასეთ საგულისხმო ნათქვამს დავუჯერებთ, სპარტაც სინოიკისმის შედეგად წარმოქმნილ ქალაქად უნდა ჩავთვალოთ.

როგორ და რა პირობებში წარმოიშვა სპარტის საზოგადოებრივი ორგანიზაცია? ძველად მის შექმნას მიაწერდნენ ერთ პიროვნებას, ვინმე ლიკურგოსს. ძველი ისტორიკოსების ცნობები მის შესახებ უმეტეს ნაწილად გაურკვეველი და ერთიმეორის საწინააღმდეგოა. ლიკურგოსის უფრო ვრცელი ბიოგრაფია დაგვიტოვა პლუტარქემ; იგი გვაცნობს მისი ცხოვრების პირობებს და მის საკანონმდებლო მოღვაწეობას[84]. მაგრამ პლუტარქე გარკვევით აღნიშნავს: კანონმდებელი ლიკურგოსის შესახებ არ შეგვიძლია ისეთი ცნობების გადმოცემა, რომლებიც საკამათო არ იყოს; არსებობს სხვადასხვა მოთხრობა მისი დაბადების, მოგზაურობის, სიკვდილისა და აგრეთვე კანონმდებლობითი მოღვაწეობის შესახებ; უფრო ნაკლები თანხმობაა იმ დროის შესახებ, როდესაც იგი ცხოვრობდაო. ბიოგრაფიის VI თავში პლუტარქეს მოცემული აქვს ეგრეთ წოდებული ლიკურგოსის რეტრა, ე. ი. ის პასუხი, რომელიც ლიკურგოსმა მიიღო. თითქოს დელფოს მისნისაგან, როდესაც მას თავისი კანონები წარუდგინა. რეტრაში ნათქვამია: სელანიელი ზევსისა და ათენა სელანიელის (καὶ Ἀθηνᾶς Σελλανίας) სახელობაზე ტაძრის აღმართვისა და ფილეებისა და ობეების (ὠβάς) დაწესების შემდეგ „შენ მოაწყობ ოცდაათი კაცისაგან შემდგარ გერუსიას არქაგეტების მირიცხვით, დროგამოშვებით ჯერ არს შეჰკრიბო სახალხო ყრილობა

ბაბიკსა და კნაკიონს* შუა; აქ საბჭო წარადგენს კანონებს კენჭის საყრელად; ხალხს დაე ეკუთვნოდეს უფლება და ძალა". დღემდე არ არის დადგენილი თუ რომელი წყაროდან გადმოიღო ყოველივე ეს პლუტარქემ.

ისტორიკოსი ჰ ე რ ო დ ო ტ ე ც გადმოგვცემს, რომ ლიკურგოსმა ბევრი იმოგზაურა. სხვათა შორის, იყო, კუნძულ კრეტაზე, ინახულა დელფოც და აქ შეკითხვით მიმართა პითიას, რომელმაც მოიწონა მისი პროექტი. სპარტაში დაბრუნებისას კი მან ცხოვრებაში გაატარა თავისი კანონებიო. ამავე დროს ლიკურგოსს არ იცნობს ჰ ე ლ ა ნ ი კ ე ლ ე ს ბ ო ს ე ლ ი, რომელიც სპარტის ინსტიტუტების დაარსებას მეფეებს პროკლეს და ევრისთენეს მიაწერს. სპარტის ძველი წყობილების მოხსენების დროს ლიკურგოსს არც ისტორიკოსი თ უ კ ი დ ი დ ე არ ასახელებს.

სამაგიეროდ, V საუკუნის დასასრულს და IV-ის დასაწყისში, როდესაც მძვინვარებდა ცხარე სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა და საჭიროდ ჩათვალეს სპარტის ძველი წყობილების გაიდეალება, წარმოიშვა თავისებური პოლიტიკური ლიტერატურა. ოფიციალური ვერსიის ხასიათი მიიღო იმ გადმოცემამ, რომ ლიკურგოსს თვით პითიამ გადასცა გეგმა სპარტის სახელმწიფოებრივი წყობილებისა და, მაშასადამე, ეს უკანასკნელი ღვთაებრივი წარმოშობისაა. ამ ვერსიის განმტკიცება, ედ. მ ა ჲ ე რ ი ს აღნიშვნით, უმთავრესად მეფე პავსანიას უმცროსს უნდა მიეწეროს. მას ბრძოლა მოუხდა ოლიგარქოსების პარტიის მეთაურთან, ცნობილ ნავარქოს ლიპანდრესთან, სპარტის წყობილების გარშემო და ამ ნიადაგზე წარმოიშვა მისი განსაკუთრებული პამფლეტი, რომელიც შეიცავდა მისნის მრავალ გამოთქმას. პავსანიასის მიერ წამოყენებულმა მოსაზრებებმა ფართო გამოძახილი და მრავალი მიმდევარი ჰპოვა სპარტაში და ათენშიც კი. გაჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც კონსერვატორულ წრეებს ეკუთვნოდნენ და რომელთა აზრითაც ლაკონიკა იდეალური სახელმწიფო იყო (მაგ., ქსენოფონტე). ამასთან საყურადღებოა ის გარემოებაც. რომ ძვ. წ. IV საუკუნის ისტორიკოსი ე ფ ო რ ე პირდაპირ აღნიშნავს: ლიკურგოსმა შექმნა აგრარული თანასწორობა სპარტაში და მოახდინა მიწების დანაწილება თანასწორობის საფუძველზეო. ამას გარდა, ძვ. წ. III საუკუნეში, როდესაც ადგილი ჰქონდა სპარტაში თავისებურ დიდ საზოგადოებრივ მოძრაობას მეფეების — აგის III და კლეომენ III დროს, ლიკურგოსზე განმტკიცდა წარმოდგენა, როგორც სოციალურ რეფორმატორზე, თითქმის რევოლუციონერზე.

---

* ე. ი. ქალაქის ჩრდილოეთ და სამხრეთ პუნქტებს შორის.

ლიკურგოსზე გარკვევით მიუთითებდა მეფე კლეომენე თავისი რეფორმატორული გეგმის განხორციელების დროს [85].

ძველი ცნობების ასეთმა გაურკვევლობამ საკმაოდ დიდი კამათი და საწინააღმდეგო მოსაზრებები გამოიწვია ჩვენი დროის მკვლევართა შორის. უფრო გავრცელებული იყო ის შეხედულება, რომელიც ამ საკითხზე გამოთქვეს ვ ი ლ ა მ ო ვ ი ც-მ ო ე ლ ე ნ დ ო რ ფ-მ ა, ედ. მ ა ჲ ე რ მ ა და მათმა მიმდევრებმა. ამ შეხედულების თანახმად ლიკურგოსი მითური პიროვნებაა; იგი იყო ადგილობრივი ღვთაება, რომელსაც სპარტაში ჰქონდა საკუთარი საკურთხეველი და დღესასწაულები; თვით სახელი ლიკურგოსი პირვანდელი გადაკეთებაა არკადიის ზეევს ლიკეოსისა, რომელსაც დაუკავშირეს თქმულება დიდ კანონმდებელზე, რადგან თვით ზეევსი სპარტის სასელმწიფოს მფარველად ითვლებოდა. და საერთოდ, „როდესაც ძველ სარწმუნოებრივ სოფლშემეცნებაზე ახალმა რაციონალისტურმა მიმართულებამ გაიმარჯვა და სარწმუნოებრივმა მომენტმა დაკარგა თავისი წინანდელი ძალა და მნიშვნელობა,—კეთილისმყოფელი ღვთაებისაგან ლიკურგოსი თანდათანობით გადაიქცა გმირ-რეფორმატორად“ [86]. ამ შეხედულებას ულ. ვ ი ლ კ ე ნ ი თავის „საბერძნეთის ისტორიაში“ ასეთ საერთო დასკვნას უკეთებს[37]: „ახალმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ეს კანონმდებელი არასოდეს არ არსებობდა. რომ, პირიქით, პირველად ორგანიზაციის დაწესებას მიაწერდნენ სპარტის ძველ ღვთაებას ლიკურგოსის სახელით, რომელიც ზეევს ლიკეიოსს ენათესავებოდა, ვიდრე საზღვარგარეთელი კანონმდებლების ანალოგიით იგი ადამიანად არ წარმოიდგინეს, რომელიც შემდეგში მეფის მეურვის ადგილით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რადგან მეფეების სიაში მისი სახელი მოხსენებული არ არის“. ჩვენი აზრით, ასეთი მსჯელობა საერთოდ გადაჭარბებული სკეპტიციზმის შედეგი უნდა იყოს. ცხადია, სპარტის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის წარმოშობას ერთი პიროვნების — ლიკურგოსის მოღვაწეობასა და სურვილებს ვერ მივაწერთ, მაგრამ ამიტომ ამ უკანასკნელის რეალობის უარისყოფა იმ მოსაზრებით, რომ მისი სახელი ზეევს ლიკეიოსს მოგვაგონებს, ან იმიტომ, რომ მასზე არას გვეუბნება, ან საწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდის ზოგიერთი ძველი ისტორიკოსი, ვფიქრობთ საკმაოდ დამარწმუნებლად ვერ ჩაითვლება. დიდი ისტორიკოსი თუკიდიდე, მაგ., თითქმის არ იხსენიებს სოლონს, მაგრამ ამის მიუხედავად ფიქრად არავის მოსვლია, სოლონის მითურ პიროვნებად აღიარება. დღეს თანდათან შტკიცდება ის აზრი, რომ ჰომეროსი რეალური პოეტ-შემოქმედი იყო: რეალურ პიროვნებებად თვლიან ზოგიერთ ძველ კანონმდებელს, რომელთა შესახებ ფრიად

საეჭვო ცნობები მოგვეპოვება. ყოველ შემთხვევაში ასეთი ცდები არსებობს! რატომ არ შეიძლება, რომ ლიკურგოსიც რეალური პიროვნება ყოფილიყო, რომლის ცხოვრებიდან ზოგიერთი ცნობა მაინც შემოგვინახეს ძველმა მწერლებმა, არა მარტო პლუტარქემ, არამედ ჰეროდოტემ და სხვებმა. ის ფაქტი, რომ იგი სამეფო სიაში არ არის მოხსენებული, შეიძლება მხოლოდ იმას ამტკიცებდეს, რომ იგი სპარტის მეფე არ ყოფილა. ადვილი შესაძლებელია, სპარტის ისტორიული პროცესის მიმდინარეობაში წარმოშობილ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ლიკურგოსმა ოდესღაც მართლაც ითამაშა ერთგვარი როლი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებით IV საუკუნეში სრულებით გადასხვაფერებული სახით წარმოიდგინეს. რაც შეეხება ეგრეთ წოდებულ ლიკურგოსის რეტრას, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი, მაგ., გ ი ლ ბ ე რ ტ ი, ხელშეკრულებად თვლის მისნის მოწონების შემდგომ შეერთებულ თემებს შორის[88], მის შესახებ უფრო სარწმუნოდ ის მოსაზრება უნდა ჩაითვალოს, რომ იგი შემდგომი დროის ფალსიფიკაციაა და რომ მისი წარმოშობა დაკავშირებული უნდა იყოს მეფე პავსანიასის უკვე ხსენებულ პამფლეტთან. როგორც ამას აღნიშნავდა ედ. მ ა ჲ ე რ ი[89]. ამიტომ იგი არსებითად არ გამოგვადგება სპარტის სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის გენეზისის გარკვევისათვის.

სპარტის სახელმწიფო წარმოიშვა ძველი წინადორიული მოსახლეობის დაპყრობის პროცესში და ამ ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისი განვითარებისათვის[90]. მასში ღრმად იყო შემონახული გვაროვნული გადანაშთები და ძლიერ სახელმწიფოებრიობასთან ერთად გვაროვნული ინსტიტუტების არსებობა წარმოადგენდა სპარტის წყობილების ერთ-ერთ თავისებურებას.

საფიქრებელია, რომ დამპყრობლებმა ზოგი რამ მაინც შეითვისეს დაპყრობილთაგან და უწინარეს ყოვლისა ეგრეთ წოდებული მამაკაცთა კავშირები (Männerbünde). პირველად ასეთი კავშირების არსებობას სპარტაში ყურადღება მიაქცია XVIII საუკუნეში ისაკ იზელინმა, ხოლო უფრო გარკვევით 1921 წელს მათ შეეხო შვეიცელი მკვლევარი მ. ნილსონი.

რაში მდგომარეობდა საერთოდ ეს კავშირები?

სქესობრივი მომწიფების დამყარებისას ახალგაზრდები ტოვებდნენ ოჯახს და იწყებდნენ ერთად ცხოვრებას ყაზარმული ფორმის ეგრეთ წოდებულ „მამაკაცთა სახლებში (Männerhaus), სადაც მეტად თუ ნაკლებად გაბატონებული იყო თავისებურად განზოგადებული ყოფა-ცხოვრება. ასეთ კავშირთა წევრების მთავარ ფუნქციას სახელმწიფოს სამხედრო დაცვა და ღვთისმსახურებათა შესრულება

შეადგენდა. ზოგიერთ შემთხვევაში კავშირები დანაწილებული იყო წლოვანებით კლასებად და უმცროსები ასრულებდნენ კავშირის უფროსი წევრების დავალებებს, მარხულობდნენ და იკვებებოდნენ სრულებით უბრალო საჭმლით და სხეულის გამაგრებისათვის მისდევდნენ უძნელეს ვარჯიშობათ [91].

დამპყრობელი დორიელები ლაკონიკაში პირველ ხანებში წარმოადგენდნენ პატარა სამხედრო ახალშენს მათდამი მტრულად განწყობილ ადგილობრივ მოსახლეობას შორის და ამიტომაც მამაკაცთა კავშირების ორგანიზაცია მათთვის ამ ახალ პირობებში ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო. მართლაც, აქ სავსებით იქნა დაცული სრულუფლებიანი მოქალაქეების მამაკაცთა კავშირებში დაჯგუფება მათი წლოვანების მიხედვით, კლასებად დანაწილებით და საერთო სადილებით. ეს მოვლენა უძველეს საბერძნეთში მარტო სპარტას არ ახასიათებდა, მაგრამ ის ამ სახელმწიფოში უფრო გარკვევით გამოიკვეთა[92].

უძველესი დროიდან სპარტელები სამ გვაროვნულ დორიულ ფილად იყოფოდნენ, რომლებიც თანდათან კარგავდნენ თავიანთ ძველ მნიშვნელობას და გვაროვნული დანაწილება ტერიტორიალურით იცვლებოდა. ამას გარდა, სპარტა იყოფოდა 5 ობედ. თითოეული მათგანი სოფელს წარმოადგენდა, ხოლო სპარტა ქალაქი არ იყო, ამ სიტყვის მნიშვნელობით, და ძველი მწერლების სიტყვით უფრო სოფელთა გაერთიანებას განასახიერებდა. სპარტის მოსახლეობა სამ სოციალურ ჯგუფად იყო დაყოფილი: სპარტიატებად, პერიეკებად და ჰილოტებად. სპარტიატებმა საფუძველი ჩაუყარეს თავისებურ სამხედრო ბანაკს — თვითონ „ქალაქ" სპარტას და მისი ძირითადი მცხოვრებლები გახდნენ. დაპყრობილი მხარე მათ ურთიერთ შორის გაინაწილეს ისე, რომ ყოველ სპარტიატს მამულის განსაზღვრული თანასწორი ნაკვეთი (κλῆροι) ეძლეოდა. არსებობს გარკვეული ცნობები, რომ არ შეიძლებოდა ამ ნაკვეთების გასხვისება და გაყოფა და რომ ამ ნიადაგზე იშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც თავისუფალი კლეროსის უქონლობის გამო რამდენიმე ძმას ერთი ცოლი და საერთო მეურნეობა ჰქონდათ. სპარტიატები შეადგენდნენ საერთოდ „თანასწორთა თემს" კოლექტიური საკუთრებით და კოლექტიური სამუშაო ძალით.

სპარტელების მიერ დაპყრობილი მიწათმოქმედი მოსახლეობა, რომელსაც ჰილოტები ეწოდებოდა, მიმაგრებული იყო კლეროსებზე და ამ კლეროსებს სახელმწიფოს სპეციალური რწმუნებულის კონტროლის ქვეშ ამუშავებდა. სპარტიატებს ისინი განსაზღვრულ ღალას უხდიდნენ. მათი მთავარი დანიშნულება იყო სპარტიატების უზრუნ-

ველყოფა სურსათ-სანოვაგით, რომ უკანასკნელთ შესძლებოდათ მთელი თავისი დრო სამხედრო ვარჯიშობისათვის გამოეყენებინათ. სპარტიატს უფლება არ ჰქონდა გაეყიდა ან გაენთავისუფლებინა თავისი ჰილოტები. ეს შეეძლო მხოლოდ სახელმწიფოს, რომელსაც ეკუთვნოდა მათი სიცოცხლისა და სიკვდილის უფლება. მაშინ, როდესაც სპარტიატების რიცხვი სულ რამდენიმე ათასი იყო, ჰილოტები ფრიად მრავალრიცხოვან მასას წარმოადგენდნენ და ხშირად ამჟღავნებდნენ შექმნილი მდგომარეობის გამო თავის უკმაყოფილებას, რაც ზოგჯერ აჯანყების სახეს ღებულობდა. ეს გარემოება იწვევდა სპარტიატებში მუდმივ შიშსა და უნდობლობას მათდამი.

ჰილოტების საკითხი დღემდე მკვლევართა დიდ ყურადღებას იპყრობს. ზოგიერთი მკვლევარი ჰილოტების მდგომარეობის გათვალისწინებისას ფიქრობს, რომ ჰილოტები იყვნენ „სახელმწიფო მონები" („glebae adscripti") და მათი მდგომარეობა უკეთესი იყო, ვიდრე მონებისა სხვა მხარეებში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ მსგავსმა მკვლევარებმა სავსებით დაივიწყეს ის თავისებური მეთოდები დათრგუნვისა, რომელსაც განიცდიდნენ ჰილოტები, და საეჭვოდ მიიჩნიეს ეფორების მიერ ჰილოტებისადმი პერიოდული ომის გამოცხადების ცნობები (კრიპტიები). დავიწყებულია აგრეთვე ჰილოტების ხშირი ამბოხებანი.

ჰილოტების მდგომარეობის გათვალისწინებისას უნდა გვახსოვდეს, რომ ძველადვე ეს ტერმინი ბუნდოვნად იყო წარმოდგენილი. მაგრამ გადმოცემები მისი წარმოქმნის შესახებ ლაკონიის დაპყრობის ამბებთანაა დაკავშირებული. ასე, მაგ., არსებობდა გადმოცემა, თითქოს დორიელებს განსაკუთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს ლაკონიის ქალაქ ჰელოსის მცხოვრებლებმა, მაგრამ ბოლოს ისინი იძულებული გახდნენ მტრებს დანებებოდნენ და სპარტელების მიერ დაპყრობილ მოსახლეობას მისცეს თავისი სახელი — ჰილოტები. საფიქრებელია, რომ ისინი სახელმწიფო მონებად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ვერ ჩაითვლებიან. მათი ყოფა-ცხოვრების მიხედვით ბუნებრივად წარმოიქმნა ტერმინი „ჰილოტიზმი". ახ. წ. II—III საუკუნის ლექსიკოგრაფოსი ი უ ლ ი უ ს პ ო ლ უ ქ ს ი ნავკრატისიდან თავის ცნობილ ლექსიკონში ('Ονομαστικόν) ასე განმარტავს ჰილოტების მდგომარეობას: მონებსა და თავისუფალთა შორის საშუალო მდგომარეობა ეკავათ ლაკედემონელ ჰილოტებს, თესალიელ პენესტებს და კრეტელ კლაროტებსა და მნოიტებსო. .

სპარტის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს წარმოადგენდნენ პ ე რ ი ე კ ე ბ ი ანუ პ ე რ ი ო ი კ ე ბ ი („გარშემო მცხოვრებნი"). ისინი მეტწილად ხელოსნობას მისდევდნენ და სახელმწიფოსათვის სა-

სარგებლო საქმიანობას ეწეოდნენ. ისტორიკოსი ე ფ ო რ ე გვარწმუნებს, რომ პერიეკები წარმოადგენენ უცხოელებს, რომლებიც სპარტაში დამკვიდრებულან, და არა პოლიტიკურ უფლებებს მოკლებულ აქეელებსო; რომ ისინი თავდაპირველად სპარტიატებთან თანასწორუფლებიანნი იყვნენ და მხოლოდ მეფე აგისმა გახადა მოხარკეებად და პოლიტიკური უფლებები წარუკვეთაო.

მართალია, ისინი პირადად თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობდნენ და ვალად ედოთ სახელმწიფოს წინაშე განსაზღვრული სამხედრო ბეგარა და განსაკუთრებული ხარკი მეფეებისადმი (βασιλικός φόρος). საერთოდ კი მათი მდგომარეობა ჰილოტებთან შედარებით უკეთესი იყო. პერიოიკებს შორის იყვნენ მიწათმოქმედნი, ხელოსნები და მოვაჭრეები. ისინი არ შედიოდნენ „თანასწორთა თემში", მაგრამ შეეძლოთ ჰქონოდათ მიწის საკუთრება და ემსახურნათ ლაშქარში.

ამგვარად, ძველი სპარტის საზოგადოების სამი შემადგენელი ელემენტი იყო: სპარტიატები, პერიეკები და ჰილოტები. სპარტიატები უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ თავიანთ შორის სრული ქონებრივი თანასწორობის დაცვას, რომ თითოეულ სპარტიატს შესაძლებლობა ჰქონოდა ჯეროვნად შეესრულებინა სამხედრო სამსახური. წინააღმდეგ შემთხვევაში ქონებრივ უთანასწორობას შეეძლო გამოეწვია სამხედრო უთანასწორობაც, რადგან სპარტიატების ქონებრივად ჩამორჩენილ ნაწილს არ ექნებოდა სრული შეიარაღებისა (პანჰოპლიის) და ომში მონაწილეობის საშუალება.

პლუტარქე სპარტაში შექმნილ ვითარებას ლიკურგოსის ბიოგრაფიაში ასეთი სიტყვებით გვიხასიათებს: „მდგომარეობაში არსებულ განსხვავებას კარგად გრძნობენ ისინი, რომლებიც ამბობენ: ლაკედემონში თავისუფალი მართლაც თავისუფალია და მონა მართლაც მონაა" (Lic., XVIII).

ძველ სპარტას საერთოდ თანასწორთა (ὅμοιοι) სახელმწიფოს უწოდებდნენ. რასაკვირველია, მხოლოდ სპარტიატების მდგომარეობის მიხედვით. მაგრამ ქვემოთ დავინახავთ, თუ როგორ ირღვეოდა ეს თანასწორობა და როგორ იზრდებოდა რიცხვი გაღატაკებული სპარტიატებისა, ან როგორ მტკიცდებოდა ქონებრივი და პოლიტიკური გავლენა სპარტიატების წრეში ამაღლებული არისტოკრატიისა.

სპარტის სახელმწიფოს როგორც შინაური, ისე საგარეო მდგომარეობა მოითხოვდა სპარტიატების მუდმივ სამხედრო მზადყოფნას და ამიტომაც, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, ეს მომენტი თავისებურ ელფერს აძლევდა მის სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციას. როგორც ვთქვით, სპარტიატების ყოფა-ცხოვრებაში, რომელიც დამ-

ყარებული იყო არა დაწერილ კანონებზე, არამედ ტრადიციაზე. დაცული იყო „მამაკაცთა კავშირების“ მრავალი ელემენტი, რომლებიც არსებითად სამხედრო პირობების მიხედვით იყო მომარჯვებული. სავსებით გაბატონებული იყო ის აზრი, რომ სახელმწიფო შეიცავს მის ფარგლებში შემავალი მოსახლეობის მთელ ცხოვრებას. ამ მომენტის ძლიერებას კარგად გრძნობდა თითოეული სპარტიატი დაბადებიდანვე. ახლადდაბადებულთ ამოწმებდნენ და რაიმე ფიზიკური ნაკლის შემთხვევაში შეიძლებოდა მათი გადაგდებაც კი. 7 წლის შესრულების შემდეგ ბავშვები სახელმწიფოს სრულ განკარგულებაში გადადიოდნენ და აღზრდის განსაკუთრებული სისტემის მიხედვით ვითარდებოდნენ. მთავარი ყურადღება ექცეოდა მათ ფიზიკურ ვარჯიშს, სხეულისა და ნებისყოფის განმტკიცებას, რათა მათგან საუკეთესო მეომრები გამოსულიყვნენ. საერთოდ ამ სისტემით სახელმწიფო ცდილობდა, რომ ახალგაზრდობას შეეთვისებინა უფროსებისადმი პატივისცემა. კანონების წინაშე უსაზღვრო მორჩილება და ყოფაქცევისა და საუბრის სასტიკი განსაზღვრა (ლაკონიზმი) [93]. ამ ახალგაზრდებს ანაწილებდნენ წლოვანობის მიხედვით და დაყოფდნენ ჯგუფებად (ἀγέλαι), რომელთაც სახელმწიფო აღმზრდელები — პაიდონომები წვრთნიდნენ. სახელმწიფო აღზრდას ახალგაზრდობა 20 წლის შესრულებისას ამთავრებდა. მაგრამ ამის შემდგომაც გრძელდებოდა მასზე სახელმწიფოს კონტროლი. ახალგაზრდობის ცხოვრება უძველესი დროიდან შემოღებულ განსაკუთრებულ ამხანაგობებში (φιδίτια, συσσίτια) მიმდინარეობდა, სადაც თითოეულ მათგანს საერთო სადილებისათვის განსაზღვრული რაოდენობის პროდუქტები უნდა შეეტანა. ამ ამხანაგობებში მტკიცდებოდა სახელმწიფოს მთავარი ამოცანა — სპარტიატების სამხედრო მზადყოფნა და ვაჟკაცობისა და თავგანწირვის გრძნობების გაღრმავება. ასე წარმოიშვა სპარტის სამხედრო ბანაკში სახელოვანი მეომრების (καλοὶ καγαθοί) ჯგუფები, რომელთაც, მიუხედავად თავისი მცირერიცხოვნობისა, უდიდესი სამსახური გაუწიეს სპარტის სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების საქმეში. სპარტელების ჯარი დანაწილებული იყო 500 კაციან რაზმებად (ლ ო ხ ო ს ე ბ ა დ. შემდგომში—მ ო რ ე ბ ა დ); ორმოცი კაცისაგან შედგებოდა უფრო წვრილი ერთეული — ე ნ ო მ ო ტ ი ა. ჯარის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ მძიმედ შეიარაღებული ფეხოსნები — ჰ ო პ ლ ი ტ ე ბ ი.

ასეთივე განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სპარტელი ქალების აღზრდას, რომელიც სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციად იყო მიჩნეული. ახალგაზრდა სპარტიატი-ქალები ისევე ვარჯი-

შობდნენ ფიზიკურად, როგორც მამაკაცები: ჭიდაობდნენ, ხტოდნენ, კრივში ებრძოდნენ ერთიმეორეს და სხვ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქალიშვილების ასეთ აღზრდას ისეთი დედების შექმნა ჰქონდა მიზნად დასახული, რომლებიც ჯანსაღ თაობას, სახელმწიფოს მომავალ დამცველებს წარმოშობდნენ. ქორწინების უმთავრეს ფორმას სპარტაში მონოგამური ოჯახი წარმოადგენდა. უშვილობის შემთხვევაში ხდებოდა განქორწინება, რის მაგალითებიც წყაროებში ბლომად მოიპოვება. თუ ოჯახში ერთ ძმას ჯერ კიდევ არ გააჩნდა კლეროსი, მას შეეძლო ძმის ცოლთან ეცხოვრა. ამას გარდა, თუ რომელიმე სპარტიატს თავის მეგობრის ცოლი მოეწონებოდა, შეეძლო იგი ქმართან ერთად გაენაწილებინა. ამიტომ ცოლქმრულ ღალატზე ლაპარაკი სპარტიატების მიმართ საფუძველს მოკლებულია. ქალს სპარტაში გაცილებით უფრო საპატიო მდგომარეობა ჰქონდა მინიჭებული, ვიდრე სხვა ბერძენთა ცხოვრებაში.

სპარტის სახელმწიფოს სათავეში ედგა უძველესი დროიდან მ ე ფ ე, რომელიც ბრძოლის ველზე უმაღლესი სარდალი იყო, ხოლო მშვიდობიანობის დროს — უმაღლესი ქურუმი და მოსამართლე. იგი ხალხის „უხუცესებთან" ერთად იხილავდა თავისი თემის საქმეებს და განსაკუთრებული პირების საშუალებით იწვევდა საერთო კრებაზე იარაღის მატარებელ ყველა მამაკაცს. იმ დროის სპარტაში ორი მეფე და ორი საგვარეულო დინასტია — აგიადები და ევრიპონტიდები — არსებობდა. როგორ მოხდა ამ ორმეფიანობის წარმოშობა?

ვ ი ლ კ ე ნ ი ს განმარტებით, ეს უნდა ყოფილიყო არა თავდაპირველი მოვლენა, არამედ განსაკუთრებული ისტორიული პირობების შედეგი, რომლის შესახებ შეიძლება გამოითქვას მხოლოდ ჰიპოთეზები[94]. საჭიროა გაკვრით მაინც გავითვალისწინოთ ამ საკითხის გარშემო წარმოშობილი ჰიპოთეზები. ერთის მიხედვით, იგი შედეგია სინოიკისმისა—ადგილობრივ და დორიელ თემებს შორის (Wachsmuth); სხვები ფიქრობენ, რომ სინოიკისმი მოხდა ორ დორიულ თემს შორის (Duncker); მესამე მოსაზრება გვარწმუნებს, თითქოს ისტორიული სპარტა დორიელებისაგან დასახლებული მთელი რიგი ადგილების სინოიკისმისაგან წარმოდგა (Niese). უფრო სხვაგვარია და ხელოვნურიც ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც შემოსეულ დორიელებს ორი წინამძღოლი მეთაურობდა, რომელთაგან ერთმა დაიპყრო ევროტასის ქვემო ჭალა, მეორემ კი ტაიგეტის დასავლეთი ფერდობი და ველი; ევროტასის ზემო ჭალა კი ორივემ დაიკავა და ამიტომაც აქ სპარტაში დასაბამი მიეცა ორმეფიანობასა და ორ დინასტიას (K. Neumann). დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც შესაძლებლად არის მიჩნეული, რომ უძველე-

სი დროის მეფის გვერდით ამაღლდნენ სხვა ბასილევსები (βασιλῆες) და გაჩნდა მეორე მემკვიდრეობითი დინასტია (Ed. Meyer, K. Beloch)[95]. ამგვარად ამ ფაქტის მიმართ მხოლოდ ჰიპოთეზებთან გვაქვს საქმე და გადაჭრით რისამე თქმა ძნელია. ერთი რამ კი მართლაც უდავოდ უნდა ვაღიაროთ, რომ ორმეფიანობა თავდაპირველი მოვლენა არ არის, არამედ შედეგია ჩვენთვის ჯერჯერობით გამოურკვეველი ისტორიული პირობებისა.

მეფეების გვერდით სპარტის ძველი სახელმწიფოს თვალსაჩინო ორგანოს წარმოადგენდა უხუცესთა საბჭო ანუ გ ე რ უ ს ი ა. თუ სხვა გზით განვითარებულ ბერძნულ სახელმწიფოებში უხუცესთა საბჭო თანდათანობით წარჩინებულთა საბჭოდ იქცა. აქ, სპარტაში, იგი უცვლელად იყო დაცული. სპარტიატების ის ნაწილი, რომელსაც მოხუცებულობის გამო უკვე აღარ შეეძლო იარაღის მოხმარება და, მაშასადამე, არც სამხედრო მოვალეობის ასრულება, ერთი სიტყვით, 60 წელს გადაცილებული მოხუცნი, რომელთაც, იმ დროის საზოგადოების წარმოდგენით სამაგიეროდ დიდი გამოცდილება მოეპოვებოდათ, შედიოდნენ წევრებად გერუსიაში. ისტორიულ ხანაში გერუსია შედგებოდა 30 წევრისაგან, მათ შორის ორი მეფისა და 28 სიცოცხლეულად არჩეული გერონტისაგან.

იმ დროს, სპარტაში არსებობდა სპარტიატების ს ა ხ ა ლ ხ ო კ ,რ ე ბ ა ც (ἀπέλλα), რომელსაც არ ჰქონდა რაიმე ინიციატივის უფლება და მას იწვევდნენ მხოლოდ განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად.

როგორც აღვნიშნეთ, სპარტაში უძველესი დროიდან მიმდინარეობდა ცდა სპარტიატებს შორის სრული მოქალაქეობრივი თანასწორობის დაცვისა, ამიტომაც მათ „თანასწორთ“ (ὅμοιοι) უწოდებდნენ, მაგრამ თუ მთელ მოსახლეობას მივიღებთ მხედველობაში, პერიეკებისა და ჰილოტების ჩათვლით, მაშინ ამ უკანასკნელთა მიმართ ურთიერთშორის თანასწორი სპარტიატები გაბატონებულ წრეს, თავისებურ არისტოკრატიას წარმოადგენდნენ. და ეს უკანასკნელი თავის საგარეო პოლიტიკაში კავშირს აწესებდა არა დემოკრატიასთან, არამედ არისტოკრატიასა და ოლიგარქიასთან. მაგრამ, როგორც ჩანს, სპარტის სახელმწიფოს განვითარებაში არ წარმოშობილა ისეთი მომენტები, რომლებმაც სხვა სახელმწიფოებში მეფობის თანდათანობითი დაცემა და გაუქმება გამოიწვია. მეორე მხრივ, რამდენადაც ქალაქ-სახელმწიფოს (პოლისის) განვითარება სხვაგან ხელს უწყობდა ამ პროცესს, სპარტაში კი ეს არ მომხდარა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ პოლისის, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არც განვითარებუ-

ლა[96]. მართალია, სპარტა არსებითად ხუთი გაუმაგრებელი სოფლის ერთიანება იყო, ხოლო მაინც მთელი მხარის ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლებოდა. ამიტომ დროთა ვითარებაში აქაც გაიზარდა და გაძლიერდა სახელმწიფო მოხელეების რიცხვი და მნიშვნელობა და მეფის გვერდით წარმოიშვა განსაკუთრებული კოლეგია — 5 ეფორი (ἔφοροι), რომლებიც ყოველწლიურად არჩეულ საგანგებო კვალიფიკაციის „მეთვალყურეებს“ წარმოადგენდნენ. მათ კომპეტენციაში, რომელიც თანდათან ფართოვდებოდა, შედიოდა კონტროლი სპარტის ყველა სახელმწიფო დაწესებულებაზე და თვით მეფეებზედაც. ამ კოლეგიის წარმოშობის პირობებისა და დროის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს როგორც ძველს, ისე ახალ ისტორიკოსთა შორის. ამიტომ ამ საკითხზე ერთი გარკვეული და საერთოდ აღიარებული აზრი დღემდე არ მოგვეპოვება. საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ამ საკითხზე ერთმა რუსმა მკვლევარმა[97]. მისი აზრით, „ამ კავშირებს (მამაკაცთა კავშირებზეა ლაპარაკი) სათავეში ედგა, როგორც ეხლა მთელ რიგს ველურებისას, ღვთაებრივი მეფე, რომელიც 9 წლის გასვლის შემდეგ უნდა მომკვდარიყო, ალბათ, რიტუალური თვითმკვლელობით. ასეთ მეფეს თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი ხელისუფლება საერთო საქმეებში დიდი არ უნდა ყოფილიყო. თუ იგი შეუსაბამო აღმოჩნდებოდა, შამანებს შეეძლოთ (ვარსკვლავებზე მკითხაობით და სხვ.) დაედგინათ, რომ მეფემ დაკარგა თავისი ღვთაებრივი ძალა და, ამგვარად, ის ვადაზე ადრე გაეძევებინათ და, პირიქით, იმავე შამანებს შეეძლოთ გაეგრძელებინათ მეფის ღვთაებრივი ძალის ვადა მესამე და შემდეგ ცხრა წელზე. მოსულმა ბერძნებმა ბევრი რამ შეითვისეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ადგილობრივი მეფის საკრალურ მოვალეობათა წყება გადაიტანეს დამპყრობელთა მეფეზე; ასევე დაცულ იქნა ყოველი ცხრა წლის დასასრულში შამანების მიერ ზეცის შეკითხვის წესი. ვიდრე სპარტის მეფეები ძლიერი მბრძანებლები იყვნენ, ეს რიტუალი უეჭველად უბრალო ფორმალობა იყო. მაგრამ თანდათანობით სპარტაში... სამეფო ხელისუფლება სუსტდებოდა... და თუ საზოგადოდ აქ მეფის ხელისუფლება არ იქნა გაუქმებული, ეს მოხდა ორ სამეფო გვარეულობას შორის არსებული განხეთქილების მეოხებით: ერთი დინასტია, აგიადებისა, ემყარებოდა გაღარიბებულ სპარტიატებს, მეორე კი, ევრიპონტიდებისა, უფრო მდიდარი ნაწილის ინტერესებს იცავდა. ამ განხეთქილებამ ხელი შეუწყო ეფორების გაძლიერებას, რომელთაც არამცთუ გამოიყენეს პოლიტიკური მიზნით შამანების ზემოთ აღნიშნული ფუნქციები არასასურველი მეფეების თავიდან მოსაშორებლად, არამედ მიითვისეს სახელმ-

წიფო საქმეების საბოლოო გადაჭრის უფლება მეფეებს შორის უთანხმოების შემთხვევაში".

სამწუხაროდ, არც ამ საყურადღებო მსჯელობაშია გარკვეული ეფორატის წარმოშობის პირობები, ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ეფორების რიცხვი (5) სპარტის შემადგენელ 5 სოფელს უნდა შეესაბამებოდეს და რომ თავდაპირველად ისინი ამ სოფლების მამასახლისები უნდა ყოფილიყვნენ [98].

ეფორების სია ძვ. წ. 755/4 წლიდან იწყება, მაგრამ აქედან, რასაკვირველია, იმის მტკიცება არ შეიძლება, რომ ეს ინსტიტუტი სწორედ ამ წლებში იქნა დაარსებული. მართალია, ეფორებმა ხელშეუხებლად დაუტოვეს მეფეებს ძველი გარეგნული პატივი და ღირსება, მაგრამ არსებითად დიდად შეზღუდეს მათი ხელისუფლება. მათ უფლება მოიპოვეს გასასამართლებლად მოეწვიათ მეფე; უკანასკნელს შეეძლო ორჯერ არ გამოცხადებულიყო, მაგრამ მესამედ კი ვალდებული იყო ეს მოთხოვნილება შეესრულებინა. ეფორები განსაზღვრულ ვადაში თვალყურს ადევნებდნენ ცისიერ მოვლენებს და მათ მიხედვით არასასიკეთო წინათმოსწავების შემთხვევაში უფლება ჰქონდათ გადაეყენებინათ მეფეები იმ დრომდე, სანამ დელფოდან არ მოვიდოდა ამ უკანასკნელთათვის სასურველი პასუხი. პირველად ეფორებს მეფეები ნიშნავდნენ, შემდგომში კი მათ სახალხო კრება ირჩევდა, არისტოტელეს თქმით, რაღაც „ბავშვური გზით".

როგორც დავინახეთ, სპარტის სახელმწიფოს არსებობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ აგრარულ წყობილებასთან, რომელიც მასში თავიდანვე დამყარდა. მაგრამ დროთა მსვლელობაში, რასაკვირველია, დადგებოდა ისეთი მომენტი, როდესაც სპარტიატების რიცხვის ბუნებრივი ზრდის გამო უკვე საკმარისი არ იქნებოდა თავისუფალი კლეროსების რაოდენობა. ამიტომ, როგორც ჩანს, სპარტის სახელმწიფო ადრე შედგომია ახალშენების გაყვანას და ახალი ადგილების დაპყრობას. ამ საქმეში მას ძლიერი შეტაკებები მოსვლია სხვა პოლისებთან. განსაკუთრებით ხანგრძლივი ბრძოლა ჰქონია მას არკადიის ქალაქ ტეგეასთან, რაზეც ისტორიკოსი ჰეროდოტე მოგვითხრობს.

სპარტის უფრო საშიში მეტოქე ყოფილა არგოლიდის მთავარი პოლიტიკური ცენტრი არგოსი, რომელშიც შედარებით ფართოდ იყო დაცული მიკენის ეპოქის კულტურული სამემკვიდრეო. განსაკუთრებით გაძლიერებულა არგოსი ტირან ფეიდონის დროს.

სპარტის მესამე და მთავარი მოწინააღმდეგე იყო მესენია, რომელთან ხანგრძლივი ბრძოლის ისტორიიდან ჩვენ ვიცით სპარტელი პოეტის ტირტეოსის [99] ნაწყვეტების მეოხებით ჯერ კიდევ

ეგრეთ წოდებული მ ე ს ე ნ ი ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ო მ ი. როგორც ჩანს, ომი ფრიად ხანგრძლივი ყოფილა და იგი სპარტის გამარჯვებით დაუმთავრებია მეფე თეოპომპეს მას შემდგომ, რაც აუღია კლდოვანი სიმაგრე ითომე. მესენიელები სპარტელებს ჰილოტებად გაუხდიათ, ხოლო მათი ქვეყანა ახალ კლეროსებად დაუნაწილებიათ და სპარტიატებისათვის დაურიგებიათ. ამ კლეროსებს ამუშავებდნენ მესენიელი ჰილოტები და, როგორც ტირტეოსის ცნობიდან ირკვევა, მოსავლის ნახევარს უხდიდნენ კლეროსების პატრონთ; მაშასადამე, ისინი მონახევრეები გამხდარან. თუ რამდენად მძიმე ყოფილა ამ ახალი ჰილოტების ხვედრი, ეს კარგად ჩანს ტირტეოსის იმ სიტყვებიდან, რომელშიც იგი მათ მძიმედ დატვირთულ სახედრებს ადარებს.

მესენიის დაპყრობას სპარტისათვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მან რამდენადმე შეანელა აგრარული კრიზისი და დროებით შეაჩერა სპარტიატებს შორის ქონებრივად დაქვეითებული წრის წარმოშობის განვითარება. მეორე მხრივ, მესენიის დაპყრობით სპარტელები მეზობლები გახდნენ ელიდასი, რომელსაც ამ დროს უკვე დაკავებული ჰქონდა პისატიის მხარე ოლიმპიით. მათ შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა და სპარტელებმა ძვ. წ. 720 წლიდან მონაწილეობის მიღება იწყეს ელიდელების დღეობებში, მაგრამ ამავე დროს მწვავდება სპარტის ურთიერთობა არგოსთან და ჩნდება პელოპონესის ზოგიერთ პოლისთან საომარი შეტაკების საშიშროება. უფრო საბედისწერო იყო ის, რომ VII საუკუნის დასასრულს მესენიელები აჯანყდნენ სპარტის ბატონობის წინააღმდეგ და მიზნად დაისახეს აუტანელი უღლის თავიდან მოშორება. აჯანყება დაიწყო მესენიის ვაკის ჩრდილოეთ ნაწილში. მას მეთაურობდა მეფე არისტომენე, ეპიტიდების დინასტიიდან. მას კავშირი ჰქონდა არკადიასთან, ელიდასთან და არგოსთან. ასე დაიწყო ეგრეთ წოდებული მ ე ს ე ნ ი ი ს მ ე ო რ ე ო მ ი. ამ ომის უშუალო მონაწილე იყო უკვე დასახელებული პოეტი ტირტეოსი. მის მთელ რიგ ნაწყვეტებში დასურათებულია ის აუტანელი პირობები, რომლებმაც აიძულა მესენიელები იარაღისათვის მოეკიდათ ხელი. თუ ს ტ რ ა ბ ო ნ ს დავუჯერებთ, ტირტეოსი ამ ომში სტრატეგოსიც კი იყო (VIII, 362).

ეს ომი არსებითად ბრძოლა იყო არა მარტო სპარტასა და მესენიას შორის, არამედ ის მთელ პელოპონესში ორი მოპირდაპირე ბანაკის შეტაკებას წარმოადგენდა. მესენიელებს ეხმარებოდნენ სპარტის მოწინააღმდეგე არგოსელები და არკადიელები; ამავე დროს პისატიელები აუჯანყდნენ ელიდელებს, რომლებიც სპარტელებს დაუკავშირდნენ. ამ ხანაში უნდა ეცხოვრა არგოსის ცნობილ ტი-

რანს ფეიდონს, რომლის შესახებაც ტრადიციამ ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობები შემოგვინახა. იგი იყო დიდი მბრძანებელი, რომელმაც არგოსს ძლიერების მხრივ პირველი ადგილი მოუპოვა პელოპონესში. თავის სამეფოში მან შემოიღო ფულისა და წონის საკუთარი სისტემა, რაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ მხარის ეკონომიური განვითარებისათვის. იგი მეთაურობდა სპარტისა და ელიდის წინააღმდეგ ბრძოლას პელოპონესში. ეს ბრძოლა ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი უნდა ყოფილიყო. სპარტელები რამდენჯერმე მარცხდებიან და, თითქოს, მზად არიან ხელი აიღონ მესენიაზე, მაგრამ ბრძოლას მაინც განაგრძობენ. ბრძოლისადმი მოწოდებით არის გაჟღენთილი ტირტეოსის ლექსები, რომლებითაც იგი სპარტელების გამხნევებას ცდილობდა. ომის მეცხრე წელს მესენიელები დამარცხდნენ, მაგრამ მაინც ხანგრძლივად განაგრძობდნენ წინააღმდეგობას და სპარტელებს იმ პირობით დანებდნენ, რომ თავისუფლად გადასულიყვნენ არკადიასა და სხვა ადგილებში. დარჩენილი ნაწილი კი იძულებული იყო ჰილოტების სახით ისევ დამორჩილებოდა სპარტელებს. მოხდა მესენიის კვლავ კლეროსებად დანაწილება. მაგრამ ამ ომს არც სპარტისათვის ჩაუვლია უშედეგოდ. მან დიდი გავლენა მოახდინა მის სამეურნეო ცხოვრებაზე. მესენიის ომის პროცესში თვითონ სპარტამ განიცადა მოსახლეობის უკანონოშობილი, უუფლებო ჯგუფის — პართენიების აჯანყება. დამარცხების შემდეგ პართენიები ბედს არ დამორჩილებიან და გადასახლებულან იტალიის სამხრეთ სანაპიროზე, სადაც დაუარსებიათ ახალშენი ტარენტი. ამას გარდა, თუ ტირტეოსს დავუჯერებთ, ჯერ კიდევ ძველად მოუთხრობდნენ იმას, რომ მესენიელთა აჯანყების გამო მრავალი წლის განმავლობაში სპარტიატების ნაწილს ღალა აღარ მოსდიოდა მესენიის კლეროსებიდან და ამიტომაც იგი სრული გაღატაკების გზაზე იდგა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა, თითქოს, რევოლუციური ლოზუნგი მიწების გადანაწილებისა (ἀναδασμὸς γῆς). ერთი სიტყვით, სპარტის ძველი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება დიდ განსაცდელში ჩავარდნილა. ეს კარგად ჩანს ტირტეოსის პოემაში — „კეთილკანონიერება“ (Εὐνομία). ტირტეოსი ღელვისტკივილით შეჰყურებდა სპარტის წყობილების შეცვლის ცდას და ძველი ტრადიციების დაცვის ნიადაგზე ხალხს მოუწოდებდა თავი შეეკავებინა აჯანყებისაგან.

უკანასკნელ დროს ამ საყურადღებო მოძრაობის შესახებ ცნობები გაიზარდა და შედარებით ნათელი გახდა. 1918 წელს ბერლინის პაპირუსზე აღმოჩნდა ტირტეოსის ერთი ფრიად საგულისხმო ფრაგმენტი, რომელიც ცნობას გვაწვდის იმის შესახებ, რომ ამ შინაურმა მოძრაობამ თვალსაჩინო ცვლილება მოახდინა სპარტის სახელმწიფო-

ებრივ ორგანიზაციაზეც[100]. წინათ ფიქრობდნენ, რომ სამი ძველი დორიული ფილე ახალი 5 ფილეთი იქნა შეცვლილი უკვე ეგრეთ წოდებული ლიკურგოსის კონსტიტუციის გატარების დროს. მაგრამ ამ ფრაგმენტის მეოხებით ირკვევა, რომ მესენიის მეორე ომშიც კი სამი ძველი ფილე — პამფილების, ჰილეებისა და დიმანების — მოქმედებდნენ, როგორც სპარტელების აქტიური სამხედრო ჯგუფები. ფრაგმენტში ნათქვამია: ამგვარად, წავიდეთ ბრძოლაში ცალ-ცალკე პამფილები, ჰილეები და დიმანები... ამიტომ საფიქრებელია, რომ ხუთი ახალი ფილეს შემოღება მოხდა VII საუკუნის დასასრულს. ამ ფაქტს თავისთავად დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, რადგან თუ ძველად სპარტიატები სამ გვაროვნულ ფილეში იყვნენ დანაწილებული, ამ დროიდან ისინი ხუთი სოფლის მიხედვით ხუთ ფილეში ნაწილდებიან და ამ დანაწილებას უკვე ტერიტორიული ხასიათი მიენიჭა. ამასთან ამ ახალ ერთეულებში უფრო შესაძლებელი იქნებოდა სპარტიატებს შორის სრული ქონებრივ-მოქალაქეობრივი თანასწორობის განმტკიცების ცდები. საფიქრებელია ისიც, რომ ამ ხანაში გაიზარდა და გაფართოვდა ეფორების ხელისუფლება და მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში ამ დროიდან დაწყებული ეფორები უფრო ძლიერი და გავლენიანი მოხელეების სახით გვევლინებიან.

მაგრამ ამ ომს და მასთან დაკავშირებულ მოძრაობას თან მოჰყვა სახელმწიფოში უფრო სასტიკი რეჟიმის დაწესება. ცხადია, მესენიის მეორე ომის დროს სპარტის ჰილოტების დიდი ნაწილის თანაგრძნობა მათ მდგომარეობაში მყოფ მესენიელების მხარეზე იქნებოდა. ამასთან ერთად მათ წრეშიც უნდა ეჩინა თავი, ყოველ შემთხვევაში სპორადულად მაინც, სპარტიატების მძიმე უღლის თავიდან მოშორების ცდებს. ყოველივე ამან კი უფრო გააძლიერა და გააღრმავა მათდამი სპარტიატების შიში და უნდობლობა. შემოღებულ იქნა ჰილოტების ყოველი ნაბიჯის სასტიკი მეთვალყურეობა და ეგრეთ წოდებული კრიპტია (κρυπτεία), ე. ი. დროგამოშვებითი ნებადართული ნადირობა ჰილოტებზე, რომ ამით ხელოვნურად შეემცირებინათ მათი რიცხვი.

ყოველგვარი ზომა იყო მიღებული რათა სხვა მხარეებთან, განსაკუთრებით კი მესენიასთან, ისეთი ურთიერთობა ყოფილიყო დაწესებული, რომ გავლენა არავის მოეხდინა ჰილოტებზე ამბოხების გამოწვევის მიზნით. სპარტაში აკრძალული იყო ვერცხლისა და ოქროს ფულის შემოტანა და ხმარებაში იყო მხოლოდ სპილენძის ფული, რათა შეუძლებელი გამხდარიყო ფულადი მეურნეობის სრული განმტკიცება და სპარტის სამეურნეო ყოფა-ცხოვრების შეცვლა. პლუტარქემ ლიკურგოსის ბიოგრაფიაში ასეთი ანეგდოტური ცნობა

დაგვიტოვა: მან აკრძალაო ოქროსა და ვერცხლის ფული და შემოიღო რკინისა, რომელიც, თურმე ისეთი ტლანქი და მძიმე იყო, რომ შესანახად დიდ ადგილს მოითხოვდა და გადასატანად კი — ურემში შებმულ უღელ ხარსო. უცხოელების მიმართ ხშირი იყო ქსენელასია, ე. ი. გაძევება, რათა მათ გავლენა არ მოეხდინათ ადგილობრივ ჰილოტებზე. ერთი სიტყვით, წარმოიშვა ისეთი სახელმწიფო, რომელშიც გაბატონებული წრე სრული ეკონომიური და კულტურული კარჩაკეტილობით ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი სოციალურ-პოლიტიკური პრივილეგიები.

რაც შეეხება მესენიის ომის სხვა მონაწილეთ, ფეიდონის დროს არგოსთან დაწყებული ომი მრავალი წლის განმავლობაში ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ბოლოს აქაც იმარჯვებს სპარტა და იერთებს კინურიას, თირეატს და კუნძულ კითერას. სხვანაირად დამთავრდა ომი ტეგეასთან. მართალია, სპარტელებმა აქაც გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ მის დაპყრობას თავი დაანებეს და ისევ კავშირის დადება ამჯობინეს. ამ მაგალითს შემდგომში სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძეს და ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარში წარმოიშვა პ ე ლ ო პ ო ნ ე ს ი ს კ ა ვ შ ი რ ი, რომლის მეთაური სპარტა გახდა. მასში შემავალ წევრებს შინაურ საქმეებში სრული ავტონომია მიენიჭა. ელიდამაც კი სცნო სპარტის ჰეგემონია. პელოპონესის კავშირის გარეშე დარჩნენ არგოსი, აქეია და არკადიის ჩრდილოეთი ოლქები. შემდგომში ამ კავშირში შევიდა კორინთოც, რომელიც ათენის მოქიშპე იყო. არსებობს ცნობა, რომ სპარტის საგარეო პოლიტიკაში ანექსიის საკავშირო პრინციპით შეცვლაზე დიდი გავლენა იქონია ქილონმა, რომელიც პირველად ძვ. წ. 556/5 წელს იყო ეფორად[10].

საერთოდ VI საუკუნეში სპარტა გადაიქცა ძლიერ სახელმწიფოდ, რომელიც ამავე დროს უძლიერეს კავშირს ჩაუდგა სათავეში. მისი როლი და მნიშვნელობა გაიზარდა არა მარტო საბერძნეთში, არამედ აღმოსავლეთშიც.

მასთან მეგობრული ურთიერთობის დაწესებას ცდილობენ ეგვიპტის მეფე ამაზისი და ლიდიის მეფე კრეზი, რომელიც დიდ ძღვენს უგზავნის სპარტას. როდესაც ლიდიას თავს დაესხა სპარსეთის მეფე კიროსი, სპარტა ლიდიას ეხმარება, მაგრამ რაკი კიროსმა გაიმარჯვა და ლიდია დაიპყრო, რასაც თან მცირე აზიის ბერძნების დამორჩილებაც მოჰყვა, სპარტამ თავი შეიკავა სპარსეთისათვის პირდაპირი ომის გამოცხადებისაგან და მხოლოდ უბრალო და უშედეგო პროტესტის განცხადებით დაკმაყოფილდა.

ამასთან ერთად სპარტას საკუთრივ საბერძნეთში მალე გაუჩნდა ძლიერი მოწინააღმდეგე ათენის სახელმწიფოს სახით.

უკვე ანტიკურ სამყაროში, ძვ. წ. IV საუკუნიდან დაწყებული, სპარტის საზოგადოებრივი წყობილება დიდი განხილვის საგანი გახდა და ძველი ისტორიკოსებისა და მწერლების მიერ მისაბაძ მაგალითად იყო წარმოდგენილი. კერძოდ, ათენში ძვ. წ. V საუკუნის მეორე ნახევარში საზოგადოების კონსერვატორულ წრეებში განვითარდა „ლაკონოფილობა" და სპარტა მისი დაწესებულებებით საუკეთესო წესწყობილებად იქნა მიჩნეული. ისეთი განთქმული ძველი ისტორიკოსიც კი, როგორიც თუკიდიდე იყო, სპარტის შესახებ აღნიშნავს, რომ „თვითონ ლაკედემონი იმ დორიელების მიერ მისი განსახლების შემდგომ, რომლებიც ეხლა ამ მხარეში ცხოვრობენ, ფრიად დიდხანს, რამდენადაც ჩვენ ვიცით, იტანჯებოდა შინაგანი მღელვარებით. მაგრამ უკვე ძველი დროიდანვე მას განაგებდა კარგი კანონები და ის არასოდეს ყოფილა ტირანების ხელისუფლების ქვეშ. ოთხასი წლის განმავლობაში... ლაკედემონელებს ერთი და იგივე სახელმწიფო წყობილება აქვთ. ამის წყალობით ისინი შეიქნენ ძლიერნი და აწესრიგებენ საქმეებს დანარჩენ სახელმწიფოებში". სპარტის საზოგადოებრივი წესწყობილების განსაკუთრებული პატივისმცემელი იყო ისტორიკოსი ქსენოფონტე (მიახ. 430—335). ქსენოფონტეს ტრაქტატი — „სპარტის სახელმწიფოებრივი წყობილება" — მის ცალმხრივ და მიკერძოებულ იდეალიზაციას შეიცავს. სხვებზე აღარ შევჩერდებით.

ახალ დროშიც ისტორიკოსები დიდ ინტერესს იჩენდნენ ძველი სპარტის ისტორიისადმი. განსაკუთრებით მრავალი მონოგრაფია გამოქვეყნდა დასავლეთ ევროპაში სპარტის წყობილების შესახებ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ. მცირე გამონაკლისით, ეს მონოგრაფიებიც უმთავრესად ძველი სპარტის სახელმწიფოს და მის დაწესებულებათა ცალმხრივ მიკერძოებულ შეფასებას შეიცავენ. ასეთი ნაკლისაგან თავისუფალი არც ისეთი მონოგრაფიებია, რომლებსაც სახელმწიფოებრივ-უფლებრივი ანალიზის საფუძველზე მიზნად ძველი სპარტის საზოგადოებრივი წყობილების გარკვევა აქვთ დასახული [102].

6. კრეტა; თესალია; ბეოტია (VIII—V საუკუნეები)

კრეტის ქალაქების წყობილების შესახებ ცნობილი მკვლევარი გ ე ო რ გ ბ უ ზ ო ლ ტ ი აღნიშნავდა: „კრეტის დორიულ ქალაქთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წესწყობილება სახელმწიფოს თეორეტიკოსთა და ისტორიკოსების ცხოველ ინტერესს იწვევ-

და ნაწილობრივ მისი სპარტულთან მსგავსების, ნაწილობრივ თავისებურების გამო“ [103].

ასეთი ორმაგი მიდგომა ამ საკითხისადმი ჯერ კიდევ ანტიკური ისტორიოგრაფიიდან მომდინარეობს. მოვიგონოთ ზოგიერთი მაგალითი. ჰეროდოტეს დროს ლაკედემონელები დარწმუნებული ყოფილან, რომ ლიკურგოსმა სპარტის წყობილება კრეტიდან გადმოიღო. მაგრამ თანდათან ისეთი აზრი განმტკიცებულა, რომელიც ამ წყობილებას დელფურ წარმოშობას მიაწერდა, და ეს შეხედულება IV საუკუნის სპარტაშიც გაბატონებულა. ამ ორი მოსაზრების ერთგვარ შეთანხმებას წარმოადგენს არისტოტელეს და ეფორეს ცნობა, რომ სპარტის ინსტიტუტები უმეტეს ნაწილად დელფოს მიერ სანქციონირებული მიბაძვა იყო კრეტულისა (Arist. Pol., II, 10 p. 1271). თვითონ კრეტელები კი თითქოს ისაკუთრებდნენ პრიორიტეტს და მინოსსა და რადამანთეს მიაწერდნენ თავიან კანონებს, რომლებიც მათ ვითომ ზევსისაგან ჰქონდათ მიღებული (Plat. Nom., I, 1 p. 624).

ლიკურგოსის ბიოგრაფიაში პლუტარქე მოგვითხრობს, რომ სხვა ქალაქების წესწყობილების შესწავლის მიზნით სამშობლოდან გამგზავრებული ლიკურგოსი პირველად კრეტაზე მივიდა, აქ შეისწავლა მისი სახელმწიფოებრივი წყობილება, მრავალი მისი კანონი მოიწონა და შეკრიბა იმ აზრით, რომ სამშობლოში გამოეყენებინა (Plut., Lic., IV). როგორ უნდა გავიგოთ ტრადიციის ასეთი ცნობები?

საეჭვო არაა, რომ კრეტისა და სპარტის წესწყობილებებს შორის მართლაც არსებობდა ზოგი უდავო მსგავსება, მაგრამ ის უფრო ხელშესახებია არა სახელმწიფოებრივ, არამედ სოციალურ-ყოფა-ცხოვრებით ინსტიტუტებში.

მეორე მხრივ, უნდა გვახსოვდეს, რომ როგორც სპარტაში, ისე კრეტაზე I ათასწლეულში გაბატონებულ ეთნობრივ ჯგუფს დორიელები წარმოადგენდნენ და ბუნებრივია, რომ მათ ყოფა-ცხოვრებაში განსაზღვრულ მსგავსებას ექნებოდა ადგილი.

სწორი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ იმ დროის კრეტის ქალაქების საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაზე, საჭიროა მივმართოთ ანტიკურ წყაროებს. სამწუხაროდ, საამისო ლიტერატურული წყაროები მცირედ მოგვეპოვება, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით ძვირფასია ქ. გორტინის დიდი წარწერა. გორტინი კრეტის სამხრეთ ნაპირზე მდებარეობდა და კნოსთან ერთად შესამჩნევ როლს თამაშობდა ამ კუნძულის ისტორიაში. მის ადგილას 1884 წელს იტალიელმა მკვლევარმა ჰალბჰერმა (Halbherr) ერთი საზოგადოებრივი შენობის კედელზე აღმოაჩინა დიდი წარწერა, რომელიც

კრეტის კანონმდებლობის კოდიფიკაციას წარმოადგენს, შეიცავს 12 სვეტს და 17000 ასოს. წარწერა ამოკვეთილია ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარში, მაგრამ მასში მოცემული დებულებები უფრო ადრინდელ დროს უნდა ეხებოდეს. ეს წარწერა „გორტინის სამართლის“ სახელწოდებითაა ცნობილი[103a].

ჩვეულებრივად კრეტის მოსახლეობას ორ ძირითად — თავისუფალთა და არათავისუფალთა ჯგუფებად ყოფენ. არისტოტელე თავისუფალთა ჯგუფში ორ განსაზღვრულ წრეს განასხვავებს: მეომართა წრეს (τὸ μάχιμον) და „ქვეშევრდომ“ — მიწის მოქმედთა წრეს (τό γεωργιὸν). პირველს შეადგენდნენ დორიელი ტომის გაბატონებული სრულუფლებიანი მოქალაქეები, რომლებიც თავიანთი უშიშროებისა და ცხოვრების წესების დაცვის მიზნით, ლაკონიკაში მცხოვრებთა მსგავსად, ერთად ცხოვრობდნენ ქალაქად.

ამავე დროს თავისუფალთა ჯგუფში შემავალი „ქვეშევრდომი“ მოსახლეობა გაფანტული იყო თავიანთ მიწებზე და, არისტოტელეს სიტყვით, სპარტელ ჰერიეკებს მოგვაგონებდნენ. ეს ჯგუფი პირადად თავისუფალი იყო, მაგრამ პოლიტიკური უფლებებით არ სარგებლობდა. თავისუფალთა წრეში შედიოდნენ აგრეთვე გააზატებულები, რომელთა თავისუფლების აღკვეთა კანონით არ შეიძლებოდა და რომელთაც კრეტის ყველა ქალაქში განსაკუთრებული უბანი ჰქონდა მიკუთვნილი, და კრეტაზე მცხოვრები უცხოელები, რომელთა გამგებლობასა და მეთვალყურეობას განსაკუთრებული თანამდებობის პირი ასრულებდა, როგორც სრულუფლებიანი მოქალაქეები, ისე „ქვეშევრდომი“ მოსახლეობა ფილეებად იყოფოდნენ. თითოეული ფილე გაფართოებულ გვაროვნულ თემს წარმოადგენდა; ფილეს ქვედანაყოფი იყო კლაროსი.

დადგენილია, რომ გვარის პირვანდელი განსახლების დროს მისი ტერიტორია კლეროსებად ნაწილდებოდა დიდ საოჯახო თემებს — ოიკიებს (οἰκίαι) შორის. თითოეული ოიკია ორი ნაწილისაგან შედგებოდა — თავისუფალი წევრებისაგან, რომელსაც მისი ფუძემდებელი მეთაურობდა, და მისი ხელქვეითი მწარმოებლებისაგან, უმთავრესად მიწათმოქმედთაგან. ამ უკანასკნელთ უშუალო კონტროლს უწევდა ოიკიის მეთაური (πάστας), იგივე ასრულებდა თავის შთამომავლობის მიმართ იმავე როლს, მაგრამ არა პასტასის სახით, არამედ როგორც მამა, პაპა თუ ოიკისტე. იმ დროს როდესაც გორტინის სათავეში გვაროვნული ოლიგარქია იდგა, რომელიც მტკიცედ იცავდა თავის პრივილეგიებს, გვაროვნული დიდკაცობის ოიკიები იმ მიწათმოქმედთა შრომის ექსპლოატაციას ემყარებოდა, რომლებიც

ვოიკიის შემადგენლობაში შედიოდნენ[104]. გორტინის სამართალში მოცემული ჯარიმების სისტემა არეკლავს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის იურიდიულ მდგომარეობას და თავისთავად თვალში გვეცემა ჯარიმის მკაცრი განსხვავება თავისუფალ სრულუფლებიან მოქალაქეთა და სხვა კატეგორიების პირთა შეურაცხყოფისათვის.

საფიქრებელია, იმ დროის კრეტაზე, გადანაშთების სახით შემონახული იყო მონათმფლობელობის ის ფორმები, რომლებიც ამ კუნძულზე ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში სუფევდა. აქ არათავისუფალი მოსახლეობა მკაცრად არ იყო გამოყოფილი თავისუფლებისაგან, მაგრამ მონების სხვადასხვა ჯგუფის მდგომარეობა ერთიმეორისაგან მკაცრად განსხვავდებოდა.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ მ ნ ო ი ტ ე ბ ი. სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მონები, რომლებიც სახელმწიფო მიწებს ამუშავებდნენ. შემდეგ — ცალკეულ გვართა მიწის დიდ ნაკვეთებზე მომუშავე კერძო სასოფლო-სამეურნეო მონები, რომელთაც მიწის ამ ფართო სივრცის სახელწოდების (κλᾶροι) მიხედვით კლაროტები (κλαρῶται) ეწოდებოდათ. ამათ გარდა, არსებობდნენ ქალაქის საოჯახო მონები—ვოიკეები, რომელთაც აგრეთვე „ოქროთი ნაყიდები" (χρυσώνητοι) ეწოდებოდათ. იმ ცნობების თანახმად, რომლებსაც სიკოგრაფოსი იულიუს პოლუქსი (VII, 83) გვაწვდის, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნამდვილი მონები იყვნენ ვოიკეები, ხოლო მნოიტები და კლაროტები თავისუფალთა და მონების შუა ფენას წარმოადგენდნენ.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ კრეტაზე მონებს საკუთარი ქონება გააჩნდათ და ზოგიერთ შემთხვევაში თავისუფალ ქალებთან შეუღლებაც შეეძლოთ: „თუ მონა გადავა თავისუფალ ქალთან, ნათქვამია გორტინის კანონებში, და მას ცოლად შეირთავს, ბავშვები თავისუფალი უნდა იყვნენ, ხოლო თუ თავისუფალი მონასთან, — ბავშვები მონები უნდა იყვნენ. თუ ერთი და იმავე დედისაგან დაიბადნენ ბავშვები თავისუფალიც და მონებიც, მაშინ დედის სიკვდილის შემთხვევაში, თუ მას ქონება გააჩნდა, (ის) თავისუფალთ (შვილებს) ეკუთვნოდეს. ხოლო თუ თავისუფალნი არ არიან, მემკვიდრედ ნათესავები უნდა იყვნენ"[105].

კრეტის მოსახლეობის მეურნეობაში ძირითადი ადგილი მიწათმოქმედებას მიეკუთვნებოდა, მაგრამ თანდათან ფართო განვითარება განუცდია ხელოსნობასა და ვაჭრობას და V საუკუნისათვის კრეტაზე სავაჭრო ნავსადგურების რაოდენობა გაზრდილა. კრეტის ქალაქებში, როგორც ვიცით, იმყოფებოდა უცხოელთა დიდი რაოდენობა, რომ-

ლებიც უმთავრესად სავაჭრო საქმეებზე იყენენ მოსული და რომელთა უფლებებს სასტიკად იცავდა კანონმდებლობა. ნუმიზმატიკური მონაცემები იმაშიც გვარწმუნებენ, რომ კრეტის პოლისები ურთიერთშორის გაცხოველებულად ვაჭრობდნენ.

ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კრეტის კანონმდებლობა ცდილობდა გვარის ფარგლებში გაემაგრებინა საკუთრება. მემკვიდრეობის წესი პირველ რიგში ქონების მემკვიდრეებად გულისხმობდა მიცვალებულის პირდაპირ შთამომავალს—შვილებს, შვილიშვილებს, შემდეგ მახლობელ აგნატებს — ძმებს, ძმისწულებს და, საერთოდ, გვარის წევრებს. გორტინის კანონების მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ეპიკლერების (მემკვიდრე ქალიშვილების) საკითხს და აქაც ცხადად ჩანს ქონების გვარის შიგნით შენახვის პრობლემა. აქვე მოჩანს ძველ ისტორიაში ცნობილი მოვლენები ლევირატისა და სორორატის — (soror — და, მიცვალებული ცოლის დასთან შეუღლების ჩვეულება) [106].

სრულუფლებიანი მოქალაქენი ერთიანდებოდნენ ამხანაგობებში — ჰეტერიებში [107]. მათში შესვლის უფლება არ ჰქონდათ „ქვეშევრდომთ“, გააზატებულებსა და უცხოელებს. მათ „გორტინის კანონები“ აპეტერებს (ἀπέταιροι — „ჰეტერიების გარეშე მყოფნი“) უწოდებს. ჰეტერიებს, მეთაურობდა არქონტი, რომელიც საზოგადოებრივი ტრაპეზიების მომარაგებაზე ზრუნავდა და გარჯისა და პატივისათვის ოთხ ულუფას იღებდა. სპარტულ სისიტიების მსგავს ამ საზოგადოებრივ ტრაპეზებს ანდრეია — „ვაჟკაცთა ტრაპეზები“ ეწოდებოდა. საკითხავია, თუ ვის ხარჯზე ეწყობოდა ეს ტრაპეზები. ზოგი გვარწმუნებს, რომ მათ კლაროტების შენატანის ხარჯზე აწყობდნენ. სხვების სიტყვით კი საზოგადოებრივ ტრაპეზების ხარჯებს მთლიანად თუ ნაწილობრივად სახელმწიფო თავის თავზე იღებდა.

მოქალაქეთა განაწილება ჰეტერიებში ისე ხდებოდა, რომ წარჩინებულ გვართა წევრებს ურთიერთშორის კავშირი არ გაეწყვიტათ, ამიტომაც ჰეტერიები უმეტეს ნაწილად ფილეებს ემთხვეოდნენ. აპეტერებსა და ჰეტერიების წევრთა შორის ატეხილ დავას განსაკუთრებული მსაჯულები არჩევდნენ.

მაშინ, როდესაც სპარტაში ბავშვების სახელმწიფოებრივი აღზრდა 7 წლის ასაკის შესრულებიდან იწყებოდა, კრეტის ქალაქებში ბავშვები ჩვეულებრივად მშობლების სახლში იზრდებოდნენ. მამებს ისინი თან მიჰყავდათ საზოგადოებრივ ტრაპეზებზე, სადაც მიწაზე ისხდნენ, ნახევარ ულუფას იღებდნენ და მომსახურეებს ეხმარებოდნენ. ეს ბავშვები, რომელთაც პედონომი ხელმძღვანელობდა, ურთიერთშორის ტურნირებს აწყობდნენ. როდესაც მათ 17 წელი შეუს-

რულდებოდათ, ისინი ჩაირიცხებოდნენ ჭაბუკთა თანამეგობრობის კავშირებში — აგელებში (ἀγελάι) და იწყებდნენ სიარულს გიმნასიებში, რომლებშიც როგორც სპარტაში, მთავარი ყურადღება ფიზიკურ გაწვრთნას, სამხედრო ნიჭის განვითარებას, დისციპლინისა და მეგობრული გრძნობის შთანეგვას ექცეოდა. რაც გონებრივ განვითარებას შეეხება, ის უმთავრესად წერა-კითხვის შესწავლასა და მუსიკალურ აღზრდაში გამოიხატებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ახალგაზრდობის მიერ ,ლექსად გადმოცემული კანონების შესწავლასა და მათი სიმღერით წარმოთქმას. ალბათ, 19 წლის შემდეგ ახალგაზრდები ამთავრებდნენ აგელებს და ვალდებული იყვნენ სამშობლოსა და მისი წყობილების ერთგულების საზეიმო ფიცი მიეღოთ. აგელიდან გამოსული ყოველი ახალგაზრდა მამაკაცი ვალდებული იყო ცოლი შეერთო. ქორწინება საღვთოდ ითვლებოდა და მისი დამრღვევი მკაცრად ისჯებოდა. გათხოვილი ქალები მამის ან ძმების სახლში იმ დრომდე რჩებოდნენ, ვიდრე საკუთარი მეურნეობის გაძღოლისათვის მომზადებულად არ ჩაითვლებოდნენ.

კრეტის ქალაქთა ზოგადად განხილულ სოციალურ წყობას შეესაბამებოდა მისი 46 ქალაქის სახელმწიფოებრივი წყობილებაც. ამ ქალაქებში მმართველი თანამდებობის პირები კოსმები იყვნენ.

ფილესაგან გამოიყოფოდა სამხედრო სტარტოსი, რომელსაც განსაკუთრებული ვალდებულებანი ეკისრებოდა. ამ სტარტოსის წევრებისაგან ირჩევდნენ კოსმებს (κόσμοι), რომლებიც ყოველ პოლისში უმაღლესი თანამდებობის პირებად ითვლებოდნენ. მაგრამ კოსმების კოლეგიაში ერთდროულად ყველა ფილე როდი იყო წარმოდგენილი, არამედ თითოეული ფილე, როცა მისი რიგი მოაწევდა, ყველა კოსმს ირჩევდა და აყენებდა. კოსმების კომპეტენციაში პირველ რიგში სამხედრო საქმე შედიოდა და, როგორც წესი, ერთ მათგანს სარდლობა (სტრატეგოსობა) ევალებოდა. მათივე გამგებლობაში შედიოდა სამოსამართლო ხელისუფლება. მათს სამოსამართლო კომპეტენციას წარმოადგენდა პროცესები როგორც უცხოელთა შორის, ისე მათსა და მოქალაქეთა შორის ატეხილი დავის გამო და აგრეთვე მემკვიდრე-ქალიშვილის უკანონოდ გათხოვების გამო აღძრული სარჩელის გარჩევა. კოსმების ხელქვეითი იყვნენ მოსამართლენი, რომელთაგან თითოეულს განსაზღვრულ საქმეთა განხილვა ჰქონდა დაკისრებული. კოსმების კოლეგიასთან არსებობდნენ მდივანი და ზოგიერთი სხვა თანამდებობის პირი, მათ შორის საფინანსო ნაწილის განმგებლები.

კოსმების გვერდით არსებობდა უხუცესთა საბჭო. მასში შედიოდნენ სიცოცხლეული წევრები, ყოფილი კოსმები, რიცხვით 28 თუ

30. საბჭო წარმოადგენდა უმაღლეს ინსტანციას და დემოსს თავის შეხედულებით განაგებდა.

არსებობდა სახალხო კრებაც, რომელიც სახელმწიფოში არსებითად მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა და მისი უფლებამოსილება კოსმებისა თუ საბჭოს მიერ გამოტანილი დადგენილებების ფორმალური დამტკიცებით განისაზღვრებოდა. მის დადგენილებებს კი მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, თუ მას ესწრებოდა არა ნაკლებ 500 წევრისა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მართალია, კოსმებს ფორმალურად უნივერსალური კომპეტენცია, უმაღლესი ხელისუფლება ჰქონდათ მინიჭებული, მაგრამ ნამდვილად თავიანთ მოქმედებაში ისინი წარჩინებულ გვართა ბატონობას ექვემდებარებოდნენ. ამ გვარების მეთაურები მათთვის არასასურველ კოსმებს ხშირად მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ და ზოგჯერ მათ გადაყენებასაც ახერხებდნენ. კოსმები ფაქტიურად მოკლებული იყვნენ დამოუკიდებლობას და გვაროვნული დიდკაცობის ზრახვათა ამსრულებელ იარაღს წარმოადგენდნენ. ხშირად მათთვის მიღებულ კიმოსს მისივე კოლეგები თუ კერძო გავლენიანი პირები აიძულებდნენ თანამდებობიდან გადამდგარიყო.

არაიშვიათი ყოფილა შემთხვევაც, როცა დიდკაცობის წარმომადგენლებს, მათ წინააღმდეგ აღძრული პროცესისა თუ ჯარიმის თავიდან ასაცილებლად, მთელი მთავრობა გადაუყენებიათ და აკოსმია (ანარქია) დაუმყარებიათ. წარჩინებულ გვართა ასეთი ძალმომრეობა და ტირანია კრეტის ქალაქებში არ გამოპარვია ჯერ კიდევ არისტოტელეს, რომელსაც მათი სახელმწიფოებრივი წესრიგი ოლიგარქიის უცუდეს სახედ მიაჩნია და ხაზგასმით აღნიშნავს წარჩინებულ გვართა წარმომადგენლების უხეშ ძალმომრეობას, რომელიც ანარქიას, მუდმივ განხეთქილებასა და შინაბრძოლას იწვევსო. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი **მსჯელობის ერთგვარი დასკვნა, რომ** „კრეტის წყობილებას სახელმწიფო ფორმის მხოლოდ ზოგიერთი მსგავსება აქვს“ („Политика“, II, 7,5—8).

კრეტის ქალაქთა განხილული პერიოდის ისტორიიდან აღსანიშნავია, რომ ბერძენ-სპარსელთა ომების დროს, მართალია, მათ დელფოში მოციქულები წარგზავნეს, მაგრამ ომებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საბერძნეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარე — თ ე ს ა ლ ი ა ყოველი მხრივ ბორცვებით და მთის ჯაჭვებითაა გარემოცული. მაგრამ ოველადვე დიდი ნაყოფიერებით და ხვნა-თესვისა და მესაქონლეობის, განსაკუთრებით მეცხენეობის განვითარებისათვის, ფრიად გამოსადეგი პირობებით იყო განთქმული მისი ფართო ვაკე, რომელსაც

მდინარე პენეიონი რწყავს და აპოხიერებს. შედარებით უფრო პატარაა და ნაკლებნაყოფიერი მეორე ვაკე, რომელზეც სპერქეიოს მიედინება. თესალიას იმ დროის მიხედვით ორიოდე კარგი ნავსადგური ჰქონია: იოლკოსი და პაგასი. ძველად თესალია ხშირი ტყით ყოფილა დაფარული, რასაც აგრეთვე ჰავისა და ნიადაგის თვისებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა.

ჰომეროსის „ილიადაში" დიდი ადგილი აქვს დათმობილი თესალიელების გამოჩენილ გმირს აქილევსს, რომელიც აქეელთა ლაშქარში ფრიად თვალსაჩინო როლს თამაშობდა. ეს ფაქტი და აგრეთვე არქეოლოგიური გათხრების მონაცემები გვარწმუნებენ, რომ მიკენის ეპოქაში ეოლიელებით დასახლებული თესალია ერთი წამყვანი კულტურული მხარეთაგანი იყო იმ დროის საბერძნეთში. მდგომარეობა შეცვლილა დორიელთა გადმოსახლებასთან დაკავშირებით. ამ მხარეს შემოსევიან თესალიელები, რომელთაც მისი ყველაზე მეტად ნაყოფიერი ადგილები მიუტაცნიათ. არისტოტელეს ერთი დაკარგული ნაშრომისაგან შემონახული მცირე ფრაგმენტი გადმოგვცემს, თითქოს თესალიის პირველი ტაგოსი (სამხედრო წინამძღოლი) იყო ალევოსი. ამ ტრადიციაში დაცული უნდა იყოს სინამდვილის თავისებური გამოძახილი. ცნობილია, რომ საერთოდ საბერძნეთის მხარეებში და კერძოდ თესალიაში თავისუფალი მოსახლეობა ფილეებად იყოფოდა და თითოეული ფილე არა მარტო გვაროვნულს, არამედ ტერიტორიალურ დანაწილებასაც წარმოადგენდა. ყოველი ფილეს წევრები ერთად ესახლნენ, ყავდათ თავისი ფილობასილევსი და ჯარშიც თავის ცალკეულ რაზმებს ქმნიდნენ. ამას გარდა, თესალია დაყოფილი იყო ოთხ ტეტრარქიად, რომელთაც ეწოდებოდათ თესალიოტიდა, ჰესტიეოტიდა, პელაზგიოტიდა და ფთიოქიდა. თითოეულ ტეტრარქიას მეთაურობდა პოლემარქოსი (მხედართმთავარი) და საგულისხმებელია, რომ ყოველ მათგანი არა მარტო ადმინისტრაციულს, არამედ სამხედრო ერთეულსაც წარმოადგენდა.

ანტიკური ავტორები მოგვითხრობენ აგრეთვე თესალიელების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის დაპყრობასა და დაქვემდებარებაზე. ასე, მაგ., ერთ წყაროში, რომელშიც თესალიელების მიერ პენესტების ტომის დაკირთებაზეა ლაპარაკი, მოტანილია რიგ ავტორთა ცნობები, რომ თესალიელები ამბობენ, პენესტები მონებია არა დაბადებით, არამედ ომის შედეგად არიან დაპყრობილნი. შემონახულია ისეთი ცნობაც, რომ პენესტები თესალიელების ძალაუფლებას დაემორჩილნენ იმ ორმხრივი ფიცის საფუძველზე, რომლის თანახმად მათ არავითარი ცუდი არ უნდა განეცადათ მუშაობისას და თვითონაც არ უნდა წასულიყვნენ ამ მხარიდანო. ცხადია, თესალიის წინანდელი

ეოლიური მოსახლეობა. რომელსაც დაპყრობის შემდეგ ნაწილობრივ შეუნარჩუნებია თავისი მიწა-წყალი და ტომობრივი წყობილება, იძულებული ყოფილა დამპყრობელთა მიმართ დამოკიდებულ მდგომარეობას შერიგებოდა, მათთვის მიეწოდებინა მეომრები და ხარკი გაეღო.

არისტოტელეს იმავე შრომის ფრაგმენტში ნათქვამია, რომ ალევოსმა დაანაწილა რა პოლიტია, ბრძანა მიეცათ თითო-თითო კლეროსი ყოველი ორმოცი მხედრისათვის და ყოველი ოთხმოცი ჰოპლიტისათვის. მაშასადამე, თითოეული ასეთი კლეროსი მნიშვნელოვნად დიდი უნდა ყოფილიყო. ცხადია, ეს კლეროსები მხოლოდ მსხვილ მიწათმფლობელთ ეკუთვნოდათ და მათი რიცხვი, ალბათ, ორას თუ სამასს არ აღემატებოდა. ასეთი მსხვილი მიწათმფლობელნი შეადგენდნენ წარჩინებულ გვარებს, რომელთა ხელში ფაქტიურად უნდა ყოფილიყო ძალაუფლებაც. დანარჩენი თავისუფალი მოსახლეობა ამ მიწათმფლობელთა მიმართ დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და მათგან იღებდა დასამუშავებლად მიწის ნაკვეთებს. ყველაზე უფრო ძლიერ გვარებს ლარისაში ალევადები წარმოადგენდნენ, ხოლო ფარსალში — სკოპადები.

იმ დროის თესალიის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში უკეთ რომ გავერკვეთ, საჭიროა ის ოთხ ჯგუფად დავყოთ.

პირველს უნდა მივაკუთვნოთ „დინასტები" — წარჩინებული და გავლენიანი გვარების წევრები, რომლებიც პოლიტიკურადაც გაბატონებულ როლს თამაშობდნენ.

მეორე ჯგუფს წარმოადგენდნენ ყოფილი კლიენტები, საშუალო და წვრილი მიწათმოქმედნი, რომლებიც ჯარში ჰოპლიტებისა თუ მხედრების სახით მსახურობდნენ. ამ ჯგუფს სასტიკად ჰქონდა აკრძალული ვაჭრობასა და ხელოსნობაში მონაწილეობის მიღება. პირადად თავისუფალი, მაგრამ პოლიტიკურად უუფლებო იყო მესამე ჯგუფი, რომელსაც ხელოსნები და მოვაჭრეები შეადგენდნენ. ძირითად მწარმოებლებს წარმოადგენდა მეოთხე ჯგუფი — პენესტები, რომლებიც თავიანთი მდგომარეობით ცხადად ემსგავსებოდნენ სპარტელ ჰილოტებს: პენესტებიც მიწის მათდამი მიჩენილ ნაკვეთებზე ცხოვრობდნენ, ფლობდნენ სახლსა და უძრავ ქონებას, არ შეეძლოთ მიეტოვებინათ თავისი ნაკვეთები, ვალდებული იყვნენ მიწათმფლობელთათვის მოსავლის განსაზღვრული ნაწილი მიეცათ და ყოველი მათი განკარგულება შეესრულებინათ. სამაგიეროდ მფლობელთ არ შეეძლოთ მათი მოკვლა და გაყიდვაც შეზღუდული იყო. რა თქმა უნდა, პენესტები თავიანთ მდგომარეობას არ ურიგდებოდნენ და ხშირად ჯანყდებოდნენ.

თავიანთ სამფლობელოთა დასაცავად თესალიელი დიდკაცობა სიმაგრეებს აგებდა და მათი საშუალებით ცდილობდა დამოკიდებული ტომების აჯანყებათაგან თავის დაცვას და ბატონობის განმტკიცებას. ამ მიზნით და აგრეთვე მტრების შემოსევისაგან უზრუნველსაყოფად მათ ადრე იწყეს ზოგადთესალიური სამხედრო ორგანიზაციის ჩამოყალიბება. როგორც ვიცით, თესალია განთქმული იყო თავისი ცხენებით და განსაცდელის დროს მათ ცხენოსან რაზმებს უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საომარ ვითარებაში თესალიელი ტაგოსები ბრძოლების ხელმძღვანელად და მეთაურად მთელი თესალიის ტაგოსს ირჩევდნენ. მისი არჩევნები წარმოებდა სახალხო კრებაზე, რომელსაც ყველა თავისუფალი თესალიელი ესწრებოდა. ამავე კრებაზე წყდებოდა ომთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც. სახალხო კრებას, როგორც წესი, მშვიდობიან ვითარებაში თითქმის, არ იწვევდნენ.

ძვ. წ. VI საუკუნეში თესალიელები საბერძნეთში უძლიერეს ტომად ითვლებოდნენ და დიდ როლს თამაშობდნენ ბერძენთა სახელმწიფოების საერთო პოლიტიკაში. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა შეეხოთ ეგრეთ წოდებულ „საღვთო ომს". დელფოს აპოლონის საკურთხეველი იმ დროს ფოკიდას ეკუთვნოდა. მისმა მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს მომლოცავთათვის, რომელნიც ფოკიდელების ნავსადგურ კრისაში მივიდოდნენ, ბაჟი გადაეხდევინებინათ. ფოკიდელების ასეთმა გადაწყვეტილებამ ბერძენთა სახელმწიფოებში აღშფოთება გამოიწვია და ამ ნიადაგზე წარმოიქმნა „საღვთო ომი", ვითომც დელფოს საკურთხევლის დასაცავად და ფოკიდელების დასასჯელად. ამ ომში მონაწილეობა მიიღეს ათენელებმა და სიკიონელებმაც, ხოლო წამყვანი როლი თესალიელებს ეკუთვნოდათ. ომი დამთავრდა ფოკიდელების დამარცხებით. მათ ჩამოართვეს დელფოს საკურთხეველი, ნავსადგური კრისა დაანგრიეს და დელფოს ამფიქტიონიის საბჭოში ხმის უმრავლესობა თესალიელებს მიენიჭათ. თესალიელებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ეგრეთ წოდებულ ლელანტის ომშიც. როგორც ვიცით, ერთმანეთს ეომებოდა, ორი სავაჭრო კოალიცია, სახელდობრ, სამოსი და ქალკიდა ებრძოდნენ მილეტსა და ერეტრიას. ომში ჩაერიენ თესალიელებიც და ქალკიდას მიემხრნენ. მათ ცხენოსანი რაზმების დახმარებით ქალკიდამ შეძლო მოპირდაპირეზე გამარჯვება. მაგრამ მალე თვითონ თესალიელებმა განიცადეს დამარცხება ბეოტიელებისა და ფოკიდელებისაგან. სპარსელების წინააღმდეგ საბედისწერო ომებში თესალიელებმა ზოგადბერძნულ ინტერესებს უღალატეს და მტრის მხარეზე იბრძოდნენ[108].

ისტორიკოს თუკიდიდეს გადმოცემით, შუა საბერძნეთის მხარის

ბ ე ო ტ ი ი ს მოსახლეობაც ძირითადად თესალიიდან იყო გადმოსული. ძველი მითები კი ბეოტიაში მცხოვრებ უძველეს ტომთა შორის იმ მინიებსაც ასახელებს, რომლებიც ტრადიციით ორქომენთან არიან დაკავშირებული. ეგრეთ წოდებული მინიების დამახასიათებელი ძეგლები პირველად ორქომენში აღმოაჩინეს. მათი ნაცრისფერი ჭურჭელი გაკეთებული ყოფილა კარგად დაზელილი თიხისაგან, რომელსაც გამოწვის შემდეგ ღიანაცრისფერი მიუღია. მინიების კერამიკა კრეტის კამარესის სტილის კერამიკის თანადროულად არის მიჩნეული.

ჰომეროსის ეპოსში მოხსენებულია აგრეთვე ბეოტიის მეორე ქალაქი თებე, რომელიც თავის დროზე მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა და რომელსაც შემდგომ დროში ორქომენიც დაუმორჩილებია. უკვე იყო ნათქვამი, რომ არქეოლოგიურმა გამოკვლევებმა კოპაიდის ტბის რაიონში და ორქომენის ადგილას მრავლად აღმოაჩინა მიკენის კულტურის ძეგლები.

ყოველ შემთხვევაში, ძვ. წ. VIII საუკუნიდან ბეოტიის მცხოვრებლები ერთ ხალხად გვევლინება, რომელიც ბეოტიურ კილოზე მეტყველებდა.

ბეოტია ნიადაგის ნაყოფიერებით გამოირჩეოდა და მისი მცხოვრებლების მეურნეობის საფუძველს მიწათმოქმედება შეადგენდა. განვითარებული ყოფილა აგრეთვე მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხენეობა, ხოლო კოპაიდის ტბაზე და ზღვის სანაპიროზე — მეთევზეობა. ხელოსნობა ბეოტიელთა შორის ფრიად მცირედ განვითარებულა და ამიტომ ვაჭრობისათვის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ნამეტის გამოყენება იყო შესაძლებელი.

ბეოტიელების ყოფა-ცხოვრება მის მეზობლებს, განსაკუთრებით ათენელებს, ისე ჩამორჩენილად მიაჩნდათ, რომ მათ ღორებს ადარებდნენ და დაცინვით აღნიშნავდნენ „ბეოტიელი ღორების სიყეყეჩეს“. ბეოტიის მოსახლეობის ძირითად მასას მიწათმოქმედი გლეხები წარმოადგენდნენ.

ადრინდელი კანონმდებლები ყოველგვარად ცდილობდნენ გლეხებს შეენარჩუნებინათ თავიანთი მიწის ნაკვეთები. არისტოტელეს გადმოცემით, VII საუკუნის თებელ კანონმდებელს ფილოლაოსს დაუწესებია, რომ თუ ოჯახში მეტი შვილი დაიბადებოდა, ვიდრე მის განკარგულებაში არსებული მიწის ნაკვეთები, მამა ვალდებული იყო, სიკვდილით დასჯის შიშით, თვითონ არ აღეზარდა ბავშვი, არამედ გადაეცა სხვისთვის, ვინც მას თუნდაც მცირე სასყიდელს მისცემდა.

ისტორიკოსი თუკიდიდე გადმოგვცემს, რომ ბერძენ-სპარსელთა ომებამდე ბეოტიის ქალაქებში ძალაუფლება ხუთი წარჩინებული

გვარის ხელში იყო; ოთხი მათგანის წინაპრებს „სპარტები“ ეწოდებოდათ, რაც სიტყვა-სიტყვით „დათესილებს“ ნიშნავს. ეს სახელწოდება კი დაკავშირებულია თებეს ლეგენდარული დამაარსებლის კადმოსის შესახებ თქმულებასთან, რომლის მიხედვით ეს გვარები კადმოსის მიერ ფრთოსანი ურჩხულის დათესილი კბილებიდან გაიზარდნენ. მეხუთე გვარის წინაპარნი კი ვითომ სპარტებთან იყვნენ დამოყვრებული.

მართალია, გაცვლა-გამოცვლის განვითარება ბეოტიაში დაგვიანებულად და შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ ეს პროცესი მაინც ახდენდა თანდათანობით გავლენას ბეოტიელების მეურნეობაზე. ამასთან ერთად, საერთოდ, საბერძნეთში განვითარებულ საზღვაო ვაჭრობას არ შეეძლო ერთგვარი ზემოქმედება ბეოტიის ეკონომიკაზეც არ მოეხდინა.

ამ პირობების გამო სახელმწიფოში თანდათან გარკვეული მნიშვნელობა მოიპოვეს ისეთმა მდიდარმა ადამიანებმაც, რომლებიც უკვე გვაროვნულ არისტოკრატიას არ ეკუთვნოდნენ. მიწათმფლობელი არისტოკრატიის გვერდით გაჩნდნენ შეძლებული გლეხები, რომელთაც უფრო ინტენსიური მეურნეობის საშუალებით გამდიდრება მოახერხეს. სამაგიეროდ რადიკალურად შეიცვალა და გაუარესდა წვრილი გლეხების მდგომარეობა. პოეტმა ჰესიოდემ თავის ცნობილ პოემაში კარგად დაგვისურათა მისი დროის ბეოტიის სოციალური და სამეურნეო ცხოვრება და მიწათმფლობელი არისტოკრატიის ძალმომრეობა და გლეხების შევიწროება. გაღატაკების გზაზე დამდგარი მოვალეების მიმართ ბეოტიელებს განსაკუთრებული კანონი შეუქმნიათ. ამ კანონის ძალით, თუ მოვალე ვალს არ დააბრუნებდა, ის საბაზრო მოედანზე გაჰყავდათ, დაწესებულ ადგილას სვამდნენ და წინ კალათს უდგამდნენ, რომელშიც მოწყალება გროვდებოდა და, ვიდრე ის იმდენი არ აღმოჩნდებოდა, რამდენიც საჭირო იყო ვალის გადასახდელად, მოვალე თავის ადგილას უნდა მჯდარიყო. მოქალაქეებს, რომლებიც ასეთ პროცედურას გაივლიდნენ სამოქალაქო უფლებები ჩამოერთმეოდა[109].

თებელებმა, რომელთა წესწყობილება, ისტორიკოს თუკიდიდეს სიტყვით, არც ოლიგარქია იყო და არც დემოკრატია და უფრო ტირანიას უახლოვდებოდა, თავიანთი ძალაუფლება ფართოდ განავრცეს ბეოტიაზე და უკვე VII საუკუნეში ბეოტიის პოლისების უმეტესი ნაწილი თავის ჰეგემონიის ქვეშ გააერთიანეს. ბეოტიის მეზობელი პოლისების კავშირის, ეგრეთ წოდებული ამფიქტიონიის, ძირითად ფუნქციებს ორი საერთო ძველი საკურთხევლის დაცვა შეადგენდა: პირველი პოსეიდონის ტაძრისა ონქესტოში და მეორე იტონიის

ათენას ტაძრისა კორონეაში. ამ საკურთხევლების დღეობებზე იმართებოდა ბაზრობა, რომელზეც მოვაჭრეები ბეოტიის ყოველი კუთხიდან იყრიდნენ თავს; აქვე წყდებოდა კავშირის წევრთა შორის ატეხილი დავა. ამფიქტიონიის ორგანოების მთავარი მოვალეობა იყო შესაბამისი ზომები მიეღოთ იმ წევრების წინააღმდეგ, რომლებიც ტაძრის ტერიტორიის მიტაცებას და ღვთისმსახურების უშიშროებისა და ვაჭრობის თავისუფლების დარღვევას შეეცდებოდნენ.

როგორი იყო კავშირის საზოგადოებრივ დაწესებულებათა ორგანიზაცია? უცნობი ავტორის ტრაქტატის—ეგრეთ წოდებული „ოქსირინხის Hellenica"-ს ჩვენამდე მოღწეული ნაწყვეტი საკმაოდ ვრცლად აგვიწერს ბეოტიაში არსებულ წესწყობილებას. თუმცა ეს აღწერილობა ძვ. წ. 446 წლიდან იწყება, მაგრამ საფუძველი არსებობს ვიფარაუდოთ, რომ მასში წინანდებული, ბერძენ-სპარსელთა ომამდელი წყობილებაა აღდგენილი და ნაგულისხმევი.

ბეოტიის კავშირს ბეოტარქების კოლეგია მეთაურობდა. ბეოტარქების რიცხვი თერთმეტს აღწევდა; მათი არჩევა სამ წელში ერთხელ ხდებოდა, კავშირის უფრო მნიშვნელოვანი წევრები ორ-ორ ბეოტარქს ირჩევდნენ. ამას გარდა, ყოველ ბეოტარქზე ბეოტიის თითოეული სახელმწიფო სამოც-სამოც დეპუტატს ირჩევდა საკავშირო საბჭოში და მათს შესანახ ხარჯებს იხდიდა. ასეთივე წესით ირჩევდნენ საკავშირო სასამართლოს. ბეოტარქების ხელში იყო საკავშირო ჯარების მთავარსარდლობა. კავშირის ყოველი წევრი ვალდებული იყო შეევსო საკავშირო ჯარი თავის კონტინგენტებით, რომელთა რიცხვს კავშირის ორგანოები განსაზღვრავდნენ. თითოეულ ბეოტარქზე ათასი ჰოპლიტი და ასი მხედარი მოდიოდა.

კავშირში შემავალ ყოველ სახელმწიფოს ბერძენ-სპარსელთა ომებამდე შეუნარჩუნებია თავისი დაწესებულებანი და წესწყობილება. მათი უმრავლესობის მმართველობას არქონტები მეთაურობდნენ. მერმინდელ დროში კი ცალკეული პოლისების წყობილებას იძულებითი ცვლილებები განუცდია, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ბეოტიის პოლისების კავშირს ადრე გაჩენია საგარეო განსაცდელი. უკვე VI საუკუნის პირველ ნახევარში თესალიელებს განუზრახავთ ბეოტიის ნაყოფიერი მხარის დაპყრობა, მაგრამ ბრძოლაში სასტიკად დამარცხებულან. ამ ამბავზე ადრე კავშირისათვის დიდი წინააღმდეგობა გაუწევია მდიდარსა და ძლიერ ქალაქ ორქომენს. მაგრამ ბოლოს ისიც განსაზღვრული პრივილეგიების მინიჭების შემდეგ ბეოტიის კავშირში შესულა. ათენთან ხანგრძლივ ბრძოლაში კი ორქომენს დაუკარგავს ჯერ ქალაქი ელევთერი დიონისეს ძველი საკურთხევლით და მერე პლატეა და ზღვისპირა ქ. ოროპოსი.

დროთა მსვლელობაში ბეოტიის კავშირს თანდათანობით ისეთი სახე მიუღია, რომელიც მას ჩვეულებრივ ამფიქტიონიისაგან განასხვავებდა, და წარმოქმნილა ისეთი პირობები, რომლებიც ამფიქტიონიის საკმაოდ ცენტრალიზებულ საკავშირო სახელმწიფოდ გარდაქმნას განაპირობებდნენ; თუ თავდაპირველად კავშირში შესვლა ძირითადად ნებაყოფლობითი იყო, მდგომარეობა ამ მხრივ შესამჩნევად შეცვლილა. საქმე იმაშია, რომ გარდა ჯარების სარდლობისა, ბეოტარქებს კავშირში შემავალ წევრების მიმართ პოლიტიკური წარმომადგენლობაც და შესაბამისი ზომების მიღებაც ეკისრებოდათ და ეს მათი უფლება თანდათან ფართოვდებოდა. თუ კავშირის რომელიმე წევრი მას განუდგებოდა, ან სამხედრო მოვალეობას დაარღვევდა, ჩვეულებრივად ის სასტიკად ისჯებოდა; მას ჩამოერთმეოდა ტერიტორია. მის მცხოვრებლებს სხვა ადგილას გადაასახლებდნენ და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ჩამორთმეული მიწა-წყალი კავშირის მთავარი წევრის თებეს ხელში გადადიოდა და მის მნიშვნელობასა და ძლიერებას ზრდიდა. ბეოტიის გარეშე პოლისებთან ურთიერთობის უფლებაც და, მაშასადამე, მთელი საერთაშორისო პოლიტიკაც კავშირის ხელმძღვანელობას ექვემდებარებოდა. ბეოტარქების ხელში იყო საგარეო საქმეების გაძღოლა. ისინი აგზავნიდნენ ელჩებს, იღებდნენ უცხოელ ელჩებს, აწარმოებდნენ მათთან მოლაპარაკებას და საკავშირო საბჭოში შეჰქონდათ ხელშეკრულებათა დადების საკითხი.

უკვე VI საუკუნის პირველ ნახევარში მათ დაუწყიათ საკავშირო უზედწერო მონეტების ჭრა, რომელთა ზოგადბეოტიურ გერბს ქალღმერთ ათენას ფარი წარმოადგენდა. VI საუკუნის მსვლელობაში კი კავშირის ცალკეული წევრები, მათ შორის თებელებიც, მონეტების რევერსზე თავიანთი სახელმწიფოს სახელწოდების პირველ ასოებს ათავსებდნენ. თუ ასეთი მონეტები კავშირში უშუალოდ შემავალ თანასწორუფლებიან სახელმწიფოებს გულისხმობს, მდგომარეობა ამ მხრივაც შეცვლილა: მართალია, ბერძენ-სპარსელთა ომებამდე მათ შეუნარჩუნებიათ საკუთარი მონეტის ჭრის უფლება, მაგრამ ვალდებულნი გამხდარან მათზე ზოგადბეოტიური გერბი მოეთავსებინათ. მხოლოდ ორქომენს შერჩენია მონეტის მოჭრის უფლება საკუთარი გერბით — პურის თავთავით.

ბეოტიის კავშირის მდგომარეობაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ბერძნების დიდმა ომმა შემოსეული სპარსელების წინააღმდეგ. თერმოპოლის დასაცავად კავშირს მოწოდებით არ მიუმართავს თავისი წევრებისათვის. გარდა 400 თებელისა მასში მონაწილეობა მხოლოდ 700 თესპიელს მიუღია, ხოლო, როცა შუა საბერძნეთში

მტრის ჯარი შეიპრა, სპარსელებს გადაჭრით მიემხრო თებეში გაბატონებული ოლიგარქია, რომლის მოქმედება უკვე მანამდეც იწვევდა ეჭვს. დანარჩენმა მოკავშირე ქალაქებმაც, თესპიეს გამოკლებით, მის მაგალითს მიბაძეს. თესპიელებმა კი დატოვეს თავიანთი ქალაქი, რომელიც სპარსელებმა გაანადგურეს.

7. ათენის სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხი და მისი ძველი ორგანიზაცია

შუა საბერძნეთის ბუნარე ატიკა, სადაც ათენის სახელმწიფო წარმოიქმნა, საკმაოდ ვრცელი ოდენობის სამკუთხედს წარმოადგენს. ატიკისა და ბეოტიის საზღვარზე აღმართულია კითერონის მთები. ლაკონიკასთან შედარებით ქვიანი ატიკა მნიშვნელოვნად ღარიბია ხვნათესვისათვის გამოსადეგი ნიადაგით. მხოლოდ აქა-იქ მდებარე პატარა ნაყოფიერ ადგილებში შეიძლებოდა მიწათმოქმედების განვითარება. ამიტომ ატიკის უძველესი მოსახლეობა თავიდანვე იძულებული იყო სხვა ქვეყნებიდან შემოეტანა პური და თავის მხრივ ზეთის ხილის კულტურისა და ნაწილობრივ ვენახების გაშენებაზე ეზრუნა. მთამადნეულის მხრივ ატიკა შედარებით მდიდარი იყო ვერცხლის წიაღისეულით (ლავრეიონის მთაგრეხილი), მარმარილოთი (პენტელიკონი, საუცხოო თაფლით განთქმული გიმეტის მთები), სამშენებლო ქვით და თიხით. ატიკის მოხერხებულ გეოგრაფიულ მდებარეობას წარმოადგენდა ის, რომ მის სანაპიროზე არსებობდა კარგი ბუნებრივი ნავსადგურები და გარს აკრავდა კუნძულები, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მეზღვაურობის განვითარებისათვის.

ატიკის ბუნებრივი პირობების ფრიად მნიშვნელოვან ნაკლად, ნიადაგის სიმწირესთან ერთად, ისიც ითვლებოდა, რომ ის დიდად ღარიბი იყო წყლით. თუ პენტელიკონიდან მომდინარე კეფისი იმდენ წყალს შეიცავს, რომ შესართავთან კიდევ რწყავს მიწას, ილისი, რომელიც გიმეტიდან გამოედინება, თავის მდინარებაში ისეთ სახეს იღებს, რომ სრულებით იკარგება ნიადაგში. ამიტომ ატიკაში განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდნენ წყლის განაწილებას, წყაროებსა და ჭებს.

მიწის სივიწროესა და ნიადაგის სიმწირესთან ერთად უნდა დავასახელოთ კიდევ ერთი უარყოფითი მოვლენა, რომელიც ატიკის ბუნებას ახასიათებს: ნიაღვრები არამცთუ მთებიდან, არამედ ხშირად ბარიდანაც კი იტაცებდა ნიადაგის ზედა ფენებს და მათ ადგილას აუცილებელი ხდებოდა ხელოვნური ნიადაგის შექმნა.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ატიკის სამეურნეო ცხოვრებაში მიწის დამუშავებას ძირითადი და ერთ დროს გაბატონებული ადგილი

ეკავა. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მესაქონლეობას, ფრინველების მოშენებას, მეფუტკრეობასა და ზეთის ხილის კულტურას.

რა თქმა უნდა, დროთა მსვლელობაში მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასთან ერთად ატიკის მწირი ნიადაგი ვერ აკმაყოფილებდა მის

სურ. 40. ათენის ლანდშაფტი.

მოთხოვნილებას და აუცილებელი ხდება პურის გარედან შემოტანა. ამიტომ ატიკის მცხოვრებლები ადრე გახდნენ იძულებული უდიდესი ყურადღება მიექციათ ზღვაოსნობის განვითარებისათვის (რის ხელსაყრელ პირობებს იძლეოდა ამ მხარის გეოგრაფიული მდებარეობა) და ხელოსნობის გაფართოებისა და სხვა ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავებისათვის (კერამიკის წარმოება, ლავრეიონის მაღაროების დამუშავება და სხვ.).

ასეთ მხარეში წარმოიშვა ძველი საბერძნეთის ისტორიაში სახელგანთქმული ათენის სახელმწიფო. მართალია, მისი ძველი ისტორიის შესახებ სანდო და გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ერთ დროს ატიკა რამდენიმე დამოუკიდებელ თემს წარმოადგენდა. ათენელები ამაყობდნენ, რომ ავტოხთონები, პელაზგების ჩამომავალნი ვართო. მათი ასეთი რწმენა იმას ემყარებოდა, რომ მათი წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში ამ მხარეში ბინადრობდნენ.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა უფრო დააზუსტა ჩვენი წარმოდგენა როგორც ათენის, ისე საერთოდ ატიკის ცნობილი ადგილების შესახებ. კერძოდ გამოირკვა, რომ ათენში აგორის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ მესამე ათასწლეულში. ძვ. წ. VI საუკუნეში აგორა გამხდარა ქალაქის მთელი

ცხოვრების ცენტრი. აქ იკრიბებოდა სახალხო კრება * და სპეციალურ ადგილას მიმდინარეობდა დრამატული წარმოდგენები. აქაც და მთელ ატიკაში აღმოაჩინეს მიკენის ეპოქის ძეგლები. ამასთანავე დაადგინეს, რომ ათენის ძველი აკროპოლისის სიმაგრეთა სისტემა იმ ტიპის მშენებლობის იდენტური იყო, რომლითაც მიკენის მთავარი ციხეკარი გამოირჩეოდა. აკროპოლისის გარშემო აგებულ, ეგრეთ წოდებულ პელაზგურ თუ ციკლოპურ კედელს, არქეოლოგები ძვ. წ. XIII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ. კედლის იქით აღმოჩნდა პატარა სახლები, რომლებიც, არქეოლოგების დასკვნით, აშენების შემდგომ მალე მოულოდნელად მიუტოვებიათ. ფიქრობენ, რომ ეს დორიელთა შემოსევასთან იყო დაკავშირებული. თავდამსხმელთ აკროპოლისი ვერ აუღიათ. გათხრებმა გამოავლინეს აქ წყლის მომარაგების ძველი სისტემის ნაშთები და, ალბათ, ამ სისტემის წყალობით შეძლეს აკროპოლისში თავმოყრილმა ათენელებმა გარემოცვის ატანა.

აკროპოლისის ჩრდილოეთ ფერდობზე, ნიმფების ბორცვების ფერდობებზე და მთელ ატიკაში ბლომად აღმოჩნდა მიკენური სამარხები. 1953 წელს ბერძენმა არქეოლოგებმა ატიკაში გათხარეს რამდენიმე სამარხი. ერთ მათგანში აღმოჩნდა ქაშანურის დისკო ეგვიპტის ფარაონის რამზეს II (1317—1251) კარტუშით. რამზეს II ეგვიპტის უკანასკნელი დიდი ფარაონი იყო და, როგორც ჩანს, მის დროს ატიკის უძველეს მცხოვრებლებს ერთგვარი ურთიერთობა ჰქონიათ ეგვიპტესთან. საერთოდ, არქეოლოგიური მონაცემები გვარწმუნებენ, რომ ათენი მიკენის ეპოქის ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრთაგანი ყოფილა.

ყურადღების ღირსია 1955 წელს არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ქუჩა, რომელიც აკროპოლისიდან არეოპაგისაკენ მიდიოდა. ძვ. წ. VII—VI საუკუნეების იმ ღორღის დონის ქვევით, რომლითაც ქუჩა იყო მოკირწყლული, აღმოაჩინეს თიხის მილებისაგან გაკეთებული წყალსადენი. მისი წარმოქმნა VI საუკუნის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნოს. ამ წყალსადენით წყალი გადადიოდა 1952 წელს აღმოჩენილ ჭაში.

ათენის გარდა ატიკაში უძველესი დროიდან ცნობილი იყო ე ლ ე ვ ს ი ნ ი. რომლის ტოპოგრაფია გამოაკვლია არქეოლოგიურმა გათხრებმა. აღსანიშნავია, რომ მის აღმოსავლეთ ნაწილში არსებულა აკროპოლისი, რომელიც უკვე მიკენის ეპოქაში გაუმაგრებიათ. საერთოდ გათხრების საშუალებით დადასტურდა ელევსინის ველსა და

* ძვ. წ. V საუკუნიდან კი სახალხო კრების ადგილი პ ნ ი ქ ს ი გახდა.

ათენს შორის სიმაგრეების არსებობა, რაც იმას უნდა ადასტურებდეს, რომ ელევსინი ერთ დროს ათენისაგან დამოუკიდებელი იყო და ათენთან შეერთების შემდეგაც შეინარჩუნა საკუთარი მონეტა. ათენისაგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო მ ა რ ა თ ო ნ ი ს ტეტრა-

სურ. 41. ათენის აკროპოლისი. აწინდელი ხედი.

პოლისი და სხვ. მაშასადამე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მიკენის ეპოქის დაცემის შემდგომ ატიკის მოსახლეობა რამდენიმე დამოუკიდებელი თემისაგან შედგებოდა. მათგან ყველაზე ადრე გამოიყვნენ და ამაღლდნენ ათენი და ელევსინი. თითოეულ მათგანში მალე გაძლიერდნენ არისტოკრატიული გვარები, რომლებიც ერთიმეორეს ექიშპებოდნენ. საფიქრებელია, რომ ელევსინისა და ათენის არისტოკრატიულ გვარებს შორის ბრძოლა კომპრომისით დამთავრებულა. მკვლევარი ვახსმუტი ფიქრობს, რომ თავდაპირველად თვითონ ათენიც რამდენსამე თემად იყო დანაწილებული და ამიტომ ჯერ მოხდა ათენის გაერთიანება და უფრო გვიან კი მთელი ატიკისაო [113]. ალბათ, ასეთი სინოიკისმის შედეგი უნდა იყოს ამ ქალაქის მრავლობით რიცხვში მოცემული ბერძნული სახელწოდება. ასეთი მოსაზრება შეესაბამება აგრეთვე იონისა და შემდგომ თეზევსის მიერ გატარებული სინოიკისმის შესახებ ტრადიციას.

ისტორიკოსი თუკიდიდე გადმოგვცემს (Thuc. II, 15), რომ შორეულ წარსულში ატიკა დანაწილებული იყო რამდენიმე დამოუკიდებელ თემად და თითოეულ მათგანს საკუთარი საბჭო და პრიტანეიონი ჰქონდათო; შემდგომში მოხდა სინოიკისმი, რომლის გატარებას

იგი თეზევსს მიაწერს. მისი სიტყვით, თეზევსმა გააუქმა სხვა ქალაქების საბჭოები და თანამდებობის პირები, ყველა მცხოვრები გააერთიანა ახლანდელი ქალაქის გარშემო და დააწესა ერთი საბჭო და პრიტანეიონი; ცალკეული სოფლების მცხოვრებლები, რომლებიც თავიანთ მიწებს ამუშავებდნენ, როგორც წინათაც, თეზევსმა აიძულა ჰქონოდათ ერთი ეს ქალაქი, და, ვინაიდან ყველა მცხოვრები ახლა უკვე ერთ ქალაქს ეკუთვნოდა, იგი გაიზარდაო.

მეორე მხრივ, იმავე თეზევსის ბიოგრაფიაში პ ლ უ ტ ა რ ქ ე (Plut., Thes. XXV) აღნიშნავს, რომ მან სინოიკისმის გატარების დროს ყველა თანასწორი უფლებებით მიიწვია, მაგრამ ახალი წყობილებისათვის გარკვეული სახე რომ მიეცა, მანვე პირველმა მოსახლეობიდან გამოყო ცალ-ცალკე ე ვ პ ა ტ რ ი დ ე ბ ი, გ ე ო მ ო რ ე ბ ი და დ ე მ ი უ რ გ ე ბ ი. ამასთან ევპატრიდებს მან დაუდგინა საღვთო საქმეების ცოდნა, თანამდებობათა აღსრულება, კანონების მასწავლებლობა და დანარჩენ მოქალაქეთათვის ზეციურ და ამქვეყნიურ ადათთა განმმარტებლებად ყოფნა; თანასწორობა მან დააფუძნა იმაზე, რომ ევპატრიდები პატივით განირჩეოდნენ, გეომორები თავისი სარგებლიანობით, ხოლო დემიურგები თავისი რიცხობრიობითო. რა თქმა უნდა, ვერც სინოიკისმის გატარებას და მით უმეტეს ვერც სოციალური ჯგუფების დამყარებას თეზევსს ვერ მივაწერთ. მაგრამ თუკიდიდეს ცნობაში საყურადღებოა იმის დადასტურება, რომ ატიკა ცალკეულ თემებად იყო დანაწილებული და მხოლოდ სინოიკისმის გზით წარმოიქმნა გაერთიანებული ათენის სახელმწიფო. პლუტარქეს ცნობაში კი ყურადღებას იპყრობს თეზევსის მიერ მოსახლეობიდან ე ვ პ ა ტ რ ი დ ე ბ ი ს, მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ-გ ე ო მ ო რ ე ბ ი ს ა და ხ ე ლ ო ს ა ნ-დ ე მ ი უ რ გ ე ბ ი ს გამოყოფა.

გადმოცემით ლეგენდარულმა მეფე იონმა ატიკის მოსახლეობა ოთხ გვაროვნულ ფილედ დაყო; თითოეული ფილე სამი ფრატრიისაგან შედგებოდა, თითოეული ფრატრია — 30 გვარისაგან და თითოეული გვარი — 30 ოჯახისაგან. მაგრამ განსახილველ პერიოდში ატიკაშიც გვაროვნული წყობილება უკვე დაშლის პროცესს განიცდიდა. არსებობს მოსაზრება, თითქოს, ოთხი ფილეს სახელწოდება მათში შემავალ წევრების ხელობის სახესთან თუ სამუშაოსთან იყო დაკავშირებული: გ ე ლ ე ო ნ ტ ე ბ ი ვითომც კეთილშობილთ განასახიერებდნენ, ა რ გ ა დ ე ე ბ ი — უმთავრესად მიწათმოქმედთ, ე გ ი კ ო რ ე ე ბ ი — თხების მწყემსებს და ჰ ო პ ლ ე ტ ე ბ ი — მეომრებს. ყოველ შემთხვევაში მართალია, გვაროვნული წყობილება განაგრძობდა არსებობას, მაგრამ წამყვანი როლი უკვე მოსახ-

ლეობის მხოლოდ მაღალ წრეებს — გვაროვნულ არისტოკრატიას და ძველი გვაროვნული დაწესებულებები ეხლა მცირერიცხოვანი წარჩინებული გვარების გარშემო ჯგუფდებოდა. ატიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს იმ არისტოკრატიულმა გვარებმა, რომელთა ადგილ-მამული ათენისა და ელევსინის მახლობლად მდებარეობდა. აქ იყო ატიკის შედარებით უფრო მოსაელიანი ნაწილი — პედიონი, პედიეა, რომელსაც მდებარეობის უპირატესობაც ახასიათებდა. გვაროვნული ორგანიზაცია ატიკაში უფრო დიდხანს შენარჩუნებული ჰქონდათ იმ „კეთილშობილ და მდიდარ“ არისტოკრატიულ გვარებს. რომელთაც საერთოდ ევპატრიდები, ე. ი. „კეთილშობილ მშობელთა ჩამომავალნი“ ეწოდებოდათ.

ეკონომიურმა უპირატესობამ ათენი აამაღლა ატიკაში და გადაქცია იგი ამ მხარის პოლიტიკურ ცენტრად. ქალაქმა სავსებით შეიცვალა თავისი გარეგნობა. მისი უძველესი მოსახლეობა ბინადრობდა უმთავრესად აკროპოლისსა და მის მიმდებარე ფერდობებზე. ამიერიდან კი იგი გაიზარდა და გაფართოვდა სავაჭრო და სახელოსნო უბნებით. ათენის ტოპოგრაფია საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, თუ როგორ თანდათანობით იზრდებოდა ეს ქალაქი და როგორ იცვლებოდა პოლისის წინანდელი ხასიათი. თუ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სინოიკისმი ადგილობრივი წარჩინებული გვარების ინიციატივით გატარდა. მაშინ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი შედეგები ამ არისტოკრატიის საწინააღმდეგოდ წარიმართა. ვინაიდან ათენი, რომელიც პოლიტიკური ცენტრი გახდა, ამავე დროს ის ყველა საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ცენტრად იქცა. სწორედ ათენში, რომელიც არა მარტო პოლიტიკურ, არამედ თანდათანობით ეკონომიურ ცენტრადაც გადაიქცა, თავს იყრიან გვაროვნული წყობილების ყველაზე უფრო დიდი მოწინააღმდეგე ელემენტები.

ტრადიციის მიხედვით ატიკას ოდესღაც ლეგენდარული მეფეები განაგებდნენ. თვითონ ათენელები თავიანთ დაწესებულებათა დაარსებას ლეგენდარულ იონს მიაწერდნენ და არისტოტელეც მას ათენის ძველი სახელმწიფოებრივი წყობილების ნამდვილ დამაარსებლად თვლიდა. ტრადიციაში მოხსენებულია მეფეები და გმირები: ეგეოსი, თეზევსი, კოდროსი და სხვ. როცა არისტოკრატიული გვარები მომძლავრებულან, მათ თითქოს დაუწყიათ ასეთი „მეფეების“ ძალაუფლების შევიწროება და ბოლოს მისი სრული გაუქმება. შემონახული გადმოცემის ერთი ვერსია მოგვითხრობს, ვითომც პილოსიდან გაძევებული ნელევსის შთამომავლობა ათენში განმტკიცდა და ტახტი დაიმკვიდრა. ამ გზით ლეგენდარული კოდროსიც ნელევსის

ჩამომავლად იქნა აღიარებული. თქმულება მას უკავშირებს ათენში მეფობის გაუქმებას და ამას ასე ასაბუთებს: მან თავი შესწირა ქვეყნის კეთილდღეობას და ამიტომ ათენელებმა მეფობის ღირსად აღარავინ სცნეს და მეფის ხელისუფლება გააუქმესო. ნამდვილად კი უნდა ვიგულისხმოთ, რომ გაბატონებულმა არისტოკრატიულმა გვარებმა თანდათან შეზღუდეს მეფის უფლებები და ბოლოს სავსებით მიითვისეს მისი ხელისუფლება, ჩამოართვეს კოდროსის გვარს მეფის ღირსების მემკვიდრეობით მიღების უფლება და დააწესეს ამ გვარის წევრებიდან სიცოცხლეულად არჩეული არქონტის თანამდებობა. ამ მიმართულებით ძველი „მეფე" სიცოცხლეულმა არქონტმა (ἄρχων) შეცვალა, შემდგომში მათი მმართველობის ვადა 10 წლით განსაზღვრეს და ამ თანამდებობის მიღების უფლება ყველა ევპატრიდს მიენიჭა. ბოლოს არქონტს მხოლოდ ერთი წლით ირჩევდნენ. არქონტების სია იწყება 683/2 წლიდან.

ძვ. წ. VI საუკუნეში წარმოიქმნა ცხრა არქონტის კოლეგია: პირველი არქონტი — ეპონიმი, რომლის სახელის მიხედვით წარმოებდა წელთაღრიცხვა; არქონტი-ბასილევსი, რომელიც, ისე როგორც რომში rex sacrorum, ძველი „სამეფო" ხელისუფლების გადანაშთს წარმოადგენდა და უმთავრესად ქურუმისა და კულტთან დაკავშირებულ სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებდა, არქონტი-პოლემარქოსი, რომელიც როგორც მხედართმთავარი ლაშქარს მეთაურობდა და აგრეთვე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობას განაგებდა, და ექვსი არქონტი — თესმოთეტები, რომლებიც კანონების მცველებად და სხვადასხვა სამოსამართლო კოლეგიების თავმჯდომარეებად ითვლებოდნენ. არქონტები თავიანთ მოვალეობას უსასყიდლოდ ასრულებდნენ და მათი თანამდებობა ფრიად საპატიოდ ითვლებოდა. ჩამოთვლილი თანამდებობის პირები მოქმედებდნენ სპეციალურ შენობებში: არქონტი-ეპონიმი — პრიტანეიონში, არქონტი-ბასილევსი — ეგრეთ წოდებულ ბუკოლეიონში, პოლემარქოსი და თეტები კიდევ განსაკუთრებულ სადგომებში.

უმაღლეს საბჭოს წარმოადგენდა არეოპაგი. ის იკრიბებოდა ომის ღმერთის არესისადმი მიძღვნილ გორაკზე და ამიტომაც ეწოდებოდა არეოპაგი. მასში შედიოდნენ რწმუნებულობის ვადის დამთავრების შემდგომ ყოფილი არქონტები. ის წარმოადგენდა ისეთ უმაღლეს დაწესებულებას, რომელსაც ტრადიციის დაცვა ევალებოდა; იგი იყო უმაღლესი სამოსამართლო ორგანო და მასვე ეკუთვნოდა არქონტობის კანდიდატების რეკომენდაცია და არქონტების მოქმედების მეთვალყურეობა. როგორც არეოპაგის წევრობა, ისე არქონტობა შეეძლო მხოლოდ ყველაზე უფრო გავლენიანი გვარების,

ევპატრიდების წევრებს. არისტოკრატიულ გვართა ბატონობის ხანაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული წარჩინების იმ ნიშნებს, რომლებიც არქონტების დოკიმასიის (შემოწმების) ფორმულაში შემდგომ დროსაც იყო დაცული. ეს ფორმულა, რომელიც არისტოტელემ შემოგვინახა, სხვათა შორის, არქონტებისადმი მიმართულ შემდეგ შეკითხვებს გულისხმობდა: თაყვანს სცემს თუ არა იგი აპოლონს მამისეულს (Πατρῷος) და ზევს კერისმცველს (Ἑρκεῖος) და სად იმყოფებიან ეს საკურთხეველები, აქვს თუ არა მას საგვარეულო აკლდამა და სად მდებარეობს ის?

ევპატრიდების ძლიერების საფუძველს მათი მამულები წარმოადგენდა, მაგრამ მიწების გასხვისება არ შეიძლებოდა და მთელი ქონება ისევე გვარში რჩებოდა. ნაწილი ევპატრიდებისა მონაწილეობდა ვაჭრობაში, მისდევდა მევახშეობას და კიდევ უფრო მდიდრდებოდა. მაგრამ ფულადი მეურნეობის განვითარება თანდათან არღვევდა გვაროვნულ ურთიერთობას მოსახლეობის არა მარტო ქვედა ფენებში, არამედ მის ზედა წრეებშიც. თვით ევპატრიდების მნიშვნელოვანი ნაწილიც ამ პროცესის მოვლენით თანდათან ღატაკდებოდა და დაქვეითების გზაზე დგებოდა.

განსაკუთრებით მძიმე შეიქნა სოფლის მოსახლეობის — გეომორებისა და თეტების მდგომარეობა VII—VI საუკუნეში. ვაჭრობისა და მევახშეობის შეჭრა სოფელში შეუბრალებლად არღვევდა ძველ ურთიერთობას და ქმნიდა სოფლის მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ცხოვრების მძიმე პირობებს. ამ პირობებზე საუბარი უფრო დაწვრილებით სოლონის სეისახთეიას განხილვისას გვექნება. მეორე მხრივ, მას შემდგომ, რაც ათენი პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრი გახდა ატიკაში, მისკენ გამოეშურნენ არამიწათმოქმედი, ვაჭრობა-ხელოსნობაში ჩაბმული წრეები, რომელთაც კავშირი ძველ გვაროვნულ ორგანიზაციასთან უკვე გაწყვეტილი ჰქონდათ და მის გადაგვარებულ ფორმებთან მტრულად იყვნენ განწყობილი.

8. ატიკა VII—VI საუკუნეებში; კილონის შეთქმულება; დრაკონის კანონმდებლობა; ნავკრარიები

ათენის ისტორიის ამ ხანის შესახებ მხოლოდ მცირე და ისიც ნაწილობრივ ნაკლებად სანდო ცნობები მოგვეპოვება.

მიუხედავად ამისა, უდავო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, რომ VII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ადგილი ჰქონდა კ ი ლ ო ნ ი ს შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა ს. ზოგიერთ მკვლევარს, მაგ., ბელოხსა და დელანტიეს უსაფუძვლოდ გადააქვთ ეს შემთხვევა VI საუკუნის მეო-

რე ნახევარში. წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აღმოჩენილი არისტოტელეს „ათენის პოლიტიის“ I თავი, რომლის მხოლოდ უკანასკნელმა ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, ეხება კილონის შეთქმულებას, ხოლო II თავი შეიცავს სოლონის რეფორმების წინამორბედი მოვლენების აღწერას. ამას გარდა, ჰეროდოტესა და თუკიდიდეს ცნობების მიხედვით შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ კილონი არისტოკრატიულ გვარს ეკუთვნოდა და მეგარის ტირანის თეაგენის სიძე იყო. ძვ. წ. 640 წელს მას გაუმარჯვია ოლიმპიის ასპარეზობაში.

კილონმა, ალბათ, გაითვალისწინა ატიკის ფართო მოსახლეობის უკმაყოფილება იმ დროს არსებული წესწყობილებით და ათენში ტირანიის დამყარების პირველი ცდა ჩაატარა. მაგრამ, როგორც ჩანს, საამისო ნიადაგი ჯერ კიდევ შემზადებული არ ყოფილა და მისი ცდა დამარცხებით დამთავრებულა. ყოველ შემთხვევაში ხალხის ფართო მასები მის ცდას ცხადი გულგრილობით და მტრულადაც კი შეხვედრიან, ამიტომ მას მხოლოდ მცირერიცხოვანი მომხრეები აღმოსჩენია.

როცა ათენში ზევსის საპატივცემო დღესასწაული მიმდინარეობდა, კილონს უსარგებლია ხალხის თავმოყრით და ხელისუფლების მითვისება განუზრახავს. მას თავის მომხრეებთან ერთად აკროპოლისის დაკავება მოუხერხებია, მაგრამ ხალხს ნაკლებად დაუჭერია მხარი მისი განზრახვისათვის. ისტორიკოს თუკიდიდეს სიტყვით, ათენელებს რომ ეს ამბავი გაუგიათ, სოფლებიდანაც კი დაძრულან კილონისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ და ალყა შემოურტყამთ აკროპოლისისათვის. ალყა გაჭიანურებულა და ამიტომ უმრავლესობას დაღლილობა უგრძვნია, ცხრა არქონტისათვის განუსაზღვრელი უფლებამოსილება მიუნიჭებიათ და თავიანთ სახლებში წასულან.

ევპატრიდებმა სწრაფად მოახერხეს აკროპოლისისათვის ალყის შემორტყმა. კილონი გაქცეულა. მის მომხრეებს კი თავი ათენას საკურთხეველში შეუფარებიათ. მათ შეპირებიან სიცოცხლის შენარჩუნებას, თუ ტაძრიდან გამოვიდოდნენ, მაგრამ შეპირება არ ყოფილა შესრულებული: ტაძრიდან გამოსვლისას კილონის მომხრეები ამოხოცეს, ნაწილი ევმენიდების საკურთხეველთან. ასეთ მოქმედებას ხელმძღვანელობდა ალკმეონიდების გვარის წარმომადგენელი მეგაკლე და ამ გვარს ეს „სისაძაგლე“ სამარადისო ლაქად დააჩნდა*.

ეს საქციელი ალკმეონიდებს უდიდეს დანაშაულად ჩაეთვალათ და შემდგომ დროს მათ ამას არა ერთხელ მოაგონებენ, განსაკუთრებით კი — VI საუკუნის დასასრულს და პელოპონესის ომის დასაწყისში.

---

* ამ ამბის თავისებური ვერსია აქვს გადმოცემული პლუტარქეს (Sol., XII).

ამ შემთხვევაშიც, კილონის შეთქმულების ჩაქრობის შემდეგ. ალკმეონიდების გვარი, რომელმაც იმ დროის წარმოდგენით, ქალაქს თავს უდიდესი ღვთისგმობა დაატეხა, გააძევეს ათენიდან და მხოლოდ სოლონის ამნისტიით მიეცა უკან დაბრუნების საშუალება. მიუხედავად ამისა, ალკმეონიდების გვარმა დიდი როლი ითამაშა ათენის ისტორიაში.

ვაჭრობა-წარმოების განვითარების მხრივ ატიკა პირველ ხანებში დიდად ჩამორჩებოდა საბერძნეთის სხვა ცნობილ ცენტრებს, მაგრამ ამ მოვლენამ სათანადო პირობების წყალობით აქაც მალე მოიპოვა ფართო ასპარეზი, განსაკუთრებით ფულის მოჭრის შემოღების შემდეგ.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ბერძენი გლეხკაცობა ფულადი მეურნეობის დამყარების შემდეგ. ასეთსავე მდგომარეობას განიცდიდა ახლა ათენის გლეხობა. პირველად ისიც დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე ამის მიზეზია გაბატონებული წრეების მიერ ღმერთებისაგან მონიჭებული კანონების შერყვნა, დარღვევა და დავიწყება. ამიტომ მისი პირველი მოთხოვნილება იყო დაწერილი კანონების გამოცემა. არისტოკრატია იძულებული გახდა ეს მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და დაახლ. 621 წელს დ რ ა კ ო ნ ს მიანდვეს სამართლის კოდიფიკაცია.

დრაკონის მოღვაწეობა წარმოადგენდა არა ახალი კანონების შექმნას, არამედ მხოლოდ ადათის ფიქსაციას.

იგი შეეხო სისხლის აღების ჩვეულებას, რომელიც მას პრინციპში არ მოუსპია, მაგრამ დიდად შეზღუდა ამ ადათის საშინელი მხარეები და მკვლელსა და დაზარალებულთა შორის დააყენა სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც მათი დავის მომწესრიგებელი ორგანო; ამით დაუკარგა მას პირადი მისაგებლის ხასიათი; ამას გარდა, მან გარკვევით განასხვავა ერთიმეორისაგან წინასწარგანზრახვითი და შემთხვევითი მკვლელობა და მკვლელობა, როდესაც მკვლელი „თავის უფლებაში ითვლებოდა", მაგ., თავდაცვისა და იჭვიანობის დროს. თითოეული სახის მკვლელობის გასამართლება წარმოებდა განსაზღვრულ ადგილას: წინასწარგანზრახველი მკვლელობის — პალადიუმში, წინასწარგანზრახული მკვლელობის — არეოპაგში. გაძევებაში მყოფი პირის მიერ ახალი მკვლელობის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავე ატიკის მიწაზე ვერ გადმოვიდოდა; ნავში იმყოფებოდა და მისი გასამართლება პირეუსის მახლობლად ზღვის ნაპირას წარმოებდა. ადამიანის ნაძალადევი სიკვდილის შემთხვევაში პირუტყვის ან უსულო საგნის მხრივ გასამართლებას განსაკუთრე-

ბული სასამართლო ახდენდა და სიკვდილის გამომწვევ პირუტყვს თუ საგანს ან ზღვაში გადააგდებდნენ ან მხარის საზღვრებს იქით. დრაკონის „კანონების“ შემონახული ფრაგმენტები არქაიზმითაა გაჟღენთილი.

ტრადიციის თანახმად დრაკონის კანონები იშვიათი სიმკაცრით განირჩეოდნენ; აქედან მომდინარეობს თქმა: „დრაკონის კანონები“. თვითონ ბერძნები მათ ასე ახასიათებდნენ: ეს კანონები არა მელნით, არამედ სისხლით არის დაწერილიო. მათში სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია ისეთი დანაშაულისთვისაც კი, როგორიცაა უქმად ყოფნა, ბოსტნეულისა და ხილის მოპარვა. განსაკუთრებით მკაცრია სასჯელი კერძო საკუთრების მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის: ქურდობის, ცეცხლის წაკიდების, მკვლელობისა და მსგავსი შემთხვევებისათვის.

მაგრამ ასეთი სიმკაცრისა და ტექნიკური შესრულების მხრივ დიდი ნაკლის მიუხედავად დრაკონის კანონებს მაინც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდათ. ჯერ ერთი ისაა საყურადღებო, რომ მისი ზოგიერთი მუხლი გარკვეულად სისხლის აღების წინააღმდეგ არის მიმართული. ამას გარდა მათი გამოქვეყნება მზარდი მონათმფლობელური პოლისის გვაროვნული წყობილების ელემენტებზე ერთგვარ გამარჯვებას მოასწავებდა.

რა თქმა უნდა, მოსახლეობის ფართო წრეების მძიმე მდგომარეობას ეს კანონები არსებითად ვერ გაუმჯობესებდა და მათი უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა, რაზეც საუბარი თავის ადგილას გვექნება.

- აქ კი დრაკონთან დაკავშირებით კიდევ ერთ საკითხზე უნდა შევჩერდეთ.

ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს „ათენის პოლიტიის“ IV თავი დრაკონს გვიხასიათებს არა მარტო როგორც კანონმდებელს, არამედ როგორც სახელმწიფო წყობილების რეფორმატორსაც. მის მიხედვით, დრაკონმა პოლიტიკური უფლებები მიანიჭა ყველა იმ მოქალაქეს, ვისაც შეეძლო თავის ხარჯზე შეიარაღება. მათი წრიდან ირჩევდნენ 401 საბჭოს წევრებს და სხვადასხვა თანამდებობის პირებს; საბჭოსა და სახალხო კრებაზე დაუსწრებლობისათვის დაწესებული ყოფილა ფულადი ჯარიმა: პენტაკოსიომედიმნებისათვის — 3 დრახმა, მხედრებისათვის — 2 და ძევგიტებისათვის — 1; უმაღლესი თანამდებობის პირების — სტრატეგოსების, ჰიპარქოსების, არქონტებისა და ხაზინადრების მიმართ შემოუღიათ დიდი ფულადი ცენზი და სხვ. ასეთი წყობილება უნდა დაემყარებინა არისტოტელეს ტრაქტატის IV თავის მიხედვით უკვე დრაკონს. ეს ფაქტი „ზოგის თვალში ჩვე-

ნი ახალი წყაროს ცნობათა შორის თავისებური მარგალიტია, ხოლო სხვებისათვის—სრული შეუსაბამობა"[112]. საწინააღმდეგო ცნობას გვაწვდის პლუტარქე. იგი დრაკონს იცნობს მხოლოდ როგორც სისხლის სამართლის კანონმდებელს, ხოლო ცენზის შემოღებასა და მოქალაქეების კლასებად დაყოფას გარკვევით მიაკუთვნებს სოლონს (Sol., XVII—XVIII).

იგივე არისტოტელე სხვა ადგილას აღნიშნავს: კანონმდებელთა შორის ზოგიერთი მხოლოდ კანონების ავტორი იყო, სხვები კი, მაგ., ლიკურგოსი და სოლონი, სახელმწიფოს მომწესრიგებელნი იყვნენ, რადგან მათ კანონებიც გამოსცეს და წესწყობილებაც მათთან შეფარდებით მოაგვარესო (Pol., II, 9, 1). უფრო მეტიც, არისტოტელე გარკვევით ამბობს: არსებობს დრაკონის კანონები. მაგრამ მან ისინი უკვე არსებული სახელმწიფო წესწყობილებისათვის გამოაქვეყნა და ორიგინალური, მოხსენების ღირსი მათში არა არის რა, გარდა სასჯელის სიდიდის სიმძიმისაო (ibid. II, 9, 9). როგორ უნდა შევათანხმოთ არისტოტელესა და პლუტარქეს ცნობები, ან თვით არისტოტელეს სხვადასხვა ნაშრომში გამოთქმული წინააღმდეგობა?

ამ საკითხის გარშემო მეცნიერებაში ორი გარკვეული ბანაკი ჩამოყალიბდა: ერთი არისტოტელეს ცნობას დრაკონის კონსტიტუციის შესახებ მთლიანად ან ნაწილობრივ იღებს, მეორე კი მას სრულებით უარყოფს და შეუსაბამობად თვლის[113].

პირველთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი კლასიკოსი ვ ი ლ ა მ ო ვ ი ც ი, რომლის აზრით, ატიკის ქრონიკამ სავსებით დაივიწყა დრაკონი და მისი კანონები სოლონს მიაწერა... არისტოტელემ შეავსო ეს ხარვეზი... ჩვენ ბადლობელი უნდა ვიყოთ არისტოტელესი, რომელმაც შემოგვინახა დრაკონის კონსტიტუცია და ამით შეასწორა დემოკრატიულად განწყობილი ქრონიკის შეცდომებიო[114].

მეორე მხრივ, შკვლევართა მთელი რიგი ედ. მ ა ა ბ ე რ ი ს[115] მეთაურობით არისტოტელეს ტრაქტატის IV თავს სრულებით შეუსაბამო ცნობად აღიარებს და ამტკიცებს, რომ იგი არისტოტელეს არ ეკუთვნის[116].

ჩვენი აზრით, ამ საკითხზე ყველაზე უფრო საფუძვლიანი მოსაზრებები წამოაყენეს აკად. ვლ. ბ უ ზ ე ს კ უ ლ მ ა[117] და ულ. ვ ი ლ კ ე ნ მ ა[118].

„ათენის პოლიტიის" შესახებ სადოქტორო დისერტაციაში აკად. ბუზესკული გადაჭრით გვიმტკიცებს, რომ — ა) ტრაქტატის IV თავში აღწერილი დრაკონის პოლიტია არის ანაქრონიზმი, ბ) გად-

მოღებულია იგი ოლიგარქიული წყაროდან და გ) ჩამატებულია გარეშე პირის მიერ.

„წილის ყრას, ქონებრივ კლასებს და სხვა ასეთს თავი რომ დავანებოთ, რომლის შესახებ კიდევ შესაძლებელია კამათი, სრულებით წარმოუდგენელია, რომ დრაკონის დროს, VII საუკუნის ოციან წლებში, სტრატეგოსები და ჰიპარქოსები არქონტებზე მაღლა მდგარიყვნენ... მათთვის კი უფრო მაღალი ცენზი იყო საჭირო, ვიდრე არქონტებისათვის... ეს უკვე ცხადი ანაქრონიზმია. V საუკუნემდე ათენის საერთო სახელმწიფო მართვა-გამგეობაში პირველი ადგილი არქონტებს ეკავათ, ხოლო ჯარების მთავარსარდლობა პოლემარქოსს ეკუთვნოდა. დრაკონის კონსტიტუციას მრავალი საერთო ხაზი აქვს V საუკუნის დასასრულის ოლიგარქიულ პროექტთან, იგი ამჟღავნებს იმ დროის ათენის ოლიგარქოსების წადილსა და იდეალებს, არ ეთანხმება წინა და მომდევნო ტექსტს და მიკერებულია, ასე ვთქვათ თეთრი ძაფით“.

ასე გადაჭრით უარყოფს ამ თავის არისტოტელეს ტრაქტატისადმი კუთვნილებას ვ ი ლ კ ე ნ ი ც, რომლის სიტყვითაც IV თავის ცნობა, რომ დრაკონმა კონსტიტუცია (πολιτεία) შექმნა, არაისტორიულია და გამომდინარეობს V საუკუნის დასასრულის ოლიგარქიული გაყალბებისაგან; რომელიღაც ინტერპოლატორმა ეს ცნობა IV თავს ჩაურთო.

საერთოდ, მთავარი საბუთები იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ დრაკონს არავითარი პოლიტია არ შეუქმნია და რომ ხსენებული ტრაქტატის IV თავი არისტოტელეს არ ეკუთვნის.

დაახლოებით იმავე ხანებში უნდა წარმოქმნილიყო ათენში ეგრეთ წოდებული ნ ა ვ კ რ ა რ ი ე ბ ი.

როდის იქნენ ისინი დაარსებული?

ამის შესახებ ძველადვე აზრთა სხვაობა არსებობდა. თუ ჰეროდოტე მთავარ როლს კილონის შეთქმულების ჩახშობაში ნავკრარიების პრიტანებს მიაწერს და, მაშასადამე მათი დაარსება სოლონის რეფორმებამდე აქვს წარმოდგენილი, თუკიდიდე სრულებით არ იხსენიებს ნავკრარიების პრიტანთა მონაწილეობას ამ შეთქმულების ჩაქრობაში. არის ისეთი მოსაზრებებიც, რომლებიც ნავკრარიების დაარსებას სოლონს მიაწერენ.

ანტიკური ცნობების ასეთი სხვადასხვაობის გამო შეუძლებელია ზუსტად გამოვარკვიოთ ნავკრარიების დაარსების დრო, მაგრამ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ისინი სოლონის მოღვაწეობის დასაწყისს წინ უსწრებდნენ. ჩვენთვის მთავარი ის არის, თუ რას წარ-

მოადგენდნენ ნავკრარიები და რა საერთო ფუნქციებს ასრულებდნენ. ათენის სინამდვილეში ნავკრარიები განასახიერებდნენ ტერიტორიული დანაწილების პირველ ჩანასახს. სულ ათენში 48 ნავკრარია არსებულა, ოთხი ძველი ფილეს შესაბამისად (თითოეულში — 12 ნავკრარია). თითოეული ნავკრარია ვალდებული იყო გაემზადებინა ათენის ფლოტისათვის ერთი ხომალდი და მერმინდელ დროს დამატებით კიდევ ორი მხედარი. ნავკრარიებს მეთაურობდნენ ნავკრარები, რომელთაგან თითოეული მისი ნავკრარიის მიერ გამზადებულ ხომალდს მეთაურობდა და, ალბათ, არქონ-პოლემარქოსს ექვემდებარებოდა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ასეთი ნავკრარიების დაარსება ათენში ვაჭრობისა და საზღვაო საქმის განვითარების დასაწყისთან იყო დაკავშირებული.

9. ათენის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა VII საუკუნის დასასრულს და სოლონის რეფორმები

VII საუკუნის დასასრულს ატიკის მოსახლეობა დიდ შინაურ მღელვარებას განიცდიდა. ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე ს თქმით (Ἀθ. πολ. II), სოლონის დროს მდიდრები და ღარიბები დიდხანს (πολὺν χρόνιον) მძლავრად ებრძოდნენ ერთიმეორეს; სახელმწიფო წყობილება მაშინ ყოველ მხრივ ოლიგარქიული იყო; მთელი მიწა უმცირესობას ეკუთვნოდა, ხოლო ღარიბები მდიდრების კაბალურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ როგორც თვითონ პირადად, ისე მათი შვილები და ცოლები; და ეწოდებოდათ მათ პელატები და ჰეტემორები, რადგან ასეთი საიჯარო ურთიერთობით ამუშავებდნენ მდიდრების მამულებს; ხოლო თუ არ გაიღებდნენ დაწესებულ საიჯარო გადასახადს, შეიძლებოდა მათი და მათი შვილების წაყვანა; სესხის აღება მაშინ, ვიდრე სოლონამდე, რომელიც პირველად გამოექომაგა ხალხს, წარმოებდა სხეულის დაწინდრებით. ამ საყურადღებო ცნობის მიხედვით დემოსი დაჩაგრული მოჩანს ეკონომიური კაბალით და სრული პოლიტიკური უუფლებობით. და, ვინაიდან პოლიტიკური წყობილება ოლიგარქიული ყოფილა და ხალხის უმრავლესობა გაბატონებული წრის კაბალაში ჩავარდნილა, დემოსი აღმდგარა მის წინააღმდეგ.

ხალხის ბედშავი მდგომარეობისა და უკმაყოფილების მსგავს სურათს იძლევა მეორე წყარო, პ ლ უ ტ ა რ ქ ე: „იმ დროს უთანასწორობამ ღარიბთა და მდიდართ შორის ისეთ მაღალ საფეხურს მიაღწია, რომ ქალაქი ფრიად დიდი განსაცდელის პირად აღმოჩნდა.

ასე ჩანდა, თითქოს ერთადერთი გამოსავალი, რომელიც ხალხს წონასწორობაში მოიყვანდა და ათენელობას მოსპობდა, ტირანია უნდა ყოფილიყო. მთელი უბრალო ხალხი მდიდრების ვალებში იყო ჩავარდნილი, ზოგნი მდიდრების მიწებს ამუშავებდნენ და მათ მოსავლის მეექვსედს აძლევდნენ. ასეთი მოვალენი ჰექტემორებად და თეტებად იწოდებოდნენ. სხვები კი სხეულის საწინდრით იღებდნენ მდიდრებისაგან სესხს, ისე რომ გამსესხებელ მევახშეებს შეეძლოთ ან თავისთვის დაეტოვებინათ მონად ისინი, ანდა უცხო ქვეყანაში გაეყიდათ. ბევრი მოვალე იძულებული იყო გაეყიდა საკუთარი შვილები (კანონით ეს აკრძალული არ იყო) და მევახშეთა სიმკაცრეს ქალაქიდან გაქცეოდა. მაგრამ უფრო გაბედულებმა გაერთიანება დაიწყეს და ერთმანეთს აქეზებდნენ: ასეთი მდგომარეობა კვლავ აღარ მოეთმინათ და ვინმე ერთგული კაცი მეთაურად აერჩიათ; მერე კი ვალის ვადაზე გადაუხდელობის გამო განსაცდელში ჩაცვენილი პირები დაეხსნათ, მიწები გადაენაწილებინათ (καὶ γῆν ἀναδάσασθαι) და მთლიანად შეეცვალათ სახელმწიფო წესწყობილება" (Sol., XIII)[119].

ამგვარად, ამ წყაროების ზოგადად შეთანხმებული ცნობების მიხედვით ატიკის ეკონომიური განვითარების, განსაკუთრებით ფულადი მეურნეობის დამყარების შედეგად ათენის მცხოვრებლების უმრავლესობა კაბალურ მდგომარეობაში ჩავარდნილა და მღელვარედ ოცნებობს სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებზე.

ასეთი ცნობა საერთოდ მტკიცდება იმ დროის ამბების მონაწილის, თანადამხდურისა და მთავარი მოღვაწის ს ო ლ ო ნ ი ს მოწმობითაც. მისი ელეგიების დაცული ფრაგმენტები[120] თვალწინ გვიშლის ხალხის გაჭირვებისა და უკმაყოფილების ისეთსავე სურათს, როგორსაც არისტოტელე და პლუტარქე. სოლონი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ მის გულში იბუდებდა განუზომელი სევდა, როდესაც უცქერდა იონიის ძველ მიწა-წყალს, რომელსაც აწამებდა შინაური უთანხმოება... აშინებდა ზოგის შეუჩერებელი მიდრეკილება ფულისადმი, სხვების კი წრეგადასული ზვიადობა; არავინ ჯერდება იმას, რაც აქვს, და არაფერს არ შეუძლია მათი დაკმაყოფილება; ხალხის მეთაურობისათვის ცოტაა მათი ქონება, თავის მოქმედებაში ისინი სიმართლეს არ დაეძებენ, ვერ ლაგმავენ გაუმაძღრობას ფულითა და ძვირფასი ნივთებით. ამიტომაც მათ მალე მოუხდებათ პასუხი აგონ თავისი საქციელისათვისო... თქვენ, ეუბნება იგი მდიდრებს, გეყოფათ ცხოვრების სიკეთით დატკბობა, საზღვარი დაუდეთ თქვენ ზვიადობას, მოათვინიერეთ თქვენი გული და უფრო მარ-

ტივი იყავით თქვენს სურვილებში, თორემ ხალხის რისხვა არ აგცდებათო.

სოლონი სავსებით ადასტურებს ვალებში ჩავარდნილი პირების კაბალურ მდგომარეობას, დედამიწის დამონებას — მასზე სავალო ქვის სვეტების (horoi) აღმართვით. რას წარმოადგენდა ეს horoi?

ბერძნულ ენაში სიტყვა horois მრავალმნიშვნელოვანია, მხოლოდ ათენში მოიპოვა მან მიწის ნაკვეთის დაგირავების ზედწერის შემცველი ქვის მნიშვნელობა. ცნობილია, რომ horoi პირველად მოხსენებული აქვს სოლონის დროისათვის არისტოტელეს (Ἀθ. πολ., 12, 4). მაგრამ სამწუხაროდ ამ დროის horoi-დან ჩვენამდე არც ერთს არ მოუღწევია.

მოხსენებული წყაროების მიხედვით, გარკვეული სურათი გვეშლება თვალწინ ატიკის მოსახლეობის დიდი ნაწილის დავალიანებისა, ამასთან ერთად პოლიტიკური უუფლებობის, აგრეთვე დემოსის ძლიერი მღელვარებისა და ამ მხრივ გამწვავებული მდგომარეობის შესახებ.

მაგრამ წყაროების ცნობაში ბევრი რამ გაურკვეველი და სადავოა. რასაც ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ და ცალკე ნარკვევი მიეუძღვენით („სოციალური რეფორმა ძველ საბერძნეთში. სოლონის სეისახთეია"). ამიტომ ყოველივე ამას აქ მხოლოდ გაკვრით შევეხებით.

ვალებით დატვირთული ხალხი, არისტოტელეს მოწმობით, შედგებოდა დამოკიდებულთა მხოლოდ ერთი კატეგორიისაგან — პელატებისა და ჰექტემორებისაგან. რომლებიც ვალების გადაუხდელობის გამო, უშუალოდ გადადიან კაბალაში. პლუტარქე, პირიქით, ჯერ აღნიშნავს ჰექტემორებს, რომლებიც სამეექვსედოდ ამუშავებდნენ მიწებს, და თეტებს. შემდეგ კი იმ კატეგორიის ხალხს, რომელიც საკუთარი „სხეულის" დაწიდრებით იღებდა სესხს. და, რაკი მას თავის დროზე ვეღარ იხდიდა, ვარდებოდა კაბალურ მდგომარეობაში. უნდა გარკვევით აღინიშნოს, რომ პლუტარქეს ცნობა უფრო სრული და დამარწმუნებელია. ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დავალიანებული დემოსის მდგომარეობაში არსებობდა სამი საფეხური: ა) ჰექტემორები და პელატები (არისტოტელე), თუ ჰექტემორები და თეტები, რომლებიც პირადად თავისუფალი იყვნენ, მაგრამ ეკონომიურად დამოკიდებული; ბ) ვალში „სხეულის" დამწინდრებელნი და, დასასრულ გ) ვალის გადაუხდელობის გამო კრედიტორების კაბალაში მყოფნი.

ცხადია. ატიკელ გლეხს ხშირად უხდებოდა მდიდარი მეზობლებისაგან სესხის აღება ნატურით თუ ფულით და ამ მიზნით თავისი

მიწის დაგირავება. ასეთი რამ კი ატიკაში აკრძალული არ ყოფილა; თუ იგი ვერ შეძლებდა ვალის გადახდას. მისი მიწა ფაქტიურად კრედიტორის ხელში გადადიოდა; შემდეგ კი აუცილებელი საჭიროების დროს, იგი ახალ სესხს იღებდა „სხეულის“ დაწინდრებით და მისი გადაუხდელობის შემთხვევაში იძულებული იყო შერიგებოდა კაბალას, ან საზღვარგარეთ იყიდებოდა მონად.

მიუხედავად ამისა, დაგირავებული მიწა იურიდიულად ისევ გლეხის საკუთრებად ითვლებოდა; მასზე აღმართული ყოფილა სავალო ნიშნები, რაც, ალბათ, მოასწავებდა რომ იგი კრედიტორების სრულ საკუთრებაში კი არ გადასულა, არამედ კვლავ დაწინდრებულად ითვლებოდა.

ჩვენთვის გარკვეული არ არის, თუ მოსავლის რომელ ნაწილს იხდიდნენ ჰექტემორები. პლუტარქე გარკვეულად გვეუბნება, რომ ისინი მემამულეს მოსავლის 1/6-ს აძლევდნენ, არისტოტელეს ცნობა კი ბუნდოვანია.

ასეთი საიჯარო ურთიერთობით ამუშავებდნენ მდიდრების მამულსო (*κατά ταύτην γάρ τήν μίσθωσιν ἠργάζοντο τῶν πλουσίων τούς ἀγρούς*). მაგრამ როგორი იყო ეს საიჯარო ურთიერთობა, არ ვიცით, ამავე დროს ლექსიკოგრაფოსები გარკვეულად აღნიშნავენ, ჰექტემორები მოსავლის 5/6 იხდიდნენო. ჩვენი წყაროების ცნობათა ასეთი შეუთანხმებლობის გამო ეს საკითხი დღემდე გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება[121]. ხოლო როგორ მოხდა, რომ ამ ეპოქისაგან პლუტარქეზე და მით უმეტეს ლექსიკოგრაფოსებზე გაცილებით უფრო ადრე მცხოვრებმა არისტოტელემ ასეთი გაურკვეველი ცნობა დაგვიტოვა ამ სოციალურ ინსტიტუტზე? ამის შესახებ „სოლონის სეისახთეიაში“ ჩვენ უკვე გამოვთქვით ის მოსაზრება, რომ „შესაძლებელია, არისტოტელეს დროს ტერმინი ჰექტემორები შენარჩუნებული იყო, ხოლო მასზე ნათელი წარმოდგენა დროთა ვითარებაში უკვე დავიწყებული“... (გვ. 20). უკანასკნელ დროს ასეთივე განმარტება მოგვცა ულ. ვ ი ლ კ ე ნ მ ა[123].

როგორც ჩანს, თავისი მდგომარეობით ფრიად უკმაყოფილო ხალხის დაბალ ფენებს მხარს უჭერდა ატიკის მცხოვრებთა ის ნაწილი, რომელიც ხელოსნობასა და ვაჭრობას მისდევდა და რომელსაც ღრმად სძულდა ძველი ტიპის წარჩინებულნი და მათი პოლიტიკური ბატონობა.

ამგვარად, VI საუკუნის დასაწყისში ათენის წოდებათა შორის მტრულმა დამოკიდებულებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია; დაჩაგრული ხალხის მოთხოვნილებები ძლიერ შორს მიდიოდა. „ამ შემთხ-

ვევაში ჩვენ პირველად ვხვდებით მოთხოვნილებას — მიწა ხალხს, როგორც გაღატაკებულთა ლოზუნგს". გაჭირვებისა და დაჩაგვრის გრძნობას ემატებოდა ახლა „ის საერთო შეხედულება, რომელიც მაცდურად უხატავდა დაჩაგრულთა თვალებს ბრწყინვალე ფანტაზიებს საყოველთაო წარმატებისას და ნერგავდა მათ სულში ოცნებას, თითქოს საჭიროა მაოლოდ ენერგიული ჩარევა და კადნიერი გამბედაობა, რომ ეს ახალი და საუკეთესო სამყარო სინამდვილედ იქცეს"[122]. ზოგიერთი საზღვარგარეთელი მკვლევარის ასეთ გადაჭარბებულ მოდერნისტულ მოსაზრებებს თავი რომ დავანებოთ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იმ დროს ათენში საზოგადოებრივი ურთიერთობა ფრიად გამწვავებული. და აი, როდესაც საზოგადოებრივი შესლა-შემოხლა უკიდურეს წერტილს აღწევს, და სახელმწიფოს უდიდესი კრიზისისაგან გადარჩენა, თითქოს, მხოლოდ ტირანიას შეეძლო, ორივე მებრძოლი ჯგუფი 594 წელს შეთანხმებით ირჩევს სოლონს არქონტად და ანიჭებს მას, როგორც „შუამავალს" (διαλλακτής) განსაკუთრებულ დიქტატორულ უფლებებს, რომ კონსტიტუციის (πολιτεία) და კანონების (θεσμοί) შეცვლით მოსპოს სახელმწიფოში გაბატონებული მძიმე მდგომარეობა. სოლონი, მართალია, ერთი მხრივ, ძველ წარჩინებულ გვარს ენათესავებოდა, მაგრამ მეორე მხრივ, როგორც დიდი ვაჭარი საზოგადოების უფრო საშუალო წრეებს უახლოვდებოდა და თავის სახელმწიფო მოღვაწეობაშიც საშუალო ხაზს ატარებდა. სოლონის ამაღლებას ტრადიცია სალამინის გამო ათენის მეგარასთან ომს უკავშირებს. ეს ომი მეტად ხანგრძლივი და დამქანცველი აღმოჩნდა. ათენელებმა სიკვდილით დასჯის შიშითაც კი აკრძალეს სალამინისათვის ომის განახლების საკითხის აღძვრა. აღშფოთებულმა სოლონმა თავი მოიგიჟიანა, გამოვიდა მოედანზე და თავისი პატრიოტული ლექსით — „სალამინი" გამოიწვია ომის განახლება, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა და რომელიც ათენის სასარგებლოდ დამთავრდა. ათენში შექმნილ ფრიად გამწვავებულ მდგომარეობაში სოლონი იქნა არჩეული ორივე მებრძოლი მხარის თანხმობით[123].

უწინარეს ყოვლისა, მან ყურადღება მიაქცია სასტიკ სავალო კანონებს და კაბალურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ხალხის მასას და სამუდამოდ აკრძალა სესხის აღება სხეულის დაწინდრებით (δανείζειν ἐπὶ τοῖς σώμασιν), მოახდინა ვალების სრული გაუქმება (χρεῶν ἀποκοπή). გაათავისუფლა ატიკაში კაბალურ პირობებში მყოფი პირები, ახსნა დედამიწას დაწინდრების სამარცხვინო ნიშნები და დაბრუნა სამშობლოში უცხოეთში „გაყიდული, თუ ვალების გამო

გაქცეული ათენელები. რომელთაც სხვა ქვეყნებში ხანგრძლივი ხეტიალის გამო უკვე დავიწყებოდათ ატიკური ენა". სოლონის ასეთ აქტს სეისახთეია (σεισάχθεια — ტვირთის მოხსნა) უწოდეს [124]. ამ ფაქტის გათვალისწინების დროს ჩვენს ყურადღებას იქცევს ის საკითხი, თუ როგორ და რა საშუალებით გამოისყიდა სოლონმა უცხოეთში გაყიდული ათენელები. ვალების გაუქმებით, ცხადია, მან ათენში დაბრუნების საშუალება მისცა უცხოეთში გ ა ქ ც ე უ ლ ათენელებს, მაგრამ გ ა ყ ი დ უ ლ ე ბ ი ს მიმართ ასეთი ზომა უძლური იქნებოდა.

ამიტომ უკვე დასახელებულ სპეციალურ ნარკვევში ჩვენ გამოვთქვით და დღესაც ვიცავთ იმ მოსაზრებას, რომ მათი გამოსყიდვა მოხდა, ალბათ, თვით მათი საზღვარგარეთ გამყიდველი პირების ხარჯზე (გვ. 150). ასეთი რამ სრულებით არ ეწინააღმდეგება იმ დროის პირობებს. ჩვენ ვიცით, მაგ., რომ მეგარაში VI საუკუნეში არამცთუ გააუქმეს ვალები, არამედ კრედიტორები აიძულეს უკან დაებრუნებინათ მოვალეებისაგან მიღებული პროცენტები (Plut. Quaest. Graec. 18). საფიქრებელია, რომ სოლონმაც დააკისრა ასეთ პირებს შეუძლო მოვალეების უცხოეთში გაყიდვისაგან აღებული თანხებით უკანვე გამოესყიდნათ ისინი. ყოველ შემთხვევაში სხვაგვარი ახსნა ამ საკითხს სრულებით ვერ არკვევს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სეისახთეიის შესახებ ძველადვე სხვაგვარი აზრიც არსებობდა[125]. პლუტარქე (Sol. XV) გადმოგვცემს: „ზოგიერთები, მათ შორის ანდროტიონიც, წერენ, რომ სოლონმა ღარიბები დააკმაყოფილა... არა ვალების სრული გაუქმებით (οὐκ ἀποκοπῇ χρεῶν), არამედ ვახშის შემცირებით" და ამას გარდა ზომა-წონის შეცვლით და ფულის ფასის აწევითო. ასეთი ცნობა თანამედროვე ისტორიკოსთა ნაწილმაც სავსებით გაიზიარა და უკანასკნელ დროს. არისტოტელეს ტრაქტატის აღმოჩენის შემდეგაც კი, ზოგიერთი მკვლევარი კვლავ სკეპტიკურად უყურებს ვალების სრული გაუქმების საკითხს. ასე იქცევა, მაგ., იტალიელი ისტორიკოსი ე ტ ო რ ე ჩ ი კ ო ტ ი (Ettore Ciccotti) 1923 წელს გამოცემულ „საბერძნეთის ისტორიაში"[126]. მაგრამ ყოველგვარი სკეპტიციზმი ამ საკითხში, მიუხედავად ანდროტიონის მოსაზრებისა, საფუძვლიანად ვერ ჩაითვლება. შემთხვევით არ ამბობს პლუტარქე, რომ მწერალთა უმრავლესობისათვის სეისახთეია ვალების სრული გაუქმება იყოო.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ სეისახთეია მდგომარეობდა ყველა ვალის გაუქმებაში, რომლის მეოხებითაც კაბალურ პირობებში მყოფმა ადამიანებმა თავისუფლება მოიპოვეს და უცხოეთში გაქცე-

ული პირები სამშობლოს კერას დაუბრუნდნენ, დედამიწას აეხსნა მონობის სამარცხვინო ნიშნები (ὅροι,), ხოლო საზღვარგარეთ მონებად გაყიდული ათენელები კრედიტორების ხარჯზე იქნენ გამოსყიდული და ატიკაში დაბრუნებული (ალ. წერეთელი, „სოლონის სეისახთეია", გვ. 166—167).

რაც შეეხება ფულისა და ზომა-წონის სისტემის შეცვლას, მას არსებითად კავშირი არა აქვს სეისახთეიასთან. ამ მხრივ სოლონმა ეგინის სისტემა ევბეის სისტემით შეცვალა და ეს ჩაიდინა ათენის ვაჭრობის ინტერესების მიხედვით, რადგან ეს უკანასკნელი უფრო ხელსაყრელი იყო მისი განვითარებისათვის. ეგინის სისტემა გაბატონებული იყო ეგინასა და მეგარაში, რომლებიც დიდი ხნიდან ექიშპებოდნენ ათენს, და საერთოდ საბერძნეთის უმეტეს ნაწილში. ახლა კი ათენი განთავისუფლდა საბერძნეთის სავაჭრო ქალაქების ფინანსური დამოკიდებულებისაგან და სამაგიეროდ უფრო ფართოდ გაიკაფა გზა აღმოსავლეთის სავაჭრო ქალაქებისაკენ.

სეისახთეიასთან დაკავშირებით უნდა მოვიხსენიოთ სოლონის მიერ მიწისმფლობელობის მაქსიმუმის დაწესება (ამას აღნიშნავს რომაელი ისტორიკოსი გაიუსი—Digesta I, 1, 13) და ზედმეტი ნაწილის კონფისკაცია, ალბათ, იმ მიზნით, რომ წვრილი მესაკუთრეები დაეცვა შეძლებული პირების მიერ მათი მამულების შესყიდვისაგან და საერთოდ ხელი შეეშალა მიწის საკუთრების რამდენიმე ადამიანის ხელში კონცენტრაციისათვის[127]. როგორც ჩანს, არც ეს ზომა ყოფილა იმ დროის საბერძნეთისათვის მაინცდამაინც უცნობი. არისტოტელეს სიტყვით (Pol. II, 4), ასეთ ცდას ადგილი ჰქონდა არა მარტო ატიკაში, არამედ საბერძნეთის სხვა ადგილებშიც. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, როგორი იყო ეს მაქსიმუმი, ან რა დანიშნულება მიეცა ზედმეტ და კონფისკაციაქმნილ მიწებს.

სამაგიეროდ, სოლონმა გადაჭრით უარყო რადიკალური ელემენტების მოთხოვნილება მიწების ახალი დანაწილების შესახებ (ἀναδασμὸς γῆς).

ხალხის მოთხოვნილებები პოლიტიკურ დარგში კი სოლონმა მოქალაქეთა ტიმოკრატიული პრინციპების მიხედვით დააკმაყოფილა: დროთა ვითარებაში წარმოშობილი ქონებრივი ჯგუფები მან შემოსავლის მიხედვით 4 კლასად გაყო. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, როგორც ეს წინათ ზოგიერთ მკლევარს გულუბრყვილოდ წარმოედგინა, რომ სოლონმა შექმნა ათენში სოციალური კლასები. მან არსებითად მხოლოდ გარეგნული იურიდიული აღრიცხვა მოახდინა იმისა, რაც წინა ისტორიული პროცესის შედეგი იყო, და ამას

დაუკავშირა პოლიტიკური უფლებების განსაზღვრა. პირველ კლასს მიაკუთვნა ის პირები, ვისაც წლიურად 500 მედიმნი პური, ანუ 500 საწყავი ზეთის ხილი თუ ღვინო მოსდიოდა საკუთარ მამულში; მათ ეწოდებოდა „ხუთას მედიმნიანები“ (πεντακοσιομέδιμνοι); მეორეს — 300 მედიმნი — „მხედრები“ (ἵππεις); მესამეს — 150, შემდეგში 200 მედიმნი — „ძეგეტები“ (ჰოპლიტების სამხედრო ტერმინი); ატიკის დანარჩენი მოსახლეობა წარმოადგენდა თეტებს (θῆτες). ამ კლასების გათვალისწინების დროს უწინარეს ყოვლისა ჩვენს ყურადღებას იპყრობს საკითხი იმის შესახებ, ქონების მიხედვით დანაწილებას საფუძვლად ედო მარტო მიწის პროდუქტები, თუ კიდევ სხვა რაიმე შემოსავალი. არსებითად ეს იმას ნიშნავს, თუ რომელ კლასს მიეკუთვნებოდა ატიკის მოქალაქეთა ისეთი ჯგუფი, რომელიც უმთავრესად ვაჭრობა-წარმოებას მისდევდა. დღემდე გაბატონებული იყო ის აზრი, რომ კლასებად დანაწილებას საფუძვლად ედო მხოლოდ მიწის ცენზი. მაგრამ უკანასკნელ დროს ულ. ვ ი ლ კ ე ნ მ ა სრულებით დამარწმუნებლად დაამტკიცა, რომ მხედველობაში იღებდნენ აგრეთვე საქონელს და შემოსავალს ფულით, რაც ასეთი შეფარდებით იყო წარმოდგენილი: 1 მედიმნი = 1 ცხვარს = 1 დრახმას[128]. ამგვარად, არა ჩამომავლობა, ადამედ ამ ქონებრივი კლასებისადმი კუთვნილება განსაზღვრავდა უკვე ამა თუ იმ მოქალაქის პოლიტიკურ უფლებებს და მოვალეობას. ამასთან ვინაიდან მეომრები ვალდებული იყვნენ საკუთარ ხარჯზე შეიარაღებულიყვნენ, ნამდვილი პრივილეგიებით სარგებლობდა პირველი სამი კლასი, რომელთაგან პირველი და მეორე ცხენოსნებად, მესამე ჰოპლიტებად მსახურობდა, ხოლო მეოთხე სულ დიდი — მსუბუქშეიარაღებულებად ან მეზღვაურებად. გარდა სამხედრო სამსახურისა, კლასების მიხედვით დანაწილებული იყო აგრეთვე მოქალაქეთა სხვა მოვალეობანიც. პირდაპირი გადასახადებისაგან მოქალაქეები თავისუფალი იყვნენ, რადგან ისინი საბერძნეთში, ისე როგორც რომში, თავისუფალი მოქალაქეების მიმართ უღირს ზომად ითვლებოდა, რის საწინააღმდეგოს ვხედავთ ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში. განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მოქალაქეები სახელმწიფოს სასარგებლოდ იხდიდნენ ქონების მიხედვით არაჩვეულებრივ გადასახადებს (εἰσφοραί). ქონებრივი ცენზის შემოღებით სოლონმა ეგრეთ წოდებული ტიმოკრატიული წყობილება დაამყარა, რომელშიც წარმოშობის პრივილეგია — გ ე ნ ნ ე კ რ ა ტ ი ა ქონებრივი და საზოგადოებრივი სამსახურის პრივილეგიით—ტ ი მ ო კ რ ა ტ ი ი თ შეცვალა.

ეს კლასები აგრეთვე განსხვავებული პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდნენ. სახელმწიფო მოხელეების ადგილის დაკავება შე-

ეძლოთ მარტო პირველი სამი კლასის მოქალაქეთ, არქონტებსა და ხაზინადრებს (ταμίαι) კი ირჩევდნენ მხოლოდ პირველი კლასიდან სამაგიეროდ ყველა მოქალაქე. მათ შორის თეტებიც მონაწილეობას იღებდნენ სახალხო კრებაში, ეკლესიაში, რომელიც ხელისუფლების უმაღლესი ორგანო იყო და რომელიც თანამდებობის პირთ ირჩევდა. მათ შორის არქონტებსაც. რომელთაც წინათ არეოპაგი ასახელებდა; ამასთან ერთად სოლონამდე თითოეული არქონტი ცალკე ინიშნავდა თავის ქვემდებარე საქმეებს, ეხლა კი დაწესდა მათი კოლეგია.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმას, რომ თეტებს უფლება მიენიჭათ სოლონის მიერ დაარსებულ სახალხო სასამართლოში (ჰელიეაში) მონაწილეობის მიღებისა, მით უმეტეს, რომ სოლონმა დაწესა სახელმწიფო მოხელეთა გადაწყვეტილებაზე აპელაციის (ἔφεσις) გადატანა სასალხო სასამართლოში, რომლის დადგენილება უკვე უაპელაციო იყო. ამრიგად, ჰელიეა ათენის უმაღლესი სასამართლო იყო. არეოპაგის გვერდით. რომელიც თავისი დიდი პოლიტიკური უფლებებით ათენის სახელმწიფოში კონსერვატორულ ელემენტს წარმოადგენდა. სოლონმა შექმნა 400-ის საბჭო, რომლის ორგანიზაციის წარმოშობის შესახებ, სამწუხაროდ, დანამდვილებით არა ვიცით რა. ისეთი აზრიც კი არსებობს, რომ 400-ის საბჭო და სახალხო სასამართლო უკვე სოლონამდე არსებობდა[29]. არსებობს ცნობა, რომ ოთხასის საბჭოს ირჩევდნენ გვაროვნულ ფილეებში, თითოეულ ფილეზე — ას კაცს. იმ საკითხების შემზადება, რომლებიც ეკლესიას უნდა მოხსენებოდა, ოთხასის საბჭოს ეკისრებოდა. საერთოდ. შემდგომ საუკუნეებში იცნობდნენ სოლონის მხოლოდ კანონებს (θέσμοι) და ლექსებს და ერთი მთლიანი წყარო მისი რეფორმების შესახებ არ დარჩენილა. ამიტომაც წარმოიშვა მრავალი საეჭვო და სადავო საკითხი მისი კონსტიტუციის გათვალისწინების საქმეში. მოსახლეობის ქონებრივ კლასებად დაყოფასთან ერთად შემონახული ყოფილა ძირითადი დანაწილებაც ოთხ ფილედ. თითოეულში 3 ტრიტიით და 12 ნავკრარიით.

როგორც სამეურნეო და სოციალურ დარგში, ისე პოლიტიკურ რეფორმებშიც სოლონი საშუალო ხაზს ატარებდა.

ძველი ისტორიკოსების მიხედვით სოლონმა მიიღო კანონმდებლობითი ზომა ქონების განკარგულების თავისუფლების შესახებ. პლუტარქეს სიტყვით (Sol. XXI). ძველად სოლონამდე ანდერძით ქონების დატოვება არ შეიძლებოდა და მთელი ქონება მიცვალებულისა მის გვარს უნდა დარჩენოდა; სოლონმა კი ნება მისცა

უ"ბვილო პირებს. ვისთვისაც სურდათ. იმისთვის ეანდერძებიათ თავისი ქონება... როგორც პლუტარქეს და არისტოტელეს ('Αθ. πολ. XXXV, 2) ცნობებიდან ჩანს, ამ კანონს შემდეგი დამატება ჰქონია: თუ ისინი არ არიან არანორმალურ მდგომარეობაში. ან ღრმა მოხუცნი. ან არ იმყოფებიან ქალის გავლენის ქვეშ. მართალია. სოლონმა ქონების განკარგულებაში ერთგვარი თავისუფლება და მისი ანდერძით გვარის გარეშე დატოვება დააწესა. მაგრამ სრული კერძო საკუთრება არ დაუმყარებია: თემისა და სახელმწიფოპოლისის უმაღლესი უფლება მაინც ძალაში დარჩა.

დრაკონის კანონებიდან სოლონმა ძალაში დატოვა ნაწილობრივად მხოლოდ ის კანონები, რომლებიც მკვლელობას შეეხებოდა, და არსებითად შეცვალა სახელმწიფო სამართალი.

ამ მხრივ საყურადღებოა სოლონის ის კანონი, რომელიც ყველა მოქალაქეს უფლებას ანიჭებდა გამოქომაგებოდა მეორე მოქალაქეს უკანონო შევიწროებისა და შეურაცხყოფის შემთხვევაში.

პლუტარქეს სიტყვით. სოლონმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ხელოსნობას და გამოსცა კანონი. რომლის ძალითაც შვილი არ იყო ვალდებული ერჩინა მამა თუ იგი მას რაიმე ხელობას არ შეასწავლიდა (Sol. XXII).

საერთოდ აღსანიშნავია სოლონის ზომები ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარების საქმეში. სოლონის დროს ათენში უკვე არსებობდა სხვადასხვა სპეციალობის ოსტატებით დასახლებული უბნები. ომის შემდგომ არქეოლოგიური გათხრების ერთი შესამჩნევი შედეგი იყო ათენის ხელოსანთა რაიონის გამოკვლევა. აღმოსავლეთით ის არეოპაგს ეკვროდა, დასავლეთით პნიქსს. ამ რაიონის გათხრებმა საშუალება მოგვცეს ხელოსნობის ამა თუ იმ დარგის სხვადასხვა პერიოდში განვითარების გათვალისწინებისა. რაზედაც საუბარი სხვა ადგილას გვექნება. როგორც ვთქვით. ხელოსნობის გაფართოების მიზნით სოლონმა გამოსცა კანონი. რომლის მიხედვით ყოველი მოქალაქე, თუ მას არსებობის სხვა საშსარი არ გააჩნდა, ვალდებული იყო თავისი შვილებისათვის ესწავლებინა რაიმე ხელობა. წინაღმდეგ შემთხვევაში მას უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა მათგან რჩენა მოხუცებულობისა და დაუძლურების ჟამს. ათენში იმ დროს მრავლად ცხოვრობდნენ ხელოსნები — ნაწილობრივ მეტეკები, რომლებიც მოქალაქეობრივი უფლებებით არ სარგებლობდნენ. სოლონმა ბევრი მათგანი შეუერთა ათენელ ხელოსნებს და მათ ათენის მოქალაქეობრივი უფლება მიანიჭა. არსებობს აგრეთვე ცნობა, რომ სოლონმა გამოაქვეყნა კანონი საეაჭრო კომპანიების შესახებ. ვინაიდან ატიკა ნაკლებად მოსავლიანი მხარე იყო, სოლონმა აკრძალა პუ-

რის და საერთოდ სანოვაგის გატანა მისი საზღვრებიდან. ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა ზეთის ხილზე. სოლონის მიერ შემოღებული მმართველობის სისტემაში შედიოდა სახალხო კრება, ოთხასის საბჭო და თანამდებობის პირები, არისტოტელეს სიტყვით, არქონტები, პოლეტები, რომლებიც მერმინდელ დროს სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემას ხელმძღვანელობდნენ, კოლაკრეტები — საფინანსო მოხელეები და სატუსაღოს 11 ზემდგომის კოლეგია. ნავკრარებს კი ძველი ფუნქციები დარჩათ.

სოლონის კანონები (რომელთაც პირველად θεσμοί, შემდგომში კი νόμοι ეწოდებოდა) საჯაროდ იყო გამოქვეყნებული ქვის სვეტებზე (κύρβις) და ხის ფიცრებზე[13]. სოლონის კანონებმა დიდი გავლენა მოახდინა არა მარტო საბერძნეთის სახელმწიფოებზე; მათი გავლენის კვალს ვამჩნევთ რომაელების XII დაფის კანონებში და აგრეთვე ელინისტური ქალაქების, მაგ., ალექსანდრიის, კანონმდებლობაში.

თავის ელეგიებში სოლონი ღრმა რწმენით აცხადებს, რომ მისი რეფორმები ყველას დააკმაყოფილებს, რომ მან გააკეთა საშვილიშვილო საქმე, რომელსაც ათენელები ვერ დაივიწყებენ, რომ გარდა დავალიანებული ადამიანებისა და დედამიწის განთავისუფლებისა, თანასწორი კანონები მისცა როგორც წარჩინებულთ, ისე უბრალო ხალხს, შექმნა ჩქარი და ყველასათვის სამართლიანი სასამართლო და გადაუჭარბებლად ხალხს ისეთი უფლებები მიანიჭა, რომლებიც მას შეეფერებოდა... მაგრამ თვითონვე აღიარებს, რომ მაინც ვერ შეძლო მოპირდაპირე მხარეების დაკმაყოფილება. მართლაც, როგორც დავინახავთ, სოლონის რეფორმებს თან არ მოჰყოლია მებრძოლი მხარეების დამშვიდება და მღელვარება კვლავ გრძელდებოდა.

მას შემდგომ, რაც სოლონმა თავისი კანონები გაატარა, იგი ათენიდან სამოგზაუროდ წავიდა.

10. ტირანია ათენში

მართალია. სეისახთეიამ მოსპო დავალიანების გამო მონობა, აკრძალა „სხეულის“ დაწინდრება და მიწები გაათავისუფლა ჰიპოთეკური ნიშნებისაგან, მაგრამ, ცხადია, არსებითად იგი არ შეხებია ძირითად პირობებს, რომლებიც გლეხობის დავალიანებას ქმნიდა, და, მაშასადამე, ეს პროცესი უკვე კაბალის გარეშე მომავალშიც გრძელდებოდა. ამას გარდა, გლეხობის რადიკალური ნაწილი გარკვევით მოითხოვდა მიწების ახალ დანაწილებას და სრულ პოლიტიკურ თანასწორობას, ეს კი სოლონმა გადაჭრით უარყო. ამიტომ გლეხობის

დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო მისი რეფორმის ზომიერებითა და ნახევრიანობით.

მეორე მხრივ, არც ვაჭრობა-წარმოებით გამდიდრებული წრეები დააკმაყოფილა ახალმა პოლიტიკურმა წყობილებამ, ვინაიდან მათი აზრით ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობა, დიდი უფლებები და პრივილეგიები შერჩა ძველ გვაროვნულ არისტოკრატიას.

ცხადია, უაღრესად უკმაყოფილო იქნებოდა საზოგადოების ის ნაწილიც, რომელმაც სეისახთეიის განხორციელების გამო, თუ მთელი ქონება არა, მისი თვალსაჩინო ნაწილი მაინც დაკარგა. არისტოტელეს ტრაქტატიდან ნათლად ჩანს, რომ მდიდრების უკმაყოფილების მიზეზი უმთავრესად ვალების გაუქმებით იყო გამოწვეული (Ἀθ. πολ. XIII, 5). ასეთი საერთო დაუკმაყოფილებლობისა და იმედის ერთგვარი გაცრუების გამო ატიკა კვლავ გადაიქცა ძლიერი შინაური მღელვარების ასპარეზად. ეს ბრძოლა იმდენად დიდი ყოფილა, რომ არისტოტელეს სიტყვით, 589 და 584 წლებში შეუძლებელი გამხდარა არქონტების არჩევა (ἀναρχία), ხოლო 583/2 წელს არქონტად არჩეულმა დამასიასმა მოინდომა უმაღლესი ხელისუფლების მითვისება და არა თუ ხელი არ აიღო თავის რწმუნებულებაზე წლის დამთავრების შემდეგ, არამედ უზურპაციის გზით ორი წელი და ორი თვე შეინარჩუნა თავისი თანამდებობა.

შეიძლება მართალიც იყო ამ მხრივ პროფ. ს. ლურიეს მოსაზრება, თითქოს დამასიასი არისტოკრატიის მეთაური იყო და მიზნად ჰქონდა დასახული სრული და ძირითადი რესტავრაციის გატარება. მაგრამ ამის დამადასტურებელი ცნობა არ მოგვეპოვება, და, პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ დამასიასი ტირანობის მითვისებას ცდილობდა. დამასიასის გაძევების შემდეგ მებრძოლ ჯგუფებს შორის შეთანხმება მომხდარა არქონტების არჩევისა და მათი ადგილების განაწილების საკითხში. არქონტების რიცხვი 10-მდე გადიდდა; ზოგიერთი ისტორიკოსი კი ფიქრობს, რომ ნაცვლად არქონტიეპონიმისა აირჩიეს განსაკუთრებული კომისია 10 წევრისაგან. ყოველ შემთხვევაში ამ ათი ადგილიდან, ხუთი უბრალო ხალხს მიეცა: სამი გლეხებს და ორი დემიურგებს.

ამ დროს ატიკაში ჩამოყალიბებული იყო სამი ძირითადი პოლიტიკური ჯგუფი: ა) პარალიები (παράλιοι) — ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებნი, რომლებიც მეზღვაურობას, ხელოსნობასა და ვაჭრობა-წარმოებას მისდევდნენ, ბ) პედიაკები (πεδιακοί) — ბარში მცხოვრები მემამულე არისტოკრატია—ევპატრიდები, გ) დიაკრიები (διάκριοι) — ატიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ მთიან მხა-

რეში მობინადრე წვრილი გლეხობა, რომელიც ყველაზე უფრო რადიკალურად იყო განწყობილი. აღსანიშნავია, რომ ყველა ამ ჯგუფს არისტოკრატიული ჩამომავლობის პირები მეთაურობდნენ: პედიაკებს — წარჩინებული გვარის ეტეობუტადების წევრი, ლიკურგოსი. პარალიებს — ალკმეონიდი მეგაკლე, ხოლო დიაკრიებს — პისისტრატე ბრაურონიდან, რომელიც აგრეთვე არისტოკრატიული გვარის წევრი იყო.

ზოგიერთ თანამედროვე ისტორიკოსს აინტერესებს ის, თუ როგორ მოხდა. რომ არისტოკრატი პისისტრატე გლეხურ ჯგუფს ჩაუდგა სათავეში. ს. ლურიე სრულებით უსაფუძვლოდ აყენებს ასეთ მოსაზრებას: „თუ დავუშვებთ. რომ პისისტრატეს წინაპრების მიწების უმეტესი ნაწილი ეკონომიური გარდატეხის ეპოქაში მდიდარი ფილაიდების ხელში გადავიდა[131] და რომ პისისტრატეს მშობლები მათგან გარკვეულ ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ, მაშინ ეს აგვიხსნიდა პისისტრატეს რადიკალიზმს... ეს აგვიხსნიდა არისტოტელეს შენიშვნასაც: „ტირანები, ძალაუფლებას აღწევდნენ იმიტომ. რომ სარგებლობდნენ ხალხის ნდობით, ხოლო ამ ნდობის საწინდარი კი იყო მათი ღრმა სიძულვილი მდიდრებისადმი; ასე, ათენში პისისტრატემ იმის გამო მოიპოვა ძალაუფლება, რომ ებრძოდა პედიაკებს" (Pol. V, 5). მაგრამ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ პისისტრატეს მშობლები ფილიადების ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. რაც შეეხება არისტოტელეს, ის მხოლოდ იმას აღნიშნავს. რომ პისისტრატე ებრძოდა პედიაკებს და, თუ გნებავთ. ღრმა სიძულვილს გრძნობდა მდიდრებისადმი, მაგრამ რაზე იყო დამყარებული ეს. მის პირად გაღატაკებაზე, თუ სხვა რამეზე, ამის შესახებ იგი სრულებით არაფერს არ გვეუბნება.

მეორე მხრივ, მ. ხვოსტოვი გვარწმუნებს, რომ პისისტრატე ამაღლდა ხალხის ფართო მასებთან პირადი მოხერხებული ურთიერთობის ნიადაგზე[132]; მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მისი ამაღლების მიზეზთან და არა არისტოკრატი პისისტრატეს რადიკალიზმის გამომრკვეველ პირობებთან. ამიტომ თავი უნდა დავანებოთ ყოველივე ამას და დავკმაყოფილდეთ იმ ფაქტით, რომ არისტოკრატიული ჩამომავლობის პისისტრატე უდიდესი მოწინააღმდეგე იყო პედიაკებისა და დამცველი დიაკრიების ინტერესებისა. ტრადიციის მიხედვით 561 წელს პისისტრატემ, რომელიც დიაკრიების ჯგუფს ემყარებოდა, ათენში საფუძველი ჩაუყარა ხანგრძლივ ტირანიას. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა პისისტრატეს თანამედროვე მრავალი მოწმობა. განსაკუთრებით ქრონოლოგიის დარგში, შემდგომში ისე გადააკეთეს ყოველივე ეს, რომ სავსებით გარკვეული სურა-

თის აღდგენა შეუძლებელი გახდა. ჩვეულებრივი ტრადიციის მიხედვით, პისისტრატე სამჯერ იყო გაძევებული ათენიდან და სამჯერვე მოახერხა უკან დაბრუნება და ძალაუფლების მითვისება. მაგრამ სიმართლესთან უფრო ახლოს უნდა იყოს ის, რომ მოწინააღმდეგე ჯგუფების კოალიციამ პისისტრატე აიძულა ერთხელ დაეტოვებინა ათენი და იგი რამდენიმე წლის განმავლობაში ამზადებდა ნიადაგს უკან დაბრუნებისათვის. მან მოახერხა თრაკიის ოქროს მაღაროების საშუალებით დაქირავებული მეომრების თავის გარშემო მოგროვება, მიიმხრო თავის მხარეზე გარეშე სახელმწიფოებიც და გამოეშურა ატიკისაკენ. აქ პალენესთან დაამარცხა მოპირდაპირეები და, მაშასადამე, სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ დაბრუნდა კვლავ ათენში, სადაც იგი ბატონობდა უკვე შეუწყვეტლად სიკვდილამდე (528 წ.). მისი ტირანია ერთი ღირსშესანიშნავი ეპოქათაგანი იყო ათენის ისტორიაში.

პისისტრატე თავიდანვე გაბედულად და დიდი ენერგიით ატარებდა ცხოვრებაში წვრილი გლეხობის დაცვის პოლიტიკას. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ბუზოლტი, მან მოახდინა დამარცხებული ჯგუფების მეთაურთა მამულების კონფისკაცია და დაურიგა მცირე მიწების მქონე გლეხობას და სოფლის მოჯამაგირეებს[123]. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია პისისტრატეს მიერ გლეხობისათვის სახელმწიფო იაფი კრედიტის დაარსება. ეს ცნობა შემოგვინახა არისტოტელემ. მისი სიტყვით, ღარიბებს პისისტრატე წინასწარ ამარაგებდა ფულით სასოფლო სამუშაოთა შესასრულებლად, რომ მათ საშუალება ჰქონდათ თავის გამოკვებისა მიწათმოქმედების გაფართოების გზით. ხოლო უფრო გვიანი დროის მწერალი ელიანე გაღმოგვცემს, რომ სესხის მიცემა ნატურით— თესლითა და საქონლით წარმოებდა. ამგვარად, თუ სოლონი არ შესებია გლეხობის დავალიანების მთავარ გამომწვევ მიზეზებს, პისისტრატე ცდილობს იაფი სახელმწიფო კრედიტის საშუალებით ხელი შეუწყოს გლეხური მეურნეობის განმტკიცებას, რომ იგი კვლავ არ დაადგეს სრული დაღუპვის გზას. სამაგიეროდ მან სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ დააწესა მიწის შემოსავლიდან პირდაპირი გადასახადი 10 თუ 5 პროცენტის რაოდენობით.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე სასამართლოების დაახლოებას მოსახლეობასთან. იმ მიზნით, რომ გლეხებს თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან ათენში არ ევლოთ სამართლის საძიებლად, პისისტრატემ დემებში დააწესა მოსამართლეები (δικασταὶ κατὰ δήμους), რომლებსაც უმეტეს ნაწილად გლეხური ინტერესების დამ-

ცველ პირთაგან ნიშნავდა, თვითონაც ხშირად მოგზაურობდა და თვალყურს ადევნებდა სამართლის წარმოებას.

ასეთი ზომების მეოხებით პისისტრატემ თვალსაჩინოდ გააუმჯობესა გლეხების მდგომარეობა, ხოლო, მეორე მხრივ, მოსახლეობის ფართო ნაწილის გულისმოგებით უფრო განამტკიცა თავისი გავლენა და მნიშვნელობა სახელმწიფოში. სამაგიეროდ თავისი სოციალური პოლიტიკის წყალობით პისისტრატემ დიდი ზიანი მიაყენა ძველ მემამულე არისტოკრატიას — ევპატრიდებს, დაუკარგა მას არსებითი მნიშვნელობა სახელმწიფო მმართველობის სისტემაში[134]. მაგრამ გლეხობაზე არა ნაკლებ ხელსაყრელი აღმოჩნდა პისისტრატეს ტირანია წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით ამ დროს ათენის ნაწარმთა ექსპორტი აღწევს ჩრდილოეთ ზოლს და იტალიას.

პისისტრატეს მმართველობაში ათენი საბერძნეთში მსხვილი ხელოსნური და სავაჭრო ცენტრი გახდა. კუნძული სალამინი, რომლის გარშემო ხანგრძლივი ბრძოლა წარმოებდა მეგარასა და ათენს შორის, პისისტრატემ ათენს დაუმორჩილა, რითაც სახელი გაითქვა მოსახლეობის ფართო წრეებში, რადგან ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ათენის მეზღვაურობის უზრუნველყოფისათვის, ისე ამ კუნძულზე მცირემამულიანი გლეხების გადაყვანის თვალსაზრისით.

სოლონის მიერ დამყარებულ წყობილებას და კანონებს პისისტრატე არსებითად არ შეხებია, ცდილობდა მხოლოდ მთავარ ადგილებზე თავისი მეგობრები და ნათესავები მოეწყო, რომ ამ გზით სახელმწიფო მმართველობაში ზურგი გამაგრებული ჰქონოდა.

დიდ წარმატებას მიაღწია პისისტრატემ საგარეო პოლიტიკის დარგშიც. მცირე აზიის სანაპიროზე ჰელესპონტთან მან დაიპყრო სიგიონი და მის მმართველად თავისი შვილი დანიშნა. თვითონ პისისტრატე თრაკიაში ფლობდა პანგეიონის მაღაროებს. ამავე დროს მისმა ყოფილმა მოწინააღმდეგემ—მილტიატე ფილაიდმა დაიკავა თრაკიის ქერსონესი და, თუმცა იქ საკუთარი დინასტია დააარსა, მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც თვითონ, ისე მისი მემკვიდრეები ათენთან მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. სიგეიონისა და ქერსონესის მფლობელობას ათენისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მხრივ მისი პოზიცია უფრო განმტკიცდა მაშინ, როდესაც მილტიადე უმცროსმა დაიკავა კუნძულები ლემნოსი და იმბროსი.

ამას გარდა, როცა პისისტრატე ათენში საბოლოოდ განმტკიცდა, ის დაეუფლა კუნძულ ნაქსოსს და იქ მმართველად თავისი კაცი—ლიგდამიდე — დააყენა.

მეორე მხრივ, პისისტრატე ცდილობდა კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონოდა ბერძნების სხვა სახელმწიფოებთან. თავის დროზე თესალიელმა არისტოკრატიამ, თებემ და ევბეას ქალაქმა ერეტრიამ დიდი დახმარება აღმოუჩინეს პისისტრატეს ათენში დაბრუნებისა და ხელისუფლების მითვისების საქმეში. ამიტომ ის კავშირში იმყოფებოდა ლარისის ალევარების გვარეულობასთან, რომელიც შემდგომშიც ცდილობდა ხელი შეეშალა სპარტის მეფე კლეომენისათვის მისი შვილის ჰიპიასის წინააღმდეგ გალაშქრებაში. მეგობრული კავშირი ჰქონდა პისისტრატეს მაკედონიასთანაც. არგოსთან კავშირი კი პისისტრატემ არგოსელ ქალთან შეუღლებით განამტკიცა. უფრო არამყარი იყო პისისტრატეს კავშირი თებელებთან და სპარტასთან, რომელიც შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო ტირანიისა. მაგრამ სპარტასა და პისისტრადიდებს მაინც პროქსენია აკავშირებდა.

დიდად ზრუნავდნენ პისისტრატე და მისი შვილები აგრეთვე ათენის გამშვენიერებასა და მნიშვნელობის ამაღლებაზე. ათენის გაშენება, განსაკუთრებით ხელოსნების უბნის — კერამიკოსისა, ჩქარი ტემპით მიმდინარეობდა. ათენი გამშვენიერდა მონუმენტალური შენობებით: ათენას ტაძრით აკროპოლისზე, ზევს ოლიმპოელის საკურთხევლით, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა, და აპოლონიის საკურთხევლით. ამასთან ერთად, გაიყვანეს წყალსადენი და ატიკის ტერიტორია ფართო გზებით დაიფარა.

ათენის მნიშვნელობის ამაღლების მიზნით გაკეთდა ჰომეროსის პოემათა ტექსტის რედაქცია. ამავე მიზნით დიდებულად სრულდებოდა პისისტრატეს დროს ათენას საპატივცემო ძველი პანათენური დღესასწაულები, რომელთაც ახლა უკვე ზოგადატიკური მნიშვნელობა მიენიჭათ და რამდენიმე დღე გრძელდებოდა. არანაკლები ზეიმით ტარდებოდა ამ დროს ათენში დიონისიებიც. დიონისეს კულტი წინათ წმინდა გლეხური კულტი იყო, ახლა კი ის სახელმწიფოებრივი, ზოგადათენური კულტი გახდა. საყურადღებოა, რომ ქალაქურ დიონისეებში მონაწილე საწესო გუნდებისაგან წარმოიქმნა ატიკური ტრაგედია. პისისტრატეს დროის გამოჩენილი ტრაგიკოსი იყო თესპისი. საერთოდ, პისისტრატეს მმართველობაში საფუძველი ჩაეყარა ათენის ლიტერატურას. როგორც თვითონ პისისტრატე, ისე მისი შვილები, დიდ მფარველობას უწევდნენ მხატვრებსა და პოეტებს და ზოგიერთ მათგანს ათენშიც იწვევდნენ.

ათენურ ტრადიციაში მოგონებანი პისისტრატეს მმართველობის გამო „კრონოსის ოქროს საუკუნესთან“ არის გადაჭარბებულად გაიგივებული, თუმცა მერმინდელი დროის ათენელი დემოკრატები ტირანიისადმი უარყოფითად იყვნენ განწყობილი.

პისისტრატე თავის თავს, თითქოს, პილოსელი ნესტორის ჩამომავლად თვლიდა. ალბათ, მანვე შექმნა ლეგენდა, რომლის თანახმად, ათენელი მეფეები პილოსის მეფეების ჩამომავალნი იყვნენ, ხოლო მცირეაზიური ქალაქების დამაარსებელი ნელევსი პილოსიდან გადმოსახლებული ათენელი მეფის კოდროსის ძე იყო. პისისტრატე გარდაიცვალა 527 წელს.

პისისტრატეს მოადგილე იყო მისი შვილი ჰიპარქოსი და არა ჰიპიასი[135]. ჰიპარქოსი გაცილებით უფრო დიდ მეცენატობას ეწეოდა მხატვრებისა და პოეტებისადმი და უფრო ფართოდ იზიდავდა მათ თავის სასახლეში, მაგრამ პისისტრატეს შვილების დრო უკვე აღარ იყო ხელსაყრელი მათი ბატონობისათვის და არც თვითონ ისინი წააგავდნენ თავიანთ მამას.

სპარსელების მიერ ეგვიპტის და მცირე აზიის სავაჭრო ქალაქების დაპყრობამ საგრძნობლად შეაფერხა ათენის საგარეო ვაჭრობის საქმე და ამ ნიადაგზე ტირანიის ავტორიტეტიც არსებითად შეირყა. ამის გარდა, თანდათან ძლიერდებოდა პარალიების ჯგუფი, რომელსაც უკვე სრულებით აღარ ეშინოდა პისისტრატეს მიერ საკმაოდ განადგურებული პედიაკებისა და ახლა უკვე თვით ტირანიის გაუქმებაზე ზრუნავდა.

ზოგიერთი წყარო ასეთ პირობებს უმატებს პისისტრატეს შვილების გადაჭარბებულ ზვიადობას, სიმკაცრეს და გადასახადების არაჩვეულებრივ გადიდებას, თითქოს, მათ გადასახადები დაადეს ყველაფერს, თითქმის სახლების ზედა სართულებს, ქუჩაში გამოსულ ნაწილებს და სხვა[136].

ტირანიით უკმაყოფილო პირთა წრეში წარმოშობილა შეთქმულება, რომელსაც მიზნად დაუსახავს ტირანების მოკვლა და ასეთი ტერორისტული აქტით ათენის განთავისუფლება მათი ბატონობისაგან. ორმა ახალგაზრდამ — არისტოგიტონმა და ჰარმოდიოსმა, რომელთაც შემდგომში გმირების კულტი დაუწესეს, 514 წელს მოკლეს ჰიპარქოსი, მაგრამ ჰიპიასი გადარჩა. ჰარმოდიოსი მცველებმა ადგილზევე მოკლეს, ხოლო არისტოგიტონი შეიპყრეს და წამების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს. ამას შემდგომ ტირანიის მკაცრი რეჟიმი უფრო გაუარესდა. ჰიპიასი შეიპყრო შიშმა და იქვიანობამ და განიზრახა სათანადო ზომების მიღება: მან გაამაგრა მუნიხია და იწყო ურთიერთობის განმტკიცება სპარსეთთან, მაგრამ მის წინააღმდეგ უკვე ჩამოყალიბდა ძლიერი ოპოზიცია, რომელსაც ალკმეონიდების გვარი მეთაურობდა; მეორე მხრივ, საზღვარგარეთ ლტოლვილი არისტოკრატები სამშობლოში დაბრუნების იმედით არაჩვეულებრივ აქტივობას იჩენდნენ; მესამე მხრივ, სპარტამ, რომელიც, როგორც

ვიცით, ტირანიის ტრადიციული მოწინააღმდეგე იყო. დიდი დახმარება აღმოუჩინა ჰიპიასის ტირანობით უკმაყოფილო ათენელებს. ერთი სიტყვით, ჰიპიასის წინააღმდეგ შეიქმნა კოალიცია, რომელსაც თავის ავტორიტეტით ზურგს უმაგრებდა დელფოს მისანი. მეფე კლეომენეს მეთაურობით მოხდა სპარტის მიერ ათენის ინტერვენცია, რომლის დროსაც ჰიპიასი იძულებული გახდა 510 წელს დაეტოვებინა ატიკა და სპარსეთში გაქცეულიყო; სპარსეთის მეფემ უბოძა მას სიგეიონი, როგორც სამთავრო.

ასე დაეცა ტირანია ათენში, რომელიც პირველ პერიოდში წვრილი გლეხობის დამცველის როლში გამოდიოდა და შესამჩნევად შეუწყო ხელი მისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. იგი ხელსაყრელი იყო აგრეთვე ვაჭრობა-წარმოებისა და ათენის ექსპორტის გაძლიერებისათვის. მანვე წელში გატეხა ძველი კეთილშობილური არისტოკრატია და გზა გაუკაფა დემოკრატიის განმტკიცებას. ამით ამოწურა მისი, როგორც გარდამავალი საფეხურის, როლი და მეორე პერიოდში იგი უკვე გადაგვარების გზაზე შედგა და საზოგადოებრივი წრეების მბრივ ღრმა შეტევასა და ოპოზიციას განიცდიდა.

11. კლისთენეს რეფორმები და მათი მნიშვნელობა

ტირანიის დამხობის შემდეგ ათენში კვლავ იჩინა თავი ძლიერმა შინაღრმა პარტიულმა ბრძოლამ, ატიკაში ტირანიის ქარტეხილს გადარჩენილი და აგრეთვე ემიგრაციიდან დაბრუნებული არისტოკრატიული ჯგუფები შეეცადნენ დაებრუნებინათ ძველი მდგომარეობა, შეეჩერებინათ დემოკრატიული მიმდინარეობა და კვლავ აღედგინათ თავისი ბატონობა. მათ მეთაურობდა ევპატრიდი ისაგორე და მათვე უჭერდა მხარს სპარტა თავისი შეიარაღებული ძალებით (508 — 507). არისტოკრატების მიერ განზრახულ რეტავრაციას თავგამოდებით ებრძოდნენ პარალიები, რომელთაც ალკმეონიდი კლისთენე მეთაურობდა. მაგრამ სპარტის მეფე კლეომენეს დახმარებით ისაგორემ შეძლო გამარჯვება და დროებით ხელში ჩაიგდო ძალაუფლება. არსებითად ეს იყო სპარტელების ბატონობა ათენში.

გამარჯვებულებმა შური იძიეს მოწინააღმდეგეებზე და 700 ოჯახი, რომლებიც კლისთენეს ეშხრობოდნენ, ატიკიდან გააძევეს. გაძევებაში ცხოვრობდა კლისთენეც. ისაგორემ გააუქმა 400-ის საბჭო და ხელისუფლება გადასცა 300 წარჩინებულ ათენელს, რომელთაც თვითონ ჩაუდგა სათავეში. არისტოკრატიის ამ ახალმა ბატონობამ საერთო მღელვარება და უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა ატიკის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის

აჯანყება. აჯანყებულებმა გააძევეს ათენიდან როგორც ისაგორე, ისე სპარტელები, და ამგვარად საშუალება მისცეს კლისთენეს დაბრუნებულიყო ატიკაში და ცხოვრებაში გაეტარებინა თავისი პროგრამა.

კლისთენე კარგად ხედავდა, რომ ევპატრიდები გაბატონებული იყვნენ ძველ 4 ფილეში, რომელთაც ჯერ კიდევ მნიშვნელობა ჰქონდათ სახელმწიფო მმართველობაში. ამიტომ პირველი იერიში მან მიზანშეწონილად სწორედ ამ ფილეებზე მიიტანა. ხოლო, ვინაიდან ეს ფილეები ერთგვარად დაკავშირებული იყვნენ სარწმუნოებასთან, კლისთენემ პირდაპირ ვერ გაბედა მათი სრული გაუქმება, მაგრამ გარკვეულად წაართვა მათ ყოველგვარი პოლიტიკური დანიშნულება და დაუტოვა მხოლოდ წმინდა საკრალური მნიშვნელობა. სამაგიეროდ მან შექმნა 10 ახალი ფილე, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი მიენიჭა ათენის სახელმწიფო სისტემაში. ახალი ფილეების ძველი ატიკური გმირების სახელები ეწოდათ.

ეს ახალი ათი ფილე, წმინდა ტერიტორიული ხასიათისა იყო და ძველებთან საერთო, გარდა სახელისა, არა ჰქონდათ რა. საზღვარი რომ დაედო ქალაქ ათენის უპირატესობისათვის დანარჩენ მხარესთან შედარებით, და მეორე მხრივ, „ერთიმეორეში შეერია მოქალაქეები“ და ბოლო მოეღო ადგილობრივი ჯგუფების განსაზღვრულ ნაწილებში ბატონობისათვის, მან გაატარა ატიკის სავსებით ახალი დანაწილება. ამ მიმართულებით კლისთენემ ატიკაში გამოყო სამი გარკვეული ნაწილი: ქალაქი (ἄστυ), სანაპირო (παραλία) და შიდამხარე (Binnenland — μεσόγειος) და თითოეული მათგანი დაყო თავის მხრივ 10 ტრიტიად (τριττύες) და, მაშასადამე, მთელი მხარე 30 ტრიტიად. ამ გზით ყოველი ახალი ფილე შედგებოდა 3 ტრიტიისაგან, რომელთაგან ერთი ქალაქში, მეორე სანაპიროზე და მესამე შიდამხარეში მდებარეობდა; მათი ამა თუ იმ ფილესადმი მიკუთვნება წილისყრით წყდებოდა. ამგვარად, თითოეული ტრიტია მთლიან ტერიტორიულ დანაწილებას წარმოადგენდა, ფილე კი, პირიქით, ასეთ ხასიათს მოკლებული იყო, და, მაშასადამე, ყოველი მათგანი თავის თავში აერთებდა სხვადასხვა ლანდშაფტური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის ნაწილებს. შემდეგ ტრიტიები კლისთენემ დაყო დემებად.

თითოეული დემი, ახალი განსაზღვრით, განასახიერებდა თვითმმართველ ერთეულებს, რომელთაც ჰქონდათ საკუთარი მამულები, სალარო და კულტი; ჰყავდათ თავისი თანამდებობის პირები და დემარქოსის მეთაურობით აწარმოებდნენ მოქალაქეთა სიების შედგენას და სხვა ადგილობრივი საქმეების მოწესრიგებას. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო სათემო წიგნში შეტა-

ნა ახალგაზრდა დემოტებისა, რომელთაც 18 წელი უსრულდებოდათ და, მაშასადამე, სრულწლოვანნი ხდებოდნენ. ამ დროს ახალგაზრდა ათენელები ასეთ ფიცს იღებდნენ: „მე არ შევარცხვენ საღვთო იარაღს, არ მივატოვებ ბრძოლაში თანამებრძოლს... სამშობლოს გადავცემ (მემკვიდრეებს) არა დამცირებულს, არამედ უფრო ძლიერსა და სახელოვანს.... დავემორჩილები ხელისუფლებას და დაწესებულ კანონებს, აგრეთვე ისეთებს, რომელთაც ხალხი ერთსულოვნად დაამყარებს"[137].

დროგამოშვებით წარმოებდა მოქალაქეთა უფლებების შემოწმება (დიაფსეფიზმა): დემის კრება იხილავდა სიებს და ამოწმებდა იმას, თუ რამდენად კანონიერად იყო შეტანილი ესა თუ ის პირი სიაში. უარყოფითი დადგენილების შემთხვევაში საბოლოო სიტყვა ათენის სახალხო სასამართლოს ეკუთვნოდა.

ასეთი თვითმმართველი ერთეულების დაწესება უეჭველად პროგრესული მოვლენა იყო ატიკის მონათმფლობელური დემოკრატიის განვითარების ისტორიაში. ამიერიდან მოქალაქეს აღნიშნავდნენ არა მამის სახელით, არამედ დემის მიხედვით. ამასთან, რომ უფრო საფუძვლიანად შეერყია ძველი ევპატრიდული ტენდენციები და გაეძლიერებინა დემოკრატიული ელემენტები, კლისთენემ მოქალაქეთა რიცხვში მიიღო, ან როგორც არისტოტელე იტყოდა, „ფილეებში შეიყვანა", მრავალი უცხოელი (მეტეკი). კლისთენეს ამ რეფორმის მნიშვნელობას ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ არისტოტელემ და მის მიერ გადადგმული ნაბიჯები დემოკრატიის განვითარებისათვის სასარგებლო ზომად აღიარა.

დემის მოქალაქენი პრინციპულად ურთიერთშორის თანასწორნი იყვნენ, მაგრამ არსებითად, რასაკვირველია, ძალაში რჩებოდა სოლონის მიერ თითოეული კლასისათვის განსაზღვრული უფლებამოვალეობანი. სამაგიეროდ, ამ ახალ წყობილებაში შთამომავლობითი არისტოკრატიისათვის არავითარი უპირატესობა აღარ არსებობდა. მიუხედავად ამისა, თითქმის პერიკლემდე ათენის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას სათავეში ედგნენ არისტოკრატიული გვარებიდან გამოსული პირები.

კლისთენეს ფილეები საფუძველი გახდა სახელმწიფოს ახალი ორგანიზაციისა. ათ ფილეს შეესაბამებოდა მეომართა ათი წრე (τάξεις), რომელთაც მეთაურობდა ყოველწლიურად ცალკეულ ფილეებში არჩეული ათი სტრატეგოსი. მართალია, მთავარსარდლად ჯერ კიდევ პოლემარქოსი დარჩა, მაგრამ შემდგომში მეომრებზე უფროსობა სავსებით გადავიდა სტრატეგოსების ხელში.

ახალ დანაწილებასთან იყო დაკავშირებული აგრეთვე 400-ის საბ-

ჭოს 500-ის საბჭოთი (ἡ βουλὴ οἱ πεντακόσιοι) შეცვლა და მისი ახალი ორგანიზაცია. თითოეულ ფილეს ეკუთვნოდა 50 წევრის არჩევის უფლება და მათ ირჩევდნენ დემებში პროპორციულად, მოსახლეობის რიცხვის მიხედვით. მიმდინარე საქმეებს უძღვებოდა საბჭოს არა მთელი შემადგენლობა, არამედ ერთი და იმავე ფილეს 50 წევრი, რომლებიც განსაკუთრებულ კომიტეტებს — πρυτανεία (პრიტანიებს) ქმნიდნენ და წლის დასაწყისში წილისყრის მიხედვით ერთიმეორის შემდეგ მორიგეობდნენ წლის ერთ მეათედ ნაწილში. როგორც მთელი საბჭოს, ისე თითოეული პრიტანიის თავმჯდომარედ ითვლებოდა ყოველდღიურად არჩეული ეპისტატე. ეს საბჭო, რომლის წევრების არჩევის უფლება პირველ სამ კლასს ჰქონდა მინიჭებული, მოქალაქეთა ისეთ წარმომადგენლობას განასახიერებდა, რომელსაც პირველად, ალბათ, მხოლოდ საკონტროლო ფუნქციები ჰქონდა. მის გვერდით კი იდგა არქონტი-ეპონიმი, რომელიც, როგორც წინათ, ახლაც სახელმწიფოს პირველ თანამდებობის პირად ითვლებოდა. საბჭოს საქმიანობაში მთავარი იყო ის, რომ იგი წინასწარ ამზადებდა სახალხო კრებისათვის გადაწყვეტილების პროექტს — პრობულევმას და უამისოდ არც ერთი საქმე არ შეიძლებოდა ყოფილიყო განხილული და გადაწყვეტილი.

კლისთენს არ გაუუქმებია არეოპაგი, რომელსაც კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ავტორიტეტი. მას შერჩა სისხლის საქმეების მიმართ სასამართლო ინსტანციის მნიშვნელობა, მაგრამ სახელმწიფო ღალატში ბრალდების საქმეების წარმოება სახალხო კრებას გადაეცა, რომელიც სახელმწიფოს მთავარი ორგანო გახდა.

მაშასადამე, ახლა ფორმალურად ნამდვილი სუვერენი სახელმწიფოში იყო ხალხი (რასაკვირველია, მხოლოდ ათენის მოქალაქენი), რომელიც სახალხო კრებაზე იხილავდა და ამტკიცებდა ომის გამოცხადებისა, თუ ზავისა და კავშირის დამყარების საკითხებს, საერთო კონტროლს უწევდა მთავრობის პირებს, კანონების გამოცემას, სამოქალაქო უფლებების მინიჭებას და სხვ. ამასთან ერთად სახალხო სასამართლოში მას თავისი უაპელაციო მსჯავრი გამოჰქონდა სხვადასხვა საყურადღებო საქმეზე.

ამგვარად, პარალიების წარმომადგენელმა კლისთენემ ხელი შეუწყო ისეთი პოლიტიკური წყობილების ჩამოყალიბებას, რომელიც არსებითად სპობდა ძველი არისტოკრატიის პრივილეგიებს და სამაგიეროდ უფრო შეესაბამებოდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ენგელსი ფრიად მაღალ შეფასებას აძლევს კლისთენეს მიერ შექმნილ კონსტიტუციას და იგი ისეთ რევოლუციად მიაჩნია,

რომელმაც გვაროვნული წყობილების ორგანოები საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქმის მთლიანად მოსპო.

მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარი სრულებით უსაფუძვლოდ უარყოფს კლისთენეს მიერ ათი ახალი ფილეს შექმნას და ამ რეფორმას ჯერ კიდევ პისისტრატეს მიაწერს. ასე იქცეოდნენ: ცნობილი მკვლევარები ბელოხი და კაჰრსტედტი (Kahrstedt). სხვათა შორის, მართალია, ჯერ კიდევ პისისტრატემ დააწესა მოსამართლეები დემეებში და, მაშასადამე, დემები წინათაც არსებობდა, მაგრამ კლისთენემ მათ გაცილებით უფრო გარკვეული და ახალი სახე მიანიჭა: გაარკვია მათი საზღვრები, დააწესა მათი ცენტრები, დაანაწილა ტრიტიებში, დაუკავშირა მათი არსებობა საერთო სახელმწიფოებრივ წყობილებას და, რაც უმთავრესია. მისცა მათ განსაკუთრებული ორგანიზაცია და აღჭურვა თვითმმართველობით[138].

ცხადია, ათენის ახალ წყობილებას თავისი მოწინააღმდეგე პირები და ჯგუფები გაუჩნდებოდა. ძველი არისტოკრატიის ნაშთებისათვის ახლა უფრო სასურველი ისევ ტირანია გახდა. ასეთი პირების საწინააღმდეგოდ კლისთენემ ოსტრაკისმო შემოიღო. იგი შემდეგში მდგომარეობდა: ყოველ მეექვსე პრიტანიაში სახალხო კრებაზე იხილავდნენ საკითხს იმის შესახებ, არსებობენ თუ არა სახელმწიფოში ისეთი პირები, რომლებიც თავისი მოქმედებით საშიში არიან შექმნილი წყობილებისათვის, და საჭიროა თუ არა მათ წინააღმდეგ სათანადო ზომების მიღება. თუ უმრავლესობა ამ კითხვაზე დადებითად უპასუხებდა, მერვე პრიტანიაში სახალხო კრების წევრებს ურიგებდნენ გასანთლულ ფირფიტებს (ὄστρακον — ostrakon, აქედან ოსტრაკისმო — ostrakismos) და თითოეულ მათგანს მასზე უნდა დაეწერა იმისი სახელი, ვისი გაძევებაც საჭიროდ მიაჩნდა. ასეთ კრებას უნდა დასწრებოდა არანაკლებ 6000 მოქალაქისა. იმ პირს ვისი სახელიც უფრო ხშირად იქნებოდა მოხსენებული ამ ოსტრაკონებზე აძევებდნენ ატიკიდან ჩვეულებრივად ათი წლის ვადით, რომლის გავლის შემდეგ მათ საშუალება არ ესპობოდა, კვლავ მოეპოვებიათ მოქალაქის ყველა, და მათ შორის სამშობლოში დაბრუნების, უფლება. ზემოთ დასახელებული მეცნიერები არანაკლები უსაფუძვლობით უარყოფენ კლისთენეს მიერ ოსტრაკისმოს დაწესებას. სხვათა შორის, არისტოტელე გადაჭრით მიაკუთვნებს მას კლისთენეს (Ἀθ. πολ. XXII) და განგვიმარტავს იმ საფუძველსაც კი, რომელმაც გამოიწვია ამ ინსტიტუტის შემოღება.

ერთი სიტყვით, შეუძლებელია გავიზიაროთ ის აზრი, რომ ოსტრაკისმო კლისთენეს დროს არ ყოფილა შემოღებული.

ლურიე ამ საკითხში ერთგვარ მერყეობას განიცდის და ბერძენ-სპარსელთა ომების დროის მიმართ აღნიშნავს[39]: „ამ დროს ათენში ყოველ შემთხვევაში უკვე არსებობდა კანონი ოსტრაკისმოზე. ეს კანონი დამყარებულია დიდი ადამიანის ძლიერების გულუბრყვილო რწმენაზე — ანთროპოლატრიაზე", ჩვენ დავინახეთ, თუ რამ გამოიწვია ამ ინსტიტუტის წარმოშობა და რამდენად იყო დაკავშირებული იგი სახელმწიფოს რეალურ მოთხოვნილებებთან და ამიტომაც მისი ანთროპოლატრიად გამოცხადება არც სამართლიანია და არც არას მატებს საკითხის გაშუქებას.

VI საუკუნის დასასრულს ათენის ახალგაზრდა დემოკრატიას გაუჩნდა დიდი საგარეო საფრთხე, მის წინააღმდეგ შედგა მთელი კოალიცია, რომელშიც შედიოდნენ: სპარტა, ბეოტია, ევბეის ქალკიდა და კუნძული ეგინა.

სპარტას არ შეეძლო გულგრილად ეცქირა ათენში დემოკრატიული წყობილების განმტკიცებისათვის და აგრეთვე სამაგიეროს მიგების გრძნობით იყო აღფურვილი ისაგორეს დროის კაპიტულაციისათვის. ბეოტია უკმაყოფილო იყო იმით, რომ ატიკის მოსაზღვრე ქალაქმა პლატეამ, რომელსაც თებელები ავიწროებდნენ, ათენში მოიპოვა მფარველობა. ქალკიდა და ეგინა კი სავაჭრო ნიადაგზე ექიშპებოდნენ ათენს. ასეთ საფუძველს ემყარებოდა ბრძოლა ათენსა და ამ კოალიციას შორის.

ლაკედემონელები და მათი მოკავშირეები უკვე მიადგნენ ელევსინს და საფრთხე შეუქმნეს ათენს. მაგრამ სპარტის მეფეთა შორის დაიწყო უთანხმოება და მოკავშირეთა ჯარი უკან გაბრუნდა. ამის შემდეგ ათენი ადვილად გაუსწორდა ბეოტიას და ქალკიდას, რომელსაც ჩამოართვა ლელანტის ნაყოფიერი ველი, სადაც თავისი კლერუქიები მოათავსა. ეგინასთან ბრძოლა კი გაჭიანურდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ბრძოლაში ათენელები შეეცადნენ მოეპოვებინათ სპარსელების დახმარება. ეს ფაქტი იმას მოწმობს, რომ ამ დროს სპარსეთის ძლიერების მნიშვნელობა უკვე ფართოდ იყო ცნობილი საბერძნეთში. ისტორიკოს ჰეროდოტეს სურს ათენელების გამარჯვება კოალიციაზე ატიკაში დემოკრატიული წყობილების დამყარებას დაუკავშიროს (V, 78): „სანამ ათენელებს ტირანები განაგებდნენ, სამხედრო საქმეში ისინი ვერც ერთ თავის მეზობელს ვერ აღემატებოდნენ, ხოლო ტირანიისაგან განთავისუფლების შემდეგ მათ ყველას წინ გაუსწრეს".

12. გარდამავალი ხანის კულტურა

ჩვენ გავეცანით საბერძნეთის სახელმწიფოთა გარდამავალი ხანის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას. ამჟამად საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად მაინც გავითვალისწინოთ ამ დროის ბერძნული კულტურის საერთო სურათი. VII და VI საუკუნეები წარმოადგენს გარდამავალი ხანის შუა ხანას, რომელსაც ძველი სამყაროსაგან მივყავართ V საუკუნის „კლასიკური" ეპოქის მწვერვალებთან. საბერძნეთის როგორც სამეურნეო, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე კულტურისა და ხელოვნების დარგში, ეს ხანა იყო გარკვეული გარდატეხის პერიოდი. წინაალმდეგ გმირული ეპოქის პოეზიისა და ხელოვნებისა, ახლა ვხედავთ, რომ ახალ სამეურნეო პირობებთან და სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობასთან შეფარდებით კულტურა ხალხის უფრო ფართო ფენებს სწვდება და იმავე დროს ცალკეული პიროვნებებიც უფრო ადვილად ითავისუფლებენ თავს ტრადიციის ძველი ნორმებისაგან. ძველი პატრიარქალური ცხოვრება გაიბზარა, თავისი ხელშეუხებელი ავტორიტეტი დაკარგა და თანდათან ძლიერ და შეუპოვარ კრიტიკას განიცდიდა. პ ო ე ლ მ ა ნ ი ს თქმით, ცხარე შინაური საზოგადოებრივი ბრძოლის პროცესში ყველაფერი შეირყა: მეურნეობა და საზოგადოება, ძველი მეცნიერება და ხელოვნება, ჩვეულება და სარწმუნოება[146]. ეს ხანა ხელსაყრელი იყო ლირიკული პოეზიის წარმოშობისათვის, რომელიც, წინაალმდეგ წარსულის წყნარი ჰვრეტით გატაცებული ეპოსისა აწმყოს აპყრობს მთელ თავის გულისყურს და გვაცნობს, უწინარეს ყოვლისა, თვით მგოსნის პირად განწყობილებასა და განცდებს.

ბერძნული კულტურის ახალი მიმართულების მეთაურად გვევლინება იონია, მაგრამ ახალ მიმდინარეობაში თანდათან მეტროპოლიაც ებმება და მის ცალკეულ ადგილებში თავს იჩენს ამ მომენტის ცხადი გამოვლინება. პოეზიაში ჰ ო მ ე რ ო ს ი ს ე პ ო ს ი განიცდის შემდგომ გავრცელებას: „ილიადასა" და „ოდისეას" უკეთდება ახლა, თავისი უკანასკნელი რედაქცია. თქმულებათა სხვა მასალებისაგან, განსაკუთრებით მეტროპოლიიდან, ჰომეროსის მიბაძვით შედგენილ იქნა ეგრეთ წოდებული „ციკლური" ეპოსი, ე. ი. მითების მთელი რკალის ან „ციკლის" შემცველი. რაფსოდები გამოდიოდნენ უკვე დიდ სახალხო სარწმუნოებრივ დღესასწაულებზეც, თხზავდნენ ღმერთების საპატივცემო ჰიმნებს, რომელთაგან ზოგიერთმა ჩვენამდე მოაღწია „ჰომეროსის ჰიმნების" სახელით. მაგრამ განსახილველი პერიოდის დასაწყისში ეპოსს სრულებით ახალი მიმართულება მიეცა ჩვენთვის უკვე ცნობილი, ბეოტიის ასკრის გლეხის შვი-

ლის, „სოფლის მშრომელი ხალხის“ მგოსნის ჰ ე ს ი ო დ ე ს წყალობით. თავის პოემაში, ჰომეროსისაგან განსხვავებით, ჰესიოდე პირადი განცდების გამომსახველია და წინამორბედი ლირიკისა. თუმცა იგი წერდა ძველი ეპიკური ფორმებით, მაგრამ თავის შემოქმედებაში გვეელინება უკვე საკუთარი სახელით და პიროვნული განცდების გამომჟღავნებით. ვ ი ლ კ ე ნ ს კარგად აქვს ნათქვამი, რომ ჰესიოდე უძველესი ევროპელი პოეტის ფიგურაა და რომ იგი იყო „პირველი ბერძენი, რომელიც ხორცსა და სისხლში დგას ჩვენს წინ“ (der erste Grieche, der in Fleisch und Blut vor uns steht). პოემაში „სამუშაონი და დღეები“, როგორც დავინახეთ. იგი მიმზიდველი სიტყვებით უგალობს პატიოსან შრომას და, მასა და ძმას შორის ჩამოვარდნილ უთანხმოების გაცნობასთან ერთად, გვისურათებს იმ დროის გლეხობის მძიმე ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას. იგი თავისებურ მოაზროვნედ გვეელინება თავის „თეოგონიაში“, რომელშიც მისი სამშობლოს —ბეოტიის ღმერთებსა და ჰომეროსის ოლიმპოს ღმერთებს შორის არსებული დისჰარმონიის გამო. ცდილობს გაატაროს ბ ე რ ძ ე ნ ი ტ ო მ ე ბ ი ს ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ რ ი ვ შ ე ხ ე დ უ ლ ე ბ ა თ ა ს რ უ ლ ი ს ი ს ტ ე მ ა ტ ი ზ ა ც ი ა. ამ მხრივ „თეოგონიას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნული სარწმუნოებრივი აზროვნების განვითარებისათვის. ამ ძირითადმა პოემამ შემდეგში მრავალი დამატება განიცადა გენეალოგიურ ეპოსში, რომელშიც სხვადასხვა ადგილობრივი თქმულება, განსაკუთრებით მეტროპოლიიდან, იქნა შეერთებული[116].

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქაში თვალსაჩინო ცვლილება განიცადა აგრეთვე ბერძენთა ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ რ ი ვ მ ა შ ე მ ე ც ნ ე ბ ა მ. ჰომეროსის პოემების ხალხის უფრო ფართო წრეებში გავრცელებამ, სხვა პირობებთან ერთად, გაცილებით მაღლა დააყენა ჰომეროსის ღმერთები, ვიდრე მრავალი ადგილობრივი კულტი, და მათ სახელმწიფო ღმერთების ღირსება მიანიჭა. არსებითად კი ორივე მხარემ მოახდინა ერთიმეორეზე გავლენა. ერთი მხრივ, ოლიმპოს ღმერთების ანთროპომორფიზმი ხშირად გადადიოდა ადგილობრივ ღმერთებზე და ძველ ფეტიშებს აძევებდა, მეორე მხრივ, სამაგიეროდ ზოგი რამ ადგილობრივი კულტებიდან გადატანილ იქნა ოლიმპოს ღმერთებზე. ამასთან დამახასიათებელია, რომ იმ დროის სოციალურ-პოლიტიკური მოძრაობის შესატყვისად ფრიად განვითარდა გლეხური კულტი. განსაკუთრებით — დემეტერის (მიწის მეურნეობის) და დიონისესი (მეღვინეობის). ღმერთებისადმი ადამიანის თვისებების მიკუთვნების, მათი განკაცების პროცესთან ერთად მათი არსების წარმოდგენაში მოხდა ერთგვარი პროგრესი:

ისინი წარმოიდგინეს, როგორც ზნეობრივი ძალები, რომლებიც უფლებისა და სამართლიანობის წყაროდ მიიჩნიეს. ამ მიმართულებით თანდათან ქრება ფეტიშებში განსხეულებული ბუნების მკაცრი ძალების წარმოდგენა და თითქმის ისპობა კულტის ისეთი საშინელი მომენტი, როგორიც იყო ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, რომელიც სხვადასხვაგვარი სიმბოლური აქტით შეიცვალა. ამასთან ერთად უფრო გაიზარდა მანძილი ღმერთებსა და ადამიანებს შორის და უფრო გაღრმავდა მაოდამი უკანასკნელთა დამოკიდებულება. ამ მხრივ ეგრეთ წოდებული შვიდი ბრძენის დროის სარწმუნოებრიობის მთავარი აზრი შემდეგ თქმაში გამოიხატებოდა: ვინც თავის თავს იმაღლებს (ὕβρις) და ღვთაებრიობისაკენ ისწრაფვის, მას თავს დაატყდება ღმერთების შურისძიებაო. მათვე მიაწერდნენ შემდეგ აფორიზმებს, რომლებიც არსებითად იმ დროის ზომიერი წრეების სულისკვეთებას გამოხატავდა: „თვით იციან თავი თვისი“ (γνῶθι σεαυτόν), „არაფერი ზომაზე მეტი“ (μηδὲν ἄγαν), „ზომიერება — საუკეთესოა“ (μέτρον ἄριστον) და სხვ. ზოგიერთი მათგანი წარწერილი იყო დელფოს აპოლონის ტაძრის შესასვლელში[142].

მაგრამ ვიდრე ამ თემაზე საუბარს გავაგრძელებდეთ, საჭიროა მოვიგონოთ ბერძნების სარწმუნოებრივი სისტემა და კოსმოგონიური წარმოდგენები, რომელთა შესახებ ცნობები ჰესიოდემ გვიანდერძა.

როგორც ჰომეროსის, ისე ჰესიოდეს ეპოსში მოცემულია ღმერთების სამყაროს განსაზღვრულ სისტემაში წარმოდგენის მისწრაფება, ლოკალურ ღვთაებათა მსოფლიოს (კოსმოსის) მმართველ ძალებად განსახიერება. ასეთი ტენდენცია განსაკუთრებით ჩანს ჰესიოდეს პოემაში „თეოგონია“ („ღმერთების წარმოშობა“).

თავდაპირველად არსებობდა მხოლოდ მუდმივი, უსაზღვრო ბნელი ქაოსი, რომლისაგან წარმოიქმნა მთელი სამყარო და უკვდავი ღმერთები. ქაოსისაგან წარმოიშვა ქალღმერთი დედამიწაც (გეა), რომლის ქვეშ ფრიად შორს განუზომელ სიღრმეში წარმოიქმნა ბნელი ტარტარი, საშინელი, მუდმივი სიბნელით მოცული უფსკრული. სიცოცხლის წყაროსაგან, ქაოსისაგან წარმოიშვა ძლიერი ძალაც, ყოველივეს გამაცოცხლებელი სიყვარული — ეროსი. უსაზღვრო ქაოსმა წარმოქმნა აგრეთვე მუდმივი წყვდიადი—ერებოსი და ბნელი ღამე — ნიუქსი. მათგან კი წარმოიშვნენ მუდმივი სინათლე — ეთერი და მხიარული ნათელი დღე — ჰემერა. სინათლე მიმოიფანტა ქვეყნად და ერთიმეორის შეცვლა იწყეს ღამემ და დღემ. ძლიერმა, მადლიანმა დედამიწამ წარმოშვა უსაზღვრო მტრედისფერი ზეცა —

ურანოსი, რომელიც გადაიშალა დედამიწაზე. ამაყად აღიმართნენ მისკენ დედამიწის მიერ შობილი მაღალი მთები და ფართოდ გადაიშალა მუდმივხმაურა ზღვა. დედამიწისაგან წარმოშობილია ზეცა, მთები და ზღვა და მათ მამა არ ჰყავდათ. ქვეყნად გამეფდა ურანოსი — ცა, რომელმაც ცოლად შეირთო მადლიანი დედამიწა. მათ ეყოლათ ექვსი ვაჟი და ექვსი ქალი, მრისხანე ტიტანები. მათმა შვილმა ტიტანმა ოკეანემ და ქალღმერთმა თეტიდამ წარმოქმნეს ქვეყნად ყველა მდინარე და ზღვის ქალღმერთები — ოკეანიდები. ტიტანებს ჰიპერსიონსა და თეიას ეყოლათ შვილები: მზე — ჰელიოსი, მთვარე — სელენე და ღაჟღაჟა ალიონი — ეოსი (ავრორა). ასტრეასა და ეოსისაგან წარმოიქმნა ყველა ვარსკვლავი, რომლებიც ღამით ანათებენ, და ყველა ქარი. ტიტანების გარდა, დედამიწამ წარმოშვა სამი ციკლოპი შუბლზე ერთი თვალით და სამი ორმოცდაათთავიანი და ასხელიანი უზარმაზარი ბუმბერაზი. მათ სტიქიურ ძალას საზღვარი არ ჰქონდა. შეიძულა ურანოსმა თავისი შვილები — ტიტანები და ტარტარში გადაყარა. დედა მოუწოდებდა მათ, აჯანყებოდნენ მამას, მაგრამ ისინი ვერ ბედავდნენ. მხოლოდ უმცროსმა ციბიერმა კრონოსმა მოახერხა მამის ტახტიდან ჩამოგდება და ხელისუფლების მითვისება. კრონოსის დასჯის მიზნით ქალღმერთმა ღამემ წარმოშვა საშინელი ღვთაებანი: თანატოსი—სიკვდილი, ერიდა — განხეთქილება, აპატე — სიცრუე, კერი — მოსპობა, ჰიპნოსი — ძილი და შეუბრალებელი ნემეზიდა. საშინელება, განხეთქილება, მოტყუება, ბრძოლა და უბედურება მოიტანეს ამ ღმერთებმა ქვეყნად, სადაც მამის ტახტზე კრონოსი გამეფდა[143]. კრონოსისა და მისი მეუღლის რეასაგან წარმოიშვნენ ღმერთები. მათ შორის, უმცროსმა ზევსმა დაამარცხა მამა და გახდა ღმერთებისა და ქალღმერთების დიდი შთამომავლობის მამამთავარი.

ძველი ბერძნების წარმოდგენით, ღმერთები ადამიანებს ემსგავსებიან, მაგრამ მათზე უმაღლესი და უმნიშვნელოვანესი არიან. ღმერთებმა ყველაფერი იციან, ყოველივეს შებრძოლება ძალუძთ, გარდა მოირასი; უკვდავნი არიან და არ ბერდებიან. ღმერთების და ადამიანთა მამაა ზ ე ვ ს ი. იგი ცისა და მისი ბრწყინვალების ღმერთია. იგი განაგებს მსოფლიოს, ბედისწერასთან შეთანხმებით და იწვევს ღმერთებს საერთო თათბირზე. თავის ნებასურვილს იგი ელვასა და ქუხილში ამჟღავნებს. მასთან ოქროს ტახტზე ზის მისი მეუღლე ჰ ე რ ა; იგი ყველა ღმერთისაგან პატივცემულია და დედამიწაზე მფარველობს ქორწინებას. ზევსის საყვარელი ასულია ა თ ე ნ ა. „ვადიდებ ათენას, — ამბობს ერთი ძველი მგოსანი, — დიდებულ ღმერთქალს, ცისფერ თვალებიანს, გონიერს და შეუდრეკელს, პა-

ტივცემულ ქალწულს, ქალაქების მფარველს, რომელიც ბრწყინვალე ოქროს იარაღით შემკობილი იშვა ზევსის თავიდანო". ათენა სიბრძნის ქალღმერთად ითვლებოდა.

ზევსის ძეთა შორის უფრო ცნობილი იყო სინათლისა და ხელოვნების ღმერთი—ფ ე ბ ა პ ო ლ ო ნ ი. იგი საუცხოოდ უკრავს ქნარზე და ისეთი მიმზიდველობით დამღერის, რომ მხეცებიც კი სულგანაბული უსმენდნენ. მისი და ა რ ტ ე მ ი დ ა მთვარის ქალღმერთია, მამაცი მონადირე, რომელსაც დიდად უყვარს მთები, ტყეები და წყაროები. ღამის ცვარი არტემიდას საჩუქარია.

მეორე ქალღმერთი ა ფ რ ო დ ი ტ ე ზღვის ტალღების ქაფისაგან იშვა. იგი სიყვარულის და სილამაზის ღვთაებაა. მთელი ბუნება ემორჩილება მის ძალას, რომელიც განსაკუთრებით გაზაფხულზე იჩენს თავს ვარდყვავილებთან ერთად.

ზევსის ძეთა შორის აღსანიშნავი არიან აგრეთვე ომის ღმერთი ა რ ე ს ი და მისი ნებისყოფის მაუწყებელი ჰ ე რ მ ე ს ი. ზღვას განაგებს პ ო ს ე ი დ ო ნ ი, რომლის სასახლე ზღვის სიღრმეშია გამართული, საიდანაც ის აწესრიგებს ზღვის ღელვასა და ტალღათა დენას. გაზაფხულსა და ზაფხულში ა პ ო ლ ო ნ ი ტყითმოსილი ჰელიკონის ფერდობებზე, მაღალ პარნასზე და კასტალიის წმინდა წყაროსთან ფერხულს აბამს ცხრა მუზასთან. ეს მუზებია: კ ა ლ ი ო პ ე— ეპიკური პოეზიის, ე ვ ტ ე რ პ ე — ლირიკის, ტ ე რ პ ს ი ხ ო რ ე — ცეკვის, ე რ ა ტ ო — სასიყვარულო სიმღერათა, მ ე ლ პ ო მ ე ნ ე — ტრაგედიის, თ ა ლ ი ა — კომედიის, კ ლ ი ო — ისტორიის, უ რ ა ნ ი ა — ასტრონომიისა და პ ო ლ ი ჰ ი მ ნ ი ა — საღვთო ჰიმნების მუზა. მთელი ბუნება მოჯადოებული უცქერის მათ ფერხულს და უსმენს მათ სიმღერას. ხოლო როცა,აპოლონი მუზების თანხლებით ღმერთების ადგილსამყოფელზე — ბრწყინვალე ოლიმპოზე (ულუმბოზე) ჩნდება, იქ ყველაფერი ყუჩდება და სმენად იქცევა.

თავიანთ ღმერთებს ძველი ბერძნები ცოცხალ არსებებად წარმოიდგენდნენ და მათ საპატივცემოდ აღმართავდნენ საკურთხეველებს, რომლებზეც სწვავდნენ მიტანილ მსხვერპლს და აწყობდნენ დღესასწაულებს ჰიმნების გალობითა და ცეკვით. შემდგომში მათ იწყეს სამლოცველოებისა და ტაძრების აგებაც. ღვთისმსახურებას ხელმძღვანელობდნენ ქურუმები და ქურუმ-ქალები. ზოგადბერძნული სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული ისეთ ადგილებს, როგორიც იყვნენ ზევსის საკურთხეველი დოდონაში (ეპირში), აპოლონის საკურთხეველები დელფოში (ფოკიდაში), კუნძულ დელოსზე და სხვ. დოდონისა და დელფოს საკურთხევლები განთქმული იყო თავიანთი ორაკულებით. ჩვენ უკვე ვიცით, რომ დოდონაში „წინას-

წარმეტყველება“ წარმოებდა საღვთო მუხის ფოთლების შრიალისა და ნაკადულის რაკრაკის მიხედვით. დელფოში კი „წინასწარმეტყველებდა“ ქურუმ-ქალი პითია. ქალაქი დელფო გაშენებული იყო პარნასის მთის ძირში. ღმერთების ნებასურვილის შესატყობად ბერძნები მიემგზავრებოდნენ დელფოს და თან შესაწირავი მიჰქონდათ. იქ კლდის ნაპრალიდან გამოდიოდა თავბრუდამხვევი ანაორთქლი; ამ ადგილას იდგა სამფეხა სკამი, რომელზედაც ჯდებოდა პითია. ანაორთქლის ზეგავლენით და დაფნის ფოთლების ღეჭვით პითია ყვითლდებოდა და თავბრუდახვეული იწყებდა უაზრო სიტყვების წამოძახილს. მის გვერდით იდგნენ ქურუმები, რომლებიც პითიას ბოდვის მიხედვით ადგენდნენ პასუხს.

აპოლონის მისანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ბერძნების



სურ. 42. აპოლონის ტაძრის ნანგრევები დელფოში.

ცხოვრებაში. ყოველი საყურადღებო სახელმწიფო ღონისძიების გატარებისას საბერძნეთის ყოველი კუთხიდან მას შეკითხვებით მიმართავდნენ. მასთან შეკითხვებით მიდიოდნენ არაბერძენთა სახელმწიფოების წარმომადგენლებიც. აპოლონის ტაძრის დასაცავად წარმომდგარი იყო კავშირი (ამფიქტიონია), რომელშიც საბერძნეთის სხვადასხვა პოლისის წარმომადგენლები შედიოდნენ. დელფოს ამფიქტიონიას თანდათანობით ფართო მნიშვნელობა მიე-

ნიჭა. ის გადაიქცა არა მარტო ზოგადბერძნულ სარწმუნოებრივ გაერთიანებად, არამედ თავისებურ პოლიტიკურ კავშირად: იმართებოდა ამ გაერთიანების პერიოდული საერთო ყრილობა, რომელზეც მასში შემავალი ტომები თავიანთ დელეგატებს აგზავნიდნენ. ასეთ კრებებზე იხილავდნენ და აწესებდნენ საერთო ტომობრივი ურთიერთობის ნორმებს და აწესრიგებდნენ ბერძენთა პოლისებს შორის ატეხილ დავას.

საყურადღებოა აპოლონის მიერ დელფოს სამისნოს დაარსების მითი. საშინელი არსება პ ი თ ო ნ ი დიდად სდევნიდა და ავიწროებდა აპოლონის დედას ლატონას. აპოლონმა გადაწყვიტა მისთვის სამაგიერო გადაეხადა. ამაყად გაფრინდა აპოლონი იქითკენ, სადაც პითონის ადგილსამყოფი ეგულებოდა. მან მალე მიაღწია პითონის ბინას, რომელსაც გარს მაღალი კლდეები ერტყა; წყვდიადით იყო მოცული მისი ხეობა. გამოძვრა თავის ბუნაგიდან საშინელი პითონი. ქერქლით დაფარული მისი უზარმაზარი სხეული მრავალ რგოლად მოიკლაკნებოდა კლდეებს შორის; მთები და კლდეები ინძრეოდნენ მისი სხეულის სიმძიმის ქვეშ და ადგილიდან იძვროდნენ. პითონი ყველაფერს ანადგურებდა და გარშემო სიკვდილს თესავდა. შეშინებული გარბოდნენ ნიმფები და ყოველი ცოცხალი არსება. გააღო მან თავისი საშინელი ხახა და ის იყო აპირებდა ოქროსთმიანი აპოლონის შთანთქმას, მაგრამ აპოლონმა მას სეტყვასავით დააყარა ისრები და მოკლა ეს საშინელება. გაისმა გამარჯვებულის საზეიმო სიმღერა (პეანი). აპოლონმა პითონის სხეული იქ დამარხა, სადაც დელფო მდებარეობდა და აქ საკურთხეველი და ორაკული დააარსა.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, რომ საბერძნეთში ქურუმთა წრეს არ მიუღწევია ისეთი ავტორიტეტისათვის, როგორიც მან აღმოსავლეთის სახელმწიფოებში მოიპოვა. მაგრამ დელფოს ქურუმთა კორპორაცია კერძოდ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა.

ამას გარდა, მოსახლეობის შეძლებული წრეები ყურადღებას აქცევდნენ ტაძრების, როგორც ღმერთების სადგომების, გამშვენიერებასა და შემკობას, აგრეთვე ცნობილი სარწმუნოებრივი დღესასწაულების ბრწყინვალედ შესრულებას. ცნობილია, რომ კერძოდ ატიკაში 556 წელს დააარსეს პ ა ნ ა თ ე ნ ი ე ბ ი, რომლის დროსაც პისისტრატემ მუსიკალური შეჯიბრი (აგონი) დააწესა.

მიცვალებულთა კულტის შესრულებაშიც თავს იჩენს შესამჩნევი ხელგაშლილობა, რომლის წინააღმდეგ ზოგიერთ სახელმწიფოში განსაკუთრებულ ზომებსაც კი მიმართავენ, როგორც, მაგ., სოლონი ათენში, რომელიც სპეციფიკურ კანონს სცემს მის შესახებ. სპარტის საფლავის ქვები გვიხასიათებს მიცვალებულებს მდიდრულად

გამართული სამსხვერპლო მაგიდებით. მიცვალებულთა სახელებს საერთოდ აწერდნენ საფლავის ქვაზე და საყურადღებოა, რომ სპარტაში ასე იქცეოდნენ მხოლოდ ისეთ მიცვალებულთა მიმართ, რომელნიც სპარტისათვის ბრძოლაში დაიღუპნენ.

ჰომეროსის წარმოდგენა იმ აჩრდილისებურ მოჩვენებათა (εἴδωλα) შესახებ, რომლებშიც ადამიანები ცნობიერების გარეშე განაგრძობენ იმქვეყნად უსიხარულო არსებობას, ამ დროს უკვე აღარ აკმაყოფილებდა. ამიტომ ძლიერად აღძრული სურვილი იმქვეყნად ცნობიერი და ნეტარი ცხოვრების განგრძობისა, რომლის მინიჭება არ შეეძლო ოლიმპოს ღმერთებს, განსაკუთრებულ მზრუნველობასა. და თავშესაფარს პოულობს დემეტერისა და დიონისეს გლეხურ კულტებში. ამ ნიადაგზე წარმოიშვა თავისებური საიდუმლო კულტები (მისტერიები), რომლებიც მიზნად ისახავდა ნაკურთხთათვის უზრუნველეყო იმქვეყნად მარადიული სიცოცხლის სინამდვილე. ეს იყო, თუ გნებავთ, მთავარი აზრი ელევსინის მისტერიებისა, რომელთა ცენტრალურ პუნქტს წარმოადგენდა იმედით სავსე მითი პერსეფონეს მოტაცებისა და დემეტერის მიერ მისი კვლავ მონახვის შესახებ. ცნობილია, რომ დემეტერი მოსავლიანობისა და მიწათმოქმედების მფარველ ღვთაებად ითვლებოდა და მის საპატივცემოდ მთელ საბერძნეთში იმართებოდა დღეობები. მითის მიხედვით მისი ახალგაზრდა მშვენიერი ასული პერსეფონე გაიტაცა ზევსის ძმამ, მიცვალებულთა აჩრდილების მეუფემ აიდმა და დემეტერმა დიდი წვალების შემდგომ დააბრუნა თავისი ნატიფი ასული ქვეყნად. როგორც ამ კულტში ნაკურთხი საიდუმლოს (საკრამენტოს) საშუალებით „დედამიწის“ შვილი ხდებოდა, ისე დიონისეს კულტის ამოცანას შეადგენდა, წინააღმდეგ ძველი ტრადიციისა, მორწმუნეთა დაახლოება ღვთაებრიობასთან. ამ ორგიასტულ კულტში ამას აღწევდნენ ექსტაზის საშუალებით, რომელშიც ადამიანი, თითქოს, თავის თავიდან ამოსვლით (ἐξίστασθαι) უახლოვდებოდა ღვთაებას, ან საღვთო ცხოველის ხორცის ჭამის მეოხებით თავის თავში იღებდა თითქოს თვითონ ღმერთს (ἔνθεος, ἐνθουσιασμός — აქედან სიტყვა ენთუზიაზმი).

ამ დროის ყველა ასეთ მისწრაფებათა გათვალისწინებიდან უნდა იქნეს შეცნობილი ორფიკული სარწმუნოების წარმოშობა, რომელიც VII საუკუნიდან იწყებს განვითარებას, ხოლო VI საუკუნის ატიკაში უკვე გარკვეულ ფორმებს იღებს. ორფიკები თავის მოძღვრების წარმოშობას მითურ მომღერალს — მუზა კალიოპეს ვაჟს, ორფეესს უკავშირებდნენ. ამ თრაკიელი მომღერლის

სიმღერა, მითის თანახმად, ისეთი მომხიბვლელი იყო, რომ გარეული მხეცები მოჯადოვებული ისმენდნენ, წყლის მდინარება წყდებოდა და ტყე და კლდეები ადგილიდან იძვროდნენ და მომღერალს თან მისდევდნენ. ორფიკების სარწმუნოებას გამოცხადებული მოძღვრების პრეტენზია ჰქონდა და როგორც ასეთი, თითქოს ეწინააღმდეგება ბერძნულ თავისუფალ აზროვნებას და უფრო აღმოსავლეთის გამოცხადებულ სარწმუნოებას მოგვაგონებს. არსებობს მოსაზრება, რომ აღმოსავლეთმა ამ სარწმუნოების არა მარტო დოგმატურ მხარეზე, არამედ მისი კულტის შინაარსსა და ფორმებზედაც იქონია გავლენა. ორფიკის მთავარი მიზანი, რომელიც მისი მიმზიდველობის ძალას შეიცავდა იყო ის, რომ ყველა ადამიანისათვის, მონებისათვისაც კი, უზრუნველეყო სიკვდილის შემდგომ ნეტარი ცხოვრება იმქვეყნად. ადამიანის სული, რომელიც ამ მოძღვრების მიხედვით ნაწილობრივ ღვთაებრივია და ამიტომაც უკვდავიც, ამ ქვეყნად სხეულში როგორც სამარეში, ისე განისვენებს (აქედან — σῶμα σῆμα = სხეული სამარეა). იგი უნდა განიწმინდოს ცხოველების თუ ადამიანის სახით ხანგრძლივი ხეტიალით, ვიდრე არა მარტო კურთხევით, არამედ მრავალგზის უცოდველი ცხოვრების მეოხებით არ განთავისუფლდება ტყვეობისაგან და არ იპოვის შესავალს კრონოსის სამეფოში ნეტართა კუნძულზე; არანაკუთხთ და ცოდვილთ კი მისჯილი აქვთ წამება ჯოჯოხეთში.

ორფიკულ სარწმუნოებას განსაკუთრებულ მფარველობას უწევდა ათენის ტირანი პისისტრატე, მაგრამ მას სახელმწიფო სარწმუნოების მნიშვნელობა არ მოუპოვებია. მისმა ზოგიერთმა დებულებამ გავლენა იქონია ფილოსოფოსზედაც, მაგ., პითაგორზე და პითაგორული სკოლის მეოხებით პლატონზედაც. ხოლო საერთოდ ოფრიკების მოძღვრება ხალხის უფრო მდაბიო ფენებში იყო გავრცელებული და დიდხანს შეინარჩუნა თავისი გავლენა[144].

რამ გამოიწვია ასეთი გარდატეხა ბერძნების სარწმუნოებრივ შემეცნებაში? ამაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს გვაძლევს ცნობილი მკვლევარი გომპერცი[145]: „მისი წყარო ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ მოვიგონებთ მისი წარმოშობის ისტორიულ პირობებს. სარწმუნოებრივი კრიზისი სოციალური კრიზისის გამოძახილია, ერთ-ერთი შედეგია წოდებათა შორის ბრძოლისა, რომლითაც მოცული იყო VII საუკუნე და VI საუკუნის ნაწილი... ადამიანებმა, რომლებმაც წამება განიცადეს დამპყრობთაგან, ან მსხვერპლი გახდნენ სასტიკი ოლიგარქიული წესწყობილებისა, ალბათ, პირველებმა მიაპყრეს თვალი იმქვეყნიური ცხოვრების ნუგეშს და ღმერთებისაგან მოელოდნენ

სამაგიეროს ქვეყნად განცდილი უსამართლობისათვის. ყოველ შემთხვევაში ორფიკული მოძღვრება წარმოიშვა საზოგადოების არა ზედა, არამედ საშუალო ფენებში. სისხლისღვრისადმი სიძულვილი, რომელიც თვალსაჩინო როლს თამაშობდა ამ მოძღვრებაში, იმაზე მიგვითითებს, რომ მისი წარმომადგენლები ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებიც გულგრილად უცქეროდნენ სამხედრო დიდებას და რომელთათვისაც უცხო იყო სამხედრო გმირობა. სწორედ ასევე „სამართალს“ და „კანონს“ (Dike და Nomos), რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უკავია ორფიკულ პანთეონში, ჩვეულებრივად მოუწოდებდნენ დასახმარებლად სუსტნი და დაჩაგრულნი და არა ძლიერი და გავლენიანი პირები“.

გომპერცი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტირანმა კლისთენემ, რომელმაც გაანადგურა სიკიონში ძველი გვაროვნული არისტოკრატია, განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა დიონისეს კულტისადმი. ასევე შემთხვევითად არ მიაჩნია მას ის ამბავი, რომ ორფიკული სექტის დამაარსებელი ონომაკრიტე ათენში მივიდა და თავის ქადაგებაში პისისტრატიდების მფარველობა მოიპოვა.

პითონზე აპოლონის ზღაპრული გამარჯვების აღსანიშნავად დელფოში იმართებოდა აპოლონის საპატივცემო პითიის დღესასწაულები; ისინი უმთავრესად მუსიკალური შეჯიბრებისაგან შედგებოდნენ და მათ აგრეთვე გიმნასტიკური და ათლეტიკური ვარჯიშობები მიუმატეს. განსაკუთრებით ცნობილი და განთქმული იყო ძველ საბერძნეთში ოლიმპიის დღეობები. მათ აწყობდნენ ოლიმპიაში (ელიდაში) ზევს ოლიმპოელის საპატივცემოდ. ოლიმპიის დღეობაზე წარმოებდა სხვადასხვა სახის შეჯიბრება: მუსიკოსების, პოეტების, ორატორების, შეჯიბრება სირბილში, ჭიდაობაში, მუშტი-კრივში და სხვ. ასპარეზობა მიმდინარეობდა ზაფხულში და გრძელდებოდა ხუთ დღეს. დღეობის დროს აწყობდნენ ფართო ბაზრობას. გამარჯვებულთ ანიჭებდნენ დაფნის გვირგვინს და ქანდაკის დადგმის უფლებას. ასეთი ჯილდო უდიდეს ბედნიერებად მიაჩნდათ არა მარტო გამარჯვებულთ და მათ ნათესავებს, არამედ მთელ ქალაქს. ოლიმპიის დღეობებს ზოგადბერძნული მნიშვნელობა ჰქონდათ და საკმაოდ შესამჩნევი როლი ითამაშეს ბერძნული კულტურის განვითარებაში. ეს დღეობები იმართებოდა ყოველი ოთხი წლის თავზე და ამ მხრივ ყოველი ოთხი წელი ერთ ოლიმპიადას წარმოადგენდა. გადმოცემის თანახმად, პირველი ოლიმპიადა ძვ. წ. 776 წელს მოეწყო. ძვ. წ. IV—III საუკუნეებში ისტორიკოსმა ტიმეოსმა თავის შრომას საფუძვლად დაუდო დროის აღრიცხვა ოლიმპიადების მიხედვით და ამით, ძველი წელთაღრიცხვის ნაცვ-

ლად (არქონტ-ეპონიმების და ეფორების მიხედვით), საერთო ბერძნული წელთაღრიცხვა დააფუძნა.

მნიშვნელოვანი განვითარება განიცადა ბერძენთა პოლისებში მომხდარ ეკონომიურ და საზოგადოებრივ ცვლილებებთან შესატყვისად ბ ე რ ძ ნ უ ლ მ ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა მ. მის განხილვას ჩვეულებრივად ჰომეროსისა და ჰესიოდედან ვიწყებთ. მათ ჩვენ უკვე გავეცანით. ეპოსის თანამიმდევნოდ იწყება ლ ი რ ი კ უ ლ ი პ ო ე ზ ი ი ს, პოეტური შემოქმედების ახალი ფორმის, წარმოქმნა და განვითარება. მის განვითარებაზე გავლენა იქონია, სხვათა შორის, მუსიკამაც, რომელიც ლიდიისა და ფრიგიის ზეგავლენით მცირე აზიის ბერძენთა შორის გავრცელდა; მან შემდგომ საბერძნეთის სხვა კუთხეებშიც მოიპოვა ადგილი და ახალგაზრდობის აღზრდის სისტემაშიც იქნა შემოღებული. ახალი პოეტური შემოქმედების წინამორბედები ჩვენთვის უცნობი დარჩნენ. თუმცა მათი არსებობა და მოღვაწეობა უდავოდ უნდა მივიჩნიოთ.

ლირიკული პოეზიის საუკეთესო წარმომადგენლად ძველადვე ცნობილი არაკის — „მაიმუნი და მელა“—ავტორი ა რ ქ ი ლ ო ქ ე პ ა რ ო ს ე ლ ი (VII საუკუნის ნახევარი) მიაჩნდათ. მას ჰომეროსთან ერთად ხელოვნების არქეგეტად თვლიდნენ. როგორც მოქირავნე მეომარს, მას ბევრი უმოგზაურია და ბრძოლასა და ხეტიალში მრავალი გასაჭირი და მწუხარება განუცდია. იგი იძულებული ყოფილა პაროსელ კოლონისტებთან ერთად თასოსში გამგზავრებულიყო, მაგრამ სასურველი ცხოვრება ვერც იქ და ვერც „მშვენიერსა და ბედნიერ“ იტალიაში მოუპოვებია. თასოსელებთან ერთად მას მონაწილეობა მიუღია თრაკიის სანაპიროს დაუფლებისათვის ბრძოლაში. ერთი სიტყვით, მღელვარე და მოუსვენარი ყოფილა მგოსნის ცხოვრება. უბედობასა და ნივთიერ ხელმოკლეობას უიღბლო სიყვარულიც დართვია თან და ყოველივე ის, რაც მასში სიყვარულს თუ სიძულვილს იწვევდა, დიდი გატაცებით აღუბეჭდავს თავის ლექსებში. არა ადამიანთა ბედი საერთოდ, არამედ მხოლოდ პირადი განცდები კვებავდნენ მის შემოქმედებას, რომელიც მისი ინდივიდუალური ცხოვრების მაჯისცემის გამოძახილს წარმოადგენდა. მის შესახებ კარგად თქვა ბ ე ლ ო ხ მ ა: „ამრიგად, იგი იყო პირველი ბერძენი, რომელიც ჩვენს წინ დგას სრული თავისი ინდივიდუალობით, როგორც ადამიანი ხორცისა და ძვლისაგანო“ („So ist er der erste Grieche, der in seiner vollen Individualität, als Mensch von Fleisch und Bein, vor uns steht“)[146]. მისი პოეტური სამემკვიდრეო მხოლოდ ბიზანტიის ეპოქაში დაიკარგა.

უფრო ნაკლებად სუბიექტური იყო VII საუკუნის პირველი ნახევ-

რის პოეტ კ ა ლ ი ნ ო ს ე ფ ე ს ე ლ ი ს შემოქმედება, რომელსაც უმეტესად მებრძოლი მოტივები ახასიათებდა. ამის მიზეზი კი იმ ისტორიული პირობებით უნდა ავხსნათ, რომელშიც მოუხდა ცხოვრება კალინოს. მისი სამშობლო—ეფესო იმ ხანებში ბრძოლას აწარმოებდა მაგნესიასთან, რომელიც მაგნესიის დაცემით დამთავრდა. ამ ბრძოლის დროს კალინოსი ცდილობდა თავისი ლექსებით სიმამაცის გრძნობა აღეძრა თანამოქალაქეებში. შემდგომში დაიწყო კიმერიელების შემოსევა. როგორც ჩანს, ეფესელებს მაინცდამაინც კარგად ვერ გაუთვალისწინებიათ ამ შემოსევის განსაცდელი და კალინოსი კვლავ მიმართავს მათ ელეგიებით, რომლებშიც მოუწოდებს მათ საშინელ მტერთან დაუნდობელი ბრძოლისაკენ, რადგან, მისი აზრით, სამშობლოსათვის სიკვდილზე უფრო მაღალი პატივი მოკვდავთათვის არ არსებობს. მისგან შემონახულია მხოლოდ ერთი პატრიოტული ლექსი.

თავის შემოქმედებით კალინოსთან ახლოს დგას ჩვენთვის უკვე ცნობილი სპარტის მგოსანი ტ ი რ ტ ე ო ს ი, რომელიც, როგორც სარდალი მესენიის მეორე ომში, ძვირფას ცნობებს გვაწვდის იმ დროის სპარტის მდგომარეობის შესახებ, რაზედაც საუბარი უკვე გექონდა. საყურადღებოა აგრეთვე მისი ცნობები მესენიელთა არსებობის დუხჭირი პირობების შესახებ, რასაც შედეგად მათი აჯანყება და ომი მოჰყვა. სამაგიეროდ, როგორც სპარტელი და გაბატონებული სოციალური წრის წევრი, 'იგი თავისი ლექსებით ცდილობს აღაფრთოვანოს სპარტელი მეომრები, რომ სრული გამარჯვებით დაამთავრონ ომი მესენიელების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, ამ ომის პროცესში წარმოშობილი შინაური მღელვარების დროს იგი თავის თანამემამულეთ ზომიერებისა და თანხმობისაკენ მოუწოდებდა და პოემაში დიდი ქებით ცალკე იხსენებდა სპარტის სახელმწიფო წყობილებასა და კანონებს, რომლებიც ომმა შეარყია და რომელთა დაცვას იგი ყოველი სპარტიატის უმთავრეს მოვალეობად თვლიდა.

ტირტეოსი ახალი მიმართულების პირველი პოეტი იყო საკუთრივ საბერძნეთში. ტირტეოსის სადაურობის შესახებ ძველადვე სხვადასხვა ვერსია არსებობდა. ათენური ვერსიის მიხედვით ტირტეოსი ატიკის მკვიდრი იყო; ასეთ აზრს გვაწვდიან ფილოსოფოსი პლატონი (Leges, I, 629), ორატორი ლიკურგოსი (c. Leocrat, 106) და სხვ. ძველად გავრცელებული ათენური ლეგენდის მიხედვით, მესენიის ომის დროს სპარტელებმა დახმარებისათვის მიმართეს ათენელებს. უკანასკნელებმა, მათი მასხრად აგდების მიზნით, გაუგზავნეს კოჭლი მასწავლებელი ტირტეოსი, მაგრამ დიდად მოტყუვდნენ თავის განზრახვაში, რადგან ტირტეოსი ნამდვილად დიდი პოეტი აღმოჩნ-

და, რომელსაც შეეძლო თავისი ლექსებით გმირული სული ჩაებერა სპარტელებში (Paus. IV, 15, 6). ამის მიხედვით, მაშასადამე, პირველი წარმომადგენელი ელეგიისა საკუთრივ საბერძნეთში ათენელი იყო და არა სპარტელი. ამ ვერსიის საწინააღმდეგოდ სპარტელებმა შექმნეს საკუთარი ვერსია, რომლის მიხედვით ტირტეოსი ნამდვილი სპარტელი იყო. თანამედროვე მეცნიერებაშიც ამ საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ერთი გამოჩენილი მკვლევარი აღნიშნავს ლექსიკოგრაფოს სვიდას ცნობას, რომ ტირტეოსი მილეტში დაიბადა, ე. ი. ის შემდეგ გასპარტებული მცირეაზიელი ბერძენი იყო, და იმ მოსაზრებით, თითქოს ძნელია იმის წარმოდგენა, რომ VII საუკუნის დასაწყისში შეიძლებოდა ყოფილიყო ან ათენში, ან სპარტაში პოეტური ფორმის უნაკლოდ მცოდნე პოეტი. გადაჭრით აღიარებს, რომ ტირტეოსი ჩამომავლობით მილეტელი იყო, ხოლო სპარტაში გადასახლების შემდეგ მან აქ მიიღო მოქალაქის უფლებები. მაგრამ ძნელია ასეთი მოსაზრების გაზიარება. ჩვენ უკვე გავეცანით სპარტის სოციალურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას და მის განსაკუთრებულ კარჩაკეტილობას და წარმოუდგენლად მიგვაჩნია მცირე აზიიდან, თუ ათენიდან გადმოსახლებულ პოეტს სპარტაში მოქალაქეობის უფლებები მოეპოვებინა, ე. ი. სპარტიატთა წრეში მომხვდარიყო, რომლებიც განსაკუთრებული სიჯიუტით და თავგამოდებით იცავდნენ თავისი წრის შეურევლობას და, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, სარდლის ღირსებისათვისაც კი მიეღწია. ამას გარდა, თავის ელეგიებში ტირტეოსი სპარტის წყობილებისა და ინტერესების ისეთ ერთგულ დამცველად გვევლინება, რომ თავისთავად ააშკარავებს წმინდა ძველი სპარტელის ბუნებას. ამიტომ უნდა უარვყოთ ტირტეოსის როგორც ათენელობა, ისე მცირეაზიელობა, და იგი გარკვეულად სპარტის მკვიდრად უნდა მივიჩნიოთ[147].

VII საუკუნის დასასრულს ათენის ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ ს ო ლ ო ნ მ ა ატიკურ ნიადაგზე გადმონერგა ელეგია და თავის ლექსებში თვალწინ გადაგვიშალა ატიკის VI საუკუნის მებრძოლი ჯგუფების განწყობილება და მის მიერ გატარებულ რეფორმათა რაობა. იმავე დროს იგი ცდილობს თავი იმართლოს იმ ბრალდებათაგან, რომლებსაც მას უყენებდნენ როგორც მტრები, ისე მეგობრები. ამ მხრივ, იგი ბერძნების უძველეს პუბლიცისტად გვევლინება.

ს ო ლ ო ნ ი ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეებთან — პერიანდროს კორინთელთან, პიტაკოს მიტილენელთან და სხვებთან ერთად „შვიდი ბრძენის“ წრეში იქნა ჩარიცხული. სოლონის ლიტერატურული შემოქმედება არ შემოიფარგლებოდა მარტო მისი პოლიტი-

კური მოღვაწეობის თემებით. მას ეკუთვნის აგრეთვე დიდი ელეგია, რომლის სათაური შემდგომში ასე აღნიშნეს: „თავის თავისადმი". მასში პოეტი განიხილავს ადამიანთა მისწრაფებებსა და ბედიღბალს. ჰეროდოტემ შემოგვინახა თქმულება სოლონის ლიდიის მეფე კრეზთან შეხვედრის შესახებ: მედიდურია და უაღრესად კმაყოფილი თავისი სიმდიდრით მეფე, ბრძნულად წინდახედულია და თავშეკავებული სოლონი; მას ღრმად სწამს, რომ არ შეიძლება ადამიანს სიკვდილამდე ბედნიერი ეწოდოს. ეს მწარედ განიცადა თვითონ კრეზმაც, როცა იგი სპარსელებმა დაატყვევესო.

არქილოქეს შემოქმედების დიდაქტიკურ ელემენტებს ვამჩნევთ მისი თანამედროვე იონელი პოეტის სიმონიდე სამოსელის ლექსებში. სიმონიდე თავისი თემის შესამჩნევი წევრი იყო და კუნძულ ამორგოსზე ახალშენის დაარსებაში მონაწილეობდა. მისი ლექსები პოლიტიკურსა და მოქალაქეობრივ მოტივებს არ შეიცავს. მის შემოქმედებაში ჭარბობს პესიმისტური ჰანგები ადამიანის ცხოვრების ცვალებადობის შესახებ. მისი პოეზიის მოწოდებაა სიცოცხლის სიკეთით დატკბობა, სანამ შესაძლებელია. დიდაქტიკური ფოლკლორის ტრადიციის გამომსახველია სიმონიდის იამბიკური სატირა ქალებზე. მასში მოცემულია ქალების ხასიათის კლასიფიკაცია მათი სხვადასხვა ცხოველებისა თუ სტიქიისაგან წარმოშობის მიხედვით: ღორისაგან წარმოდგა ბინძური, ძაღლისაგან — ცნობისმოყვარე და ყბედი, ზღვისაგან — კაპარჩხანა და ა. შ. ქების ღირსია მხოლოდ ის ქალი, ვინც ფუტკრისაგან წარმოიშობაო.

განცხრომის მოტივების შემდგომ განვითარებას ადგილი აქვს იონელი პოეტისა და მუსიკოსის მიმნერმოსის (მიახ. 600 წ.) შემოქმედებაში. ძველად იგი მიჩნეული იყო სიყვარულის პირველ პოეტად, სასიყვარულო ელეგიის შემოქმედად. ძველი ცნობების მიხედვით, იგი უმღეროდა სიყვარულს ფლეიტაზე დამკვრელი ქალის ნანოსადმი. უკანასკნელ დროს გამოირკვა, რომ მას ამ ნანოსთვის მიუძღვნია დიდი პოემა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

თეოგნიდე მეგარელი თავის ელეგიებში მეგარის მოსახლეობას შორის VI საუკუნის მეორე ნახევარში წარმოშობილ ღრმა შინაურ მღელვარებას გვისურათებს, რაზედაც საუბარი უკვე გვქონდა. თეოგნიდეს ლექსები მიმართულია ყრმა კირნესადმი და აღსავსე არისტოკრატის დემოკრატიისადმი იშვიათი სიძულვილით. იამბოგრაფიის უკანასკნელ წარმომადგენლად ითვლებოდა ჰიპონაქსე ეფესოდან (VI საუკუნის მეორე ნახევარი), რომელიც განთქმული იყო თავისი სატირის მოურიდებლობითა და მახვილობით.

ეფესოში გაბატონებული ტირანების წინააღმდეგ გალაშქრებისათვის ის ეფესოდან იქნა გაძევებული.

სოლონის თანამედროვენი იყვნენ ლირიკული პოეზიის დიდი ოსტატები ლესბოსზე ალკეოსი და საპფო. ამაყი და შეურიგებელი არისტოკრატი ალკეოსი, როგორც დავინახეთ, ღრმად .ეაშკარავებს თავისი წრის დიდ უკმაყოფილებას ახალი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების მიმართ და პესიმისტური განწყობილებით უცქერის მომავალს, მაგრამ ამავე დროს უგალობს ცხოვრებით დატკბობის სიხარულს. ალკეოსი ყურადღებას აქცევს საგარეო პოლიტიკის თემატიკასაც. იგი იცავს ეოლიელების უფლებას მათ შიერ დაახ.

სურ. 43. ალკეოსი და საპფო.

ძვ. წ. 700 წელს დაკავებულ ტროაზე და მისი ლექსების ნაწილი დაკავშირებულია „აქილევსის მიწასთან" და ტროას ომის გმირების მითებთან. ამ ადგილის ათენელებისაგან დაცვის ბრძოლაში პოეტი პირადად იღებდა მონაწილეობას.

თავისი შემოქმედებით ალკეოსზე მაღლა იდგა განთქმული პოეტი ქალი საპფო.

მის ლექსებში ცენტრალური ადგილი მიეკუთვნება ქალს, რომელიც აღგზნებულია სიყვარულის ენებით და იტანჯება ეჭვიანობის ალით. ახალგაზრდა ქალი შედარებულია ბაღში გაფურჩქვნილ ვარდთან, ღაჟღაჟა ვაშლთან და სხვა მსგავს ბუნებრივ მოვლენებთან. სიყვარულის ქალღმერთ აფროდიტესადმი მიძღვნილ ოდაში საპფო ემუდარება მას, ნუ გააწამებს მის გულს სიყვარულის ცეცხლით, არამედ ჩამოვიდეს მასთან თავის ეტლში და განკურნოს მისი გვემული სული. საერთოდ საპფოს პოეტურ შემოქმედებაში ჭარბობს მწუხარე მოტივები, რომლებიც მის პოეზიას მელანქოლიისა და პესიმიზმის ელფერს ანიჭებს[148].

საპფოს განსაკუთრებული სიყვარული და ინტიმობა აღსაზრდელად მიბარებული ახალგაზრდა ქალების მიმართ შემდგომ საუკუნეებში სამარცხვინო ცდების ობიექტი გახდა, რომ ასეთ ურთიერთობაში რაიმე უზნეო ელემენტები შეეცნოთ. მაგრამ ასეთი ცდების წინააღმდეგ გარკვეულად ლაპარაკობს მისი მშვენიერი პოეზია, რომელშიც არ მოიპოვება არც უგვანო აზრები და არც დაბალი ხარისხის გამოთქმები. თითქოს საპფოს ცილისმწამებელთა საპასუხოდ შენახულა VI საუკუნის ეგრეთ წოდებული მიუნქენის ვაზა, რომელზეც დასურათებული ალკეოსი თავმოხრილი დგას მაღალი ქალის წინ. ფილოსოფოსი პლატონი საპფოს მეათე მუზად აღიარებდა. გარდა სასიყვარულო ლირიკისა, საპფო ცნობილი იყო თავისი ეპითალამიებით (საქორწინო სიმღერებით), რომლებშიც ბერძნული ქორწინების სხვადასხვა წესია გადმოცემული.

ძვ. წ. VI საუკუნის დასასრულს ა ნ ა კ რ ე ო ნ ი ს წყალობით პიროვნული ლირიკა ახალ გაფურჩქვნას განიცდის. ანაკრეონი იძულებული იყო მიეტოვებინა თავისი სამშობლო — იონიის ქ. ტეოსი, რომელიც სპარსელებმა დაიპყრეს. იგი დიდხანს ცხოვრობდა სამოსის ტირან პოლიკრატეს კარზე, ხოლო როცა ეს უკანასკნელი სპარსელებმა სიკვდილით დასაჯეს, ანაკრეონი ათენში გადასახლდა. მაგრამ მალე იქაც ტირანია დამხობილ იქნა და მან თავშესაფარი თესალიის მეფეებს შორის იპოვა. ბოლოს დაბრუნდა თავის ქალაქში, სადაც 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. ძველად ანაკრეონს საპფოზე და ალკეოსზე არანაკლებ დიდ პოეტად თვლიდნენ. ხოლო მისი პოეზიის განსაკუთრებული თვისებების გამო ხალხის ფართო წრეებისათვის ის უფრო ახლობელი იყო, ვიდრე სხვა ცნობილი პოეტები. სიმკვირცხლე, სიცხადე და სიმარტივე წარმოადგენდა ანაკრეონის პოეზიის ძირითად თვისებებს; თითქმის ღმერთებისადმი მიმართული მისი ჰიმნებიც კი სიმსუბუქითა და ლაზათიანობით განირჩეოდნენ. მისთვის საკვლევით უცხო იყო პოლი-

ტიკა, ომი და ცხოვრების მღელვარება. მას იტაცებდა პოეზია, სიყვარული და მხიარული დროსტარება. მისი პოეტური შემოქმედება სამი მოტივის გარშემო ტრიალებდა.

VII—VI საუკუნეებში შემდგომი განვითარება განიცადა გუნდურმა (ხორიკულმა) სიმღერებმა, რომელთაც თავიდანვე მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სარწმუნოებრივ კულტთან. ხორიკული ლირიკის შემადგენელია სამი ელემენტი: მითი, რომელსაც თან მოსდევს დიდაქტიკური ელემენტი, ჭკუის დამარიგებელი ფიქრები სარწმუნოებრივსა და ზნეობრივ თემებზე და. დასასრულ, პოეტისა თუ გუნდის სახელით პირადული გამოთქმები. ამ სამი ელემენტის შეხამებას მიაწერენ ალკმანს (VII საუკუნის მეორე ნახევარი). ჩამომავლობით იგი მცირე აზიელი ბერძენი იყო, მაგრამ მისი მოღვაწეობა სპარტაში მიმდინარეობდა. ალკმანს შეუქმნია სხვადასხვა ჰიმნი, რომელთაგან მხოლოდ მცირე ციტატებია შემონახული. მასვე მიეკუთვნება ეგრეთ წოდებული „პართენიები" — ქალიშვილთა გუნდის ჰიმნები.

დიდი ამაგი დასდეს აგრეთვე ამ დარგის ლირიკის განვითარებას სიცილიელმა პოეტებმა სტესიქოროსმა და იბიკოსმა.

VI საუკუნის მეორე ნახევარში გუნდურ ლირიკაში განსაკუთრებული ადგილი მიენიჭა ენკომიებს ანუ ეპინიკიებს და თრენოსს („ტირილს"). პირველი ჟანრი ცოცხალი ადამიანების, ხოლო მეორე მიცვალებულთა ქება-დიდების შესხმას წარმოადგენდა. დიდი დამსახურება მიუძღვის გუნდური ლირიკის განვითარებაში მრავალმხრივი შემოქმედების პოეტს სიმონიდეკეოსელს (556—468). იგი იყო ოსტატი შეკუმშული ლირიკული ლექსებისა და მას ძველადვე მიაწერდნენ მრავალ ეპიგრამას ბერძენ-სპარსელთა ომის თემებზე, მათ შორის თერმოპილთან დაღუპული სპარტელების საფლავის წარწერას:

„მგზავრო, წადი ამცნე ჩვენს მოქალაქეთ ლაკედემონში, რომ, მათი მცნების დამცველნი, ჩვენ აქ დავიხოცენითო".

სიმონიდეს სრულ დაპირისპირებას წარმოადგენდა საზეიმო გუნდური ლირიკის კლასიკოსი თებელი პინდარე (518—442). იგი იყო უკანასკნელი გამოჩენილი მომღერალი ძველი ბერძნული არისტოკრატიისა. ახალგაზრდობიდან იგი დაკავშირებული იყო დელფოსთან და მისმა სარწმუნოებრივმა სისტემამ დიდი გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. პინდარეს ლექსებში წარმოდგენილია გუნდური ლირიკის სხვადასხვა სახე: ჰიმნები, პეანები (აპოლონის საპატივცემო), ენკომიები, თრენოსები და ა. შ. განსაკუთრებით გაითქვა მან სახელი ბერძენთა ცნობილ დღეობებზე გამარჯვებულთა სა-

პატივცემო სიმღერებით. აღსანიშნავია, რომ ბის შემოქმედებაში უკვე გარკვეულად მოჩანს რაციონალიზმი, რომელმაც უფრო გარკვეული გამოსახულება იონიის ნატურფილოსოფოსების პოეზიაში ჰპოვა.

VI საუკუნეშივე უნდა ვეძიოთ ატიკური ტრაგედიის წინამორბედი ელემენტები, რაზეც საუბარი თავის ადგილას გვექნება.

საერთო კულტურულ წინსვლასთან ერთად მოწინავე ბერძნულ პოლისებში, განსაკუთრებით ახალშენებში, უმთავრესად კი იონიაში საფუძველი ჩაეყარა ბერძნულ მეცნიერებასა და ფილოსოფიას. იონია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ძველი აღმოსავლეთის კულტურულ ქვეყნებთან; მან უხვად ისარგებლა და კრიტიკულად გადაამუშავა ის უმდიდრესი კულტურული საგანძური, რომელიც მათ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შექმნეს. პირველ ბერძენ ფილოსოფოსებს ნატურფილოსოფოსები ეწოდება; ისინი იყვნენ ასტრონომები და მათემატიკოსები, რომლებიც იკვლევდნენ ბუნებას, ქვეყნის წარმოშობასა და განვითარებას. მართალია, ბუნებას ისინი ზოგადად იკვლევდნენ, არა დანაწევრებისა და ანალიზის გზით, და პირდაპირ ისეთ პრობლემიდან იწყებდნენ, როგორიცაა მსოფლიოს დასაბამის (ἀρχή) საკითხი, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ბუნების მითოლოგიური შეცნობა ადგილს უთმობს ფილოსოფიურ გაგებას, რომელიც ბუნების განვითარებას ღვთაებრივ ძალთა ჩაურეველ პროცესად წარმოიდგენდა, უკვე უდიდესი წინსვლა იყო კაცობრიობის ისტორიაში. ენგელსი იონელი ფილოსოფოსების მსოფლმხედველობას „პირველყოფილ სტიქიურ მატერიალიზმად" აბასიათებს[143]. ბუნების ისეთი, როგორიც ის არის, წარმოდგენა იონელთა აზროვნების უდიდესი მიღწევა იყო, რომელმაც თავისთვის ახალი ლიტერატურული ფორმა მოითხოვა და ბერძნული მხატვრული პროზის განვითარებასაც შეუწყო ხელი.

იონელ ფილოსოფოსთა შორის განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი იყო თალეს მილეტელი (624 — 597), რომელიც შეიძლება პირველ ბერძენ ფილოსოფოს-მატერიალისტად ჩაითვალოს. მსოფლიოს ძირითად ელემენტად ის წყალს აღიარებდა; წყალი არის, მისი აზრით, მთელი სამყაროს ცხოვრების წყარო. მიწა ცურავს ამ პირველყოფილ წყალში, რომელიც მთელ სამყაროს ავსებს, ცის ნასევარსფერო კი თაღს ჰქმნის მიწის ზედაპირზე. თალესი იყო არა მარტო ფიზიკოსი, არამედ მათემატიკოსიც. მან იწინასწარმეტყველა მზის დაბნელება ძვ. წ. 585 წელს, იცოდა ეგვიპტის პირამიდების სიმაღლის გაზომვა მათგან არეკლილი ჩრდილის მიხედვით, გაარკ-

ვია მეზღვაურობისათვის პატარა რვილის მნიშვნელობა. ბერძნები თალესს ისე დიდად აფასებდნენ, რომ იგი შვიდი ბრძენის წრეს მიაკუთვნეს. თალესს წერილობითი ნაწარმოებები არ დაუტოვებია.

ანაქსიმანდრემ (610—546) კი თავისი ფილოსოფიური თეორია პროზით დაწერილი დაგვიტოვა; მან პირველმა ამოვრა სპილენძზე გეოგრაფიული რუკა — πίναξ, რაც უდავო შედეგი უნდა იყოს ფართო საზღვაო და სახმელეთო ურთიერთობისა. მასვე მიაწერენ მზის საათის გამოგონებას, დედამიწის ბურთისებრიობის საკითხის წამოყენებასა და გეომეტრიის სისტემატური კურსის შედგენას. თავის თხზულებაში „ბუნების შესახებ“ სამყაროს დასაბამად ანაქსიმანდრე უსაზღვროს — აპეირონს (ἄπειρον) აცხადებს. ეს აპეირონი მუდმივ მოძრაობაში მყოფი პირველსტიქიაა. მისგან გამოიყოფა ორი დაპირისპირებული საწყისი — მაგარი და თხევადი, სითბო და სიცივე, რომელთაგან ნაირი კომბინაციების გზით წარმოიქმნება ყველა ხილული საგანი: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი.

მისმა მოწაფემ ანაქსიმენემ (585—525) გაურკვეველი პირველსტიქიის ადგილას ბუნების გარკვეული ელემენტი წამოაყენა — ჰაერი, როგორც ყოვლისშემცველი და შემაერთებელი საწყისი. მისგან წარმოიშობა ყველაფერი და მასშივე ყოველივე კვლავ ბრუნდება.

თავის დროისათვის ფრიად განსწავლული, სიცილიიდან გამოსული პირი, პითაგორე (580—500) ყოველივე არსის უმაღლეს საწყისად რიცხვს თვლიდა. მისი თეორიით მთელი ბუნება სხვა არა არის რა, თუ არა რიცხვებისა და სიდიდეთა კომბინაცია. მთელი ბუნება ცოცხლობს და იცვლება, მხოლოდ ერთადერთი რიცხვი მუდამ უცვლელი რჩება. მაშასადამე, რიცხვია ყველა ნივთის საფუძველი, სამყაროს პირველი წყარო.

ამრიგად, თუ ადრეულ ბერძნულ ფილოსოფიაში თალესი, ანაქსიმანდრე და ანაქსიმენე მატერიალისტური ტენდენციების წარმომადგენლებად გვევლინებიან, პითაგორეს ფილოსოფიური სისტემა იდეალისტური ტენდენციის გამოსახულებად უნდა ჩავთვალოთ.

შემდგომ განვითარებას ააშკარავებს ბერძნული ისტორიოგრაფიაც, რომლის პირვანდელ სამშობლოდ აგრეთვე იონიაა მიჩნეული. ჰეროდოტეს წინამორბედ პირველ ბერძენ ისტორიკოსებს ჩვეულებრივად ლოგოგრაფოსები ეწოდებათ. „ლოგოგრაფოსი“ სიტყვა-სიტყვით პროზით მწერალს ნიშნავს, „ლოგოს“ კი — დაწერილ მოთხრობას, ხოლო ეპოსი ზეპირ მოთხრობას გულისხმობს.

ლოგოგრაფოსთა ნაწარმოებები, რომელთაგან ჩვენამდე მხოლოდ

ფრაგმენტებმა მიაღწია, წარმოადგენს ადგილობრივ ქრონიკებს, სხვადასხვა ქალაქის დაარსების თქმულებებს, სხვადასხვა მხარის აღწერათ, გმირებისა და უძველესი დროის სახელგანთქმული მოღვაწეების გენეალოგიას და სხვ. მათ შესახებ ზოგადად უნდა ითქვას, რომ მათში მთავარი ყურადღება ლეგენდარულ ხანას აქვს მიქცეული და ისტორია არ არის ჯერ კიდევ გამიჯნული მითისაგან. ლოგოგრაფოსთა შორის ყველაზე უფრო ცნობილია ჰ ე კ ა ტ ე ო ს მ ი ლ ე ტ ე ლ ი, რომელიც თანამედროვე იყო იონელთა აჯანყებისა სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ. ჰეკატეოსს მრავალ ქვეყანაში უმოგზაურია და თავისი საგულისხმიერო დაკვირვებები გულდასმით აუწერია. იგი იყო არა მარტო ისტორიკოსი, არამედ გეოგრაფოსიც. მან დაგვიტოვა ისტორიული ნაშრომი „გენეალოგია“ ანუ „ისტორია“ (4 წ.) და „მიწის აღწერილობა“. ეს უკანასკნელი შეიცავდა ევროპის, აზიის და აფრიკის აღწერას და დართული ჰქონდა გეოგრაფიული რუკა (πίνακες). განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ჰეკატეოსი თავის მასალას ერთგვარი სიფრთხილით და კრიტიკულად უდგებოდა და მის დროს არსებულ მოსაზრებებს შერჩევით იხილავდა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ მის ნაწერებში დიდი ადგილი ზღაპრულ ელემენტებს ეკუთვნის. კერძოდ, ბერძენ-სპარსელთა ომების გათვალისწინებისა და გაშუქების დარგში, როგორც დავინახავთ, ჰეკატეოსის ცნობებს თავისი მნიშვნელობა აქვთ.

ისტორიკოსმა ჰ ე რ ო დ ო ტ ე მ კი, რომელმაც გვიანდერძა ბერძენ-სპარსელთა ომების აღწერა, წამოაყენა უდიდესი ისტორიული პრობლემა — აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობისა და მანვე პირველმა მიაქცია ყურადღება მომხდარი ამბების გამომწვევი საფუძველის გათვალისწინებას და ამიტომაც სამართლიანად მოიპოვა „ისტორიის მამამთავრის სახელწოდება“. ნამდვილ ისტორიულ კრიტიკას კი საფუძველი ჩაუყარა სახელოვანმა ისტორიკოსმა თ უ კ ი დ ი დ ე მ. ჰეკატეოსზე, ჰეროდოტესა და თუკიდიდეზე საუბარი უფრო ვრცლად სხვა ადგილას გვექნება.

აღნიშნული დიდი კულტურული მოძრაობა არ განისაზღვრებოდა მარტო იონიით. თუ საკუთრივ საბერძნეთი ამ მხრივ მას საგრძნობლად ჩამორჩებოდა, სამაგიეროდ მასთან ერთად მსგავს კულტურულ წინსვლას განიცდიდა ქვეძო იტალიის ზოგიერთი ბერძნული პოლისი: კროტონში მოღვაწეობდა ზემოთ მოხსენებული მათემატიკოსი პ ი თ ა გ ო რ ე, რომელმაც ერთ დროს იქ დააარსა საკუთარი სკოლა, რომლის შესახებ გ ო მ პ ე რ ც ი გრძნობით წარმოთქვამს: „მოკრძალებით ვიხრებით იმ ადამიანთა ნიჭის წინაშე, რომელ-

თაც პირველებმა მიგვითითეს ბუნების ძალთა ჩაწვდომისა და მათზე საბოლოო ბატონობის გზა“.

იტალიის ახალშენ ელეაში მოღვაწეობდა აგრეთვე ცნობილი მოაზროვნე — ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ე კ ო ლ ო ფ ო ნ ე ლ ი, რომელიც იძულებული იყო იონიის სპარსეთის პროვინციად გამოცხადების შემდეგ მიეტოვებინა თავისი პირვანდელი სამშობლო და იტალიაში გადასახლებულიყო. იგი დაცინვით უკუაგდებდა ოლიმპოს ღმერთებს და მათ „ყოფა-ცხოვრებას“. „ჰომეროსმა და ჰესიოდემ, — ამბობს იგი, — ღმერთებს მიაწერეს ყოველივე ის, რასაც ადამიანები უდიდეს სირცხვილად თვლიან: ქურდობა, მრუშობა და ურთიერთის მოტყუება“. „ადამიანები ფიქრობენ, რომ ღმერთები იბადებიან, ატარებენ ისეთსავე ტანსაცმელს და აქვთ ისეთივე გამომეტყველება და ხმა, როგორიც თვით მათ“; „ხარებსა და ლომებს რომ ხელები ჰქონდეთ და შეეძლოთ ხატვა და ქანდაკების შექმნა, როგორც ადამიანებს. მაშინ ცხენები ღმერთებს გამოსახავდნენ ცხენების მსგავსად, ხარები კი — ხარების მსგავსად“; „უბრალოდ არ ამბობდნენ ნეგრები, რომ მათი ღმერთები შავი და მოღუნულცხვირიანებია, ხოლო თრაკიელები — რომ მათი ღმერთები მტრედისფერთვალებიანი და ქერათმიანია“. ასეთი სიტყვებით ეხებოდა იგი თავისი დროის ბერძნულ სარწმუნოებას. თვითონ მახ კი ღვთაება წარმოდგენილი ჰყავდა პანთეისტურად ერთიან, აბსტრაქტულ და მსოფლიოსთან იდენტურ არსებად (ლურიე).

გარდამავალ ეპოქაში შემდგომი განვითარება განიცადა ბერძნულ-მ ა ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა მ ა ც, კერძოდ ხუროთმოძღვრებამ. წარმოიქმნა საარქიტექტორო ფორმათა ორი ძირითადი სისტემა: დ ო რ ი უ ლ ი და ი ო ნ უ რ ი. ამ სისტემების გამოვლინება პირველ რიგში ტაძართა ნაგებობაშია მოცემული. რაკი ძველი ბერძენი ღმერთებს ადამიანის თვისებებს მიაწერდა, იგი ისეთივე სახის და მასალისაგან აგებდა მათ ტაძრებს, როგორითაც თავის საცხოვრებელ სახლებს. მთელი სატაძრო შენობის ბირთვს წარმოადგენს ცელა (cela), დახურული სენაკი, სადაც ბინადრობს ღვთაება და სადაც დგას მისი გამოსახულება. დორიული ტაძარი არეკლავს ძველ ბერძენთა წარმოდგენას ტაძარზე როგორც ღვთაების სახლზე. ტაძრის წინა ფასადზე აღმართულია კულტის შესრულებისათვის განკუთვნილი საკურთხეველი. დორიული ტაძარი მარტივი და მტკიცე სტილით გამოირჩეოდა.

თუ VI საუკუნემდე ბერძნები ტაძრებს ხისაგან აგებდნენ, ამ საუკუნის დასაწყისიდან უკვე მხოლოდ ქვისაგან აშენებდნენ და ხეს მხოლოდ ჭერისა და სახურავის შინაგანი კონსტრუქციისათვის ხმარობდნენ. როდესაც ვეცნობით დორიული ტაძრების ნაშთებს, ისინი

გვაოცებენ თავისი კონსტრუქციის მტკიცე ლოგიკურობით, სიმარტივით და განზომილობით. დორიული ტაძრის ისტორია იწყება სამი ნაგებობიდან, რომელთაც დაახლოებით VII საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ. ესენია: ჰერას ტაძარი ტირინთში. არტემიდას

სურ. 44. დორიული სვეტის თავი.

მეორე ტაძარი სპარტაში და ტაძარი ორქომენში. ყველა ამ შენობას სიგრძეზე გაჭიმული ისეთი სწორკუთხედის ფორმა აქვთ, რომლის პატარა წინა ნაწილი მთავარი სადგომიდან (ნაოსი, ცელა) განცალკევებულია განივი კედლით და ქმნის ტაძრის კარიბჭეს (პრონაოსს). არსებობს მოსაზრება, რომ ტაძრის ასეთი გეგმა მიკენის მეგარონის ფორმის გავლენითაა წარმომდგარი. მაგრამ თუ ჰერას მეორე ტაძარი ოლიმპიაში კოლონადით იყო გარემოცული, VII საუკუნის დასასრულში მის შემცვლელ ჰერას მესამე ტაძარს დორიული ტაძრის უკვე სავსებით განვითარებული გეგმა ჰქონდა.

იონური სტილი განვითარდა VII საუკუნის დასასრულს, უმთავრესად მცირე აზიის დიდ სავაჭრო ქალაქებში. იონური ტაძრის დამახასიათებელი ძირითადი ხაზები ისეთივეა, როგორიც დორიული ტაძრისა, მაგრამ ხუროთმოძღვრულ ფორმათა სისტემა ერთგვარად სხვანაირია: იონური სვეტი დორიულზე უფრო მაღალი და მწყობრია, იონური ტაძარი თავისი რელიეფური ორნამენტით მარტივ და მტკიცე დორიულ ტაძართან შედარებით მეტი სიმსუბუქითა და მოკაზმულობით გამოირჩევა და გეგმის დამუშავებასა და შენობის გარეგან მორთვაში მეტ ნაირნაირობას იძლევა.

იონურ ტაძართა საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ: არტემიდეს მარმარილოს დიდი ტაძარი ეფესოში, რომელიც ააგეს ხუროთმოძღვრებმა ქერსიფრონესმა და მეტაგენესმა, დაახლოებით 550 წელს, და VI საუკუნის მეორე ნახევარში კირქვისა და მარმარილოსაგან აგებული ჰერას ტაძარი სამოსში. ათენში ჯერ კიდევ პისისტრატეს შვილების დროს დაუწყიათ ზევს ოლიმპოელის უზარმაზარი ტაძრის აგება, მაგრამ მშენებლობა ვერ დაუმთავრებიათ. ხოლო, როცა იონიის ქალაქებს სპარსელები დაემუქრნენ, მშენებლობა მცირე აზიასა და მახლობელ კუნძულებზე თითქმის შეწყდა, მაგრამ იონურმა სტილმა ფართო გავრცელება იწყო ევროპის საბერძნეთში. იონელი ხუროთმოძღვრები გვევლინებიან ლაკონიკაში, დელფოში, ათენში და იონური სტილი დორიული ტაძრების ფორმასა და მასალაზეც კი ახდენს გავლენას; ეს ჩანს, მაგ., ალკმეონიდების მიერ დელფოში აგებული აპოლონის ტაძრის კონსტრუქციაში.

ამასთან ერთად, VII საუკუნის მეორე ნახევარში წარმოქმნილმა მონუმენტალურმა ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა მ VI საუკუნეში მთელ საბერძნეთში ფართო გავრცელება მოიპოვა. იგი წარმოდგენილი იყო როგორც დეკორაციული ქანდაკების, ტაძართა ფრონტონების, მეტოპონების, ფრიზებისა და საფლავის რელიეფების სახით, ისე ცალკეულ ქანდაკთა ფორმით.



სურ. 45. იონური სვეტის თავი.

არქაულ პერიოდში ძერწვის რამდენიმე სკოლა არსებობდა და თითოეულ მათგანს თავისი ტრადიცია და მხატვრული მიმართულება ჰქონდა. ქვის ქანდაკების დასაწყისი VII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს უნდა მივაკუთვნოთ. ტრადიცია მას ჩვენთვის ცნობილი კრეტელი მხატვრის დედალოსის სახელს უკავშირებს. VI საუკუნის პირველი ნახევრიდან კი ქანდაკთა შემზადებისათვის ხმარობდნენ უკვე მარმარილოს, ხოლო სამ'ილ ტირან პოლიკრატეს დროს პირველად შემოიღეს მათი ჩამოსხმა ბრინჯაოსაგან. ჩვენამდე მოაღწია ქალიშვილებისა და ჭაბუკების რამდენიმე ათეულმა ქანდაკმა (კუროსები და კორები).

კუროსებისა და კორების თემა, მართალია, მთავარი იყო, მაგრამ ტიპების რაოდენობა თანდათანობით იზრდება. მუშავდება კუროსის ქანდაკის ვარიანტები, ფართოვდებიან ტანჩაცმული, მდგომი მამაკაცის ტიპები, მჯდომარე, მოსიარულე და მფრინავი ფიგურები, პირუტყვების, ზღაპრულ არსებათა (სფინქსების) და მეედრების გამოსახულებანი. ამ მხრივ განსაკუთრებულ გამჭრიახობას იჩენდნენ იონიისა და კუნძულების მოქანდაკეები. კუნძულ დელოსზე აღმოაჩინეს ბერძენ ქალღმერთის — ნიკეს ფრთებიანი ქანდაკი. საყურადღებო ცდას მჯდომარე მამაკაცის განსახიერებისას წარმოადგენს ბრანქიდების* VI საუკუნის ქანდაკები, რომლებიც ეგვიპტური წესით გამწკრივებული იყვნენ გზაზე მილეტიდან დიდიმასაკენ.

თავისებურ განვითარებას ააშკარავებს აგრეთვე ტანჩაცმული ქალების ფიგურები, განსაკუთრებით იონური წარმოშობისა. ეს იონური მიმართულება, რომელიც უმთავრესად ქიოსში განვითარდა, VI საუკუნეში თანდათან დიდ გავლენას აღწევს. პისისტრატე მრავლად იწვევდა ათენში იონელ ხელოვანთ, რომელთაგან, როგორც ვთქვით, ნაწილი მაინც ძველ სამშობლოს იყო მოწყვეტილი იონიაში სპარ-

---

* ბრანქიდები აპოლონის „შვილის" შთამომავლებად ითვლებოდნენ და მემკვიდრეობითი ქურუმები იყვნენ აპოლონის ტაძარში, მილეტის მახლობლად, დიდიმაში.

სელების ბატონობის გავრცელების გამო. მათ უდავო გავლენა იქონიეს ატიკის ოსტატებზე.

VI საუკუნის დასასრულისა და V საუკუნის დასაწყისის იონურ-ატიკური პლასტიკა ცნობილი გახდა ჩვენთვის ათენის აკროპოლისზე სისტემატური გათხრების მეოხებით, რომლებმაც გამოავლინეს ქალიშვილების მშვენიერი ქანდაკებები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარმარილოს შემოღება ქანდაკებაში აგრეთვე მეონიასა (ლიდიასა) და აღმოსავლეთ კუნძულებზე დაიწყო. აქ პირველად ხმარობდნენ ნაქსოსის მარმარილოს, შემდგომში კი გაცილებით უკეთესი ხარისხის პაროსის მარმარილოს; მეტროპოლიაში და დასავლეთ ახალშენებში ამ ახალმა მასალამ მხოლოდ თანდათანობით მოიკიდა ფეხი; ათენში მისი სრული გაბატონება პერიკლეს ეპოქაში მოხდა. VI საუკუნეში კი ჯერ კიდევ გაოცებას იწვევდა ის, რომ ალკმეონიდებმა 548 წელს დამწვარი აპოლონის პატარა ტაძრის ნაცვლად დელფოში აგებულ ახალ უზარმაზარ შენობას მარმარილოს ფასადი გაუკეთეს. იონიიდან იქნა გადმოღებული აგრეთვე ბრინჯაოს ჩამოსხმა. ბრინჯაოს პლასტიკამ დიდ განვითარებას მიაღწია პელოპონესში, განსაკუთრებით არგოსში. ბრინჯაოს უძველეს საკულტო ფიგურებს ეკუთვნის ამიკლეიონის აპოლონის კოლოსი, რომელსაც დააბ. 500 წ. ბათიკლე მაგნესიელმა განთქმული „ტახტი“ შეუქმნა.

მხატვრობა ამ ხანაში შენობათა და ქანდაკებათაგან მოცემული შთაბეჭდილების გაძლიერებას ან უფრო დამატებას ემსახურებოდა. ჩვენ გვაქვს ცნობები ამ დროის იონიის ზოგიერთი განთქმული მხატვრის შესახებ. ჩვენ მოგვეპოვება, მაგ., გადმოცემა (Herod., IV, 88). რომ მანდროკლე სამოსელმა, რომელმაც ბოსფორზე ხიდი ააგო დარიოსის სკვითებზე გალაშქრების დროს, თავისი ქალაქის ჰერას ტაძარში მოათავსა დიდი სურათი სპარსელების ხიდზე გადასვლისა. დიდი ყურადღება ექცეოდა ვაზების დასურათებას და ჩვენამდე ათასობით მოაღწია ასეთმა დასურათებულმა ჭურჭელმა საბერძნეთის სხვადასხვა ნაწილიდან, ახალშენებიდან და სავაჭრო მხარეებიდან და თითქმის ეტრურიიდან და ნავკრატისიდან. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი საექსპორტო საგანს წარმოადგენდნენ, რომელიც განსაკუთრებით ათენიდან გაჰქონდათ სხვადასხვა ქვეყანაში, ვიდრე სპარსეთის მიერ მცირე აზიის, ეგვიპტის და სხვა მხარეთა ოკუპაციამ ათენს ეს საშუალება არ შეუზღუდა. საერთოდ, ამ ხანაში ათენი უკვე დიდ სამეურნეო და კულტურულ განვითარებას განიცდიდა და მისი დასურათებული ჭურჭელი შორს უნდა ყოფილიყო განთქმული. საუცხოო ნიმუში სოლონის დროის ატიკური ვაზებისა არის ქიუზიში (ეტრურიაში) აღმოჩენილი ეგრეთ წოდებული ფრანსუას ვაზა მი-

სი ღრმა მითური სურათებით. ძველად პირველ ხანებში, როგორც ვიცით, ვაზების დასურათებაში გაბატონებული იყო გეომეტრიული სტილი. უფრო საყურადღებო ნიმუშები ასეთი ვაზებისა ნახულ იქნა ათენის სასაფლაოზე ეგრეთ წოდებული დიპილონის (Dipylon — ორმაგი ჭიშკარი) წინ, რისთვისაც მათ დიპილონის ვაზები უწოდეს. მაგრამ უკვე VIII საუკუნეში ჩანს ორიენტალიზირებული დეკორაციული სტილის გავრცელება, ხოლო VII საუკუნეში დაიწყო ვაზების მანამდე მთავარი ორნამენტული დეკორაციიდან ფიგურალურ დასურათებაზე გადასვლა, რომლის მასალას უმთავრესად ღმერთებისა და გმირების შესახებ თქმულებებიდან იღებდნენ. VI საუკუნის მეორე ნახევრამდე გაბატონებული იყო უმეტესად შავფიგურებიანი სილუეტური დასურათება, ხოლო ამ დროიდან კი ჩნდება წითელფიგურიანი ვაზები, რომლებიც შემდგომში პირველს აძევებს და დასურათების ტექნიკაში დიდ წინსვლას განიცდის. დასასრულ, ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ VI საუკუნიდან იწყება ასეთ საგნებზე იმ ოსტატების ვინაობის აღნიშვნა, რომელთაც ისინი შექმნეს. ეს ფაქტი, სხვათაშორის, ერთ-ერთ განმასხვავებელ ელემენტს წარმოადგენს საბერძნეთსა და აღმოსავლეთს შორის, სადაც, თითქმის, არ ასახელებდნენ მხატვარს, როგორც თავისი ნაწარმოების შემოქმედს[150].

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ბერძენ-სპარსელთა ომები

1. აქემენიანთა სპარსეთი

ძვ. წ. V საუკუნის დასაწყისში საბერძნეთის პოლისებს თავს დაატყდა უდიდესი განსაცდელი. სპარსეთის მეფის უამრავი ჯარი, რომელსაც შოლტებით მოერეკებოდნენ, შემოესია პატარა ელადას. ამ საბედისწერო მომენტში ბერძნები იცავდნენ თავიანთი ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. თუ ბერძნული პარტიკულარიზმის პირობებში ბერძნების სრული გაერთიანება არ მომხდარა, მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათენისა და სპარტის კავშირს. სპარსელების მოლოდინი, რომ ბერძნებში ადგილი ექნებოდა ღალატსა და ურთიერთშორის უთანხმოებას (Herod., VII, 101), მთლიანად არ გამართლდა. დელფოს სამფეხზე დაცული ყოფილა იმ 31 სახელმწიფოს სია, რომელთა გაერთიანებულმა წინააღმდეგობამ ბოლო მოუღო ბარბაროსების ზრახვებს (Herod., VIII, 82, Thuc., I, 132). ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა საშინელი განსაცდელი მიადგათ ბერძნებს, საჭიროა მოკლედ გავეცნოთ აქემენიანთა უზარმაზარ სახელმწიფოს წყობილებასა და ისტორიას.

აქემენიანთა სამფლობელო წარმოიქმნა ძვ. წ. VI საუკუნეში. მის დამაარსებლად ითვლება კ ი რ ო ს II ა ქ ე მ ე ნ ი დ ი (559—529), რომლის პიროვნების გარშემო მრავალი თქმულება წარმოქმნილა. ეს ლეგენდები ნაწილობრივ ჰეროდოტემაც შემოგვინახა.

კიროსს უწინარეს ყოვლისა დაუპყრია მიდია და ფართო დაპყრობითი პოლიტიკის გზას დადგომია.

მის სამეფოში შედიოდა სპარსეთი, ელამი, პართია, ჰირკანია, მიდია და შუამდინარეთის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამას გარდა, კიროსი ცდილობდა თავისი ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა მიდიის და ასურეთის მონარქიებში შემავალი ყველა მხარე. სპარსეთის ასეთმა გაძლიერებამ ძალზე შეაშფოთა მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ

ნაწილში მდებარე ლიდიის სახელმწიფო, რომელმაც ცნობილი კრეზის მეფობაში დიდ ძლიერებას მიაღწია. კრეზი დაუკავშირდა ბაბილონიისა და ეგვიპტის მეფეებს და კიროსის წინააღმდეგ ომი დაიწყო. მაგრამ სასტიკად დამარცხდა და თვითონაც ტყვედ ჩავარდა. კიროსმა, როცა ლიდია შემოიმტკიცა, იონელთა ქალაქებზე გაილაშქრა, რომ სპარსეთისათვის უზრუნველეყო ეგეოსის ზღვაში გასასვლელი. იონელთა ქალაქები დაქსაქსულად ებრძოდნენ მტერს და, რა თქმა უნდა, გამკლავება ვერ შეძლეს. მათ სცადეს დასახმარებლად სპარტისათვის მიემართნათ, მაგრამ სპარტამ უარი უთხრა. ჩვენ ვიცით, რომ ქ. ფოკეის თავზარდაცემული მოსახლეობა ხომალდებზე გადავიდა და იტალიას და კორსიკას მიაშურა. დანარჩენები კი სპარსელებს დაემორჩილნენ. ამრიგად, მთელი მცირეაზიური საბერძნეთი სპარსეთის მონარქიის შემადგენლობაში შევიდა. აღმოსავლეთით კიროსმა დაამხო ბაბილონიის სამეფო, დაიპყრო შუა აზია და სპარსეთის საზღვრებმა მდ. ინდოსს მიაღწია. საყურადღებოა, რომ კიროსის სამხედრო მსვლელობა დასავლეთით უფრო მშვიდობიანი ხასიათისა ყოფილა: მას აღუდგენია იერუსალიმი და ტყვეობიდან დაუბრუნებია იუდეველები, ფინიკიელებსაც მისი ძალაუფლება უბრძოლველად უცვნიათ. მას სურდა ფინიკიის ქალაქები მათი ფლოტით მოკავშირეებად გაეხადა უკანასკნელი ძლიერი მეტოქის ეგვიპტის წინააღმდეგ. მაგრამ იგი დაიღუპა 529 წელს კასპიის ზღვასა და სირდარიას შუა მდებარე ტერიტორიაზე მობინადრე მასაგეტებთან ბრძოლაში. ჰეროდოტე გადმოგვცემს ლეგენდას, რომლის თანახმად მასაგეტების მეფექალს ტომირისს უბრძანებია მოენახათ ბრძოლის ველზე მოკლული კიროსის გვამი, ჩაუშვია იგი თავით ადამიანის სისხლით სავსე ტომარაში და უთქვამს: „მე შენ გაგაძღობ სისხლით, როგორც შეგპირდიო“.

კიროსის სიკვდილის შემდგომ სახელმწიფოში დიდი მღელვარება დაწყებულა. თავისი მდგომარეობის განსამტკიცებლად მის უფროს ვაჟს კ ა მ ბ ი ზ ს (529—522) მოუკლავს ძმა ბარდია და ტახტი საბოლოოდ მიუსაკუთრებია. მას გადაჭრით გადაუწყვეტია ეგვიპტის დაპყრობა. ეგვიპტეში იმ დროს მეფობდა XXVI საისის დინასტია, რომელიც, როგორც ვიცით, ძირითადად ბერძენ მოქირავნეებზე ემყარებოდა. ეგვიპტის მოკავშირეებიდან ლიდია და ბაბილონია ჯერ კიდევ კიროსმა დაიპყრო, ხოლო კვიპროსი, პოლიკრატე სამოსელი და ბერძენ მოქირავნეთა სარდალი იონელი ფანეტოსიც კი კამბიზის მხარეზე გადავიდნენ. დიდ ჯარსა და მოკავშირეების ძლიერ ფლოტზე დამყარებით კამბიზმა შეძლო 525 წელს ეგვიპტის დაპყრობაც. ბერძენი ისტორიკოსები და ადგილობრივი ეგვიპ-

ტური წყაროები კამბიზს მეტად სასტიკ დამპყრობელად ახასიათებენ, თუმცა არის ისეთი ცნობაც, რომ კამბიზმა აღადგინა საისში ქალღმერთის ნეიტის ტაძარი, მიიღო ძველეგვიპტური სახელი და ეგვიპტის ფარაონის ტიტულიო.

კამბიზს განზრახვა ჰქონდა, დაეპყრო აგრეთვე კართაგო, ოაზისები და შორეული ეთიოპია. მაგრამ ფინიკიელთა ფლოტს უარი განუცხადებია თავის თანამემამულეთა — კართაგელების წინააღმდეგ ბრძოლაზე, ოაზისებში წარგზავნილი რაზმი უდაბნოს სილებში დაღუპულა და ვერც მთელი ეთიოპიის დაპყრობა მოხერხებულა. მხოლოდ კირენაიკას და მის მეზობელ მხარეებს უცვნიათ კამბიზის ძალაუფლება.

კამბიზის მეფობის უკანასკნელ წლებში სპარსეთის სახელმწიფო დიდ მღელვარებასა და ამბოხებათ მოუცავს. ეგვიპტეში კამბიზის ხანგრძლივი ყოფნით და წარმოქმნილი მღელვარებით უსარგებლია მიდიელ ქურუმთა წარმომადგენელს მაგს გაუმატას, თავი მოკლულ ბარდიად გამოუცხადებია, ხალხისთვის სამი წლით სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლება და გადასახადების შემცირება აღუთქვამს და თავის გარშემო მნიშვნელოვანი ძალები შეუკრებია. კამბიზი საჩქაროდ წამოსულა ეგვიპტიდან, მაგრამ გზაში გარდაცვლილა[1]. მთელი ეს მოძრაობა გადმოცემულია ცნობილ ბეჰისტუნის ზედწერაში, რომელიც გამოკვეთილია მაღალ კლდეზე ბაღდადიდან თეირანისკენ მიმავალ გზაზე. დარიოს I-ს (522—486), რომელიც აქემენიდების სამეფო სახლის მახლობელი ჩამომავალი იყო, ჩაუქვრია ამბოხება, მოუკლავს თვითმარქვია მაგი გაუმატა და სახელმწიფოში წესრიგი აღუდგენია. ბეჰისტუნის კლდეზე გამოკვეთილია რელიეფი, რომელიც გამოსახავს ერთ დამხობილს და ცხრა შებაწრულ თვითმარქვიას. მისი ზედწერა კი, რომელიც სპარსულ, ბაბილონურსა და ახალელამურ ენებზეა დაწერილი, დარიოს პირველის თავისებურ მანიფესტს წარმოადგენს. მას დიდი ღონისძიების გატარება დასჭირებია სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეში წესრიგის საბოლოო აღდგენისათვის. იგი თავის თავს ხალხის ისეთ მეგობრად აცხადებს, რომელიც თითქოს მოსახლეობის ფართო მასების ინტერესებზე ზრუნავდა: „საკურთხევლები, ამბობს იგი თავის მანიფესტში, რომლებიც მაგმა გაუმატამ დაანგრია, მე აღვადგინე (მე დავუბრუნე) ხალხს (მისი) საბალახოები, ქონება, საცხოვრისები, რომლებიც მათ მაგმა გაუმატამ წაართვა". რა თქმა უნდა, მისი განცხადება ცალმხრივი და გადაჭარბებულია. თუ თავის მეფობის დასაწყისში შექმნილი პირობების გამო დარიოსი იძულებული იყო ხალხის ინტერესებისათვის ზოგიერთი ღონისძიება გაეტარებინა, შემდგომში მან გა-

ნაგრძო იმ ძველაღმოსავლური დესპოტების ტრადიციული პოლიტიკა, რომლებიც მონათმფლობელურსა და მიწათმოქმედ არისტოკრატიას, მდიდარ ვაჭრებსა და ქურუმებს ემყარებოდნენ.

დარიოსს მიუსაკუთრებია „ქვეყანათა მეფის“ თუ „მეფეთა მეფის“ ტიტული. მის საფლავის ქვაზე მოთავსებულ ზედწერაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „თუ შენ იფიქრებ იმაზე, რამდენად დიდი იყო რიცხვი ქვეყნებისა, რომლებსაც დარიოსი ფლობდა, და იკითხავ ამის შესახებ — შეხედე იმათ გამოსახულებათ, ვინც მიეზიდება ჩემს ტახტს, და შენთვის ნათელი გახდება ეს“ [2]. ზოგჯერ სპარსეთის მეფეს „ყველა ადამიანის, მზის ამოსვლიდან მის ჩასვლამდე, მეუფეს“ უწოდებდნენ. მეფის ხელისუფლების განმტკიცების მიზნით ხალხს იმ აზრს უნერგავდნენ, თითქოს უმაღლესმა აჰურამაზდამ, რომელიც ზეცისა და დედამიწის შემოქმედად ითვლებოდა, დანიშნა სპარსეთის მეფე ქვეყნის მმართველად და ამიტომაც ყველა სპარსელმა მისი ერთგულების ფიცი უნდა მიიღოსო. სპარსეთის მეფეების პერსეპოლისის სასახლის კედლებზე გამოსახულია ადამიანები, რომლებიც ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოეზიდებიან ხარკს. დარიოს I თავისი სამეფოს უზარმაზარ სიდიდეს ასეთი სიტყვებით აღნიშნავდა: „დარიოსი, დიდი მეფე, მეფეთა მეფე, ქვეყანათა მეფე, ჰისტასპის ძე, აქემენიდი. შეფე დარიოსი ამბობს: „ეს სამეფო, რომელსაც ვფლობ სკვითიიდან, სოგდიანის უკან რომაა, კუშამდე *, ინდოეთიდან სარდამდე, მომცა მე აჰურამაზდამ, ღმერთებში უდიდესმა. დაე მფარვიდეს აჰურამაზდა მე და ჩემს ოჯახს“.

დარიოს I სპარსეთის სამეფო 23—24 სატრაპიად (ოლქად) დაყო. ეს სატრაპიები ჩამოთვლილია ბეჰისტუნის, ნაქში-რუსტამის და სუეცის ზედწერებში. მათი სია და ხარკი, რომელსაც თითოეული მათგანი სპარსეთის მეფეს უხდიდა, აღნიშნული აქვს ისტორიკოს ჰეროდოტესაც. თითოეულ ასეთ ოლქს განაგებდა სატრაპი. ეს ტერმინი წარმოქმნილია სპარსული სიტყვისაგან „ქშატრაპავან“, რაც მხარის ზედამხედველს ნიშნავს. სატრაპები მეფის მოადგილეები იყვნენ თავიანთ ოლქებში. მათ ვალად ედოთ დაეცვათ თავიანთ ოლქებში წესრიგი და ჩაეკრიბოთ ყოველგვარი ამბოხება. მათ ხელში იყო სისხლის სამართლისა და სამოქალაქო იურისდიქცია; ისინი უფროსობდნენ ოლქის ჯარებს და ზოგიერთს უფლება ჰქონდა საკუთარი გვარდიაც კი ჰყოლოდა. მათვე ეკუთვნოდათ საფინანსო-საგადასახადო ფუნქციები და ვალდებული იყვნენ, დაქვემდებარებული მოსახლეობისაგან გადასახადები შეეგროვებინათ და სამეფოს ხაზი-

* ე. ი. ეთიოპიამდე.

ნაში გადაეგზავნათ. სატრაპებს შეეძლოთ თავის ოლქში მოხელეების დანიშვნა-გადაყენება და მათი მოქმედების მეთვალყურეობა. ერთი სიტყვით, თითოეული სატრაპი თავისებურ პატარა მეფეს წარმოადგენდა და იშვიათი არ ყოფილა მათ ფრეში განდგომისა და სრული დამოუკიდებლობის მიდრეკილება. ამ მხრივ საქმეს მთლიანად ვერ შველოდა ის გარემოება, რომ დარიოსმა სატრაპების მოქმედების კონტროლისათვის განსაკუთრებული მეთვალყურეები დანიშნა. ისინი, როგორც მეფის თვალი და ყური, თვალ-ყურს ადევნებდნენ სატრაპების საქმიანობას. ხშირად ჩუმად ზვერავდნენ მათ მოღვაწეობას და ყოველივე შემჩნეულს და გამოკვლეულს მეფეს დაწვრილებით მოახსენებდნენ. დროგამოშვებით სატრაპს ეწვეოდა ხოლმე ჯარით მეფის მიერ წარგზავნილი განსაკუთრებული მოხელე და მისგან ანგარიშს მოითხოვდა. ცნობილია, რომ დარიოსის მიერ შექმნილ სატრაპიებში ქართველი ტომებიც შედიოდნენ და ერთ დროს სპარსელები ამიერკავკასიაშიც კი შემოჭრილან. კოლხებს და მათ მეზობლებს სპარსეთის მეფის სასარგებლოდ ხარკის გაღება უკისრიათ. დროგამოშვებით ისინი სპარსეთის მეფეს ტყვეებს უგზავნიდნენ და, რაც უფრო მძიმე იყო, მეფის მოთხოვნის შემთხვევაში მათ მონაწილეობა უნდა მიეღოთ სპარსელების ყველა ლაშქრობაში. ამიტომ საფიქრებელია, რომ, როცა სპარსელები საბერძნეთს შეესიენ, მათ ლაშქარში ქართველი მეომრებიც იყვნენ.

სახელმწიფოს მთლიანობისა და მისი საზღვრების დაცვის მიზნით დარიოსმა გაატარა ჯარისა და მთელი სამხედრო საქმის რეორგანიზაცია, რამაც ხელი შეუწყო სპარსეთის მონარქიის სამხედრო ძლიერების გაზრდას. სპარსეთის მეფე ყოველწლიურად თვითონ ათვალიერებდა და ამოწმებდა ჯარებს, ხოლო უფრო შორეულ სატრაპიებში ამას ასრულებდნენ მეფის მიერ სპეციალურად დანიშნული მოხელეები.

მეორე მხრივ, სამეფოს ცალკეულ კუთხეებს შორის რომ ეკონომიური კავშირი განმტკიცებინა და ამასთან ერთად ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის ხელი შეეწყო, დარიოსმა მთელი სახელმწიფოსათვის შემოიღო ფულის ერთიანი სისტემა, რომლის საფუძველს ოქროს მონეტა — დ ა რ ე ი კ ი წარმოადგენდა. ოქროს მონეტის მოჭრა მხოლოდ მეფის პრეროგატივაში შედიოდა, ხოლო ადგილობრივ მმართველთ და ქალაქებს მარტო ვერცხლისა და სპილენძის მოჭრის უფლება მიენიჭა. 3 ათასი დარეიკი შეადგენდა უმაღლეს ერთეულს — სპარსულ ტალანტს, ხოლო ხურდა ვერცხლის მონეტად სპარსული შეკელი ითვლებოდა, რომელიც დარეიკის 1/20 უდრიდა.

მთელი სახელმწიფოს სამეურნეო და საადმინისტრაციო ცხოვრე-

ბის კოორდინაციისა და აგრეთვე ვაჭრობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგზაო მშენებლობისა და კავშირის ფართო ორგანიზაციას. სპარსელები ჯარების გადაყვანის, ფოსტის გადაზიდვისა და სავაჭრო ქარავნებისათვის ფართოდ იყენებდნენ ძველ ხეთურ და ასურულ გზებს. მაგრამ ამასთან ერთად მათ ახალი გზებიც გაკეთებდათ. მთელი სამეფო დასერილი იყო ს ა მ ე ფ ო გ ზ ა ტ კ ე ც ი ლ ე ბ ი თ. გზები დაყოფილი იყო პარასანგებად (5 კლმ.) და ყოველ ოც კილომეტრზე მოწყობილი იყო სამეფო სადგური სასტუმროთი. ყველაზე დიდი გზა, რომელიც ეგეოსის ზღვას სპარსეთის ყურესთან აერთებდა, მიდიოდა სარდიდან სუზამდე. მასზე აგებული იყო 111 დიდი საფოსტო სადგური, მრავალი ხიდი და სიმაგრე. ყოველ სადგურში იმყოფებოდნენ სათადარიგო ცხენები. ამ გზებზე მიმოქროდნენ მეფის კურიერები, რომელთაც გადაჰქონდათ ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებანი პერიფერიებში და მოხსენებები პერიფერიებიდან ცენტრში. შეიძლება იმ დროს სარგებლობდნენ კიდეც კოცონების დახმარებით — ცეცხლის სიგნალიზაციით.

დარიოსის საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საზღვაო კომუნიკაციების საკითხს. ეგვიპტე რომ უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინა შუამდინარეთსა და ირანთან პირდაპირი საზღვაო გზით, დარიოსმა ბრძანა, დაემთავრებინათ ის სამუშაოები, რომლებიც ნილოსიდან მეწამულ ზღვამდე არხის გათხრის გარშემო ჯერ კიდევ ფარაონ ნეხოს დროს იქნა დაწყებული. მეორე მხრივ, ინდოეთის ოქროს მოპოვების მიზნით დარიოსმა განსაკუთრებული ფლოტი წარგზავნა სკილაქს კარიანდელის ხელმძღვანელობით, რომელსაც უნდა გამოეკვლია ინდოსის მდინარება და საზღვაო გზა ინდოსის შესართავიდან მეწამულ ზღვამდე. დარიოსის ასეთ მოქმედებაში მოჩანს მისი მისწრაფება, განემტკიცებინა სპარსელების გავლენა მისი სახელმწიფოს აღმოსავლეთ საზღვრებზე და ჩრდილოეთ ინდოეთის ფარგლებისათვის მიეღწია. იმ მიზნით, რომ დაუფლებოდა ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვაში გამავალ სრუტეებს და თავის სახელმწიფოს საზღვრები სკვითების თავდასხმისაგან უზრუნველეყო, 514 წელს დარიოსმა მოაწყო სკვითებზე გალაშქრება. დარიოსი დარწმუნებული იყო, რომ სკვითებზე გაიმარჯვებდა და ამით სპარსეთის ტერიტორიებს მათი შემოსევისაგან სამუდამოდ დაიცავდა. ამას გარდა, დამპყრობელს აშკარად იზიდავდა სკვითიის სიმდიდრე. ამ ლაშქრობის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა თრაკიის ოკუპაციაც მისი ოქროს ქვიშრობებით და ბოსფორის ხელში ჩაგდება, რაც სპარსეთის მეფეს საშუალებას მისცემდა შავი ზღვიდან მომავალ ყველა ხომალდისათვის კონტროლი გაეწია. დარიოსის ექსპედიციაში შედიოდა დიდძა-

ლი ჯარი და ფლოტი. ჯარის გადასაყვანად სამოსელმა ბერძენმა მანდროკლემ ბოსფორზე ხიდი ააგო, რომლითაც სპარსელი ჯარი ევროპის მხარეზე გადავიდა. თრაკია სპარსელებს უომრად დანებდა. დუნაიზე გადასვლისათვის სპარსელებმა აქაც ხიდი ააგეს, რომლის დაცვა დარიოსმა ბერძენ ტირანებს დაავალა. სკვითიაში ლაშქრობა ორ თვემდე გაგრძელდა და დარიოსმა ვოლგას მიაღწია. მაგრამ ეს ლაშქრობა თავისთავად უშედეგო აღმოჩნდა. დარიოსი იძულებული იყო ადგილზე დაეტოვებინა დაჭრილი და დაავადებული მეომრები და უკან გამობრუნებულიყო. მან თავისი ჯარი დუნაიზე გადმოიყვანა და აზიისაკენ გამოემართა. ევროპაში კი მან თავისი სარდალი მ ე გ ა ბ ა ზ ი დატოვა. მეგაბაზმა შეასრულა მეფის დავალება და ხანგრძლივი ომის შემდგომ დაიმორჩილა ადგილობრივი ტომები. თრაკია ოკუპირებულ იქნა და სპარსეთის სახელმწიფოს შეუერთდა. სპარსეთის მეფის ძალაუფლება მაკედონიის მეფე ა მ ი ნ ტ ა მ ა ც სცნო.

დარიოსის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს საბერძნეთის ყველა მხარის დაპყრობა შეადგენდა. ამ მიზნით მან საბერძნეთში წარგზავნა ექსპედიცია დემოდეკის მეთაურობით. ექსპედიციამ შემოიარა მთელი საბერძნეთი და თითქმის ტარენტამდე მიაღწია. თავისი მარჯვენა ფლანგი რომ გაემაგრებინა, დარიოსმა დაიპყრო ბარკე და ჩრდილოეთ აფრიკის ლიბიურ ნაპირას გამაგრდა. ჩრდილოეთ ფლანგზე, როგორც ვიცით, მან ბრძოლა დაიწყო სკვითებთან და თრაკიაში შეიჭრა. ამ ბრძოლის პროცესში დარიოსმა დაიპყრო თრაკია, ბიზანტიონი, სამოსი და ბერძნების რამდენიმე კუნძული, მიაღწია ეგეოსის ზღვის სანაპიროს და უშუალოდ შეეჯახა ბერძენ ტომებსა და პოლისებს. მეგაბაზის სამხედრო წარმატებებმა თრაკიასა და მაკედონიაში უფრო გააძლიერა დარიოსში საბერძნეთის სრული დამორჩილების სურვილი. თავის ადგილას ვრცლად გვექნება საუბარი იმაზე, თუ როგორ განვითარდა ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის დარიოსის დროს. ახლა სურათის სისრულისათვის გაკვრით შევეხებით დარიოსის მოადგილის ქ ს ე რ ქ ს ე ს (486—465) ყველა ბერძენი ტომის დამორჩილებისა და მთელ ხმელთაშუა ზღვის რაიონში სრული გაბატონების მსგავს განზრახვებს. ქსერქსეს ეს აზრი კარგად აქვს გადმოცემული ჰეროდოტეს, როცა იგი ქსერქსეს ასეთ სიტყვებს ათქმევინებს: „თუ ჩვენ დავიპყრობთ ათენელებს და მათ მეზობელ ხალხს, რომელსაც ფრიგიელი პელოპსის მიწა უკავია, მაშინ სპარსეთის მიწის ფარგლებს ზევსის ეთერამდე გადავწევთ. მზე მეტად აღარც ერთ მხარეს აღარ დამზერს ჩვენს საზღვრებს იქით: მე თქვენთან ერთად გავივლი მთელ ევროპას და

მთელ მიწას შევაერთებ. თუ ჩვენ აქ დასახელებულ ხალხებს დავიპყრობთ, მაშინ როგორც ამბობენ, მეტი აღარ დარჩება არც ერთი ქალაქი, არც ერთი ხალხი, რომელიც ჩვენთან ბრძოლას გაბედავს. ამრიგად, ჩვენ მონობის უღელს დავადგამთ როგორც ჩვენს წინაშე დამნაშავეთ, ისე უდანაშაულოთაც". ამ სიტყვებში ნათლად არის გამოთქმული ძველი სპარსეთის დესპოტიის სამხედრო-მტაცებლური პოლიტიკა. მაგრამ მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლის პოლიტიკამ სპარსეთის სახელმწიფო აუცილებელ კატასტროფამდე მიიყვანა[3]. გაერთიანებულმა საბერძნეთმა შეძლო გამკლავებოდა მტრის ურდოებს და თავგანწირული ბრძოლით დაეცვა თავისი მიწა-წყალი და თავისუფლება. ჰეროდოტეს გადმოცემით, სპარსელი დემარეტი ასეთი სიტყვებით აფრთხილებდა დესპოტ ქსერქსეს: „სიღარიბეს დასაბამიდან ჩვეულია ელადა, ხოლო მას მიემატა მხნეობა, რომელიც სიბრძნემ და ძლიერმა კანონებმა შექმნეს; ამ მხნეობის დახმარებით ელადა თავს იცავს სიღარიბისაგანაც და დამონებისაგანაც" (Herod., VII, 102).

2. ბერძენ-სპარსელთა ომის წყაროები: ჰეკატეოს მილეტელი, ესქილე, ჰეროდოტე

ვიდრე ამ უდიდესი ბრძოლის წარმოშობასა და განვითარებას შევეხებოდეთ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ძირითადი წყაროები, რომლებზე დამყარებითაც მას ვიხილავთ. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი ლოგოგრაფოსი ჰ ე კ ა ტ ე ო ს მ ი ლ ე ტ ე ლ ი (დაიბადა მიახ. 540 წელს), რომელიც იონელთა სპარსელების წინააღმდეგ ამბოხების თანამედროვე და მონაწილე იყო. ჰეკატეოსი ჩამომავლობით წარჩინებული გვარის წევრი და თავის ქალაქში ფრიად გავლენიანი პირი იყო. იგი დაკვირვებული და გამოცდილი პოლიტიკოსი იყო. მან კარგად იცოდა სპარსელების ნივთიერი და სამხედრო ძლიერება და ამიტომ თავის თანამოქალაქეებს ურჩევდა მათ წინააღმდეგ არ ამხედრებულიყვნენ. მაგრამ, როცა მას არ დაუჯერეს და ამბოხება სპარსელების წინააღმდეგ მაინც მოაწყვეს, ის ურჩევდა იონელთა კავშირის წევრებს, სამხედრო მიზნისათვის გამოეყენებინათ მილეტის მახლობლად დიდიმაში მდებარე აპოლონის ტაძრის საუნჯენი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სპარსელებს ხელში ჩაუვარდებათო. მაგრამ მოკავშირეებმა, ღვთაების შურისძიების ცრუმორწმუნე შიშით, ეს ბრძნული რჩევა არ განახორციელეს. ომის შემდგომ მსვლელობაში მან ურჩია იონელებს მიეტოვებინათ თავიანთი მხარე სპარსელებისათვის და თვითონ კი

სხვა ადგილას გადასახლებულიყვნენ, ხოლო მათ არც ეს რჩევა გაიზიარეს. ნათქვამი უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ჰეკატეოს მილეტელი ერთ-ერთი გონიერი და დარბაისელი ხელმძღვანელთაგანი იყო იონელთა კავშირისა და მისი ნაწერების ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტებს მნიშვნელოვანი ღირებულება აქვთ. ჰეკატეოსს შეუდგენია ორი ტრაქტატი: გეოგრაფიული — „დედამიწის აღწერილობა". რომელშიც მოცემული ყოფილა ცნობები ბერძნებისათვის იმ დროს ცნობილი ხალხებისა და ქვეყნების შესახებ, და მეორე ისტორიულ-მითოლოგიური ხასიათის ტრაქტატი — „გვარტომობითი". უკანასკნელი ასეთი სიტყვებით იწყებოდა: „ასე ამბობს ჰეკატეოს მილეტელი: „მე ვწერ ამას ისე, როგორც მე ჭეშმარიტად მეჩვენება, ვინაიდან ბერძნებს მრავალი მოთხრობა მოეპოვებათ და, როგორც მე მგონია, სასაცილონი". ჰეკატეოსი ცდილობდა ის „სასაცილო", ე. ი. მითოლოგიური თხრობები ახლებურად, სასწაულებრივი ელემენტის გარეშე გადმოეცა, თუმცა ამას ყოველთვის ვერ ახერხებს.

ბერძნულ მწერლობაში ჩნდება ფოლკლორული თხრობის ახალი — ნოველისტური ჟანრი, რომელშიც გმირებად ძველი მითოლოგიური ფიგურების ნაცვლად ისტორიული პირები გვევლინებიან. ნოველები მოუთხრობდნენ ძვ. წ. VI საუკუნის მნიშვნელოვან ისტორიულ მოღვაწეებზე: სპარსეთის მეფე კიროსზე, ლიდიის მეფე კრეზზე, სოლონზე, პისისტრატეზე. პოლიკრატე სამოსელზე. ისტორიკოსმა ჰეროდოტემ ფართოდ ისარგებლა ასეთი ნოველებით.

რა თქმა უნდა, ისეთი დიდი განმათავისუფლებელი ომი, როგორიც ბერძენ-სპარსელთა ბრძოლა იყო, არ შეიძლებოდა ხელოვნების ყურადღებისა და ასახვის გარეშე დარჩენილიყო. ძვ. წ. V საუკუნის საუკეთესო ბერძენმა მხატვარმა პ ო ლ ი გ ნ ო ტ ე მ მარათონის ბრძოლა, ეს ათენის დიდება, გამოსახა ერთს პორტიკზე, რომელიც ათენის მთავარ მოედანზე მდებარეობდა. ომის თანამედროვე პოეტები აქებ-ადიდებდნენ თავიანთ ეპიგრამებში იმ მამაც მეომრებს, რომელთაც თავი გასწირეს სამშობლოს თავისუფლებისათვის. პოეტი პ ი ნ დ ა რ ე დიდი აღფრთოვანებით აღწერდა ათენელების განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობას ბერძნული პოლისების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. უფრო გვიან ხ ე რ ი ლ ე სამოსელი, რომელმაც მიზნად წმინდა ისტორიულ თემატიკაზე გადასვლა დაისახა, ჰქმნის პოემას ბერძენ-სპარსელთა ომების შესახებ. ტ ი მ ო თ ე მ ი ლ ე ტ ე ლ ი (450—360) წერს პოემას — „სპარსელები", რომელშიც დასურათებულია სალამინის ბრძოლა, სპარსელების დამარცხება და ელადის მტერზე გამარჯვებას ქებადიდება აქვს მიძღვნილი. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნული

ტრაგედია დასაბამიდან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მითოლოგიურ ჰეროიკასთან, ომის ეპიზოდები და საერთო მსვლელობა მისი სიუჟეტის საგანიც გახდა. სპარსელების მიერ ძვ. წ. 494 წელს მილეტის დაპყრობის შემდგომ პოეტმა ფ რ ი ნ ი ქ ო ს მ ა დადგა თავისი ტრაგედია „მილეტის აღება". იშვიათი იყო ეფექტი: მთელი თეატრი აქვითინდა ბერძენთათვის ამ უაღრესად სამწუხარო შემთხვევის მხატვრული განსახიერების ხილვით. მაგრამ თვითონ ავტორი მაყურებელთა ასეთი განწყობილების შექმნისათვის დააჯარიმეს, სამაგიეროდ როცა 476 წელს დადგეს იმავე პოეტის ტრაგედია „ფინიკიელი ქალები", რომელშიც ბრწყინვალედ იყო წარმოდგენილი ელინების სალამინთან გამარჯვება და დიდებით მოხსენებული თემისტოკლე, ხალხმა იგი აღტაცებით მიიღეს და პოეტს დიდი სახელი მოუხვეჭა.



სურ. 46. ე ს ქ ი ლ ე.

472 წელს წარმოადგინეს დიდი ტრაგიკოსის ე ს ქ ი ლ ე ს (525 — 456) „სპარსელები". მისი სიუჟეტია ქსერქსეს გამოლაშქრება საბერძნეთზე. იწყება იგი სპარსელ უხუცესთა გუნდის გამოსვლით, უხუცესნი შეშფოთებულნი არიან ქსერქსესთან ერთად გამგზავრებული ჯარის ბედით; ისინი მძიმე წინათგრძნობით არიან მოცულნი. მათ წინათგრძნობას ემატება ქსერქსეს დედის, დედოფალ ატოსის სიზმარი, რომელიც მისახვედრ სიმბოლოებში მას სპარსელების ჯარის დამარცხებას უწინასწარმეტყველებს. მართლაც მალე ჩნდება მაუწყებელი, რომელიც დამსწრეთ აცნობს სალამინთან სპარსელების დამარცხების ამბავს. ატოსის დიალოგი გუნდის კორიფესთან და მაუწყებლის მოთხრობა არსებითად ათენის დემოკრატიის, სამშობლოს დამცველთა და ელინების თავისუფლების ხოტბაა. შემდგომ მოცემულია ამავე შემთხვევათა შინაგანი აზრის გამომჟღავნება სარწმუნოებრივი ინტერპრეტაციის მიხედვით. გუნდი სამარიდან იწვევს ქსერქსეს მამის, დარიოსის აჩრდილს, რომელიც სპარსელების შემ-

დგომ დამარცხებას წინასწარმეტყველებს და განმარტავს, რომ სპარსელებს უბედურება დაატყდათ თავს მათი ქედმაღლობის (ὕβρις) გამოო. ქსერქსემ თავისი ახალგაზრდული ზვიადობით უკუაგდო მამის ანდერძი და განიზრახა თვით ღმერთების დაძლევა. ბრძოლის ველზე დაღუპულ სპარსელთა სამაროვანმა უნდა მოაგონოს მომავალ თაობათ ის, თუ რამდენად დამღუპველია წრეგადასული ქედმაღლობაო. დარიოსი ურჩევს თავისიანებს, აღარასოდეს არ განაახლონ ომი ბერძნებთან. ამ რჩევას თავისი მნიშვნელობა აქვს: ამ ტრაგედიის დადგმის დროს მიმდინარეობდა დელოსის საზღვაო კავშირის ჩამოყალიბება და, მართალია, სპარსეთთან ომის ძირითადი ეტაპი ძლევამოსილად დამთავრდა, მაგრამ სპარსელები კიდევ ამზადებდნენ ბერძნების წინააღმდეგ ახალ საზღვაო ლაშქრობას. ალბათ, ესქილემ სწორედ ამიტომ გამოიყვანა კეთილი მრჩევლის როლში დარიოსი, რომლის, ქსერქსესადმი დაპირისპირებით, სრული იდეალიზაციაა მოცემული. ტრაგედიის უკანასკნელ სცენაში გამოდის თვითონ ქსერქსე და იწყება მეფისა და გუნდის საერთო გლოვა. ესქილე ღრმად ჩასწვდა ბერძენ-სპარსელთა ომის ისტორიულ მნიშვნელობას და მხატვრულად ასახა ბერძნების ჰეროიკა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ამავე დროს სპარსეთთან ომში მან ნათლად შეამჩნია ორი სისტემის — ელინურისა და აღმოსავლურის ურთიერთშორის შეჯახება. აღსანიშნავია, რომ სპარსელ ხალხს იგი ყოველგვარი მტრული განწყობილების გარეშე გვისურათებს და ის ქსერქსეს უგუნური მოქმედების მსხვერპლად მიაჩნია. ესქილე სპარსელების დამარცხების მიზეზად, უწინარეს ყოვლისა, მათ მიერ ღმერთების ვერაგულ მოტყუებასა და შეურაცხყოფას თვლიდა: სპარსელებმა ღმერთების სასტიკი სასჯელი იმიტომ იწვნიეს, რომ ისინი ძარცვავდნენ და წვავდნენ ბერძნული ღმერთების ტაძრებსო. მაგრამ მას არც მათი წყობილების ღრმა განსხვავება დავიწყებია: სპარსელებში დესპოტია ბატონობს, ისინი მეფის, მათი ბატონის, მონები არიან; ბერძნებში კი თავისუფლება სუფევს, „ისინი რომელიმე კაცის არც მონებად და არც ქვეშევრდომებად არ იწოდებიან“ [4].

ამრიგად, ფრიად მნიშვნელოვანი განსახიერება ჰპოვა ბერძენ-სპარსელთა ომებმა როგორც ხელოვნებაში, ისე სიტყვაკაზმულ მწერლობაში, მაგრამ ამ ომებს თავისი ღირსეული ისტორიკოსიც უნდა მოეპოვებინა. და ასეთი ისტორიკოსი იყო ჰ ე რ ო დ ო ტ ე ჰ ა ლ ი კ ა რ ნ ა ს ე ლ ი. ჰეროდოტე დაიბადა ძვ. წ. 485 წელს ქ. ჰ ა ლ ი კ ა რ ნ ა ს შ ი. ეს ბერძნული ახალშენი მცირე აზიის სანაპიროზე მდებარეობდა და სპარსეთის მეფის მორჩილ კარიელ მთავრებს ექვემდებარებოდა. ეთნობრივად ჰალიკარნასი დორიული იყო, ხოლო

კულტურითა და ენით იონური. ჰეროდოტე ეკუთვნოდა წარჩინებულსა და მდიდარ გვარს, პოეტი პანიასიდე მისი ბიძა იყო. ახალგაზრდობაში ჰეროდოტე აქტიურ მონაწილეობას იღებდა თავისი ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც ღრმა შინაური ბრძოლით ყოფილა მოცული, რის შედეგად იქ ტირანია დამყარებულა. ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის ნიადაგზე ჰეროდოტე იძულებული გამხდარა კუნძულ სამოსზე გადასახლებულიყო. შემდგომში იგი დაბრუნებულა სამშობლოში და მონაწილეობა მიუღია ტირანიის დამხობაში, მაგრამ მის გარშემო ისეთი პირობები წარმოქმნილა, რომ იძულებული გამხდარა სამუდამოდ დაეტოვებია ჰალიკარნასი.

მას დაუწყია მრავალმხრივ საყურადღებო მოგზაურობა საბერძნეთისა და სპარსეთის სამეფოს მხარეებში. როგორც მის წინამორბედ ლოგოგრაფოსებს, ჰეროდოტესაც მრავლად შეუგროვებია სხვადასხვა ხალხთა ზნეჩვეულებანი, ისტორიული და ეთნოგრაფიული ცნობები. ყოფილა ის ეგვიპტეშიც, ფინიკიაშიც, ბაბილონიაშიც; უნახავს შავიზღვისპირეთის ბერძნული ახალშენებიც და ფართოდ გასცნობია საბერძნეთის კუთხეებს. საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ჰეროდოტეს მიერ აღწერილ ცნობებს; ასე, მაგ., ძვირფასია მისი ცნობები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ახალშენთა და სკვითების შესახებ. მის ცნობებში ერთგვარად გამოკრთის სკვითების ეპოსი, რომელსაც, ალბათ, პირადად გაცნობია. არანაკლებ ძვირფასია მისი ცნობები ამიერკავკასიის ძვ. წ. VI საუკუნის პოლიტიკური მდგომარეობისა და ქართველი ტომების შესახებ.

თავის მეორე სამშობლოდ ჰეროდოტეს ათენი მიუჩნევია და აქ დაახლოებია პერიკლეს წრეს, განსაკუთრებით კი სოფოკლეს. როცა 443 წელს ათენის მეთაურობით სამხრეთ იტალიაში განადგურებულ ქალაქ სიბარისის ადგილას დაარსებულ იქნა ახალშენი თურიოი (Strabo, VII, 1 ,13), ჰეროდოტესაც მონაწილეობა მიუღია მის დაარსებაში და იქ დამკვიდრებულა. გარდაიცვალა ჰეროდოტე 425 წელს. საგულისხმოა, რომ პერიკლეს წრესთან დაახლოების ზეგავლენით დაებადა ჰეროდოტეს აზრი აღეწერა ომი სპარსელებთან და განსაკუთრებით გაესვა ხაზი ათენელების დამსახურებისათვის ელადის საშინელი განსაცდელისაგან განთავისუფლების საქმეში. ამ აზრის განხორციელება მან შეძლო მხოლოდ თურიოიში დამკვიდრების შემდგომ. აქ ჩაურთო, ალბათ, მან თავის ისტორიულ შრომას ახალგაზრდობის დაკვირვებანი, როგორც ექსკურსი (λόγοι) და ასე წარმოიშვა მისი ცნობილი „ბერძენ-სპარსელთა ომის ისტორია“, რომლიდანაც იწყება არსებითად ბერძნული საისტორიო ლიტერატურა.

თავისი ნაშრომის დასაწყისში ჰეროდოტე ასე გვისახავს იმ მიზანს, რომლის მიხედვით შეუდგა იგი მის დაწერას: „ქვემო-მომდევნო გამოკვლევათ ჰეროდოტე თურიელი წარმოადგენს იმისათვის, რომ დროსგან ჩვენს მეხსიერებაში არ წარიხოცონ ადამიანთა ქმედობანი და აგრეთვე რათა არ მიწყდეს დიდება იმ უზარმაზარი და გაოცების ღირსი ნაგებობებისა, რომლებიც ნაწილობრივ ბერძნების, ნაწილობრივ ბარბაროსების მიერ იქნენ შესრულებული, ხოლო კიდევ იმისათვის, რათა დავიწყებული არ იქნას მიზეზი, რომლითაც წარმოიქმნა ომი მათ შორის“ (I, 1). ამ სიტყვებს იგი მეხუთე თავში ასე განგვიმარტავს: „მე დავასახელებ პირს, რომელსაც ელადის პირველ შეურაცხმყოფელად ვთვლი, და მერე განვაგრძობ ჩემს თხრობას, თანაბრად მიმოვიხილავ რა დიდსა და მცირე ქალაქებს, ვინაიდან ქალაქები, რომელნიც ოდესღაც დიდნი იყვნენ, შემდგომში მცირენი გახდნენ და პირიქით, ჩემს დროში მნიშვნელოვანი ქალაქები წინათ მცირენი იყვნენ“. აქედან ჩანს, რომ ჰეროდოტეს ძირითად ამოცანას თავდაპირველად მისი მოგზაურობათა ანგარიშის აღნიშვნა წარმოადგენდა. ამ წინასიტყვაობის დაწერისას ჰეროდოტეს ჯერ კიდევ არ ჰქონია შექმნილი თავისი უნივერსალური შრომა. მას წინასწარ დაუწერია, როგორც ვთქვით, რამდენიმე, სავსებით დამოუკიდებელი λόγοι („მბობა“), რომლებიც ამა თუ იმ მხარის აღწერილობას შეიცავდნენ. მაგრამ უფრო გვიანაც ეს λόγοι, მას ღრმა და ძირითად მთლიანობაში არ მოუცია და მათ დღემდე შეინარჩუნეს დამოუკიდებულ თხზულებათა ხასიათი. ისინი დაწერილია ერთი და იგივე გეგმით: ჯერ აღწერილია მხარის ბუნება და მისი გეოგრაფიული მდებარეობა, შემდგომ — მისი მოსახლეობის ხასიათი, ყოფა-ცხოვრება და ადა-



სურ. 47. ჰეროდოტე (ჰერმა ნეაპოლიდან).

თები (νόμοι), მისი გასაოცარი და ღირსშესანიშნავი შენობები და ბოლოს მისი პოლიტიკური ისტორია. ხოლო როცა ჰეროდოტეს განუზრახავს დაეწერა წიგნი ევროპის აზიასთან ბრძოლაზე, მას ეს λόγοι ერთ წიგნად შეუერთებია. თავისი საბოლოო სახით მის ნაშრომს ცხადად შემოუნახავს პირვანდელი ცალკეული λόγοι-ს კვალი. ჰეროდოტეს „ისტორია" (ასე უწოდა მან თავის შრომას, „ისტორია"— კვლევა-ძიებანი) 9 წიგნად არის დაყოფილი და თითოეულ მათგანს ეწოდება ერთ-ერთი მუზის სახელი; ეს დაყოფა 9 წიგნად ჰეროდოტეს ალექსანდრიელ კომენტატორებს მიეკუთვნება. ჰეროდოტეს შრომა შეგვიძლია ორ ძირითად ნაწილად გავყოთ: პირველი (I—V, 28) გვაცნობს ბერძენ-სპარსელთა ომის წინაისტორიას და საკმაოდ მრავლად შეიცავს ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალასაც. მეორე — უკანასკნელი ხუთი წიგნი (V, 29-დან დაწყებული) უფრო მწყობრად გადმოგვცემს ბერძენ-სპარსელთა ომების ისტორიას იონიის აჯანყებიდან პლატეასთან ბრძოლამდე (479 წ.). პირველი ნაწილი იწყება ლიდიელების მიერ იონიის ქალაქების დაპყრობიდან, რაც მას საფუძველს აძლევს მოგვითხროს ლიდიის ისტორია სპარსელთა მიერ მის დაპყრობამდე და მერე სპარსეთის სახელმწიფოს ისტორია, რომელთან დაკავშირებით განხილულია ბაბილონია, ეგვიპტე, სკვითია, ლიბია და თრაკია. გადმოცემულია აგრეთვე ქრონოლოგიურად პარალელური ამბები ბერძნების ისტორიიდან. ამგვარად, პირველ ნაწილში ლიდიისა და სპარსეთის ისტორია არსებითად იმ კვანძს წარმოადგენს, რომლის გარშემო დაჯგუფებულია გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული λόγοι-ის მთელი წყება და მრავალი პატარა ნოველა.

მეორე ნაწილის სტრუქტურა (V, 29—IX) არსებითად უფრო სხვანაირია; აქ ძირითადად მოცემულია ბერძენ-სპარსელთა ომების უწყვეტი თხრობა: აღწერილია იონიის ამბოხება (V, 28—VI, 32), მარდონიოსის ლაშქრობა (VI ბოლომდე), ქსერქსეს გამოლაშქრება საბერძნეთზე თერმოპილთან ბრძოლის ჩართვით (VII), ბრძოლები არტემისიასა და სალამინთან (VIII) და ბრძოლები პლატეასა და მიკალეს თან (IX).

ჰეროდოტემ ბერძენ-სპარსელთა ომები ლოგიკურ ბოლომდე მიიყვანა: მიკალეს ბრძოლამდე და ბიზანტიონისა და სესტის აღებამდე. მიახლოვებით ამ ადგილიდან იწყებს თავის ისტორიას თუკიდიდე.

აღსანიშნავია, რომ ჰეროდოტე თავის შრომაში სპარსელების მიმართ არავითარ მტრულ განწყობილებას არ ააშკარავებს და საერთოდ აღტაცებულია აღმოსავლური ქვეყნების სიბრძნით. მისთვის

აღმოსავლეთი ყოველგვარი კულტურისა და სიბრძნის აკვანია და ამ მიმართულებით აშკარა გადაჭარბებასაც აქვს ადგილი. ამიტომ მას პლუტარქე „ფილობარბაროსსაც“ კი უწოდებდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ჰეროდოტე დიდი თანაგრძნობითაა გამსჭვალული ათენისა და მისი დემოკრატიული წყობილებისადმი. თავის შრომას იგი პელოპონესის ომის დასაწყისის პოლიტიკურ ვითარებაში ამთავრებს და ყოველგვარად ცდილობს ხაზი გაუსვას ათენის ისტორიულ როლსა და მის დამსახურებას ელადის წინაშე. იგი ცდილობს გვიჩვენოს სპარსელების წინააღმდეგ ბერძენთა ბრძოლის მთელი სიდიადე. საისტორიო ლიტერატურაში დღემდე დიდ თანაგრძნობას იწვევს მის მიერ აღწერილი მცირერიცხოვანი სპარტელების თავგანწირული ბრძოლა თერმოპილის კლდეკართან სპარსელთა ურდოების წინააღმდეგ. ჰეროდოტეს შემოქმედების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული ცნობების ნოველისტური თხრობის მხატვრულ გაფორმებასთან შეერთება. მაგრამ ამასთან ერთად ლოგოგრაფოსებთან ჰეროდოტეს ბევრი რამ აკავშირებდა. მასაც სწამდა, რომ ჰომეროსის პოემები და ნაირი მითები სანდო წყაროს წარმოადგენდნენ. ისე როგორც ლოგოგრაფოსები, ჰეროდოტე მოგვითხრობს ამა თუ იმ წარჩინებული გვარების წინაპრებზე და გადმოგვცემს თქმულებებს სასწაულებრივ, ზებუნებრივ მოვლენებზე, თუმცა ზოგჯერ თვითონაც ეჭვს გამოთქვამს მათ სინამდვილეში. როგორც იონური კულტურის საფუძველზე აღზრდილი, ჰეროდოტე ერთგვარად რაციონალისტია, მაგრამ მისი რაციონალიზმი ხალხური რწმენის ზოგიერთი ტლანქი გამოსახულებისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას ვერ გასცილებია. ამასთან ერთად მას ერთგვარად სჯეროდა, რომ თითქოს ღვთაება განაგებს სამყაროს და ყოველდღიურად ერევა ადამიანთა საქმეებში. მას ურყევად სწამდა სიზმრები და ორაკულები.

ლოგოგრაფოსებისაგან ჰეროდოტე უმთავრესად მისი შრომის მიზანდასახულობითა და თემის ერთიანობით განსხვავდება. მისთვის ბერძენ-სპარსელთა ომები მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიული ამბავია. ამას გარდა, მის თხრობაში უფრო მეტად მოჩანს ზებუნებრივ მოვლენების შესახებ თქმულებათადმი კრიტიკული და რაციონალისტური მიდგომა. „მე ვალდებული ვარ, ამბობს იგი, გადმოგცეთ ის, რასაც ამბობენ, მაგრამ არა ვარ ვალდებული ყოველივე ვირწმუნო და ეს ჩემი განცხადება მთელს ჩემს თხრობას შეეხება“ (VII, 152). მას აღნიშნული აქვს სხვათა შორის ლეგენდა, რომლის მიხედვით დოდონაში ორაკული თითქოს მას შემდგომ იქნა დაარსებული, როცა ეს მტრედმა ადამიანის ხმით გამოაცხადაო. ჰეროდოტე გვეუბნება,

რომ მტრედში, ალბათ, იმ უცხოელ ქალს გულისხმობდნენ, რომელიც წინათ „ფრინველივით“, ე. ი. უცნობ ენაზე ლაპარაკობდა და მერე კი ადამიანურად, როცა ბერძნული ენა შეისწავლაო.

ჰეროდოტეს ისტორიული ცნობების წყაროები სხვადასხვაგვარია: ის კარგად იცნობდა ეპიკურ პოეზიას, ტრაგედიებს და კერძოდ ესქილეს და სოფოკლეს, რომელთაგან ზოგი რამ გარკვეულად შეითვისა, ლოგოგრაფოსების შრომებს, განსაკუთრებით ჰეკატეოს მილეტელს, რომელზეც ზოგჯერ მიუთითებს და ზოგჯერ ეკამათება კიდეც. სარგებლობდა ის აგრეთვე ორაკულების წარმონათქვამთა ჩანაწერებით და ოფიციალური ხასიათის ძეგლებით, უმთავრესად კი ზეპირი ტრადიციით, ამბავთა თვითმხილველთა და თვითდამხვდურთა მოთხრობებით.

ჰეროდოტეს შრომის ცნობების სინამდვილე ერთნაირი ღირსებისა არ არის. მართალია, მისი გეოგრაფიული აღწერილობანი ნაწილობრივ პირადულ დაკვირვებებზეა დამყარებული, მაგრამ ბევრ რამეზე მას ადგილობრივი მცხოვრებლები მოუთხრობდნენ თარჯიმნების პირით და ჰეროდოტე კი ზოგჯერ ნათქვამისადმი არა საკმაოდ კრიტიკულ მიდგომას იჩენდა. მისი თხრობის ზოგიერთ ნაწილში პირდაპირ მოჩანს ნოველები და ლეგენდები. მაგრამ გარკვეულად უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი დროის სპეციალურმა გამოკვლევებმა დაადასტურა ჰეროდოტეს ზოგიერთი ისეთი ცნობა, რომელიც საეჭვოდ ითვლებოდა. ამიტომ არა მარტო ბერძენ-სპარსელთა ომების, არამედ საერთოდ ძველი ისტორიის შესწავლაში ჰეროდოტეს გვერდს ვერ ავუხვევთ, ვინაიდან მისი ცნობების კრიტიკული განხილვის საფუძველზე მრავალი ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენა შუქდება[5].

3. იონელ ბერძენთა ამბოხება სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ

ვიდრე გადავიდოდეთ ბერძენ-სპარსელთა ომების განხილვაზე, საჭიროა გავეცნოთ იმ საერთო პირობებს, რომლებიც მათ წინ უსწრებდნენ.

როგორც ვიცით, VI საუკუნის მეორე ნახევარში მცირე აზიის ახალშენთა ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოხდა: ლიდიის ადგილი სპარსეთის დიდმა მონარქიამ დაიკავა და იქ თავისი ბატონობის ახალი პირობები შექმნა. სპარსეთისათვის აუცილებელი გახდა ბერძენთა ახალშენების დაპყრობა იმდენად, რამდენადაც ასეთი უზარმაზარი მონარქიისათვის საჭირო იყო დიდი ნივთიერი საშუალებანი,

ახალშენები კი ამ მხრივ თავისი სიმდიდრით უხვ რესურსებს წარმოადგენდნენ.

სპარსეთის მონარქია სატრაპიებად იყო დაყოფილი და ბერძენთა ახალშენებიც იონიის სატრაპიაში შედიოდნენ, რომელიც სარდის სატრაპს ექვემდებარებოდა, როგორც ქვეშევრდომები, ბერძნები იხდიდნენ სპარსეთის სასარგებლოდ ხარკს, რაც თავისუფალი მოქალაქის შესახებ ბერძნულ შეხედულებას რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა, და ასრულებდნენ სამხედრო მოვალეობას. ამასთან სპარსელები გაცილებით უფრო მეტად ერეოდნენ ბერძენთა ახალშენების შინაურ საქმეებში, ვიდრე ლიდიელები, და აძლიერებდნენ ისეთ სახელმწიფო წყობილებას, რომელიც მათი ბატონობის სიმტკიცის თვალსაზრისით უფრო სასარგებლო იყო, სახელდობრ ტირანიას, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა სოციალური ბრძოლის ნიადაგზე წარმოშობილი ადრეული ტირანიისაგან: ახლანდელი ტირანები სპარსელების მიერ დაყენებული პირები იყვნენ, რომლებიც პირველ რიგში თავიანთი ბატონების ინტერესებს იცავდნენ. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ომის დაწყების პერიოდში სპარსელები ათენელებისაგანაც კი მოითხოვდნენ თავისი ვასალის, ათენიდან გაძევებული ტირანის, სიგეიონის მფლობელის, ჰიპიასის დაბრუნებას და უფლებებში აღდგენას. ხოლო დატისისა და არტაფერნის ლაშქრობის დროს სპარსელების ბანაკში იმყოფებოდა ჰიპიასიც, რომელსაც სრული იმედი ჰქონდა თავისი მიზნის განხორციელებისა. შექმნილი პირობების გამო ბევრი ბერძენი, ზოგჯერ მთელი ქალაქიც კი სტოვებდა მცირე აზიის სანაპიროებს და სხვაგან ეძებდა ახალ სამშობლოს. ასე. მაგ., ფოკეელებმა, როგორც ვიცით, როდესაც მათი ქალაქის წინააღმდეგ სპარსელმა ჰარპაგოსმა გაილაშქრა, მიატოვეს სამშობლო, რომ თავიდან აეცილებინათ „მონობა“ (Herod. I, 164). მაგრამ მთავარი და ძირითადი ის იყო, რომ სპარსეთის ბატონობის დამკვიდრებამ იმ დროის ცნობილ ქვეყნებში უდიდესი ზიანი მიაყენა ახალშენების ვაჭრობა-წარმოებას[6]. სპარსეთის მეფეს არ ჰყავდა ფინიკიელებზე ერთგული ქვეშევრდომები. ისინი მის განკარგულებაში სულ ახალ-ახალ ფლოტსა და მეომრებს აგზავნიდნენ ბერძნების საწინააღმდეგოდ. ამ ფაქტის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ სპარსელები იმდენად, რამდენადაც მათი ბატონობა შორს იყო გავრცელებული, სისტემატურ მფარველობას უწევდნენ იონელების ხარჯზე ფინიკიელების ვაჭრობას. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ კართაგელები, რომლებიც წინათ დასავლეთ ზღვაში ბერძნებთან შედარებით მტრულ ურთიერთობაში არ იმყოფებოდნენ, ახლა მათ დაუნდობელ მტრებად გადაიქცნენ. უნდა ვიფიქროთ,

რომ სპარსეთის მეფემ ფინიკიელებში იპოვა ის იარაღი, რომლითაც შეეძლო დაეზარალებინა და დაემცირებინა ბერძენთა ამაყი სავაჭრო ქალაქები. სულ ორიოდე ათეული წლების განმავლობაში იონური ვაჭრობის ბრწყინვალე შენობა დიდად შეირყა. შორსმჭვრეტელობას მოკლებულ ზოგიერთ მილეტელს შეეძლო ჯერ კიდევ სიამოვნებით მიეღო მცირე აზიიდან ლტოლვილი ფოკეელების დასავლეთში დამარცხების ამბავი, აგრეთვე სიბარისის მიერ ცნობილი სავაჭრო ქალაქის სირისის (ქვემო იტალიაში) განადგურების ფაქტი, რადგან საბოლოო ანგარიშით ყოველივე ეს მილეტის ვაჭრობისათვის შეიძლება საჯარგებლო აღმოჩენილიყო, მაგრამ ყველა მალე დარწმუნდებოდა, თუ რამდენად ნაადრევი და უადგილო იყო ასეთი სიხარული. საქმის შემდგომმა მსვლელობამ თანდათან ცხადყო, რომ ახალ პირობებში დიდი შეფერხება მოელის მილეტის ვაჭრობის განვითარებასაც და, მაშასადამე, თვით მილეტის ნივთიერი კეთილდღეობაც უძლიერესი განსაცდელის წინაშე დგება. ამისათვის საკმარისია მოვიგონოთ რამდენიმე ფაქტი.

ეგვიპტის დაპყრობასთან ერთად, რომელსაც თან მოჰყვა მილეტის ვაჭრობისათვის ფრიად თვალსაჩინო პუნქტის ნავკრატისის შეზღუდვა, დაიწყო მისი დაცემის ხანა. ერთმა მკვლევარმა ჯერ კიდევ არქეოლოგიურ აღმოჩენათა საფუძველზე შეძლო იმის დამტკიცება, რომ დაპყრობის შემდგომ, თითქმის, უშუალოდ მოხდა ამ სავაჭრო ფაქტორიის დაქვეითება[7]. ასეთივე მძიმე ზარალი განიცადა იონელთა ვაჭრობამ დარიოსის სკვითებზე გალაშქრებასთან დაკავშირებით, რის შედეგი იყო თრაკიის სამხრეთ სანაპიროს დაპყრობა სტრიმონამდე და აგრეთვე ჰელესპონტის ჩრდილოეთი ნაპირის, პროპონტიდას და შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროს სპარსელების ხელში გადასვლა. ამ მიდამოებშიც მალე იჩინა თავი სავაჭრო ურთიერთობის შემცირებამ, როგორც ეს არქეოლოგიურმა მონაცემებმა გვიჩვენა. თრაკიის, ჰელესპონტისა და ბოსფორის სპარსელების ხელში გადასვლა ეგეოსის ზღვის სამყაროში ბერძენთა ვაჭრობის უდიდეს შემცირებას მოასწავებდა. სავაჭრო შუამავლობა ფინიკიელების ხელში გადადიოდა. ამას გარდა, ბერძნებმა დაკარგეს ვაჭრობის გავრცელების ჩრდილოეთი ასპარეზი. დიდი ხანი არ გასულა მას შემდგომ, რაც იონელთა ვაჭრობას ასეთი დიდი დაბრკოლება გადაეღობა, რომ 510 წელს კროტონმა მიწასთან გაასწორა დასავლეთ ზღვაში მათი ვაჭრობის დასაყრდენი პუნქტი და მილეტის საფეიქრო პროდუქტების გავრცელების საუკეთესო ადგილი სიბარისი. ამ ფაქტს უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია საერთოდ იმ დროის იონელებზე. კერ-

ძოდ, მილეტელებს, ჰეროდოტეს სიტყვით, გლოვის ნიშნად თმები მოუშვიათ (VI, 21).

ვაჭრობა-წარმოების ასეთ შეფერხებასა და შეზღუდვას იონელები სპარსელების გაბატონებას მიაწერდნენ და უდიდესი უკმაყოფილებით შესცქეროდნენ მათ უღელ ქვეშ ყოფნას. ასეთ პირობებში მზადდებოდა იონიაში ნიადაგი სპარსელების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლისათვის.

ხმელეთის საბერძნეთშიც სავაჭრო ქალაქებმა სპარსეთის ბატონობის ფართოდ გავრცელების გამო თვალსაჩინო ზარალი განიცადეს, ვინაიდან დაკარგეს ზოგიერთი ხელსაყრელი პუნქტი თავის ნაწარმოებთა გავრცელებისათვის. ამასთან მათი სავაჭრო ურთიერთობა ახალ პირობებში ახალშენებთან უფრო გართულდა და გაძნელდა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ათენზე, რომელშიც VI საუკუნის დასასრულს თანდათან უფრო დიდ მოცულობას აღწევდა ვაჭრობისა და წარმოების განვითარება. ამიტომ მეტროპოლიის ზოგიერთ სახელმწიფოშიც სპარსეთთან უთანხმოებისათვის პოლიტიკური მომენტის გარდა უდავო სამეურნეო საფუძველი არსებობდა.

ჩვენი დროის ზოგიერთი ისტორიკოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჰეროდოტე იმ ცნობას, რომელიც ომში ალკმეონიდების როლს შეეხება. მის მიხედვით, ათენში გავრცელებული ყოფილა ხმა, რომ ალკმეონიდები სპარსელების მომხრეები არიან. აგრეთვე, როდესაც დამთავრებულა მარათონის ომი და სპარსელები უკვე გემებზე გადადიოდნენ, უცნობ პირებს აწეული ფარის საშუალებით სპარსელებისათვის უნიშნებიათ, რომ კარგი მომენტია ათენზე თავდასხმისათვის და, ვითომც, ეს ალკმეონიდებმა ჩაიდინეს. ჰეროდოტე თავგამოდებით იცავს ალკმეონიდებს ამ, მისი აზრით, სრულებით უსაფუძვლო და უსამართლო ცილისწამებისაგან: „ჩემთვის გასაოცარი და წარმოუდგენელია,—ამბობს იგი,—ის აზრი, თითქოს ალკმეონიდებმა პირობის თანახმად მაღლა ასწიეს ფარი სპარსელებისათვის და მიზნად ჰქონდათ ელადის სპარსელებისა და ჰიპიასისათვის დამორჩილება“ (VI, 121). ერთი სიტყვით, ჰეროდოტე სრულებით დაუჯერებლად თვლის ალკმეონიდების მიერ ასეთი ნაბიჯის გადადგმას. ზოგიერთ თანამედროვე ისტორიკოსს ასეთი რამ შესაძლებლად მიაჩნია[9-10]. ძნელია იმ აზრის გაზიარება, თითქოს ალკმეონიდები სპარსეთის მომხრეები იყვნენ და ამ მოსაზრებით მოღალატურ საშუალებასაც კი მიმართეს. ერთი რამ უდავოა, რომ ფარის აწევას, როგორც ნიშანს სპარსელებისათვის, მართლაც ჰქონია ადგილი. ჰეროდოტე გარკვევით გვეუბნება: „არ შეიძლება იმის უარისყოფა, რომ ფარი აღმართულ იქნა; ეს ნამდვილად მოხდა,

ხოლო ვინ ასწია იგი, ამის შესახებ მეტის არაფრის თქმა არ შემიძ-ლია" (VI, 124). ჩვენი აზრით, სინამდვილესთან უფრო ახლოს იქნე-ბა, თუ ვიფიქრებთ, რომ ყოველივე ეს ჩაიდინა იმ ჯგუფმა, რომელიც მოუთმენლად მოელოდა ჰიპიასის დაბრუნებას ათენში და ამ ფაქტს თავისი ინტერესების განხორციელებას უკავშირებდა. ალკმეონიდე-ბის ცნობილი წარმომადგენლები კი სწორედ ტირანიის წინააღმდეგ იბრძოდნენ და ხელი შეუწყვეს ჰიპიასის ათენიდან გაძევებას. ამას გარდა, ათენელების მიერ იონელების დასახმარებლად 20 გემის წარ-გზავნა ალკმეონიდების მონაწილეობის გარეშე არ უნდა მომხდარი-ყო. ამიტომ დამარწმუნებლად არ მიგვაჩნია პროფ. ლურიეს მოსაზ-რება, რომ ალკმეონიდები სპარსეთის ჰეგემონიის მომხრეები იყვნენ და მათი პოლიტიკა უფრო შეესაბამებოდა იმ დროის საბერძნეთის პი-რობებსა და მოთხოვნილებებს [11].

ბერძენ-სპარსელთა ომების საბაბი გახდა იონიის აჯანყება და ევ-როპელ ბერძენთა დახმარება.

წინათ ცალკეული ქალაქების — ბიზანტიონის, ქალკედონის, პერინთოს და სხვების ცდამ თავიდან მოეშორებინათ სპარსელების ბატონობა, რასაკვირველია, სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ახლა კი საქმემ გაცილებით უფრო ფართო და სერიოზული ხასიათი მი-იღო. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა მილეტის ტირანი არისტაგორა. ამ უკანასკნელის რჩევით სარდის სატრაპმა არტაფერნემ ნაქსოსის წი-ნააღმდეგ სპარსელ-იონელთა ექსპედიცია მოაწყო და, როდესაც იგი მარცხით დამთავრდა, არისტაგორამ ისარგებლა იმ საერთო დი-დი უკმაყოფილებით, რომელიც იონელებში სპარსელების ბატონო-ბის წინააღმდეგ სუფევდა, და თავს იდო ბერძენთა წინამძღოლისა და განმათავისუფლებლის როლი. მისმა მოწოდებამ, მიუხედავად ჰეკატეოს მილეტელის გაფრთხილებისა, რომელიც კარგად იცნობ-და სპარსელების სამხედრო ძლიერებას, უდიდესი გამოძახილი და თანაგრძნობა ჰპოვა იონელებში. აჯანყება დაიწყო მილეტმა და მა-ლე იგი მთელ სანაპიროს მოედო. 500/499 წ. არისტაგორა საკუთ-რივ საბერძნეთში გაემგზავრა, რომ იქაური სახელმწიფოების თანა-გრძნობა და დახმარება მოეპოვებინა და ამით უფრო განემტკიცე-ბინა იონელთა მიერ დაწყებული საქმე. სპარტამ და მისმა მოკავში-რეებმა უარყოფითად შეხედეს ამ მოვლენას და არისტაგორა სრუ-ლი უარით გამოისტუმრეს. უფრო კარგი ნიადაგი დახვდა მას ათენ-ში, სადაც სახალხო კრებამ დაადგინა, დახმარება აღმოეჩინა იონე-ლებისათვის. ამის შესახებ ჰეროდოტე შენიშნავს: აღმოჩნდა, რომ უფრო ადვილია ბევრის შეცდომაში შეყვანა, ვიდრე ერთის, რადგან არისტაგორამ ერთი კლეომენე ლაკედემონელი ვერ შეაცდინა, მაშინ

როდესაც 30 ათასი ათენელიც კი შეაცდინაო. ამიტომ ათენელებმა დაადგინეს გაეგზავნათ იონელების დასახმარებლად 20 გემი... სწორედ ამ გემებმა მისცეს დასაბამი როგორც ელინების, ისე ბარბაროსების უბედურებასო (V, 97). ასე მარტივად ესმის ჩვენს ისტორიკოსს იმ საქმის დასაწყისი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნებისათვის. იონელებს ათენს გარდა ერეტრიამაც გაუგზავნა დასახმარებლად 5 გემი. აჯანყებულებმა შეძლეს სარდის აღება და იგი ცეცხლს მისცეს, მაგრამ ციხის აღება ვერ მოახერხეს.

აჯანყების ამ პირველ შედეგს თან მოყვა კარიის, ლიკიისა და კვიპროსის გადასვლა აჯანყებულთა მხარეზე. მაგრამ ათენში მომხდარმა შინაურმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა გამოიწვია მისი ფლოტის უკან გაწვევა, რასაც თავისთავად დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მებრძოლ მხარეებზე. მართალია, იონელთა ფლოტმა გაიმარჯვა ფინიკიელების ფლოტზე, მაგრამ კვიპროსი კვლავ დაიპყრეს სპარსელებმა. ამის შემდგომ სპარსელებმა მოახერხეს ისე გაენაწილებინათ თავისი ძალები, რომ დაერღვიათ იონელთა ქალაქების მთლიანობა და თითოეული მათგანი ცალ-ცალკე დაემარცხებინათ. აჯანყებულებმა კიდევ რამდენსამე წელს შეძლეს სპარსელების წინააღმდეგ გმირული ბრძოლა, მაგრამ მათი საქმე უკვე განწირული იყო. მილეტის მახლობლად, ლადესთან საზღვაო ბრძოლაში (494 წ.) უკვე ნათლად გამოჩნდა მათი თანხმობისა და მთლიანობის დაშლა: ურჩობა არჩეული მეთაურებისადმი, შინაური განხეთქილება და, დასასრულ, აშკარა ღალატი ბრძოლაში. ასეთ პირობებში შემოარტყეს სპარსელებმა ალყა ზღვიდან და ხმელეთიდან აჯანყების სულისჩამდგმელ მილეტს, რომელიც აჯანყების მეექვსე წელს (494 წ.) აიღეს და მიწასთან გაასწორეს; გაანადგურეს თვით დიდიმაიონის აპოლონის ტაძარი, რომლის საუნჯეთა ომისათვის მოხმარებას ურჩევდა იონელებს ჰეკატეოს მილეტელი მას შემდგომ რაც დარწმუნდა, რომ, მისი გაფრთხილების მიუხედავად, აჯანყება აუცილებელი იყო; ახლა ეს საუნჯენი სპარსელებს ჩაუვარდა ხელში. მოსახლეობა სპარსეთის მეფის განკარგულებით სუზაში გადაიყვანეს და ტიგრისის შესართავთან დასახლეს. ჰეროდოტეს სიტყვით (VI, 19), მილეტის მოსახლეობის მამაკაცთა უმეტესი ნაწილი ამოჟლიტეს გრძელთმიანმა სპარსელებმა, ცოლები და ბავშვები მონების მდგომარეობაში ჩავარდნენ, ხოლო დიდიმაიონის საკურთხეველი ტაძარსა და ორაკულთან ერთად დაწვეს.

მილეტის ასეთ განადგურებას უდიდესი შთაბეჭდილება მოუხდენია საერთოდ ყველა ბერძენ ტომზე. კერძოდ, ათენში ფრინიქოსის პიესის — „მილეტის დაცემის“ (Μιλήτου ἅλωσις) წარმოდგენის

დროს, როგორც ვიცით, მთელ დამსწრე საზოგადოებას ქვითინი ასტეხია. შემდგომში ეს კვლავ აღდგენილი ქალაქი, როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, თავისი მოცულობის უმეტეს ნაწილში ძველი მასალით აუგიათ. ერთი წლის შემდგომ (493 წ.) დანარჩენი ქალაქებიც, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობდნენ ბრძოლას, დაპყრობილ იქნენ და სპარსელებმა იონიაში კვლავ აღადგინეს სატრაპიების ძველი წყობილება, მაგრამ ხარკი არ გაუდიდებიათ. თითქმის უბრძოლველად დანებდნენ სპარსელებს კუნძულები: ქიოსი, ლესბოსი და ტენედოსი. ასეთი მარცხით დამთავრდა იონელთა აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ. მრავალი ბერძენი დაიღუპა, მრავალი ტყვედ ჩავარდა და მონა გახდა. სპარსელებისაგან გამოქცეულ ბერძენთა შორის იყო მარათონის ბრძოლის გმირი მილტიადე.

რაკი სპარსეთმა მცირე აზია კვლავ სრული მორჩილების ქვეშ დააყენა, სპარსეთის მეფემ 492 წელს დიდი ჯარი წარგზავნა თავის სიძის, მარდონიოსის მეთაურობით ბალკანეთის საბერძნეთის წინააღმდეგ. მარდონიოსი გადავიდა ჰელესპონტით, გაიარა ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთი ნაპირი, დაამშვიდა აჯანყებული ტომები, დაიპყრო რამდენიმე კუნძული, მაგრამ ათონის კონცხთან ქალკიდიკის ნახევარკუნძულზე მისმა ფლოტმა დიდი მარცხი განიცადა: ფლოტის ნახევარი და 20 ათასი მეზღვაური დაიღუპა, ხოლო ხმელეთის ჯარს ავიწროებდნენ თრაკიელები. ერთ ბრძოლაში მარდონიოსი დაიჭრა და იძულებული იყო ხელი აეღო შემდგომ შეტევაზე.

4. ათენის შინაური მდგომარეობა V საუკუნის დასაწყისში. სპარსელების პირველი გამოლაშქრება საბერძნეთზე. მარათონი. პოლიტიკური ცვლილებები ათენში

მას შემდგომ, რაც სპარსეთმა ჩააქრო იონელთა აჯანყება და სასტიკად გაუსწორდა მათ ქალაქებს, სპარსეთის მეფემ მზადება იწყო მათი დამხმარე ათენისა და ერეტრიის დასასჯელად: ძველი გადმოცემით, მეფე დარიოსს განუცხადებია, რომ იგი იმ დრომდე არ დამშვიდდება, ვიდრე სამაგიეროს არ გადაუხდის ევროპელ ბერძნებს, რომელთაც დახმარება აღმოუჩინეს მის წინააღმდეგ მცირეაზიელ ახალშენებს. ამასთან მან თითქოს ერთ-ერთ კარისკაცს უბრძანა ყოველდღე დილით შემდეგი სიტყვებით მიემართა მისთვის „ხელმწიფევ, ათენელებს ნუ დაივიწყებ“. თვით ათენი კი ამ პერიოდის დასაწყისში კვლავ შინაურ ბრძოლას განიცდიდა. მართალია, კლისთენეს რეფორმებმა საფუძვლიანად განამტკიცა დემოკრატია ათენში და ღრმად შეარყია ძველი არისტოკრატიის მნიშვნელობა, მაგრამ ამ ხა-

ნაში თავი წამოყვეს პისისტრატიდების მომხრეებმა, რომელთაც ჰიპიასის დაბრუნებისათვის ნიადაგის შემზადება განიზრახეს. მათ შეძლეს ალკმეონიდების დროებით უკან დაყენება და 496/95 წ. არქონტად აირჩიეს თავისი მეთაური ჰიპარქოსი. ამას ხელი შეუწყო სხვათა შორის იმ გარემოებამაც, რომ ათენის მოსახლეობის უმრავლესობაში თანდათან მტკიცდებოდა იონელების მოძრაობის მიმართ ნეიტრალიტეტის დაცვის განწყობილება. თვით ფაქტი ათენელების მიერ თავიანთი გემების უკან გამოწვევისა ამ გარემოებასთან დაკავშირებით უნდა იქნეს განმარტებული. მაგრამ კლისთენეს დროიდან ათენის სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: ათენის ეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა მოიპოვა საზღვაო ვაჭრობამ, ხელოსნობამ და ფლოტმა. მის განვითარებას ამ მხრივ სპარსეთი დიდ დაბრკოლებას უქმნიდა. ამიტომ იონიის აჯანყების შემაძრწუნებელმა შედეგებმა, განსაკუთრებით მილეტის ტანადგურებამ, დიდი გავლენა მოახდინა ათენელებზე. გამოჩნდნენ ისეთი პირები, რომელთაც ამ ღრმად სამწუხარო ამბებთან დაკავშირებით კარგად გაითვალისწინეს მოსალოდნელი საფრთხე, რომელსაც ათენს სპარსეთის გამარჯვება უქადდა. ამ პირთა შორის ყველაზე შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა ნეოკლეს შვილი, თემისტოკლე, ჩამომავლობით წარჩინებულთა გვარის — ლიკომიდების — წევრი, ხოლო რწმენით დემოკრატი, და რადიკალური ჯგუფის, ეგრეთ წოდებული საზღვაო მიმართულების დამაარსებელი და წინამძღოლი.

ისტორიკოსი ბ ე ლ ო ხ ი მას არისტოკრატიულ ჯგუფს მიაკუთვნებს [12], მაგრამ ასეთი მოსაზრება სავსებით ეწინააღმდეგება ტრადიციას თემისტოკლეზე და არსებითად არც ისტორიულ ფაქტებს შეესაბამება. თემისტოკლე არქონტად აირჩიეს 493/2 წელს და იგი დაუყოვნებლივ შეუდგა თავისი პროგრამის პოპულარიზაციას და განხორციელებას, რადგან ისტორიკოს თუკიდიდეს სამართლიანი თქმით, იგი პირველი იყო, რომელმაც გამბედაობა გამოიჩინა ათენელებისათვის ეთქვა, რომ მათთვის აუცილებელია ზღვაზე გამაგრება (Thuc. I, 93, 4). ის კარგად გრძნობდა, რომ სპარსეთთან მომავალ აუცილებელ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა იმას, შეძლებდა თუ არა ათენი ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ გადაქცევას. ამ მიმართულებით მან, უწინარეს ყოვლისა, მოახერხა ის, რომ ათენელებმა იწყეს პირეუსის, როგორც სიმაგრის და ფლოტის თავშესაფარი პუნქტის, გამაგრება. მაგრამ ამ ნიადაგზე თემისტოკლეს საკმაოდ დიდი ოპოზიცია შეხვდა იმ წრეების მხრიდან, რომლებიც ათენის ზღვაზე გაძლიერებას თავიანთი ინტერესების მიხედვით სახელმწიფოსთვის დამღუპველად თვლიდნენ. ეს მიმართულე-

ბა განსაკუთრებით აქტიური გახდა ათენში მილტიადეს გადმოსახლების შემდეგ.

იგი ჩამომავალი იყო იმ მილტიადე უფროსისა, რომელმაც პისისტრატეს დროს თრაკიის ქერსონესში საკუთარი სამთავრო დააარსა. სპარსელებისაგან შევიწროების გამო იგი მრავალრიცხოვანი თანმხლებლებით მოვიდა ათენში და თან მოიტანა დიდძალი ძვირფასი ნივთები. მილტიადე ძლიერი მოწინააღმდეგე იყო თემისტოკლეს საზღვაო პროგრამისა. იგი ემყარებოდა აზიაში მოგზაურობის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებსა და დაკვირვებებს და უფრო დიდი იმედი ჰქონდა მოქალაქეთა შუბოსანი რაზმებისა სპარსეთის მეფის მშვილდოსნების წინააღმდეგ ბრძოლაში. პირველად მილტიადეს ათენში ეჭვის თვალით უცქეროდნენ, როგორც ყოფილ ტირანს, და ბრალდებაც კი წაუყენეს ქერსონესში მისი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ შემდგომში თანდათან დარწმუნდნენ სპარსელების მიმართ მის დიდ სიძულვილში და მათ წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლის გულწრფელ მისწრაფებაში. და ეს მით უმეტეს, რომ ტირანების მომხრე საკმაოდ თვალსაჩინო ჯგუფი ცხადად ებრძოდა როგორც მას, ისე ალკმეონიდებს. მარათონის ბრძოლის დროს იგი სტრატეგოსადაც კი აირჩიეს.

ჰეროდოტეს სიტყვით (VI, 48), დარიოსმა, ვიდრე ჯარებს გაგზავნიდა ბერძნების წინააღმდეგ, განიზრახა ელინების განწყობილების გამორკვევა, ფიქრობდნენ თუ არა ისინი მასთან ომის წარმოებას, თუ უბრძოლველად დაემორჩილებოდნენ. ამ მიზნით მან დაგზავნა ელადაში განსაკუთრებული პირები „მიწისა და წყლის“ (ე. ი. მორჩილების) მოთხოვნით. იმავე დროს ზღვისპირა ქალაქებს უბრძანა გრძელი ხომალდების აგება ცხენების გადასაყვანად. ეს ქალაქები შეუდგნენ კიდეც მათ შემზადებას. ამას გარდა, საბერძნეთის მცხოვრებთაგანაც ბევრმა სრული მორჩილება განუცხადა სპარსეთის მოციქულებს. მხოლოდ ათენსა და სპარტაში მოკლეს მისი მოციქულები, რომლებიც მათაც ეწვივნენ „მიწისა და წყლის“ მოთხოვნით. დარწმუნდა რა იმაში, რომ საბერძნეთის სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილს არ სურს აღიაროს სპარსელების ბატონობა და მხოლოდ მცირე ნაწილია სპარსეთის მხარეზე, დარიოსმა გასცა სპარსელთა ჯარების საბერძნეთზე გალაშქრების ბრძანება. ჯარების მეთაურობა ჩააბარა მიდიელ დატისს და თავის ნათესავ არტაფერნეს, რომელმაც თავი ისახელა მილეტთან ომში. ამ გალაშქრებას პირველ რიგში მიზნად ჰქონდა დასახული იმ სახელმწიფოების სამაგალითოდ დასჯა, რომელთაც დახმარების ხელი გაუწოდეს იონელ მეამბოხეთ. 490 წლის ზამთრის დასაწყისში სპარსელთა ჯარები დაიძრნენ კილიკი-

იდან, სატრანსპორტო გემებით გადავიდნენ ეგეოსის ზღვაზე და უწინარეს ყოვლისა სასტიკად გაუსწორდნენ ნაქსოსს, რომელმაც სპარსელებს წინააღმდეგობა გაუწია 500 წელს; შემდეგ კი მიადგნენ ევბეის ქალაქ ერეტრიას, რომელმაც იონელებს დასახმარებლად 5 გემი გაუგზავნა; აქ მათ დიდი შეტაკება მოუხდათ ადგილობრივ მცხოვრებლებთან და ქალაქი ერეტრია მხოლოდ გმირული ბრძოლის შემდეგ დაეცა. იგი გაანადგურეს ხოლო მისი მცხოვრებლები სპარსელებმა აზიაში გადაასახლეს. ამის შემდგომ სპარსეთის ფლოტმა. ჰიპიასის რჩევით, რომელიც სპარსელებს თან ახლდა და



სურ. 48. სამხედრო ხომალდი მისდევს იალქნიან გემს (სურათი ატიკურ ვაზაზე. ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარი).

მოუთმენლად ელოდა ათენში დაბრუნებას, გასწია ატიკის აღმოსავლეთ ნაპირისაკენ.

აქ სპარსელები გემებიდან ნაპირზე გადავიდნენ და ათენიდან 30 კილომეტრის დაშორებით, მარათონის ველზე დაბანაკდნენ. ათენელებმა მსწრაფლ აფრინეს კაცი სპარტაში და ითხოვეს დახმარება. სპარტელებმა უსერხულად ჩათვალეს დაუყოვნებლივ დახმარებაზე პირდაპირ უარისთქმა და მთვარის გავსებამდე ლაშქრობის შეუძლებლობა მოიმიზეზეს. სამაგიეროდ ათენელების დასახმარებლად საჩქაროდ მოვიდა ათასამდე პლატეელი. ძველად დიდად აზვიადებდნენ მარათონის ველზე დაბანაკებული სპარსელების რიცხვს (ანგარიშობდნენ 200.000—600.000-მდე), ნამდვილად კი მათი რიცხვი, ალბათ, 15.000, ხოლო ბერძნებისა — 10.000 არ აღემატებოდა. ესქილე და პავსანიასი გვარწმუნებდნენ, რომ მარათონის ბრძოლაში ელინების გვერდით მონებიც იბრძოდნენო (Paus. I, 32, 4). მარათონის ბრძოლაში დიდი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა მილტიადემ, რომელიც ათენის ხალხმა განსაკუთრებული დადგენილებით უმაღლეს სარდლად აირჩია.

დაგვიანებით გამოჩნდნენ ბრძოლის ველზე სპარტელები. მათ შეაქებ ათენელები და უკანვე გაბრუნდნენ. ამგვარად, ბრძოლის მთე-

ლი სიმძიმე ათენელებმა გადაიტანეს, სპარსელები სასტიკად დაამარცხეს და ამით მთელ ელადას უდიდესი სამსახური გაუწიეს. ამიტომ სამართლიანად უწოდებს პოეტი სიმონიდე მარათონის მეომართ „ელინების მოწინავე მებრძოლთ“ (Ἑλλήνων προμαχοῦντες). ბრძოლის ველზე მილტიადეს ღრმად პატრიოტული სიტყვა წარმოუთქვამს: თქვენზეა დამყარებულიო,—უთქვამს მას,—„დაედგმება თუ არა ათენს მონობის უღელი, თუ თავისუფლება განმტკიცდება“ (Herod., VI, 109).

ათენელებს ბრძოლის ველზე სამშობლოსათვის დაღუპული მეომრების სამაროვანის გვერდით მილტიადეს საპატივცემო ძეგლი აღუმართავთ.

სპარსელების დამარცხების შემდგომ მილტიადემ

სურ. 49. მ ი ლ ტ ი ა დ ე (მარმარილო, ძვ. წ. V ს.).

სურ. 50. ლ ე ო ნ ი დ ე (მარმარილო, მიახ. ძვ. წ. 480 წ.).

დაარწმუნა ათენელები, რომ იწყებს დიდ საქმეს და მოითხოვა მის განკარგულებაში ფლოტის, მეომართა რაზმისა და სათანადო ნივთიერი საშუალებების გადაცემა. მისი მოქმედება მიმართული იყო კიკლადების ერთი კუნძულის—პაროსის წინააღმდეგ, მაგრამ მისი განზრახვა მარცხით დამთავრდა. ამით ისარგებლეს მისმა მოწინააღმდე-

გეებმა, განსაკუთრებით ალკმეონიდების ნათესავმა და მათთან საერთო ინტერესებით დაკავშირებულმა ქსანთიპემ, და ბრალი დასდეს სახელმწიფო ღალატში. მართალია, იგი გადაურჩა სიკვდილით დასჯას, მაგრამ მიუსაჯეს დიდი ფულადი ჯარიმა. იგი მოკლე დროში მიიცვალა და ჯარიმა მისმა შვილმა გადაიხადა.

ათენს სათავეში კვლავ თემისტოკლე ჩაუდგა. იგი დარწმუნებული იყო, რომ სპარსელები ამ დამარცხებას არ აპატიებდნენ ათენელებს და კვლავ შეეცდებოდნენ მათ საყტიკ დასჯას; ამიტომ მისი მთავარი საზრუნავი ათენის სამხედრო ძლიერების განმტკიცება იყო. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, საჭირო იყო ათენის შინაური ცხოვრების მოწესრიგება, რადგან, როგორც ვიცით, ტირანიის მომხრეებმა თავი წამოყვეს და ათენის დემოკრატიას განსაცდელს უმზადებდნენ. 488/7 წელს მათ წინააღმდეგ მიმართეს უკვე კლისთენეს მიერ დაწესებულ ოსტრაკისმოს და პირველ რიგში ათენიდან გააძევეს „ტირანების მეგობრები". ხოლო პირველი მათ შორის, რომელიც ამ დროს ოსტრაკისმით იქნა განდევნილი, იყო პისისტრატეს ნათესავი და „ტირანების მეგობართა წინამძღოლი" ჰიპარქოსი, ხარნეს შვილი. ამას გარდა, თვით სახელმწიფო კონსტიტუციაში გატარებულ იქნა თვალსაჩინო ცვლილება, რომელიც ა რ ქ ო ნ ტ ა ტ ი ს რ ე ფ ო რ მ ა შ ი გამოიხატებოდა. 487/6 წელს აღადგინეს არქონტების არჩევა წილის ყრით. იგი შერეული სახით არსებობდა ჯერ კიდევ სოლონის დროს, მაგრამ პისისტრატემ გარკვეული პოლიტიკის მიხედვით იგი არჩევნების სისტემით შეცვალა; არ აღუდგენია იგი არც კლისთენეს. ახლა კი იგი კვლავ მემოიღეს მეორე სტადიაში. ე. ი. ფილეებში პირველი ორი კლასიდან ხმისმიცემით არჩეული 100 კანდიდატისაგან არქონტებს უკვე წილისყრით ირჩევდნენ. ამგვარად, წილისყრის, ე. ი. უბრალო შემთხვევის ძალით ამიერიდან შესაძლებელი ხდება არქონტის თანამდებობის მოპოვება უმნიშვნელო ადამიანისათვისაც. ეს კი დიდი დამცირება იყო ძველად ამ პირველხარისხოვანი თანამდებობისა, რომლის მეოხებითაც შეძლებული წრეები ახერხებდნენ თავიანთი ზრახვების განხორციელებას.

შემდგომში, სახელდობრ 457/6 წელს, როგორც ამაზე არისტოტელე მიგვითითებს (Ἀθ. πολ. XXVI, 2), არქონტის თანამდებობის დაკავების უფლება მესამე კლასს — ძ ე ვ გ ი ტ ე ბ ს ა ც მიენიჭა. ხოლო რაც შეეხება მეოთხე კლასს—თ ე ტ ე ბ ს, იურიდიულად მათ არასოდეს არ ჰქონდათ უფლება არქონტად არჩევისა, თუმცა ფაქტიურად მათაც მოიპოვეს შემდგომში ეს უფლება, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ დოკიმასიის, ე. ი. თანამდებობის დაკავების უფლებების გამორკვევის დროს ამ კლასის წევრს თავისი თავი თე-

ტად არ უნდა დაესახელებინა. ამგვარად, თვით დოკიმასია ამ ხანაში უბრალო ფიქციად იქცა.

487/6 წელს არქონტების არჩევის რეფორმასთან ერთად მათი უმთავრესი ფუნქციები 500-ის საბჭოს და სტრატეგოსების კოლეგიას გადაეცა. ათი ფილე ახლა ირჩევს არა 10 სტრატეგოსს, როგორც წინათ, არამედ ცხრას და ერთ მდივანს, მეათეს კი ირჩევენ ყველა ფილესაგან, როგორც ობერსტრატეგოსს, რომელიც სტრატეგოსების კოლეგიას ხელმძღვანელობს[13]. ამით გატარდა უმაღლესი სარდლობის მთლიანობა და ბოლო მოეღო ამ ნიადაგზე ხშირად წარმოშობილ მრავალ გაუგებრობას. თანდათანობით ობერსტრატეგოსის ხელში გადადის სამხედრო წინამძღოლობასთან ერთად სახელმწიფო საქმეების უმაღლესი ხელმძღვანელობაც და იგი ხდება „ხალხის მეთაური" (δημαγωγός ძველი მნიშვნელობით). ამის შემდგომ ათენის დემოკრატიის მეთაურები უმეტეს ნაწილად სწორედ ამ თანამდებობაზე გვევლინებიან.

ამ რეფორმის შემდგომ თემისტოკლე უფრო მტკიცედ შეუდგა თავისი საზღვაო პროგრამის განხორციელებას, რომელიც მან ჯერ კიდევ 493 წ. წამოაყენა. მის მოპირდაპირედ გამოვიდა ზომიერი დემოკრატიული ჯგუფის მეთაური — ა რ ი ს ტ ი დ ე, რომელიც უმთავრესად სოფლის მოსახლეობას ემყარებოდა და, წინააღმდეგ თემისტოკლეს საზღვაო პოლიტიკისა, კონტინენტალური პოლიტიკის მომხრე იყო. თემისტოკლეს პროგრამისათვის სასარგებლო აღმოჩნდა ათენის საკუთარ ფლოტის შექმნის აუცილებლობაზე.

საჭირო ნივთიერი სახსრები ფლოტის შესაქმნელად მოპოვებულ იქნა 483/2 წელს ახლად აღმოჩენილი ლავრეიონის ვერცხლის სახელმწიფო მაღაროებიდან. არისტოტელეს სიტყვით ('Αθ., πολ. XXII), როდესაც ნიკომედეს არქონტობაში აღმოაჩინეს მაღაროები მარონეაში და მათი დამუშავებით სახელმწიფომ 100 ტალანტის შემოსავალი მიიღო, რომელიც მაშინდელი ჩვეულების თანახმად მოქალაქეებს შეეძლოთ ურთიერთ შორის გაენაწილებინათ, თემისტოკლეს რჩევით კი ის ფლოტის შექმნის საჭიროებისათვის გადადეს. არისტიდეს მიმართ კი გაატარეს ოსტრაკისმო. ამას გარდა, მდიდარ მოქალაქეებს ერთგვარი საზოგადოებრივი ბეგარა, „ტრიერარქიის ლიტურგია", დაეკისრა გემების დასამზადებლად. ასეთი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ სულ რაღაც წელიწადნახევარში ათენმა ძლიერი ფლოტი გაიჩინა და თვალსაჩინო საზღვაო ძლიერებას მიაღწია. ამგვარად, თემისტოკლემ ათენი საზღვაო სახელმწიფოდ

გადააქცია. „ხმელეთიდან სიმძიმის ცენტრი ზღვაზე იქნა გადატანილი. ამან კი თავის მხრივ ათენის ცხოვრების მთელ წყობილებაზე მოახდინა გავლენა. კლისთენეს კონსტიტუციას მხედველობაში ჰყავდა მიწის მეურნე მოსახლეობა; მისი თვალსაზრისით ეს იყო მთავარი ძალა და სახელმწიფოს საფუძველი. ახლა წინ დგებიან ახალი ელემენტები, სხვა კლასები და პროფესიები, უმთავრესად „გემების შავი ხალხი", იმ ძველი ავტორების გამოთქმით, რომლებიც უკიდურეს დემოკრატიას არ უთანაგრძნობდნენ. ფლოტის ასაგებად საჭირო გახდა სამსახურში თეტების მიწვევაც; სოლონის კანონმდებლობის პრინციპების მიხედვით კი მოვალეობებს უნდა შეესაბამებოდეს უფლებებიც. ამგვარად, ეს ნიშნავდა მოქალაქეთა მეოთხე კლასისათვის იმ უპირატესობათა უფლების მინიჭებას, რომლებიც აქამდე პირველი სამი კლასის კუთვნილებას წარმოადგენდა" [14]... თემისტოკლეს მიერ გატარებულმა საზღვაო პროგრამამ არსებითად ხელი შეუწყო ათენს შემდგომ დემოკრატიზაციას. ხოლო ამასთან ერთად მას პირველ რიგში ისეთი ძლიერება მიანიჭა, რომელმაც დიდ ომში გამარჯვების სასწორი მის მხარეზე გადახარა.

5. ქსერქსეს გალაშქრება საბერძნეთზე და მისი შედეგები; ბერძენ-სპარსელთა ომების დასასრული და მნიშვნელობა; დელოსის საზღვაო კავშირი; ბერძნების ურთიერთობა დასავლეთში

მარათონის ბრძოლის მორალური და პოლიტიკური მნიშვნელობა ბერძნებისათვის ეჭვს გარეშე განსაკუთრებული იყო [15]. მან დიდად შეუწყო ხელი ათენელების პატრიოტული გრძნობის გაღვივებას და ერთ-ერთი თემა გახდა სამხედრო ჯგუფის აგიტაციისათვის [16]. მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მარცხმა შეასუსტა სპარსეთის სამხედრო ძლიერება და საბერძნეთს თავიდან ააცდინა მოსალოდნელი ახალი შემოსევა, რაც დიდ საგონებელში აგდებდა ათენის სახელმწიფოს მესვეურთ. ცხადი იყო, რომ მარათონის მარცხს სპარსეთის მეფე დარიოსი ათენელებს არ აპატიებდა. ოფიციალურად ამ ფაქტს, თითქოს გვერდს უვლიდნენ და დარიოსის საფლავზე მის ქვეშევრდომთა შორის გამოსახული იყვნენ მცირეაზიელ იონელებთან ერთად აგრეთვე „ფარისმატარებელი იონელებიც", ე. ი. ელადისა და კუნძულების ბერძნები. მაგრამ ქსერქსეს გამოლაშქრებამ მალე გაფანტა ოფიციალური ფიქციის ეს სიცრუე.

ბერძნული ვერსია, თითქოს მარათონის ბრძოლის შემდგომ სპარსეთის მეფე მთელი ათი წლის განმავლობაში საბერძნეთზე კვლავ გალაშქრებისათვის ემზადებოდა, სინამდვილეს არ შეესაბამება და

ანარეკლია ბერძენთა მიერ თავისი გამარჯვების გაზვიადებისა. ამ ხანაში სპარსეთის მონარქიამ რამდენიმე თვალსაჩინო მღელვარება განიცადა და მათ დამშვიდებას მოუნდა. 486 წელს მას განუდგა ეგვიპტე, რომელიც დარიოსის სიკვდილის შემდეგ (485 წ.) კვლავ სპარსეთის მეფობას დაუმორჩილა მისმა შვილმა ქსერქსემ; მერე აჯანყდა ბაბილონია (484 წ.), რომელიც აგრეთვე დიდი სისხლის ღვრის შემდეგ დაშოშმინდა. მხოლოდ ამის შემდგომ იწყო ქსერქსემ საბერძნეთზე გალაშქრებისათვის მზადება. ამ ლაშქრობას მიზნად უნდა ჰქონოდა დასახული არა მარტო ათენელების დასჯა, როგორც 490 წ., არამედ მთელი საბერძნეთის დაპყრობა-დაქვემდებარება. ამგვარად, ისმებოდა მსოფლიო მნიშვნელობის უდიდესი საკითხი — საბერძნეთი თავისუფალი დარჩებოდა, თუ იგი სპარსეთის პროვინცია გახდებოდა; შენარჩუნებული იქნებოდა თუ არა ბერძნული კულტურის თავისუფალი განვითარება, თუ აღმოსავლური ცივილიზაციის სრული გავლენის ქვეშ იგი არსებითად შეიცვლიდა თავის სახეს. ამ უდიდესი მომენტის წინაშე ბერძენთა შორის თანხმობა და მთლიანობა არ არსებობდა: ძველი პარტიკულარიზმი და ურთიერთშორის ქიშპობა კვლავ ღრღნიდა მათ ერთიანობას. უმთავრესად სპარტა და ათენი ცდილობდნენ სპარსეთის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნას და მოახერხეს კიდეც 481 წელს კორინთოს მახლობლად, მის ყელზე მდებარე პოსეიდონის ტაძარში ბერძენთა კონგრესის მოწვევა და საერთო კავშირის ჩამოყალიბება სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. კონგრესის დადგენილებით კავშირის წევრთა შორის ბოლო უნდა მოღებოდა ყოველგვარ უთანხმოებას და სრული მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარებულიყო; ის სახელმწიფოები კი, რომლებიც იძულების გარეშე მიემხრობოდნენ სპარსეთს, სასტიკად უნდა დაესაჯათ, მათი ქონება გაენაწილებინათ და მეათედი დელფოს ღმერთისათვის მიეძღვნათ (δεκατεύειν). სარდლობა ზღვასა და ხმელეთზე სპარტას გადაეცა. კონგრესს დაესწრნენ, სპარტისა და პელოპონესის კავშირს გარდა, ათენის, პლატეას, თესპიეს, ევბეას ქალკიდის და ერეტრიის, ფოკეასა და კორინთოს ახალშენების — ლევკადის, ანაქტორიისა და ამბრაკიის წარმომადგენლები. განსაკუთრებული მოციქულობა წარიგზავნა არგოსში, კერკირაზე, სირაკუზში და კრეტის ზღვისპირა ქალაქებში მოწოდებით, რომ დაარსებულ კავშირს შეერთებოდნენ, მაგრამ არგოსმა, რომელმაც წინათ უკვე დაამყარა სპარსელებთან შეთანხმება, თავისი ნეიტრალიტეტი მოიმიზეზა, სირაკუზს დახმარება არ შეეძლო, ვინაიდან კართაგელებთან უხდებოდა ბრძოლა, კერკირამ, მართალია, დახმარება აღუთქვა, მაგრამ მისმა ფლოტმა დაიგვიანა, კრეტის ქა-

ლაქებმა კი ყოველგვარ დახმარებაზე უარი განაცხადეს. ძლიერ ცუდ გავლენას ახდენდა აგრეთვე დელფოს მისანი, რომელსაც, როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი საბერძნეთის ცხოვრებაში. ჩანს, მისი ქურუმების ინტერესებიც სპარსეთის მიზნის წარმატებით დამთავრებასთან ყოფილა დაკავშირებული. მომავალი ბრძოლის შესახებ შეკითხვებზე იგი მეტად ბუნდოვანსა და ორაზროვან პასუხს იძლეოდა და ამით ხელს უწყობდა ბერძენთა არა გამხნევებას, არამედ სულით დაცემას, ხოლო არგოსსა და კრეტას მან პირდაპირ ურჩია, თავი შეეკავებინათ ომში მონაწილეობისაგან. მიუხედავად ყოველივე ამისა, მოხსენებულ კონგრესს და მის დადგენილებათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ.

ასეთი იყო მდგომარეობა საბერძნეთში, როდესაც სპარსეთის მეფე გაჩქარებით ემზადებოდა მასზე გამოლაშქრებისათვის: ჯარების გადასაყვანად სპარსელებმა ჰელესპონტზე ორი მცურავი ხიდი გააკეთეს, ხოლო ჯარების სანოვაგით უზრუნველყოფის მიზნით თრაკიისა და მაკედონიის განსაზღვრულ პუნქტებში სასურსათო საწყობები მოაწყვეს.

480 წლის გაზაფხულზე თვით ქსერქსეს მეთაურობით დაიძრა სპარსეთის ჯარი, გადავიდა ჰელესპონტზე და თრაკიის სანაპიროს გავლით მივიდა მაკედონიაში, საიდანაც თესალიით საბერძნეთს უნდა შესეოდა. სპარსელების ფლოტი კი, რომლის დანიშნულებას ჯარებთან მუდმივი ურთიერთობის განმტკიცება შეადგენდა, ნაპირების მახლობლად მიემართებოდა.

ბერძნულმა ტრადიციამ ამ შემთხვევაშიც არაჩვეულებრივად გაადიდა შემოსეული სპარსელების რიცხვი. ჰეროდოტეს გადმოცემით (VII, 228), თერმოპილთან ბრძოლის დროს დახოცილი ბერძნების საფლავის ძეგლზე მოთავსებული ყოფილა წარწერა, რომლიდანაც ჩანს, თითქოს აქ სამი მილიონი სპარსელი იბრძოდა ოთხი ათასი პელოპონესელის წინააღმდეგ. თვითონ ჰეროდოტეს ანგარიშით კი, საბერძნეთს უნდა შემოსეოდა ხუთ მილიონზე მეტი სპარსელი. ეს რიცხვი დიდად გადაჭარბებულად მიაჩნია მეორე ბერძენ ისტორიკოსს კ ტ ე ს ი ა ს ს, რომელიც 17 წლის განმავლობაში (415—398) ცხოვრობდა სპარსეთში. მისი აზრით, თავდამსხმელთა რაოდენობა 800.000 მეომარს უდრიდა (Περσικά, XXIII).

ბელოხის მსჯელობის[17] მიხედვით, თუ ჰეროდოტეს რიცხვს სწორედ მივიჩნევთ, მივიღებთ ასეთ სურათს: მაშინ, როდესაც სპარსელების ავანგარდი თერმოპილს უახლოვდებოდა, მისი არიერგარდი მხოლოდ გამოსვლას იწყებდა სარდიდან. ამგვარად, გამოდის, რომ სპარსეთის ჯარი გაჭიმული იქნებოდა მცირე აზიის ცენტრიდან

თერმოპილემდე, რაც აშკარა უაზრობაა. ცხადია, ჰეროდოტეს მიერ ნაჩვენებ რიცხვზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია; იგი არსებითად იმ დროს უნდა იყოს მოგონილი, როდესაც სპარსელებზე გამარჯვებით გალაღებულმა ბერძნებმა განცდილი საფრთხე უდიდესად გააზვიადეს. არც კტესიასის ცნობაა დასაჯერებელი. უნდა ვიფიქროთ, რომ სპარსელების ჯარის რიცხვი რამდენიმე ათეულ ათასს არ აღემატებოდა [18].

ბერძნებმა გაამაგრეს თერმოპოლის გასავალი, თესალიისა და შუა საბერძნეთის საზღვარზე, რათა სპარსელებისათვის შუა საბერძნეთში შეჭრის საშუალება მოესპოთ. აქ პელოპონესელების მცირერიცხოვანი რაზმი სპარტის მეფე ლეონიდეს მეთაურობით დიდ წინააღმდეგობას უწევდა სპარსელებს. ამავე დროს ბერძნების ფლოტი ევბეას ჩრდილოეთ წვერთან — არტემისიონთან შეება სპარსეთის ფლოტს, მაგრამ სასურველი გამარჯვება ვერ მოიპოვა. ამასთან ერთად სპარსელებმა მოახერხეს, ზურგიდან მოეევლოთ თერმოპილის დამცველი გმირების რაზმისათვის, სავსებით ამოხოცეს იგი და თავისუფლად შეიჭრენ შუა საბერძნეთში. მერმინდელ დროს ამ თავგანწირული ბრძოლის ადგილას აღმართეს ძეგლი ლომის გამოსახულებით და პოეტ სიმონიდეს ტექსტით: „ჰე უცხოელო, აუწყე სპარტელებს ჩვენი სიკვდილი; პატიოსნად შევასრულეთ რა კანონი, აქ ჩვენ სამარეში ვწევართ.“

ამგვარად, სპარსელებს ხელში ჩაუვარდათ შუა საბერძნეთი ისთმოსამდე და, რასაკვირველია, ატიკაც. მაგრამ ათენელებმა მოასწრეს ქალების, მოხუცებულების, ავადმყოფებისა და ბავშვების კუნძულ სალამინზე გადაყვანა, ხოლო მეომრები თემისტოკლეს მეთაურობით გემებზე გადავიდნენ.

სპარსელებთან ომის გარშემო ახლა ორი გეგმა წარმოიშვა: სპარტა და პელოპონესის სახელმწიფოები მიზანშეწონილად თვლიდნენ მტერთან ისთმოსთან შებრძოლებას და ამიტომ მის გამაგრებას, ხოლო ათენელებსა და კუნძულის ქალაქებს, რომელთაც თემისტოკლე მეთაურობდა, ყველაზე უფრო მისაღებად სალამინთან ბრძოლის გამართვა მიაჩნდათ. თემისტოკლემ მოახერხა, რომ ბრძოლა სწორედ სალამინთან მომხდარიყო და იგი 480 წლის 28 სექტემბერს ბერძნების ფლოტის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ არისტიდე, რომელმაც ამნისტიით ისარგებლა და ამ ბრძოლის წინ დაბრუნდა სამშობლოში, ათენელი ჰოპლიტების რაზმით გადავიდა ფსიტალიაზე და მოსპო იქ მყოფი სპარსელების დესანტი. სპარსელების ფლოტის ნაშთი მეფის ბრძანებით აღმოსავლეთისაკენ წავიდა. თემისტოკლეს უნდოდა უკან დაედევნებინა მის-

თვის ბერძნების გემები. თავის მხარეზე გადმოეყვანა მცირე აზიის სანაპიროს ქალაქები და ამით სპარსელებისათვის უკან დასახევი გზა შეეკრა, მაგრამ სპარტამ, რომელსაც სამხედრო ხელმძღვანელობა ეკუთვნოდა, ეს გეგმა არ მოიწონა. ქსერქსემ უბრძანა მარდონიოსს, ჯარი საზამთროდ თესალიაში გადაეყვანა, თვითონ კი აზიაში დაბრუნდა.

თესალიაში დაზამთრების შემდგომ 479 წელს მარდონიოსი გადმოვიდა სამხრეთით და უშედეგოდ სცადა ათენელების თავის მხარეზე გადაბირება, ამიტომ კვლავ დაარბია ატიკა, რომელიც ათენელებმა ისევ მიატოვეს, და საფუძვლიანად გაანადგურა ათენი. დიდი ყოყ-



სურ. 51. ბორცვი (სოროსი) მარათონის ბრძოლაში დაღუპული 192 ათენელის სამაროვანზე.

მანის შემდგომ სპარტელებმა ბოლოს გადაწყვიტეს ათენელების დახმარება და მეფე პავსანიასის მეთაურობით სპარსელების წინააღმდეგ ძლიერი კორპუსი წარგზავნეს. მაშინ მარდონიოსმა საჩქაროდ დატოვა ატიკა და ბეოტიაში გადავიდა. აქ პ ლ ა ტ ე ა ს თ ა ნ ბრძოლაში ძვ. წ. 479 წელს სპარსელებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს სპარტელებისა და ათენელების შეერთებული ჯარისაგან და თავისი სარდალი მარდონიოსიც კი დაკარგეს. ათენელთა ლაშქარს მეთაურობდა გაძევებიდან დაბრუნებული არისტიდე. სპარსელების ჯარის გადარჩენილი ნაწილი არტაბაზმა მოაგროვა, საჩქაროდ გადაიყვანა თესალიაში და იქიდან თრაკიაში. გამარჯვებულ ბერძნებს დიდი ნა-

დავლი დარჩათ. მისი მეათედი ნაწილი მიეძღვნა ღმერთებს: აპოლონ დელფოელს, ზევს ოლიმპოელს და პოსეიდონს, ნაწილი კი მოიხმარეს სამი გადახლართული გველის სახის ბრინჯაოს სვეტის აღმართვაზე. სვეტზე ოქროს სამფეხი იდგა და ამოჭრილი იყო წარწერა, რომელშიც ჩამოთვლილი იყო პლატეასთან ბრძოლის მონაწილე 31 ქალაქი, პირველ რიგში: სპარტა, ათენი და კორინთო.

შემდეგ ბერძენთა ჯარი თებესაკენ დაიძრა, რომელიც სპარსელების ბურჯი იყო საბერძნეთში. ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ თებელები დანებდნენ და გასცეს პერსოფილური ჯგუფის მეთაურები; მოღალატენი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო თებე ბეოტიის კავშირიდან გარიცხეს.

საბერძნეთის მიწა-წყალი საშინელ განსაცდელს გადაურჩა და თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეინარჩუნა. საკავშირო ჯარის ნაწილები თავიანთ მხარეებში დაბრუნდნენ.

იმავე 479 წელს მ ი კ ა ლ ე ს კონცხთან დიდი საზღვაო ბრძოლა მოხდა. ბერძენთა ფლოტი, რომელსაც მეთაურობდნენ სპარტის მეფე ლ ე ო ტ ი ხ ი დ ე და ათენელი ქ ს ა ნ თ ი პ ე, იონიის ნაპირებისაკენ დაიძრა, სპარსელების ფლოტი კი სამოსის ნაპირებთან იდგა. მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე წასული იყო, დანარჩენი ხომალდები კი მიკალეს კონცხის ნაპირას გადაიყვანეს და მათ დასაცავად სპარსელების მეომრების რაზმი იყო გამოყოფილი. ამავე დროს ბერძნებმა, რომელთაც იონელები უჭერდნენ მხარს, ადვილად გადასხეს ჯარები და შეუტიეს სპარსელების რაზმს, ზურგიდან კი სპარსელების ჯარში მყოფმა იონელებმა თვისტომთ დიდი დახმარება გაუწიეს. სპარსელების ჯარი მთლიანად ამოჟლიტეს და მათი ფლოტი გაანადგურეს. მიკელესთან სპარსელების დამარცხებასთან დაკავშირებით აჯანყებულმა იონელებმა გაჟლიტეს მათი გარნიზონები და ქიოსი, სამოსი და ლესბოსი ბერძენთა კავშირს შეუერთდნენ. ამიერიდან საომარი მოქმედება უკვე ზღვაზე გადაიტანეს და სპარსელების მთელი ეგეოსის აუზიდან განდევნას ისახავდა მიზნად.

480—479 წლებში ბერძენთა ბრწყინვალე გამარჯვებათა შემდგომ პერიოდს საბერძნეთის ისტორიაში „პენტეკონტაეტია“ („ორმოცდაათწლეული“) ეწოდება. ეს პერიოდი, რომელსაც გარკვეული განვითარება ახასიათებს, პელოპონესის ომის გამომწვევ კონფლიქტებამდე გრძელდებოდა.

მიკალესთან გამარჯვების შემდეგ საჭირო იყო მცირე აზიისა და თრაკიის სანაპიროებიდან და განსაკუთრებით ჰელესპონტის ნაპირებიდან მტრის სრული განდევნა. ამიტომ ათენის გარდა ომის გაგრძელებით დაინტერესებული იყვნენ ბერძენთა პოლისები მცირე აზიის,

თრაკიისა და ჰელესპონტის სანაპიროებზე და აგრეთვე კუნძულების ბერძნული ქალაქები. რომელი სახელმწიფო უნდა ჩადგომოდა სათავეში ასეთი ბრძოლის გაგრძელებას? 480 წლიდან საერთო ელინური თავდაცვითი კავშირის ოფიციალურ მეთაურად სპარტა ითვლებოდა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სპარტელები ომით დაინტერესებული იყვნენ იმ დრომდე, ვიდრე მტერი პელოპონესის ზღურბლთან იდგა და უშუალოდ ემუქრებოდა სპარტას. ამას გარდა, სპარტა ღარიბი იყო ფლოტით და არც საზღვაო ოპერაციებში იყო გამობრძმედილი. ამიტომ ომის გაგრძელებით დაინტერესებული ქალაქები არა სპარტის, არამედ ათენის გარშემო ჯგუფდებოდნენ.

მიკალეს კონცხთან გამარჯვების შემდეგ ბერძნების ფლოტი სამოსთან დაბრუნდა. ამ დროისათვის იონიის კუნძულების ქალაქები, მოკავშირეთა საზღვაო ძალების ოფიციალური მეთაურის, სპარტის მეფის ლეოტიხიდეს მოწოდებით; სპარსეთს განუდგნენ. როგორი უნდა ყოფილიყო მათი შემდგომი ბედი? სპარტელების წინადადებით მთელი მათი მოსახლეობა ევროპის საბერძნეთში უნდა გადმოსახლებულიყო იმ პოლისების მიწებზე, რომელთა დასჯა იყო განზრახული ომში სპარსელების მხარეზე მონაწილეობისათვის. სპარტელების წინადადებას გადაჭრით წინაღუდგნენ ათენელები. გაიმარჯვა მათმა აზრმა და ქიოსი, სამოსი, ლესბოსი და კუნძულების სხვა პოლისები კავშირის შემადგენლობაში შეივიდნენ.

სამოსიდან ბერძნული ფლოტი ჰელესპონტისკენ წავიდა ქსერქსეს მიერ აგებული ხიდის დასანგრევად, მაგრამ გამოირკვა, რომ ის ქარიშხალს უკვე გაენადგურებინა. ათენელებმა და მათმა მომხრეებმა მოითხოვეს, დაუყოვნებლივ შედგომოდნენ საომარ მოქმედებას სპარსელთა გარნიზონების წინააღმდეგ ჰელესპონტისა და პროპონტიდის სანაპიროებზე. ამას ლეოტიხიდე არ დაეთანხმა და მთელი თავისი ხომალდებით დაბრუნდა პელოპონესში. მაშინ დარჩენილმა მოკავშირეებმა ათენელების წინამძღოლობით ხანგრძლივი ალყა შემოარტყეს სესტოსს, 478 წელს აიღეს ის და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ. ამან ერთგვარად გაბზარა სპარტა-ათენის ურთიერთობა.

მალე ამას ახალი კონფლიქტიც დაემატა. საქმე იმაშია, რომ სპარსელების განდევნის შემდეგ ატიკაში დაბრუნებულმა ათენელებმა დაინახეს, რომ მათი ქალაქი ნანგრევებსღა წარმოადგენდა. ამიტომ სასწრაფოდ შეუდგნენ სახლების, საზოგადოებრივი შენობების და დანგრეული კედლებისა და კოშკების აღდგენას. თემისტოკლე, რომელიც კვლავ მეთაურობდა იმ დროს ათენის სახელმწიფოს, აუცილებელ საჭიროებად თვლიდა არა მარტო პირეუსის ნავსადგურის მშენებლობის დამთავრებას, არამედ ათენთან მის შეერთებას ეგრეთ

წოდებული გრძელი კედლებით. ათენელების ასეთმა მოქმედებამ სპარტელებში და მათ მოკავშირე ქალაქებში ცხადი შეშფოთება გამოიწვია. ათენში მოვიდნენ სპარტის ელჩები და ათენელებს მოსთხოვეს, შეეწყვიტათ მუშაობა თავიანთ სიმაგრეთა აღდგენაზე. ამ მოთხოვნას იმით ასაბუთებდნენ, თითქოს ახალი შემოსევის დროს სპარსელებს შეუძლიათ ბერძნების საწინააღმდეგოდ გამოიყენონ ათენელების კედლები და კოშკებიო. ასეთი პროტესტის საპასუხოდ ათენელებმა სპარტაში ელჩები წარგზავნეს თვითონ თემისტოკლეს შეთაურობით, რომელმაც განზრახ გააჭიანურა მოლაპარაკება. ამასობაში ათენელები დაუსვენებლივ მუშაობდნენ კედლებისა და კოშკების აგებაზე და სამშენებლო მასალად საფლავთა სტელებსაც კი იყენებდნენ. როცა თემისტოკლემ შეიტყო, რომ ეს სამუშაოები ნახევრად უკვე შესრულებულია, ეს მან გულახდილად განუცხადა სპარტელებს. მათ უკან წაიღეს თავიანთი პროტესტი და, პირიქით, ათენელებს არწმუნებდნენ, რომ მათ მხოლოდ კეთილი რჩევის მიცემა სურდათ.

478 წელს ბერძენმა მოკავშირეებმა კვლავ განაახლეს სამხედრო მოქმედება სპარსელების წინააღმდეგ. სპარტელებმა ლეოტიხიდე სპარტის მცირეწლოვანი მეფის პლეისტარქოსის მეურვე პავსანიასით შეცვალეს. მოკავშირეებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს ჰელესპონტთან, სადაც მათ ბიზანტიონი აიღეს. მაგრამ მოკავშირეებს შორის სპარტელების ხელმძღვანელობით გამოწვეული უკმაყოფილება უფრო იზრდებოდა და ღრმავდებოდა. ალბათ, პავსანიასის საქციელიც იყო ამის მიზეზი. მას ბრალს სდებდნენ უხეშობასა და სიმკაცრეში: ამბობდნენ, რომ იგი ბერძნების სხვა რაზმების წინამძღოლთ უყვირის და უკმეხად ექცევა, ბერძენ მეომრებს გაჯოხვით დასჯას ემუქრება და კიდეც უსრულებს და სამხედრო ნადავლიდან უდიდეს ნაწილს თვითონ ისაკუთრებსო. განსაკუთრებული აღშფოთება კი გამოუწვევია იმას, რომ ქალაქ ბიზანტიონის დაპყრობის შემდეგ ტყვე სპარსელები მას გაუთავისუფლებია, სპარსელი ქეშიკები გაუჩენია, სპარსულ ტანისამოსში გამოწყობა დაუწყია და აღმოსავლურ ფუფუნებას მისცემია. უფრო მძიმე იყო ის, რომ მას სპარსელებთან მოღალატურ ურთიერთობასაც კი სწამებდნენ, თითქოს მათი დახმარებით ფიქრობდა სპარტაში ტირანული ძალაუფლების ხელში ჩაგდებას[19]. ძნელია ჩვენს ხელთ არსებული ცნობების მიხედვით გავარკვიოთ, თუ რამდენად შეესაბამებოდა ყოველივე ეს სინამდვილეს. ყოველ შემთხვევაში მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ პავსანიასის წინააღმდეგ წარმოიქმნა შეთქმულება, რომლის მონაწილეებმა კინაღამ არ ჩაძირეს ის გემი, რომელზეც ის იმყოფებოდა. სპარტა

იძულებული გახდა პავსანიასი სხვა პირით შეეცვალა, მაგრამ უკვე გვიან იყო. 478 წელს სპარტა ყველა თავისი პელოპონესელი მოკავშირით ოფიციალურად გამოვიდა კავშირის შემადგენლობიდან.

478 წელს კი ბერძენთა იმ პოლისების წარმომადგენლები, რომლებიც სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების მომხრენი იყვნენ, კუნძულ დელოსზე შეიკრიბნენ და ფიცის მიღებით შექმნეს კავშირი, რომელიც დ ე ლ ო ს ი ს ს ა ზ ღ ვ ა ო კ ა ვ შ ი რ ა დ (სიუმპრად) იწოდებოდა. თუკიდიდეს გადმოცემით (I, 96; III, 10), კავშირის მიზანი იყო სპარსელებთან ომის გაგრძელება იმისათვის, რომ მათთვის სამაგიერო მიეზღოთ ელადისათვის მიყენებულ ჭირთათვის და მათგან გაენთავისუფლებინათ ის ბერძნები, რომლებიც ჯერ კიდევ მათი ხელქვეითნი იყვნენ.

თავდაპირველად დელოსის კავშირი დამოუკიდებელ და თანასწორუფლებიან წევრებისაგან შედგებოდა. თითოეული წევრი ვალდებული იყო გადაეცა საკავშირო ფლოტში ხომალდების დაწესებული რიცხვი მთელი შემადგენლობით და აგრეთვე შეეტანა ხაზინაში დელოსზე განაწილების მიხედვით „ფოროსი“ — ფულადი შესატანი საერთო სამხედრო ხარჯებისათვის. კავშირის უმაღლეს ორგანოდ ითვლებოდა საერთო საბჭო, რომელშიც თანაბარი ხმით შედიოდნენ მასში შემავალი ყველა ქალაქის წარმომადგენლები. საბჭო იკრიბებოდა დელოსზე, იონელთა აპოლონის ტაძრის ირგვლივ წარმოქმნილი ამფიქტიონიის ძველ ცენტრში. რა თქმა უნდა, ამ კავშირში ათენს, რომელიც იმ დროის მიხედვით უდიდეს და უძლიერეს ფლოტს ფლობდა, თავიდანვე ხელმძღვანელი როლი მიეკუთვნა როგორც სამხედრო დარგში, ისე საორგანიზაციო და საფინანსო საქმეებში. ათენის სტრატეგოსები განაგებდნენ აგრეთვე ფოროსის განაწილებას. სალამინის ბრძოლის შემდეგ გაძევებულმა ათენელმა არისტიდემ პირველმა განსაზღვრა მისი საერთო ჯამი 460 ტალანტით. მერმინდელ წლებში ფოროსის ჯამი რყევას განიცდიდა, ხან მცირდებოდა, ხან, პირიქით, იზრდებოდა, მაგ., პელოპონესის ომის დროს ის 1300 ტალანტამდე ავიდა.

აღსანიშნავია, რომ მოკავშირეთა ნაწილმა თანდათანობით თავიანთი ნატურალური მოვალეობის ფულადი გადასახადით შეცვლა ამჯობინა, რამაც ისეთი პირობების წარმოქმნა განავითარა, რომელშიც ასეთი მოკავშირეები თანდათანობით სწორუფლებიანობას კარგავდნენ. ამ მოვლენის მნიშვნელობას განსაკუთრებული გონებამახვილობით განსაზღვრავს ძველი დროის ისტორიკოსი თ უ კ ი დ ი დ ე. მისი სიტყვით (I, 96), ამაში დამნაშავენი აღმოჩნდნენ თვით მოკავ-

შირეები: სამხედრო სამსახურისადმი გულგრილობის წყალობით და აგრეთვე სამშობლოდან ხანგრძლივად წასვლის მიუღებლობის გამო მოკავშირეთა უმრავლესობამ გემების გამოყვანის მაგიერ თავი დაიბეგრა ფულადი გადასახადით... ამგვარად, ათენელების ფლოტი იზრდებოდა მოკავშირეების მიერ შემოტანილი გადასახადების ანგარიშზე, ხოლო უკანასკნელნი კი ომში მიდიოდნენ მოუმზადებელნი და საჭირო გამოცდილების გარეშე. ერთი სიტყვით, ასეთი დიდი კავშირის სამხედრო დაცვა და აგრეთვე განდგომილ წევრთა დასჯა ათენის ხელში გადავიდა და არაჩვეულებრივად გაადიდა მისი სამხედრო ძლიერება. ყოველივე ამის გამო არ შეიძლებოდა არ შეცვლილიყო, როგორც დავინახავთ, ათენელების პირვანდელი დამოკიდებულება კავშირის წევრებისადმი და თავი არ წამოეყო მათ მხრივ უკვე მბრძანებლობის მომენტს. არც ეს ცვლილება გამოპარვია თუკიდიდეს და იგი ხაზგასმით აღნიშნავს: სხვა მხრივაც ათენელების მეთაურობა მოკავშირეებს უკვე ისე აღარ ესიამოვნებოდათ, როგორც დასაწყისში; საერთო სამხედრო ოპერაციების დროსაც ათენელებსა და მოკავშირეებს შორის თანასწორობა აღარ სუფევდა და ათენელები მეტად ადვილად იმორჩილებდნენ კავშირის განდგომილ წევრებს. ამგვარად, პირველად თანასწორუფლებიანობის პრინციპზე აგებული დელოსის საზღვაო კავშირი თანდათანობით საწინააღმდეგო სახეს იღებს.

ამასობაში ათენში თემისტოკლეს წინააღმდეგ ფართო ოლიგარქიული დაჯგუფება წარმოიქმნა, რომელსაც არისტიდე და კიმონი ხელმძღვანელობდნენ და რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ფილაიდებისა და ალკმეონიდების გავლენიანი გვარები. ამ დაჯგუფებას დიდ დახმარებას უწევდა სპარტაც. ასე შემზადდა ნიადაგი თემისტოკლეს ათენიდან გაძევებისა 471 წელს ოსტრაკიზმოს გამოყენებით. თემისტოკლე დემოკრატიულ არგოსში დასახლდა და ცდილობდა პელოპონესის სხვა ქალაქებში დემოკრატიული გადატრიალება შეემზადებინა.

ამას გარდა, თემისტოკლე უახლოვდება პავსანიასს და მასთან ურთიერთობის შედეგად ჰილოტების წრეში პროპაგანდას ეწევა აჯანყების მოსაწყობად. სპარტის მთავრობამ ამის გამო პავსანიასს ჯერ ბრალი დასდო სპარსეთის მეფესთან მიწერ-მოწერაში და მერე მისი დაპატიმრება გადაწყვიტა. წინასწარ გაფრთხილებულმა პავსანიასმა თავი ათენა-ხალკიოიკოსის (სპილენძსახლოვანის) ტაძარს შეაფარა. რადგან მისი მოკვლა ტაძარში არ შეიძლებოდა, ეფორებმა ბრძანეს შესავალი ამოექოლათ და სახურავი აეხადათ, რომ თვალყური ედევნებინათ მისთვის. როცა შეამჩნიეს, რომ პავსანიასი სულს

ღაფავდა, ის გარეთ გამოიყვანეს და სპარსელებზე პლატეასთან გამარჯვების მეთაური ტაძრის კვარცხლბეკთან მოკვდა. ამასთან ერთად სპარტელებმა ათენელებს აცნობეს, რომ სპარსელებთან ურთიერთობაში პავსანიასთან ერთად თემისტოკლეც მონაწილეობდაო. თემისტოკლე სასამართლოში გაიწვიეს, მაგრამ ის არ გამოცხადებულა და წერილობითი ახსნა-განმარტებით დაკმაყოფილდა. მაშინ მას in absentia სიკვდილით დასჯა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს, ამასთან ათენმაც და სპარტამაც არგოსს თემისტოკლეს გაცემა მოთხოვეს.

სურ. 52. ოსტრაკონი თემისტოკლეს სახელისა და დემის აღნიშვნით.

ყოველმხრივ დევნილი თემისტოკლე იძულებული გახდა ისევ სპარსეთის მეფისათვის მიემართნა და მისგან მცირე აზიაში ქალაქ მაგნესიას მმართველობა მიეღო.

თემისტოკლეს გაძევების შემდეგ ათენში ძალაუფლება მთლიანად ოლიგარქიული დაჯგუფების ხელში გადადის, რომელსაც არისტიდეს სიკვდილის შემდეგ კიმონი მეთაურობს. ცნობილი მილტიადეს ძე კიმონი მდიდარ ადამიანთა წრეს ეკუთვნოდა და ერთი ფრიად ნიჭიერი ათენელი სარდალთაგანი იყო. იგი დიდი თაყვანისმცემელი იყო სპარტის სახელმწიფო წყობილებისა და ყველგან ქება-დიდებით იხსენიებდა. სპარტელებიც მას ყოველგვარად ხელს უწყობდნენ. მან რამდენჯერმე დაამარცხა თრაკიის სანაპიროზე სპარსელების გარნიზონები. მოკავშირეების მიერ მდინარე სტრიმონის შესართავთან მდებარე სპარსელების მთავარი და კარგად გამაგრებული პუნქტის ეიონის აღების შემდეგ თრაკია მთლიანად იქნა განწმენდილი სპარსელებისაგან.

ამის შემდეგ კიმონმა კუნძულ სკიროსზე გაილაშქრა. ტრადიციის თანახმად, სკიროსზე მოკლეს ათენის ლეგენდარული მეფე თეზევსი. როდესაც ათენელები და მოკავშირეები სკიროსს დაეუფლნენ, ამოთხარეს ვიღაცის ძვლები, ვითომც თეზევსის ნეშტი, გადაიტანეს ათენში და იქ დიდი ზეიმით დამარხეს.

მოკავშირეების გამარჯვებებმა აიძულა სპარსეთის სარდლობა თავის მხრივ გარკვეული კონტრზომები მიეღო. სპარსელებმა შეამზადეს დიდი ფლოტი (200 ტრიერი) და ძლიერი სახმელეთო ჯარი და

განზრახული ჰქონდათ სამაგიერო გადაეხადათ ბერძნებისათვის. მაგრამ კიმონმა მათს მოსალოდნელ თავდასხმას დაასწრო და ათენელებისა და მოკავშირეების დიდი ესკადრა ზღვაში გაიყვანა.

მცირე აზიის სანაპიროსთან, მდ. ევრიმედონტის შესართავთან 469 წელს მოხდა დიდი ბრძოლა როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე. სპარსელებმა მწარე დამარცხება განიცადეს და გამარჯვებულ ბერძნებს დიდი ნადავლი დარჩათ.

მალე ასეთი ახალი დამარცხების შემდეგ შეთქმულმა კარისკაცებმა მოკლეს სპარსეთის მეფე ქსერქსე და მისი უფროსი ძე დარიოსი, ხოლო ტახტი მეფის უმცროს ძეს არტაქსერქსეს გადაეცა. კიმონის ასეთ გამარჯვებას თან მოჰყვა ათენელი კოლონისტების, ვაჭრებისა და მონებით მოვაჭრეების მრავლად გადასვლა ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და ნაპირებზე. ამ გარემოებამ კი დიდი უკმაყოფილება გამოიწვია როგორც ათენის მოკავშირეებში, ისე არაბერძენ ტომთა შორის. ზოგიერთი კუნძულის უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ თანდათან აჯანყების ხასიათი მიიღო. ჯერ კიდევ ევრიმედონტთან ბრძოლამდე კუნძულ ნაქსოსის ბერძნები აჯანყდნენ, მაგრამ დამარცხდნენ. ნაქსოსმა დაკარგა კავშირის თანასწორუფლებიანი წევრობა და მისი მოსახლეობა ათენის ქვეშევრდომი გახდა. 465 წელს განდგომის გზას დაადგა თასოსი. თასოსელები ვერ ურიგდებოდნენ იმ გარემოებას, რომ ათენელები მათი კონკურენტები შეიქნენ თრაკიასთან ვაჭრობაში და მდინარე სტრიმონის ოქროს ბუდობების ექსპლოატაციაში (Thuc., I, 100). მათ დახმარებას შეეცადა სპარტა, მაგრამ თვით განიცადა ძლიერი მიწისძვრა და ჰილოტების აჯანყება. კიმონმა ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა თასოსელები, რომლებიც იძულებული იყვნენ დაენგრიათ თავიანთი სიმაგრეები, გადაეცათ ათენელებისათვის ფლოტი, გადაეხადათ ათენელების სამხედრო ხარჯები, აღეთქვათ მომავალში ფოროსის შეტანა და ხელი აეღოთ მაღაროებზეც. ასე გადაგვარდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირვანდელი ეტაპი, რომელმაც ახლა უკვე მოკავშირეებზე ათენელების ბატონობის ხასიათი მიიღო.

ამ გამარჯვებებმა კიდევ უფრო აამაღლეს კიმონის ავტორიტეტი. თვითონ, კიმონიც ყოველგვარად ცდილობდა თავისი პოპულარობის განმტკიცებას. იგი უხვად არიგებდა ფულს, აწყობდა დღეობებსა და ასპარეზობებს, თავის ხარჯზე აგებდა საზოგადოებრივ შენობებს და ძალიან ზრუნავდა ქალაქ ათენის გამშვენიერებაზე. მან გააღო თავისი ბაღის კარი და ყველას მისცა ნება შესულიყო იქ და ეჭამა ხილი და ბოსტნეული. სახლში კი ყოველდღიურად ამზადებინებდა სადილებს

და ყოველ ღატაკს შეეძლო, თუკი მოისურვებდა, მიეღო იქ საჭმელ-სასმელი. პლუტარქეს სიტყვით, კიმონი ათენელებს ყოველგვარად აიძულებდა გაწაფულიყვნენ სამხედრო სამსახურში და ამით ისინი მიწათმოქმედთაგან და ხელოსნებისაგან ჯარისკაცებად ხდებოდნენო. ამავე დროს ის სიამოვნებით თანხმდებოდა, სამხედრო სამსახურისაგან გაენთავისუფლებინა მოკავშირეები, რომლებიც „მათი ფუფუნებითი ცხოვრებისა და სიბრიყვის გამო, ჯარისკაცებისაგან მშვიდობიან მიწათმოქმედებად და ვაჭრებად იქცეოდნენ“ (Plut., Kim., X—XI)[20].

შინაგან პოლიტიკაში კიმონი უფრო არისტოკრატიულ პარტიას უთანაგრძნობდა და მისთვის სპარტა და სპარტის წესწყობილება სანიმუშო იყო. მას სურდა შეეერთებინა ათენის დიდმპყრობელური პოლიტიკა სპარტის კონსერვატიზმთან, რაც, ცხადია, შეუძლებელს წარმოადგენდა. თვით ის გამარჯვებანი, რომელნიც მან ათენს მოუპოვა, იწვევდნენ სპარტელებში, კიმონის სურვილების წინააღმდეგ, დიდ შეღლსა და მღელვარებას. თუ სპარსელებთან ბრძოლის პირველ პერიოდში სპარტა თითქმის ათენთან ერთად ეწეოდა უღელს ბერძენთა დაცვის საქმეში, ათენის ამაღლებისა და გაძლიერების შემდგომ ანტაგონიზმი ამ ორ მონათმფლობელურ სახელმწიფოს შორის თანდათან ღრმავდებოდა. ეს ანტაგონიზმი მკაფიოდ იჩენდა თავს ძველი საბერძნეთის ისტორიის მთელ მანძილზე. ასეთ ანტაგონიზმს კვებავდა ბერძნული პოლისების ის თავისებურება, რომელიც საწარმოო ტექნიკის დაბალი განვითარების გამო მათი სამფლობელოს მუდმივ გაფართოებას მოითხოვდა[21].

სპარტასა და ათენს შორის ანტაგონიზმის ცხად გამოვლინებას ადგილი ჰქონდა 464 წელს, როდესაც სპარტაში დაიწყო ჰილოტების დიდი აჯანყება, რომელიც მესენიის მესამე ომის სახელით არის ცნობილი. მისი ცენტრი იყო მთა ი თ ო მ ა ჩრდილოეთ მესენიაში. ითომა ათი წლის განმავლობაში იყო ალყაშემორტყმული, მაგრამ უშედეგოდ. შეშინებულმა სპარტელებმა დახმარებისათვის ისევ ათენს მიმართეს.

ეს საკითხი გახდა დიდი ბრძოლის საგანი არისტოკრატიულ და დემოკრატიულ ჯგუფებს შორის. პირველი, რომლის იდეალს წარმოადგენდა სპარტის სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, მოითხოვდა საჩქაროდ დახმარების გაგზავნას. მეორე, პირიქით, სპარტაში დემოკრატიის დაუძინებელ მტერს ხედავდა და სასტიკი წინააღმდეგი იყო ასეთი ნაბიჯის გადადგმისა. გაიმარჯვა პირველმა მიმართულებამ და სპარტელების დასახმარებლად ითომში გაიგზავნა რაზმი კიმონის მეთაურობით. მაგრამ სპარტელებმა ეჭვის თვალით შეხედეს ათენელების მისვლას და უკან გამოაბრუნეს ისინი. ამ ფაქტმა დიდი ზიანი

მიაყენა კიმონის ავტორიტეტს და საერთოდ არისტოკრატიული ჯგუფის გავლენას. ათენელებმა შეცვალეს თავისი პოლიტიკა სპარტისადმი, გააუქმეს მასთან საკავშირო ურთიერთობა და პირიქით კავშირი შეკრეს მის მოწინააღმდეგე არგოსთან და თესალიასთან, რომელთაც შემდგომში მეგარაც შეუერთდა, ხოლო როდესაც მესენიელები სპარტელებთან ბრძოლაში დამარცხდნენ, ათენელებმა ისინი ნავპაქტოსში დაასახლეს.

კიმონის სპარტაში ყოფნის დროს ათენის ეკლესიაში უპირატესი გავლენა დემოკრატიულმა ჯგუფმა მოიპოვა. იგი სპარტასთან კავშირის წინააღმდეგი იყო. ბრძოლა ამ ნიადაგზე კიმონის ოსტრაკიზმოთი დამთავრდა (461 წ.). ათენის დემოკრატების ბელადი კი ამ დროს იყო ეფიალტე, რომლის შესახებ მცირე რამ ვიცით, ერთი კი ცხადია, რომ ის მთლიანად იზიარებდა თემისტოკლეს მიმართულებას და გამოჩენილი ორატორი იყო.

კიმონის გაძევების შემდგომ ურთიერთობა სპარტასა და ათენს შორის ძალზე გამწვავდა. ათენი ჩაერია კორინთოსა და მეგარას შორის საზღვრის გარშემო წამოჭრილ უთანხმოებაში. ამას თან მოჰყვა ომი, რომელშიც ათენელებმა ტ ა ნ ა გ რ ა ს თ ა ნ (ბეოტიაში) 457 წელს დამარცხება განიცადეს. მაგრამ შემდგომ მათ ბრწყინვალედ გაიმარჯვეს მოკავშირე ბეოტიელ ჯარზე ო ე ნ ო ფ ი ტ ა ს თ ა ნ. ხოლო 456 წელს სპარტის ძველი მოკავშირე და ათენის ძლიერი მეტოქე ვაჭრობაში ე გ ი ნ ა იძულებული იყო კაპიტულაციის გზას დადგომოდა.

იწყება ათენის მონათმფლობელური დემოკრატიის დიდი განვითარება და სამხედრო გაძლიერება. ათენმა, რომელმაც თავის გარშემო ორასამდე ქალაქი-სახელმწიფო გააერთიანა, თავისი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მწვერვალს პერიკლეს დროს მიაღწია, რაზედაც საუბარი ქვემოთ გვექნება.

ჯერ კიდევ ათენსა და სპარტას შორის შეტაკებამდე მოხდა ამბავი, რომელმაც ათენელების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ეგვიპტის მოსახლეობა აჯანყდა სპარსელების წინააღმდეგ. ათენელებმა აჯანყებულთ დასახმარებლად გაუგზავნეს ფლოტის საუკეთესო ნაწილი კიმონის წინამძღოლობით. ათენელების ჯარის ნაწილი კვიპროსზე ომობდა, ნაწილიც ფინიკიის სანაპიროზე, მთავარმა ძალებმა კი ეგვიპტელებთან ერთად დაამარცხეს სპარსელები და მემფისს ალყა შემოარტყეს. მაგრამ ნილოსის დელტაში ათენის ფლოტი თითქმის მთლიანად განადგურდა.

ამ ამბავმა ათენელები დიდად შეაშფოთა. წარმოიშვა შიში, რომ სპარსელები მათ ეგვიპტის საქმეებში ჩარევას არ აპატიებენ და

ახალ გამოლაშქრებას მოაწყობენ. ამიტომ მათ საკავშირო ხაზინა დელოსიდან ათენში გადაიტანეს და გაძევებიდან დააბრუნეს ცნობილი სარდალი კიმონი. მისი მეთაურობით ძლიერი ფლოტი წარგზავნეს კვიპროსისაკენ. აქ კიმონი მალე გარდაიცვალა. ათენელებმა კი კვიპროსის ქალაქ სალამინთან 449 წელს ზღვასა და ხმელეთზე სრული გამარჯვება მოიპოვეს. ამ გამარჯვებამ, ეგვიპტეში განცდილი დამარცხების მიუხედავად, კვლავ ცხადყო ათენის ძლიერება ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოთა შორის.

448 წელს სპარსეთის მეფის სატახტო ქალაქ სუსაში სპარსელებსა და ბერძენთა საკავშირო წარმომადგენლებს შორის დადებულ იქნა ეგრეთ წოდებული კალიასის ზავი. წინათ ზოგიერთი მკვლევარი შედეგმით ამ ზავს კიმონს უკავშირებდა და მის სახელს უწოდებდა; იყვნენ ისეთი მკვლევარებიც, რომელთაც მის არსებობაში უსაფუძვლოდ შეჰქონდათ ეჭვი[21]. კალიასის ზავის თანახმად სპარსეთის მეფე უარს ამბობდა თავის ჰეგემონიაზე ეგეოსის ზღვაზე, ჰელესპონტსა და ბოსფორზე და აღიარებდა მცირე აზიის პოლისების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ასე დამთავრდა ბერძნების ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა სპარსეთის დესპოტიასთან. მაგრამ არ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ამის შემდგომ სპარსეთი ისე დაუძლურდა, რომ დაკარგა თავისი საერთაშორისო მნიშვნელობა. პირიქით, ის მაინც ძლიერი სახელმწიფო იყო და V—IV საუკუნეებში რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა საბერძნეთის სახელმწიფოების საქმეებში და მათ ურთიერთობაში თვალსაჩინო როლი ითამაშა.

ბერძენ-სპარსელთა ომების ზეგავლენით დიდი ცვლილება განიცადა ათენის საგარეო და შინაურმა მდგომარეობამ; მისი სამეურნეო განვითარება უფრო ჩქარი ნაბიჯით წავიდა წინ, ხოლო მისი შინაური წყობილება უფრო მეტად დაადგა დემოკრატიზაციის გზას. მცირეაზიელი ახალშენების განთავისუფლებამ უფრო გააადვილა საავაჭრო ურთიერთობა ეგეოსის ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ სანაპიროებს შორის. ამასთან ომმა დასცა სპარსელების ქვეშევრდომების საავაჭრო მნიშვნელობა და სამაგიეროდ გაადიდა ბერძნების ხვედრითი წონა ზღვაზე. ათენის ჰეგემონიის ქვეშ ეგეოსის ზღვის სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილის გაერთიანებამ და ამ ნიადაგზე ცნობილი კავშირის წარმოქმნამ, რომლის ძლიერებას უდიდესი ფლოტი წარმოადგენდა, უზრუნველყო საავაჭრო გეგმების ზღვებზე მიმოსვლისა და საერთოდ საავაჭრო გაცვლა-გამოცვლის უშიშროება. ამასთან ერთად ომის პროცესში თანდათან დაქვეითდა იონელთა ახალშენების საავაჭრო-სამრეწველო მნიშვნელობა და ამ მხრივ პირ-

ველი ადგილი მოიპოვა საკუთრივ საბერძნეთის ქალაქებმა ათენმა, ეგინამ და კორინთომ.

თვალსაჩინო განვითარებას აღწევენ VI—V საუკუნეებში აგრეთვე ბერძენთა დასავლეთის ახალშენები. რომელთაც მეტროპოლიასთან თითქმის ერთდროულად დიდი განსაცდელი გადაიტანეს კართაგელებთან და ეტრუსკებთან ბრძოლაში. VI საუკუნის ნახევრიდან კართაგელები, რომლებიც წინათ ბერძნებთან შედარებით მშვიდობიან ურთიერთობაში იმყოფებოდნენ, მათდამი მტრულ პოზიციას დაადგნენ. შესაძლებელია, ეს ფაქტი ერთგვარად მაინც დაკავშირებული იყო იმ ცვლილებებთან, რომელთაც ამ ხანაში ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთში, სახელდობრ, სპარსელების უზარმაზარი მონარქიის დაარსებასა და მცირეაზიელი ბერძნების მდიდარი სავაჭრო ქალაქების დაპყრობასთან. მაგრამ მთავარი მიზეზი ბერძნებისადმი დამოკიდებულების შეცვლისა ის უნდა ყოფილიყო, რომ კართაგელი ვაჭრები ბერძნებში კონკურენტებს ხედავდნენ და შიშობდნენ თავისი პოზიციები ხმელთაშუა ზღვაში არ დაეკარგათ. იტალიაში იმ დროს ზღვაზე ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი ხალხი იყო ეტრუსკები. კართაგელები შეუკავშირდნენ მათ, რათა შეთანხმებული მოქმედებით ხელი შეეშალათ ბერძენთა ახალშენების დამკვიდრებისათვის დასავლეთში.

როგორც ვიცით, მცირე აზიაში სპარსელების დამკვიდრებას ვერ შეურიგდნენ ფოკეელებიც, რომელთაც მიატოვეს პირვანდელი სამშობლო და მოისურვეს იტალიასა და კორსიკაზე დამკვიდრება, განსაკუთრებით კორსიკის ახალშენში—ალალიაში. მაგრამ მათ წინააღმდეგ გამოვიდა ორივე მოკავშირე, რომლებმაც 535 წელს ალალიასთან საზღვაო ბრძოლაში ფოკეელები სასტიკად დაამარცხეს. ამის შემდგომ ფოკეელები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ ეს ახალშენი და ქვემოიტალიაში დაეარსებინათ ელეა. ამგვარად, ეს ცნობილი შეტაკება ბერძნებისა კართაგელებთან მათი დამარცხებით დამთავრდა. ამის შემდგომ კართაგო კიდევ უფრო გაძლიერდა და განმტკიცდა აფრიკის სანაპიროზე, დასავლეთ სიცილიაში, სარდინიაში და სამხრეთ ესპანეთში და შექმნა ისეთი მდგომარეობა, რომელმაც სასტიკი საზღვარი დაუდო ბერძნების განსახლებას დასავლეთით. ამავე დროს კი როგორც აღმოსავლეთში, ისე აქაც ბერძენ ახალშენთა შორის, როგორც ვიცით, გამეფებული იყო ურთიერთშორის ქიშპობა და მტრობა და ძლიერი პარტიკულარიზმი, რომელიც გაერთიანებული მოკავშირეების მიმართ ბერძნების ძალას ასუსტებდა და აქუცმაცებდა. სიბარისმა დაიპყრო ქვემო იტალიაში ქალაქი სირისი და დაანგრია. მაგრამ მალე თვით სიბარისი გაანადგურეს;

510 წელს ბერძენთა ეს განთქმული ქალაქი დასავლეთში, რომელსაც 26 ქალაქი ემორჩილებოდა, კროტონმა მიწასთან გაასწორა, რაც უდიდესი უბედურება იყო მთელი ბერძნებისათვის. 443 წელს მის ადგილას დაარსებულ იქნა ახალშენი თურიოი. უკვე იყო ნათქვამი, რომ სიბარისის განადგურებამ განსაკუთრებით შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა მილეტელებზე. მეორე მხრივ, აქაური ტირანები ცდილობდნენ გაეფართოებინათ თავიანთი საბრძანებელი და უფრო ვრცელი სახელმწიფოები შეექმნათ. და მართლაც სირაკუზის ტირანმა გელონმა და აგრიგენტის ტირანმა თერონმა შეძლეს ბერძნული სიცილიის უმეტეს ნაწილზე გაბატონება. მესამე მხრივ, თვით ბერძნები არ ერიდებოდნენ თავიანთ საქმეებში ჩაერიათ მათი უდიდესი მოწინააღმდეგე კართაგელები. ასე, მაგ., როდესაც აგრიგენტის ტირანმა თერონმა ჰიმერადან გააძევა ტირანი ტერილოსი, ამ უკანასკნელმა დასახმარებლად კართაგელები მიიწვია. მათ სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება, რომელიც უდავოდ ხელსაყრელი იყო მათი პოლიტიკისათვის და ჰამილკარის მეთაურობით ტერილოსს მაშველი ჯარი გამოუგზავნეს, რომელიც ჰიმერასთან დაბანაკდა. ამ გარემოებამ საგონებელში ჩააგდო სირაკუზის ტირანი გელონი, რომელიც თავის მხრივ თერონის დასახმარებლად გამოეშურა და სწორედ იმ წელს, როდესაც ბერძნებმა სალამინთან სასტიკად დაამარცხეს სპარსელები, გელონმა და მისმა ძმამ ჰიერონმა ჰიმერასთან გაანადგურეს კართაგელების ჯარი. გამარჯვებულთ წილად ხვდათ დიდი კონტრიბუცია (2 ათასი ტალანტი), მრავალი მონა და სხვა ნადავლი. ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ეს ერთდროული თავდასხმა ბერძნებზე აღმოსავლეთსა და დასავლეთში; შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სპარსელებსა და კართაგელებს შორის არსებობდა ერთგვარი შეთანხმება და რომ ფინიკიელებში საერთოდ სპარსეთის მეფემ მოხერხებული იარაღი იპოვა ბერძნების წინააღმდეგ ბრძოლაში. რაზედაც საუბარი ზემოთ უკვე გვქონდა. ყოველ შემთხვევაში ასეთ ცნობას გვაწვდიან ძველი ისტორიკოსები ეფორე და დიოდორე. მართალია, ჰეროდოტეს, რომელიც მათზე გაცილებით ადრე ცხოვრობდა და დიდხანს დაყო ქვემო იტალიის თურიოიში, ეს ამბავი მათზე უკეთესად უნდა სცოდნოდა, ხოლო ამის შესახებ სრულებით არა გაუგონია რა, მაგრამ ამ მოსაზრებით უარყოფა ასეთი შესაძლებლობისა სამართლიანი ვერ იქნება. არ შეიძლება, რასაკვირველია, ლაპარაკი იმაზე, რომ კართაგელები სპარსელების ქვეშევრდომები იყვნენ, მაგრამ მათ საერთო მიზანი ჰქონდათ ბერძნებთან ბრძოლის საქმეში და ამ ნიადაგზე შეეძლოთ შეთანხმებული მოქმედების წარმოებაც.

ჰიმერასთან გამარჯვების შემდგომ გავიდა სულ რამდენიმე წელიწადი და ბერძნებს შეტაკება მოუხდათ დასავლეთში მეორე თავის ძლიერ მოწინააღმდეგე ეტრუსკებთან. 474 წელს ზღვაზე კიმესთან გელონის ძმამ და მოადგილემ სირაკუსში ჰიერონმა დიდი დამარცხება მიაყენა ეტრუსკებს და სამუდამოდ შეარყია მათი საზღვაო ძლიერება[25]. ამის შემდგომ კართაგელებიც გაცილებით უფრო თავშეკავებულად ეპყრობოდნენ ბერძნებს.

ამრიგად, ბერძენ-სპარსელთა ომებმა გავლენა იქონიეს დასავლეთში ეგრეთ წოდებულ დიდ საბერძნეთსა და სიცილიაზეც, სადაც ამ დროს წარმოიქმნა დამოუკიდებელი ბერძნული სახელმწიფო, რომლის ცენტრს ქალაქი სირაკუზი წარმოადგენდა. მაშასადამე, ამ პერიოდში მთელი ელინური სამყარო სამი მსხვილი პოლიტიკური ორგანიზაციის — ათენის კავშირის, პელოპონესის კავშირისა და სიცილიის სახელმწიფოს — გარშემო გაერთიანდა. ათენში თანდათან სრული დემოკრატია განმტკიცდა, პელოპონესის კავშირში — ოლიგარქია და სიცილიაში კი დემოკრატია და ტირანები ერთიმეორეს ცვლიდნენ. როგორც სიცილიის ტირანია, ისე ათენის დემოკრატია და სპარტის ოლიგარქია ბოლოს და ბოლოს მონათმფლობელთა გაბატონებული კლასის სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს იცავდნენ.

როგორც ვიცით, სიცილიის ტირანთა შორის გამოირჩეოდნენ გელონი და მისი ძმა ჰიერონი. სიცილიის ტირანები სათავეში ედგნენ კ ი ლ ი კ ი ე ბ ს (გლეხებს), რომლებიც გ ა მ ო რ ე ბ ი ს (მიწის მსხვილი მესაკუთრეების) წინააღმდეგ იბრძოდნენ, და მათზე დამყარებით აღწევდნენ ძალაუფლებას. მდიდარმა სამხედრო ნადავლმა და თანმიმდევრობით გატარებულმა ფისკალურმა სისტემამ სირაკუზის ტირანებს ისეთი დიდი სახსრები მოუპოვა, რომ ისინი ბრწყინვალე დღესასწაულებსა და ასპარეზობებს აწყობდნენ და მშვენიერი შენობებიც აგებს. ჰიერონი, კერძოდ, სირაკუზში იწვევდა საუკეთესო მწერლებს, პოეტებსა და მხატვრებს და მფარველობას უწევდა მათ. სიცილიის ტირანებს აქებ-ადიდებდნენ თავიანთ ქმნილებებში სიმონიდე, პინდარე, ესქილე და სხვ. თვითონ ტირანები თავიანთ თავს „პირველ არქონტებს" უწოდებდნენ, მაგრამ ნამდვილად ვერავითარ წინააღმდეგობასა და შეკამათებას ვერ ითმენდნენ და მოპირდაპირეთ სასტიკად უსწორდებოდნენ. V საუკუნეში მათ დიდი საბერძნეთის ქალაქები თავიანთ გავლენას დაუმორჩილეს. ომები, რომლებიც გამარჯვებითა და წარმატებით მთავრდებოდა, სირაკუზის ტირანების მდგომარეობას ამაგრებდა და, პირიქით, სამხედრო მარცხი იწვევდა დემოკრატიული წყობილების რესტავრაციას.

თავი მეხუთე

პერიკლე და ათენის მონათმფლობელური დემოკრატია

1. დელოსის კავშირის გარდაქმნა; V საუკუნის შუალედის ათენში დაჯგუფებათა შორის ბრძოლა და პერიკლე

როგორც დავინახეთ, დელოსის კავშირის თავდაპირველი დანიშნულება და ხასიათი თანდათან რადიკალურად შეიცვალა. მასში შემავალი წევრების უმრავლესობა თანასწორუფლებიანობას კარგავს და მათი მოსახლეობა არსებითად ათენის ქვეშევრდომი ხდება. ათენის წესწყობილება ბევრი მოკავშირისათვის წასაბაძ ნიმუშად იქცა[1]. რაც მთავარია, თავისი ფინანსური და სამეურნეო ინტერესების მიხედვით ათენელები მოკავშირეებს თავს ახვევენ ფულის, წონისა და ზომის საკუთარ სისტემას. ამავე დროს მოკავშირეების უფლებების გარკვეულ შეკვეცას ათენში მთელი რიგი სამოსამართლო პროცესების გადატანა წარმოადგენდა[2]. ათენის სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა ისეთი საქმეების გარჩევა, რომლებიც შეეხებოდა მოკავშირეების მიერ კავშირის წინაშე ჩადენილ დანაშაულს — ღალატს, საკავშირო ვალდებულებათა დარღვევას და სხვა, აგრეთვე სერიოზული სისხლის სამართლის პროცესები, რომლებიც დამნაშავეთა სიკვდილით დასჯას, გაძევებას ანდა მოქალაქეობრივი უფლებების აღკვეთას (ატიმიას) ითვალისწინებდა. ამგვარად, ადგილობრივი სასამართლოს გასარჩევად რჩებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის შედარებით უმნიშვნელო საქმეები და სამოქალაქო პროცესები. რაც შეეხება ათენელ მოქალაქეებსა და მოკავშირეთა შორის წარმოშობილ დავას, ასეთი შემთხვევებისათვის ათენი მოკავშირეებთან განსაკუთრებულ ხელშეკრულებას დებდა.

მოკავშირეებს შორის გადასახადთა განაწილების წინასწარ სამუშაოს ასრულებდნენ განსაკუთრებული მოხელეები (τάκται), რომლებსაც ათენის სახალხო კრება ირჩევდა. მოკავშირეთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეინარჩუნა უფლება გადასახადის პროექტის დამო-

უკიდებლად შემუშავებისა; დანარჩენები თავისი შემოსავლის შესახებ მასალას უგზავნიდნენ შესამოწმებლად დასახელებულ მოხელეებს. ხოლო როგორც ამ უკანასკნელთა, ისე მოკავშირის მიერ წარმოდგენილი პროექტები ათენის 500-ის საბჭოს უნდა დაემტკიცებინა. რასაკვირველია, მოკავშირეებს უფლება ჰქონდათ საბჭოს გადაწყვეტილება გაესაჩივრებინათ, მაგრამ ისევ ათენის სახალხო სასამართლოში. ასე წარმოიშვა ათენის დიდი სამფლობელო, რომლის ორგანიზაცია პირველ რიგში მიზნად ათენის სამხედრო ძლიერებისა და სამეურნეო კეთილდღეობის განმტკიცებას ისახავდა. ამ უკანასკნელი მომენტის თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი იყო საკავშირო სალაროს დელოსიდან ათენის აკროპოლისში გადატანა (454 წ.), რის შემდგომაც კავშირის მფარველად უკვე არა დელოსის აპოლონი, არამედ ქალღმერთი ათენა ითვლებოდა. რომლის სასარგებლოდ მიდიოდა ახლა ფოროსის $^1/_{60}$. ამასთან დაკავშირებით უფრო ძლიერდებოდა ათენელების ბატონობა დელოსის კავშირში და გარკვეულად ჩამოყალიბებულ სახეს იღებდა: ატიკის მეომრები და კლერუქიები იგზავნებოდნენ მოკავშირეთა მბარეებში და ათენის მეთვალყურეები (ἐπίσκοποι) კონტროლს უწევდნენ მოკავშირეთა ქალაქების შინაურ ცხოვრებას, როდესაც სპარსეთთან დადებულ იქნა კალიასის ზავი (448 წ.), ბუნებრივად წარმოიშვა საკითხი, უნდა გაგრძელდეს თუ არა მოკავშირეების მიერ ათენის სასარგებლოდ ფოროსის გაღება მაშინ, როდესაც მისი დაწესება უმთავრესად სპარსელებთან ბრძოლის მიზნით იყო გამოწვეული და ეს საფუძველი კი უკვე მოისპო. ამ საკითხის გარშემო თვით ათენშიც ცხარე ბრძოლა გაჩაღდა. მაგრამ ათენის დემოკრატიის ბელადმა პერიკლემ წამოაყენა ის მოსაზრება, რომ ათენელები ამას შემდგომაც უზრუნველყოფენ მოკავშირეების დაცვას და რომ მშვიდობიანობის შენარჩუნება სპარსელების მხრივ მხოლოდ ათენისადმი პატივისცემაზე იქნება დამყარებული. ამასთან ერთად მან კატეგორიულად განაცხადა ისიც, რომ მოკავშირეებს უფლება არა აქვთ ანგარიში მოსთხოვონ ათენელებს საკავშირო თანხების დახარჯვის საქმეში. ამ ბრძოლიდან პერიკლე გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო მოკავშირეების დამცველი, არისტოკრატიული პარტიის მეთაური თუკიდიდე ოსტრაკიზმოთი იქნა გაძევებული (443 წ.). ასე მიიყვანა ლოგიკურ დასკვნამდე პერიკლემ ატიკა-დელოსის კავშირის ათენის სამფლობელოდ გადაქცევისა და მოკავშირეების ათენის ქვეშევრდომებად გახდომის პროცესი. როცა ათენს განდგომია ქ. ქალკიდა, დამარცხების შემდგომ სახალხო კრებას 464/65 წელს დადგენილება გამოუტანია,

რომლის თანახმად ქალკიდის ყველა მოქალაქე ვალდებული გამხდარა ფიცი მიეღო, რომ ათენელების საწინააღმდეგოდ არ იმოქმედებს არც საქმით, არც განზრახვით და არც სიტყვით, ხოლო თუ ვინმე ასეთ რამეს განიზრახავს, აცნობებს მათ. ამას გარდა ყოველი მოქალაქე ვალდებულია იხადოს ფოროსი, იყოს პატიოსანი და ერთგული მოკავშირე, დაეხმაროს და დაიცვას ათენელი ხალხი და ემორჩილებოდეს მას.

443 წელს ათენელებმა თავისი სამფლობელო ფოროსის უფრო მოხერხებულად განაწილებისა და შეგროვების მიზნით ჯერ სამ და მერე, 443/42 წელს, ხუთ საგადასახადო ოლქად დაყვეს (იონია, ჰელესპონტი, თრაკია, კარია და კუნძულები). იონელთა მთელი სამყაროს ათენის ბატონობის ქვეშ მოხვედრა უდავოდ დიდი საქმე იყო. მეორე მხრივ, ათენის ასეთი დიდი სამფლობელოს წარმოშობას უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა სამეურნეო თვალსაზრისითაც. „ეგეოსის ზღვის მთელ სივრცეზე ერთიანი ძალაუფლების დამყარებამ, რასაკვირველია, დიდად შეუწყო ხელი საზღვაო ურთიერთობათა გაცხოველებას. სასარგებლო იყო ისიც, რომ ათენელები ავრცელებდნენ თავის ფულის სისტემას და ნერგავდნენ ზომისა და წონის ერთიანობას". ათენის სასამართლოებმა კი ხელი შეუწყო უფლების ერთიანობის დამყარებას. მაგრამ, ცხადია, სავაჭრო პოლიტიკაში ათენელები პირველ რიგში თავისი ინტერესების დაცვას ისახავდნენ მიზნად და ხშირად სრულებით არ უწევდნენ ანგარიშს თავის მოკავშირეებს, მაგ., აკრძალეს კუნძულ კეოსიდან რკინის გატანა სხვა ადგილებში, გარდა ათენისა, და არ აძლევდნენ სესხის გაცემის ნებას ისეთი გემებისათვის, რომლებიც საქონელს ათენში არ მიეზიდებოდნენ[3]. ამას გარდა ათენელებმა მუდმივი მეთვალყურეობა დააწესეს შავი ზღვისპირეთის მხარეებიდან ჰელესპონტით გამოზიდულ სურსათსა და პურის ტვირთებზე და მათ დანაწილებასაც მოკავშირე ქალაქთა შორის თვითონ აწარმოებდნენ. ამასთან ერთად ათენელები მოკავშირე ქალაქებში თავიანთი მონეტის გაბატონებას ცდილობდნენ. უფრო გვიან ბოსფორის სრუტის ვიწრო ადგილას ათენელებს დაუარსებიათ საბაჟო და იღებდნენ გასატანი ტვირთის ღირებულების 10%-ს. მიუხედავად ყოველივე ამისა, დელოსის კავშირს ათენის მეთაურობით უდავოდ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა: ხელს უწყობდა ათენსა და მოკავშირე ქალაქებს შორის მჭიდრო ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ დაახლოებას.

თვითონ ათენში მტკიცდებოდა მონათმფლობელური დემოკრატიის სახელმწიფო წყობილება, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი პერიკლე იყო[4].

ბერძენ-სპარსელთა ომებისა და ათენის ასეთ დიდ სამფლობელოდ გადაქცევის ზეგავლენით მისმა შინაურმა წყობილებამ თვალსაჩინო ცვლილებები განიცადა. არქონტატის დემოკრატიზაციას თან მოჰყვა ა რ ე ო პ ა გ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ბ ი ს შ ე კ ვ ე ცა. არისტოტელეს გადმოცემით ('Αθ. πολ., XXIII, 1), მედიელთა ომის შემდგომ კვლავ გაძლიერდა არეოპაგის საბჭო. მაშასადამე, იმ დროს როდესაც ათენში ვითარდება მისი წყობილების დემოკრატიზაცია, კვლავ მაღლდება ისეთი არქაული დაწესებულება, რომელიც თავისი საქმიანობით ძველ არისტოკრატიულ წრეებთან იყო დაკავშირებული, და ათენის სახელმწიფოს ცხოვრებაში დიდ მნიშვნელობას აღწევს განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. როგორ უნდა ავხსნათ ეს ფაქტი? არისტოტელეს განმარტებით არეოპაგის მიერ ჰეგემონიის მოპოვება მომხდარა არა ფორმალური დადგენილებით, არამედ იმით, რომ სალამინის ბრძოლის დროს, როდესაც სტრატეგოსები დაბნეულან და გამოუცხადებიათ ყველამ თავის თავს უშველოს, როგორც შეუძლიაო, არეოპაგს წონასწორობა არ დაუკარგავს და სათანადო ზომები მიუღია. ამ ცნობის მიხედვით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ათენისთვის მეტად სერიოზულ მდგომარეობაში არეოპაგმა, როგორც ძველმა ცენტრალიზებულმა და შეკავშირებულმა დაწესებულებამ, სათანადო სიმტკიცე და ინიციატივა გამოიჩინა და ამით დროებით კვლავ მოიპოვა ავტორიტეტული მდგომარეობა. მაგრამ რაკი ასეთმა მომენტმა განვლო, რადიკალურ წრეებში თავი იჩინა მისი ავტორიტეტის საწინააღმდეგო მიმართულებამ და ათენის დემოკრატიის წინაშე მორიგ საკითხად დაისვა მისი უფლებებისა და ფუნქციების ძირითადი გადასინჯვა. ძნელია სრული სისწორით იქნეს აღნიშნული არეოპაგის უფლებები და ფუნქციები[5], მაგრამ დიდად არ შევცდებით, თუ ვიფიქრებთ, რომ იმ დროს მას ეკუთვნოდა: 1. საბჭოსა და სახალხო კრების ყველა დადგენილების მიმართ ვეტოს უფლება, 2. უმაღლესი სასამართლოს უფლებები და 3. მოქალაქეთა ზნეობის მეთვალყურეობის უფლება[6]. როგორც ვხედავთ, ამ უფლებებზე დამყარებით არეოპაგს მართლაც შეეძლო უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულების როლი ეთამაშნა, და ამ მხრივ არისტოტელე თითქოს სამართლიანად უწოდებს ეპოქას 462 წლამდე „არეოპაგის ბატონობის ხანას". არეოპაგის წინააღმდეგ გამოდის რადიკალური ჯგუფის წინამძღოლი ეფიალტე, რომელიც, არისტოტელეს სიტყვით უანგარო და სახელმწიფოს საქმეებში სამართლიანობის მომხრე იყო ('Αθ. πολ., XXV, 2) იგი მოითხოვს არეოპაგის უფლებებისა და ფუნქციების რადიკალურ შეკვეცას. ეფიალტემ გზა გაუკაფა პერიკლეს და უზრუნველყო მისი გამარჯვება.

არისტოკრატიული ჯგუფის მეთაური კიმონი იმ დროს, როგორც ვიცით, ითომეში იყო წარგზავნილი სპარტელების დასახმარებლად და, მაშასადამე, ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას ვერ მიიღებდა. ეფიალტეს მოწინააღმდეგე ჯგუფი კი კარგად გრძნობდა, რომ არეოპაგის დამცირებით მას ხელიდან ეცლებოდა სახელმწიფოში უკანასკნელი მთავარი დასაყრდენი ძალა. მაგრამ ეფიალტეს საქმეს ათენის მოქალაქეებში ბევრი მომხრე გამოუჩნდა და არეოპაგის რეფორმა გატარებულ იქნა. არეოპაგის დამცირებისათვის ეფიალტე ვერაგულად მოკლეს. არეოპაგს, ჩამოერთვა კანონების დამცველის ფუნქცია და აგრეთვე მათი დარღვევისათვის მოქალაქეთა პასუხისგებაში მიცემის უფლება და ამიერიდან მას დარჩა მხოლოდ წინასწარ განზრახვით მკვლელობისა და დაშავების საქმეთა განხილვის ფუნქციები. ასე დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა ოდესღაც დიდი ავტორიტეტით აღჭურვილმა არეოპაგის საბჭომ. ამიერიდან მისი მთავარი ფუნქციები ნაწილობრივ ხუთასის საბჭოს, ნაწილობრივ „დემოსის“, ე. ი. სახალხო კრებისა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხელში გადადის.

არისტოკრატიული ჯგუფის მეთაური თ უ კ ი დ ი დ ე კიმონის სიძე ნიჭიერი და ენერგიული პიროვნება იყო და ერთ დროს შეძლო კიდეც, თავის გარშემო დემოკრატიული კონსტიტუციის მოწინააღმდეგეთა გაერთიანება. მაგრამ მისი ოსტრაკიზმოს შემდგომ ათენის მმართველი დემოკრატიული ჯგუფის მეთაური ხდება პ ე რ ი კ ლ ე[8]. იგი დედით ალკმეონიდების ჩამომავალი იყო; მისი მამა, ქ ს ა ნ თ ი პ ე, როგორც სტრატეგოსი, მიკალეს კონცხთან ბრძოლაში ბერძენთა ფლოტს მეთაურობდა. თავისი სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით პერიკლე ათენის მიწათმფლობელ არისტოკრატიას ეკუთვნოდა. მისი მმართველობის დრო ათენის ისტორიის „ოქროს საუკუნედ“, მისი უმაღლესი აყვავების ეპოქად ითვლება. მის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა თავის კლასიკურ ფორმებში ათენის მონათმფლობელური დემოკრატიული კონსტიტუცია. არეოპაგის უფლებებისა და ავტორიტეტის შეკვეცის შემდგომ ნ ა ფ ი ც მ ს ა ჯ უ ლ თ ა ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს კომპეტენცია არაჩვეულებრივად გაფართოვდა. ახლა მას ექვემდებარებოდა როგორც ის საქმეები, რომლების მიმართ წინათ არქონტები იყვნენ მსაჯულებად. აგრეთვე ისეთებიც, რომელთა განხილვა რეფორმამდე არეოპაგის ფუნქციაში შედიოდა. ამას გარდა, ჰელიეა არჩევდა არა მარტო ათენელი მოქალაქეების, არამედ მოკავშირეების საქმეებსაც. ყოველივე ამის გამო საჭირო გახდა მისთვის სათანადო ორგანიზაციული სახის მინიჭება. მართალია, ჰელიეა ჯერ კიდევ სოლონის დროს წარმოიშვა, მაგრამ

მისი უფრო გარკვეული და სრული ორგანიზაცია V საუკუნეში მოხდა. ყოველწლიურად ფილეებში წილისყრით ირჩევდნენ 6000 მოქალაქეს, თითოეული ფილედან 600-ს, მათგან 5000 მორიგ ნაფიც მსაჯულად ითვლებოდა. 1000 კი სათადარიგოდ. მორიგი ნაფიცი მსაჯულები დაყოფილი იყვნენ 10 დიკასტერიად და, მაშასადამე, თითოეულ დიკასტერიაში შედიოდა 500 კაცი. ათენის სახალხო კრებასთან ერთად ჰელიეა ათენის დემოკრატიის მთავარი ორგანო იყო, რომელსაც სამოსამართლო ფუნქციებს გარდა ეკუთვნოდა კონტროლი თანამდებობის პირების მიმართ და აგრეთვე მთავარი როლი კანონმდებლობის დარგში. შეიძლება ითქვას, რომ იგი ამ მხრივ ერთგვარად სახალხო კრებაზედაც კი მაღლა იდგა. ათენის სახალხო კრებას შეეძლო გამოეტანა მხოლოდ დადგენილებები (ψηφίσματα), კანონები (νόμοι) კი ჰელიეას კომისიებში უნდა ყოფილიყო გატარებული.

ათენის გარეშე მცირე საქმეების გასარჩევად 453/2 წელს აღადგინეს მოსამართლეები დემებში (δικασταὶ κατὰ δήμους), ასეთი მოსამართლეები არსებობდნენ ჯერ კიდევ პისისტრატეს დროს, შემდგომში კი მათი თანამდებობა გაუუქმებიათ. აღდგენის შემდგომ მათი რიცხვი უდრიდა 30, ალბათ, 30 ტრიტიის მიხედვით და, მაშასადამე, თითოეულ ტრიტიაზე მოდიოდა ერთი მოსამართლე. დემებში მოსამართელეების თანამდებობის აღდგენით სასამართლო კვლავ დაუახლოვდა ხალხის ფართო მასას და უფრო მისაწვდომი გახდა მისთვის. თითოეულ ჰელიასტს მოვალეობის შესრულების დაწყების წინ გადასცემდნენ სამოსამართლო კვერთხს და მარკას (სიმბოლონს), გასამრჯელოს დაწესების შემდგომ, ორი ობოლის (დიეტის) მისაღებად.

ჰელიეას გვერდით მოხსენებული უნდა იქნას ხ უ თ ა ს ი ს ს ა ბ ჭ ო, რომელიც აგრეთვე პირველ ხანებში არეოპაგის უფლებათა მემკვიდრე იყო, როგორც ვიცით, მას ირჩევდნენ კლისთენეს ფილეებში, თითოეულისაგან 50 წევრს; იგი ათ პრიტანიად იყო დაყოფილი და ყოველი მათგანი ერთიმეორის შეცვლით უძღვებოდა დაკისრებულ საქმეებს. საბჭო ანუ ბულე განაგებდა მიმდინარე საქმეებს, წინდაწინ იხილავდა იმ საკითხებს, რომლებიც სახალხო კრებაში უნდა შეეტანათ და გამოჰქონდა მათ შესახებ წინასწარი დადგენილება — პრობულევმა (προβούλευμα); მასვე ჰქონდა დაკისრებული სახალხო კრების დადგენილებათა შესრულების მეთვალყურეობა. საბჭო კონტროლს უწევდა აგრეთვე კანონების ცხოვრებაში გატარებას და თანამდებობის პირთა მიერ თავისი მოვალეობის შესრულებას. ამასთან დაკავშირებით საბჭოს მიკუთვნებული ჰქონდა ფართო სამოსამართლო

კომპეტენცია, რომლის მიხედვითაც მას შეეძლო დამნაშავე პირთა-თვის მიესაჯა ჯარიმა და დაპატიმრება და ზოგიერთ შემთხვევაში სიკვდილით დასჯაც კი.

არისტოტელე, რომელიც ვრცლად გვაცნობს საბჭოს ორგანიზაციასა და კომპეტენციას (Ἀθ. πολ. XLIII — XLVII), გადმოგვცემს, რომ შემდგომში საბჭოსთვის ჩამოერთმევიათ სიკვდილით დასჯის უფლება. სხვა შემთხვევებშიც სამოსამართლო დადგენილება საბოლოოდ არ ითვლებოდა და შესაძლებელი ყოფილა მასზე აპელაციის შეტანა სახალხო სასამართლოში. ხუთასის საბჭო თვალყურს ადევნებდა საზოგადოებრივი შენობების აგებას, საკურთხეველებს და დღესასწაულებს, ტრიერების შემზადებას და ა. შ. ამგვარად, საბჭო იყო სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანო. მაგრამ უმაღლესი ხელისუფლება ათენის სახელმწიფოში ს ა ხ ა ლ ხ ო კ რ ე ბ ა ს (ეკლესიას — ἐκκλησία) ეკუთვნოდა. პერიკლეს დროს ეკლესია გახდა რეგულარულად მოქმედი უმაღლესი პოლიტიკური ორგანო. იგი იკრიბებოდა ათენში გორაკ პნიქსზე. ეკლესიაში აქტიური უფლებებით სარგებლობდა ყველა ათენელი მოქალაქე, რომელიც ოცი წლის ასაკს იყო მიღწეული, ყოველგვარი ცენზით შეზღუდვის გარეშე. იგი იხილავდა და წყვეტდა ყველა იმ საკითხს, რომლებიც სახელმწიფო წყობილებას შეეხებოდა; მასზე იყო დამოკიდებული საერთაშორისო ურთიერთობათა გარკვევა, ხელშეკრულებათა დადება, ომის გამოცხადება, ზავის დამყარება; მას ეკუთვნოდა ფლოტისა და ჯარის საკითხების განხილვა; მასზე იყო დამოკიდებული ახალი პირების ათენის მოქალაქეთა რიცხვში მიღება და ათენის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის როგორც ათენელი, ისე უცხოელი მოქალაქის დაჯილდოება; იგი აქვეყნებდა დადგენილებებს კულტის შესახებ; განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც საქმე შეეხებოდა საყურადღებო სახელმწიფო დანაშაულს, იგი ზოგჯერ სასამართლოს როლშიც გამოდიოდა.

ასეთი მრავალმხრივი და ფრიად სერიოზული მოვალეობა-უფლებები ჰქონდა დაკისრებული სახალხო კრებას ათენის დემოკრატიის განვითარების ხანაში.

ეკლესია ჩვეულებრივად იკრიბებოდა ყოველ პრიტანიაში პირველად ერთხელ, შემდეგში კი ოთხჯერ.

ამას გარდა საჭიროების დროს იწვევდნენ მის საგანგებო კრებებსაც. თითოეული ჩვეულებრივი კრების განსახილველად დაწესებული იყო საქმეთა განსაზღვრული კატეგორია: პირველ კრებაზე იხილავდნენ თანამდებობის პირთა მოქმედებათ, სახელმწიფო ღალატში

ბრალდებებს, ქონებათა კონფისკაციის შესახებ მოხსენებებს, „პურის“ საკითხს და აწარმოებდნენ „კანონების კენჭისყრას“ (ეპიხეიროტონია), რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი; მეორე ჩვეულებრივ კრებაზე იღებდნენ თხოვნებს; და ასე მიმდინარეობდა მსჯელობა დანარჩენ საკითხებზე; მეექვსე კრებაზე ისმებოდა საკითხი ოსტრაკიზმოს შესახებ. როგორც ვიცით, ოსტრაკიზმო, „ფირფიტების სასამართლო“ იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველ მეექვსე პრიტანიაში სახალხო კრებაზე ისმებოდა საკითხი, საჭირო იყო თუ არა მოქალაქეთა თავისუფლებისათვის საშიში რომელიმე პიროვნების გაძევება. დადებითი პასუხის შემთხვევაში მერვე პრიტანიაში წარმოებდა კენჭისყრა: დამსწრეთ ურიგებდნენ გასანთლულ ფირფიტებს, რომლებზედაც აღნიშნავდნენ გასაძევებელ პიროვნებას. გაძევება ჩვეულებრივად ათი წლით ხდებოდა და ვადის გასვლის შემდგომ გაძევებულს უფლება ჰქონდა დაბრუნებულიყო. თავმჯდომარეობდნენ სახალხო კრებას პრიტანები, საქმის წარმოებას კი განაგებდა ხუთასის საბჭოს მდივანი. ჩვეულებრივი სახალხო კრების „დღიურ წესრიგს“ ხუთი დღით ადრე აქვეყნებდნენ. თითოეული საკითხის დასმისათვის აუცილებელი იყო საბჭოს პრობულევმა, რომლის წაკითხვიდანაც იწყებოდა სხდომა[7].

სახალხო კრების ასეთი დიდი კომპეტენციის გათვალისწინების დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ პირველად სახალხო კრების დადგენილებას — ფსეფიზმასა და კანონს შორის ცხადი განსხვავება იყო, მაგრამ შემდგომში იგი თანდათანობით მოისპო და სახალხო კრება ყველა სახელმწიფო საქმეს ფსეფიზმების საშუალებით განაგებდა. ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა გავითვალისწინოთ ის გზა, რომლის მიხედვით წარმოებდა ათენში კანონმდებლობა დემოკრატიის სრული ჩამოყალიბების დროს.

ყოველი წლის დასაწყისში პირველ ჩვეულებრივ სახალხო კრებაზე ხდებოდა „კანონების ეპიხეიროტონია“ და ისმებოდა საკითხი იმის შესახებ, საჭიროა თუ არა რომელიმე ძველი კანონის შესწორება ან მოსპობა და ახალი კანონის შემოღება. ყოველ დამსწრე მოქალაქეს უფლება ჰქონდა მიეღო მონაწილეობა ამ მსჯელობაში და შეეტანა თავისი წინადადება. თუ კრება მსჯელობის შედეგად საჭიროდ ჩათვლიდა კანონებში რაიმე ცვლილებების შეტანას, მაშინ ახალი კანონის პროექტს მისი ავტორი წარადგენდა ხუთასის საბჭოში, რომელიც მესამე კრებისათვის ამზადებდა პრობულევმას. ამასობაში პროექტს გამოჰკიდებდნენ თვალსაჩინო ადგილას, რომ ყველა მოქალაქეს მისი გაცნობისა და მის შესახებ საბჭოსათვის თავისი აზრის გადაცემის საშუალება ჰქონოდა. ამასთან ერთად, თუ წარმოდგენილი

პროექტი ეწინააღმდეგებოდა რომელსამე არსებულ კანონს, მისი ავტორი ვალდებული იყო ეს განეცხადებინა და მოეთხოვა ასეთი ძველი კანონის გაუქმება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელოდა ბრალდება „კანონის საწინააღმდეგო მოქმედებაში“ (γραφή παρνόμων). ყოველ ათენელ მოქალაქეს, რომელიც წამოყენებულ პროექტში არსებულ კანონებთან წინააღმდეგობას დაინახავდა, უფლება ჰქონდა გამოსულიყო ამ ბრალდებით. საკმარისი იყო რომელიმე მოქალაქეს ახალი პროექტის, თუ წინადადების განხილვის დროს ფიცის ქვეშ განეცხადებინა, რომ მის წინააღმდეგ შემოიტანს graphe paranomon, რომ ამ პროექტის შესახებ მსჯელობა შეწყვეტილიყო. ამის შემდგომ საკითხი განსახილველად გადადიოდა სახალხო სასამართლოში. ბრალს დებდა graphe paranomon-ის წარმომადგენელი, ხოლო მოპასუხის როლში გამოდიოდა პროექტის, თუ წინადადების ავტორი. თუ სასამართლო უკანასკნელს დამნაშავედ იცნობდა, ჩვეულებრივად მას მიუსჯიდა ჯარიმას, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი სიკვდილით დასჯასაც. სამაგიეროდ თუ ბრალმდებელი მოსამართლეთა შორის თავის სასარგებლოდ 1/5 ხმასაც ვერ შეაგროვებდა, მაშინ უსაფუძვლო ბრალდებისათვის იხდიდა ჯარიმად 1000 დრახმას. ამას გარდა პასუხისმგებლობა რომელიმე პროექტისა და წინადადებისათვის ძალას კარგავდა მისი შეტანიდან ერთი წლის შემდეგ, თუ ავტორი წინასწარ აღნიშნავდა, რომ მის მიერ წარმოდგენილი პროექტი ეწინააღმდეგება რომელსამე კანონს და მოითხოვდა მის გაუქმებას, მაშინ ორივეს გადაწერდნენ თეთრ დაფაზე და გამოკიდებდნენ ფილეების ეპონიმთა ქანდაკებთან. მესამე სახალხო კრებაზე პროექტს საბჭოს დასკვნასთან ერთად დაწვრილებით იხილავდნენ და, თუ კრება მას მისაღებად მიიჩნევდა, გადასცემდა ნაფიც მსაჯულთაგან გამოყოფილ განსაკუთრებულ კომისიას (ეგრეთ წოდებულ ნომოთეტების კომისიას), აწესებდა ნომოთეტების რიცხვს, მათი სხდომების წესსა და ვადას, მათ გასამრჯელოს და ირჩევდა ძველი კანონების 5 ოფიციალურ დამცველს (სინდიკს). საქმის გარჩევა ხდებოდა სამოსამართლო პროცესის ფორმით: იცავდა ახალ პროექტს მისი ავტორი, ბრალს დებდა 5 სინდიკი, რომლებიც, პირიქით, ძველი კანონის დამცველის როლში გამოდიოდნენ. ამას გარდა ყოველ ათენელ მოქალაქეს უფლება ჰქონდა მასში მონაწილეობა მიეღო დამცველისა, თუ ბრალმდებლის სახით. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი პროექტი ნომოთეტების ხმების უმრავლესობას მიიღებდა, იქცეოდა იგი კანონად. ამგვარად, სახალხო კრების ჩვეულებრივ დადგენილებას, რომელიც ცალკეულ, კერძო შემთხვევას ეხებოდა, და კანონს შორის,

რომელიც საერთო ნორმას აწესებდა, ღრმა განსხვავება არსებობდა[8]. მაგრამ დროთა მსვლელობაში, როგორც ვთქვით, ეს განსხვავება თანდათან მიიჩქმალა და სახალხო კრებების ფსეფიზმებს, თითქმის კანონების ხასიათი მიენიჭა.

ამგვარად, ათენის დემოკრატიის განვითარებასთან ერთად შეირყა ძველი დაწესებულებების — არქონტატისა და არეოპაგის დიდი გავლენა და სამაგიეროდ უაღრესად გაიზარდა ჰელიეას, ხუთასის საბჭოს და სახალხო კრების მნიშვნელობა.

არეოპაგის რეფორმის გატარების შემდეგ, როგორც ვთქვით, ეფიალტე მოკლეს. საფიქრებელია, რომ ეს საქმე არისტოკრატიული ჯგუფის მიერ იყო მოწყობილი. მაგრამ ეფიალტეს მოკვლით მის მიერ დაწყებული საქმე არ შეჩერებულა, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ათენის დემოკრატიას პერიკლეს სახით კიდევ უფრო ენერგიული და გავლენიანი წინამძღოლი გაუჩნდა.

2. ბრძოლა ორ ფრონტზე. მშვიდობიანობის ხანა. ატიკის ვაჭრობა-წარმოების მნიშვნელოვანი განვითარება. ათენის დემოკრატია და პერიკლეს მოღვაწეობა

პერიკლეს სახელმწიფო მოღვაწეობის გათვალისწინებისათვის საჭიროა ცოტა უფრო ვრცლად განვიხილოთ ის ამბები, რომლებზეც საუბარი მოკლედ უკვე გვქონდა.

ჩვენ დავინახეთ, თუ რა ბედი ეწია კიმონის მეთაურობით წარგზავნილ ექსპედიციას სპარტელების დასახმარებლად აჯანყებული მესენიელების წინააღმდეგ. თუკიდიდეს სიტყვით (I, 102), ამ ლაშქრობამ პირველად გამოიწვია დაუფარავი მტრობა ლაკედემონელებსა და ათენელებს შორის: ბრძოლა გაგრძელდა და სპარტელებს შეეშინდათ, რომ ათენელები ითომეში მომწყვდეულ მესენიელებს არ დაახლოვებოდნენ და არ მოეხდინათ სახელმწიფოებრივი გადატრიალება. ამიტომ ყველა მოკავშირეთაგან მათ მხოლოდ ათენელები დააბრუნეს უკან. ცხადია, ეს გარემოება უდიდეს ზიანს მიაყენებდა კიმონის პოლიტიკას, რომელიც, როგორც ვიცით, ოსტრაკიზმითი იქნა გაძევებული 461 წელს. მაგრამ საქმე ამით ჯერ კიდევ არ მისულა ათენსა და სპარტას შორის შეიარაღებულ შეტაკებამდე.

იმ დროს ათენის ძლიერება იმდენად დიდი იყო, რომ ათენელები ეგვიპტეში ჯარსა და ფლოტს უგზავნიან დასახმარებლად დელტის მთავარს ინარს, რომელმაც ეგვიპტის განსათავისუფლებლად ამბოხება მოაწყო სპარსელების წინააღმდეგ. ეს ნაბიჯი გამოწვეული უნდა ყოფილიყო ორი მოსაზრებით: ერთი მხრივ, იგი, ასე ვთქვათ, სპარსელებთან ბრძოლის საერთო პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა, და

მეორე მხრივ, ათენელებს ეგვიპტე აინტერესებდათ თავისი სავაჭრო ინტერესების გამო, განსაკუთრებით კი იაფი პურის შემოტანის თვალსაზრისით. ინართან ერთად ათენელებმა ალყა შემოარტყეს სპარსელების ჯარს მემფისში.

ამას გარდა, ათენის სამფლობელოს ზრდა იმ წლებში ისეთ მიმართულებას იღებს, რომ განსაცდელს უმზადებს სპარტის ჰეგემონიას პელოპონესში: კორინთოს მიერ შევიწროებული მეგარა ათენის კავშირს უერთდება და, ამვარად, ათენს საშუალება ეძლევა ხელი შეუშალოს სპარტას, თუ იგი საჭიროების დროს შუა საბერძნეთში შეჭრას მოინდომებდა. თვით პელოპონესის ერთ-ერთ ნაწილში, არგოსში, მოხდა დემოკრატიული გადატრიალება და არგოსიც ათენის კავშირში შედის. ამრიგად, ათენი პელოპონესშიც ახერხებს თავისი გავლენის გავრცელებას, რასაც, ცხადია, სპარტა გულგრილად ვერ შეხედავდა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა პირველი შეტაკება ათენსა და სპარტას შორის (ეგრეთ წოდებული პ ე ლ ო პ ო ნ ე ს ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ო მ ი). სპარტის ლაშქარი შუა საბერძნეთში გადავიდა, რომ კვლავ გაემაგრებინა თებეს ჰეგემონია ბეოტიაში და ამით ათენისათვის იქ გავლენის განმტკიცების საშუალება მოესპო.

იმავე დროს თემისტოკლეს პროგრამის განვითარების თვალსაზრისით, როგორც ვიცით, ათენელები იწყებენ „გრძელი კედლების“ აგებას, რომლებსაც ერთიმეორესთან უნდა დაეკავშირებინა ათენი, ფალერონისა და პირეუსის ნავსადგურები. ასეთი ნაბიჯი სასურველად არ მიაჩნდა კონსერვატორული ჯგუფის წევრებს, რადგან მიუღებლად თვლიდნენ ათენის მჭიდრო დაკავშირებას პირეუსთან, სადაც თავმოყრილი იყო, მათი აზრით, ყველაზე უფრო მოუსვენარი და რადიკალურად განწყობილი მეზღვაურები და მომუშავენი, რომელთაც შეეძლოთ უფრო ენერგიული ზეგავლენა მოეხდინათ ათენის ცხოვრებაზე. ამას გარდა, აკად. ვლ. ბ უ ზ ე ს კ უ ლ ი ს საფუძვლიანი შენიშვნით, უკმაყოფილო იყვნენ სოფლის მცხოვრებლებიც, „რომლებსაც ეშინოდათ, რომ ახლა მტრის შემოსევის შემთხვევაში მათი მამულები და თვითონ ისინი მტრის თვითნებობის მსხვერპლი გახდებიან, მაშინ, როდესაც ქალაქის მოსახლეობა „გრძელი კედლების“ იქით უზრუნველყოფილად იგრძნობს თავს და გულგრილად შეხედავს მათ დარბევას; დასასრულ, განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო უკიდურესი ოლიგარქოსების ჯგუფი, რომელიც სპარტაში ეძებდა თავის დასაყრდენს და მზად იყო მის ხელში გადაეცა თავისი ქალაქი, ოღონდ კი დაეთრგუნა მისთვის საზიზღარი დემოკრატია...“ ამ ჯგუფის წევრებმა საიდუმლო კავშირიც კი გააბეს სპარტელებთან, რომლებმაც 457 წელს ტანაგრასთან დაამარცხეს ათენელები. მაგრამ გა-

ვიდა ორიოდე თვე და ათენელებმა ენოფიტასთან გამარჯვება მოიპოვეს ბეოტიელებზე, რის შედეგიც იყო ათენელების არა მარტო სუპრემატია ბეოტიაზე, არამედ მათთან ფოკიდელებისა და ლოკრიდელების დაკავშირება და ამით მათი გაბატონება შუა საბერძნეთში თერმოპილამდე. ძველი სავაჭრო კონკურენტი ეგინაც ხანგრძლივი გარემოცვის შემდეგ 456 წელს მძიმე პირობებით დამორჩილდა ათენს. იგი იძულებული გახდა სიმაგრეები დაენგრია, გემები ათენისათვის გადაეცა, გადაეხადა 30 ტალანტის კონტრიბუცია და ათენის საზღვაო კავშირში შესულიყო. ასე დამთავრდა ხანგრძლივი ბრძოლა ამ ორ ერთიმეორეს მოქიშპე ქალაქს შორის, და ეგინას წილად ხვდა დიდი დამცირებისა და შევიწროების გადატანა. ამასობაში დამთავრდა ჩრდილოეთის კედლისა და ფალერონის კედლის აშენება და ათენი შეუერთდა პირეუსსა და ფალერონს. ამ კედლების აგებით პერიკლემ განაგითარა ათენის გამაგრების საკითხში თემისტოკლეს პროგრამა. ამასთან ერთად მანვე განახორციელა თემისტოკლეს აზრი იმ მხრივ, რომ ცდილობდა ათენის გაელენა შორს გაევრცელებინა დასავლეთით; ეს კი შესაძლებელი იყო, რასაკვირველია, მხოლოდ კორინთოს შევიწროებით, რომლის ვაჭრობა აღმოსავლეთში მეგარის ნავსადგურის ნისეას დაპყრობით, განსაკუთრებით კი ეგინას დამორჩილებით დიდად იყო უკვე შეზღუდული. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში კორინთოს წინააღმდეგ იყო მიმართული დაკავშირება დასავლეთის კუნძულებთან — ზაკინთოსსა და კეფალენიასთან და ზოგიერთი პუნქტის დაკავება კორინთოს ზ ღ ვ ი ს ყ უ რ ე შ ი 455 წელს[10].

ჩვენ უკვე ვიცით, რომ 454 წელს ათენის ჯარმა სასტიკი კატასტროფა განიცადა ეგვიპტეში: სპარსეთის მხედრობამ დაამარცხა მემფისთან ათენელები და დელტისაკენ დაახევინა; აქ კი ბრძოლის დროს თითქმის სავსებით განადგურდნენ ეგვიპტეში ათენელებმა 200-მდე საომარი ხომალდი და 35000-მდე მეომარი დაკარგეს.

ამ გარემოებამ ძალზე შეაშფოთა ათენელები, რომლებიც შიშობდნენ, რომ ასეთი გამარჯვების შემდგომ სპარსეთის მეფე მათ წინააღმდეგ გამოილაშქრებდა, და ამიტომ საკავშირო სალარო დელოსიდან ათენში გადაიტანეს (454 წ.). მაგრამ სპარსეთის მეფეს, გარდა კვიპროსის კვლავ დაკავებისა, თავისი გამარჯვებით არ უსარგებლია. ამას შემდგომ, მართალია, 453 წელს ათენელებმა ახალი ლაშქრობა მოაწყვეს, რომელსაც თან მოჰყვა ზოგიერთი ახალი ქალაქის ათენთან დაკავშირება, მაგრამ უკვე ცხადი იყო, რომ განცდილი კატასტროფის შემდგომ ათენს ახალი ფლოტის შესაქმნელად განსაკუთრე-

ბით ესაჭიროებოდა დასვენება. ამ უკანასკნელ გარემოებას უნდა გამოეწვია, სხვათა შორის, მოკავშირეთა ფოროსის გადიდებაც.

451 წელს ათი წლის გაძევების შემდგომ კიმონი ათენში დაბრუნდა და მისი დახმარებით ათენმა სპარტასთან 5 წლით მშვიდობიანობა დაამყარა, რის შემდეგ მასთან (სპარტასთან) არგოსიც 30 წლით დებს ზავს, რაც ათენელებისათვის სასარგებლო აღმოჩნდა.

სამაგიეროდ კიმონის დაბრუნებასთან ერთად კვლავ აქტუალურ ხასიათს ღებულობს სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი.

კიმონმა მოახერხა, რომ მისი მეთაურობით 449 წ. გაგზავნეს ახლადაგებული ფლოტი კვიპროსიდან სპარსელების განდევნის მიზნით, მაგრამ იგი ერთ-ერთი ქალაქის გარემოცვის დროს გარდაიცვალა და, როგორც ვიცით, მალე სპარსელებთან დადებულ იქნა ეგრეთ წოდებული კალიასის ზავი. ამ ზავის დადებით პერიკლეს სურდა სპარსეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენით კვლავ გაედიდებინა ათენის ნივთიერი საშუალებანი, რომელნიც ორ ფრონტზე ბრძოლისა და განსაკუთრებით ეგვიპტეში კატასტროფის გამო ძალზე შემცირდა. მეორე მხრივ, იგი ცდილობდა დაეჩქარებინა დელოსის კავშირის ატიკის სამფლობელოდ გადაქცევა, რომ ამით უფრო ხელშესახები გაეხადა ათენის ძლიერება ზღვასა და ხმელეთზე. ათენს რომ საშუალება მისცემოდა, მოეშუშებინა ორ ფრონტზე ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობები, პერიკლე საჭიროდ თვლიდა აგრეთვე სპარტასთან უფრო ხანგრძლივი ზავის დადებას, მით უმეტეს, რომ ამ დროს ათენმა ფრიად თვალსაჩინო მარცხი განიცადა.

447/46 წ. კვლავ დაიწყო შეტაკებები სპარტასთან. თითქოს იმ საბაბით, რომ დაეცვათ დელფო ფოკიდელების მიერ მისი ტერიტორიის მიტაცებისაგან. შუა საბერძნეთში გამოჩნდნენ სპარტელი მეომრები, რამაც გამოიწვია ათენელების გავლენის შერყევა არა მარტო ფოკიდასა და ლოკირიდაში, არამედ ბეოტიაშიც, სადაც მას აუჯანყდნენ ბეოტიელი ქალაქები. ათენს განუდგნენ აგრეთვე ევბეას ქალაქები და მეგარა, რომელთაც დაეხმარნენ ლაკედემონელები და მათი მოკავშირეები. სპარტელების ჯარი ატიკაშიც კი შეიჭრა, მაგრამ მალე უკან გაბრუნდა. ათენელებმა შეძლეს აჯანყების ჩაქრობა ევბეაზე და გაგზავნეს იქ ათენელი კლერუქები. საერთოდ ამ პერიოდში ათენელებმა, ეგინისა და ნავპაქტოსის გამოკლებით, ყველა სხვა ახალი მონაპოვარი დაკარგეს და იძულებული გახდნენ მშვიდობიანობის გზაზე დამდგარიყვნენ. 445 წელს სპარტასა და მის მოკავშირეებსა და ათენს შორის დადებულ იქნა 30 წლიანი ზავი, რომლის მიხედვით ათენელებმა უარი თქვეს მეგარაზე და პელოპონესის მოკავშირეებზე; ეგინას ავტონომია მიენიჭა, მაგრამ ხარკი უნდა ეძლია ათენისათვის;

ამას გარდა ორივე მხარეს აეკრძალა მიეღო თავის კავშირში მეორე კავშირის წევრი.

მართალია, 30-წლიანი ზავი ფაქტიურად მხოლოდ 15 წლის განმავლობაში დარჩა ძალაში, მაგრამ ასეთი ხანმოკლე მშვიდობიანობის დროს ათენმა მაინც შეძლო როგორც საგარეო, ისე შინაური მდგომარეობის განმტკიცება. ეფიალტეს საქმის გაგრძელება, როგორც უკვე იყო ნათქვამი, რადიკალური ჯგუფის მეორე მეთაურ პ ე რ ი კ ლ ე ს დაეკისრა. კიმონის გარდაცვალების შემდგომ კონსერვატორულ ჯგუფს მეთაურობდა, როგორც ვიცით, მისი სიძე თ უ კ ი დ ი დ ე, რომელიც თავისი ჯგუფის ინტერესების მიხედვით ცდილობდა ხელი შეეშალა ათენის შემდგომი დემოკრატიზაციისათვის. მაგრამ იგი ოსტრაკიზირებულ იქნა და მისმა ჯგუფმაც დეზორგანიზაცია განიცადა. ათენის სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა რადიკალური ჯგუფის მეთაური პერიკლე, რომელიც ხალხის დიდი ნდობით სარგებლობდა. ანტიკური მწერლები ძველადვე ხაზგასმით აღნიშნავდნენ პერიკლეს თითქმის უსაზღვრო გავლენას და უდიდეს ავტორიტეტს. ისტორიკოსი თუკიდიდე აღნიშნავს მისი მოღვაწეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ამბობს: სიტყვით ეს დემოკრატია იყო, საქმით კი პირველი მამაკაცის ბატონობაო (II, 65,9); პერიკლე მეტად უძღვებოდა ხალხს, ვიდრე თვითონ მის ხელმძღვანელობას ემორჩილებოდაო. მართლაც ათენის მონათმფლობელური სახელმწიფოს ისტორიაში პერიკლე საკმაოდ სახელგანთქმული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწე იყო. მით უფრო გაუგებარია ის ტენდენცია, რომელსაც ახალი დროის ზოგიერთი ისტორიკოსი ამეღავნებს პერიკლესა და მისი დროის ათენის დემოკრატიის დახასიათებაში. ერთი მხრივ, გადაჭარბებით აღნიშნავენ მის არისტოკრატიულ ბუნებასა და ქცევას[11], ხოლო მეორე მხრივ, მიკერძოებით აშუქებენ როგორც იმ დროის ათენის დემოკრატიულ სახელმწიფოს, ისე მისი ხელმძღვანელის პერიკლეს მოღვაწეობას[12]. პერიკლეს, როგორც ათენის დემოკრატიის მეთაურის დახასიათების დროს უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ა რ ს ე ბ ი თ ა დ გ ა მ გ რ ძ ე ლ ე ბ ე ლ ი ი ყ ო ი მ დ ი დ ი ს ა ქ მ ი ს ა, რ ო მ ე ლ ს ა ც ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი ჩ ა უ ყ ა რ ე ს წ ი ნ ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი პ რ ო ც ე ს ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ: კ ლ ი ს თ ე ნ ე მ, თ ე მ ი ს ტ ო კ ლ ე მ, ა რ ი ს ტ ი დ ე მ დ ა ე ფ ი ა ლ ტ ე მ, დ ა ა მ მ ხ რ ი ვ ი გ ი, რ ა ს ა კ ვ ი რ ვ ე ლ ი ა, ა თ ე ნ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს ე რ თ ი მ ე თ ა უ რ თ ა გ ა ნ ი ი ყ ო. პ ე რ ი კ ლ ე მ ს წ ო რ ი ა ლ ღ ო ა უ ღ ო ა თ ე ნ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს ს, უ ფ რ ო მ ტ კ ი ც ე დ დ ა გ ა რ კ ვ ე უ ლ ა დ ჩ ა მ ო ა ყ ა ლ ი ბ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი წ ყ ო ბ ი-

ლება და ამ მიმართულებით ათენელებს განსაზღვრული პერიოდის მანძილზე საბერძნეთის სამყაროში განსაკუთრებული მდგომარეობა შეუქმნა. ამასთან ერთად იგი ცდილობდა მონათმფლობელური დემოკრატია პრაქტიკულ განხორციელებასთან დაეკავშირებინა. პერიკლე ენამჭევრი ორატორი ყოფილა და როგორც ნათელი გონებისა და დიდი კულტურის ადამიანი მსმენელებზე ღრმა გავლენას ახდენდა. მისთვის „ზევს ოლიმპოელიც" კი უწოდებიათ[12ა].

თავიდანვე პერიკლე, პლუტარქეს სიტყვით (Plut. Perik., XVII) დიდ ყურადღებას აქცევდა ელინთა შორის მშვიდობიანობის დამყარებას და ამ მიზნით შეიმუშავა ათენში პანელინური კონგრესის მოწვევის პროექტი, რომელსაც ათენის მეთაურობით ელადაში ახალი მშვიდობიანი ერა უნდა დაემყარებინა, ხოლო ბერძნებს შორის კი სრული სიწყნარე (εἰρήνη) და მათი ძალები საერთო საქმეებისაკენ (κοινοπραγία) მიემართა, მაგრამ გარკვეული საფუძვლის გამო სპარტა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო მეტად გულგრილად და, შეიძლება ითქვას, უნდობლადაც შეხვდა ამ იდეას და პერიკლეს პროექტი ვერ განხორციელდა.

სამაგიეროდ, ათენის სახელმწიფოს ეკონომიური და სამხედრო გაძლიერების თვალსაზრისით პერიკლემ დააჩქარა და უფრო გადაჭრით შეუწყო ხელი დელოსის კავშირის ათენის სამფლობელოდ გადაქცევის უკვე შემზადებულ პირობებს. პერიკლეს დროს ათენის სახელმწიფოს შემოსავალს შეადგენდა მოკავშირეების ფოროსი და სხვადასხვა სახის გადასახადები, აგრეთვე სავაჭრო ბაჟები, რომელთა შეგროვების უფლება შესყიდვით კერძო პირებს ანდა კომპანიებს ეძლეოდათ. პერიკლეს ეპოქაში ათენი მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო ქალაქი გახდა. მის მთავარ ნავსადგურ პირეუსში ყოველი მხრიდან შემოდიოდა საქონლით დატვირთული ხომალდები. საქონელზე მისი ღირებულების 2% ბაჟად იყო დადებული. დიდ შემოსავალს აძლევდა სახელმწიფოს პანგეიონისა და ლავრეიონის მაღაროები, რომელთა დამუშავებას იჯარით გასცემდნენ. ომის მერმინდელ პერიოდში ათენის აგორას გათხრების დროს აღმოაჩინეს რამდენიმე ძვირფასი ეპიგრაფიკული ძეგლი, მათს შორის ლავრეიონის მაღაროების იჯარით გაცემის დადგენილებანი. მართალია, ეს ზედწერები მეოთხე საუკუნეს ეკუთვნიან, მაგრამ სპეციალისტების აზრით ასეთივე უნდა ყოფილიყო მათი იჯარით გაცემის პირობები მეხუთე საუკუნეშიც. ეს წარწერები იდგმებოდა აგორაზე ბულევტერიონის მახლობლად. განსაკუთრებული თანამდებობის პირები

დგამდნენ სტელას, რომელშიც აღინიშნებოდა, რომ მაღაროები იჯარითაა გაცემული, მოხსენებული იყო მოიჯარის ვინაობა. ფასი და მაღაროს კლასიფიკაცია. საიჯარო ხელშეკრულებანი ორი ტიპისა ყოფილან: იჯარის განახლება ან მისი გადაცემა ახალი პირის ხელში. იჯარის ვადა პირველ შემთხვევაში სამი წელი იყო, მეორეში — შვიდი. მაღაროს პირველი იჯარის შემთხვევაში საიჯარო თანხა 20 დრახმიდან იწყებოდა. მეოთხე საუკუნეში ეს თანხა 150 დრახმამდე გაზრდილა. საერთოდ, პერიკლეს დროს ამ მაღაროების საიჯარო თანხები სახელმწიფო ხაზინის მნიშვნელოვან შემოსავალს წარმოადგენდა.

სურ. 53. პ ე რ ი კ ლ ე.

პერიკლეს, როგორც დემოკრატიული ჯგუფის მეთაურის, შინაგან პოლიტიკას ახასიათებს სამი მთავარი მომენტი: 1. ნივთიერად შეუძლო და მცირექონებიანი თავისუფალი მოქალაქეებისათვის სახელმწიფო მმართველ ორგანოებში ფაქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა; 2. საზოგადოებრივი შენობების აგებითა და კლერუქიების განსახლებით მოქალაქეების ღარიბი ნაწილისათვის სამუშაოთა და საარსებო საშუალებათა გამოძებნა და 3. ათენის საერთო სავაჭრო საწარმოო ცენტრად გადაქცევის ხელის შეწყობა.

პ ი რ ვ ე ლ ი მომენტის დასახასიათებლად უნდა მოვიგონოთ, რომ პერიკლეს გარეშე არ უნდა მომხდარიყო ის ფაქტი, რომ 457 წ. მოსახლეობის მესამე კლასს ძევგიტებსაც მიეცა არქონტის თანამდებობის დაკავების უფლება. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებო იყო ის, რომ პერიკლეს ნივთიერად შეუძლო მოქალაქეთა ინტერესების მიხედვით შემოიღო გასამრჯელო სახელმწიფო მოვალეობათა შესრულებისათვის, პირველად ნაფიც მსაჯულობისათვის, შემდგომ საბჭოს წევრობისათვის (ეგრეთ წოდებული—βουλευτικόν — ბულევ-

ტიკონი) და ჯარში სამსახურისათვის (στρατίωτικόν — სტრატეოტიკონი).

ძველად სამხედრო სამსახური ათენში დაკავშირებული იყო ქონებრივ ცენზთან და მოითხოვდა განსაზღვრულ ნივთიერ საშუალებას შეიარაღებისათვის. ბერძენ-სპარსელთა ომების დროს კი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს ეკონომიურად შეუძლო წრეებიც. მათთვის შესაძლებელი და მისაწვდომი რომ ყოფილიყო სამხედრო მოვალეობის შესრულება, პერიკლემ მეომრების მიმართაც დააწესა გარკვეული გასამრჯელო. მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელი პერიკლეს დემოკრატიული პოლიტიკისათვის იყო ის, რომ მან მოქალაქეთა ღარიბი ნაწილებისათვის შემოიღო „სანახაობათა ფული" (θεωρικόν) — თეორიკონი, რომელსაც სპეციალური დანიშნულება ჰქონდა, ხელმისაწვდომი გაეხადა ღარიბ მოქალაქეთათვის თეატრის მარკებისა თუ ბილეთების შეძენა.

მ ე ო რ ე მომენტის თვალსაზრისით საყურადღებოა, რომ პერიკლემ, პისისტრატეს მსგავსად, ათენი გაამშვენიერა ძვირფასი შენობებით და თავისი მშენებლობით ერთგვარი შემოსავალი გაუჩინა მოსახლეობის უღარიბეს ნაწილს. პერიკლეს მოღვაწეობის ეს მხარე შეუმჩნეველი არ დარჩენია ზოგიერთ ძველ მწერალს. მაგ., პლუტარქე აღნიშნავს: პერიკლეს სურდა, რომ ხელოსნებსაც, რომლებიც ვალდებული არ იყვნენ ემსახურათ ჯარში, ჰქონოდათ მონაწილეობის თავისი წვლილი შემოსავალში, მაგრამ მიეღოთ იგი მხოლოდ შრომით (Plut., Perik., XI). ამ მიზნით მას შემოუღია საზოგადოებრივი სამუშაოები, რომელთა წყალობით საშოვარი მიუღია 17 სხვადასხვა პროფესიის ხელოსანთ, რომლებსაც პლუტარქე იქვე ჩამოთვლის. ასეთ საზოგადოებრივ მშენებლობაში მონათა რიცხვი გარკვეული პროცენტით ყოფილა განსაზღვრული. ამ ფაქტს ადასტურებს აგრეთვე ერეხთეიონის აგებაზე გაწეული ხარჯების შემონახული ანგარიშები[13]. ამას გარდა მცირემამულიანი და უმამულო მოქალაქეების მოსაწყობად პერიკლეს დროს ფართოდ წარმოებდა ახალშენებისა და კლერუქიების განსახლება სხვადასხვა ადგილებში. ამ გზით, გარდა სამხედრო სამეთვალყურეო პუნქტების დაარსებისა, მრავალი მოქალაქე იძენდა მიწა-წყალს. ახალშენებში გადაყვანილ ათენელ მოქალაქეთ წილისყრით ეძლეოდათ მიწის განსაზღვრული ნაკვეთები — კლეროსები*, რაც მოკავშირეებს დიდად აღელვებდა იმ შემთხვევებში. როდესაც კლერუქიები მათ სამფლობელოში ეწყობოდა.

---

* აქედან κληρουχία=ნაკვეთების სახით დარიგება მიწებისა.

ამასთან ერთად პერიკლეს დროს, წინააღმდეგ სოლონისა და კლისთენეს პოლიტიკისა, ათენის მოქალაქეობის გარკვევის საკითხში 451 წელს გამოიცა კანონი, რომელმაც სასტიკად განსაზღვრა იმ პირთა კატეგორია, რომელთაც შეეძლოთ ათენის მოქალაქეები ყოფილიყვნენ. ახალი კანონის ძალით ათენის მოქალაქედ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ისეთი პირი, რომლის დედაც და მამაც ათენელი მოქალაქეები იყვნენ. ასეთი შეზღუდვა ათენის მოქალაქეობისა ფრიად საბედისწერო აღმოჩნდა ატიკის საზღვაო კავშირის სიცოცხლის უნარიანობისათვის[1]. ჩვენ ვიცით, რომ ათენს მრავლად განუდგა მოკავშირეები, ხოლო სიცილიის კატასტროფის შემდგომ ეს კავშირი სავსებით დაირღვა.

მ ე ს ა მ ე მომენტის გათვალისწინების დროს, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიგონოთ, რომ პერიკლეს ხანაში მოკავშირეების სამეურნეო და პოლიტიკური დამოკიდებულება ათენისაგან თავისი განვითარების ზენიტს აღწევს. ათენი ფლობდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ხორბლეულობის ექსპორტს, განსაზღვრავდა მის განაწილებას მოკავშირეთა შორის და სრული საშუალება ჰქონდა ყოველ ურჩ მოკავშირეს მისი მიწოდების აკრძალვით დამუქრებოდა. პერიკლემ იმისათვის, რომ მოკავშირეებისათვის და მტრულად განწყობილ ბარბაროსებისათვის ეჩვენებინა ათენის სამხედრო ძლიერება, 437 წელს მოაწყო დიდი ექსპედიცია შავი ზღვის სანაპიროზე (Plut., Pericl., XX). მაგრამ საქმე მარტო დემონსტრაციით და მოლაპარაკებით არ დამთავრებულა. შავიზღვისპირეთში თავისი პოზიციები რომ გაემაგრებინათ, ათენელებს იქ დასაყრდენი პუნქტების დაარსება დაუწყიათ და ამ მიზნის განსახორციელებლად შავი ზღვის ნაპირებზე არსებული ბერძნული ქალაქები გამოუყენებიათ. ამ ნიადაგზე ჩრდილოეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთის თითქმის ყველა ბერძნული ქალაქი ათენს ამა თუ იმ სახით დაკავშირებია. ამ მხარეებში ათენის გავლენის განმტკიცებას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ატიკას აუცილებლად ესაჭიროებოდა შემოტანილი პური. ეგვიპტეში განცდილი კატასტროფის შემდგომ, ათენელებს თითქმის მოესპოთ იქიდან პურის შემოტანის საშუალება, მეორე მხრივ, პელოპონესის კავშირში შემავალ ქალაქთა კონკურენციის გამო სიცილიიდან პურის შემოზიდვა დიდად გაძნელდა, ამიტომ ათენისა და მისი მოკავშირეებისათვის შავიზღვისპირეთის მხარეები მთავარ პურის ბეღლად გახდნენ. ამის გამო პერიკლეს ექსპედიციას, რომლის დროს ათენის ფლოტილიამ ეგეოსის ზღვით გაიარა ჰელესპონტი და პროპონტიდა და პონტში შევიდა, არა მარტო სამხედრო-პოლიტიკური მიზნები ჰქონდა დასახული, არამედ ეკონომიურიც: ნაწილობრივ ძველი სა-

ვაჭრო ურთიერთობის განმტკიცება, ნაწილობრივ ახალი სავაჭრო ასპარეზის მოპოვება შავიზღვისპირეთის მხარეებში და პურით ატიკისა და ათენის მოკავშირეთა უზრუნველყოფა. პურის ტრანსპორტის მეთვალყურეობა დაკისრებული ჰქონდა „ჰელესპონტის მცველებს" (Ἑλλησποντοφύλακες). შეგვიძლია ვიგულისხმოთ, ეს თანამდებობა უმთავრესად პელოპონესის ომის დასაწყისში იქნა შემოღებული და გარეგნულად თითქოს სამხედრო ზომას წარმოადგენდა, თუმცა არსებითად მოკავშირეების მიმართ ათენის ეკონომიურ ბატონობას განასახიერებდა. თვალყურს ადევნებდა ათენი აგრეთვე იმას, რომ მოკავშირეების ხომალდებს ნედლი მასალა სხვაგან არ წაეღოთ და პირველ რიგში იგი ათენში მიეტანათ. აღმოსავლეთში იონელთა ოდესღაც შორს გავრცელებული ვაჭრობა სპარსეთთან ხანგრძლივი ომიანობის გამო დაეცა და, როდესაც კალიასის ზავმა კვლავ შესაძლებელი გახადა აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის აღდგენა, ამით ისარგებლეს ათენელებმა და ამ მხრივ იონელების მემკვიდრეები გახდნენ. პერიკლეს მიზანშეწონილი სავაჭრო პოლიტიკა ათენის სურსათისა და ნედლი მასალით უზრუნველყოფის საქმეში ისევე უწყობდა ხელს პონტოსთან საჭირო ურთიერთობის განმტკიცებას, როგორც დასავლეთთან. მისი ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო საკავშირო ხელშეკრულებათა დადება სეგესტასთან, ლეონტინასა და რეგიონთან, რომლებსაც დიდად ავიწროებდა ძლიერი სირაკუზი, და თურიოის ქვემო იტალიაში დაარსება სიბარისის ადგილას.

ხმელთაშუა ზღვის მიდამოებიდან სხვადასხვაგვარი საქონელი თავს იყრიდა პირეუსის კარგად მოწყობილ სავაჭრო ნავსადგურში. პირეუსი, რომელშიც ჰიპოდამ მილეტელის მიერ აგებული სანავსადგურო ქალაქი, მისი სწორკუთხოვანი, გადაჯვარედინებული ქუჩებით აჩქარებული ტემპით ვითარდებოდა[15], იყო არა მარტო ათენის სამფლობელოს, არამედ ხმელთაშუა ზღვის მხარეების უდიდესი სავაჭრო პუნქტი. ამ მხრივ მას ვ ა ხ ს მ უ თ ი (Wachsmuth) სამართლიანად უწოდებს საბერძნეთის უდიდეს ზღვისპირა ბაზარს[16]. პროფ. კ უ ლ ი შ ე რ ს[17] აღნიშნული აქვს ორატორ ისოკრატეს ერთი სიტყვა (Paneg. 10—12), რომელშიც იგი ამბობს: „არა ყველგან აკმაყოფილებს მხარე მოსახლეობის მოთხოვნილებათ, პირიქით, ხშირად საგრძნობი ხდება ამა თუ იმ საგნის სიმცირე იმ დროს, როდესაც სხვა საგნები გადაჭარბებით მოიპოვება, ამიტომ არ იციან, საიდან მოიტანონ ერთი და სად წაიღონ მეორე. ათენმა მოაწესრიგა ეს უხერხულობა საბერძნეთის ცენტრში პირეუსის შექმნით, რომელიც განსხვავდება ისეთი ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, რომ იქ ადვილად შეიძლება მოვიპოვოთ ყოველივე ის, რაც სხვა შემთხვევაში

შეიძლება შევიძინოთ მხოლოდ ნაწილობრივად და ისიც გაჭირვებითო"... თვითონ ათენი უკვე მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში გახდა ფრიად ცნობილი სავაჭრო ქალაქი, რომელიც ტრანზიტის ფართო ბაზრად იქცა[18]. მაგრამ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ათენი იყო არა მარტო ტრანზიტის ადგილი, არამედ თვით ქმნიდა სხვადასხვა საგნებს ექსპორტისათვის. იმ დროს ათენში არსებობდა სპეციალური ქუჩები, რომლებსაც გარკვეული დარგის ხელოსნების სახელი ეწოდებოდა, მაგ., მოქანდაკეთა ქუჩა, ყუთების გამკეთებელთა ქუჩა, ტყავის დამამზადებელთა ქუჩა და სხვ.; აქვე იყო მეჭურჭლეთა განსაკუთრებული სავაჭრო მოედანი[19]. ათენში ომის მერმინდელი არქეოლოგიური გათხრების ერთ განსაკუთრებულად საყურადღებო რაიონს ხელოსანთა უბანი წარმოადგენდა. იგი აღმოსავლეთით არეოპაგს და დასავლეთით პნიქსს ეკვროდა. ათენის ხელოსანთა რაიონის არქეოლოგიურმა გამოკვლევამ შესაძლებელი გახადა გავითვალისწინოთ ქალაქის სხვადასხვა პერიოდში ხელოსნობის ამა თუ იმ დარგის განვითარების დონე. ძვ. წ. V საუკუნეში განსაკუთრებით განვითარებული ყოფილა მარმარილოს დამუშავება. გამოირკვა ისიც, რომ ათენში სპეციალური სახელოსნო უბნის შექმნა პოლისური დემოკრატიის განვითარებასა და აყვავებასთან იყო დაკავშირებული.

რასაკვირველია, არსებული მასალის მიხედვით, ძნელია იმის გარკვევა, თუ რა სახის იყო ათენელი ხელოსნების ორგანიზაცია, მაგრამ ამა თუ იმ დარგის ხელოსნების გარკვეულ ქუჩაზე თავის მოყრის ფაქტი იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ მათ წარმომადგენლებს შორის განსაზღვრული კავშირი არსებობდა.

მოკლედ, ათენში ფართოდ ყოფილა წარმოდგენილი სხვადასხვა დარგის ხელოსნობა და, ცხადია, არსებობდა არა მარტო ერთგვარი სპეციალიზაცია, არამედ შესაძლოა საწარმოო პროცესების პრიმიტიული დანაწილებაც[20].

ათენის სავაჭრო-საწარმოო მნიშვნელობას ჩვენ კვლავ დავუბრუნდებით, როდესაც შევეხებით საერთოდ საბერძნეთის მეურნეობის მდგომარეობას V—IV საუკუნეებში. აქ კი საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ წარმოებისა და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ათენში შესამჩნევად უნდა გაზრდილიყო მონათა რიცხვიც[21].

ამ ეპოქაში ათენის დემოკრატიამ პერიკლეს მეთაურობით უკვე მიიღო მთავარ ხაზებში გარკვეული სახე და ორგანიზაცია. ამ მხრივ, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიგონოთ, რომ, მართალია, ათენის დემოკრატიის მესვეურნი გარკვევით იბრძოდნენ იმისათვის, რომ ყველა მოქალაქეს თანასწორად ესარგებლა პოლიტიკური უფლებებით და თანასწორი მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს ცხოვრებაში, მაგ-

რამ ეს შეეხებოდა მხოლოდ მოქალაქეებს და არა საერთოდ მთელ მოსახლეობას.

ამიტომ თუ ათენის სახელმწიფოს, მაგალითად სპარტას შევადარებთ, იგი მართლაც დემოკრატიულ სახელმწიფოდ გვეჩვენება, მაგრამ საერთო მდგომარეობის მიხედვით აქაც სურათი რთულია. ჩვენ ვიცით, რომ ათენის მოკავშირეები თანდათანობით მისი ქვეშევრდომები გახდნენ და, მართალია, მოკავშირე ქალაქებში ათენელები დემოკრატიულ წყობილებას უჭერდნენ მხარს, მაგრამ ამ დემოკრატიული თემების წარმომადგენლები ათენში მოქალაქეებად არ ითვლებოდნენ და არც სარგებლობდნენ პოლიტიკური უფლებებით. ამგვარად, ათენში გადმოსახლებული მოკავშირეები სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილი არიყვნენ. რაც უფრო იზრდებოდა ათენის სავაჭრო-საწარმოო და კულტურული მნიშვნელობა, მით უფრო მრავლად მოდიოდნენ ათენში სხვა ქალაქების მცხოვრებლები, რომლებიც, როგორც მეტეკები, განსაკუთრებული გადასახადით იყვნენ დაბეგრილი (μετοίκιον — მეტოიკონი=12 დრახმას) და დამამცირებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მართალია, ზოგჯერ ისინი ახერხებდნენ მონაწილეობა მიეღოთ კომერციულსა და საწარმოო საქმიანობაში და იშვიათ შემთხვევაში ფლოტსა და ჯარშიც მოხვედრილიყვნენ, მაგრამ მოქალაქის უფლების მოპოვება მათთვის ისევე ძნელი იყო, როგორც მოკავშირეებისათვის, რომელთა ფოროსი ახლა უკვე ათენის სასარგებლოდ მიდიოდა. არას ვიტყვით მონებზე, რომელთა რიცხვიც ამ საუკუნეში წარმოების განვითარებასთან ერთად გაიზარდა.

ჩვენ ვიცით, რომ მონა არ ითვლებოდა პიროვნებად, არამედ სულიერ ქონებად (ktema empsychon) და, მაშასადამე, იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო უფლებათა სუბიექტი და მით უმეტეს რაიმე მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს ცხოვრებაში.

პროფ. სვოსტოვს აღნიშნული აქვს მომზენის აზრი[22], რომ რომაელი მოქალაქენი თავის უფლებას ისე უცქეროდნენ, როგორც აქციას, რომელიც მოგებაში მონაწილეობის უფლებას იძლეოდაო. ასევე ათენელ მოქალაქეებს არ სურდათ სხვებისათვის გაენაწილებინათ თავისი უპირატესი მდგომარეობის პირობები. თუ კლისთენეს დროს ათენელი მოქალაქის უფლების მიღება შედარებით ადვილი იყო და მრავალი მეტეკი და მონაც კი შეიყვანეს ფილეებში, ახლა პერიკლეს კანონის წყალობით 5.000 პირზე მეტმა დაკარგა მოქალაქის უფლება და მონებად იქნა გაყიდული. ერთი სიტყვით, ათენის მეურნეობის განვითარება და მისი მო-

ქალაქეების არსებობა უმთავრესად დამორჩილებულ ხალხებისა და ქალაქების. განსაკუთრებით კიმეტეკებისა და მონების ექსპლოატაციაზე იყო დამყარებული, და ამიტომ თუ ათენი თავგამოდებით იცავდა თავისი მცირერიცხოვანი წევრების თანასწორუფლებიანობას, მეორე მხრივ, იგი თავის წრეში უცხო პირების მიღებას ეწინააღმდეგებოდა. მართალია, ათენის მოქალაქეთა შეძლებულ ნაწილს სხვადასხვა ლიტურგიის (საზოგადოებრივი მოვალეობის) შესრულება ეკისრებოდა, მაგრამ პოლისის არისტოკრატია — ხომალდების მფლობელნი, ვაჭრები, მონებით მოვაჭრენი, მევახშენი და სხვა ასეთი პირები დღეობების გამართვაზე, ხომალდების შემზადებასა და გუნდების შენახვაზე გაწეულ ხარჯებს ჭარბად ინაზღაურებდნენ სავაჭრო და სავახშო ოპერაციებით, ნადავლის მიტაცებით, მონების ყიდვა-გაყიდვით და სხვა მსგავსი კომბინაციით. მოკავშირე თემებს ათენელები თავის ნადავლად თვლიდნენ და არსებით ანგარიშს არ უწევდნენ. ასეთივე შეხედულებისა იყო პერიკლე, რომელიც მიუხედავად ფართო განვითარებისა, მონათმფლობელური პოლისის ჩარჩოებს მაინც ვერ გაშორებოდა.

ათენის დემოკრატია მუდამ ნამდვილი თუ პოტენციალური მონათმფლობელი უმცირესობის დემოკრატიას წარმოადგენდა. ჩვენ დავინახეთ, თუ რა ზომები მიიღო პერიკლემ იმისათვის, რომ სახელმწიფო ორგანოებში ნივთიერად ხელმოკლე ადამიანებსაც ჰქონოდათ მონაწილეობის საშუალება. 395 წლიდან ამ ზომებს მიემატა კიდევ გასამრჯელო სახალხო კრებაზე დასწრებისათვის (ἐκκλησιαστικόν — ეკლესიასტიკონი).

ამგვარად, IV საუკუნეში, თითქმის ყველა სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის გასამრჯელო შემოიღეს. ასეთი ღონისძიებით სურდათ კლასობრივი წინააღმდეგობის შენელება და პოლისის სამხედრო ძლიერების შენარჩუნება.

ძველად ათენის დემოკრატიაში ორ მთავარ თვისებას აღნიშნავდნენ — ისონომიას, ე. ი. კანონის წინაშე თანასწორობას, თანასწორუფლებიანობას, და ისეგორიას, ე. ი. სიტყვის თავისუფლებისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის თანასწორუფლებიანობას. „რაც შეეხება სახალხო მმართველობას, ამბობს ჰეროდოტე ერთ-ერთი სპარსელის პირით (III, 80), მას აქვს, ერთი მხრივ, ყველაზე უმშვენიერესი სახელი — ისონომია, ხოლო, მეორე მხრივ, მმართველი ხალხი არ სჩადის არაფერ ისეთს, რასაც მონარ-

ქი...“ მაგრამ ათენის დემოკრატიის სრულ აპოთეოზს წარმოადგენს თ უ კ ი დ ი დ ე ს მიერ გადმოცემული პერიკლეს სიტყვა (II, 37—41): „ეწოდება ჩვენს წყობილებას დემოკრატია იმიტომ, რომ იგი შეესაბამება არა უმცირესობის, არამედ უმრავლესობის ინტერესებს. კანონით კერძო საქმეებში ჩვენ ყველას თანასწორი უფლებები გვაქვს; რაც შეეხება გავლენას, თითოეული, თუ იგი რითიმე განთქმულია, სარგებლობს მეტი პატივით სახელმწიფო მოღვაწეობაში არა რომელიმე წრისადმი კუთვნილების გამო, არამედ თავისი ღირსების მიხედვით. ღატაკსაც კი არ უშლის მისი ბეჩავი მდგომარეობა ხელს სახელმწიფოს სამსახური გაუწიოს, თუკი მას საამისო ნიჭი აქვს... მე ვამტკიცებ, რომ მთელი ჩვენი სახელმწიფო ელადის განათლების ცენტრია. მე მგონია, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია ჩვენში მოღვაწეობის მრავალგვარ დარგს შეეწყოს და თავისი საქმის ლაზათიანად და მოხერხებულად შესრულებით თავისთვის ყველაზე უკეთესად თვითსაკმარ მდგომარეობას მიაღწიოსო...“ რა თქმა უნდა, პერიკლეს სიტყვაში ათენის კონსტიტუციის მხოლოდ დადებითი მოვლენებია აღნიშნული. ხოლო მისი უარყოფითი მხარეები მიჩქმალულია.

ჩვენი დროის მკვლევართა წრეში ხშირად ყოფილა გამოთქმული მოსაზრება, რომ გასამრჯელოს შემოღების პირობებშიც ათენელ მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა მაინც ვერ განხორციელდებოდა. ამ მხრივ უფრო საყურადღებოა ზ უ ნ დ ვ ა ლ ი ს (I. Sundwall) ეპიგრაფიკულ მასალაზე დამყარებული სპეციალური ნარკვევი[23]. იგი ვრცელი ეპიგრაფიკული ცნობების განხილვის საფუძველზე გვარწმუნებს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში—დემებში მთავარ როლს მოქალაქეთა შეძლებული ნაწილი თამაშობდა, ნივთიერად ხელმოკლე მოქალაქეები კი შედარებით მეორეხარისხოვანს. თვით სახალხო კრებაშიც, რომელიც ათენის დემოკრატიის სრულ სუვერენიტეტს განასახიერებდა, ღარიბებსა და მცირე შეძლების მოქალაქეებს არ ჰქონდათ ისეთი მნიშვნელობა და გავლენა, როგორიც მათ რიცხვის მიხედვით ეკუთვნოდათო[24].

მეორე მკვლევარი ფ რ ა ნ კ ო ტ ი (Francotte) კი, სხვათა შორის, იხილავს კერძოდ ხუთასის საბჭოს წევრის გასამრჯელოს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამ ფულით დიდად მომჭირნე ადამიანსაც ძალზე გაუჭირდებოდა თავის გამოკვება, ოჯახის სხვა წევრებს რომ თავი დავანებოთ. მაშასადამე, მას სხვა საარსებო საშუალების მოპოვებაზეც უნდა ეზრუნა[25].

პროფ. ხ ვ ო ს ტ ო ვ ი დარწმუნებული იყო, რომ სახელმწიფო მოვალეობათა ასრულებისათვის გასამრჯელოს დაწესების პრინციპი

სრულებით არ ჰქმნიდა ათენში ნებაყოფლობითად შეუძლო მოქალაქეთა მუდმივ ბატონობას[26].

ვიდრე საბოლოო დასკვნას გავუკეთებდეთ ამ საკითხს, საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ ათენელი მოქალაქეების **დაქირავებული შრომისადმი** დამოკიდებულებაზე. ხშირად, ამ საკითხის გარშემო ერთსა და იმავე დროს და ზოგჯერ ერთი და იმავე პირის მიერ გამოთქმული ყოფილა ორი საწინააღმდეგო მოსაზრება. თუკიდიდეს გადმოცემით, პერიკლე აღნიშნავდა: იმას, ვინც არავითარ საქმეს არ მისდევს, ჩვენ თავისუფლების მოყვარულ ადამიანად კი არ ვაღიარებთ, არამედ უსარგებლო ადამიანადო.

პლუტარქეს სიტყვით (Pericles XIX) კი პერიკლე აღნიშნავდა: ისინი, ვინც იარაღს არ ატარებენ და იძულებული არიან თავისი მარჯვენით იცხოვრონ, სახელმწიფო შემოსავლის ნაწილს იღებენ, ხოლო ის, რაც მათ ეძლევა, არ არის გასამრჯელო უსაქმობისათვის: იყენებენ მათ დიდი შენობების აგებისას ანდა ყოველგვარი სახის ხელოვნებაში. ამ სიტყვებიდან, თითქოს, არ გამომდინარეობს ის, რომ პერიკლეს დროს ათენში ზიზღით უცქეროდნენ ფიზიკურ შრომას. ამასთან პერიკლე ფართოდ იწვევდა საზოგადოებრივ სამუშაოზე თავისუფალ ხელოსანთ. შემონახულია ისეთი ძეგლებიც, რომელთა ზედწერებიდან ჩანს, რომ სხვადასხვა დარგის ხელოსნები არ მალავდნენ თავიპროფესიას, მაგ., მეწაღეები და ნალბანდები საფლავის ქვებზე ხშირად თავისი ხელობის იარაღებთან ერთად არიან გამოსახული.

მაგრამ სხვა სურათია მოცემული ძვ. წ. IV საუკუნის ათენის ცხოვრებიდან, როდესაც დემოკრატიული ტენდენცია თითქოს განსაკუთრებით ძლიერი იყო. ამ ეპიზოდს ვეცნობით ორატორ დემოსთენის ერთ-ერთ სიტყვაში[27]. ათენელი მოქალაქე, ვინმე ევქსითეოსი, დემოტების სიიდან ამოურიცხავთ და ამგვარად მისთვის მოქალაქის უფლებები წაურთმევიათ. სხვათა შორის ასეთი მოქმედების გასამართლებლად აღუნიშნავთ ის, რომ თვითონ იგი და მისი დედა ბაზარში ლენტებით ვაჭრობდნენ: ევქსითეოსი ბაზარში ყიდდა ლენტებს, ის ხელოსანი და წვრილი ვაჭარია; მაშასადამე, იგი მეტეკია და არა ათენელი. ამას გარდა, დედამისი ყოფილა ძიძა. „ჩვენ ვაღიარებთ, ამბობს ევქსითეოსი, რომ ლენტებსაც ვყიდდით და ვერც ისე ვცხოვრობდით, რრგორც გვსურდა“, დედა მართლაც იყო ძიძად: „ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ეს ნამდვილად მოხდა, როდესაც სახელმწიფო უბედურებას განიცდიდა (ომის გამო), და ყველა გაჭირვებაში იმყოფებოდა... ჩვენ რომ მდიდრები ვყოფილიყავით, არ დავიწყებდით ლენტებით ვაჭრობას და გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავვარდებოდით... ნუ ამცირებთ, მოსამართლენო, ღარიბებს — საკმარისია მათთვის უკვე მათი

გაჭირვება — სიღარიბე. ნუ დამცირებთ განსაკუთრებით იმათ, რომელნიც უპირატესობას ანიჭებენ შრომას და პატიოსანს ცხოვრებას... რომ დამამცირებელია ძიძად ყოფნა, ამ ჭეშმარიტებას მე არ უარვყოფ. მაგრამ ჩვენ მართალი არა ვართ არა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ ღარიბები ვიყავით, არამედ — თუ ჩვენ მოქალაქეები არა ვართ, და ქონებისა და მდგომარეობის საფუძველზე კი არ წარმოებს ეს პროცესი. არამედ წარმოშობის მიხედვით: სიღარიბე აიძულებს თავისუფალთაც შეასრულონ მრავალი მონური და უღირსი მოვალეობა, რისთვისაც უფრო სამართლიანია, ათენელებო, მათი შეცოდება, ვიდრე მათი დაღუპვა". დასასრულ, ევქსითეოსი სთხოვს მოსამართლეებს, ნუ ჩათვლიან მშრომელებს „უცხოელებად", არამოქალაქეებად, ხოლო დამბეზღებლები კი ბოროტმოქმედებად მიიჩნიონ. ამ სიტყვებიდან ჩანს ისიც, რომ ათენში უდიერად ეპყრობოდნენ იმათ, ვინც ბაზარში ვაჭრობდა და ამიტომ განსაკუთრებული კანონიც კი ყოფილა გამოცემული, რომლითაც ასეთი საქმიანობა მოქალაქეთათვის აუკრძალავთ[28].

მაშასადამე, ისეთი სამუშაო და ხელობა, რომელსაც მონები და მეტეკები ასრულებდნენ, ათენის მოქალაქეთათვის დამამცირებელ საქმედ ითვლებოდა იმ სანაშიც კი, როდესაც დემოკრატიულმა განვითარებამ ათენში უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ამიტომ საკვირველი არ უნდა იყოს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა ასეთ ხელობას სახელმწიფოს ხარჯზე ცხოვრებას ამჯობინებდა საბჭოს და ჰელიას წევრის, თუ სხვა თანამდებობის შესრულების სახით. არც არისტოტელეს მიერ მოწოდებული რიცხვი უნდა მივიჩნიოთ ამ მხრივ გადაჭარბებულად. მისი სიტყვით ('Αθ. πολ, XXIV, 3) სახელმწიფოს ხარჯზე იკვებებოდა 20.000-მდე მოქალაქე. ხოლო იგივე არისტოტელე გვარწმუნებს ('Αθ. πολ. XXV, 1), რომ ამავე წყაროებიდან იღებდა ხალხი საკვებსო.

მაგრამ, თუ გასამრჯელოს შემოღება ვერ ქმნიდა მტკიცე საფუძველს იმისათვის, რომ ღარიბ მოქალაქეებსაც ფაქტიურად მიეღოთ მონაწილეობა სახელმწიფოს ორგანოებში, გასამრჯელოს დაწესებას, ცხადია, მაინც მნიშვნელობა ჰქონდა ათენის დემოკრატიის განვითარების საქმეში. ამ მხრივ საყურადღებოა ეგრეთ წოდებული ფსევდოქსენოფონტეს „ათენის პოლიტია" ('Αθηναίων πολιτεία), რომელსაც წინათ ქსენოფონტეს მიაწერდნენ, მაგრამ დღეს კი საბოლოოდ გარკვეულად უნდა ჩაითვალოს, რომ იგი მას არ ეკუთვნის. იგი დაწერილი უნდა იყოს V საუკუნის მეორე ნახევარში და რომელიღაც უცნობი ოლიგარქოსის, ათენელი მოქალაქის,

ნამრომს უნდა წარმოადგენდეს". შესავალშივე ავტორი აცხადებს, რომ მას არ მოსწონს, რასაკვირველია, ათენელების მიერ არჩეული წესწყობილების სახე, მაგრამ იმის უარყოფა არ შეუძლია, რომ ისინი კარგად უწყობენ ხელს თავის სახელმწიფო წყობილებას და კარგად უძღვებიან მასთან დაკავშირებულ საქმეებს (I, 1). ერთი სიტყვით, ტრაქტატის ავტორი, მიუხედავად დემოკრატიისადმი პრინციპული წინააღმდეგობისა, იძულებულია აღიაროს, რომ ათენის დემოკრატია მიზანშეწონილად და გეგმიანად მოქმედებს. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხის თვალსაზრისით ყურადღების ღირსია ტრაქტატის ის ადგილი, სადაც შემდეგია ნათქვამი: „ათენელები არ ფიქრობენ, რომ მათ უნდა მიიღონ სტრატეგოსებისა და პიპარქოსების თანამდებობანი, რადგან ხალხმა კარგად იცის, რომ იგი მეტ სარგებლობას მიიღებს იმ შემთხვევაში, როდესაც ის თვითონ კი არ დაიკავებს ამ თანამდებობათ, არამედ ყველაზე უფრო მეტად შეძლებული პირები. ხოლო ხალხი ცდილობს მიიღოს ისეთი თანამდებობა, რომელთა მიმართ გასამრჯელოა დაწესებული და ქონებრივი მხრივ ხელსაყრელიაო" (I,3). ამგვარად, ათენის დემოკრატიის უფრო შეგნებული უცნობი მოწინააღმდეგე გასამრჯელოს დაწესების ფაქტში ხედავს დემოკრატიის ერთ-ერთ განმამტკიცებელ მომენტს. ამასთან ერთად ტრაქტატის ავტორი აღნიშნავს, რომ მონებისა და მეტეკების მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო ათენში, ვიდრე სხვა რომელსამე სახელმწიფოში. მისი სიტყვით, ათენში მონას ვერ გაარჩევ თავისუფალისაგან: ორივე ერთნაირ ტანსაცმელში დადის და იქ არც მონის გალახვა შეიძლება. ეს მოვლენა თვით ათენის ძლიერების განვითარების პირობებზეა დამყარებული, რადგან ამ ძლიერებას საფუძვლად უდევს სავაჭრო ფულადი მეურნეობა, — რომლის დროსაც მონები თავის ბატონებს ხარკს უხდიან და, რაც უფრო შეძლებულია მონა, მით უფრო ხელსაყრელია ბატონისათვისო (I, 11). ამიტომ მონას არავისი არ უნდა ეშინოდეს, რადგან შიშის ზეგავლენით მას შეუძლია არასასარგებლო მოქმედების ჩადენა. მეორე მხრივ, მრავალი სახელოსნო და საზღვაო საქმის გამო სახელმწიფო დიდად საჭიროებს მეტეკებს და ამიტომაც მათაც მიენიჭათ მონაწილეობა მოქალაქის უფლებებში (I, 12) და თითქოს ამ ორი წრის თანასწორუფლებიანობა მხოლოდ იმით იყო შეზღუდული, რომ მათ მუსიკასა და ტანვარჯიშში მეცადინეობა აკრძალული ჰქონდათო (I, 13).

პერიკლეს პირადი მტრებიც კი აღიარებდნენ, რომ მის დროს სა-

ხელმწიფოს შემოსავლის უმეტესი ნაწილი კულტურულ მიზნებს ხმარდებოდა.

პერიკლე და მისი მახლობელი წრე დიდად ცდილობდნენ, ათენი მთელი საბერძნეთის კულტურულ და სარწმუნოებრივ ცენტრად გადაექციათ. და მართლაც, ათენი იმ დროის ყველაზე უფრო ბრწყინვალე და განთქმული ქალაქი გახდა. აქ ყოველი კუთხიდან თავს იყრიდნენ ცნობილი მწერლები, მხატვრები, ხუროთმოძღვრები, ფილოსოფოსები და მწიგნობრები.

ამავე დროს ათენში მიმდინარეობდა ინტენსიური მშენებლობა, რომლის მიზანი მისი გამაგრება და გამშვენიერება იყო. ჯერ კიდევ პისისტრატემ ააგო ათენში საბაზრო მოედანი, აღმართა მონუმენტა-



სურ. 54. პართენონი. ათენა პართენონის ტაძარი.

ლური შესავალი აკროპოლისში და ქალაქი წყლით მოამარაგა. მაგრამ სპარსელებმა ათენი ძირიანად გაანადგურეს. საჭირო გახდა მისი კვლავ გაშენება. კიმონმა ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო და საკუთარი სახსრებით ააგო საზოგადოებრივი შენობები, ქალაქი გაამშვენიერა ლამაზი, ფერადი პორტიკით, რომლის კედლები ცნობილ ხელოვანს პ ო ლ ი გ ნ ო ტ ე ს მოუხატავს, ქალაქის მოედანს ჭადრები შემოავლო და სხვ. მაგრამ ათენის გამშვენიერების საქმეში განსაკუთრებით გამოირჩეოდა პერიკლეს ღვაწლი. ჯერ კიდევ თემისტოკლე ცდილობდა

პ ი რ ე უ ს ი ს გამაგრებას, მაგრამ ეს წინანდელი უბრალო ნავსადგური მხოლოდ პერიკლეს დროს იქცა ათენის სახელმწიფოს დიდ პორტად. ქალაქიდან მისკენ და მეორე ნავსადგურ ფ ა ლ ე რ ო ნ ი ს ა კ ე ნ სქელი „გრძელი კედლები“ მიემართებოდა. რომელთაც ათენი ზღვიდან თავდასხმისაგან უნდა დაეცვათ. პირეუსი, რომელშიც ჰ ი პ ო დ ა მ ო ს მ ი ლ ე ტ ე ლ მ ა სწორკუთხოვანი და სწორქუჩებიანი ქალაქი გააშენა, არა მარტო ათენის სახელმწიფოს, არამედ იმ დროის მთელი სამყაროს საავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა. პერიკლეს დროს ააგეს ბერძნული ხუროთმოძღვრების ისეთი ღირსშესანიშნავი ძეგლები, როგორიცაა: პ ა რ თ ე ნ ო ნ ი, პ რ ო პ ი ლ ე ე ბ ი, ე რ ე ხ თ ე ი ო ნ ი, ო დ ე ი ო ნ ი, ეგრეთ წოდებული თ ე ს ე ი ო ნ ი და სხვ.

დემოკრატიული ათენის ფართო მშენებლობას ნივთიერი სახსრებით თვითონ სახელმწიფო ამარაგებდა. ის მიმართული იყო უმთავრესად საზოგადოებრივი მნიშვნელობის შენობების, განსაკუთრებით ტაძრების აგებისაკენ. დემოკრატიულმა ათენმა ზომასა და ჰარმონიაზე დამყარებული მხატვრული იდეალი გამოიმუშავა, რომლის ცნობილი წარმომადგენელი სახვითი ხელოვნების სფეროში ფიდიასი და მისი სკოლა იყო.

სურ. 55. მაღაროებში მომუშავე მონები.

პერიკლეს სააღმშენებლო საქმიანობა ძველადვე დიდ ყურადღებას იპყრობდა. პლუტარქე გვარწმუნებს (Pericl.. XIII), რომ პერიკლეს დროს „აგებდნენ სიდიდით გამორჩეულსა და მოხაზულობის სიმშვენიერით შეუდარებელ შენობებს; ამასთან ოსტატები დასწრებაზე ცდილობდნენ თავისი ხელოვნების შესაძლებლობით და თავისი მუშაობის დახვეწილობით ერთიმეორისათვის წინ გაესწროთ“. ერთი იმ დროის პირი წერს „შენ ჯირკი ხარ, თუ ათენი არ გინახავს. ვირი ხარ, თუ ნახე და არ აღფრთოვანდი, ხოლო თუ ის შენი სურვილით დატოვე, მაშინ შენ აქლემი ხარ“. ჩვენი დროის ერთი ისტორიკოსი ათენის გამშვენიერების მიმოხილვას ასეთი სიტყვებით ამთავრებს: „ასე წარმოიშვა აქ წარუშლელი მშვენიერების ადგილი, რომელიც ნანგრევების სახითაც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მასზე, ვისაც

ბედნიერება ჰქონია, ეს სურათი პირადად ენახა, აკროპოლისიდან ატიკის საოცარ ფერებად მბრწყინავ ლანდშაფტისათვის გადაეხედა და თვალი... სხვა მიდამოებისათვისაც გადაევლო, ის თავის გულში ‹თენისადმი სიყვარულს მუდამ ატარებს“.

ათენის მშენებლობაზე მრავლად მუშაობდნენ სხვადასხვა სპეციალობის ხელოსნები. ნათქვამი იყო, რომ პერიკლემ თავისუფალი შრომის ინტერესებისათვის მშენებლობაში მონაწილე მონების რიცხვი გარკვეული პროცენტით განსაზღვრა. ასე, მაგ., საგულისხმებელია, რომ ერეხთეიონის მშენებლობაზე მონების რაოდენობა 20—22



სურ. 56. ჩამომსხმელის სახელოსნო.

პროცენტს არ აღემატებოდა. ამასთან ერთად, უკვე იყო აღნიშნული, რომ ათენში მონების მდგომარეობა შედარებით შეღავათიანი იყო, ვიდრე საბერძნეთის სხვა პოლისებში.

ათენში მონებს ჰქონდათ თავშეფარების უფლება. ასეთ თავშესაფარს წარმოადგენდა ათენში ეგრეთ წოდებული თეზეიონი. გაქცეულ მონას, რომელსაც სდევნიდნენ, შეეძლო თავი შეეფარებინა ამ ტაძარში და არავის უფლება არ ჰქონდა ის ძალით გამოეყვანა. მაგრამ შიმშილს თუ ქურუმების ძალმომრეობას შეეძლო ის აეძულებინა, რომ თავშესაფარი მიეტოვებინა.

ათენის კანონების თანახმად ბატონს მონის მოკვლის უფლება არ ჰქონდა. ათენის დემოკრატიის მეთაურის პერიკლეს ოჯახში მონა ევანგელოსი სრული ნდობით სარგებლობდა, მთელ მის მეურნეობას განაგებდა და თავის განკარგულებაში სხვა მონებიც ჰყავდა. რასაკვირ-

ველია, ეს არ განსაზღვრავდა ათენის მონების საერთო მდგომარეობას. მაგრამ მათდამი ერთგვარ ლმობიერებას გამოხატავდა.

პერიკლეს კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა მარტო მშენებლობით არ განისაზღვრებოდა. მის დროს ათენის დემოკრატია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოქალაქეების აღზრდას სათნოების (არეტეს) შთანერგვით და ადამიანის კეთილშობილური გრძნობების აღძვრით. სათნოების მთავარ თვისებად კი ათენელებს მამაცობა, გულმართლობა, კეთილმსახურება, ზომიერების გრძნობა (სოფროსიუნე) და სილამაზე მიაჩნდათ. მაგრამ არა მარტო გონებრივი განვითარება იყო აღზრდის მიზანდასახულობა, არამედ მისი სხეულის ვარჯიშობასთან შეერთება, ეგრეთ წოდებული „კალოკაგათია". წერა-კითხვა ათენელების დიდ უმრავლესობას იმ დროს შეთვისებული უნდა ჰქონოდა და, როგორც ვიცით, ჰომეროსის პოემების ცოდნა საყოველთაოდ სავალდებულო იყო[30].

ცნობილი გეოგრაფი ელიზე რეკლიუ ძველ ათენს იმ ვარსკვლავებს ადარებს, რომლებმაც სხივოსნობა უკვე დაკარგეს, მაგრამ კიდევ ანათებენ ჩვენს დედამიწას. პერიკლეს ინიციატივას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ათენი მთელი საბერძნეთის სამეურნეო და კულტურულ ცენტრად იქცა. პერიკლეს დამსახურებას ისიც წარმოადგენს, რომ მან კალიასის ზავიდან ორიოდე წლის შემდგომ (447 წ.) განიზრახა ათენში, როგორც ნათქვამი იყო, მთელი ბერძნული სამყაროს პანელინური კონგრესის მოწვევა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული სპარსელების შემოსევით განადგურებული ქალაქების აღდგენა, ბერძენ ტომთა შორის მშვიდობიანობის დამყარება და მათი შეთანხმებული მოქმედება (κοινοπραγία). როცა სპარტის წინააღმდეგობამ ასეთი კონგრესის მოწვევა შეუძლებელი გახადა, ათენის დემოკრატიამ პერიკლეს მეთაურობით თავის საზღვრების მოსალოდნელი თავდასხმისაგან გამაგრება იწყო და მეორე მხრივ თავისი ქალაქი საუცხოო შენობით გაამშვენიერა.

3. მოქალაქეობისა და ურთიერთობის საკითხი ბერძნულ პოლისებში

მოქალაქეობის საკითხი ერთ ურთულეს ამოცანას წარმოადგენდა ბერძნულ პოლისებში. თითოეული პოლისის სრულუფლებიანი მოქალაქეების წრე, მასში გაბატონებული ეკონომიური და პოლიტიკური პირობების მიხედვით, უაღრესად ავიწროებდა და ზღუდავდა უცხოელებისათვის მოქალაქეობის უფლებების მინიჭებას. 445 წელს ათენში გატარდა მოქალაქეების შემოწმება. ის დაკავშირებული

იყო ეგვიპტის მიერ ათენისათვის ძღვნად პურის ტრანსპორტის წარმოგზავნასთან და მოქალაქეებს შორის დანაწილებასთან. შემოწმების ნიადაგზე წარმოქმნილა მრავალი გაუგებრობა და სასამართლო პროცესი. შემოწმებას გამოუვლინებია 5 ათასამდე ადამიანი, რომლებიც მხილებული ყოფილან სიცრუეში და ამის გამო დაუკარგავთ მოქალაქეობის უფლებები და მონებად გაუყიდიათ.

ათენში განსაკუთრებული თანამდებობის პირები ადევნებდნენ თვალყურს ახალგაზრდა ათენელების მოქალაქეთა სიაში შეტანას: ყოველ ახალგაზრდა ათენელს, როცა ის 18 წლის ასაკს მიაღწევდა, ვალად ედო იმ დემის წიგნში გატარებულიყო, რომელსაც მამამისი ეკუთვნოდა. ასეთი გატარება მკაცრი გამოკითხვისა და გამოკვლევის შედეგად სრულდებოდა. ასეთი პროცედურის დამთავრების შემდგომ მოქალაქეთა წრეში ახლად მიღებული პირი დაწესებულ სამოქალაქო ფიცს იღებდა, რომ არ მიატოვებს ბრძოლის ველზე ამხანაგს, არ დაამცირებს სამშობლოს ძალასა და დიდებას, დაემორჩილება მოქმედ კანონებს და არავის მისცემს მათი დარღვევის ნებას და პატივისცემით იქნება გამსჭვალული მამაპაპათა სამშობლოცველოებისადმი.

თვითონ პერიკლემ განიცადა მოქალაქეობის შესახებ მიღებული კანონის სიმძიმე: როცა ათენში ამტყდარმა შავმა ჭირმა მას თითქმის ყველა ნათესავი მოუსპო, იგი იძულებული იყო, სახალხო კრებისათვის განსაკუთრებული თხოვნით მიემართა, რომ მისი „უკანონოდ შობილი" ვაჟისათვის მოქალაქეობის უფლებები მიენიჭებიათ, და სახალხო კრებას, გამონაკლისის სახით, მისი თხოვნა შეუწყნარებია. კანონი მოქალაქეობის შესახებ ათენში კვლავ განუახლებიათ 403 წელს, იმ განსხვავებით, რომ კანონი შეეხებოდა მხოლოდ მისი ძალაში შესვლის შემდგომ დაბადებულ პირთ. არსებობს ცნობა, რომ მოქალაქეების საერთო შემოწმება გაუტარებიათ 345 წელსაც.

განსაკუთრებული დანაშაულის თუ უზნეობის შემთხვევაში შეიძლებოდა მოქალაქისათვის უფლებები ნაწილობრივ თუ მთლიანად ჩამოერთმიათ. ამას ა ტ ი მ ი ა ეწოდებოდა. ატიმიას ხშირად თან ქონების კონფისკაცია და მონებად გაყიდვა სდევდა.

ამრიგად, მონებს რომ თავი დავანებოთ, მრავალრიცხოვანი მ ე ტ ე კ ე ბ ი, რომლებიც ჩამომავლობით ბერძნები იყვნენ, მაგრამ არაათენელები, ათენში მოქალაქეობის უფლებებით არ სარგებლობდნენ და, მაშასადამე, სახელმწიფო ორგანოებში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. პირადად ისინი თავისუფალი იყვნენ, მაგრამ უძრავი ქონების შეძენის უფლება არ ჰქონდათ. ისტორიკოს ქსენოფონტეს ცნობით ათენში მიწის მფლობელობა აკრძალული იყო. ალბათ, ეს აკრძალვა ანტიკური საზოგადოების საკუთრებისადმი დამოკიდებუ-

ლების იმ თავისებურებასთან იყო დაკავშირებული, რომლის თანახმად ანტიკური სახელმწიფოს თავისუფალი მოქალაქენი სახელმწიფოს კუთვნილი ტერიტორიის კოლექტიურ მესაკუთრედ ითვლებოდნენ. აქედან გასაგებია, რომ დაცვა და გაფართოება სახელმწიფოს კუთვნილი მიწებისა და აგრეთვე მონების მორჩილების უზრუნველყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ მოქალაქეთა მთელი კოლექტივის საერთო ძალღონით.

მრავალი უცხოელი მკვიდრდებოდა ათენში. იხდიდა ბაშმალს — მ ე ტ ო ი კ ი ო ნ ს (= 12 დრახმას), უახლოეს მონაწილეობას იღებდა ვაჭრობასა და ხელოსნობაში და ზოგჯერ ფლოტსა და თითქმის ხმელეთის ჯარშიც მსახურობდა, მაგრამ ისევე იყო მოკლებული მოქალაქეობის უფლებებს, როგორც ათენის მოკავშირენი, რომელთა ხარკი და გადასახადები სახელმწიფო ხაზინის უდიდეს შემოსავალს შეადგენდა.

ხოლო როცა ათენის მეტეკების მდგომარეობას სხვა პოლისებში მათ ყოფნას ვადარებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ის სხვებთან შედარებით მაინც უფრო შეღავათიანი იყო. თავის სავაჭრო-საწარმოო საქმიანობის პროცესში ათენელ მეტეკებს ხშირი ურთიერთობა ჰქონდათ როგორც მოქალაქეებთან, ისე სახელმწიფო თანამდებობის პირებთან და ამ ნიადაგზე ისინი გარკვეულ წარმატებასა და დაახლოებას აღწევდნენ.

მეტეკები არსებითად უფრო მონათმფლობელთა მახლობელ წრეს შეადგენდნენ, ვინაიდან თვითონაც ფლობდნენ მონებს, ასე, მაგ., ძვ. წ. 414 წლის ერთ ნაწილობრივად დაცულ ზედწერაში მოხსენებულია ვინმე კეფისოდოტე, მდიდარი მეტეკი პირეუსიდან. რომელსაც 16 მონა ჰყოლია (იხ. Westermann, Sklaverei; RE, Suppl; VI) ცნობილმა მდიდარმა ტრაპეზიტმა მეტეკმა პასიონმა ათენში თავის მოღვაწეობის შედეგად მოქალაქის უფლებები მოიპოვა და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ათენში მეტეკები არსებითად ნახევრად-მოქალაქეობრივ მოსახლეობას წარმოადგენდნენ.

ბერძენ პოლისებს შორის განსაკუთრებული კარჩაკეტილობით გამოირჩეოდა სპარტის სახელმწიფო, სადაც უცხოელების მიმართ სასტიკი დამოკიდებულება სუფევდა. სპარტაში ისეთი ინსტიტუტიც კი არსებობდა, რომლის დანიშნულებას უცხოელების დევნა — ქ ს ე ნ ე ლ ა ს ი ა წარმოადგენდა. არსებობს ცნობა, რომ სიტყვა „ქსენოს“ ერთსა და იმავე დროს უცხოელსაც და მტერსაც გამოხატავდა.

სპარტის ეფორების ფუნქციებში შედიოდა სპარტელების ცხოვრებაში ქსენელასიის შესრულების მეთვალყურეობაც. ამდენად სერიოზული ამოცანის ხასიათი ჰქონია სპარტის სახელმწიფოში ქსენე-

ლასიას. ჰეროდოტეს ამ მხრივ საყურადღებო ცნობა აქვს გადმოცემული (III, 148); სამოსში პოლიტიკური ბრძოლის პროცესში დამარცხებული ვინმე მეანდრე იძულებული ყოფილა სპარტაში გამოქცეულიყო და აქ მოეპოვებინა თავშესაფარი. მაგრამ სპარტის მეფეს კლეომონეს მისგან საჩუქრები არ მიუღია და ეფორებისთვის მისი სპარტის ფარგლებიდან გაძევება უბრძანებია. იმავე ჰეროდოტეს აღნიშნული აქვს სპარტაში მოქალაქეობრივი უფლებების მინიჭების სამი შემთხვევა. კერძოდ, ლირიკული პოეტის ტირტეოსისათვის. მაგრამ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ტირტეოსი არა ს

და თეატრებში დასწრების უზრუნველყოფის ვალდებულებას. თავდაპირველად პროქსენია, როგორც სტუმართმოყვარეობის ინსტიტუტი, მხოლოდ ცალკეულ დაინტერესებულ ადამიანთა შორის იყო დამყარებული. შემდგომში კი მან პოლისებს შორის ურთიერთობის ხასიათი მიიღო. პროქსენოსი მარწმუნებელი პოლისის მოქალაქე კი არ იყო, არამედ სხვა სახელმწიფოსი. ამის მიხედვით, მაგალითად, ათენის ინტერესებს კორინთოში არა ათენიდან წარგზავნილი მოქალაქე იცავდა, არამედ კორინთელი. რაც უფრო ფართოვდებოდა პოლისებს შორის სამეურნეო-სავაჭრო ურთიერთობა, მით უფრო აუცილებელი ხდებოდა პროქსენოსების განსაზღვრული დადგენილებებითა და ხელშეკრულებით დამტკიცება. მათი საშუალებით ბერძნული პოლისები იწყებენ ურთიერთშორის დიპლომატიურ მოლაპარაკებას და რომელიმე ქალაქში ჩამოსული ელჩები უწინარეს ყოვლისა თავის პროქსენოსს მიმართავდნენ. ასე განვითარდა ბერძნებს შორის კერძო სტუმართმოყვარეობიდან საერთო ინსტიტუტი, რომელიც თავისი დანიშნულებით და ფუნქციებით ჩვენი დროის საელჩოებსა და საკონსულოებს მოგვაგონებს, მაგრამ იმ არსებითი განსხვავებით, რომ მან მთელი თავისი განვითარების მანძილზე კერძო პირის სტუმართმოყვარეობის ხასიათი შეინარჩუნა და ამას გარდა მაშინ, როცა თანამედროვე ელჩები და კონსულები თავიანთ მოქალაქეების ინტერესებს იცავენ სხვა სახელმწიფოებში, პროქსენოსი თავის ქალაქში მფარველობდა სხვა ქალაქის მოქალაქეთ და მის მფარველობასაც განსაზღვრული სახე ჰქონდა.

ბერძენთა პოლისების ურთიერთობის განვითარება პროქსენიის ინსტიტუტის დაწესებით არ დამთავრებულა. მოქალაქეთა და უცხოელთა შორის არსებული ზღვარი თანდათან მცირდება და მისი მწვავე ხასიათი რბილდება. ზოგიერთ პოლისებს შორის ვითარდება იმდენად კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომ იბადება ერთიმეორესთან მათი უფრო მჭიდრო დაკავშირების მოთხოვნილება. ასეთ ნიადაგზე წარმოიქმნა ეგრეთ წოდებული „ისოპოლიტიის“ ხელშეკრულებათა დადების ჩვეულება. ისოპოლიტია გულისხმობდა ერთი პოლისის მიერ მეორე პოლისის მოქალაქეებისათვის რაიმე დამსახურების გამო იმ სახელმწიფოებრივი და კერძო უფლებების მინიჭებას, რომლებითაც მისი საკუთარი მოქალაქეები სარგებლობდნენ, ანდა ორივე პოლისის მოქალაქეების მათ ტერიტორიებზე სანაცვალგებოდ უფლებრივ გათანასწორებას. უკანასკნელი სახის ისოპოლიტიას ვეცნობით უმთავრესად კრეტის ზოგიერთი ქალაქის წერილობით ძეგლებში. ასეთი შემთხვევები შედარებით უფრო მცირე უნდა ყოფილიყო. პირველი სახის ისოპოლიტიას კი წარმოადგენს, მაგ., პლა-

ტეელებისადმი ათენში მოქალაქეობრივი უფლებების მინიჭება. მართალია, ევბეელებიც სარგებლობდნენ ათენში ისოპოლიტიით, მაგრამ უფრო შეზღუდული სახით.

ზოგჯერ ისოპოლიტია კერძო პირებსაც ენიჭებოდა განსაკუთრებული სამსახურისათვის. მაგალითად, ის მიეცა ცნობილ ტრაპეზიტს (ბანკირს) პასიონს ათენში. ისოპოლიტიის შემოღება და განვითარება უდავოდ მნიშვნელოვანი საფეხური იყო ბერძენთა სატომთაშორისო უფლების განვითარების ისტორიაში.

შემდგომ სერიოზულ ნაბიჯს ამ მიმართულებით ეგრეთ წოდებული „სიმბოლები" (σύμβολα) წარმოადგენდნენ. მათ ჩვენ გაკვრით უკვე შევეხეთ. „სიმბოლები" ისეთი სახის ხელშეკრულებებს წარმოადგენდნენ, რომლებშიც სხვადასხვა პოლისების მოქალაქეთა შორის სავაჭრო და საკრედიტო ოპერაციებსა და შეთანხმებებთან დაკავშირებული უფლებრივი ნორმები და სასამართლო პროცესები იყო გათვალისწინებული. სიმბოლების ძირითად დანიშნულებას სადავო საკითხებისა და სხვადასხვა პოლისების მოქალაქეთა ურთიერთობის მოწესრიგება წარმოადგენდა. ამასთან ერთად სიმბოლები ითვალისწინებდნენ კეთილმეზობლურ ურთიერთობაში მყოფ პოლისებს შორის კავშირისა და ერთიმეორის დახმარების შეთანხმებას. ასეთია, მაგ., ბერძნული დიპლომატიის უძველესი ძეგლი — ხელშეკრულება ქალაქებს — ელიდასა და გერეას შორის. მასში ნათქვამია: „ხელშეკრულება ელიდელებს და გერეელებს შორის. იქნეს კავშირი ასი წლით, ამ წლიდან დაწყებული. თუ საჭირო იქნება მოლაპარაკება ან მოქმედება, ორივე ხალხმა ერთსულოვნად იმოქმედოს სრულიად ყველაფერში, როგორც ომშიც; ხოლო თუ ისინი ერთსულოვნად არ იმოქმედებენ, მაშინ ის, ვინც დაარღვევს ხელშეკრულებას, ვალდებულია გადაუხადოს ზევს ოლიმპოელს ერთი ტალანტი ვერცხლი. თუ ვინმე ამ ზედწერას მოსპობს, იქნება ის თანამდებობის პირი თუ ხალხი, დეე, თავს დაატყდეს მათ საღმრთო წყევა".

ჩვეულებრივად მსგავს ხელშეკრულებებს 30, 50 და ზოგჯერ 100 წლით დებდნენ. მათ ტექსტს წერდნენ მარმარილოს ფიქალზე და ათავსებდნენ ქალაქის მოედანზე ან ტაძრებში. უფრო მნიშვნელოვან ხელშეკრულებებს დელფოსა და ოლიმპიის ტაძრები ღმერთების კერპებს შორის ინახავდნენ.

მონათმფლობელური სახელმწიფოების პირობებში დიდ მიღწევად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ისოპოლიატასა და სიმბოლებთან დაკავშირებით ბერძნულ პოლისებში წარმოქმნილა და განვითარებულა შუამავლობის, არბიტრაჟის იდეა და მასთან დაკავშირებით სამე-

დიატორო სასამართლოები, რომელთა დანიშნულება სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილი კონფლიქტების მოწესრიგება ყოფილა.

ასეთ შემთხვევებში ბერძნების ქალაქ-სახელმწიფოებს შორის შუამავლის როლს ხშირად ტაძრები ასრულებდნენ და მედიატორის როლში გამოდიოდნენ. ზოგიერთი განთქმული ტაძარი, როგორიც იყო, ვთქვათ, აპოლონის ტაძარი დელფოში, ისეთ ადგილს წარმოადგენდა, რომელსაც ხშირად ქალაქ-სახელმწიფოებს შორის ამტყდარ უთანხმოებათა მოწესრიგებისა და შუამავლობისათვის მიმართავდნენ.

ძველი წყაროების თანახმად ასეთ როლს უფრო მეტად დელფოს მისანი და ამფიქტიონიები ასრულებდნენ. მედიატორად შეიძლება ყოფილიყო აგრეთვე, ორივე მხარის შეთანხმებით, რომელიმე გავლენიანი კერძო პიროვნება ანდა მთელი სახელმწიფო. ასე, მაგ., მელოსელებსა და კიმოლიელებს შორის სადავო კუნძულების გარშემო ამტყდარი უთანხმოება 416 წელს არგოსელებს მოუწესრიგებიათ. დადგენილებაში ნათქვამია: „ვინაიდან მელოსელებმა და კიმოლიელებმა განაცხადეს, რომ სადავო კუნძულების შესახებ არგოსელების გადაწყვეტილებას დაემორჩილებიან, ამიტომ არგოსელებმა განსაჯეს, რომ პოლიეგა, გეტერია და ლიბია კიმოლიელებს ეკუთვნით. ეს განაჩენი დავას კიმოლიელების სასარგებლოდ სწყვეტს“. თვითონ არგოსელებსაც ლაკედემონელებთან საზღვრის გარშემო წამოჭრილი დავის მოსაწესრიგებლად გადაუწყვეტიათ, მიემართათ რომელიმე სახელმწიფოს თუ კერძო პირის შუამავლობისათვის.

ასეთ წარმატებასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ბერძნების ურთიერთობაში კერძო მისაგებელის პრაქტიკის აღკვეთა. ისეთ განვითარებულ სახელმწიფოში, როგორიც ათენი იყო, სისხლის სამართლის საქმეებშიც კი ბრალდების ინიციატივა კერძო პირებს ეკუთვნოდათ. თვითონ მოდავე მხარეებს უნდა შეეგროვებინათ საჭირო მასალა და თავიანთ სიტყვებში გაეშუქებინათ სასამართლოს წინაშე. რაც შეეხება სხვადასხვა პოლისების მცხოვრებთა ერთიმეორის მიმართ ჩადენილ დანაშაულს თუ პრეტენზიებს, ეს საკითხები სრულებით მოუწესრიგებელი იყო და კერძო მისაგებლის პრაქტიკას ემყარებოდა. ათენში არსებობდა ეგრეთ წოდებული „ანდროლეფსიის“ კანონი, რომლის თანახმად საზღვარგარეთ მოკლული მოქალაქის ნათესავებს უფლება ჰქონდათ, დაეკავებინათ იმ სახელმწიფოს სამი ქვეშევრდომი, რომელმაც მათი საჩივარი არ დააკმაყოფილა, და დასასჯელად ადგილობრივ სასამართლოში წარედგინათ. წყაროებში ბლომადაა შემონახული ცნობები კერძო მისაგებელის ფართოდ გამოყენების შესახებ. ზოგჯერ თვითონ სახელმწიფოებიც არ ერიდე-

ბოდნენ კერძო მისაგებელის გამოყენებას. ასეთი მოვლენა კი დიდ ზარალს აყენებდა ბერძნების ვაჭრობასა და ურთიერთობას. ამიტომ აუცილებელი გახდა კერძო მისაგებლის თუ სრული აღკვეთა არა, მისი საგრძნობლად შეზღუდვა.

ხელშეკრულების დამდები პოლისი კერძო მისაგებლის გამოყენებაზე უარს აცხადებდა და მეორე პოლისის მოქალაქეთა პიროვნებისა და ქონების დარბევისაგან უზრუნველყოფას კისრულობდა (ἀσυλία და ἀσφάλεια). ასეთი ხელშეკრულება ჩვეულებრივად როგორც ზღვაზე, ისე ხმელეთზე ვრცელდებოდა, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. მაგრამ ასეთი ვალდებულება ზოგჯერ მთლიანად არ სრულდებოდა, განსაკუთრებით ზღვაზე. ასე, მაგ., ლოკრიდის ქალაქები ენტეა და ქალეიონი, როგორც ძვ. წ. V საუკუნის ეპიგრაფიკული მასალიდან ჩანს, შეთანხმებულან, კერძო მისაგებლის უფლება გაეუქმებინათ, მაგრამ მხოლოდ ხმელეთზე, ზღვაზე კი ეს ჩვეულება დაუტოვებიათ, ნავსადგურების გამოკლებით. ამრიგად, ზღვაზე მეკობრეობის სრული მოსპობა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქალაქი, განსაკუთრებით კორინთო, მის წინააღმდეგ დიდ ზომებს იღებდა, მიღწეული ვერ იქნა, ნათქვამი უფლებას გვანიჭებს ვთქვათ, რომ ბერძნების მონათმფლობელურ ქალაქსახელმწიფოებს მნიშვნელოვან წარმატებისათვის მიუღწევიათ უფლების საურთიერთშორისო ნორმათა ჩანასახების წარმოქმნაში[31].

თ ა ვ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ბრძოლა ჰეგემონიისათვის

1. მთავარი წყაროები: თუკიდიდე, ქსენოფონტე, ეფორე, თეოპომპე, ოქსირინხის პაპირუსი, პლუტარქეს ბიოგრაფიები, ტრაგედიები და კომედიები, ორატორები, ეპიგრაფიკა

ათენსა და სპარტას შორის ჰეგემონიისათვის პელოპონესის ომის სახელით ცნობილი ბრძოლის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს სახელგანთქმული ისტორიკოსი თ უ კ ი დ ი დ ე (მიახ. 460—395). მისივე სიტყვით, პელოპონესის ომის დასაწყისში იგი სავსებით სრულწლოვანი იყო: „მე განვიცადე,—ამბობს თუკიდიდე,—მთელი ომი და ჩემი ხნოვანობის წყალობით შევიცანი იგი და გულდასმით თვალყურს ვადევნებდი მას იმ მოსაზრებით, რომ სისწორით გამეგო ყოველი მოვლენა“ (V, 26, 5). ამრიგად, იგი თანადამბვდური და მონაწილე იყო პერიკლეს დროისა და პელოპონესის ომისა. იგი ეკუთვნოდა თრაკიული ჩამომავლობის მდიდარსა და ცნობილ გვარს, და, როგორც ჩანს, თრაკიაში ჰქონდა ოქროს მადნები ამფიპოლისის სანახებში (IV, 105, 1). იმ დროის მიხედვით თუკიდიდეს მშვენიერი განათლება მიუღია და, როგორც ათენელს და ათენის სტრატეგოსს, კარგად სცოდნია ათენის მდგომარეობა ამ ეპოქაში[1]. პელოპონესის ომის პირველ წლებში თუკიდიდე ათენში ცხოვრობდა და მოწმე ყოფილა იმ საშინელი ეპიდემიისა, რომელიც იმ დროს ათენში იყო გავრცელებული და რომელმაც მრავალი პირი იმსხვერპლა. თვითონ თუკიდიდესაც გადაუტანია ეს ავადმყოფობა და მისი შედეგების შესახებ დაგვიტოვა მეტად ნათელი სურათი. ერთ დროს თუკიდიდე თრაკიის სანაპიროსთან ათენის ესკადრას მეთაურობდა და ვერ მოასწრო ხელი შეეშალა ბრასიდის მიერ ამფიპოლისის დაკავებისათვის (427 წ.), ამიტომ იძულებელი გახდა გაქცეულიყო და დასახლდა თრაკიის მამულში. გაძევების ეს ხანა, მისივე გადმოცემით, მისთვის სასარგებლო აღმოჩნდა: „მე გაძევებაში ვიყავი,—გვიამბობს იგი,—ახლოს ვიდექი ორივე მებრძოლ მხარესთან, განსაკუთრებით... პელოპონე-

სელებთან, და ამ მოცლის დროს უფრო მეტი საშუალება მქონდა გამომერკვია ესა თუ ის ამბავი“ (V, 26,5).

ამავე ხანაში თუკიდიდეს უმოგზაურია და, საფიქრებელია, რომ მან ინახულა იტალია და სიცილია, განსაკუთრებით სირაკუზი, რომლის აღწერილობა ისეთი სიცხადით აქვს გადმოცემული, რომ მისი შედგენა შეეძლო ისეთ პირს, რომელსაც იგი პირადად უნდა დაეთვალიერებინა. ომის დამთავრების შემდეგ თუკიდიდეს საშუალება მიეცა ამინისტიით სამშობლოში დაბრუნებისა, სადაც იგი მალე გარდაიცვალა IV საუკუნის პირველ წლებში. თავისი ნაშრომის დასაწყისში თუკიდიდე აცხადებს, რომ მის წერას „შეუდგა მაშინვე ომის დაწყების მომენტიდან, დარწმუნებული იმაში, რომ ეს ომი იქნებოდა უმნიშვნელოვანესი და ყველა წინანდელზე უფრო ღირსშესანიშნავი“ (I, 1). მაშასადამე, პელოპონესის ომის აღწერა მას თავიდანვე დაუწყია, თუმცა იგი არ დაუმთავრებია და 411 წელზე შეჩერებულა. წერდა იგი თავის ნაშრომს, როგორც თვითმხილველი და თანადამხვდური, და თავის მიერ ნახულსა და გაგონილს უმატებდა სხვა ნდობის ღირსი პირების ნაამბობსა და საბუთებს, მაგ., ხელშეკრულებათა ტექსტებს, წარწერებს და ნივთიერი ძეგლების აღწერასა და სხვას. როდესაც ათენის უფრო შორეულ წარსულს ეხებოდა, იგი სარგებლობდა აგრეთვე თავის წინამორბედი მწერლების შრომებითაც. იხსენიებს იგი ლოგოგრაფოსებსაც. მაგ., მართალია იგი პირდაპირ არ ასახელებს ჰეროდოტეს, მაგრამ ცხადად ჩანს, რომ იგი კარგად იცნობდა მის ნაწარმოებს, რადგან უარყოფს სწორედ ზოგიერთ ისეთ ცნობას, რომელიც სახელდობრ ჰეროდოტეს ეკუთვნის, და შეაქვს მათში თავისი შესწორებები. სიცილიის ძველი ისტორიის დარგში კი მისი ძირითადი წყარო ა ნ ტ ი ო ქ ი ო ს ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი ს შრომა უნდა ყოფილიყო[2]. თავისი „ისტორია“ თუკიდიდეს თვითონ არ გამოუქვეყნებია; არსებობს ერთგვარი საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის ქსენოფონტემ გამოსცა[3].

მართალია, თუკიდიდეს მთავარი თემა პელოპონესის ომია, მაგრამ დასაწყისში იგი შესავლის სახით მოკლედ ეხება საბერძნეთის ისტორიის უძველეს პერიოდს და იმ ეპოქას, რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა ამ ომს.

იმ დროისათვის არაჩვეულებრივი სიფრთხილით და დაკვირვებით უდგებოდა თუკიდიდე დასახული მიზნის განხორციელებას და ამ მხრივ თავის მოვალეობას განსაზღვრავდა, როგორც ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ი ს ძ ი ებ ა ს (ἡ ζήτησις τῆς ἀληθείας; I, 20). მაშასადამე, ისტორიკოსის მოწოდებად თუკიდიდე თვლიდა, უწინარეს ყოვლისა, ჭეშმარიტების გამორკვევას. ამასთან იგი გადაჭრით ემიჯნება

როგორც პოეტებს, რომლებსაც, მისი სიტყვით, უყვართ გადაჭარბება და შემთხვევათა მუქი საღებავებით გადმოცემა, ისე ლოგოგრაფოსებს, რომელთა ნაწარმოებებში დიდი ადგილი უკავია მითურ ამბებს. იგი წერს არა იმისათვის, რომ გაართოს ზოგიერთი შემთხვევითი მკითხველი: „ჩემი მოთხრობა, რომელიც მოკლებულია არაკებს,—ამბობს იგი,—შეიძლება უფრო ნაკლებად სასიამოვნო აღმოჩნდეს სმენისათვის, მაგრამ სამაგიეროდ მას საკმაოდ სასარგებლოდ მიიჩნევს ყველა ის, ვინც მოისურვებს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს წარსულზე... ჩემი ნაშრომი არ არის საგანი სიტყვიერი შეჯიბრების მოცემულ მომენტში, არამედ სამარადისო სამკვიდრებელია“ (I, 22).

როდესაც თუკიდიდეს უხდებოდა ესარგებლა თვითმხილველთა მიერ გადმოცემული ამბებით, იგი ამ შემთხვევაში უდიდეს · სიფრთხილეს და ცხად კრიტიკულ მიდგომას იჩენდა. „რაც შეეხება ამ ომის განმავლობაში მომხდარ ამბებს, მე სამართლიანად არ მიმაჩნდა ჩამეწერა ის, რასაც პირველი შეხვედრილი პირისაგან გავიგებდი, ან ის, რაც შემეძლო მე მევარაუდებინა,—აღიარებს იგი,—არამედ ვწერდი ისეთ შემთხვევათ, რომელთა თვითმხილველი ვიყავი და იმას, რაც სხვებისაგან მესმოდა, მხოლოდ, რამდენადაც შესაძლებელია, ცალკე აღებული თვითეული ფაქტის სრული შემოწმების შემდეგ. ძიება ამ მხრით ძნელი იყო იმიტომ, რომ ცალკეული ფაქტების თვითმხილველნი ერთსა და იმავე შემთხვევაზე ისე სხვადასხვაგვარად მოუთხრობდნენ, როგორც თვითეულ მათგანს შეეძლო ამა თუ იმ მებრძოლი მხარისადმი თანაგრძნობისა და მეხსიერების მიხედვით“ (I, 22).

ამგვარად, თუკიდიდე პირველი აყენებს მოთხოვნილებას წყაროების შემოწმებისა და თვითმხილველებისმიმართაკიანტიპათია-სიმპათიის საკითხის გამორკვევას. ამიტომ საფუძვლიანად აღნიშნავს აკად. ბუზესკული, რომ ისტორიული კრიტიკის მეთოდები, შეიძლება ითქვას, პირველად იქნაღმოჩენილი დაგამოყენებული თუკიდიდეს მიერ[4].

თუკიდიდე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა აგრეთვე საბუთებსა და წარწერებს და ზოგიერთი მათგანი მთლიანად შეუტანია თავის „ისტორიაში“. თუ მათ დედნებს შევადარებთ, აღმოვაჩენთ ერთგვარ სტილისტურ ცვლილებებს, „რაც დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს თითქმის თანამედროვე ისტორიკოსისათვისაც, თუ ის აცხადებს, რომ გადმოგვცემს ამა თუ იმ საბუთის მხოლოდ შინაარსს“[5].

დიდი ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ საბერძნეთის უძველესი ისტორიის მთავარი მომენტების რეკონსტრუქციის დროს თუკიდიდე მიმართავს უკუქცევითი დასკვნის მეთოდს — აწმყოდან წარსულისაკენ, ნაცნობიდან უცნობისაკენ და თავისი დასკვნებისათვის იყენებს ეპოსის მოწმობას, ტოპოგრაფიულ ცნობებს, ნივთიერ ძეგლებს, დღესასწაულებს, სარწმუნოებრივ წესებს, ზნე-ჩვეულებებს, კულტურის მხრივ ჩამორჩენილი ბერძნული და ბარბაროსული ტომების ყოფა-ცხოვრებას და, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რასაც დღეს ჩვენ კულტურულ გადანაშთებს ვუწოდებთ".

ამასთან ერთად თუკიდიდე საბერძნეთის ისტორიის მიმოხილვაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიურ ურთიერთობათა და ნივთიერ საშუალებათა განვითარებას. ისეთი მოვლენები, როგორიცაა გადასახლებანი, დაპყრობები, საგარეო ძლიერების ზრდა და ზოგიერთ შემთხვევაში შინაური მდგომარეობის გამწვავება, მას ხშირად მჭიდროდ აქვს დაკავშირებული საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პირობებთან. მას არ დავიწყებია გეოგრაფიული პირობების მნიშვნელობაც. ხოლო ფაქტების წარმოშობისა და განმარტების დარგში თუკიდიდე ააშკარავებს გარკვეულ ისტორიულ თვალსაზრისს. იგი ცდილობს გამოარკვიოს მოვლენათა გამომწვევი მთავარი მიზეზი და ერთი მეორისაგან განასხვავოს ზოგადი და კერძო მიზეზები, ერთი მეორეს დაუშორებს მიზეზი და მახლობელი საბაბი (πρόφασις და αἰτία). ამასთან თუკიდიდეს მსჯელობაში ვამჩნევთ ისტორიულ მოვლენათა კანონზომიერების ერთგვარ შეგნებას და ისეთ დებულებებს, რომლებიც დამყარებულია რწმენაზე, რომ მსგავსი მიზეზები და პირობები მსგავს შედეგებს იწვევს. თუკიდიდე გადაჭრით უარყოფს რაიმე ზებუნებრივი ძალის ჩარევას ისტორიული პროცესის მსვლელობაში და ამ მხრივ იგი გარკვეული რაციონალისტური თვალსაზრისით არსებითად განსხვავდება თავისი წინამოადგილეებისაგან. თუკიდიდე არ უარყოფდა წინათმოსწავებათა და მისნების ხალხის მასაზე გავლენის ფაქტს, მაგრამ თვითონ სრულებით არ იზიარებდა მათ მნიშვნელობას და ხშირად ზოგიერთი „წინასწარმეტყველების" შესახებ მეტად მოსწრებულ კრიტიკულ მოსაზრებას გამოთქვამდა.

ასე, მაგ., როდესაც ათენში გავრცელებული იყო ჭირი და პელოპონესელები არბევდნენ ათენელების სარჩო-საბადებელს, მათ მოიგონეს მისნის „წინასწარმეტყველება", რომ „დადგება დორიელთა ომი და მასთან ერთად ჭირი (λοιμός)". ამის გარშემო დაიწყო კა-

მათი, ზოგი ამტკიცებდა, რომ ძველად ხმარობდნენ არა სიტყვას λοιμός (ქირი), არამედ λιμός-ს (შიმშილი), მაგრამ ახლა გაიმარჯვა პირველმა აზრმა, რადგან, — ამბობს თუკიდიდე, — ადამიანებმა თავისი მოგონებანი შეუფარდეს იმას, რაც განიცადეს, და ვფიქრობ, თუ ოდესმე დაიწყო დორიელთა სხვა ომი და მას თან დაჰყვა შიმშილი (λιμός), მაშინ, ალბათ, ამ სიტყვას სწორედ ასე გამოთქვამენ (II, 54).

მიუხედავად იმისა, რომ თუკიდიდე უმეტეს შემთხვევაში დიდ ობიექტურობას იჩენს თავის „ისტორიაში", რასაკვირველია, მას მაინც გარკვევით ემჩნევა სუბიექტივიზმის ცხადი ელემენტები, და ეს არც გასაკვირველია: თავისი რწმენით, ჩამომავლობითა და სოციალური მდგომარეობით იგი ეკუთვნოდა უფრო არისტოკრატიას, ვიდრე დემოსს. ამ უკანასკნელის შესახებ იგი კარგი შეხედულებისა არ იყო. მიუხედავად პერიკლესადმი ღრმა პატივისცემისა, რომელშიც იგი საბოლოო ანგარიშით დემოკრატიის ზომიერ და კეთილგონიერ მოღვაწეს ხედავდა, ალკიბიადეს პირით თუკიდიდე დემოკრატიის შესახებ აღნიშნავს, რომ ამ საკრთოდ აღიარებულ „სიგიჟეზე" ახლის სრულებით არაფრის თქმა არ შეიძლებაო (VI, 89).

სამაგიეროდ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ თუკიდიდე უფრო დადებითად უყურებდა 5000-ის საკმაოდ ზომიერ დემოკრატიას, რომელიც ათენში დამყარდა 400-ის ოლიგარქიის დაცემის შემდეგ. ყოველ შემთხვევაში ამ ზომიერი დემოკრატიის შესახებ იგი გარკვევით ამბობს: ათენელებს ამას შემდეგ პირველ ხანებში ჰქონდათ საუკეთესო სახელმწიფო წყობილება.... რადგან იგი წარმოადგენდა ოლიგარქიისა და დემოკრატიის ზომიერ შეერთებას და ასეთმა კონსტიტუციამ უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო გამოიყვანა იმ სამწუხარო მდგომარეობიდან, რომელშიც იგი იმყოფებოდაო (VIII, 97).

ძველი დროის ამ დიდ ისტორიკოსს ჩვენ ხანაში გამოუჩნდა ზოგიერთი მკვლევარი, რომლებიც მას ბევრ დაუმსახურებელ ბრალდებას უყენებდნენ, მაგ., მიულერ-შტრიუბინგი[7] და ი. შვარცი[8], მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდებით და საკითხით დაინტერესებულთ მივუთითებთ მხოლოდ მთავარ ლიტერატურას[9].

ერთგვარი ყურადღების ღირსია რომ ნიცშემ თავის დროზე სამართლიანად შენიშნა: „თუკიდიდეში, ამ ადამიანურზე მოაზროვნეში, საუცხოო გაფურჩქვნას მიაღწია იმ კულტურამ, რომელმაც თა-

ვისი სახელმწიფო მოღვაწე ჰპოვა პერიკლეში, ექიმი—ჰიპოკრატეში, ბუნებისმეტყველი—დემოკრიტეში" (Morgenröte, 168)*.

როგორც აღვნიშნეთ, თავისი „ისტორია" თუკიდიდემ მიიყვანა 411 წლამდე. მისი უშუალო განმგრძობი არის ქ ს ე ნ ო ფ ო ნ ტ ე. საფიქრებელია, რომ იგი ეკუთვნოდა მხედრების კლასს და დაიბადა დაახლ. 430 წ. ახალგაზრდობაში იგი მოწმე იყო ათენის დემოკრატიის დაცემის პერიოდისა, როდესაც პელოპონესის ომის მძიმე შე-



სურ. 57. თ უ კ ი დ ი დ ე.

დეგების შემდგომ ათენის საზოგადოებაში თავი იჩინა დემოკრატიის საწინააღმდეგო რეაქციამ და სამაგიეროდ თვალსაჩინოდ გაძლიერდა ლაკონომანია. სპარტაში ხედავდნენ ახლა სახელმწიფო წყობილების იდეალს და მიბაძვის საუკეთესო ნიმუშებს. ქსენოფონტე იყო სოკრატეს მოწაფე, და ამ უკანასკნელის ტრაგიკულ ბედს უფრო უნდა აემხედრებინა იგი დემოკრატიის წინააღმდეგ. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქსენოფონტემ მონაწილეობა მიიღო სპარსეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტის კიროს უმცროსის მეფე არტაქსერქსეს წინააღმდეგ ექსპედიციაში და მიაღწია სპარსეთის მო-

* ციტირებულია ლ უ რ ი ე ს წიგნიდან.

ნარქიის შორეულ ნაწილებს ბაბილონის მიდამოებამდე. კიროსის მოკვლის შემდგომ 10.000 ბერძენის ცნობილი უკანდახევის დროს, კუნაკსთან ბრძოლისა და ბერძენთა წინამძღოლების დაღუპვის მერე მას წილად ხვდა მეთაურის როლი. საბერძნეთში დაბრუნებისას იგი მიემხრო სპარტელებს და განსაკუთრებით დაუახლოვდა სპარტის მეფე აგესილაოსს. კიროს უმცროსის ექსპედიცია მან აღწერა თავის „ა ნ ა ბ ა ს ი ს შ ი“. ქსენოფონტე ბოლომდე დარჩა სპარტის ერთგული და ათენის მოწინააღმდეგე. იგი გარდაიცვალა მიახ. 335 წელს[10].

მისი მთავარი ნაშრომია საბერძნეთის ისტორია (Ἑλληνικά) 411 წლიდან 362 წლამდე 7 წიგნად. ქსენოფონტეს Hellenica შეიძლება გავყოთ ორ მთავარ ნაწილად: პირველი შეიცავს საბერძნეთის ისტორიას პელოპონესის ომის დასასრულამდე და არსებითად მოგვაგონებს მატიანეს ანუ ქრონიკას; ხოლო მეორე ნაწილი იწყება 30-ის მმართველობიდან და უფრო მემუარების ხასიათს ატარებს, ვიდრე ისტორიისას. ქსენოფონტეს ნაშრომის დასახასიათებლად საერთოდ უნდა ითქვას, რომ იგი იყო „იმ დროის ლიტერატურაში რეაქციის ტიპიური და დარწმუნებული წარმომადგენელი; მისი იდეალია — წესრიგი და დისციპლინა, სამხედრო აღზრდა და სუბორდინაცია... ე. ი. სპარტაში გაბატონებული წყობილება, რომელიც მტკიცედ ფლობდა ამ სიკეთეთ ბოროტი დემოკრატიების საწინააღმდეგოდ“[11]. მართალია, ქსენოფონტე მშვენიერი სტილისტი იყო და ძველად მას „ატიკურ ფუტკარს“ უწოდებდნენ, კარგი ენისა და მოთხრობისათვის, მაგრამ „ერთადერთი გულწრფელი გრძნობა ამ ადამიანისა — ეს სიძულვილია დემოკრატიისადმი; ამას გარდა იგი — პროფესიონალური კონდოტიერია და მზად არის ემსახუროს ყველას, ვინც უნდა იყოს, იქნება ეს სპარსეთის მეფე კიროსი, თუ მისი კერპი, სპარტის მეფე აგესილაოსი. მას აქვს განსაკუთრებული ჭკუა და იშვიათი დიპლომატური ნიჭი და მართალს ამბობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს სასარგებლოა მისი საქმისათვის“[12].

საერთოდ, როგორც ისტორიკოსი ქსენოფონტე შეუდარებლად დაბლა დგას თუკიდიდესა და ჰეროდოტეზე. იგი ვერ ახერხებს ჩაწვდეს მოვლენათა სიღრმეს. მათ აზრსა და შინაგან კავშირს და ხშირად სრულებით ვერ არჩევს ერთიმეორისაგან არსებითსა და უმნიშვნელო ფაქტებს. მის ნაშრომს აკლია სათანადო ისტორიული პერსპექტივა და ზოგჯერ მასში ისეთი შემთხვევებია სრულებით მივიწყებული ან მიჩქმალული, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდათ.

კიროს უმცროსის ექსპედიცია ქსენოფონტემ, როგორც ვიცით, აღწერა თავის „ანაბასისში“, რომელიც მას თემისტოგენე სირაკუ-

სელის ფსევდონიმით გამოუცია. აკად. ბუზესკულის განმარტებით, იგი ასე იმიტომ მოქცეულა, რომ უფრო თავისუფლად ელაპარაკა თავის თავზე და თავის დამსახურებაზე; საქმე ისაა, რომ „ანაბასისი“ არა მარტო თავისებური მემუარებია, არამედ აპოლოგიაც[13]. „ანაბასისი“ წარმოადგენს კიროს უმცროსის იდეალიზაციას.

მართალია, ქსენოფონტე არსებითად სწორ ცნობებს გვაწვდის ამ ექსპედიციისა და მასში მონაწილეების შესახებ, მაგრამ ავტორი ყოველთვის ვერ ამჟღავნებს სათანადო დაკვირვებისა და მოვლენის სიღრმეში ჩაწვდომის უნარს, განსაკუთრებით იქ, სადაც ლაპარაკია ბერძნებისათვის უცნობი და შორეული ქვეყნებისა და ხალხების შესახებ. ნათქვამი იყო, რომ ქსენოფონტეს, სხვათა შორის, ჩვენს ქვეყანაზედაც გამოუვლია და საყურადღებო ცნობები შემოგვინახა ქართველი ტომების ყოფა-ცხოვრების შესახებ. განსაკუთრებული ტრაქტატი დაგვიტოვა ქსენოფონტემ მისთვის იდეალური სპარტის წყობილების შესახებ — „ლ ა კ ე დ ე მ ო ნ ი ი ს პ ო ლ ი ტ ი ა“, რომელშიც საკმაო სისრულით აქვს აღწერილი სპარტელების სახელმწიფოს დამახასიათებელი თვისებები, და ამ მხრივ იგი საყურადღებო წყაროთაგანია. ბერძნული ფილოსოფიის ისტორიის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს ქსენოფონტეს ნაწარმოებს „მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი ს ო კ რ ა ტ ე ზ ე“, რომელშიც სოკრატეს მრავალი საუბარია გადმოცემული, თუმცა იგი ღრმად ვერ ჩაწვდომია და სწორედ ვერ აუთვისებია სოკრატეს ფილოსოფიური მოძღვრება. საბერძნეთის ეკონომიური ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ქსენოფონტეს „ეკონომიკა“, რომელიც შეიცავს მსჯელობას მეურნეობის წარმოების ყველაზე უფრო მიზანშეწონილ წესებზე. საყურადღებოა აგრეთვე მისი ტრაქტატი „შემოსავალთა შესახებ“, რომელშიც ათენის ფინანსების მოწესრიგებაზეა საუბარი და რომელიც უსაფუძვლოდ საეჭვოდ ითვლებოდა ქსენოფონტესადმი კუთვნილების მხრივ.

განსახილველი ეპოქის თვალსაზრისით ჩვენთვის საყურადღებო არიან IV საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი ისტორიკოსები ეფორე და თეოპომპე. ე ფ ო რ ე ს თემაა — „საბერძნეთის საერთო ისტორია“[14] დორიელთა გადმოსახლებიდან 340 წლამდე და, მაშასადამე, მისი შრომა შეიცავს იმ ეპოქასაც, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს. შედგებოდა იგი 30 წიგნისაგან, რომელთაგან თითოეულს თავისი შესავალი ჰქონდა. სამწუხაროდ, მისგან მხოლოდ ნაწყვეტებია შემონახული; ეფორეს „ისტორია“ არსებითად შეიცავს არა რომელიმე გარკვეული ისტორიული მოვლენის თუ ცალკეული ბერძენი ტომის ცხოვრების გაშუქებას, არამედ მას მხედველობაში აქვს მთელი ბერძნული სამყარო, როგორც მეტროპოლია, ისე ახალ-

შენები და ამიტომაც უნივერსალურ ხასიათს ატარებს. ეფორეს ნაშრომს თანამედროვეთათვის და აგრეთვე შემდგომი თაობებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და საბერძნეთის ისტორიისათვის მთავარ წყაროდ ითვლებოდა. აკად. ბუზესკულის თქმით, ეფორემ „შექმნა თითქმის ამ ისტორიის ვულგატა"[15]. ამასთან აღსანიშნავია, რომ თავის თხრობაში იგი მეტ სიმპათიებს ათენელებისადმი ააშკარავებს და საერთოდ მათდამი უფრო მეტ კეთილგანწყობილებას იჩენს. ეფორე რაციონალისტურ თვალსაზრისს ატარებს თავის ნაშრომში და გადაჭრით წინააღმდეგია ყოველგვარი მითებისა. ამას გარდა, ისტორიული კრიტიკის დარგში, იგი ავითარებს სწორ თეორიულ მსჯელობას, მაგრამ პრაქტიკულად ყოველივე ამას ხშირად ვერ ანხორციელებს. ისტორიულ მოვლენათა გათვალისწინება, მათი ურთიერთშორის კავშირი და მიზეზები მას დამაკმაყოფილებლად ვერ აქვს განხილული. იგი ზოგჯერ საკუთარ გადაჭარბებულ და ყოვლად უსაფუძვლო მნიშვნელობას ანიჭებს პიროვნულ მომენტებს რომელიმე დიდი მოვლენის განმარტების დროს. ასე, მაგ., პ ე ლ ო პ ო ნ ე ს ი ს ო მ ი ს წ ა რ მ ო შ ო ბ ა ს ი გ ი ი მ ი თ ხ ს ნ ი ს, რ ო მ პ ე რ ი კ ლ ე ს ა რ ს უ რ დ ა ა ნ გ ა რ ი შ ი ჩ ა ე ბ ა რ ე ბ ი ნ ა თ ა ნ ხ ე ბ ი ს დ ა ხ ა რ ჯ ვ ა შ ი დ ა უ ნ დ ო დ ა ა მ ი თ პ ა ს უ ხ ი ს გ ე ბ ი ს ა გ ა ნ დ ა ე ხ ს ნ ა თ ა ვ ი ს ი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი (fr. 119).

თუკიდიდეს, ქსენოფონტეს გარდა მეორე განმგრძობიც აღმოუჩნდა ეფორეს თანამედროვე ისტორიკოსის თ ე ო პ ო მ პ ე ს სახით. მისი „ ჰ ე ლ ე ნ ი კ ა" (Ἑλληνικά), რომელიც 12 წიგნისაგან შედგებოდა, იწყება 411 წლიდან და თავდება 394 წლით. თეოპომპე მოწინააღმდეგე იყო ათენის დემოკრატიისა და უდიდესი დამცველი სპარტის წყობილებისა. მიუხედავად თვალსაჩინო ნაკლისა, რომელიც თეოპომპეს ნაწერებს ახასიათებს, ძველად მათ დიდი ყურადღებით კითხულობდნენ და სარგებლობდნენ, განსაკუთრებით იმ ადგილით, სადაც ათენის დემაგოგებზეა ლაპარაკი. XX საუკუნის პირველ წლებში ეგვიპტეში ძველი ოქსირინხის ადგილას, აღმოჩენილ იქნა დიდი ისტორიული მოთხრობის ნაწყვეტი, რომელიც 396/5 წელს შეეხება. ეს არის ეგრეთ წოდებული ო ქ ს ი რ ი ნ ხ ი ს Hellenica. ტექსტი დაწერილია საბუთის მეორე მხარეზე და ზოგიერთ ნაწილში კარგად არის დაცული, ზოგიერთში კი თითქმის, სრულებით განადგურებულია. იგი ეხება უმთავრესად ათენის ჯგუფების დამოკიდებულებას სპარტისადმი, იმ დროის პოლიტიკურ მდგომარეობას, სპარტის საწინააღმდეგო განწყობილებას საბერძნეთში, მის ძირითად მიზეზებს და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ცნობები ბეოტიის კავშირის ორგანიზაციის შესახებ.

ტრაქტატის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მისი ავტორი ცხოვრობდა IV საუკუნეში და თავისი შრომა დაიწყო 411—10 წლიდან, ე. ი. იმ მომენტიდან, რომელზედაც შეჩერდა თუკიდიდეს. ეჭვნელია, გარკვევით იმის თქმა, თუ ვინ იყო Hellenica-ს ავტორი. ედ. მაჯერი და ვილამოვიცი ასახელებენ თეოპომპეს, სხვები ეფორეს, ზოგი კიდევ კრატიპეს, რომელიც თუკიდიდეს უმცროსი თანამედროვე უნდა ყოფილიყო, და სხვ. მაგრამ საკითხი არსებითად ჯერ კიდევ სადავოდ ითვლება[16].

ჩვენთვის საყურადღებო ეპოქის ისტორიის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს პლუტარქეს ბიოგრაფიებს. პლუტარქე (მიახ. ჩვ. წ. 46—120) დაიბადა ბეოტიიის ქერონეაში და ეკუთვნოდა ბერძენთა პროვინციალურ წარჩინებულთა წრეს. ფილოსოფიური განათლება მან ათენში მიიღო. სიბერის ჟამს იგი მიღებული ყოფილა დელფოს ქურუმთა კოლეგიაში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვეულებრივად ორ ნაწილად იყოფა: 1. „მორალური“ ტრაქტატები (Moralia) და 2. ბიოგრაფიები. პლუტარქე მსოფლიო ლიტერატურის უდიდესად პოპულარული მწერალია, რომელსაც ხშირად „მსოფლიო ისტორიული ბიოგრაფიის შექსპირს“ უწოდებენ.

ჩვენამდე მოაღწია მისმა 20-ზე მეტმა „პარალელურმა ბიოგრაფიამ“ (Βίοι παράλληλοι), რომელთაც ასე იმიტომ ეწოდება, რომ თითოეული ბერძენი მოღვაწის ბიოგრაფიას მოსდევს სათანადო რომაელი მოღვაწის ბიოგრაფია. ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა პერიკლეს, ნიკიასის, ალკიბიადესა და ლისანდრეს ბიოგრაფიები, რომლებიც დამყარებულია უმთავრესად ისტორიკოსების თუკიდიდეს, ქსენოფონტეს, ეფორესა და თეოპომპეს ნაშრომებზე. საერთოდ, პლუტარქე თავისი დროის მიხედვით ფრიად განსწავლული პიროვნება იყო, მაგრამ იგი ისტორიკოსად, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არ ჩაითვლება. ისტორიული მოვლენების ანალიზს ამაოდ მოვძებნით მის ბიოგრაფიებში. იგი უფრო ფილოსოფოს-მორალისტია და მის ბიოგრაფიებში უმთავრესად ამა თუ იმ ისტორიული პირის ინდივიდუალური თვისებებია ხაზგასმული, ვიდრე მისი პოლიტიკური როლი. ამიტომაც ხშირად მისი მსჯელობა აშკარად სუბიექტურია. მაგრამ მის ნაშრომებში ხშირად აღბეჭდილია საბერძნეთის ისტორიის ისეთი მოვლენები, რომლებიც სხვა წყაროებში არ შოიპოვება. ამიტომ მისი ასეთი მონაცემები უდავო ღირებულებას წარმოადგენენ[17].

იმ გამწვავებულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ბრძოლამ, რომელიც V—IV საუკუნეებში ათენში მიმდინარეობდა, როგორც ჩანს, წარმოქმნა თავისებური პუბლიცისტური ნაწარმოებებიც. ასე-

თებს უნდა მივაკუთვნოთ უცნობი ავტორის პოლიტიკური ტრაქტატი — „ფსევდო ქსენოფონტეს ათენის პოლიტია“. მას ასე იმიტომ ეწოდება, რომ იგი აღმოაჩინეს ქსენოფონტეს ნაწარმოებთა შორის. მაგრამ მისმა შესწავლამ ცხადყო, რომ ის არც სტილით და არც შინაარსით არ არის ქსენოფონტეს ნაწარმოები. იგი დაწერილი უნდა იყოს დაახლ. ძვ. წ. 430 წელს. ტრაქტატის ავტორად ათენელი უნდა ვიგულისხმოთ. იგი დარწმუნებული მტერი ყოფილა ათენის დემოკრატიისა და ოლიგარქიის დიდი მოტრფიალე. ტრაქტატი შემდეგი სიტყვებით იწყება: „რაც ათენელების სახელმწიფო წყობილებას შეეხება, რაკი მათ წყობილების აწინდელი სახე აირჩიეს, მე მას არ ვიწონებო“. ავტორი გვიზიარებს იმ მოსაზრებებს, თუ რატომ არ მოსწონს მას ათენის დემოკრატიული წყობილება. იმიტომ თურმე, რომ ამ წყობილებაში უბრალო ხალხი უკეთესად ცხოვრობს, ვიდრე კეთილშობილნი, ხოლო მონები და მეტეკები თავაშვებულნი არიან. ტრაქტატის ავტორის სიმპათიები სპარტის წყობილებისაკენ არის მიმართული. მიუხედავად ამისა, ტრაქტატს მაინც მნიშვნელობა აქვს იმ დროის სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის შესწავლისათვის, ვინაიდან ავტორი არ უარყოფს იმას, რომ ათენელები მათ მიერ არჩეული გზის განხორციელებაში თანმიმდევრობით მოქმედებენო და ფართოდ გვისურათებს ათენელების პოლიტიკურ ცხოვრებას.

ქსენოფონტეს თანამედროვე იყო ცნობილი ფილოსოფოსი პლატონი (427—347), რომლის ნაწარმოებთ დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ფილოსოფიის ისტორიისათვის, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიისათვისაც. პლატონი, რომელიც იმ პერიოდში ცხოვრობდა, როცა ათენი მწვავე კლასობრივ ბრძოლას განიცდიდა, დარწმუნებული იყო, რომ ათენის უკიდურესი დემოკრატია მას დაღუპვისაკენ მიაქანებსო. თავისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი პლატონს გამოთქმული აქვს ორ ცნობილ შრომაში: „სახელმწიფოსა“ და „კანონებში“. მის მიერ დახატული იდეალური სახელმწიფოს პროექტში ხელისუფლება ფილოსოფოსებსა და მეომრებს ეკუთვნით. მართალია, პლატონი ბრწყინვალე სტილისტი და მხატვრული სიტყვის ოსტატი იყო, მაგრამ მისი, როგორც დემოკრატიის მოწინააღმდეგის, ნაწერები მის თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ცალმხრივსა და ტენდენციურ სურათებს გვაწვდის. უფრო ვრცლად პლატონზე საუბარი ქვემოთ გვექნება. აქ კი მას ვეხებით მხოლოდ როგორც ისტორიის წყაროს.

პლატონის მოწაფე არისტოტელე (384—322), რომელსაც იმ დროის პოლიტიები ღრმად და სისტემატურად გამოუკვლევია,

მათი წყობილების ანალიზის საფუძველზე წერს თავის „პოლიტიკას“, რომელიც ისეთ ტრაქტატს წარმოადგენს, სადაც სახელმწიფოებრივ ფორმათა კლასიფიკაცია და საუკეთესო პოლიტიკურ წყობილებაზე მისი შეხედულებაა გადმოცემული. ეს ტრაქტატი მრავლად შეიცავს ბერძენთა პოლისების ისტორიის ფაქტებს და ამ მხრივ იგი უდავოდ მნიშვნელოვანია. არისტოტელეს „ათენის პოლიტიას“ უკვე შევეხეთ სხვა ადგილას და აქ მასზე აღარ შევჩერდებით.

თავისებურ პუბლიცისტურ ნაწარმოებს წარმოადგენენ V—IV საუკუნეების ათენელი ორატორების სიტყვები. პელოპონესის ომის მეორე პერიოდში პოლიტიკური ბრძოლის გათვალისწინებისათვის კარგ მასალას შეიცავს ა ნ დ ო კ ი დ ე ს სიტყვა მისტერიებზე. IV საუკუნის დასაწყისის ამბები მოჩანს მდიდარი მეტეკის ლ ი ს ი ა-ს ი ს სიტყვებში, რომელიც გამოჩენილ ორატორს წარმოადგენდა. ის იყო ცნობილი „ლოგოგრაფი“, ე. ი. „სიტყვების მწერალი“. ეგრეთ წოდებული „ოცდაათი ტირანის“ ბატონობის დროს მისი ძმა გაუსამართლებლად სიკვდილით დასაჯეს და მის ოჯახს ქონება ჩამოართვეს. „ოცდაათი ტირანის“ მმართველობის დასახასიათებლად მნიშვნელოვანია მისი, როგორც თანადამხდურის და თვითმხილველის, სიტყვა ერატოსთენეს წინააღმდეგ. ატიკური მჭევრმეტყველების ახალი საფეხური წარმოდგენილია ი ს ო კ რ ა ტ ე ს (436—338) სიტყვებში, უკეთ რომ ვთქვათ, ტრაქტატებში. ის გამოდიოდა პოლიტიკური ორატორის სახით და მის ტრაქტატებში მოცემულია ბერძნების პოლიტიკური ცხოვრების საკითხთა მიმოხილვა. ისოკრატე მოწინააღმდეგე იყო მის დროს ათენში გაბატონებული დემოკრატიისა და დიდი ქებით იხსენიებდა ძვ. წ. 380 წელს ბერძენთა საერთო კონგრესზე წარმოთქმულ სიტყვაში („პანეგირიკოს“) ათენის ძველ წყობილებასა და ყოფა-ცხოვრებას. ათენის ისტორიის გარკვევის თვალსაზრისით მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ორატორების ესქილესა და დემოსთენეს სიტყვებს. მათ მაკედონიასთან დაკავშირებით შევეხებით.

განსახილველი ეპოქის ისტორიულ წყაროდ შეიძლება გამოვიყენოთ სხვა ლიტერატურული ძეგლებიც. ცნობილია, რომ ძვ. წ. V საუკუნე ბერძნული დრამის აყვავების ხანაა. დიდი ტრაგიკოსების ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ღირსშესანიშნავი ქმნილებები, მართალია, მითოლოგიურ სიუჟეტებზე არიან აგებული, ესქილეს „სპარსელების“ გამოკლებით, მაგრამ მათში გამოძახილს პოულობს იმ დროის პოლიტიკური და სოციალური ბრძოლა. გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს V საუკუნის სოციალური ურთიერთობის გარკვევისათვის ძ ვ ე ლ კ ო მ ე დ ი ა ს. ამ მხრივ

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე (450—388), რომლის კომედიები, გარდა მხატვრული ღირსებისა, მაღალღირსოვან ისტორიულ წყაროს წარმოადგენენ. მათში თვალსაჩინოდ გამოკრთის V საუკუნის ათენის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება, რადიკალური პროგრამის გარშემო სხვადასხვა ჯგუფის გართულებული ბრძოლა, წინააღმდეგობანი ქალაქსა და სოფელს შორის, ომისა და ზავის საკითხები, ტრადიციული იდეოლოგიის კრიზისი და ახალი მიმდინარეობანი ფილოსოფიასა და ლიტერატურაში.

იმის გამო, რომ კომედიას ნიშანში ამოღებული ჰყავდა ათენის დემოკრატიის ლიდერები — პერიკლე, კლეონი, ჰიპერბოლე, კლეოფონტე და სხვ., ზოგიერთ მკვლევარს ყალბად ჰქონდა წარმოდგენილი არისტოფანეს პოლიტიკური პოზიცია, თითქოს იგი პრინციპული მოწინააღმდეგე იყო დემოკრატიისა ანდა უპრინციპო მქირდავი. ნამდვილად კი არისტოფანე წინააღმდეგი იყო ოლიგარქიისა და პატივისმცემელი ათენის დემოკრატიული კონსტიტუციისა. მის კომედიებში უმთავრესად ატიკის გლეხობის განწყობილებაა გამოსახული. საერთოდ, უნდა გარკვევით აღინიშნოს, რომ ძველ კომედიაში ატიკის გლეხობა დემოკრატიული წყობილებისადმი თავის დადებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს: იგი სიამოვნებით იღებს დემოკრატიული ათენის ძლიერებასა და სიმდიდრეს, მოკავშირეების ხარკს, ქალაქის გამშვენიერებას, ბრწყინვალე დღეობების მოწყობასა და თეატრალურ წარმოდგენებს, მაგრამ ვერ ურიგდება მონათმფლობელური წრის მდიდარ ვაჭარ-ხელოსანთა გამოყოფასა და ამაღლებას"[18].

დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ეპოქის შესწავლისათვის აგრეთვე ეპიგრაფიკულ მასალას. შემონახულია ისეთი წარწერები, რომლებიც ათენის სახელმწიფოებრივი და ეკონომიური ცხოვრების შესახებ მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავენ. საყურადღებოა, მაგ.. სია იმ ქალაქებისა, რომლებიც ათენს ფოროსს უხდიდნენ, ათენის მეორე კავშირის ხელშეკრულება და ა. შ. არანაკლებ საყურადღებოა ამას წინათ აღმოჩენილი დოკუმენტი ძვ. წ. IV საუკუნის ათენის ისტორიიდან — კ ა ნ ო ნ ი ტ ი რ ა ნ ი ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. კანონი მიღებულია ქერონეას ომის ორი წლის შემდგომ. მის თანახმად ტირანიის თუ ხელისუფლების მითვისებას მოწადინებული პირის მკვლელი არ უნდა დაისაჯოს. ამას გარდა, თუ დემოკრატიული წყობილება დამხობილ იქნება, არეოპაგის წევრებს, მოქალაქეობის უფლებების აღკვეთისა და ქონების კონფისკაციის მუქარით, ეკრძალებათ ათენში არეოპაგზე გამოსვლა, სხდომის გამართვა და თათბირი, რა საქმეზედაც არ უნდა იყოს.

2. პელოპონესის ომის წარმომშობი პირობები და საბაბი, მისი საერთო მსვლელობა, ნიკიასის ზავი, ალკიბიადე და სიცილიის ექსპედიცია

ათენსა და სპარტას შორის 445 წ. დადებული 30-წლიანი ზავი ძალაში დარჩა მხოლოდ 15 წელს და შემდეგ კი დაიწყო ხანგრძლივი ომი, რომელიც პელოპონესის ომის სახელით არის ცნობილი (431—404 წწ.), არსებითად ის პელოპონესის მეორე ომი იყო. ვიდრე მის საერთო მსვლელობას გავითვალისწინებდეთ, უწინარეს ყოვლისა, საჭიროდ მიგვაჩნია გამოვარკვიოთ წარმომშობი პირობები იმ დიდი ბრძოლისა, რომელსაც უდავო მნიშვნელობა ჰქონდა საბერძნეთის პოლისების ისტორიაში.

იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ეს ომი ძველადვე სხვადასხვა აზრი არსებობდა. ძველი მწერლების უმრავლესობა მის წარმოშობაში ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის, უმთავრესად პერიკლეს, პირად მოტივებს ანიჭებდა გადამწყვეტ როლს. ასეთ მოსაზრებას იზიარებდნენ და ავრცელებდნენ პერიკლეს პოლიტიკური მტრები, რომლებიც მზად იყვნენ ყოველგვარი უსაფუძვლო ბრალდება წაეყენებინათ პერიკლეს მახლობელი ადამიანებისათვის და ამით დაემცირებინათ თვითონ პერიკლე. პირველად პასუხისგებაში იქნა მიცემული პერიკლეს მარჯვენა ხელი ათენის გამშვენიერებაში, ათენაქალწულის ქანდაკის შემქმნელი ფიდიასი, რომელსაც ბრალი დასდეს პართენოსისათვის გადაცემული ძვირფასი მასალის ნაწილის მითვისებაში. იგი დამნაშავედ ცნეს და ციხეში ჩასვეს, ხოლო მისი თანაშემწე მეტეკი მენონი, რომელმაც იგი „დააბეზღა" გაათავისუფლეს მეტეკებისათვის დაწესებული გადასახადისაგან. შემდგომ ცნობილმა ქრესმოლოგოსმა დიოპეითემ სახალხო კრებაში შეიტანა წინადადება, რომლის ძალითაც ყველა ის, ვინც ღმერთებს უარყოფდა და ცისიერ მოვლენებზე მსჯელობდა, პასუხისგებაში უნდა ყოფილიყო მიცემული, როგორც სახელმწიფო დანაშაულის ჩამდენი.

ეს „დიოპეითეს ფსეფიზმი" პირველ რიგში მიმართული იყო პერიკლეს მახლობელი მეგობრის, ფილოსოფოს ანაქსაგორას წინააღმდეგ, რომელიც იძულებული გახდა მიეტოვებინა ათენი და ლამპსაკოსში გადასახლებულიყო. დასასრულ, ბრალი დასდეს პერიკლეს უახლოეს მეგობარ ქალს ასპაზიას მაჭანკლობაში, თუმცა იგი ასეთი ბრალდებისაგან გაამართლეს...

საერთოდ, პერიკლესადმი მტრულად განწყობილ წრეებს სურდათ პელოპონესის ომის დაწყებაც კი მხოლოდ ამ მოღვაწის პირადი მოტივებით განემარტათ, თითქოს სახელმწიფოს შიგნით პერიკ-

ლეს გარშემო შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა იგი გამოეწვია ასეთი სისხლის ღვრა.

როგორც ვიცით, IV საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსი ე ფ ო რ ე, რომელიც ამ მიმართულების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, პელოპონესის ომის წარმოშობას იმით ხსნიდა, რომ პერიკლემ არ მოინდომა ანგარიში ჩაებარებინა თანხების დახარჯვაში და ამით, თითქოს თავისი მახლობელი პირების პასუხისგებისაგან დახსნა სურდა (fr. 119). ხოლო პირად მომენტებს უფრო გარკვევით უსვამს ხაზს ამ ომის თანამედროვე მწერალი ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე[19], რომელიც თავის კომედიებში ფართოდ ეხებოდა ყოველდღიურ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ საკითხს და თუმცა დემოკრატიისადმი კეთილად იყო განწყობილი, მაგრამ დემოკრატიის მეთაურებს, მათ შორის პერიკლესაც, ხშირად თავს ესხმოდა. თავის „აქარნელეებში" არისტოფანე ომის გამომწვევ მიზეზად იმას ასახელებს, რომ მთვრალმა ათენელმა ახალგაზრდებმა მეგარიდან გამოიტაცეს მეძავი ქალი. აღშფოთებულმა მეგარელებმა თავის მხრივ ასპაზიას მოსტაცეს ორი მხევალი, და აი, თითქოს ამ სამი ქალისათვის დაიწყო ომი და „ოლიმპოელმა" პერიკლემ მთელ ელადას თავს დაატეხა საშინელი ქარიშხალი... ამას წინათ ეგვიპტეში აღმოაჩინეს არისტოფანეს უფროსი თანამედროვე კრატინეს კომედიის „დიონისალექსანდროსის" შინაარსის მოკლე გადმოცემა, რომელშიც ელენეს სახით გამოყვანილია ასპაზია, ხოლო ტროას ომში პელოპონესის ომია ნაგულისხმევი. მაშასადამე, კრატინეს აზრით, როგორც ტროას, ისე პელოპონესის ომი რომანული ინტრიგებით ყოფილა გამოწვეული[20]. ზედმეტია ლაპარაკი ასეთ მოსაზრებათა სრულ უსაფუძვლობაზე, მაგრამ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ პირადი მოტივებით პელოპონესის ომის წარმოშობის ახსნას ჩვენ დროშიც ცდილობდა ისეთი მკვლევარი, როგორიც ბ ე ლ ო ხ ი იყო. იგი, ერთი მხრივ, პიროვნებას უმნიშვნელო როლს აკუთვნებს ისტორიაში და გარკვევით წერს: „ვინც ხედავს ისტორიული განვითარების მამოძრავებელ ძალას ცალკეულ პიროვნებებში „დიდ ადამიანებში", და არა ხალხის მასებში, რომელთა მისწრაფებანი ხორციელდება ამ გმირებში, ის, დეე, ნუ შეეხება ძველ ისტორიას". ამავე დროს კი, მისი აზრით, პელოპონესის ომი პერიკლეს მიზეზით წარმოიშვა, რომელიც მის გამოწვევას შინაგანი პოლიტიკის მოსაზრებით და ეგოისტური მოტივებით ცდილობდა[21].

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ძველადვე გამოჩნდა ისეთი ისტორიკოსი, რომელიც ამ მოვლენის გარკვევას უფრო ღრმად და საფუძვლიანად მიუდგა. მხედველობაში გვყავს თ უ კ ი დ ი დ ე. პელოპო-

ნესის ომის წარმოშობის „უმეშმარიტესი მიზეზი, თუმცა სიტყვით ყველაზე უფრო მეტად დაფარული, ამბობს თუკიდიდე, იმაში მდგომარეობს, ჩემი აზრით, რომ ათენელებმა თავისი გაძლიერებით ლაკედემონელებში შიში აღძრეს და ამით აიძულეს ისინი დაეწყოთ ომი“ (I, 23,5), ამგვარად, თუკიდიდეს განმარტებით, ომის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სპარსეთთან ომის შემდგომ ათენის სამხედრო ძლიერება არაჩვეულებრივად გაიზარდა და ამ გარემოებამ სპარტაში და მის მოკავშირეებში ძლიერი შეშფოთება გამოიწვია. დიდ ყურადღებას აქცევს აგრეთვე ათენის საზღვაო გაძლიერებას ჩვენ მიერ უკვე დასახელებული „ათენის პოლიტიის“ უცნობი ავტორი. იგი აღნიშნავს, თუ რამდენად უფრო ხელსაყრელია ხმელეთზე ჰეგემონიასთან შედარებით ზღვაზე ჰეგემონია არა მარტო ომის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც. ზღვაზე გაბატონებული სახელმწიფოსათვის, სხვათა შორის, არც მოუსავლიანობაა საშიში, რადგან საჭირო ხორბალს იგი სხვა მხარეებიდან შემოიტანს: ზევსის მიერ მოვლინებული განადგურება ნათესისა და მცენარეებისა მძიმე მდგომარეობას უქმნის იმათ, ვისაც ხმელეთი ეკუთვნის, ამბობს იგი, ხოლო გაცილებით უფრო ადვილად იტანს ამ მოვლენას ის, ვინც ზღვას ფლობს, ვინაიდან იგი ყველა ქვეყანაში ერთდროულად არ ხდება; ამიტომ იმ მხარიდან, სადაც კარგი მოსავალია, ხორბალს მოეზიდებიან ისინი, ვინც ზღვაზე ბატონობს... ყველა ბერძენთა შორის მხოლოდ ათენელებს შეუძლიათ ფლობდნენ სიმდიდრეს. თუ რომელიმე სახელმწიფოს აქვს ზედმეტი სამშენებლო ტყე, სად წაიღებს მას, თუ იგი ცუდ დამოკიდებულებაშია იმასთან, ვინც ზღვაზე ბატონობს? ან თუ სახელმწიფოს აქვს ზედმეტი რკინა, სპილენძი, ან სელი, სად გაასაღებს მას?... არავინ არ მისცემს ნებას, რომ არ დაკარგოს თავისი ბატონობა ზღვაზე, მათი გატანისას მოწინააღმდეგე მხარეებში. აქ კი, ათენში, ყოველივე ამას ადვილად იღებენ ზღვის მეოხებით.... (II, 6. 11—13)[22]. ერთი სიტყვით, ზღვაზე გაბატონებისა და დიდი სამფლობელოს შექმნის გამო ათენი უაღრესად ხელსაყრელ ნივთიერ და სამხედრო პირობებში ჩავარდა თავის მოწინააღმდეგეებთან შედარებით და, ცხადია, ეს უკანასკნელნი გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ მის ასეთ გაძლიერებას. მხედველობაში უნდა ის გარემოებაც მივიღოთ, რომ ბერძენთა პოლისების ურთიერთობას V საუკუნის პირველი ნახევრიდან ორი, პელოპონესისა და ატიკის, ძლიერი კავშირი განსაზღვრავდა. პირველში შედიოდნენ უმთავრესად კონტინენტური სახელმწიფოები და, როგორც გამონაკლისი, ზოგიერთი სავაჭრო ქალაქი.

პელოპონესის მიწის მეურნეობის სახელმწიფოებში გაბატონებული იყო უმთავრესად ოლიგარქიული წყობილება, რომლის თავგამოდებით დამცველი იყო კავშირის მეთაური სპარტა. ეს უკანასკნელი თავის საგარეო პოლიტიკას წარმართავდა მასში გაბატონებული კლასის — სპარტიატების ინტერესების მიხედვით და ცდილობდა ყველგან დახმარება აღმოეჩინა ოლიგარქიული წყობილებისათვის.

მეორე კავშირს შეადგენდნენ უმთავრესად სავაჭრო საზღვაო ქალაქები, რომელთა სამეურნეო და პოლიტიკური ინტერესები არსებითად ეწინააღმდეგებოდა პირველი კავშირის წევრთა ინტერესებს. ატიკის კავშირის სახელმწიფოებში სამეურნეო განვითარებასთან დაკავშირებით წარმოებდა ძლიერი კლასობრივი ბრძოლა და ვითარდებოდა დემოკრატიული მიმართულება. ამიტომაც ადგილობრივი დემოკრატიული ჯგუფები ოლიგარქოსებთან ბრძოლაში დასახმარებლად ათენს მიმართავდნენ. ამგვარად, თუ სპარტა ოლიგარქიული წყობილების ცნობილი დამცველი იყო, ათენი, პირიქით, დემოკრატიულ სახელმწიფოებს უწევდა მფარველობას.

ასე წარმოიშვა საბერძნეთში თავისებური დუალიზმი, რომელიც არსებითად სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობას, ოლიგარქიულ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა შორის ბრძოლას განასახიერებდა. ასეთ პირობებში ათენის შემდგომ გაძლიერებას ცხადია დიდი მღელვარება უნდა გამოეწვია პელოპონესის კავშირში შემავალ წევრთა შორის და მათ შორის კონფლიქტი უნდა გაეღრმავებინა.

440 წელს ათენს განუდგა კუნძული ს ა მ ო ს ი და სამოსელების ამბოხებამ ფრიად ფართო ხასიათი მიიღო. თვითონ პერიკლე იძულებული იყო სათავეში ჩადგომოდა სამოსის წინააღმდეგ გაგზავნილ ლაშქარს. სამოსელების დასახმარებლად ბრძოლაში ჩაერია კორინთო, მაგრამ უშედეგოდ: სამოსი დამარცხდა და მეტად მძიმე პირობებში კვლავ ათენს დაემორჩილა. ორიოდე წლის შემდგომ ათენელებმა დასავლეთ სანაპიროზე, რომელსაც კორინთელები თავისი ინტერესების სფეროდ თვლიდნენ, კავშირი დაამყარეს აკარნანიელებთან, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ურთიერთობა კორინთოსა და ათენს შორის.

უშუალო საბაბი, რომელმაც დააჩქარა პელოპონესის ომი, მდგომარეობდა ათენსა და მის უახლოეს მეზობლებს — მეგარასა და კორინთოს შორის არსებული უთანხმოების გამწვავებაში. მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქ ე პ ი დ ა მ ნ ო ს შ ი, რომელიც კერკირას მიერ იყო დაარსებული, 436 წელს დემოკრატიული გადატრიალება მოხდა და გაძევებულ იქნენ ოლიგარქოსები, რომლებიც ქალაქს მეზობელი

ტომების დახმარებით ზღვიდან და ხმელეთიდან ავიწროებდნენ. ეპიდამნოსმა დახმარებისათვის მიმართა თავის მეტროპოლიას — კერკირას, მაგრამ უშედეგოდ. მაშინ ეპიდამნოსელებმა დახმარება სთხოვეს კორინთოს. 435 წელს კორინთომ ეპიდამნოსში წარგზავნა ჯარი და კოლონისტები. მაშინ კერკირელებმა მხარი ოლიგარქოსებს დაუჭირეს და ამ ნიადაგზე დაიწყო მათი ომი კორინთელებთან. მართალია, მათ გაიმარჯვეს საზღვაო ომში, მაგრამ თავისი ძალის იმედი არ ჰქონდათ და 433 წ. ათენელებს ატიკის კავშირში მიღება სთხოვეს. ათენის სახალხო კრება დიდი კამათის შემდეგ დათანხმდა თავდაცვითი კავშირის დადებაზე (ეპიმაქიაზე). ათენელებმა ჯერ 10 და შემდეგ 20 ტრიერი გაუგზავნეს მათ დასახმარებლად, მაგრამ სტრატეგოსებს უბრძანეს თავი შეეკავებინათ კორინთელებზე თავდასხმისაგან და მხოლოდ კერკირელების დაცვით დაკმაყოფილებულიყვნენ (Thuc. I, 45). საზღვაო ბრძოლაში ს ა ი ბ ო ტ ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ თ ა ნ (433 წ.) კორინთელების ფლოტმა დაამარცხა კერკირელების ფლოტი, მაგრამ ათენელების ესკადრამ, რომელიც მეთვალყურის როლს ასრულებდა, გადაარჩინა კერკირელები განადგურებისაგან. მეორე ესკადრა ათენელებისა უკვე ბრძოლის შემდეგ მოვიდა. კორინთელებმა 1050 კერკირელი ტყვედ ჩაიგდეს, მათგან 800 მონად გაყიდეს, ხოლო 250 მოქალაქე გაათავისუფლეს. ათენის დაკავშირება კერკირასთან კორინთოს სიცილიიდან მოწყვეტით დაემუქრა. ამას დაემატა ათენის მიერ ლეონტინასა და რეგიონთან 432 წელს საკავშირო ხელშეკრულების განახლება. საქმე უფრო გართულდა მაკედონიასთან კორინთოს ვაჭრობის მნიშვნელოვან პუნქტ პოტიდეას (ქალკიდიკაზე) გარშემო ბრძოლის გამო. იგი ათენის კავშირში შედიოდა, მაგრამ რადგან ამავე დროს კორინთოს ახალშენი იყო, ამიტომ მეტროპოლია მას განსაკუთრებულ მოხელეს, ეპიდამიურგს უგზავნიდა. ათენელებმა მოითხოვეს, რომ პოტიდელებს გაეძევებინათ ეს კორინთელი მოხელე, მაგრამ პოტიდეა გაუდგა ათენს, ხოლო კორინთომ და მაკედონიის მეფემ — პერდიკამ მას დახმარება აღმოუჩინეს. მაგრამ პოტიდეელები დამარცხდნენ და ქალაქში ჩაიკეტნენ. იმის საბაბით თითქოს მეგარელებმა გადახნეს საღვთო მიწა და მიიღეს ათენიდან გაქცეული მონები, ათენელებმა 432 წელს დაუხშეს მათ სავაჭრო გემებს თავიანთი და მოკავშირეების ნავსადგურები („მეგარის ფსეფიზმა“).

თავის მხრივ პელოპონესის კავშირის სხვა წევრებმა სპარტას, როგორც კავშირის მეთაურს, ათენის საწინააღმდეგო ზომების მიღება მოსთხოვეს. 432 წელს სპარტაში შეიკრიბნენ. პელოპონესის კავშირში შემავალი პოლისების დელეგატები. ყრილობაზე ათენელე-

ბის მოქმედების წინააღმდეგ გაილაშქრეს კორინთელებმა და მათ მიმართ მთელი რიგი ბრალდებები წამოაყენეს. ისინი უმტკიცებდნენ ყრილობას, რომ ზღვისპირა ქალაქების დამარცხება თავის დამღუპველ გავლენას იქონიებს ხმელეთის პოლისებზედაც. ვინაიდან ისინიც დაკარგავენ პურის გასასაღებელ პუნქტებს და რომ, მეორე მხრივ, ათენის არქე საფრთხეს უქმნის ყველა დანარჩენ სახელმწიფოს. თუკიდიდეს ვრცლად აქვს გადმოცემული კორინთელი დელეგატების გამოსვლა (I, 124). სპარტაში შემთხვევით მყოფი ათენელი წარმომადგენლები უშედეგოდ ცდილობდნენ, გაებათილებინათ ათენის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები. სპარტის სახალხო კრებამ გავლენიანი ეფორების ჩარევით ათენის საწინააღმდეგო დადგენილება გამოიტანა და ამ დადგენილებას შეუერთდა აგრეთვე ლ ა კ ე დ ე მ ო ნ ი ს მ ო კ ა ვ შ ი რ ე თ ა კ ო ნ გ რ ე ს ი ც. სპარტამ ათენში წარგზავნა მოციქულები, რომელთაც მოითხოვეს ატიკის საზღვრებიდან ალკმეონიდების და მათ შორის პერიკლეს დაუყოვნებლივ გაძევება: პერიკლეს დედა ალკმეონიდების გვარს ეკუთვნოდა, ხოლო ალკმეონიდებს ბრალს სდებდნენ, რომ ისინი ჯერაც არ განწმენდილან „კილონის მკვლელობასთან“ დაკავშირებული შეჩვენებისაგანო. მათ მოითხოვეს აგრეთვე მეგარის ფსეფიზმის გაუქმება, მაგრამ ამაოდ. ამასთან ერთად სპარტის დელეგატები მოითხოვდნენ, რომ ათენის არქეში შემავალ ყველა წევრს მინიჭებოდა ავტონომია. ლაკედემონელებს მშვიდობა სურთ და ის იქნება, თუ თქვენ ელინებს ავტონომიას დაუტოვებთო. ათენის ეკლესიამ კატეგორიულად უარყო სპარტის დელეგატების მიერ წაყენებული მოთხოვნილებები. ამრიგად, ომი აუცილებელი შეიქნა.

როგორც ვხედავთ სპარტელებმა და მათმა მოკავშირეებმა ისეთი პოზიცია დაიკავეს, თითქოს, მათ ათენის „ტირანიისაგან“ შევიწროებულ ბერძენთა განთავისუფლების მიზნით აიღეს იარაღი ხელში. რის მნიშვნელობაც არ გამოპარვია გონებამახვილ ისტორიკოს თუკიდიდეს (II, 84).

ერთიმეორის წინააღმდეგ იდგა ორი განსხვავებული მოპირდაპირე (Thuc. II, 69). ერთ მხარეზე იყო პელოპონესის კავშირი, რომელიც შეიცავდა. არგოსისა და აქეიას ნეიტრალური ქალაქების გამოკლებით, მთელ პელოპონესს, მეგარას და შუა საბერძნეთში ფოკეელებს, ლოკრიდელებს და ბეოტიელებს, აგრეთვე კორინთოს დასავლეთ ახალშენებს—ამბრაკიას, ლევკასს და ანაქტორიონს. მეორე მხარეზე იყო ათენი მთელი მისი მოკავშირეებით და აგრეთვე მასთან ცალკეულად დაკავშირებული თესალიით, პლატეათი, ნავპაქტოსით, აკარნანიით და სხვა, პელოპონესის კავშირს ეკუთვნოდა უდა-

ვო უპირატესობა ხმელეთზე. მისი ჯარი აღემატებოდა ათენელებისას. სამაგიეროდ ათენელები თავისი ფლოტით ზღვაზე იყვნენ გაბატონებული და ფინანსური საშუალების მიხედვითაც სპარტელებზე აბსოლუტურად მაღლა იდგნენ. პელოპონესის კავშირს საერთოდ არ ჰქონდა დაწესებული საკავშირო გადასახადი და ამიტომ არც საკავშირო თანხები მოეპოვებოდა, აგრეთვე ზოგიერთი ქალაქის, მაგ., კორინთოს გამოკლებით, მასში შემავალ წევრებს არც შეეძლოთ რაიმე გარკვეული თვალსაჩინო თანხების გამოღება ომის საჭიროებისათვის. ათენს კი გარდა ყოველწლიური ფოროსისა — 600 ტალანტის რაოდენობით და სხვა შემოსავლისა, მომარაგებული ჰქონდა 6000 ტალანტი, რომელთაგან დაუყოვნებლივ შეეძლო ომის საჭიროებისათვის 5.000 ტალანტის (27 მილიონ ოქროს მარკის) მოხმარება, ხოლო 1.000 ტალანტის განსაკუთრებული შემთხვევისათვის სათადარიგო თანხად შენახვა.

ამ განსხვავებასთან დაკავშირებით ორივე მოპირდაპირეს ბრძოლის სხვადასხვაგვარი გეგმა ჰქონდა დასახული: სპარტელები ფიქრობდნენ ათენელები ხმელეთზე ბრძოლაში ჩაეთრიათ და ამით უზრუნველეყოთ საბოლოო გამარჯვება. ათენი კი პერიკლეს სახით, საწინააღმდეგო სტრატეგიას ადგა: სპარტელების შემოსევის შემთხვევაში ხალხი კედლებს უნდა მიფარებოდა და სპარტის წინააღმდეგ უნდა ეწარმოებინა უმთავრესად საზღვაო ბრძოლა, რადგან სპარტელებისათვის, რომლებიც ზღვაზე მეტად სუსტნი იყვნენ, ის უფრო მძიმე იქნებოდა და გამარჯვების სასწორს ათენელებისაკენ გადახრიდა.

საომარი მოქმედება დაიწყო სპარტის მოკავშირე თებელების ბეოტიის ქალაქ პ ლ ა ტ ე ა ზ ე თავდასხმით (431 წ.). 300 თებელი ორი ბეოტარქის წინამძღოლობით მოულოდნელად თავს დაესხა პლატეას. პლატეელებმა მოახერხეს წინააღმდეგობის გაწევა და ტყვედ ჩაიგდეს 180 თებელი. ამ ტყვეების გამოხსნა თებელების ჯარმა ვერ მოასწრო და მოულოდნელი თავდასხმის გამო გაბოროტებულმა პლატეელებმა ისინი დახოცეს. ამას გარდა ათენელებმა ატიკაში მყოფი ყველა ბეოტიელი დააკავეს.

პელოპონესის ომის პირველ პერიოდს, რომელიც დაახლ. 10 წელს გაგრძელდა (431—421), ა რ ქ ი დ ა მ ო ს ი ს ო მ ი ეწოდება, სპარტის მეფის არქიდამოსის სახელის მიხედვით, რომელიც ომის დასაწყისში პელოპონესის კავშირის ჯარს მეთაურობდა. სპარტელები რამდენჯერმე შემოესივნენ ატიკას, რომლის მოსახლეობამ თავი ქალაქს შეაფარა. ათენელების ფლოტმა თავის მხრივ შემოუარა პელოპონესს, დაარბია მისი ნაპირები და მიაღწია დასავლეთ

მხარეებამდე — ელიდამდე და აკარნანიამდე. არქიდამოსმა მიატოვა ატიკა და სპარტაში დაბრუნდა. ათენელები სასტიკად გაუსწორდნენ სპარტის მოკავშირეებს — ეგინას და მეგარას. მეორე წელს პელოპონესელები კვლავ შეიჭრნენ ატიკაში და უფრო მეტად დაარბიეს იგი. ატიკის მოსახლეობამ ქალაქს შეაფარა თავი და ისეთ საშინელ პირობებში მოუხდა ცხოვრება, რომ მალე თავს დაატყდა უდიდესი უბედურება ჭირის სახით, რომელმაც ქალაქში ხალხის არაჩვეულებრივი შეჯგუფების გამო გავრცელების მეტად კარგი ნიადაგი იპოვა. ორი წლის (430 და 429) განმავლობაში იგი მუსრს ავლებდა ათენელებს და 427/6 წლის ზამთარშიც კვლავ იჩინა თავი. მეტად შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენდა იმ დროს ათენი: იშვიათი იყო ოჯახი, სადაც ამ საშინელ სენს თავისი გამანადგურებელი როლი არ ეთამაშნა. იგი აღმოსავლეთიდან შემოიტანეს პირეუსში და აქედან მოედო ათენსაც. ჭირმა იმსხვერპლა მოსახლეობის თითქმის მესამედი. იშვიათი სურათი ეპიდემიით შექმნილი საშინელებისა დაგვიტოვა თუკიდიდემ. შიმშილის, სივიწროვისა და უყურადღებობის გამო ადამიანები იჩოცებოდნენ ქუჩებში, ტაძრებში, მოედნებზე (II, 52, 1—3). „ადამიანებს აღარ აჩერებდა არც ღმერთების წინაშე შიში და არც კანონები, ვინაიდან ხედავდნენ, რომ ყველა ერთნაირად იღუპება და ამიტომ არაფრად მიაჩნდათ. შეასრულებდნენ თუ არა ღმერთების თაყვანისცემას; მეორე მხრივ, არავის იმედი არ ჰქონდა, რომ იმ დრომდე იცოცხლებს, როცა თავისი ბოროტმოქმედებისათვის სასამართლოს წინაშე პასუხი უნდა აგოს". ეპიდემია ორი წელი გრძელდებოდა და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა, მაგ., 2700 ჰოპლიტისაგან შავმა ჭირმა 400 კაცი მოსპო, პოტიდეასთან მყოფ 4000 მეომრიდან 40 დღის განმავლობაში 1500 ადამიანი დაიღუპა და სხვა. ათენელები უნუგეშობამ შეიპყრო და, როგორც ეს ხშირად ხდება, ყველაფრის მიზეზად პერიკლე წარმოიდგინეს, სამაგიეროდ აუცილებლად ჩათვალეს სპარტელებთან საზავო მოლაპარაკების დაწყება. მაგრამ ასეთი ცდიდან არა გამოვიდა რა. პერიკლე პასუხისგებაში მისცეს, 50 ტალანტით დააჯარიმეს და ობერსტრატეგოსის თანამდებობიდანაც გადააყენეს. მართალია, 429 წელს იგი კვლავ აირჩიეს სტრატეგოსად, მაგრამ მალე მას ჭირი შეეყარა და გარდაიცვალა. დემოკრატიული ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო: მიწათმფლობელნი ნიკიასის მეთაურობით არისტოკრატიას შეუერთდნენ, ხოლო მეორე ნაწილმა ახალი, უფრო რადიკალური ფრთა შექმნა, რომლის მეთაური მდიდარი მეტყავის შვილი, იშვიათი ენერგიის პატრონი კლეონი გახდა. კლეონიდან იწყება დემაგოგების სერია. სიტყვა „დემაგოგი" თავდაპირველად „ხალხის წინამძ-

ღოლს“ ნიშნავდა და ჯერ კიდევ არ ჰქონდა მინიჭებული ის ოდიოზური მნიშვნელობა, რომელიც შემდგომ დროს მიეცა. კლეონი არსებითად პერიკლეს პოლიტიკას აგრძელებდა: ყოველგვარად ცდილობდა ათენის პოლისის დიდმპყრობელური პოლიტიკის განმტკიცებას და მოკავშირეებს ათენის სახელმწიფოს ქვეშევრდომებად თვლიდა.

428 წელს ათენს განუდგა მისი მოკავშირე ლესბოსი. ამ დროს სრულუფლებიან მოკავშირეებად ითვლებოდნენ მხოლოდ ქიოსი და ლესბოსი. ლესბოსის ქალაქ მიტილენეში გაბატონებული იყო ოლიგარქია, რომელიც მტრულად იყო განწყობილი დემოკრატიული ათენისადმი და მიზნად ჰქონდა დასახული მისგან სრული ჩამოშორება. ათენელებმა სცადეს მიტილენელების დამშვიდება მოლაპარაკების საშუალებით და, როდესაც აქედან არა გამოვიდა რა, მათ წინააღმდეგ წარგზავნეს ფლოტი. ათენის სტრატეგოსმა პაქეტოსმა 427 წელს დემოკრატების დახმარებით აიღო ქალაქი და 1000 ტყვე ოლიგარქოსი ათენში წარგზავნა, დანარჩენი მოსახლეობის ბედის გადაწყვეტის მოლოდინში. მიტილენის კაპიტულაციის შემდგომ დასახმარებლად მისულმა პელოპონესის ესკადრამ ვერ გაბედა ღია ზღვაში ათენელებთან შეხვედრა და პელოპონესში დაბრუნდა. ათენის სახალხო კრებამ დაადგინა, მიტილენის მთელი სრულწლოვანი მამაკაცური მოსახლეობა სიკვდილით დაესაჯა, ხოლო ბავშვები და ქალები მონებად გადაექცია. ასეთი განკარგულება უკვე გაუგზავნეს ფლოტის სარდალს. მაგრამ მეორე დღეს კვლავ მოიწვიეს სახალხო კრება ასეთი სასტიკი დადგენილების გადასასინჯავად. თუკიდიდეს გადმოცემით (III, 37—48) ამ კრებაზე ერთიმეორეს დაპირისპირებია ორი მოწინააღმდეგე შეხედულება სიკვდილით დასჯის სისტემის მიზანშეწონილების შესახებ. ამ სისტემისა და შეუბრალებელი სისასტიკის დამცველად გამოსულა თვით კლეონი, ხოლო მოწინააღმდეგედ — დიოდოტე. კლეონი, თუკიდიდეს სიტყვით (III, 36), „მოქალაქეთა შორის უთავხედესი, მაშინ ხალხის უდიდესი ნდობით სარგებლობდა“ და იცავდა, თურმე, იმ აზრს, რომ მოკავშირეები ემორჩილებიან ათენელებს არა სიკეთისათვის, რომელსაც მათ ათენელები უშვრებიან, არამედ იმისათვის, რომ ათენელები მათ ძალით აღემატებიან... მიტილენელები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ, რომ სხვებს აღარ აღეძრას სურვილი მათ მაგალითს მიბაძონ (Thuc. III, 37). დიოდოტეს მტკიცებით კი სიკვდილით დასჯა ვერ აღწევს თავის მიზანს და ვერ სპობს არსებითად პირობებს ამა თუ იმ დანაშაულის წარმოშობისათვის; ამიტომ არ ვარგა „სიკვდილით დასჯაზე დამყარება, როგორც მშვიდობიანობის საწინდარზე,

და დამღუპველი გადაწყვეტილების გამოტანა... ვინც ბრძნულად სწყვეტს საკითხს, ის უფრო ძლიერია თავისი მტრების მიმართ, ვიდრე ის, ვინც მათ წინააღმდეგ მიდის, თუმცა ნივთიერი ძალებით, მაგრამ არა კეთილგონივრულადო"[23].

ათენელებს, მართალია, შეუცვლიათ პირვანდელი დადგენილება, მაგრამ სიკვდილით მაინც დაუსჯიათ ათასი მიტილენელი და ქალაქის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია გაუტარებიათ; გალავანი დაუნგრევიათ და ფლოტი ჩამოურთმევიათ. ლესბოსის მიწები, მცირე გამონაკლისს გარდა, 2700 ათენელი კლერუქისათვის დაუნაწილებიათ. თუმცა მიწის დამუშავება მაინც ადგილობრივი მცხოვრებლების ხელში იყო, მაგრამ ყოველწლიურად ლესბოსელები ათენელ კლერუქებს 54 ტალანტს უხდიდნენ.

ამავე წელს სპარტელებმა დაიმორჩილეს ათენის ერთგული მოკავშირე, მის მეზობლად მდებარე პ ლ ა ტ ე ა, რომელსაც მათგან რამდენიმე წლის განმავლობაში ჰქონდა ალყა შემორტყმული. მისი მოსახლეობის მიმართ, თუკიდიდეს სიტყვით (III, 68), სპარტელებმა ირაჩვეულებრივი სისასტიკე გამოიჩინეს: თითოეულ პლატეელს ეკითხებოდნენ, დაეხმარა თუ არა იგი ლაკედემონელებს ომში, და რაკი, ცხადია, უარყოფით პასუხს მიიღებდნენ, რადგან პლატეელები ათენის მოკავშირეები იყვნენ, 200-მდე პლატეელი და 25 ათენელი სიკვდილით დასაჯეს, ქალები კი მხევლებად აქციეს. პლატეა გადაეცა თებელებს, რომლებიც მისი დაუძინებელი მტრები იყვნენ; მათ ის ქალაქი, რომლის მახლობლად ბერძნებმა ერთ დროს ბრწყინვალედ გაიმარჯვეს სპარსელებზე, მიწასთან გაასწორეს. საერთოდ ომი ჰეგემონიისათვის თანდათან უფრო ცხადად ოლიგარქიასა და დემოკრატიას შორის ცხარე ბრძოლად გადაიქცა. „მთელი ელადა,—ამბობს თუკიდიდე (III, 82),—შეიძრა იმიტომ, რომ ყველგან წარმოებდა შეხლა-შემოხლა დემოკრატიულსა და ოლიგარქიულ დაჯგუფებათა შორის; პირველის წარმომადგენლები ათენელებს მოუწოდებდნენ; ხოლო მეორის წარმომადგენლები—ლაკედემონელებს".... აქვე უკეთებს განთქმული ისტორიკოსი ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს იმ მდგომარეობას, რომელიც ასეთი გამწვავებული ბრძოლის შედეგად წარმოიშვა საერთოდ საბერძნეთის სახელმწიფოებში. „უგუნური თავხედობა მამაცობად ითვლებოდა,—აღნიშნავს თუკიდიდე,—წინდახედული აუჩქარებლობა კი... ლაჩრობად; გონივრულობა—სილაჩრის სახედ; ყველაფრისადმი ყურადღება — საქმის მიმართ სრულ უნიჭობად; ფრთხილი მოფიქრება — თავიდან არიდების შესაფერის საბაბად". ერთიმეორის მოსპობის მისწრაფებაში მებრძოლი ჯგუფები არავითარ ბოროტებას არ ერიდებოდნენო. „აღწევდნენ რა

ხელისუფლებას არასწორი კენჭისყრის თუ ძალმომრეობის გზით, ისინი მზად იყვნენ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი წუთიერი ვნებაო" (Thuc. III, 82). იმ დროის სასტიკი და დაუნდობელი შინაური ბრძოლის სურათს წარმოადგენს ის სისხლისმღვრელი სცენები, რომელთაც კუნძულ კერკირაში ჰქონდა ადგილი (Thuc. III, 70—82).

კერკირის ოლიგარქოსებს მოუკლავთ პროათენური პარტიის მეთაური და 60 დემოკრატი. მხოლოდ რამდენიმე მეთაურს მოუსწრია გაქცევა. ნაწილი დემოკრატებისა კი აკროპოლისში გამაგრებულა. ოლიგარქოსებს გამოუცხადებიათ, რომ ორივე მებრძოლი მხარის მიმართ ისინი შეიარაღებულ ნეიტრალიტეტს დაიცავენ, მაგრამ როცა იქ მისულა კორინთელების ტრიერები და სპარტის ელჩები, კვლავ მოუწყვიათ დემოკრატებზე თავდასხმა. ორივე მხარე მონებს მოუწოდებს დასახმარებლად. როგორც თუკიდიდე გვარწმუნებს (III, 73), მონების უმრავლესობა დემოკრატებს მიმხრობია, ოლიგარქოსების დასახმარებლად კი ხმელეთიდან 800 კაცი მისულა. გაუმარჯვნიათ დემოკრატებს. დამარცხებულ ოლიგარქოსებს მლოცველების სახით თავი ჰერას ტაძარში შეუფარებიათ. მათ დასახმარებლად მისულა პელოპონესის ხომალდები, რომელთაც კერკირის ფლოტი დაუმარცხებიათ, მაგრამ ოლიგარქოსების განთავისუფლება ვერ მოუსწრიათ, ვინაიდან, ათენის ხომალდების გამოჩენის გამო, უკან გაბრუნებულან. მაშინ გაგულისებული დემოკრატები შეჭრილან ტაძარში და დაუნდობლად გასწორებიან თავიანთ მოპირდაპირეთ: ნაწილი მლოცველებისა დაურწმუნებიათ, წარმდგარიყვნენ სასასამართლოს წინაშე და ყველასათვის სიკვდილი მიუსჯიათ. ეს რომ დანარჩენთ გაუგიათ, ერთიმეორეს დარევიან და იქვე ამოუხოცავთ ერთმანეთი. ვიდრე ათენის ესკადრა კუნძულთან მდგარა, კერკირელები კლავდნენ ყველას, ვინც კი საეჭვოდ მიაჩნდათ.

მღელვარებითა და აღშფოთებით აგვიწერს ამ ამბავს სახელგანთქმული ისტორიკოსი თუკიდიდე.

425 წელს ომმა თითქოს უფრო გადამწყვეტი ხასიათი მიიღო. ათენის ფლოტმა დემოსთენეს მეთაურობით დაიკავა პილოსი მესენიის სანაპიროსთან და გაამაგრა. ეს გარემოება მეტად სახიფათო იყო სპარტისათვის, რადგან მესენიელები სპარტელების ბატონობის აუტანელი პირობების გამო მუდამ მზად იყვნენ აჯანყებისათვის. ახლაც ჰილოტები განდგომიან სპარტას და კვლავ მთა ითომაზე გამაგრებულან. მდგომარეობის გამოსასწორებლად სპარტის ჯარი გამოეშურა და დაიკავა კუნძული სფაქტერია პილოსის ყურის შესავალთან. მაგრამ ათენელებმა დაამარცხეს სპარტელები და ალყა შე-

მოარტყეს სფაქტერიას, სადაც 420 ჰოპლიტი და მათ შორის 180 ნამდვილი სპარტიატი იმყოფებოდა. ამ გარემოებამ სპარტა აიძულა დათმობაზე წასულიყო და ათენში ზავის წინადადებით მოციქულები გაეგზავნა. ათენში კი იმ დროს უკვე ზავის საწინააღდეგო განწყობილება იყო გაბატონებული. ამიტომ საზავო მოლაპარაკებიდან არსებითად არა გამოვიდა რა და სფაქტერიის გარემოცვა გაგრძელდა. ამავე დროს პელოპონესში საქმე ათენის არასასარგებლოდ წარიმართა. ამით ისარგებლა კლეონის მოპირდაპირე ჯგუფმა და მის წინააღმდეგ გამოსვლები გააშირდა. შექმნილი მდგომარეობის თავისებურ სურათს გვაძლევს არისტოფანეს კომედია „მხედრები". იმ დროს სცენა სიტყვის სრული თავისუფლებით სარგებლობდა. ეს კომედია 424 წელს დაიდგა და თავისი შინაარსით კლეონის წინააღმდეგ იყო მიმართული. მოქმედება წარმოებს სახლის წინ, რომელშიც ახირებული მოხუცი დემოსი (ათენის ხალხი) ცხოვრობს. მას ულოლიავებენ მეტყავე პაფლაგონელი (კლეონი) და მისი მსგავსი მეორე დემაგოგი მეძეხვე. ხალხი გამოყვანილია გადაყრუებულ, ჭკუაზე შეშლილ მოხუცად. რომელსაც დემაგოგები ყოველგვარ ბედნიერებას ჰპირდებიან. „მე,—ეუბნება მას პაფლაგონელი,—აღგითქვამ შენ ფულს და ამასთან ერთად შენ არაფრის გათეკება არ დაგჰირდებაო". „მე კი,—სიტყვაში ეცილება მას მეძეხვე,—შეგპარსავ ჭაღარას და ახალგაზრდობას დაგიბრუნებო". მაშინ პაფლაგონელი თანხმობას აცხადებს, გადასცეს დემოსის განკარგულებაში თავისი თავი, რომ ცხვირის მოხოცვისას მასზე შეიწმინდოს თითები და ა. შ. უკანასკნელ სცენაში დემოსი უკვე აღორძინებული ჩანს; მეძეხვემ მას ახალგაზრდობა დაუბრუნა და ამიერიდან ის ისევე მაგარი და ქორფაა, როგორც ბერძენ-სპარსელთა ომის დროს.

ასე გვისურათებს არისტოფანე დასახელებულ კომედიაში იმ დროის ათენის უფლებამოსილ მოქალაქეთ და მათ ხელმძღვანელებს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ის ათენის დემოკრატიის მტერი იყო, არამედ არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის ზოგიერთი უარყოფითი მხარის დაუფარავი აღნიშვნა სურდა.

სფაქტერიის გარშემო ბრძოლას სათავეში თვითონ კლეონი უდგება და სტრატეგოს დემოსთენესთან ერთად 20 დღის განმავლობაში იღებს სფაქტერიას, სადაც მომწყვდეული არიან სპარტელები. მათ შორის 120 სპარტიატი იძულებული გახდა ათენელებს დანებებოდა. ეს ტყვეები ძვირფას მძევლებს წარმოადგენდნენ ათენელებისათვის. მათ გამოაცხადეს, რომ თუ სპარტელები კვლავ შემოესევიან ატიკას, დატყვევებულებს სიკვდილით დასჯიან. ამიტომ სპარტა, პირველ ხანებში მაინც, თავს იკავებდა ატიკაზე ახალი

თავდასხმისაგან, ათენი იმდენად დარწმუნებული იყო თავის საბოლოო გამარჯვებაში, რომ ხელაღებით უარყო სპარტის ახალი სამშვიდობო წინადადებები. ათენელებმა დაიკავეს კუნძული კითერა, აგრეთვე მეგარის ნავსადგური ნისეა და განიზრახეს თეოტიის დამორჩილება, მაგრამ დელიონთან (424 წ.) თებელებისაგან დამარცხება განიცადეს. ამავე ხანებში ომზე გაწეული დიდი ხარჯების გამო ათენელები იძულებული გამხდარან მოკავშირეთა ფოროსი გაედიდებინათ, რადგან მომარაგებული თანხა უკვე ამოიწურა. ამიტომ ჯერ კიდევ 428 წელს, ლესბოსის წინააღმდეგ ექსპედიციის დროს, ათენელებმა შემოიღეს განსაკუთრებული გადასახადი ქონებაზე. ეგრეთ წოდებული „ეისფორა“ (εἰσφορά).

თუკიდიდე გარკვევით გვეუბნება (III, 19), რომ ამ დროს ეისფორა პ ი რ ვ ე ლ ა დ იქნა შემოღებულიო. ძნელია გადაჭრით თქმა, თუ რას გულისხმობდა ამ შემთხვევაში თუკიდიდე: იმას, რომ ს ა ე რ თ ო დ ეისფორა 428 წელს პ ი რ ვ ე ლ ა დ იქნა შემოღებული, თუ ლაპარაკია იმაზე, რომ პ ე ლ ო პ ო ნ ე ს ი ს ო მ ი ს მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ა შ ი ეისფორა პ ი რ ვ ე ლ ა დ მ ხ ო ლ ო დ ამ წელს გაატარეს. ამას გარდა, მარტო პოტიდეას ალყა ათენებს 2.000 ტალანტად დაუჯდათ. ამიტომ არისტიდეს მიერ დაწესებული ფოროსი მათ ორჯერ გაადიდეს. ამავე დროს ომის ასპარეზი დიდად გაფართოვდა. სირაკუზის მიერ შევიწროებული ათენის სოციილიელი მოკავშირეები მას დახმარებას სთხოვენ, ხოლო სირაკუზელები თავის მხრივ ამავე მიზნით სპარტას მიმართავენ. ეწყობა ათენელების ს ი ც ი ლ ი ი ს პ ი რ ვ ე ლ ი ე ქ ს პ ე დ ი ც ი ა (427 — 424 წწ.), რომელსაც შესაძლებელია მიზნად ჰქონოდა დასახული არა მარტო სირაკუზის დასჯა, არამედ სიცილიისა და კართაგოს დაპყრობაც. მაგრამ, როდესაც ათენელების 40 გემისაგან შემდგარი ფლოტი სიცილიას მიადგა, ამან სიცილიის ბერძნებზე სულ სხვაგვარი შთაბეჭდილება მოახდინა და მათ ამჯობინეს სამშვიდობო კონგრესი მოეწვიათ გელაში (424 წ.), რომელზედაც სირაკუზელმა ჰერმოკრატემ წამოაყენა დევიზი — „სიცილია სიცილიელებისათვისო“. ამას შემდგომ ათენელების ფლოტს სხვა აღარა დარჩენოდა რა, რომ უშედეგოდ უკან დაბრუნებულიყო.

მეორე მხრივ, სპარტის სარდალ ბრასიდასის სამხედრო მოქმედება გადააქვს თრაკიაში, რომ აქ დიდი ზიანი მიაყენოს ათენელებს. იგი ახერხებს მისდამი მტრულად განწყობილ თესალიაზე გავლას და მიეშურება ამფიპოლისისაკენ, რომელსაც აიძულებს განუდგეს ათენს. როგორც იყო ნათქვამი, ისტორიკოსმა თუკიდიდემ, რომელიც თასოსთან ათენელების გემებს მეთაურობდა, ვერ მოასწრო

დროზე მიშველებოდა ამფიპოლისს, რისთვისაც ათენიდან გააძევეს. ამფიპოლისისა და თრაკიის სხვა ქალაქების დაკარგვა მეტად მძიმე იყო ათენისათვის; აქედან ათენელები მოეზიდებოდნენ არა მარტო ძვირფას ლითონებს, არამედ გემების სამშენებლო ხეტყესაც. ამიტომ ბრასიდასის საწინააღმდეგო ექსპედიციას სათავეში თვით კლეონი ჩაუდგა იმ რწმენით, რომ მოკლე დროში დაუბრუნებდა ათენელებს თრაკიაში დაკარგულ ძვირფას პუნქტებს. 422 წელს ამფიპოლისთან მომხდარ ბრძოლაში ორივე სარდალი — კლეონიც და ბრასიდასიც დაიღუპა. ამით დამთავრდა პელოპონესის ომის პირველი პერიოდი.

ორივე მხარე მოიქანცა და წარმოიქმნა ომის შეწყვეტის ძლიერი ტენდენცია.

ათენში გაძლიერდა ზავის მომხრე ჯგუფი ნიკიასის მეთაურობით და სპარტაშიც სამშვიდობო განწყობილება გაბატონდა, რომელსაც მეფე პლეისტონაქსი მეთაურობდა. მიუხედავად ზოგიერთი წრეების წინააღმდეგობისა, ასეთმა მიმართულებამ გაიმარჯვა და მეომარ მხარეთა შორის 421 წელს დამყარდა 50 წლით ნიკიასის სახელით ცნობილი ზავი, რომლის მთავარ საფუძველს, ზოგიერთ უმნიშვნელო გამონაკლისს გარდა, ომის წინა მდგომარეობის — status quo ante bellum — აღდგენა წარმოადგენდა. ათენს უნდა დაბრუნებოდა ამფიპოლისი, მაგრამ თავის მხრივ ხელი უნდა აეღო პილოსზე, კითერაზე და ზოგიერთ სხვა პუნქტზე, ხოლო განადგურებული პლატეის მაგიერ შეენარჩუნებინა მეგარის ნავსადგური ნისეა; ათენისაგან გამდგარი თრაკიის ქალაქები კავშირში აღარ უნდა დაბრუნებულიყვნენ და სრული დამოუკიდებლობა უნდა მინიჭებოდათ, მაგრამ ფოროსი უნდა ეძლიათ ათენელებისათვის არისტიდეს მიერ დაწესებული ნორმით; სადავო საკითხები მოპირდაპირე მხარეებს შორის განსაკუთრებულ სასამართლოს უნდა გადაეწყვიტა. ათენელები ვალდებული იყვნენ, დახმარებოდნენ სპარტელებს ჰილოტების ამბოხების შემთხვევებში. მოხდა ტყვეების გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ ამფიპოლისი სპარტის ხელში დარჩა, ხოლო ათენელებმა პილოსი არ დაცალეს. ეს ზავი ცნობილია „დამპალი ზავის“ სახელით და მას მართლაც სრულებით არ გადაუწყვეტია ჰეგემონიის საკითხი, რომელსაც იმ დროის საბერძნეთის სინამდვილეში უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ

უკვე ამ ფაქტის მიხედვით იგი არ შეიძლებოდა ხანგრძლივი და მტკიცე ყოფილიყო. სპარტის მოკავშირეები: კორინთო, თებე და მეგარა დიდად უკმაყოფილო იყვნენ ამ ზავის პირობებით და შესაძლებლად ვერ სცნეს მათი მიღება. კორინთო ვერ ურიგდებოდა იმ ფაქტს,

რომ ზოგიერთი მისი ახალშენი კვლავ აკარნანელების ხელში რჩებოდა. ხოლო თებე აღშფოთებული იყო იმით, რომ ბეოტიის საზღვარზე მდებარე სიმაგრე პანაქტონი ათენელებს უნდა გადასცემოდა.

მაგრამ ზავმა მიწათმოქმედ მოსახლეობაში დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ყველაზე მეტ განადგურებას სწორედ სოფელი და მიწისმეურნეობა განიცდიდა. ატიკის გლეხობის განწყობილება ამ მხრივ კარგად აქვს გაშუქებული არისტოფანეს თავის კომედიაში „ზავი"; გლეხი ტრიგეუსი ნეხვის ხოჭოთი ადის ცაში, და ყველა ბერძნული სახელმწიფოს წარმომადგენლების დახმარებით ღრმა გამოქვაბულიდან გამოჰყავს მშვიდობიანობის ქალღმერთი, მასთან ერთად გამოდის ნაყოფთა მოსავლიანობის ქალღმერთიც, რომელთანაც ტრიგეუსი შემდგომ ქორწინებას მართავს. გლეხების გუნდი კი კომედიაში ასე მღერის: „ოი, ნეტარო მშვიდობიანობავ და ხარების შებმავ, მე რომ შემეძლოს, ამ ომიდან თავის დაღწევით, ვაზს მიწა შემოვაყარო და გავსხლა და გამაგრილებელი ბანაობის შემდგომ მაჭარი დავლიო პურისა და ბოლოკის დაყოლებითო".

ომის პროცესში წარმოქმნილმა კრიზისმა გაამწვავა პოლისების ურთიერთობა თვით პელოპონესშიც. ზოგიერთ ადგილას თავი იჩინა დემოკრატიულმა მოძრაობამ. პელოპონესის კავშირს ჩამოშორდა ზოგიერთი წევრი, რომლებმაც მისი საწინააღმდეგო კოალიციაც კი შექმნეს. მართალია, კორინთო იძულებული გახდა მალე ისევ პელოპონესის კავშირში დაბრუნებულიყო, მაგრამ იმ ქალაქებმა, სადაც დემოკრატიულმა მიმართულებამ გაიმარჯვა. არგოსმა, ელიდამ და მანტინეამ ათენთან თავდაცვითი კავშირი დაამყარეს. მათ შორის განსაკუთრებით თვალსაჩინო როლი ეკუთვნოდა არგოსს, რომელიც სპარტასთან დადებული 30 წლიანი ზავის ვადის გასვლის შემდგომ სპარტის დამცირებას ცდილობდა.

ზავის დადებიდან რამდენიმე წელი გავიდა. — ათენში კვლავ ომის პარტიამ წამოყო თავი და პელოპონესის კავშირთან ომის განახლებას მოითხოვდა. ამ დროს ათენში ყველაზე უფრო ცნობილი და გავლენიანი პირი იყო ა ლ კ ი ბ ი ა დ ე. იშვიათად თუ ვისმე გამოუწვევია ჯერ კიდევ ძველ მწერლობაში ისეთი დიდი ინტერესი თავისი პიროვნებისადმი, როგორიც წილად ხვდა ალკიბიადეს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მისდამი დამოკიდებულებაში საშუალო ხაზს, თითქმის არა აქვს ადგილი. მას ან დიდი სიძულვილით აძაგებენ ანდა არაჩვეულებრივი გატაცებით ადიდებენ. ყოველ შემთხვევაში გულგრილად მას გვერდს არავინ უვლის. ცხადია, მას სიცოცხლეში

გარს ერტყა დაუძინებელი მტრები და თავდაცვიწყებამდე მისული თაყვანისმცემლები. IV საუკუნეში მისი განსაკუთრებული კულტიც კი შექმნეს, კულტი ძლიერი პიროვნებისა[24]. იგი იზრდებოდა თავისი ნათესავისა და მზრუნველის პერიკლეს სახლში, რომელიც განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა ამ არაჩვეულებრივად ნიჭიერ ახალგაზრდას. ისტორიკოსი ქსენოფონტე გადმოგვცემს პერიკლეს საყურადღებო საუბარს ალკიბიადესთან კანონის დედაარსის გარშემო (Memorab. I, 2, 40-46). იგი უსმენდა განთქმულ სოფისტებს გორგიასს, პროტაგორეს, პროდიკეს და სხვ. მაგრამ არსებითად ყველაზე უფრო დაახლოებული იყო სოკრატესთან. არსებობს ცნობა, თითქოს ალკიბიადე ხშირად აღნიშნავდა, რომ სცხვენია მხოლოდ ერთადერთი სოკრატესი. ხოლო სოკრატეს გავლენა მასზე უფრო წუთიერი და გარეგნული უნდა ყოფილიყო. არისტოფანეს კომედიაში — „ბაყაყები“ ალკიბიადეს შესახებ ასეთი დიალოგია მოცემული: „დიონისე: მითხარით, როგორი აზრისა ხართ ალკიბიადეზე? ქალაქი იმით არის დაავადებული. ევრიპიდე: რას ფიქრობს მასზე ქალაქი? დიონისე: რას ფიქრობს! სურს, სძულს, მაინც უნდა ჰყავდეს. თქვენ კი რა აზრისა ხართ, მიამბეთ? ევრიპიდე: მე მძაგს მოქალაქე, ვინც ზანტია სახელმწიფოს დახმარებაში, ხიფათში კი სწრაფია, ვინც თავისთვის მარდია, ქალაქისათვის კი ზარმაცი... ესქილე: ქალაქში ლომის ლეკვის აღზრდა საჭირო არ არის“.

პ ო ე ლ მ ა ნ ი ს სიტყვით[25]: „ალკიბიადესათვის ყოველი პოლიტიკური საქციელი უბრალოდ ბატონობის საკითხი იყო. სამართლიანად უწოდებს მას ნიბური (Niebuhr) ტირანულ ნატურას (φύσις τυραννική). მისთვის, ვინც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გაბედა დიდი პერიკლეს წინაშე წამოეყენებინა იმ დროის განმანათლებელი ფილოსოფიიდან ამოღებული სოფიზმები კანონისა და უფლების არსის შესახებ, არ არსებობდა არავითარი ობიექტური ზღუდე, სადაც მას შეეძლო დაფიქრებულიყო თავისი არსებობის ცენტრალურ პუნქტებზე და მიზანზე... შეუზღუდავი სუბიექტივიზმი, პრინციპი „ადამიანი არის საზომი ყველა საგნისა“ (πάντων χρημάτων μέτρον ἄνθρωπος) იმ აზრით, რომ ადამიანი თავის განცალკევებაში, ყოველი ინიდივიდუმი არის საგანთა საზომი, იყო საერთოდ გაბატონებული ნორმა ამ საბედისწერო ადამიანის მოქმედებისა, როგორც კერძო, ისე სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში“...

იმ მასალების მიხედვით, რომლებიც ჩვენ ხელთ არის, ალკიბიადე მართლაც განსაკუთრებული პიროვნება იყო V საუკუნის მეორე ნახევრის ათენში, მაგრამ სრულებით უსაფუძვლოა მისი როლის გა-

დაჭარბებით წარმოდგენა, ან მისი თვისებების იმ დროის საერთო მომენტებიდან განცალკევებით განხილვა და განმარტება.

ამ ეპოქამ თავისი ყველაზე უფრო გარკვეული გამოძახილი ალკიბიადეს ძლიერ პიროვნებაში პპოვა. სამართლიანად აღნიშნავს აკად. ბუზესკული[26], რომ „მასში ყველაზე უფრო მკაცრად გამოისახა ამ ეპოქის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი, და რომ ალკიბიადე იმ დროის განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო“, ალკიბიადე განთქმული ყოფილა თავისი მშვენიერებით. მის პირად ნიჭიერებას სიმდიდრეც ემატებოდა. ცნობილი ყოფილა მისი ცხენთსაშენი და მას არა ერთხელ გაუმარჯვია ოლიმპიის ასპარეზობაზე. ალკიბიადე უფრო სხვა ტიპის მოღვაწე იყო, ვიდრე პერიკლე და კლეონი. ის ხშირად იცვლიდა პოლიტიკურ ორიენტაციას და პირმშო შვილი იყო იმ წრისა, რომელიც არავითარ სიტლანქესა და ძალმომრეობას არ ერიდებოდა. თუ რა დიდი სიტლანქე და შეუბრალებლობა გაბატონდა ომით გამწვავებულ პირობებში, ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს მელოსის ამბები (Thuc. V, 84—116). მელოსი კეთილგანწყობილებაში იყო სპარტასთან, ხოლო პირველ ხანებში სრულ ნეიტრალიტეტს იცავდა. მაგრამ 416 წელს ათენელებმა შეიარაღებული ძალები გაგზავნეს მელოსში და ადგილობრივ მცხოვრებლებს დამორჩილება მოსთხოვეს. თუკიდიდეს სიტყვით, მოლაპარაკების დროს გამართულა საყურადღებო პაექრობა: მელოსის მცხოვრებლები, დარწმუნებული იმაში, რომ სამართლიანობას ემყარებიან, იმედოვნებენ, რომ დამარცხებულნი არ იქნებიან, რადგან ცხად უსამართლობას ებრძვიან. ათენელები კი თავის პასუხში აღნიშნავენ, რომ ისინი, პირიქით, უძლიერესის უფლებას ემყარებიან, როგორც ბუნების კანონს. რომელიც მათ არ დაუწესებიათ პირველად და რომელიც მუდამ იარსებებს... ხანგრძლივი გარემოცვის შემდგომ მელოსი იძულებული გამხდარა დანებებოდა ათენელებს, რომელთაც ყველა მამაკაცი სიკვდილით დაუსჯიათ, ხოლო ქალები და ბავშვები მონებად გაუხდიათ.

420 წელს ათენელებმა შედარებით ახალგაზრდა ალკიბიადე სტრატეგოსად აირჩიეს; იგი უკავშირდება რადიკალურ ჯგუფს ნიკიასის და მისი მომხრეების ზომიერი პოლიტიკის წინააღმდეგ და ახერხებს მშვიდობიანობის პოლიტიკის მომხრის ნიკიასის გაშავებას. იგი მხარს უჭერს არგოსს სპარტის წინააღმდეგ ომში, მაგრამ ეს ომი მარცხით მთავრდება. სპარტამ ხელშეკრულება დადო არგოსთან. ამაში ბრალი ნიკიასს დასდეს. ათენის დემოსის მეთაურმა ჰიპერბოლემ მისი ოსტრაკიზმის საკითხი დასვა, მაგრამ ალკიბიადესა და ნი-

კიასს და მათ მომხრეებს შორის მოხდა მოულოდნელი შეთანხმება და ოსტრაკიზირებულ იქნა თვითონ ჰიპერბოლე. ალკიბიადე და ნიკიასი კი კვლავ იქნენ სტრატეგოსებად არჩეული. სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ამის შემდეგ ოსტრაკიზმომ დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და სათამაშო ბურთად გადაიქცა მებრძოლი ჯგუფების ხელში.

416 წელს სეგესტამ დახმარებისათვის მიმართა ათენს, რომელთანაც პერიკლეს კავშირი ჰქონდა დადებული. ამით ათენს კვლავ უხდება სიცილიის საქმეებში ჩარევა. სიცილიის პირველი ექსპედიციის ფიასკოს შემდეგ სირაკუზმა ათენთან კავშირში მყოფი ლეონტინის მხარე დაიკავა და ათენელები ამ შემთხვევაში უბრალო დიპლომატური ჩარევით დაკმაყოფილდნენ. ახლა კი დახმარებას ითხოვდნენ სეგესტელები, რომელთაც სელინუნტი ავიწროებდა; ამ უკანასკნელს კი მხარს უჭერდა სიცილიის უძლიერესი სახელმწიფო სირაკუზი. ამ წინადადების გარშემო ათენის სახალხო კრებაზე კვლავ წამოიჭრა აზრთა სხვადასხვაობა; ალკიბიადე გადაჭრით მოითხოვდა სათანადო დახმარების გაგზავნას, ხოლო ნიკიასი ამ საკითხს უფრო ფრთხილად უდგებოდა. კრებამ გადაწყვიტა გაეგზავნათ სიცილიაში ახალი ექსპედიცია: ეს იყო უკვე სიცილიის მეორე ექსპედიცია. თუკიდიდეს სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს ალკიბიადეს ამ შემთხვევაში ამოძრავებდა სახელის და პატივის მოხვეჭისა და თავისი შერყეული ნივთიერი მდგომარეობის გამოსწორების სურვილი. მაგრამ მარტო ალკიბიადეს გავლენას ვერ მივაწერთ ათენელების მიერ ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას. აქ მთავარი და ძირითადი ის იყო, რომ საკმაოდ შევიწროებული და ნივთიერად დაუძლურებული ათენი სავაჭრო ინტერესების მიხედვით ახლაც, როგორც პირველად, იძულებული იყო ყურადღება სიცილიისაკენ მიეპყრო. ამ მოსაზრებით, ცხადია, ათენელებს მარტო სეგესტელების დაცვის მიზნით არ მიუღიათ მონაწილეობა სიცილიის საქმეებში. საგულისხმოა, რომ ათენის რადიკალურ წრეებს ახლაც აზრად ჰქონდათ მთელი სიცილიის და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, კართაგოს დაპყრობაც, რომ ათენის მეთაურობით ერთ მთლიან კავშირში გაერთიანებულიყვნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბერძნები.

სხვა საკითხია, თუ რამდენად შესწევდა ათენს საამისო ნივთიერი და სამხედრო საშუალება; ამაზე, როგორც ჩანს, ბევრი სრულებით არ ფიქრობდა, იმდენად ღრმად იყო დარწმუნებული დასახული მიზნის საბოლოო განხორციელებაში. „ახალგაზრდობა პალესტრებში, მოხუცებულები სახელოსნოებსა და მოედნებზე ისხდნენ სკამებზე და მიწაზე ერთიმეორეს უხაზავდნენ კუნძულის რუკას, ლიბიისა

და კართაგოს მდებარეობას“[37]... სიცილიის ექსპედიციით ასეთი გატაცება ზოგიერთ პირს ათენისათვის დამღუპველად მიაჩნდა და მისი წინააღმდეგი იყვნენ. ასეთ პირებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ სოკრატე და ასტრონომი მეტონი.

ექსპედიციის მეთაურებად ათენელებმა დანიშნეს ალკიბიადე, ნიკიასი და ლამაქოსი. ექსპედიცია უკვე მზად იყო გასამგზავრებლად, როდესაც ერთ დილას ქუჩებსა და მოედნებზე აღმართული ჰერმები გადაგდებული ნახეს. ამ შემთხვევას საბედისწერო მნიშვნელობა მიეცა ათენელების წარმოდგენაში. მას მით უფრო საყურადღებოდ თვლიდნენ, რომ მასში ხედავდნენ ლაშქრობის შესახებ ცუდ წინამოსწავებას და აგრეთვე სახელმწიფო გადატრიალებისა და დემოკრატიის დამხობის შეთქმულებას. მოწინააღმდეგეები ალკიბიადეს ბრალს სდებდნენ როგორც ამ საქმეში, ისე საერთოდ ღვთის გმობაში. ალკიბიადემ მოითხოვა მისი პასუხისგებაში მიცემა, მაგრამ მისმა მტრებმა ხელსაყრელად არ ჩათვალეს მისი თანდასწრებით საქმის გარჩევა. ათენის ექსპედიცია 415 წლის ზაფხულს გაემგზავრა სიცილიისაკენ. ზოგიერთი წინააღმდეგობის დაძლევის შემდგომ ათენელებმა სირაკუზს ალყა შემოარტყეს. საქმე წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ მოულოდნელად გამოჩნდა ათენის სახელმწიფო გემი — სალამინია, დავალებით, რომ ალკიბიადე საჩქაროდ დაბრუნებულიყო ათენში. სადაც ჰერმების დამხობასთან დაკავშირებული მღელვარება გრძელდებოდა და ღრმავდებოდა.

გახშირდა დაბეზღება, დაპატიმრება და უდანაშაულო ადამიანების დასჯა. მაშინ ერთმა დაპატიმრებულთაგანმა ორატორმა ანდოკიდემ საგანგებო კომისიას, რომელიც ამ შემთხვევას იკვლევდა, მისცა ჩვენება, რომლის მიხედვითაც ჰერმების გადმოგდება თითქოს საქმე იყო ოლიგარქიული ჰეტერიისა, რომელსაც ვიღაც ევფილეტე მეთაურობდა; თვითონ ანდოკიდე ამ ბოროტმოქმედების ჩადენის ღამეს ავად ყოფილა და ამიტომაც მისი სახლის წინ აღმართული ჰერმა უვნებელი დარჩენილა. ანდოკიდეს მიერ მიცემული ჩვენება სარწმუნოდ ჩათვალეს და მისგან დასახელებული პირები სიკვდილით დასაჯეს. ცნობილი იყო, მაგ., ზედწერა, რომელშიც ჩამოთვლილია ერთი ჰერმოკოპიდის კეფისოდორეს აუქციონით გასასყიდი მონები (Dittenberger, I, გვ. 73). უკანასკნელ წლებში აღმოაჩინეს ჰერმოკოპიდების კონფისკაციაქმნილი ქონების გაყიდვის აღმრიცხველი სტელა. სტელა საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ გვაცნობს ფასების დონეს იმ დროის ათენში. სტელის რამდენიმე ფრაგმენტში მოხსენებულია ყანა, მიწის ნაკვეთი, სახლი, ზეთის ხილის ხე, ლე-

ღვი, ყურძენი და მონები, რომლებიც საერთო ტერმინით კი არ არიან აღნიშნული. არამედ პროფესიის მიხედვით.

არც ალკიბიადე დავიწყებიათ მის მოპირდაპირეებს. მის წინაალმდეგ სახალხო კრებაში შეუტანიათ ფორმალური ბრალდება (ეისანგელია), რომელიც მიღებულ იქნა; ალკიბიადე გადააყენეს სტრატეგოსის თანამდებობიდან და ათენში გამოიწვიეს გასასამართლებლად. ასეთ პირობებში ათენში დაბრუნებას ალკიბიადემ გაქცევა ამჯობინა და თავი შეაფარა ათენის მტერს სპარტას. მაშინ მას in absentia (დაუსწრებლად) სიკვდილით დასჯა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს. სპარტაში, ეფორების ზეგავლენით, გადაწყვიტეს ესარგებლათ ალკიბიადეს სამხედრო და დიპლომატიური ნიჭით.

ამასობაში ათენელებმა, მართალია, მოახერხეს სიცილიაში სტრატეგიული თვალსაზრისით საყურადღებო პუნქტის — ეპიპოლეს დაპყრობა, საიდანაც ემუქრებოდნენ სირაკუზს, მაგრამ მალე მათ გარშემო მეტად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ალკიბიადეს რჩევით სპარტელებმა სირაკუზელებს დასახმარებლად გაუგზავნეს რამდენიმე გემი ცნობილი სარდლის გილიპოსის მეთაურობით. შექმნილი მდგომარეობის გამო ნიკიასი, რომელიც ლამაქოსის სიკვდილის შემდგომ მარტო მეთაურობდა ათენელების ფლოტს, საჭიროდ თვლიდა ათენიდან საჩქაროდ ახალი ექსპედიციის გაგზავნას, წინაალმდეგ შემთხვევაში საქმე წაგებულად მიაჩნდა. ამავე დროს იმავე ალკიბიადეს რჩევით სპარტის მეფე აგისმა დაიკავა ატიკაში დეკელეა, რომელიც ათენისაგან მხოლოდ ოცი კილომეტრით იყო დაშორებული. დეკელეას დაკავებით სპარტელები არსებითად ბატონობდნენ მთელ ატიკაზე და დიდად ავიწროებდნენ სურსათის შემოტანას ევბეადან; მიწის დამუშავება მთელ ატიკაში, გარდა ქალაქის მიდამოებისა, მეტად გაძნელდა; ლავრეიონის მაღაროების დამუშავება მალე შეუძლებელი გახდა, რაც ფინანსების მხრივ მძიმე მდგომარეობას უქმნიდა ათენის სახელმწიფოს; მრავალი ათასი გაწვრთნილი მონა მტრების მხარეზე გადავიდა. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, ათენმა მაინც შეძლო ნიკიასის დასახმარებლად ახალი ექსპედიციის გაგზავნა დემოსთენეს მეთაურობით. მაგრამ მოპირდაპირე მხარემ მოახერხა სიცილიაში ათენის ფლოტის დამარცხება და გარს შემოერტყა ათენელ ჯარს, რომელმაც გაქცევითაც ვერ უშველა თავს: მისი უმეტესი ნაწილი ამოხოცეს, ხოლო მცირეოდენი დარჩენილი ნაწილი ქვის სამტეხლოებში გაგზავნეს მონებად. ბრძოლაში დაიღუპნენ სარდლები — ნიკიასი და დემოსთენეც.

ასეთი უდიდესი კატასტროფით დამთავრდა ათენის სიცილიის შეორე ექსპედიცია, რომელსაც საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა

ათენის დემოკრატიისათვის. ამ ექსპედიციამ შეიწირა ათენის უდიდესი ნივთიერი საშუალებანი, მისი ორი ფლოტი და მრავალი ათასი მეომრის სიცოცხლე; ბერძენ-სპარსელთა ომების შემდგომ წარმოშობილი დელოსის უდიდესი კავშირი სრული დაშლის გზას დაადგა და მოკავშირეებმა ერთიმეორის შემდეგ იწყეს ათენისაგან განდგომა. ერთი სიტყვით, ათენს უაღრესად მძიმე და სავალალო მდგომარეობა შეექმნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისიც, რომ დეკელეას ომის დროს ატიკიდან სპარტელებთან გადავიდა 20 ათასი მონა, უმეტესად ხელოსნები; ეს დიდად მძიმე დანაკლისი იყო ათენის წარმოება-ხელოსნობისათვის. მართალია თუკიდიდეს გადმოცემით, ათენელები სულით არ დაეცნენ, კვლავ განაგრძობდნენ დასახული მიმართულებით მოქმედებას და გადაწყვიტეს დარჩენილი ფული ახალი ესკადრის შექმნისათვის მოეხმარებინათ, მაგრამ სიცილიის კატასტროფა არსებითად ათენის დაცემის დასაწყისის მომასწავებელი იყო. ეს გარემოება კი არა მარტო ათენის, არამედ მთელი საბერძნეთის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი გახდა. შექმნილი მდგომარეობით ისარგებლა სპარსეთის მონარქიამ, რომელიც კალიასის ზავის შემდგომ საბერძნეთის საქმეებისაგან შედარებით შორს იდგა, და კვლავ მნიშვნელობა მოიპოვა ბერძენთა სახელმწიფოების ურთიერთობის საკითხში. ამას გარდა სპარსეთის მეფემ დარიოს II უბრძანა თავის სატრაპებს, შეეგროვებინათ მცირეაზიელ ბერძენთა ახალშენებზე დარჩენილი ძველი ხარკი. სპარტა მზად იყო ბერძენთა ეს ქალაქები ისევ სპარსეთის უღელქვეშ დაეყენებინა, ოღონდ კი სპარსელებისაგან მიეღო საჭირო ოქრო ათენელების წინააღმდეგ მცირე აზიის სანაპიროებისაკენ საზღვაო ექსპედიციის გასაგზავნად. მტრული განწყობილება დაიკავეს ათენთან მისგან გამდგარმა მოკავშირეებმაც, რომელთაც ორიოდე წლის წინათ ათენმა მძიმე ფოროსი შემოტანილი და გატანილი საქონლის ღირებულების ხუთ პროცენტიანი ბაჟით (εἰκοστή) შეუცვალა; ათენს ჩამოშორდნენ ისეთი მოკავშირეები, როგორიც იყვნენ ქიოსი, ლესბოსი, მილეტი. ათენი იძულებული გახდა სამოსის წინააღმდეგ დიდი ფლოტი წარეგზავნა. რომელსაც დაევალა ათენის საზღვაო კავშირის შემდგომი დაშლისათვის ხელი შეეშალა და განდგომილნი კავშირში დაებრუნებინა. ამავე დროს სპარტელებმა მოახერხეს სპარსეთის სატრაპ ტისაფერნესთან სამი ხელშეკრულების დადება. ათენელების სამხედრო მდგომარეობა ფრიად გართულდა. ასეთ ვითარებაში როგორც ათენში, ისე სამოსის ლაშქარში თანდათან გაძლიერდა ალკიბიადეს დაბრუნების ტენდენცია.

3. ათენის შინაური მდგომარეობა ომის დროს. სხვადასხვა ჯგუფების დამოკიდებულება ომისადმი. 411 წლის ოლიგარქიული გადატრიალება

პელოპონესის ომის პროცესში ათენის დემოკრატია ღრმა კრიზისს განიცდიდა. ომის მსვლელობაში, როგორც ვიცით, დიდი ადგილი ეკავა ბრძოლას დემოკრატიულსა და ოლიგარქიულ მიმართულებათა შორის. და ეს მომენტი თავის განსაკუთრებულ ბეჭედს ასვამდა ათენის შინაური ცხოვრების მიმდინარეობას. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ომმა და მასთან დაკავშირებულმა პირობებმა უდიდესად გაამკაცრა მებრძოლ მხარეთა ზნე-ჩვეულება და ურთიერთობა. დემოკრატიის წინააღმდეგ გაერთიანდა სხვადასხვა სოციალური ჯგუფი — „ოლიგარქოსები". მათი მიზანი იყო არსებული დემოკრატიული წყობილების ძირითადი შეზღუდვა. სიტყვაკაზმულ მწერლობაში, განსაკუთრებით კომედიებში, გრძელდება დემოკრატიული მიმართულების მეთაურებზე თავდასხმა. კომედიების ავტორები ხშირად კარიკატურული სახით გვისურათებენ იმ დროის დემოკრატიისა და მათ მეთაურთა ზოგიერთ ნაკლოვან მხარეს, რომლებიც მათ განსაკუთრებით არ მოსწონთ. ჯერ კიდევ პერიკლეს უწოდებდნენ „უდიდეს ტირანს", „შფოთისა და კრონოსის ნაშობს" და აშკარად დასცინოდნენ მის გარეგნობას. მაგრამ გაცილებით უფრო მოურიდებლად იხსენებდნენ პერიკლეს მოადგილეებს. შედარებით ობიექტური ისტორიკოსი თუკიდიდეც კი ვერ იკავებს თავს ამ მხრივ და კლეონს, მაგ., ასეთი სიტყვებით გვიხასიათებს: „იგი იყო საერთოდ მოქალაქეთა შორის ყველაზე უფრო თავხედი, მაგრამ სარგებლობდა ხალხის უდიდესი ნდობით (III, 36, 6). არისტოფანეს კომედიაში „მხედრები"[28], როგორც ვიცით, პაფლაგონელი (კლეონი) ებრძვის დემოსზე გავლენისათვის მეძეხვე აგორაკრიტეს; დემოსი წარმოდგენილია. როგორც ჭკუაზე შეშლილი მოხუცი: „პნიქსის* შვილი, მობუზღუნე, ყრუ მოხუცი, სასტიკი, ფიცხი და ცერცვის** მარცვლებზე მონადირე". ამ კომედიაში გუნდი ასეთი სიტყვებით მიმართავს დემოსს: საუცხოოა შენი ხელისუფლება დემოსო! შენ ყველა ადამიანს, როგორც ტირანი, უდიდეს შიშს უნერგავ, მაგრამ ძლიერ ადვილია შენი შეცდომაში შეყვანა: მლიქვნელობაზე მსუნაგი ხარ და თვითონ მიძვრები ხაფანგში: ყველას სიტყვაზე შენ პირი გაგიღია, ხოლო შენი თვითნება გონება სადღაც შორს გაფრენილაო. აქვე დასურათებულია, დემოკრა-

---

* გორაკი, სადაც ჩვეულებრივად იკრიბებოდა სახალხო კრება.

** ცერცვს ხმარობდნენ არჩევნების დროს წილისყრისათვის.

ტიის მეთაური კლეოხი, როგორც უნამუსო, ქურდი და მატყუარა, მისი მოპირდაპირე მეძეხვე აგორაკრიტე კი, როგორც უსირცხვილო და უმეცარი თავხედი დემაგოგი, რომლისთვისაც სრულებით არ არის საჭირო რაიმე გონებრივი განვითარება[29]. და ეს ხდებოდა სწორედ იმ დროს, როდესაც დემოკრატია ძლიერი იყო ათენში, ხოლო კლეონის გავლენა უმაღლეს წერტილს აღწევდა. როგორც ჩანს, ათენის დემოკრატიის მეთაურები დიდხანს მოთმინებით ხვდებოდნენ კომიკოსების ასეთ „თავდასხმას", მაგრამ საფიქრებელია, რომ შემდგომში მათ წინააღმდეგ ერთგვარი ზომები მიიღეს. ყოველ შემთხვევაში, ეგრეთ წოდებული ფსევდოქსენოფონტეს ტრაქტატი გადმოგვცემს, რომ ათენელები ნებას არ აძლევდნენ კომიკოსებს კომედიებში გამოეყვანათ და ცუდად მოეხსენებიათ დემოსიო (II, 18), მაგრამ კერძო პირების მიმართ ასეთი აკრძალვა არ არსებულა.

კომიკოსებისათვის დაცინვისა და გამასხარავების დიდი ობიექტი იყო ათენის სახალხო სასამართლო და მისი წევრები — ჰელიასტები. მათი და ორატორების სიტყვების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ნაფიც მსაჯულებს, რომელთა გასამრჯელო სიძვირის გამო კლეონმა ორი ობოლიდან სამამდე გაადიდა, პირდაპირ, დაუფარავად ეუბნებოდნენ: თუ არ გაამტყუნებთ ბრალდებულებს, განსაკუთრებით მდიდრებს, რომ მათი ქონების კონფისკაცია მოხდეს, სახელმწიფოს საშუალება არ ექნება მოგცეთ ხვედრი გასამრჯელოო. ცხადია, ომმა დიდი ნივთიერი კრიზისი შეუქმნა ათენს და სახელმწიფო იძულებული იყო ხშირად მიემართა, შეძლებული წევრების გადასახადებით, თუ სხვა მოვალეობით, ზედმეტი დატვირთვისათვის, ალბათ, ყოველ ცალკეულ სადავო შემთხვევაში ასეთ საკითხებს ჰელიეა სწყვეტდა და, შესაძლებელია, რომ გადაჭარბებულად მუქი საღებავებით დასურათება სახალხო სასამართლოსი და მისი წევრებისა ამ მომენტიდან მომდინარეობდეს. კომედიაში „ბზიკები" არისტოფანეს გამოყვანილი ჰყავს მოსამართლის მოვალეობათა მოტრფიალე მოხუცი, რომელსაც შვილი სასამართლოში არ უშვებს, და სახლშია დამწყვდეული. მამა ადიდებს მოსამართლეთა ძლევამოსილებას, შვილს კი ისინი დეშაგოგების სათამაშოებად მიაჩნია. ათენის სამართლის წარმოების პაროდიას წარმოადგენს სცენა ქოფაკის გასამართლებისა ყველის ნატეხის მოპარვის გამო. აღსანიშნავია, რომ კომედიებსა და ორატორების სიტყვებში თითქმის ვერ ეხედავთ მითითებას იმაზე, რომ ადგილი ჰქონდა ნაფიცი მსაჯულების მოსყიდვას და ეს საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ასეთი ფაქტები რომ ყოფილიყო სათანადო გამოძახილს იპოვიდა კომედიებში. პირველი ასეთი შემთხვე-

ვა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, შეეხება პელოპონესის ომის დასასრულს, როდესაც სოკრატეს ცნობილ ბრალმდებელს ანიტეს თითქოს მოუხერხებია მოსამართლეების მოსყიდვა (Arist. Aθ. πολ. XXVII).

დიდ სიძულვილს იწვევდნენ ოლიგარქიულ წრეებში ათენელი სოფისტები. სოფისტობა ათენში განსაკუთრებით პელოპონესის ომის დროს განვითარებულა და თავისებური ხელობის ხასიათი მიუღია. ათენში იყვნენ პროფესიონალი სოფისტები, რომლებიც სხვა რაიმე გარკვეულ ხელობას არ მისდევდნენ და თავის ნებით კისრულობდნენ სახელმწიფო კანონებისა და ინტერესების დამცველისა და მათ დამრღვეველთა ბრალმდებლის როლს. ისინი განსაკუთრებულ თვალყურს ადევნებდნენ ათენის დემოკრატიისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს. ორატორი დემოსთენე სოფისტებს გველს ან მორიელს ადარებს, რომელიც ხან აქეთ და ხან იქეთ მიაბრუნებს მაღლა აწეულ საჩხვლეტელს, რომ ნიშანში ამოღებულ პირს ვნება და უბედურება მიაყენოს. ერთი უცნობი გაღარიბებული არისტოკრატი ერთგვარი ირონიით აცხადებს: სანამ მდიდარი ვიყავ, მეშინოდა, რომ სახლში არავინ შემომპაროდა, არ წაეღო ჩემი ფულები და თვით ჩემთვისაც არ მოეყენებინა რაიმე ვნება. შემდგომ მე ველაქუცებოდი სოფისტებს, რადგან კარგად ვიცოდი, რომ უფრო მათგან მივიღებდი უსიამოვნებას, ვიდრე მათ მივაყენებდი მას. ამას გარდა, სახელმწიფო ჩემგან მუდამ მოითხოვდა რაიმე ხარჯებს და მე უფლება არ მქონდა ატიკიდან სადმე წავსულიყავი, ეხლა კი, როდესაც სხვა მამულები დავკარგე, აქაური მიწა კი შემოსავალს არ იძლევა და ჩემი საოჯახო ქონებაც გაყიდულია, მე უფრო ტკბილად მძინავსო[30].

ატიკური ძველი კომედია და უმთავრესად არისტოფანეს შემოქმედება ძლიერს, გაბედულ და ხშირად ღრმა სატირას შეიცავდა ათენის პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობისას დემოკრატიის კრიზისის პერიოდში. მისი კომედიის მრუდ სარკეში მოჩანან საზოგადოების სულ სხვადასხვა ფენები, მამაკაცები და ქალები, სახელმწიფო მოღვაწენი და სარდლები, პოეტები და ფილოსოფოსები, გლეხები, ქალაქის მცხოვრებლები და მონები[31]. არისტოკრატიული გვარების ნაშთები ჯერ კიდევ არსებობდნენ ათენში. მათი წარმომადგენლები შეურიგებელი მტრები იყვნენ მონათმფლობელური დემოკრატიული წყობილებისა, თანასწორუფლებიანობისა და დემოკრატიის სოციალური პოლიტიკისა. მათ წრეში განსაკუთრებული სიმპათიებით სარგებლობდა სპარტა მისი სოციალურ-პოლიტიკური ყოფა-ცხოვრებით. ამიტომ ოლიგარქოსების ეს უკიდურესი ფრთა

წინააღმდეგი იყო ომისა და, პირიქით, სპარტასთან კავშირის მომხრე, რომ სპარტის დახმარებით აღედგინა ათენში მამა-პაპათა წყობილება (ἡ πάτριος πολιτεία), რომელიც სოლონის წინა დროის მდგომარეობის რესტავრაციაში უნდა განხორციელებულიყო.

ოლიგარქოსებს შორის განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა ცნობილი ორატორი, სოფისტი ანტიფონტე, ხოლო დიდ როლს თერამენე თამაშობდა. მათ ეხმარებოდა აგრეთვე ფლოტისა და ჯარის ზოგიერთი მაღალი სამხედრო პირი. ოლიგარქოსების ორგანიზაციულ უჯრედებს აჰხანაგობანი — ჰეტერიები წარმოადგენდნენ. ისინი კერძო გაერთიანებანი იყვნენ და მათ დანიშნულებას ურთიერთის დახმარება, კულტის შესრულება და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა. ოლიგარქოსები წერილობითი და ზეპირი პროპაგანდით ცდილობდნენ დემოკრატიის გაკილვასა და დამხობას.

უკმაყოფილო იყო ომით აგრეთვე ატიკის სოფლის მოსახლეობა. ატიკაში სპარტელების არაერთგზის შემოჭრისა და განსაკუთრებით მათ მიერ დეკელეას დაკავების გამო ათენის სოფლის მეურნეობამ უდიდესი შეფერხება და ზიანი განიცადა: განადგურდა არა მარტო ყანები, არამედ ვენახები, ზეთის ხილისა და ლეღვის ბაღები; რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ატიკის მეურნეობაში; გლეხობის დიდი ნაწილი გაღატაკდა; ქალაქში იძულებით თავმოყრილი გლეხობა განიცდიდა მწვავე სასურსათო კრიზისს და აგრეთვე ეპიდემიის მსხვერპლი ხდებოდა. ამიტომ იგი თავის მამულში დაბრუნებაზე ოცნებობდა, ატიკის გლეხობაში ბუნებრივად წარმოიშვა ომის საწინააღმდეგო განწყობილება, მაგრამ სულ სხვა საფუძველზე, ვიდრე ოლიგარქოსების უკიდურეს ფრთაში. ატიკის გლეხობა, ომის პროცესში წარმოქმნილი მძიმე მდგომარეობის გამო, მოუთმენლად მოელოდა ზავს, რომელიც საშუალებას მისცემდა დაბრუნებოდა ნაცნობ ველ-მინდვრებს. გლეხობის ასეთი განწყობილება კარგად დაგვისურათა არისტოფანემ თავის „აქარნეელებში" (იხ. ზემოთ, გვ. 354) და „ზავში". არისტოფანეს ერთი ნაწყვეტის მიხედვით ატიკელი გლეხი ოცნებობდა: ნეტავ შემეძლოს თავი დავაღწიო ომს, გავსხლა და შემოვუბარო ვაზს და გამაგრილებელი ბანაობის შემდეგ დავლიო მაჭარი და დავაყოლო პური და ბოლოკი... მეორე ნაწყვეტში კი წარმოდგენილია ის სასურველი პირობები, რომლებიც თან მოჰყვება ზავს; თავისუფალი ცხოვრება პატარა მამულში, ბაზრის ფუსფუსისაგან მოსვენება, მშვიდობიანი ყოლა ერთი უღელი ხარისა, ცხვრების ბღავილი და თასში ჩასხმული ღვინის კამკამი, საუზმედ კი ნიბლია და შაშვი; არ არის საჭირო ბაზრიდან

ელოდე სამი დღის წინათ დაჭერილს და მოვაჭრის ბინძური ხელიდან ერთისამად ნაყიდ თევზს... ამრიგად, ატიკის გლეხობა, რომლის მეურნეობა ომის გამო უდიდესად შევიწროებული და თითქმის განადგურებულია, წინააღმდეგია ომის გაგრძელებისა და მოუთმენლად მოელის იმ დროს, როდესაც საშუალება მიეცემა დაუბრუნდეს მშვიდობიან ცხოვრებას თავის პატარა მამულში.

ომის მომხრე იყო ქალაქის შეძლებული მოსახლეობა: ათენელი ვაჭრებისა და მწარმოებელთათვის ხელსაყრელი იყო მოკავშირე ქალაქებში მონოპოლიური ბაზრების არსებობა და ახალი სავაჭრო პუნქტების მოპოვება. ამიტომ ათენის მოსახლეობის ეს ნაწილი უფრო ომის გაგრძელების მომხრე იყო, თუმცა ამავე დროს მიზნად ისახავდა სპარტასთან ურთიერთობაში ერთგვარი კომპრომისის გამონახვას. ასეთი პოლიტიკის გამტარებელი იყო ამ ზომიერი ჯგუფის მეთაური ნ ი კ ი ა ს ი, რომლის მოღვაწეობას ნაწილობრივად უკვე გავეცანით. თუ საგარეო პოლიტიკაში ეს ჯგუფი თავისი სავაჭრო ინტერესების მიხედვით ომის მომხრედ ითვლებოდა, შინაგან პოლიტიკაში იგი წინააღმდეგი იყო ათენის დემოკრატიის შემდგომი განვითარებისა და საჭიროდ თვლიდა, პირიქით, არსებული დემოკრატიული წყობილების გარკვეული ცენზის შემოღებით შეზღუდვას. თუ ოლიგარქოსების უკიდურესი ფრთის იდეალი სოლონის წინა დროის წყობილების რესტავრაციას გულისხმობდა, ამ ზომიერი ფრთის სურვილები ასე შორს არ მიდიოდა და ხან სოლონის, ხან კლისთენეს პოლიტიკას დასტრიალებდა თავს.

ომით დაინტერესებული იყო ა თ ე ნ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს „დ ა ბ ა ლ ი“ ფ ე ნ ე ბ ი ც, მისი გაღატაკებული ნაწილი, რომელიც ომის წარმატებით დამთავრებას თავის ნივთიერ კეთილდღეობას უკავშირებდა და რომელსაც აფიქრებდა ის გარემოება, რომ თუ ათენს მოკავშირეები ჩამოშორდებოდნენ და ომიც დამარცხებით დამთავრდებოდა სახელმწიფოს ნივთიერი საშუალება აღარ ექნებოდა ხვედრი გასამრჯელოთი დაეკმაყოფილებინა ხალხი.

კომედიაში — „ზავი“ არისტოფანე გვისურათებს იმ სიხარულს, რომელსაც განიცდიან ზავის დამყარებით თოხებისა და ცელების ხელოსნები, და, პირიქით, ომის დამთავრებით დამწუხრებას იმ ხელოსნებისას, რომლებიც სხვადასხვა საგნებს ომისათვის ამზადებდნენ: ზოგი — ჩაჩქანს, სხვები — საყვირებს, მესამენი — შუბებს, ზოგიც კიდევ ხმლებსა და აბჯრებს და სხვ. ცხადია, ასეთი ხელოსნებისათვის ომი ქმნიდა ისეთ პირობებს, რომლებშიც გაცილებით მეტი მოთხოვნილება იყო მათ მიერ დამზადებულ საგნებზე და, მაშასადამე, მათი შემოსავალიც უფრო მყარი იქნებოდა.

შინაგან პოლიტიკაში დემოსის უმეტესი ნაწილი გარკვევით მხარს უჭერდა ათენის დემოკრატიის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას და სოციალური პოლიტიკის მისი ინტერესების მიხედვით უფრო ღრმად გატარებას.

ამრიგად, ათენის მოსახლეობა თავისი განწყობილებით რამდენიმე ჯგუფად იყოფოდა, რომელთაგან თითოეულს ომის მიმართ თავისი ინტერესების მიხედვით განსაზღვრული პოზიცია ეკავა. თუკიდიდეს სიტყვით, როდესაც სიცილიის კატასტროფის ამბავმა ათენამდე მიაღწია, ათენელებს დიდხანს არ სჯეროდათ, თითქოს ყველაფერი ასე საბოლოოდ დაღუპა... მაგრამ როდესაც შეიტყვეს სინამდვილე, მეტად გამკაცრდნენ... ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც სიცილიის დაპყრობის იმედს აძლევდა... პანიკამ და შიშმა მოიცვა ათენი, რადგან, ცალკეული პირების მიერ განცდილ დიდ ზარალს გარდა, თვითონ სახელმწიფო იყო შეძრწუნებული მრავალი ჰოპლიტის, ცხენოსანი მეომრისა და საუკეთესო ახალგაზრდობის დაღუპვით... ამასთან ერთად ათენელები ხედავდნენ, რომ მათ უკვე აღარ მოეპოვებათ გემების საკმარისი რაოდენობა, აღარც ფული ხაზინაში და არც მეზღვაურები ფლოტისათვის; ასეთ მდგომარეობაში ისინი სასოწარკვეთილებამ მოიცვა და დარწმუნებული იყვნენ, რომ მტერი სიცილიიდან პირდაპირ მათ წინააღმდეგ გამოეშურებოდა და პირეუსს ფლოტით დაესხმებოდა თავს; რომ მათი მტრები ელადაში, რომლებსაც ახლა მათზე ორჯერ მეტი სამხედრო ძალა აქვთ, დაუნდობლად შეუტევენ მათ ხმელეთიდან და ზღვიდან; რომ მოკავშირეები განუდგებიან და მტრების მხარეზე გადავლენ, მიუხედავად ამისა, ათენელებმა გადაწყვიტეს, რამდენადაც შესაძლებელია, არ დაეთმოთ მტრებისათვის და როგორმე მოენახათ საშუალება ახალი ფლოტის ასაგებად, აგრეთვე უზრუნველეყოთ მოკავშირეების ერთგულება, განსაკუთრებით ევბეასი, და რაც შეიძლება, შეემცირებინათ სახელმწიფო ხარჯები (Thuc. VIII).

ხალხის ასეთი განწყობილებით სარგებლობს ოლიგარქიული მიმართულების ჯგუფი და შექმნილ მომენტს ხელსაყრელად თვლის ათენის სახელმწიფო წყობილებაში მისთვის სასურველი ცვლილებების შეტანისათვის. ამავე დროს ოლიგარქიული პარტიის ორივე ფრთა — ზომიერი და უკიდურესი, პირველ ხანებში მაინც, შეთანხმებულად მოქმედებს, ასეთი მოქმედების შედეგი ის იყო, რომ 412 წელს ათენში განუსაზღვრელი დროით დაწესდა უხუცეს. მოქალაქეთაგან არჩეული 10 მრჩევლის (πρόβουλοι) კოლეგია, რომელსაც დაეკისრა არსებულ პირობებთან შეთანხმებით წინასწარ გაერჩია ყველა ის საკითხი, რომლებიც საბჭოსა და სახალხო კრე-

ბაში უნდა შესულიყო განსახილველად. ამგვარად, პრობულების კოლეგიის დაარსებით კლისთენეს საბჭოს მნიშვნელობა ცხადად დამცირებულ იქნა. ეს ნაბიჯი არსებითად ოლიგარქიული მიმართულების პროგრამის განხორციელების დასაწყისს მოასწავებდა. მაგრამ მალე ოლიგარქოსებმა ათენში სახელმწიფო გადატრიალების გასატარებლად უფრო გაბედული ნაბიჯი გადადგეს. თავისი გეგმის განხორციელებისათვის ისინი მზად იყვნენ, ალკიბიადეს დაახლოებოდნენ, ხოლო ამ უკანასკნელის დახმარებით სპარსეთის მონარქიას დაკავშირებოდნენ. ალკიბიადე დიდხანს ვერ დარჩა სპარტაში და იძულებული გახდა სპარსეთის სატრაპ ტისაფერნესთან გაქცეულიყო. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ტისაფერნე, რომ სპარსეთის ინტერესები მოითხოვს არა ათენის მოსპობას, არამედ საბერძნეთში ორი თანასწორი ძლიერების სახელმწიფოს შენარჩუნებას (Thuc. VIII, 45—47). თუკიდიდეს სიტყვით, ის ასე იმიტომ მოქმედებდა, რომ იცოდა, თუ სამშობლოს დაიხსნიდა საბოლოო დაღუპვისაგან, შეძლებდა დაეთანხმებინა ათენელები, მისთვის ათენში დაბრუნების უფლება მიეცათ. მეორე მხრივ, იგი უახლოვდება ოლიგარქიული ჯგუფის წარმომადგენლებს, რომლებიც სამოსში მყოფ ათენელ მეომრებში პროპაგანდას აწარმოებდნენ. და არწმუნებს მათ, რომ სურს დაბრუნდეს სამშობლოში ოლიგარქიის დასამყარებლად და არა თავხედი დემოკრატიისათვის, რომელმაც იგი თავისი ქვეყნიდან გააძევა, და მოწადინებულია კეთილი ურთიერთობა დაამყაროს ათენელებსა და ტისაფერნეს შორის. მკვლევარი ვ ი ლ კ ე ნ ი დიდად აჭარბებს ალკიბიადეს შორსმჭვრეტელობის წარმოდგენაში, როდესაც ამტკიცებს, თითქოს ასეთი აზრი მას მხოლოდ იმიტომ დაებადა, რომ ოლიგარქიული გადატრიალების შემთხვევაში, რომელიც მისი აზრით, ფრიად მცირე დროს გაგრძელდებოდა, იგი, როგორც მხსნელი დემოკრატიისა, მისთვის სასურველ დაბრუნებას მოიპოვებდა[32]. უფრო საფიქრებელია, რომ ალკიბიადეს საბოლოოდ დაკავშირება ოლიგარქიულ ჯგუფთან შეუძლებელი შეიქმნა თვით ამ პარტიაში მის წინააღმდეგ წარმოშობილი ოპოზიციის წყალობით.

მოძრაობა ათენის დემოკრატიის დამხობისათვის პირველად დაიწყო სამოსში მყოფ ლაშქარში და აქედან გავრცელდა ათენის სახელმწიფოშიც (Thuc. VIII, 48 შმდ.). აქ შეიქმნა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა ათენში ოლიგარქიის დამყარებას; მას მეთაურობდა ყოფილი რადიკალ-დემოკრატი და ახლა კი ოლიგარქოსების მხარეზე გადასული პ ე ი ს ა ნ დ რ ე. თავისი შეთქმულებისათვის გარეგნულად მაინც რომ სხვა ხასიათი მიეცათ, ოლიგარქოსებმა წამოაყენეს საკითხი, რომ ათენის ხსნისათვის აუცილებელია კავშირი

სპარსეთის მეფესთან, რომელიც ათენის მეგობარი გახდება და ფულით დახმარებასაც აღმოუჩენს, ხოლო ამისათვის კი საჭიროა ალკიბიადეს დაბრუნება და დემოკრატიის შეცვლა ოლიგარქიით. შეთქმულების წევრთა შორის ასეთი წინადადება მთლიანად მიღებულ იქნა და ათენში გაგზავნეს დელეგაცია პეისანდრეს მეთაურობით, რომელსაც დაავალეს შეემზადებინა ალკიბიადეს დაბრუნების, სპარსელებთან კავშირის დამყარებისა და, რაც მთავარია, ათენში დემოკრატიის დამხობის ნიადაგი. ამ პირებმა ათენის სახალხო კრებაში ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, თითქოს, ამ წინადადების მიღების გარეშე ათენისათვის სხვა გზა აღარ არსებობდა, რომ მას თავი ეხსნა უდიდესი განსაცდელისაგან და დამსწრეთა უმრავლესობამ, ზოგმა შიშით და ზოგმაც მოსმენილის ზეგავლენით, დაადასტურა ეს მოთხოვნილება. ტისაფერნესა და ალკიბიადესთან მოლაპარაკება მიანდეს რამდენსამე კაცს, მათ შორის პეისანდრეს. მაგრამ მას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ალკიბიადემ ათენს სპარსეთის სახელით მეტად მძიმე პირობები წამოუყენა. იგი მოითხოვდა არა მარტო იონიასა და მის მახლობლად მდებარე კუნძულებს, არამედ ეგეოსის ზღვაში სპარსეთის ფლოტის შესვლის თავისუფლებას. ეს მოთხოვნილება ოლიგარქოსებმაც კი შეუძლებლად ჩათვალეს და თავი დაანებეს ალკიბიადეს საშუალებით სპარსეთთან დაკავშირების ცდას. თუკიდიდეს გადმოცემით (VIII, 65—66), პეისანდრემ და მისმა ამხანაგებმა გზაზე ათენში უკან დაბრუნებისას ქალაქებში დემოკრატია ოლიგარქიით შეცვალეს და ზოგიერთი ადგილიდან თან წამოიყვანეს დასახმარებლად ჰოპლიტები. ამასობაში ოლიგარქიული ჯგუფი ათენში დიდ აქტივობას იჩენდა. ახალგაზრდებმა, რომლებიც საიდუმლო ოლიგარქიული კლუბის წევრები იყვნენ, წინასწარი შეთანხმებით მოკლეს დემოკრატიული პარტიის მთავარი წინამძღოლი ა ნ დ რ ო კ ლ ე. ასევე საიდუმლოდ იქნა მოკლული ოლიგარქოსებისათვის მიუღებელი რამდენიმე მოქალაქე. ერთი სიტყვით, ოლიგარქოსები ტერორისტულ გზას დაადგნენ. მართალია, საბჭოსა და სახალხო კრებას იწვევდნენ, მაგრამ მათ განსახილველად შედიოდა მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებიც შეთქმულებს სურდათ; სიტყვის წარმოთქმის საშუალებაც მხოლოდ მათ წევრებს ჰქონდათ, დანარჩენები კი შიშით ხმას ვერ იღებდნენ. სწორედ ასეთ დროს დაბრუნდნენ ათენში პეისანდრე და მისი თანამოაზრენი, რომელთაც აქ დახვდათ განზრახული გადატრიალების განხორციელებისათვის შემზადებული ნიადაგი.

ოლიგარქიული გადატრიალების შესახებ ორი ვერსია მოგვეპოვება: ერთი ეკუთვნის არისტოტელეს (Ἀθ. πολ. XXIX—XXXIII),

მეორე კი თუკიდიდეს (VIII, 67—71)[33]. არსებითად მათ შორის განსხვავება უფრო დეტალებშია, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ არისტოტელეს მიხედვით გადატრიალება თანდათან ვითარდებოდა და ერთგვარად, თითქოს, ლეგარულ ხასიათს ატარებდა; თუკიდიდე კი პირიქით მას გვიხასიათებს როგორც ჩქარი ტემპით მიმდინარე მოძრაობას, რომელიც სრულებით არ ერიდებოდა ძალადატანებასა და ტერორს. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში თუკიდიდეს მოწმობა უფრო შეესაბამება სინამდვილეს.

ამ გადატრიალების ძირითადი დამახასიათებელი მომენტები ასე უნდა წარმოვიდგინოთ: არჩეულ იქნა 30 კაცის კომისია, მათ შორის ათი პრობული, რომლებსაც, როგორც სრულუფლებიან კანონმდებლებს (συγγραφεῖς αὐτοκράτορες), „სამშობლოს დახსნისათვის“ საჭირო წინადადებები უნდა შეემუშავებინათ, რომ შემოღებული ყოფილიყო საუკეთესო სახელმწიფო წყობილება. შემდგომ მოიწვიეს სახალსო კრება ყოველი მხრივ დაცულ კოლონში, ათენიდან 10 სტადიონის დაშორებით (Thuc. VIII. 67, 2), ვინაიდან ძველის შეცვლა განსაზღვრული პროცედურის გარეშე არ შეიძლებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადების ავტორს პასუხისგება მოელოდა graphe paranomon-ის მიხედვით, ამიტომ კომისიამ მოითხოვა ამ კანონის გაუქმება, რომ ყველა ათენელს საშუალება ჰქონოდა თავისუფლად შეეტანა ყოველგვარი წინადადება; ოლიგარქიული ტერორით შეშინებულმა კრებამ ეს წინადადება დაადასტურა.

ამას გარდა, დაადგინეს, რომ უმაღლეს ხელისუფლებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო განურჩევლად არა ყველა მოქალაქეს, არამედ მხოლოდ ისეთებს, რომლებსაც განსაზღვრული ქონებრივი ცენზი ჰქონდათ, ასეთ მოქალაქეთა რიცხვი 5000-ით განსაზღვრეს; შემდგომ — შეზღუდულ იქნა ჯამაგირიან თანამდებობათა რიცხვი და „ასამრჯელოს სისტემაც არსებითად შეამცირეს; დასასრულ, უკიდურესი ოლიგარქოსების მეთაურმა პეისანდრემ ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით და თავის მხრივ გაატარა დადგენილება, რომლის ძალით 400-ის საბჭო აირჩიეს, რომელსაც შეუზღუდავად უნდა წარემართა სახელმწიფი (αὐτοκράτορες) ისე, როგორც ამას საუკეთესოდ ჩათვლიდა, და მოეწვია 5000 მოქალაქე თავისი შეხედულებით, როდესაც ამას საჭიროდ დაინახავდა. თუკიდიდეს სიტყვით, ასეთი დადგენილების გატარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე იმ დროის განთქმულ ორატორს ანტიფონტეს, რომელიც თურმე მეტად მაღალი ზნეობის ადამიანი იყო, მაგრამ რომანტიული თაყვანისმცემელი ძველი დროისა[34].

ძველი ხუთასის საბჭოს დაშლა ახალ მმართველებს თავისებური შეიარაღებული თავდასხმის საშუალებით მოუწყვიათ, თუმცა წევრებისათვის დაურიგებიათ გასამრჯელო წლის ბოლომდე დარჩენილი დროისათვის. ასე დაამხეს ათენში დემოკრატია, რომელსაც ასი წლის წინათ, ჰიპიასის გაძევების შემდგომ, ჩაეყარა საფუძველი. მაგრამ ოლიგარქიულმა წყობილებამ ათენში სულ ოთხიოდე თვეც კი ვერ იარსება. სახელმწიფოს მმართველობა დამყარებული იყო თავაშვებულ ძალადობაზე; მოწინააღმდეგე პირები ნაწილობრივ სიკვდილით იქნენ დასჯილი, ნაწილობრივ დაპატიმრებული და გადასახლებული. სცადეს საზავო მოლაპარაკება სპარტასთან, მაგრამ არა გამოვიდა რა. ხოლო 400-ის ბატონობისათვის ყველაზე უფრო მძიმე ის იყო, რაც სამოსთან მოხდა. იქ ათენელების ლაშქრის სარდლები და მეზღვაურები დემოკრატიის სრული ერთგული აღმოჩდნენ და გაგონებაც კი არ სურდათ ოლიგარქიული გადატრიალებისა. მათ გადააყენეს ოლიგარქიული მიმართულების მეთაურები და სტრატეგოსებად თ რ ა ს ი ბ უ ლ ე და თ რ ა ს ი ლ ე აირჩიეს; მათი რჩევით სტრატეგოსად აირჩიეს ალკიბიადეც, რომელიც უკვე დემოკრატიის დამცველის როლში გამოდიოდა. თუკიდიდეს სიტყვით (VIII, 86, 4), ალკიბიადემ უდიდესი სამსახური გაუწია ათენს იმით, რომ ხელი შეუშალა ათენელების ლაშქარს, სამოსიდან პირდაპირ ათენზე წასულიყო ოლიგარქოსების დასასჯელად, რადგან ამ შემთხვევაში მტერი უეჭველად დაეპატრონებოდა იონიასა და ჰელესპონტს. ხოლო როდესაც ჯართან მოვიდნენ 400-ის მოციქულები, რომლებიც ცდილობდნენ, მომხდარი გადატრიალება უვნებელ ამბად დაეხასიათებინათ, ალკიბიადემ ჯარის სახელით მოსთხოვა მათ 400-ის გადაყენება; 5000-ის მმართველობის საწინააღმდეგო მათ არა ჰქონდათ რა, თუ კლისთენეს 500-ის საბჭო კვლავ იქნებოდა აღდგენილი; ამასთან განსაკუთრებით წინააღმდეგი იყვნენ სპარტასთან ზავის შეკვრისა. ჯარის ასეთმა დამოკიდებულებამ ნიადაგი გამოაცალა 400-ის ბატონობას, ამასთან ერთად ზომიერმა ფრთამ, რომელსაც თ ე რ ა მ ე ნ ე მეთაურობდა, აშკარად იწყო მათ წინააღმდეგ გამოსვლა. ასეთ პირობებში უკიდურესი ოლიგარქოსების უკანასკნელი იმედი სპარტა იყო, რომელსაც აქეზებდნენ ათენის წინააღმდეგ. მართლაც სალამინთან გამოჩნდა სპარტელების ფლოტი, რომელიც ევბეასაკენ გაეშურა. ათენელები საჩქაროდ გადავიდნენ გემებზე და დაედევნენ სპარტელებს. ბრძოლა ერეტრიასთან მოხდა. ათენელები დამარცხდნენ და დაკარგეს თითქმის მთელი ევბეა, რომელსაც მათთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თუკიდიდეს გადმოცემით, ათენელები ევბეადან მეტ სარგებლო-

ბას ღებულობდნენ, ვიდრე ატიკიდან (VIII, 96). არსებობდა აგრეთვე შიში, რომ მტერი ასეთი გამარჯვების შემდეგ პირდაპირ პირეუსზე წამოვიდოდა.

ამგვარად, უკიდურესი ოლიგარქოსების პოლიტიკამ ათენი დიდ განსაცდელში ჩააგდო. ამიტომ ხალხი ისევ პნიქსზე შეიკრიბა, გააუქმა 400-ის ხელისუფლება და სახელმწიფოს მმართველობა გადასცა 5000-ს, რომელთაც ის მოქალაქეები ეკუთვნოდნენ, თვითონ რომ შეეძლოთ შეიარაღება (οἱ τὰ ὅπλα παρεχόμενοι). ამ ზომიერ ოლიგარქიას მეთაურობდა თერამენე. ეს წყობილება მოსწონდათ არისტოტელესა და თუკიდიდეს. არისტოტელეს სიტყვით ('Αθ. πολ, XXXIII) „იმ დროს ათენს, როგორც ჩანს, მართლაც კარგი მმართველობა ჰქონდა. ომი იყო და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა იმათ ეკუთვნოდათ, ვინც მძიმე იარაღს ფლობდაო". უკიდურესი ოლიგარქოსებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ დაიწყო მთელი რიგი პროცესებისა. მაგ., ორატორ ანტიფონტეს ბრალი დასდეს ღალატში და მიუხედავად იმისა, რომ თუკიდიდეს მოწმობით, თავდაცვის საუკეთესო სიტყვა წარმოთქვა (VIII, 68, 2), სიკვდილით დასაჯეს. პეისანდრე და სხვა მეთაურები სპარტელებთან გაიქცნენ დეკელეაში.

ამასობაში ათენის ფლოტის წინამძღოლებმა თრასიბულემ და თრასილემ მოლაპარაკება დაიწყეს ალკიბიადესთან, რომელსაც ათენში დაბრუნება სურდა. მათ შორის შეთანხმება მოხდა, ათენის ფლოტმა ალკიბიადეს მეთაურობით დაამარცხა პელოპონესის ფლოტი კიზიკოსთან და აბიდოსთან და გამარჯვების სასწორი კვლავ ათენისაკენ გადაიხარა. ათენელების ბატონობა ზღვაზე თითქოს განახლდა. ბიზანტიონის მახლობლად ათენელებმა ააგეს სიმაგრე, რომლითაც კვლავ შეეძლოთ უზრუნველეყოთ პონტოს ხორბლის ტრანსპორტი. ჩვენ ვიცით, რომ ათენის ჰელესპონტოფილაკები პურის ტრანსპორტს სასტიკ თვალყურს ადევნებდნენ; მათ ნებადაურთველად პონტოში ვერც ერთი გემი ვერ შეავიდოდა და ვერ გამოვიდოდა. თავის გამარჯვებათა შედეგად ალკიბიადემ 411 წელს ქრისოპოლისში (ჰელესპონტში) საბაჟო დააარსა. სადაც პონტოდან მომავალ გემებზე 10 პროცენტიანი გამოსაღები იქნა დაკისრებული (Hell. I, 1. 22).

დამარცხებით შეძრწუნებულმა სპარტელებმა ათენელებს ზავი შესთავაზეს status quo-ს საფუძველზე და აღუთქვეს დეკელეას გადაცემა პილოსისა და კითერას სანაცვლოდ, მაგრამ ათენმა აჩქარებულად უარყო ასეთი საზღვაო პირობები.

410 წელს ათენში ახალი გადატრიალება მოხდა, რომელმაც და-

ამხო თერამენის ოლიგარქია და აღადგინა დემოკრატიული კონსტიტუცია ხუთასის საბჭოთი და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოთი. ძველ გასამრჯელოდ რადიკალური დემოკრატიის ახალი მეთაურის კლეოფონტეს ინიციატივით დიობელია მიემატა, რომელიც ღარიბ მოქალაქეების ორი ობოლით დახმარებას წარმოადგენდა. 409 წელს თავისუფალი შრომის ინტერესების მიხედვით განახლდა ერეხთეიონის მშენებლობა.

4. პელოპონესის ომის დასასრული. მისი საერთო შედეგები

30 ტირანი ათენში. დემოკრატიის საბოლოო აღდგენა

რაკი ათენმა უარყო სპარტის სამშვიდობო წინადადება, ომი კვლავ გაგრძელდა და უკანასკნელ წლებში უმთავრესად ჰელესპონტის მიდამოებში წარმოებდა. ალკიბიადემ შეძლო აღედგინა აქ ათენის ბატონობა და მოახერხა აგრეთვე ქალკედონის და ბიზანტიონის აღება (409 წ.). ასეთი ბრწყინვალე შედეგის შემდეგ ალკიბიადეს, რომლის გაძევების დეკრეტი უკვე 411 წელს გააუქმეს, სრული იმედი ჰქონდა ათენში დაბრუნებისა. მართლაც, 407 წელს, როგორც გამარჯვებული დაბრუნდა იგი ათენში და მისი შეხვედრის სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა; მისი დაბრუნება ნამდვილი ტრიუმფი იყო. არაჩვეულებრივი აღტაცებით შეხვდა ხალხი, აღუდგინეს მას ყოველგვარი სამოქალაქო პატივი და აირჩიეს შეუზღუდავ უმაღლეს სარდლად ზღვასა და ხმელეთზე (ἡγεμὼν αὐτοκράτωρ). მაგრამ, როდესაც ათენელები ასეთი ზეიმით უმასპინძლდებოდნენ ალკიბიადეს, მოხდა დიდი ფაქტი, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ომის შემდგომ მსვლელობაში. ჩვენ ვიცით, რომ სპარსეთი წინათაც უწევდა დახმარებას სპარტას და სუბსიდიასაც აძლევდა, მაგრამ მაინც ერთგვარ ორჭოფულ პოლიტიკას აწარმოებდა მებრძოლი მხარეების მიმართ. ახლა კი უფრო გადაჭრილი ნაბიჯები გადადგა. უკვე 409 წელს სუზაში სპარტამ წარგზავნა მოციქულები, რომლებმაც დაარწმუნეს სპარსეთის მეფე, რომ მისი ინტერესების მიხედვით სასარგებლოა გაიმარჯვოს სპარტამ, რომელიც სცნობდა მის ბატონობას მცირე აზიაში. მართლაც, სპარსეთის მეფემ გადაწყვიტა უფრო მეტი ენერგიით, ვიდრე აქამდე, მოეკიდა ხელი ათენის სრული დამარცხების საქმისათვის. როდესაც ომის ასპარეზზე საერთოდ ერთგვარი მშვიდობიანობა სუფევდა, მცირე აზიაში გაგზავნეს ახალგაზრდა პრინცი კიროსი 500 ტალანტით, როგორც სპარსეთის მონარქიის სარდალი[35]. თავის მხრივ სპარტამ, რომელმაც იცოდა ეს ამბავი, ფლოტის სათავეში დააყენა ნავარქო-

სი, დიდი სტრატეგიული და დიპლომატიური ნიჭის ადამიანი — ლ ი ს ა ნ დ რ ე, რომელსაც საკუთარი პოლიტიკური გეგმა ჰქონდა დასახული — სპარტაში მემკვიდრეობითი მონარქია არჩეული მეფის ხელისუფლებით შეეცვალა და ამით გაეკაფა გზა სამეფო ტახტისაკენ. ამ ამბის გაგებისთანავე მცირე აზიისაკენ ათენის ფლოტით ალკიბიადე გაეშურა. იგი კოლოფონის ნავსადგურში ნოტიონში გაჩერდა, რადგან აქედან შეეძლო თვალყური ედევნებინა ეფესოს ნავსადგურის გასავალისათვის, სადაც იმყოფებოდა სპარსელების წყალობით დიდად გაძლიერებული ლისანდრეს ფლოტი. ალკიბიადემ ბრძოლაში დიდი დამარცხება განიცადა, რისთვისაც ათენელებმა მას სარდლობა ჩამოართვეს. ამ დროიდან იგი ცხოვრობდა თრაკიაში, სადაც სპარტელების ინტრიგების მეოხებით მოკლეს 404 წელს.

სურ. 58. ა ლ კ ი ბ ი ა დ ე.

ლისანდრეს იმედი ჰქონდა, რომ, მიუხედავად კანონის მოთხოვნილებისა, მას ერთი წლით კიდევ გაუგრძელებდნენ ნავარქოსის რწმუნებულებას, მაგრამ იძულებული გახდა, თანამდებობა თავისი მოადგილე კალიკრატიდესთვის გადაეცა. სპარტის ფლოტმა ამ უკანასკნელის მეთაურობით მიტილენის ნავსადგურში ალყა შემოარტყა ათენის ფლოტს, რომელსაც კონონი წინამძღოლობდა. როდესაც ამ ამბავმა ათენამდე მიაღწია, ათენელები არაჩვეულებრივმა განწყობილებამ მოიცვა: ყველა კარგად გრძნობდა, რომ საბედისწერო მომენტი მოახლოვდა და, თუ საჩქაროდ არ გამოასწორებდნენ საქმეს, ათენის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ათენელებმა ერთი თვის განმავლობაში გაამზადეს 110 ტრიერისაგან შემდგარი ფლოტი და, რომ საჭირო ფული მოეპოვებინათ, დაურიგებლად ისარგებლეს ტაძრების სალაროთი და გადაადნეს ტაძრებში შეწირული ძვირფასი ოქროსა და ვერცხლის ნივთები ისე, რომ პართენონის პრონაოსში, მხოლოდ ერთი ოქროს გვირგვინიღა დარჩა. ამ ახალი ფლოტით, რომელსაც

სამოსის გემებიც მიემატა, ათენელებმა 406 წელს სრული გამარჯვება მოიპოვეს სპარტელებზე ლესბოსის სამხრეთით ა რ გ ი ნ უ ს ი ს კ უ ნ ძ უ ლ ე ბ თ ა ნ. მაგრამ ამ გამარჯვებას თან სდევდა დიდი ზარალიც: რამდენიმე ტრიერი, რომლებზედაც მეზღვაურები იმყოფებოდნენ, იმდენად დაზიანებული იყო, რომ უკვე აღარ შეეძლო თავისუფალი მოძრაობა. სარდლობამ მიიღო ზომები ამ გემებზე დარჩენილი მეზღვაურების გადასარჩენად. მაგრამ ზღვის დიდმა ღელვამ შეუშალა ხელი და მრავალი ათენელი მოქალაქე დაიღუპა ასეთი სტიქიის შედეგად უკვე არა ბრძოლის ველზე, არამედ ზღვის ტალღებში.

ამ ამბავმა ძალზე ააღელვა ათენელები, რომელთაც ბრალი დასდეს სტრატეგოსებს, რომ მათ თავის დროზე საჭირო ზომები არ მიიღეს და ნაჩქარევად სამართალში მისცეს სტრატეგოსები. წინააღმდეგ სამართლის წარმოების ჩვეულებრივი წესისა, მათი საქმე სახალხო კრებაში განიხილეს და სტრატეგოსებს სიკვდილით დასჯა და ქონების კონფისკაცია მიუსაჯეს. სხვათა შორის ფილოსოფოსი სოკრატე დიდად შეეცადა ხელი შეეშალა სახალხო კრების ასეთი აჩქარებული ნაბიჯისათვის, მაგრამ უშედეგოდ (Henophon. Hellenica, I, 7). მართალია, ორი დღის შემდგომ ხალხი სინანულმა მოიცვა ექვსი ნიჭიერი სარდლის ასე განუკითხავად დასჯის გამო, მაგრამ, რასაკვირველია, უკვე გვიან იყო, რადგან განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი და საქმეს აღარა ეშველებოდა რა. არგინუსის კუნძულებთან დამარცხების შემდგომ სპარტამ კვლავ მიმართა ათენს საზავო წინადადებით, მაგრამ უკანასკნელმა იგი გადაჭრით უარყო. იმავე დროს კი სპარტის ფლოტს ფაქტიურად სათავეში ჩაუდგა ისევ ლისანდრე (ფორმალურად იგი ნავარქოსი კი არ იყო, არამედ ნავარქოს არაკოსის რწმუნებული). მან ბრძოლის გარკვეული გეგმა შეიმუშავა, რომ უფრო დაეჩქარებინა ათენის სრული დამარცხება. ამ გეგმის მიხედვით დეკელეას დაკავებას მხოლოდ დარდანელის დახურვასთან ერთად შეეძლო გამოეწვია ათენში უდიდესი შიმშილი, რომელსაც იგი ვეღარ გაუძლებდა და იძულებული გახდებოდა იარაღი დაეყარა. ამიტომ ომის ასპარეზი ლისანდრემ დარდანელში გადაიტანა და 405 წ. ე გ ო ს პ ო ტ ა მ ო ს თ ა ნ („თხების მდინარეებთან") სასტიკად დაამარცხა ათენელების ფლოტი: ათენელების 180 გემიდან სპარტელებმა ხელში ჩაიგდეს 120 ხომალდი, ახალი გემების აშენების საშუალება კი ათენელებს აღარ ჰქონდათ და ამით ბედი უკვე გადაწყვეტილი მოჩანდა.

მას შემდგომ, რაც ბიზანტიონი და ქალკედონი ლისანდრეს დანებდა, ათენს მოესპო პონტოს ხორბლის შემოტანის საშუალება და

ექ შიმშილიანობა დაიწყო. მოკავშირეთა განდგომამ უკიდურეს წერტილს მიაღწია, მხოლოდ სამოსელები დარჩნენ ბოლომდე ათენის ერთგულნი, რისთვისაც მათ ათენელებმა ატიკის მოქალაქეობის უფლება მიანიჭეს. გზად ათენისაკენ ლისანდრე პოლისებში ამხობდა დემოკრატიულ წყობილებას და ხელისუფლების სათავეში თავის მომხრე ოლიგარქოსების წრიდან არჩეულ „ათის კომიტეტებს“ (დეკარქია) ნიშნავდა, დაიწყო თვით ქალაქ ათენის გარემოცვა. ლისანდრემ ჩახერგა პირეუსის შესავალი, ხოლო სპარტის მეფემ პავსანიასმა ათენს ხმელეთიდან შემოარტყა ალყა. რადიკალური დემოკრატიის წარმომადგენლები ამხნევებდნენ ათენელებს. რომ უკანასკნელ საშუალებამდე ებრძოლათ, რადგან კარგად იცოდნენ, თუ რა უდიდესი უბედურება იქნებოდა დემოკრატიისათვის ათენის არული კაპიტულაცია. მაგრამ თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ მალე ათენს სხვა გამოსავალი აღარ დარჩებოდა. ეს გარემოება კი ამხნევებდა ოლიგარქიული ჯგუფის წევრებს, რომლებსაც მიზნად სახელმწიფო წყობილების შეცვლა ჰქონდათ დასახული. სპარტელებმა უკანასკნელად მისცეს წინადადება ათენელებს ზავის შეკვრისა იმ პირობით, რომ მათ დარჩებოდა ლემნოსი, იმბროსი და სკიროსი. თუ ათი სტადიონის მანძილზე დაანგრევდნენ გრძელ კედლებს. მაგრამ რადიკალური ჯგუფი და მისი მეთაური კლეოფონტე წინაღუდგნენ ასეთ წინადადებას და სახალხო კრებამ იგი უარყო. სამაგიეროდ ოლიგარქიული ჯგუფის წევრები სარგებლობენ იმ განწყობილებით, რომელმაც მოიცვა ხალხი გაძლიერებული შიმშილიანობის გამო. და უფრო გაბედულ ოპოზიციას უწევენ რადიკალურ ელემენტებს. მეტი გაელენით სარგებლობდა იმ დროს ოლიგარქოსების უფრო ზომიერი ფრთა, რომელმაც მოახერხა ლისანდრესთან ცნობილი თერამენეს მეთაურობით მოციქულობის გაგზავნა საზავო პირობების გამოსარკვევად. ამავე დროს ოლიგარქოსების პროპაგანდის წყალობით ხალხის ფართო მასებში გაიზარდა რადიკალური დემოკრატიის მეთაურებისადმი მტრული განწყობილება. ახლა მათ ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ათენს ასეთი უდიდესი განსაცდელი დაატყდა. სრულებით უმნიშვნელო საბაბით სიკვდილით იქნა დასჯილი კლეოფონტე, ლისანდრემ თერამენეს გარკვეული პასუხი არ მისცა და ურჩია. სპარტაში წასულიყო ეფორებთან მოსალაპარაკებლად. სპარტაში ზოგიერთი მისი მოკავშირე, განსაკუთრებით კორინთელები და თებელები, ათენის სრულ დანგრევასა და მისი მოსახლეობის მონებად გაყიდვას მოითხოვდნენ. მაგრამ ასეთი წინადადებისათვის სრული წინააღმდეგობა გაუწევიათ სპარტელებს. ამ ფაქტით აღფრთოვანებული ქსენოფონტე აღნიშნავს, რომ სპარტელებმა ასეთი მოქმედე-

ბით საპატიო ძეგლი აიგეს, რადგან ნება არ მისცეს „მონებად ექციათ ის ბერძნული ქალაქი, რომელმაც ერთ დროს საბერძნეთს უდიდეს გაჭირვებაში მრავალი სიკეთე აღმოუჩინა“ (Hellen. II, 220). ძნელია, სათანადო ცნობების სიმცირის გამო, იმის გამორკვევა, თუ რატომ მოიქცა ასე სპარტა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ბერძენ-სპარსელთა ომებში ათენის ღვაწლის მოგონება მისთვის მაინცდამაინც ხელსაყრელი არ უნდა ყოფილიყო, რადგან უკანასკნელ ომში მისი გამარჯვება, სხვათა შორის, სწორედ სპარსეთის სუბსიდიაზედაც იყო დამყარებული[30]. ყოველ შემთხვევაში, საზავო პირობები ათენისათვის მეტად მძიმე იყო: ათენელებს უნდა დაენგრიათ პირეუსის სიმაგრენი და გრძელი კედლები, უარი უნდა ეთქვათ ატიკის გარეშე სამფლობელოებზე, გადაეცათ დარჩენილი ფლოტი, 12 გემის გამოკლებით, დაებრუნებინათ გაძევებული ოლიგარქოსები და შესულიყვნენ სპარტის კავშირში. ათენის სახალხო კრებამ მიიღო ეს პირობები და ამრიგად ბოლო მოეღო პელოპონესის ხანგრძლივ ომს, რომელმაც ჰეგემონიისათვის ბრძოლა სპარტის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ათენმა დაკარგა საზღვაო ძლიერება, მოკავშირეები და კლერუქიები; მას დარჩა მხოლოდ ატიკა. ამასთან ლისანდრეს თანდასწრებით დაანგრიეს გრძელი კედლები და ამ საქმეში სპარტელებს ეხმარებოდნენ გაძევებიდან დაბრუნებული ათენელები, რომელთაც ისე წარმოედგინათ თითქოს „ეს დღე ელადის თავისუფლების დასაწყისი იყო“.

დამარცხების შემდგომ ათენში კვლავ თავი წამოყვეს ოლიგარქოსებმა, რომლებმაც სპარტელების დახმარებით ხელში ჩაიგდეს სახელმწიფო ძალა-უფლება. აირჩიეს 30-ის კომისია, რომელშიც შევიდნენ ოლიგარქოსების როგორც უკიდურესი, ისე ზომიერი ფრთის წარმომადგენლები. ამ კომისიას მინდობილი ჰქონდა ახალი კონსტიტუციის შემუშავება, მაგრამ მან არსებითად მიითვისა სახელმწიფო ხელისუფლება და მიიღო „30 ტ ი რ ა ნ ი ს“ სახელწოდება. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ეს ტერმინი სულ სხვა მნიშვნელობით იხმარება, ვიდრე წინათ, როდესაც ტირანია ჩვეულებრივად საზოგადოების ქვედა ფენების თავისებურ დიქტატურას წარმოადგენდა. 30-ს შორის უკიდურესი მიმართულების მეთაური იყო კ რ ი ტ ი ა ს ი, ხოლო ზომიერისა—თ ე რ ა მ ე ნ ე. კრიტიასის წინადადების მიხედვით, მთელ ატიკაში ქონებრივი ცენზის თანახმად სამოქალაქო უფლებები მიენიჭა მხოლოდ 3000 პირს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ასეთი სიის შედგენის დროს მთავარი მნიშვნელობა ცენზს კი არ ჰქონდა, არამედ იმას, თუ რამდენად სანდო იყო ესა თუ ის პირი კრიტიასისა და მისი მიმდევრების პოლიტიკისათვის.

„ოცდაათი ტირანის“ მეთაური კრიტიასი, რომელიც ათენელი სოფისტების წრეს ეკუთვნოდა, მიუხედავად სოკრატესთან დაახლოებისა იმ დროის ერთი გამოჩენილი ათეისტი და დარწმუნებული ტერორისტი იყო. მას ვერ წარმოედგინა სახელმწიფო ტერორის გარეშე.

30 ტირანის ბატონობის დროს მრავალი ათენელი დასაჯეს სიკვდილით (1500—2000). და საერთოდ კრიტიასის ჯგუფი ცდილობდა ტერორისტული მოქმედებით და სპარტის დახმარებით შეენარჩუნებინა ძალა-უფლება. ამ უკიდურესობის წინააღმდეგ იბრძოდა უფრო ზომიერი მიმართულების თერამენე. რისთვისაც იგი თვითონ დასაჯეს სიკვდილით. აკროპოლისში დაბანაკებული სპარტელების 700 კაცისაგან შემდგარი გარნიზონი იცავდა ოლიგარქოსების ბატონობას, დემოკრატმა ემიგრანტებმა თავი თებეს შეაფარეს. მათ თავდადებული დემოკრატი თ რ ა ს ი ბ უ ლ ე მეთაურობდა. მან თავისი მომხრეების დახმარებით დაამარცხა ოლიგარქოსები და დაეუფლა პირეუსსა და ციხე მუნიქიას. მუნიქიასთან ბრძოლაში დაიღუპა კრიტიასი, ხოლო უკიდურესი ოლიგარქოსები ელევსინში გაიქცნენ, ზომიერებმა კი ახალი ხელმძღვანელობა აირჩიეს. დემოკრატები თავის მხრივ პირეუსში გამაგრდნენ. ათენისა და ელევსინის ოლიგარქოსებმა დახმარებისათვის სპარტას მიმართეს. ლისანდრე კვლავ გაემართა პირეუსისაკენ და ზღვიდან და ხმელეთიდან ალყა შემოარტყა. მაგრამ ეფორები და მეფე პავსანიასი ეჭვის თვალით უყურებდნენ ლისანდრეს მოქმედებას და თვითონ პავსანიასი წავიდა ატიკაში. ამასობაში, როგორც არისტოტელე გადმოგვცემს, პირეუსისა და მუნიქიის მხარეზე გადავიდა მთელი ხალხი. თვითონ ათენში მოხდა ახალი გადატრიალება და ხელისუფლების სათავეში აღმოჩდნენ ზომიერები, რომლებიც დემოკრატებთან შეთანხმების მომხრენი იყვნენ. მეფე პავსანიასმა ასეთი დაზავების პირობები წამოაყენა: ორივე პარტია სწყვეტს მტრულ მოქმედებას; ტირანების გარდა ყველას უბრუნდება წინანდელი ქონება; ოლიგარქოსების ხელისუფლება რჩება ელევსინში; ყველა წარსული პოლიტიკური დანაშაულის მიმართ ტარდება სრული ამნისტია.

ამას შემდეგაც ელევსინის ოლიგარქოსები კვლავ ცდილობდნენ ხელისუფლებისათვის ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ 401 წელს დახოცეს მათი სტრატეგოსები, ხოლო ოლიგარქოსების მთავარი ნაწილი ათენში დაბრუნდა, სადაც უკვე მთლიანად აღდგენილი იყო დემოკრატიული კონსტიტუცია.

თავი მეშვიდე

ბერძნული პოლისების სამეურნეო მდგომარეობა V საუკუნეში

1. ანტიკური მეურნეობის მონათმფლობელური ხასიათი. მიწის მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნური წარმოება (ერგასტერიონები). საკრედიტო საქმე. ტრაპეზიტები. ფინანსები. საერთო მოსაზრებები

ჰართალია, V საუკუნეში მონათმფლობელობამ ძირითადად კლასიკური ხასიათი მიიღო და თავისი დაღი დაასვა ანტიკური ცხოვრების მთელ წესწყობასა და აზროვნებას, მაგრამ მონათმფლობელურ საზოგადოებებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მიეკუთვნებოდა მხოლოდ ისეთი პოლისები, სადაც განვითარებული იყო ფულადი გაცვლა-გამოცვლითი მეურნეობა. ასეთები იყვნენ, მაგალითად მილეტი. კორინთო და ათენი. მონურ წარმოებაზე საუბარი გარკვეულად შეიძლება მხოლოდ ისეთ მსხვილ სავაჭრო და სახელოსნო ცენტრების მიმართ, როგორიც იყვნენ ათენი, კორინთო, სირაკუზი, როდოსი და დელოსი. ეკონომიურად ისეთ ჩამორჩენილ მხარეებში კი, როგორც, მაგალითად, თესალიასა და მაკედონიაში, მონობამ თავისებური ხასიათი შეინარჩუნა. როგორც ვიცით, მონობის მთავარ წყაროს არაბერძნულ სახელმწიფოებთან და ტომებთან (ბარბაროსებთან) ომები წარმოადგენდა. ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომლის მიხედვით კიმონს, ევრიმედონტთან სპარსელების დამარცხების შემდგომ, 20 ათასი მონა გამოუყვანია გასაყიდად. ტყვედჩავარდნილ ადამიანებს სახელმწიფო მიჰყიდდა ხოლმე მონებით მოვაჭრეებს, რომელნიც მათ საბერძნეთში რამდენიმე ადგილას დაარსებულ მონათა ბაზრებზე მიერეკებოდნენ და, მყიდველების მიერ მათი ფიზიკური თვისებების ზუსტი შემოწმების შემდგომ, საქონელივით ჰყიდდნენ. „მონების ყიდვა და გაყიდვა თავისი ფორმით წარმოადგენს აგრეთვე საქონლის ყიდვასა და გაყიდვას“[1]. ხოლო პელოპონესის ომის დროს უკვე ტყვედ ჩავარდნილ ბერძნებსაც ჰყიდდნენ მონებად, მაგალითად, ასე გაყიდეს სირაკუზთან დამარცხებული

ათენელები. მონათა ცნობილი ბაზრები იმართებოდა ქიოსში, ეფესოში, სამოსში, დელოსში, კვიპროსში და, განსაკუთრებით, ათენში, სადაც თითქმის ყოველდღიურად ვაჭრობდნენ მონებით.

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მონების ფასი მერყეობდა მოთხოვნისა და მიწოდების და დიდი თუ ნაკლები კვალიფიკაციის მიხედვით. მონა-ხელოსნები უფრო ძვირად ფასობდნენ, მაგ., ცნობილია შემთხვევა, როცა სპილოს ძვლის ამომჭრელი 20 მონა 40 მინად გაიყიდა.

ზოგიერთი მკვლევარი მონის საიჯარო ფასს დღეში ერთ ობლად, ხოლო წლიურად 60 დრახმად ანგარიშობს[2].

მონების შვილები, როგორც თავისუფალისა და მხევლის შვილებიც იმ მონათმფლობელს ეკუთვნოდნენ, რომლის სახლში ისინი დაიბადნენ. მაგრამ, საერთოდ, დაბადებით მონები შედარებით მცირერიცხოვანი იყვნენ.

არსებობს ცნობა, რომ ძვ. წ. V საუკუნის პირველ ნახევარში ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ათენში. მოიყვანეს მონათა დიდი ჯგუფი, რომელიც 300 კაცისაგან შედგებოდა. ზოგიერთი მკვლევარი საფუძვლიანად ფიქრობს, რომ ეს მონები ათენში პერიკლეს ექსპედიციის დროს იქნენ მიყვანილი. ისინი იყვნენ სკვითები— მცველები (τοξόται). მაშასადამე, მონათმფლობელები თავიანთ მონებს არა მარტო მეურნეობაში იყენებდნენ, არამედ თავისი ბატონობის დასაცავადაც.

მონობა იმდენად ღრმად შეიჭრა ანტიკური პოლისების წესწყობაში და ისე შეეჭდო იმ დროის ადამიანთა აზროვნებას, რომ მცირე გამონაკლისის გარდა, ცნობილ და სახელმოხვეჭილ პირებსაც კი უიმისოდ ადამიანთა საზოგადოება ვერ წარმოედგინათ. ფილოსოფოსი არისტოტელეც კი (384—322) მის მიერ დახატულ იდეალურ საზოგადოებას (პოლიტიას) სოციალურად ორ არათანასწორუფლებიან და არატოლფასიან ფენად — რჩეულ სრულუფლებიან მოქალაქეებად და უუფლებო მონებად ყოფდა. მონები. მისი სიტყვით. „სულიერ იარაღს“ წარმოადგენდნენ და. ცხადია. როგორც „ნივთი“, ადამიანთა საზოგადოების წევრები ვერ იქნებოდნენ.

უფლებრივი თვალსაზრისით, მაშასადამე, მონები პიროვნებად არ ითვლებოდნენ. მონებისა და მხევლების ოჯახური ურთიერთობა ქორწინებად არ ითვლებოდა. ხოლო მხევლის შვილები მისი პატრონის კუთვნილ სანაშენოს წარმოადგენდნენ. მონა ბატონის სრულ განკარგულებაში იმყოფებოდა, ბატონს შეეძლო მისი გაყიდვა და მოკვლაც კი. მართალია, ზოგიერთ პოლისში, უფრო გვიან, ბატონის უფლება მოკვლის მხრივ შეიზღუდა. მაგრამ ფაქტიურად მონის

მკვლელი თითქმის დაუსჯელი რჩებოდა, ანდა დროებით ექსორიაში იმყოფებოდა და მოსანანიებელი მსხვერპლის შეწირვის შემდეგ ბრუნდებოდა და დაზარალებულ მონათმფლობელს „სისხლის ფასს“ უხდიდა.

პატრონის აუტანელი თვითნებობის პირობებში მონას შეეძლო „თავშესაფარის უფლებით“ ესარგებლა. ათენში, მაგ., ასეთ თავშესაფარს წარმოადგენდა თეზეიონი — ჰეფესტოს ტაძარი და ევმენიდების საკურთხეველი. ვიდრე მონა თავშესაფარში იმყოფებოდა, ის ხელშეუხებელი იყო. რა თქმა უნდა, მონას არ შეეძლო რაიმე საქმის წარმოება და მის ჩვენებას სასამართლოში მხოლოდ მაშინ ჰქონდა მნიშვნელობა, თუ წამების საშუალებით იყო მისგან მიღებული. ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა მონის ცემა და წამება: ბორკილების დადება, ვიწრო და ბნელ საკანებში მოთავსება და ა. შ. გაქცეულ მონებს შუბლზე დაღს ასვამდნენ ხოლმე.

წერილობითი ძეგლების მისედვით შედარებით უკეთეს მდგომარეობაში მონები ათენში ყოფილან.

არსებობდა მონების მრავალნაირი კატეგორია და მონობის ნაირსახეობა. იყვნენ მონები მსახურები, ხელოსნები, მასწავლებლები, ექიმები და თითქმის მოვაჭრენიც. ისინი, ასე ვთქვათ, მონების კვალიფიციურ ნაწილს შეადგენდნენ. სამაგიეროდ დიდი ფიზიკური ძალის დახარჯვასა და გამძლეობას მოითხოვდა მაღაროებსა და ტრანსპორტზე მომუშავე მონების შრომა. ასეთ მონებს აუტანელ პირობებში უხდებოდათ შრომა და არსებობა. მათ საჭმელი ისეთი რაოდენობით ეძლეოდათ, რომ შიმშილით არ დახოცილიყვნენ. ასეთი მონების გაქცევის საშუალების აღსაკვეთად მათ შებორკავდნენ ხოლმე და ისე ამუშავებდნენ.

მონების ნაწილი ზოგჯერ ბატონის სრულ ნდობას იმსახურებდნენ და მათი მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო. მათ შეეძლოთ პატრონის ნებართვით შეეძინათ მოძრავი და ზოგჯერ უძრავი ქონებაც და შეექმნათ ოჯახი. ძირითადად ასეთი მონების წრიდან გამოდიოდნენ გააზატებულები.

ზოგიერთი მონათმფლობელი ცდილობდა თითქოს მონათა შრომის ნაყოფიერების ზრდას და ამით ზედმეტი პროდუქტების წარმოებას, რისთვისაც მიმართავდა წახალისების ზოგიერთ საშუალებას: გულმოდგინე და მორჩილ მონებსა და მხევლებს უკეთეს საჭმელს, ტანისამოსსა და ფეხსაცმელს აძლევდა და შექებითა და სხვებთან განსხვავებული მოპყრობით აქეზებდა. ისტორიკოსი ქსენოფონტე ასეთ ცდებს შემდეგი სიტყვებით აღნიშნავს (Oecon., XIII, 12); „მე თვითონ არასოდეს დავუშვებ, რომ ჩემთან უკეთესნი ცუდებთან თა-

ბაბარ ნაწილს იღებდნენ. ჩემს მოურავებს მე ისე ვექცევი, რომ, როცა ისინი ღირსეულთ საუკეთესოს აძლევენ, მათ ვაქებ, მაგრამ თუ შევნიშნავ მოურავის მხრივ ვისიმე განებივრებას პირფერობისათვის თუ სხვა უსარგებლო დათმობას, ამას უყურადღებოდ არ ვტოვებ და საყვედურს ვუცხადებ და ვცდილობ დავუმტკიცო, რომ ის თითქმის თავის საზიანოდაც კი მოქმედებს".

თავისებური იყო ოჯახის მონა-მსახურების მდგომარეობა. მდიდარ ოჯახებში მონების სათავეში იდგა პატრონის ნდობით აღჭურვილი მონა-ზედამხედველი, რომელიც ხშირად უფრო დაუნდობელი იყო მის მსგავს არსებათა მიმართ, ვიდრე თვითონ ბატონი. სახლიდან გამოსულ ბატონებს — ვაჟსა თუ ქალს თან ახლდნენ მონები და მხევლები. მონა-აღმზრდელი თან დაჰყვებოდა ხოლმე ბატონის შვილებს სკოლაში და მიჰქონდა მისი ნივთები. ამასთან ერთად, ოჯახში მომუშავე მხევლები ართავდნენ და ქსოვდნენ როგორც ოჯახის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე ნამეტის ბაზარზე გასაყიდად.

მხევლებისაგან გამოჰყავდათ აგრეთვე მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დამკვრელები, მოცეკვავენი და მეძავები.

პატრონის სახლში მცხოვრები მონების ნაწილი ბაზრისათვის ამზადებდა გასასყიდ საგნებს, ნაწილიც მოკლევადიანი დაქირავებით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობდა. ამათ გარდა, მონა-ხელოსნების და მოვაჭრეების ისეთი პრივილეგიური კატეგორიაც არსებობდა, რომელიც პატრონისაგან ცალკე ცხოვრობდა და მას განსაზღვრულ სასყიდელს უხდიდა. ამ კატეგორიის მონებს „ცალკე მცხოვრები მონები" ეწოდებოდათ.

გარდა კერძო პირთა მონებისა, არსებობდნენ სახელმწიფო მონებიც, რომლებიც გაცილებით უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ, ვიდრე ჩვეულებრივი მონები. სახელმწიფო მონა კანონის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა და, თუ მას შეურაცხყოფას მიაყენებდა ვინმე, მის დასაცავად სასამართლოში გამოდიოდა ის თავისუფალი მოქალაქე, რომელიც მის მფარველად ითვლებოდა. თუ სახელმწიფო მონას რაიმე დანაშაულს დააბრალებდნენ, მას შეეძლო თავდასაცავად პირადად გამოსულიყო სასამართლოში; განაჩენის სისრულეში მოყვანას სახელმწიფო ორგანოები ასრულებდნენ. ჩვეულებრივად სახელმწიფო მონა სახელმწიფო არქივის მდივნის თანამდებობას ასრულებდა და ასეთი მდივანი არამცთუ იცავდა სახელმწიფო კანონებს, არამედ კარგად იცნობდა მათ და საჭიროების შემთხვევაში შეეძლო მოთხოვნილი ცნობების გაცემაც.

როგორც ვთქვით, ათენში ჩვეულებრივად მონა-სკვითებისაგან

ქმნიდნენ წესრიგის დამცველ შეიარაღებულ რაზმებს. ისინი თავდა-პირველად კარვებში ბინადრობდნენ ათენის აგორაზე, მერმინდელ დროს კი — არეოპაგის ტერიტორიაზე, მათი რიცხვი 300-დან თანდათან 1200-მდე ასულა. ათენში სატუსაღოს ზემდგომის მოვალეობასაც სახელმწიფო მონები ასრულებდნენ. ისინი აწამებდნენ პატიმრებს, ხოლო ერთ მათგანს სისრულეში მოყავდა სასიკვდილო განაჩენები.

სახელმწიფო მონებსვე ეკუთვნოდნენ ათენში მონა-მუშები, რომლებიც საზოგადოებრივ მშენებლობაში მონაწილეობდნენ. ზოგჯერ მონებს ფლოტში მენიჩბეებად და ჰეზღვაურებად იყენებდნენ. განსაკუთრებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ის მონები, რომლებიც მაცნეს, მწერლის, მდივნისა და მოანგარიშის თანამდებობას ასრულებდნენ.

რა პირობებში შეიძლებოდა მონის განთავისუფლება? თუ თვითონ თავს გამოისყიდდა, თუ მისი პატრონი განთავისუფლების ანდერძს დატოვებდა, ანდა თუ პატრონის მიერ მონის განთავისუფლების შესახებ სპეციალური აქტი არსებობდა. ბერძენთა პოლისების ცხოვრებაში ყოფილა ისეთი სამხედრო დაძაბულობის მომენტები, როცა თვითონ სახელმწიფოს საჭიროდ დაუნახავს მონების განთავისუფლება და მეომრებად გამოყენება. განთავისუფლებული მონები ამ შემთხვევაში მეტეკებს უერთდებოდნენ და იხდიდნენ გადასახადს 3 ობოლის რაოდენობით. ასე, მაგ., ათენელები პელოპონესის ომის ერთ საბედისწერო მომენტში იძულებული იყვნენ, დიოდორეს სიტყვით (VIII, 97), მოქალაქეობრივი უფლებები მიენიჭებიათ იმ მეტეკებისა და უცხოელებისათვის, რომლებიც ჯარის რიგებში შესვლას მოისურვებდნენ; ქსენოფონტე კი გვარწმუნებს, რომ გემთა ეკიპაჟი შედგებოდა ათენის მთელი მოზრდილი მოსახლეობისაგან, როგორც თავისუფლებისაგან, ისე მონებისაგანო (I, 6, 24). მონების გემების შემადგენლობაში შეყვანა კი თავისთავად მათთვის თავისუფლებისა და მოქალაქეობრივი უფლებების მინიჭებას გულისხმობს. არგინუსთან ბრძოლაში მონაწილე მონები იურიდიულად პლატეებთან/გაუთანაბრებიათ, რასაც არისტოფანე აღშფოთებით აღნიშნავს (კომედიაში — „ბაყაყები"): „სირცხვილი და თავის მოჭრა! თქვენ მონები, რომლებიც ბრძოლაში მხოლოდ ერთხელ მონაწილეობენ, როგორც კეთილშობილი პლატეელები ბატონებამდე აიყვანეთ" („Древняя Греция", გვ. 340). მაგრამ განთავისუფლების შემდეგაც მონას მაინც ევალებოდა ზოგიერთი მოვალეობის შესრულება პატრონის და ზოგჯერ მისი შთამომავლობის მიმართ[3].

რა თქმა უნდა, მონების ძირითადი მასა თავის პირუტყვულ მდგო-

მარეობას ვერ ურიგდებოდა და არაადამიანურ პირობებში არსებობას გაქცევას ამჯობინებდა. განსაკუთრებით ფართო ხასიათს იღებდა მონების გაქცევა ომის დროს. მონათმფლობელები თავის მხრივ ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ, რათა მონებისათვის გაქცევის საშუალება მოესპოთ. ერთი მხრივ, მათ ბორკავდნენ. სოლო, მეორე მხრივ, ურთიერთშორის ხელშეკრულებას დებდნენ გაქცეული მონების წინააღმდეგ საერთო ზომების მიღების შესახებ. ამას გარდა, ცალკეულ პოლისებში ქმნიდნენ სამძებრო ორგანიზაციებს გაქცეულ მონათა წინააღმდეგ ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო ქალაქის ადგილობრივი ადმინისტრაცია, არამედ მაძებართა კერძო კანტორებიც, რომლებიც საამისო „შეკვეთებს" ასრულებდნენ. ქსენოფონტეს გადმოცემული აქვს შემდეგი საყურადღებო საუბარი:

„მითხარი, დიოდორე, თუ შენგან მსახური გაიქცეა, შენ ძიელებ ზომებს მის დასაბრუნებლად?

დიახ, ვფიცავ ზეუსს, უპასუხებდა დიოდორე, მე თითქმის სხვების დახმარებასაც მივმართავ და ჯილდოს გამოვაცხადებ მისი დაბრუნებისთვის"[1].

როგორც ნათქვამი იყო, გაქცეული მონის თავშესაფრად ძველ საბერძნეთში ითვლებოდა მხოლოდ რამდენიმე ტაძარი: ეგრეთ წოდებული თეზეიონი ათენში, აპოლონის ტაძარი დელფოში, ტაძარი კრეტის ქალაქ გორტინაში და ზოგიერთი სხვა. მართალია, ამ ტაძრებში თავშეფარებული მონების ძალით გაყვანა არ შეიძლებოდა, მაგრამ როგორც შიმშილს, ისე ქურუმების თვითნებობას შეეძლო აეძულებინა ისინი, მიეტოვებინათ თავშესაფარი. გარეთ კი მათ უცდიდნენ მაძებარნი, რომლებიც გაქცეულ მონებს ძალით უბრუნებდნენ პატრონებს. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მხოლოდ გორტინის სამართლის წიგნშია გათვალისწინებული პირობები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ტაძრებში თავშეფარებული მონებისადმი ქურუმების დამოკიდებულებასა და თვითნებობის აღკვეთას.

მონათა ბრძოლის პასიური ფორმიდან აქტიურზე გადასვლა უკვე მათი პირდაპირი ამბოხების ხასიათს იღებს, რაზედაც საუბარი სხვა ადგილას გვექნება.

იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორი იყო ძველი საბერძნეთის მეურნეობაში მონური შრომის გამოყენების ხასიათი, საჭიროა გავეცნოთ V—IV საუკუნეების ბერძნული პოლისების მეურნეობის ზოგად სურათს. დავიწყოთ მ ი წ ი ს მ ე უ რ ნ ე ო ბ ი დ ა ნ.

მონების ფართო გამოყენება საბერძნეთის სოფლის მეურნეობაში ვითარდება უმთავრესად საბაღო და ბოსტნეულ კულტურებზე გადასვლის დროიდან. კერძოდ, ათენში ამას ადგილი ჰქონდა ძვ-

წ. VI საუკუნეში, სოლონისა და კლისთენის დროს. მონები მაშინ შედარებით ძვირად არ ფასობდნენ და მათ შორის იყვნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მაგრამ ცალკეულ მეურნეობებში მომუშავე მონათა რიცხვი არც ისე დიდი იყო. არსებობს ცნობა, რომ ატიკაში სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 16.000-მდე მონა. სპეციალურმა ნარკვევებმა ცხადყო, რომ საბერძნეთის კლასიკურ პერიოდში გლეხური მოსახლეობა ჯერ კიდევ მყარი და საკმაოდ ხშირი იყო[5]. ხოლო არისტოფანემ ფართოდ დაგვიხასიათა ატიკის გლეხობის განწყობილება და იდეალები პელოპონესის ომის პროცესში და მის შემდგომ. როცა გლეხური მეურნეობა ატიკაში უკვე ფართო რღვევას განიცდიდა. ათენში წვრილი და საშუალო მიწათმფლობელობის შენახვის ერთ-ერთი საშუალებათაგანი იყო კლერუქების გადაყვანა და ამით, ერთი მხრივ, ატიკის მოსახლეობის უღატაკესი ნაწილის შემცირება და, მეორე მხრივ, მოკავშირეებზე მათი დახმარებით პოლიტიკური და სამხედრო კონტროლის განმტკიცება.

არ შეიძლება უგულვებელვყოთ ის პროცესიც, რომელიც მონური შრომის გაფართოებასა და ვაჭრობის განვითარებასთან დაკავშირებით მიწათმოქმედების დარგშიც გვევლინება.

მონური შრომის ფართოდ გამოყენებამ, ვაჭრობის განვითარებამ და ფულის გავრცელებამ ღრმა და არსებითი გავლენა მოახდინა საბერძნეთის პოლისების სასოფლო მეურნეობაზე, მიწის მეურნეთა სხვადასხვა ფენების მდგომარეობასა და ურთიერთობაზე. ამ მიმართულებით. უწინარეს ყოვლისა, უნდა მოვიგონოთ ის ფაქტი, რომ ახალ სამეურნეო ვითარებას აღარ ეგუებოდა მიწის გასხვისების შეზღუდვა. ამიტომ წარმოიშვა აუცილებლობა ასეთი მოვლენის დამაბრკოლებელი პირობების შემცირებისა. და არა მარტო ათენში და მის მოკავშირე ქალაქებში, არამედ, საერთოდ, საბერძნეთის სხვა ნაწილებშიც, სპარტისა და თესალიის ტიპის მიწის მეურნეობის მხარეების გამოკლებით. კლასიკურ ეპოქაში მიწის გასხვისების შემზღუდველი პირობები და კერძოდ გვარის წევრების მიერ გამოსყიდვის უფლება შემცირდა. პელოპონესის ომის შემდგომ ამ მოვლენასთან დაკავშირებით ბერძნულ პოლისებში თავი იჩინა მიწის მფლობელობის ოდენობის გადიდების შესაძლებლობამ[6]. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი მამულების უშუალო კონცენტრაციას იწვევდა. მსხვილ სავაჭრო ცენტრებში, როგორიც იყო, მაგ., კორინთო და ათენი, არ გვხვდება მიწების მაინცადამაინც მნიშვნელოვანი კონცენტრაცია, რადგან აქ თავისუფალი ფულადი თანხები უფრო სავაჭრო ოპერაციებს ხმარდებოდა, ვიდრე მამულების შეძენას. მიუხედავად ამისა, ატიკაშიც ვამჩნევთ მამულების კონცენტრა-

ციისა და უფრო მსხვილ სასოფლო მეურნეობათა შექმნის ერთგვარ ტენდენციას[7].

განსაკუთრებულ მაგალითს მიწათმოქმედი მეურნეობისას, რომელიც მხოლოდ ბაზართან იყო დაკავშირებული, წარმოადგენდა პერიკლეს მეურნეობა. პლუტარქეს სიტყვით, პერიკლე მთლიანად ყიდდა წლიურ მოსავალს და შემდეგ ბაზარზე ყიდულობდა ყველა საჭირო პროდუქტს. მაგრამ ათენში საერთოდ ადგილობრივი პირობების მიხედვით მიწის კონცენტრაცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც იყო მნიშვნელოვანი. პირიქით, უფრო დამახასიათებელი იყო მამულების დაქუცმაცების და მიწის წვრილი საკუთრების გავრცელების პროცესი. სპარტასა და ათენს შორის ჰეგემონიისათვის ბრძოლის დროს ერთ ტალანტად ღირებული მიწა უკვე დიდ მამულად ითვლებოდა.

ამას გარდა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბერძნეთის ნიადაგი, ზოგიერთი მხარის, მაგ.. თესალიის, ბეოტიის, მესენიის და სხვა, გამოკლებით, უმეტესად მწირი და მოუსავლიანი იყო. ამის მიხედვით მიწის მეურნეობა ასეთ ადგილებში ყველაზე ნაკლებ შემოსავლიანი იყო და წლიურად 8%, უფრო იშვიათ შემთხვევაში 12 % იძლეოდა. ამიტომ საბერძნეთის იმ სახელმწიფოების, რომელთაც საკუთარი პური არ ჰყოფნიდა, მთავარ საზრუნავ საგანს სხვა მოსავლიანი მხარეებიდან საჭირო ხორბლეულის შემოტანა წარმოადგენდა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას საბერძნეთის ისეთ ნაწილზე, როგორიც იყო ატიკა. ჩვენ ვიცით, რომ ატიკას ახასიათებდა მიწის სივიწროვე და ნიადაგის სიმწირე. მაგრამ, მიუხედავად ასეთი პირობებისა, როგორც აქ, ისე საბერძნეთის სხვა მხარეებში მიწის დამუშავებას თვალსაჩინო და ერთ დროს გაბატონებული ადგილი ეკავა. ქსენოფონტე იმავე ისქომაქოსის პირით გადმოგვცემს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესების ცდებს. მისი სიტყვით, იმაზე უკეთესი არა არის რა, როგორც მიწა, რომელიც გავერანებული მდგომარეობიდან უაღრესად ნაყოფიერი ხდება, და რომ მიღებული ღონისძიებით მიწის მრავალი ნაკვეთის ფასი თავდაპირველზე გაცილებით უფრო დიდი გახდაო.

V საუკუნის დასასრულს და IV საუკუნეში მიწის მეურნეობა საბერძნეთის ზოგიერთ ნაწილებში, მათ შორის ატიკაშიც, დაქვეითებისა და შემცირების ნიშნებს ააშკარავებს. ამასთან ერთად ადგილობრივი პური კონკურენციას ვერ უწევს იმ იაფ ხორბლეულს, რომელსაც უხვად მიეზიდებოდნენ საბერძნეთში სიცილიიდან, ეგვიპტიდან და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან. ეს გარემოება კი ხელს უშლიდა საბერძნეთში სოფლის მეურნეობის კრიზისის შენელებას. ასეთი

პირობების გამო დამუშავებული ნაწილების ფართობი მცირდებოდა და მოსახლეობის პურით დაკმაყოფილების საკითხი რთულდებოდა. ატიკაში, მაგ., ადგილობრივად მოდიოდა დაახლოებით 400.000 მედიმნი პური, ხოლო შემოჰქონდათ 800.000 მედიმნი (დაახ. 1,800.000 ფუთი). მართალია, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ შემოტანილი პური რჩებოდა არა მარტო ატიკაში, არამედ იგი საბერძნეთის სხვა მხარეებშიც გადაჰქონდათ. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირეს, პურის ეს რაოდენობა უმნიშვნელოდ არ ჩაითვლება. თუ რა ფართო ხასიათი მიიღო პურით სპეკულაციამ, განსაკუთრებით ომის პერიოდში, ამაზე ლაპარაკი სხვა ადგილას გვექნება.

მიწის დამუშავების შემცირებასთან ერთად ფართოვდება სხვადასხვა სასარგებლო მცენარეების კულტურები, რომელთაც უფრო ნაყოფიერად შეეძლოთ აენაზღაურებინათ გაწეული შრომა. რაც შეიძლება მეტი მოგების მოპოვების მიზნით, მიწის მესაკუთრენი ატიკაში ცდილობდნენ პურის კულტურის შემცირებით ეგრეთ წოდებული სავაჭრო მცენარეების კულტურის გაფართოვებას, ვინაიდან უკანასკნელი უფრო დიდ შემოსავალს იძლეოდა და უფრო კარგადაც იზრდებოდა ატიკის ნიადაგზე[9]. ეს მცენარეები იყო, უწინარეს ყოვლისა, ზეთისხილისა და ლეღვის ხეები და ვენახები. ზეთისხილი წარმოადგენდა მასობრივი მოხმარების პროდუქტს და იმავე დროს საექსპორტო საგანსაც. იმ დროის ამფორებზე ხშირად გვხვდება ზეთისხილის მოკრეფის სურათი შემდეგი წარწერით: „მამა ზევსო, მომანიჭე მე გამდიდრება!“ ხოლო მოკრეფის შემდგომ — „უკვე, უკვე აივსო!“ მათზე გამოხატულია ყმაწვილი, რომელიც ავსებულ ჭურჭელზე მიუთითებს და ითვლის მოსალოდნელ შემოსავალს[10].

სოფლის ეკონომიური ცხოვრების შეცვლასთან დაკავშირებით ღრმა ცვლილება უნდა განეცადა სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ურთიერთობასაც. მიწის მეპატრონეებს ახალ პირობებში უფრო ხელსაყრელად მიაჩნდათ მონების საშუალებით დაემუშავებინათ თავისი მამულები და გაეფართოვებინათ და გაევრცელებინათ ვენახები და ზეთის ხილის ბაღები, რომლებიც მათ უფრო მეტ შემოსავალს აძლევდა. ამიტომ ასეთი პირები შედარებით იშვიათ შემთხვევაში მიმართავდნენ მიწის იჯარით გაცემას. ჩვენთვის ცნობილ საიჯარო ხელშეკრულებათა უმეტეს ნაწილში მოხსენებულია უფრო საზოგადოებრივი და ტაძრის მამულები. ამას გარდა, როგორც ჩანს, გართულდა საიჯარო პირობებიც; ზოგიერთ ხელშეკრულებაში აუცილებელ პირობად არის დადებული მოიჯარის მიერ საკმაოდ მძი-

მე ვალდებულებების შესრულება, მაგ., ჭაობის ამოშრობა, ვენახებისა და ზეთის ხილის ბაღების გაშენება და სხვ. ყოველივე ეს კარგად აღემატებოდა წვრილი მოიჯარის ძალას[11] და, მაშასადამე, ერთგვარად საშუალებას უსპობდა მას მიწის იჯარით აღებისა და დამუშავებისას.

თუ მიწის მეურნეობა V—IV საუკუნეებში საბერძნეთში შედარებით დაქვეითებას განიცდიდა, სამაგიეროდ მის ცალკეულ მხარეებში სხვადასხვა ხელსაყრელი პირობის გამო შედარებით დიდ საფეხურს აღწევს ვაჭრობა-წარმოების განვითარება. ჩვენ ვიცით, რომ უკვე VII საუკუნიდან დაწყებული საბერძნეთის საზღვაო ვაჭრობა მალე გაიზარდა და ფართო კოლონიზაციის გავლენით გავრცელების დიდი ასპარეზი მოიპოვა. მაგრამ, თუ ბერძნული საგარეო ვაჭრობა უმეტესად საშუამავლო ხასიათს ატარებდა, ე. ი. გასასყიდად მიეზიდებოდა სხვადასხვა ქვეყნის პროდუქტებს და არა საკუთარი წარმოება-ხელოსნობის ნაწარმს, უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი როლით, თავისი ქვეყნიდან მხოლოდ ნედლეულისა და მიწის მეურნეობის პროდუქტების გატანით, ბერძნული ქალაქები ბოლომდე ვერ დაკმაყოფილდებოდნენ და ამიტომ მათ საკუთარი წარმოებაც უნდა განევითარებინათ. და მართლაც, ღარიბი მიწის მეურნეობის მხარიდან საბერძნეთი V საუკუნის ნახევრისათვის თავისი დროის მოწინავე სამრეწველო ქვეყნად გადაიქცა[12]. ედ. მაიერის სიტყვით, „საბერძნეთი პატარა იყო სივრცით, ხოლო ბუნებით ღარიბი და მწირი. ამიტომ ბუნების ნაწარმოები მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა იმ საქონლისას, რომელსაც საზღვარგარეთ ეზიდებოდნენ; ზეთი გაჰქონდათ ატიკიდან, ღვინო — ქიოსიდან, ლესბოსიდან და თასოსიდან. მიწის პროდუქტები — მეგარიდან და ბეოტიიდან. ძოწეული—კითერიდან... სპილენძს ეზიდებოდნენ ევბეასა და კვიპროსიდან, ვერცხლს — ატიკის ლავრეიონის მაღაროებიდან. ოქროს — თასოსიდან და მის გასწვრივ ეზიდული პანგეიონის მთებიდან, რკინას — ლაკონიკიდან და სხვ. გაცილებით უფრო მეტი იყო ხელოსნური ნაწარმები: საბერძნეთში ამ დროს განვითარებულა ისეთი წარმოება, რომელიც უმთავრესად საქონლის გარეთ გატანაზე მუშაობს. მაგალითად, მილეტის მცხოვრებლები მეტწილად შალეულობასა და ძოწეულ ტანისამოსს ამზადებენ და ხალიჩებსა ქსოვენ; მათ საკმაო მეტოქეობას უწევენ ქიოსი და სამოსი. ლითონის საგნებით, იარაღით, ჭურჭლით და მრავალნაირი სამკაულით უფრო განთქმული არიან კორინთო, ქალკიდა და არგოსი; კირენაში, თებეში და სიცილიაში საუკეთესო ეტლებს ამზადებდნენ; ეგინა კი ქმნიდა უმთავრესად საწვრილმანო და ძვირფას საქონელს, ნაირნაირ

საცხებელსა და მრავალ სხვას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თიხის ნაწარმს, მეტადრე ვაზებს, რომელთაც თავდაპირველად გეომეტრიული ხაზებით ანდა მცენარისეულ ორნამენტით ლამაზად კაზმავდნენ, ხოლო შემდგომში ყოფა-ცხოვრებისა და მითოლოგიიდან აღებული სცენებით ამკობდნენ და ალამაზებდნენ... საბერძნეთის ყველა მსხვილ ცენტრში ვითარდება თიხის ადგილობრივი წარმოება, სამკაულ-კაზმვის ადგილობრივი სტილი, და ყველა ასეთი ცენტრი ცდილობს, რაც შეიძლება, ბევრ ადგილას უშოვოს თავის საქონელს გასავალი... პირველი ადგილი ეკუთვნის ქალკიდასა და კორინთოს, რომლებიც თიხის ჭურჭელს მთელი იტალიისა და სიცილიისათვის ამზადებდნენ. მეექვსე საუკუნის დასაწყისიდან თანდათან იზრდება ათენის კონკურენცია და იმის წყალობით, რომ ათენში დამზადებული საქონელი უკეთესი იყო და ვაზებსაც უფრო ნიჭიერი ხელოსნები კაზმავდნენ და აფერადებდნენ, ათენი ამარცხებს თავის უფროს მეტოქეებს[13].... მაგრამ, როგორც ვიცით, ათენი თიხის წარმოებაზე არ შეჩერებულა და ხელსაყრელი პირობების გამო აჩქარებული ტემპით ავითარებდა თავის ეაჭრობა-ხელოსნობას. როგორც დავინახეთ, უკვე V საუკუნის პირველ ნახევარში ათენი გახდა „შუამავალი ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაპირებს შორის, სავაჭრო ცენტრი, მთავარი საწყობი ადგილი ბერძნული სამყაროსი. უმდიდრესი და ჩრავალრიცხოვანი მოსახლეობის შემცველი ქალაქი, ხოლო პირეუსი ყველაზე უფრო გაცხოველებული ნავსადგური, სადაც თავს იყრიდა ყოველი მხრიდან გემები და სადაც, ორატორ ისოკრატეს სიტყვით, ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა"[14]. თუკიდიდეს გადმოცემით (II, 38), პერიკლე ხაზს უსვამდა იმ გარემოებას. რომ ათენში დედამიწის ყოველი მხრიდან მოდიოდა სხვადასხვა პროდუქტი, ხოლო ფსევდოქსენოფონტეს ტრაქტატის ავტორი გარკვეეით აღნიშნავს (II, 7): „ყველაფერი, რაც კი რჩეულია სიცილიაში. ქვემო იტალიაში, კვიპროსზე, ეგვიპტეში, ლიდიასა და პონტში, ან პელოპონესში, ან სხვა რომელსამე ადგილას, სულ ათენში მოდის მისი ზღვაზე ბატონობის წყალობით".

პელოპონესის ომის დროს საბერძნეთმა საერთოდ დიდი ნივთიერი ზარალი განიცადა; ხანგრძლივმა ომმა, რომელიც არსებითად შინაური სამოქალაქო ომის ხასიათს ატარებდა, ღრმა ეკონომიური დაქვეითების კვალი დაჩნია ბერძენთა სახელმწიფოებს. ყველაზე მეტად კი ათენი დაზარალდა, რომლის მოქალაქეების რიცხვი ომის გამო თითქმის განახევრდა; ატიკა განადგურებული იყო, მიწის მეურნეობა, წარმოება და ვაჭრობა დაცემის გზაზე იდგა, სახელმწიფო ხაზინა დაცარიელდა, დელოსის კავშირი აღარ არსებობდა, აღარც ფო-

როსი და არც გადასახადები; ათენელებმა დაკარგეს თავისი სამფლობელო ატიკის გარეშე. მიუხედავად ყოველივე ამისა, ათენელებმა თანდათანობით შეძლეს იმდენად განმტკიცებინათ სახელმწიფოს პოლიტიკური და ნივთიერი მდგომარეობა, რომ ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის დაპყრობამდე ათენმა მაინც შეინარჩუნა ბერძენთა სამყაროს სავაჭრო-საწარმოო ცენტრის ადგილი. ამას გარდა, იგი ეკონომიურად იმდენად მოღონიერდა, რომ შეძლო წარმოების გაფართოება და დაკარგული სავაჭრო პუნქტების ნაწილობრივად მაინც აღდგენა. ჩვენ მოგვეპოვება ფრიად საყურადღებო ცნობა, თუ საქონლის რამდენად თვალსაჩინო ტრიალი წარმოებდა პირეუსის ნავსადგურში V საუკუნის დასასრულს. ლაპარაკია ანდოკიდეს სიტყვაზე[15], რომელშიც იგი თავის თავს დიდ დამსახურებად უთვლის, რომ 400/399 წ. 31 ტალანტად შეისყიდა ბაჟი, რომელსაც ყველა შემოტანილ და გატანილ საქონელზე პირეუსის ნავსადგურში ახდევინებდნენ მაშინ, როდესაც ერთი წლის წინათ იგი 30 ტალანტად იყო სხვა პირის მიერ შესყიდული. ბაჟი უდრიდა საქონლის ღირებულების $^1/_{60}$-ს (πεντηκοστή).

მაშასადამე, მარტო ანდოკიდეს მიერ გაღებული თანხა რომ მივიღოთ მხედველობაში, პირეუსის წლიური სავაჭრო ტრიალი 1800 ტალანტად უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო თუ მას მივუმატებთ ბაჟის შეგროვებაზე გაწეულ ხარჯებს, აგრეთვე თვით ანდოკიდეს მოგებას, იგი დაახლოებით 2000 ტალანტს უნდა აღემატებოდეს. პროფ. ბ ე ლ ო ხ ი ს აზრით, ეს თანხა 11 მილიონ ოქროს მარკას უდრის. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმ დროს ფული სამჯერ მეტს ფასობდა, მაშინ 33—40 მილიონ მარკასაცო[10]. საერთოდ, ეს ხანა ათენის მეურნეობისა და საზღვაო ძლიერების დაქვეითების პერიოდი იყო და ამ დროს პირეუსის წლიური სავაჭრო ტრიალი უეჭველად თვალსაჩინოა. მაგრამ საკითხს სხვაგვარად უდგება კ ა რ ლ ბ ი უ ხ ე რ ი. ის დარწმუნებულია, რომ პირეუსის სავაჭრო ტრიალის უმთავრეს საგანს მონები შეადგენდნენ. მისი გამოანგარიშებით ატიკის მონებში ყოველწლიურად სიკვდილის 7900 შემთხვევა იყო ჩვეულებრივი, ხოლო ყოველწლიური მოთხოვნილება ახალი მონებისა 6000 უდრიდა. ამას გარდა, უცხოელები ყოველწლიურად ათენის ბაზარზე 2000 მონას ყიდულობდნენ და ამ მონებზე ათენელებს ორმაგ ბაჟს იღებდნენ — შემოყვანისა და გაყვანის დროს. რასაკვირველია, ორივე ეს რიცხვი სრულებით არ არის დამყარებული რაიმე საბუთზე ან საფუძვლიან მოსაზრებაზე. მაგრამ გაცილებით უფრო ხელოვნური და, შეიძლება ითქვას, დაუჯერებელია ბიუხერის ის მსჯელობა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ბაჟის უმეტესი ნაწი—

ლი იმ მონებზე მოდის. რომლებიც მოგზაურ ბატონებს თითქოს თან ასლდნენ ატიკაში მისვლისას. ბიუხერი ითვალისწინებს თანამედროვე შვეიცარიაში ყოველწლიურად მიმავალი ტურისტების საერთო რიცხვს. ამცირებს მას 10-ჯერ, ყოველ ძველ 5 ტურისტზე 2 მონას გულისხმობს და ასეთი. მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური მსჯელობის შედეგად იღებს 20—24 ათას მონას, რომლებზედაც თითქოს ბაჟს იხდიდნენ როგორც პირეუსის ნავსადგურში შესვლისას, ისე უკან დაბრუნებისას. ერთი სიტყვით. ანდოკიდეს მიერ აღნიშნული ბაჟი მხოლოდ მონებისაგან გროვდებოდა და სხვა არავითარი ვაჭრობა აქ თითქმის არ წარმოებდა. ათენი იყო არა სავაჭრო ქალაქი. არამედ მონებისა და ხელოვნების ცენტრი. რომელიც საბერძნეთის ყოველი მხრიდან იზიდავდა ტურისტებს[17]. ბიუხერის მსჯელობა მოკლებულია საფუძველს და აშკარა ხელოვნური კომბინაციების ხასიათს ატარებს.

მეორე მხრივ. უდავოდ ცალმხრივია ანტიკური ისტორიის ცნობილი მკვლევარის ბ ე ლ ო ხ ი ს დასკვნებიც. იგი პირეუსის ხსენებული სავაჭრო ტრიალის საერთო ჯამს ჰყოფს ატიკის იმ დროის მოსახლეობის რიცხვზე (რომელიც მისი გამოანგარიშებით დაახ. 140.000 უდრიდა) და თითოეულ სულზე იღებს 220—270 მარკას; ამ უკანასკნელს ადარებს 1890 წელს გერმანიისა და დანიის ვაჭრობის ანალოგიურ ცნობებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ატიკის სავაჭრო ტრიალი სულადობაზე ანგარიშის მიხედვით უდრიდა თანამედროვე დანიისას და აღემატებოდა გერმანიისას. ცხადია, შედარების ასეთი მეთოდი თავისთავად არ არის სწორი და მისი გამოყენებაც მიზანშეუწონელია. ამას გარდა. პირეუსის ნავსადგურს მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო ტრიალის მხრივ არა მარტო ატიკისათვის, არამედ ხმელთაშუა ზღვის მთავარი ნაწილისათვის. ამიტომ. სხვა რომ არა იყოს რა. საერთო ჯამის მარტო ატიკის მოსახლეობის რიცხვზე გაყოფა სამართლიანად ვერ ჩაითვლება.

ბერძნულ სახელოსნოებში ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა თავისუფალი შრომის მოხმარებას, ამიტომ საბერძნეთის ქალაქები სავსე იყო ხელოსნებით. რომლებიც სამუშაოს ეძებდნენ თავისი პროფესიის მიხედვით. სხვა ადგილას უკვე იყო ნათქვამი. რომ კერძოდ ათენში ფართოდ იყო წარმოდგენილი სხვადასხვა დარგის ხელოსნობა და რომ ცალკე დარგებისათვის არსებობდა სპეციალური ქუჩები. როგორც აღნიშნული იყო, ეს ფაქტი თავისთავად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ იგი ხელოსანთა წარმომადგენლებს შორის ერთგვარი კავშირის არსებობაზე მიგვითითებს. ჩვენ საკმაო ცნობები მოგვეპოვება იმის გასათვალისწინებლად. თუ

ერა თვალსაჩინო საფეხურს მიაღწია ომის პროცესში ხელოსნების შრომის გამოყენებამ. ქსენოფონტე, მაგ., გადმოგვცემს. რომ ქალაქ ეფესოში ყველანი იარაღის შეწზადებაზე მუშაობენ — მექვაბეებიც. დურგლებიც, ნალბანდებიც, მეტყაველებიც და მხატვრებიც; ისე რომ მთელი ქალაქი სამხედრო სახელოსნოდ შეგვიძლია ჩავთვალოთო (Hellen. III, 4. 17). მეორე ადგილას იგი ხაზგასმით აღნიშნავს ქალაქებში სპეციალიზაციის განვითარებას: „მცირედ დასახლებულ ადგილებში ერთი და იგივე ადამიანი აკეთებს საწოლს, კარებს, საჯნისს, მაგიდას, ხშირად იგივე აშენებს სახლებს და კმაყოფილია, თუ ასეთი გზით შეუძლია თავის გამოკვება... პირიქით, დიდ ქალაქებში, სადაც ბევრს ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს, ერთი რეწვაც საკმარისია ადამიანის არსებობისათვის. ეს კიდევ ცოტაა, მრავალ შემთხვევაში იგი მისდევს ამ ხელოსნობას არა მთლიანად: ერთი კმაყოფილდება მამაკაცის, ხოლო მეორე დედაკაცის ფეხსაცმლის შემზადებით; ერთი ცხოვრობს მხოლოდ ფეხსაცმელის შეკერვით, მეორე ტყავის დაჭრით; ერთი ჭრის ტანსაცმელს, მეორე მის არც ერთ ნაწილს არ ამზადებს, არამედ აერთებს ყველა ნაწილს და იმის მეოხებით, რომ თითოეულს აღებული აქვს ერთი გარკვეული სამუშაო, იგი მას საუკეთესოდ ასრულებს“ (Kyropaed. VIII, 2,5). ამ და სხვა ასეთი ცნობების მიხედვით პროფ. კ უ ლ ი შ ე რ ი სამართლიანად დაასკვნის[18]: „ჩვენ წინაა ხელობის ორგვარი დანაწილება. ერთის მხრივ, წინანდელი ერთიანი რეწვა იყოფა სხვადასხვა სპეციალობად, ცალკეულ დამოუკიდებელ ხელოსნებად, რის მიხედვით თითოეული ამზადებს გარკვეულ საგნებს, მხოლოდ უკვე თავიდან ბოლომდე, როგორც იქ, სადაც ლაპარაკი იარაღის დამამზადებელ რეწვაზე იყო, ერთი სჭედს ხმლებს, მეორე ფარებს, მესამე აბჯრებს, მეოთხე ჩაჩქნებს. მაგრამ საქმე იმით არ ამოიწურება, რომ ერთი ხელოსანი მამაკაცის, მეორე დედაკაცის ფესაცმელებს კერავს; თვით სანდალსაც იგი მთლიანად კი არ ამზადებს, არამედ სამუშაო რამდენსამე პირს შორის არის განაწილებული... ასე რომ სპეციალიზაციასთან ერთად გვევლინება წარმოების პროცესის განწევრება, შრომის სიგრძივ დანაწილებასთან ერთად ჩნდება მისი გარდიგარდმო დანაწილებაც. ერთი მეორეს ავსებს“...

მაგრამ V—IV საუკუნეების ბერძნულ მსხვილ სახელოსნოებში გაბატონებულ გამოყენებას პოულობს მონური შრომა, რომელიც უდიდესად ავიწროებს თავისუფალ ხელოსნებს.

ზოგიერთი მეცნიერი მეტად აზვიადებდა მონათა რიცხვს ძველ საბერძნეთში. ახალი გამოკვლევების წყალობით ასეთ გადაჭარბებას

გარკვეული ზღვარი დაედო. ძველი ქვეყნების აგრარული ისტორიის ავტორი ვ ე ბ ე რ ი აღიარებს, რომ „ძველი შეფასების საოცარ გადაჭარბებათა შემდგომ დაიწყო... ძლიერი და, რამდენადაც საქმე ძველ ელადას შეეხება, არსებითად სამართლიანი რეაქცია მონის შრომის რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ ი შეფასების შესახებ“[19]. გარკვევით უნდა აღვნიშნოთ, რომ V—IV საუკუნეების მონურ შრომას მთლიანად არ განუდევნია წარმოებიდან თავისუფალი შრომა, მაგრამ წარმოებაში მონურ შრომას გარკვეულად წამყვანი როლი მიეკუთვნა. ამიტომ, ცხადია, არ შეიძლება გავიზიაროთ მკვლევარი ჩ ი კ ო ტ ი ს აზრი, თითქოს IV საუკუნის მონურ შრომას არამცთუ არ გაუძევებია თავისუფალი შრომა, არამედ, პირიქით, თვითონ გამხდარა იძულებული თავისი ადგილი წარმოებაში მისთვის დაეთმო[20]. ასეთი შეხედულების წინააღმდეგ ლაპარაკობს ყველაფერი ის, რაც ჩვენ ვიცით IV ს. საბერძნეთის ეკონომიური ცხოვრების შესახებ[21]. მეორე მხრივ, შედარებით უფრო დამარწმუნებელია ფ რ ა ნ კ ო ტ ი ს მტკიცება, რომ მონური შრომა თავისუფალს აძევებდა უმთავრესად დაბალ პროფესიებში. მაგრამ ძნელია ამ მოსაზრების სათანადო ფაქტებით დამტკიცება. ზემოთ დასახელებულ სახელოსნოებში მუშებად, უმეტესად მონები იყვნენ[22].

ლიტერატურულ და ეპიგრაფიკულ დოკუმენტებში მოხსენებულია იარაღის, ლითონების, საწოლების, მუსიკალური ინსტრუმენტების, ლამპების, სამკერვალო და სხვა სახის სახელოსნოები (ერგასტერიონები). ზოგიერთ მათგანში მუშა-მონების რიცხვი ასს აღემატებოდა. მაგრამ ერგასტერიონების ტექნიკური მოწყობილობა პრიმიტიული ხასიათისა იყო. ისინი მუშაობდნენ სავსებით უბრალო იარაღებით.

ამას გარდა, ერგასტერიონებში მომუშავე მონები მცირედ იყვნენ ერთიმეორესთან საწარმოო პროცესებით დაკავშირებული და ამიტომ მონათმფლობელური სახელოსნო არსებითად ინდივიდუალურ მწარმოებელთა მარტივ კოოპერაციას განასახიერებდა.

საბერძნეთის პოლისების წარმოების განხილვისას განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ მ ე ტ ა ლ ურ გ ი ა ზ ე[23]. ლითონების ამოღებასა და გადამუშავებას ფრიად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საბერძნეთის მეურნეობაში. რკინის, ვერცხლის და ოქროს საბადოების აღმოჩენასა და დამუშავებას დიდი ყურადღება ეთმობოდა. თუმცა ამა თუ იმ ლითონის საბადოს აღმოჩენა უმეტეს ნაწილად შემთხვევითი ხასიათისა იყო. ლითონების დამუშავებას პირველ რიგში იწყებდნენ იქ, სადაც მადანი მიწის ზედაპირზე იდო-

ლითონების დამუშავებაც სავსებით უბრალო იარაღებით წარმოებდა.

V საუკუნიდან წოლსვრელთან ერთად მაღაროების ამოკრაც იწყეს; მუშაობა ვიწრო და დაბალ წოლხვრელებში, სადაც თიხის პარატა სანათურები ანათებდა და უაღრესად შეხუთული ჰაერი იდგა. ძალიან მძიმე და მომქანცველი იყო, მაღაროებში მონები მუშაობდნენ და მათი სამუშაო დღე განსაზღვრული არ იყო. ამოღებულ მადანს დიდ როდინებსა და ხელსაფქვავებში აქუცმაცებდნენ, მერე განსაკუთრებულ რეზერვუარებში რეცხავდნენ და წინასწარი გამოწვის შემდეგ სადნობ ღუმელებში გადაჰქონდათ.

როგორც ვიცით, ათენის სახელმწიფოს ეკუთვნოდა ლავრეიონის ვერცხლის მაღაროები. მათს დამუშავებას ნაწილობრივ თვითონ სახელმწიფო აწარმოებდა და ნაწილობრივ იჯარით გასცემდა. მოიჯარეები უმეტესად მოქალაქეები იყვნენ და იშვიათად მეტეკები. არსებობს ცნობა, რომ ბევრი მოიჯარის მაღაროებში 20000-მდე მონა მუშაობდა.

მეტალურგიული წარმოების მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მონეტების ჭრა, ფერადი ლითონები კი სამკაულებისა და საოჯახო ნივთების შემზადებას ხმარდებოდა, ხოლო რკინა — საჭურვლისა და იარაღის გამოჭედვას.

ლითონების გადამამუშავებელი სახელოსნოები საკმაოდ მნიშვნელოვან შემოსავალს იძლეოდნენ. ასე, მაგ.. პასიონს IV საუკუნეში ერთ თავის გაზატებულისათვის იჯარით გადაუცია 1 ტალანტად ფარების სახელოსნო, რომელიც წლიურად 100 მინა შემოსავალს იძლეოდა.

ათენის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობდა აგრეთვე კ ე რ ა მ ი კ უ ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ა. ამას გვიმტკიცებს თუნდაც ის, რომ ათენში არსებობდა „მექოთნეების“ (კერამეების) დემი და ქალაქის სახელოსნო ნაწილს „კერამიკოსი“ ეწოდებოდა. უკვე VI საუკუნის ათენში არსებობდა მსხვილი კერამიკული სახელოსნოები, სადაც მონების შრომა ფართოდ იყო გამოყენებული. ყოველი ასეთი სახელოსნო ცდილობდა ჭურჭლის შესამკობად ჰყოლოდა მოქალაქეთა ანუ მეტეკების წრიდან ცნობილი ფერმწერები. ვაზების მოხატულობა საკმაოდ ვრცლად გვისურათებს კერამიკულ სახელოსნოებში მუშაობის პროცესს. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჩვენამდე მოღწეულ ცალკეულ ვაზებზე გვხვდება სამნაირი სიგნატურა: სახელოსნოს მფლობელის, მეთუნისა და მხატვრის, ზოგიერთ შემთხვევაში კი — მხოლოდ სახელოსნოს პატრონის და მხატვრისა. შესაძლოა ამ ჩვეულებამ შემოგვინახა ისეთი ცნობილი მხატვრების სახელები, რო-

გორიც იყვნენ ეპიქტეტე, დურისი და სხვ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ VI საუკუნის კერამიკის ხელოსანთა შორის მოხსენებულია ვინმე კოლხი; ამას გარდა, გვხვდება ასეთი არაბერძნული სახელებიც: ამასისი, ტალეიდი და სხვა., რაც ამ ხელოსნების უცხოქვეყნიურ წარმოშობაზე უნდა მიგვითითებდეს.

ათენის კერამიკული ნაკეთობანი ძველად ფართოდ ყოფილან გავრცელებული.

V საუკუნეშიც რთვა და ფეიქრობა კვლავ ძირითად ოჯახურ წარმოების დარგად ითვლებოდა. ეს ოჯახური წარმოება, რომელშიც უპირატესად ქალები მუშაობდნენ, პირველ რიგში ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა და მხოლოდ ნამეტი მიდიოდა ბაზარზე. ქალაქური ცხოვრებისა და გაცვლა-გამოცვლის განვითარებასთან დაკავშირებით ასეთი წარმოება უკვე არადამაკმაყოფილებელი ხდება. ჩნდებიან წვრილი თავისუფალი ხელოსნები, რომლებიც ბაზრისათვის მუშაობენ. ამას გარდა, დაუარსებიათ სპეციალური საფეიქრო სახელოსნოები, რომლებშიც უმეტეს ნაწილად მხევლები და მონები მუშაობდნენ. ზოგჯერ თავისუფალი პირებიც იძულებული იყვნენ ხელი მოეკიდნათ ასეთი წარმოებისათვის, რომ საარსებო ლუკმა პური ჰქონოდათ. ათენის წარწერებმა მრავლად შემოგვინახეს იმ გააზატებულთა სახელებიც, რომლებიც რთვასა და ფეიქრობას მისდევდნენ. ათენში არსებობდა აგრეთვე მთელავთა სახელოსნოები. დროთა მსვლელობაში ღარიბთა და მონათა ტანსაცმლის დამზადებაში გაითქვეს სახელი ქალაქებმა— მეგარამ, კორინთომ და ეგინამ, ძვირფასი ქსოვილების, ტანსაცმელისა და ნოხების დამზადებაში — მილეტმა, კვიპროსმა და ქიოსმა, ხოლო სიცილიის მატყლის ნაირფეროვანი ქსოვილების დამზადებაში — სირაკუზმა.

ათენში ტაძრების, საზოგადოებრივი შენობებისა და თავდასაცავ ნაგებობათა მშენებლობა უშუალოდ სახალხო კრებას ექვემდებარებოდა. ის ქმნიდა ეპისტატების სპეციალურ კომისიას, რომელსაც მოიჯარადრეებთან კონტრაქტების შედგენა და დადება ევალებოდა.

ათენში მშენებლობის გაშლა განსაკუთრებით შესამჩნევი იყო პერიკლეს ეპოქაში. ამ დროს მიმდინარეობდა ფართო მშენებლობა როგორც ათენის გამაგრებისათვის, პირეუსის მოწყობისა და გადაკეთებისათვის, ისე საკულტო ნაგებობათა აშენებისათვის. ასეთ მშენებლობას ან თვითონ სახელმწიფო აწარმოებდა, ანდა საჯარო ვაჭრობით გასცემდა.

ათენის სამხედრო-პოლიტიკურ გაძლიერებასთან დაკავშირებით

დიდი ყურადღება ექცეოდა გემთმშენებლობას. ნავსაშენებზე მუშაობდნენ როგორც სახელმწიფო, ისე კერძო მონები. მაგრამ საპასუხისმგებლო სამუშაოებს ასრულებდნენ სპეციალისტები თავისუფალ მოქალაქეთა და მეტეკების წრიდან.

სახალხო კრება აგრეთვე ქმნიდა გემთმშენებლობის საგამგებლო განსაკუთრებულ კომისიებს, რომლებიც ხაზინადრისა და ნავსაშენთა ზედამხედველებისაგან შედგებოდა. სახალხო კრება განსაზღვრავდა იმ ტრიერებისა და ტეტრერების რიცხვს, რომელთა აგება განსაზღვრულ წლისათვის იყო განზრახული. გრძელი კედლების აგების შემდეგ პირეუსი ორგანიულად დაუკავშირდა ქალაქის ზღვისპირა ნაწილს, ხოლო პირეუსის უბე გადაიქცა ერთსა და იმავე დროს სამხედრო და სავაჭრო ნავსადგურად და მუნიქია მხოლოდ სამხედრო ხომალდებისათვის იყო განკუთვნილი.

როგორც აღვნიშნეთ, მონური შრომა გარკვეულ ხასიათს ანიჭებდა ძველი საბერძნეთის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას საზოგადოდ და კერძოდ V—IV საუკუნეებში. მონობის ინსტიტუტი ბევრ თავისუფალ მოქალაქეს უხშობდა საშუალებას საარსებო საბსრების მოპოვებისას და აიძულებდა მათ უსაქმურობაში გაეტარებინათ თავიანთი გაჭირვებული ცხოვრება. ეს გარემოება კი განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებდა სახელმწიფოს, რომელსაც თავს აწვა ასეთი მოქალაქეების ნივთიერი უზრუნველყოფის ძნელი ამოცანა[23]. ამას გარდა, იმით, რომ მონური შრომა თავისი კონკურენციით ანადგურებდა თავისუფალ ხელოსნებს და დიდად ზღუდავდა მათ სამოქმედო ასპარეზს, იგი არა მარტო აფერხებდა სახელოსნო წარმოებისა და ქალაქის მოსახლეობის ხელოსნური ორგანიზაციის შემდგომ განვითარებას, არამედ გამხრწნელ გავლენას ახდენდა საბერძნეთის სამეურნეო და სოციალურ ცხოვრებაზე და იწვევდა განსაზღვრული პერიოდიდან წარმოების ტექნიკის გაუმჯობესების არა მარტო შეფერხებას, არამედ დაქვეითებასაც. ამიტომ, თუ ბერძნული წარმოება მოგებას განიცდიდა მონის შრომის ექსპლოატაციით დამზადებული პროდუქტების რაოდენობის თვალსაზრისით, სამაგიეროდ ზარალობდა მათი თვისების მიხედვით[24].

მართალია, ანტიკურ სამყაროში უმთავრესად ნატურალური მეურნეობა ჭარბობდა, მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავდა ფულისა და ფულადი ტრიალის მნიშვნელობას, თუმცა ფულის ფუნქციები ანტიკურ პოლისებში თავისებური იყო. ერთი მხრივ, ფული სავაჭრო გარიგებაში შუამავლის როლს თამაშობდა, მეორე მხრივ, კი თვითონ იყო ვაჭრობის ობიექტი. საკმაო საბუ-

თი არსებობს ვიფიქროთ, რომ საბერძნეთის ცნობილ სავაჭრო ქალაქებში თვალსაჩინო როლს თამაშობდა ფ უ ლ ი ს ს ა წ ი ნ დ რ ი თ სესხად გაცემა. სესხს აძლევდნენ მიწის დაწინდრებით (მ ი წ ი ს კ რ ე დ ი ტ ი), ქალაქის სახლების დაგირავებით (ს ა ქ ა ლ ა ქ ო კ რ ე დ ი ტ ი) და ხომალდებისა და მათი საქონლის საწინდრით (ს ა ზ ღ ვ ა ო კ რ ე დ ი ტ ი). ანტიკური სამყაროს მონური წარმოების პირობებში ფულად ანგარიშებზე გადასვლამ ფართოდ შეუწყო ხელი მევახშეობის განვითარებას.

ასეთ სესხს აძლევდნენ ათენელებიც და ათენში მცხოვრები უცხოელებიც. როგორც ვაჭრები, ისე ის პირებიც, რომელთა ვაჭრობას თავი დაანებეს და სპეციალურად საკრედიტო ოპერაციებს მისდევდნენ. სესხის გაცემას აწარმოებდა ჩვეულებრივად რამდენიმე პირისაგან შემდგარი ა მ ხ ა ნ ა გ ო ბ ა, რომელსაც სანდო პირები ჰყავდა საზღვარგარეთ სათანადო მეთვალყურეობის გასაწევად, ანდა სპეციალურად მონებს აგზავნიდა ამ მიზნით. სესხს აძლევდნენ განსაზღვრული პროცენტებით ხომალდებისა და მისი ტვირთის დაწინდრების ქვეშ იმ იმედით, რომ ყოველივე ეს საკმაო გარანტიას წარმოადგენდა გაღებული თანხის ასანაზღაურებლად. ჩვეულებრივად სესხის ამღები ორი პირი იყო: ერთი მათგანი თან მიჰყვებოდა გემს, მეორე კი ათენში რჩებოდა, რომ კრედიტორებს საშუალება ჰქონოდათ მისგან აეღოთ გაღებული თანხა პროცენტებით იმ შემთხვევაში, თუ მისი ამხანაგი უკან დაბრუნებას აღარ მოისურვებდა. სესხის გაცემისას კრედიტორებსა და მოვალეებს შორის მოწმეების თანდასწრებით გარკვეული წერილობითი პირობა იდებოდა. მაგრამ მოვალეები, როგორც ზოგიერთი დოკუმენტიდან ჩანს, ხშირად არ ასრულებდნენ დაკისრებულ პირობას და აიძულებდნენ კრედიტორებს სასამართლოს საშუალებით ეზრუნათ გასესხებული თანხების განაღდებაზე. გემის ავარიისა, ან პირატების თავდასხმის შემთხვევაში მოვალე თავისუფალი იყო სესხად მიღებული თანხის ანაზღაურებისაგან. ეს გარემოება კი ხშირად იწვევდა მათ მხრივ ბოროტმოქმედებას. არსებობდნენ ისეთი ამხანაგობანი, რომელნიც ხელს კიდებდნენ სხვადასხვა წამოწყების შესრულებას, შენობების აგებას, ან მაღაროების დამუშავებას, საზოგადოებრივი მიწების იჯარით აღებას და სხვ. უფრო ხშირად საბერძნეთის პოლისებში და კერძოდ ათენში ზოგიერთები თავის თანხებს გადასახადების შესყიდვას ახმარდნენ. ანდოკიდეს სიტყვიდან უკვე ვიცით, რომ V საუკუნის მეორე ნახევარში შესყიდვით იცემოდა 2%-იანი ბაჟი პირეუსის ნავსადგურში შემოტანილსა და გატანილ საქონელზე. ამას გარდა, არსებობდა ბაჟები ყიდვა-გაყიდვაზე და მრავალი სხვა წვრილი გადასახა-

დი[25]. ყველა ასეთ გადასახადს ჩვეულებრივად იჯარით იღებდა რომელიმე შეძლებული პირი, რომელსაც წინასწარ გარკვეული საწინდარი შეჰქონდა სახელმწიფოს სალაროში; ამავე დროს ამ ოპერაციაში მას სხვა პირებიც შეჰყავდა ამხანაგების სახით. თუ იგი თავის დროზე არ შეასრულებდა აღებულ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე, მას სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა, ქონების კონფისკაცია და დაპატიმრება მოელოდა. ეს საქმე თავისთავად რთული იყო და რთულ ორგანიზაციასაც მოითხოვდა. ამიტომ ათენში წარმოიშვა ბაჟების შემსყიდველი პირების — პროფესიო-

სურ. 59. V საუკუნის ტეტრადრახმა ათენას გამოხატულებით. მეორე გვერდზე გამოსახულია ბუ.

ნალების განსაკუთრებული წრე, რომელიც სახელმწიფოში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

მეორე მხრივ, რაც უფრო იზრდებოდა და ფართოვდებოდა საბერძნეთში სავაჭრო ტრიალი, მით უფრო საგრძნობი ხდებოდა მოვაჭრეებისათვის ფულადი თანხების საჭიროება. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება პირველად თავს იდეს ტაძრებმა, რომლებიც სათანადო პროცენტებით ასესხებდნენ თავის თანხებს. მაგრამ მალე მათი თანხები საკმარისი აღარ აღმოჩნდა და ამ ნიადაგზე IV საუკუნის დასაწყისში წარმოიშვა თავისებური ბანკირები, ზარაფები, ეგრეთ წოდებული ტრაპეზიტები (τραπεζίται)*. აქვე გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ქვეყნების ბანკები ძირითადად არა სავაჭრო და წარმოების კრედიტისათვის იყო დაარსებული, არამედ უმთავრესად დამხურდავებელ პუნქტებსა და ფულის შენახვისა და სესხის გაცემის ადგილებს წარმოადგენდა. ტრაპეზიტები აწარმოებდნენ სხვადასხვაგვარ ოპერაციებს[26]. უწინარეს ყოვლისა, ისინი ფულს

* სიტყვა „ტრაპეზისაგან" — მაგიდა. რომელთანაც იჯდა ზარაფი.

ასურდავებდნენ, რასაც იმ დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; ინახავდნენ კერძო პირების ფულს, რომელსაც განსაკუთრებულ წიგნებში აღნიშნავდნენ; იღებდნენ ფულს სხვა პირებისათვის გადასაცემად; აწარმოებდნენ სხვადასხვა პირებს შორის ანგარიშის სწორებას; თავისუფალ თანხებზე ხსნიდნენ მიმდინარე ანგარიშს; ასესხებდნენ ფულს კერძო პირებსა და ქალაქებს; ასრულებდნენ თანამედროვე ნოტარიუსების მსგავს როლს და სხვა[27]. როგორც ჩანს, ასეთ ბანკირებად იმ დროს უმეტეს ნაწილად მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსული პირები იყვნენ. ათენის ბანკირთა შორის IV საუკუნეში ყველაზე უფრო ცნობილი იყო უკვე მოხსენებული პასიონი. რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ძველი დროის როტშილდს უწოდებს (ბ ე ლ ო ხ ი)[28]. პასიონის ბანკის საოპერაციო თანხა 50 ოქროს ტალანტს* უდრიდა და, ამას გარდა, მას ჰქონდა ფარების სახელოსნოც. ივი შეუზღუდავი კრედიტით სარგებლობდა საბერძნეთის ყველა სავაჭრო ცენტრში. მას იმდენად დიდი დამსახურება გაუწევია ათენის სახელმწიფოსათვის, რომ ამ ყოფილი მეტეკისათვის მოქალაქის უფლებები მიუციათ. მისი უფროსი შვილი კი თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მოხუცებულობისას პასიონს დაუძლურების გამო აღარ შეძლებია თავისი საბანკო კანტორის გამგებლობა და იგი ფარების სახელოსნოსთან ერთად თავისი თანაშემწის, მონობისაგან განთავისუფლებული ფორმიონისათვის გადაუცია, პირველი წლიურად 100 მინის, ხოლო მეორე 60 მინის საიჯარო გადასახადით. თავის ანდერძში კი პასიონს განკარგულება გაუცია, რომ ფორმიონს ცოლად შეერთო მისი ქვრივი და მზითვად დაუტოვებია 120 მინა, 100 მინად ღირებული სახლი და სხვადასხვა ძვირფასი ნივთი. ამასთან ფორმიონი დაინიშნა პასიონის მეორე მცირეწლოვანი შვილის მეურვედ და მის დავაჟკაცებამდე შეინარჩუნა ბანკისა და სახელოსნოს იჯარა.

პასიონთან სხვათა შორის დაკავშირებულია ცნობილი ათენელი ორატორის ისოკრატეს ერთ-ერთი სიტყვა[29]. მასში საყურადღებო ცნობებია მოცემული ბოსფორის სამეფოსა და ათენს შორის V — IV საუკუნეთა მიჯნაზე არსებული სავაჭრო და კულტურულ პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ. ეს სიტყვა ისოკრატეს 393 წელს წარმოუთქვამს ერთი ბოსფორელი ვაჭრის დავალებით, რომელიც ათენში სავაჭრო მიზნით მისულა და აქ იძულებული გამხდარა ტრაპეზიტ პასიონის

* იმ დროის მიხედვით ფრიად თვალსაჩინო თანხა (დაახ. 100.000 ოქროს მანეთი).

წინააღმდეგ სასამართლო პროცესი მოეწყო. ეს ვაჭარი ყოფილა შვილი ბოსფორის ერთი უმდიდრესი და ცნობილი პურით მოვაჭრის სოპევსისა. მამას შვილი გაუსტუმრებია ათენში ორ ხომალდზე დატვირთული პურით და საკმაოდ დიდი ფულადი თანხით. ათენში მას თავისი ფული პასიონის „ბანკისათვის" ჩაუბარებია. გაუვლია მცირე დროს და მამამისს სოპევსს მოულოდნელად თავს უბედურება დატყდომია; ის დაუპატიმრებიათ დაბეზღების გამო. რომლის მიხედვითაც მას ღალატში ედებოდა ბრალი. სახელმწიფო ღალატში ბრალდება ათენში მყოფ მის შვილზეც გავრცელებულა; ბოსფორის მეფეს მოუთხოვნია მისი უკან დაბრუნება და ერთდროულად ათენში მცხოვრებ ბოსფორელებისათვის დაუვალებია სოპევსის ფულის კონფისკაცია. მაშინ სოპევსის ვაჟი შეთანხმებია პასიონს და მისი ფულადი თანხის არსებობა უარუყვია. გასულა დრო და სოპევსი გამართლებულა. ამასთან დაკავშირებით მის შვილსაც ყოველგვარი ბრალდება მოხსნია. მაგრამ ახლა უკვე პასიონს განუცხადებია უარი დაეკმაყოფილებინა მისი ფულადი პრეტენზიები. ეს საკითხი ირჩეოდა როგორც ათენში, ისე ბოსფორში. ხოლო რით დამთავრდა ის, ჩვენთვის უცნობია. სიტყვის შინაარსიდან ჩანს, რომ ათენის ვაჭრებს დიდად აფასებდნენ ბოსფორის სამეფოში და პურით პირველ რიგში მათ ამარაგებდნენ.

მსხვილ საბანკო ოპერაციებს აწარმოებდა, როგორც იყო ნათქვამი. ბერძნების ცნობილი ტაძრებიც (აპოლონის — დელოსში და დელფოში, არტემიდას — ეფესოში და სხვ.). ტაძრებს ძველ საბერძნეთში პოლისთა შორის შუამავლისა და გამსესხებლის როლი ეკუთვნოდათ; ისინი უზრუნველყოფდნენ აგრეთვე გაცვლა-გამოცვლას სატაძრო ბაზრობებზე. ამიტომ ბერძენ მეწარმეთა, ტრაპეზიტებისა და მევახშეების საქმიანობაში ტაძრებს განსაკუთრებული ადგილი ეკავათ. ისინი სესხს აძლევდნენ არა მარტო კერძო პირებს, არამედ ქალაქებსა და სახელმწიფოებს. ისინი ფლობდნენ არა მარტო მიწას, არამედ ჰქონდათ სახლები, ფართო მეურნეობა, სხვადასხვა სახის სახელოსნოები, ჰყავდათ საკუთარი მონები და მოიჯარენი. ბერძნულ პოლისებში არ არსებობდა თითქმის ისეთი სახის საკუთრება, შრომის ისეთი დარგი, რომელსაც ტაძრების სასარგებლო გადასახადი არ ჰქონოდეს დაკისრებული. ტაძრების დიდ შემოსავალს წარმოადგენდა აგრეთვე ზოგადბერძნული დღეობები: ოლიმპიის, ნემესეას (ჩრდილო-აღმოსავლეთ პელოპონესში), ისთმიის (დელფოში). დღეობებზე ბერძნები ყოველი მხრიდან იყრიდნენ თავს და მათი მიმდინარეობის დღეებში ცხადდებოდა საერთო მშვიდობიანობა და ფართო ბაზრობა იმართებოდა. დელოსის ტაძრის არქეო-

ლოკიური ნაშთებისა და არქივების შესწავლამ ცხადყო, რომ მრავალი პირი სწირავდა ამ ტაძარს თვალსაჩინო ფულად თანხებს იმ პირობით, რომ ისინი პროცენტით გაესესხებინათ და მოგება მსხვერპლშეწირვათა შესრულებისა და ტაძრისათვის საჭირო სამკაულის შესაძენად მოეხმარათ. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დელოსის ტაძარი ასესხებდა ფულს 10%; ეს ნორმა დაწესებული ყოფილა და უცვლელად დაცული. როგორც სათანადო საბუთებიდან ჩანს, დელოსის ტაძრისაგან მრავალ პირს ჰქონია აღებული სესხი. ამგვარად, ძველმა საბერძნეთმა თავისებური საბანკო ოპერაციებიც[30] იცოდა, რაც არსებითად მისი სავაჭრო ტრიალისა და წარმოების იმ დროის მიხედვით მნიშვნელოვან განვითარებიდან გამომდინარეობდა. მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტი არ იყო იაფი და უმეტეს ნაწილად არც ორგანიზაციულად მოწესრიგებული. ამის გამო როგორც სოფლის მეურნეები, ისე ვაჭრები და მწარმოებლები, გაჭირვების დროს ხშირად ისევ ვალების ქსელში ებმებოდნენ, და ამიტომ IV საუკუნის საბერძნეთშიც დიდი ადგილი ჰქონდა მიკუთვნებული სავალო ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს, როგორც სამეურნეო და სოციალური ცხოვრების ერთ უმტკივნეულეს მოვლენას. უდავო ყურადღების ღირსია ის ფაქტი, რომ გარდა ფულის გასესხებისა საზღვაო პროცენტებით IV საუკუნეში ფართო სპეკულაცია მიმდინარეობდა ფულის კურსის მიმართულებითაც. იმ დროს ხმარებაში იყო მრავალი მონეტა და სპეკულაცია ამ მხრივ უდავოდ მომგებიანი იყო. ასეთი სპეკულაციის კარგ სურათს გვაძლევს ისოკრატეს სიტყვა ფორმიონის წინააღმდეგ. ძვ. წ. IV საუკუნის ბერძენ ორატორთა შემონახული სიტყვებიდან ნათლად ჩანს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ფულის ტრიალს საბერძნეთის მსხვილი პოლისების ნავსადგურებსა და ბაზრებზე მოუპოვებია. ერთმანეთის მოტყუება, ცილისწამება და ათასგვარი ხრიკები, როგორც ამას იმდროინდელი ლიტერატურა გვიჩვენებს, ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა ვაჭრებსა და მევახშეთა წრეში. არსებობდა ვაჭართა სხვადასხვა ტიპი: ზოგი თვითონ იყო ხომალდების მეპატრონე და მასზე გადაჰქონდა თავისი საქონელი. ზოგი კიდევ სხვების გემებით მიეზიდებოდა საქონელს. მათ გარდა მრავლად იყვნენ წვრილი ვაჭრები. მეწვრილმანეები, ფარდულებში მოვაჭრეები და ა. შ. ისეთ ქალაქებში, როგორებიც იყვნენ ათენი და მილეტი, ვაჭრობა გარკვეულ ადგილებში—ს ა ვ ა ჭ რ ო რ ი გ ე ბ შ ი მიმდინარეობდა. იმ დროის წყაროებში მოხსენებულია თევზის, ზეთის, ღვინის, თიხის ჭურჭლეულის, ცერცვის, გამხმარი ხიზის და სხვა რიგები. ბაზრებში მრავალად ირეოდა სხვადასხვა ჯურის ხალხი და მუდმივი ხმაუ-

რობა გაისმოდა. წვრილ მოვაჭრეთა შორის იყვნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც, რომლებიც ხმამაღლა მოუწოდებდნენ გამვლელთ. ეყიდნათ ზეთი, ღვინო, ძმარი, ღორის ხორცი. ნიორი, პური და ა. შ. არისტოფანემ თავის კომედიებში ფართოდ შემოგვინახა ათენის ბაზრის სურათები, განსაკუთრებით „ლისისტრატეში". მის მიერ მხატვრულად გამოკვეთილი სურათები ძვირფას მასალას წარმოადგენს იმ დროის საბაზრო ზნე-ჩვეულების გათვალისწინებისას.

ფულადი მეურნეობისა და ურთიერთობის გაფართოებასთან დაკავშირებით ცვლილებები განიცადა საგადასახადო სისტემამაც, კერძოდ, ათენის სახელმწიფოში 378/7 წელს გაუტარებიათ ტიმემა, ე. ი. საგადასახადო მიზნით ათენის მოქალაქეთა მამულების, სახლებისა და სხვა ქონების შეფასება. ამ შეფასების მიხედვით გადასახადების შეგროვების მოწესრიგებისათვის მოქალაქეები დაახლოებით თანასწორი შეძლების საგადასახადო ჯგუფებად, ამხანაგობებად, ან ეგრეთ წოდებულ სიმორიებად (συμμορία) დაუყვიათ. გადასახდელი თანხა სიმორიებს შორის თანასწორად გაუნაწილებიათ; ხოლო შემდგომ ყოველი სიმორიის თავის, თუ ჰეგემონის ხელმძღვანელობით ხდებოდა მისი დანაწილება წევრებს შორის, თითოეულის შეძლებისა თუ საგადასახადო თანხის მიხედვით. ამ რეფორმების გატარების თანამედროვე ორატორის დემოსთენეს სიტყვით, მისი მამისაგან დატოვებული 15 ტალანტად ღირებული ქონებიდან სამი ტალანტი, მაშასადამე, მხოლოდ 1/5 შეადგენდა ტიმემას, რომლისგანაც უნდა ყოფილიყო გაღებული ეისფორა; ტიმემის საერთო თანხა კი მთელ ატიკაში უდრიდა 6 000 ტალანტს (Demosth. XIV. 19). დაახლოებით ასეთსავე რიცხვს გვიჩვენებს IV საუკუნის დასასრულის ცნობილი ატიდოგრაფოსი ფილოხორე (Philochor. fragm. 151). დემოსთენეს ცნობიდან ჩანს, რომ საგადასახადო თანხა ითვალისწინებდა ათენის მოქალაქეების არა მთელ ქონებას, არამედ მხოლოდ მის გარკვეულ ნაწილს. სამაგიეროდ, ძვ. წ. II საუკუნეში ცნობილი ისტორიკოსის პ ო ლ ი ბ ი ო ს ი ს გადმოცემით (II, 62,6). შეფასებული ყოფილა ატიკის მთელი, როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება და შეფასების საერთო ჯამი 5750 ტალანტს შეადგენდა. ამ საკითხის შესახებ ჩვენი წყაროების ასეთი ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობის გამო ახალი დროის ისტორიკოსებშიც ათენის ტიმემას გარშემო დიდი დავა წარმოიშვა. მკვლევარი ბ ო ე კ ი[31] გვარწმუნებს. რომ წყაროებში ნაჩვენები თანხა გულისხმობს ატიკის არა მთელ ქონებას, არამედ მხოლოდ მის ნაწილს, რომელზედაც უნდა დაედოთ გადასახადი, ერთი სიტყვით — საგადასახადო თანხას; ატიკის სახალხო ქონება კი იმ დროს გაცილებით უფრო დიდი იყო და დაახ. 30—40 ათასს ტა-

ლანტს უდრიდა, ამიტომ საგადასახადო მიზნით შეფასებულ იქნა მისი მხოლოდ ვარკვეული ნაწილი; პირველი ქონებრივი კლასის მიმართ უფრო დიდი (1/5), დანარჩენებისათვის კი უფრო მცირე. ხოლო მეოთხე კლასი სრულებით გაათავისუფლეს; ატიკური ეისფორა პროგრესულ გადასახადს წარმოადგენდაო. ამ საკითხებზე უფრო საფუძვლიანი და დასაბუთებული ჰოსაზრება გამოთქვა ბელოხმა სპეციალურ ნარკვევებში[32]. იგი ამტკიცებს, რომ იმ ხანაში ატიკის მთელი ქონება არ შეიძლებოდა ყოფილიყო ისე დიდი, როგორც ბოეკს წარმოუდგენია, და რომ, პირიქით, პოლიბიოსის რიცხვი მთელი ქონების შეფასების ჯამს წარმოადგენს, თუმცა, ალბათ, რამდენადმე შემცირებულს, რადგან ასეთ შემთხვევებში მოქალაქეები ფარავენ ქონების ნაწილს, ან ცდილობენ, მოხდეს მისი, რაც შეიძლება დაბალი შეფასება. ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ იმ დროის ატიკაში საგადასახადო მიზნით გატარებულ იქნა ატიკის მთელი როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების შეფასება. დემოსთენეს, თუ პოლიბიოსის მიერ აღნიშნული რიცხვები შეფასების შემცირებულ, მაგრამ მაინც საერთო ჯამს წარმოადგენს; ეს საერთო ჯამი (დაახ. 14,7 მილიონი მანეთი) იმ დროის მიხედვით უმნიშვნელო თანხად არ ჩაითვლება.

საბერძნეთის V—IV საუკუნეების სამეურნეო მდგომარეობის შესახებ ჩვენ მიერ მოცემული სურათი არსებითად ეწინააღმდეგება როდბერტუს-ბიუხერის თეორიას. როგორც ცნობილია, წარსული საუკუნის სამოციან წლებში ეკონომისტმა როდბერტუსმა წამოაყენა მოსაზრება, რომლის მიხედვით ანტიკური სამყაროს მეურნეობა ოიკოსური* კარჩაკეტილი მეურნეობა იყო, რომელიც საკუთარი ძალებით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებებს[33]. ეს მოსაზრება გაიზიარა და განავითარა კარლ ბიუხერმა[34]. იგი გვიმტკიცებს, რომ ძველმა ქვეყნებმა და აგრეთვე საშუალო საუკუნეების პირველმა ნახევარმა იცოდა მხოლოდ კარჩაკეტილი საოჯახო მეურნეობა, „მეურნეობა გაცვლა-გამოცვლის გარეშე", რომელშიც „სამეურნეო ტრიალი, წარმოებიდან მოხმარებამდე, სახლის (ოჯახის, გვარის) კარჩაკეტილ წრეში ხდება"; ძველი სამყარო არ გასცილებია უბრალო გაცვლა-გამოცვლასა და უფრო მაღალი სახის ჩანასახს, როგორც ცალკეულ მოვლენებს, და ისიც მხოლოდ ერთი ქალაქის.

---

* ბერძნული სიტყვა *οἶκος* = სახლი, ოჯახი.

საზღვრებში. ამიტომ ლაპარაკი იმ დროის სახალხო მეურნეობაზე, მუდმივ ვაჭრობასა და სავაჭრო კლასზე და საერთოდ საზოგადოების ეკონომიურ დანაწილებაზე, არ შეიძლებაო. ასეთმა თეორიამ დიდი წინააღმდეგობა გამოიწვია ძველი სამყაროს მკვლევართა შორის და გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ მისი ძირითადი დებულებები ვერ გაიზიარეს.

მართალია, ძველი სამყაროს ეკონომიური განვითარების გათვალისწინებაში ზოგჯერ უსაფუძვლო მოდერნისტულ თეორიებს აქვთ ადგილი და ისეთი ცდების მოწმენიც ვართ, როგორიც, მაგალითად, დოპშმა წარმოგვიდგინა კაპიტალიზმის მუდმივ არსებობის შესახებ[35]. მაგრამ არც იმ აზრის გაზიარება შეგვიძლია, თითქოს ანტიკურმა სამყარომ მხოლოდ ოიკოსური მეურნეობა იცოდა, რომლის საზღვრებს იგი თითქმის არ გაშორებია. ჩვენ დავინახეთ, თუ რა განვითარებას მიაღწია კლასიკურ საბერძნეთში ვაჭრობამ, რა მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელოსნო წარმოება, როგორ გაფართოვდა ფულადი მეურნეობა და საკრედიტო ოპერაციები და რამდენად შეიცვალა სოციალური სტრუქტურა. ამიტომ როდბერტუს-ბიუხერის თეორიის ძირითადი დებულების გაზიარება არ შეგვიძლია. მაგრამ ამ მხრივაც საწინააღმდეგო უკიდურესობას აქვს ადგილი: ანტიკური ქვეყნების ეკონომიკის ტენდენციური და უმეტესად ცალმხრივი შესწავლის შედეგად წამოყენებულია მცდარი დებულებები. თითქოს ძველმა საბერძნეთმა სამეურნეო განვითარების მხრივ ისეთივე სტადიები განვლო, როგორიც თანამედროვე ევროპამ, და ათენი V—IV საუკუნეებში იმგვარადვე იდგა კაპიტალიზმის ნიშნის ქვეშ, როგორც ინგლისი XVIII და გერმანია XIX საუკუნეში; რომ „ძველ ქვეყნიერებაშიც გაბატონებული იყვნენ, თუმცა გაცილებით უფრო მცირე სივრცეზე და სხვა ფორმებში, იგივე გავლენანი და წინააღმდეგობანი. რომელნიც მიმართავენ თანადროულ განვითარებასაც"; რომ ყველაის უდიდესი პრობლემა, რომლის წინაშე დგას თანამედროვე საზოგადოება, უკვე ძველებს აღელვებდა. ერთი სიტყვით, ანტიკურ ქვეყნებსა და ჩვენ დროს შორის ანალოგიაა გატარებული და თითქმის ცხადი მსგავსების ნიშნებია დაწესებული. ანტიკური ქვეყნების ისტორიის ასეთმა მ ო დ ე რ ნ ი ზ ა ც ი ა მ უფრო აშკარა გამოსახულება ჰპოვა ბელოხის, პოლემანის, ედ. მაჲერისა და მათი დღევანდელი მიმდევრების კონცეფციებში[36]. დღესაც საკმაოდ მოიპოვებიან საზღვარგარეთ, ისეთი მკვლევარები, რომელთა ნარკვევებში ცხადად მოჩანს ტენდენციურობა და ცალმხრივი მოდერნიზაცია. ეჭვი არ არის, ეს მოვლენა დაკავშირებულია ანტიკური ქვეყნების სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების არაისტორი-

ულ შეფასებასა და მისი დამახასიათებელი მომენტების ტენდენციურ გაშუქებასთან. ჩვენ უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ ანტიკური მეურნეობის ძირითად და ტიპიურ ფაქტორს მონობა წარმოადგენდა, რომელიც განსაკუთრებულ ხასიათს ანიჭებდა ანტიკურ საზოგადოებრივ-ეკონომიურ სტრუქტურას და ურთიერთობას. მართალია, მონობას განსახილველ პერიოდში სავსებით არ განუდევნია თავისუფალი მუშახელი, მაგრამ შექმნილი პირობების გამო თავისუფალ მშრომელთა უდიდესი ნაწილი უფრო მომხმარებლებს წარმოადგენდა, ვიდრე მწარმოებელთ. ედ. მაჟერი არსებით განსხვავებას ვერ ხედავს იმ დროის დიდ მონურ სახელოსნოსა და ჩვენი დროის ფაბრიკებს შორის; პოელმანიც მონურ სახელოსნოს წარმოების კაპიტალისტურ ფორმას ადარებს. მაგრამ მონების რიცხვის მიხედვით ძველ სახელოსნოებს კიდევაც რომ ფაბრიკები ვუწოდოთ, მაინც გარკვევით უნდა გვახსოვდეს, რომ ტექნიკური სტრუქტურის მიხედვით ისინი მარტივ სახელოსნოებს წარმოადგენდნენ, ხოლო ეკონომიური სტრუქტურის თვალსაზრისით მათ საერთო არა ჰქონდათ რა კაპიტალისტური სახის წარმოებასთან. თვით სახელოსნოს ღირებულება განისაზღვრებოდა არა მასში არარსებული მანქანებით, არამედ მომუშავე მონების რიცხვით და გამოცდილებით. ამასთან ერთად კაპიტალისტური წარმოების ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი — მანქანების მუდმივი გაუმჯობესების უნარიანობა — ანტიკური წარმოების „მოლაპარაკე ინსტრუმენტების“ მიმართ, ფრიად ზღვარდებული იყო. — „დაპყრობილი სახელმწიფოების და ხალხების ექსპლოატაციაზე, ხოლო უფრო მეტად მეტეკებისა და მონების ექსპლოატაციაზე, იყო დამყარებული ანტიკური მეურნეობა; უფრო მეტიც — სწორედ მონობა იყო აუცილებელი და პირდაპირი წინასწარი პირობა დემოკრატიული პოლისისათვის“ [37]. საერთოდ ანტიკური მეურნეობის ხარისხისა, სიღრმისა და დიაპაზონის ევროპის კაპიტალიზმთან შედარება არსებითად ეწინააღმდეგება საყოველთაოდ ცნობილსა და უდავო ფაქტებს.

ამ წიგნის მეორე ტომში ელინისტური ეპოქის მეურნეობის განხილვის დროს კვლავ გვექნება საშუალება შევეხოთ ანტიკური ეკონომიკის დამახასიათებელ მომენტებს და ამიტომ აქ ამ საგანზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ. მით უმეტეს, რომ ჩვენი მსჯელობის საგანს მხოლოდ V—IV საუკუნეების საბერძნეთის სამეურნეო მდგომარეობის ზოგადი მომოხილვა შეადგენდა, ხოლო ანტიკურმა მონათმფლობელურმა მეურნეობამ ელინისტურ ეპოქაში განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია.

თავი მერვე

კლასიკური ეპოქის ბერძნული კულტურა

1. სარწმუნოება, თეატრი, ხელოვნება

სპარსელებთან ხანგრძლივმა ბრძოლამ და მათზე ბრწყინვალე გამარჯვებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საერთოდ ბერძნებზე. უფრო გამახვილდა კონტრასტი „ელინებსა“ და „ბარბაროსებს“ შორის და ხალხის ფართო მასამ ირწმუნა, რომ ბერძნების გამარჯვება მათი ღმერთების დახმარების შედეგია. მთელ საბერძნეთში, კერძოდ, ათენში გაღრმავდა სარწმუნოებრივი განწყობილება. მარათონისა და სალამინის ბრძოლების მოწმე თაობას ისე ეჩვენებოდა, თითქოს მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლის დროს მის გვერდით თვითონ ღმერთები იბრძოდნენ. ეს იყო არა მხატვრული ფანტაზია, არამედ ხალხური რწმენის ცხადი გამოვლინება. 460 წელს ე. წ. „ჭრელ გალერეაში“ გამოკიდეს სურათი, რომელშიც ღმერთები და გმირები ბრძოლაში უახლოეს მონაწილეობას იღებენ და ბერძნებს თავგამოდებით ეხმარებიან. იმ დროის როგორც სახვით ხელოვნებაში, ისე პოეტურ ქმნილებებში ძირითად მოტივად ღმერთების ძლიერების ქება-დიდება გვეევლინება.

კერძოდ ათენიდან, შემდგომ წლებში ისეთი პირები გააძევეს, რომლებიც ხალხის წარმოდგენით ღმერთებს უარყოფდნენ: ანაქსაგორე, დიაგორე, პროტაგორე.

ამავე დროს დემოკრატიის განვითარებასთან ერთად ფართო ხასიათი მიენიჭა ზოგადხალხურ დღესასწაულებს: ათენას საპატივცემოდ იმართებოდა ეგრეთ წოდებული პანათენები, რომლებშიც მონაწილეობდა ათენის მთელი მოსახლეობა. პანათენები ყოველწლიურად და განსაკუთრებული ზეიმით ყოველ მეოთხე წელს სრულდებოდა და ექვსი დღე გრძელდებოდა. დღესასწაულის პროგრამა სხვადასხვა სახის შეჯიბრების ჩატარებაში გამოიხატებოდა. ასეთივე ზოგადხალხური მნიშვნელობა ჰქონდა დემეტერის სახელობის დღესასწაულებს, ეგრეთ წოდებულ ელევსინის მისტერიებს, და ღმერთ

დიონისესადმი მიძღვნილი დღეობების მთელ ციკლს. თავდაპირველად მათ მიწის მეურნეობასთან დაკავშირებული დღესასწაულების ხასიათი ჰქონდათ. ათენის დემოკრატიის ცნობილი მეთაური პერიკლე, რომელიც ცდილობდა ათენის ყოველმხრივ ამაღლებას, დიდად უწყობდა ხელს ათენის დღეობებისა და ღვთაებათადმი ზოგადბერძნული მნიშვნელობის მინიჭებას.

დიდი „დიონისიების" დღესასწაულზე, რომელიც ათენის ტირანმა პისისტრატემ შემოიღო, გარდა ლირიკული გუნდებისა, მონაწილეობას იღებდნენ ტრაგიკული გუნდებიც. დიონისესადმი მიძღვნილი სიმღერებისა და ლოცვებისაგან (დითირამბებისაგან) წარმოიქმნა ბ ერ ძ ნ უ ლ ი ტ რ ა გ ე დ ი ა. არსებობდა უძველესი მითი „რქებიან ბავშვ" ზაგრეუსზე, რომელიც ზევსისა და პერსეფონას შვილად ითვლებოდა. ის მეტად უყვარდა მამას და მისი უმაღლესი ხელისუფლების მემკვიდრე უნდა გამხდარიყო. მაგრამ ამას ვერ ურიგდებოდა ზევსის მეუღლე ჰერა. მან მიუსია ზაგრეუსს ტიტანები, რომელთაც ის მოკლეს, როცა სარკეში იცქირებოდა. მათ დაკუწეს მისი სხეული და ქვებით დაფარეს. ქალღმერთმა ათენამ მოახერხა ბავშვის გულის გადარჩენა. განრისხებულმა ზევსმა ტიტანები ტარტაროსში ჩაჰყარა, ხოლო ბავშვის გული მეფე კადმოსის ასულს სემელას გადასცა. მოკვდავმა სემელამ შვა ახალი ზაგრეუსი დიონისეს სახით. ძნელი არ არის, ამ მოთხრობის მითოლოგიურ გარსში ვაზის ამბავი ამოვიკითხოთ: შემოდგომაზე მასაც „აწვალებენ", ქვებით შეუბრალებლად წნეხენ ყურძნის მტევნებს, რომელთაგან სდის სისხლივით წითელი ტკბილი წვენი. გაზაფხულზე კი ეს თითქოს საბოლოოდ განადგურებული ვაზი კიდევ უფრო მეტი მშვენიერებით ცოცხლდება; ნორჩი ყლორტები ჩქარა იზრდება, ხშირი ფოთლებით იმოსება და მკვდარი ღმერთი ახალ სიცოცხლეს იწყებს. დიონისეს მისტერიები წელიწადში ორჯერ სრულდებოდა — შემოდგომაზე, როცა ყურძენს კრეფდნენ, ამზადებდნენ ღვინოს და ამფორებში ასხამდნენ, და გაზაფხულზე, როდესაც ამფორებს ხსნიდნენ და დადუღებულ ღვინოს სვამდნენ. ამ მისტერიასთან დაკავშირებული სიმღერები ორმაგი ხასიათისა იყო: ბუნების თანდათანობითი დაჭკნობა, მოახლოებული ზამთრის მრისხანე აჩრდილი ადამიანებს ტანჯვასა და სიკვდილზე ფიქრებს უღვიძებდა და ამიტომაც შემოდგომის სიმღერები თავისი შინაარსით ღრმა პესიმიზმის გამომსახველი იყო. გაზაფხულის სიმღერები კი გამოთქვამდნენ სიხარულს იმ ღმერთის გამოღვიძების გამო, რომელსაც მხიარულებისა და ბედნიერების მომნიჭებლად თვლიდნენ. დიდი დიონისიების დროს გამოდიოდნენ თხის ტყავებში გამოწყობილი გუნდები, რომლებიც დიონისეს შმაგ თანამგზავ-

რებს — სატირებს გამოხატავდნენ და დიონისესადმი მიძღვნილ ჰიმნებს — დითირამბებს ასრულებდნენ; სიმღერას წამომწყები, კორიფე, იწყებდა და გუნდი პასუხობდა; მას თან ორგიასტული სახის ცეკვა სდევდა. ამ დითირამბებისაგან განვითარდა ტრაგედია (τράγος ᾠδή — თხის სიმღერა). დიონისეს სასოფლო დღესასწაულებზე (სოფლის დიონისიები) კი სრულდებოდა სახუმარო სიმღერები, რომელთაც აგრეთვე კორიფე იწყებდა. ამ სახის დიონისიები სადღესასწაულო მსვლელობით, სიმღერებითა და ცეკვით მთავრდებოდა. ამ პროცესიას „კომოსი" (κῶμος) ეწოდებოდა. ხოლო ტერმინი კომედია ორი სიტყვისაგან წარმოდგა: კომოსისა და ოდესაგან, რაც „კომოსის დროს სიმღერებს" ნიშნავს.

ამგვარად, „დიონისეს ცრემლისაგან ტრაგედია წარმოიქმნა, ხოლო აღორძინებული ღმერთის მხიარული ღიმილისაგან — კომედია".

„ტანჯვის" პრობლემებისა და ადამიანის ყოფაქცევისადმი ინტერესი კი იმ სარწმუნოებრივი და ეთიკური განცდების ზეგავლენით წარმოიშვა, რომლებითაც მოცული იყო ბერძნული საზოგადოება ძვ. წ. VI საუკუნის მწვავე სოციალური ბრძოლის პირობებში.

ანტიკური ტრადიცია ათენის პირველ ტრაგიკულ პოეტად თ ე ს პ ი დ ე ს გვისახელებს და მიგვითითებს, რომ პირველად ტრაგედია ძვ. წ. 534 წელს „დიდი დიონისიების" დროს დაიდგა, მაგრამ ეს ადრეული ატიკური ტრაგედია ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა დრამას ამ სიტყვის მნიშვნელობით; ის არსებითად ჯერ კიდევ ქორლირიკის ერთი განშტოება იყო, ხოლო იმ თავისებურებით, რომ მასში, გუნდს გარდა, მონაწილეობას იღებდა მსახიობი, რომელიც დეკლამაციით წარმოთქვამდა მითს დიონისეზე და რეპლიკებს გაუზიარებდა გუნდს თუ კორიფეს. ამასთან გუნდი უკვე მონაწილეობას იღებდა თამაშში და განასახიერებდა ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ იმ პირებთან, ვისაც მსახიობი წარმოადგენდა. მსახიობის — „მაუწყებელის", რომელიც გუნდა მოუთხრობდა და მის შეკითხვებზე უპასუხებდა, შემოღებით ქორლირიკაში შეიტანეს დინამიკური ელემენტი, ადამიანთა განწყობილების მხიარულებიდან მწუხარებაზე და ტირილიდან ზეიმზე გადასვლა [1].

ამრიგად, თუ ტრაგედიის განვითარების საქმეში თესპიდეს მონაწილეობის შესახებ ჩვენ ძლიერ ცოტა რამ ვიცით, სამაგიეროდ უფრო ნათელია ამ დარგში დიდი მწერლების ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს მოღვაწეობა. პირველად ე ს ქ ი ლ ე ს შემოქმედებაშიც ქორლირიკა ჭარბობდა და მსახიობი („მოპასუხე"—ὑποκριτής)

უკანა რიგში იყო დაყენებული, მაგრამ მან შექმნა დრამა, რომელშიც მეორე მსახიობის დამატებით შესაძლებელი გახდა დიალოგი და მოქმედება. ხოლო პირველად ახალგაზრდა ს ო ფ ო კ ლ ე ს დააწესა მესამე მსახიობი და სცენურ საშუალებათა დახმარებით დასაბამი მისცა სიცოცხლით სავსე მოქმედებას.

ატიკური ტრაგედიის ლიტერატურულ გენეზისზე საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე მ. „პოეტიკის“ მეოთხე თავში იგი აღნიშნავს, რომ ტრაგედიამ მრავალი ცვლილება განიცადა, ვიდრე თავის საბოლოო ფორმას მიიღებდა. უფრო ადრეულ საფეხურზე იგი „სატირულ“ ხასიათს ატარებდა, შინაარსი მისი არ იყო რთული და სახუმარო სტილით და ცეკვის ელემენტების სიუხვით გამოირჩეოდა. ტრაგედიის სათავეებად კი არისტოტელეს „დითირამბების დამწყებთა“ იმპროვიზაცია მიაჩნდა. არისტოტელეს ცნობებს სხვა წყაროებიც ადასტურებს. არსებობს ცნობა, რომ ლესბოსელ ა რ ი ო ნ ს VI საუკუნის დასაწყისში დითირამბებში გამოჰყავდა გადაცმული გუნდები, რომელთა სახელის მიხედვით ცალკეულ დითირამბებს ესა თუ ის სახელწოდება ეძლეოდა. ამ დითირამბებში, გარდა მუსიკალური ნაწილებისა, სატირების დეკლამაციური პარტიებიც არსებობდა. საერთოდ ანტიკური ტრაგედიის განვითარების საფუძვლად მიჩნეულია პელოპონისეული „თხების“ ფოლკლორული თამაში და არიონისეული დითირამბები. მაგრამ დამატებით სამართლიანად არის აღნიშნული, რომ მისი წარმოქმნის გადამწყვეტ მომენტად „ვნებათა“ ზნეობრივ პრობლემაში გადაზრდა უნდა მივიჩნიოთ. ამ მხრივ ტრაგედია ახალი ჟანრი იყო, რომელმაც მითოლოგიური გმირების მაგალითების საფუძველზე ადამიანის ყოფაქცევის საკითხები წამოაყენა ან, არისტოტელეს ენით რომ ვთქვათ, ის „სერიოზული გახდა“ [2].

პირველი ტრაგედიები ათენში VI საუკუნეში წარმოქმნილან. მათი სიუჟეტი უმთავრესად მითებიდან ყოფილა გადმოღებული, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში იმდროინდელ თემებსაც ეხებოდა. ჩვენ ვიცით, რომ, მაგ., ფრინიქოსმა 494 წელს დადგა თავისი ტრაგედია „მილეტის აღება“ და სალამინთან გამარჯვების შემდგომ 476 წელს — „ფინიკიელი ქალები“. VI საუკუნის დასასრულიდან ტრაგედიის დადგმას მოსდევდა „სატირების დრამა“ — მითოლოგიური შინაარსის პიესა, რომელშიც გუნდი სატირებისაგან შედგებოდა. ტრადიციის მიხედვით, პირველი სატირული დრამები ათენის თეატრისათვის პ რ ა ტ ი ნ ე ფ ლ ი უ ნ ტ ე ლ ს (ჩრდილოეთ პელოპონესიდან) შეუქმნია. მაგრამ ბერძნული ტრაგედიის ნამდვილ ფუძემდებ-

ლად ე ს ქ ი ლ ე ა მიჩნეული. არსებითად მისგან იწყება ბერძნული თეატრის ისტორია.

რას წარმოადგენდა ბერძნული თეატრი?

თავისი წარმოშობით ის მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიონისეს კულტთან და დიონისიებთან. თეატრალური წარმოდგენები დიონისეს კულტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. V საუკუნის ათენში დრამები მხოლოდ „დიდი დიონისიების" დროს იდგმებოდა. პირველ დღეს ტარდებოდა დიონისეს ქანდაკების ერთი ტაძრიდან მეორეში გადატანის საზეიმო პროცესია; დღესასწაულის დანარჩენი ნაწილი პოეტურ შეჯიბრებათ ჰქონდათ დათმობილი; მეორე და მესამე დღე ლირიკული გუნდების დითირამბებს ეკუთვნოდა, ხოლო უკანასკნელი სამი დღე — დრამატულ ასპარეზობათ. „დიდი დიონისიების" წესრიგი ტრაგიკულ შეჯიბრში სამ ავტორს გულისხმობდა; თითოეულ მათგანს სამი ტრაგედია და სატირების დრამა უნდა წარედგინა. შეჯიბრში დაშვება არქონტზე იყო დამოკიდებული, რადგან ის დღესასწაულის გამგედ ითვლებოდა. პიესების დადგმის ხარჯებს სახელმწიფო რომელიმე შეძლებულ მოქალაქეს აკისრებდა და მას ხორეგად (ხოროს ხელმძღვანელად) ნიშნავდა. მსახიობების რიცხვის გადიდებასთან ერთად შეჯიბრების მესამე, დამოუკიდებელი მონაწილე გახდა მთავარი მსახიობი — „პროტაგონისტი", რომელიც თვითონ ირჩევდა თანაშემწეებს მეორე და მესამე როლებში (ეგრეთ წოდებულ დევტერაგონისტსა და ტრიტაგონისტს). ხორეგის პოეტს და პოეტის მთავარ მსახიობს წილისყრით ნიშნავდნენ სახალხო კრებაზე. შეჯიბრების ჟიური 10 კაცისაგან შედგებოდა (ათენის ფილეებიდან თითო წარმომადგენელი). მსაჯულებს გადაწყვეტილება გამოჰქონდათ პირველი, მეორე და მესამე „გამარჯვებულთა" შესახებ, როგორც პოეტების და მათი ხორეგების, ისე პროტაგონისტების მიმართ. ჟიურის გადაწყვეტილებანი სახელმწიფო არქივში ინახებოდა. თეატრში შესვლა ფასიანი იყო. მაგრამ პერიკლეს დროის დემოკრატიამ მოქალაქეებს სუბსიდია დაუნიშნა ერთ წარმოდგენაზე შესასვლელი ფასის ოდენობით, ხოლო IV საუკუნიდან — თეატრალურ წარმოდგენათა ყველა სამ დღეზე.

ათენში წარმოდგენები ღია ცის ქვეშ, დღის სინათლეზე იმართებოდა, თავდაპირველად ქალაქის ერთ მოედანზე, სადაც მაყურებელთათვის ხის დროებითი ფიცარნაგები იყო მოწყობილი; შემდგომ კი ამ მიზნისათვის აკროპოლისის კლდოვანი სამხრეთი ფერდობი გამოიყენეს და მას ხის საჯდომები მიამაგრეს. წინათ ბერძნული თეატრის მოწყობილობა ცნობილი იყო იმ აღწერილობის მიხედვით, რომელიც რომაელი არქიტექტორის ვიტრუვიუსის „ხუროთმოძღვრე-

ბის შესახებ“ ტრაქტატშია მოცემული. სრული წარმოდგენა კი ბერძნული თეატრის აგებულებაზე არქეოლოგიური გათხრების მონაცემებმა მოგვცეს.

ბერძნული თეატრის ერთ ძირითად ნაწილს ო რ ქ ე ს ტ რ ა (გუნდის ადგილი) წარმოადგენდა. მის შუაგულში მდებარეობდა დიონისეს საკურთხეველი. სხვადასხვა როლში მოთამაშე მსახიობისათვის საჭირო შეიქნა ტანისამოსის გამოსაცვლელი ადგილების მოწყობა; მას ს კ ე ნ ა ანუ სცენა (ე. ი. კარავი) ეწოდებოდა; თავდაპირველად მას დროებითი ხასიათი ჰქონდა. შემდგომ მისი აგება ორქესტრის უკან იწყეს როგორც წარმოდგენისათვის დეკორაციული ფონის მხატვრული გაფორმება. ახლა ის უფრო ხშირად იმ სასახლის, თუ ტაძრის ფასადს წამოადგენდა, რომლის კედლებთან წარმოებდა მოქმედება. მის წინ აღმართული იყო სვეტნარი (პ რ ო ს კ ე ნ ი ა). მის სვეტებს შორის დგამდნენ მოხატულ ფიცრებს, რომლებიც თითქოს პირობით დეკორაციებს წარმოადგენდნენ. თავისთავად იბადება კითხვა, თუ სად თამაშობდნენ მსახიობები? V საუკუნეში, ალბათ, ისინი პროსკენიის წინ ორქესტრზე ასრულებდნენ თავიანთ როლს. თეატრის მესამე ძირითად ნაწილს მ ა ყ უ რ ე ბ ე ლ თ ა ა დ გ ი ლ ე ბ ი შეადგენდა. ისინი საფეხურებად იყვნენ განლაგებული, ორქესტრს ნალივით შემოვლებული და გასასვლელებით გაყოფილი.

თეატრის მექანიკურ მოწყობილობათ V საუკუნეში ეკუთვნოდა ე კ ი კ ლ ე მ ა — ხის ბორბლებიანი პლატფორმა, რომელსაც იმის საჩვენებლად, თუ რა ხდებოდა სახლის შიგნით, სცენის კარებიდან გამოაგორებდნენ მასზე მოთავსებული მსახიობებით თუ თოჯინებით და შემდგომ უკანვე გაიტანდნენ. მოქმედი პირების (მაგ., ღმერთების ჰაერში ასაყვანად) ხმარობდნენ ეგრეთ წოდებულ „მანქანას“, რომელიც ამწეე ონკანს ემსგავსებოდა. ღმერთების ასეთი გამოჩენის შესახებ წარმოიქმნა თქმულება: deus ex machina. წარმოდგენის მონაწილეები ნ ი ღ ბ ე ბ შ ი გამოდიოდნენ. ნიღბის წყალობით მსახიობს შეეძლო ერთ პიესაში რამდენიმე როლი შეესრულებინა.

ბერძნების წარმოდგენით მითური გმირები ჩვეულებრივ ადამიანებს თავისი სიმაღლით და მხარ-ბეჭის სიგანით აღემატებოდნენ. ამიტომ ტრაგიკული მსახიობები ატარებდნენ მაღალ თავსაბურავს და კ ო ტ ურ ნ ე ბ ს (მაღალქუსლიან ფეხსაცმელს) და კოსტიუმის შიგნით ბალიშებს იდებდნენ. ქალების როლს მამაკაცები ასრულებდნენ[3].

ბერძნული ტრაგედიის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა მის მაღალმხატვრულ ღირსებაში, იდეების გასაოცარ სიმდიდრესა და აღძრული საკითხების ღრმა განხილვაშია.

ბერძნული ტრაგედიის სამი უდიდესი წარმომადგენელი: ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე საზოგადოებრივად და კულტურულად შედარებით განსხვავებულ დროს ცხოვრობდნენ და ამის მიხედვით მათი შემოქმედების ძირითადი ხაზებიც განსხვავებული მოჩანს.

ტრაგედიის მამამთავარი, ესქილე საბერძნეთის ისტორიაში უდიდესი ეპოქის თანადამხდური და თვითმხილველი იყო. თვითონ მონაწილეობდა ბერძნების სახელოვან ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ე ს ქ ი ლ ე დაიბადა 525/4 წელს ელევსინში, რომელიც იდუმალებით მოცული მისტერიების მთავარი ცენტრი იყო. იგი ცნობილ მიწათმფლობელთა გვარს ეკუთვნოდა. მისი ტრაგედიებიდან ჩანს, რომ ის დემოკრატიული წყობილების მომხრე იყო, თუმცა ამ მიმართულების შიგნით უფრო კონსერვატულ ფრთას უთანაგრძნობდა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ესქილე იმ წვრილ მწარმოებელთა „სოფლის პარტიას" ეკუთვნოდა, რომლებიც უკვე განიცდიდნენ გაფართოებული მონათმფლობელობის, ფულის გაბატონებისა და მევახშეობის მძიმე გავლენას. აქედან გამომდინარეობდა ესქილეს ბრძოლა ქალაქის რადიკალურ დემოკრატიულ პარტიასთან და მისი უარყოფითი დამოკიდებულება თემისტოკლეს პოლიტიკისადმი[4]. ესქილე თითქოს ორი თაობის — არისტოკრატიულისა და დემოკრატიულის — გრძნობებისა და იდეების გაერთიანებას ცდილობდა. ამ ნიადაგზე, შეიძლება, მას ზოგი რამ არც კი მოსწონდა და უკმაყოფილებას გამოთქვამდა. არსებობს ბუნდოვანი ცნობა, რომ ესქილეს ათენელებთან უსიამოვნება მოუხდა. გარკვეული არაა, თუ რა ხასიათისა იყო ეს უკმაყოფილება. ის კი ცნობილია, რომ მან სიცოცხლის უკანასკნელი წლები სიცილიაში გაატარა და იქვე გარდაიცვალა 456/5 წელს.

არისტოტელეს სიტყვით, ესქილემ პირველმა გაადიდა მსახიობების რიცხვი ერთიდან ორამდე და პირველობა მიაკუთვნა დიალოგს. ესქილეს უდიდესი მხატვრული შემოქმედება მითოლოგიურ სახეებში გამოსახულ დიდ ისტორიულ ამბებთან იყო დაკავშირებული. მას უხვად ასაზრდოებდა ის დიდი ბრძოლა, რომელიც ბერძნებმა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრწყინვალედ ჩაატარეს. ესქილეს აზრი ღრმა და მომხიბვლელია, ენა კი უაღრესად მდიდარი და მიმზიდველი. მის მიერ განსახიერებული ტიპები ისევე ძლიერი არიან, როგორც მის ტრაგედიებში მოქმედი ღმერთები და ტიტანები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ტრილოგია „სპარსელები", რომელიც 472 წელს დაიდგა. მისი შინაარსი, როგორც უკვე

ვიცით, ქსერქსეს საბერძნეთზე გაშოლაშქრებასთან არის დაკავშირებული. ტანჯვის, როგორც ღვთაებრივი სამართლიანობის გამოვლინება, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ესქილეს ტრაგედიისა. მეორე მხრივ, მითოლოგიური გარსი ესქილეს ხელს არ უშლის, ღრმად ჩაწვდეს ბერძენ-სპარსელთა დამოკიდებულების ისტორიულ მნიშვნელობას და ნათლად გაითვალისწინოს ბერძენთა ბრძოლის მთელი ჰეროიკა. ამასთან იგი კარგად ამჩნევს, რომ ბრძოლა ბერძნებსა და სპარსელებს შორის არსებითად ორ — ელინურ და აღმოსავლურ-დესპოტურ სისტემას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებაა. მაშინ როდესაც ათენის არისტოკრატიული „პარტია“ აზიაში შეტევითი ომის მომხრე იყო, ესქილე სპარსეთთან ზავის მომხრედ გვეელინება. სპარსელ ხალხში ესქილე მტრებს კი არ ხედავს, არამედ ქსერქსეს უგუნური მოქმედების მსხვერპლს. სპარსული და ბერძნული ლაშქრების შედარებაში იგი გარკვეულად უპირისპირებს ერთიმეორეს ბერძნულ თავისუფლებას და სპარსულ მონობას. თავისი ტრაგედიით ესქილეს მაყურებელში შიშისა და სიბრალულის გამოწვევა კი არ სურდა, არამედ გამარჯვების წყურვილის აღძვრა.

ჰეროიკისა და ხასიათის უდიდესი სიმტკიცის გამომსახველია აგრეთვე ესქილეს ტრაგედია „მიჯაჭვული პრომეთე“. ტიტანებთან ბრძოლაში ზევსს პრომეთეც ეხმარება. მაგრამ როცა გამარჯვების შემდეგომ, ზევსმა ადამიანთა მოდგმის მოსპობა და მისი ახალი თაობით შეცვლა განიზრახა, პრომეთე მის ასეთ განზრახვას წინაღუდგა. მან ადამიანებს ცეცხლი მიუტანა და მათს ცხოვრებას ნათელი მოჰფინა. მანვე ასწავლა ადამიანებს წერა და ანგარიში, ხელოსნობა და მეცნიერება. განრისხებულმა ზევსმა ჰეფესტოს უბრძანა, პრომეთე კლდეზე მიეჯაჭვა. მთელი ბუნება უთანაგრძნობს პრომეთეს ტანჯვას. ზევსი უაღრესად აღშფოთებულია მისი შეუდრეკლობით და თავს დაატეხს ქარიშხალს. რომელიც პრომეთეს კლდესთან ერთად უფსკრულში გადაისვრის; ოკეანის ასულნი კი მზად არიან მისი ხვედრი გაიზიარონ. ამრიგად, ზევსი ისეთი „ტირანია“, რომელსაც უმადურება, უსაზღვრო სიმკაცრე და ეჭვიანობა ახასიათებს. ამასთან ერთად დასურათებულია ზევსის წინაშე ქედმოხრილი ღმერთების დაბალი ლაქუცობა და პირმოთნეობა და მათ საწინააღმდეგოდ ხაზგასმულია პრომეთეს დიდი ღირსება და ქედმოუხრელობა. იგი, მისივე სიტყვით, თავის მწუხარებას მონურ მომსახურეობაზე ვერ გაცვლის. ცნობილია, რომ მარქსმა თავის სადოქტორო დისერტაციის წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნა პრომეთეს ეს სიტყვები და შემდეგი აზრი გამოთქვა: „პრომეთე ფილოსოფიურ კალენდარში უკეთილშობილესი წმინდანი და მოწამეა“ [5].

ჩვენ ვიცით, რომ პრომეთე, რომლის თქმულება ბევრმა პოეტმა და მათ შორის განსაკუთრებით ესქილემ გამოიყენა თავისი ტრაგედიის არაკად, იგივე ქართული ამირანია. თქმულების თანახმად იგი ადამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის მებრძოლი გმირია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტრაგედიაში ესქილე ცხადი თანაგრძნობით უდგება მშრომელებს. მისი თანამედროვე პოეტი პ ი ნ დ ა რ ე გარკვეული დამცირებით იხსენიებს იმ მშრომელ ადამიანებს,—რომლებიც მუდმივად ცდილობენ „განდეგნონ თავისი კუჭიდან შიმშილი", მწყემსებს, მიწის მჭვნელთ, ფრინველის მონადირეთ და იმათ, „ვისაც ზღვა ჰკვებავს" (ე. ი. მეთევზეებს). ესქილე კი, პირიქით, მშროელებსა და მათ განცდებს უთანაგრძნობს. „პრომეთეს" ეპიზოდში გამოყვანილია ზევსის შეუბრალებლობის კიდევ ერთი მსხვერპლი — მისი სატრფო, შეშლილი იო, რომელსაც სდევნის ჰერას იშვნეული რისხვა. ოკეანიდების გუნდი მიმართავს ადამიანებს, რომლებიც თავისი შრომით ცხოვრობენ, ახსოვდეთ საბრალო იოს ხვედრი და ნუ დაქორწინდებიან მდიდრებსა და წარჩინებულებზე [6].

როდესაც ათენში დაისვა არეოპაგის უფლებების შეკვეცისა და მისთვის ძველი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ჩამორთმევის საკითხი, ესქილე ტრილოგიის „ორესტეას" უკანასკნელ ნაწილში — „ევმენიდები" მის აპოლოგეტად გამოდის. „ევმენიდები" 458 წელს დაიდგა, როცა ათენში ეფიალტეს რეფორმების გარშემო მწვავე პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობდა. ესქილეს სურდა ათენელებისათვის ჩაეგონებინა, რომ არეოპაგი თვით ქალღმერთ ათენას მიერ იყო დაარსებული დედის მკვლელის ორესტეს გასასამართლებლად და, მაშასადამე, როგორც ღვთაებრივი დაწესებულება, სირცხვილისა და სამართლიანობის ბურჯი, იგი არ შეიძლება დამცირებულ იქნასო.

ესქილეს მსოფლმხედველობის გარკვევისას უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველგვარი კონფლიქტის წყაროდ მას არ მარტო ადამიანთაგან, არამედ ღმერთებისაგანაც დამოუკიდებელი მოირას (ბედისწერის) განაჩენი მიაჩნია, რომლის გადალახვა არც ღმერთებს და არც ადამიანებს არ ძალუძთ. ჩვენ უკვე გავეცანით ძველი ბერძნების შეხედულებას მოირაზე და ამ შეხედულების თავისებური გამოკრთომა გვევლინება აგრეთვე ესქილეს ტრაგედიებში, რომელთა ლეიტმოტივს ადამიანის პიროვნების თავისუფალი ნებისყოფისა და მოირას დაუძლეველ ჩარევას შორის კოლიზია წარმოადგენს. ამასთან ერთად ესქილეს ტრაგედიებში მოცემულია მისაგებელის იდეა. შეგნებულად, თუ შეუგნებლად ჩადენილი ყოველი დანაშაულისათვის ადამიანს გარდუვალი წესით მისაგებელი მოელის. ამ იდეის გარკვეულ გამოსახულებას წარმოადგენს მისი ტრილოგია — „ორესტეა". მასში მო-

ჩანს აგრეთვე ესქილეს პოლიტიკური შეხედულებებიც. როგორც ვთქვათ, ის ცდილობს აამაღლოს არეოპაგი და მისი მოღვაწეობა და „უხელისუფლებობა“ უფრო საშიშრად მიაჩნია, ვიდრე დესპოტიზმი. მართალია, პერიკლეს წრის მიერ გატარებულ დემოკრატიულ რეფორმებისადმი ესქილეს კონსერვატორული პოზიცია უკავია, მაგრამ მისი კონსერვატიზმი ათენის დემოკრატიის უარყოფითი მხარეებისაკენ არის მიმართული. მისი უდავო მხილების საგანს წარმოადგენს ფულის ძალა-უფლება, მტაცებლური ომები, მონებისადმი გულქვა მოპყრობა. საყურადღებოა, რომ ესქილე მონაში ადამიანს ხედავდა და მონობის აუტანელ უღელს ამჩნევდა. მონობა საშინელებაა,— ასეთია ესქილეს ტრაგედიების ზოგადი მოტივი. ესქილეს მსოფლმხედველობა ადამიანის ტანჯვისადმი ღრმა თანაგრძნობით არის გამსჭვალული.

თუ ესქილე ათენის დემოკრატიის წარმოქმნის დროის პოეტი იყო, მეორე სახელგანთქმული ტრაგიკოსი სოფოკლე უკვე მისი ბრწყინვალების „პერიკლეს ეპოქის“ პოეტად გვევლინება. იგი დაიბადა მიახლ. 496 წელს ათენის გარეუბან კოლონოში, რომლის სილამაზე მან თვითონ აღწერა თავის უკანასკნელ ტრაგედიაში „ოდიპოსი კოლონოში“. ამ ადგილთან მრავალი თქმულება იყო დაკავშირებული. აქ მდებარეობდა ვითომც „სპილენძის ზღურბლი“, გამოქვაბული, რომლითაც აჩრდილთა სამეფოში გადასვლა შეიძლებოდა. აქვე იყო თითქოს ოდიპოსის საფლავი, რომელსაც მან თავისი საუკეთესო ტრაგედია მიუძღვნა.

მამამისი, რომელიც იარაღების სახელოსნოს ფლობდა, შეძლებულ პირთა წრეს ეკუთვნოდა და შვილისათვის იმ დროის მიხედვით ბრწყინვალე ტრადიციული გიმნასტიკური და მუსიკალური განათლება მიუცია. არსებობს ცნობა, რომ მას ორივე ამ დარგში არა ერთი გამარჯვება მოუპოვებია.

ახალგაზრდობაში სოფოკლე მიწათმოქმედთა ჯგუფის მეთაურის, კიმონის მიმდევარი ყოფილა, მაგრამ შემდგომში პერიკლეს და მის პარტიას დაახლოებია, თუმცა სიკვდილამდე ზომიერი დემოკრატიის პოზიციაზე მდგარა. როდესაც პელოპონესის ომის უკანასკნელ პერიოდში ათენის დემოკრატია უკვე კრიზისის სტადიას განიცდიდა, სოფოკლე უარყოფითად შეხვდა რადიკალური დემოკრატიის ახალ იდეურ და პოლიტიკურ მიმდინარეობათ. მას 411 წლის გადატრიალებაშიც კი მიუღია მონაწილეობა და ძველი ზომიერი დემოკრატიული წყობილების დამცველად გამოსულა. სოფოკლე 406 წელს ღრმა მოხუცებულობაში გარდაიცვალა, როცა ათენი უკვე გარემოცული იყო სპარტელების მიერ. გადმოცემის მიხედვით, სპარტელების ერთ

მეთაურს სიზმარში თვითონ დიონისე გამოეცხადა და მოსთხოვა მას. თავისუფლად გაეტარებინა მიცვალებული პოეტის მეგობრები, რომ მისი გვამი მათ ქალაქს გარეთ გაესვენებინათ და დაემარხათ.

სიკვდილის შემდგომ სოფოკლე „გმირების“ დასში შერაცხეს და ყოველწლიურად მის სამარეზე მსხვერპლს სწირავდნენ.

პოლისური სარწმუნოებისა და მორალის პატივისცემა და ამასთან ერთად ადამიანისა და მისი გონებრივ-ზნეობრივი ძალის ღრმა რწმენა იყო სოფოკლეს მსოფლმხედველობის დამახასიათებელი თვისება. თუმცა მისი ტრაგედიების მოქმედი პირები ზოგჯერ ღრმა პესიმისტურ მსჯელობას ააშკარავებენ, მაგრამ ზოგადად სოფოკლეს მსოფლმხედველობა ხალისიანი სულით არის გამსჭვალული. ბედნიერების საწინდრად მას სიბრძნე და თავშეკავება (σωφροσύνη) მიაჩნია, ხოლო ტირანიის უსამართლოებისა და ძალმომრეობის წყაროდ — ქედმაღლობა (ὕβρις). სოფოკლეს გმირი არა ესქილეს ტიტანია, არამედ ადამიანი მისი სიხარულითა და მწუხარებით, ყოფაქცევითა და ბრძოლით. სოფოკლეს ტრაგედიებში ღვთაება ადამიანს უთმობს ადგილს და ადამიანის ვნებანი, მწუხარება და განცდები ავსებს მათ შინაარსს. თუ ესქილე ადამიანთა ყოფაქცევაში უმაღლეს ძალთა ზემოქმედებას ხედავდა, სოფოკლე ირაციონალურ ძალებს ადამიანის პირად პასუხისმგებლობას უპირისპირებს. თითქმის შეუბრალებელი მოირაც კი, რომელსაც უსაზღვრო ასპარეზი აქვს მიკუთვნებული ესქილეს ტრაგედიებში, სოფოკლეს დრამებში იძულებულია ცოტა უკან დაიხიოს და სცენაზე ადგილი ადამიანს დაუთმოს. მართალია, სოფოკლეს აზრით, ადამიანებზე მოირას განაჩენთა გავლენა მოქმედებს, მაგრამ მისი ძალაუფლება არსებითად გარეგნულია, შინაგანად კი ადამიანი თავისუფალი რჩება. ბედისწერის იდეა სოფოკლეს უფრო სრულად აქვს განხილული ორ ტრაგედიაში: „ოიდიპოს მეფე“ და „ოიდიპოსი * კოლონში“.

მოკლედ მოვიგონოთ მათი შინაარსი. მითი ოიდიპოსზე თავის დროზე მასალად დაედო ესქილეს ტრილოგიას, რომელიც „გვაროვნულ შეჩვენებაზე“ იყო დამყარებული. სოფოკლემ კი უარი თქვა მემკვიდრეობით დანაშაულზე და ყურადღება ოიდიპოსის პირად თავგადასავალს მიაპყრო. თებეს მეფეს ლაიოსს მისანმა უწინასწარმეტყველა, რომ იგი დაიღუპება საკუთარი შვილის ხელით, რომელიც დედას ცოლად შეირთავსო. ამიტომ ლაიოსმა და მისმა მეუღლემ იოკასტამ ბრძანეს ახლადშობილი შვილისათვის ფეხები გაეხვრიტათ და მთა კითერონზე გადაეგდოთ. შემთხვევით ავადმყოფ ოიდიპოსს

* ოიდიპოსი „დასივებულ ფეხებიანს“ ნიშნავს.

კორინთოს მეფის პოლიბოსის ნწყემსი წააწყდა, შეებრალა და თავის ბატონს მიუყვანა. პოლიბოსმა ბავშვი თავისთან დატოვა და იშვილა. ბავშვმა თავისი წარმოშობის ამბავი არ იცოდა, მაგრამ ერთმა მთვრალმა კორინთელმა მას აღმზრდელის არანამდვილი შვილი უწოდა. ამიტომ ოდიპოსმა განმარტებისათვის დელფოს მისანს მიმართა. მისანმა გარკვეული პასუხი არ მისცა, მაგრამ უთხრა, რომ მას მამის მოკვლა და დედის ცოლად შერთვა მოელის. მაშინ ოდიპოსმა გადაწყვიტა კორინთოში აღარ დაბრუნებულიყო და თებეში წავიდა. გზაზე მას ჩხუბი მოუვიდა უცნობ მოხუცთან და მოკლა იგი. ეს მოხუცი იყო მისი მამა ლაიოსი. თებეში მან ხალხი გაათავისუფლა ფრთოსან ურჩხულ სფინქსისაგან, მიიღო სამეფო ტახტი და ცოლად შეირთო ქვრივი დედოფალი იოკასტა, დედამისი. იგი რამდენიმე წელს მშვიდად განაგებდა თებეს. ამრიგად, ოდიპოსი კორინთოდან გამოიქცა, რომ მისნის წინასწარმეტყველება თავიდან აეცდინა და თებეში კი ყველაფერი მაინც მის თანახმად შესრულდა. ტანჯვისა და მისაგებელის მთელი სერიის შემდგომ უდანაშაულო ოდიპოსი რწმუნდება, რომ ბედისწერის იარაღი იყო და თავის საუბედუროდ შეასრულა მოირას მისთვის უცნობი განაჩენი. სინდისის მხილებისა და საშინელი სირცხვილისაგან შეძრწუნებული ოდიპოსი თვითონ ითხრის თვალებს, რომ ვეღარ იხილოს ვერც სინათლე და ვერც ადამიანები. იგი, ყველას მიერ მიტოვებული ბრმა დაეხეტება ერთგული ასულის ანტიგონეს თანხლებით და ბოლოს ათენის გარეუბანში კოლონში მოიპოვებს საუკუნო განსასვენებელს. თავის უკანასკნელ ტრაგედიაში „ოდიპოსი კოლონში“ სოფოკლე შეეცადა შეემსუბუქებინა ადამიანის ბედისწერის ის მძიმე სურათი, რომელიც „ოდიპოს მეფეში“ მოგვცა: ბრმა განდევნილი, რომლის სახელის ხსენება ყველა შემხვედრს აღელვებდა, ღმერთების რჩეულის სიკვდილით ათავებს სიცოცხლეს და იმ მხარის კეთილდღეობის წყარო ხდება, რომელმაც იგი შეივრდომა. ამრიგად, მისი დანაშაულობის საკითხი სოფოკლეს მიერ უარყოფითად არის გადაწყვეტილი.

ამ ტრაგედიებთან დაკავშირებით სოფოკლეს „ანტიგონეში“ ურთიერთშორის დაპირისპირებულია ადამიანთა კანონები და მათი მაღალი მოვალეობა: ოდიპოსის სიკვდილის შემდგომ ტახტის გარშემო ერთიმეორეს ებრძვიან მისი ვაჟები ეტეოკლე და პოლინიკე; ბრძოლა ორივეს დაღუპვით მთავრდება. ტახტს ხელთ იგდებს ოდიპოსის ცოლის ძმა კრეონტი, რომელიც ბრძანებს ეტეოკლე პატივით დამარხონ, ხოლო პოლინიკეს გვამი ძაღლებსა და ფრინველებს გადაუგდონ. მკვდარი ძმის გვამის ასეთ შეურაცხყოფას ვერ ურიგდება მისი და ანტიგონე. მიუხედავად კრეონტის ბრძანებისა, იგი მას მიწას

აბარებს. განრისხებულმა კრეონტმა ანტიგონე ჩააგდო ჯურღმულში, სადაც ის შიმშილისაგან უნდა დაღუპულიყო. მის დასახსნელად ჯურღმულში ჩადის კრეონტის ვაჟი ჰემონი, რომელსაც ანტიგონე ვატაცებით უყვარს, მაგრამ უკვე გვიანაა: ანტიგონემ თავი ჩამოიხრჩო. ამ ამბავმა ჰემონის თვითმკვლელობა გამოიწვია. ამრიგად, ანტიგონეს მიერ ადამიანური მოვალეობის შესრულებას მთელი რიგი უდანაშაულო მსხვერპლი მოჰყვა.

როცა მცველებმა კრეონტს აცნობეს, რომ ვილაცამ დაარღვია მისი ბრძანება და პოლინიკეს გვამს დაკრძალვის წესი შეუსრულა, ეს იწვევს მეფის აღშფოთებას და გუნდის თავისებურ გამოხმაურებას. ტრაგედიაში ამ მომენტს კარგად გამოსახავს გუნდის მრავალმხრივ საყურადღებო სიმღერა — პირველი სტასიმი (332—375). იწყება ის ადამიანის ძლიერების ქება-დიდებით: „ბრავალი რამაა საოცარი (δεινά), მაგრამ არა არის რა ადამიანზე უფრო გასაოცარი (δεινότερον)". ის გემებით მოგზაურობს ზღვაზე, გუთნით დედამიწას კვალს ავლებს; მან, მოხერხებულმა, დაიმორჩილა ფრინველებიც, ნადირიც და თევზებიც, მან გამოიგონა მეტყველება და აზრი, მიეჩვია ქალაქებში ცხოვრებას და ავდრის დროს სახლებში თავშეფარებას. ყველაფრისთვის გააჩნია მას სახსრები, მძიმე ავადმყოფობისაგან თავის ხსნაც კი ძალუძს, მხოლოდ აიდის თავიდან აცილება არ შეუძლია[7].

ადამიანის გონებისა და ძლიერების ასეთი განდიდების თითქოს მოულოდნელ დაპირისპირებას წარმოადგენს ამ სიმღერის ბოლო. მასში უკვე გაკიცხულია ადამიანის აზრის შემართება: „ადგილი არ აქვს სახელმწიფოში იმას, ვინც მიჩვეულია შემართების გულისათვის ცუდის ქმნას. დაე, ნუ იქნება ჩემთან ერთად კერის მონაწილე ან ჩემი თვისტომი ის, ვინც ამას სჩადის".

როგორ უნდა ავხსნათ ასეთი წინააღმდეგობა? საქმე იმაშია, რომ სოფოკლეს ტრაგედიის ცენტრალური მომენტია კონფლიქტი ღვთაებრივ კანონსა და ადამიანურ თვითნებობას შორის. ეს მომენტი განსაკუთრებული სიცხადითაა მოცემული ანტიგონეს დაკითხვის სცენაში. ის ამტკიცებს, რომ თავისი საქციელით მან შეასრულა თვითღმერთების დაუწერელი, ურყევი კანონები, ხოლო ამ კანონებს ხელმძღვანელობს თვით სიმართლე—Δίκη. იმ დროის ათენის საზოგადოების სხვადასხვა წრეებში მართლაც გაცხარებით კამათობდნენ დაუწერელი კანონის — ἄγραφος νόμος — მნიშვნელობის გარშემო. და როდესაც ვეცნობით პირველი სტასიმის სიმღერას, ჩვენი აზრი იმ ადამიანს მიეპყრობა, რომელმაც თითქოს თავხედური საქციელი ჩაიდინა, სახელდობრ ანტიგონეს. მაგრამ თანდათან ნათელი ხდება,

რომ ანტიგონეს როდი დაურღვევია მხარის კანონი და ღმერთების სამართალი, პირიქით, წმინდად იცავდა ყოველივეს და სიცოცხლეც კი შესწირა ამას. კრეონტმა, პირიქით, გათელა ეს დაუწერელი კანონი და მედიდურად თავს იქებდა სახელმწიფოებრივი სიბრძნით. ამიტომ თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით პირველ სტასიმს დავრწმუნდებით, რომ მასში განკიცხულია სწორედ კრეონტის მოჩვენებითი „ჰკუამეტობა“, რომელიც წარმოდგენილია როგორც მედიდურობა (ὕβρις).

27 წლისა იყო სოფოკლე, როდესაც მას შეჯიბრება მოუხდა ათენის თეატრის სიამაყე ესქილესთან და ეს შეჯიბრი ბერძნული ტრაგედიის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვანესი დღე იყო. მაყურებლები ორ ბანაკად გაიყვნენ: ერთნი თავისი ძველი პოეტური კერპის ესქილეს მხარეზე იყვნენ, მეორენი კი ახლად გამოჩენილ ტრაგიკოსს სოფოკლეს ემხრობოდნენ. მსაჯთა მდგომარეობა რთული იყო. მაგრამ სწორედ ამ დღეს კუნძულ სამოსიდან დაბრუნდა ათი სტრატეგოსი კიმონის მეთაურობით. მათ თან მოიტანეს, ვითომც, ათენის ლეგენდარული მეფის, თეზევსის ნეშტი. როდესაც ისინი თეატრში მოვიდნენ, რომ დიონისეს საკურთხევლის წინ პკურება შეესრულებინათ, არქონტმა მათ მიანდო საკითხის გადაწყვეტა. სტრატეგოსებმა პრიზი ერთხმად სოფოკლეს მიუსაჯეს. მისი ტრაგედიები დიდი წარმატებით სარგებლობდა და სოფოკლემ შეჯიბრებაში 24-ჯერ მიიღო პირველი პრიზი. სოფოკლესაგან ჩვენამდე სრულად მოაღწია მხოლოდ 7 ტრაგედიამ; 1912 წელს კი მათ სატირების დრამის დიდი ნაწყვეტი მიემატა.

თუ სოფოკლესათვის ბედისწერა ადამიანის გარეარსებული, განყენებული ცნება იყო, ბერძნული ტრაგედიის მესამე უდიდესი წარმომადგენლის ევრიპიდეს კონცეფციით ის თვითონ ადამიანშია მოცემული.

სოფოკლეს მიაწერენ აზრს, თითქოს მან თავისი შემოქმედება ევრიპიდეს ტრაგედიებს შეადარა და დარწმუნდა, რომ თვითონ ადამიანებს ისეთებად ხატავს, როგორებიც უნდა იყვნენ, ევრიპიდე კი— როგორიც ისინი არიანო. და მართლაც ევრიპიდეს ტრაგედიებში ფსიქოლოგიური ანალიზი. დრამატული მოქმედება და თავისი საქციელისათვის პიროვნების პასუხისმგებლობის იდეა წინა პლანზეა წამოყენებული. ევრიპიდეს ცხოვრების ცნობები ფრიად ბუნდოვანია და ბევრ შემთხვევაში არასარწმუნო. ეს სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ მისდამი მტრულად განწყობილი კომედიის ავტორები მის შესახებ სხვადასხვა ხმებს ავრცელებდნენ. მოუთხრობდნენ, რომ ევრიპიდე წვრილი ვაჭრისა და მწვანილით მოვაჭრე ქალის შვილი

იყო, რომ მას დიდი ფიზიკური ნაკლი ჰქონდა. რომ ოჯახურ ცხოვრებაში უბედური იყო და ა. შ. ასევე ნაკლებ სარწმუნოა ცნობა მისი სიკვდილის შესახებ, თითქოს იგი, ერთი ვერსიის მიხედვით, ძაღლებმა დაგლიჯეს, ხოლო მეორე ვერსიით — ქალებმა, როგორც „ქალთა მოძულე". ამიტომ მისი ბიოგრაფია ორიოდე სარწმუნო ცნობით უნდა შემოვფარგლოთ. ევრიპიდე დაიბადა 480 წელს, კუნძულ სალამინზე. იგი განდგომილ მოაზროვნედ ითვლებოდა. ხშირად მიუთითებდნენ სალამინის იმ გამოქვაბულზე, სადაც ევრიპიდე თითქოს გან-

სურ. 60. სოფოკლე (რომაული პირი).

სურ. 61 ევრიპიდე (მარმარილო).

მარტოებული ეძლეოდა თავის შემოქმედებას. მის მიერ შექმნილი ტრაგედიების განხილვის საფუძველზე შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ევრიპიდე ფრიად განათლებული პოეტი იყო. განდგომილი პოეტი და მოაზროვნე, იგი ღრმად სწვდებოდა იმ დროის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს, ეხებოდა პრობ-

ლემებს, რომლებიც იმ დროის ბერძნულ აზროვნებას აინტერესებდა, და იხილავდა ახალ თეორიებს. მის ნაწარმოებებში გამოძახილს პოულობდა ყველა ის დიდი საკითხი, რომელთაც სოფისტები აყენებდნენ და რომელნიც მის თანამედროვე ადამიანთა გონებას აღელვებდნენ: საკითხები ღმერთებისა და ადამიანთა ბუნების, კულტურის მნიშვნელობის, ბუნებრივი უფლების, ქალთა უფლების, მონების, სქესთა ურთიერთობისა და ოჯახის შესახებ. ევრიპიდეს პირველი პიესები 455 წელს დაიდგა. მაგრამ თავის თანამედროვეთა წრეში მყარ წარმატებას ვერ მიაღწია. მისი ტრაგედიების იდეური შინაარსი და დრამატული ნოვატორობა ათენის საზოგადოების კონსერვატორულ ნაწილში მკაცრ გაკიცხვას იწვევდა და V საუკუნის დასასრულში კომიკოსების მუდმივი დაცინვის საგანი გახდა. ცნობილ მწერალს, არისტოფანეს თავის კომედიაში „ბაყაყები“ — ერთიმეორის მოპირდაპირედ გამოჰყავს დიდი ტრაგიკოსები ესქილე და ევრიპიდე. შეკამათებას თვით ღმერთი დიონისე ესწრება და მათი კამათით დაღლილი აჩერებს მათ და ამბობს: მართებული არ არის, ტრაგიკოსები ისე იგინებოდნენ, როგორც მეწვრილმანეებიო. არისტოფანეს სიმპათია მთლიანად ესქილეს მხარეზეა და ის ქალღმერთ ათენას ათქმევინებს ისეთ სიტყვებს, რომლებიც ევრიპიდეს უნიკო და ყბედ პოეტად წარმოგვიდგენს. მისადმი კომედიის საუკეთესო წარმომადგენლის ასეთი უსამართლო დამოკიდებულება, ალბათ, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის სხვაობას უნდა ემყარებოდეს. ევრიპიდეს შემოქმედების ფრიად დამახასიათებელია მისი შეხედულება მონობაზე. თავის ტრაგედიებში ის მკაფიოდ გვისურათებს მონების აუტანელ მდგომარეობას და იმ აზრს გამოთქვამს, რომ მონაში მის გარშემო არსებული პირობები მის ადამიანურ თვისებებს ახშობს და რომ თავისი ზნეობრივი სახით მონა თუ თავისუფალზე მაღლა არა, ყოველ შემთხვევაში მასზე დაბლა არა დგას. ევრიპიდეს ტრაგედიებში მონები პოლიტიკურსა და ფილოსოფიურ საკითხებზე მსჯელობენ და ხშირად ააშკარავებენ თავიანთ გონებრივ უპირატესობას. ტრაგედიების („ალექსანდროს“ და „მელანიპა-ტუსაღი“) ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტებიდან ჩანს, რომ მათში ევრიპიდეს გადმოცემული აქვს ზოგიერთი სოფისტის რადიკალური შეხედულება ყველა ადამიანის—„ბუნებრივ“ თანასწორობაზე და რომ ადამიანებს მხოლოდ „კანონი“ ჰყოფს თავისუფლებად და მონებად. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მნიშვნელობას, რომელიც ანტიკური საზოგადოების ეკონომიკასა და აზროვნებაში მონობას ეკუთვნოდა, შეგვიძლია გავითვალისწინოთ ის, რომ რამდენად ამაღლებულა ამ მხრივ ევრიპიდე თავისი დროის ტრადიციაზე.

ევრიპიდეს შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია „ოჯახის საკითხებს“. ასეთ ტრაგედიებში გამოყვანილია ისეთი გმირები, რომლებიც თავგამოდებით მსჯელობენ, ღირს თუ არა გაიჩინოს კაცმა ოჯახი და შვილები. განსაკუთრებით აკრიტიკებენ ბერძნულ დაქორწინებას ქალები, რომლებიც თავის კარჩაკეტილსა და დაქვემდებარებულ ყოფნას უჩივიან. ისინი აღშფოთებული არიან, რომ მშობლები ხშირად მათ დაუკითხავად სწყვეტენ მათ ბედ-იღბალს. ქალები კულტურასა და განათლებაში მონაწილეობის უფლებებსა და როგორც სახელმწიფო, ისე ოჯახურ მოვალეობათა შესრულებაში მამაკაცებთან თანასწორობას მოითხოვენ. ევრიპიდე საღებავს არ ზოგავს, რომ განსაკუთრებულად აღნიშნოს ქალთა ხასიათისა და ყოფაქცევის უარყოფითი მხარეები. თუმცა მის ტრაგედიებში ქალის ისეთ სახესაც ვეცნობით, რომელიც მამაკაცის მართლაც მეუღლე, მეგობარი და მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელია.

შეურაცხყოფილი ქალის შურისძიების უსაზღვრო ვნების გამოსახვა უდევს საფუძვლად ევრიპიდეს უძლიერეს ტრაგედიას „მ ე დ ე ა ს“, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის ლიტერატურის ისტორიაში. როგორც ვიცით, მედეას ამბავი იმ მითურ ციკლთან არის დაკავშირებული, რომელიც არგონავტების კოლხიდაში ოქროს საწმისისათვის მოგზაურობაზე მოგვითხრობს. კოლხიდის მეფის აიეტის ასული, ჰელიოსის (მზის) შვილიშვილი მედეა დიდი ნატიფობით და ღრმა ვნებით დაჯილდოებული ქალია. ის მის მიერ შეყვარებული იაზონის გულისათვის არაფრის წინაშე არ ჩერდება: ღალატობს მამას, იაზონს საშუალებას აძლევს გაიტაცოს ოქროს საწმისი და მასთან ერთად გარბის. მათ დევნაში იღუპება მედეას ძმა აფსირტე. იაზონის ბიძის, მეფე პელიასის მოკვლის შემდგომ იაზონი, მედეა და მათი ორი შვილი კორინთოში ცხოვრობენ. იაზონს სურს თავისი მდგომარეობა გამოასწოროს და კორინთოს მეფის კრეონტის ასული ცოლად შეირთოს. მედეას აღშფოთებას საზღვარი არა აქვს. ის, ვისთვისაც მან ყველაფერი დაივიწყა და ყველაფერი გადალახა, მისგან წასვლასა და სხვა ოჯახის შექმნას აპირებს: „ყველაფერი, რაც მქონდა, — ამბობს იგი, — ერთს მიეძღვნა და ეს იყო ჩემი ქმარი, — და მე გავიგე, რომ ეს ქმარი ადამიანთაგან უკანასკნელია“. იაზონისადმი მისი სიყვარული საშინელ სიძულვილად და შურისძიების გრძნობად გარდაიქმნა. მსოფლიო ლიტერატურაში იშვიათად მოიპოვება ისეთი ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი, რომელიც ევრიპიდეს მედეას განცდების დასურათებაში აქვს მოცემული. მედეა მის მიერ გადაცემული შხამით სიკვდილს უსპობს იაზონის ახალ ცოლს და მის მამას კრეონტს და, წინააღმდეგ

ძველი თქმულებისა, თვითონ ჰკლავს თავის შვილებს. ტრაგედიაში ბრავალჯერ არის საუბარი ოჯახის, ქორწინების, მამობისა და ვნებათა დამღუპველობის საკითხებზე. ქალის ასეთივე ვნებიანი, მაგრამ უფრო სხვა გრძნობით გატაცებული ტიპი მოგვცა ევრიპიდემ „იპოლიტეში“. ამ ტრაგედიის პირველი რედაქციის მიხედვით ათენის მეფის თეზევსის ცოლი ფედრა შეიყვარებს თავის გერს, რომელიც მაღალი ზნეობის ახალგაზრდაა, ქალებთან დაახლოებას გაურბის და ამიტომაც დედინაცვლის უზნეო სიყვარულს ვერ იზიარებს. განრისხებული და შეურაცხყოფილი ფედრა იპოლიტეს ქმრის წინაშე ცილს სწამებს, რომ მან თითქოს მისი გაუპატიურება მოინდომა. ამ ნიადაგზე იპოლიტე იღუპება. ტრაგედიის მეორე რედაქციაში კი ევრიპიდემ ფედრა თავისი სიყვარულის მსხვერპლად გამოიყვანა.

ევრიპიდეს მოწინააღმდეგეებმა, განსაკუთრებით კომიკოსებმა. მედეას და ფედრას სახეები იმ მიზნით გამოიყენეს, რომ მისთვის „ქალთა მოძულის“ სახელი შეექმნათ. მაგრამ ევრიპიდეს თავის სხვა ტრაგედიებში მაღალზნეობიანი და თავგანწირული ქალის არა ერთი სახე აქვს მოცემული.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ზოგიერთ ტრაგედიაში ევრიპიდე ტრადიციული მითოლოგიისა და სარწმუნოების შეფასებაში იონელი ფილოსოფოსების მიმდევრად გვევლინება: მითოლოგიური თქმულებების სიტლანქის აღნიშვნასა და მათ მიმართ კრიტიკულ მიდგომას არ ერიდება და ამ მხრივაც იგი იმ დროის მოაზროვნეთა შორის უდავოდ გამოირჩევა.

ამავე ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ორგანული შედეგი იყო აგრეთვე კომედიის ჩამოყალიბება. თავდაპირველად კომედია, ტრაგედიის მსგავსად, უმთავრესად სიმღერისაგან შედგებოდა.

მისი წარმოქმნა ძირითადად იმ სიმღერებთან იყო დაკავშირებული, რომლებსაც დიონისეს დღესასწაულებზე მღეროდნენ. ატიკაში ეს დღესასწაულები ყოველწლიურად ოთხჯერ იმართებოდა: მათგან პირველი — „სოფლის დიონისიები“ ანუ „მცირე დიონისიები“ (τὰ μικρά Διονύσια) თვე პოსიდეონში (დეკემბერში), მეორე—„ლენაიები“ (Λήναια)—თვე გამელიონში (იანვარში), მესამე — „ანთესტერიები“ (Ἀνθεστήρια) — თვე ანთესტერიონში (თებერვალში) და მეოთხე—„ქალაქის დიონისიები“ ანუ „დიდი დიონისიები“ (τὰ μεγάλα Διονύσια)—თვე ელაფებოლიონში (მარტში).

იმ მცირე ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენ ხელთ არის, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხალხური ატიკური კომედია წარმოიშვა და განვითარდა „სოფლის დიონისიებზე“ გუნდის მიერ მხია-

რული, ეგრეთ წოდებული ფალოსური სიმღერების შესრულების შედეგად. შესაძლოა, რომელიმე ავტორი სიმღერისა, ალბათ, იგივე რეჟისტი გუნდთან ერთად დადიოდა სოფელში და სიმღერებს შორის წარმოთქვამდა კომიკურ სიტყვებს და სააცილო სცენებს ასრულებდა. ასეთ ხალხურ კომედიას (κωμῳδία) თანდათან გარკვეული სახე და ზოგიერთი ფორმა მიეცა. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ხალხური კომიკური წარმოდგენები სრულდებოდა საბერძნეთის სხვა კუთხეებშიც და აგრეთვე სიცილიასა და სამხრეთ იტალიის ბერძნულ ახალშენებშიც.

უძველესი კომიკური პოეტების შესახებ ჩვენ, მათს სახელებს გარდა, სხვა თითქმის არა ვიცით რა. უფრო გარკვეულია თითქოს ის, რომ ძვ. წ. დაახლ. 487 წელს მივაკუთვნოთ არისტოტელეს მიერ მოხსენებული კომედიების პირველი ავტორის ქიონიდეს გამოსვლა. მაგრამ კომედია, როგორც სახელმწიფო წარმოდგენა, ათენში დაშვებულ იქნა მხოლოდ 464 წელს.

ჩვეულებრივად ატიკური კომედიის ისტორია სამ პერიოდათაა წარმოდგენილი: ძველ, საშუალო და ახალ კომედიად. ძველი კომედია მოიცავს დროს 487 წლიდან 388 წლამდე. მისი შინაარსის მთავარი დამახასიათებელია: პოლიტიკური ხასიათი და კარიკატურული სახით სცენაზე გამოყვანა ცალკეული პირებისა და მოღვაწეების. მის ძირითად სიუჟეტს წარმოადგენდა ათენის სახელმწიფო დაწესებულებათა და პოლიტიკური მოღვაწეების კრიტიკა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ V საუკუნის ათენის დემოკრატიაში სიტყვის სრული თავისუფლება არსებობდა. ის პირები, რომელთაც კომედია ეხებოდა, ან პირდაპირ გამოჰყავდათ სცენაზე კარიკატურული სახით, ანდა მათ მიმართ გუნდი თუ რომელიმე მოქმედი პირი ფრიად გამაწბილებელ შენიშვნებს გამოთქვამდა. მართალია, ხშირი ყოფილა ცდები, რომ კომედიის ასეთი მოურიდებლობა შეეზღუდათ, მაგრამ ასეთი ცდები ფრიად ხანმოკლე და უშედეგო იყო.

ძველი კომედიის სახელგანთქმული წარმომადგენელი იყო ა რ ი ს ტ ო ფ ა ნ ე. მისი ცხოვრების მეტი ნაწილი პელოპონესის ომის პროცესთან იყო დაკავშირებული და ის მოურიდებლად ეხებოდა თავის თანამედროვე დიდ პოლიტიკურსა და კულტურულ მოვლენებს. მას სცენაზე გამოყავდა იმ დროის ცნობილი პირები: დემაგოგი კლეონი, სარდალი ლამაქოსი, ფილოსოფოსი სოკრატე, რომელსაც სოფისტების წარმომადგენლად თვლიდა, პოეტი ევრიპიდე და სხვ. მის მწარე დაცინვას განიცდიდა პერიკლეც და თითქმის ღმერთები და გმირებიც, მაგ., დიონისე და ჰერაკლე.

არისტოფანეს (450—388) ლიტერატურული მოღვაწეობა 427 და

388 წლებს შორის მიმდინარეობდა. ათენის ისტორიაში ეს იყო ფრიად მღელვარე და შინაური ბრძოლით მოცული ეპოქა. მისი კომედიები, გარდა მხატვრული მნიშვნელობისა, ძვირფას წყაროს წარმოადგენს V საუკუნის დასასრულის ათენის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების გათვალისწინებისათვის. მისი 44 პიესიდან ჩვენამდე მთლიანად მოაღწია თერთმეტმა, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ როგორც არისტოფანეს მსოფლმხედველობა, ისე მისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრება. არ არის სწორი ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრება, თითქოს არისტოფანე დემოკრატიის პრინციპიალური მოწინააღმდეგე იყო. იგი უფრო ატიკური გლეხობის სულისკვეთების გამომსახველად და დამცველად გვევლინება. წვრილი და საშუალო მიწათმფლობელნი ომის დაწყებამდე ატიკის მოსახლეობის ძირითად მასას შეადგენდნენ. ისინი იმ სოციალურ წრეს წარმოადგენდნენ, რომელმაც ძირითადად სამშობლო სპარსელების შემოსევისაგან დაიცვა და ათენის სახელმწიფოს შინაგან განვითარებას ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. ამავე დროს ის ომის პროცესში დიდ ზარალსა და გაღატაკებას განიცდის და ვერ ურიგდება იმას, რომ მდიდარი მონათმფლობელების მცირერიცხოვან წრეში ქონებისა და ფულის მზარდი კონცენტრაცია განვითარდა. ეს პროცესი არღვევდა პოლისის მთლიანობას და ხელს უწყობდა ტრადიციული საზოგადოებრივი მორალის გახრწნას. ეს მოვლენა ატიკური გლეხის მკაცრ გაკიცხვას იწვევდა და მისი გულისწყრომა არა დემოკრატიის, არამედ ასეთი პროცესის წინააღმდეგ იყო მიმართული[8]. ეს მოვლენა კარგად შეუმჩნევია არისტოფანეს. არისტოფანეს შემოქმედების დამახასიათებელია ფორმის მხატვრული სიმშვენიერე, დაუშრეტელი მახვილგონიერება და ცოცხალი მოქმედება. მისი შემოქმედების შხამიანი ისარი მიმართული იყო არა მარტო მისი დროის ცხოვრების მრავალი უკუღმართი მოვლენების, არამედ პოლიტიკური მეთაურების, მწერლებისა და ფილოსოფოსების წინააღმდეგ[8ა]. სხვა ადგილას ჩვენ უკვე გავეცანით ათენის პოლიტიკური მეთაურების მიმართ არისტოფანეს დამოკიდებულებას და გლეხობის ფართო მასის მშვიდობიანობისადმი მიდრეკილებას („ზავი"). მშვიდობიანობის იგივე იდეაა მოცემული „ლისისტრატეში" (411 წ.). ამ შემთხვევაში მშვიდობიანობას მეომარი მხარეების ქალები მოითხოვენ და თავისებური „გაფიცვის" გამოცხადებით — ცოლქმრული ურთიერთობის აღკვეთის გზით — აიძულებენ მამაკაცთ, შეწყვიტონ ომი და მშვიდობიანობა დაამყარონ. ქალების ასეთ შეთქმულებას ლისისტრატე მეთაურობს და ამიტომაც ამ კო-

მედიას მი'ა სახელი ეწოდა. ამასთან ერთად „ლისი'ტრატეს" ევრიპიდეს ტრაგედიის „ანდრომაქეს" წინააღმდეგ მიმართული პოლემიკის ხასიათი უნდა ჰქონოდა. თუ ევრიპიდე სპარტელებისადმი მტრული განწყობილების გასაღვივებლად მათ მითოლოგიურ წარსულსაც კი აყალიბებს და მენელაოსი ლაჩრად, ხოლო ელენე გარყვნილ ქალად გამოჰყავს, არისტოფანე, პირიქით, იგონებს სპარტელებისა და ათენელების სპარსელებზე ბრწყინვალე გამარჯვებებს. ის მოუწოდებს მათ საერთო ენისა და კეთილი ურთიერთობის გამონახვისაკენ[9]. მიუხედავად რადიკალური წრეების მტკიცებისა, რომ სპარტელებთან მოლაპარაკება დაუშვებელია, ვინაიდან მათზე დანდობა არ შეიძლებაო („მშიერი მგელი მათზე უფრო პატიოსანიაო"). არისტოფანე სპარტასთან მშვიდობიანობის დამყარებას მოითხოვდა. მაგრამ, თუ ამ საკითხში არისტოფანე ლაკონოფილური ოლიგარქიების თანამოაზრედ გვევლინება, სამაგიეროდ იგი სხვა საკითხებში მათი სრული მოწინააღმდეგეა. მას ეზიზღება არისტოკრატიული პეტერიები და ყოველგვარი ფორმის ტირანია და ოლიგარქია. თუ სპარტელების და მათი პოლიტიკის დამცველების ლოზუნგი ათენის საზღვაო კავშირის მოსპობა, ათენელების მოკავშირეებზე ბატონობის ლიკვიდაცია და ათენელ მოქალაქეთა რიცხვის შემცირება იყო, არისტოფანეც მოკავშირეების განთავისუფლებას მოითხოვდა, მაგრამ მოკავშირე ქალაქთა მთელი მოსახლეობისა და ატიკაში მცხოვრებ მეტეკების ათენის სრულუფლებიან მოქალაქეთა რიცხვში მიღების გზით. ამას გარდა, მას სურდა მოლაპარაკება სპარტელების იმ კეთილგონიერ ჯგუფთან, რომელიც ბერძნების თავისუფლების ძველ მტერ სპარსეთთან დაახლოების პოლიტიკას არ იზიარებდა. არ გამოპარვია არისტოფანეს მახვილ მხატვრულ თვალს ის უკმაყოფილებაც, რომელსაც ატიკურ გლეხობაში გასამრჯელოს სისტემის შემოღება იწვევდა. უმცირესი გასამრჯელო სრულებით ვერ უნაზღაურებდა გლეხს იმ ზარალს, რომელსაც მას მეურნეობიდან მოწყვეტით ქალაქში სახალხო კრებასა და სასამართლოში მონაწილეობის მოვალეობის შესრულება აყენებდა. არისტოფანე დასცინის იმ მოხუცთა განგაშს, რომელთაც იმდენად სამშობლოს ბედი არ აწუხებთ, რამდენადაც სახელმწიფო ორგანოებში მონაწილეობისათვის გასამრჯელოს მიუღებლობა. მისი შეხედულებით ადამიანები, რომლებიც არამცთუ არ განიცდიან ომით გამოწვეულ სიძნელეთ, არამედ თვითონ მძიმე ტვირთად აწვანან სახელმწიფო ხაზინას, ათენის თემის წევრები არ უნდა იყვნენო.

ნათქვამი იყო, რომ არისტოფანე თავისი დროის მწერლებსა და ფილოსოფოსებსაც დასცინოდა. სპეციალურად ევრიპიდეს წინა-

ალმდეგ იყო მიმართული მისი კომედიები „ქალები თესმოთერიების დღესასწაულზე" (411 წ.) და „ბაყაყები" (405 წ.). ეს უკანასკნელი ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველი გამოსატავს დიონისეს მოგზაურობას მიცვალებულთა სამეფოში. მეორე ნაწილში კი მოცემულია „აგონი" (შეჯიბრება) ესქილესა და ევრიპიდეს შორის. ქვესკნელში ახლადმოსული ევრიპიდე პრეტენზიას აცხადებს ტრაგიკოსების ტახტზე, რომელიც წინათ ესქილეს ეკუთვნოდა. მსაჯულად თვით დიონისეა მიწვეული. იმარჯვებს ესქილე.

ცნობილია, რომ ათენში წარმოიქმნა „იდეალური" სახელმწიფოს უტოპიური პროექტები. კარიკატურას ასეთ უტოპიებზე წარმოადგენს არისტოფანეს კომედია „ქალები სახალხო კრებაზე", რომელიც 392 წელს დაიდგა. ქალებს ხელისუფლება მიუთვისებიათ და ქონების, ცოლებისა და ქმრების საზიარობა დაუმყარებიათ, რასაც თან ქონებრივი და სიყვარულის ნიადაგზე წარმოშობილი მრავალი კომიკური კონფლიქტი სდევს. კომედიაში „ღრუბლები" (423 წ.) მოცემულია სატირა სოფისტებზე, რომელთა რიცხვს სოკრატეც მიეკუთვნება, და აღზრდის ძველ სისტემაზე.

მოხუცმა სტრეპსიადემ, რომელიც მისი შვილის ფიდიპიდეს წყალობით დიდ ვალებშია ჩავარდნილი, შეიტყო, რომ ყრსებობენ ისეთი ბრძენი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ „უფრო სუსტი უფრო ძლიერად" გადააქციონ, და მიდის ასეთი ხერხის შესასწავლად „სალაყბოში". სოფისტური მეცნიერების წარმომადგენლად გამოყვანილია სოკრატე, რომელიც ჩამოკიდებულ კალათში ზის და მზეზე ოცნებობს. სტრეპსიადე ვერ ჩასწვდა სოფისტურ სიბრძნეს და თავის ნაცვლად შვილს გზავნის. მის წინ იწყება „აგონი" სიმართლესა და სიმრუდეს შორის. პირველი აქებს ძველ აღზრდას და მის კეთილ შედეგებს. მეორე წადილთა თავისუფლებას იცავს. იმარჯვებს სიმრუდე. ფიდიპიდე მსწრაფლ ითვისებს საჭირო ფანდებს და მისი დახმარებით მოხუცი მამა თავიდან იშორებს თავის კრედიტორებს.

ერთი სიტყვით, არისტოფანეს კომედიების სარკეში გამოკრთის იმდროინდელი საზოგადოების სხვადასხვა წრის ყოფა-ცხოვრება. მასში ვეჭვრეტთ ქალებსა და მამაკაცებს, სახელმწიფო მოღვაწეთ და სარდლებს, პოეტებსა და ფილოსოფოსებს, გლეხებს, ქალაქის მცხოვრებთ და მონებს. ყოველი კუთხე იმ დროის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრებისა თავისებურ გაშუქებას პოულობს არისტოფანეს შემოქმედებაში. მისი გავლენა თანამედროვეებზე ფრიად მნიშვნელოვანი იყო. საფუძვლიანად უთქვამს ერთ ცნობილ მკვლევარს, რომ არისტოფანეს შემოქმედების პათოსი იყო სიყვარული მშვიდობიანი სოფლის შრომისადმი და სიძულვილი ომისადმი და რომ „სი-

ძულვილი გამანადგურებელი ომისადმი, მეზნებარე სიყვარული მშვიდობიანი გლეხური ყოფა-ცხოვრებისადმი — ეი მთელი არისტოფანე, ან ყოველ შემთხვევაში მისი პოეზიის სული და გული" (ანდრე ბონნარი).

ძველი კომედიის ადგილას, რომელსაც კრატინე, ევპოლიდე და არისტოფანე ეკუთვნოდნენ, IV საუკუნეში განვითარდა „საშუალო კომედია". ტრადიცია ასეთი კომედიის 57 ავტორს გვისახელებს; მათ შორის უფრო ცნობილი იყვნენ ანტიფანე და ალექსიდი. მათ ნაწარმოებთაგან ჩვენამდე მხოლოდ მრავალრიცხოვანმა სათაურებმა და რამდენიმე ფრაგმენტმა მოაღწია. როგორც მათი შინაარსიდან ჩანს, საშუალო კომედიაში დიდი ყურადღება ჰქონია მიპყრობილი საოჯახო ურთიერთობის საკითხებს; ხშირად იხსენებიან ჭირვეული ცოლები და მოქეიფე ვაჟები; გვხვდება ავრეთვე ფილოსოფიურ მოძღვრებათა პაროდიები და პოლიტიკური ამბების გამოძახილი. „საშუალო" კომედია გარდამავალი საფეხურია „ახალი" კომედიისაკენ, რომელიც IV საუკუნის ბოლოსა და ელინისტური პერიოდის დასაწყისში აღწევს თავის განვითარებას [10].

დიდ წარმატებას მიაღწია ამ პერიოდში ბერძნულმა ხელოვნებამაც, განსაკუთრებით ათენში. უაღრეს განვითარებას განიცდიდა პლასტიკური ხელოვნების დარგები ხუროთმოძღვრება და ქანდაკება. საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი ძირითადი სტილი — დორიული და იონური და მათ შემდგომ მესამე — კორინთული. ამ მხრივ ძველმა ბერძნებმა ისეთი უკვდავი ძეგლები შექმნეს, რომლებიც დღემდე ჩვენს გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევენ [10a]. ხელოსნობიდან ხელოვნების გამოყოფა გულისხმობს არა მარტო მაღალ კულტურულ დონეს, არამედ ტექნიკური ოსტატობის მაღალ საფეხურს, ხელსაწყოების სრულყოფას და ნედლი მასალის მიზანშეწონილ გამოყენებას. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ის მუშაობა, რომელიც ეგინაში, არგოსში და სიკიონში ლითონის ჩამოსხმაზე მომუშავე ხელოსნებმა შეასრულეს.

სპარსელების შემოსევამ და ზოგიერთი ქალაქის მთლიანმა თუ ნაწილობრივმა განადგურებამ მათზე გამარჯვების შემდგომ მიზნად მათი აღდგენა და ახალი მხატვრული ძეგლებით შემკობა დასახა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას ათენზე. ახალი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით სავსებით მტკიცდება თუკიდიდეს ცნობა (1,93), რომ თემისტოკლეს დროს აგებული კედლის, რომელიც ათენს ძველთან შედარებით უფრო შორს უვლიდა, მშენებლობაში ზოგიერთი ძველი ძეგლი, მათ შორის საფლავის ქვებიც კი გამოიყენეს. სპარსელებზე გამარჯვების შემდგომ და ათენში დემოკრატიული წეს-

წყობილების დამყარების პერიოდში ბერძენ ხუროთმოძღვართა და ხელოვანთა წინაშე ახალი მისწრაფება და მიმართულება წარმოდგა.

ასეთი ახალი მისწრაფება განსაკუთრებულად გამოისახა პ ო ლ ი გ ნ ო ტ ე ს შემოქმედებაში. ჩამომავლობით იგი იონელი იყო, დაბადებით კი თასოსელი. მას ზოგიერთ სხვა მხატვართან ერთად ფრესკებით შეუმკია ეგრეთ წოდებული „ჭრელი პორტიკი“ და კიმონის დროს აგებული ბევრი შენობა. მან საუცხოოდ გამოსახა, როგორც ვიცით, მარათონის ბრძოლა. მის ყველაზე უფრო სრულყოფილ ქმნილებას წარმოადგენს ფრესკები კნიდელების შეკრების ადგილას დელფოში. ეს ადგილი, ეგრეთ წოდებული „ლესხეს“ (ფანჩატურები), სწორკუთხოვან შენობას წარმოადგენდა. გალერეის კედლები შემკული ყოფილა პოლიგნოტეს მრავალფიგურიანი ფრესკებით: „ილიონის ნგრევა“ და „ოდისევსი მიწისქვეშა სამეფოში“. ტექნიკურად პროგრესს წარმოადგენდა ის, რომ მან წინათ გაბატონებულ სამ ფერს მეოთხე — ყანგაუვითელი ფერი მიუმატა და მათი შეერთებით სხვადასხვა იერის გამოვლინებას ჰიაღწია. მანვე შექმნა ვაზების ფერწერის საკუთარი სტილი. პოლიგნოტეს ყველა ნამუშევარი დაღუპულა, მაგრამ დელფოს ფრესკების დაწვრილებითი აღწერა პავსანიასმა დაგვიტოვა.

პოლიგნოტეს გავლენა ფერწერასა და ქანდაკებაზე დიდი ყოფილა და მთელ V საუკუნეში ფართოდ იგრძნობოდა.

იმ დროის ქანდაკურ ძეგლთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აპოლონის საკურთხეველში შეწირული ქანდაკი, ეგრეთ წოდებული დელფოსელი მეაღალისა, რომლის ავტორი დღემდე უცნობია. ეს ქანდაკი იმ გამარჯვების აღსანიშნავად ყოფილა შესრულებული, რომელიც სიცილიის ქ. გელას ტირანს დელფოსის ასპარეზობაში მოუპოვებია. მასზე წარმოდგენილია ჯგუფი, რომელიც ოთხ ცხენშებმულ ეტლს, ცხენების წამყვან ბიჭუნას, ეტლზე მდგომ გელონს და მისი ცხენების მძღოლს წარმოგვიდგენს. ჯგუფიდან მხოლოდ უკანასკნელი ქანდაკია შემონახული. ჭაბუკი მძღოლი, რომელიც მეეტლის გრძელ ტანსაცმელშია გამოწყობილი და გამარჯვების სახვევითაა შემკობილი, ამაყად დგას ეტლზე, რომელიც ნელა მოძრაობს მაყურებელთა რიგების გასწვრივ.

ათენელ მოქალაქეებს ორი ოსტატის კ რ ი ტ ი ა ს ი ს ა და ნ ე ს ი ო ტ ე ს ა თ ე ი ს დაუვალებიათ „ტირანის მკვლელთა“ ბრინჯაოს ჯგუფის ჩამოსხმა. მისგან შემონახულია მარმარილოს პირები. მათზე ვხედავთ ჰარმოდიოსსა და არისტოგიტონეს, რომლებიც ერთიანი ბულისთქმით მიექანებიან ჰიპარქოსისაკენ.

V საუკუნის განთქმული მოქანდაკე იყო აგრეთვე მ ი რ ო ნ ი,

ბეოტიის მოსაზღვრე ქალაქ ელევთერიდან. ის უმთავრესად ბრინჯაოზე და აგრეთვე მარმარილოსა და ხეზე მუშაობდა. მის ქმნილებათაგან განსაკუთრებით ცნობილია: დისკობოლი (დისკოს მტყორცნელი) და ათენასა და მარსიასის ჯგუფი. პირველში დიდი ოსტატობითაა გადმოცემული დისკოს ტყორცნის დროს ათლეტის რთული მოძრაობის ერთ-ერთი მომენტი. მეორემ ჩვენამდე მარმარილოს პირებში მოაღწია. იგი გადმოგვცემს იმ მომენტს, როცა ათენას ახალი მუსიკალური ინსტრუმენტი გამოუგონია, მაგრამ რაკი დარწმუნებულა, რომ მასზე დაკვრა ღვთაებრივ სახეს უმახინჯებს, იგი გადაუგდია. გაუგონარი ხმით მოხიბლული ტყის ველური დემონი მარსიასი ათენასთან მიირბენს, რომ ეს ინსტრუმენტი ხელში აიღოს. მაგრამ ათენას ბრძანებითი გამომეტყველება აიძულებს მას მსწრაფლ განშორდეს ამ ადგილს.

წინათ ოლიმპიაში საფუძველჩაყრილი გრანდიოზული დორიული ტაძარი ზევსისა 456 წელს იქნა დამთავრებული. ის აგებულია კირქვისაგან, მაგრამ მისი მეტოპონების და ფრონტონების ქანდაკური სამკაულები და აგრეთვე სახურავის კრამიტი მარმარილოსი იყო.

მეტოპონების მსატვრობა ბერძენთა განთქმული გმირის, ზევსისა და ალკმენეს შვილის, ჰერაკლეს თავგადასავალთა და მოგზაურობათა მითებს გვისურათებს. მისი 12 გმირობა აქ პირველად მწყობრ სისტემაშია მოცემული და 12 ცალკეულ სცენად დანაწილებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჰერაკლეს ბრძოლა კრეტულ ხართან.

მოკლედ შევეხოთ მის ფრონტონებს; აღმოსავლეთ ფრონტონებზე გადმოცემულია პელოპსისა და ენომაოსის შეჯიბრების კომპოზიცია. მეფე ენომაოსი ამაყობდა არესის მიერ ნაჩუქარი ცხენებით. თავისი ქალიშვილის ხელის მაძიებელთ ეს შეჯიბრებაში იწვევდა იმ პირობით, რომ საცოლე თავისი ეტლით წაეყვანათ. ენომაოსი კი მათ დაედევნებოდა, დაეწეოდა და კლავდა. ასე გამოასალმა მან სიცოცხლეს ბევრი სახელოვანი გმირი. მაგრამ პოსეიდონის ცხენების პატრონ პელოპსთან შეჯიბრებაში თვითონ დაიღუპა და მისი ქალიშვილიც პელოპმა შეირთო, ხოლო მისი სახლი ზევსმა მეხით გაანადგურა.

სხვა ხასიათისაა დასავლეთ ფრონტონის კომპოზიცია: ლაპითების მეფე ქორწილზე იპატიჟებს თავის ნათესავებს, ველურ კენტავრებს. ნადიმის დროს დამთვრალი სტუმრები დაერევიან ლაპითებს და იწყება ხელჩართული დაუნდობელი ბრძოლა. შეტაკებაში ჩაერევა ნათელი ღმერთი აპოლონი, რომელიც კენტავრების მეთაურისაკენ გაი-



სურ. 62. ზევსის ტაძარი ოლიმპიაში (რეკონსტრუქცია).

შვერს დამსჯელ ხელს. ჩხუბით გატაცებულები მაინ ვერ ხედავენ, მაგრამ ბრძანება მისი ისევე გარდუვალია, როგორიც ბედისწერა.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, ბერძნული ხელოვნება უდიდეს განვითარებას აღწევს პერიკლეს ეპოქაში. პერიკლეს 30 წლის მმართველობის განმავლობაში დასახული კოლოსალური სამშენებლო პროგრამა ნაწილობრივ მაინც განხორციელდა. განსაკუთრებით ათენის საზღვაო კავშირის საალაროს ათენში გადმოტანის შემდეგ.

როგორც ვიცით, პერიკლეს პირველ დიდ მშენებლობას წარმოადგენდა იმ ეგრეთ წოდებული გრძელი კედლებია დამთავრება, რომელთაც ათენი პირეუსთან შეაერთეს და ქალაქისა და მისი ნავსადგურის დაცვითი სისტემა განამტკიცეს. შემდეგ ხუროთმოძღვარ ჰიპოდამოსის გეგმით მოხდა პირეუსის სრული რეკონსტრუქცია. გატარდა აგრეთვე აკროპოლისის სრული გადაგეგმვა. მიკენის ეპოქაში ათენის აკროპოლისი ქალაქის ცენტრსა და სიმაგრეს წარმოადგენდა. ახლა კი მან თავისი სამხედრო მნიშვნელობა დაკარგა და წარმოიქმნა მისი ქალაქის საკულტო და საჩვენებელ ნაწილად გარდაქმნის იდეა. ასე გაჩნდა კაცობრიობის ისტორიაში უმშვენიერესი ხუროთმოძღვრული ანსამბლი.

448 წელს დაიწყო და 432 წელს დაამთავრა ათენა-ქალწულის მთავარი ტაძრის — პ ა რ თ ე ნ ო ნ ი ს აგება. ანტიკური ტრადიციით, მისი ხუროთმოძღვრები იყვნენ იქტინოსი და კალიკრატე. მაგრამ საერთო ხელმძღვანელობა სახელგანთქმულ ხელოვანს ფიდიასს ეკუთვნოდა. მასზე საუბარი ცალკე გვექნება.

ბორცვის სულ მაღალ ადგილას აშენებული პართენონი ყოველი მხრიდან ჩანდა და ჰთლიანად პენტელიკონის მარმარილოთი იყო აგებული. მისი ცელლა (ლათ. cella — შინაგანი სათავსი) ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. ცელლას დასავლეთი ნაწილი კულტისათვის არ ყოფილა განკუთვნილი და ამიტომ უფრო საგანძურს წარმოადგენდა. აღმოსავლეთ ნაწილში კი იდგა ოქროსა და სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ათენა-ქალწულის ქანდაკი, რომლის სიმაღლე 12 მეტრს უდრიდა, ხოლო მარმარილოს კვარცხლბეკის სიგანე 8 მეტრს.

პართენონის საუცხოო მოკაზმულობას ჩვენამდე მთლიანად არ მოუღწევია. მისგან სხვადასხვა დროს ბევრი რამ დაიღუპა. ჯერ კიდევ ქრისტიანულ ტაძრად და მერე ოსმალურ მიზგითად გადაკეთებისას, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ, როცა ის თოფის წამლის საწ-

ყობად გადააქციეს და 1687 წელს საშინელმა აფეთქებამ ქანდაკებათა უმრავლესობა ნამსხვრევებად აქცია. გადარჩენილი მეტოპონების



სურ. 63. ათენის აკროპოლისი.

მიხედვით მაინც შესაძლებელი გახდა მათზე გამოსახული მითური თქმულებების სიუჟეტის გარკვევა. აღმოსავლეთ ფასადზე გადმოცე-

შული იყო ღმერთების ბრძოლა გიგანტებთან, დასავლეთისაზე — ბრძოლა ამორძალებთან. ფრონტონების თემები კი აღებულია იმ მითებიდან, რომლებიც უშუალოდ ათენასთანაა დაკავშირებული: აღმოსავლეთ ფრონტონზე წარმოდგენილი ყოფილა ათენას სასწაულებრივი დაბადება ზევსის თავიდან, დასავლეთისაზე — მისი დავა პოსეიდონთან ატიკაზე ბატონობის გარშემო. საერთოდ, მთელი პართენონის გეგმის ამოსავალ პუნქტს ათენას ქანდაკება წარმოადგენდა.

438 წელს ათენში შედგომიან აკროპოლისში შესასვლელის საზეიმო ჭიშკრის — პროპილეების (propylon, propilaia) აგებას.

მის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ხუროთმოძღვარი მნესიკლე. აგებული იყო ისიც მთლიანად პენტელიკონის მარმარილოთი. პროპილეებში გადიოდა საღვთო პროცესიების გზა.

დაახლოებით 420 წელს ხუროთმოძღვარ კალიკრატეს მიანდვეს ა თ ე ნ ა-ნ ი კ ე ს ტ ა ძ რ ი ს აგება. ის ააგეს აკროპოლისის კედლის სწორედ ხრამის თავზე და წარმოადგენდა კოხტა პატარა ტაძარს.

აკროპოლისის მარცხენა დაღმართთან 420 და 406 წლებს შუა ააშენეს ტაძარი ე რ ე ხ თ ე ი ო ნ ი. მისი შენობა აგრეთვე ორ არათანაბარ ნაწილად იყოფოდა. მისი აღმოსავლეთი ნაწილი მიძღვნილი იყო ათენა-პალადას კულტისადმი, რომლის შუაგულს პალადიონი (Palladion, ლათ. Palladium), ქალღმერთის სის ქანდაკი წარმოადგენდა, რომელიც, გადმოცემით, ციდან იყო ჩამოვარდნილი. დასავლეთი ნაწილიც ორ ნაწილად იყოფოდა. ერთი მიძღვნილი იყო ათენის ლეგენდარული მეფის ერეხთევსისადმი. რომელიც შემდეგში პოსეიდონთან გააიგივეს. ერეხთეიონის შინაგანი საცავის მიწისქვეშეთში მდებარეობდა ეგრეთ წოდებული ერეხთევსის ზღვა— მარილიანი წყლის წყარო. რომელიც თითქოს პოსეიდონმა შექმნა, როცა მას დავა ჰქონდა ათენასთან ატიკაზე ბატონობის გამო. იმავე მიწისქვეშეთში ბინადრობდა უზარმაზარი გველი, რომელიც ათენის მითური მეფის, დედამიწის ძის ერიხთონიუსის განსახიერებად ითვლებოდა. მასვე მიაწერდნენ ათენა-პალადას კულტის დაფუძნებას. ერეხთეიონის დასავლეთი ფასადის წინ მდებარეობდა პატარა ეზო, რომელიც ათენის პირველი ლეგენდარული მეფის კეკროპსის საკურთხევლად იყო მიჩნეული და ამიტომ აქვე უჩვენებდნენ მის სამარეს და აგრეთვე იმ ზეთისხილის ხეს, რომელიც თითქოს ათენას ამოუზრდია პოსეიდონთან დავის დროს.

პართენონსა და ერეხთეიონის შუა მდებარე დიდ მოედანზე აღმართული იყო ა თ ე ნ ა-პ რ ო მ ა ქ ო ს ი ს (ბრძოლაში წინამძღოლის) კოლოსალური ბრინჯაოს ქანდაკი, რომელიც ფიდიასის ქმნი-

ლებას წარმოადგენდა. იმდენად დიდი იყო ეს ქანდაკი, რომ მისი შუბისა და მუზარადის ბრწყინვას თურმე ქალაქის ფარგლებს იქით შორს ამჩნევდნენ.

პერიკლეს დროსვე აკროპოლისის აღმოსავლეთ ფერდობის ძირს აუშენებიათ დიდი საკონცერტო დარბაზი — ოდეონი, ხოლო ელევსინში ზემოთ მოხსენებული ხუროთმოძღვრის იქტინოსის მიერ დაპროექტებული ყოფილა მარმარილოს მშვენიერი ტელესტერიუმი, ე. ი. მისტერიებში ნაკურთხთა საკრებულო დარბაზი.

ამ ეპოქაში ბერძნული ხელოვნების შესანიშნავი განვითარება და აყვავება მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ დიდი ათენელი ხელოვანის ფიდიასის სახელთან,[168] რომელიც ატიკურ სკოლას იმ დროს მეთაურობდა. როცა ათენი მთელი საბერძნეთის მხატვრული ცენტრი იყო, თავისი მოღვაწეობა მას ჯერ კიდევ კიმონის დროს დაუწყია. როცა პლატეასა და დელფოში იმ ქანდაკებზე მუშაობდა, რომლებიც სპარსელებზე გამარჯვების აღსანიშნავად აღმართეს. შემდეგ ის პერიკლეს მიუწვევია ათენის რეკონსტრუქციის სამუშაოთა ხელმძღვანელად. ფიდიასი ერთსა და იმავე დროს იყო მოქანდაკე, ჩამომსხმელი, ხუროთმოძღვარი და დეკორატორი. მის განთქმულ ქმნილებათაგან განსაკუთრებით ცნობილია ათენა-პართენოსის ქანდაკი და ზევსის ტაძარი ოლიმპიაში. ფიდიასის ათენა-პართენოსში ათენა წარმოდგენილია, როგორც სიბრძნისა და სილამაზის განსახიერება, როგორც ზევსის ძლიერი ასული, რომელმაც ათენს გამარჯვება და კეთილდღეობა მიანიჭა.

მარჯვენა ხელში ათენას გამარჯვების ოქროსა და სპილოს ძვლისაგან გაკეთებული ფიგურა ეკავა, ხოლო მარცხენა ხელით ფარს ეხებოდა. ეცვა მას უბრალო პეპლოსი. მისი მუზარადი დაფარული იყო ნაქედი მცენარეული და ფიგურული ორნამენტებით. მუზარადის გამოზნექილ მხარეზე წარმოდგენილი იყო ბრძოლა ამორძალებთან, შინაგან ზედაპირზე — ღმერთების გიგანტებთან ბრძოლის სცენები, სოლო ფლოსტების რკალურზე — კენტავრომაქია.

ფიდიასის მიერ შექმნილი ზევს ოლიმპიელის ქანდაკი აღემატებოდა ათენა-პართენოსს არა მარტო ზომით. არამედ თავისი მხატვრული გაფორმებითაც. მართალია, ამ ქმნილების რეპროდუქცია არ შემონახულა. მაგრამ ზოგიერთი აღწერილობის მიხედვით შეგვიძლია ერთგვარი წარმოდგენა ვიქონიოთ მასზე. ზევსი გამოსახული ყოფილა შავი ხისაგან, სპილოს ძვლისა და ოქროსაგან გაკეთებულ ტახტზე მჯდომარე. მისი სახე, შიშველი ტანი და ფეხები სპილოს ძვლისაგან ყოფილა შემზადებული. ფლოსტები და თმა — ოქროსაგან. მარჯვენა ხელში მას ნიკეს ქრიზოელეფანტური ფიგურა უპყრია,

მარცხენაში კი — სკიპტრა. ძველად განსაკუთრებით აღტაცებული იყვნენ ფიდიასის მიერ შექმნილი ზევსის სახის გამომეტყველებით.

ფიდიასის შემოქმედების დამახასიათებელია ისიც, რომ პართენონის შესამკობად სხვათა შორის, აურჩევია არა მითოლოგიიდან, არამედ რეალური ცხოვრებიდან ამოღებული სიუჟეტი, სახელდობრ სადღესასწაულო პროცესია, რომელიც ათენში დიდი პანათენების დროს სრულდებოდა.

დიდ ხელოვანს ისეთი მტრები გასჩენია, რომელთაც მისთვის დაუბრალებიათ, რომ მან ათენა-პართენოსის ქანდაკისათვის გადადებული ოქროს ნაწილი მისაკუთრა და მკრეხელობდა. ფიდიასი დააპატიმრეს ელიდის მცხოვრებლებს საწინააღმდეგო შეუტანიათ მის განსათავისუფლებლად. განთავისუფლებული ფიდიასი ოლიმპიაში გადასახლებულა, სადაც შეუქმნია ზევს ოლიმპელის ცნობილი ქანდაკი.

სურ. 64. ათენა-პართენოსი (ფიდიასის ქანდაკის პირი).

ფიდიასის თანამედროვე იყო არგოსელ მოქანდაკეთა მეთაური პოლიკლეტე. მისი შემოქმედების განსაკუთრებულ თვისებას წარმოადგენდა ადამიანის სხეულის იშვიათი სინაზით და სინამდვილით გამოსახვა. მის საუკეთესო ქმნილებად ითვლებოდა: „დორიფორი" — მშვენიერი აგებულობის ჭაბუკი — შუბოსანი, „დაჭრილი ამორძალი", „დიადუმენი" — ჭაბუკი ათლეტი და ჰერას ქანდაკი. პოლიკლეტე ცნობილია აგრეთვე როგორც ხელოვნების თეორეტიკოსი. იგი ცდილობდა დაედგინა ადამიანის სხეულის ნაწილების ტოლფარდობისა და ჰარმონიის კანონები.

V საუკუნის უკანასკნელ მესამედში განსაკუთრებით ცნობილი იყო ოთხი მხატვარი: აპოლოდორე ათენელი, ზევქსისი სამხრეთ იტალიის ჰერაკლეადან, ეკათარხე სამოსელი და პარაზიოს ეფესე-

ლი. აპოლოდორეს თავის შემოქმედებაში სინათლისა და ჩრდილის განლაგებისა და პერსპექტივის გადმოცემისათვის მიუღწევია და მისთვის „ჩრდილთა მხატვარი“ უწოდებიათ.

ბერძნული ხელოვნების დიდ განვითარებას იმ დროს ადგილი სიცილიაშიც ჰქონია. ჩნდება ბრწყინვალედ აგებული და მოკაზმული ტაძრები. ასეთი იყო, მაგ., ზევსის კოლოსალური ტაძარი აკრაგანტში.

კლასიკური პერიოდის ბერძნულ ხელოვნებას სიდიადე, ზეიმურობა, იშვიათი მიმზიდველობა და მხატვრული ოსტატობა ახასია-



სურ. 65. შესავალი აკროპოლისში (რეკონსტრუქცია).

თებს და დღემდე კაცობრიობის ისტორიაში ღრმა და მაღალი შეფასების ობიექტია.

მიუხედავად იმისა, რომ ათენმა პელოპონესის ომში უდიდესი ზარალი განიცადა, იქ IV საუკუნეშიც არ შეწყვეტილა მშენებლობა და ლიტერატურული, მხატვრული და მეცნიერული მოღვაწეობა. მაგრამ თანდათან იცვლება ათენის სახელმწიფოს საერთო მდგომარეობა და მაღლდებიან ახალი კულტურული ცენტრები, რომლებიც მას კულტურულ პირველობაში ეცილებიან.

2. ნატურფილოსოფია და მეცნიერება. სოფისტები და სოკრატე. პლატონი და არისტოტელე

ჩვენ უკვე გავეცანით იმ პროცესს, რომელმაც საბერძნეთში ხელი შეუწყო ეგრეთ წოდებული ნატურფილოსოფიის წარმოქმნას. ჩვენ ვიცით, რომ მცირე აზიაში ძვ. წ. VI საუკუნეში მთავარი სავაჭრო და კულტურული ცენტრები იყვნენ მილეტი, ეფესო და ფოკეა. სწორედ მილეტსა და ეფესოში წარმოიშვა პირველი ფილოსოფიური სკოლები: მილეტში — მილეტის სკოლა, ეფესოში — ჰერაკლიტეს სკოლა. პირველი ბერძენი ფილოსოფოსები — თალესი, ანაქსიმანდრე და ანაქსიმენე ერთდროულად მეცნიერული აზროვნების ჩანასახის პირველი წარმომადგენლები იყვნენ. ეს სტიქიური მატერიალისტები იმ მოსაზრებიდან გამოდიოდნენ, რომ აღიარებდნენ მუდმივ მოძრაობაში მყოფ რეალური სამყაროს — მატერიის ობიექტურ არსებობას. ჯერ კიდევ ფილოსოფოსი არისტოტელე აღნიშნავდა: „უმრავლესობას იმათგან, ვინც პირველმა მოკიდა ხელი ფილოსოფიას, ყველა ნივთის დასაბამად მხოლოდ მატერიის სახის საწყისები მიაჩნდა: ის, რისგანაც ყველა ნივთი შედგება, რისგან პირველისაგან ისინი წარმოიშვებიან და რაშიც საბოლოო ანგარიშში დაიშლებიან. ამასთანავე ძირითადი არსი მყოფობს, ხოლო თავის თვისებებით იცვლება,—ეს მიაჩნდა მათ ელემენტად და ეს — ნივთთა დასაბამად, და ამის გამო ისინი ფიქრობენ, რომ არაფერი არ წარმოიშვება და არ იღუპება, ვინაიდან მსგავსი ძირითადი ბუნება მუდამ დაცულია“ [11].

იონიის მატერიალისტური ფილოსოფიის შემდგომი განვითარება მოცემულია ჰ ე რ ა კ ლ ი ტ ე ე ფ ე ს ე ლ ი ს მოძღვრებაში. ჰერაკლიტე (535—475) ეფესოს ყოფილი ბასილევსების, არისტოკრატიული გვარის კოდრიდების ჩამომავალი იყო, მაგრამ იგი უარყოფდა ძველ ტრადიციას, „ღმერთების მიერ დაწესებულ“ ძველგვაროვნულ უფლებას და მას ახალ კანონს (ნომოსს) უპირისპირებდა. „ხალხი კანონისათვის, როგორც თავის კედლებისათვის, ისე უნდა იბრძოდეს“, ნათქვამია ერთ მის ფრაგმენტში. ამავე დროს მისთვის ცოტანი. მაგრამ „საუკეთესონი“ „ბრბოზე“ მაღლა მდგომნი არიან: „ერთი ჩემთვის — ათი ათასია, თუ ის საუკეთესოა“ [12]. ჰერაკლიტე ცხოვრობდა საბერძნეთის ისტორიის გართულებულ პერიოდში. როდესაც გამწვავებული სოციალური ბრძოლის ნიადაგზე ხშირი იყო პოლიტიკური გადატრიალებები. ამ ვითარებას არ შეეძლო თავისი გავლენა არ მოეხდინა მის შეხედულებებზე. ყოველივე არსის წყაროდ იგი ომს (ბრძოლას) თვლიდა. „ომია ყველაფრის მამა და ყველაფრის

მეფე; ზოგს მან ღმერთებად ყოფნა განუსაზღვრა, სხვებს ადამიანებად; ზოგნი მან მონებად გახადა, სხვები — თავისუფლებად" [13].

ჰერაკლიტე, ისე როგორც მისი მიღეტელი წინამორბედნი, ფილოსოფოსი და ბუნებისმეტყველი იყო. თუ თალესს დასაბამ ელემენტად წყალი, ხოლო ანაქსიმენეს ჰაერი მიაჩნდა, ჰერაკლიტეს — ცეცხლი. ჰერაკლიტეს აზრით, ბუნების მოვლენათა საერთო მიმოქცევას საფუძვლად ცეცხლის ცვალება უდევს: „ცეცხლზე გაიცვლება ყველაფერი და ცეცხლი ყველაფერზე, როგორც ოქროზე — საქონელი და საქონელზე — ოქრო" [11]. ამავე დროს ჰერაკლიტე ჯერ კიდევ ვერ განასხვავებდა ასტრონომიულსა და მეტეოროლოგიურ მოვლენებს და მისი წარმოდგენით ცეცხლი, რომელიც მზის „თასს" ავსებს, ანაორთქლთა ცეცხლოვან გრიგალად და საბოლოო ანგარიშში, მიწად გადაიქცევა. „მაგრამ გზა ზევით და ქვევით ერთი და იგივეა": მიწა გათხევადდება და წყალი გახდება, უკანასკნელი კი აორთქლდება და ცის მნათობთა ცეცხლად გარდაიქმნება [15]. ცნობიერებას ჰერაკლიტე ψυχეას (სულს) უწოდებს: სული. მისი აზრით, მატერიალურია და ცეცხლის ერთ-ერთ გარდამავალ მდგომარეობას წარმოადგენს. შემეცნების პირვანდელ წყაროდ ჰერაკლიტე გრძნობას თვლიდა, მაგრამ, მისი აზრით, „მრავალმცოდნეობა" თავისთავად ადამიანს ჭკვიანად ვერ გახდის, საჭიროა კოსმოსის გონიერი შემეცნება.

გონების ძირითადი ფუნქცია სინთეზია და სინთეტურ უნარში ჩნდება ჭკვიანსა და სულელს შორის განსხვავება. ჭკვიანი სულელისაგან იმით განსხვავდება, რომ ზოგადის შეცნობას ცდილობს, სულელი კი დეტალებით კმაყოფილდება: „ვირებს ოქროს ჩალა ურჩევნიათ" (ფრაგ. 9); „უმეცრების დაფარვა უმჯობესია, ვიდრე მისი საჯაროდ გამომჟღავნება" (ფრაგ. 109); „ღორები ტლაპოთი ტკბებიან" (ფრაგ. 13).

კოსმოსის შესახებ ჰერაკლიტე ასეთ აზრს გამოთქვამდა: „ეს კოსმოსი, რომელიც ყოველი არსისათვის ერთი და იგივეა, არც ერთ ღმერთს და არც ერთ ადამიანს არ შეუქმნია, არამედ ის ყოველთვის იყო, არის და იქნება მარად ცოცხალ ცეცხლად, რომელიც კანონზომიერად აენთება და კანონზომიერად ჩაქრება" (ფრაგ. 30). ამავე დროს, ყოველი არსი ჰერაკლიტეს წარმოდგენილი ჰქონდა როგორც მარადიული მოძრაობა და ცვლილება. ყველაფერი მდინარებს (πάντα ῥεῖ), ყველაფერი იცვლება და უძრავი არა არის რაო, გვეუბნება ჰერაკლიტე: „ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა არ შეიძლება" (ფრანგ. 91); „ერთსა და იმავე მდინარეში ჩვენ შევდივართ და არც შევდივართ, ვარსებობთ და არც ვარსებობთ" (ფრაგ. 49 ა); „ერთსა და იმავე მდინარეში შემავალს სულ ახალი და

ახალი წყალი ესხმის“ (ფრაგ. 12). „ეს თავდაპირველი, გულუბრყვილო, მაგრამ არსებითად სწორი შეხედულება სამყაროზე უკვე ძველბერძნულ ფილოსოფიას ახასიათებდა და პირველად ნათლად ჰერაკლიტემ გამოთქვა: ყოველივე არის და არც არის, იმიტომ რომ ყოველივე მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ს, ყოველივე მუდმივ ცვლილებას განიცდის, ქმნადობისა და გაქრობის მუდმივ პროცესშია“[16].

ჰერაკლიტეს გარკვევით აქვს აღნიშნული საგანთა თავის დაპირისპირებაში გადასვლის წარმოდგენა: „ცივი თბება, თბილი ცივდება, ტენიანი შრება, მშრალი ტენიანდება“ (ფრანგ. 126). მის ფრაგმენტებში მოცემულია დაპირისპირებათა ბრძოლის, როგორც მოძრაობისა და განვითარების წყაროს, გაგება: „უნდა ვიცოდეთ, ამბობს იგი, რომ ომი საყოველთაოა და ეშმარიტება ბრძოლაა და რომ ყველაფერი ბრძოლისა და აუცილებლობის მეშვეობით ხდება“ (ფრაგ. 80). ჰერაკლიტესთვის უძრავი, გაყინული კატეგორიების ხასიათი არ ჰქონდა სასიამოვნოს და უსიამოვნოს, სასარგებლოსა და სავნებელს, ზნეობრივსა და არაზნეობრივს, სილამაზესა და სიმახინჯეს. ისინი მუდამ მიმდინარეობენ და ერთიმეორეში გადადიან: „ზღვის წყალი უსუფთავესია და უბინძურესიც. თევზებისათვის ის გამოსადეგია და მარგებელი, ადამიანისათვის კი სასმელად გამოუსადეგი და მავნებელი“ (ფრაგ. 61); „უმშვენიერესი მაიმუნი ადამიანთან შედარებით საძაგელია“ (ფრაგ. 82).

მაგრამ ჰერაკლიტეს საყოველთაო მოძრაობა ესმოდა როგორც ბუნების დახშული მიმოქცევა, ამიტომ მისთვის უცხო იყო ისტორიულობა, უსაზღვრო წინსვლითი მოძრაობის იდეა[17].

საყურადღებოა, რომ ჰერაკლიტეს მოძღვრება უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ კომედიების ავტორებს. ასე, მაგ., „ძველი“ ატიკური კომედიის წინამორბედი, სიცილიის კომედიის გამოჩენილი წარმომადგენლის ე პ ი ქ ა რ მ ე ს ერთი კომედია ჰერაკლიტეს დიალექტიკის, მისი მოძღვრების, რომ ყველაფერი იცვლება, პაროდიას წარმოადგენს: მოვალე კრედიტორს ვალის დაბრუნებაზე უარს ეუბნება იმ მოსაზრებით, რომ ჩვენ უკვე ის არა ვართ, რაც წინათ ვიყავითო. კრედიტორი მას სასტიკად სცემს. გალახული მოვალე კი მას სასამართლოში უჩივის. სასამართლოს კრედიტორი თავის მხრივ უმტკიცებს: მომჩივანი და გალახული უკვე ერთი და იგივე პირი არ არისო.

მეორე მხრივ, ჰერაკლიტეს მოძღვრების საწინააღმდეგოდ იტალიასა და სიცილიაში წარმოშობილი „ელეატების“ სკოლის მეთაური პ ა რ მ ე ნ ი დ ე სამყაროს უცვლელობასა და მარადისობას, სამყაროს (ყოფის) და აზროვნების იგივეობას ამტკიცებდა. „უყოფოდ არც

აზროვნება იქნება, ვინაიდან აზროვნება სხვა არა არის რა, თუ არა ყოფა". სამყაროში არ არსებობს არც წარსული, არც მომავალი, არის მხოლოდ ერთი აწმყო — ა ზ რ ი. ნამდვილ სამყაროსთან ერთად, რომელსაც გონებით ჩავწვდებით, არსებობს მეორე — მოვლენათა სამყარო, რომელსაც ჩვენი გრძნობებით ავითვისებთ. მოვლენათა სამყარო უსრული სამყაროა. გრძნობადი სამყაროს გადალახვასა და ზეგრძნობად სამყაროში გონების ჩაშვებაშია ფილოსოფიის ამოცანა, ღირებულება და მიზანი[18]. საერთოდ „ელეატების" სკოლა ერთიან უცვლელ „ყოფას" საგანთა ცვალებად მრავალსახეობას უპირისპირდება. ამ სკოლის ფილოსოფიური დამსახურება არსისა და მოვლენის განსაზღვრაში გამოიხატებოდა.

ჩვენ ვიცით, რომ V საუკუნეში ძველბერძნული კულტურის მთავარი ცენტრი ათენი გახდა. ახალ პირობებში მთავარი ბუნებისმეტყველებითი და ფილოსოფიური პრობლემის ხასიათი მატერიის აგებულების საკითხმა მიიღო. ეს პრობლემა გახდა V საუკუნის სამივე ფილოსოფიური სკოლის — ანაქსაგორეს, ემპედოკლესა და დემოკრიტეს — განსაკუთრებული ყურადღების საგანი.

V საუკუნის გამოჩენილი ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი იყო ა ნ ა ქ ს ა გ ო რ ე კ ლ ა ზ ო მ ე ნ ე ლ ი (მიახლ. 500—428), პერიკლეს თანამედროვე, მისი მასწავლებელი და მეგობარი. ყოველივე არსებულის საფუძვლად ის თავის ტრაქტატში „ბუნების შესახებ" უსაზღვროდ მრავალ ნაწილაკს აღიარებდა, რომელთა შერწყმა თვისებრივად მათ მსგავს სხეულებს ქმნის. ამ ნაწილაკებს „ჰომეომორიები" („მსგავს კერძოობითი") ეწოდა. თვითონ ანაქსაგორე მათ ყველა ნივთის „თესლებს" უწოდებდა. ეს ჰომეომორიები დასაბამიდან მოძრაობაში „მსოფლიო გონების"—„ნუსის" (Νοῦς) მიერაა მოყვანილი. „ნუსი" კი, მისი წარმოდგენით, ყველა ნივთთაგან უწვრილესი და უნაზესია.

ანაქსაგორეს მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის ძველბერძნული ბუნებისმეტყველების განვითარებაში. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ მთვარე არა საკუთარი, არამედ მზისაგან ანარეკლი სინათლით ანათებსო; მთვარის დაბნელებას ის იმით ხსნიდა, რომ მას დედამიწის ჩრდილი ეფინებაო; მის დროს ჩამოვარდნილ მეტეორს მან მზის ნატეხი უწოდა, მზე კი ქვის გავარვარებულ მასად მიიჩნია. ათენში ანაქსაგორემ დიდი სახელი და პატივისცემა მოიხვეჭა. მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მას ულმერთოებაში (ასებიაში) დასდეს ბრალი, რაც მას სიკვდილით დასჯით ემუქრებოდა. მხოლოდ პერიკლეს წყალობით იგი გაძევებით გადარჩა. გარდაიცვალა ის ქალაქ ლამპსაკოსში. მის საფლავზე გაკეთებულ იქნა წარწერა: „ამ სამა-

რეში წევს დიდი ანაქსაგორე, რომლის სული უმაღლეს ჭეშმარიტებას აღწევდა“.

ფილოსოფიასთან ერთად შემდგომ განვითარებას განიცდის მეცნიერების ცალკეული დარგები. მათემატიკა ვითარდება არა მარტო დასავლეთში, პითაგორეს სკოლის წყალობით, არამედ იონიაშიც, სადაც მის წინსვლას ხელს უწყობენ ოინოპიდე ქიოსელი, ჰიპოკრატე ქიოსელი, რომელმაც პირველმა შეადგინა გეომეტრიის სისტემატური სახელმძღვანელო, და ათენელი ასტრონომი მეტონი. წინსვლამ მათემატიკასა და ასტრონომიაში დიდად გაუმჯობესა კალენდრის მოწესრიგების საქმე, განსაკუთრებით მზის წელთან გათანასწორების საკითხში. ოინოპიდემ მზის წლის ხანგრძლივობა 365 დღით, 8 საათით და 57 წუთით განსაზღვრა. ხოლო მეტონმა ეს რიცხვი უფრო მეტად დააზუსტა და შექმნა მზის კალენდარი.

მათემატიკა-ასტრონომიასთან ერთად ძველი ბერძნები იკვლევდნენ მედიცინას, ბიოლოგიას, ბოტანიკას, გეოგრაფიასა და ისტორიას. მედიცინამ ამ საუკუნეში მეცნიერული ხასიათი მიიღო. როგორც ყველა სხვა ძველი ხალხი, ბერძნებიც სხვადასხვა ავადმყოფობის წარმოშობას ზებუნებრივ ძალებს მიაწერდნენ და მათგან თავდასაცავად შელოცვებს, მსხვერპლშეწირვასა და ჯადოქრულ ფორმულებს მიმართავდნენ. კერძოდ, ჯანმრთელობის ღმერთ ასკლეპიოსის ტაძრებში ხშირად მიმართავდნენ ტაძარში ძილის დროს ღვთაებისადმი შეკითხვებს (ინკუბაციონი). საერთო საზოგადოებრივ-კულტურულ წინსვლასთან ერთად საბერძნეთში თავი იჩინა უფრო რაციონალურმა მკურნალობამ. განსაკუთრებით განთქმული გახდა VI—V საუკუნეთა მიჯნაზე ქვემო იტალიის ქალაქი კროტონი. ჰეროდოტეს სიტყვით (III, 125 შმდ.), თავის დროზე გამოჩენილი ექიმი ყოფილა კროტონელი მოქალაქე დემოკედე, რომელსაც სპარსეთის მეფის დარიოსის კარზე დიდი ცოდნა გამოუჩენია და ეგვიპტელი სპეციალისტები დაუჩრდილავს. მაგრამ V საუკუნეში განსაკუთრებული ავტორიტეტი მოუპოვებია კოსის საექიმო სკოლას. მისი განთქმული წარმომადგენელი იყო ჰიპოკრატე, მეცნიერული მედიცინის ფუძემდებელი. მან გაფანტა მკურნალობაში არსებული ბურუსი და პირველმა გამოთქვა ის აზრი, რომ ყოველ ავადმყოფობას თავისი ბუნებრივი მიზეზები აქვსო. იგი მოითხოვდა ადამიანის აგებულებისა და ანატომიის შესწავლას, რომ მკურნალობა ჯეროვნად ყოფილიყო ჩატარებული. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია V—IV საუკუნეების საექიმო ტრაქტატების კრებული, რომელიც ტრადიციის მიერ განთქმული ექიმის ჰიპოკრატეს სახელით არის გაერთიანებული. ეს,

ეგრეთ წოდებული „ჰიპოკრატეს კრებული“ ისეთ შრომებს შეიცავს, როგორიც არიან, მაგ., ტრაქტატები: „საღვთო ავადობაზე“, „ჰაერსა, წყალსა და ადგილ-მდებარეობაზე“, „ძველ მედიცინაზე“ და სხვ.

ჩვენ ვიცით, რომ ლოგოგრაფოსმა ჰეკატეოს მილეტელმა (მიახ. 540—479) დედამიწის აღწერილობა დაგვიტოვა. მასში დასახლებული ნაწილი (ოიკუმენა) ყოველი მხივ ოკეანეთი გარემოცულ კუნძულად არის წარმოდგენილი. ოიკუმენას ხმელთაშუა ზღვა ორ სამხრეთისა და ჩრდილოეთის — ნაწილად ყოფს. სამხრეთი ნაწილი, თავის მხრივ, ნილოსითა და არაბეთის ყურეთი ოთხად იყოფა. რა თქმა უნდა, ასეთი წარმოდგენა ძალიან შორსაა სინამდვილისაგან, მაგრამ საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ააშკარავებს იმ დროის ბერძენთა მისწრაფებას დედამიწის შეცნობის დარგში.

V საუკუნის მეორე გამოჩენილი ფილოსოფოსი იყო ემპედოკლე (483—423), რომელიც სიცილიის მდიდარ პოლისში — აგრიგენტში ცხოვრობდა და ადგილობრივ დემოკრატიულ „პარტიას“ მეთაურობდა. ბუნების მოვლენათა საფუძვლად იგი ოთხ ელემენტს (ριζώματα)—წყალს, ცეცხლს მიწასა და ჰაერს აღიარებდა. ყოველი სხეული ამ ოთხი ელემენტის შერწყმისაგან შედგება. ეს ელემენტი — „ფესვები“ მოძრაობაში ორ ძალას მოჰყავს: „სიყვარულსა“ და „მტრობას“. ამასთან ერთად ემპედოკლე ცდილობდა მოეცა ორგანიზმების წარმოშობისა და ევოლუციის ისტორია.

ამ მხრივ იგი ოთხ პერიოდს გულისხმობდა. ემპედოკლეს თანახმად, ორგანული ცხოვრების გრძელ ჯაჭვში, უწინარეს ყოვლისა, მცენარეები გაჩნდნენ, მერე ცხოველები და სულ ბოლოს ადამიანები, ორგანული განვითარების პროცესში გამძლეობას იჩენდნენ ისეთები, რომლებიც უკეთ ეგუებოდნენ გარემომცველ პირობებს, ყველა დანარჩენი კი იღუპებოდა. ასე, მაგ., მეორე პერიოდში წარმოშობილი ურჩხულები დაიღუპნენ, ვინაიდან მათ ვერ შეძლეს საზრდოს მოპოვება. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ემპედოკლემ პირველმა წამოაყენა აზრი, რომელიც ჩვენს დროში განავითარა დარვინმა, — აზრი არსებობისათვის ბრძოლისა და ყველაზე უფრო შეგუებულთა გამძლეობის შესახებ. ემპედოკლეს მოძღვრება ოთხ ელემენტზე მეცნიერებაში XIX საუკუნემდე პოულობდა გამოძახილს.

ემპედოკლეს მსოფლმხედველობის შესახებ უნდა ითქვას, რომ მატერიალისტურ შეხედულებასთან ერთად მასში ნათლად ჩანს იდეალისტური და თითქმის თეოლოგიური ტენდენციები. კერძოდ, ორგანულ პროცესში მას სულიც შეყავს, რომელიც თანაბრად როგორც მცენარეებისა და ცხოველების, ისე ადამიანის თანაარსია.

ძველბერძნულმა ფილოსოფიამ და მეცნიერებამ თავის განვითარების მწვერვალს ცნობილი ანტიკური მატერიალისტის დ ე მ ო კ რ ი ტ ე ს (მიახლ. 460—370) ატომისტურ თეორიაში მიაღწია. დემოკრიტეს სამშობლო იყო თრაკიის ქალაქი აბდერი. დემოკრიტე აბდერელი თავისი დროის უნივერსალური სწავლული იყო. თავის თხზულებებში ის ეხებოდა ფილოსოფიის, ლოგიკის, მათემატიკის, ასტრონომიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მედიცინის, ფსიქოლოგიის, ეთიკის, პედაგოგიკის, ფილოლოგიის, ხელოვნების თეორიის, ტექნიკისა და სამხედრო საქმის საკითხებს. იგი ნამდვილი ენციკლოპედისტი იყო.

არსებობს ცნობა, რომ დემოკრიტემ იმოგზაურა ინდოეთსა და ბაბილონში, ინახულა ეგვიპტე და ეთიოპია. კიდევაც რომ გადაჭარბებულად ჩავთვალოთ ასეთი ცნობა, მაინც იმის უარისყოფა არ შეიძლება, რომ მას მართლაც უმოგზაურია აღმოსავლეთის ზოგიერთ კულტურულ მხარეში.

დემოკრიტე ათენშიც ყოფილა და გასცნობია ანაქსაგორეს მოძღვრებას. ათენში უსმენდა ის აგრეთვე სოკრატეს, მაგრამ მისი მოძღვრება არ გაუზიარებია, იგი ბრძენად არ უცვნია და მისთვის თავისი ვინაობა არ გაუმხელია.

თავისი მსოფლმხედველობით დემოკრიტე მონათმფლობელური კლასის საშუალო წრეების იდეოლოგად გვევლინება. მისი იდეალია წყნარი, შეძლებული ცხოვრება: „მშვენიერია, ამბობს იგი, ყველაფერში მართებული ზომიერება. ზედმეტი და ნაკლები მე არ მომწონს“.[10] დემოკრიტესათვის ზნეობის უმაღლესი კრიტერიუმი მოვალეობაა: „არა შიშით, არამედ მოვალეობის გრძნობით უნდა ვიკავებდეთ თავს ცუდი საქციელისაგან“ (ფრაგ. 317). ამასთან მას სწამს, რომ „უსამართლოების ჩამდენი გაწვალებულზე უფრო უბედურია“; ხოლო მოსყიდვას მიჩვეული ადამიანი ვერასოდეს სამართლიანი ვერ იქნებაო (ფრაგ. 321, 322.).

როგორც მონათმფლობელური დემოკრატიის იდეოლოგი, იგი ხაზგასმით აღნიშნავს ამ წყობილების უპირატესობას და გვარწმუნებს, რომ დემოკრატიაში სიღარიბე იმდენადვე უმჯობესია მეფეების არსებობის პირობებში მოქალაქეთა ე. წ. კეთილდღეობაზე, რამდენადაც თავისუფლება მონობაზე უკეთესიაო (ფრაგ. 143). ამავე დროს მონები მას ისეთ უგუნურ იარაღად მიაჩნდა, რომლებიც ვალდებული არიან მხოლოდ თავის პატრონებს დაემორჩილონ; მათ ის სხეულის იმ მომსახურე ორგანოებად თვლიდა, რომლებიც თავის ბატონის ნება-სურვილს ასრულებენ. ამიტომ მონათმფლობელს იგი ურჩევს: „გამოიყენე მსახურები ისე, როგორც შენი სხეულის ნაწი-

ლები; ერთი მათგანი ერთი საქმისათვის მოიხმარე, მეორე — მეორისათვის" (ფრაგ. 416). რა თქმა უნდა, მონებს დემოკრიტე არავითარ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ უფლებებს არ ანიჭებს. იგი მონათმფლობელური სახელმწიფოს დიდი დამცველია: „სახელმწიფოს ინტერესები. მისი სიტყვით, ყველა სხვაზე მაღლა უნდა დავაყენოთ და უნდა ვიზრუნოთ, რომ მისი გამგებლობა კარგად მიმდინარეობდეს. ამას ხელი რომ შევუწყოთ, არ უნდა ვებრძოლოთ სამართლიანობას და თავისი სარგებლობისათვის საერთო სიკეთის წინააღმდეგ ძალმომრეობა არ უნდა გამოვიყენოთ. ვინაიდან კარგად განგებული სახელმწიფო უდიდესი სიმაგრეა: მასში ყველაფერია მოთავსებული და, როცა ის დაცულია, ყოველივე მთელია, ხოლო თუ ის იღუპება, მასთან ერთად ყველაფერიც დაიღუპება" (ფრაგ. 167).

დემოკრიტე ანტიკურ სამყაროში პირველი შეეცადა წარმოედგინა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოშობა და განვითარება. მისი გადმოცემით, პირველყოფილი ადამიანები ჯოგურ ცხოვრებას მისდევდნენ და ერთად ებრძოდნენ მხეცებს; მათ არ გააჩნდათ საცხოვრისები, ტანსაცმელი და იარაღი; არ იცოდნენ ცეცხლის მოხმარება და შემთხვევით ნახული საკმლით იკვებებოდნენ. თანდათანობით იწყეს მათ „გაჭირვების მასწავლებლის" მითითებით თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესება: ისწავლეს ცეცხლის მოხმარება და საკმლის შემზადება; გაუჩნდათ ტანისამოსი მხეცების ტყავისაგან, მიეჩვივნენ გამოქვაბულებში ცხოვრებას და შემდგომ სადგომების აგებას. კულტურის წარმოშობის პროცესში დიდი როლი შეასრულა ადამიანთა ბუნებისადმი მიმბაძველობამ. დემოკრიტეს სიტყვით, ცხოველებისაგან ჩვენ მიმბაძველობის გზით ბევრი რამ შევითვისეთ: ჩვენ ვართობობას მოწაფეები საფეიქრო და სამკერვალო ხელოსნობაში, მერცხლის მოწაფეები — სადგომების აგებაში და მგალობელი ფრინველების, გედისა და ბულბულის მოწაფეები — სიმღერაში[20]. დემოკრიტე გვასწავლის, რომ მიწის დამუშავებასა და ქალაქების მშენებლობას თან მოყვა საკუთრების, სიმდიდრის, სიღარიბისა და მეფის ხელისუფლების წარმოქმნა, ხოლო ადამიანების მიერ ლითონების აღმოჩენასა და მათი დამუშავების უნარიანობას. აგრეთვე შრომის სხვადასხვა იარაღის გამოგონებას მათს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხელოვნებისა და მწერლობის წარმოქმნა კი მხოლოდ კულტურის განსაზღვრულ საფეხურზე შეიქნა შესაძლებელიო.

ყურადღების ღირსია დემოკრიტეს შეხედულება მუსიკასა და მის წარმოქმნაზე. ძვ. წ. I საუკუნის ეპიკურელი ფილოსოფოსისა და პოეტის ფილოდემეს ნაწყვეტში ნათქვამია: „ამრიგად, დემოკრიტე, ქაცი. რომელიც ძველთა შორის არა მარტო უდიდესი ბუნების-

მეტყველი იყო, არამედ არავის არ ჩამოუვარდებოდა გამოკვლევათა წრის სივრცელეში, ამბობს, რომ „მუსიკა ხელოვნებათაგან უმცროსია“, და ამას იმით ხსნის, რომ „ის წარმოშვა არა გაჭირვებამ, არამედ ძალთა სიჭარბემ შვა“.

რაც შეეხება დემოკრიტეს, როგორც ანტიკური ატომისტიკის ფუძემდებელს, უნდა აღინიშნოს, რომ მან ლევკიპესთან ერთად მატერიის აღნაგობის ატომისტური თეორია დაამუშავა. მან განავითარა ლევკიპეს მატერიალისტური მოძღვრება და ნამდვილ არსებულად მხოლოდ ატომები (ἄτομα)—უმცირესი განუყოფადი მატერიალური ნაწილაკები და სიცარიელე აღიარა. ლევკიპე და დემოკრიტე ატომებს ყოფიერებას, ხოლო სიცარიელეს — არაყოფიერებას უწოდებდნენ და ამასთან, უკანასკნელს ისევე არსებულად თვლიდნენ, როგორც ყოფიერებას. მათი წარმოდგენით, ატომები თვისებრივად ერთნაირია და განსხვადებიან მხოლოდ ოდენობით — ფორმით („წყობით“), რიგით („შეხებით“) და მდებარეობით („მობრუნებით“).

ყველა საგანი შეკრებილია ატომებისაგან, როგორც ტრაგედია თუ კომედია ანბანის ასოებისაგან. ატომები, ეს განუყოფადი მატერიალური ნაწილაკები, ერთიმეორისაგან თავისი ფორმით განსხვავდებიან და რიგით და მდებარეობით განსხვავებული შეხამებით ქმნიან ყველა ბუნებრივ მოვლენებს. დემოკრიტეს მოძღვრების მიხედვით, წარმოშობა და მოსპობა ურიცხვ სამყაროებისა, რომლებიც მსოფლიოს ქმნიან, ბუნებაში მიმდინარე ყველა ცვლილება სიცარიელეში მოძრავი და ბუნებრივ აუცილებლობას დამორჩილებული ატომების სხვადასხვა შეხამება-შეერთებასა და განცალკევებას შეეფარდება[21]. ატომების მოძრაობა და შეჯახება ხდება არა შემთხვევითად, არამედ განსაზღვრული კანონების მიხედვით. რომელთა შესწავლა ძალუძს ადამიანის გონებას. ამასთან ერთად მოძრაობა მატერიისაგან განუყოფელია. ატომების მოძრაობა დემოკრიტეს ისე ესმოდა როგორც დროში უდასაბამო, მარად არსებული რამ.

ამრიგად, დემოკრიტეს მიხედვით მსოფლიოს განვითარებას ბუნება უდევს საფუძვლად. ყველა ცხოველი, მისი შეხედულებით, ტენიანი მიწისაგან წარმოიშვა. რაც შეეხება სულს. ის მას წარმოდგენილი აქვს როგორც მრგვალი და მსწრაფლად მოძრავი ატომების შეერთება, სულის ატომები ემსგავსებიან იმათ, რომელთაგან ცეცხლი შედგება, ამიტომაც სული ცეცხლისებრი საწყისია სხეულში. სიკვდილი სხეულისა და სულის ატომების დაშლას წარმოადგენს.

ამგვარად, დემოკრიტესა და მისი მოწაფეებისათვის სული ისევე მოკვდავია როგორც სხეული. ამასთან ერთად დემოკრიტეს მატერიალიზმის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს დეტერმინიზმი — (ლათ.

determinare — განსაზღვრა) მოძღვრება აუცილებლობაზე, როგორც ბუნების კანონზე. დემოკრიტეს სიტყვით, არც ერთი საგანი უმიზეზოდ არ წარმოიშვება, ამიტომ, ერთი ძველი ცნობის მიხედვით, მისთვის უფრო უპირატესი ერთი მიზეზობრივი განმარტების მონახვა იყო, ვიდრე თავისთვის სპარსეთის ტახტის მოპოვება[22]. პლუტარქეს გადმოცემით, დემოკრიტემ მსოფლიო უსაზღვროდ აღიარა იმ მიზეზით, რომ ის სრულებით არ არის ვინმეს მიერ გაჩენილიო. ღმერთების რწმენის წარმოქმნას კი დემოკრიტე ხსნიდა თავისი თეორიით სახეების („იდოლების") შესახებ. ამ თეორიის მიხედვით საგნების ზედაპირიდან გამოიყოფიან უწვრილესნი გამოდენანი — მათი სახეები, რომლებიც ადამიანის თვალწინ არსებულ ჰაერზე ზემოქმედებენ და მას ამ საგნების დანახვის საშუალებას აძლევენ. ასევე ადამიანებმა, რომლებიც ხედავენ ბუნების მრისხანე მოვლენებს, ირწმუნეს, რომ არსებობენ ღმერთები და მათ ფიერაა გამოწვეული ეს შემაძრწუნებელი მოვლენებიო.

ასეთია ზოგადად ძველი დროის გამოჩენილი მატერიალისტის, ფილოსოფოს-ბუნებისმეტყველის დემოკრიტეს მოძღვრება. იგი კლასიკური წარმომადგენელია ძველი ბერძნების ერთიანი, დაუნაწევრებელი მეცნიერებისა.

მეორე მხრივ, რაც უფრო ვითარდებოდა დემოკრატიული წყობილება ათენში და ფართოვდებოდა ცალკეული მოქალაქეების უფლება-მოვალეობის ასპარეზი, მით უფრო იზრდებოდა ინტერესი პოლიტიკური და საზოგადოებრივი საკითხებისადმი. თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში მონაწილეობისა და დაკისრებულ მოვალეობათა წესიერად შესრულებისათვის ცოდნის გარკვეული ჯამია აუცილებელი. და სწორედ აქ აშკარავდება ძველი ბერძნული აღზრდის სისუსტე და ახალ პირობებთან შეუსაბამობა; აღარ იყო საკმარისი წერა-კითხვისა და ლიტერატურის შესწავლა, მუსიკა და ტანვარჯიში, რომლებიც, მართალია, ხელს უწყობდნენ სხეულის განვითარებასა და გონებრივ ძალათა განმტკიცებას, მაგრამ ვერ უქმნიდნენ ბერძენ მოქალაქეებს პრაქტიკული საქმიანობის საჭირო მომზადებას. „პერიკლეს ეპოქაში ათენი უდიდეს სამფლობელოდ გადაიქცა და დაიწყო იმ დროს საერთაშორისო პოლიტიკაში როლის თამაში. ვისაც სურდა, ან მოწოდებული იყო მასში მონაწილეობა მიეღო, მას უნდა ჰქონოდა საკმაო პოლიტიკური განათლება, უნდა შეძლებოდა „პოლიტიკური აზროვნება" და „კარგი ლაპარაკი"... სახალხო კრებაზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში ათენელ მოქალაქეს მუდამ წინ უდგებოდა ისეთი საკითხები, რომლებიც პოლიტიკას, უფლებას, მორალს შეეხებოდა. ამავე საკითხებს ეხებოდნენ ზოგჯერ ათენის სცე-

ნაზედაც, განსაკუთრებით ევრიპიდეს პიესებში... ასე დაკინებით წამოყენებულ მოთხოვნილებებს უნდა გამოეწვია მათი დაკმაყოფილების საშუალებაც. და ათენში გაჩნდნენ ადამიანები, რომელთაც იკისრეს ამოცანა, რომ მეთოდური შესწავლის გზით სისტემატურად დაემუშავებინათ ის აზრები, რომლებიც ათენის მოქალაქეთა წრეში იყო აღძრული, და ამით პასუხი გაეცათ მათთვის საჭირბოროტო საკითხებზე"[23]. ასეთ პირებს სოფისტებს უწოდებდნენ, ხოლო მათ მოძღვრებას — სოფისტიკას. ეს პირები მთელ საბერძნეთში მოგზაურობდნენ, ასწავლიდნენ ჰონორარით საორატორო ხელოვნებას და ცდილობდნენ თავისი მოხსენებებით ახალგაზრდობაში მოქალაქეობრივი მოღვაწეობისადმი საჭირო ინტერესების აღძვრას. ჩვენ დროში სიტყვა „სოფისტს" სპეციფიკური მნიშვნელობა მიენიჭა და ამ ტერმინში იგულისხმება ადამიანი, რომელიც ყოველგვარი საშუალებით ცდილობს დაამტკიცოს წინასწარ ცნობილი ცრუ აზრი. ბერძნები, პირიქით, პირველად „სოფისტს" იმავე შინაარსით ხმარობდნენ, როგორითაც „ბრძენს"; ესქილე, მაგ., პრომეთეს სოფისტს უწოდებს იმ მოსაზრებით, რომ მან კაცობრიობას მოუპოვა ისეთი დიდი ელემენტი კულტურისა, როგორიცაა ცეცხლი. დროთა მსვლელობაში ამ სიტყვას ბერძნებმა უფრო ვიწრო მნიშვნელობა მისცეს და ამ სიტყვით იწყეს ისეთი ადამიანების აღნიშვნა, რომელთა პროფესიას პრაქტიკული ცნობების გავრცელება წარმოადგენდა; ასეთი პირები აზროვნებას მიმართავდნენ არა ნატურფილოსოფიის პრობლემების თეორეტიული შესწავლისაკენ, არამედ ცხოვრების მიერ წამოყენებული ახალი პრაქტიკული მომენტების გარკვევისა და ათვისებისაკენ. უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, სოფისტები განსაკუთრებული ყურადღებით ჩერდებოდნენ შემდეგ ცალკეულ დარგებზე: შემეცნების თეორიაზე, ეთიკაზე, უფლებისა და სამართლიანობის მოძღვრებაზე, სახელმწიფო ხელისუფლების თეორიაზე და მჭევრმეტყველებაზე, რომელიც თავისებურ ხელოვნებად ითვლებოდა საჯაროდ სიტყვის წარმოთქმისა და სახალხო დაწესებულებებში საქმიანობისათვის. სოფისტებს აინტერესებდათ უმთავრესად მოძღვრება ადამიანსა და საზოგადოებაზე და ამაშია მათი განსაკუთრებული დამსახურება[24]. სოფისტების ყურადღების ცენტრში იყო ადამიანი მისი სულიერი ცხოვრებით და განცდებით. სოფისტები ერთიან სკოლას არ წარმოადგენდნენ. მაგრამ მათ ერთგვარად აერთიანებდა ღმერთებისა და მათი განმგებლობის უარისყოფა, ბუნების მოვლენათა რაციონალისტური ახსნა-განმარტება და ეთიკური და სოციალური რელატივიზმი.

მათ შორის პირველი და უფრო მნიშვნელოვანი იყო პროტა-

გ ო რ ე ა ბ დ ე რ ე ლ ი (481 — 411), რომელმაც ელინთა სამყაროს მრავალი ქალაქი ინახულა და ხშირად იყო ათენში, სადაც დიდი წარმატება და სახელი მოიხვეჭა. იგი მიზნად ისახავდა არა მარტო მჭევრმეტყველების სწავლებას, არამედ აზროვნების განვითარებასაც. პროტაგორე დემოკრიტეს თანამედროვე იყო. როგორც გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მან უახლოესი მონაწილეობა მიიღო ათენის ახალშენ თურიოსში დემოკრატიული წყობილების დამყარებაში. ღმერთებზე დაწერილი თხზულების გამო მას უღმერთობაში დასდეს ბრალი და სიკვდილით დასჯის შიშით იგი იძულებული იყო ათენიდან გაქცეულიყო და გემის დაღუპვის მსხვერპლი გახდა. მასთან ერთად უნდა დავასახელოთ გ ო რ გ ი ა ს ლ ე ო ნ ტ ი ნ ე ლ ი (სიცილიაში), რომელიც თავისი მხარის პროქსენად იყო წარგზავნილი ათენში 427 წელს. პირველ რიგში იგი საორატორო ხელოვნებას აქცევდა ყურადღებას და მისი მეოხებით სიცილიაში დიდად განვითარდა რიტორიკა, განსაკუთრებით კი სამოსამართლო მჭევრმეტყველება. პროტაგორე და გორგიასი სოფისტების უფროს თაობას ეკუთვნოდნენ და მათ წრესვე უნდა მივუმატოთ პ რ ო დ ი კ ე, ჰ ი პ ი ა ს ი და სხვ. სოფისტების უმცროსი თაობის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ: ა ნ ტ ი ფ ო ნ ტ ე, ა ლ კ ი დ ა მ ა ნ ტ ე და 30 ტირანის მეთაური ათენში კ რ ი ტ ი ა ს ი.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პირები სხვადასხვა მხრიდან იყვნენ გამოსული, მათი მოძრაობის ცენტრალური პუნქტი მაინც ათენი იყო, პროტაგორე, ჰიპიასი. პროდიკე და ანტიფონტე პირველი ანტიკური განმანათლებლები — ენციკლოპედისტები იყვნენ. მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს შემეცნების საკითხებს. მთავარი საფუძველი სოფისტიკას ჩაუყარა პროტაგორემ, რომელმაც თავისებურად განავითარა ჰერაკლიტეს აზრები. პროტაგორეს, რომელიც ნივთთა საყოველთაო დენადობას აღიარებდა, შემეცნებების ერთადერთ საიმედო წყაროდ შეგრძნობა მიაჩნდა. ამავე დროს მას სწამდა, რომ შემეცნება სუბიექტურია და იმ ადამიანისათვის აქვს მნიშვნელობა, რომელიც მას იღებსო. ყოველი ადამიანი ნივთებზე თავისი გონების მიხედვით მსჯელობს და ეს მსჯელობა მას სწორად მიაჩნია, ვიდრე მოპირდაპირე მას ლოგიკური არგუმენტებით საწინააღმდეგოს არ დაუმტკიცებსო. ამის მიხედვით პროტაგორემ წამოაყენა ცნობილი დებულება: „ადამიანი არის საზომი ყველა ნივთისა, არსებულთა, რომ ისინი არსებობენ, და არარსებულთა, რომ ისინი არ არსებობენ“. ამგვარად, ჩვენი შემეცნება სუბიექტურია და არსებობს არა აბსოლუტური, არამედ რელატიური ჭეშმარიტება, რომელიც მხოლოდ მათ გამომთქმელთათვის არის ნამდვილი. ამ საკითხს, ცოტა სხვა სა-

ხით შეეხო, გ ო რ გ ი ა ს ი (483—375) თავის ტრაქტატში „ბუნების შესახებ“. მისი აზრით, ყოფიერება, როგორც ასეთი, თავისთავად არ არსებობს. მან ამ მხრივ სამი თეზისი წამოაყენა: 1. არაფერი არ არსებობს; 2. რომ რამე არსებობდეს, ის ადამიანისათვის მაინც მიუწვდომელი იქნებოდა; 3. რომ მისაწვდომიც იყოს, მისი გადმოცემა სხვებისათვის შეუძლებელი იქნებოდა.

აქედან გამომდინარეობს, როგორც აუცილებელი შედეგი, ასეთი დასკვნა: ყველა საკითხის შესახებ შეიძლება არსებობდეს ორი ერთიმეორის საწინააღმდეგო არგუმენტაცია, და რომ ყოველგვარი ზნეობრივი ცნება არსებობს არა ბუნებისაგან, არამედ ემყარება ადამიანთა შეთანხმებას; ასევე სახელმწიფო კანონები და სარწმუნოება წარმოადგენს მხოლოდ რელატიურ სინამდვილეს. პლატონის გადმოცემით, სოფისტი ჰიპიასი ამბობდა: „ჩვენ ყველანი ნათესავები და თანამოქალაქეები ვართ ბუნებით და არა კანონით; რადგან ბუნებით თანასწორი ნათესავია თანასწორისა; კანონი კი, როგორც მეუფე ადამიანთა, გვაიძულებს ბევრში ბუნების წინააღმდეგ წავიდეთ, ამიტომ ცალკე სახელმწიფოებში არსებულ კანონებს მხოლოდ პირობითი ღირებულება აქვს; ისინი ადამიანთა ხელის საქმეა და მუდმივ იცვლებიან ადამიანთა მოთხოვნილებებთან შეთანხმებით“. სარწმუნოება და კულტიც პირობით მომენტებზეა დამყარებული. პროტაგორე აღნიშნავდა: მე არ შემიძლია რაიმე ვიცოდე ღმერთების შესახებ, არც ის, რომ ისინი არსებობენ და არც ის, რომ არ არსებობენო. აქ ბევრი რამ ეშლის ხელს ცოდნას: გაურკვევლობა და ადამიანის ცხოვრების ხანმოკლეობა. უნდა გარკვევით ითქვას, რომ სოფისტებმა საერთოდ არა ერთი ორიგინალური მოსაზრება წამოაყენეს, რითაც უდავოდ ხელი შეუწყეს აზროვნების განვითარებას, განსაკუთრებით იმით, რომ, თანახმად თავიანთი მეთოდისა, თითოეულ საკითხს ორი თვალსაზრისით იხილავდნენ, ებრძოდნენ გაბატონებულ შეხედულებათ და ყველაფერს ეჭვის ქვეშ აყენებდნენ. სოფისტებმა ბევრი რამ გააკეთეს ათენის მოქალაქეების პოლიტიკური გათვითცნობიერების საქმეში და, მიუხედავად პოლიტიკურ საკითხებში განსხვავებისა, თვალსაჩინო სამსახური გაუწიეს თავის თანამედროვე საზოგადოებას. მიუხედავად უაღრესი ინდივიდუალიზმისა, სოფისტების უმრავლესობა მუდამ ხაზს უსვამდა ადამიანთა შორის თანასწორობის პრინციპს და გორგიასის მოწაფის ალკიდამანტეს პირით სოფისტებმა ანტიკური სამყაროს ეკონომიკის საფუძვლის — მონობის ინსტიტუტის მოსპობაც კი მოითხოვეს. ალკიდამანტე აღიარებდა, რომ „ღმერთებმა ყველა თანასწორებად შექმნეს და ბუნებას მონად არავინ წარმოუშვიაო“. მაგრამ სოფისტიკას უარყოფითი მხარეებიც ახასიათებ-

და, რაც უმთავრესად იმაში გამოიხატებოდა, რომ სოფისტების ფილოსოფიაში სკეპსისსა და სუბიექტივიზმს ფრიად დიდი ადგილი ჰქონდა მიკუთვნილი.

სოფისტიკამ საბერძნეთში დიდი გავრცელება მოიპოვა, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. მაგრამ ამასთან ერთად ცხარე ოპოზიცია გამოიწვია როგორც ძველებურად მოაზროვნე წრეებში, ისე ისეთი პიროვნების მხრივაც, როგორიც იყო მოქანდაკე სოფრონისკეს შვილი, თვითონაც მოქანდაკე ს ო კ რ ა ტ ე (469—399). მიუხედავად სიღარიბისა, სოკრატეს საკმაოდ ფართო ფილოსოფიური განათლება მიუღია. პელოპონესის ომის დროს იგი სამ ბრძოლაში მონაწილეობდა და პოტიდეასთან ალკიბიადე სიკვდილისაგან გადაურჩენია. მას, როგორც პრიტანს, იმ სტრატეგოსების პროცესზე, რომლებიც არგინუსის კუნძულთან ფლოტს მეთაურობდნენ, უმრავლესობის წინააღმდეგ მათი სიკვდილად დასჯა მიუღებლად მიუჩნევია. ცნობილია, რომ მას ათენის სასამართლომ 399 წელს ბრალი დასდო იმაში, რომ თითქოს იგი არ სცნობდა იმ ღმერთებს, რომლებსაც სახელმწიფო აღიარებდა, და მათ მაგიერ ახალ ღვთაებებს აწესებდა და გარდა ამისა ახალგაზრდობას რყვნიდა. იგი დამნაშავედ აღიარეს და სიკვდილი მიუსაჯეს. გადმოცემის მიხედვით, სიკვდილის წინ სოკრატემ უარყო თავის მოწაფისა და მეგობრის კრიტონის რჩევა, თესალიაში გაქცეულიყო. შეკითხვაზე, თუ სად სურს დაკრძალვა, სოკრატემ უპასუხა, რომ მისთვის ეს სულერთია: შისი სიკვდილის შემდეგ ის სოკრატე აღარ იქნება, რომელიც აი ახლა თავის მეგობრებთან საუბრობს, ხოლო ცოცხალი ადამიანის მაგივრად მხოლოდ მისი გაცივებული, უსუნთქველი გვამი დარჩება. მან თვითონ დალია შხამი, რაც ათენში სასჯელის ჩვეულებრივ სახედ ითვლებოდა, და მისმა ასეთმა სიკვდილმა არაჩვეულებრივი შარავანდედით შემოსა იგი ადამიანთა თაობების მოგონებაში.

საერთოდ ახალ დროში სოკრატეს სხვადასხვა მწერალი ერთიმეორისგან სრულებით განსხვავებულ თვისებებს მიაწერს; მასში ხედავენ: თეორეტიკოს-მოაზროვნეს, სოციალურ რეფორმატორს, ფილოსოფოს-პოპულარიზატორს, კაცობრიობის კეთილშობილ მეგობარს, კრიტიკოს-რაციონალისტს, მეოცნებე-უტოპისტს, მისტიკოსს, თავისუფალ მოაზროვნე-ათეისტს, ჭკვიან სოფისტს, წვრილმან და მომაბეზრებელ მორალისტს, პოლიტიკურ რეაქციონერს, რომელმაც დამღუპველი გავლენა იქონია ადამიანის გონების თავისუფალ განვითარებაზე და დემოკრატიის მოწინააღმდეგე იყო, და, პირიქით თავხედ რევოლუციონერს, რომელიც არსებულ წყობილებას ანგრევს, მაგრამ უძლურია .იგი რაიმე ახლით შეცვალოს, და სხვა[25].

ერთი სიტყვით, თითოეული მკვლევარი მასში ეძებს იმას, რაც, მისი აზრით, მთავარი და ძირითადია, და ამ მხრივ უმეტეს ნაწილად ადგილი აქვს როგორც მისი ისტორიული მნიშვნელობის გადაჭარბებულად გათვალისწინებას, ისე მისი მოღვაწეობის დამცირების ტენდენციას. ჩვენ სოკრატეს მოძღვრება და მოღვაწეობა გვაინტერესებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მათში იმ საზოგადოებრივ-კულტურული განვითარების თავისებურ გამოძახილს ვპოულობთ, რომელსაც ამ ეპოქაში ათენი განიცდიდა.

პლატონის ერთ დიალოგში ჩვენთვის ცნობილი ალკიბიადე ასეთი სიტყვებით აღნიშნავს სოკრატეს გავლენას: „როდესაც ვუსმენ მას, ჩემი გული გაცილებით ძლიერად სცემს, ვიდრე კორიბანტებისა*, და ცრემლი მდის მისი სიტყვებისაგან. ვხედავ მრავალ სხვასაც, რომლებიც ამასვე განიცდიან... ეს მარსიასი ხშირად ისეთ განწყობილებას მიქმნიდა, რომ უღირსად მეჩვენებოდა ისეთი ცხოვრება, რომელსაც მე ვატარებ... ყველა ადამიანთაგან მხოლოდ მის წინაშე ვგრძნობ იმას, რასაც ჩემში არავინ იფიქრებდა, — ვგრძნობ სირცხვილს, მხოლოდ მისი მრცხვენია“... ამ სიტყვებიდან, უწინარეს ყოვლისა, უნდა შევჩერდეთ იმაზე, თუ რას გულისხმობდა ალკიბიადე. როდესაც სოკრატეს სატირ მარსიასს ადარებდა. შეიძლება მას მხედველობაში ჰქონდა V საუკუნის პირველი ნახევრის განთქმული ბერძენი მოქანდაკის მირონის ბრინჯაოს ჯგუფი ათენის აკროპოლისში: მასში გადმოცემულია, როგორც ვიცით, ათენა და სატირი მარსიასი იმ მომენტში, როდესაც მას უპოვნია ათენას მიერ გამოსროლილი ფლეიტა და მხიარული გაოცებით არ იცის, ხელი სტაცოს მას, თუ თავის ადგილას დატოვოს. აქ დიდი მხატვრული ოსტატობით არის გამოსახული ქალღმერთის მშვენიერი სახე, რომლის წინაშე მარსიასის გარეგნობა უაღრეს მახინჯად მოჩანს. ამ ჯგუფზე მითითებით, ალბათ, ალკიბიადეს იმ აზრის გატარება სურდა, რომ მიუხედავად არამიმზიდველი გარეგნობისა, სოკრატე მაღალბუნებოვანი და ღრმა აზროვნების ადამიანი იყო. მეორე მხრივ, ალკიბიადეს სიტყვები გვარწმუნებს, რომ სოკრატეს დიდი გავლენა ჰქონდა თავის მსმენელებზე. მაგრამ სრული დაპირისპირება სოკრატესი სოფისტებისადმი სწორი არ არის: მისი მოძღვრების შინაარსი ისეეა გამსჭვალული ინდივიდუალიზმით, როგორც სოფისტების მოძღვრებათა შინაარსი. სოკრატე, როგორც სოფისტები, რომელთა წრიდანაც გამოვიდა თვითონ და რომლებსაც მას მისი თანამედროვენი მიაკუთვნებდნენ, მთავარ მიზნად ადამიანების მოქალაქეობრივ აღზრდას ისახავ-

* კორიბანტები — ღმერთების დიდი დედის ქურუმები, რომლებიც არაჩვეულებრივი ექსტაზით ასრულებდნენ ღვთისმსახურებას.

და; მისთვისაც არსებითი მნიშვნელობა აღზრდის პრობლემას ჰქონდა მიკუთვნებული. მაგრამ იგი არ გამოდიოდა იმ პრეტენზიით, თითქოს ჭეშმარიტება უკვე მოპოვებული ჰქონდა, და არც ფულით ასწავლიდა მსმენელებს, არამედ ჭეშმარიტების გამორკვევას ინდუქციური გზით, სხვებთან დისკუსიების საშუალებით ცდილობდა.

ამ დისკუსიების პროცესში იგი ააშკარავებდა იმ ყალბ დებულებებს, რომლებსაც, მისი აზრით, სოფისტები ემყარებოდნენ, და ცდილობდა დაემტკიცებინა, თუ რამდენად მცირე და არა სანდოა მათი ცოდნა. ამასთან თუ სოფისტები უმეტეს ნაწილად უარყოფით და ეჭვით კმაყოფილდებოდნენ და, მათი აზრით, საერთო ჭეშმარიტება არ არსებობდა, სოკრატე, პირიქით, ამტკიცებდა, რომ ჭეშმარიტება არსებობს, არსებობს რაღაც სავალდებულო, ყველა ინდივიდუუმზე მაღლა მდგომი, და რომ ცოდნა მხოლოდ იქ შეიძლება იყოს, სადაც ეს შეგნებულია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც სოფისტებთან მას აახლოვებდა დამოკიდებულება ავტორიტეტისადმი: მისი პრინციპი იმაში მდგომარეობდა, რომ არაფერი არ ყოფილიყო მიღებული სარწმუნოდ დამტკიცებისა და შემოწმების გარეშე; იგი ყველას მოუწოდებდა გამოეკვლიათ და შეესწავლათ ყოველი საკითხი და ანგარიში გაეწიათ მხოლოდ თავისი რწმენისათვის. ყოველდღე ხედავდნენ სოკრატეს ათენის ქუჩებში, მოედნებზე, გიმნაზიონებში და პალესტრებში, სადაც იგი აჩერებდა ნაცნობს და უცნობს და იწყებდა მათთან ბაასს, რომლის დროსაც ცდილობდა გაერკვია ძირითადი ცნებების არსი, თუმცა ცნებათა სისტემატიკას ისიც საკმაოდ დაშორებული იყო. განსაკუთრებული ყურადღებით ეხებოდა იგი ზნეობრივი მომენტების ცოდნას და გარკვევით აღიარებდა, რომ კეთილმოქმედება ცოდნაში მდგომარეობს: ცოდნა საფუძველია ყოველგვარი ზნეობრივი მოქმედებისა და უცოდინარობა კი — ყველა შეცდომისა და ნაკლისა. ამ მხრივ სოკრატემ გზა გაუწალდა შემდგომ თაობას ეთიკის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების საქმეში. ამავე დროს სოკრატეს პრაქტიკული მოღვაწეობა დამყარებული იყო იმ რწმენაზე, რომ ღვთაებრივი მისიის შესასრულებლად მას თავის თანამოქალაქეთა წრეში ზნეობრივი გამაღვიძებლის როლი ეთამაშა. საერთოდ სოკრატემ ერთგვარად გადალახა სოფისტების მოძღვრება რელატივიზმის შესახებ და სავალდებულოდ აღიარა ზოგადი ცნებების რეალობა. ამით მან ერთგვარად გაბზარა სოფისტების მოძღვრების ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ყოველი საგნის მიმართ შეიძლება არსებობდეს ორი თანაბრად სწორი, სამართლიანი, ერთიმეორის საწინააღმდეგო გაგება.

სოკრატე, ერთი მხრივ, უარყოფდა სოფისტების შემეცნებით ნი-

პილიზმს, მაგრამ ფილოსოფიისა და გნოსეოლოგიის ცენტრი მას ფიზიკისა და გარეგანი სამყაროდან ეთიკის სფეროში გადაჰქონდა. ამავე დროს მატერიალისტების მოწოდების წინააღმდეგ, რომ „ყური ბუნებისათვის მიეპყრათ“ (ჰერაკლიტე), სოკრატე ემყარებოდა თავის „შინაგან ხმას“, რომელსაც „დაიმონს“ უწოდებდა. თითქოს ის უკარნახებდა მას, რომ არსებობენ აბსოლუტური ეთიკური ღირებულებანი, რომელთაც ადამიანის გონება ვერ მიწვდება, ვინაიდან ისინი ზეგონებრივსა და ზერაციონალურ ჭეშმარიტებას წარმოადგენენ. სოკრატეს აზრით, ნამდვილ ცოდნას მხოლოდ ღვთაება ფლობს და ხშირად იმეორებდა: „მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“. ამასთან ერთად შემეცნებითი პროცესის დასაბამად მას ადამიანის მიერ თავისთავის შეცნობა მიაჩნდა და აქედან გამომდინარეობდა მისი ფილოსოფიისა და გნოსეოლოგიის ლოზუნგი: „შეიცან თავი თვისი“. მატერიალისტების დეტერმინიზმის საწინააღმდეგოდ სოკრატე ისეთ თეოლოგიურ შეხედულებას ანვითარებდა, რომლის მიხედვით ღმერთების ნებისყოფამ წინასწარ განსაზღვრა ყოველი მოვლენის მიზანდანიშნულება.



სურ. 65. სოკრატე (მარმარილო).

სოკრატეს მოძღვრებამ ნიადაგი შეუმზადა პლატონის იდეალიზმს. თვითონ სოკრატეს წერილობითი შრომები არ დაუტოვებია და მისი მოძღვრება უმთავრესად ფართოდ ცნობილი პლატონის, ქსენოფონტესა და არისტოფანეს ნაწარმოებთა მეშვეობით გახდა. ხოლო თითოეულ მათგანს სოკრატეს მოძღვრება თავისებურად გაეგებოდა და ამით უნდა აიხსნებოდეს მასზე სხვადასხვა, ხშირად ერთიმეორის საწინააღმდეგო შეხედულება.

კლასიკური საბერძნეთის მეცნიერულ-ფილოსოფიურ მიღწევათა განხილვისას არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ისეთ დიდ მოაზროვნეთ, როგორნიც იყვნენ ფართოდ ცნობილი პლატონი და არისტოტელე.

ფილოსოფოს-იდეალისტი და ათენის დემოკრატიის მოწინააღმდეგე პ ლ ა ტ ო ნ ი (427—347) კოდრიდების ძველ გვარს ეკუთვნო-

და და ოცდაათი ტირანის მეთაურს კრიტიასს ენათესავებოდა. მისი ნამდვილი სახელი არისტოკლე იყო, პლატონი — მეტსახელი (ბერძნული სიტყვიდან πλατύς — განიერი). პლატონს თავის დროის მიხედვით ფართო განათლება მიუღია და დიდი ლიტერატურული და პოეტური ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული. ახალგაზრდობაში იგი სოკრატეს უსმენდა და მისი ზეგავლენით ფილოსოფიის ღრმა შესწავლას შესდგომია. თავისი მასწავლებლის სიკვდილის შემდგომ იგი მალე წასულა ათენიდან მეგარაში, მერე კირენასა და ეგვიპტეში ყოფილა და ერთ დროს სამხრეთ იტალიაშიც უცხოვრია, სადაც პითაგორეს სკოლის წარმომადგენლებს გასცნობია. სამჯერ ყოფილა პლატონი სირაკუზში და უახლოესი მონაწილეობა მიუღია დიონისე უფროსისა და დიონისე უმცროსის კარზე ამტყდარ პოლიტიკურ ბრძოლაში. 385 წელს პლატონს ათენის მახლობლად მითური გმირის აკადემოსისადმი მიძღვნილ ბაღებში დაუარსებია ფილოსოფიური სკოლა, სახელგანთქმული „აკადემია“ (Akadèmeia). პლატონი გარდაიცვალა ათენში 347 წელს. მისგან ჩვენამდე დიალოგების ფორმით დაწერილმა მრავალრიცხოვანმა ფილოსოფიურმა ნაწარმოებმა და წერილების კრებულმა მოაღწია. ამ ნაწარმოებთა ნაწილი არა პლატონს, არამედ მისი სკოლის წარმომადგენლებს ეკუთვნოდა.

თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში პლატონს დაუწერია რამდენიმე დიალოგი, რომლებშიც ის სოკრატეს მოძღვრებას ანვითარებდა და რომელთაც ამიტომ „სოკრატული“ დაერქვა, როცა პლატონის ცხოვრებაში „აკმე“* დაწყებულა, მას შეუქმნია ცნობილი თხზულება „სახელმწიფო“ (პოლიტია), რომელშიც მისთვის იდეალური წყობილებაა წარმოდგენილი. პლატონის უფრო გვიანდელ დიალოგებში მეღავნდება პითაგორელების გავლენა („ტიმეასი“, „კანონები“ და სხვ.). პლატონი ბრწყინვალე სტილისტი და მხატვარი იყო. მისი შემოქმედების უმაღლეს მიღწევად მის მიერ შექმნილი სოკრატეს სახე შეიძლება ჩაითვალოს. მისი განსახიერებით, სოკრატე ისეთი ბრძენია, რომელიც თავისი არამიმზიდველი გარეგნობის მიუხედავად, მაღალი ინტელექტუალური და ზნეობრივი სიუხვით არის დაჯილდოებული, ადვილად ამხობს ყალბ ავტორიტეტებს და ყველას ხიბლავს, ვისაც კი მასთან ურთიერთობა აქვს („ფედონი“, „სიმპოსიონი“). პლატონის მოძღვრება ფართო საკითხებს მოიცავს სამყაროსა და მის წარმოქმნაზე: სულზე, შემეცნებაზე, საზოგადოებაზე, შრომის დანაწილებაზე, აღზრდაზე, ხელოვნებაზე, სა-

* „აკმე“ — მწვერვალი, ცხოვრების გაფურჩქნა; ჩვეულებრივად მას 40 წლის ასაკს უთანაბრებენ.

ხელმწიფოებრივ ფორმებზე და სხვ. პრობლემატიკის სიმდიდრემ და ზოგიერთი დიალოგის შინაარსის იშვიათმა მხატვრულმა დალაგებამ პლატონს ფილოსოფიური იდეალიზმის წარმომადგენელთა შორის ერთი პირველ ადგილთაგანი დაუმკვიდრა.

პლატონის ფილოსოფიური კონცეფცია ობიექტურ იდეალიზმს წარმოადგენს. ზოგადად ის ასე უნდა წარმოვიდგინოთ: გრძნობადი ნივთების სამყარო ნამდვილად არსებულის სამყაროს არ წარმოადგენს; გრძნობადი ნივთები შეუწყვეტლივ იცვლებიან, წარმოიქმნებიან და იღუპებიან. გრძნობადი ნივთები მხოლოდ აჩრდილი არიან მათი უსხეულო, უგრძნობადი პირველსახეებისა, რომელთაც გონებით მივწვდებით და რომლებსაც პლატონმა „სახეები" ანუ „იდეები" უწოდა. ყოველივე, რაც კი გრძნობად ნივთებში ნამდვილად არსებულისაგან არის, ამ „იდეების" მეშვეობითაა მოცემული.

„იდეები" თუ „სახეები" მარადიული, უცვლელი და დროისა და სივრცის პირობებისაგან დამოუკიდებელი არიან. ამავე დროს ეს „იდეები" გრძნობადი ნივთების მიზეზიც არიან, მათი წარმოქმნის ნიშუშიც და მიზანიც, რომლისკენაც გრძნობადი სამყაროს არსებანი მიისწრაფვიან. როგორც ცვალებადი, გარდამავალი და ჭეშმარიტ არსებობას მოკლებული, გრძნობადი ნივთები შეპირობებული არიან, ერთი მხრივ, ჭეშმარიტი ყოფიერებით („იდეებით"), ხოლო, მეორე მხრივ, „არაყოფიერებით". ეს უკანასკნელი გაიგივებულია შეუწყვეტული მოძრაობის წარმოქმნისა და ცვლილების არესთან — მატერიასთან. „მატერია" გონებით მისაწვდომი ყოველი „სახის" ერთიანობას გრძნობადი ნივთების სიმრავლეში გარდაქმნის. გრძნობადი სამყარო „შუათანაა" უსხეულო „იდეათა" სამყაროსა და მატერიას შორის. ამრიგად, პლატონისათვის „იდეათა" სამყარო პირველადია, ხოლო გრძნობადი ნივთების სამყარო მეორეული, წარმოებული.

პლატონის „იდეათა" არეს ისეთ პირამიდას ადარებენ, რომლის მწვერვალზე იმყოფება სიკეთის „იდეა", რომელიც ნივთებს გადასცემს არა მარტო მათი შეცნობის შესაძლებლობის ნიჭს, არამედ არსებობის ნიჭსაც. პლატონის მიხედვით, სიკეთე არა მარტო უმაღლეს მიზეზად არის აღიარებული, არამედ მასთან ერთად ყოფიერების მიზნადაც. ამის მიხედვით მის მოძღვრებას სიკეთის „იდეაზე" თეოლოგიური ხასიათი აქვს.

შემეცნების თეორიაში პლატონი ამტკიცებდა, რომ გრძნობები არ შეიძლება იყვნენ ჭეშმარიტი ცოდნის წყარო, რამდენადაც ისინი საგნობრივ სამყაროს ფარგლებს ვერ სცილდებიან. ჭეშმარიტ ცოდნას წარმოადგენს ადამიანის უკვდავი სულის მოგონებანი იდეათა სამყაროზე, რომელსაც ის მოკვდავ სხეულში ჩასახლებამდე სჭვრეტდა.

სულში იდეათა მოგონებების აღძვრის მეთოდად პლატონს დიალექ-ტიკა მიაჩნდა, რომელიც მას საუბრის მსვლელობაში ცნებათა ანალიზირებისა და დაპირისპირების ხელოვნებად ჰქონდა წარმოდგენილი. პლატონის მოძღვრებას სამყაროსა და მის წარმოქმნაზე ნათლად ემჩნევა პითაგორელების გავლენა: პითაგორელების მოძღვრებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი მისტიურ წარმოდგენებს მსოფლიო სულზე და ცალკეულ სულთა გარდასახვაზე".

პლატონის დრო მწვავე კლასობრივი ბრძოლისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ახალ ფორმათა დაძაბული ძიების ხანა იყო. და ამ ნიადაგზე იქმნებოდა „იდეალური" სახელმწიფოს უტოპიური პროექტები. ამ პროექტთა შორის განსაკუთრებით ცნობილია პლატონის „პოლიტია".

სურ. 67. პლატონი (მარმარილო, ძვ. წ. IV საუკუნე).

პლატონის „იდეალურ" სახელმწიფოში თავისუფალი მოქალაქეები შრომის დანაწილების მიხედვით სამ ფენად არის დაყოფილი. პირველ ფენას მიეკუთვნებიან სახელმწიფოს მმართველები, სამართლიანი და გონიერი ადამიანები, რომელთაც პლატონი ფილოსოფოსებს უწოდებს. მათ არ გააჩნიათ არც კერძო საკუთრება და არც ოჯახი, რომლებიც პლატონს საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა წყაროდ და პოლისის მმართველობის ერთიანი ნებისყოფის შემასუსტებლად მიაჩნდა. ფილოსოფოსები ერთად ცხოვრობენ და ყოველგვარი ზრუნვისა და შფოთისაგან თავისუფალი არიან.

მეორე ფენას შეადგენენ „მეომრები" (მცველები), რომელთაც სახელმწიფოს დაცვა აქვთ დაკისრებული. მათაც არ ჰყავთ ოჯახი და არც საკუთრება გააჩნიათ, რომ მთელი მათი საქმიანობა სახელმწიფოს დაცვასთან იყოს დაკავშირებული. „ყველას ბავშვები საერთო ჰყავთ, არც მშობლებმა იციან თავისი შვილები და არც შვილებმა მშობლები", ამბობს თავის „პოლიტიაში" პლატონი (V. 457 a).

ქორწინებასა და შვილიანობას სახელმწიფო აწესრიგებს. ჩვენ ვიცით, რომ პლატონის ასეთი პროექტის კარიკატურას წარმოადგენს არისტოფანეს კომედია „ქალები სახალხო კრებაზე", რომლის მიხედვით ქალები ქონების, ცოლებისა და ქმრების განსაზოგადოებას მოითხოვენ.

მესამე ფენას წარმოადგენენ პლატონის მიერ ხელოსნების (დემიურგების) ზოგად ტერმინში გაერთიანებული დანარჩენი ნაწილი მოსახლეობისა: მიწათმოქმედნი, ვაჭრები, ხელოსნები და ა. შ. მათ ოჯახიცა ჰყავთ და საკუთრებასაც ფლობენ. მათ ცხოვრებას სახელმწიფო მხოლოდ ზოგადად აწესრიგებს. დემიურგები სახელმწიფოს განკარგულებაში იმყოფებიან და ცამეტ საწარმოო ოლქად ნაწილდებიან. დემიურგებზე „ზრუნველობა" დაკისრებული აქვთ ა გ ო რ ა ნ ო მ ე ბ ს, რომლებიც ერთდროულად სამხედრო უფროსებსაც აწესრიგებენ. დემიურგები თავისი შრომით სახელმწიფოს საკრებულო ნივთიერ დოვლათს უქმნიან და საშუალებას აძლევენ ფილოსოფოსებს, განაგონ სახელმწიფო და მეომრებს, მზად იყვნენ მის დასაცავად. პლატონის სახელმწიფოში ფულის ტრიალი და სიმდიდრეს ფასაზღვრულად ვიწრო ფარგლები აქვს მიკუთვნებული.

კ. მ ა რ ქ ს ი ს აზრით, შრომის დანაწილებაზე დამყარებული იდეალური სახელმწიფო პლატონისა „ეგვიპტის კასტური წყობილების ბნოლად ათენური იდეალიზაციას წარმოადგენს". პლატონის „პოლიტია" არც მონობას გამორიცხავს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

საყურადღებოა პლატონის მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოებრივი აღზრდის სისტემა, რომლის თანახმად 3—6 წლამდე ბავშვები სახელმწიფოს მიერ ტაძრებთან მოწყობილ მოედნებზე მიდიან და ეჭ სიმღერებსა და თამაშობაში ატარებენ დროს. აქვე ბავშვებს ღმერთებისადმი მოწიწებასა და მონებისადმი სიძულვილს ულერკავენ.

7-დან 12 წლამდე ბავშვებს სახელმწიფო სკოლაში ანწავლიან წერა-კითხვას, ანვარჯიშებს, მუსიკას. 12—13 წლიდან 15—16-მდე ახალგაზრდები დროს ფიზიკური აღზრდის სკოლაში ატარებენ. 16-დან 18 წლამდე ისინი სწავლობენ არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიას და 18-დან 20 წლამდე გადიან წინასწარ სამხედრო მომზადებას. ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი მეომრები ხდებიან. ხოლო უფროსი ნიჭიერები 30—35 წლის ასაკამდე ფილოსოფიურ განათლებას იღებენ, რის შემდგომ სახელმწიფოში ხელმძღვანელ თანამდებობებს იკავებენ. მეომრებს, ფილოსოფოსებს და მათ, ვინც ასეთი პროფესიისათვის ემზადება, ფიზიკური შრომა სავსებით აკრძალული აქვთ. ქალი-

შვილები ისეთსავე დაწყებით და სამხედრო განათლებას იღებენ, როგორსაც ვაჟები.

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში პლატონმა კიდევ ერთი სოციალურ-პოლიტიკური დიალოგი — „კანონები“ დაწერა. მასში მოცემულია „სრულყოფით მეორე სახელმწიფოს“ პროექტი. „პოლიტიაში“ გამოთქმული ბევრი დებულება „კანონებში“ უკვე შერბილებული და ნაწილობრივ შეცვლილია, მაგრამ სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციისა და ერთიანობის იდეები შენარჩუნებულია.

პლატონის დიდი მოწაფე, ძველი სახელგანთქმული მოაზროვნე და მეცნიერი ა რ ი ს ტ ო ტ ე ლ ე დაიბადა ძვ. წ. 384 წელს ბერძნულ ახალშენ სტაგიროსში (ქალკიდიკა); აქედან მომდინარეობს მისი სახელწოდება „სტაგირიტი“. მამამისი ნიკომაქოსი მაკედონიის მეფის კარის ექიმი იყო. 17 წლის ასაკში არისტოტელე ათენში დასახლდა და 20 წლის განმავლობაში ფართო ფილოსოფიური განათლება მიიღო პლატონის აკადემიაში. პლატონის სიკვდილის შემდგომ არისტოტელემ რამდენიმე წელი იმოგზაურა, ხოლო 343 წელს ის მაკედონიის მეფის ვაჟის ალექსანდრეს აღმზრდელად მიიწვიეს პელაში. 335 წელს არისტოტელე დაბრუნდა ათენში, სადაც პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა განაგრძო. აქ მან დააარსა საკუთარი ფილოსოფიური სკოლა ლიკეიონი*, რომელიც ცნობილია აგრეთვე „პერიპატეტიკოსების“** სკოლის სახელით.

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდგომ ათენში დიდად გაზრდილა ანტიმაკედონური მოძრაობა და არისტოტელე იძულებული გამხდარა ევბეას ქალაქ ქალკიდაში გაქცეულიყო და იქ მალე გარდაიცვალა (322 წელს). არისტოტელეს ფილოსოფიურ-მეცნიერული მოღვაწეობა ენციკლოპედიური ხასიათისაა და თითქოს ელინისტური პერიოდის წინა დროის მთელი ბერძნული აზროვნების მიღწევათა შეჯამებას წარმოადგენს. მისი ნაწერები მოიცავენ ლოგიკას, ბუნებისმეტყველების დარგებს, მეტაფიზიკას, ეთიკას, მოძღვრებას სახელმწიფოზე, ეკონომიკას, რიტორიკას, პოეტიკას. ენგელსი არისტოტელეს „ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა შორის ყველაზე მეტად ყოვლის შემცველ თავად“ ახასიათებს. ეპოქა, რომელშიც არისტოტელე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, საბერძნეთში დიდი მღელვარების ხანა იყო, რომელიც მაკედონიის მიერ ანტიკური სამყაროს ყველა სახელმწიფოს გაერთიანებით დამთავრდა.

---

* ლიკეიონის გიმნასიონი აპოლონ ლიკეელის ტაძრის მახლობლად მდებარეობდა.

** ასე იმიტომ ეწოდა მას, რომ სწავლების დროს არისტოტელე წინ და უკან დადიოდა, ხოლო ბერძნული სიტყვა „პერიპატეო“ გარშემო სიარულს ნიშნავს.

არისტოტელე ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოების იდეოლოგად გვევლინება. მას მოცემული აქვს მონობის დაცვის ფართოდ დამუშავებული თეორია. თავის „პოლიტიკაში" იგი გვარწმუნებს, რომ მონაში პირველ ადგილზეა სხეული, ბატონში — სული. ცხადია, სული, მისი სიტყვით, სხეულზე უნდა ბატონობდეს, ვინაიდან „სული თავისი ბუნებით მბრძანებელი საწყისია, სხეული კი — დაქვემდებარებული". ამრიგად მონობა მას ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია და აღნიშნავს: ის, ვინც შეიძლება სხვას ისე ეკუთვნოდეს, როგორც ნივთი, ბუნებით უკვე მონაა.

არისტოტელე სახელმწიფოებრივ წყობილებათა დახასიათებაში განასხვავებს ს წ ო რ ს ა დ ა ა რ ა ს წ ო რ ფორმებს. მისთვის სწორი ფორმებია: მ ო ნ ა რ ქ ი ა, ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი ა და პ ო ლ ი ტ ი ა თითოეულ მათგანს, როგორც სათანადო პირობების დარღვევის შედეგი, არასწორი ფორმა შეესაბამება: მონარქია დესპოტიასა თუ ტირანიაში გადაგვარდება, არისტოკრატია — ოლიგარქიაში და პოლიტია — უკიდურეს დემოკრატიაში (ოხლოკრატიაში). სწორი ფორმების არასწორი ფორმებისაგან განსხვავების კრიტერიუმს არისტოტელეს აზრით, საერთო კეთილდღეობის დონე წარმოადგენს. ათენისათვის არისტოტელეს საუკეთესო წყობილებად პოლიტია, ზომიერი დემოკრატია მიაჩნდა. „პოლიტიკაში" არისტოტელეს განსაკუთრებული თავი აქვს მიძღვნილი სახელმწიფო გადატრიალებათა და რევოლუციებისათვის. მათ გამომწვევ საფუძვლად იგი ქონებრივ უთანასწორობას თვლიდა. არისტოტელემ უარყო მისი მასწავლებლის პლატონის მიერ წარმოდგენილი იდეალური სახელმწიფოს პროექტი და სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში თვითონ შეადგინა „საუკეთესო" სახელმწიფოს საკუთარი პროექტი. ამ სახელმწიფოს ძირითად დანიშნულებას კი საბერძნეთში გაბატონებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების გამწვავებული სოციალური შერყევებისაგან დაცვა წარმოადგენდა. კერძოდ, მონების აჯანყებათა თავიდან ასაცილებლად არისტოტელეს ღონისძიებათა მთელი სისტემა აქვს წამოყენებული.

სურ. 68. არისტოტელე (რომაული პირი).

ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ფორმის შეფასებას არისტოტელე საფუძვლად იმას უდებს, თუ რამდენად შეუძლია მას ეთიკური „იდეალის“, ესე იგი, საერთო კეთილდღეობის უზრუნველყოფის განხორციელება. ამ თვალსაზრისით მას კეთილად ყოველივე ის მიაჩნია, რაც მისთვის სასურველ წყობილებას გაამაგრებს, და მანკიერად, რაც მას დაასუსტებს და ძირს გამოუთხრის. არისტოტელეს მიერ წარმოდგენილი მოქალაქის ეთიკა გულისხმობს, რომ ადამიანსა და ცხოველს შორის მთავარი განსხვავება ზნეობრივ მოღვაწეობაში მდგომარეობს. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ერთიმეორეს ადარებს თავისუფალი ადამიანისა და მონის „სათნოებათ“ და მათ შორის განსხვავებას აწესებს, რასაკვირველია, მონის დამცირებით.

მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვის არისტოტელეს ეკონომიურ გამოკვლევათა დარგში. იგი ღრმად უკვირდებოდა ბერძნული პოლისების ეკონომიურ ცხოვრებას და საყურადღებო დასკვნები გამოჰქონდა. ის კარგად ხედავდა, რომ ნატურალური მეურნეობის გვერდით ანტიკურ პოლისებში საკმაო ოდენობით განვითარდა და გაძლიერდა სასაქონლო-ფულადი მეურნეობაც. მისი დაკვირვებით, სიმდიდრის ორი სახე არსებობს: ერთი სასარგებლო ნივთების ერთობლიობაში, მეორე ფულის დაგროვებაში გამოიხატება. იმ მეურნეობას, რომელსაც ამოცანად პირველი სახის სიმდიდრის წარმოქმნა და გადიდება აქვს დასახული, მან ეკონომია უწოდა და ეს ტერმინი პირველად არისტოტელემ შემოიღო. ხოლო მეურნეობას, რომლის მიზანდასანიშნულება ფულადი სიმდიდრის დაგროვებაში გამოიხატებოდა, მან ქრემატისტიკა დაარქვა. თვითონ არისტოტელე დიდი მოწინააღმდეგე იყო ქრემატისტიკისა და მისი მოძღვრება ორი სახის სიმდიდრეზე არსებითად ათენის დემოკრატიის წინააღმდეგ იყო მიმართული, სადაც ვაჭრობისა და ფულადი მეურნეობის განვითარებას დიდი ყურადღება ექცეოდა. თავის „პოლიტიკაში“ არისტოტელე აღნიშნავს ისეთი სასარგებლო ნივთის გამოყენების ორ საშუალებას, რომელიც შეიძლება გაცვლის საგანიც იყო და უშუალო მოხმარების ობიექტიც. პირველი მას არაბუნებრივად მიაჩნია.

თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა არისტოტელეს ეკონომიურ გამოკვლევებს, ამას ამტკიცებს ის, რომ მარქსი მისგან იწყებს საქონელზე, ღირებულებაზე, ფულსა და კაპიტალის პირველ ფორმებზე მოძღვრების ისტორიის გადმოცემას.

როგორც პლატონმა, ისე არისტოტელემაც შექმნა „თავისუფალშობილ“ ბავშვთა აღზრდის საკუთარი სისტემა. არისტოტელეს სწამდა, რომ ბუნებისაგან ადამიანს აქვს ნიჭიერებათა მხოლოდ ჩანასახები, რომლებიც აღზრდით შეიძლება განვითარდნენ. ბუნების მი-

ერ მჭიდროდ არის შეკავშირებული ადამიანის სამი მხარე: მცენარეული, ცხოველური და გონიერული. მათი შესაბამისია ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი აღზრდა. არისტოტელემ პედაგოგიკის ისტორიაში პირველმა წამოაყენა ხნოვანობითი პერიოდიზაცია: ა) 7 წლამდე, ბ) 7 წლიდან სქესობრივ მოწიფულობამდე და გ) 14 წლიდან 22-მდე. შვიდ წლამდე ბავშვები ოჯახში იზრდებიან; შვიდი წლიდან ვაჟები სახელმწიფო სკოლაში იწყებენ სიარულს და სწავლობენ ტანვარჯიშთან ერთად წერა-კითხვას, გრამატიკას, ანგარიშს, ხატვასა და სიმღერას. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ მაღალი ტიპის სკოლაში (გიმნასიონში), არისტოტელეს აზრით, ყმაწვილებს ისტორია, მათემატიკა და ფილოსოფია უნდა შეესწავლათ. ფიზიკური აღზრდის დანიშნულებად არისტოტელეს ძლიერი და ლამაზი სხეულის განვითარება მიაჩნდა და მას ერთდროულად ესთეტიკურ აღზრდას უკავშირებდა. არისტოტელე აღზრდის სისტემაში დიდ ადგილს უთმობს მუსიკას და ამ მიმართულებით მთელ რიგ მეთოდურ მითითებებს იძლევა. თუ სოკრატე და პლატონი თავის პედაგოგიურ დებულებებში თვითჩაღრმავებასა და ჭვრეტას ანიჭებდნენ უპირატესობას, არისტოტელე ზნეობრივი აღზრდის ამოცანად აქტივობის, ქმედუნარიანობისა და ნებისყოფის განვითარებას თვლიდა.

არისტოტელეს მსოფლმხედველობის განხილვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ის ირყეოდა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის და საბოლოოდ მასში მაინც იდეალიზმმა გაიმარჯვა. თუ დასაწყისში არისტოტელე თავისი დიდი მასწავლებლის პლატონის ძლიერ გავლენას განიცდის, შემდგომში მან უარყო მისი იდეათა თეორია, მკაფიოდ და გადაჭრით გააკრიტიკა მისი ძირითადი მოძღვრება და თავისი რეალისტური კონცეფცია წამოაყენა. მისი აზრით, უცვლელ ზეგრძნობად არსთა აღიარებას არ შეუძლია გრძნობად ნივთთა წარმოქმნისა და ცვლილებათა მიზეზი აგვიხსნას. იდეები, ცნებები, არისტოტელით, თავისთავად არ არსებობენ, ბუნებაში მათ აქვთ თავისი „სისხლი და ხორცი". წინააღმდეგ პლატონისა, არისტოტელე ამტკიცებს ბუნების, როგორც ნამდვილი რეალობის და იდეებისა და ცნებების წყაროს, დამოუკიდებელ არსებობას. ყოველი საგანი, ყოველი ცალკეული ნივთი, მისი აზრით, ორი საწყისისაგან — მატერიისა და ფორმისაგან შედგება. მატერიას არისტოტელე ყოველი ნივთის პირველ სუბსტრატს უწოდებს; მატერია მარადიულია და მოუსპობელი. მაგრამ მატერია, არისტოტელით, მოკლებულია ყოველგვარ თვისებას, ყოველგვარ განსაზღვრულობას; ის კიდევ არ არის სინამდვილე, არამედ შესაძლებლობა. სინამდვილედ იგი მხოლოდ „ფორმასთან" კავშირში იქცევა. ფორმა, მისი გაგებით, ის აქტიური საწყისია, რომელიც მა-

ტერიას განსაზღვრულობას ანიჭებს და ნივთს იმად აქცევს, რაც ის არის. ნივთის მოძრაობა და განვითარება ფორმის მოქმედებაა, მატერია კი ფორმის განსხეულების მხოლოდ პასიური მასალაა. რეალურ ნივთთაგან ფორმის ასეთი მოწყვეტით არისტოტელე იქამდე მივიდა, რომ სული სხეულის ფორმად, უკვდავი გონება მარადიულ ფორმად და ღმერთი ძირითად ფორმად აღიარა. მართალია, დიალექტიკურ მომენტს შეიცავს მატერიისა და ფორმის როგორც შესაძლებლობისა და სინამდვილის ურთიერთკავშირის ანალიზი, რომელიც არისტოტელეს აქვს გატარებული, მაგრამ ეს მომენტიც იდეალისტურ მეტაფიზიკაში იძირება.

რა არის არისტოტელეს გაგებით მოძრაობა? ის პოტენციალურის (შესაძლებლის) აქტუალურში (მოქმედში) გარდაქმნის პროცესია. ის არც მხოლოდ პოტენციალურია, არც მხოლოდ აქტუალური, ის ერთის მეორეში გადასვლაა. მოძრაობის გარეშე არ არსებობს არც დრო და არც სივრცე, არც სამყარო და არც ცხოვრება. მოძღვრება მოძრაობაზე არისტოტელეს ფილოსოფიის ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს, თუმცა ის მოკლებული არ არის ზოგიერთ წინააღმდეგობას, პარადოქსსა და შეცდომას. მოძრაობის დასრულებას არისტოტელე ენტელექიას უწოდებს და ის წარმოდგენილი აქვს როგორც მიღწეული შედეგი, მოძრაობის მიზანი[28].

ამასთან ერთად არისტოტელე აღიარებს, რომ ფორმა თავის ყოფიერებაში წინასწარ განისაზღვრება ყოველ არსში ჩანერგილი მიზნით (ტელოს), რომელიც მოძრაობაში აშკარავდება. ასე, მაგ., მცენარის თესლში წინასწარ განსაზღვრულია მისი განვითარების შესაძლებლობა, ანუ მისი ფორმა. სამყაროს ცხოვრებაც არისტოტელეს წარმოდგენილი აქვს როგორც მისწრაფება მასში ჩანერგილი გარკვეული ფორმის მიღებისადმი. ასე, მაგ., ყვავილი ისწრაფვის მიიღოს მაქსიმალურად სრულყოფილი ფორმა ყვავილისა, ხე — ფორმა ხისა, ადამიანი — ფორმა ადამიანისა და ა. შ. მაგრამ სინამდვილეში ფორმისა და შინაარსის იდეალური შეხამება იშვიათად ხდება და ის სრულდება მხოლოდ ხელოვნების ქმნილებებში[29].

მართალია, არისტოტელემ ფორმა მატერიას დაუკავშირა, მაგრამ, მისი აზრით, არსებობს ერთი წმინდა, ე. ი. მატერიისაგან განყენებული, ყველა ფორმათა ფორმა. ეს არის აზრი, შემოქმედებითი გონება (ნუს), რომელსაც ის „აზროვნების აზროვნებას“, „წმინდა აზროვნებას“, „ყოველნაირი მოძრაობის პრინციპს“ და „ღვთაებას“ უწოდებს. ეს ღმერთია, რომლისგანაც გამომდინარეობს თავდაპირველი იმპულსი (ბიძგი), რომელმაც მთელი სამყარო მოძრაობაში მოიყვანა. არისტოტელეს აზრით, დედამიწა მსოფლიოს ცენტრს წარმოადგენს და

ბურთისებრია. ბურთისებრია ცის თაღიც და ყველა მნათობიც. მაგრამ, არისტოტელე აქაც იმ შეხედულებიდან გამოდის, რომ ეგრეთ წოდებული „სფერო“ მას ყველაზე უფრო სრულ ფორმად აქვს მიჩნეული. ამას გარდა, ცისა და ვარსკვლავების შემადგენელ ნივთიერებას ის ეთერს უწოდებს და მას მეხუთე ელემენტად თვლის. ეთერი, მისი წარმოდგენით, ღვთაებრივია, უხრწნელი და მთლიანად განსხვავდება სხვა ოთხი ელემენტისაგან. ამ დარგში არისტოტელეს იდეალიზმი საბოლოო გაფორმებას ღებულობს.

როგორია არისტოტელეს შემეცნების თეორია? მისთვის ყოველი შემეცნების საგანს ობიექტური სამყარო, რეალური ყოფიერება შეადგენს. შემეცნების ამოცანა მარტივი გრძნობადი აღქმისაგან აბსტრაქციის მწვერვალებზე ასვლაში გამოიხატება. შემეცნების ამოსავალი პუნქტი შეგრძნებაა, რომელსაც გრძნობის ორგანოებზე გარეგანი სამყაროს ზეგავლენის შედეგად ვიღებთ. შეგრძნებათა გარეშე ცოდნა არ არსებობს. ამ მხრივ, არისტოტელე თითქოს უახლოვდება მატერიალიზმს. მაგრამ ამასთან ერთად არისტოტელეს, როგორც იდეალისტს, აზროვნების წყაროდ სხეულისაგან დამოუკიდებელი „გონიერი სული“ მიაჩნია.

არისტოტელემ გამოიკვლია და სისტემაში მოიყვანა აგრეთვე აზროვნების ძირითადი ფორმები (ცნებები, მსჯელობანი, დასკვნები). თავის ლოგიკაში ის ცდილობს აზროვნების ფორმები ყოფიერებასთან შეაერთოს და ლოგიკური კატეგორიები ობიექტურ სინამდვილესთან შეფარდებით განმარტოს. მაგრამ მისი ლოგიკა ძირითად დებულებებში მეტაფიზიკურ ხასიათს ატარებს. მრავალ საუკუნეთა მანძილზე არისტოტელეს ლოგიკური ტრაქტატები, რომლებიც შემდგომ დროში „ორგანონის“ საერთო სახელით იქნა გაერთიანებული, ფორმალური ლოგიკის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენდნენ.

მოკლედ უნდა შევეხოთ პლატონისა და არისტოტელეს უახლოეს მოწაფეებს. როგორც პლატონის აკადემია, ისე არისტოტელეს ლიკეიონი (პერიპატოსი) განაგრძობდნენ არსებობას; მაგრამ ისინი უფრო მათი დამაარსებლების დიდ სახელსა და მათ განკარგულებაში გადაცემულ მატერიალურ ბაზას ემყარებოდნენ. ათენი კვლავ ფილოსოფიური აზროვნების ცენტრი დარჩა. მაგრამ ფილოსოფიური შემოქმედება თანდათან სუსტდება და უმთავრესად კლასიკური ეპოქის დიდი ფილოსოფოსების ნაწარმოებთა განმარტებებით იკვებება.

პლატონის უახლოესი მოადგილეები: სპევსიპოსი, ქსენოკრატე, პოლემონი ეგრეთ წოდებულ „ძველ აკადემიას“ მიეკუთვნებიან. მაგრამ პლატონის უახლოესი მოწაფეები ანვითარებდნენ არა მის დიალოგებში მოცემულ მწყობრ იდეალისტურ სისტემას, არამედ უმთავ-

რესად პითაგორეულ ელემენტებსა და მისი მოხუცებულობის პერიოდის ნაწარმოებთა მისტიკურ გამოთქმებს. მათ შეჰქონდათ, აგრეთვე, ზოგიერთი არსებითი შესწორება პლატონის თანამიმდევრულ იდეალიზმშიც. სპევსიპოსი, მაგალითად, პლატონთან შედარებით მეტ ადგილს მიაკუთვნებს გრძნობადი ელემენტების როლს შემეცნების პროცესში და გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს იდეათა მატერიალურ სუბსტრატს.

ასევე მცირედად განაგრძობდნენ თავიანთი დიდი მასწავლებლის საქმეს პერიპატეტიკოსები. ისინი საერთოდ უფრო მეტად სპეციალურ დისციპლინებს აქცევდნენ ყურადღებას, ვიდრე ფილოსოფიას. არისტოტელეს მოწაფეთაგან ძველი დროის უდიდესი ბუნებისმეტყველი და მეცნიერული ბოტანიკის ფუძემდებელი იყო თ ე ო ფ რ ა ს ტ ე; ა რ ი ს ტ ო ქ ს ე ნ ე მუსიკის თეორიის სპეციალისტად ითვლებოდა. ხოლო ს ტ რ ა ტ ო ნ მ ა ფიზიკოსის სახელი მოიპოვა[30].

თავი მეცხრე

საბერძნეთი ძვ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში

1. სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი

პელოპონესის ომმა, რომელმაც მთელი საბერძნეთი მოიცვა და 27 წელი გაგრძელდა, სასტიკი ნივთიერი ზარალი მიაყენა საბერძნეთის მოსახლეობას როგორც გამარჯვებულებს, ისე დამარცხებულებს. ჯერ კიდევ ისტორიკოსი თუკიდიდე აღნიშნავდა, რომ პელოპონესის ომი დიდხანს გაჭიანურდა და იმდენი უბედურება გადაიტანა იმ დროის განმავლობაში მთელმა ელადამ, რამდენიც წინათ არასოდეს არ განუცდია დროის თანაბარ მანძილზე; რომ არასოდეს არ ყოფილა იმდენი ქალაქი აღებული და აოხრებული, არ ყოფილა იმდენი გაძევება და მკვლელობა, მიწისძვრა და გვალვები და მასთან დაკავშირებული შიმშილი და ბოლოს გადამდები სნეულება, რომელმაც ბლომად იმსხვერპლა ადამიანები. ყოველივე ეს საბერძნეთს თავს დაატყდა ერთბაშად ომთან ერთად (Thuc., 1, 23, 1—3).

განსაკუთრებით დაზარალდა ატიკა, რომლის ტერიტორიამ სპარტელების არა ერთი გამანადგურებელი შემოსევა განიცადა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ ჩრდილოეთ ატიკაში დაიკავეს დეკელეიას დემი და პელოპონესის ომის მეორე პერიოდში ის ისეთ დასაყრდენ პუნქტად გაიხადეს, საიდანაც თითქმის ათი წლის განმავლობაში ანადგურებდნენ ნათესებს, ვენახებს, ჩეხდნენ ზეთის ხილის მშვენიერ წარაფებს, სწვავდნენ კარ-მიდამოებს, მთელ სოფლებს და სპობდნენ საქონელს. „დეკელეიას დაკავება დიდ ზიანს აყენებდა ათენელებს, — ვვიამბობს იგივე თუკიდიდე, — და გაუარესდა მათი მდგომარეობა... წინანდელი შემოსევები მათი ხანმოკლეობის გამო ხელს არ უშლიდნენ ათენელებს წლის დანარჩენ დროს თავისი ყანებით ესარგებლათ: ახლა კი პელოპონესელები შეუწყვეტლივ ისხდნენ მათ მიწებზე... და მართლაც ათენელებმა დაკარგეს მთელი ტერიტო-

რია, ოც ათასზე მეტი მონა გადავიდა მათგან მტრებთან, მათ რიცხვში მეტი ნაწილი ხელოსნებისა, დაიღუპა მათი მთელი წვრილი და საპალნე საქონელი" (VII, 27, 28). ასეთ პირობებში გლეხების მნიშვნელოვანი ნაწილი აღარ უბრუნდება თავის გაპარტახებულ მეურნეობას, ჩალის ფასად ყიდის მიწის ნაკვეთებს და სამუშაოსა და ლუკმაპურის ძებნაში თავს იყრის ისეთ სავაჭრო-სახელოსნო ქალაქებში, როგორებიც იყვნენ ათენი, კორინთო, მეგარა და სხვ. ათენში თავმოყრილ უმუშევართა რიცხვს ზრდიდნენ ათენელი კლერუქები, რომლებიც ყოფილ მოკავშირეთა ტერიტორიებიდან გაძევეს 404 წლის ზავის საფუძველზე.

უმუშევართა მდგომარეობას ძალზე ართულებდა იაფი მონური შრომა. ჩვენ არ ვიცით, გაიზარდა თუ არა იმ დროს მონების აბსოლუტური რიცხვი, მაგრამ თუ პელოპონესის ომამდე მონები ჩვეულებრივად არაბერძნული (ბარბაროსული) ჩამომავლობისა იყვნენ, ახლა ომის პროცესში ტყვედ ჩავარდნილ ბერძნებსაც მონებად აქცევდნენ. ასე, მაგ., როგორც ნათქვამი იყო, სირაკუზთან დამარცხებული ათენელები მონებად გაყიდეს. მონებად გადააქციეს აგრეთვე დაპყრობილი ქალაქების — პლატეას, დელოსის და პოტიდეს მცხოვრებლები. თუკიდიდე გადმოგვცემს: „(ლაკედემონიელებმა) სიკვდილით დასაჯეს არანაკლებ ორასი პლატეელი და 25 ათენელი, რომლებიც მათთან ერთად გარემოცვაში იმყოფებოდნენ, ქალები კი მონებად აქციეს" (III, 68, 3). მისივე სიტყვით სირაკუზთან დამარცხების შემდეგ, „ყველა დანარჩენი ათენელი და მოკავშირე, რომლებიც ხელში ჩაუვარდათ სირაკუზელებს, ქვის სატეხებში ჩაუშვეს" (VII, 86, 21). პლუტარქე ნიკიასის ბიოგრაფიაში ამას შემდეგს უმატებს: „მრავალი ათენელი დაიღუპა ქვის სატეხებში დაავადებისა და ცუდი საჭმლისაგან... მათ ყიდდნენ მონებად და შუბლზე უკეთებდნენ ცხენის სახის დაღებს".

ყოველივე ამის გამო მონების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა ზოგიერთი ქალაქის ცალკეულ ერგასტერიონებში. წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები ასეთი ერგასტერიონების შესახებ, ასე, მაგ., ორატორი ლისიასის სიტყვიდან (C. Eratosthen. XII, 19) ჩანს, რომ მას და მის ძმას პოლემარქოსს პირეუსში ჰქონდათ ფარების შესამზადებელი სახელოსნო, რომელშიც 120 მონა ხელოსანი მუშაობდა[1]. მაგრამ იგი კონფისკაციაქმნილ იქნა 30 ტირანის მიერ 403 წელს. ცნობილ ორატორ დემოსთენეს, როგორც მის მიერ აფობის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვა გვიმტკიცებს (C. Aphob., 1, 9), მამისაგან მემკვიდრეობით მიუღია ორი სახელოსნო: ერთში 33 კაცი დანებს ამზადებდა, მეორეში 20 კაცი — საწოლებს. უფრო მცირე სახელოს-

ნოები, ათენში, ეპვს გარეშეა, საკმაოდ მოიპოვებოდა. ასე, მაგ., ორატორი ესქინე (C. Timarch., 1, 97) მიგვითითებს, რომ ტიმარქოსს ჰქონდა ტყავის სახელონსო, რომელშიც 10 თუ 11 მონა-ხელოსანი მუშაობდა; პოეტ ჰერონდას სიტყვით კი, ვინმე კერდონი ფლობდა წაღების სახელოსნოს 13 მუშით[2], ასეთი სახელოსნოები, მათში ჩაბმული მუშების რიცხვის მიხედვით, უმნიშვნელოდ არ უნდა მივიჩნიოთ.

მსხვილი ერგასტერიონების პატრონები მდიდრდებოდნენ, წვრილი ხელოსნების მასა კი მათ კონკურენციას ვერ უწევდა და ღატაკდებოდა. ამასთან ერთად მიმდინარეობდა მესაკუთრეთა გაღატაკება და გაბოგანოების პროცესი. ზოგიერთი წინათ წარჩინებული ოჯახის ქალებიც კი, ქსენოფონტეს გადმოცემით (Memorab., II, 8, 1), ახალ პირობებში იძულებული გამხდარან ძიძებისა და შინამოსამსახურეების შრომით მოეპოვებინათ საარსებო სარჩო და საერთოდ ხელი მოეკიდებიათ ისეთი შრომისათვის, რომელიც მონურ შრომად ითვლებოდა. დემოსთენეს ერთ სიტყვაში (VII, 31), როგორც უკვე იყო ნათქვამი, მოქალაქე, რომლის დედა იძულებული ყოფილა გაეყიდა მის მიერ შემზადებული ბაფთები, ასეთი სიტყვით მიმართავს სასამართლოს: „სიღარიბე აიძულებს თავისუფალ ადამიანებს შეასრულონ ბევრი მონური და უღირსი მოვალეობა, რისთვისაც, ათენელებო სამართლიანია მათი შეცოდება და არა დასჯა". თუ ძველ ათენში მათხოვრები არ ყოფილან, როგორც გვარწმუნებს ცნობილი ორატორი და პუბლიცისტი ი ს ო კ რ ა ტ ე (436—337), და არავინ არცხვენდა სახელმწიფოს მოწყალების გამოთხოვით, ახლა გაჭირვებულთა რიცხვი აღემატება იმ ადამიანთა რიცხვს, რომელთაც რაიმე შეძლება გააჩნიათ, ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ მოიპოვონ დღიური სარჩო: სასამართლოების წინ გროვდებიან იმ იმედით, რომ ამოიღებენ კენჭს, ქირავდებიან თეატრალურ სტატისტებად, მზად არიან წავიდნენ ყველაზე უფრო ბნელ საქმეებზე (ისოკრატე, XII, 83).

იმდენად შემცირდა თავისუფალი მუშებისა და ხელოსნების შრომის გამოყენება, რომ წარმოიქმნა ე პ ი ს ი ტ ი ო ს ე ბ ი ს, ე. ი. მხოლოდ ლუკმა-პურისათვის მომუშავეთა კატეგორია. ამიტომ ბევრი ტოვებდა ნაცნობ ადგილებს და საარსებო საშუალებათა მოპოების მიზნით უცხოეთში, ახალშენებში გადასახლებას ამჯობინებდა, მიუხედავად იმ ზიზღისა და მტრული დამოკიდებულებისა, რომლითაც მათ ადგილობრივი მოსახლეობა და ხელმძღვანელობა ხვდებოდა, ნაწილი კი დაქირავებული მეომრის პროფესიას ირჩევდა და დაქირავე-

ბულ რაზმებში იწყებდა მონაწილეობას. წინათ ბერძნულ პოლისებში ჯარის ორგანიზაცია ქონებრივი ცენზის საფუძველზე ეწყობოდა. ახლა კი გაღატაკებულ მოქალაქეებს თავის ხარჯზე შეიარაღების საშუალება აღარ ეაჩნდათ და ბერძნულმა პოლისებმაც თანდათანობით დაქირავებული მეომრების გამოყენება იწყეს. დაქირავებულ მეომრებს იმ დროის საბერძნეთში „ოთხგროშიან უბადრუკებს" უწოდებდნენ იმ გასამრჯელოს მიხედვით, რომელსაც ისინი იღებდნენ. ძვ. წ. IV საუკუნეში დაქირავებული მეომრების რაზმები მალე გახდნენ საბერძნეთის სამხედრო ძალების ძირითად სასედ. მოქალაქეების ასეთ საერთო გაღატაკებასთან ერთად საბერძნეთში ადგილი ჰქონდა მათ მკირერიცხოვან წრეში სიმდიდრის ისეთ კონცენტრაციას, რომელიც წინათ გაუგონარი იყო. მნიშვნელოვან მოგებას აძლევდა ომი იარაღების დამამზადებელ სახელოსნოების პატრონებს და სხვადასხვა სახის მომმარაგებლებსა და მოიჯარეებს. ბდიდრდებოდნენ აგრეთვე მევახშე ტრაპეზიტები, რომელთა შორის სიმდიდრით განსაკუთრებით გამოირჩეოდა. როგორც ნათქვამი იყო, ზარაფხანის მფლობელი, ფულადი და ქონებრივი ანაბრების შემნახავი და მევახშე პასიონი, რომლის ქონება 60 ტალანტს აღწევდა.

იმდროინდელი საქმოსნების ნაწილი მდიდრდებოდა სპეკულაციის გზით. იყვნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მიწით სპეკულიანტობდნენ. ბალის ფასად ყიდულობდნენ რა ომით გაჩანაგებულ ნაკვეთებს.

პელოპონესის ომის შემდეგომ დამყარებული კრიზისით უსარგებლია ვინმე ისქომაქოსს და დაუწყია მიწების ყიდვა-გაყიდვა გარკვეული მოგების მიღების მიზნით. ეს ისქომაქოსი ქსენოფონტეს განოყვანილი ჰყავს. როგორც სანიმუშო მეურნე.

ისტორიკოს ქსენოფონტეს ისქომაქოსი და მისი მამა დახასიათებული ყავს როგორც ომისშემდეგომი დროის მიწით სპეკულანტების გარკვეული ტიპები. ისქომაქოსი აღიარებს, რომ მამა ნებას არ აძლევდა ეყიდა დაშუშაგებული მიწები და ურჩევდა შეეძინა უმეტესად მფლობელების დაუდეგრობისა თუ უძლურების წყალობით დაქვეითების გზაზე დამდგარი მამულები (Oecon., XX). მაშასადამე, ათენში მიწის სპეკულაციასაც ჰქონია ადგილი.

ძველმა წყაროებმა შემოგვინახეს მიწის მსხვილი მესაკუთრეების სახელები. ასე. მაგ., მოულოდნელად გაბდიდრებულ ვინმე არისტოფანეს ატიკაში უყიდია იმ დროისათვის ფრიად მნიშვნელოვანი სიდიდის მიწის ნაკვეთი 300 პლეთრონი (დაახლ. 30 ჰექტარი). დემოსთენე გვისახელებს აგრეთვე ვინმე ფენიპეს, რომლის მამულს 3600 პლეთრონი (დაახლ. 360 ჰექტ.) — ეკავა. აქვე უნდა მოვიგონოთ, რომ

განსაკუთრებით სარგებლიანი იყო პურით სპეკულაცია. თუ რა ფართო ხასიათი ჰქონდა მას, ეს კარგად ჩანს იმ დროის ათენის ადვოკატების სიტყვებიდან და ხშირი სამოსამართლო პროცესებიდან. ამ დარგის სპეკულანტების მოღვაწეობაზე ფართო ცნობები დაგვიტოვა ორატორმა ლისიამ სიტყვაში „პურით მოვაჭრეების წინააღმდეგ" (Λυσιας, XII, 14, 15).

ეს სიტყვა ლისიამ წარმოთქვა ძვ. წ. 387—386 წელს. „ეს ადამიანები,—ამბობს იგი,— ყველაზე მეტ მოგებას იღებენ იმ დროს, როცა მოდის ამბავი იმ უბედურებებზე, რომლებიც ჩვენს სახელმწიფოს შეემთხვევა, და მაშინ ისინი პურს ძვირად ყიდიან. ისინი მხიარულად უცქერიან ჩვენს ტანჯვას და ცდილობენ სხვებზე ადრე მიიღონ ცნობა ჩვენი საბელმწიფოს მოსალოდნელი გაჭირვებების შესახებ. ხოლო ზოგჯერ თვითონვე ავრცელებენ ცრუ სმებს: თითქოს ჩვენი ხომალდები პონტში ჩაიძირენ, ან სპარტელებმა ხელთ იგდეს ათენში წარმოგზავნილი ტრანსპორტი, ან დასურეს ნავსადგურები, თითქოს ლაშავებას ჩამლა ემუქრებაო. ისინი ისეთ თავაღლობამდე მივიდნენ, რომ ბოროტს განიზრახავენ ჩვენს წინააღმდეგ ვითარცა მტრები და, როცა ჩვენ განსაკუთრებით ვეძებაროება პური, ისინი ხელი იგდებენ მას და არ სურთ გაყიდონ, რომ არ დაეობდეთ ფასებზე. არამედ თანახმა ვიყოთ ვადავიანადოთ, რამდენიც მათ არ უნდა მოგვთხოვონ. აი რატომ ეანეიცდიდით ზოგჯერ ჩვენ მათი მიზეზით საალყო მდგომარეობას.

ისტორიკოსი ქსენოფონტიც (Oecon., XX, 27, 28) ასე გვისურათებს პურის გადამყიდველების საქმიანობას: „პურისადმი არაჩვეულებრივი სიყვარულის გამო ვეძრები, როგორც კი გაიგებენ, რომ სადმე ის ფრიად ბევრია. მსწრაფლ მივემართებიან ამ ადგილისაკენ და გაიყვლიან ეგეოსის, ევბოეიისა და სიცილიის ზღვებსაც. შემდგომ აკრეფენ მას, რაც შეიძლება ძვირს, და ზღვით მიეზიდებიან იმავე ხომალდით, რომლითაც თვითონაც მოდიან. ხოლო როდესაც ფული დაჭირდებათ, პურს მოუფიქრებლად იყიდი კი არ ყიდიან, სადაც არ უნდა იყოს, არამედ მას გასაყიდად იქ მიეზიდებიან, სადაც, სმების მიხედვით, მასზე ფასი ყველაზე უფრო მაღალია და სადაც მას ყველაზე მეტად აფასებენ". ასალი სამეურნეო პირობების გამო მიწისმფლობელები ხშირად უფრო ხელსაყრელად თვლიდნენ გაეყიდათ თავისი მიწა და აღებული თანხები სავაჭრო და საკრედიტო ოპერაციებისათვის მოეხმარათ. ქსენოფონტი ამ მოსენტსაც გარკვევით აღნიშნავს: „როდესაც ბაზარზე ჩნდება ბევრი პური და ღვინო, — ამბობს იგი, — და ხილიც იაფდება, მიწის მეურნეობა იმდენად საზარა-

ლო ხდება, რომ ბევრი ყიდის მამულებს და თავის ძალას სანარდო თუ საცალო ვაჭრობისა და საკრედიტო ოპერაციებისაკენ მიმართავს" (De vectigalibus, IV, 6).

საინტერესოა, რომ არა მარტო პურით სპეკულაციას ჰქონია ადგილი იმ დროს, არამედ სხვა საგნებითაც, მაგ., არისტოტელე თავის „პოლიტიკაში" გვისახელებს ერთ სიცილიელ მოქალაქეს, რომელიც შეისყიდიდა თურმე სამადნოებიდან ამოღებულ მთელ რკინას და ყიდდა ვაჭრებზე ძვირად და ასეთი გზით დიდი ქონება შეუძენია.

როცა მიწით სპეკულაციაზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ სოფლის მეურნეობაში საკუთრების კონცენტრაცია საყოველთაო მოვლენას არ წარმოადგენდა. ეს პროცესი უფრო იმ ტერიტორიებზე მიმდინარეობდა, რომლებიც უფრო მეტად დაზარალდნენ ომის მსვლელობაში. ისეთ მხარეებში კი, რომლებმაც უფრო გვიან განიცადეს კრიზისი, ეს პროცესი უმნიშვნელო იყო. ასეთი მხარეები იყვნენ ბეოტია და თესალია, სადაც მიწათმოქმედება იყო და რჩებოდა მეურნეობის საფუძველი. ცალკე უნდა შევჩერდეთ ლაკედემონზე. განსაკუთრებული ცვლილებები მიწათმფლობელობის დარგში გამოვლინდა სპარტაში, სადაც მოგროვდა უამრავი ოქრო და ვერცხლი.

ჩვენ ვიცით, რომ სპარტაში ძირითადად მიწის მეურნეობა იყო გაბატონებული და მთელი მიწა-წყალი სპარტიატების საკუთრებად ითვლებოდა. სპარტიატებს უფლება არ ჰქონდათ დაენაწილებინათ ან გაესხვისებინათ თავისი კლეროსები, რომლებსაც ჰილოტები ამუშავებდნენ და მოსავლიდან მათ განსაზღვრულ ღალას უხდიდნენ. ჰილოტების მთავარი დანიშნულება იყო სპარტიატების უზრუნველყოფა სურსათ-საზოვაგით, რომ მათ საშუალება ჰქონოდათ თავისუფლად შეესრულებინათ სახელმწიფოს წინაშე სამხედრო და პოლიტიკური მოვალეობანი. რაც შეეხება პერიეკებს, ისინი უმთავრესად ხელოსნობას მისდევდნენ.

უძველესი დროიდან სპარტის სახელმწიფოს მთავარი ყურადღება იმაზე იყო მიქცეული, რომ სპარტიატებს შორის დაცული ყოფილიყო ქონებრივი და მასთან დაკავშირებული მოქალაქეობრივი თანასწორობა, რადგან სწორედ ეს მომენტი ითვლებოდა მისი არსებობის ქვაკუთხედად. მაგრამ ბუნებრივი პირობები ხელს უშლიდა ასეთი თანასწორობის შენარჩუნებას: სპარტიატების რიცხვის გამრავლება მოითხოვდა ახალ კლეროსებს, ასეთები კი ლაკონიკაში აღარ მოიპოვებოდა, და ამის გამო, სპარტა ადრე გახდა იძულებული დაპყრობის საშუალებით შეეძინა ახალი მიწები. ამ გარემოებასთან იყო დაკავშირებული სპარტის მიერ მესენიის დაპყრობა, ხანგრძლივი ომი არგოლიდასთან და საერთოდ მთელი მისი საგარეო პოლიტიკა. ჯერ კიდევ

ძველად წარმოიშვა სპარტაში გაღარიბებული სპარტიატების ჯგუფი და, როგორც ტირტეოსის ფრაგმენტებიდან ვიცით, მესენიის მეორე ომის დასაწყისის წინ იგი გარკვეეით მოითხოვდა მიწების ახალ გადანაწილებას. რამდენიმე ათეულ წელს გაგრძელებულმა ომმა კიდევ უფრო გაადიდა გაღატაკებული სპარტიატების რიცხვი. მაგრამ ომის სპარტის სასარგებლოდ დამთავრებამ საშუალება მისცა სპარტის სახელმწიფოს დაერიგებინა მესენიაში მათთვის ახალი კლეროსები, რომელთაც ჰილოტებად გადაქცეული მესენიელები ამუშავებდნენ და მოსავლის გარკვეულ ნაწილს ახლად მოვლენილ ბატონებს აძლევდნენ.

პირველ ხანებში სპარტა კიდევ ახერხებდა ამ აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა და თავისი ძველი სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შენარჩუნებას, მაგრამ V საუკუნის მეორე ნახევრიდან პირობები ამ მხრივ არსებითად შეიცვალა. გაღარიბებული სპარტიატები იძულებული ხდებიან ნივთიერი ხელმოკლეობის გამო მამულების ფაქტიური გაყიდვაც კი დაიწყონ[3]. სამართლიანად შენიშნავენ, რომ „როდესაც უფლების ნორმა აღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებათ, იგი, თუმცა არსებობს, მაგრამ კარგავს რეალურ მნიშვნელობას და ყოველთვის მოიძებნება შემოსავლელი გზა". ასე მოხდა სპარტაშიც[4]. ამ ნიადაგზე კლეროსების დაუყოფელობა და განუსხვისებლობა უბრალო იურიდიულ ფიქციად იქცა. აუცილებელი საჭიროების გამო სპარტიატი სესხს იღებდა უფრო შეძლებული პირისაგან და უწინდრებდა მას არა მიწას. არამედ მოსავალს: ამგვარად, დაგირავებული მიწის მესაკუთრედ ფორმალურად იგივე პირი რჩებოდა, ხოლო მოსავალი კრედიტორს მიჰქონდა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ დაგირავებული მიწა მის პატრონს მხოლოდ ფაქტიურად ეკუთვნოდა, ნამდვილად კი კრედიტორის განკარგულებაში იმყოფებოდა, დავრწმუნდებით, რომ ამ ნიადაგზე მრავალ სპარტიატს არსებითად ეცლებოდა ხელიდან კლეროსი, რომელიც მცირერიცხოვანი შეძლებული პირების ხელში გადადიოდა. ამ გარემოების გამო სპარტაში ადგილი ჰქონდა მართლაც მიწების კონცენტრაციას და სპარტიატთა შორის ქონებრივი უთანასწორობის გაღრმავებას: მცირერიცხოვან თანასწორუფლებიან სპარტიატებთან ერთად ჩნდება „ჰიუპომეიონების" წრე (Ὑπομείονες), ე. ი. გაღატაკებული სპარტიატების განსაკუთრებული წრე, რომელიც ყველა პოლიტიკურ უფლებას კარგავს. შესაძლებელია, სახალხო კრებაზე მონაწილეობის გამოკლებით. სპარტიატების ასეთი წრე ვერ ურიგდება შექმნილ პირობებს და ხშირად მიმართავს აჯანყებებს, ზოგჯერ პერიეკებთან და ჰილოტებთან შეკავშირებით, მაგრამ გაბატონებული არისტოკრატია,

რომლის ხელში სავსებით გადავიდა მთელი სახელმწიფო ძალა-უფლება, სასტიკად უსწორდება მოწინააღმდეგეთ. ის იურიდიული ფიქციაც. რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, IV საუკუნის დასაწყისში არსებითად მოიპოვეს ეფორის ეპიტადეას მიერ გატარებული კანონით. რომლითაც სპარტიატებს თავისუფლება მიენიჭათ, გაესაჩუქრებიათ ან ანდერძით დაეტოვებიათ თავისი მამულები ვისთვისაც სურდათ. საფიქრებელია, რომ ასეთი რამ უკვე ჩვეულებაში იყო და იმ დროს მისი მხოლოდ კანონით დადასტურება მოხდა, მართალია ეს კანონიც კრძალავდა მიწების გაყიდვას, მაგრამ, ცხადია, სრული შესაძლებლობა დამყარდა მიწების ყიდვა-გაყიდვის, ანდერძით დატოვებისა თუ გასაჩუქრების სახით. ამის შემდეგ გაღატაკებული სპარტიატების რიცხვი უფრო მეტად იზრდება. IV საუკუნეში მიწების უდიდესი ნაწილი 1000 სპარტიატს ეკუთვნოდა, ხოლო III საუკუნეში—700-ს. ამრიგად. თუ სპარტიატების ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით სპარტა პირველად თავისებურ დემოკრატიას წარმოადგენდა. ახლა იგი ოლიგარქიად გადაიქცა. რადგან, როგორც ვიცით. პოლიტიკური უფლებით სარგებლობისათვის აუცილებელი იყო სისიტიებში მონაწილეობა, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამ უკანასკნელთა გაღებისათვის კი საჭირო იყო ქონება; ვისაც ამის საშუალება არ ჰქონდა იგი პოლიტიკურ უფლებებსაც კარგავდა.

პელოპონესის ომის დროს სპარტაში დიდ გავლენას აღწევენ სარდლები, მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია ლ ი ს ა ნ დ რ ე. რომელმაც ათენი განადგურებამდე მიიყვანა. იგი მაღალნიჭიერი ორგანიზატორი, შორსმჭვრეტელი დიპლომატი, იშვიათი სარდალი და არაჩვეულებრივი თავშეკავებისა და ენერგიის ადამიანი იყო. მან მოახერხა ხელში ჩაეგდო ოლიგარქიული მოძრაობის ხელმძღვანელობა მცირე აზიასა და კუნძულებზე და გააერთიანა ყველა ანტიათენური პოლიტიკური ჯგუფები (ჰეტერიები), რომ მათი მოქმედებისათვის გარკვეულად ჩამოყალიბებული მიმართულება მიეცა. პელოპონესის ომის უკანასკნელ წლებში იგი სპარტაში ფაქტიური მბრძანებელი იყო. მის მიერ დაპყრობილ კუნძულებსა და მცირე აზიის ქალაქებში ლისანდრემ ხელისუფლება ჩამოართვა როგორც დემოკრატებს, ისე არისტოკრატებს და ყველგან სპარტული კომენდანტები — ჰარმოსტები დააყენა და დაამყარა დეკარქიების, ანუ ადგილობრივი ათი მოქალაქის, რომლებიც ლისანდრესა და სპარტისადმი სრულ ერთგულებას იჩენდნენ, მმართველობა. მაგრამ ლისანდრე კარგად გრძნობდა სპარტაში თავისი მდგომარეობის სისუსტეს და

გამოიმუშავა პროექტი, რომლის მიხედვით მემკვიდრეობითი დეალისტური მონარქია უნდა გაუქმებულიყო და შეცვლილიყო ერთი არჩეული მეფის ხელისუფლებით. თვით ლისანდრეს ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ იგი უეჭველად იქნებოდა არჩეული სპარტის მეფედ და, როგორც გვირგვინოსანი უფრო თავისუფლად შეეხამდა ხორცს თავის სურვილებს. ამ მიმართულებით იგი საშუალებას არ ზოგავდა სხვადასხვა მისნის მოსასყიდად, რომ მის პროექტს „ღვთაებრივი" სანქციაც მიეღო". ლისანდრეს დიდი მოწინააღმდეგე იყო მეფე პავსანია უმცროსი, რომელიც სპარტის ხალხის ფართო წრეებზე დამყარებით ცდილობდა გაბატონებული არისტოკრატიისა და მისი ბურჯის — ეფორატის უფლებების შეკვეცას, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებას და ჰიუპომეიონების მდგომარეობის შეცვლას.

პირველი გამარჯვება ლისანდრეზე* პავსანიამ 406 წელს მოიპოვა, როდესაც ლისანდრეს ადგილას ნავარქოსად მისი თანამოაზრე კალიკრატიდე აირჩიეს. მაგრამ ეს უკანასკნელი მალე დაიღუპა ბრძოლაში და ნავარქოსის ადგილი კვლავ ლისანდრემ დაიკავა. იგი განაგრძობდა თავისი პოლიტიკის განხორციელებას და, როდესაც 404 წელს ათენი დაიპყრო, დააარსა აქ 30-ის ხელისუფლება, რომელიც სავსებით შეესაბამებოდა მცირეაზიულ დეკარქიებს. მაგრამ სწორედ ათენის დამარცხებამ შეარყია ლისანდრეს გავლენა: სპარტა დიდად იყო დაინტერესებული ათენის დამარცხებაში და ამიტომ თვალსაჩინო ნაწილი მოქალაქეებისა თავგამოდებით უჭერდა მხარს ლისანდრეს, რომელიც დაუზოგველად უტევდა ათენს; ახლა კი ეს მიზანი მიღწეული იყო და ათენის მხრივ ყოველგვარი საშიშროებაც თავიდან აცილებული. ამიტომ ბევრს ლისანდრეს მისია უკვე დამთავრებულად მიაჩნდა. ასე არ ფიქრობდა რასაკვირველია, თვითონ ლისანდრე, რომელიც სწორედ ახლა უფრო ოცნებობდა სპარტის სამეფო გვირგვინზე და თავისი მოქმედებით უკვე ვარკვეულ უკმაყოფილებას იწვევდა. მართალია, იგი გაგზავნეს ათენში რწმუნებულად, მაგრამ, როგორც მოგვითხრობს მის ბიოგრაფიაში პლუტარქე, მეფეები და ეფორებიც კი უკვე დიდი ეჭვით უცქერდნენ ლისანდრეს თითოეულ ნაბიჯს და ეშინოდათ ჯარში მისი დიდი პოპულარობისა და მის მიერ მთელი საბერძნეთის ოლიგარქიულ ჯგუფებს შორის მოპოვებული გავლენისა. ამიტომ ათენის წინააღმდეგ წარგზავნილი ჯარის მთავარსარდლად მეფე პავსანია დანიშნეს. იგი

* ლისანდრე წარმოშობით არა სპარტიატი, არამედ მოთაკი იყო. ე. ი. შვილი სპარტიატისა და ჰილოტი ქალისა, რომელმაც სპარტული აღზრდა მიიღო.

გაემგზავრა ათენისაკენ თითქოს 30 ტირანის დასახმარებლად ადგილობრივი სახალხო ჯგუფის წინააღმდეგ. ნამდვილად კი ომის დასამთავრებლად, რომ ლისანდრე თავისი მიმდევრების დახმარებით კვლავ არ გამხდარიყო სპარტის ბატონ-პატრონი. ამრიგად, სპარტის პოლიტიკის ხელმძღვანელობა ისევ პავსანიას ხელში გადავიდა. უწინარეს ყოვლისა, მან ხელი შეუწყო დეკარქიებისა და ათენში 30-ის ბატონობის დამხობას. საერთოდ მან პავსანიათ გაანადგურა ის ქსელი, რომელიც ლისანდრეს მთელ საბერძნეთში ჰქონდა გაბმული თავისი ზრახვების განხორციელების მიზნით. ლისანდრეს მომხრეებმა სცადეს ძველი ნაცადი გზით პავსანიას ტახტიდან გადაყენება, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ახალი პოლიტიკის გამარჯვებაზე, რომელსაც პავსანიას წრე ანხორციელებდა, დიდ იმედს ამყარებდა სპარტიატების ის ნაწილი, რომელმაც გარკვეული პირობების გამო დაკარგა თავისი ქონება და მასთან დაკავშირებით პოლიტიკური უფლებებიც. მაგრამ პავსანიას სიკვდილის შემდეგ მათთვის ნათელი შეიქნა, რომ ასეთი იმედი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ამიტომ მათ წრეში გარკვევით ჩაისახა შეიარაღებული აჯანყების აზრი, რომ ძალდატანებითი აქტით ყოფილიყო შეცვლილი მათთვის მიუღებელი და დამღუპველი წყობილება. შეთქმულებას 399 წ. სათავეში ჩაუდგა კინადონე, მაგრამ მალე გამოჩენილა გამცემი, რომელსაც ქსენოფონტეს გადმოცემით (Hell., 111), დაკითხვის დროს მიუთითებია, რომ შეთქმულებას კინადონე მეთაურობდა. კინადონემ მიმიყვანა, განუცხადებია მას, ბაზრის მოედნის ნაპირას და მიბრძანა დამეთვალა, თუ რამდენი სპარტიატი იმყოფებოდა მოედანზე. მე დავთვალე და მეფისა და გერონტების ჩათვლით სულ დაახ. 40 სპარტიატი აღმოჩნდა. მაშინ მე შევეკითხე: „კინადონო, რისთვის მიბრძანე მათი დათვლა“. მან მიპასუხა: „ყველა ესენი მტრებად ჩათვალე, ხოლო ყველა დანარჩენი, რომლებიც მოედანზე იმყოფებიან, რიცხვით ოთხი ათასზე მეტი, — მოკავშირეებად“. ასეთი რამ მიჩვენა კინადონემ ქუჩებზედაც. იშვიათად გვხვდებოდა ერთი ან ორი მტერი, ყველა დანარჩენი მოკავშირეები იყვნენ. ასევე სპარტიატების მამულებშიც. მხოლოდ ერთი მტერი — თვით მემამულე, ხოლო ყველა დანარჩენი მოკავშირეები იყვნენ. ეფორების შეკითხვაზე, თუ რამდენი კაცი ღებდა მონაწილეობას შეთქმულებაში, კინადონე პასუხობს: ძლიერ მცირე რიცხვი, მაგრამ სამაგიეროდ შეთქმულების ხელმძღვანელნი კარგად იცნობენ იმ განწყობილებას, რომელიც არსებული წყობილების მიმართ სუფევს სპარტის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში; საკმარისია დავუწყოთ მათ ლაპარაკი სპარტიატებზე და ვერც ერთი მათგანი ვერ მოახერხებს დაფაროს, რომ ცოცხლად შეჭამდა

სპარტიატებს, თუ ამისი საშუალება ექნებოდათ. ამ „ვარ.ლ. გაბატონებული მცირერიცხოვანი არისტოკრატიის საწინააღმდეგო განწყობილებით უაღრესად გამსჭვალულია მოსახლეობის ყველა ნაწილი. მაგრამ, როგორც ჩანს, არც შეთქმულება და მით უმეტეს არც ამ საერთო უკმაყოფილების სათანადო გამოხატულება ყოფილა იმ დროს ჯეროვნად მოწესრიგებული, რომ შეთქმულებას რაიმე რეალური შედეგი მოჰყოლოდა. ხელისუფლებამ მოტყუებით ჩაიგდო ხელში ამ საყურადღებო მოძრაობის მესვეურები და სამარცხვინო წამებას მისცა. სპარტის არისტოკრატიამ შეძლო ამ მოძრაობის სრული დამარცხება და თავისი სასტიკი რეჟიმი უფრო განამტკიცა. გამდიდრებულ სპარტიატებს უჩნდებათ განცხრომითი ცხოვრების მოწყობის ძლიერი სურვილები. ლაკონიკასა და მესენიაში ისინი ფართოდ აგებენ საუცხოო სახლკარს, სადაც მუდმივ ნადიმებში და ლხინში ატარებენ დროს. ასეთივე დროსტარება გავრცელებული მოვლენა ხდება იმ დროის ათენსა და საბერძნეთის სხვა პოლისებში, რაზედაც მიგვითითებენ ორატორები ლისია და დემოსთენე, პუბლიცისტი ისოკრატე, ფილოსოფოსები პლატონი და არისტოტელე და კომედიების ავტორი არისტოფანე. ეს, არისტოტელის თქმით (რიტორიკა, 11, 9, 1387), „ნაჩქარევი მდიდრები“ ცხოვრობენ საუცხოო დარბაზებში, იკმაყოფილებენ ყველა თავის სურვილს და აუარებელ თანხებს ხარჯავენ ჰეტერების მდიდრულ შენახვაზე. „ხელოვნებამ ასლა ზურგი შეაქცია გაღატაკებულ ხალხს და ისიც მდიდრების სამსახურში შევიდა; კომედიამ იწყო მათი უსაქმური და ბიწიერი ყოფა-ცხოვრების გემოთი დატკბობა (მენანდრე), პლასტიკა აივსო გრძნობადი მოტივებით, გაშიშვლებული აფროდიტეების, მთვრალი ბაკხუსებისა და ავხორცი სატირების გამოსახულებით“ (Древняя Греция, გვ. 396).

ამავე დროს მთელ საბერძნეთში სოციალური ბრძოლა იშვიათ სიმძაფრესა და დაძაბულობას აღწევს. მოსახლეობის დაბეჩავებულ წრეებში ფართოდ ვრცელდება აზრი, რომ მთავარ საზოგადოებრივ ბოროტებას კერძო საკუთრება წარმოადგენს. ის არ არსებობდა ძველად „ოქროს საუკუნეში“, არ აქვთ ის მრავალ უცხოელ ხალხსაც, მაგალითად, სკვითებს, რომლებიც ამიტომ „ადამიანთა შორის უბედნიერესებად“ ითვლებიან (ეფორე, Fragmenta Historicorum Graecorum, I, 256, 76; Древняя Греция, იქვე). კერძო საკუთრება სპობს ადამიანთა შორის თანხმობასა და სიყვარულს და დასაბამს ანიჭებს უსაზღვრო ეგოიზმს და მურებივით მუქთახორულ ცხოვრებას. იმდროინდელი სოციალური სინამდვილის უარყოფითად დახასიათებასთან ერთად ამ წრეებში ვრცელდებოდა ლოზუნგები მიწე-

ბის გადანაწილების, სავალო ვალდებულებათა გაუქმების, ქალებისათვის პოლიტიკური უფლებებისა და მრავალშვილიანთათვის ბავშვების აღზრდის ტვირთის შემსუბუქების მოთხოვნილებით და საერთოდ ისეთი „განსაზოგადოებელი წყობილების“ მოთხოვნით, რომელშიც ყველა სიკეთე საერთო საკუთრება უნდა ყოფილიყო.

ასეთი იდეები ფართოდ რომ იყო გავრცელებული ათენის თავისუფალ ღატაკთა შორის, ამას გვიდასტურებს, თუნდაც, არისტოფანეს კომედია „ქალები სახალხო კრებაზე“, ან სხვანაირად „კანონმდებელი ქალები“. როგორც ჩანს, ეს კომედია პირველად ათენის თეატრში ძვ. წ. 389 წელს დაიდგა. მისი შინაარსი ასეთია: ქალებს მეთაურობს ენერგიული და მტკიცე ნებისყოფის ქალი პრაქსაგორა ათენელი. გათენებისას ქალები, ვიდრე ქმრებს სძინავთ, იცვამენ ჰიმატიონებს (მამაკაცების ტანსაცმელს), იკეთებენ ყალბ წვერ-ულვაშს და მიდიან პნიქსზე, რათა ჩაატარონ სახალხო კრება და გაატარონ დადგენილება სახელმწიფოში მთელი ხელისუფლების ქალებისათვის გადაცემის შესახებ.

ახალი სახელმწიფოს თავად გვევლინება „ქალი სტრატეგოსი“ პრაქსაგორა, რომელიც შემდეგი დეკლარაციით გამოდის: „ჩვენ საზოგადოებრივად გავხდით მიწას ყველასათვის, ყველა სიმდიდრეს და ფულს, ყველაფერს, რასაც ფლობს თვითეული მესაკუთრე“. „ვამტკიცებ, — განაგრძობს იგი, — ყველაფერი უნდა საერთო გახდეს და ყველაფერში, დეე, მონაწილეობდეს ყოველი! დეე, საერთოდან ყოველი ცხოვრობდეს და არა ისე, რომ ქვეყნად იყოს მდიდარი და ღატაკი, რომ ერთი ხნავდეს ფართო ზოლზე, სხვებს კი საფლავის მიწაც არ ჰქონდეს, რომ ერთს მონების გროვა ემსახურებოდეს, მეორეს კი ბიჭუნაც კი არ გააჩნდეს!“ ყველას ევალება მთელი კერძო საკუთრება საერთო მფლობელობაში გადასცეს და მაშინ ყველას ყველაფერი ექნება უხვად, ყველა იცხოვრებს სრული სიჯარბით, ამიტომ გაქრება სიხარბე, სიცრუე, ქურდობა და ყოველგვარი ბოროტმოქმედება. გასასამართლებელი აღარავინ იქნება და გაუქმდება სასამართლოები და თითქმის მთელი სახელმწიფო აპარატი. ხოლო მთავრობის შენობები საერთო სასადილოებად და კლუბებად გადაიქცევა. სადილები კი უფასო იქნება, მოქალაქეებს დაურიგდებათ ტალონები მათზე ლიტერებით. „და დაიყვირებს მაცნე: მდიდარ ჭერქვეშ იჩქარეთ, ვინც ასო ბეტათია; ისინი — კი, ვინც ასო თეტათია, რაც ძალა აქვთ გაფრინდნენ სავაჭრო რიგისაკენ; ხოლო ვინც ასო კაპათია — გამალებით ეაიქცევ მეწვრილმანეების ალაფხანებისაკენ.“ მაგრამ უნდა მოხდეს ერა მარტო მიწებისა და ქონების კოინონია (განსაზოგადოება), არანედ ოჯახებისაც: მამაკაცებისა და ქა-

ლების ურთიერთობა სავსებით თავისუფალი უნდა იყოს; ბავშვები კი საერთო იქნებიან, ყველა უფროსს ისინი პატივისცემით და მორიდებით უნდა მოეპყრან, როგორც თავის მშობლებს და მათი მხრივაც სიყვარულით უნდა სარგებლობდნენ. კი მაგრამ მაშინ ვინღა იმუშავებს, ვინ დაამუშავებს მიწას? ეკითხება პრაქსაგორას მისი ურწმუნო ქმარი. „რასაკვირველია მონები", პასუხობს იგი.

ძვ. წ. 338 წელს დაიდგა აგრეთვე არისტოფანეს მეორე კომედია „უტოპია—„პლუტოს" (სიმდიდრე), პლუტოსი წარმოდგენილია ბრმა ღმერთად და პატიოსანი ღატაკები ცდილობენ მას დაუბრუნონ მხედველობა, რომ მან შეძლოს სამართლიანად გაანაწილოს თავისი მოწყალება. ამას ეწინააღმდეგება სიღარიბის ქალღმერთი, რომელიც ასე ასაბუთებს თავის მოქმედებას: „კი მაგრამ პლუტოსი რომ კვლავ თვალხილული გახდეს და თანასწორად დაანაწილოს თავისი თავი, მაშინ არც ერთი არ მოისურვებს, იმუშაოს არც მეცნიერებაში, არც ხელოსნობაში, ან მადანის დნობაზე, ან ხომალდების აგებაზე, ან კერვაზე, ან ბორბლების გაკეთებაზე, ან კავით მიწის ფენების ამოღებაზე, რომ დემეტერის მოსავალი მოკრიფოს!" — „არაფერია, — პასუხობს კომედიის მთავარი პირი ღარიბი მიწათმოქმედი ქრემილე, — რადგან ყოველივეზე, რაც შენ ჩამომითვალე, რასაკვირველია, იმუშავებენ მსახურები". როგორც კონტექსტიდან ჩანს, მსახურების სახით ნაგულისხმევი არიან მონები.

ასეთი უტოპიური იდეები იმ დროს საკმაოდ ვრცლად რომ ყოფილა გავრცელებული, ამას გვიმტკიცებს არისტოტელის მიერ „პოლიტიკაში" მოხსენებული ფალეას კალქედონელის „პოლიტია". არისტოტელე მას მიაწერს საკუთრების მოწესრიგების პირველ ცდას და, მისი სიტყვით, მას ასეთი წინადადება წამოუყენებია: მოქალაქეთა მიწის მთელი საკუთრება თანაბარი უნდა იყოს. ამას გარდა, ვისაიდან მას განათლებაც სიმდიდრედ მიაჩნდა, ამიტომ აღზრდის მხრივაც სახელმწიფოსაგან თანასწორობას მოითხოვდა. მაგრამ ზემონათქვამის მიხედვით საყურადღებოა ის, რომ მისი პროექტით ყველა ხელოსანი უნდა მუშაობდეს სახელმწიფოს საჭიროებისათვის[7].

საგულისხმებელია, რომ ასეთ უტოპიურ პროექტებსა და ლოზუნგებს ერთგვარი გამოძახილი მაინც ჰქონდათ ზოგიერთ ბერძნულ სახელმწიფოში. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ კინადონის შეთქმულება სპარტაში, რომელზეც მოგვითხრობს ისტორიკოსი ქსენოფონტე (Hell., III, 5—11). ვინ იყო ეს კინადონი? „სულით და სხეულით ძლიერი ჭაბუკი", რომელიც, როგორც ჩანს სპარტიატების უკვე დაქვეითებულ ნაწილს ეკუთვნოდა. ნათქვამი იყო, რომ სრულუფლებიანი სპარტიატების რიცხვი დღითი-დღე

მცირდებოდა. განსაკუთრებით ეფორ ეპიტადეას კანონის შემდეგ. გალატაკებული სპარტიატები (ჰიუპომეიონები). გათარხნებულები (ნ ე ო დ ა მ ო დ ე ბ ი), პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული პერიეკები და ჰილოტები სპარტაში წარმოქმნილი წესების წინააღმდეგ იყვნენ განწყობილი. მათ ძვ. წ. 399 წელს, როგორც ვთქვით, სათავეში ჩაუდგა კინადონი. მისმა შეთქმულებამ იმდენად ფართო და ხაშიში ხასიათი მიიღო, რომ ეფორები ვერ ბედავდნენ კინადონის დაპატიმრებას თვითონ ქალაქში და ამიტომ ის ქალაქგარეთ წარგზავნეს საიდუმლო დავალებით, რომლის დროსაც დააპატიმრეს. წამების ქვეშ კინადონმა გასცა თავისი თანამონაწილენი და ყველა მათ მიმართ სპარტის ხელმძღვანელებმა მხეცური სასჯელი გამოიყენეს.

ძვ. წ. 392 წელს კორინთოში მოხდა ღარიბების აჯანყება, რომლის დროსაც ღარიბები მდიდრებს სასტიკად მოექცნენ. ძვ. წ. 370 წელს არგოსში რამდენიმე დღის განმავლობაში ხელკეტებით გამოასალმეს წუთისოფელს 1500-მდე მდიდარი მოქალაქე. ეს ამბავი სკიტალიზმის სახელითაა ცნობილი (ბერძნული სიტყვისაგან σπυτάλη — ხელკეტი).

საერთოდ IV საუკუნის ბერძნულ ქალაქებში ბრძოლა მდიდრებსა და ღარიბებს შორის გააფთრებულ შეტაკებაში გადადიოდა და ხშირად დემოკრატები და ოლიგარქოსები ერთიმეორეს შეუბრალებლად უსწორდებოდნენ.

ათენში ოლიგარქია სხვა გზით ცდილობდა აეცდინა თავიდან იმ გაპარტახებული წვრილი შესაკუთრეების აჯანყებანი, რომელთაც სამუშაოს და სარჩოს ძებნაში მრავლად მოიყარეს თავი ქალაქში და ძირითადად შექმნეს ევრეთ წოდებული ანტიკური ლუმპენ-პროლეტარიატი —, ოხლოსი. თუ წინათ ათენის სახელმწიფო მნიშვნელოვან თანხებს უხდიდა თავისუფალ მოქალაქეებს სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებისათვის, ახლა მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ ისინი მოითხოვდნენ სახელმწიფოსაგან დახმარებას სიღარიბისათვის. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიერ გასაღები დახმარების თანხები დიდად გაიზარდა. მაგრამ ათენის ხაზინას აღარ შეეძლო ასეთი თანხების გაცემა, ვინაიდან მან დაკარგა მოკავშირეების ფოროსი, რაც შეეხება საავჭრო ბაჟს, ისიც მნიშვნელოვნად შემცირდა ვაჭრობის შეკვეცის გამო. ამიტომ ძვ. წ. IV საუკუნის ათენში მწვავედ მიმდინარეობდა ბრძოლა დახმარებათა და ლიტურგიების გარშემო.

შეძლებული მოქალაქეები ცდილობდნენ, რომ ესა თუ ის გადასახადი, რაც შეიძლება, მეტ მოქალაქეზე ყოფილიყო განაწილებული. ამასთან ზოგიერთი მათგანი თავისი ქონების ოდენობას შემცირე-

ბულად უჩვენებდა. ამიტომ გაატარეს კანონი ქონებათა გაცვლის შესახებ. მას ანტიდოსისი ეწოდებოდა და იმაში მდგომარეობდა, რომ თუ ათენელი მოქალაქე ფიქრობდა, რომ მასზე დაკისრებული საზოგადოებრივი მოვალეობა აღემატებოდა მის შესაძლებლობას, მას შეეძლო თავის უფრო მდიდარი თანამოქალაქისათვის მიემართა წინადადებით, ან მიეღო თავის თავზე ეს ვალდებულება, ან გაეცვალა მისთვის ქონება. მრავლად გაჩნდნენ ისეთი პირები, რომლებიც ყოველგვარად ცდილობდნენ მოენახათ საბაბი შეძლებულ პირთა სამართალში მიცემისა ისეთ საქმეებზე, რომლებიც ქონების კონფისკაციასთან იყო დაკავშირებული. ასეთ პირებს, რომლებიც მისჯილთა ქონებიდან განსაზღვრულ ნაწილს იღებდნენ, სიკოფანტები ეწოდებოდათ. ათენის ბევრი მოქალაქისათვის სიკოფანტობა შემოსავლის წყაროდ გადაიქცა და მათმა „მოღვაწეობამ“ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ შეძლებულთა წრე მათ დიდი შიშით და მორიდებით ხვდებოდა.

აი, ერთი მაგალითი: ქსენოფონტეს ერთ თავის ნაწარმოებში გამოყვანილი ჰყავს ვინმე ხარმიდე, სოკრატეს მოწაფე, რომელსაც დიდი ქონება დაუკარგავს და ასეთი სიტყვებით გვიხასიათებს თავის მდგომარეობას: „როცა მე ათენში მდიდარი ვიყავი, მეშინოდა, ჩემს სახლში ვინმეს კედლისათვის ძირი არ გამოეთხარა და არ წაეღო ფული და ჩემთვისაც რაიმე ვნება არ მოეყენებინა. გარდა ამისა მე ვეფერებოდი სიკოფანტებს, რადგან ვიცოდი, რომ მათ მხრივ უფრო მალე ჩავვარდებოდი გასაჭირში, ვიდრე ისინი ჩემი მხრივ. ბოლოს, მე ყოველთვის ვიღებდი ცნობილ მოთხოვნებს. გამეკეთებინა ესა თუ ის ქალაქისათვის, ათენიდან გასელის ნებას კი არ მაძლევდნენ. მაგრამ ახლა, როდესაც მე ჩამომართვეს ათენს გარეშე მამულები, როცა აქაურებიდან არაფერს ვიღებ, ხოლო საოჯახო ქონება მთლად გაყიდულია, მძინავს, მშვიდად გაწოლილს, ვსარგებლობ ქალაქის ნდობით და არავინ მეტად აღარ მემუქრება; პირიქით, მე ვემუქრები სხვებს. მე თავისუფალი ვარ, შემიძლია წავიდე და დავბრუნდე, მდიდრები ფეხზე დგებიან თავიანთი ადგილებიდან და გზას მითმობენ ქუჩაზე. ახლა მე ნამდვილი მეფე ვარ, წინათ კი მონა ვიყავი, მაშინ გადასახადებს ვიხდიდი ქალაქის სასარგებლოდ. ახლა კი ქალაქი მიხდის მე ჯამაგირს და მინახავს“.

ათენში „ოცდაათის“ ოლიგარქიის დამხობის შემდეგ ძვ. წ. 403/2 წ. აღადგინეს დემოკრატიული წყობილება მისი დარიგებათა სისტემით. გარდა თეორიკონისა, რომელიც ახლა უფრო ხშირად რიგდებოდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გასამრჯელოს ჰელიეას წევრობისათვის. ათენის ამ სახალხო სასამართლოს

წევრად შეეძლო არჩეული ყოფილიყო 30 წელს მიღწეული ყოველი ათენელი: იგი შედგებოდა 6000 ადამიანისაგან და ნაწილდებოდა 10 სექციად. თითოეულ წევრს ეძლეოდა ბრინჯაოს ფირფიტა მისი სახელისა და ნომრის ლიტერის აღნიშვნით. გათხრებმა აღმოაჩინეს ფირფიტები რამდენიმე ლიტერით. თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ხდებოდა იმისათვის, რომ ნაფიც მსაჯულად არჩეულ მოქალაქეს უფრო ხშირად მიეღო უკვე 3 ობლამდე გადიდებული გასამრჯელო. მაგრამ გასამრჯელოთა სისტემის დაკვირვებას წარმოადგენდა ეკლესიასტიკონი—გასამრჯელო სახალხო კრებაზე დასწრებისათვის.

მას საფუძველი პერიკლეს მმართველობაში ჩაეყარა. როგორც ჩანს, ზოგიერთი ძველი მწერალი, არისტოფანე, მაგ., გულისტკივილით იგონებს ძველ კურთხეულ დროს, როდესაც ვერავინ გაბედავდა სამოქალაქო მოვალეობათა შესრულებისათვის გასამრჯელო აეღო. ხოლო ორატორი ესქინე ათენის სახალხო კრებას სავაჭრო თუ სარეწაო ამხანაგობას ადარებს, ათენელები მისი სიტყვით, გამოდიოდნენ სახალხო კრებიდან, ვითომც სავაჭრო და საწარმოო ამხანაგობიდან შემოსავლის განაწილების შემდგომ[8]. უფრო სამართლიანად აფასებს ამ ზომას არისტოტელე, თუმცა იგი მას არ უთანაგრძნობს: ჯერ ათენელებმა გადაწყვიტეს, ამბობს იგი, არ დაენიშნათ გასამრჯელო სახალხო კრების წევრებისათვის, მაგრამ, რადგან ხალხი არ მოდიოდა კრებაზე და პრიტანებმა არ იცოდნენ, რა მოეფიქრებინათ, რომ იგი შეკრებილიყო, პირველად აგირიოსმა შეიტანა წინადადება გასამრჯელოდ 1 ობოლის დანიშვნისა, ჰერაკლეიდე კლაზომენელმა კი 2 ობოლი წამოაყენა. შემდეგ კი ისევ აგირიოსმა — 3 ობოლი. შემდგომში, თუ არისტოტელეს დავუჯერებთ, ალბათ, სიძვირის ზრდასთან ერთად, ეს გასამრჯელო 1 დრახმამდე გაუდიდებიათ (Αθ. Πολ. XLII). ასეთი გასამრჯელოს დაწესება, როგორც ვთქვით, აუცილებელი გახდა ათენში შექმნილი პირობების გამო: ნივთიერად ხელმოკლე მოქალაქეთათვის შეუძლებელი შეიქნა სამუშაოს მიტოვება და სახალხო კრებაზე დასწრება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა. ამიტომ ან სახელმწიფო სისტემა უნდა შეცვლილიყო, ანდა ასეთ მოქალაქეებს მცირე საშუალება მაინც უნდა მისცემოდა თავიანთი მთავარი მოვალეობის ფაქტიური შესრულებისათვის. თუმცა დაწესებული გასამრჯელო მეტად უმნიშვნელო იყო და ასეთი საშუალების გარანტიას ვერ იძლეოდა.

ყოველივე ზემონათქვამი უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ პოლისური წყობილება როგორც სოციალურ-პოლიტიკური ორგა-

ნიზაცია ღრმა კრიზისს განიცდიდა. უღარიბესი ბოქალაქეებისათვის მას უკვე აღარ შეეძლო უზრუნველეყო საარსებო მინიმუმი, ხოლო მდიდრებს უკვე ფრიად მძიმედ ეჩვენებოდათ ისეთი სახელმწიფო, რომელიც ცუდად იცავდა მათ ქონებრივ ინტერესებს. ამიტომ მათ წრეში თანდათან ფეხს იკიდებდა მიმართულება, რომლის თანახმად უნდა დამყარებულიყო ძლიერი და მყარი ხელისუფლება, რომელიც შეძლებდა დაეცვა ისინი ყოველგვარი შემთხვევებისაგან. ყველაზე უფრო პრაქტიკული პოზიცია შეძლებულ მონათმფლობელთა ინტერესების მიხედვით დაიკავა ცნობილმა პუბლიცისტმა და ორატორმა ი ს ო კ რ ა ტ ე მ (436 — 337), რომელმაც საზეიმოდ წარმოთქმულ სიტყვაში—„პანეგირიკოს", მოუწოდა ბერძნებს გაერთიანებულიყვნენ, რომ დაეპყროთ და გაეძარცვათ სპარსეთის დასავლეთი ნაწილი, რომ ამით გამოესწორებინათ თავიანთი მძიმე მდგომარეობა. მაგრამ როცა გამოირკვა, რომ საკუთარი ძალებით ბერძნებს გაერთიანება არ ძალუძთ, მან გაიზიარა ბერძნული პოლისების მაკედონიის მეფის ფილიპე II-სადმი დამორჩილების მომხრეთა მიდრეკილება[9].

2. საბერძნეთის პოლისების მდგომარეობა სპარტის ჰეგემონიის ქვეშ. „სამეფო ზავი" და მისი მნიშვნელობა

საერთოდ, IV საუკუნის დასაწყისში ათენის შინაური ვითარება მეტად რთული საერთაშორისო მდგომარეობის პირობებში მიმდინარეობდა. პელოპონესის ომმა ბერძნულ სახელმწიფოთა შორის პირველი ადგილი ს პ ა რ ტ ა ს მიაკუთვნა, მაგრამ ჰეგემონის როლი მეტად მძიმე გამოდგა მისთვის. იგი მის ძალასა და საშუალებებს აღემატებოდა. ამას გარდა, თუ პელოპონესის ომში მისი გამარჯვებისაგან ზოგიერთი სახელმწიფო ათენის ძალმომრეობისაგან განთავისუფლებას მოელოდა, სინამდვილემ მათ ეს იმედი არ გაუმართლა. სპარტის ბატონობა, თუ ათენისაზე უფრო მძიმე არა, ყოველ შემთხვევაში არც მსუბუქი იყო, სპარტის გამარჯვება არსებითად კონსერვატორული და ოლიგარქიული ელემენტების გამარჯვებას წარმოადგენდა და, მაშასადამე, დემოკრატიულად განწყობილი ქალაქების სახელმწიფო ცხოვრების რადიკალურ შეცვლას მოასწავებდა. ათენისაგან განდგომილ ქალაქებში დაწესდა ოლიგარქიული კომიტეტების ხელისუფლება, დეკარქიები და ჰარმოსტები. თავისი პოლიტიკით სპარტამ ძველ მოკავშირეებშიც კი (კორინთო, თებე და სხვ.) უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია და მძლავრად აღუძრა მათ მისი ჰეგემონიისაგან განთავისუფლების სურვილი. ვითომდა წეს-

რიგის აღდგენის, განთავისუფლებისა და ავტონომიის მიზნით სპარტა მოურიდებლად ერეოდა ბერძენთა პოლისების ცხოვრებაში, რის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ქსენოფონტესა და დიოდორეს მიერ აღწერილი ძალადობა დემოკრატიული ელიდის მიმართ 401—400 წელს, როცა ის იძულებული გამხდარა დაეშალა თავისი კავშირი და ლაკედემონელებთან კავშირში შესულიყო.

შეიცვალა მისი წინანდელი დამოკიდებულება სპარსეთთანაც. სპარტის გაბატონებული მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც იგი თავისუფლად ერეოდა საბერძნეთის სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, უწინარეს ყოვლისა, სპარსეთის დახმარებაზე იყო დამყარებული, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის სატრაპის ფარნაბაზის მოთხოვნით ლისანდრე მცირე აზიიდან გაიწვიეს, ხოლო მისი დეკარქიები გააუქმეს, კეთილი ურთიერთობა სპარტასა და სპარსეთს შორის კიროს უმცროსის განზრახვასთან დაკავშირებით მალე დაირღვა. დარიოს II-ის სიკვდილის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი უფროსი ვაჟი არტაქსერქსე მნემონი (405—359). მისმა ძმამ კიროსმა მოისურვა მისთვის ტახტის ჩამორთმევა და დახმარებისათვის სპარტას მიმართა. ამ უკანასკნელს კარგად ახსოვდა ის დიდი შემწეობა, რომელიც კიროსმა ლიდიის სატრაპად ყოფნის დროს აღმოუჩინა, და მზად იყო მისთვის დახმარების ხელი გაეწოდებინა, მაგრამ ძმებს შორის ბრძოლაში პირდაპირი ჩარევა ვერ გაბედა და ნება მისცა კიროსს არაოფიციალურად მოეგროვებინა ჯარი საბერძნეთში და თავის მხრივ რაზმის უფროსად სპარტელი კლეარქე წარგზავნა. კიროსის მიერ დაწყებული საქმე სრული მარცხით დამთავრდა და ბაბილონის მახლობლად, ევფრატსა და ტიგროსს შორის სოფ. კუნაქსთან ბრძოლაში თვითონაც დაიღუპა. მის ლაშქარში მყოფი ბერძენი რაზმები შეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათი წინამძღოლები კლეარქე და სხვები ვერაგულად დახოცეს. მრავალი დიდი გაჭირვების დაძლევით შეძლო ბერძენ მეომართა ნაწილმა უკან დაბრუნება და იმ დროს სპარსეთსა და სპარტას შორის უკვე დაწყებულ ომში მონაწილეობის მიღება. როგორც ვიცით, კიროსის ექსპედიცია აგვიწერა ამ ლაშქრობის მონაწილემ ისტორიკოსმა ქსენოფონტემ თავის „ანაბასისში“, სადაც, სხვათა შორის, გაზვიადებულად აქვს გადმოცემული მისი როლი მეთაურების დახოცვის შემდგომ თითქმის უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი ბერძენი მეომრების სამშობლოში დაბრუნების საქმეში.

კიროსის ექსპედიციაში, ამგვარად მონაწილეობას იღებდნენ საბერძნეთის არა რომელიმე სახელმწიფოს სამხედრო ძალები, არა-

ზედ ქირით შეგროვებული ბერძენი მეომრები. საერთოდ IV საუკუნის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენა, როგორც აღნიშნეთ, იყო მოქირავნე მეომრების სისტემის განვითარება. მუდმივმა ომიანობამ წარმოშვა პროფესიონალი სარდლები და მეომრები, რომლებიც მზად იყვნენ ფულით ემსახურათ ყველგან სადაც კი ეს მათთვის ხელსაყრელი იქნებოდა[10]. საბერძნეთში დაქირავებული ჯარების სისტემა პელოპონესის ომის დროიდან განვითარდა. იგი ერთ-ერთი აუცილებელი შედეგი იყო იმ ხანის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობებისა. ყველა მოქალაქეს უკვე აღარ შეეძლო შეესრულებინა ფრიად გართულებული სამხედრო მოვალეობა. არ შეეძლო ხანგრძლივად მიეტოვებინა თავისი მეურნეობა და ბოლოს წლობით ჯარში ემსახურნა, ამიტომ ხშირი და ხანგრძლივი ომების დროს უნდა წარმოშობილიყო ადამიანთა განსაკუთრებული ჯგუფები, რომლებიც თავის სპეციალობად, პროფესიად სამხედრო სამსახურს თვლიდნენ. ამას გარდა, თუ ძველად საზოგადოების ნივთიერად ხელმოკლე ნაწილი ზოგიერთ შემთხვევაში სხვა მხარეებში მიდიოდა კოლონისტების სახით, ახლა მდგომარეობა ამ მხრივაც შეიცვალა: ახალი ახალშენების განსახლებას ხელს უშლიდა გადაულახავი პირობების მთელი რიგი; შეუძლებელი შეიქნა აგრეთვე კლერუქიების დაარსება და საერთოდ ამ სახის ემიგრაცია შეწყდა. თუ უწინ სხვა ქვეყნებიდან საბერძნეთში მრავლად შემოჰყავდათ მონები, რომლებიც ადგილობრივ თავისუფალ მუშებსა და ხელოსნებს უდიდეს კონკურენციას უწევდნენ და ავიწროებდნენ, ახლა მრავალი მოქალაქე იძულებული ხდება დაქირავებული მეომრის ადგილი უცხო ქვეყნებში ეძიოს. განსაკუთრებით მრავლად იძლეოდა ასეთ სამხედრო პროფესიონალებს სპარტა. თვით სპარტის მეფე აგესილაოსი თავისი რაზმით გადადის ტახოსის სამსახურში, რომელიც მეთაურობდა სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ეგვიპტელებს. იმ დროის დაქირავებული მეომრების განთქმული მეთაურები იყვნენ ათენელები იფიკრატე, ხაბრია და ტიმოთე. იშვიათი არ იყო შემთხვევა, როდესაც ბერძენთა ასეთი დაქირავებული რაზმები მათი ქვეყნის წინააღმდეგ მეომარ სახელმწიფოს მხარეზე იბრძოდნენ: ისინი ემსახურებოდნენ ფულისათვის იმას, ვინც უფრო უხვად ასაჩუქრებდა. ამ ახალი მოვლენით მოხერხებულად სარგებლობს სპარსეთი, რომელმაც პირდაპირი თავდასხმით, მართალია, ვერ შეძლო საბერძნეთის დაპყრობა, მაგრამ თავისი განზრახვის განხორციელებაზე ხელი არ აუღია და სხვადასხვა გზით ცდილობდა მის შესრულებას.

მართალია, სპარტას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია კიროსის ექსპედიციაში, მაგრამ მისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ამ

საქმისადმი სპარსეთის მთავრობისათვის დაფარული არ დარჩა. ტისაფერნე, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია არტაქსერქსე მნემონს იმით, რომ დროზე აცნობა კიროსის განზრახვები, იგი კვლავ წარგზავნეს მცირე აზიაში სატრაპად. იგი შეუდგა მცირეაზიელ ბერძენთა ქალაქების სპარსეთისადმი კვლავ დამორჩილების განხორციელებას. მცირეაზიელმა ბერძნებმა დახმარებისათვის მიმართეს სპარტას, როგორც ბერძნული სამყაროს ჰეგემონს. ამ გარემოების გამო სპარტა ფრიად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა: მისი მდგომარეობა საბერძნეთში აიძულებდა მას, ერთი მხრივ, გამოჰქომაგებოდა მცირეაზიელ თანამოძმეთ, ხოლო, მეორე მხრივ, სპარსეთთან პირდაპირი ომისათვის თავი აერიდებინა. ბოლოს მაინც ეს უკანასკნელი გზა აირჩია, მაგრამ გარკვევით უნდა ითქვას, რომ სპარტა ამ შემთხვევაში სრულებით არ მოქმედებდა საერთო ბერძნული ინტერესების მიხედვით: წინათ გულგრილად იყიდა სპარსეთის მეფის დახმარება მცირეაზიელ ბერძნების ანგარიშზე, ხოლო ახლა ცდილობდა ეს მომენტიც პოლიტიკურად თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ომი სპარსეთსა და სპარტას შორის დაიწყო 399 წელს; პირველად ის ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობდა, ვიდრე ცნობილი ნავარქოსის ლისანდრეს მეოხებით სპარტის ჯარების სარდლობა მეფე აგესილაოსს არ გადაეცა. მან თავი ახალ აგამემნონად წარმოიდგინა და მისი მიბაძვით უნდოდა ბრძოლის ველზე გამგზავრების წინ მსხვერპლი შეეწირა ავლიდში (ბეოტიაში), მაგრამ ბეოტიელებმა ასეთი განზრახვის შესრულების ნება არ მისცეს: 396 წელს აგესილაოსი ახალი რაზმებით გადავიდა მცირე აზიაში და ამას შემდგომ ომმა უფრო დიდი და ფართო ხასიათი მიიღო. ტისაფერნე დროის მოგების ანგარიშით თანახმა გახდა ბერძნული ქალაქებისათვის ავტონომია მიენიჭებინა და აგესილაოსთან დროებით ზავი ჩამოაგდო, მაგრამ ომი მალე განახლდა და 395 წელს აგესილაოსმა დაამარცხა ტისაფერნეს ცხენოსანი ჯარი. მოსალოდნელი იყო, რომ ამ გამარჯვების შემდგომ სპარტელების საქმე უფრო კარგად წავიდოდა, მაგრამ სპარსელებმა ზურგს უკან მათ ახალი კოალიცია მოუწყვეს. საქმე ისაა, რომ საბერძნეთში სპარტის ბატონობა უკვე დიდ უკმაყოფილებას იწვევდა და ამ მხრივ ნიადაგი იმდენად იყო მომზადებული, რომ მცირე საბაბიც საკმარისი იყო მის წინააღმდეგ ომის გაჩაღებისათვის. სპარსელებმა კარგად ისარგებლეს ამ გარემოებით და სპარსული ოქროს საშუალებით მალე წარმოქმნეს თვით საბერძნეთში სპარტის საწინააღმდეგო ომი,—ეს იყო ეგრეთ წოდებული კ ო რ ი ნ თ ო ს ო მ ი (395—386). კოალიცია შედგებო-

და სპარტის როგორც ყოფილი მოკავშირეებისაგან. ისე ყოფილი მტრებისაგან (თებე, კორინთო, არკოსი, ათენი და სხვ.).

სპარტის მდგომარეობა დიდად გართულდა; სამხედრო მოქმედება მიმდინარეობდა უმთავრესად შუა საბერძნეთში და ისთმოსზე. ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა სპარტის სარდალი ლისანდრე. სპარტისათვის აუცილებელი გახდა მცირე აზიიდან აგესილაოსის გამოწვევა. საქმეს ართულებდა აგრეთვე ის გარემოება, რომ ყოფილმა ათენელმა ნავარქოსმა კონონმა, რომელმაც სპარსეთის ფულით შეიძინა ფლოტი, დაამარცხა სპარტელები კნიდოსთან (მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე). ამ დამარცხებას თან მოჰყვა სპარტის გარნიზონების სრული განდევნა მცირე აზიის ქალაქებიდან. ამას გარდა, სპარსეთის ფლოტმა დაარბია პელოპონესის ნაპირები და, სპარტის წინააღმდეგ მებრძოლი მოკავშირეების დასახმარებლად, მიადგა ისთმოსს. როგორც ვიცით, პელოპონესის ომის შემდგომ ათენის „გრძელი კედლები" დაანგრიეს: ახალმა კონონმა წამოაყენა მათი აღდგენის პროექტი. სპარსელებმა არათუ მოიწონეს ეს პროექტი, არამედ მათ აღსადგენად სუბსიდიაც კი გაიღეს, ვინაიდან ამ მომენტში მათთვის ხელსაყრელი იყო ათენის გაძლიერება. მართლაც ათენელებმა შეძლეს თავიანთი ფლოტის ნაწილობრივი აღდგენა და მრავალი დაქირავებული მეომრის შეგროვება. სტრატეგოს ი ფ ი კ რ ა ტ ე ს წყალობით ათენმა ამ მეომრებისაგან კარგი ჯარი შექმნა; მანვე მოახდინა სამხედრო საქმეში საყურადღებო რეფორმა: მძიმედ შეიარაღებული რაზმები შეცვალა პელტასტებით, ე. ი. მსუბუქად შეიარაღებული მეომრებით, რომლებიც უფრო მეტი სიჩქარით და გაბედულობით იბრძოდნენ. საერთოდ ხელსაყრელი პირობების გამო მოკავშირეებმა კორინთოს ომში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. დიდი წარმატებით მოქმედებდა აგრეთვე ათენის ფლოტი, თრასიბულეს მეთაურობით, აღმოსავლეთში. ათენელებმა შეძლეს იმ დროს სავსებით აღედგინათ თავიანთი ბატონობა სრუტეების მიდამოებში და კვლავ უზრუნველეყოთ შავი ზღვის ნაპირებიდან პურისა და ნედლეულის შემოტანა. . ჩვენ ვთქვით, რომ სპარსეთი ხელს უწყობდა ათენის აღორძინებას. მაგრამ ათენის ასეთი დიდი გაძლიერება, რომელსაც შეეძლო ახლო მომავალში შეეცვალა სპარტა და საბერძნეთის ჰეგემონი გამხდარიყო, სრულებითაც არ იყო მისთვის მისაღები. ამიტომ მან შეუწყვიტა მოკავშირეებს სუბსიდია და კვლავ სპარტას დაუახლოვდა. თავის მხრივ სპარტამ კავშირი დადო სირაკუზის ტირან დიონისესთან და მის მიერ გამოგზავნილი ფლოტის დახმარებით ათენს ალყა შემოარტყა. ასეთ პირობებში ათენისათვის უკვე მეტად მძიმე გახდა ომის წარმოება და

იძულებული შეიქნა ზავზე დათანხმებულიყო. ეს ზავი ცნობილია ანტალკიდეს ზავის სახელით", რადგან მისი პირობები წამოყენებულ იქნა სპარტის ნავარქოსის ანტალკიდეს მიერ 392 წელს, ხოლო ოფიციალურად იგი უფრო ცნობილია „სამეფო ზავის" (ἡ βασιλέως εἰρήνη) სახელით: მისი პირობები სავსებით ნაკარნახევი იყო სპარსეთის მეფის მიერ. ზავის მთავარი დებულებების აღწერა მოგვცა ისტორიკოსმა ქსენოფონტემ (Hellen. V, 1, 31). სპარსეთის სატრაპმა ტირიბაზმა 386 წელს მეორედ მოიწვია სარდეში ბერძენთა დელეგატების კონგრესი და კატეგორიულად მოთხოვა მებრძოლ მხარეებს უყოყმანოდ მიეღოთ ანტალკიდეს მიერ წამოყენებული პირობები. დელეგატებს მან წაუკითხა ზავის დებულებები: „მეფე არტაქსერქსეს სამართლიანად მიაჩნია, რომ მას ეკუთვნოდეს აზიის ყველა ქალაქი. კუნძულებიდან კი — კლაზომენე და კვიპროსი. ყველა დანარჩენ ბერძნულ ქალაქს, დიდსა თუ მცირეს, უნდა მიენიჭოს ავტონომია, ლემნოსის, იმბროსისა და სკიროსის გარდა, რომლებიც წინანდებურად ათენელების ხელისუფლებაში რჩებიან. მებრძოლ მხარეთაგან იმას, ვინც ამ პირობებს არ მიიღებს, მე ზავის გამზიარებლებთან ერთად ომს გამოვუცხადებ ზღვაზე და ხმელეთზე და მასთან მებრძოლთ ხომალდებით და ფულით დავეხმარები". ამრიგად, სპარსეთის წინააღმდეგ სპარტის მიერ ვითომც მცირეაზიელი ბერძნების განსათავისუფლებლად დაწყებულ ომს, პირიქით, შედეგად მათი სპარსეთისადმი დამორჩილება მოჰყვა. და ის, რასაც სპარსეთმა იარაღით ვერ მიაღწია, აბლა მისთვის სავსებით ადვილი გახდა: სპარსეთის მეფე საბერძნეთის შინაური საქმეების უმაღლესი მსაჯული შეიქნა.

ზავის მიერ შექმნილი პირობების კონტროლი სპარტას დაეკისრა და საბერძნეთის შინაურ საქმეებში მან უფრო ფართო და მოურიდებელი ჩარევა იწყო. იგი ყველგან ოლიგარქიულ მიმართულებას შეიარაღებულ დახმარებას უწევდა და სხვადასხვა ადგილას თავის პარმოსტებს აყენებდა[2].

3. თებეს ხანმოკლე ამაღლება და ატიკის მეორე საზღვაო კავშირი

ათენსა და სპარტას შორის მუდმივმა ქიშპობამ ხელი შეუწყო IV საუკუნეში ბეოტიის ქალაქის თებეს ამაღლებას, რომელიც წინათ საბერძნეთში მეორეხარისხოვან როლს თამაშობდა. ბეოტიის ქალაქთა უმრავლესობა, თებეს მეთაურობით, ჰეგემონიისათვის დიდ ბრძოლაში სპარტის მხარეზე იდგა. როგორც ვიცით, ბეოტიის ნიადაგის იშვიათი ნაყოფიერების გამო მისი მოსახლეობის მეურნეობის ძირი-

თადი საფუძველი მიწის დამუშავება იყო. აქ გაბატონებული იყო მიწისმფლობელთა არისტოკრატია, რომელსაც შეუერთდა ყველაზე უფრო მდიდარი პირების წრე მხედრების ცენზით. ამ წრეების ინტერესები განსაზღვრავდნენ მათს საგარეო პოლიტიკას, რომლის თანახმად ათენის გამარჯვება მიუღებლად ითვლებოდა.

საქმე არსებითად შეიცვალა ათენის დამარცხების შემდგომ, რადგან, მართალია, ბეოტიელების ძველი მტერი ათენი სასტიკად იქნა დასჯილი, მაგრამ სპარტის მხრივ მოკავშირეებისადმი უაღრესად აგრესიულმა მოპყრობამ მეტად ცუდი გავლენა იქონია ბეოტიელებზედაც და ამ გარემოებამ ბეოტიის ქალაქებში სპარტის მომხრე ძველი ოლიგარქიის ბატონობა არსებითად შეარყია. სახელმწიფო ხელისუფლება მიისაკუთრა ზომიერ-დემოკრატიულმა „პარტიამ“, რომელმაც სრულუფლებიან მოქალაქეთათვის შედარებით დაბალი ცენზი შემოიღო. შეიცვალა საგარეო პოლიტიკაც; ბეოტიელები ახლა კავშირს ამყარებენ ათენთან და ბრძოლას იწყებენ, პირიქით, სპარტის წინააღმდეგ. მაგრამ სპარტამ სპარსეთის დახმარებით შეძლო ამ თავისი საწინააღმდეგო ბრძოლის ლიკვიდაცია. ბეოტიის ქალაქებში მათ შორის, თებეში კვლავ აღადგინეს ოლიგარქია და ბეოტიის კავშირიც დაიშალა.

382 წელს სრული მშვიდობიანობის ხანაში, ყოველგვარი მოლოდინისა და კანონიერების გარეშე, სპარტელები შეიჭრნენ თებეში და სუსტი წინააღმდეგობის შემდეგ დაიკავეს თებეს სიმაგრე კადმეა. ამ საქმეში მათ დახმარებას უწევდნენ თებელი ოლიგარქოსები, ხოლო დემოკრატიული „პარტიის“ მეთაურები იძულებული იყვნენ თებედან ათენში გაქცეულიყვნენ. მათ მზადება იწყეს ბეოტიაში დაბრუნებისა და ოლიგარქიული წყობილების დამხობისათვის. 379 წელს თებელი ემიგრანტი დემოკრატების პატარა რაზმი პელოპიდასის მეთაურობით გადავიდა ბეოტიაში, შეიჭრა ქალაქში, შეუერთდა თავის თანამოაზრეებს, დაამხო ოლიგარქიული წყობილება და ოლიგარქოსების მეთაურებს სასტიკად გაუსწორდა. სპარტის გარნიზონი კი იძულებული გახდა დაეტოვებინა თებე. თებეში და შემდეგ ბეოტიის სხვა ქალაქებში მომხდარმა პოლიტიკურმა გადატრიალებამ დასაბამი მისცა არა ცენზიანი, არამედ უკვე ფართო დემოკრატიის დამკვიდრებას. ამასთან ერთად აღდგენილ იქნა ბეოტიის კავშირი, რომელსაც თებე მეთაურობდა. ზოგიერთმა ქალაქმა — პლატეამ, თესპიემ და ორქომენმა — არ მოისურვა მასში შესვლა, მაგრამ თებელებმა ძალით შეიყვანეს ისინი ბეოტიის კავშირში, რომლის განმტკიცებისა და გაფართოების საქმეს პელოპიდასი წინამძღოლობდა.

თებეს ახალი წყობილების მესვეურნი კარგად გრძნობდნენ, რომ მოსალოდნელ ომში გაუჭირდებოდათ სპარტელებთან გამკლავება. მაგრამ სწორედ ამ მომენტში სპარტელებმა უშედეგოდ სცადეს პირეუსის დაკავება და ამიტომაც ათენმა 378 წელს თებელებთან კავშირი შეკრა. ეს კოალიცია მით უფრო საშიში იყო სპარტისათვის, რომ ათენი ახლა უკვე ახლაც დაარსებული კავშირის სათავეში იდგა.

ამ მეორე კავშირს საფუძველი ჩაეყარა ახალი პირობების გამო ჯერ კიდევ კონონის კნიდოსთან გამარჯვებით და თრასიბულეს მოღვაწეობით. უკვე 389 წელს თრასიბულემ სცადა აღედგინა ძველი საზღვაო კავშირი ხუთპროცენტიანი საკავშირო გადასახადით (εἰκοστή)[13]. ხოლო 380 წელს ცნობილმა ორატორმა ისოკრატემ თავის „პანეგირიკოსში" დიდი პროპაგანდა გასწია ამ აზრის განხორციელებისათვის. 378/7 წ. პირველი კავშირის დაარსებიდან ასი წლის შემდგომ საფუძველი ჩაეყარა მეორე კავშირს. მის შესახებ, უწინარეს ყოვლისა, მოგვითხრობს ქვის ფიცარზე ამოჭრილი ათენის სახალხო კრების დადგენილება, რომელშიც ჩამოთვლილია მოკავშირე ქალაქების სახელები, მათ შორის, პირველ რიგში ქიოსი, მიტილენი, მეთიმნა, როდოსი და ბიზანტიონი. ამ კავშირის დანიშნულება იყო ბერძნების თავისუფლების დაცვა არა სპარსეთისაგან, არამედ სპარტისაგან, „რომ ლაკედემონელებს ელინებისათვის მიენიჭებიათ საშუალება, ყოფილიყვნენ თავისუფალნი და დამშვიდებით ესარგებლნათ თავიანთი სამფლობელოებით". მეორე კავშირის ორგანიზაცია არსებითად განსხვავდებოდა პირველისაგან. მასში უფრო სუსტი იყო ცენტრალიზაცია და უფრო ნაკლები ათენის უპირატესობა. მოკავშირეები „თავისუფალი და ავტონომიური" (ἐλεύθεροι καὶ αὐτόνομοι) იყვნენ; თავისუფალი იყვნენ აგრეთვე ფოროსისაგანაც. საერთო საკავშირო საქმეებს იხილავდა საკავშირო საბჭო — სინედრიონი, რომელიც ათენში იკრიბებოდა; მასში ყველა, მსხვილ თუ წვრილ წევრს თანასწორი ხმა ჰქონდა. სინედრიონის დადგენილებანი ხუთასის საბჭოს პრობულევმით გადადიოდა დასამტკიცებლად ათენის ეკლესიაში. მოკავშირეების მიერ შეტანილ თანხებს (συντάξεις) იგივე სინედრიონი განაგებდა. ამრიგად, ამ კავშირს მასში შემავალი წევრების მეტი თანასწორუფლებიანობა ახასიათებდა. მეორე კავშირის დაარსების დადგენილებაში ნათქვამი იყო: „...არც ერთ ათენელს უფლება არ აქვს შეიძინოს მამულები მოკავშირეების ტერიტორიაზე არც თავისთვის პირადად და არც სახელმწიფოსათვის, იქონიოს სახლი ან მიწის ნაკვეთი ყიდვის, იჯარის თუ სხვა რაიმე გზით. ხოლო თუ ვინმე იყიდის ან შეიძენს, ან რაიმე საშუა-

ლებით იჯარით აიღებს, მსურველს მოკავშირეთაგან შეუძლია ეს განაცხადოს საზოგადოებრივ კრებაზე, ხოლო მისი წევრები, გაჰყიდიან რა ქონებას, მის ნახევარს გამცხადებელს ვადასცემენ, მეორე ნახევარი კი მოკავშირეების საერთო სამფლობელოს უნდა შეადგენდეს. თუ ვინმე ომით წამოვა. ხმელეთზე თუ ზღვაზე კავშირში შესულთა წინააღმდეგ, ათენელებმა და მოკავშირეებმა აკრეპოლის საფრთხეში ჩაგდებულთ შეძლებისდაგვარად ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ. თუ ვინმე — იქნება იგი მთავრობის პირი, თუ კერძო ადამიანი — ისეთ წინადადებას შეიტანს ან გამოცემული აქტის წინააღმდეგ რასმე კენჭის საყრელად დასვამს, რაც, მაგ., მის რომელიმე მუხლს არღვევს, მას ჩამოერთმევა მოქალაქეობრივი უფლებები და მისი ქონების კონფისკაცია გატარდება"...[14]

მეორე საზღვაო კავშირში სამოცდაათამდე ქალაქი და კუნძული შევიდა. ამ კავშირმა მხოლოდ 23 წელი იარსება (378—355).

ათენს ამ კავშირში მხოლოდ ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა. მართალია, იგი მეთაურობდა მოკავშირეების სამხედრო ძალებს და ამას გარდა შეეძლო შეეჩერებინა სინედრიონის დადგენილებანი, მაგრამ მარტო მისგან არ იყო დამოკიდებული საკავშირო გადასახადების განაწილება. პირიქით, თუ სინედრიონი არ დაეთანხმებოდა ათენის სახალხო კრების თუ საბჭოს წინადადებებს, ათენელები ვალდებული იყვნენ მოკავშირეების ასეთ სურვილს დამორჩილებოდნენ. ამასთან ათენელებმა ხელი აიღეს აგრეთვე კლერუქიების განსახლების პოლიტიკაზე, რომელიც დიდ მღელვარებას იწვევდა წინათ პირველი საზღვაო კავშირის წევრთა შორის. ამგვარად, პირველ ხანში მაინც. ათენელები ცდილობდნენ აღარ გაემეორებინათ ის ნაბიჯები, რომლებმაც თავის დროზე დამღუპველი გავლენა იქონია მოკავშირეებთან მათი ურთიერთობის განმტკიცებაზე, და, პირიქით, ზრუნავდნენ. რაც შეიძლება, მეტად დაეახლოვებინათ საბერძნეთის დემოკრატიული სახელმწიფოები. რომელთათვისაც ოლიგარქიული სპარტის ჰეგემონია მეტად მძიმე აღმოჩნდა.

ათენელებმა ზღვაზე ნაქსოსთან დაამარცხეს სპარტელების ფლოტი და ამ გარემოებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი ატიკის კავშირის განმტკიცებასა და გაფართოებას; მას შეუერთდა კიკლადის კუნძულები, ხოლო შემდეგში კერკირა და სხვ.

იმ დროს, როდესაც სპარტა ათენთან საზღვაო ომში იყო გართული, ბეოტიაში თებემ შექმნა ძლიერი კავშირი თავისი მეთაურობით. თებეს დემოკრატიამ ახლა უკვე ფართო საგარეო პროგრამა შეიმუშავა.

თებეს დემოკრატიას მესვეურობდნენ ღრმა მეგობრობის გრძნო-

ბით დაკავშირებული პ ე ლ ო პ ი დ ა ს ი და ე პ ა მ ი ნ ო ნ დ ა ს ი. პელოპიდასი განთქმული სარდალი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. მან უახლოესი მონაწილეობა მიიღო თებეში ანტისპარტულ დემოკრატიულ გადატრიალებაში (379 წ.). 378 წლიდან იგი თითქმის უცვლელად ასრულებდა ბეოტიის კავშირის ერთი მთავარი თანამდებობის პირის — ბეოტარქის მოვალეობას. ლევკტრასთან სპარტელების განადგურებაში მას დიდი ღვაწლი მიუძღვოდა. იგი დაიღუპა 364 წელს ტირან ალექსანდრე ფერელის მეომრებთან შეტაკებაში. ეპამინონდასი ჩამომავლობით თებეს არისტოკრატიას ეკუთვნოდა, რწმენით კი უანგარო და შეურყეველი დემოკრატი იყო. მან დიდი ენერგია, სიმამაცე და შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა თებეს დემოკრატიის მოწინააღმდეგეთა ალაგმვაში, მაგრამ ბრძოლის ველზე უდროოდ დაიღუპა. პელოპიდასის და ეპამინონდასის სახელები ანტიკურ ტრადიციაში დაცულია როგორც სამშობლოსათვის თავდადებული გმირი დემოკრატების სახეები. თებეს გაძლიერებამ შეაშფოთა ათენის მმართველი წრეები და დააჩქარა მათი დაახლოება ისევ სპარტასთან. 371 წელს სპარტაში შეიკრიბა კონგრესი სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის. კონგრესს დაესწრნენ აგრეთვე სპარსეთის, დიონისე სირაკუზელისა და მაკედონიის მეფის ამინტა III-ის წარმომადგენლები. სპარტამ და ათენმა შეთანხმებას მიაღწიეს და მალე ამავე გზას დაადგნენ კონგრესის სხვა წევრებიც. სამშვიდობო ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ანტალკიდეს ზავის პრინციპები. ეს პირობები ვერ აკმაყოფილებდა თებელების დელეგატებს. ეპამინონდასმა პირდაპირ განაცხადა, რომ სამართლიანი იქნებოდა ის, რომ ლაკონიკის ქალაქებსაც მინიჭებოდა ავტონომია. ყოველ შემთხვევაში ამ კონგრესმა სპარტის ოლიგარქიის პრეტენზიებს საბერძნეთში ბატონობისას საზღვარი დაუდო. მაგრამ თებეში მომხდარმა დემოკრატიულმა გადატრიალებამ და სპარტელების რაზმის მიერ კადმეას იძულებით მიტოვებამ სპარტის სახელმწიფოს მესვეურები ძალზე გააბრაზა. მათ თებეს წინადადება მისცეს, ბეოტიის კავშირი დაეშალათ. მაგრამ ეპამინონდასმა გადაჭრილი უარით უპასუხა და განაცხადა: თუ სპარტელები ხელს აიღებენ პელოპონესში ჰეგემონიაზე, მაშინ თებეც თანახმა იქნება, დაშალოს ბეოტიის კავშირიო. თავისი ავტორიტეტის დასაცავად და კონგრესის დადგენილების სისრულეში მოსაყვანად სპარტამ ჯარები გაგზავნა ბეოტიის წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა 371 წელს ქალაქ ლევკტრას მახლობლად თესპიის მხარეში, რომლის დროსაც სპარტელები დამარცხდნენ და იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. ლევკტრასთან ბრძოლაში ეპამინონდასმა ახალი სამხედრო წყობა, ეგრეთ წოდებული ი რ ი ბ ი

ს ო ლ ი გამოიყენა და თებელი ფალანგისტები გრძელი შუბებით შეაიარაღა. ეპამინონდასის ახალი სამხედრო ორგანიზაცია სანიმუშო გახდა ძველ სამყაროში. თებეში ყოფნისას მას გაეცნო და შეითვისა მაკედონიის მომავალი მეფე ფილიპე II და ის შემდგომ საფუძვლად დაუდო მაკედონური ფალანგის ორგანიზაციას. ლეკტრასთან ბეოტიელების გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: სპარტამ დაკარგა არა მარტო უძლეველობის სახელი, არამედ მისი მეთაურობაც საბერძნეთში ძირფესვიანად შეირყა. ამ გამარჯვების შემდგომ შუა საბერძნეთის სახელმწიფოები, ათენის გამოკლებით თებეს მხარეზე გადავიდნენ და მასთან ერთად დააარსეს კავშირი, რომლის საქმეებსაც, როგორც ათენის საზღვაო კავშირში, მოკავშირეთა სინედრიონი იხილავდა თებეში. როდესაც არკადიელებმა, რომელთაც უნდოდათ ერთი მთლიანი საკავშირო სახელმწიფო შეექმნათ, დახმარებისათვის თებეს მიმართეს, თებელების ჯარი ეპამინონდასის მეთაურობით გადავიდა პელოპონესში და დაარბია ლაკონიკის მხარე. თავისი ისტორიის მანძილზე სპარტელებმა პირველად დაინახეს მტერი თავიანთი ქალაქის კედლების მახლობლად. მაგრამ ეპამინონდასმა სპარტა ვერ აიღო და გაეშურა სპარტისათვის უაღრესად საყურადღებო მხარის მესენიისაკენ, სადაც აჯანყებულმა ჰილოტებმა, ეპამინონდასის მეთაურობით დააარსეს მთლიანი მესენიის სახელმწიფო. ამრიგად, სპარტამ დაკარგა ფრიად ნაყოფიერი მხარე, რომლის მოსავალზე იყო დამყარებული მისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. ამას გარდა, თებეს გავლენის ქვეშ მოექცა არკადია, სადაც დაარსებულ იქნა ქ. მეგალოპოლისი, რომლის გარშემო გაერთიანდა მთელი ეს მხარე და ელიდა. იმავე დროს თებე ერეოდა თესალიისა და მაკედონიის საქმეებში, როცა იქ ტახტის გარშემო ბრძოლა და მღელვარება სუფევდა. სპარტის დამცირების შემდგომ თებეს მესვეურები ცდილობდნენ, შეესუსტებინათ ათენის საზღვაო ძლიერებაც, რომელიც ტ ი მ ო თ ე ს მეთაურობით შესამჩნევად იზრდებოდა. თებეს ასეთმა გაძლიერებამ შეაშფოთა ათენელები, რომლებიც სპარტის დასახმარებლად ჯარს აგზავნიან იფიკრატეს მეთაურობით; იფიკრატემ მოახერხა ეპამინონდასის გამოდევნა პელოპონესიდან, მაგრამ ისთმოსი კი ბეოტიელების ხელში დარჩა, რაც სპარტისათვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდა. ამას გარდა, თებემ შექმნა საკუთარი ფლოტი და წარგზავნა იგი აღმოსავლეთში ათენელების წინააღმდეგ. ამის შედეგი ის იყო, რომ ათენს განუდგა ზოგიერთი მოკავშირე და ატიკის მეორე საზღვაო კავშირს უკვე ერთგვარი რღვევის ნიშნები დაეტყო, მაგრამ ეპამინონდასი მალე იქნა გაწვეული თებეში, რადგან უკანასკნელის მდგომარეობა თვალ-

საჩინოდ გართულდა. თებეს მოკავშირეები პელოპონესში ერთიმეორეს დაეტაკნენ და ორ ბანაკად გაიკვნენ: ერთი უკვე სპარტას მოუწოდებდა დასახმარებლად, მეორე კი კვლავ თებეს. ზოგიერთი მათგანი დიდ შინაურ მღელვარებასაც განიცდიდა. ამასთან, თებეს გაძლიერებით შეშფოთებული ათენელები, რომლებიც წინათ თებეს მეგობობდნენ და მფარველობდნენ, ახლა უკვე სპარტელებს ემხრობიან და ეხმარებიან. ამ გარემოებამ კი საბედისწერო როლი ითამაშა თებეს კავშირის არსებობის საქმეში.

362 წელს ეპამინონდასი თებელების ჯარით კვლავ გაჩნდა პელოპონესში და მანტინეასთან სპარტელებისა და ათენელების გაერთიანებულ ძალებს შეებრძოლა. გაიმარჯვეს თებელებმა, მაგრამ გამარჯვება ძვირად დაუჯდათ: ბრძოლის ველზე დაიღუპნენ ეპამინონდასი და მრავალი თებელი. ისტორიკოს დიოდორე სიცილიელის გადმოცემით ეპამინონდასის უკანასკნელი სიტყვები იყო: „ვკვდები, მაგრამ ორ უკვდავ ქალიშვილს — ლევკტრას და მანტინეას ვტოვებ" (Diod., XV, 87). ამ ბრძოლის შემდგომ თებესათვის აშკარა გახდა, რომ მას ძალა არ შესწევს განახორციელოს ჰეგემონია საბერძნეთზე და სავსებით აიღო ხელი თავის წინანდელ პოლიტიკაზე. მალე ბეოტია კვლავ საბერძნეთის მეორეხარისხოვან მხარედ იქცა. ასე დამთავრდა თებეს ხანმოკლე ამაღლება.

არც ატიკის მეორე საზღვაო კავშირმა იარსება ხანგრძლივად. მის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბერძენთა სახელმწიფოების სპარტის ჰეგემონიისაგან განთავისუფლება; სპარტა კი ეხლა დამცირებული მოჩანდა ზღვაზე და ხმელეთზეც. და ეს მიზანი უკვე მიღწეული იყო. ამას გარდა, ათენის მმართველმა წრეებმა ისევ გამოიჩინეს მოკავშირეებისადმი მოპყრობის ძველი მეთოდები: ავიწროებდნენ მათ ნივთიერად, ზოგიერთ მათგანში კვლავ აგზავნიდნენ თავის წარმომადგენლებს გარნიზონებით, აგრეთვე კლერუქებს და სხვ. ეს გარემოება უდიდეს უკმაყოფილებას იწვევდა მოკავშირეებში. 357 წელს ათენს განუდგნენ ქიოსი, როდოსი და კოსი, რომელთაც კავშირი შეჰკრეს ურთიერთ შორის და წინათ განდგომილ ბიზანტიონთან; მათ გზას დაადგნენ შემდეგში ათენის სხვა მოკავშირეებიც. ათენი შეეცადა ბრძოლით დაებრუნებია განდგომილი მოკავშირეები და დაიწყო ეგრეთ წოდებული „მ ო კ ა ვ შ ი რ ე ე ბ ი ს ო მ ი" (358—355), მაგრამ უშედეგოდ. ომი ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ ათენს მეტად ძვირად დაუჯდა და შედეგი კი სრულებით უარყოფითი იყო. იგი იძულებული გახდა 355 წ. მოკავშირეთა ვალდებულებანი დარღვეულად გამოეცხადებინა.

იმ დროის საბერძნეთში გაბატონებული საერთო დაუძლურება

და მოქანცულობა თავის გამოხატულებას პოულობს, სხვათა შორის, პაციფიზმის საერთო აღიარებაში, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ პრეტენზიას საბერძნეთის ამა თუ იმ სახელმწიფოს გაძლიერებისას. ეკონომიურად ძალზე დასუსტებული სახელმწიფოების ყურადღებას ახლა უმთავრესად ფინანსური მდგომარეობა იპყრობს. კერძოდ, ათენში იმ დროს პირველ რიგში ფინანსური საკითხი იდგა, რომლის სასურველი სახით გადაჭრისათვის წამოყენებულ იქნა წინადადებებისა და პროექტების მთელი რიგი. ერთ ასეთ პროექტს ვხვდებით დარწმუნებული ოლიგარქოსის. ისტორიკოს ქსენოფონტეს ნაშრომში ათენის „შემოსავალთა“ შესახებ. ქსენოფონტე აღნიშნავს ატიკის ბუნებრივი პირობების მრავალ დადებით მხარეს, რომელთა გონივრული მოხმარებით მას შესაძლებლად მიაჩნია ათენელების ნივთიერი უზრუნველყოფის მოწესრიგება [15]. იგი ათენის მმართველ წრეებს ღონისძიებათა მთელ რიგს უსახავს ატიკის მეურნეობის უფრო მიზანშეწონილ ფორმებში მოწყობის მიზნით. ამას გარდა, ათენის აყვავების ერთ უმთავრეს საფუძვლად ქსენოფონტს მშვიდობიანობა მიაჩნია. რადგან მხოლოდ მშვიდობიანობის გზით შეუძლია ათენს მიიმხროს ყველა და ყოველგვარი განსაცდელის გარეშე მიაღწიოს სასურველ ჰეგემონიასო. ზავის უდიდესი დამცველი იყო იმ დროს აგრეთვე ორატორი ისოკრატე, რომელიც ზავის დამყარებას მოითხოვდა არ მარტო ქიოსელებთან, როდოსელებთან და კოსეელებთან, არამედ ყველასთან, რადგან სახელმწიფოს ბედნიერება, მისი აზრით, სამართლიანობაზეა დამყარებული და ზავს ყველაზე უფრო კარგად მივყავართ მიზნის მიღწევისაკენ[16]. ასეთი იყო, რასაკვირველია, არა მარტო ქსენოფონტეს და ისოკრატეს სულისკვეთება ზავის მიმართ, არამედ მოსახლეობის ფართო წრეების საერთო განწყობილება. ზავის მომხრე იყო აგრეთვე ევბულე, რომელიც 16 წლის განმავლობაში უდიდესი გავლენით სარგებლობდა ათენში და უმთავრეს ყურადღებას სახელმწიფო ფინანსებისა და ათენის ნივთიერი კეთილდღეობის მოწესრიგებას აპყრობდა. ამ მხრივ უფრო მნიშვნელოვანი იყო ფინანსური მმართველობის გაერთიანების საკითხი. ჯერ კიდევ ევბულემდე არსებობდა „დემოსის ხაზინადრის“ თანამდებობა, რომელიც ხალხის განკარგულებაში მყოფ თანხებს, ე. ი. სახალხო ბიუჯეტს განაგებდა. მოკავშირეებთან ომის დროს ცხადი უნდა გამხდარიყო ათენელებისათვის ბიუჯეტის ასეთი მოწესრიგებისა და გაერთიანების აუცილებლობა. ამ მიმართულებით გატარებულ იქნა კიდეც სათანადო რეფორმა: თუ ძველად სახელმწიფოში გავლენის მხრივ უპირატესი ადგილი არქონტებს ეკუთვნოდით, შემდეგ კი — სტრატეგოსებს, ახლა ყველაზე უფრო გავლენია-

ნი პირები საფინანსო მოღვაწეები გახდნენ. კერძოდ, ევბულე განაგებდა თეორიკონის სალაროს, მაგრამ მასვე ექვემდებარებოდა ფინანსების მთელი საქმე. ბიუჯეტის დაკმაყოფილების შემდგომ დარჩენილი თანხები თეორიკონის სალაროში უნდა გადასულიყო და მათი სხვა დანიშნულებისათვის მოხმარება აკრძალული იყო. ევბულეს მიაწერენ კანონს, რომელიც სიკვდილით დასჯით ემუქრებოდა ყველა იმას, ვინც გაბედავდა წინადადება შეეტანა ამ თანხების ომის საჭიროებისათვის დახარჯვის შესახებ.

ომიანობამ და ზოგიერთმა სხვა პირობამ მოქალაქეთა შორის მრავლად წარმოშვა უაღრესად გაღატაკებული ელემენტები, რომელთა ნივთიერად უზრუნველყოფას თეორიკონის საშუალებით ფიქრობდნენ და არასოდეს თეორიკონს და მის დარიგებას ისეთ სიდიდემდე არ მიუღწევია, როგორიც მან ევბულეს დროს მოიპოვა. იმ ხანაში ფართოდ იქნა გამოყენებული ის პრინციპი, რომლის მიხედვით შემოსავალთაგან გადარჩენილი ნაწილი მოქალაქეთა სრულ საკუთრებას წარმოადგენდა და რომლის ძალით ლავრეიონის მაღაროების შემოსავალი, ერთ დროს, მათ შორის ნაწილდებოდა. ევბულემ მოახერხა ათენის ფინანსების იმდენად მოწესრიგება, რომ შესაძლებელი შეიქნა მრავალი უმუშევარი ხელოსანისა და მუშის საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩაბმა. მაგრამ ვერც ამ გზით და ვერც თეორიკონის დარიგებით, რასაკვირველია, ევბულე ვერ შეაჩერებდა ათენის მოქალაქეთა გაღატაკების პროცესს, რომელსაც თავისი ღრმა ფესვები იმ დროის ათენის სამეურნეო და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ჰქონდა გადგმული.

4. ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲔᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲐᲨᲘ

როგორც ვიცით ბერძნებს აღმოსავლეთით სპარსელები ებრძოდნენ და მათზე გაბატონებას ცდილობდნენ, დასავლეთით კი, სიცილიაში, ბერძნებს კართაგელები ავიწროებდნენ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ სირაკუზის ტირანის გელონის კართაგელებზე გამარჯვების შემდგომ მათ შედარებით მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნების ადგილობრივ ქალაქებთან. მაგრამ ამ ქალაქებს შორის წარმოქმნილი ყოველგვარი უთანხმოება და არეულობა კართაგელებს კვლავ მათ წინააღმდეგ გამოლაშქრების საბაბს აძლევდა.

საქმე იმაშია, რომ სიცილიის ქალაქები ურთიერთშორის მწვავე ქიშპობასა და ღრმა შინაგან ბრძოლას განიცდიდნენ, ძირითადად იმ პროცესთან დაკავშირებით, რომელიც გლეხობის მასობრივ გაღატაკებასა და დაქვეითებაში გამოისახებოდა. აქ შედარებით უფრო დი-

დი რაოდენობით წარმოქმნილ მსხვილ მამულებში ფართოდ იყო გამოყენებული მონური შრომა, რომელიც თავისუფალ შრომას უაღრესად ზღუდავდა. გაღატაკებული და დავალიანებული გლეხობა მიწების გადანაწილებასა და დავალიანების გაუქმებას მოითხოვდა. მათ უკმაყოფილებასა და ბრძოლას უერთდებოდნენ ხელოსნები და მონები. საყურადღებოა, რომ ძველ მწერლობაში შემონახულია ცნობა ბერძნული სიცილიის მთავარი ქალაქის — სირაკუზის მონების ამბოხების შესახებ ძვ. წ. 414 წ. მიახლოებით ეს ის დროა, როცა ათენის ექსპედიციამ სიცილიაში საშინელი კატასტროფა განიცადა და ომში გადარჩენილი ათენელები ქვის სამტეხლოებში მონებად იქნენ გაგზავნილი. სირაკუზელი მონების ამბოხებას მეთაურობდა ვინმე ს ო ს ი ს ტ რ ა ტ ე[17]. აჯანყებული მონების წინააღმდეგ გაულაშქრია სირაკუზის ცნობილ სარდალს ჰ ე რ მ ო კ რ ა ტ ე ს. მაგრამ პირდაპირი შეტევით მონები ვერ დაუმარცხებია და შემდეგი ხერხისათვის მიუმართავს: სოსისტრატესთან გაუგზავნია ცხენოსნების უფროსი დაიმაქოსი, მისი მახლობელი ადამიანი, რომელსაც აჯანყებულ მონათა გადმობირება ჰქონია დავალებული. მას ამბოხებულ მონებისათვის სარდლობის სახელით უნდა ეცნობებინა, რომ მათ ყველას გაათავისუფლებენ და მისცემენ იარაღსა და სურსათს, ხოლო მათს მეთაურს სოსისტრატეს თანამმართველად გამოაცხადებენ. მონებს მოუწოდებდნენ სათათბიროდ. სოსისტრატე ენდო დაიმაქოსს და ყველაზე უფრო აქტიური თორმეტი მონის თანხლებით წარსდგა ჰერმოკრატეს წინაშე. რასაკვირველია, ყველა ისინი შეიპყრეს. ჰერმოკრატე ექვსასი ჰოპლიტით მისულა მონებთან და ფიცით აღუთქვამს, რომ მათ ვნებას არ მიაყენებს, თუ ისინი თავიანთ პატრონებს დაუბრუნდებიან. მონები დათანხმებულან, სამასი კაცის გამოკლებით, რომლებიც ათენელებთან გაქცეულან. საფიქრებელია, რომ იმ გართულებულ ვითარებაში, როდესაც ათენელებს სირაკუზისათვის ალყა ჰქონდათ შემორტყმული, სირაკუზელების მრავალრიცხოვანი მონები ქალაქში იყვნენ თავმოყრილი და, შესაძლებელია, ამით აიხსნებოდეს მათი ამბოხებულთადმი ასეთი შედარებით რბილი მოპყრობა.

ათენის ექსპედიციის კატასტროფით დამთავრების შემდგომ სირაკუზელებს განუზრახავთ პელოპონესის ომში უფრო მახლობელი მონაწილეობის მიღება და ამ მიზნით ბრძოლის ველზე წარუგზავნიათ თავიანთი ფლოტი ჰერმოკრატეს მეთაურობით. მაგრამ 410 წელს კიზიკოსთან მათი ფლოტი განადგურებულ იქნა. ამ მარცხს

და აგრეთვე სიცილიის ქალაქთა შორის ამტყდარ უთანხმოებას კვლავ მიუცია კართაგოს რესპუბლიკის მესვეურთათვის სიცილიელი ბერძნების წინააღმდეგ გამოლაშქრების საბაბი. კართაგოს რესპუბლიკა, როგორც ვიცით, ხმელთაშუაზღვისპირეთის ჰეგემონად ითვლებოდა და მთელი სიცილიის მითვისებას ლამობდა. კართაგელები გადმოვიდნენ შეტევაზე და 409 წელს მიაღწიეს სელინუნტსა და ჰიმერას; შემდგომ მათ დაიპყრეს და გაანადგურეს აკრაგანტი და გელა და წინსვლას განაგრძობდნენ.

ასეთ საგარეო ვითარებაში უხდებოდათ არსებობა სიცილიის ბერძენთა ქალაქებს და მათ შორის სირაკუზს, სადაც ჰიერონის სიკვდილის შემდგომ დემოკრატია იქნა აღდგენილი. ხანგრძლივი, თითქმის მუდმივი ომიანობის ზეგავლენით სიცილიის ბერძნულ ქალაქებში განსაკუთრებული მნიშვნელობა მოქირავნეებსა და მათ მეთაურებს ეკუთვნოდათ. ეხლაც კართაგელების ძლიერი შემოტევის გამო სირაკუზში წამყვანი როლი მოქირავნეთა რაზმების სახელგანთქმულმა სარდალმა დიონისემ (დაიბ. 431, გარ. 367) მოიპოვა. მან სირაკუზელებში ფართო პოპულარობა დაიმსახურა იმითი, რომ წარმატებით ებრძოდა კართაგელებს. მოქირავნეებს ჯამაგირი გაუდიდა და მოსახლეობის გაღარიბებულ ნაწილს მფარველობდა. მისი წინადადებით სასტიკი ზომები იქნა მიღებული ძველი რესპუბლიკური არისტოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც ნაწილობრივ მოსპეს, ნაწილობრივ გააძევეს. კონფისკაციით მათგან ჩამორთმეული მიწები სიცოცხლეულ ნაკვეთებად დაურიგდა მოქირავნეთ. ლაშქრობიდან დაბრუნების შემდგომ მან თავი ქალაქის მბრძანებლად გამოაცხადა და დიონისე პირველის სახელით სრულუფლებიან სტრატეგოსად იქნა დამტკიცებული (406—367). მის მთავარ დასაყრდენ ძალას მოქირავნეები წარმოადგენდნენ, რომელთაც ის ფართოდ ურიგებდა მიწებს, მონებსა და ინვენტარს. მან საგრძნობლად შეკვეცა სიცილიის კავშირში შემავალი ბერძნული პოლისების თვითმმართველობა. ხოლო სირაკუზი მის დროს დიდ სამხედრო სახელმწიფოდ იქცა და ბერძენთა გაერთიანების ერთ უძლიერეს ცენტრს წარმოადგენდა. სირაკუზის მოქირავნეთა შესანახად ვრცელი თანხები იყო საჭირო. ამიტომ დიონისე I განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა საფინანსო უწყებისა და სამხედრო საქმისადმი. პირველის უკეთესად მოწესრიგების მიზნით მან კართაგელებისაგან გადმოიღო გადასახადების იჯარით გადაცემის სისტემა, რომელიც მას საშუალებას ანიჭებდა, უფრო ადვილად მიეღო საჭირო სახსრები. სამხედრო საქმეში კი მან განსაკუთრებული ყურადღება სახელმწიფოს დასაცავი ციხეების

აგებას, გზების გაყვანას, ლაშქრის მომარაგების უკეთ მოწყობასა და საბრძოლო ტექნიკის გაუმჯობესებას მიაპყრო. სირაკუზი მის მმართველობაში უფრო სამხედრო მონარქიას წარმოადგენდა. მისი ენერგიის და ბრძნული პოლიტიკის წყალობით სიცილიის ბერძნებმა კართაგელების მონებად ყოფნა თავიდან აიცილეს. ომი კართაგელებთან (398—392) ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ერთ დროს მათ სირაკუზს ალყაც კი შემოარტყეს, მაგრამ 392 წელს მძიმე ომის შემდგომ დიონისემ კართაგელებთან მისთვის სასარგებლო ზავი დადო, რომლის თანახმად კართაგელები დასავლეთ სიცილიით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილის ქალაქები სირაკუზის მფლობელობაში დარჩნენ. რაკი კართაგელებთან ურთიერთობა მოაწესრიგა, დიონისემ დიდი საბერძნეთის ზოგიერთი ქალაქის დაპყრობაც განიზრახა. 389 წელს დიონისემ ქვემო იტალიის ბერძნული ქალაქების წინააღმდეგ გაილაშქრა და ელეპოროსთან იტალიელი ბერძნები სასტიკად დაამარცხა; შემდეგ კი რეგიონი და კროტონი დაიპყრო. სირაკუზის სახელმწიფო ფართო პოლიტიკურ გაერთიანებად გადაიქცა; იგი შეიცავდა სიცილიის არა მარტო დიდ ნაწილს, არამედ სამხრეთ იტალიის ნაწილსაც და მისი გავლენა ტვირენიისა და ადრიატიკის ზღვების სანაპიროებზეც ვრცელდებოდა. დიონისეს განკარგულებაში იყო დიდი ჯარი და ფლოტი. ხმელეთის საბერძნეთის პოლისებს შორის იგი შედარებით კეთილად იყო განწყობილი სპარტისადმი. ერთი სიტყვით, სიცილიის სახელმწიფო ისეთი პირველხარისხოვანი საზღვაო სახელმწიფო გახდა, რომლისთვის მეტროპოლიის ქალაქებსაც უნდა გაეწიათ ანგარიში. ამასთან ერთად ქალაქი სირაკუზი იმდენად მნიშვნელოვან ნაესადგურად იქცა, რომ მასთან ხმელეთისა ზღვის მთელი დასავლეთი ვაჭრობა იყო დაკავშირებული. მეორე მხრივ, ეს სახელმწიფო მძლავრად იზიდავდა ყოველი მხრიდან ბერძნებს და მათს ფართო განსახლებას იწვევდა სიცილიაში და საერთოდ დასავლეთში. ამას კი თავისი მნიშვნელობა ჰქონდა აქ მიწის მეურნეობის, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის.

სირაკუზის ასეთმა ეკონომიურმა და სამხედრო გაძლიერებამ დიონისე I საშუალება მისცა დიდი ბრწყინვალებით მოეწყო სასახლე და თავის კარზე მრავლად მიეწვია იმ დროის ცნობილი მწერლები, პოეტები, მხატვრები, ფილოსოფოსები და სწავლულები.

თვითონ დიონისეს თავი ისეთ ტრაგიკოსად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ დიდი ბერძენი ტრაგიკოსების სახელის თანაბრად მიაჩნდა. მას დიდად სწყინდა, თუ ვინმე მის მხატვრულ შემოქმედებაში ეჭვს

შეიტანდა. მის კარზე იმყოფებოდა ერთ დროს სახელგანთქმული ფილოსოფოსი პლატონი.

დიდად ზრუნავდა დიონისე აგრეთვე სირაკუზის ღირსშესანიშნავი შენობით შემკობასა და საერთოდ მის გამშვენიერებაზე. მოკლედ, დიონისე I ეგრეთ წოდებული ახალი დემოკრატიული ტირანიის ერთ-ერთი ფრიად ცნობილი წარმომადგენელი იყო, როგორც შინაგანი, ისე საგარეო პოლიტიკისა და კულტურული მოღვაწეობის მიხედვით.

მაგრამ მიუხედავად ასეთი გარეგანი ბრწყინვალებისა, დიონისეს სამფლობელოს აყვავება და გაძლიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. იმ სოციალურმა ძალებმა, რომელთაც დიონისეს ძალაუფლება ემყარებოდა, ვერ მოასწრეს იმდენად განმტკიცებულიყვნენ, რომ მოწინააღმდეგე წრეებს გამკლავებოდნენ. ამიტომ შინაურმა ბრძოლამ კვლავ მწვავე ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით 367 წელს, როცა დიონისე I გარდაიცვალა და უმაღლესი ხელისუფლების გარშემო დიდი დავა ატყდა. მისი მემკვიდრე იყო უფროსი ძე დიონისე II, რომელსაც ხელისუფლებას ეცილებოდნენ სიძე დიონი და მეომრების რამდენიმე მეთაური. დიონი ფილოსოფოს პლატონის მეგობარი და მოწაფე იყო. ფილოსოფოსმა პლატონმა მონაწილეობა მიიღო სირაკუზის ტირანის კარზე ატეხილ პოლიტიკურ ბრძოლაში და ამაოდ ცდილობდა თავის ჩარევით ამტყდარი მღელვარების მოწესრიგებას. ამ შინაურმა ბრძოლამ სირაკუზის სამხედრო ძლიერება შეარყია. დიონისე II-ის გაძევებისა და დიონის მოკვლის (353 წ.) შემდგომ სირაკუზში შექმნილი მღელვარებით ისარგებლეს კართაგელებმა და კვლავ გადმოვიდნენ შეტევაზე. ამ საბედისწერო მომენტში სირაკუზელებს დახმარების ხელი კორინთომ გაუწოდა. კორინთოდან დასახმარებლად მოვიდა დემოკრატიული წყობილების დამცველი და კარგი სარდალი ტ ი მ ო ლ ე ო ნ ი. მან უკან დაბრუნებული დიონისე II აიძულა მიეტოვებინა კუნძული და სირაკუზში დემოკრატიული კონსტიტუცია აღადგინა. მან კართაგელებთან ბრძოლაში კრიმისოსთან 341 წელს ბრწყინვალედ გაიმარჯვა და სირაკუზს საგარეო განსაცდელი თავიდან ააცილა. მანვე აღადგინა კართაგელების მიერ განადგურებული ქალაქები აგრიგენტი და გელა, სადაც მეტროპოლიიდან გადმოსული ბერძნები დასახლდნენ; განაახლა სიცილიის ბერძენთა ქალაქების კავშირი სირაკუზის მეთაურობით, მაგრამ მისი კორინთოში დაბრუნების შემდგომ (336 წელს) კვლავ ატყდა აქ ბერძენთა შორის დავა და უთანხმოება და არც თვით სირაკუზში დამყარებული დემოკრატია აღმოჩნდა ხანგრძლივი.

5. ღარიბებისა და მონების მოძრაობა V საუკუნის დასასრულს და IV საუკუნის პირველ ნახევარში და „უმცროსი ტირანია“

ჩვენ დავინახეთ, რომ საბერძნეთის პოლისების სხვადასხვა დაჯგუფებას შორის ჰეგემონიისათვის ფრიად ხანგრძლივი ბრძოლა წარმოებდა, რომელმაც გარკვეულ შედეგს მაინც ვერ მიაღწია და განსაზღვრულ პოლიტიკურ გაერთიანებას მტკიცე საფუძველი ვერ ჩაუყარა. ამ ასპარეზზე ერთიმეორეს თავგამოდებით ებრძოდნენ სპარტა, ათენი, თებე და სხვ., ხოლო ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ამ მხრივ თავისი მიზნის საბოლოო განხორციელება და საბერძნეთზე ჰეგემონის როლის დიდი ხნით მითვისება. ამავე დროს ამ ბრძოლამ, რომელსაც უმთავრესად თავისებური შინაური სამოქალაქო ომის ხასიათი ჰქონდა, მძიმე გავლენა იქონია საბერძნეთის პოლისების სამეურნეო და საზოგადოებრივ ვითარებაზე: მან, სხვა პირობებთან ერთად, ხელი შეუწყო საბერძნეთის სამეურნეო განვითარების შეფერხებას, კულტურულ დაქვეითებასა და ღრმა სულიერი მოქანცულობის გავრცელებას. ამასთან ერთად მოსახლეობის ფართო წრეების გაღატაკებასთან დაკავშირებით უფრო ღრმა და მწვავე ხასიათს იღებს შინაგანი საზოგადოებრივი ბრძოლა. იმ დროის წყაროები ფართოდ გადმოგვცემენ ბერძნულ პოლისებში წარმოქმნილ მწვავე ბრძოლის ცნობებს, რომელიც მიმდინარეობდა მდიდრებსა და გაღატაკებულ მასებს შორის იმ ეპოქაში. ისტორიკოს ქსენოფონტეს სოკრატესა და მისი ერთი მოწაფის საყურადღებო საუბარი აქვს გადმოცემული: „შენ იცი, რა არის დემოსი? — ვგონებ, რომ ვიცი. —მაშ, რა არის დემოსი? — დემოსი ეს ღარიბ-ღატაკებია“.[18] იმ საზოგადოებრივი პირობების ზეგავლენით, რომელთაც ჩვენ უკვე გავეცანით, ბერძნულ პოლისებში მოსახლეობის ფართო ნაწილის პაუპერიზაცია შეუჩერებლივ მიმდინარეობდა და მწვავე ბრძოლას იწვევდა თვით მოქალაქეთა წრეში. ეს ბრძოლა მეტად ტლანქ, შეუბრალებელსა და ზოგჯერ გამხეცებულ ფორმას იღებდა, არისტოტელეს ცნობით ოლიგარქოსები ბევრ ადგილას ფიცს იღებდნენ: ვფიცავ, ხალხის მუდმივი მტერი ვიქნები და შეძლებისდაგვარად მას მავნებლურ რჩევებს მივცემო (Polit., VIII, 7, 19, 1310 a). ათენში ოლიგარქოსებს ცნობილი კრიტიასისა და მისი მეგობრების ძეგლზე ასეთი წარწერა მოუთავსებიათ: „ეს საფლავის ძეგლია იმ მამაცი ადამიანებისა, რომლებიც ათენში მოკლე დროის განმავლობაში ებრძოდნენ წყეულ დემოსს“[19].

როგორც ვიცით, ათენში შენახვა თავისუფალი მოსახლეობის გაღატაკებული ნაწილისა, რომელიც აჩქარებული ტემპით იზრდე-

ბოდა, ფრიად მძიმე ტვირთად აწვა საბელმწიფო ბიუჯეტს. ისტორიკოს ქსენოფონტეს გადმოცემული აქვს ვინმე ქარმიდეს საყურადღებო მსჯელობა, რაზეც ვრცელი საუბარი უკვე გვქონდა და როგორც ვიცით იგი მდიდარი ყოფილა, მაგრამ გაღატაკებულა: „როცა მდიდარი ვიყავიო. ამბობს იგი, მეშინოდა, ვისმე ჩემი სახლის კედელი არ შემოენგრია, ფული არ წაეღო და ჩემთვისაც რაიმე ვნება არ მოეყენებინა; სიკოფანტებს მე ვეფერებოდი, რადგან ვიცოდი, რომ მათგან მე უფრო ჩავვარდებოდი განსაცდელში, ვიდრე ისინი ჩემგან. დასასრულ, მე მუდამ მევალებოდა, გამეკეთებინა ქალაქისათვის ესა თუ ის, ათენიდან წასვლის ნება კი არ მქონდა, ახლა კი, როცა საზღვარგარეთელი მამულები ჩამომართვეს, ატიკაში კი მე არაფერს ეღებულობ და საოჯახო ქონება სავსებით გამიყიდეს, მე დამშვიდებულად მძინავს, ქალაქის ნდობითაც ვსარგებლობ და მეტად აღარც ვინმე მემუქრება, პირიქით, მე ვემუქრები სხვებს. მე თავისუფალი ვარ, შემიძლია წავიდე და დავბრუნდე; მდიდრები ჩემს წინაშე დგებიან თავიანთი ადგილებიდან და ქუჩაში მე გზას მითმობენ ახლა მე ნამდვილი წარჩინებული ვარ, წინათ კი მონა ვიყავი; მაშინ მე ხალხის სასარგებლოდ გადასახადებს ვიხდიდი და ახლა ქალაქი მაძლევს ჯამაგირს და მინახავს. როცა მდიდარი ვიყავიო, მე მკიცხავდნენ თითქმის იმისათვისაც, რომ ვიცნობდი სოკრატეს, ეხლა კი, როცა მე ღარიბი შევიქენი, არავის ამასთან საქმე არ აქვს, დასასრულ, როცა მე ყველაფერი მრავლად მქონდა, მე მუდამ ეზარალდებოდი ხან ქალაქისაგან, ხან ბედისაგან, მაგრამ ახლა არაფერს ვკარგავ, ვინაიდან დასაკარგი აღარაფერი მაქვს და მე მუდამ ვიმედოვნებ, რომ რასმე მივიღებ.

ჩვენ ვიცით, რომ ქსენოფონტე ათენის დემოკრატიული წყობილების მოწინააღმდეგე და სპარტის სოციალურ-პოლიტიკური წყობის მომხრე იყო, და შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მოტანილ სიტყვებში გადაჭარბებას აქვს ადგილი. მაგრამ ყველაფერი ის, რაც ჩვენ მეხუთე საუკუნის დასასრულისა და მეოთხე საუკუნის ათენის შესახებ ვიცით, გვარწმუნებს, რომ მოცემული სურათი ძირითადად სინამდვილეს არ სცილდება.

მიუხედავად საწინააღმდეგო ზომებისა, სპარტის მეურნეობაშიც თვალსაჩინოდ შეიჭრა სავაჭრო კაპიტალი და განვითარდა მიწის კონცენტრაცია, სპარტის ნავარქოს ლიასანდრეს, პლუტარქეს გადმოცემით (Lysand. II), თავისი სამშობლო გაუმდიდრებია, თუმცა ამასთან ერთად სპარტელებში გაუვრცელებია სიმდიდრის სიხარბე. და თურმე აღარავის აკვირვებდა ძველი სპარტის სიძულვილი სიმდიდრისადმიო. სპარტაში მრავლად წარმოიშვა გაღატაკებული სპარ-

ტიატი, რომლებიც უკვე მტრულად უყურებდნენ არსებულ წყობილებას. როგორც ვიცით, გაღატაკებულმა სპარტიატმა კინადონემ ამბოხებისაკენ მოუწოდა ყველა უკმაყოფილო წრეებს — პერიეკებს, ჰილოტებსა და ნეოდამოდებს (გაგზატებულთ) და 399 წელს მოაწყო აჯანყება, რომელიც დამარცხებით დამთავრდა, ყველა შეთქმული სიკვდილით დასაჯეს.

კ ო რ ი ნ თ ო შ ი დემოკრატიულ და ოლიგარქიულ პარტიებს შორის ურთიერთობამ IV საუკუნის დასაწყისში უკიდურეს სიმძაფრეს მიაღწია. 392 წელს ერთ-ერთი დღესასწაულის დროს, როდესაც ხალხი მრავლად იყო თავმოყრილი საბაზრო მოედანზე და თეატრში, შეიარაღებული დემოკრატები მიცემული ნიშნის მისედვით თავს დაესხნენ თავის მოწინააღმდეგეთ და ამოხოცეს, „ზოგი ნაცნობთა წრეში ყოფნისას, სხვები თეატრში. ზოგიც იმ დროს. როდესაც შეჯიბრების მსაჯთა შორის ისხდნენ". ისტორიკოსის სიტყვით, ისინიც კი ჯერ დაინდეს, ვინც თავი ღმერთების ქანდაკებასა და საკურთხეველს შეაფარა (Xenophon., Hellen., IV, 2 შმდ.).

არანაკლებ დაუნდობელსა და სასტიკ ბრძოლას ჰქონდა ადგილი ა რ გ ო ს შ ი 370 წელს. საზოგადოების დაჩაგრულ ნაწილს აჯანყება მოუწყვია შეძლებული პირების წინააღმდეგ და ჯოხებით მოუკლავთ 1500 კაცი. ეს მოძრაობა „სკიტალისმოსის" სახელით არის ცნობილი.

ამ შემთხვევით აღშფოთებული ორატორი ისოკრატე ამბობს: „არგოსის ხალხი თავისთვის სიამოვნებას ჰქმნის იმით, რომ მდიდარ პირებს ხოცავს" (Philipp., §52). ხოლო იმ დროის პელოპონესის საერთო შინაგანი მდგომარეობის შესახებ იგი აღნიშნავს: „მტერის უფრო ნაკლებად ეშინიათ, ვიდრე საკუთარი თანამოქალაქისა. მდიდრებისათვის უფრო მისაღებია ზღვაში გადაყარონ თავიანთი ქონება, ვიდრე იგი ღარიბებს გადასცენ; ღარიბებისათვის კი იმაზე უფრო სასიამოვნო არა არის რა, ვიდრე მდიდრების გაძარცვა. მსხვერპლს აღარ სწირავენ, საკურთხეველებთანაც კი ადამიანები ერთიმეორეს კლავენ. ზოგიერთ ქალაქს ახლა უფრო მეტი გაძევებულ-გაქცეული ჰყავს, ვიდრე წინათ მთელ პელოპონესსო" (Archidam., § 67. შმდ.).[28]

სირაკუზში მონების აჯანყებას 414 წელს სოსისტრატეს მეთაურობით ზემოთ უკვე გავეცანით და მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ერთი სიტყვით, IV საუკუნის პირველ ნახევარში საბერძნეთის სხვადასხვა პოლისებში ქონებრივმა უთანასწორობამ და ამ ნიადაგ-

ზე წარმოშობილმა დაუნდობელმა შინაგანმა ბრძოლამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. ფილოსოფოსი პლატონი შენიშნავს, რომ ყოველ სახელმწიფოში ორი მოპირდაპირე ბანაკი არსებობს — ბანაკი ღარიბებისა და ბანაკი მდიდრებისაო (Rep., 422 e). ხოლო არისტოტელე დემაგოგებს უსაყვედურებს, რომ ისინი მტრობენ მდიდრებს და სახელმწიფოს მუდამ ორ ნაწილად ყოფენ (Polit., VIII, 7, 19, 1310 a).

კლასობრივი ბრძოლის ღრმა გაპწვავების ნიადაგზე საბერძნეთის ზოგიერთ პოლისში ეგრეთ წოდებული ახალი დემოკრატიული ტირანია წარმოიშვა. შედარებით უფრო მტკიცე იყო ჩვენთვის ცნობილი დიონისე I ტირანია სირაკუზში. როგორც ვიცით, იგი წარმოიშვა სიცილიელი ბერძნების კართაგოს წინააღმდეგ ცხარე ბრძოლის პროცესში და დიონისემ 405 წელს, ხელში ჩაიგდო უმაღლესი ძალაუფლება სახელმწიფოში (στρατηγὸς αὐτοκράτωρ). თავის მოქმედებაში იგი ემყარებოდა მოქირავნე მეომრებსა და საზოგადოების უღარიბეს ნაწილს და ამიტომაც მისი სოციალური პოლიტიკა ამ წრეების ინტერესებისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ იყო მიპყრობილი. უკვე იყო ნათქვამი, რომ ოლიგარქოსებისაგან კონფისკაციით ჩამორთმეული მიწა, სახლები და მოძრავი ქონება მან დაურიგა მეომრებსა და უღარიბეს მოქალაქეთ, რომელთა რიცხვში მრავალი მონა შეიყვანა. შეძლებულთა ქალიშვილები იძულებული გახადეს, ამ ახალ მოქალაქეებს შეუღლებოდნენ[21].

კორინთოში ღარიბებსა და მდიდრებს შორის ხანგრძლივად მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რის შედეგად 367 წელს დამყარდა ტიმოფანეს დემოკრატიული ტირანია; იგიც მეომრებს და შეიარაღებულ დაბალ ხალხს ემყარებოდა; მაგრამ მალე იქნა მოკლული მისივე ძმის, ჩვენთვის უკვე ცნობილ დემოკრატ ტიმოლეონის მიერ მოწყობილი შეთქმულების დროს. ასეთივე მნიშვნელოვანი ხასიათისა იყო ევფრონის ტირანია სიკიონში. 367 წელს სიკიონში, სადაც ოლიგარქიული წყობილება სუფევდა, ევფრონმა, მოქირავნეებზე დაყრდნობით, დემოკრატიული წყობილება დაამყარა. მართალია, ის თავის ხუთ მომხრე პირთან ერთად სტრატეგოსად იქნა არჩეული, მაგრამ მალე ისეთ მდგომარეობას მიაღწია, რომ ერთპიროვნულად განაგებდა სიკიონს. საჭირო სახსრებს ის სახელმწიფო და სატაძრო ხაზინებიდან და მდიდარი პირების კონფისკაციაქმნილი ქონებიდან იღებდა. მრავალ მონას მან მოქალაქეობრივი უფლებები მიანიჭა. მის წინააღმდეგ წარმოქმნილმა ბრძოლამ ის აიძულა თებეში გაქცეულიყო, სადაც იგი მოკლეს[22].

სხვა მაგალითებზე აღარ შევჩერდებით და გადავალთ კუნძულებსა და მცირე აზიის სანაპიროებზე. აქ, როგორც ვიცით, დემოკრატიული წყობილება ძალით იქნა დამხობილი და ლისანდრემ თავისი დეკარქიები დააარსა. ამას თან მოჰყვა ოლიგარქიული პრინციპების იძულებითი გაბატონება დემოკრატიულად განწყობილ ქალაქებში. სხვა გარემოებასთან ერთად ეს ფაქტი დიდ შინაგან მღელვარებას იწვევდა და ქმნიდა ნიადაგს საზოგადოების მოპირისპირე ნაწილებს შორის შეიარაღებული შეტაკებისათვის. ამ მხრივ მდგომარეობას ართულებდა აგრეთვე ისიც, რომ ამავე საუკუნეში სპარსეთის პოლიტიკის გავლენა აქ კვლავ ინტენსიური შეიქნა.

უკვე 403 წელს ბ ი ზ ა ნ ტ ი ო ნ შ ი მოკლე დროით ტირანი გახდა სპარტის მეომრების სარდალი და ჰარმოსტი კ ლ ე ა რ ქ ე, რომელიც, როგორც ვიცით, შემდეგში კიროს უმცროსის ექსპედიციაში ბერძენ მხედრებს მეთაურობდა და სხვებთან ერთად მოკლეს სპარსელებმა კუნაქსთან ბრძოლაში. ბიზანტიონშიც მძიმე შინაურ ბრძოლას თან სდევდა გაბატონებული წრეების ამოხოცვა და მდიდარი პირების ქონების კონფისკაცია.

ასეთივე სურათი განმეორდა მახლობელ პ ო ნ ტ ო ს ჰ ე რ ა კ ლ ე ა შ ი, სადაც 365 წელს დემოკრატიული „პარტიის“ მეთაურმა, პლატონისა და ისოკრატეს მოწაფემ, კ ლ ე ა რ ქ ე მ ისარგებლა შინაგანი ღრმა სოციალური ბრძოლით და საფუძველი ჩაუყარა ტირანიას, რომელიც მისი ნაძალადევი სიკვდილის შემდეგაც იქნა შენარჩუნებული.

მსგავს მოვლენებს ვხედავთ საბერძნეთის სხვა ნაწილებშიც და ქვემო იტალიის ბერძენთა ცხოვრებაშიც, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით, რადგან ვფიქრობთ, ნათქვამიც საკმარისია ამ საყურადღებო ბრძოლის ზოგადი გათვალისწინებისათვის, ამრიგად, IV საუკუნეში საბერძნეთის პოლისების შეძლებული წრეები მუდმივ შიშში იმყოფებოდნენ ღარიბთა წრეების მხრივ ყოველ მომენტში მოსალოდნელ სასტიკ აჯანყებათა გამო და ამ მოვლენას არა კერძო და შემთხვევითი, არამედ საერთო და შედარებით ღრმა საფუძველი ჰქონდა.

მოკლედ, „სოციალური ბრძოლა აღწევს თითქმის სპარტელების სამხედრო ბანაკის მსგავს სახელმწიფოშიც. ასეთივე ბრძოლა წარმოებდა ათენში და მსხვილსა და წვრილ სახელმწიფოებში. ყველგან ვხედავთ ღრმა კლასობრივ დიფერენციაციას და შეტაკებას შეძლებულთა და ღარიბთა შორის. ყველა სახელმწიფოში მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლა, რომელიც ხშირად მეტად მკაცრ ფორმებს იღებს და ზოგჯერ დამარცხებულთა თითქმის ნაწილობრივი ამოხო-

ცვით, თუ მონებად გაყიდვით მთავრდება. ასეთი კლასობრივი ბრძოლა, რომელიც გართულებული იყო საერთაშორისო შეტაკებებით, სრულებით ვერ ჰქმნიდა უზრუნველყოფას პიროვნებისა და ქონებისას...[23]" არისტოფანეს კომედიაში „ქალები სახალხო კრებაზე", რომელიც 392 წელს დაიდგა, კარგადაა გადმოცემული ის ცხარე ბრძოლა, რომელსაც იმ დროს ათენის ღარიბები ვალების გაუქმებისა და მიწების გადანაწილების გარშემო აწარმოებდნენ. ფილოსოფოსი პლატონი კი (Rep., 555 d) აღნიშნავს იმ დიდ სიძულვილს მდიდრების მიმართ, რომლითაც შეპყრობილი ყოფილან გაღატაკებულები, ვალებით დატვირთულები და პატივაყრილები, რომელნიც აჯანყების მოწყობას ეპირებოდნენ.

ღარიბების ბრძოლასთან დაკავშირებით ზოგადად მაინც უნდა გავითვალისწინოთ მ ო ნ ა თ ა ა მ ბ ო ხ ე ბ ა ნ ი. სამწუხაროდ, ამ ეპოქის მონათა მოძრაობა ჯერ კიდევ ვერ არის ჯეროვნად გაშუქებული და ცნობებიც მის შესახებ მცირეა. ჩვენ დავინახეთ, რომ იმ პოლისებში, სადაც ძველი წყაროების მიხედვით მონების უფრო დიდი რიცხვი იყო თავმოყრილი, V საუკუნეში მონების ისეთ ამბოხებს ჰქონდა ადგილი, რომლებიც ამ სახელმწიფოების არსებობასაც კი ემუქრებოდნენ.

უკვე იყო ნათქვამი, რომ მონების პროტესტის ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას იმ სახელმწიფოდან გაქცევა წარმოადგენდა სპარტის მეომრების სარდალი და ჰარმოსტი კ ლ ე ა რ ქ ე, რომონებს δραπέται (დრაპეტები) ეწოდებოდათ. გარბოდნენ მონები ბატონებისაგან როგორც ერთეულებად, ისე დიდ ჯგუფებად, განსაკუთრებით როცა სახელმწიფო ეგანსაცდელში იმყოფებოდა. გაქცეულ მონებს სხვადასხვა საშუალებით იჭერდნენ. ჩვეულებრივად თვითონ მონათმფლობელები იჩენდნენ ამ მხრივ ინიციატივას. გაქცეული მონის დაბრუნებას ბერძნები აღნიშნავდნენ სიტყვით σώζειν (სოძეინ), რაც „ხსნას" ნიშნავს, რასაკვირველია, არა მონებისას, არამედ მათი ბატონებისას, რომელთაც მონა საქონელსავით უბრუნდებოდათ. გაქცეული მონის მოყვანისათვის სპეციალურად დაწესებულ ფულს ἀναγώγιον (ანაგოგიონი) ეწოდებოდა. ხოლო იმ პირებს, რომლებიც გაქცეული მონების დაჭერას მისდევდნენ, ბერძნები δραπεταγωγοί-ს (დრაპეტა გოგოი) და რომაელები fugitivarii-ს უწოდებდნენ. მონების გაქცევა დიდი რაოდენობით ანტიკური სახელმწიფოებისათვის მეტად მძიმე იყო და ამიტომ მის აღსაკვეთად ყოველ ღონეს ხმარობდნენ. ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ პოლისში გაქცეული მონის თავშესაფარს ტაძრები წარმოადგენდნენ. საბერძნეთში მონების

ἀσυλία (ასილია) საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ევრიპიდეს ერთ კომედიაში ნათქვამია: „ნადირს თავშესაფარი კლდეში აქვს, მონას ღმერთების საკურთხეველში“. ბერძნების წარმოდგენით ღმერთების საკურთხეველი ის ადგილი იყო, სადაც მონა ღვენისა და ჩაგვრისაგან ისვენებდა. სინამდვილეში, რასაკვირველია, ასეთი წარმოდგენა ხშირად საწინააღმდეგო ხასიათს ღებულობდა. შედარებით უფრო გარკვეული იყო გაქცეული მონის თავშესაფარის პირობები ცნობილ გორტინის წარწერაში: აკრძალულია თავშესაფარში მყოფი მონის გაყიდვა, აკრძალულია აგრეთვე მისი გაყიდვა გაქცევიდან ერთი წლის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ მონები სხვა ქალაქში გაიქცეოდნენ, იქ მათ ისეთი პირები ეძებდნენ და იპერდნენ, რომლებიც იმ ქალაქთან იყვნენ დაკავშირებული, საიდანაც ისინი გაიქცნენ. IV საუკუნეს მიეკუთვნება ერთი ფრაგმენტირებული წარწერა, რომელიც ვინმე ქიოსელი მოქალაქის პატივსაცემ დეკრეტს შეიცავს. მას ათენის წინაშე ის დამსახურება მიუძღოდა, რომ იპერდა ათენიდან გაქცეულ მონებს და უსასყიდლოდ უბრუნებდა პატრონებს. ეს და სხვა მსგავსი დოკუმენტი გვარწმუნებს, რომ მონების დაბრუნებას არა კერძო პირების მიმართ გაწეულ დახმარებად თვლიდნენ, არამედ მთელი ქალაქის წინაშე დამსახურებად. ზემოთ აღნიშნული იყო მონების მასობრივი განთავისუფლების რამდენიმე მაგალითი თავისუფალი მოსახლეობის შიგნით ამტყდარი საზოგადოებრივი ბრძოლის დროს; ორივე მებრძოლი „პარტია“ ცდილობდა თავისი რიგები ვაედიდებია გაანბატებული მონებით. იყო ისეთი შემთხვევებიც, როცა მონათმფლობელები მტრის შემოსევის გამო იძულებული ხდებოდნენ, გაეთავისუფლებინათ მონები და თავიანთი ჯარები გაეძლიერებინათ. ასეთი მაგალითებიც იყო უკვე თავის ადგილას მოსსენებული.

თავის მხრივ მონები სარგებლობდნენ იმ სახელმწიფოს მძიმე სამხედრო მდგომარეობით, რომელშიც ცხოვრობდნენ, და მტრის მიერ განთავისუფლების აღთქმას მის მხარეზე გადასვლით უპასუხებდნენ. ასე, მაგ., სიცილიაში 414 წელს გაიქცნენ ათენის ფლოტის მონა მენიჩბეები და ათენელებს საზღვაო ოპერაციების გაგრძელების საშუალება მოუსპეს. უფრო დიდი ზარალი მიაყენა ათენს 20 ათასი მონის (რომელთა უმრავლესობას ხელოსნები წარმოადგენდნენ) 413 წელს სპარტელების მიერ დაპყრობილ დეკელეაში გაქცევამ. როგორც თუკიდიდე (Thuc., VII, 27, 5), ისე ქსენოფონტე (Xenophon., de vectig., IV, 26) ამ შემთხვევას ათენისათვის დიდ ეკონომიურ ზარალად ახასიათებენ. მონების გაქცევით მიყენებული ზარალი, იმდენად სერიოზული ყოფილა, რომ ბერძნული პო-

ლისები იძულებული გამხდარან ზოგადი თუ სპეციალური ხელშეკრულებებით აეკრძალათ ერთი მხარის მიერ მეორე მხარიდან გამოქცეული მონების მიღება. მონების გაქცევა და მტრის მხარეზე გადასვლა მონათმფლობელური სისტემის პირობებში კლასობრივი ბრძოლის ერთ აქტიურ ფორმას წარმოადგენდა[24].

მაგრამ ბრძოლის ყველაზე უფრო პირდაპირი ფორმა მონების ამბოხებები იყო, რომელთაგან ზოგიერთ განსაკუთრებით დამახასიათებელ მომენტს სხვა ადგილას უკვე შევეხეთ და მათზე უკვე აღარ შევჩერდებით.

აღსანიშნავია, რომ მონათმფლობელური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში მონები და ღარიბები ზოგჯერ გაერთიანებას ახერხებდნენ. ასე, მაგ., როცა პლატეაში პოლიტიკურ „პარტიებს“ შორის მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა, როგორც დიოდორე სიცილიელი გვაცნობებს (XIII, 41), მონები დემოკრატების მხარეზე იბრძოდნენ. კერკირაში 427 წელს ამტყდარი დიდი საზოგადოებრივი მღელვარების დროს არისტოკრატებიც და დემოკრატებიც მონებს თავისუფლებას ჰპირდებოდნენ და თავის მხარეზე მოუწოდებდნენ; თუკიდიდეს ცნობით (III, 73), მონების უმრავლესობა დემოკრატიულ პარტიას მიმხრობია. ჩვენთვის უკვე ცნობილი გაღატაკებული სპარტიატი, კინადონე თავის განზრახვის შესრულებაში, რომელიც სპარტის საზოგადოებრივი სტრუქტურის შეცვლას გულისხმობდა, ძირითად დასაყრდენ ძალას ჰილოტებში ხედავდა.

ასეთ პირობებში გაბატონებული მონათმფლობელური წრეების საქმიანობა და მისწრაფება იქით იყო მიპყრობილი, რომ შეექმნათ ისეთი სახელმწიფო წყობილება, რომელშიც ძლიერი ხელისუფლება მათი ქონებრივი და პოლიტიკური პრივილეგიების დაცვას შეძლებდა და ერთხელ და სამუდამოდ ლაგამს ამოდებდა მუდამ მოუსვენარ ოხლოკრატიასა და მონებს. ეს მთავარი მომენტი განსაზღვრავდა მონათმფლობელთა კლასის არსებული წყობილების შეცვლისა და ახალი ფართო და ძლიერი ძალაუფლების დამყარების ტენდენციებს. მათს წრეში თავი იჩინა მონარქიულმა მიმართულებამ, რომლის მიხედვით მონარქია ისეთ წყობილებად ჰქონდათ წარმოდგენილი, რომელშიც ხალხის ფართო მასები და, რასაკვირველია, პირველ რიგში მონები სასტიკად იქნებოდნენ ალაგმული.

ამ წრეების სულისკვეთების გამომხატველი პუბლიცისტ-ორატორი ისოკრატე ამ მხრივ თავის იდეალს ჯერ იასონ ფერელში ხედავდა, ხოლო მისი მოკვლის შემდგომ სირაკუზის ტირან დიონისე I-ში, ბოლოს ფილიპე მაკედონელში.

თავი მეათე

საბერძნეთი და მაკედონია

1. მაკედონია ფილიპე II (359—336) გამეფებამდე; ფილიპეს მეფობა და მოღვაწეობა

მაკედონია მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი იყოფა ორ ნაწილად: ზემო და ქვემო მაკედონიად. ქვემო მაკედონია ბარია, ზემო კი — მთიანი ზსარე. მაკედონიის ბუნებრივი პირობები ხელშემწყობი იყო მიწის მეურნეობისა და მესაქონლეობისათვის, განსაკუთრებით მეცხენეობისათვის. მაკედონიაში ადრე განვითარებულა სამთამადნო საქმე. მდიდარი იყო მაკედონია მთამადნეულით და სტრიმონის რაიონში ოქროს საბადოებით, აგრეთვე ტყით, რომლის ნაწარმები ექსპორტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. მართალია, ძველი ბერძნები თავის ჩრდილოეთელ მეზობლებს საერთოდ ბარბაროსებად თვლიდნენ, მაგრამ ისტორიკოსები ჰეროდოტე და თუკიდიდე, ერთი მხრივ მაკედონელებს ბარბაროსებს უწოდებდნენ, ხოლო მეორე მხრივ, მაკედონიის სამეფო გვარის ბერძნულ წარმოშობაზე მიუთითებდნენ, უდავოა, რომ მაკედონელებში ზოგიერთი ბერძნული ტომი შედიოდა და მაკედონიის ისტორიაში მათ განსაკუთრებული როლი ითამაშეს. ხოლო სინამდვილესთან უფრო ახლოს ის მოსაზრება უნდა იყოს, რომ მაკედონიის ძველ მოსახლეობას ეთნობრივი სხვადასხვაობა ახასიათებდა. შესაძლოა, მაკედონიაში გადმოსული ბერძნების ნაწილი თრაკიული და ილირიული წარმოშობის ადგილობრივ ტომებს შეერია, მაგრამ საერთოდ მაინც ბერძნული ელემენტი სჭარბობდა და მაკედონელი ბერძნები ძველთაგან ზოგადბერძნული კულტურისადმი ისეთ მიდრეკილებას იჩენდნენ, რომელმაც ხელი შეუწყო მაკედონელების ჩქარ ელინიზაციას ფილიპესა და ალექსანდრეს ეპოქაში.

ვიდრე მაკედონელ ტომთა ისტორიას შეეხებოდეთ. საჭიროა მოვიგონოთ, თუ რა წყაროებია ჩვენს განკარგულებაში მისი შორეუ-

ლი წარსულის გასათვალისწინებლად. არქეოლოგიური მონაცემების გარდა, ჩვენს განკარგულებაშია შედარებით მოკლე განხილვა მაკედონიის ისტორიისა თუკიდიდეს ცნობილ შრომაში (II, 99, შმდ.). საკუთრივ ფილიპეს ეპოქას უფრო ვრცლად ეხებიან ძვ. წ. IV საუკუნის ისტორიკოსები ეფორე კვიმელი და თეოპომპე ქიოსელი. ეფორეს უნივერსალური შრომა „საყოველთაო ისტორია" (Ἱστορία κοινῶν πράξεων), იწყებოდა „ჰერაკლიდების დაბრუნებიდან", ე. ი. დორიელთა პელოპონესზე შესევიდან და მთავრდებოდა 340 წლით, როცა ფილიპე მაკედონელმა პერინთოს ალყა შემოარტყა. მის შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ სხვებთან ერთად მისი შინაარსით უსარგებლია დიოდორე სიცილიელს. ეფორეს თანამედროვე თეოპომპეს მთავარ შრომას წარმოადგენს „ფილიპეს ისტორია" (Φιλιππικά). მართალია, მისგან მხოლოდ მცირე ნაწყვეტებია შემონახული, მაგრამ მასზეა დამყარებული ცეზარისა და ავგუსტის დროის მწერლის დიოდორე სიცილიელის „ისტორიული ბიბლიოთეკის" მთელი XVI წიგნი, რომელშიც ფილიპე მაკედონელის ისტორიაა მოთხრობილი. მიუხედავად იმისა, რომ დიოდორეს ცნობებს საკმაოდ ვრცელი ნაკლი და ფილიპესადმი ცხადი პანეგირიკული ტონი ახასიათებს, ის ჩვენთვის მაინც ძვირფას წყაროს წარმოადგენს. თეოპომპე წყაროდ გამოუყენებია ციცერონის თანამედროვე სწავლულ გრამატიკოსს დიდიმოსს დემოსთენეს „ფილიპიკების" ისტორიულ კომენტარში, რომელიც 340 წლის ამბებს ეხება; მისი ნაწყვეტები ეგვიპტის პაპირუსებში იქნა აღმოჩენილი. თეოპომპეთი უსარგებლიათ აგრეთვე პლუტარქეს დემოსთენეს ბიოგრაფიაში და ავგუსტის დროის ისტორიკოს პომპეუს ტროგუსს მის მიერ შედგენილ ფილიპეს ისტორიაში (Historiae Philippicae). ტროგუსის ამ შრომამ ჩვენამდე იმ მოკლე გადმოცემის სახით (ეპიტომა) მოაღწია, რომელიც ჩვ. წ. III საუკუნეში იუსტინეს შეუსრულებია. იმ დროის ბერძენთა პოლისების შინაგანი და საგარეო მდგომარეობის ფრიად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ცნობილი ათენელი ორატორების — ისოკრატეს (436—338), ესქინეს (390—323) და დემოსთენეს (384—322) სიტყვები.

VII—VI საუკუნის მაკედონიის საზოგადოებრივ წყობილებაში მრავლად მოჩანს ისეთი ხაზები, რომლებიც ჰომეროსის საზოგადოების სოციალურ წყობას მოგვაგონებენ[1]. VI საუკუნეში მაკედონია დამოუკიდებელ ცალკეულ მხარეებს წარმოადგენდა და თითოეულ მათგანს ტომის წინამძღოლი მეთაურობდა. თითოეული ასეთი „ბა-

სილევსი" ერთდროულად სარდალიც იყო. მსაჯულიც და უმაღლესი ქურუმიც და მის გვერდით თავისებური სამხედრო — გვაროვნული არისტოკრატია არსებობდა. მოსახლეობა უმთავრესად ისეთი თავისუფალი გლეხებისაგან შედგებოდა, რომლებიც მიწის წვრილ ნაკვეთებს ფლობდნენ; დიდკაცობა კი, პირიქით, მიწის დიდი ფართობების მფლობელები იყვნენ. იარაღის მატარებელი მაკედონელები მონაწილეობდნენ სახალხო კრებებში.

მმართველ გვარებში თანდათან გაძლიერებულა და მაკედონიის მნიშვნელოვან ნაწილზე გაბატონებულა არგეადების გვარი, რომელსაც შემდეგ საკუთარი სამეფო დინასტიაც კი შეუქმნია.

მაშინ, როდესაც ბერძნები საბედისწერო ომს აწარმოებდნენ სპარსელების წინააღმდეგ, მაკედონიის მეფე ამინტა I იძულებული ყოფილა ეცნო სპარსეთისაგან დამოკიდებულება. მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი მდგომარეობა მალე შეცვლილა. არგეადების გვარის უფრო გამოჩენილ წარმომადგენლად ითვლება ალექსანდრე I (498—454) იგი ყოველგვარად ცდილობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებასა და თავისი სამფლობელოს გაფართოებას. ამ მიზნით მას დაუმორჩილებია რამდენიმე, წინათ დამოუკიდებელი მხარე, მათ შორის ისეთებიც, რომელთა მმართველები საკუთარ ფულსაც კი სჭრიდნენ. მართალია, მან განაგრძო კავშირი სპარსეთთან და ზოგიერთი მკვლევარი მას ქსერქსეს ვასალადაც კი სთვლის, მაგრამ თუ ჰეროდოტეს დავუჯერებთ, მისი კეთილგანწყობილი ურთიერთობა სპარსეთის მეფესთან მხოლოდ 480 წლამდე გაგრძელებულა[1]. სამაგიეროდ იგი დიდ მონაწილეობას იღებდა ბერძნების ცხოვრებაში.

სპარსელებთან ომის დროს მან ბერძნებისადმი სიმპათიის ბევრი დამამტკიცებელი რამ გამოიჩინა. მან, სხვათა შორის, მოისურვა ოლიმპიის ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება, რაც მხოლოდ ბერძნებისათვის იყო მისაწვდომი. მაგრამ. როდესაც მან თავისი სახლის, არგეადების, საგვარტომო ნუსხა თამამი მონაგონით ჰერაკლიდების არგოსის ტემენოსს დაუკავშირა, ბერძნებმა ის თვისტომად სცნეს და ოლიმპიის დღეობებში მონაწილეობის მიღების ნება დართეს.

ალექსანდრეს მეფობაში მაკედონიას პირველად დაუწყია მონეტის ჭრა და როგორც ნუმიზმატიკური მასალა გვიმტკიცებს, მაკედონიაში V საუკუნის პირველ ნახევარში სასაქონლო ფულად ურთიერთობას და საგარეო ვაჭრობას მნიშვნელოვანი განვითარებისათვის მიუღწევია.

ალექსანდრე მეფის ხელისუფლების განმტკიცებისა და მაკედო—

ნიის გაერთიანების პოლიტიკა მისმა უახლოესმა მემკვიდრეებმაც განაგრძეს, მაშინ, როდესაც საბერძნეთი ეგრეთ წოდებული პელოპონესის ომის ცეცხლში იყო გახვეული, ალექსანდრე I-ის მოადგილე პერდიკა თავის ინტერესების მიხედვით ხან ერთ, ხან მეორე კოალიციას ემხრობოდა. თუკიდიდეს გადმოცემით, მაკედონიის ამაღლებისათვის უფრო მეტი გაუკეთებია პერდიკას ვაჟს, მეფე არქელაოსს (419—299), „ვიდრე მის წინამოადგილე რვა მეფეს ერთად" (Thuc., 100,2). მას აუგია სიმაგრენი, გაუყვანია სამხედრო გზები და თავისი მეომრები უკეთ შეუიარაღებია. ამავე დროს იგი ბერძნული კულტურის პატივისმცემელი და მეცენატი ყოფილა. ძველი სამეფო რეზიდენცია ეგიდან, რომელიც მაღლობზე მდებარეობდა, მას გარში გადაუტანია და ახალი სატახტო ქალაქი პელა დაუარსებია. არქელაოსის სასახლეში თავს იყრიდნენ ბერძენი მწერლები და მხატვრები; მაგ., მას მიუწვევია ევრიპიდე[2], ტიმოთე[3], მხატვარი ზევკსისი. ათენელებთან მას მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია და მათი დახმარებით ჩაუქრია აჯანყებანი რამდენიმე მაკედონურ ქალაქში. ასეთი ურთიერთობა ათენისათვისაც სასარგებლო იყო: მაკედონია ათენელებს ამარაგებდა სპეციალური სახომალდე ხე-ტყით და აწვდიდა აგრეთვე თრასიბულეს ფლოტს საჭირო საგნებს. მადლობის სახით ათენელებს 407 წელს მისთვის და მისი შვილებისათვის პროქსენოსისა და კეთილისმყოფელის ტიტული მიუნიჭებიათ.

399 წელს არქელაოსი მის წინააღმდეგ შეთქმულ პირებს მოუკლავთ და რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მაკედონია მღელვარებას მოუცავს, უმთავრესად ტახტის გარშემო ბრძოლის გამო, შექმნილი მდგომარეობით უსარგებლიათ მაკედონიის მთლიანობის მოწინააღმდეგეთ, მაგრამ როცა 359 წელს ილირიელებთან ბრძოლაში მეფე პერდიკა III დაიღუპა, მაკედონიის მბრძანებელი გახდა ფილიპე II (359—336), ჯერ როგორც ძმისწულის მეურვე და შემდგომ როგორც ჯარის მიერ მეფედ გამოცხადებული. მან გასაოცარი ენერგიით და გაბედულებით ალაგმა ტახტის პრეტენდენტები, დაამარცხა მაკედონიის წინააღმდეგ ამხედრებული ილირიელები და პეონიელები და მაკედონია ერთ მთლიან ძლიერ სახელმწიფოდ გარდაქმნა. მან თავის სამეფოს შეუერთა ზემო მაკედონიის უკანასკნელი დამოუკიდებელი მხარე ლინკესტიდა.

ფილიპეს მოღვაწეობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმა, რომლის საფუძველზე წარმოიქმნა მაკედონიის იმ დროის მიხედვით უძლიერესი ჯარი.

ფილიპეს მიერ გატარებული სამხედრო რეორგანიზაცია, ერთი მხრივ, არქელაოსის მიერ დაწყებული საქმის დაგვირგვინება იყო,

ხოლო, მეორე მხრივ, ფილიპე II მიერ თებეში ყოფნის დროს ეპამინონდასის გამოცდილების შეთვისებისა და გამოყენების შედეგი. მაკედონიის ჯარის ბირთვს ელეხობისაგან შედგენილი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი — მაკედონური ფალანგა წარმოადგენდა. არისტოკრატია და ჰეტაირები კი მსახურობდნენ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსან ჯარში, რომელსაც ახლა უკვე დამოუკიდებელი ტაქტიკური ერთეულის მნიშვნელობა მიენიჭა. დამხმარე რაზმებად ითვლებოდნენ მსუბუქად შეიარაღებული ფეხოსნები და კავალერია.

ის დიდი სამხედრო მიღწევები, რომლებიც ფილიპემ მოიპოვა, იმ დროის მიხედვით საუკეთესო ტექნიკურ მოწყობილობასა და ჯარის ნაწილების მიზანშეწონილ შეკავშირებას ემყარებოდა. ფართოდ იქნა მის მიერ გამოყენებული აგრეთვე საალყო ტექნიკა. საბერძნეთის პოლისების ღრმა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისის პირობებში ფილიპეს მიერ გატარებულმა ჯარის რეორგანიზაციამ მას საშუალება მისცა თვით მაკედონიაში წარმოქმნილი საზოგადოებრივი ვითარების მიხედვით აქტიურ დიპლომატიურ და სამხედრო მოქმედებაზე გადასულიყო.

ზაფხულში თუ ზამთარში, დღისით თუ ღამით ფილიპე თავის ოპერაციებს ერთნაირად აწარმოებდა და ბარკვეულ ტაქტიკას მისდევდა. მაგრამ მან გამოიმუშავა არა მარტო საკუთარი ტაქტიკა, არამედ სტრატეგიაც. მანვე შექმნა მაკედონიის ძლიერი ფლოტი.

ჯარის ასეთი ორგანიზაციის და ფლოტისათვის საჭირო ფინანსურ საშუალებებს ფილიპემ პანგეიონის ოქროს საბადოების ხელში ჩაგდებით მიაღწია. ამასთან დაკავშირებით ფილიპემ გაატარა ფულის რეფორმა, რომელიც ბიმეტალიზმის სახელით არის ცნობილი: შემოღებულ იქნა ვერცხლისა და ოქროს ვალუტა, რასაც ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ოქროსთან ერთად ვერცხლს ისეთი მნიშვნელობა მიენიჭა, რომელიც ოქროს ღირებულებას ამცირებდა. ფილიპეს მიერ მოჭრილი ოქროს სტატერი ოცატიკურ ვერცხლის დრახმას უდრიდა. ფულის ამ ერთეულმა მალე მოიპოვა მთელ საბერძნეთის სამყაროში აღიარებული კურსი, მაშინ როდესაც სპარსეთის მონარქიაში ოქროს ვალუტა იყო გაბატონებული. ფილიპეს დროს მაკედონიამ უდიდეს ძლიერებას მიაღწია. მის დროს საგრძნობლად გაძლიერდა მეფის ხელისუფლება და მნიშვნელოვნად შემცირდა ძველი გვაროვნული არისტოკრატიის როლი. ტომთა წინამძღოლები — ბასილევსები კარგავენ თავიანთ მნიშვნელობას და მეფის ჰეტაირებად ხდებიან. თავის ჯარზე დაყრდნობით ფილიპემ იწყო დაპყრობა მთელი მაკედონია-თრაკიის სანაპიროსი, სადაც ბერძენთა ახალშენები არსებობდნენ. ამან კი ათენთან კონფლიქტი გამოიწვია.

358 წელს ფილიპემ ამფიპოლისი დაიპყრო და ამ ნიადაგზე ათენელებთან მოუხდა შეტაკება. ამავე დროს, როგორც ვიცით, ათენს გართულებული მდგომარეობა ჰქონდა ეგრეთ წოდებული საკავშირო ომის გამო (358—355), რომელიც მისი მარცხით დამთავრდა. ასეთი ვითარებით ფილიპე მოხერხებულად სარგებლობს ათენელებთან საკმაოდ ხანგრძლივ ბრძოლაში (357—346) და ახალ პუნქტებს უერთებს თავის სამეფოს. ომით და საზღვაო კავშირის დარღვევით დაუძლურებულ ათენს უჭირს მაკედონიის მეფესთან გამკლავება და ბრძოლის ველზე უპირატესობა ფილიპე II მხარეზე გადადის, ფილიპემ დაიკავა მაკედონიაში ქალაქი პიდნა და ქალკიდიკაზე გაანადგურა პოტიდეა, რომლის მხარე მან ოლინთელებს გადასცა. თრაკიელების წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლის შემდგომ მაკედონელებმა დაიკავეს პანგეიონის მხარე და დააარსეს ფილიპოი. იმ დროს, როდესაც ფილიპე თრაკიელების წინააღმდეგ ბრძოლაში ახალ წარმატებებს აღწევდა, საბერძნეთში კვლავ ატყდა საბედისწერო „საღვთო ომი“ (355—346). რამ გამოიწვია ეს ომი? განცდილი მარცხის შემდეგ თებეს ხანმოკლე ბატონობას ბოლო მოეღო. მისი მოკავშირეები თესალიელები და შემდეგ ევბეას ქალაქები უკვე ათენის გავლენის ქვეშ მოექცნენ. თებელების ბატონობისაგან განთავისუფლებას ცდილობდა აგრეთვე ფოკიდა და ამის გამო თებელები მისადმი მტრულად იყვნენ განწყობილი. თებელებმა განიზრახეს თესალიელებთან ერთად მის წინააღმდეგ გამოეყენებინათ ამფიქტიონიის საბჭო. მათ ბრალი დასდეს ფოკეელებს დელფოს ტაძრის კუთვნილი მიწის მკრეხელურ მოხვნაში. დელფოს ამფიქტიონიის წევრთა დადგენილებით ფოკეელებს ევალებოდათ მიტაცებული მიწის განთავისუფლება და დელფოსადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურება. თუ ისინი ამ მოთხოვნას არ შეასრულებდნენ, მათი მიწა აპოლონის ტაძრის ხაზინაში უნდა გადასულიყო. სხვა დაჯარიმებულ პოლისებს შორის იყო სპარტაც: ლაკედემონელებს მათ მიერ თებეს აკროპოლისის, კადმეას აღებისათვის მსხვილი ჯარიმა მიესაჯათ. მოთმინებიდან გამოსულმა ფოკეელებმა თავიანთი შეძლებული თვისტომის, ფილომელოსის რჩევით, ასეთი მოთხოვნის შესრულებაზე უარი განაცხადეს. 355 წლის გაზაფხულზე ფილომელოსმა დაიკავა დელფო და აპოლონის ტაძრის მთელ მდიდარ ხაზინას დაეპატრონა; ფოკეელებს საშუალება მიეცათ შეექმნათ მოქირავნეების ძლიერი ჯარი. ამის შემდეგ ფილომელოსმა უფრო რადიკალური ნაბიჯები გადადგა: დელფოდან გააძევა თებეს მომხრეები და ამფიქტიონიის საბჭო აიძულა თებესთვის ომი გამოეცხადებინა; ამასთან ერთად, მან ბერ-

ძენთა პოლისებს მოსთხოვა, ეცნოთ ფოკეელების უფლება დელფოზე. მის მოქმედებას მხარი დაუჭირეს სპარტამ და ათენმა.

თებელებს არ შეეძლოთ შერიგებოდნენ ასეთ მდგომარეობას. 355 წლის შემოდგომაზე მათ კავშირი დადეს ზოგიერთ პოლისთან და დასახმარებლად თესალიას მიმართეს. ასე წარმოიქმნა „საღვთო ომი", რომელმაც ზოგადბერძნული ხასიათი მიიღო და რომელიც 10 წელი გრძელდებოდა. ერთ-ერთ ბრძოლაში ფილომელოსი მოკლულ იქნა და მისი ადგილი გამოცდილმა წინამძღოლმა ონომარქოსმა დაიკავა. ამასობაში შინაური მდგომარეობა თესალიაში გამწვავდა; ორ მებრძოლ ჯგუფთაგან ერთმა დასახმარებლად ონომარქოსს მიმართა, მეორემ — მაკედონიის მეფეს.

ფილიპე II, რომელმაც 354 წელს დაიპყრო ათენელების უკანასკნელი სამფლობელო თრაკიაში ქ. მეტონა, მოხერხებულად სარგებლობს ამ მისთვის ხელსაყრელი მომენტით და ბერძენთა პოლისების ბრძოლაში, თებელების მხარეზე ერევა, მაგრამ 353 წელს ონომარქოსთან შეტაკებაში დამარცხება განიცადა და მაკედონელების ჯარმა თესალიიდან უკან დაიხია.

ამის შემდეგ ფილიპემ თავი ბერძენთა შეგინებული „სიწმინდის" დამცველად გამოაცხადა და 352 წელს „ტაძრის მძარცველის" ონომარქოსის წინააღმდეგ გაილაშქრა. 352 წლის ზაფხულში ფილიპემ დაამარცხა ფოკეელები, რომელთა დახმარება ათენის ფლოტმა ვერ მოახერხა. დამარცხებულთ ფილიპე სასტიკად გაუსწორდა: ბრძოლაში დაღუპული ონომარქოსის სხეული ჯვარს გააკრა და ამით მკვდარს სამარცხვინო სასჯელი მიაყენა. ტყვედჩავარდნილი ფოკეელები კი, როგორც მკრეხელები, მისი ბრძანებით, წყალში დაახრჩეს. ასე გახდა ფილიპე თესალიის კავშირის ჯარების უმაღლესი სარდალი, რითაც მოიპოვა თესალიაზე ბატონობა. პაგასაიში და მაგნესიის გამაგრებულ ადგილებში მან მაკედონელთა გარნიზონები ჩააყენა. ხოლო, როცა ის ონომარქოსის ძმასა და მოადგილე ფაილოსთან ბრძოლის გაგრძელების მიზნით თერმოპილისკენ გაემართა, ათენელებმა სასწრაფოდ გაუგზავნეს ფაილოსს დასახმარებლად ჯარი და ფილიპე იძულებული გახდა თერმოპილი მიეტოვებინა. ფილიპეს თერმოპილზე გალაშქრებასთან იყო დაკავშირებული დემოსთენეს პირველი „ფილიპიკა", რომელშიც იგი მოითხოვდა, რომ ათენელების ლაშქრის 1/4 მაინც არა მოქირავნეებისაგან. არამედ მოქალაქეებისაგან ყოფილიყო შედგენილი. ამასთან ერთად, დემოსთენე მოუწოდებდა ფილიპეს ყველა მოწინააღმდეგეს ათენის გარშემო გაერთიანებულიყვნენ.

ამასობაში ფოკეელებმა თავისი ჯარის აღდგენა იწყეს, ხოლო

ფილიპეს ახალი ომის წარმოება მოუხდა თრაკიასა და პროპონტიდის ნაპირებზე, ამ ომის შედეგად ფილიპეს ბატონობის სფერო თერმოპილიდან ბოსფორამდე გაფართოვდა; ამასთან ერთად, მან კავშირის დადება მოახერხა ზოგიერთ ბერძნულ პოლისთან. ამას გულგრილად ვერ შეხვდებოდნენ ათენელები და საპასუხოდ მათ თრაკიის ქერსონესის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქ. სესტოსი დაიკავეს.

ფილიპეს ბატონობის ასეთმა გაფართოებამ ძალზე შეაშფოთა ნახევარკუნძულის ქალკიდიკის ბერძნული ქალაქები, განსაკუთრებით კი ოლინთი, რომელიც ამ ქალაქების კავშირს მეთაურობდა. მართალია, წინათ ოლინთი ფილიპესთან კავშირში იმყოფებოდა, მაგრამ უკვე 358 წელს ოლინთელებმა საკუთარი რისკით ზავი შეკრეს ათენელებთან და მეგობრული ურთიერთობა დაამყარეს, რამაც გაამწვავა ოლინთელების დამოკიდებულება ფილიპესთან. ფილიპემ მოითხოვა, მათთვის გადაეცათ მათ მფარველობაში მყოფი ტახტის პრეტენდენტი, მისი ნახევარი ძმა არჰიდაიოსი, მაგრამ უშედეგოდ. 349 წელს იგი გადავიდა ქალკიდიკაში დაიწყო ბრძოლა ოლინთის წინააღმდეგ და რამდენიმე გამაგრებული პუნქტი დაიკავა. ათენმა ორჯერ გაუგზავნა ოლინთს დახმარება მოქირავნეთა რაზმების სახით. ამაოდ ცდილობდა დემოსთენე, დაერწმუნებინა ათენელები, რომ ფილიპეს წინააღმდეგ ბრძოლაში უფრო ენერგიული მონაწილეობა მიეღოთ. ფილიპე, პირიქით, ზომებს იღებდა, რომ ათენელებს ასეთ დახმარებაზე ხელი აეღოთ. ამ მიზნით ის ეხმარებოდა ათენისაგან ევბეას განდგომას და ფოკიონის ლაშქრობამ ამ კუნძულის მოწყვეტას ხელი ვერ შეუშალა. მართალია, ათენმა დემოსთენეს მესამე „ოლინთის სიტყვის" შემდეგ, 348 წელს ოლინთს დასახმარებლად 17 ხომალდი, 300 მხედარი და 400 ჰოპლიტი გაუგზავნა, მაგრამ ეს ქალაქი იმ დროს დიდი განსაცდელის წინაშე იდგა და დახმარება უკვე დაგვიანებული იყო: ოლინთს ჯერ რამდენიმე ქალაქი განუდგა და ფილიპეს მხარეზე გადავიდა; თვითონ ოლინთელებში გამოჩნდა ორი მოღალატე, რომლებიც მათი ცხენოსნების სარდლებად იყვნენ არჩეული; მათი მეოხებით ფილიპეს ხელში ჩაუვარდა 500 მხედარი. ოლინთი და მიწასთან გასწორებული მისი მოსახლეობა მონებად გაყიდეს. ქალაქი იმდენად ძლიერ იყო განადგურებული, რომ მისი აღდგენა უკვე შეუძლებელი გახდა. 1928 წელს ოლინთის ნანგრევებზე წარმოქმნილ ბორცვზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა გადაგვიშალეს, კლასიკური საბერძნეთის ქალაქის ცხოვრების სურათი.

ქალკიდიკის სხვა ქალაქები მაკედონიის სახელმწიფოსთან იქნა შეერთებული. ამრიგად, ფილიპემ ხელთ იგდო მდიდარი და მჭიდროდ

დასახლებული ქალაქიდიკა და ეგეოსის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს საკმაოდ დიდ ნაწილს დაეპატრონა, რასაც უდავო მნიშვნელობა ჰქონდა მაკედონელთა ახალგაზრდა ფლოტის განვითარებისათვის.

რაც დრო გადიოდა, მით უფრო ცხადი ხდებოდა, რომ ათენის ბრძოლა ფილიპეს წინააღმდეგ უკვე კარგავდა თავის მნიშვნელობას. მეორე მხრივ, ფილიპესაც არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია იმისათვის, რომ ათენი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა. რომ მას ზღვაზე 350 ტრიერი გააჩნდა. ამ ნიადაგზე წარმოიქმნა ორივე მებრძოლი მხარის ხელმძღვანელთა შორის ზავის დამყარების აუცილებლობა. მაკედონიის სატახტო ქალაქ პელაში ათენელებმა წარგზავნეს ათი კაცისაგან შემდგარი დელეგაცია. მოლაპარაკებას თან მოჰყვა 346 წელს დადებული ეგრეთ წოდებული ფ ი ლ ო კ რ ა ტ ე ს ზ ა ვ ი, რომელსაც საკმაოდ ვრცლად გვაცნობს დემოსთენეს სიტყვა „ცრუმოციქულობაზე“ (περὶ παραπρεσβείας) და ესქინეს საპასუხო სიტყვა. რას წარმოადგენდა ფილოკრატეს ზავი? მას საფუძვლად ედო status quo-ს აღიარება. მაშასადამე, ათენმა. საბოლოოდ დაკარგა ამფიპოლისი და პოტიდეა. ამასთან ერთად ათენსა და მაკედონიას შორის დაიდო თავდაცვითი კავშირი, რომელიც ფილიპეს სიკვდილის შემდეგაც ძალაში უნდა დარჩენილიყო. ასეთი კავშირის შეკვრით ათენმა სცნო ფილიპეს ყველა დაპყრობა როგორც ქალკიდიკაზე, ისე თრაკიის სანაპიროზე, სადაც ათენს მხოლოდ ქერსონესი შერჩა. რაც შეეხება ფოკეელებს, მას ფილოკრატეს ზავი არ შეხებია. მაგრამ, როცა თებელებმა ფილიპეს დასახმარებლად მოუხმეს, ის კვლავ შეიჭრა საბერძნეთში და ფოკიდის აოხრება იწყო. მარტოდ დარჩენილმა ფოკიდამ წინააღმდეგობის გაწევა ვეღარ შეძლო, ფოკეელების ჯარების სარდალი ფალეკოსი იძულებული იყო ბრძოლა შეეწყვიტა და ფილიპესთვის გადაეცა ფოკიდის ყველა გამაგრებული პუნქტი.

გამარჯვებულმა ფილიპემ თავის მხრივ ფოკიდის ბედის გადაწყვეტა დელფოს ამფიქტიონიას მიანდო. ამ საკითხზე ამფიქტიონიამ მკაცრი დადგენილება გამოიტანა. ამ დადგენილებით ფოკეელებს ყველა თავისი 22 ქალაქი უხდა დაენგრიათ და მათი მცხოვრებლები სოფლებში დაესახლებინათ. უნდა ჩაებარებინათ მთელი საჭურველი და ცხენები და გადაეხადათ ყველა ის ფულადი თანხა, რომლებიც მათ დელფოს ტაძრიდან მიისაკუთრეს. დელფოში აღმოჩენილი ერთი წარწერა გვარწმუნებს, რომ 338 წლამდე ფოკეელები წლიურად 60 ტალანტს იხდიდნენ და შემდეგ, ალბათ, ფილიპეს მითითებით ასეთი დიდი წლიური გადასახადი 10 ტალანტამდე შეუმცირდათ. ამას გარდა, ფოკეელებს ჩამოერთვათ და ფილიპეს გადაეცა ის

ორი ხმა, რომელიც მათ ამფიქტიონიაში ეკუთვნოდათ. ამრიგად, მაკედონიის მეფე დელფოს ამფიქტიონიის წევრიც გახდა და ერთ-ერთ მახლობელ პითიურ დღესასწაულს ფილიპეს მიერ მივლინებული წარმომადგენლებიც კი თავმჯდომარეობდნენ.

ვიდრე საბერძნეთისა და მაკედონიის ურთიერთობაზე საუბარს გავაგრძელებდეთ, საჭიროა გავიხსენოთ ათენის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა და მაკედონიისადმი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულება. პელოპონესის ომი შემდგომ IV საუკუნის მანძილზე ათენის ეკონომიური განვითარება ისეთი გზით წარიმართა, რომლის მიხედვით სანოვაგის და, პირველ რიგში, პურის იმპორტს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. მოსახლეობის ძირითადი მასის — გლეხებისა და წვრილი თავისუფალი ხელოსნების პაუპერიზაცია, მეურნეობის ყველა დარგში მონური შრომის ინტენსიური შეჭრის გამო, ათენში ქმნიდა ისეთ პირობებს, რომელთა წყალობით სახელმწიფოს მძიმე ტვირთად აწვა მრავალი ღატაკი ადამიანის გამოკვება[4]. ამავე დროს ომის შემდგომ სასოფლო მეურნეობაში გაძლიერდა სპეციალური კულტურების გავრცელება. ფულადი თანხების პატრონები IV საუკუნეში ცდილობდნენ თავისი სახსრები გამოეყენებინათ მეურნეობის ისეთ დარგებში, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, იმპორტისათვის გამოსადეგი საქონლის დამზადებას შეძლებდნენ. ასეთ პირობებში ატიკის სოფლის მეურნეობას საერთო მოთხოვნილების მხოლოდ შედარებით უმნიშვნელო ნაწილის დაკმაყოფილება შეეძლო, ამიტომ ათენი პურს სხვადასხვა ადგილიდან და უმეტეს ნაწილად კიმერის ბოსფორიდან ღებულობდა.

მეორე მხრივ, ბერძნულ პოლისებში მკაცრი შინაგანი და გარეგანი ბრძოლა მიმდინარეობდა და ამ ნიადაგზე ძლიერდებოდა სამეურნეო და პოლიტიკური წყობილების შერყევა. საბერძნეთის მთავარ ქალაქებში ათენში, სპარტაში, თებეში არსებობდნენ მაკედონიის მეფის მომხრეთა ჯგუფები, რომელთაც სწამდათ, რომ მხოლოდ მას შეუძლია დაიხსნას საბერძნეთი შინაგანი ანარქიისა და პოლიტიკური დაუძლურებისაგან. მაკედონური პოლიტიკის გამტარებელი ათენში იყო ცნობილი მწერალი და მჭევრმეტყველების მასწავლებელი ი ს ო კ რ ა ტ ე (436—338) იგი იყო სოფისტ გიორგიას მოწაფე. მას ხმის სისუსტე საშუალებას არ აძლევდა გამოსულიყო, როგორც პოლიტიკური ორატორი და ამიტომაც თავისი მოღვაწეობა „ლოგოგრაფად“ დაიწყო. მიახ. 390 წელს ათენში მან დააარსა რიტორიკული სკოლა, რომელმაც მალე დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. თავის მსოფლმხედველობით იგი იმ მონათმფლობელთა ჯგუფს ეკუ-

თვნოდა, რომელთაც უკვე აფიქრებდა პოლისური წყობილების მათი ინტერესებისათვის უვარგისობა. ისოკრატე იყო იმ მონარქისტული ტენდენციების გამომსახველი, რომლებიც იდეოლოგიურად ამზადებდნენ მაკედონიის მიერ საბერძნეთის დაპყრობას. პირველ ხანებში ისოკრატე სპარსეთის წინააღმდეგ ომზე ფიქრობდა და იმედოვნებდა, რომ გამარჯვების შემდგომ საბერძნეთი განთავისუფლდებოდა უსახლკარო ლატაკი მასისაგან, რომელიც, მისი აზრით, ბერძნული პოლისიებისა და კულტურის არსებობას ემუქრებოდა.

როგორც ათენის სხვა პატრიოტები, ისოკრატეც ამ მხრივ იმედს ათენის, სპარტისა და თებეს კოალიციაზე ამყარებდა. მაგრამ ცდები პანელინური ფედერაციის შექმნისა მარცხით დამთავრდა, რამაც ათენის პატრიოტები საკუთარი ძალებით საბერძნეთის აღორძინებისა და სპარსეთის წინააღმდეგ გაერთიანებული ომის შეუძლებლობაში დაარწმუნა. ამიტომაც მათ იმედის თვალი მაკედონიას და მის მეფე ფილიპეს მიაპყრეს. ისოკრატე დარწმუნებული იყო, რომ თუ ფილიპე თავის ისტორიულ მოწოდებაზე უარს იტყოდა, საბერძნეთს აუცილებლად შინაგანი კატასტროფა მოელოდა და ის მოხეტიალე ელემენტებისაგან, სიკოფანტებისაგან და ცუდი ორატორებისაგან დაიღუპებოდა.

სურ. 69. დემოსთენე (რომაული პირი).

მაკედონურ ორიენტაციას ათენში ემხრობოდნენ აგრეთვე ცნობილი ფინანსისტი ევბულე, ათენელი ადვოკატი, საზოგადო მოღვაწე და ორატორი ესქინე, ათენის გამოჩენილი სტრატეგოსი ფოკიონი და სხვ. მაკედონური პარტია, რაკი იმედს მაკედონიის მეფეზე ამყარებდა, ცდილობდა მასთან საერთო ენა მოენახა და იგი საბერძნეთის მხსნელად გამოეყვანა. ფილიპეც ამ პარტიის თავისი მიზნებისათვის გამოყენებას სასარგებლოდ თვლიდა და არ ძუნწობდა არც რჩევა-დარიგებების და არც ოქროს მიწოდებაში. ის დარწმუნებული იყო, რომ ოქროთი დატვირთული ვირი მიუვალ ციხესაც აიღებსო.

ამ უაღრესად საბედისწერო საკითხში საწინააღმდეგო პოზიცია ეკავა ანტიმაკედონურ პარტიას. მასში შედიოდნენ მოვაჭრე ელემენტები, მეიარაღეები და საშუალო და წვრილი დემოკრატია. მათი წარმოდგენით მაკედონიის გამარჯვება ათენის დემოკრატიული წყობილების დასამარებას მოასწავებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ადამიანებს, რომელთა არსებობა დემოკრატიულ პოლისთან იყო დაკავშირებული, ძირითადი სახსრები მოესპობოდათ. ამ პარტიას მეთაურობდა სახელგანთქმული პოლიტიკური ორატორი დ ე მ ო ს თ ე ნ ე (384—322), რომელიც თავგანწირულად იბრძოდა საბერძნეთის დამოუკიდებლობისა და პოლისური წყობილების შენარჩუნებისათვის. მამამისი იარაღების დამამზადებელი ერგასტერიონის შეძლებული მფლობელი ყოფილა. დემოსთენე ბავშვობაშივე დაობლებულა და მისი ქონება არაკეთილსინდისიერ მეურვეთ დაუტაცნიათ. მას გულმოდგინე ბეჯითობით გადაულახავს ის ფიზიკური ნაკლოვანება რომელიც ხელს უშლიდა ორატორი გამხდარიყო, და ამ მხრივ წარმატებისათვის მიუღწევია. მისი მოპირდაპირე, ცნობილი ორატორი ესქინე მის დასამცირებლად არავითარ ცილისწამებას არ ერიდებოდა, მისი სიტყვით, დემოსთენეს პაპა დედის მხრივ, გილონი სახელმწიფო დამნაშავე იყო და როგორც ათენის ხალხის მოღალატეს, თითქოს in absentia სიკვდილით დასჯა ჰქონდა მისჯილი. მაგრამ საყურადღებოა. რომ უფრო გვიან ათენში დასახლებულან გილონის ქალიშვილები და ერთი მათგანი დემოსთენეს დედა გამხდარა. ცხადია, გილონის მოღვაწეობის ვერსია რომელსაც ესქინე გადმოგვცემს, დემოსთენეს გაბოროტებული მტრის მიერ შეთითხნილ ამბავს წარმოადგენს.

ანტიმაკედონურ პარტიაში შემავალ პირთა შორის დასახელებული უნდა იქნან აგრეთვე: ლ ი კ უ რ გ ო ს ი, რომელიც ევბულეს საფინანსო გეგმის მოწინააღმდეგე იყო ათენში, ცნობილი ვექილი ჰ ი პ ე რ ი დ ე და სხვ.

თავის სიტყვებსა და საჯარო გამოსვლებში დემოსთენე ხაზგასმით აღნიშნავდა ათენის დიდებულ წარსულს, პოლიტიკური თავისუფლების ძალასა და მნიშვნელობას და გულმოკლული აღიარებდა, რომ მის დროს დემოკრატია დაკნინებისა და დიდი პოლიტიკური პრობლემების დავიწყების გზას დაადგა; რომ ანგარება, გამყიდველობა, მლიქვნელობა და თავისი ღირსების უპატივცემულობა დაეუფლა ბერძნების უმრავლესობას. განსაკუთრებით აღელვებდა მას სიკოფანტების (მაბეზღართა) თავაშვებულობა ათენში და მათ იმ ასპიდებსა და მორიელებს ადარებდა, რომლებიც „აწეული საჩხვლეტელებით აგორაზე აქეთ-იქით ღაძვრებოდნენო“, მას ფილიპე II

საბერძნეთის მხსნელად კი არა, არამედ მისი დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და კულტურის მესაფლავედ მიაჩნდა. ფილიპეს წინააღმდეგ მიმართულ სიტყვებში („ფილიპიკებში") იგი საღებავს არ ზოგავდა ერთი მხრივ. მაკედონიის მეფე ბარბაროსად, ტირანად და ცბიერ დესპოტად წარმოედგინა და, მეორე მხრივ, ათენელებსა და საერთოდ ბერძნებისათვის მისი გაბატონების საშინელი საფრთხე თვალწინ დაეყენებია. ის პირები კი, დემოსთენეს სიტყვით, რომლებსაც ფილიპეს ფილელინობა სწამთ, ან შეუგნებლად უდგებიან საკითხს, ანდა მოსყიდულები არიან და უბრალო ხალხი შეცდომაში შეჰყავთ. მაკედონური პარტიის ცნობილი წევრის ესქინეს წინააღმდეგ წარმოთქმულ სიტყვაში — „არაკეთილსინდისიერ მოციქულობაზე"—დემოსთენე თავს ესხმის იმათ, ვინც ფულში ყიდის თავის ქვეყანას და ფილიპე II აგენტობას ეისრულობს. დემოსთენე დაუღალავად მოუწოდებს ათენელებს და საერთოდ ბერძნებს, გაერთიანდნენ მაკედონიის წინააღმდეგ, ვიდრე ისეთი ვითარება არ წარმოქმნილა, როცა ყოველგვარი ღონისძიება უკვე დაგვიანებული და ფუჭი იქნებოდა. დემოსთენე ერთი მათგანი იყო. ვინც გრძნობდა იმ საფრთხეს, რომელიც ემუქრებოდა საბერძნეთის პოლისების დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას მაკედონიის გაძლიერების შედეგად. მაგრამ წარმოქმნილი ვითარების სწორად გაგების დარგში შორსმჭვრეტელობას ვერ იჩენდა.

2. ბრძოლა ქერონეასთან; კორინთოს კონგრესი

ფილოკრატეს ზავი ათენსა და მაკედონიას შორის მყარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო: ორივე მხარე ამ ზავით უკმაყოფილო იყო და ხელსაყრელ პირობებს უცდიდა, რომ თავისი მიზანი გაეხორციელებინა. ფილიპე II მთელ საბერძნეთზე გაბატონებას ისახავდა მიზნად*, ათენი კი თავისი დამოუკიდებლობისა და სავაჭრო საქმიანობის შენარჩუნებაზე ზრუნავდა. დემოსთენე ვერ ისვენებდა; მისმა მოწოდებებმა ბერძნების დიდ ნაწილს პატრიოტიზმის გრძნობა და თავისუფლებისა და ბრწყინვალე ტრადიციისადმი სიყვარული გაუღვიძა. დემოსთენემ მოახერხა ფილიპეს წინააღმდეგ ათენის მეთაურობით საკმაოდ ფართო კოალიციის შექმნა, რომელშიც კერკირა, აკარნანია, კორინთო და მისი ახალშენები, ევბეას ქალაქები და ზოგი-

---

* ფილოკრატეს ზავის შემდეგ ათენსა და ფილიპეს შორის ყველაფერ გაფუჭებულ ურთიერთობასა და ბრძოლას ვრცელად შეეხებით „ძველი საბერძნეთის" მეორე ტომში.

ერთი სხვ. შევიდნენ. ბოლოს ამ კოალიციას თებეც შეუერთდა. მაგრამ თუ დემოსთენე და მისი თანამოაზრენი მაკედონურ პარტიას ფილიპესაგან ოქროს მიღებას უყიჟინებდნენ, ისინი თავის მხრივ ანტიმაკედონურ პარტიას ბრალს სდებდნენ, რომ ის არ თაკილობს ბერძნების ძველი მტრის, სპარსეთის ფინანსურ დახმარებას და მასზე დიდ იმედებს ამყარებსო. სპარსეთი კი მართლაც დაინტერესებული იყო მაკედონიის წინააღმდეგ ბრძოლით, რადგან მაკედონელებში თავის კონკურენტებს ხედავდა ეგეოსის ზღვის სამყაროში. დემოსთენეს მოწოდებას, მართალია, ფართოდ გამოეხმაურნენ ბერძნების ქალაქები, მაგრამ მალე ისევ ატყდა მათ შორის ისეთი უთნხმოება, რომელიც მაკედონიის მეფისათვის ფრიად ხელსაყრელი იყო.

კვლავ დაიწყო „საღვთო“ ომი ლოკრიდის ქალაქ ამფისის წინააღმდეგ, ამფიქტიონიის დადგენილებით ფილიპეს დაევალა ეგზეკუცია. მძიმე ჭრილობებისაგან ოდნავ განკურნებული ფილიპე 339 წლის შემოდგომაზე მსწრაფლ გადმოვიდა თერმოპილით ფოკიდის ელატეაში, რამაც ბერძნები დიდად გააოცა და შეაშფოთა. დემოსთენეს სიტყვაში „გვირგვინის შესახებ“ ნათლად მოჩანს, თუ რა საშინელი შთაბეჭდილება მოუხდენია ათენელებზე ამ ცნობას. ეხლა ყველას ის აინტერესებდა, თუ რა გზას დაადგებოდა თებე. ეს დემოსთენეს ტრიუმფი იყო, რომ მან თებე თავის მხარეზე გადმოიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის წევრებმა დასაწყისში ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს, 338 წლის გაზაფხულზე ფილიპემ დაიპყრო ამფისა და დასაჯა იგი ამფიქტიონიის დავალების მიხედვით. მოპირდაპირეები ბოლოს 338 წლის შემოდგომაზე ერთმანეთს შეხვდნენ გადამწყვეტ ბრძოლაში ქერონეასთან ბეოტიაში. მარცხენა ფრთას ბრძოლაში მეთაურობდა ფილიპეს 18 წლის ვაჟი ალექსანდრე, ხოლო მარჯვენა ფრთას თვითონ ფილიპე. მიუხედავად თავგანწირული ბრძოლისა, მოკავშირეები დამარცხდნენ. მათი ლაშქრის ორი მესამედი ტყვედ ჩავარდა, ათასი კაცი ბრძოლის ველზე დაიღუპა, დანარჩენები გაიფანტნენ.

დემოსთენეს ბიოგრაფიაში პლუტარქე მოგვითხრობს, რომ ბრძოლის შემდგომ ფილიპე დათვრა, გამართა ღრეობა და ცეკვა ბრძოლის ველზე დაღუპულ ათენელებისა და მოკავშირეების გვამებს შორის და ყვიროდა: „დემოსთენმა, დემოსთენის შვილმა დაადგინაო“. ამით აღშფოთებული, ტყვეებს შორის მყოფი ათენელი ორატორი, დემადე, ისტორიკოს დიოდორეს გადმოცემით, ასეთი სიტყვებით მიმართავს მთვრალ მეფეს; „მეფევ, შენ თერსიტეს როლს თამაშობ, ბედმა კი შენ აგამემნონის ტრაგიკული როლი განგისაზღვრაო“[5].

ქერონეასთან განადგურების შემდგომ მოკავშირეებს უკვე აღარ შეეძლოთ ფილიპეს გამკლავება. ცხადი შეიქნა საბერძნეთის პოლისები უძლური არიან უკვე, მიუხედავად ზოგიერთი ეკიღურესი ღონისძიებისა, დაიცვან თავიანთი დამოუკიდებლობა. ანტიმაკედონური პარტია დამარცხდა, მაკედონურმა ორიენტაციამ კი გაიმარჯვა. მაგრამ დემოსთენე არ ცხრებოდა. ვინმე კტესიფონს 336 წელს საბალხო კრებაზე წინადადება შეუტანია, დემოსთენე ოქროს გვირგვინით შეემკოთ ქერონეის ომის შემდგომ ათენის კედლების გამაგრებისათვის. ამის წინააღმდეგ გამოსულა ესქინე, რომელსაც კტესიფონის პასუხისგებაში მიცემა მოუთხოვია. დემოსთენეს კი თავდაცვითი სიტყვა („გვირგვინის შესახებ") წარმოუთქვამს. სასამართლოს დემოსთენეს სასარგებლო განაჩენი გამოუტანია და ესქინე იძულებული ყოფილა ათენი დაეტოვებინა. დემოსთენეს კი ბრძოლა არ შეუწყვეტია, ვიდრე მაკედონელების მიერ გარშემორტყმულმა 322 წელს საწამლავი არ დალია.



სურ. 70. ქერონეას ლომი.

განდგომისათვის მაკედონიის მეფემ თებე მკაცრად დასაჯა და სხვათაშორის მას დაევალა კადმეაში მაკედონური გარნიზონის მოთავსება. სხვანაირად მოექცა ის ათენელებს: მათ აღუთქვა თავისუფლებისა და ავტონომიის დაცვა. აგრეთვე ქერონეასთან დატყვევებული მეომრების გამოუსყიდავად უკან დაბრუნება; სამაგიეროდ მათ საზღვაო კავშირზე ხელი უნდა აეღოთ. ათენელებმა, რომელთაც უკვე ფოკიონი მეთაურობდა, მადლობის გამოსახატავად და განსაკუთრებით იმისთვის, რომ ქერონეასთან დაღუპული ათენელების გვამები ფილიპემ სამშობლოში გადაატანინა, მისი ქანდაკი აღმართეს მოედანზე და მას და მის შვილს ათენის მოქალაქის უფლებები მიანიჭეს.

პელოპონესში ფილიპემ განსაკუთრებით შეზღუდა სპარტა. მაგ-

რამ ფილიპე შიშობდა, ბერძნები სპარსელებს არ შეუთანხმდნენო, და ამიტომ გადაწყვიტა კორინთოში მოეწვია საბერძნეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლები საერთო ბერძნული (პანელინური) კავშირის შესაქმნელად. კონგრესი შეიკრიბა 338 წელს და მას დაესწრნენ, სპარტის გამოკლებით, როგორც ხმელეთის საბერძნეთის, ისე კუნძულების წარმომადგენლები, კონგრესზე, პირველ ყოვლისა, აღიარებულ იქნა ბერძენთა პოლისებს შორის საყოველთაო მშვიდობიანობა (ἡ κοινὴ εἰρήνη). კონგრესმა განამტკიცა ბერძენთა სახელმწიფოებზე მაკედონიის ჰეგემონია და ჩამოაყალიბა მათ შორის კორინთოს კავშირი.

მართალია, თვითონ მაკედონია უშუალოდ კავშირში არ შესულა. მაგრამ მაკედონიის მეფემ კორინთოს კავშირთან სამარადისო თავდაცვითი და შეტევითი კავშირი (συμμαχία) დადო და ის სიცოცხლეულად კავშირის მეთაურად იქნა აღიარებული ჰეგემონის ტიტულით (ἡγεμών). კავშირში შემავალი პოლისების ავტონომია გარანტირებულ იქნა. გარანტირებულ იქნა აგრეთვე ზღვაზე მიმოსვლის თავისუფლება. სამაგიეროდ სასტიკად აიკრძალა კერძო საკუთრების ხელშეხება, მიწების გადანაწილება. სავალო ვალდებულებათა გაუქმება და მონების მასობრივი გათავისუფლება სახელმწიფო გადატრიალების მიზნით. შესაძლებელია, სწორედ ამ დროს ეკუთვნის ათენში ამას წინათ აღმოჩენილი კანონი ტირანიის წინააღმდეგ, რომელზეც საუბარი თავის ადგილას გვქონდა. კონგრესის დადგენილებების დამრღვევთა წინააღმდეგ გარკვეული სანქციები იყო გათვალისწინებული. კავშირის საქმეების გაძღოლა „საერთო საკავშირო საბჭოს (τὸ κοινὸν συνέδριον τῶν Ἑλλήνων) დაეკისრა.

კორინთოს კონგრესით მთავრდება კლასიკური საბერძნეთის ისტორია. კლასიკური საბერძნეთის ისეთი ცნობილი სახელმწიფოები, როგორიც ათენი და სპარტა იყვნენ, ჰკარგავენ თავიანთ ძველ მნიშვნელობასა და გავლენას. სამაგიეროდ ბერძენთა სამყაროს ხელმძღვანელობა უკვე მაკედონელების ხელში გადადის.

ათენელებს ქერონეასთან დაღუპულ მეომრების საფლავზე აუგიათ ძეგლი, რომლის თავზე ლომი გამოუსახავთ. და როდესაც დემოსთენეს თავისი პოლიტიკის გასამართლებლად ცნობილი სიტყვა წარმოუთქვამს, სხვათა შორის მას ისიც აღუნიშნავს, რომ ქერონეასთან ბრძოლის ველზე დახოცილი მეომრები ისევე იბრძოდნენ თავისუფლებისათვის, როგორც მათი წინაპრები ბერძენ-სპარსელთა ომებშიო. ხოლო ათენის კერამიკოსში დაცულია ქერონეასთან დაღუპულ მებრძოლთა ერთი საფლავის ქვა, რომელზეც მოთავსებულ

წარწერაში გადმოცემულია მიმართვა დროსადმი: „შენ, რომელიც მიმოიხილავ ადამიანთა ხვედრს, სიხარულსა და მწუხარებას, ამცნე მარადისობას ბედი. რომელმაც წუთისოფელს გამოგვასალმა; ბეოტიის ბრძოლის ველზე დავეცით. მტრის შეტევით განგმირულნი, ის რაც ჩვენ გვსურდა. იყო ჩვენი წმინდა ბელას ნამდვილი ღირსების დაცვა".

კორინთოს კავშირის ჩამოყალიბების შემდეგომ სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობა იყო დასახული. ამ ლაშქრობის მეთაური და ხელმძღვანელი მაკედონიის მეფე ფილიპე II უნდა ყოფილიყო. იგი შეუდგა კიდეც საომისო მზადებას, მაგრამ მოკლულ იქნა მისი ქალიშვილის ქორწილზე. საფიქრებელია, რომ მისი თვითმპყრობელური პოლიტიკით დიდად იყო შეშფოთებული ადგილობრივი თვითნება არისტოკრატია და შეიძლება მკვლელობაც მათი წრიდან მომდინარეობდა.

შენიშვნები და დამატებები

თავი პირველი

[1] В. С. Сергеев, История древней Греции, изд. 8, М., 1963, გვ. 6.

[2] Ф. Энгельс, Диалектика природы; К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., изд. 2-ое, т. 20, გვ. 369.

[3] А. И. Тюменев, К вопросу об этногенезе греческого народа (ВДИ, № 4, 1954). „Всемирная История", т. I, стр. 411, 412.

[4] Ed. Meyer, Geschichte des Altertums II, 1. Berl., 1928, S. 279. С. Я. Лурье, Язык и культура Микенской Греции, АН СССР, 1957, стр. 215 сл.

[5] W. Reichel, Homerische Waffen. 1894.

[6] Diedrich Fimmen, Die kretisch-mykenische Kultur², 1924, S. 145.

[7] მის შესახებ—ალ. ფერეთელი, კრეტა-მიკენის კულტურა, 1923, გვ. 8—12.

[8] იხ. A. Evans, The Palace of Minos, vol. IV, part. II, 1935; აქედან რუსულად თარგმნილია 110-ე პარაგრაფი—Критское линейное письмо (ВДИ, 1939, 3, стр. 10—39).

[9] ამ ცდების შესახებ—С. Я. Лурье, Догреческие надписи Крита (ВДИ, 1947, № 4).

[10] დაწვრილებით—Я. А. Ленцман, Расшифровка критско-микенских надписей (ВДИ, 1955, № 9).

[11] დავასახელებ შედარებით ცნობილ ლიტერატურას: M. Ventris and J. Chadwick, Evidence for Greek dialect in the Mycenaean Archives (JOHS, 1953, Vol. 73, pp. 84—103); M. Ventris, King Nestor's four Handlend cups. („Archeology" 7/1, 1954, pp. 15—21); M. Ventris and J. Chadwick, Documents in Mycenaean Greek (Cambrige University-Press, 1956). A. Furumark, Ägäische Texte in griechischer Sprache („Eranos", 51, 1953, S. 103—120; 52, 1954, S. 18—60); Вл. Георгиев, Введение в чтение и толкование критско-микенских надписей (ИАН, ОЛЯ, 1955, № 3, стр. 267—279); Я. А. Ленцман, Пилосские надписи и вопросы рабовладения в микенской Греции (ВДИ, 1955, № 4, стр. 41—62); С. Я. Лурье, Опыт чтения пилосских надписей (ВДИ, 1955, № 3). ზემოთ მოხსენებული— Язык и культура микенской Греции და Обзор новейшей литературы по греческим надписям микенской эпохи (ВДИ, 1957, № 3, стр. 196—213, ВДИ, 1963, № 1, გვ. 111); проф. Колобова, Очерки истории древней Греции, Л., 1958, გვ. 39.

[12] „Древняя Греция" (Инст. истории АН СССР, 1956), стр. 58.

[13] 1906 წელს გამოქვეყნებულ შრომაში—Essai de classification des époques de la civilisation minoenne, უკანასკნელ დროს გორდონ ჩაილდმა საერთოდ ევროპის უძველესი ცივილიზაციის საკუთარი ზოგადი ქრონოლოგია წამოაყენა (იხ. Гордон Чайлд, У истоков европейской цивилизации, перевод с английского, 1952, გვ. 455—461).

[14] Wilcken-ი ფიქრობს, რომ ადგილი ჭონდა აქეელთა მხოლოდ ცალკეულ თავდასხმას გაძარცვის მიზნით. იხ. მისი Griechische Geschichte[8], S. 27.

[15] ედ. მაიერი გვარწმუნებს, რომ ეგვიპტელებმა და კრეტელებმა შეერთებულად დაამხეს ჰიქსოსების ბატონობაო (Geschichte d. Altertums, II, 1, 1928, S. 165); რ. ჰენინგს კი შესაძლებლად მიაჩნია, ვიფიქროთ, რომ კრეტა თავის დროზე ხიანის მიერ იყო დაპყრობილი (Die Anfänge d. kult. und Handelsverkehrs in der Mittelmeerwelt—„Hist. Zeitschrift", 1924, B. 139, H. 1,S, 6).

[16] R. Pöhlmann-ი (Griechische Geschichte[5], S. 28) მინოსის სახელს მინოტავრს უკავშირებს და იგი პირველადი ცის ღმერთის გმირად გადაქცევის შედეგად მიაჩნია.

[17] იხ. И. С. Кацнельсон, Новые археологические открытия на Крите и в мат. Греции (ВДИ, 1955, 4. გვ. 186).

[18] „მინოსის" ეპოქის კრეტის სახოგადოებრივი წყობილების შესახებ თავის დროზე საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ჩატარდა ფართო დისკუსია. პროფ. ბოგაევსკი იმ აზრს იცავდა, თითქოს ამ ეპოქაში კრეტა პირველყოფილ-თემურ წყობილებას განიცდიდა და მატრიარქატის არსებობასაც კი სცნობდა, რაც, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. იხ. აგრეთვე Ernst Kornemann. Die Stellung der Frau in der vorgriechischen Mittelmeerkultur („Orient und Antike", 4, 1927).

[19] Акад. В. В. Струве, Общественный строй древнего Крита (ВДИ, 1950, № 4, стр. 43—47); აგრეთვე მისი საყურადღებო წინასიტყვაობა ენგლბერის წიგნის რუსულ თარგმანში (Дж. Пендлбери, Археология Крита, перевод с английского Боровского, 1950).

[20] В. С. Сергеев, История Древней Греции,[8] გვ. 92.

[21] A. Evans, Scripta Minoa, I, გვ. 22—28; 273—293: Ed. Meyer, Geschichte d. Altert, II². 1, S. 217 f.; იგივე, Der Diskus. von Phestos und die Philister auf Kreta (Sitzungsber. der Preuss. Akad. d. Wissen. 1900, II), ბეკშტრემის, Загадочный диск (ЖМНП, დეკემბერი, 1911): ალ. წერეთელი, ეგეოსის კულტურა, გვ. 66—71.

[22] იხ. Ed. Meyer, G. d. Al., II, 1, S. 179.

[23] იხ. კრებული „მცხეთა", I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, გვ. 74—75.

[24] იხ. Wilamowitz, Athena (Sitzungsber, d. Preuss. Akad. d. W., 1921, LIV); იგივე, Glaube der Hellenen, I, S. 234 ff.

[24ა] ამ ორენიანი ნაწერების შესახ. იხ. Новые надписи из Пирги на финикийском и этрусском языках (ВДИ, 1965. 3, გვ. 108—131).

[24ბ] ჰომეროსზე: გრ. წერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1927, პ. ბერაძე, „ილიადას" პოემის ტ. I, მხატვრული ადგილები, თსუ შრომები № 14.

[25] И. М. Троицкий, История античной литературы, გვ. 29.

[26] ჯერ კიდევ 1886 წელს გამოქვეყნებულ შრომაში — Das Homerische Epos aus Denkmälern erläutert ჰელბიგმა ს

[27] ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ იხ. И. Свентицкая, Обзор основных археологических открытий в Греции за послевоенные годы (ВДИ, 1955, 2, გვ. 208—216).

[28] Ed. Meyer—H. E. Stier, Geschichte des Altertums, III², Stuttgart, 1934, S. 398.

[29] С. Я. Лурье, Язык и культура микенской Греции, გვ. 205—211.

[30] ალ. წერეთელი, ხეთელები და მათი სამყარო, თბ., გვ. 50 შემდ.

[31] История древней Греции, под редакцией В. И. Авдиева и Н. Н Пикуса, 1962, გვ. 104—105.

[32] აქ და ქვემოთ ძირითადად ლ ურიეს ვენყარებით. Сергеев, История древней Греции², გვ. 95.

[33] მართალია *ἀφνέρα* „ტყავს" ნიშნავს, მაგრამ სპეციალისტების განმარტებით მისი თავდაპირველი მნიშვნელობა „ფირფიტა", „საწერი ფიცარი" უნდა ყოფილიყო და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტყავზე დაიწყეს წერა, მას „ტყავის" ნიშნველობა მიენიჭა.

[34] თავისთავად გვებადება კითხვა, ხომ არ შეიძლება მათში ეგვიპტის დოკუმენტებში მოხსენებული ის მონები შევიცნოთ, რომლებიც სატაძრო მიწებს ამუშაავებდნენ? (იხ. სხვათა შორის И. М. Лурье, Рабы-держатели храмовой земли, ВДИ, 1955, 1, გვ. 16—27).

[35] მონობის საკითხს საბჭოურ ლიტერატურაში შეეხენ: ს. ლ ურიე, К вопросу о рабовладении в микен. эпоху (ВДИ, 1957, 2) და Я. А. Ленцман, Пилосские надписи и вопросы рабовладения в мик. Греции (ВДИ. 1955, 4). იგივე, Рабство в микенской и гомеровской Греции, М., 1963. იხ. პიკუსის რეცენზია მის შესახებ—ВДИ, 1965, № 1, გვ. 163—166.

[36] აქეელთა ასეთი დიდი სანეფოს არსებობა თავის დროზე ფართოდ იქნა გაზიარებული, დღეს კი უარყოფილად ითვლება.

[37] იხ. Vorrer. Die Griechen in den Boghazkoi—Texten (Orient. Literaturzeitung. XXVII. 1924, S. 113—118) და Vorhomerische Griechen in den Keilschrifttexten von Boghazkoi („Mitt. d. Deutsch, Or.—Ces.", LXIII, 1924, 1—22.

[38] იხ. Wilcken, Griechische Geschichte², S. 236, Anm. zu S. 33. ნაჩვენებია ამ ჰიპოთეზის საწინააღმდეგო ლიტერატურა.

[39] იხ. კ ა ც ნ ე ლ ს ო ნ ი ს დასახ. ნარკვევი, გვ. 191.

[40] პირველ რიგში დასახელებულ უნდა იქნას ბ ე ლ ო ხ ი. იხ. მისი Die dorische Wanderung („Rhein. Mus.", 1890, 45, S. 555 ff) და Griechische Geschichte², S. 76 ff. მისი აზრით, თქმულება დორიელთა გადასახლებაზე გვიან დროშია წარმოქმნილი და არავითარი კავშირი მასთან არ აქვს; უნდა ვიფიქროთო, რომ ბერძნებმა ჰონეროსის შემდგომ მონხდარ ტონთა გადასახლების შესახებ ეტიოლოგიური მითი შეთხზესო. ასეთი მოსაზრება უფრო გაამახვილა Kahrstodt-მა (Die Nationalität der Erbauer von Mykenae und Tyrins.—„Neue Jahrb. f. klass. Philologie", 1919). ის სასაცილოდ იგდებს იმათ, ვისაც სწამთ დორიელთა გადასახლება და უჯერებს ძვ. წ. V საუკუნის ლოგოგრაფოსის ჰეკატეოსისა და ისტორიკოსის ჰეროდოტეს ცნობებს. ასეთმა პირებმა ისიც უნდა იწამონ, რომ „დედამიწა მთელი მეხუთე საუკუნის განმავლობაში სიბრტყე იყო, რომელსაც გარს ოკეანე უვლიდა, როგორც ამას ჰეკატეოსი ამტკიცებდა". ე დ. მ ა ჯ ერ ს (დას. შრომის გვ. 570), ერთი მხრივ, დორიელთა გადასახლების პრობლემა გადაუწყვეტლად მიაჩნია, ხოლო, მეორე მხრივ, ხაზს.

ᲣᲡᲕᲐᲛᲡ ᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲐᲚᲮᲣᲠ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲗᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲐᲠᲡᲡ (Geschichte d. Alt. III², S. 234. იხ. ამ საკითხზე Р. В. Шмидт. Античное предание о дорийском переселении (ВДИ, 1938, 2/3, გვ. 50—65).

[31] Акад. Тюменев, ук. ст.. стр. 43—45.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ

[1] იხ. И. М. Тронский, История античной литературы², стр. 51—64; Я. А. Лениман, О некоторых новых трудах по истории ранней Греции (ВДИ, 1955, 3, стр. 140—157); В. С. Сергеев. История древней Греции², стр. 104—108; В. П. Бузескул, Введение в историю Греции, Харьк, 1915; ალ. წერეთელი, ᲰᲝᲛᲔᲠᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲑᲐ („ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲕᲚᲘᲠᲝᲑᲐ" 1924, I, გვ. 47—62), ძველი საბერძნეთი, I, გვ. 91—95: Wilamowitz-Moellendorf, Hias und Homer. Berl., 1916; F. Cauer, Grundfragen der Homerkritik³, Lpz., 1923; G, Finsler, Homer², 1918, „Древняя Греция", გვ. 71—87; და სხვ.

[2] ს. ყაუხჩიშვილი, ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, გვ. 21—64; А. Лосев, Гомер, М.. 1960; С. Москин, Гомер и его поэмы. М., 1962; Е. Г. Кагаров. Общественный строй гомеровской эпохи, Советская этнография, 1938, № 4.

[3] იხ. T. Kircher, Imagines inscriptionum Atticarum, Berl, 1948, გვ. 9.

[4] ეს ცნობები მოტანილია ს. ყაუხჩიშვილის ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ, გვ. 60—61.

[5] ამას თავის დროზე ხაზი გაუსვა აკად. ᲢᲘᲣᲛᲔᲜᲔᲕᲛᲐ.

[6] ძველ მკვლევართა შორის კოლეკტიურ საკუთრებას დასაბაბად სთვლიდა ᲕᲘᲚᲐᲛᲝᲕᲘᲪ-ᲛᲝᲔᲚᲔᲜᲓᲝᲠᲤᲘ (Aristoteles und Athen, II, 1893, S. 47—48; Staat und Gesellschaft der Griechen², სერია „Kultur der Gegenwart". 1923, S. 61—62).

[7] ფრ. ᲔᲜ�გᲔᲚᲡᲘ, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამი, 1958, გვ. 146.

[8] ᲘᲥᲕᲔ. გვ. 143.

[9] იხ. Вл. Георгиев, Происхождение алфавита (ВЯ, 1952, გვ. 48—83) და ᲛᲘᲡᲘᲕᲔ Проблемы минойского языка. София. 1953.

[10] იხ. Б. В. Горнунг-ის რეცენზია გეორგიევის შრომაზე (ВЯ, 1954, 2, стр. 107—111).

[11] უდავოდ მიაჩნია, მაგ., უახლოესი დროის მკვლევარს M. Cohen-ს ბერძნული ანბანის ფინიკიურისაგან წარმოშობა (იხ. მისი L'écriture, Paris, 1953, გვ. 60).

[12] ალ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ. სირია და ფინიკია, გვ. 61—64.

[13] იხ. Ed. Meyer, Gottesstaat, Militärherschaft und Ständewesen in Agypten (Sitz.—ber. d. Preuss. Akad. XXVIII, 1928, S. 145 ff).

[14] Wilcken, ᲫᲘᲗ. ᲨᲠᲝᲛᲐ, გვ. 52; Wilamowitz—Möllendorf, Hellenistische Dichtung. I, 1924. S. 69.

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ

[1] ამ საკითხის წყაროებსა და ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲖᲔ—G. Busolt—H. Swoboda, Griechische Staatskunde, II, 1926. S. 1256—1268.

[2] К. М. Колобова, Родос микенской эпохи (ВДИ, 4, 1946, стр. 181—188).

[3] ალ. წერეთელი, ძველი რომი, I, გვ. 58 შმდ.

[4] მისივე, სირია და ფინიკია, გვ. 43—44.

[5] Wilcken, S. 58.

[6] ნავკრატისზე—G. Hirschfeld, Die Gründung von Naukratis „Rhein. Mus.", 42, 1887, S. 209 f. f.); H. Prinz, Funde aus Nauktratis (7 Beiheft zu „Klio", 1909).

[7] კოლონიზაციის ზოგადი მსვლელობა: Жебелев, История Греции, I, 1936. გვ. 146—170; „Древняя Греция", გვ. 114—129; Wilcken, Gr. Gesch.[3], S. 64—69.

[8] М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья. 1956, გვ. 19-20.

[9] გრ. მელიქიშვილი, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 220—226.

[10] ნ. ლომოური, კოლხეთის სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1962.

[11] ოთ. ლორთქიფანიძე, „კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის საკითხისათვის" („მაცნე", № 3, გვ. 184—200).

[12] Anthologia lyrica Graeca, ed. E. Diehl, Fasc. 3, Lipsiae, 1954; Хрестоматия по истории древней Греции. М., 1964. გვ 93.

[13] Всемирная история, т. I., გვ. 666.

[14] W. Wilcken. Griechische Geschichte[3], S. 69.

[15] С. И. Соболевский, Начало греческой прозы (История Греческой литературы, т. II, М., 1955, გვ. 12).

[16] იხ. თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960.

[17] პრომეთეს მითსა და არგონავტების თქმულებას ვრცლად შეეხო თ. მიქელაძე, „ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის", საქ. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყოფილების „მოამბე", ტ. II, 1960.

[18] განსვენებულ ივ. ჯავახიშვილს ვრცლად აქვს განხილული თქმულებანი ამირანზე (ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, 1960, გვ. 14 შმდ.).

[19] საქართველოს ისტორია, I (დამხმარე სახელმძღვანელო), გვ. 28.

[20] გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჰეროდოტესთან „სკვითია" და „კოლხეთი" იდენტური ცნებებია.

[21] აკ. ურუშაძე, პრომეთეს მითის ერთი თავისებური ვერსიის შესახებ, თსუ „შრომები", ტ. 45, 1951, გვ. 225 შდგ., იგივე. ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, 1964, გვ. 46—47.

[22] ივ. ჯავახიშვილი, მოხსენებული წიგნი, გვ. 163.

[23] ამონაწერი პროფ. გ. ჩიტაიას მოსაზრებიდან „ნიკო მარი და კავკასიის ეთნოგრაფია".

[24] М. Я. Чиковани, Образ приковзнного героя Амирани в колхидо-иберийском фольклоре.

[25] ამ მხრივ უდაო ყურადღების ღირსია ელ. ვირსალაძის 1961 წელს გამოქვეყნებული „ქართული სამონადირო ეპოსი".

[26] Аполлоний Родосский, „Аргонавтика", перевод. введение и примечания Григория Филимоновича Церетели, Тб., 1934 (რედაქტორები პროფ. პეტროვსკი და პროფ. ს. ყაუხჩიშვილი).

[27] არგონავტების თქმულებასთანაა დაკავშირებული ლევან სანიკიძის „ამბავი კოლხი ქალისა", რომელშიც ავტორი ცდილობს აღადგინოს „მიახლოებით მაინც ძველთაძველი კოლხეთის და საბერძნეთის ურთიერთობის მართებული სურათი" და ცენტრალური ფიგურის მედეას ნამდვილი ნოქმედების სახე და მოტივები. იხ. მისივე—„პრომეთეა" და „არგონავტიკა" აკაკი წერეთლის შემოქმედებაში („მნათობი", 1960, № 9, გვ. 66).

[28] ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1694, გვ. 13.

[29] Ю. В. Андреев, Мужские союзы в поэме Гомера (ВДИ, 1964, № 4, გვ. 49).

[30] Проф. А. Ф. Лосев, Гомер, М., 1960. გვ. 220, უფრო გარკვეულად, Фанула Папазоглу, К вопросу о преемственности общественного строя в Микенской и Гомеровской Греции (ВДИ, 1961, № 1).

[31] პაპაზოგლუ, დასახ. სტატია, გვ. 40—41.

[32] В. П. Бузескул, Введение в историю, 1915, გვ. 178.

[33] Д. Ж. Томсон, Исследования по истории Древнегреческого общества (რუსული თარგმანი), М., 1958, გვ. 369.

[34] J. Hasebrock, Griechische Wirtschafts—und Gesellschafts-Geschichte bis zur Perserzeit, Tübingen, 1931, S. 109—109; Ziebarth, Beiträge zur Geschichte des Seraubs und Seehandels im alten Griechenland; Hamb, 1929.

[35] „საქართველოს ისტორია", ტ. I, 1946, გვ. 44, 48, 51—55.

[36] ნ. ლომოური, Из исторической географии древней Колхиды (ВДИ, 1957, № 4, გვ. 96—110). მაქ. ბერძენიშვილი, ქალაქ ფასისის ლოკალიზაციისათვის, თსუ „შრომები", XXII, 1942, გვ. 1—22.

[37] მათ შესახებ იხ. მ. იმნაძე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები (დიოსკურია—სებასტოპოლისი, ბიპვინთა), საქ. მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყოფილების მოამბე, 1964, № 4, გვ. 132.

[38] ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი: „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", გვ. 11.

[39] ალ. ქალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, წინასიტყვაობა, გვ. 11.

[40] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, 108—109.

[41] Д. Капанадзе и К. Голенко, к вопросу о происхождении колхидок, ВДИ, 1957, № 4.

[42] ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, გვ. 103.

[43] А. М. Апакидзе, Результаты археологического изучения античных городов Грузии (კრებულში „Античный город", М., 1963, გვ. 152).

[44] К. Думберг, Раскопки курганов на зубовском хуторе Кубанской области, И АК, вып. 1, СПТ, 1901, გვ. 98—100.

[45] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961. გვ. 69.

[46] E. Pfuhl, Archäologischer Anzeiger, 1917, № 37.

[47] ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961, გვ. 63.

[48] Д. Капанадзе и К. Голенко, К вопросу о происхождении колхидок (ВДИ, 4. 1957, გვ. 88—95.

[49] მოცემულია გაიდუკევიჩი — Боспорское царство. М.,—Л. 1949, გვ. 20—23, 26—36; იხ. აგრეთვე А. Иессен, Греческая колонизация Северного Причерноморья, 1957, стр. 58—70; Каллистов, Очерки по истории Северного Причерноморья античной эпохи, 1947; იგივე, Северное Причерноморье в античную эпоху, М., 1952; Древняя Греция, გვ. 111—130; В. С. Сергеев, Истории древней Греции, გვ. 124—141; С. А. Жебелев, Северное Причерноморье. М.,—Л., 1953; М. И. Ростовцев, Скифия и Боспор, критическое обозрение памятников литературных и археологических, Л., 1925; „Проблемы истории Северного Причерноморья в античную епоху", Сборн. статей под редак. А. И. Смирнова. М., 1954.

[50] Б. В. Фармаковский, Ольвия, М., 1915; Л. М. Славин, Древний город Ольвия, Киев. 1950; „Ольвия", сбор. статей, Киев. 1940.

[51] ამ სრუტის სახელწოდება გვაფიქრებინებს, რომ სკვითების წინ აქ კიმერიელები იყვნენ განსახლებული. სტრაბონის სიტყვით (XI, 2,5) კიმერიელებს ოდესღაც დიდი ძალა ჰქონდათ ბოსფორში, რის გამოც მას კიმერიული ეწოდათ. ყოველ შემთხვევაში კიმერიის ბოსფორი გარკვეულად უნდა განვასხვაოთ თრაკიის ბოსფორისაგან.

[52] ანტიკურ ეპოქაში ისეთი წარმოდგენა ჰქონდათ, თითქოს კიმერიის ბოსფორი ევროპას აზიისაგან გამოჰყოფდა. ამ საზღვრის გაგრძელებად ჩრდილოეთით მეოტიდა (აზოვის ზღვა) და ტანაისი (დონი) ციხრნდათ (იხ. გაიდუკევიჩი, გვ. 28. შენ.).

[53] მის შესახებ — Т. Н. Книпович, Танаис, 1949.

[54] შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე ბერძენთა კოლონიზაციის შესწავლას დიდი ამაგი დასდეს როგორც ძველი, ისე ახალი თაობის გამოჩენილმა მკვლევარებმა. საბჭოური არქეოლოგების დამსახურება ამ დარგში დიდია. 1964 წელს გამოვიდა სოლომონიკის საყურადღებო ნაშრომი Новые эпиграфические памятники Херсонеса.

[55] Д Каллистов, Очерки, стр. 11.

[56] იხ. Wilcken. Hellenen und Barbaren. 1906; J. Jüthner, Hellenen und Barbaren. Aus der Geschichte des Nationalbewusstseins, 1923 (das Erbe der Alten, VIII).

[57] „Древняя Греция", გვ. 157, შმდ.

[58] Зограф, Античные монеты, 1951, стр. 24.

[59] С. Я. Лурье, История античной общественной мысли, М., 1929, стр. 56.

[60] იხ. Я. Ленцман, Послегомеровский эпос как источник для социально-экономической истории ранней Греции (ВДИ, 1954, 4, стр. 60).

[61] Тронский, История античной литературы², стр. 66.

[62] იხ. მისი Griechische Geschichte, I² 1, S. 312, Anm. 1.

[63] Тронский, о. с., стр. 65.

[64] С. Лурье, о. с., стр. 66—70.

[65] ბუზოლტი ჰესიოდეს „სამუშაონი და დღეების" შესახებ ამბობს: „Sie sind Vorboten der revolutionären Bewegung" (Griechische Staatskunde, Berlin, 1, 1920. S. 37).

[66] J. G. Frazer, The Colden Bough³, 1911, ტ. VI, გვ. 306 შმდ., 351 შმდ. ფრეზერის მოსაზრება მოტანილია ლურიეთი (გვ. 37—41).

[67] Ленцман, о. с., стр. 68—71.

[68] Beloch, Gr. Gesch, I² 1, S. 354.

[69] Büchsenschütz, Besitz und Erwerb im griech. Altertum, Halle, 1869. S. 75. Busolt, Griech. Staatskunde, § 26, Klassen und Parteigegensätze. S. 210—220.

[70—71] იხ. მისი „Истор. ант. общ. мысли", стр. 72—74 და „Der Affe des Archilochos und die Brautwerbung des Hippokleides" („Philologus", 1929); აგრეთვე, ЖМНП, дек. 1917, стр. 323—339.

[72] ალკეოს ნაწყვეტები გამოსცა E. Diehl-მა, „Anthologia Lyrica Graeca", I, Leipz. 1924. S. 390—446.

[73] С. Лурье, о. с., стр. 79.

[74] გრ. წერეთელი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, გვ. 278.

[75] Сергеев, История Греции², стр. 145 сл.

[76] С. Лурье. о. с., стр. 83.

[77] Pöhlmann, Griechische Geschichte⁵, S. 76, f.

[78] Wilcken, Griech. Gesch., S. 72 f.

[79] Griech. Gesch., I² 1, S. 212.

[80] В. И. Бузескул, Международный третейский суд в дреиегреческом мире („Вестник Европы", 1917, кн. 4—6. стр. 134 сл.).

[81] პროკსენოსის უძველესი მოხსენება გვხვდება VI ს. ერთ წარწერაში—სახელმბრ მენეკრატეს საფლავის ქვის ზედწერაში. როგორც ჩანს, ის თავის ქალაქ ლოკრში კერკირის პროკსენოსი ყოფილა (Beloch, I² 1, S. 282, Anm. 1).

[82] 1928 წელს გამოიცა კრებული—Sparta—von F. Bölte, Ehrenberg, L. Ziehen, G. Lippold (ცალკე ამონაბეჭდი Pauly-Wissowa-ს Real-Encyklopädie der classischen Altertumswissenschaft-დან, B. III A. Sp. 1265—1528), რომელშიც სპარტის გეოგრაფიულ პირობებს ეხება—Bölte, ისტორიულ განვითარებას—Ehrenberg-ი, კულტს—Ziehen-ი და სპარტას, როგორც ხელოვნების ქალაქს—Lippold-ი.

[83] ზემო შენიშვნაში მოხსენებული Bölte გვაძლევს სპარტის ისტორიულ გეოგრაფიას, რომელიც ასე დაკავშირებით აღარ ყოფილა განხილული კურციუსის Peloponessos-ის შემდეგ (1852). გეოგრაფიას თან მოსდევს სპარტის ტოპოგრაფიაც, რომელსაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ინგლისელების გათხრებმა.

[84] იხ. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, I, ძველბერძნულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებები დაურთო აკაკი ურუშაძემ, თბილისი, 1957. პლუტარქეს მიერ გადმოცემული ლიკურგოსის ბიოგრაფიის შესახებ იხ., სხვათა შორის, E. Kessler, Plutarchs Leben des Lykurg. Berlin. 1910; Ed. Meyer, Lykurg von Sparta (Forschungen zur alten Geschichte, I), და სხვ.

[85] М. Хвостов, История Греции, стр. 150.

[86] ციტირებულია ხვოსტოვით.

[87] Ul. Wilcken, S. 72.

[88] თავის ნაშრომებში: Handbuch der griechischen Staatsalterthümer I² (Leipzig, 1893) და Studien zur altspartanischen Geschichte (Cötting. 1872). ვილამოვიც-მოელენდორფიც რეტრას ხელშეკრულებად თვლის, მაგრამ არა ორ თემს შორის, არამედ სპარტის თემსა, უმთავრესად არისტოკრატიას და მეუფეს შორის. განსვენებული პროფ. ხვოსტოვიც, რომელსაც აღნიშნული აქვს ეს ცნობები, გარკვეულად ამბობს: „სპარტის სახელმწიფოებრივი წყობილება შეიძლება თემთა შეერთების ნიადაგზე წარმოშობილად ჩავთვალოთ, ხოლო რეტრა მათ შორის ხელშეკრულებად" (История Греции, стр. 153).

[89] იხ. მისი Forschungen zur alten Geschichte I, S. 213 ff.

[90] უკვე დასახელებული Ehrenberg-ი ამ ფაქტს უკავშირებს ურთიერთობას სპარტიატებს, პერიეკებსა და ჰილოტებს შორის და სპარტის წყობილებისა და ყოფა-ცხოვრების თავისებურებას.

[91] Лурье, История античной общественной мысли, стр. 29—30.

[92] ამის მსგავს მოვლენას ვხედავთ ძველ კრეტაზე, ხოლო საბერძნეთის სხვა ადგილებში ვაღნენვთ მის უფრო მცირე რუდიმენტებს. თანამედროვე მელანეზიელების საზოგადოების ხელისუფლების ორგანიზაცია წარმოდგენილია ორი ძირითადი ფორმით: მამაკაცთა კავშირებისა და წინამძღოლთა ინსტიტუტის სახით (იხ. С. А. Токарев, Общественный строй меланезийцев. Этнография, кн. VIII, 1929, № 2, стр. 15 сл.). მამაკაცთა კავშირების შესახებ ჰრსებული ლიტერატურა მრავალ საკამათო ან ზოგჯერ მიუღებელ დებულებათ შეიცავს. განსაკუთრებით ცნობილია H. Schurtz-ის Altersklassen und Männerbünde. Berl. 1902; ს. ლ ურ ი ე, რომელიც შედარებით ვრცლად იხილავს ამ საკითხს, თვითონვე იძულებულია აღიაროს, რომ საზოგადოების უძველესი ისტორიის ნის მიერ წარმოდგენილი რეკონსტრუქცია მხოლოდ ჰიპოთეზია (გვ. 30—32).

[93] იხ. ალ. წ ერ ე თ ელ ი, სკოლა და სახალხო განათლება ძველ საბერძნეთში („ჩვენი მეცნიერება", № 6-7, 1923, გვ. 24—47).

[94] Wilcken, დასახ. შრ., გვ. 74.

[95] R. Pöhlmann. Griechische Geschichte[5], S. 38.

[96] ალ. წ ერ ე თ ელ ი, ძველი საბერძნეთის ისტორია, I, გვ. 105.

[97] С. Лурье, დასახ. შრ., გვ. 174—175.

[98] Wilcken, გვ. 74—75.

[99] იქვე, გვ. 76—77.

[100] ეს ფრაგმენტი გამოაქვეყნა და მისი ისტორიული ბნიშვნელობა გაარკვია—Wilamowitz-Möllendorf-მა (Sitzungsber. d. Preuss. Akad. d. Wissen., 1916, XXXVI).

[101] Wilcken, დასახ. შრ., გვ. 79—80.

[102] სხვებს შორის უდავო ყურადღების ღირსია U. Kahrstedt-ის ცნობილი შრომა Griechische Staatsrecht, I, Sparta und seine Symmachie, Göttingen, 1922, რომელიც მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს. მაგრამ კაჰრშდედტი ისტორიულ სინამდვილეს შორდება, როდესაც ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ სპარტა თავისი წყობილებით აღვირახსნილი ათენის დემოკრატიის ხღუდე იყო. დამახასიათებელია, რომ ორიოდე წლის წინათ გამოსულ საყურადღებო შრომაში ინგლისელი მკვლევარი მ ი ჩ ელ ი ც სპარტის წყობილებას ათენისაზე მაღლა აყენებს (Michell, Sparta, Cambridge, 1952).

[103] Busolt—Swoboda, Griechische Staatskunde, II, S. 737.

[103ა]. გორტინის კანონებს სპეციალური ნარკვევი მიუძღვნა ლ ა მ ა რ ა ი ო ს ე ლ ი ა ნ მ ა.

[104] Колобова, Войкен на Крите (ВДИ, 1957, 2, გვ. 36).

[105] იქვე, გვ. 41-42.

[106] Казаманова, Некоторые вопросы социально-экономического строя критских полисов (ВДИ, 1957, 3, გვ. 72, შმდ).

[107] Busolt—Swoboda, S. 746 ff.

[108] „Древняя Греция", გვ. 105-106.

[109] იქვე, გვ. 107—108.

[110] C. Wachsmuth, Die Stadt Athen in Altertum, B. I, S 364 ff; იხ. M. Хвостов, История Греции, გვ. 117.

[111] „ათენელთა სახელმწიფოს წყობილება" ნაწილობრივ თარგნილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ქუთ., 1935: ათენის ძველი ისტორიის შესახებ—Boysek, К историй Аттики XI—VIII в.в. дон. э. (ВДИ, 1962. № 1).

[112] В. П. Бузескул, Афинская полития Аристотеля, Харьков, 1895, стр. 311.

[113] დაწვრილებით—ალ. წერეთელი, სოლონის სეისახთეია, გვ. 47—54.

[114] Wilamowitz—Möllendorf, Aristoteles und Athen, Berl., 1883, II, S. 56.

[115] Ed. Meyer, Forschungen z. alt. Geschichte, 1, S. 237-238; Gesch. d. Alt., II ² 1, S. 364.

[116] Beloch, Griechische Geschichte, I², 2, S. 258—268.

[117] Афинская полития Аристотеля, стр. 322.

[118] Zur Drakontischen Verfassung („Apophoreton", 1903. S. 85 ff.); Griech. Gesch ². S. 239, zu S. 80.

[119] მოტანილია ურუშაძის თარგმანის მიხედვით.

[120] სოლონის ელეგიებზე—Wilamowitz—Möllendorf. Aristoteles und Athen, II, S. 304—315; Peppmüller, Solons Gedichte (Jahresber. d. Gym. zu Stralsund, 1904); Berg. Poëtae lirici Graeci II.

[121] დაწვრილებით—ალ. წერეთელი, სოლონის სეისახთეია, გვ. 18—22.

[122] Ul. Wilcken, ზეხს. შრ., გვ. 81: „Jedenfalls begegnen später in Attica keine Sechstelmänner mehr, und die Späteren verstehen daher diese Einrichtung nicht mehr".

[123] Пёльман, История античн. коммунизма и социализма, II, стр. 360, 357.

[123а] დაწვრილებით—„სოლონის სეისახთეია", გვ. 144 შმდ.

[124] Wilamowitz-ი გვირჩევს ერთი მეორისაგან განვასხვაოთ *ἡ σεισαχθεία* და *τὰ σεισαχθεία*: პირველი. მისი სიტყვით, თვით რეფორმას გამოხატავდა, მეორე კი—ამ ამბის მოსაგონარ დღესასწაულს და აქიტომაც ეს ტერმინი დაცულ იქნაო (o. c. S. 62, Anm. 37).

[125] „სოლონის სეისახთეია", გვ. 124 შმთ.

[126] Ciccotti, Griechische Geschichte, S. 80.

[127] Swoboda-ს შესაძლებლად მიაჩნია, ვიფიქროთ, რომ სოლონმა მიწის ნორმის მაქსიმუმი დააწესა და ზედმეტი ნაწილი ხალხს დაურიგა (Beiträge zur griech. Rechtsgeschichte, Abt. II, S. 276). მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთი დასკვნის საფუძველს ჩვენს ხელთ არსებული ცნობები არ გვაძლევს.

[128] იხ. მისი სპეციალური ნარკვევი „Hermes"-ში, LXIII 4, 1928, S. 236 ff., აგრეთვე, Griech. Gesch ², S. 82, თავის ნარკვევში ვილკენმა ფრიად საფუძვლიანად შეასწორა პლუტარქეს მიერ გადმოცემული სოლონის ბიოგრაფიის ერთი ბუნდოვანი ადგილი: *εἰς μὲν τὰ τιμήματα τῶν θυσιῶν*; სიტყვა „*θυσιῶν*" (*θυσία* = ქსხვეერპლშეწირვა) მან „*οὐσιῶν*"-ით (*οὐσία* = ქონება) შეცვალა და ამით ტექსტიც უფრო გასაგები გახადა.

[129] იხ. С. Лурье, указ. соч., стр. 95. ლურიეს აზრით, ოთხასის საბჭო და ჰელიეა სოლონამდეც არსებობდა და სოლონმა მხოლოდ ადათის კოდიფიკაცია გაატარა. ლურიე გვპირდებოდა, რომ ამ აზრის დამტკიცებას ცალკე ნარკვევში მოგვცემდა, მაგრამ, რამდენადაც მე საშუალება არ მქონდა სისტემატურად მედევნებია თვალყური, ასეთ ნარკვევს მე არ ვიცნობ.

[130] მსგავს ქვის სვეტზე მიახ. ძვ. წ. 600 წელს დაწერილი კანონები აღმოჩნდა ქიოსზე (იხ. U. v. Wilamovitz. Nordionische Steine, Abh. d. Preuss. Akad. d. W., 1909).

[131] С. Лурье, указ. соч. стр. 101-102.

[132] М. Хвостов, История Греции, стр. 142.

[133] Griechische Geschichte, I² 1, S. 328.

[134] ჰეროდოტე გადმოგვცემს (I. 64), რომ „ზოგი მათგანი ბრძოლებში დაიღუპა, სხვები კი სახლეარგარეთ გაიქცნენო".

[135] Wilcken, ხსენ. შრ., გვ. 84.

[136] М. Хвостов, указ. тр., стр. 145.

[137] Бузескул, История афин. демократии, стр. 85.

[138] იქვე, გვ. 84.

[139] С. Лурье. указ. тр., стр. 154.

[140] Пёльманн, История ант. коммун., стр. 355.

[141] Wilcken, ხსენ. შრ., გვ. 87.

[142] იქვე, გვ. 88-89.

[143] მოცემულია კუნის—„Что рассказывали древние греки о своих богах и героях" მიხედვით, ნ. I, გვ. 13—15.

[144] მიცვალებულთა კულტსა და ორფიკებზე—Wilcken, S. 89—90.

[145] Теодор Гомперц (Th. Gomperz, Griechische Denker) რუს. თარგ., Греческие мыслители, I, стр. 118—119.

[146] Beloch, დასახ. შრ., S. 313-314.

[147] Wilcken-ი გვარწმუნებს, რომ ტირტეოსი „war also sicher ein Spartaner und nicht ein Athener, oder ein sonstiger Ausländer, wie andere glaubten" (S. 76).

[148] Сергеев, История Греции, стр. 187.

[149] Фр. Энгельс, Диалектика природы, Госполитиздат, 1949, стр. 147.

[150] იხ. Wilcken, დასახ. შრ., გვ. 92—96; „Древняя Греция", 490 შმდ.

თავი მეოთხე

[1] და არა თავი მოუკლავს, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობდა.

[2] В. П. Бузескул, Важнейшие открытия.., 1, Восток, стр. 189.

[3] Авдиев, История древнего Востока². стр. 557—558.

[4] Проф. Н. Ф. Дератани, Эсхил и грекоперсидская война (ВДИ, 1946, 1. стр. 9—19).

[5] ჰეროდოტეზე: В. П. Бузескул, Введение в историю Греции, 1915, стр. 60 сл.; Мищенко, Геродот, т. I, вводная статья; проф. С. Лурье, Геродот, 1947; И. М. Тронский, История ант. литературы², стр. 178—180: Pöhlmann, Griechische Geschichte⁵, S. 111 ff.

[6] იხ. Thomas Lenschau—„Klio", XIII (1913). S. 175—183.

[7] იხ. Hugo Prinz. Funde aus Naukratis („Klio", B. 7, 1908, S. 114).

[8] Ed. Meyer. Forschungen zur alten Geschichte, II, S. 198.

[9] Pölmann o. c. S. 122.

[10] Stefan Heinlein, Marathon und Alkmeoniden (Ungarische Rundschau, I, 1912, S. 880 f.).

[11] С. Лурье, о. с, გვ. 147—150.

[12] Griechische Geschichte, II², 2, S. 130; იხ. აგრეთვე A. Rosenberg. Die Parteistellung des Themistokles („Hermes", LII. 1918. S. 308 ff.).

[13] Beloch, II², 1, S. 28.

[14] В. И. Бузескул, История афинской демократии, стр. 106.

[15] Pöhlmann, Gr. Gesch. S. 122.

[16] С. Лурье, о. с., გვ. 152.

[17] ხვოსტოვით, История Греции, стр. 173.

[18] Delbrück-ი ფიქრობს, რომ სპარსელების ჯარის რიცხვი მიახლოვებით 45—50 ათასს უდრიდა (იხ. მისი Perserkriege und Burgunderkriege, S. 157 ff).

[19] იხ. Reuther, Pausanias, Münster, 1902.

[20] სერგეევით, История Греции³, стр. 209.

[20a] იქვე, გვ. 210.

[21] პროფ. ხვოსტოვი აღნიშნავს: „გაურკვეველი რჩება, ეგვიპტეში დამარცხებისა და კვიპროსთან გამარჯვების შემდგომ დასდეს თუ არა ათენელებმა სპარსელებთან ფორმალური ხელშეკრულება (ეგრეთ წოდებული „კიმონის ზავი"). IV ს-ში ათენში გავრცელებული იყო ამ ხელშეკრულების ტექსტი (Plut, Kim. 13), მაგრამ უკვე მაშინ ეს ტექსტი ზოგიერთს ყალბად მიაჩნდა" (История Греции, стр. 175). დღეს, რასაკვირველია, ასეთი ეჭვი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. თავის დროზე ამ საკითხს ვრცლად შეეხო, შესაფერისი ლიტერატურა აღნიშნა და ზავი უტყუარად სცნო ბუზოლტმა (იხ. მისი Griechsche Geschichte, III 1, S. 346—356).

[22] A. Schulten-ი (Die Etrusker in Spanien. „Klio", XXIII 3, S. 365—432) იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეტრუსკები ძვ. წ. 1100 წლებში ხმელთაშუა ზღვის ყველა ნაპირას იყვნენ დამკვიდრებული და პირველებმა დაამყარეს ამ ზღვაზე ბატონობის ერთგვარი სახეო.

თავი მეხუთე

[1] იხ. Wilcken, Griech: Gesch³, S. 112.

[2] Хвостов, История Греции, стр. 180.

[3] Хвостов о. с. стр. 183.

[4] პერიკლეს დროის ათენის დემოკრატიას ქართულ ენაზე შეეხო მ. ალექსიშვილი („ათენის მონათმფლობელური დემოკრატია", თბილისი, 1947).

[5] В. П. Бузескул, История афин. демократии, стр. 120; ბუზესკულს ეკუთვნის აგრეთვე ცნობები პერიკლეს შესახებ, ნარკვევები—Перикл. Личность, деятельность, значение. Пг., 1923 და Перикл. Историко-критический этюд, Харьков, 1889.

[6] С. Лурье, История античн. общ. мысли, стр. 162.

[6a] ამას წინათ აღმოჩენილ იქნა ოსტრაკონი პერიკლეს სახელით. შესაძლებელია, იმ სახალხო კრებაზე, რომელზეც თუკიდიდეს გაძევება გადაწყდა, უკანასკნელის რომელიღაც მომხრემ ოსტრაკონზე პირიქით პერიკლეს სახელი წააწერა.

[7] В. П. Бузескул., История афин. демокр., стр. 134—136.

[8] ibid, გვ. 130-131.

[9] ibid., გვ. 139—140.

[10] Wilcken, დასახ. შრ., გვ. 109—110.

[11] Pöhlmann-ი: „Übrigens war Perikles selbst seinem innersten Wesen nach viel zu sehr Aristokrat" (Griechische Geschichte[5], S. 155); Wilcken-ი: „in seinem äusseren Auftreten durch Erziehung und Tradition seines Hauses ein Aristokrat vom Scheitel bis zur Sohle war (Griech. Geschichte[3], S. 109).

[12] ზოგიერთი მკვლევარი ტენდენციურად აძაგებს იმ დროის ათენის დემოკრატიას, ზოგიც დიდად აზვიადებს პერიკლეს როლს და აკარბებს მისი მოღვაწეობის შეფასებაში.

[12a] В. П. Бузескул, История афинской демок.

[13] Эл. Мейер, Экономическое развитие древнего мира[4]; стр. 54, прим. 2.

[14] Wilcken, დასახ. შრ., გვ. 112.

[15] ibid., S. 114.

[16] იხ. И. М. Кулишер, Очерки экономической истории древней Греции, стр. 191.

[17] ibidem.

[18] Francotte, L'industrie dans la Grèce ancienne I, გვ. 122.

[19] Кулишер, указ. соч., стр. 107.

[20] ibid. გვ. 134.

[21] Wilcken, დასახ. შრ., გვ. 114.

[22] М. Хвостов, История Греции, стр. 189.

[23] Johannes Sundwall, Epigraphische Beiträge zur socialpolitischen Ceschichte Athens im Zeitalter des Demosthenes, Lpz., 4. Beiheft zu Klio, 1906.

[24] ibid., S. 3—18.

[25] Francotte, o. c., გვ. 340.

[26] Хвостов, указ. соч., გვ. 190.

[27] В. Л. Шеффер, Афинское гражданство и народное собрание, М., 1891, стр. 164—166; Francotte o. c., გვ. 253—255.

[28] Бузескул, ук. соч., стр. 196; ავრეთვე, Перикл. Личность, деятельность, значение, Л., 1923.

[29] ამ ტრაქტატის შესახებ იხ. Бузескул, Введение в историю Греции[2]. 1915, стр. 126—129; Кагаров, Спорные вопросы, связанные с Псевдо-Ксенофонтовой „Аф. политией"; А. Захаров, Афинская полития Псевдо-Ксенофонта; Die pseudoxenophontische „*Ἀθηναίων πολιτεία*", Einleitung, Übersetzung, Erklärung von Ernst Kalinka, Teubner, 1913 და სხვ.

[30] იხ. Wilcken; o. c., 5; 143—144; Сергеев, История Греции[3], стр. 305—313.

[31] იხ. А. В. Мишулин, Идеи права в междуэллинских отношениях (ВДИ, 1946, № 2, стр, 51—80); Сергеев, История Греции, стр. 253—260.

თავი III

[1] В. П. Бузескул, Введение в историю Греции, стр. 85 сл.

[2] ibidem.

[3] С. А. Жебелёв, Когда и кем издана история. Фукидиди? (сборник

в честь В. П. Бузескула, Хар., 1914, стр. 222—223) და Фукидид и его творение (Фукидид, т. I. М., 1915, стр. XIII—LIX).

[4] В. П. Бузескул, Введение, стр. 89.

[5] Хвостов, История Греции, стр. 199.

[6] Бузескул, ук. соч., გვ. 90.

[7] Müller-Strübing, Aristophanes und die hist. Kritik. Lpz. 1873; Thukydideische, Forschungen. Wien 1881 და ცალკეული წერილები („Neue Jahrb. f. Philol.", 1883, 1885, 1886). მიულერ-შტრიუბინგი უსაფუძვლოდ უყენებს თუკიდიდეს ბრალდებას, თითქოს მისი ისტორია უფრო „სამხედრო დიდაქტიკური ეპოპეა", „სამხედრო ნოველა" იყოს, ვიდრე ისტორიული შრომა.

[8] Julius Schwarz, Die Demokratie I², Leipzig, 1901. ისიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუკიდიდეს შრომა სხვა არა არის რა, თუ არა ათენელებისა და პელოპონესელების ლაშქრობათა ისტორია და რომ თუკიდიდე „ein beschränktes Geisteskind" იყო, რომელსაც სამუდამოდ უნდა ჩამოერთვას დიდი ისტორიკოსის სახელი. თავის დროზე მისმა ასეთმა მოსაზრებამ გამანადგურებელი პასუხი განიცადა.

[9] В. П. Бузескул, ук. соч., стр. 102—109; Pöhlmann, S. 157. f., W. Schadewaldt, Die Geschichtsschreibung des Thukydides, Berl. 1929, Eugen Täubler, Die Archäologie des Thukydides, Lpz. 1927; W. Nestle, Thukydides und die Sophistik („Neue Jahrb. f. d. Klass. Altertums", S. 649—685); С. Лурье, стр. 360-361.

[10] Бузескул, стр. 113-114.

[11] Ed. Meyer, Geschichte des Altertums. III. S. 279; ეს ციტატი აღნიშნული აქვს ლურიესაც, გვ. 256—257.

[12] С. Лурье, Ксенофонт и его Греческая история; რუსული თარგმანი—Ксенофонт, Греческая история, перевод и комментарии С. Я. Лурье, М., 1935.

[13] Бузескул, стр. 121-122.

[14] მისი სათაურია „*Ἱστορία κοινῶν πράξεων*".

[15] Бузескул, стр. 134.

[16] ibid., стр. 130—131.

[17] უფრო სრული დახასიათება და ლიტერატურა—Бузескул, გვ. 213—224; Woldemar Uxkull—Gyllenband, Plutarch und die griechische Biographie, Stuttgart, 1927; რუსულად პლუტარქეს რჩეული ბიოგრაფიები თარგმნილია პროფ. ს. ლურიეს რედაქციით და წინასიტყვაობით—Плутарх, Избранные биографии, М., 1941, აგრეთვე აკ. ურუშაძის მიერ თარგმნილი ბიოგრაფიები პლუტარქესი. პლუტარქეს ბიოგრაფიები რუსულად სამ ტომადაა გამოცემული კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ—Сравнительные жизнеописания-ს სათაურით (1962—1964): თუკიდიდეს, ქსენოფონტეს და პლუტარქეს დახასიათება იხ. ჩემს „ძველი საბერძნეთის ისტორიის წყაროთმცოდნეობის" მოკლე კურსში.

[18] იხ. В. Н. Ярхо, Социальная позиция антич. крестьянства (ВДИ, 1954, № 2, стр. 28—46); იგივე, Комедии Аристофана и афинская демократия (ВДИ, 1954, № 3, стр. 9—20); И. Тронский, ук. соч., стр. 169.

[19] იხ. С. Лурье, Вопросы войны и мира 2300 лет тому назад („Летопись", 1916, июнь), აგრეთვე Gabe. Die geistigen und socialen Bestrebun-

gen Athens im V vorchristl. Jahrhund. im Spiegel d. Aristophan. Komödie, 1913.

[20] С. Лурье, История ант. общ. мысли. стр. 367.

[21] Beloch, Griechische Geschichte, II² 1, S. 296.

[22] იხ. Кулишер, Очерк..., стр. 193.

[23] 1924 წელს საქართველოს საისტორიო-სათნოგრაფიო საზოგადოებაში ამ საკითხზე ცალკე მოხსენება წავიკითხე, მაგრამ მისი დაბეჭდვა ვერ მოვახერხე. ამ საკითხის შესახებ განსვენებულ აკადემიკოს ვლადისლავ ბუზესკულს გამოქვეყნებული აქვს საყურადღებო წერილი—Прения о смертной казни назад тому 2300 слишком лет („Исторические этюды").

[24] Bruns, Das literarische Porträt der Griechen Berl., 1896. S. 509f.

[25] Pöhlmann, Griechische Geschichte[5], S. 188.

[26] История афинской демократии, стр. 308.

[27] ibid., стр. 315.

[28] რუსული თარგმანი სტანკევიჩისა.

[29] Бузескул, ук, соч., стр. 288-289, 256.

[30] ibid., стр. 284—289.

[31] იხ. Тронский, გვ. 176.

[32] Ul. Wilcken, Griechische Geschichte[3], S. 128.

[33] ამ ვერსიების განხილვა—Бузескул, ibid., стр. 333—340.

[34] С. Лурье, История ант. общ. мысли, стр. 254—256.

[35] ამ ამბის გადმოცემის დროს ვილკენი თავს ვერ იკავებს და მას განვლილ პირველ საერთაშორისო ომში ამერიკის ჩარევას ადარებს: „wie das Eintreten Amerikas mit seinen unerschöpflichen Hilfsmitteln in unserem Weltkriege..." (S. 131). რა თქმა უნდა, ასეთი შედარება ყოველგვარ ისტორიულ საფუძველსაა მოკლებული.

[36] ქსენოფონტეს მსჯელობას არსებითად იზიარებს ვილკენიც, როდესაც აღნიშნავს, რომ მხოლოდ სპარტელების წყალობით იქნა შენარჩუნებული „პერიკლეს ათენი" (გვ. 134). ცხადია, სპარტას უაღრესად აინტერესებდა ათენის დამარცხება და დაპყრობა, მაგრამ მისი სრული განადგურება, ალბათ, მის ეგემაში არ შედიოდა. რასაკვირველია, სპარტის ოლიგარქიას ეს ათენისადმი სიყვარულით არ მოდიოდა.

თავი მეშვიდე

[1] К. Маркс, Капитал, т. II, 1938, стр. 29.

[2] H. Wallon, Histoire de l'esclavage dans l'antiquité, Paris, 1879, ტ. I, გვ. 219.

[3] „Древняя Греция", გვ. 243—246.

[4] გადმოცემულია სერგეევით.

[5] М. Вебер, Аграрная история древнего мира, стр. 185 сл.

[6] Тюменев, Очерки экономической и социальной истории древней Греции, стр. 131—133.

[7] Boeckh, Die Staatshaushaltung der Athener I, S. 178.

[8] იხ. Хвостов, История Греции, стр. 221.

[9] Тюменев, ук. соч., стр. 133.

[10] Бузескул, История афинской демократии, стр. 179—180.

[11] Тюменев, стр. 134-135.

[12] იქვე, გვ. 86.

[13] Ed. Meyer, Die wirtschaftliche Entwicklung des Altertums, ციტირებულია მ. ბერძენიშვილის თარგმანით, გვ. 34—36, ზოგიერთი შესწორებით.

[14] Бузескул, ук. соч., стр. 178.

[15] Andocides, De mysteriis, რომელიც მას IV ს-ის დასაწყისში უნდა წარმოეთქვა.

[16] Beloch, Die Handelsbewegung im Altertum (Jahrb. für Nationaloekon. u. Stat. III F. B. XVIII, 1899, S. 626—631).

[17] К. Бюхер, Очерки экономической истории Греции, Ленинград перевод Федотова, 1924, стр. 45 сл.

[18] Кулишер, Очерк экономической истории древней Греции, стр. 103—104.

[19] Вебер, Аграрная история, стр. 199.

[20] Ciccotti, Der Untergang der Sklaverei im Altertum, Berl.. 1910, S. 56, 57.

[21] იხ. Тюменев, ук. соч., стр. 102, пр. 4.

[22] ფრანგოტის გამოანგარიშებით (L'industrie dans la Gréce ancienne, II, p. 19—21) მონური სახელოსნოები საშუალოდ იძლეოდა 15—24%, მიწის შემოსავალი კი უდრიდა 8%, ხოლო გასესხებული კაპიტალის—12—16%.

[22a] „Древняя Греция", გვ. 249 შმდ.

[23] Ed. Meyer, Die Sklaverei im Altertum (Kl. Schrift.) S. 202-203.

[24] Тюменев, ук. соч., стр. 116.

[25] Хвостов, ук. соч., стр. 223.

[26] იხ. Кулишер, ук. соч., стр. 224—239.

[27] იხ. Тюменев, დასახ. შრ., გვ. 130-131.

[28] ამ მხრივ უფრო მეტი ყურადღების ღირსია ელინისტური ეპოქის მეურნეობა, რომელსაც მეორე ტომში შევეხებით.

[29] ისოკრატეს სიტყვა დაწვრილებით განხილული აქვს Münscher-ს, Isocrates, RE, IX, 2, გვ. 2164—2166. იხ. Гайдукевич, Босфорское царство. стр. 65-66.

[31] იხ. Сергеев, История Греции, стр. 250.

[31a] Boeckh, Die Staatshaushaltung der Athener, I, S. 661 ff.

[32] Beloch, Das Volksvermögen von Athen და Das attische Timema (Hermes XX და XXII).

[33] Rodbertus, Untersuchungen auf dem Gebiete der Nationalökonomie d. klass. Altert. (Jahrbüch. f. Nationalökon. und Statistik, 1864—1867); რუსული თარგმანი მოთავსებულია გამოცემაში—Временник Демидовского юридического лицея, вып. I—IV (1880—1887), ასევე საერთო სათაურით—Исследования в области национальной экономии классической древности.

[34] Bücher, Entstehung der Volkswirtschaft[5], Tübing, 1906, რუსული თარგმანი ჟულიერისა—Возникновение народного хозяйства[4], 1923; Zur griech. Wirtschaftsgeschichte (Festgaben zur 70 Geburtstage A. Schäffles', Tübing, 1909). რუსული თარგმანი ფედოტოვისა—Очерки экономической истории Греции, 1924.

[35] ვენის უნივერსიტეტის პროფესორი Alfons Dopsch-ი ცალკე ნარკვევში (Naturalwirtschaft und Geldwirtschaft in der Geschichte) ცალმხრივად იხილავს ნატურალური და ფულადი მეურნეობის წარმოშობას სხვადასხვა ხალხის ცხოვრებაში. ძველი საუკუნეებიდან დაწყებული ჩვენ დრომდე, და იმ მცდარ დასკვნამდე მიდის, რომ ორივე სახის მეურნეობა ყველა დროში ერთიანეობრის გვერდით გვევლინება და არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მეურნეობის ქვედა საფეხურიდან ზედა საფეხურისაკენ მიმავალი ევოლუციაო.

[36] იხ. Кулишер, ук. соч., стр. 141. сл.

[37] ცნობილია, რომ პოელმანმა თავისი შრომა Geschichte d. ant. Kommunismus und Socialismus შემდგომში ახალი სათაურით გამოუშვა—Geschichte der socialen Frage, რომლის მესამე, სიკვდილის შემდგომი გამოცემა 1912 წელს დაიბეჭდა. პოელმანის შრომა მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს. მაგრამ მათი განმარტება ისტორიულ სინამდვილეს არ შეესაბამება. პოელმანს სურს დაგვარწმუნოს, რომ ძველ დროს არამცთუ განვითარებულ კაპიტალისტურ ურთიერთობათ ჰქონდა ადგილი, არამედ იმ საზოგადოებრივ მოძრაობათაც, რომლებიც კაპიტალისტური განვითარების შედეგს წარმოადგენენ. იგი პირდაპირ ლაპარაკობს ანტიკურ სამყაროში კომუნიზმისა და სოციალიზმის არსებობაზე. მისი შრომის უკანასკნელ გამოცემას დართული აქვს ერტელის საყურადღებო წერილი, რომლიდანაც მოგვყავს ციტატები ს. ლურიეს მოხსენებული შრომის მიხედვით (Истор. ант. общ. мысли, გვ. 20—22).

თავი მესამე

[1] იხ. И. М. Троицкий, История античной литературы [2], стр. 116—117.

[2] ibid., გვ. 117—119.

[3] ibid., გვ. 120—123.

[4] Проф. Н. Дератани, Эсхил и греко-персидская война (ВДИ, 1946, № 1, стр. 17).

[5] Троицкий, стр. 132.

[6] Дератани, указ. стат., стр. 17, прим. 1.

[7] С. И. Радциг, К вопросу о мировоззрении Софокла (ВДИ, 1957, 4, გვ. 40.

[8] დაწერილებით—В. Ярхо, Социальная позиция... (ВДИ, 1954, № 2, стр. 28—46).

[8ა] არისტოფანესა და მისი დროის შესახებ—Соболевский С. И., „Аристофан и его время", АН СССР, 1957.

[9] იხ. С. Лурье, К вопросу о политической борбье в Афинах в конце V века (ВДИ, 1954, № 3, стр. 122—132).

[10] Троицкий, стр. 177.

[10ა] კლასიკური ეპოქის ბერძნული ხელოვნების შესახებ. იხ. Richard Hamann-ის კარგი ნარკვევი—Geschichte der Kunst, B. 1, Berlin, 1947, S. 429 ff; აგრეთვე, „Древняя Греция", გვ. 508, შმდ.

[10ბ] ფიდიასის შესახებ იხ. ოთ. ლორთქიფანიძის ნარკვევი „ფიდიასი", 1965.

[11] Аристотель, Метафизика, 1934, стр. 23. იხ. „Материалисты древней Греции", М., 1955, вступит. статья проф. М. А. Дынника, стр. 9.

[12] ibid., გვ. 10, 45.

[13] ჰერაკლიტეს ფრაგმენტები, იქვე, გვ. 46.

[14] იქვე, ფრაგმ. 90, გვ. 49.

[15] იქვე, გვ. 11.

[16] ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1952, გვ. 26.

[17] Дынник, стр. 13.

[18] Сергеев, История Греции, гв. 334.

[19] Матер. древней Греции, стр. 20, 160.

[20] იქვე, გვ. 21, 152.

[21] იქვე, გვ. 22.

[22] იქვე, გვ. 23.

[23] С. А. Жебелев, Сократ, 1923, стр. 36—39.

[24] М. Рейснер, История полит. учений, стр. 48.

[25] H. Maier, Sokrates, Tübingon, 1913; U. v. Wilamowitz, Platon. 1920, С. Лурье, указ. труд, стр. 273—277 და სხვ.

[26] БСЭ, 32², გვ. 221—222.

[27] К. Маркс, Капитал, т. I, 1953. стр. 375.

[28] БСЭ, 3². стр. 6—9.

[29] Сергеев, стр. 346—347.

[30] მათ შესახებ დაწვრილებით — А. Б. Ранович, Эллинизм и его историческая роль, 1950, стр. 294—296.

თავი მეცხრე

[1] ედ. მაიერს შესაძლებლად მიაჩნია ვიფიქროთ, რომ თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა მათი მაინც სახელოსნოში მუშაობდა (Forschungen zur alten Geschichte, II, გვ. 181).

[2] Хвостов, История Греции, 1924, гв. 222.

[3] С. Лурье, История антич. обществ. мысли, гв. 178.

[4] Хвостов, დას. ნაშ., გვ. 225—226.

[5] იქვე, გვ. 227—228.

[6] С. Лурье, დას. ნაშ., გვ. 182—184.

[7] Древняя Греция, гв. 396—398; Сергеев, История Греции, гв. 350—356; В. П. Волгин, ნარკვევი—История социалистических идей, ч. I, 1928; მოდერნიზაციის სრული სულისკვეთებითაა გაჟღენთილი რ. პოელმანის Geschichte des antiken Kommunismus und Socialismus (მისი მეორე გამოცემა—Geschichte der socialen Frage und des Socialismus in den antiken Welt, München, 1912). მაგრამ მასში პოელმანი შედარებით მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს კლასობრივ ბრძოლას საბერძნეთში და ანტიკურ მოაზროვნეებისადმი მიკუთვნილი სოციალისტური იდეები დაკავშირებული აქვს დაბეჩავებული მასების განწყობილებასა და იდეებთან (Сергеев, гв. 58).

[8] В. П. Бузескул, История афинской демократии. гв. 389.

[9] Сергеев, დასახ. ნაშ., გვ. 357—358.

[10] В. П. Бузескул, История афин. дем., стр. 393 შემ.

[11] Wilcken, Griechische Geschichte², S. 148.

[12] იქვე, გვ. 149.

[13] იქვე.

[14] მოცემულია სერგეევით, გვ. 364—365.

[15] პ ო ე ლ მ ა ნ ი „გვარწმუნებს", თითქოს ქსენოფონტე თავისებური სახელმწიფო სოციალიზმის თეორიას აყენებდა (Geschichte d. antiken Kommunismus und Socialismus, II, S. 250 f.).

[16] Б у з е с к у л, стр. 408 сл.

[17] ცნობები ამ ამბოხების შესახებ შემოგვინახა ახ. წ. II საუკუნის მწერალმა პოლიენმა, რომლის Ѣრომაში—*Στρατηγήματα* ანეკდოტური ხასიათის ცნობებთან ერთად დაცულია ზოგიერთი ისეთი საყურადღებო ამბავი, როგორიც იყო მონათა ეს აჯანყება სიცილიაში (I, 43). დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ მხრივ ის სარგებლობდა ძვ. წ. IV საუკუნის ისტორიკოსის ფილისტოსის ცნობებით (იხ., მაგ., B u s o l t, Griechische Geschichte, III, 2, S. 756, 1337).

[18] Xenoph., Memorab., IV, 2; 37.

[19] P ö h l m a n n, Griechische Geschichte[5], S. 242. Ed. M e y e r, Geschichte des Altertums, V, S. 276.

[20] P ö h l m a n n, S. 244.

[21] იქვე, გვ. 245.

[22] იქვე, გვ. 257—260.

[23] Х в о с т о в, История Греции, стр. 234.

[24] მოცემულია ზოგადად O. Крюгер-ის ნარკვევით, Движения античных рабов в доэллинистическую эпоху.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

[1] „Древняя Греция", გვ. 439.

[2] ევრიპიდემ მას ცალკე დრამა—„არქელაოსი" მიუძღვნა.

[3] ტიმოთე (450—360) „სპარსელები" 1902 წელს აღმოჩენილ იქნა ეგვიპტის ერთ ძველ სამარხში.

[4] Т ю м е н е в, Очерки экономической и социальной истории древней Греции, III, 2 стр. 31 сл.

[5] ციტირებულია ს ე რ გ ე ე ვ ი თ, История Греции[5], стр. 375.

[6] ვილამოვიცის თარგმანის მიხედვით—იხ. Pöhlmann, Griechiche Geschichte[5], S. 278; W i l c k e n, Griechische Geschichte[8], S. 160; ი გ ი ვ ე, Alexander der Grosse, Leipzig, 1931, S. 37.

საძიებელი

ა

აბდერი, აბდერა (ქალაქი თრაკიაში) 136, 485
აბდოსი (ახალშენი პელოპონესსზე) 136, 413
აბუ-სიმბელი (ადგილი ეგვიპტეში) 133
აგათარხე სამოსელი (მხატვარი) 477
აგამემნონი (მიკენის მეფე) 12, 13, 16, 58, 78, 80, 103, 112, 114, 116, 562
აგესილაოსი (სპარტის მეფე) 375, 525—6
აგიადები (საგვარეულო დინასტია სპარტაში) 203
აგია-ტრიადა (ქალ.) 26, 31, 33, 44, 47, 51, 52
აგირიოსი 522
აგის III (სპარტის მეფე) 196
აგისი (სპარტის მეფე) 201, 401
აგორაკლიტე („მხედრები", არისტოფანე) 403—4
აგრიგენტი, აკრაგანტი (ახალშენი სიცილიაში) 190, 330, 484, 540
ადრიატიკის ზღვა 539
აიეტი (კოლხეთის მით. მეფე) 151—2
აგუსტუსი (რომის იმპერატორი) 129, 550
ავდიევი (ისტორიკოსი) 576
ავლიდი (ქალაქი) 526
აზია 143, 280, 292, 299, 309, 310, 318, 454, 528
აზოვის ზღვა 162
ათამანტე (ორქომენის მეფე) 4, 151
ათენა (ქალღმერთი) 51, 76, 78, 121, 151, 195, 382, 448, 471—2, 475, 477, 493
ათენელები 142, 220—1, 231, 233, 242—3, 248, 255, 257, 260, 272, 297, 301, 305—6, 308, 310—11, 314—15, 317—18, 320—1, 323—325, 327, 332, 334, 341—3, 346, 349, 356—7, 361, 380, 384, 386, 388—9, 391, 394—398, 400, 404, 408—9, 411, 413—417, 423, 430, 453, 467, 507, 531, 534, 537, 552, 554—557, 561—2, 564
ათენი (ქალაქი) 5, 20, 61, 67, 69, 70, 74, 78, 94, 97, 101, 125, 128, 158, 159, 167, 169, 171, 181, 190, 192, 196, 211, 223—229, 232—234, 237—8, 240—242, 244, 246—7, 250—254, 256, 264—5, 257—8, 260, 269—70, 273, 276—7, 282, 284—286, 294, 297, 300, 304—307, 309—315, 318—321, 323—326, 328, 331—338, 341—2, 344—346, 348—352, 354—5, 357—363, 365—367, 369—70, 372, 374—5, 378—390, 392—394, 397, 399—404, 406—410, 412, 414—427, 430—432, 435—6, 438—443, 445, 447—451, 454—456, 458, 460, 466, 468—9, 472—3, 476—478, 481—2, 485, 488—494, 496, 500—502, 508—9, 511, 514—518, 520—1, 523, 527, 529—533, 535—537, 541—2, 545—547, 553, 555, 558—561, 563—4
„ათენის პოლიტია" (არისტოტელე) 233, 235
ათონი (კონცხი კუნძ. ქალკიდაზე) 307
აია (კოლხეთის დედაქალაქი) 152
აიაკი ტელამონიდი (ჰომეროსის გმირი) 114
აიდი (ქვესკნელის მბრძანებელი) 121, 268, 459
აიეტი (კოლხეთის მით. მეფე) 151—2
აკარნანია (შუა საბერძნეთის მხარე) 6, 387, 389

აკაიმანიელები 396
აკრაგანტი (აგრიგენტი) 478, 538
აკროპოლისი 475—6
ალალია (ახალშენი კორსიკაზე) 131—2
ალალონები (ამორძალები) 163, 475
ალეკოსი (თესალიის ტაგოსი) 218, 219
ალექსანდრე I (მაკედონიის მეფე, 498—454) 551—2
ალექსანდრე მაკედონელი (336—323) 10, 431, 500, 549, 562
ალექსანდრე ფერელი 532
ალექსანდრია (ქალაქი ეგვიპტეში) 153, 248, 299
ალექსიდი (კომედიოგრაფი) 468
ალკეოსი (პოეტი) 185—6, 275—6
ალკიბიადე (სტრატეგოსი, 451—404) 373, 378, 382, 396—401, 409, 412, 414, 415, 492—3
ალკიდამანტე (სოფისტი) 490—1
ალკინოოსი (ფეაკელთა მეფე) 89, 108, 116
ალკმანი (პოეტი — ჰიმნოგრაფი, ძვ. წ. VII საუკ. II ნახ.) 277
ალკმეონიდები (წარჩინებულთა გვარი ათენში) 233—4, 254, 282, 304—5, 308—9, 312, 323, 336, 387
ალფეიონი (მდ. პელოპონესში) 68
ამაზისი (ეგვიპტის მეფე) 210, 436
ამბრაკია (ახალ. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე) 215, 387
ამენხეტ III (ეგვიპტის ფარაონი, 1849—1801) 36
ამენხოტეპ III (ეგვიპტის ფარაონი, 1455—1424) 36, 66.
ამენხოტეპ IV (ეგვიპტის ფარაონი, 1424—1388) 36
ამიერკავკასია 138, 290
ამინოკლე კორინთელი 169
ამინტა I (მაკედონიის მეფე) 551
ამინტა III (მაკედონიის მეფე, 390—369) 532
ამიანაშვილი შ. (აკად.) 157
ამირანი (ქართული მით. გმირი) 146—149, 455
ამისოსი (მილეტის ახალშენი) 140
ამონი (ოაზისი და სალოცავი თებეში) 120, 135
ამორგოსი (კუნძ.) 274
ამფიპოლისი (ქალაქი თრაკიაში) 369, 394—5, 554, 557
ამფისა 562
ამფიქტიონი 322, 367
„ანაბაზისი" (ქსენოფონტე) 145, 375
ანაკრეონი, ანაკრეონტი (ბერძენი პოეტი) 187, 276
ანაქსაგორე კლაზომენელი (მიახ. 500—421, ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი) 382, 447, 482, 485
ანაქსიმანდრე (ფილოსოფოსი, 611—545) 135, 160, 279, 479
ანაქსიმენე (ფილოსოფოსი, 585—525) 160, 279, 479—80
ანაქტორიონი (კორინთოს ახალშენი) 315
ანდოკიდე (ორატორი) 380, 400, 431, 432, 438
ანდრეევი (მკვლევარი) 101
ანდროგეოსი (მეფე მინოსის ძე, მით.) 20
ანდროკლე (დემოკრატების მეთაური) 410
ანდრომაქე (ჰექტორის მეუღლე) 121, 467
ანდროსი (კიკლადის ჯგუფის კუნძ.) 4
ანიტე (სოკრატეს ბრალმდებელი) 405
ანო ენგლიანოსი (სოფ. მესენიაში) 22, 71
ანტალკიდე (სპარტის ნავარქოსი) 528, 532
ანტიგონე (ოედიპოსის ასული) 458—460
ანტიოქიოს სირაკუზელი 370
ანტიფანე („საშუალო კომედიების" აეტორთაგანი) 469
ანტიფონტე (ორატორი) 406, 411—12
აპატე (მით.) 264
აპენინის ნახევარკუნძული 4
აპოლოდორე ათენელი (მხატვარი) 477—8
აპოლონი (ღმერთი) 4, 6, 69, 70, 76, 122, 134, 142, 157, 220, 232, 253, 263—267,

270, 282—3, 293, 306, 318, 322, 333, 367, 425, 441, 470—1, 500, 554
აპოლონია (ქალაქი ილირიაში) 161
აპოლონიოს როდოსელი (პოეტი და გრამატიკოსი, დაახ. 295—215) 149—151, 153
არაბეთის ყურე 484
არაკოსი (ნაუარქოსი) 416
არგეადების გვარი 551
არგიველები (ტომი) 9
არგინუსი (კუნძ.) 416, 424
არგოლიდა (მხარე პელოპონესში) 7, 10, 56, 58, 67, 74, 92, 166, 193, 206, 512
„არგონავტიკა" (აპოლონიოს როდოსელი) 149—151
არგონავტები 53, 146, 149—154, 463
არგოსელები 92, 367
არგოსი („არგოს" მშენებელი) 151
არგოსი (ქალაქი არგოლიდაში) 7, 56, 58, 67—8, 80, 171, 206—208, 210, 253, 284, 315—16, 323—4, 327, 342, 387, 396, 429, 469, 520, 527, 543, 551
არგოსის უბე 68
არესი (ომის ღმერთი) 61, 90, 151, 231, 265, 471
არესტორე 151
არიადნე (მინოსის ქალიშვილი) 20
არიონე ლესბოსელი 450
არისტაგორე (მილეტის ტირანი) 305
არისტიდე 313, 317, 322—324, 345, 394—5
არისტოგიტონე 470
არისტოკლე 496
არისტოდემი 186
არისტოტელე 18, 181, 184, 195, 212, 213, 217—219, 221, 230—233, 235—241, 243—4, 247, 249—251, 254, 257, 259, 313, 317—18, 322—4, 335, 345, 356, 379, 380, 394—5, 410, 411, 419, 421, 450, 465, 479, 495, 500—505, 512, 517, 519, 541, 544
არისტოფანე (კომედიოგრაფი, 450—388) 396—7, 381, 383, 393, 403, 406, 424, 426, 443, 462, 465—6, 468—9, 495, 499, 510, 517—519, 522
არისტოქსენე (მუსიკის თეორეტიკოსი) 506
არკადია (მხარე პელოპონესში) 6, 7, 8, 74, 93—4, 193, 197, 206—208, 210, 533
არკადიელები 533
არკალოხორი (გამოქვაბული) 47
არმაზის ხევი 49
არტაბანი (სპარსელი სარდალი) 318
არტაქაერქეე ძნემონი (არტაქსერქსე II, სპარსეთის მეფე, 405—359), 145, 325, 524, 526, 528
არტაფერნე (საოდის სატრაპი) 305
არტემიდე (ნადიობის ქალღმერთი) 51, 90, 265, 282, 441
არტემისია (კონცხი) 299
არქელაოსი (მაკედონიის მეფე, 419—399) 552
არქიდამოსი (სპარტის მეფე) 388—9
არქილოქე პაროსელი (პოეტი) 141—2, 182—184, 271, 274
ასკლეპიოსი (მკურნალი ღმერთი) 483
ასკრა (სოფ.) 173
ასპაზია (პერიკლეს მეუღლე) 382—3
ასურეთი 133, 286, 291
ასურელები 133
ასტრეა (მით.) 264
ატევსი (აკვითების მეფე) 164
ატიკა 5, 8, 10, 69, 112, 127, 166, 177, 226—229, 232—234, 236—242, 244, 247, 249, 251, 253, 256—7, 260, 268, 273, 310, 317—18, 333—4, 349, 360, 381, 384—386, 388—9, 393, 396, 401—2, 405—6, 413, 418—19, 426—429, 430—433, 443—4, 467, 475—6, 507, 510, 528, 535, 558
ატლანტი (მით.) 147
ატონი (ეგვიპტის ღმერთი) 36
ატოსი (დედოფალი) 295
ატრეუსი 16, 58, 60—1, 80, 89, 164
ატრიდები (ატრეუსის გვარის შთამომავალნი) 58, 70
აფაქიძე ა. (არქეოლოგი) 156
აფრიკა 126, 135, 143, 292, 329
აფროდიტე (ქალღმერთი) 265, 276
აფსირტე 463

აქაია 387
აქეა (მხ.) 6, 10, 193, 210
აქეელები (ტომი) 9, 10—13, 15, 18, 53—55, 56—59, 86, 89, 91, 94, 97, 100, 104, 107, 110, 115, 130, 189, 201, 218
აქემენიდები (სპარსეთის დინასტია) 286
აქილევსი (ილიადა") 9, 11, 13, 64—5, 99, 100, 107, 111, 114—15, 161, 218
აჰურამაზდა (მით.) 289

ბ

ბაბილონი (ქალ. ევფრატზე) 133, 137, 287, 297, 299,
ბაბილონია (სახელმწიფო) 9, 36, 38, 168, 315, 375, 524
375, 524
ბათიკლე მაგნესიელი 284
ბაკქიადები (ოლიგარქიის მომხრენი) 187
ბალკანეთი (ნახ. კუნძ.) 4, 55, 78, 91—2, 307, 549
ბარდია (კიროსის ვაჟი) 287
ბარეე (გეოგრ.) 292
ბაღდადი (გეოგრ.) 288
„ბაყაყები" (არისტოფანე) 397, 424, 462, 468
„ბზიკები" (არისტოფანე) 404
ბეკშტრემი (მკვლევარი) 567
ბელოხი (ისტორიკოსი, 1854—1929) 172, 191, 232, 259, 271, 308, 316, 383, 431, 432, 440, 444—5
ბეოტია (მხარე შუა საბერძნეთში) 5, 10, 18, 69, 75, 93—4, 128, 151, 172—174, 211, 221—225, 260—262, 318—19, 327, 343—4, 426, 429, 471, 512, 526, 528—9, 531, 534, 562, 565
ბეოტიელები 94, 220, 222, 343, 387, 529, 533
ბერბატი (გეოგრ.) 61
ბერეზანი (კუნძ.) 162
ბერლინი 158, 208
ბეროსე (ბაბილონის ძველი ისტორიკოსი) 133
ბერძნები, ბერძენთა ტომი 3, 8, 13, 14, 21—2, 24, 35, 48, 54, 75, 78, 84, 92, 94, 97, 101, 103, 108, 117—119, 121, 123, 128, 132, 134—5, 137, 140, 144—147, 150, 154, 156, 158, 160—1, 164, 166 172, 185, 191, 193, 203, 223—4, 226—7, 253, 262—267, 269, 271, 279, 292, 294, 296, 298—301, 303, 305, 307, 314—15, 317, 319, 321, 326—330, 335, 344, 346, 348, 362, 363, 380, 384, 391, 393, 399, 402, 418, 420, 424, 441, 447, 451, 454, 455, 467, 469, 483, 508, 528, 532, 536, 539, 540, 544—546, 549, 551, 555, 561—2, 564
ბერძენშეილი მ. (ისტორიკოსი) 571
ბეპისტუნი (გეოგ.) 288—9
ბიზანტიონი (ქალ.) 136, 292, 413—14, 416, 530
ბიუხენშიუცი (ისტორიკოსი) 573
ბიუხერი კარლ (ეკონომისტი) 431—2, 444
ბიპვინთა 155
ბლეჯენი (არქეოლოგი) 22, 71
ბოგაევსკი (ისტორიკოსი) 567
ბოეკი (მკვლევარი) 443—4
ბონნარი ანდრე 469
ბორისთენი 163
ბოსფორელები 441
ბოსფორი 136, 162—164, 289, 303, 328, 440—1, 556, 558
ბოსფორი (სრუტე და აუზი) 136, 334
ბოღაზკეთი 89
ბრასიდასი (სპარტის სარდალი) 369, 394—5
ბრისეიდა („ილიადა") 13, 114
ბრუნსი (მკვლევარი) 580
ბუგი (მდინარე) 162
ბუზესკული ვლადისლავ (აკად.) 99, 236, 342, 371, 376—7, 398
ბუზოლტი (ისტორიკოსი) 173, 211, 251
ბულგარეთი 23
ბურგასის უბე 161

გ

გაიდუკევიჩი (ისტორიკოსი) 572, 581
გაიუსი (რომაელი ისტორიკოსი) 244
გაუმატა მაგი 288
გეა (მით.) 263
გელა (ქალ. სიცილიაზე) 131, 394, 470, 538, 540
გელონი (სირაკუზის ტირანი) 330—1, 470, 536, 560
„გეოგრაფია“ (სტრაბონი) 71, 146
გეორგიევი ელ. (ბულგარელი პროფ.) 23
„გენეოლოგია“ (ჰეკატე) 143, 280
გერეა (ქალ.) 366
გერეელები 366
გერმანია 432, 445
გეტერია 367
გიენოსი (ქალ.) 155
გიგესი (ლიდიის მეფე) 133
გილბერტი (მკვლევარი) 198
გილიპოსი (სპარტის სარდალი) 401
გიმეტის მთ. 225
გლავკოს ქიოსელი 166
გლავკოსი 100, 110
გნედიჩი ნ. (რუსი პოეტი და მთარგმნელი) 99
გოეთე 98
გომპერცი (მკვლევარი) 269, 280
გორგიას ლეონტინელი, გორგია, გორგიასი (სოფისტი) 397, 490, 558
გორგიპია (ქალ.) 163.
გორტინი (ქალ. კრეტაზე) 212—215, 425, 547
გროტი ჯორჯ (ინგლისელი ისტორიკოსი, 1794—1871) 14
გურიელი მამია (მ. ფაზელი) 103
გურნია (ქალ. კრეტაზე) 34, 39, 43

დ

დამასიასი (არქონტი ათენში) 249
დანაელები (ტომი) 9
დანია 432
დარდანელის სრუტე 12, 77, 151, 416
დარდანოსი (ზევსის ვაჟი) 75
დარვინი 484
დარიოს I, დარიოსი (სპარსეთის მეფე, ძვ. წ. 522—486 წწ.) 137, 284, 288—292, 295, 303, 307, 309, 314—15, 483
დარიოს II (სპარსეთის მეფე, ძვ. წ. 424—405 წწ.) 402, 524
დატისი (სპარსეთის სარდალი) 301
დედალოსი (მოქანდაკე) 18, 19, 283
დეკელეია (ქალაქი ატიკაში) 401, 402, 406, 413, 416, 507, 547
დელიონი (ქალაქი) 394
დელოსი (კუნძ.) 4, 265, 283, 296, 314, 323, 327, 332—334, 344, 349, 420, 441—2, 508
დელტა (გეოგრ.) 341, 343
დელფო ქ. 6, 69, 120, 122, 124, 168, 195, 206, 212, 217, 220, 225, 263, 265—267, 277, 282, 284, 315—16, 319, 344, 366—7, 425, 441, 458, 470, 554—5, 557
„დედამიწის აღწერა“ (ჰეკატეოს მილეტელი) 143
დემადე (ათენელი ორატორი) 562
დემეტერი (მოსაელიანობისა და მიწათმოქმედების მთავარი ღვთაება) 262, 268, 447, 519
დემოდოკე 292
დემოკედი (ექიმი, კროტონელი მოქალაქე) 483
დემოკრიტე (ფილოსოფოსი) 374, 482, 485—487, 490
დემოსთენე, დემოსთენი (ორატორი, 384—322) 355, 380, 392, 401, 405, 443—4, 508—9, 517, 550,
დემოსთენე (სტრატეგოსი) 555—7. 559—563
დერატანი (მკვლევარი) 582
დე-სანქტოსი (მკვლევარი) 232
დიაგორე (როდოსელი, ოლიგარქოსების მეთაური) 447
დიდიმაიონი (დაბა მილეტის მახლობლად) 283, 293, 306

დიდიმოსი (გრამატიკოსი) 550
დიოდორე სიცილელი, დიოდორე (ისტორიკოსი) 54, 55, 119, 164, 330, 424—5, 524, 534, 548, 550, 562,
დიოდოტე 390
დიომიდე 110
დიონი (დიონისე I სიძე) 540
„დიონისალექსანროს" (კრატინე) 383
დიონისე (ღმერთი) 90, 223, 253, 262, 268, 270
დიონისე (ლოგოგრაფოსი) 397, 448—9, 451—2, 457, 460, 462, 464—5, 468, 532
დიონისე I, დიონისე უფროსი (სირაკუზის ტირანი) 496, 527, 536, 538—540, 544, 548
დიონისე II, დიონისე უმცროსი (სირაკუზის ტირანი) 496, 540
დიოპეითე (ქრესმოლოგი) 382
დიოსკურია, დიოსკურიადა 155, 158
დნეპრი (მდ.) 162
დობინიაკი (ფრანგი აბატი) 97
დოდონა (ქალ. ეპირში) 122, 265, 300
დოერპფელდი ეილჰელმ (მკვლევარი) 15, 17, 18
დოლიოსი (ოდისევსის მონა) 116—17
დონი (მდ.) 162
დონისიოს ჰალიკარნასელი 129
დოპში (პროფ.) 445
დორი (დორიელთა ტომის მამამთავარი) 9
დორიდა (მხარე შუა საბერძნეთში) 6
დორიელები, დორიელნი 9, 10, 13, 18, 54, 56, 78—80, 91—2, 94, 103, 152, 161, 193, 199, 200, 203, 211—213, 227, 372—3, 550
დრალები (ტომი) 140
დრაკონი (ათენელი კანონმდებელი) 181, 234—237, 247
დრიოპები (ტომი) 9
დუნაი (მდ.) 161, 292
დურისი (მხატვარი) 436

ე

ეგეოსი (ლეგენდარული მეფე) 18, 20—1, 25, 29, 53, 55, 59, 91, 129
ეგეოსის აუზი 77, 137, 319
ეგეოსის ზღ. 4, 8, 10, 19, 20, 35, 37, 70, 77, 94, 136—7, 186, 291—2, 307, 310, 315, 327, 328, 334, 341—343, 349, 362, 377, 383, 427, 430, 511, 557, 562
ეგესპოტამოსი (მდ.) 416
ეგვიპტე 9, 18, 25, 28, 35—40, 46—7, 60, 66, 78, 88, 133—135, 145, 160, 167—8, 188, 210, 227, 254, 278, 284, 287—8, 291, 297, 299, 303, 338, 485, 496
ეგვიპტელები 133, 135, 145, 525
ეგინა (კუნძ.) 4, 134, 166—169, 244, 260, 327—8, 343, 389, 429, 469
ეგისთე 16, 78
ეგვიპტიოსი 107
ევანსი არტურ (პროფ., 1851—1941) 14, 20—22, 24—5, 27, 37, 55—6
ევანგელოსი (მონა) 360
ევბეა (კუნძ.) 4, 6, 8, 10, 124, 129, 135, 142, 166, 168, 244, 253, 260, 310, 315, 401, 408, 412, 429, 344, 500, 554, 556, 561
ევბეელები 366
ევბულე (ფინანსისტი) 535—6, 559—560
„ევმენიდები" (ესქილე) 455
ევმენიდები (მით.) 233, 422
ევმესი (ოდისევსის მონა-მწყემსი) 111, 116, 126
ევპოლიდე (კომედიოგრაფი) 468
ევრიკლეა (ოდისევსის მხევალი) 110, 116
ევრიმედონტი (მდ.) 325, 420
ევრიპონტიდები (სპარტის საგვარეულო დინასტია) 203, 205
ევრიპოსის სრუტე 6
ევრისთენე (სპარტის მეფე) 196
ევრიპიდე (პოეტი) 380, 397, 449, 453, 460 — 465, 467—8, 488, 546, 552
ევროპა (ხმელ.) 18, 280, 292—299, 307, 445—6
ევროპა (მით.) 127, 128, 143

ევროტასი (მდ.) 203
ევროტასის ველი 7, 8, 194
ევტერპე (მით. მუზა) 265
ევფრატი (მდ.) 524
ევფრონი (ტირანი) 544
ევქსითეოსი 158, 355—6
ევქსინის პონტო (შავი ზღვა) 4, 511
ეთიოპელები 145
ეთიოპია (გეოგრ.) 288, 485
ეიონი 324
ელადა 10, 141, 171, 293—4, 298, 300, 309, 310, 314, 354, 383, 408, 418, 434, 507
„ელადის აღწერილობა“ (პავსანიასი) 58
ელამი (გეოგრ.) 286
ელეა (ახალშენი იტალიაში) 132, 281
ელევთერი (ქალ.) 223
ელევსინი (ქალ. ატიკაში) 69, 227—229, 260, 419, 447, 453, 471
ელენე (მეფე მენელაოსის მეუღლე) 12, 383, 467
ელენტიდა (მდ.) 75
ელეპოროსი 539
ელექტრა (აგამემნონის ასული) 16, 116
ელიანე (მწერალი) 251
ელიდა (მხარე სამხ. საბერძნეთში) 7, 14, 193, 207, 210, 270, 366, 385, 396, 477, 524, 533
ელიზე რეკლიუ (მკვლევარი) 361
ელინები 54, 129, 295, 306, 447
ელოსი 88
ემპედოკლე (ფილოსოფოსი, 483—423) 482, 484
ენგელსი ფრ. 4, 258, 278, 500
ენემაოსი (მით.) 471
ეოლია 75
ეოლიელები (ტომი) 9, 10; 275
ეოლი (მით.) 9
ეოსი (ავრორა მით.) 264
ეპამინონდასი (თებეს დემოკრატიის ხელმძღვანელი) 532—4, 553
ეპანო ენგლიანოსი (ბორცვი) 71
ეპიდამნოსელები 386
ეპიდამნოსი (ახალშენი ილირიაში) 38[illegible]—6
ეპიმეთეესი (პრომეთეს ძმა) 146
ეპიპოლე (მაღლობი) 401
ეპირი (მხარე ჩრდ. საბერძნეთში) 5, 122, 166, 265
ეპიტადეა 520
ეპიქარმე (მწერალი) 481
ეპიქტეტე (მხატვარი) 436
ერატო (მით. მუზა) 265
ერატოსთენე (გეოგრაფი და მათემატიკოსი) 153, 380
ერებოსი (მით.) 263
ერიდა (მით.) 264
ერეტრია (ქალ.) 129, 168, 191, 220, 253, 306—7, 310, 315, 412
ერეხთეიონი 348, 359, 360, 414, 473
ერეხთეესი (მით.) 475
ეროსი (მით.) 263
ესპანეთი 166, 329
ესქილე 146, 293, 295—6, 300, 310, 331, 380, 394, 449, 453—457, 460, 468, 489
ესქინე (ორატორი) 509, 522, 550, 55[illegible]—561, 563
ეტეოკლე (ანტიგონეს, სოფოკლეს) 458
ეტოლია (მხარე შუა საბერძნეთში) 6
ეტოლიელები 106
ეტორე ჩიოტი (იტალიელი ისტორიკოსი) 243
ეტრურია 284
ეტრუსკები 129, 132, 190—1, 329, 331
ეფესო (ქალაქი მცირე აზიაში) 89, 168, 171, 272, 275, 282, 421, 441, 479
ეფესელები 271
ეფიალტე 327, 335—6, 341, 345, 455
ეფორე (ისტორიკოსი) 196, 201, 212, 330, 369, 376—378, 383, 517, 550
ეხნატონი (ეგვიპტის მეფე-რეფორმატორი) 36

ვ

ვალობი (მკვლევარი) 580
ვასილისკო (დაბა) 73
ვაფიო (სოფ. ლაკონიკაში) 68
ვახსმუნი (ისტორიკოსი) 350
ვებერი (ძვ. ქვეყნების აგრარული ისტორიის ავტორი) 434
ვებსტერი (მკვლევარი) 24
ვენტრისი (ინგლისელი მკვლევარი) 23—4, 73
ვერესაევი ე. (მწერალი) 103, 174
„ვეფხისტყაოსანი" (შ. რუსთაველი) 101
ვიკო (იტალიელი ისტორიკოსი) 97
ვილამოვიც-მოელენდორფი (მკვლევარი) 197, 236, 378
ვილკენი ულ. (მკვლევარი) 197, 203, 236—7, 241, 245, 262, 409
ვიტრუვიუსი (არქიტექტორი) 451
ვოლგა (მდ.) 292
ვოლფი ფრ. (მკვლევარი) 97—8

ზ

ზაკინთო (კუნძ.) 343
ზაგრეუსი 448
„ზავი" (არისტოფანე) 396, 406, 466
ზალევკოსი (კანონმდებელი) 181
ზანკლე (მესანა, ახალშენი სიცილიაზე) 130
ზევკსისი (მხატვარი) 14, 477, 552
ზევსი ოლიმპოელი, ზევსი ლიკეოსი (ღმერთი) 14, 15, 18, 75—77, 89, 90, 106, 121—2, 127, 134, 146, 149, 171, 174, 176, 178—9, 195, 197, 212, 233. 253, 264—5, 268, 270, 282, 292, 318, 346, 384, 425, 428, 448, 454—5, 471, 475—478
ზოილი (სოფისტი) 96
ზუბოვო (ხუტორი) 157
ზუნვალდი 354

თ

თალეს მილეტელი (ფილოსოფოსი) 135, 160, 278—9, 479, 480
თალია (მით. მუზა) 265
თანატოსი (სიკვდილის ღმერთი) 264
თასოსელები 271
თასოსი (კუნძ. ეგეოსის ზღვაში) 4, 8, 128, 135—6, 141, 271, 325, 329
თბ. (თბილისი) 149
თეაგენი (მეგარის ტირანი) 188, 233
თებე (ქალ. ბეოტიაში) 5, 28, 36, 70, 120, 128, 134, 221—2, 224—5, 253, 319, 395—6, 419, 429, 457—8, 523, 527—534, 541, 544, 553—4, 558—9, 562—3
თებელები 226, 260, 368, 391, 394, 417, 554—5, 557
თეგეოსი 230
თეზევსი (ათენის ლეგენდარული მეფე) 20, 228—230, 324, 460
თეზეიონი 360, 425
თეირანი 288
თეია (მით.) 264
თემისკირა (ქალ. და დაბლობი პონტოში) 138
თემისტოკლე (არქონტი, 493—492) 308, 309, 312—314, 317, 320—1, 323—4, 342—3, 345, 358, 453, 469
თემისტოგენე სირაკუზელი (ქსენოფონტეს ფსევდონიმი) 375
„თეოგონია" (ჰესიოდე) 262
თეოგნიდე მეგარელი (პოეტი) 189, 274
თეოდორე (სამოსელი ოსტატი) 166
თეოპომპე (სპარტის მეფე) 207, 366, 369, 377, 378, 550
თეოფრასტე (ბუნებისმეტყველი, 372 — 287) 506
თერა (კუნძ.) 89, 125, 128, 135
თერამენე (ზომიერი მიმართულების მეთაური) 406, 412—414, 417—419
თერმოდონტი (მდ.) 137—8
თერმოპილის ხეობა 224, 316—17, 555
თერმოპილის კლდეკარი 5, 299—300, 562

იერონი (ტიოანი) 330
თერსიტე („ილიადა“) 107, 112, 562
თესალია (ჩრდ. საბერძნეთის მხარე) 5, 8, 10, 69, 70, 75, 93—4, 151—2, 211, 217—18, 253, 317—18, 327, 387, 394, 420, 426, 492, 512, 533, 555
თესალიელები 94, 176, 218, 220—1, 554
თესპიდე (ტრაგიკოსი) 449
თესპიელები 225
თესპიე (ქალ. ბეოტაში) 225. 529, 532
თესპიდე (ტრაგიკოსი) 253, 315
თეტიდა (მით.) 264
თესეიონი (ჰეფესტოს ტაძარი) 359
თრაკია 8, 135—6, 141, 160, 166, 251—2, 309, 316, 318—320, 324—5, 334, 369, 394—5, 415, 485, 553, 555—6
თრაკიელები 78, 136, 161, 307, 554
თოასიბელე (მილეტის ტიოანი) 184, 186
თრასიბელე (სტრატეგოსი) 412, 413, 419, 527, 530
თრასილე (სამოსის ფლოტის მეთაური) 412—13
თუკიდიდე (ისტორიკოსი) 25, 35, 54, 93, 142, 169, 211, 221—2, 228—9, 233, 237, 322—3, 333, 336, 341, 345, 354—5, 369—373, 375, 377—8, 382—3, 387, 389—392, 394, 398—9, 402, 408, 412—13, 430, 469, 507—8, 547—550, 552
თურიოი (ახალშენი სამხ. იტალიაში) 297, 330, 350
თუთმოს III (ეგვიპტის ფარაონი, 1503—1491) 35, 37

ი

იაზონი, იასონი 151—2, 463
იაზუნ-ბურუნი (იასუნის კონცხი) 137
იარხო (მკვლევარი) 579, 582
იასონ ფერელი 548
იახმოსი (ეგვიპტის ფარაონი, 1584—1559) 28
იბერია 134, 144
იბიკოსი (პოეტი) 187, 277
იდა (მთ.) 15, 75—77
იერუსალიმი (ქალ.) 287
იესენი ა. (ისტორიკოსი) 572
ივანოეი ვ. (მწერალი) 185—6
იზელინი ისააკ 198
ითაკა (კუნძ.) 4, 13, 81, 100
ითაკელები 107
ითომე (მთ.) 207, 326, 336. 341 392
იკაროსი (მით.) 19
იკაროსის ზღვა 19
„ილიადა“ (ჰომეროსი) 9, 11, 13, 24. 48, 57, 66, 69, 70, 78, 96—105, 108. 110, 111, 134, 137, 149, 218, 261
ილირიელები 552
ილისი (მდ.) 225
ილიონი, ილოსი 58, 75—6
იმბროსი (კუნძ.) 15, 252, 417, 528
ინარი (დელტის მთავარი ეგვიპტეში) 341
ინგლისი 102, 445
ინდოეთი 289, 291
ინდოსი (მდ.) 287. 291
იო (მით.) 455
იოლკოსი (ქალ. თესალიაში) 70, 151. 217
იოკასტა („ოედიპოს მეფე“) 457
იონელები, იონელნი 9, 118, 125, 133. 136, 140, 162, 280, 293. 301, 303. 305—6, 314, 319, 350
იონია 10, 74, 89, 143, 184, 186. 190. 228, 261, 278—281, 284, 299, 301. 304, 319, 334, 410, 412, 479. 483
იონი (ათენის ლეგენდ. დამაარსებელი) 230
იონიის კუნძ. 320
იოსელიანი ლ. 574
„იპოლიტე“ (ევრიპიდე) 464
ირანი 291
ირისი (მდ. მცირე აზიაში) 137
ისაგორე (არქონტი ათენში) 255—6, 260
ისთმოსის (კორინთოს) ყელი 6. 180, 184. 317, 441, 527, 533
ისოკრატე (ათენელი ორატორი, 436—338) 350, 380, 430, 440, 509, 523. 530, 535, 548, 550, 558—9
ისოპატი (ბორაკი) 50

„ისტორია“ (თუკიდიდე) 142, 370-1
„ისტორია“ (პეკატეოს მილეტელი) 143
„ისტორიული ბიბლიოთეკა“ (დიოდორე სიცილიელი) 550
ისტრია 161
ისქომაქოსი (მდიდარი ათენელი მოქალაქე) 427, 510
იტალია 125, 129—132, 168, 175—6, 208, 252, 271, 281, 287, 297, 329, 370, 430, 465, 481, 496
იტონია 222
იუდეა 186
იუდეელები 287
იულიუს პოლუქსი (ლექსიკოგრაფი) 214
იუსტინე (მწერალი) 550
იუქტა (გამოქვაბული კრეტაზე) 47
იფიკრატე (სტრატეგოსი) 525, 527, 533
იქტიონოსი (ხუროთმოძღვარი) 472

კ

კაგაროვი (ისტორიკოსი) 578
კადმეა (ციხე-სიმაგრე თებეში) 128, 529, 532, 533, 554
კადმოსი (თებეს მით. დამაარსებელი) 127—8, 222, 448
კავკასია 148, 157
კავკასიონის ქედი 147—149
კახამანოვა (ისტორიკოსი) 574
კაკოვატოსი (ადგილი ტრიფილიდაში) 71
კალანდაძე ალ. (არქეოლოგი) 571
კალიასი 328, 344, 350, 361, 402
კალიდონი (ქალ.) 106
კალიკრატე (ხუროთმოძღვარი) 472
კალიკრატიდე (ნავარქოსი) 415
კალინოს ეფესელი 271—2
კალიოპე (მით. მუზა) 265, 268
კალიპიდები (პელენო-სკეითების ტომი) 163
კალისტოვი (ისტორიკოსი) 572
კალლატია (ქალ.) 161
კალოს ლიმენი (ქალ.) 162
კალქედონი (ქალ. მცირე აზიაში) 161
კამარესი (სოფ. კრეტაზე) 26, 42, 47
კამბიზი (სპარსეთის მეფე, 529—523) 287. 288
„კანონები“ (პლატონი) 379
კაპადოკია, კაპადუკია (მხარე მცირე აზიაში) 140
კაპანაძე (ნუმიზმატი) 571
კარდუხი (ქურდები) 145
კართაგელები 129, 132, 190—1, 288, 301, 315, 329—331, 536, 538—540
კართაგო (ფინიკიელთა ახალშენი აფრიკაში) 126—7, 132, 288, 399, 400, 538, 544
კარიელები 9, 31—2
კარია (მხარე მცირე აზიაში) 306, 334
კასიტები (ტომი) 27
კასპიის ზღვა 287
კასტალი (წყარო) 265
კატანი, კატანა (ახალშენი სიცილიაზე) 130, 181
კაცნელსონი (მკვლევარი) 568
კაპრსტელტი (მკვლევარი) 259
კეკროპსი (ათენის ლეგენდარული მეფე) 177, 475
კეოსი (კიკლადის ჯგუფის კუნძ.) 4
კერასუნტი (ქალ.) 139, 145
კერდონი (ხელოსანი) 509
კერი (მით.) 264
კერკინიტიდა (ევპატორია) 162
კერკირა (კუნძ. ადრიატიკის ზღვაში) 4, 315, 385—6, 392, 548
კერკირელები 386
კესლერი (მკვლევარი) 573
კეფალენია (კუნძ.) 4, 343
კეფისი (მდ. ატიკაში) 225
კეფისოდოტე (მდიდარი პირეუსელი მეტეკი) 363
კეფისოდორე 400
კვიში 172
კვიპროსი (კუნძ.) 8, 10, 35, 37, 54, 75, 77, 88—9, 118, 126, 133, 166, 284, 306, 328, 343—4, 421, 429, 430, 436, 528
კიდონელები (ტომი) 18

კიზიკოსი (ახალშენი მცირე აზიაში) 413, 537
კითერა (კუნძ.) 210, 394—5, 429
კითერონი (მთები ატიკისა და ბეოტიის საზღვარზე) 5, 225, 457—8
კილიკია (მხარე მცირე აზიის სამხ.-აღმო-საელეთში) 133
კილონი 232
კიმე (ახალშენი იტალიაში) 129, 331
კიმერიელები 133, 138—9
კიმერიკონი, კიმერია (ქალ.) 163—4, 558
კიმერიის (ქერჩის) სრუტე 162—3
კიმოლიელები 367
კიმონი (მილტიადე უმცროსის ძე, სტრატეგოსი) 323—328, 336, 341, 344, 358, 420, 456, 460, 470, 476
კინადონე (გაღატაკებული სპარტიატი) 516, 520, 543, 548
კინურია (მხარე პელოპონესში) 7. 210
კიპარისია 79
კიპსელოსი (კორინთოს ტირანი) 187
კირენე, კირენა (ახალშენი აფრიკაში) 125, 135, 429, 496
კიროს II აქემენიდი (კიროს უფროსი, სპარსეთის მეფე. 558—529) 210, 286—7, 293, 414
კიროს უმცროსი (სპარსეთის მეფე, არქტაქსერქსე II ძმა) 145, 374—376, 524—526, 545
კირნე (ყრმა) 274
კირხერი (მკვლევარი) 98
კლავდიოს პტოლემაიოსი 155
კლაზომენე (კუნძ.) 528
კლეარქე (სპარტის სარდალი) 524, 545
კლეომენე I (სპარტის მეფე) 253, 255
კლეომენე III (სპარტის მეფე) 78, 196
კლეომენ ლაკედემონელი 305, 364
კლეონი (კანონმდებელი) 381, 389, 390, 393, 395, 398, 403—4, 465
კლეოფონტე 381, 414, 417
კლიო (მით., მუზა) 265
კლისთენე (კანონმდებელი, ტირანი) 189, 255—6, 258—9, 260, 270, 308, 312, 314, 337, 345, 349, 352, 407, 409, 412, 426
კლიტიასი 418
კლიტემნესტრა (აგამემნონის მეუღლე) 16, 61, 78
კნიდოსი (ქალ. მცირე აზიაში) 527, 530
კნოსი (ქალ. კრეტაზე) 23, 25, 29—32, 34, 37, 39—41, 44—48, 50, 51, 70, 74, 79, 84—86, 89, 166, 174, 212
კოდონელები (ტომი) 18
კოდრიდები (სამეფო გვარი) 479, 495
კოდროსი (ათენის მით. მეფე) 74, 230—1, 254
კოლაოს სამოსელი 131
კოლობოვა (ისტორიკოსი) 570, 574
კოლონი (ათენის გარეუბანი) 232—3, 456, 458
კოლოფონი (ქალ. მცირე აზიაში) 74—5, 415
კოლხები 140, 145—6, 290
კოლხიდა, კოლხეთი, კოლხა 139—141, 143—4, 149—151, 154—160, 463
კონონი (ათენელი სტრატეგოსი) 530
კოპაიდი (ტბა ბეოტიაში) 221
კოპენჰაგენი 158
კრატინე 469
კორინთელები 169, 387, 392, 417
კორინთოს ყელი 6, 193
კორინთოს ყურე 92
კორინთო 6. 67—70, 124—5. 135, 166—169, 171. 184, 187—8, 192, 210, 315, 319, 342—3, 365, 368, 385—6, 388, 395—6, 420, 426, 429, 430, 436, 463, 508, 520, 523, 526, 540, 543—4, 561, 564—5
კორნემანი ერნსტ (მკვლევარი) 567
კორონეა 223
კორსიკა (კუნძ.) 131—2, 287, 329
კოსელები 535
კოსი (კუნძ.) 89, 534
კოტიორა (ქალ. მცირე აზიაში) 139, 145
კოჰენი (მკვლევარი) 569
კრატიპე (ისტორიკოსი) 378
კრეზი (ლიდიის მეფე) 137, 210, 274, 294
კრეონტი (თებეს მეფე) 458—9, 460, 463
კრეტა (კუნძ.) 3, 4, 10, 18—22, 25—6, 28—9, 31—41, 43—4, 46—51, 53—57, 59—70, 74, 79, 80, 89, 91, 126,

128, 176, 195, 211—215, 315—16, 365, 425
კრეტელები 18, 33—35, 37, 40—42, 47, 50, 54, 71, 91, 131
კრემჩერი (ფილოლოგი) 22
კრისა (ნავსადგური დელფოში) 220
კრიტიასი (30 ტირანის მეთაური ათენში) 419, 490, 541
კრიტიასი (მოქანდაკე) 470
კრიუგერი (მკვლევარი) 584
კრონი (მკვლევარი) 148
კრონოსი (ღმერთი) 177, 264, 269, 403
კროტონი (ახალშენი სამხ. იტალიაში) 280, 303, 329, 483, 492, 539
კტესიასი (ბერძენი ისტორიკოსი) 316, 317
კტესიფონი 563
კულიშერი (პროფ.) 350, 433
კუნაქსი (სოფ. შუამდინარეთში) 375, 545
კურონიოტისი (საქართველოში) 22, 71

ლ

ლადე (კუნძ.) 306
ლაერტი (ოდისევსის მამა) 110, 116
ლავრენიონი (მაღაროები) 8, 116, 226, 313, 346, 401, 429, 435, 536
ლაერენიონი (მთაგრეხილი) 225
ლაზითის მთები (კრეტაზე) 47
ლაოსი (თებეს მეფე) 457—8
ლაკედემონელები 200, 212, 216, 341, 384, 387, 391, 530, 554
ლაკედემონი (ქალ.) 7, 194, 201, 277, 374, 387
ლაკონიკა 6, 7, 10, 74, 94, 166, 193—4, 199, 200, 212, 225, 282, 429, 512, 517, 532, 533
ლამაქოსი (ათენელი სარდალი) 400-1, 465
ლამპსაკოსი (ქალ. მცირე აზიაში) 382, 482
ლაომედონი („ილიადა") 76
ლაპითები 471
ლარისა (ქალ. თესალიაში) 253
ლახმანი კარლ (მკვლევარი) 98
ლეეკადა (კუნძ.) 4, 169, 315
ლევკიპე (ფილოსოფოსი) 487
ლევკტრა (ქალ. ბეოტიაში) 532, 534
ლელანტის ველი 191, 260
ლელეგები (ტომი) 9
ლემნოსი (კუნძ.) 4, 10, 252, 417, 528
ლენცმანი ი. (მკვლევარი) 87
ლეონიდე (სპარტის მეფე) 311, 317
ლეონტინი (ახალშენი სიცილიაში) 130, 350, 386, 399
ლეოტიხიდე (სპარტის მეფე) 319—321
ლერნა (სოფ.) 68
ლესბოსი (კუნძ.) 4, 166—7, 184—5, 275, 312, 320, 390—1, 394, 402, 429
ლეტო (მით., აპოლონის დედა) 90, 267
ლიბია (აფრიკის ბერძნ. სახელწოდება) 299, 367, 399
ლიბიელები 78
ლიგდამიდე (ნაქსოსის მმართველი) 252
ლიგურია (სამხ. საფრანგეთი) 131
ლიდია (სამეფო მცირე აზიაში) 133, 137, 160, 166, 168, 184, 210, 271, 274, 287. 294, 299, 300, 430, 524
ლიდიელები 168, 185, 299, 301
ლიკია (მხარე მცირე აზიაში) 106, 132, 306
ლიკომიდები (გვარეულობა) 308
ლიკურგოსი (სპარტელი კანონმდებელი) 195—6, 198, 201, 209, 212, 236
ლიკურგოსი (ათენელი ფინანსისტი) 560
ლიკურგოსი (ორატორი) 272
ლიკურგოსი (პედიაკების ბელადი) 250
ლინდოსი (ქალ. როდოსზე) 131
ლისანდრე (სპარტელი ნავარქოსი) 196, 378, 415, 417—419, 526, 542, 545
ლისიასი (ორატორი) 380, 508, 511, 517
ლისისტრატე („ქალები სახალხო კრებაზე", არისტოფანე) 466—7
ლოკრიდა (მხარე შუა საბერძნეთში) 6, 344
ლოკრიდელები 387
ლომოური ნ. 139, 141, 154—157
ლორთქიფანიძე ო, 141, 155, 157
ლორიმერი ე. 102
ლურიე ს. (პროფ.) 22, 25, 74—5, 79, 80, 87, 182, 249, 250, 260, 281, 305, 374
ლუქსოსი (ქალ. ზემო ეგვიპტეში) 36

მაგნესია (ქალ. მცირე აზიაში) 272, 324, 555
მაადერი ედ. (მკვლევარი) 11, 74, 196—198, 236, 378, 429, 445—6
მაკედონელები 549, 551, 555, 557, 562 — 564
მაკედონია 316, 380, 386, 420, 523, 533, 549, 550, 552—556, 558—9, 561—563
მალია (ქალ. კუნძ. კრეტაზე) 31
მანდროკლე სამოსელი, მანდროკლე (არქიტექტორი) 284, 292
მანტინეა (ქალ. არკადიაში) 396, 534
მარათონი (ქალ. ატიკაში) 228, 294, 304, 307, 309—311, 313—14, 447, 470
მარდონიოსი (სპარტის მბედართმთავარი) 299, 307, 318
მარი ნიკო 148
მარსიასი (მით.) 473, 493
მარქსი კარლ 454, 499, 502
მასაგეტები (სკვითური ტომი) 287
მასალია (ახალშენი სამხ. საფრანგეთში) 131
მეანდრე (მდ.) 364
მეგაბაზი (სპარტის სარდალი) 292
მეგაკლე (ალკმეონიდი) 233
მეგალოპოლისი (ქალ.) 533
მეგარა (ქალ. კორინთოს ყელზე) 6, 125, 136, 140, 161, 184, 188—9, 233, 242—244, 252, 327, 342, 344, 383, 385, 387, 389, 394—5, 429, 436, 496, 508
მეგარელები 386
მეგრულ-ჭანური ტომი 145
მედეა 53, 151—2, 463
„მედეა" (ევრიპიდე) 463
მედია, მიდია (გეოგრ.) 287, 309
მედიელები 335
მეთიმნა (ქალ. ლესბოსზე) 530
მელანტო (მონა დოელიოსის ქალიშვილი) 117
„მელანიპა-ტუსაღი" (ევრიპიდე) 462
მელეაგრე (გმირი) 106
მელიქიშვილი გ. (ისტორიკოსი) 139
მელოსელები 367
მელოსი (კუნძ.) 4, 88, 89, 398
მელპომენე 265
მემფისი (ქალ. ეგვიპტეში) 133, 342
მენელაოსი (სპარტის მეფე) 12, 80, 121, 153, 195, 467
მენონი (მეტეკი) 382
მენსეპერა (ღმერთი რას შვილი) 37
მეოტები (ტომი) 164
მესემბრია (ქალ. მცირე აზიაში) 161
მესენია (მხარე სამხ. საბერძნეთში) 6—8, 10, 22, 26, 71, 73—4, 94, 193, 206—210, 214, 217—18, 272, 326, 392, 426, 512—13, 517, 533
მესენიელები 208, 272, 327, 341
მესოპოტამია 27
მესხია შ. (ისტორიკოსი) 141
მეტაგენესი (ხეროთმოძღვარი) 282
მეტაპონტი (ქალ. სამხ. იტალიაში) 130
მეტონი (ათენელი ასტრონომი) 400, 483, 555
მიდია 286
მიკალეს კონცხი 299, 319, 320, 336
მიკენელები 64—5
მიკენი (ქალ. არგოლიდაში) 7, 11—13, 16—18, 24, 37, 41, 52, 54—67, 69, 72—75, 78—80, 82—92, 94—96, 102, 103, 106, 113, 117, 118, 127, 153, 195, 206, 282
მილეტელები 137, 140, 159—162, 304, 330, 390
მილეტი (ქალ. მცირე აზიაში) 79, 89, 124—5, 134, 139, 143, 159—161, 166—7, 169, 185, 188, 273, 283, 293, 295, 303, 305—6, 308—9, 390, 402, 420, 442, 479
„მილეტის აღება" (ფრონიქოსი) 295, 450
მილტიადე (მარათონის ბრძოლის გმირი) 252
მილტიადე უფროსი 307, 309—311, 324
მიმნერმოსი (იონელი პოეტი და მესიკოსი) 74, 274
მინიასი (მით.) 61
მინიების ტომი 5, 221
მინოსი (კრეტის მეფე) 18—21, 31, 35, 39, 51, 53, 55—57, 70, 119, 128, 212

მინსკი (ჰომეროსის პოემების მთარგმნელი) 103
მირონი (მოქანდაკე) 470, 493
მირიანაშვილი პ. (ლდია) 103
მიტილენელები 185, 391
მიტილენი (ქალ. ლესბოსზე) 171, 185—6, 220, 415, 530
მიულერ-შტრიუბინგი (მკვლევარი) 373
მიუნხენი 276
მიშელინი (ისტორიკოსი) 578
„მიწის აღწერილობა" (ჰეკატეოსი) 280
„მიჯაჭვული ამირანი" (ჩიქოვანი) 148
„მიჯაჭვული პრომეთე" (ესქილე) 454
მნესიკლე (ხუროთმოძღვარი) 475
„მოგონებანი სოკრატეზე" 376
მოირა (აისა, მით.) 120—1, 269
მომზენი 352
მოსინიკები 140
მოსკოვი 148
მოქვი მდ. (კიანეო) 155
მცირე აზია 4, 10, 12, 15, 18, 19, 35, 51, 70, 74—5, 77, 88—9, 91, 124, 127, 131, 133, 138, 140, 160, 167—8, 171—2, 180, 210, 254, 271, 277, 282, 284, 286, 300—1, 303, 307, 316, 318—19, 324—5, 328—9, 402, 414—15. 479, 514, 524, 526—7
მუნიქია (ათენის ნავსადგური) 419, 437
„მხედრები" (არისტოფანე) 393, 403

ნ

ნაბუქოდონოსორი (ბაბილონის მეფე) 186
ნავარინის ყურე 71
ნავკრატისი (ახალშენი ეგვიპტეში) 133—4
ნავპაქტოსი (ქალ.) 327, 387
ნავსიკაია (ალკინოოს მეფის ასული) 116
ნანო (ფლეიტაზე დამკვრელი ქალი) 274
ნაქსოსი (კუნძ.) 4, 20, 305, 325, 531
ნაქსოსი (ახალშენი სიცილიაზე) 130, 142, 252, 284
ნაქში-რუსტამი 289
ნეაპოლი 298
ნეაპოლისი (კიმეს ახალშენი) 129
ნეიტა (ქალღმერთი) 288
ნელევსი (მით., პოსეიდონის ძე) 70, 71, 74, 230
ნემეა (მდ.). 441
ნემეზიდა (მით.) 264
ნეოკლე (თემისტოკლეს მამა) 308, 310
ნესიოტესი 470
ნესტორი (პილოსის მეფე) 66, 70-1, 73, 80, 103, 254
ნეტართა კუნძ. 269
ნეხო (ეგვიპტის ფარაონი) 291
ნიბური მ. (მკვლევარი, 1776—1831) 14
ნიკე (გამარჯვების ქალღმერთი) 283, 475—6
ნიკიასი (სტრატეგოსი) 378, 382, 389, 395, 398—401, 407, 508
ნიკომაქოსი (არისტოტელეს მამა) 500
ნიკომედე (სპარტის მეფე) 313
ნილოსი (მდ. და ველი) 59, 133, 291, 327, 484
ნილსონი მ. (შვეციელი მკვლევარი) 198
ნიმფეა (ახალშენი ყირიმში) 163
ნისეა (მეგარის ნავსადგური) 343
ნიუქსი (მით.) 263
ნიხი ვილპელმ (მკვლევარი) 98
ნიცშე 373
ნოტიონი (კონცხი) 415
ნუბია 37

ო

ოდესე (თანამედ. ოდესა) 161
„ოდისეა" (ჰომეროსი) 11, 13, 18, 24, 35, 57, 66, 78, 96—98, 100—102, 105, 108, 110—11, 113, 115, 117, 126, 134, 149, 153, 261,
ოდისევსი (ითაკის მეფე), 12, 66, 89, 98, 100, 107, 110, 112—117, 126
„ოდისევსი მიწისქვეშა სამეფოში" 470

„ოდიპოსი კოლონოში“ (სოფოკლე) 456—458
ოდიპოსი 456—8
ოინოპიდე ქიოსელი (მათემატიკოსი, ფილოსოფოსი, ასტრონომი) 483
ოკეანიდები (მით.) 264, 455
ოლბია (ქალ. ბუგის შესართავთან) 125, 162, 165
ოლიმპია (ქალ.) 7, 67, 193, 207, 233, 270, 282, 366, 398, 441, 471, 476—7, 551
ოლიმპო (მთ.) 5, 6, 89, 90, 146, 174, 262, 265, 268
ოლინთელები 554, 556
ოლინთი (ქალ. ქალკიდიკაში) 135, 556
ოლრიკი აქსელ (დანიელი ფოლკლორისტი) 148
ონომაკრიტე (ორფიკული სექტის დამაარსებელი) 270
ონომარქოს ფოკიდელი 555
ონქესტო (ქალ.) 222
ორესტე (აგამემნონის ძე) 16, 116, 455
„ორესტეა“ (ესქილე) 455
ორდე 139
ორთაგორე (ტირანი სიკიონში) 189
ორიოტი (სპარსეთის მეფისნაცვალი) 187
ოროპოსი (ქალ.) 223
ორფევსი (მომღერალი) 268
ორქომენი (ქალ. ბეოტიაში) 4, 5, 18, 61, 69, 151, 221, 223—4, 282, 529
ოსმალეთი 15
ოქსირინხი 369, 377
ოჩემჩირე 155

პ

პაგასი (ნაესადგური თესალიაში) 218, 555
პაესანიასი (ძვ. წ. II საუკ. მწერალი—პერიეგეტი) 58—9, 61—2, 71, 138, 265, 310, 321 — 323
პაესანიასი (სპარტის მეფე) 196, 198, 417, 419, 470
პაესანიას უმცროსი (სპარტის მეფე) 515
პალამედი (გმირი) 114
პალეკასტრო 39
პანგეიონი (მაღაროები) 252 , 346, 429, 553—4
პანდორე (მით.) 146
პანტიკაპეიონი (ქერჩი) 163—165
პაპაზოგლუ ფანულა (მკვლევარი) 152
„პარალელური ბიოგრაფიები“ (პლუტარქე) 378
პართენოსი 358, 382, 359, 472, 475, 477
პართია (მხარე) 286
პარისი (ტროას მეფისწული) 12, 76, 121, 153
პარმენიდე (ელეატების სკოლის მეთაური) 481
პარნასი (მთა) 6, 7, 266
პაროსელები 136
პაროსი (კუნძ.) 4, 8, 19, 135, 182, 284
პარპასიოს ეფესელი (მხატვარი) 477
პასიონი (ათენელი ტრაპეზიტი) 363, 366, 441, 435, 440, 510
პატროკლე (აქველთა გმირი) 115
პაფლაგონელები 137, 393
პაფლაგონია 137, 139
პაქეტოსი (ათენელი სტრატეგოსი) 390
პედიონი 229
პეისანდრე 409—411, 413
პელა (მაკედონიის ქალ.) 500, 552, 557
პელასგები (ტომი) 9, 18, 54—5, 119, 129, 226
პელეესი (აქილევსის მამა) 9
პელიასი (იოლკოსის მეფე) 151, 463
პელოპი 471
პელოპიდასი (თებელი დემოკრატი, სარდალი) 529, 532
პელოპონესი (სამხ. საბერძნეთი) 6, 10. 11, 18, 35, 53, 56, 58, 70, 75, 91—94, 130, 168—9, 193, 195, 207—8, 210, 284, 315, 319, 322—3, 342, 344, 349—50, 369—70, 374, 377, 382—3, 385—390, 392—396, 403, 405, 412—414, 418, 420, 424, 426, 430, 441, 450, 456, 478, 507—8, 510, 514,

523, 532—534, 537, 543, 550, 558, 563
პელოპსი (მით., გმირი) 193, 292
პენდლბერი დ. (ისტორიკოსი) 27, 55
პენეიონი (მდ. თესალიაში) 5, 218
პენეიონის ველი 8
პენელოპა (ოდისევსის მეუღლე) 111, 115—117
პენესტები (ტომი) 218
პენთილიდები 171
პენტელიკონი (მთა) 225, 472, 475
პერდიკა (მაკედონიის მეფე, ძვ. წ. V საუკ.) 386, 552
პერდიკა III (მაკედონიის მეფე, 365—360) 552
პერიანდრე (კორინთოს ტირანი, 627—585) 169, 187—8, 273
პერიკლე 287, 297, 327, 332—334, 336, 338, 341, 344—349, 351—355, 357—362, 369, 373—4, 377—8, 381—383, 385, 387—390, 397—399, 403, 421, 427, 430, 436, 448, 456, 465, 472, 476, 488, 522
პერიკლიმენე 257
პერინთი (ახალშენი) 550
პერსე (მით.) 173
პერსეპოლისი (ქალ. სპარსეთში) 289
პერსეფონე (მით.) 268
პეტროვსკი (პროფ.) 150
პეტსოფი (მწვერვალი) 47
პიელმანი 261
პინდა (ქალ. სამხ. მაკედონიაში) 554
პითაგორე (ფილოსოფოსი) 135. 269, 279, 280, 483
პითია (ქურუმ-ქალი) 196, 266, 441
პითონი (მით.) 267, 270
პილოსელები 75, 89
პილოსი (ქალ. მესენიაში) 7, 22—24, 56—7, 63, 66—7; 71—74, 79, 80, 82—90, 134, 230, 254, 266, 413, 466
პილოსის ყურე 392, 395
პინდარე (პოეტი, 552—447) 293—4, 331, 455
პინდოსი (ქედი ჩრდ. საბერძნეთში) 5
პირეუსი (ათენის ნავსადგური) 234, 308, 342—3, 350, 359, 363, 389, 408, 413, 417—419, 430—432, 436—7, 508
პირიეკები 130
პირიმზე (მით.) 149
პისატია (გეოგ.) 207
პისატიელები 207
პისისტრატე (ათენის ტირანი) 97, 101, 250—254, 309, 312, 358, 448
პიტაკოს მიტილენელი 181, 185, 273
პიტიუნტი (ბიქვინთა) 155
პლანქტინი 396
პლატეა (ქალ. ბეოტიაში) 135, 223, 260, 299, 310, 315, 318, 323, 387—8, 391, 395, 476, 508, 529
პლატეელები 388
პლატონი (ფილოსოფოსი) 55, 101, 195, 272, 276, 364, 379, 479, 493—500, 503, 505—6, 517, 540, 544, 546
პლეისტარქოსი (სპარტის მეფე) 321, 395
პლეისტოანაქტე (სპარტის მეფე) 395
პლეტარქე 195, 198, 201, 209, 229—233, 236, 238—9, 241, 243, 246—7, 300, 325, 346, 348, 355, 359, 369, 378, 427, 488, 508, 542, 550, 562
პლუტოსი (ღვთაება) 519
პნიქსი (გორაკი) 338, 351, 403
პოელმანი (ისტორიკოსი) 397, 445
პოლემარქოსი (ათენის ჯარების მთავარსარდალი) 508
პოლემონი 505
პოლიბიოსი (ისტორიკოსი) 443—4
პოლიგნოტე (ბერძენი მხატვარი) 294 358, 443—4, 458, 470
პოლიეგა (კუნძ.) 367
პოლიიმნია (მით., მუზა) 265
პოლიკლეტე (მოქანდაკე) 477
პოლიკრატე სამოსელი (სამოსის ტირანი) 31, 186—7, 191, 276, 283, 287, 294.
პოლინიკე (ოდიპოსის ძე) 458—?
„პოლიტია“ (პლატონი) 496, 498
„პოლიტიკა“ (არისტოტელე) 380, 501—2, 512, 519
პოლუქსი (სოფისტი და გრამატიკოსი) 200, 364
პომპეუს ტროგუსი (ისტორიკოსი) 550
პონტი 136—7, 140, 161—2, 349, 413, 416, 430, 511
პოსეიდონი (ღმერთი) 70, 76, 90, 222, 265, 319, 471, 475

პოსიდონია (პესტუმი, ახალშენი იტალიაში) 130
პოტიდეა (კორინთოს ახალშენი ქალკიდიკაზე) 135, 386, 492, 508, 554, 557
პრატინე ფლიუნტელი (დრამატურგი) 450
პრაქსაგორა 518—19
პრიამოსი (ტროას მეფე) 12, 15, 76—78, 114, 137
პროდიკე (სოფისტი) 397, 490
პროკლე (სპარტის მეფე) 196
პრომეთე (მით.) 147—149, 454—5, 489
პროპონტიდა (მარმარილოს ზღვა) 4, 136, 303, 320, 349, 556
პროპილეები 359
პროტაგორე აბდერელი (სოფისტი, 480—411) 397, 447, 489—491
პროქსენე 364
პსამეტიკ I (ეგვიპტის ფარაონი) 123

ჟ

ჟებელიოვი (ისტორიკოსი) 184

რ

რა (ეგვიპტელთა ღმერთი) 37
რადამანთე (მით., მსაჯული) 31, 212
რადციგი (მკვლევარი) 582
რამზეს II (ეგვიპტის ფარაონი, 1317—1251) 227
რეა (მით.,) 264
რეგიონ (ახალშ. იტალიაში) 350, 386, 539
რეგიუმი (ახალშენი იტალიაში) 130
რეიხელი (მკვლევარი) 566
რეკოსი (სამოსელი ოსტატი) 166
რიონი (მდ.) 144
როდანი (რონი, მდ.) 131
როდბერტუსი (ეკონომისტი) 444
როდოსელები 535
როდოსი (კუნძ.) 4, 37, 88—9, 126—7, 420, 530, 534
რომაელები 546
რომი (ქალ.) 245
როტშილდი 440
რუსთაველი შოთა 101

ს

საბერძნეთი 3—11, 14, 25, 35, 37, 53, 55—58, 61, 70, 73, 78, 92, 95—97, 103, 106, 110, 113, 115, 117, 120, 123, 125, 128, 130, 132, 137, 142—3, 151—153, 165—169, 172, 177, 179, 180, 182, 184, 187, 190—192, 194, 197, 199, 210, 217—18, 220, 225—6, 244—5, 252, 261, 266—7, 270—272, 280, 283, 286, 290, 292—3, 295, 297, 299, 304, 305, 307, 309, 314—317, 319, 326, 331, 342, 344, 346, 351, 358, 360—1, 364, 370, 372, 375, 377, 391, 395, 418, 420, 425, 426—430, 432, 434, 437—442, 444—447, 454, 465, 479, 483, 489, 495, 500, 507, 510, 515—517, 523—525, 527, 531, 533—535, 538—9, 541, 543, 545—6, 549, 552—554, 558—564
„საბერძნეთის ისტორია“ (ულ. ვილკენი) 197
საბოტის კუნძ. 386
საბეოთა კაშირი 149, 297
საისი (ეგვიპტის დინასტია, 686—525) 133, 134, 188, 287
საისი (ქალ.) 288
სალამინი (კუნძ. და ქალ.) 242, 252, 294—5, 317, 322, 328, 330, 335, 400, 412, 447, 461
სამოსელები 169, 385, 417
სამოსი (კუნძ.) 4, 10, 19, 31, 134, 166, 187, 189, 191, 220, 276, 282, 292, 319, 320, 364, 385, 402, 409, 412, 429, 460
სამოთრაკია (კუნძ. და მწვერვალი) 15, 75
„სამუშაონი და დღეები“ (ჰესიოდე) 146, 172—174, 262
სამხრეთ იტალია 181, 477, 539
საპფო (პოეტი ქალი) 275—6

სარგონ II (ასურეთის მეფე, 722—705) 133
სარდინია (კუნძ.) 131, 329
სარდი 137, 289, 301
სარმატები (ტომი) 164
სარონის სრუტე 169
სარპედონი (ლიკიის მეფე) 106
სატურნი (ღმერთი) 175, 177
„სატირების დრამა“ 450
საქართველო 49, 101, 139—141, 144, 152, 156—7
„საქართველოს ისტორია“ 150
სებასტოპოლისი 155
სეგესტა (ქალ. სიცილიაში) 350, 399
სეგესტელები 399
სევასტოპოლი 162
სელენე (მით.) 264
სელინუტი (ახალშენი სიცილიაში) 131, 399
სემელა (მით., მეფე კადმოსის ასული) 448
სერგეეი (ისტორიკოსი) 56, 102
სერიფოსი (კუნძ.) 4
სესტოსი (ქალ. თრაკიაში) 320
სვიდა (ლექსიკოგრაფი) 273
სიბარისი (ახალშენი სამხ. იტალიაში) 130, 169, 297, 329, 330
სიგეიონი (ქალ. მცირე აზიაში) 252, 301
სიდონელები 113, 126
სივა (ოაზისი) 135
სიკიონელები 220
სიკიონი (ქალ.) 184, 189, 270, 469, 544
სიმოენტის ველა 15
სიმოეისი (მდ. მცირე აზიაში) 75
სიმონიდე ამორგელი 274
სიმონიდე კეოსელი (პოეტი) 279, 311, 317, 331
სინაპერიბი (ასურეთის მეფე, 705—681) 133
სინდები (ტომი) 164
სინოპელები 139
სინოპი (ქალ. მცირე აზიაში) 137—8, 140, 145
სირაკუზელები 538
სირაკუზი (ქალ. სიცილიაზე) 130, 169, 315, 330—1, 350, 370, 394, 399—401, 420, 436, 496, 508, 536—540, 548
სირდარია (მდ.) 287
სირია 28, 35, 66, 88, 126
სირისი (ქალ. სამხ. იტალიაში) 130, 303, 329
სისოსტრატე 537, 543
სიფნოსი (კუნძ.) 4, 8, 166
სიცილია 19, 125, 129—132, 168, 181, 184, 190, 279, 329—331, 349, 370, 382, 386, 394, 399—401, 408, 425, 429—30, 453, 465, 470, 478, 481, 484, 490, 536—540, 544, 547
სიცილიის ზღ. 511
სკამანდროსი (მდ. ტროადაში) 75
სკამანდროსის ველი 15
სკვითები 138—9, 162—165, 284, 291—2, 297, 303, 421, 517
სკვითია 289, 292, 299
სკილაქს კარიანდელი 291
სკიროსი (კუნძ.) 324, 417, 528
სოანები (სვანები) 154
სობოლევსკი (მკვლევარი) 582
სოგდიანი (მხარე შუა აზიაში) 289
სოკოლოვი თ. (მკვლევარი) 99
სოკრატე (ფილოსოფოსი) 374, 376, 397, 400, 416, 419, 465, 468, 479, 485, 492—496, 503, 521, 541
სოლონი (ფილოსოფოსი) 135, 168, 197, 232, 234, 236—240, 242—244, 246—248, 251—2, 267, 273—275, 284, 294, 312, 314, 336, 406—7, 426
„სოლონის სეისახთეა“ (ალ. წერეთელი) 241, 244
სოპევსი (პურით მოვაჭრე) 441
სოსისტრატე 537
სოფოკლე (ტრაგიკოსი) 297, 300, 380, 449—50, 453, 456—461
სოფრონისკე (მოქანდაკე) 492
სოხუმი (ცხუმი) 155
სპარსეთი 137, 145, 210, 255, 286—7, 289—293, 297, 299—301, 303, 305—309, 314—15, 328, 343, 350, 374, 384, 392, 402, 409, 414, 418, 483, 488, 524, 526, 528—530, 532—3, 559, 562, 565

სპარსეთის ყურე 291
„სპარსელები" (ესქილე) 380, 453
სპარსელები 187, 223—225, 254, 276, 293—296, 300, 304—311, 314—321, 323—325, 328—330, 335—6, 341—2, 344, 348, 358, 361, 391, 402, 415, 418, 420, 447, 454, 466, 469, 526, 536, 545, 551, 564
სპარტა 12, 78, 80, 84, 94, 129, 130, 186, 193—201, 203—4, 207—212, 216, 253—255, 260, 267, 272—3, 282, 286, 305, 309, 310, 315, 317 — 327, 331, 342, 344, 346, 352, 363—4, 369, 374—5, 384—387, 389, 392—396, 398, 401, 405—6, 409, 412, 414—418, 426—7, 512—517, 520, 523—529, 531, 534—5, 541—2, 545, 554—5, 559, 563—4
სპარტელები 199, 207—209, 219, 222, 271, 273—4, 300, 310, 318, 321, 324, 327, 341, 375, 388—9, 391, 401, 406, 413, 416, 456, 467, 507, 511, 527, 530, 533—4, 545, 547
სპევსიპოსი 505—6
სპინა 129
სპორადები (კუნძ.) 127
სტრაგიროსი (ქალ. ქალკიდიკაზე) 500
სტესიქორესი (პოეტი) 277
სტრაბონი (ისტორიკოსი და გეოგრაფი ძვ. წ. 63—ახ. წ. 17 წ.) 71, 74, 136, 144, 146, 154, 207.
სტრატონი (ფიზიკოსი) 506
სტრეპსიადე 468
სტრიმონი (მდ. თრაკიაში) 325, 549
სტრუეე ვ. (აკად., ისტორიკოსი) 55
სუსა, სუზა (ქალ. სპარსეთში) 328, 414
სუეცი 289
სფაგიაში (ქერეშ-ქალი) 90
სფაქტერია (კუნძ.) 392

ტ

ტაერომენიონი (ახალშენი კუნძ. სიცილიაზე) 131
ტავრიდი 162
ტაიგეტი (მთაგრეხილი ლაკონიკაში) 194
ტალეიდი (ათენელი მეთუნე) 436
ტამანი (ნახ. კუნძ.) 162
ტანაგარა (ქალ. ბეოტიაში) 327, 342
ტანაისი (ქალ.) 163
ტარენტის ყურე 130
ტარტაროსი (მით.) 263—4, 448
ტარტესოსი, ტარტესი, ტარშიში (მხ. ესპანეთში) 131
ტახოსი (აჯანყებულთა წინამძღოლი) 525
ტევკროსი (მეფე) 75
ტელამონი (ჰერაკლეს მეგობარი გმირი) 76
ტელემაქოსი (ოდისევსის ძე) 90, 98, 100
ტემენოსი 551
ტენედოსი (კუნძ.) 4, 15
ტეოსი (ქალ. მცირე აზიაში) 118, 163 276
ტერილოსი (ტირანი) 330
ტერპსიხორე (მით., მუზა) 265
ტვირენიის ზღ. 539
ტვიროსელები 127
ტეიროსი (ქალ. სირიაში) 126—7
ტიბაები (ტომი) 140
ტიგროსი (მდ. მესოპოტამიაში) 27, 145, 306, 524
ტილისი (ქალ.) 79
ტიმარქოსი (ათენელი ხელოსანი) 509
ტიმეოსი (ისტორიკოსი) 270
ტიმოთე (მოქირავნეების უფროსი) 525, 533, 552
ტიმოთე მილეტელი (მწერალი, 450—360) 294
ტიმოლეონი 540, 544
ტიმოფანე 544
ტირასი (ახალშენი) 165
ტირენია 129
ტირენიის ზღ. 130
ტირიბაზი (სატრაპი) 528
ტირინთი (ქალ. არგოლიდაში) 7, 17, 18, 56, 57, 62—3, 65, 69, 71, 127, 282
ტირტეოსი (პოეტი) 206—208, 272—3, 364, 513
ტისაფერნე (სპარსეთის სატრაპი) 402, 409—10, 525

ტიუმენევი (აკად.) 566, 569,
ტოკარევი (ეთნოგრაფი) 574
ტომი (ახალშენი შავი ზღვის დას. სანაპიროზე) 161
ტომირისი (მასაგეტების მეფე ქალი) 287
ტომსონი დ. (ისტორიკოსი) 571
ტრაპეზუნტი (ქალ.) 138—140, 145
ტრიგეესი (გლეხი) 396
ტრიფილია 71, 74
ტროა (ილიონი) 9, 11—13, 15, 16, 18, 35, 75—78, 92, 96—7, 112, 114, 121, 127, 137, 161, 174, 195, 275, 383
ტროელები 15, 77, 100, 104
ტრონსკი (ფილოლოგი) 567, 569, 572

უ

უგარიტი (ჩრდ. სირიის სახელმწიფო) 35, 88, 118, 126
ურანოსი (მით.) 264, 268, 271, 292, 299, 303
ურუშაძე აკაკი 54, 149, 150
უტიკა (კართაგელების ახალშენი აფრიკაში) 127

ფ

ფაზისი, ფასისი 144, 151—2, 155, 157—8
ფაილე (ფოკიდელი) 555—6
ფაიუმი (ოაზისი) 36
ფალარისი (აგრიგენტის ტირანი) 190, 359
ფალეკოსი 557
ფალერონისი (ნავსადგური ატიკაში) 342, 343
ფალიას კალქედონელი 519
ფალოისი 555
ფანაგორია (ახალშ.) 163, 165
ფანეტოსი (იონელი სარდალი) 287
ფარსალოსი (ქალ. თესალიაში) 69
ფასელიდა (ახალშენი ლიკიაში) 132
ფეაკიელები 35, 89, 108, 116
ფეიდონი (არგოსის ტირანი) 206, 208
ფენიპე 510
ფეოდოსია 162
ფესტი (ქალ. კუნძ. კრეტაზე) 26, 31, 34, 42, 47
ფიდიასი (მოქანდაკე და მხატვარი) 359, 382, 472, 475—477
ფილაიდები (არისტოკრატიული გვარი ყირიმში) 323
ფილიპე II, ფილიპე მაკედონელი (მაკედონიის მეფე, 359—336) 523, 533, 548 — 550, 552—561, 564—5
ფილიპიდე 468
„ფილიპიკები“ (დემოსთენე) 550, 555, 561, 563
ფილიპოი (ქალ.) 554
ფილოდემე (პოეტი) 486
ფილოკრატე 557, 561
ფილოლაოსი (თებელი კანონმდებელი) 221
ფილომელოსი (ფოკიდეელი) 554—5
ფინიკია 97, 287, 297,
ფინიკიელები 35, 113—14, 118—19, 126—128, 191, 287, 330
„ფინიკიელი ქალები“ 295
ფინსლერი გეორგ (მკვლევარი) 99
ფიქვნარი 158
ფოთი 155, 157
ფოკეა (ქალ.) 125, 131, 287, 315, 479
ფოკეელები 131—2, 140, 301, 303, 329, 554—557
ფოკიდა (მხარე შუა საბერძნეთში) 6, 220, 265, 344, 557, 562
ფოკიდელები 220, 343—4
ფოკიონი (ორატორი) 556, 559
ფორერი (მკვლევარი) 89
ფორმიონი 440
ფრანკოტი (ისტორიკოსი) 354, 434
ფრეზერი (ეთნოგრაფი) 175
ფრიგია (სამეფო მცირე აზიაში) 75, 133, 271
ფრიგიელები 75, 78
ფრინიქოსი (ტრაგიკოსი) 295, 450
ფრიქსე (ბეოტიის მეფის ძე) 151
ფსეედოქსენოფონტე 356, 379, 404, 430
ფურუმარკი (მკვლევარი) 566

ქ

„ქალები თესმოთერიების დღესასწაულზე“ (ევრიპიდე) 468
„ქალები სახალხო კრებაზე“, „კანონმდებელი ქალები“ (არისტოფანე) 468, 499, 518
ქალეიონი (ქალ. ლოკრიდაში) 368
ქალკედონი (ახალშენი ბითვინიაში) 414, 416
ქალკიდა (ქალ. კუნძ. ევბეაზე) 124, 129—30, 135, 166, 168, 191, 220, 260, 315, 333, 334, 386, 429, 430, 500, 556—7
ქალკიდელები 142
ქალკიდიკა (ნახ. კუნძ.) 307, 554
ქალკიოპე (აიეტის ასული) 151
ქართველები (ტომი) 102, 138—9, 144, 290, 297
ქარმიდე 542
ქერონეა (ქალ. ბეოტიაში) 381, 562—564
ქერსიფრონე (ხუროთმოძღვარი) 287
ქერსონესი (ქალ.) 162, 309, 556—7, 561, 563
ქერჩის სრუტე 162—3
ქვემო იტალია 286, 303, 319, 330, 350, 539, 545
ქიზიკოსი (ახალშენი) 136
ქილონი (ეფორი) 210
ქიონიდე (კომედიების პირველი ავტორი) 465
ქიოსელები 535
ქიოსი (კუნძ.) 4, 10, 168, 283, 319—20, 390, 402, 421, 429, 436, 530, 534
ქობულეთი 158
ქრემილე (მიწათმოქმედი) 519
ქრისოპოლისი (ქალ.) 413
„ქრონოგრაფია“ 153
ქსანთიპე (ათენელი სტრატეგოსი) 312, 319, 336
ქსენოფანე კოლოფონელი 281
ქსენოფონტე (ისტორიკოსი, 430—355) 138—9, 145, 196, 211, 356, 362, 369, 370, 374—379, 397, 422, 417, 424—5, 427, 433, 495, 509, 510, 511, 516, 519, 521, 524, 528, 535, 541—2, 547
ქსერქსე (ქსერქსე I, სპარსეთის მეფე, 486—465) 137, 292—3, 295—6, 299, 314—316, 318, 320, 325, 551
„ღრუბლები“ (არისტოფანე) 468

ყ

ყამარი 147, 149
ყაუხჩიშვილი თ. 570—1
ყაუხჩიშვილი სვ. 156, 570—1
ყირიმი 162
ყუბანი 157

შ

შაეი ზღვა 77, 136—138, 140, 142—3, 160, 291, 303, 349
შაეიზღვისპირეთი 159, 160, 161, 164, 169, 297, 425, 427
შენგელაია ირაკლი 149
„შესავალი ჰომეროსისადმი“ (ვოლფი) 97
შესტაკოვი ს. (მკვლევარი) 98
შეფერი (ფრანგი ისტორიკოსი) 126
შექსპირი 378
შვარცი ა. (მკვლევარი) 373
შვეიცარია 432
შვეცია 61
შილერი (პოეტი) 98
შლიმანი პენრიხ (არქეოლოგი, 1822—1890) 14—18, 77
შმიდტი (ისტორიკოსი) 569
შორაპანი 144
შუამდინარეთი 25, 28, 286, 291
შუა საბერძნეთი 5, 6, 193, 220, 343, 387

ჩ

ჩადვიკი (ენათმეცნიერი) 23, 24
ჩერნომორსკოე (ყოფილი აკ-მეჩეთი) 162
ჩიკოტი (მკვლევარი) 434
ჩიტაია გ. 570
ჩიქოვანი მიხ. 148—9
ჩოლოკი 158

ც

ცეზარი 550
ციცერონი 550

წ

წერეთელი ალ. 244
წერეთელი გრიგოლ 145—50
წინა აზია 36, 40, 138

ჭ

ჭოროხი (მდ.) 139

ხ

ხალიბები 138
ხაბრია (ათენელი სარდალი) 525
ხარმიდე 521
ხარნე (ჰიპარქოსის მამა) 312
ხარონდა 181
ხახუტაშვილი დ. 158
ხეთა 35, 291
ხეთელები, ხეთები 77—8
ხერილე სამოსელი (პოეტი) 294
ხერიპორი (თებეს მთავარი ქურუმი) 120
ხვოსტოვი მ. (პროფ.) 250, 352, 354, 573
ხმელთაშუა ზღვა 4, 18, 126—7, 132, 135, 142—3, 191, 292, 329, 350, 432, 484, 539
ხმელთაშუაზღვისპირეთი 35, 38, 328, 538
ხოშტარია ნ. 158

ჯ

ჯავახიშვილი ივ. 138, 147

ჰ

ჰალდერი 212
ჰალიკარნასი (ქალ. მცირე აზიაში) 296—7
ჰამანი რიხარდ 56
ჰამილკარი (კართაგელების სარდალი) 330
ჰამურაპი (ბაბილონის მეფე, 1792—1750) 36
ჰარაქს პერგამონელი (მწერალი) 154
ჰარმოდიოსი (ორატორი) 254, 470
ჰარპაქოსი 301
ჰეანი 90
ჰეგელი (ფილოსოფოსი, 1770—1831) 99
ჰეკატეოს მილეტელი (540—479) 143—4, 280, 293—4, 300, 305—6, 484
ჰელადა 9, 92, 93, 166
ჰელანიკე ლესბოსელი 129, 196
ჰელბიგი (მკვლევარი) 567
ჰელე (მით) 151
ჰელესპონტი (დარდანელის სრუტე) 4, 15, 135—6, 151, 252, 303, 307, 316, 320, 321, 328, 334, 349
ჰელიკონი (მთ.) 173, 265
ჰელიოსი (მზის ღმერთი) 151, 264
ჰელოსი (ქალ.) 200
ჰემერა (მით.) 263
ჰემონი 459

ჰერა (ქალღმერთი) 68, 89, 90, 130, 134, 187, 264, 282, 455, 477
ჰერაკლეა (ქალ.) 140, 145, 161—2, 477, 545
ჰერაკლეელები 145
ჰერაკლე (მით.) 76, 147, 195, 465, 471
ჰერაკლეიდე კლაზომელი 522
ჰერაკლიდები (მით.) 195, 551
ჰერაკლიტე ეფესელი (ფილოსოფოსი) 479, 480—1, 495
ჰერმან გოტფრიდი (მკვლევარი) 98
ჰერმესი (ღმერთი) 14, 90, 176, 265
ჰერმოკრატე (სირაკუზის სარდალი) 394, 537
ჰერმონასი (ახალშენი ტამანის ნახ. კუნძულზე) 163
ჰეროდორე ჰერაკლეელი 147
ჰეროდოტე თურიელი 298
ჰეროდოტე ჰალიკარნასელი (ისტორიკოსი, 484—425) 25, 78, 96, 118, 120, 128, 134—5, 137, 143—4, 156, 160, 163—4; 168, 189; 196, 198; 206, 212, 233, 237, 260, 274, 278, 286—7, 289, 292, 294, 296—300, 304, 306, 309, 316—17, 330, 353, 364, 370, 375, 549, 551
ჰერონდა (პოეტი) 509
ჰესიოდე (პოეტი. ძვ. წ. VIII საუკ.) 120, 146, 166, 171—173, 177—179, 222, 262—3, 281
ჰეფესტო (მჭედელი ღმერთი) 64, 90, 108, 146, 422, 454
ჰექტორი (ტროელი გმირი) 114, 121
ჰიერონი (ჰიერონ I, სირაკუზის ტირანი, 478—467) 330—1, 538
ჰიმერა (ახალშენი სიცილიაში) 330
ჰიპარქოსი (პისისტრატეს შვილი) 254, 308, 312
ჰიპერბოლე (ათენის დემოსის მეთაური) 381, 399
ჰიპერიდე (ორატორი) 560
ჰიპერიონი 264
ჰიპიასი (პისისტრატეს ძე) 253—255, 301, 304—5, 308, 310, 412, 490—1
ჰიპნოსი (მით.) 264
ჰიპოდამოს მილეტელი (არქიტექტორი, ძვ. წ. V საუკ.) 350, 472
ჰიპოდამია 472
ჰიპოკრატე ქიოსელი 374, 483
ჰიპონაქსე 274
ჰირკანია 286
ჰირშფელდი (ისტორიკოსი) 570
ჰისარლიკი (ბორცვი) 15, 77
ჰისტასპი (დარიოსის მამა) 289
ჰიქსოსები (ტომი) 27, 36
ჰომეროსი 5, 9, 11, 13, 15, 16, 18, 25, 31, 57—8, 64, 66, 70—1, 78—80, 83, 95—111, 113, 115—118, 120, 123, 129, 134, 137, 152, 178—9, 197, 218, 221, 253, 261—263, 268, 271, 281, 361, 550
„ჰომეროსი და ძეგლები" (ლორიმელი) 102
„ჰომეროსის თქმული აქელიანი" (ვ. მირიანაშვილის თარგმანი) 103
ჰროზნი ბ. (მკვლევარი) 23

შინაარსი

თავი პირველი

ეგეოსის ანუ კრეტა-მიკენის კულტურა

1. საბერძნეთის ბუნებრივი პირობები და ბერძენ ტომთა პირვანდელი განსახლება 3
2. ძველი საბერძნეთის ისტორიის საწყისის საკითხი 11
3. კრეტის ეპოქა 25
4. კრეტის ძლიერების დაცემა; კრეტული კულტურის შემქმნელი ტომების საკითხი; ვინ იყო მინოსი 53
5. არგოლიდა და მიკენი 56
6. პილოსი 70
7. ძველი ტროა 75
8. მიკენის ეპოქის ბერძენთა სოციალურ-პოლიტიკური წყობილება; დორიელთა გადმოსახლება და მიკენის ეპოქის დასასრული 78

თავი მეორე

ჰომეროსის დროის საბერძნეთი

1. ჰომეროსის საკითხი 96
2. ბერძენ ტომთა ყოფა-ცხოვრება და კულტურა ჰომეროსის ეპოქაში . 103

თავი მესამე

არქაული საბერძნეთი

1. ბერძენთა კოლონიზაცია VIII — VI საუკუნეებში და მისი საერთო შედეგები 123
2. საბერძნეთის ეკონომიური და საზოგადოებრივი განვითარება VII — VI საუკუნეებში. მიწათმოქმედთა მძიმე მდგომარეობა და ჰესიოდე; მონათმფლობელური სახელმწიფოს წარმოქმნის პროცესი . . . 166
3. ბრძოლა დემოსსა და არისტოკრატიას შორის. არქილოქეს პოლიტიკური არაკი. ადრეული ტირანია 182
4. ზოგადბერძნულ დაწესებულებათა წარმოქმნა 190
5. ძველი სპარტა, მისი სოციალური წყობილება და ყოფა-ცხოვრება (VIII — V სს.). 193
6. კრეტა; თესალია; ბეოტია (VIII — V საუკუნეებში). 211

7. ათენის სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხი და მისი ძველი ორგანიზაცია 225
8. ატიკა VII — VI საუკუნეებში; კოლონის შეთქმულება; დრაკონის კანონმდებლობა; ნავკრარიები 232
9. ათენის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა VII საუკუნის დასასრულს და სოლონის რეფორმები 239
10. ტირანია ათენში 249
11. კლისთენეს რეფორმები და მათი მნიშვნელობა 255
12. გარდამავალი ხანის კულტურა 261

კლასიკური საბერძნეთი

თავი მეოთხე

ბერძენ-სპარსელთა ომები

1. აქემენიანთა სპარსეთი 287
2. ბერძენ-სპარსელთა ომის წყაროები: ჰეკატეოს მილეტელი, ესქილე, ჰეროდოტე. 293
3. იონიელ ბერძენთა ამბოხება სპარსელების ბატონობის წინააღმდეგ . 301
4. ათენის შინაური მდგომარეობა V ს. დასაწყისში. სპარსელების პირველი გამოლაშქრება საბერძნეთზე. მარათონი. პოლიტიკური ცვლილებები ათენში 307
5. ქსერქსეს გალაშქრება საბერძნეთზე და მისი შედეგები; ბერძენ-სპარსელთა ომების დასასრული და მნიშვნელობა; დელოსის საზღვაო კავშირი; ბერძნების ურთიერთობა დასავლეთში 314

თავი მეხუთე

პერიკლე და ათენის მონათმფლობელური დემოკრატია

1. დელოსის კავშირის გარდაქმნა; V საუკუნის შუალედის ათენში დაჯგუფებათა შორის ბრძოლა და პერიკლე 333
2. ბრძოლა ორ ფრონტზე; მშვიდობიანობის ხანა; ატიკის ვაჭრობა-წარმოების მნიშვნელოვანი განვითარება; ათენის დემოკრატია და პერიკლეს მოღვაწეობა. 341
3. მოქალაქეობისა და ურთიერთობის საკითხი ბერძნულ პოლისებში . 361

თავი მეექვსე

ბრძოლა პელოპონნისათვის

1. მთავარი წყაროები: თუკიდიდე, ქსენოფონტე, ეფორე, თეოპომპე, ოქსირინხის პაპირუსი, პლუტარქეს ბიოგრაფიები, ტრაგედიები და კომედიები, ორატორები, ეპიგრაფიკა 369
2. პელოპონესის ომის წარმომშობი. პირობები და საბაბი. მისი საერთო მსვლელობა. ნიკიასის ზავი. [illegible]ბიადე და სიცილიის ექსპედიცია . 382

3. ათენის შინაური მდგომარეობა ომის დროს. სხვადასხვა ჯგუფის დამოკიდებულება ომისადმი. 411 წლის ოლიგარქიული გადატრიალება . 403
4. პელოპონესის ომის დასასრული. მისი საერთო შედეგები. 30 ტირანი ათენში. დემოკრატიის საბოლოო აღდგენა 414

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი დ ე

ბერძნული პოლისების სამეურნეო მდგომარეობა V საუკუნეში

1. ანტიკური მეურნეობის მონათმფლობელური ხასიათი. მიწის მეურნეობა. ვაჭრობა და ხელოსნური წარმოება (ერგასტერიონები). საკრედიტო საქმე. ტრაპეზიტები. ფინანსები. საერთო მოსაზრებები . 420

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

კლასიკური ეპოქის ბერძნული კულტურა

1. სარწმუნოება. თეატრი. ხელოვნება 447
2. ნატურფილოსოფია და მეცნიერება. სოფისტები და სოკრატე. პლატონი და არისტოტელე 479

თ ა ვ ი მ ე ცხ რ ე

საბერძნეთი ძვ. წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში

1. სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური კრიზისი 507
2. საბერძნეთის პოლისების მდგომარეობა სპარტის ჰეგემონიის ქვეშ. „სამეფო ზავი“ და მისი მნიშვნელობა 523
3. თებეს ხანმოკლე ამაღლება და ატიკის მეორე საზღვაო კავშირი . . 528
4. დიონისეს სამეფო სიცილიაში 536
5. ღარიბებისა და მონების მოძრაობა V საუკუნის დასასრულს და IV საუკუნის პირველ ნახევარში და „უმცროსი ტირანია“ 541

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

საბერძნეთი და მაკედონია

1. მაკედონია ფილიპე II (359 — 336) გამეფებამდე; ფილიპეს მეფობა და მოღვაწეობა 546
2. ბრძოლა ქერონეასთან; კორინთოს კონგრესი 561
შენიშვნები და დამატებები 566
საძიებელი 585

რედაქტორი ნ. თალაკვაძე
მხატვრული რედაქტორი შ. ნიორაძე
ტექრედაქტორი ა. კაციტაძე
კორექტორი ნ. ჯანელიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/II-66 წ.
ქაღალდის ზომა 60×90 1/16. ნაბეჭდი თაბახი 38,25.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 34,84.

ტირაჟი 2.000 უე 00233 № 2186

ფასი 1 მან. 20 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, კამოს ქ. № 18.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18
1966

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.